# ქართული
# საბჭოთა
# რომანი

ანასტასია
ერისთავი-
-ხოშტარია

# მოლიპულ გზაზე

●

# გედის ჩრიალი

●

„მერანი“ თბილისი
1988

8:1 Гр 1—4
ე 783

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას რომანები თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მკითხველებში. ამ ნაწარმოებებისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა, მით უფრო, რომ ისინი დიდი ხანია არ გამოცემულა. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ა. ერისთავი-ხოშტარიას ორ რომანს „მოლიპულ გზაზე" და „ბედის ტრიალი".

რედაქტორ-შემდგენლები გურამ ფანჯიკიძე,
გურამ გვერდწითელი

4702017200—18
ე—————————22—88
მ 604 (08) — 88

© გამომცემლობა „მერანი"


მოლიპულ
გზაზე



I

ს—ს ხეობა მოსჩანს კარგა დიდ მანძილზე. ბოლო ელება მარტო იმ ადგილას, სად ცა დედამიწას ამბორს უყოფს, სადაც დარაჯად დასდგომია გვირგვინოსანი მხცოვანი, რომლის მწვერვალო ხან თავზე მოიხვევს თვალისმომჭრელ მზის სხივისაგან ნაქსოვ რიდეს, ხან გარდიქცევა ჰაეროვან ფრთად, თითქო უერთდება აფრააშვებულ მსუბუქ გემებს, რომელნიც წყნარად მისცურავენ ცის დაქვარდზე. ხეობაში გაბნეულან სოფლები. მათ შორის დ—ი მეტად მიმზიდავი სააგარაკო ადგილია. მიიწურება თუ არა მაისი, სიცხისგან სულშეგუბებული ხალხი მოესწრაფება ქალაქებიდან აქეთ, რათა ისუნთქოს სოფლის ჰაერით, დასტკბეს მის ხელშეუხებელ უმანკო ბუნებით. ადგილობრივ მკვიდრთათვის ძვირფასი სამახსოვრო დროა გაზაფხული. მარტოობისა, ერთგვარ უფერულ, ყოველდღიურ ცხოვრების გამო გულგაწყალებულები მოუთმენლად ელიან ამ დროს, რათა ახალ სტუმრებთან ერთად მიეცნენ მხიარულ დროს გატარებას. არ არის ისეთი ოჯახი, რომელსაც მოლოდინი არ ჰქონდეს მახლობელ ძვირფას არსებისა. ამ მოლოდინით შესდგომია სამზადისს და ხელს უწყობს აგრეთვე გაცოცხლებული ბუნებაც. სოფელი ფართოდ გაშლილა, მუნ მცხოვრებნი კარგა ბლომად ითვლებიან. თუმცა ყველა ლაზათიანად მოწყობილა, მაგრამ არც ერთის მდგომარეობა არ შეედრება სოფლის თავში, პატარა გორაკიდან მედიდურად გადმომყურე ერთსართულიან ქვითკირის სასახლეს. ეს სასახლე კოხტა აივნით თავს იღამაზებს მწვანე ხავერდებში, რომელნიც მცირეოდენ ნიავის ამობერვაზე იწყებენ ღელვას, მინდვრის კეკლუცებით მორთულ ტალღებით ნაზად ეხებიან შენობას და თვალის წარმტაც მხატვრობით თავს იწონებენ. აგერა ღამის მნათობთ ღიმილით დახედეს არემარეს, ყური მიუგდეს საღამურის ნაკრაკს, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა სოფელს, ხმა შეწყდა, სანაცვლოდ გაისმა გაბმული წკარუნი ზარებისა, საქონლის ბღავილი, მოდის დაგვიანებული მეხრე, მოესწრაფება ბინისკენ.

მთელი დღის მუშაობით დაქანცული სოფელი ეძლევა მოსვენებას. მარტო სასახლის წინ პატარა ბაღს ფიქრად არ მოსდის ეს მოსვენება, დღესავით განათებულია აფერადებულ ფარნებით, შუაგულ მჩქეფარე შადრევანის შხეფები ხვდებიან აღგზნ-აადგიძ მობნეულ ვარდყვავილთ, პირს ბანენ. შადრევნის ცოტა მოშორებით, სკამებზე ჩამწკრივებულან სტუმრები. ზოგი მისცემია უზრუნველ ლაპარაკს, ზოგს მაგიდა გაუშლია აივანზე და ქაღალდს თამაშობენ. ახალგაზრდები კი დამსხდარან ყმაწვილ ქალებთან, სხვადასხვა თავმოსაწონებელ სიტყვებით ართობენ.

— დანაპირები არ დაგავიწყდეთ, კნიაზო! — დაიდაპარაკა შავთვალწარბა მაშომ, ეშხიანი სახე მომეტებულის კეკლუცობით მიმართა ყმაწვილკაცისაკენ, რომელიც გაჩუმებული იჯდა ახლო, ღიმილით უყურებდა.

— დანაპირების დავიწყება შეუძლებელია, კნიაჟნავ, მაგრამ ხვალ არ შეიძლება მისი შესრულება, — უპასუხა.

— რატომ? თუ გულს უნდა, ყველა შესაძლოა, — უპასუხა მაშომ, და დაუწყო ყვავილს ყნოსვა.

— ნუ გავიწყდებათ, კნიაჟნავ, რომ ხშირად გულს არ ეთანხმება ხოლმე გარემოება.

— იმედია, ჩვენი საზოგადოება დაამოწმებს, რომ სახვალიოდ მოგვეცით პირობა, ახლა ყოყმანობთ? — დასძინა მეორე ქალმაც.

— ამისთანა მყუდრო ღამეში ცხენებით სეირნობა სასიამოვნოა! — კვალად გაიმეორა მაშომ.

— ოღონდაც, ოღონდაც, — გაისმა ყოველმხრივ.

— ღამე?! თქვენ ბრძანეთ დილით და რადგან ხვალ დილით მაკინე სადარბაზოდ აპირებს წასვლას, ყოვლად შეუძლებელია ასრულება. და, თუ საღამოზე მიბრძანებთ, დიდის სიამოვნებით, მზად გახლავართ! — უპასუხა ოქრომ, წამოდგა, გამოიჭიმა, მოხდენით ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— ეე! — წამოიძახა ამ დროს მარიკამ. — უყურეთ იმასა! — თითი გააწვდინა ცისკენ, სადაც გაიბნენ ღამაზი ნაპერწკლები.

გვერდზე მჯდომმა ყმაწვილმა კაცმა გაფაციცებით თვალი გააყოლა ღამაზ თითს, შემდეგ ღიმილით შეხედა თვალებში და უთხრა:

— იქით რას მითითებთ? თქვენგან ნაჩვენები ბუნების

უსულო სურათი ცუდად მოქმედობს ჩემზე, მეტადრე მაშინ, როდესაც თვალწინ უფრო მისაწვდენად კრთებიან მწველი მომხიბვლელი ნაპერწკლები.

მარიკამ ვითომ არ შეიმჩნია, თუ რომელ ნაპერწკლებზე ელაპარაკებოდა შაქრო, თავი დახარა ძირს და დაუწყო ფოთოლს ხელში სრესა.

— როგორც გეტყობათ, არ ხართ მგოსანი, ანუ მხატვარი. პირველი მაგ შემთხვევას საგულისხმიერო ლექსით დაიმღერებდა, მეორე კი ზოლად აღნიშნავდა თავის სურათზე, — სთქვა მარიკამ.

— თუ გგონიათ, მეც აგრე არ ვიქცევი, სცდებით, კნიაჟნავ! მგოსანი ხშირად წარმოთქვამს ხოლმე ქება-დიდებას მარტო ლექსის სიმშვენიერისთვის. მხატვარი, თუმცა ზოლად აღნიშნავს ქაღალდზე, მაინც საკმაოა შეეხოს მას რომელიმე საგანი და წაიშალოს, მე კი ღვთიურ ნაპერწკლებს ვიბეჭდავ სიცოცხლით სავსე და გრძნობით აძგერებულ გულში, — დაბალი ხმით დაუმატა შაქრომ ბოლო სიტყვები, რათა მარტო მარიკას გაეგონა.

— კმარა! — შუბლშეკვრით გააწყვეტინა ქალმა და პირი სხვებისკენ იბრუნა.

— ბატონებო, ვახშამს სად მიირთმევთ? ბაღში თუ სახლში? — ამ სიტყვებით გადმოდგა აივნიდან გაიანე, რომელიც მისულიყო ქაღალდის მოთამაშეებთან; ისინი მეტად გართულიყვნენ საქმეში, ვერ გაიგეს დიასახლისის მოსვლა.

— ჩვენთვის სულ ერთია, ქალო, ხელს ნუ გვიშლი, მაკინეს ჰკითხე, — ძლივს ელირსა პასუხი გაიანეს, როდესაც გაიმეორა კითხვა.

გაიანემ მიმართა ბაღში მყოფთ, საიდანაც ისეთივე პასუხი მოესმა, შემდეგ წავიდა მეორე მხარეს. ძირს, ბადახებზე გაშლილი იყო ხალიჩა, მუთაქაზე ნიდაყვდანდობილი მაკინე გულმოდგინედ ეთამაშებოდა ნარდს ხანში შესულ თავადიშვილს.

— დუშაში, კამათელო! — შესძახა ბრძანებით მაკინემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააკრიალა კამათლები. ამჟამად იყურებოდა ამაყად; როდესაც ნანატრი დუშაში გადაეშალა წინ, მის სახეს არც გაოცება, არც კმაყოფილება არ დასტყობია, არამედ

ტუჩებზე გაუთამაშა დაუდევარმა ღიმილმა. გაოცებულმა თავადმა შემოჰკრა ტაში ტაშს და აღტაცებით შესძახა:

— ვაშა! ვაშა, კნეინავ! ძაან ნარდი იყო, ძაანი გამარჯვება! ან რა გასაკვირველია კამათლების მორჩილება მაშინ, როცა თვით ცხოვრებაშიაც ყოველივე თქვენი ფერხთა მტვერია!

— ვითომ?! ეგ კარგია, თუ არა სცდებით, — შენიშნა მაკინემ, ხელში აიღო მარაო და იწყო მით გრილება.

ვინ იფიქრებდა, რომ მაკინეს ორმოც წელს ბევრი აღარა უკლდა-რა მაშინ, როდესაც მისი მშვენიერი სახე თავბრუს ახვევდა მაყურებელს, თან მოწიწება, მორჩილებას აგრძნობინებდა. შავი დიდი თვალები გაბედვით პირდაპირ გამოიყურებოდნენ, შეკრულ ხშირ წარბებსა და გადატკეცილ სწორ შუბლზე ცხადად ეწერა სიმტკიცე, თვითნებობა; შევერცხლილი თმის ხუჭუჭები ჩამოსწეწოდნენ შუბლზე, ვარდისფერი პაწია ტუჩები უორკეცებდნენ სიდამაზეს. წარმოსადეგი ტანი, საგანგებო მიხვრა-მოხვრა მაყურებელს თვალსა სტაცებდა. მაკინეს ეცნო თავისი მშვენიერება, გულში ამაყობდა, სარგებლობდა მით. ტყუილად არ უთხრა თავადმა არჩილმა: „ყოველივე თქვენი ფერხთა მტვერიაო". მაკინე, თუმცა დარწმუნებული იყო — როგორც ქმრისა, ისე და-ძმის და ყველა ნაცნობთა თითქმის მბრძანებლად ითვლებოდა, ისინი ამის სურვილს, აზრს, სახეს, ქცევას ეთაყვანებოდნენ, მაგრამ ჭკვიანური თავდაჭერილობით ვითომ არ იმჩნევდა.

— მაკინე! ვახშამი სად გავაშლევინო? — კითხა ამ დროს გაიანემ.

— რასაკვირველია, აქა. ამ სიცხეში შიგ როგორ გავძლებთ? ლოტოს მოთამაშენი რაღას ამბობენ?

— მათთვის სულ ერთია. იხვეწებიან, ოღონდ ორი-სამი ხელი კიდევ გვათამაშეთ, მერე თქვენი ნებაა, საცა გინდათ იქ ვივახშმოთო.

— არ მესმის, რა სიამოვნება უნდა მიიღოს კაცმა ლოტოს თამაშში?! — წარმოსთქვა მხრების აწევით მაკინემ და ტუჩებზე ჩვეულებრივი დაცინვა დაეტყო. — კნიაზო, ამისრულებთ სათხოვარს? — მიმართა იქვე მდგომ არჩილს, რომელიც აღარ შორდებოდა.

— დიდის სიამოვნებით, დედოფალო!

— სთხოვეთ თავად სოსიკოს ჩემს მაგივრად, ერთი კიდევ

იმღერის. ისე კი მოახერხეთ, იქვე დარჩეს, რაც უფრო შორიდან მოისმის ხმა, მით უფრო ტკბილია.

თავაზიანი ჯავადი წავიდა თხოვნის ასასრულებლად, მაკინე დაენდო მუთაქაზე, ფიქრიანად იწყო ყურება იქით, საიდანაც მოისმოდა ახალგაზრდათა სიცილ-ხუმრობა.

— მაკინე, ხომ არ დაიღალე? წამო ოთახში, პატარა ხანს წამოწექი, სანამ ვახშამი დამზადებოდეს, თორემ მერე უფრო ველარ შესძლებ, — უთხრა მზრუნველობით გაიანემ დას, რომელსაც უკანასკნელი, ცოტა არ იყოს, მოწყენით დაინახა.

— არა მიშავს-რა, მინდა იმ ხალხს ვუყურო. განა ვერ ატყობ ჩვენ ოქროს, რა ხალისიანად არის აქაურ საზოგადოებაში?

— მაშ რისთვის არიან ეს თვალები?

— წარმოიდგინე, მარტო ოქროსთანა ზრდილ, ანგელოზს შეუძლიან აგრე თავის დაჭერა ამისთანა შეუფერებელ ხალხში. საცოდავებსა ჰგონიათ, მართლა სულით და გულით ჩვენი ტოლიაო. შეხე ქალებს, უყურე, რა რიგად ეწონებიან. საკვირველია, რა ხშირად დაბრმავდება ხოლმე ადამიანი, რომ ვერ ხედავს ვერც თავის თავს, ვერც სხვასა!

— რა გენაღვლება? ეგონოთ აგრე... ოქრო მაგ დროს ჩინებულად გაატარებს. ბოლოს ხომ დარწმუნდებიან, რომ იმასა და მათ შორის დიდი ზღვა დევს? — უპასუხა გაიანემ.

— ოღონდაც! ენაცვალოს მაკინე ოქროს! ვინ არის მაგისი ბადალი, არამც თუ ამ სოფელში, თუნდა მთელს საქართველოში? შეხე, გაიანე, უყურე იმის მიხვრა-მოხვრას, იმის სახეს, ლაპარაკს, ყური დაუგდე ხმას! — აღტაცებით იმეორებდა მაკინე. გაიანეც გაბრწყინვებულის თვალებით შორიდან ესაყვარლებოდა ძვირფას ძმას, რომელიც წინ ედგა დამაზ მაშოს, გატაცებით რაღაცას ელაპარაკებოდა. სწორედ ამ დროს მეორე გვერდზე, ბაღის პატარა დაბლობში, რამდენსამე ყმაწვილს ხელად სუფრა გაეშალა მწვანეზე, ხან ღვინოს მიირთმევდნენ, ხან ერთმანეთთან დაზღანდარობდნენ.

— სოსიკო, აღავერდი შენთანა, კაცო! უყურე, როგორ გამოვცალო, ასე მტერი დაგიცარიელდეს, აჰა, — წარმოსთქვა ერთმა თავადთაგანმა და დაცლილი ჭიქა წინ სუფრაზე გაუგორა.

— იახშიოლ! თავი ნუ გამოგიდვია, არც მე დავრჩები დიდხანს დავალებული შენგანა, აი მაგიერს მალე გიხდი, — მიუგო

სოსიკომ და ღვინით გაღიცღიცებული თასი ხელის გულზე მარჯვედ დაიტრიალა, ამას მოჰყვა ჭიქების წკარუნი.

— კნეინა მაკინე მგზავნის შენთან და გავაღებს აასრულო მისი ბრძანება! — ამ სიტყვებით არჩილი გაჩერდა სოსიკოს წინ.

— სსს, ყმაწვილებო, სმენა იყვეს და გაგონება! — შესძახა სოსიკომ, ხელსახოცი აუქნია ამხანაგს, მათ ხმამაღალ დაპარაკისგან ყურთასმენა აღარ იყო. შემდეგ მოუბრუნდა ახლად მოსულს, მიიღო ხელი გულზე და ღიმილით წარმოსთქვა: — მზადა ვარ ავასრულო ყოველი თქვენი ბრძანება-თქო, ნებავს წყალში გადავვარდები, ნებავს — ცეცხლის ალს მივეცემი, მარტო კი შემომიკვეთოს.

— მისთვის შენი სიკვდილი ჯერ საჭირო არ არის. მას მონებებია თარი და აგრეთვე შენი სიმღერა.

სოსიკომ მაშინვე აიღო ხელში საკრავი, დაუწყო მართვა, აქ მყოფთ სული განაბეს. რამდენიმე წამი და თარმაც იწყო ღუღუნი, ზედ დაერთო ტკბილი ხმა, რომელიც ამბობდა შემდეგს:

შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა!
მანათობლად ელმომხდარი, გულნარა!
შენ ვარდი ხარ, ედემს რგული, გულნარა!
ბულბულისა დამდაგველი, გულნარა!

გათავდა სიმღერა, ტაშის გრიალმა წუთს გააყრუა აქაურობა, ყველაზე ნასიამოვნები დარჩა მაკინე, მიხვდა წარმოთქმული სიტყვები მის შესახებ იხარჯებოდნენ. აქ მყოფთაც იცოდნენ ეს, ღიმილით უყურებდნენ ტკბილ ჰანგების ეშხზე მომყვან მშვენიერ არსებას. ამ დროს დარბაზშიაც გაჩაღდა ლეკური; როგორც ეტყობოდა, მელოტოეთ მოსწყენოდათ დიდხანს უმოძრაოდ ყოფნა, მოსურვებოდათ მხიარულება, ამისათვის დაჰკრეს ნაღარას. ბაღში მყოფნი გამოემართნენ ოთახებისაკენ. დიდ დარბაზში თავი მოეყარა კარგა ბლომა ხალხს. სკამებზე ჩამწკრივებულნი, ლეჩაქგადაფარებულნი ხანშიშესულნი მანდილოსნებს ხელში ეჭირათ კრიალოსნები და გულმოდგინედ თვალს ადევნებდნენ იქ მყოფთ, თავიანთ აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

— შეხე, ქალო, რა მშვენიერებაა მაკინე! სწორედ თამარ დედოფალს არა ჰგავს? — წასჩურჩულა ერთმა მეორეს.

— მეტად გოროზი და ამპარტავანია, გენაცვალე! რომ ელა-

ბარაკები, დაცინვისგან სულ მანჭვა-გრეხა მოსდის სახეში. ასე ჰგონია, აქ მე ვარ, იქ რუსთ ხელმწიფის ცოლიო. არ მომწონს მაგისთანა ქცევა, ქალი რაც უნდა მდიდარი, დიდი კაცის ცოლი ან შვილი იყვეს, მაინც მდაბალი გული უნდა ჰქონდეს. ვითომ ვიზე რა მეტი ჰგონია თავისი თავი? რა უყოთ, რომ ქმარი დაწინაურებულია სამსახურში! ღენერალზე მეტი ჩინი ხომ აღარ აქვს! ვითომ ჩემი სოსიკო ნაკლებია, დიდ ყმა და მამულს მერასავით რო დასტრიალებს თავსა? ვაი, შენ არ მოუკვდე სოფიოს, ნაკლები კაცის ცოლი არ ვიყვე!

— მართალი ხარ, ეგ დალოცვილი მეტისმეტად იჭიმება, — დაემოწმა თებრონიაც.

— ამ სიტყვას თქვენგან არ გავეღი, ასე ამბობენ, აღარაფერი აღარ აბადიაო, ეგ ფართიფურთობა მარტო მოჩვენებაა, ეგეც მალე მოეშლებაო. მაგრამ იჰ, ეს ოხერი ჩემი ენა ჩემი მტერია, რა მაცოდვილებს, სხვის საქმეში რისთვის შევდივარ, მაინც რაკი სიტყვამ მოიტანა, მეც იმისთვისა ვთქვი, — დაუმატა პელაგიამ და კავებზე ხელი ჩამოისვა.

— იმისმა მოსამსახურე გოგომ მიამბო დაწვრილებით, ქალო, რომ სახრინავზეა თურმე მიმდგარი მაგათი საქმე, სახრინავზე.

— შეურცხვა ქალობა! დედაკაცმა ოჯახი უნდა დაადგინოს, კი არ დაანგრიოს!

— ნეტავი რაზე ამტყუნებთ და ჰკიცხავთ, ქალებო?! კარგა შვრება და გვარიანადა. თვალიც გახეთქიათ, რაზე აჭმევინებენ თავსა.

— ჰო და ჰო, ისევ ამანა ჭამოს, სხვის შეჭმასა!... ახლა გაიანეს ოჯახი ბოლოს ა იმ წუწკ გრიგოლას რო დარჩება, მაგაზე ჩიჩინი რაღა საჭიროა, და მაკინეზე უფრო უპრიანი არ არის?

— ვაი რა დღეში ვართ! აგრე არა ფიქრობდა მაგისი ცხონებული მამამთილი ბესარიონი, როცა მამულ-დედულს ზედ აკლავდა თავს მხნეობით. „ეს სოფელი ბრუნავსო, ქალო, ვინ ვისთვისა ზრუნავსო, ვინ დასთესავს, ვინ მომკის, ბოლოს ვინ დასთრგუნავსო"... ტყუილად არ არის ნათქვამი, — წაიდუდუნა ქეთევანმა.

— ეჰ, სადღაა მამულისა და ოჯახის სიყვარული? ყველაფერი დრომ წაიღო.

— წატო, შეხე შენს მარიკას. იქნება ამაღამ ბედმა გაუღიმოს, მაქრომ საქმე გაუთავოს. დახე, როგორ შეხარის! — წამოიძახა ამ დროს თებრონიამ.

— დიდი არა არის-რა! ნეტავი, შენი სიცოცხლით, ოქროს ბედი გახდეს ჩემი შვილი, მერე თუნდ გავთავდე, აღარ ვინაღვლი.

— არც ეგაა გასაკვირველი.

— ვითომ? ვაი შენს მტერსა! თვითონაც რომ მოინდომოს, და-ძმანი არ იზამენ.

— და-ძმას ვიღა კითხავს? თვითონ მოინდომოს, თორემ ვერავინ ვერას გააწყობს.

ამათ ლაპარაკში კარგა ხანმა განვლო. მოცეკვავენი მოიქანცნენ, ყველა გაემართა ვახშმის მისართმევად ისევ ბალისკენ, სადაც გაეშალათ მაგიდა; მოსამსახურეები მოუსვენრად შერბოდ-გარბოდნენ, ეზიდებოდნენ სხვადასხვა გემრიელ სანუკვარს. თავში, დიასახლისის ადგილს, გამოიჭიმა მშვენიერი მაკინე, გვერდით მოუჯდა გაიანე, დანარჩენი სტუმრებიც დალაგდნენ. თავდახურული მანდილოსნები ერთიმეორეს მხარს უმშვენებდნენ. მარტო ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმულ ქალებს კი დაეთითოებინათ ყმაწვილი კაცები, რომელნიც სთავაზობდნენ საჭმელს. ყველაზე თამამად იყურებოდა მაშო, რადგან მის გვერდით მოხდენოდა ჯდომა სიცოცხლით სავსე ოქროს. არამც თუ მაშო, არამედ ყველა იქ მყოფნი, ამ მოხდენილ ახალგაზრდისაგან გრძნობდნენ სიამოვნებას. ოქრო სახით მიაგავდა მაკინეს, მარტო ამას უფრო მშვიდობიანი, მიმზიდველი სანახაობა ჰქონდა. მისი მადლიანი თვალები არ ითხოვდნენ დაჟინებით თანაგრძნობას, არ იყურებოდნენ მედიდურად, არამედ თვითონვე ერთიორად გზავნიდნენ ალერსს, სამაგიეროს არ ელოდნენ. ლაპარაკის კილო, მიხვრა-მოხვრა განირჩეოდა იქ მყოფთა შორის. არც ზრდილობით, არც ქცევით არ მიემსგავსებოდა თავის ტოლებს. ზოგი შურით უყურებდა, ზოგი უნებურ პატივისცემას გრძნობდა მისდამი. მეტადრე ახლად შეღერებულ ყმაწვილებს, რომელთაც ცხოვრების მეტ ბარგად გაეხადნათ განათლების მიღება, უდროოდ მიეტოვებინათ სასწავლებელი იმ მოსაზრებისა გამო, რომ ვაჟკაცის მარჯვენას თურმე უნდა ეხერხებოდეს მათრახის მოქნევა, მამაპაპურად ხმლის პრიალი, აბჯრის ჩხრიალი

და ქარზე უმაღეს არაბულ ტაიჭით, თავგადაგდეჯით ეძებდეს მიუწვდომელ კლდესა და ღრეში, თუნდ ცის ტატნობში თავის გულვარდ ნესტან-დარეჯანს. გარდა ამისა, ცხოვრებაში ყველა მიკერებულ-მიტმასნილია, რომელიც შეიძლება ადვილად ჩამოიხსნას, მოშორდესო. აი, ამ მოსაზრების პატრონნი, ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებული ჩოხოსან-სერთუკოსნები, როდესაც ხედავდნენ ოქრო ყველაზე უფრო მეტ ყურადღება-პატივისცემას იღებდა საზოგადოებაში, მეტადრე მშვენიერ სქესთა შორის, რასაკვირველია, სასიამოვნოდ არ დარჩებოდათ და ცდილობდნენ სხვადასხვა დამცინავის სიტყვებით დაემცირებინათ, როგორც ერთმანეთში, ისე ქალებთან, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ უდანაშაულო ბრალდებულს, რითაც მეტ ნავთს ასხამდნენ ცეცხლზე.

— ნუ ცხარობთ, კნიაჟნა, დათანხმდით, რომ თქვენ, ქალები, მარტო მხედველობის შთაბეჭდილებითა ცხოვრობთ. ოქრი ჩინებულია, არ აგიხირდებით, მაგაზე, მაგრამ საიმისო გასაშტერებელი ღირსებაც არა აქვს, რომ აგრე ადიდებთ. ეგ არის ჩვეულებრივი კეთილი გულის ყმაწვილი, უყვარს ევროპიულად ცეკვა-თამაში, არ გამოდგება ქართველ ხალხში, სადაც სისხლითა და ხორცით გაჟღენთილან, საცა ერთი შებერვით გადაიქცევა. უყურეთ, როგორ მინაზებულა, მისუსტებულა, ამ ხეობის ღონიერი ჰაერი გააქრობს მაგას. ეგ უნდა ჩასვათ მინის ყუთში და ისე ატაროთ. ჩვენი ქართველი, უცხო მხარეს ნამყოფი, უკან დაბრუნებული, აღარ გამოდგება, — წარმოსთქვა ერთმა კარგა ჩასუქებულმა ახალგაზრდამ ხმადაბლა, რომ მარტო მარიკას გაეგონა და თან ჭიქით ღვინო გადაჰკრა.

— ყველას აზრი ერთგვარი არ არის, კნიაზო. თქვენ აგრე გგონიათ, მაგრამ ჩემის აზრით კი, თავადი ოქრო ყველა ქართველისაგან მეტად პატივსაცემია ზრდილობისა, პატიოსნებისა და განათლების გამო. ეს ჩამოთვლილი ღირსებანი კი დიდი ღვთის წყალობაა კაცობრიობისათვის და მეტადრე ჩვენს ქვეყანაში, სადაც ანთებულ სანთლით უნდა ეძიოთ ამგვარნი, — უპასუხა მარიკამ.

— დიაღ, მაგისი ბადალი აღარ არის...ოღონდაც! უნივერსიტეტი დაუმთავრებია, თუთიყუშსავით თავი მოუდამაზებია, იმეორებს გაგონილ-ამონაკითხს, ისე რომ, ვინც ამ გარემოებას მოკლებულია, ადამიანი აღარ არის?!

— მაშ, განათლება არარაობაა?

— თქვენცა გჯერათ, რომ სწავლული ყოველთვის ბრძენი და უმანკოა?

— რასაკვირველია, ყველა არა, მაგრამ ნასწავლს უფრო მეტი ღონისძიება აქვს ნაკლულევანებანი შეიმციროს, არსება გაისპეტაკოს. ოქრო კი რამდენადაც ნასწავლია, იმდენად ბუნებით მდიდარია, უმანკოა. დიდი ნაბიჯი გადაუდგამს სინათლისაკენ, — დაუმატა მარიკამ და დაუწყო პურის გულს ფხვნა.

ის ცდილობდა მღელვარება შეემაგრებინა, არ აყოლოდა უსიამოვნო კამათს. ბოლოს მიუბრუნდა გვერდზე მჯდომ ძმას, პადიკო დიდებაშვილს, რომელიც ჩაფიქრებული იჯდა მარტო, დიდხანს თავს ძალას ატანდა, მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდათა მხიარულლაპარაკში.

— პადიკო, რად მოგიწყენია? — კითხა მარიკამ.

პადიკო თითქოს ახლა გამოერკვაო, მოხედა ქალს.

— მომიწყენია? განა მეტყობა რამე? — კითხა მან.

— გემჩნევა და აგრე? საჩვენოში აღარ ხარ. ღმერთმა აცოცხლოს ის, რომელიც გამხდარა შენი ფიქრების საგნად. აგისრულდეს ყოველი ნატვრა-სურვილი! — განაგრძო ქალმა და ხელში აიღო ჭიქა. პადიკოს სახე წუთს გაბრწყინდა, თვალები გაუცოცხლდნენ, ლაზათიანს მომეტებული მიმზიდველობა დაეტყო.

— ღმერთმა გისმინოს, აცოცხლოს! — ჩამოართვა მსწრაფლ სადღეგრძელო პადიკომ, მაგრამ წუთს სახე ისევ დაუნაღვლიანდა, დაუმატა: — აცოცხლოს, მარიკა, მიეცეს ყოველივე სიკეთე, გამარჯვება, თუნდაც, რომ... — და აქ სიტყვა გაუწყდა პადიკოს.

— თუნდ, რა?

— თუნდ ჩემი წინააღმდეგი, საზარალოც იყვეს ის გამარჯვება.

— ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინე, პადიკო, შენა ხარ ჩემი ძვირფასი ძმა, ისიც გულითადი მეგობარი... ორივესთვის ბედნიერება მწადიან და კი ვერ მიშველია...

— ნუ სწუხარ, კაცს რაც უწერია, არ ასცდება. აგბათ ღირსი არა ვყოფილვარ მისი სიყვარულისა, წამალადავად კი არა იქნება-რა.

— არა, პადიკო, მაგასაც ნუ იტყვი. ხომ გაგიგონია — ცდა ბედის მონახევრეაო?

— მერე არა ვცდილობ?

— ცდილობ და შენს ცდას ნაყოფი უჩანს.

— როგორი?

— სრულიად შეიცვალე... თავაზიანი გახდი, თავდაჭერილი, მშრომელი.

— ეგ აზრი ვისია? მარტო შენი?

— არა, ყველასი.

— მაინც?

— ქეთინოსიც....

— რას დაპარაკობ?!

— პატიოსნებას გეფიცები. აფასებ?..

— ოხ, ქვეყნის სიმდიდრევ! — შესძახა გულში იმედგაღვიძებულმა პადიკომ. მაგრამ მათი დაპარაკი შეწყდა, რადგან ყველას ყურადღება მიიმართა თავად არჩილის სიტყვისაკენ. ის, როგორც თამადა, წამომდგარიყო ზეზე და სავსე ჭიქით ადღეგრძელებდა მაკინეს, შეამკობდა ათასგვარ საგანგებო დახასიათებით. ამას მოყვნენ სხვადასხვა სადღეგრძელოები, თან მოადევნეს სიმღერა, თარი. ვახშამი კარგა ხანს გაგრძელდა და მამადმაც იყივლა, დაღადული ქალები წამოიშალნენ, კაცები კი მაინც აბრუს არ იტეხდნენ. ყურადღებას არ აქცევდნენ ჟამთა სვლას, ღვინისგან შეხურებულები უხშირებდნენ, ეწაფებოდნენ ტკბილ ნექტარსა. თავადი როსტომი, როგორც მასპინძელი, არ ისვენებდა, მალიმალ შედი-გადიოდა, რათა ყველაფერი უხვად, რიგზე მოსულიყო სტუმრებთან. უნდოდა სულით და გულით მაღლიერნი დარჩენოდნენ ყველანი, ამისთვის არასა ზოგავდა. მზად იყო, მთელი თავისი საცხოვრებელი დღესვე მათ ფერხთა მტვრად გაეხადა. ვინ იყო წინააღმდეგი? გაიანე? ეს ქმარზე გადამეტებული პურადი განა რას დაიშურებდა და-ძმისთვის?.. თუ საჭირო იქნებოდა, თავსაც შესწირავდა, მეტადრე მაკინეს, რომელსაც აღმერთებდა. როსტომიც თანაუგრძნობდა ცოლს, ზრუნავდა მისი ნათესავებისათვის, თუმცა თვითონაც ყოველ წელიწადს ერთიმეორეზე ემატებოდნენ შვილები. თავად იასონს მეტად საპატიო ადგილი ეჭირა ამ საზოგადოებაში ცალკე თავისი გენერლის ჩინისა და ცალკე მშვენიერი მეუღლის წყალობით. თამამად იხედებოდა, ამაყად გადაჭიმული მალიმალ გადისვამდა გრძელ ულვაშებზე ხელს, თვალს მოავლებდა იქ მყოფთ,

შემდეგ თავის მეუღლე მაკინეს, კმაყოფილების ნიშნად ილიმებოდა. მას მხიარულებაში ძალდატანება არ უნდოდა, ჭიქა ჭიქაზე გადაყავდა, სრულ მონაწილეობას იღებდა მოქეიფეთა შორის. ნადიმმა კარგა ხანს გასტანა, მტრედისფრად ინათა, როდესაც თამადამ საღვთისმშობლო დალია. არაქათი აღარა ჰქონდა, ყვირილისა და სმისგან ღონე წართმეოდა, ძლივსღა ბლოყინობდა. რამდენისამე წამის შემდეგ მოქეიფენი აიშალნენ ბარბაცით.

## II

თუმცა დიდი ხანია გათენებულიყო, მაგრამ მაკინეს თავის ოთახში ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. აგერა, სარკმლიდან შესულმა დილის მზის სხივმა შემოუჭვრიტინა პირდაპირ თვალებში, ძილი გაუკრთო. ცეცქმა შუქმა დაიკმაყოფილა თუ არა თავი, გაცურდა, ეამბორა ღამაზ ბუდეშურსავით მოყვანილ ხელებს, რომელნიც დაეწყო საბანს ზემოთ, შარავანდედად დაადგა წაბლისფერ შევერცხლილ თმას, თავისი ელფერი მასში გარია. ოთახის კარი გაიღო, ფეხაკრეფით შემოვიდა გაიანე და, როდესაც დაინახა მაკინეს გაღვიძებოდა, მივიდა ახლო, დაიხარა, აკოცა და დაჯდა მის ლოგინთან.

— როგორ გეძინა?.. — ჰკითხა და დააჩერდა დას, რომელიც ჯერ კიდევ ხეირიანად ვერ გამოფხიზლებულიყო.

— ძალიან კარგა, — უპასუხა მთქნარებით მაკინემ და გაიზმორა.

— ხარიგად მიხარიან, მაკო, რომ გიყურებ. წარმოიდგინე, მარტო ოთხი დღეა, რაც აქა ხარ, მაინც შესამჩნევად მოფერიანდი. ჩინებულად მოქმედობს შენზე ჩვენი სოფლის ჰაერი,

მაკინემ შუბლზე გადისვა ხელი.

— ოღონდაც, განო, ეს ერთადერთი ადგილია, საცა თავისუფლად, უშიშრად ვისვენებ... რაც ოქრო გადმოსულა რუსეთიდან, არ დაიჯერებ, დღე და ღამე მოსვენება არა მაქვს, მუდამ მეშინიან, არსად არ გააბან, ან არავის გადააწყდეს, ტიტიკოსავით არ დაილუპოს. აქ კი რაც უნდა ქნას, მაინც არ მეფიქრება, რადგან ყველა თავისიანია... მეორედ ესა, თავისიანებიც რომ

არ იყვნენ, იმისთანა არავინ არის, რომ ჩვენთვის საშიში აღმოჩნდეს, — სთქვა მან.

— ვითომ მართალია, მაკო, რო ოქროს თამარის შერთვა უნდოდა?..

— წარმოიდგინე, მართალია. მთელ ქალაქს ახალ ამბად ეგენი ჰყავდა: თუმცა კი თვითონ მეფიცებოდა ტყუილად მიგონებენო. ოხ, განო, უნდა ნახო, რა თავაწყვეტილი, თამამი და წინდაუხედავი გომბიოა თამრო! მადლობა ღმერთსა, კიდევ მშვიდობით გადავურჩით. აქაო და მარილიანი სახე მაქვსო, სულ თავზე ახტებოდა. ეგეც კაცია. იმ ეძდაზე არ გავხდი ავადა!... აქ რომ არ წამოვსულიყავ, დამემართებოდა რამე. რარიგად ვუყვარვარ ოქროს! გაიგო თუ არა ჩემი ავადმყოფობა, მაშინვე გამომიტაცა. მაინც მეფიქრება, რადგან ამ ორი კვირის შემდეგ აპირებს წასვლას თავის სოფლისკენ და ვაი თუ კიდევ მოაგონდეს ის წუწკი!

— ნუ გავუშვებთ, განა ჩვენის თხოვნით არ დარჩება?

— საქმეები ჰქონია, განო, დღე თუ ღამ სულ სოფელზე, მის კეთილდღეობაზე ოცნებობს, მაგრამ თუ მიმზიდველი რამ ნახა, აქ, მაშინ იქნება დარჩეს.

— რამდენი ახალგაზრდა ქალები არიან, მაკინე, ყმაწვილი კაცებიც. ნუთუ მათში ვერ შეხვდება ისეთს მიმზიდველს? — კითხა გაიანემ.

— ყმაწვილები კიდევ ჰო, მაგრამ რომელი ქალია მერე იმისთანა? იქნება მარიკა, მაშო, თუნდ თქვენი მზეთუნახავი ქეთინო, რომელიც ყველას უფრთხის და ყველასათვის უცნობია? — წამოიძახა გაოცებით მაკინემ. თვალებში თითქო შიში გამოუკრთა. გაიანემ იგრძნო, აწყენინა დას, საჩქაროდ სიტყვა გაისწორა:

— შენ თუ გგონია სატრფიალოდ?.. არა, მაკო, ისრე, სალაპარაკოდ, დროს გასატარებლად.

— მეც არა ვთქვი და გამიოცდა. გეთაყვა, განო, ერთი ჭიქა ყავა შემომიტანე, — დაუმატა მაკინემ. გაიანე საჩქაროდ გავიდა, მაკინემ თვალები სივრცეს მიაჩერა, სახე დაუნაღვლიანდა.

— განო მართალს ამბობს, დავიჯერო, აქაური რომელიმე ქალი რომ თვალში მოუვიდეს, თავი გაირთოს, წასვლა სადმე აღარ მოინდომოს, საბოლოოდ სანანურად გამიხდეს? — ფიქ-

რობდა მაკინე, — არა, ოქრო ხედავს თავის თავს და საფერფლს ძნელად თუ ნახავს აქ ვისმეს. ოჰ, ღმერთო, ნუთუ ჯერ კიდევ ვერ მომისვენია?.. არ მშორდება შიში?.. უნდა ვიცრუო?.. თუნდ ავადმყოფობა, ექიმის გაზრახება, რათა ოქრო აქეთ წამომეყვანა! თუნდ ტრტიკოსთან უსიამოვნება, ვითომ მისგან მოწერილი წერილი, რომელიც ჩემის ხელით დავწერე?.. ყველა ეს მომდის რის გულისთვის?.. მარტო მისთვის, რომ მოხერხებით დავიჭირო ხელში ოქრო... მე მინდა ის ჩემი იყვეს, ჩემს გარდა მას არავინ არ შეეხოს, არავინ გაებატონოს... მერე ეს საქციელი არ ვნებს?... არას დაუშავებს? — ამ გაფიქრებაზე მაკინეს კვალად ჟრუანტელმა დაუარა სხეულში...

— არა, ღმერთმა იხსნას ყოველ განსაცდელისაგან, მე მისთვის ბედნიერება მინდა, მე თვითონ ამოვურჩევ საცოლოსაც... ღმერთო, თამრო კი რომ შეერთო, გავგიჟდებოდი. არა, ღიზა, უსათუოდ ღიზა. ის იქნება ჩინებული ცოლი, აკი მარტო ცოლი სჭირია ოქროს შვილის შესაძენად, მეგობრად კი ჩემს გარდა არავინ უნდა. ყმაწვილია, გამოუცდელი, ხალხს არ იცნობს, მე მას ბევრს ცუდს ხიფათს ავაცდენ, მფარველ დედობას გავუწევ, — ამ დროს შემოვიდა გაიანე, მას მოქონდა ყავა, მაკინეს ფიქრიც შეწყდა.

— განო, ოქრო სად არის?

— ოქრო ახლა ბაღში იყო და არ ვიცი, სად წასულა.... პადიკო და შაქრო ამოსულიყვნენ. იქნება იმათ წაიყვანეს.

— წავიდეს, ისიამოვნოს, ენაცვალოს მაკინე! — სთქვა ქალმა, თან პაპიროსს მოუკიდა.

— წუხანდელმა კიჟინამ თავი ამატკივა, არჩილმაც საქმე გააჭირა, იმისმა სიტყვებმა, ქებათა-ქებამ... — განაგრძო ღიმილით მაკინემ.

— ზოგიც დღეს მოისმინე. რა ქნას საწყალმა, როცა მოგიჯადოებია!.. — უთხრა სიცილით გაიანემ.

— ნეტავ მე, რაღა მინდა!.. ეგ კი არა, განო, დღეს არ შემიძლიან არავის ნახვა, შუადღემდე ძლივას ავდგები, რადგან ძლიერ დაქანცული ვარ. შენც იკმარე წვეულებების მართვა, დავრჩეთ ჩვენთვის. პატარა სული მოვიბრუნოთ.

— დღეს მაინც არავინ იქნება, გარდა ქაღალდის მოთამაშეთა. არჩილს და დარისპანს უკვე გაუთენებლივ ჩაუსვამთ რომ-

ტომი და იასონ, როსტომი ხომ, უეჭველია, ჯიბე-ცარიელი აღ-ჩება.

— არც იასონია მარჯვე მოთამაშე... — მიუგო დაუდევრად მაკინემ. ამ დროს ვიღაცამ კარი დააკაკუნა.

— მაკო, არა გღვიძავს?.. — მოისმა ოქროს ხმაც. გაიანემ კარი გაუღო, ოქრო შემოვიდა, დას ხელზე აკოცა.

— სად იყავ, გენაცვა? — ჰკითხა აღერსით მაკინემ და ხელი გადაუსვა თავზე.

— მე და ყმაწვილებმა მინდვრისაკენ გავიარეთ. შენ რაღას ბპირებ, მაკო, არ ემზადები მეზობლების სანახავად?

— დღეს არ შემიძლიან.

— მაშ არც საღამოზე წამოხვალ სასეირნოდ?

— რასაკვირველია, არა.

— არა, მაკო, წამო, ნუ ჩაშლი ჩვენს დაწყებულებას. ამბობენ, მშვენიერი ადგილებია თურმე იქით. შენ და განო ეტლით წადით, ჩვენ ცხენებით წამოვალთ.

— ვინ თქვენა?

— ყმაწვილები და ქალები.

როდესაც მაკინემ შეიტყო, რომ ძლიერ უნდოდა ოქროს წასვლა, უარი ველარ მოახერხა, აღუთქვა წაჰყოლოდა, თუ ცოტაც არის დასვენებას იგრძნობდა. გადასწყვიტეს, გადიწვერებოდა თუ არა მზე, წასულიყვნენ. ოქრო შეუდგა სამზადისს, როსტომმა ხელი შეუწყო, საჯინიბოში ამოარჩია საუკეთესო ცხენი და მიართვა ცოლისძმას.

მალე თავი მოიყარეს ყმაწვილებმა, რათა ნამდვილად გაეგოთ — აპირებდნენ წასვლას თუ არა.

— ქალებს არ უნდა შევატყობინოთ? — იკითხა შაქრომ.

— მაშა, კაცო! — მოისმა ყველასაგან პასუხი.

— დამავიწყდა, თორემ მარიკას ვეტყოდი და ის სხვებსაც გააგებინებდა, — დასძინა პალიკომ.

— მოდი, ოქრო, მე და შენ შევიაროთ მაშოსკენ, — წამოიძახა ისევ შაქრომ.

— რას ლაპარაკობ, კაცო! ჯერ ოჯახში სადარბაზოდ არა ვყოფილვარ და საღამოზე უნდა მივეჭრე! აბა რას ემგვანება!

— ნეტავი, შენა, რაღაც ცერემონიებს უნდები! სოფელში ეგენი არ ვარგობს. წავიდეთ ჩვენებურადა, ძველებურადა.

— მაშ ეგებ სხვებთანაც შეხვიდეთ? ხომ იცით ქალების ამბავი? ცოტა ჟინიანები არიან, გაფხუკიანდებიან და იქნება კიდევაც ჩაფუშონ, — ურჩია პაღიკომ.

— რას ჩაფუშავენ!.. ღმერთმანი, ცხენებითაც რომ იწვეს მაშო ლოგინში, მაშინაც წამოდგება და სიხარულით მოევლება ცხენს ზურგზე, მეტად ყოჩაღად დაჰყავს... პა, პა, პა! ის რომ გააქროლებს, ფრინველია, სწორედ ფრინველი!... — შესძახეს ყმაწვილებმა.

— ქალი მაგისთანა უნდა, მაგრამ რა განსხვავებაა ორ დას შუა!..

— ოლონდაც!.. — ჩაიღაპარაკა პაღიკომ და სახე შეუწითდა.

— რომელ დებზე ლაპარაკობთ? — კითხა ოქრომ.

— მაშოსა და ქეთინოზე.

— ქეთინოზე?.. მე ის არ მინახავს! განა კიდევ ყავს მას და?..

— კიდეც ეგ არის, რომ ყავს და კი ვერავინ იცნობს ხეირიანადა. უცნაური არსებაა. სადხს ერიდება.

— იქნება ბუნება ძუნწად მოქცევია, დაუშორებია როგორც თავისებზე, ისე სხვებზედაც?..

— არა, ოქრო, ქეთინო ლამაზია, მოხდენილი, არც უჭკუოა, მაგრამ ფრთხილია, — უპასუხა შაქრომ.

— რატომ განომ არა მითხრა-რა იმ ქალზე?..

— მაგისი რა მოგახსენოთ და ქეთინო რომ სათნო, გონიერი ქალია, ამას ეჭვი არ უნდა, — მიუგო პაღიკომ. — თქვენ ვერ იცნობთ იმას, ის მეტ დროს ბუნების მაყურებელია, საუცხოვოდ ხატავს, — განაგრძო მან აღტაცებით.

— ოჰო, მხატვარია?.. — გაოცებით შესძახა ოქრომ. — კიდევაც იმისთვის ყოფილა მაგისთანა, მაგგვარი ადამიანი უჩვეულოა და რასაკვირველია, მიეტანება ბუნებაჭეშმარიტებას. თქვენ ცნობისმოყვარეობა გამიღვიძეთ იმ ქალისადმი. დიდად დაგიმადლებდით, გეჩვენებინათ.

— მაგაზე ადვილი არა არის-რა... — უთხრა შაქრომ, — სადილს უკან წავიდეთ, მაინც გზა იქითკენ არის და ესენიც ჩამოგვივდიან, ან იქიდანვე ცხენებით წამოვიდეთ.

— ძალიან კარგი, — ახლა კი დაეთანხმა ოქრო. კარგა დალაპარაკის შემდეგ დაიშალნენ.

## III

— წარმოიდგინე, ოქრო, თუ შემთხვევით არ შეხვდი, ისე ადვილად ვერ ნახავ იმას. გინდ ორი საათი იჯდე იმათ ოთახში, მაინც ქეთინო თვალით არ დაგენახვება.

— რატომ?.. ხომ არ შევჭამთ?..

— ზოგ შემთხვევაში თავისებიც არიან დამნაშავენი. ჯერ პირველში ჩაკეტეს, ახლა ეხვეწებიან, მაგრამ თვითონ აღარ გამოდის. მარიკას მეგობრობს, მარტო მასთან დაიარება.

საღამო მოახლოვებულიყო, როცა ოქრო და შაქრო სახლიდან გამოვიდნენ ამ დაპარაკით და გასწიეს იქით, საითაც ეგულებოდათ მაშოს სადგომი. მათ კარგა მანძილი გაიარეს, ადიოდნენ მაღლა-მაღლა. აქეთ-იქით გზის გვერდებზე დაქანებული ხევები ემუქრებოდნენ მგზავრს, რომელსაც სიფრთხილით უნდა გაევლო. ოქროს კი არ ეშინოდა. მდინარის შხუილი, გრილი ჰაერი, საუცხოო სურათები მის ესთეტიურ გრძნობას აკმაყოფილებდნენ... მათ შეუხვიეს იქით, საიდანაც იწყებოდა ტყე.

— აი ამ ტყის თავში დგანან ისინი, — უთხრა შაქრომ...

— რა მშვენიერი ადგილებია!.. რაც უნდა უნიჭო, ცუდი კაცი იყვეს, არ შეიძლება არ მოსწყურდეს ბუნებასთან კავშირი, მასთან ბაასი კალმით, თუ სიტყვით. მაშ ჩვენი გაგარეულებულიც მოტყუებული არ იქნება. განა იცის, რომ ეს მეტისახელი უწოდეს?..

— იცის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. არა, ქეთინო ჩინებული გოგონაა, მაშოს ბევრითა სჯობიან.

— მაშოს სჯობიან?.. აბა მაშ მიხვედრილი ვყოფილვარ, რად გაჩუმებულან მაზე და კრინტს არა სძრავენ. მაშო უფროსია, მაზე მდარეა, უნდათ მისი წინათ გასაღება. ხომ გამოვიცანი?

— გულთმისანი ხარ. — უპასუხა შაქრომ. ამათ გადიეს ტყის პირი. ბილიკმა იწყო გაგანიერება, მარტო აქეთ-იქით ამართული ნაძვი, იფნა და წეგო სასიამოვნო სუნსა ჰფენდნენ გარემოს. გზის გასწვრივ, უფრო მაღლობზე იდგა ერთსართულიანი სახლი, წინ ჰქონდა ბაღჩა, რომლის მეორე გვერდზე შეუხვევდა ბილიკი.

— აიმ შესახვევშია ქეთინოს საყვარელი ადგილი. ის ხშირად ზის ჩეროში გადმომჩუხჩუხე წყაროსთან, ხატავს ნელა.

იქნება ახლაც იქ იყვეს, უეცრად მივიდეთ, ვითომ მოსეირნე-ებმა შემთხვევით გავიარეთ, ის მოსეირნეთ არ უფრთხის ხოლმე. — შაქროს სიტყვები მომეტებულ სურვილს უღვიძებდნენ ოქროს, გული უმგერდა, ეჩქარებოდა მისი დანახვა.

— „ნუთუ მართლა ქეთინო ჩვეულებრივი ქალი არ არის?" ის ქალი, რომელიც ყმაწვილი კაცის ჟინის მოსაკლავად, საკე-კლუცოდ გაჩენილა? ერთისა და იმავე სიტყვებით, ერთის აზ-რით გამსჭვალულა? რომ მაშო, მარიკა თუ თამრო, ყველა ერთი-მეორის მსგავსია, განსხვავდებიან მარტო სახით, სულით და გულით კი ერთის ლითონისაგან ჩამოსხმულან?" — ფიქრობდა ოქრო.

— ჯერო, გაჩერდი პატარა ხანს. პაწია ფეფები კოსტად დააწყე, მშვენიერო! ხომ გაჩერდები, ლამაზო? მეც სამაგიეროდ წაგიყვან აი ეგერა, აიმ ციცაბოზე, საცა მარტო თხები დახ-ტიან სიმკვირცხლით, იქ შეგაჭმევ წამიან გემრიელ ბალახს. ხომ გიყვარს და გინდა, ჯერო, სეირნობა? შენი მეგობარიც უკან არ ჩამოგრჩება ამ სურვილში, — მოისმა ამ დროს ტკბილ ხმაზე სიტყვები. ოქროს ეგონა ტყის დედოფალი შესჩურჩულებდა თვი-თეულ ქვეშევრდომ მცენარეთა, ათრობდა, ხიბლავდა მათ. ამ გაგონებაზე ოქროს მობაასის ნახვის სურვილი წინანდელზე მე-ტად გაუმწვავდა. — ის არის, — დაიჩურჩულა შაქრომ. — აქეთა, ოქრო. ისე განზე მოვუაროთ, თორე ასე პირდაპირ მივადგთ. იქით კი ზურგი ჩვენსკენ ექნება, ველარ მოასწრებს დამალვასა.

— ნუ დაუშლით, შაქრო! თუ გინდა, შენ მიდი. მე შორი-დან გიყურებ. რაკი გიცნობს აღარ მოგერიდება. — ოქრო რაღაც კრძალვასა გრძნობდა გულში, არასოდეს ასე არ გასძნელებია ქა-ლის შეხვედრა. მაინც სურვილმა სძლია, წინ გადაადგმევინა ნა-ბიჯი. ოქროს თვალწინ წარმოუდგა შემდეგი სანახავი: ხის ქვეშ იდგა მაგიდა, მას მიჯდომოდა ყმაწვილი ქალი ცისფერ კაბაში მოსილი. წაბლის ფერი თმა ფეხებამდის ნაწნავად დაშვებოდა, მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილი წინ გაშლილ ქაღალდის ფურ-ცელზე ხატავდა რაღაცას. მას წინ უდგა პატარა შველი, რომე-ლიც მშვიდობიანის თვალებით შესცქეროდა ქალსა, ხან კაბის კალთას ულოკავდა. ქეთინოს თვალები ძირს დაეხარა, მაინც ძა-ლიან ლამაზი მოსჩანდა, სახეს ეტყობოდა მოძრაობა, სიცოცხ-ლე. დაკვირვებულის თვალებით მისჩერებოდა ცის დასავალს, სა-

და ცეცხლები ანთებულიყვნენ, სადაც დაჟვარდ სამყაროს ჰქ დაერღვია წესი, მყუდროება თავის საბრძანებლოსი, განაგრძობდა მიწყნარებით ყოფნას. აი, პირველად ჯერომ მოჰკრა თვალი ახალ მოსულთ, მოჰყვა მოუსვენრად კოწიაწსა.

— შეჩერდი, ჯერო, თორე დაისჯები, ხომ ხედავ, მიშლი!.. — უთხრა ქალმა ბრძანებით, რომელშიაც აღერსი ჩარეულიყო. ჯერომ ვედრებით შეხედა, მერე თავი კალთაში ჩაუდო გაჯავრებულ მეგობარს. ქალი წამოდგა, წარბშეკვრით გასწია ქაღალდი გვერდზე. მობრუნდა, შეკრთა. მან დაინახა ახლო მისული ყმაწვილები.

— საღამო მშვიდობისათ, კნიაჟნა! იმედია, გვაპატიებთ ასე უდროოოდ მოსვლისათვის! — ქუდი მოუხადა შაქრომ. ოქრომაც სალამი მისცა, ქალს თითქო არ იამა მათი მოსვლა, მაინც წინ წამოდგა.

— არაფერია! საპატიებელიც მცირეა! — უპასუხა მოკლედ ქეთინომ, დაკვირვებით შეხედა ორივეს, შემდეგ დაუდევრად იწყო გვერდზე ყურება. ის უსიტყვოდ მოელოდა დაუპატიჟებელ სტუმართა მოსვლის მიზეზს. ჯერომ უფრო კარგად მიიღო ისინი, ახლო მივიდა, დაუწყო ოქროს ჯერ ყურება, შემდეგ ლოკვა, ოქრო უყურებდა ქალს, შველს, სამხატვრო ბუნებას. თავი სიზმარში ეგონა. აქ, ამ კუთხეში ჭეშმარიტი სიტურფე, სილიდე ცხადად მოსჩანდა. ოქრო მზად იყო მუხლი მოედრიკა, ეამბორა მის ფერხთა მტვრისათვის. რა აღტაცება-მოწიწება იყო ის გრძნობა, რომელიც აღეძრა ოქროს გულში! რა შესადარებელია ქეთინო თამროსთან, ან სხვებთან?! მედიდურობა შერეული კდემასთან. მშვენიერება მიმზიდველობასა და ეშხთანა. ბავშვური კრძალვა-მოკრძალება! სწორედ გრძნეული იდგა ოქროს წინაშე, გრძნეული, რომელიც ახლო არ იკარებდა და შორიდან ხიბლავდა.

— არაფერია!

— ჯერო, წამოდი აქეთ, არ შეაწუხო! — დაუძახა ქალმა. მაგრამ ოქრო აღერსით უსვამდა თევზე ხელს მშვიდობიან პირუტყვს.

— რა საუცხოვოა! — დაიდაპარაკა მან, — სახელიც შესაფერი, მოხდენილი ამოგირჩევიათ, — ქალმა გაიღიმა და შეხედა ოქროს.

— თქვენი და სადა ბრძანდებათ? — კითხა ოქრომ.
— შინ გახლავთ, გნებავთ დაუძახო?
— უფრო ემჯობინება ჩვენ თვითონ შევიდეთ, აქ მოსვლით ნუ შევაწუხებთ, — მიატანა შაქრომ.
— მგონი, დღეს აპირებთ სასეირნოდ წაბრძანებას? — ისიც ემზადება. დიდი მოყვარულია ცხენოსნობისა, — დასძინა ქეთინომ და კვალად შეხედა ოქროს.
— ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ. ეს გახლავთ თავადი ალექსანდრე სარდიონიშვილი. — მოუბრუნდა ამ დროს შაქრო ქალსა და გაუწვდინა ხელი ოქროსკენ.
— დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მიკვირს, კნიაჟნა, აქამდის ვერსად შეგხვდით! — ცოტა არა გაბედვით დაიწყო ოქრომ.
— ქეთევან ზურაბიშვილი. — წარმოსთქვა ქალმაც და ხელი ჩამოართვა ახალ ნაცნობს, თან დაუმატა: — გასაკვირველი არ არის, კნიაზო, რადგან არსად დავდივარ, მეორეც ესა, არც ვიყავი აქა. შემოდგომაზე მოვედი.
— განოსთან რატომ არ ბრძანდებოდით გუშინ? მგონი, როსტომი თქვენი მახლობელია?
— დიალ, ბიძაშვილია. გუშინ იმისთვის ვერ მოვედი, რადგან ბევრი საქმე მქონდა. არც მიყვარს ხალხში სიარული. — დაბოლავა ქალმა და ლოყები შეუწითლდა.
— აბა, სახლში მობრძანდით, — სთქვა ბოლოს ქეთინომ, წინ წადგა, აალაგა ქაღალდები. ოქროს გულით უნდოდა გაესინჯა ნახატები, მაგრამ ჯერ აღრედ ჩასთვალა, გადასდო მოხერხებულ დროსთვის.
— მშვენებაა, უმანკოებაა! — განუწყვეტლად ჩასძახოდა უხილავი ხმა ყურში ოქროს, რომელსაც უყურებდა წინ რხევით მიმავალ ქალსა.
— თქვენ არ გიყვართ სეირნობა?.. — დაეკითხა ოქრო.
— რატომ...
— წამობრძანდით.
— არა! — ხელი გაუქნია ქალმა. — მე მიყვარს სეირნობა მარტო, ჩემ ჯეროსთან, — დაურთო მან ღიმილით და ხელი დაუსვა შვედს რქზე. ოქროს გულზე უსიამოვნოდ მოხვდა ქალისგან ცივი პასუხი.

— ისრე მიბრძანდით, ახლავე კარებს გაგიღებენ, — უთხრა ქეთინომ, უჩვენა სახლში შესასვლელი კარი, თვითონ კი სხვა მხარეს წავიდა. მაშო ჩვეულებრივის მხიარულის სახით მოეგება სტუმრებს, შეიპატიჟა მისაღებ ოთახში. ხშირად იყურებოდა ოქრო კარებისკენ, თუმცა მაშო და მისი დედა თეკლე ცდილობდნენ სასიამოვნო სტუმრის გართობას, მაგრამ ოქრო მაინც უგულოდ უგებდა მოკლე-მოკლე პასუხებს. ოქრომ სრულიად სხვა თვალით შეხედა მაშოს, რომელიც აღარ ახდენდა მაზე წინანდელ შთაბეჭდილებას. თვითონ ისიც მიხვდა — სტუმრის ყურადღება მისდამი შესუსტებული იყო, მაგრამ არჩია არ შეემჩნია და განაგრძო ძალდატანებით მხიარული ლაპარაკი. გულში კი უკვირდა, სურდა გაეგო, ვინ, ან რა იყო მიზეზი ამ უეცარი ცვლილებისა?

— წუხანდელს აქეთ როგორა ბრძანდება კნეინა მაკინე? — იკითხა თეკლემ, როდესაც შეატყო ოქროს მოწყენა.

— გმადლობთ, კარგად გახლავთ. ცოტა დაიღალა, ამისათვის დღეს ველარ მოახერხა თქვენი ნახვა. ბოდიშს იხდის.

— გენაცვალეთ, რა საბოდიშოა?.. განა არ ვიცით, რომ არ შეეძლება, უთუოდ დაიღლებოდა ამ მოუსვენარ სტუმრიანობის გამო. — თვალების ჟუტვით სთქვა თეკლემ, თან კრიალოსნის მარცვლები აათამაშა.

— ესეც ვერა ბედავდა მოსვლას, რადგან ჯერ სადარბაზოდ არ ყოფილა თქვენთან, — დაუმატა შაქრომ. მაშომ მიმართა დიდრონი შავი თვალები ოქროს და ღიმილით კითხა:

— მართალია, კნიაზო?

— რასაკვირველია!.. მართალია! საზოგადოების წესი და ზრდილობა მოითხოვს, კნიაჟნა. ახლაც შაქროს ბრალია. ვგრძნობ დღეს უდროო სტუმარი ვარ. თქვენ დასაც დავუშალეთ თავისუფლად ყოფნა. მგონი, ჩვენზე გაჯავრებულია.

— ჩემს დას, ქეთინოს?! — გაოცებით გაიმეორა მაშომ, — მერე სადა ნახეთ?

— იქით გზაზე მოვდიოდით მე და შაქრო, როგორც ეტყობოდა, გატაცებით ხატავდა რაღასაც. დაგვინახა თუ არა, მაშინვე თავი ანება საქმეს, მეტი ღონე არ იყო, უნდა დაეკმაყოფილებინა ჩვენი კითხვები, რომლითაც მივმართეთ თქვენ შესახებ.

— მიკვირს გამოგლაპარაკებიათ!.. ის ძალიან ერიდება ხალხს,

მეტადრე უცნობს, — უთხრა მაშომ. მერე მსწრაფლ შესცვალა დაპარაკის საგანი, თუმცა ოქროს გულით უნდოდა ისევ ქეთინოზე ბაასი, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ოქრო და შაქრო კიდევ რამდენსამე წამს ისხდნენ, შემდეგ გამოემართნენ სახლისაკენ, მაშოს აღუთქვეს, ყველაში გამოუვლიდნენ ცხენებით და მზად ყოფილიყო. ოქრომ ორიოდე სიტყვით შეატყობინა თავისი აზრი შაქროს, რომ ქეთინო მართლა ძალიან ლამაზი, იშვიათი ქალი ყოფილა, მაგრამ დიდად აწუხებდა მისი ასეთი უადამიანობა. ამასთანავე უკვირდა პატრონებისგან, რომელთაც, უეჭველია, მცირე მონაწილეობა არ ექნებოდათ მიღებული ქეთინოს განადირებაში. შაქრო ატყობდა ოქროს, თუ ამისი გონება როგორ გამსჭვალულიყო ქეთინოთი, თუმცა ის არ იმჩნევდა და წინანდებურის თავაზიანობით პასუხს უგებდა ყოველ საკითხზე.

## IV

შაქროს აუსრულდა განზრახვა. ოქროს ქეთინო მოეწონა. მაშ საშიში აღარ იყო, არც საფიქრებელი, რომ ოქროს გულს ოდესმე დაეპატრონებოდა მარიკა. შაქრო წინდაწინვე გრძნობდა, ოქროსა და ქეთინოს შეხვედრას რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მათ ცხოვრებაში, მისი აზრით ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთიმეორეს, ორივეს ამოერჩიათ ერთგვარი გზა, რომელიც, უეჭველად, მარტო დაღუპვისკენ წაიყვანდა, თვითონ შაქროსაც, თუმცა არა ერთხელ წარმოუთქვამს მჭერმეტყველური სიტყვები, დედააზრად აურჩევია მიუწვდომელი წმინდა იდეალი მეტადრე მარიკას წინაშე, რათა უკანასკნელს მოსწონებოდა, მაგრამ ნამდვილად კი უფრო ანგარიშით უყურებდა ცხოვრებას, ყოველ ნაბიჯს ფრთხილად გადასდგამდა. მარიკა მოსწონდა, მაინც თავი არ ავიწყდებოდა, ყურადღებას აქცევდა ცხოვრების სხვა მხარეებსაც, მაგალითად, როგორ გაეუმჯობესებინა ნივთიერად თავისი მდგომარეობა. შაქროს ბედოვლათი მამა ყოლოდა და თავისივე ნაწვავ-ნადაგი თვითონვე გაეფლანგ-შეეჭამა, შვილისთვის დაეტოვებინა გახდართული, დავალიანებული რამდენიმე დღის მიწა, მაგიერად შვილისთვის მიეცა სწავლა-განათლება, მან თუმცა იურიდიულ ნაწილზე დაამთავრა უნივერსიტეტი, მაგ-

რამ რაკი ვექილობა ჯერჯერობით საკმაოდ ფეხს ვერ იკიდებდა, საჭირო იყო ზრუნვა კიდევ სხვა რაიმე ღონისძიებაზე, ეშოვნა ღლიური საზრდო. სწორედ ამ დროს გამოუჩნდა მდიდარი თავადი №, რომელმაც მთელი თავისი საცხოვრებელი მას მიანდო, დაუნიშნა წელიწადში ას ორმოცდაათი თუმანი ჯამაგირი, თვითონ ცოლ-შვილით წავიდა საზღვარგარეთ. შაქროს ხელში ჩაუვარდა მდიდარი ოჯახი, მისი წყალობით ჯიბეში ფული აღარ ელეოდა, ბანკშიაც წვრილ-წვრილად შექონდა და ყმაწვილკაცებში პირველი ადგილი დაიჭირა. ყოველ ზაფხულს მოდიოდა დ—ში, სადაც ეგულებოდა მოხუცებული მამიდა, აგრეთვე სასიამოვნო საზოგადოება, მათ შორის სახარბიელო, მიმზიდველი მარიკა. შაქრო ყველას მოსწონდა, სახით ეშხიანი იყო. შავგვრემანი, გაწყობილი სახე. მეტყველი თვალები უსიამოვნებას არ აგრძნობინებდნენ როგორც მარიკას, ისე სხვებს, მაგრამ თავისებური ხასიათი, ჩვეულება სჭირდათ ამ თვალებს, მუდამ ან ძირს იყურებოდნენ, ან გვერდზე. პირდაპირ ძნელად მოხვდებოდნენ თვალებში მაყურებელს. რა იხატებოდა მათში?.. მოკრძალება?.. სიყმაწვილე? დარცხვენა?... ზოგი ამ აღნიშნულ მიზეზებს აწერდა, ზოგს კი უფრო გონებით შორსმხედველს ელვიძებოდა რაღაც ეჭვი.

— შაქრო მშრომელი ყმაწვილია! — ამბობდა ერთი.

— სხვასავით ოცნებას არ მისდევს, ცხოვრებას პირდაპირ სახეში უყურებს, — იმეორებდა მეორე.

— სხვა მაგის ადგილას არ იკადრებდა, იტყოდა, თავადი ვარ და ჩემს თანასწორს როგორ ვემსახურებიო! — დასძენდა მესამე.

— თქვენ, როგორც გნებავთ, ბრძანეთ და მე კი ამას ვიტყვი, რომ პატიოსნება არ არი, როცა კაცს თავისი საცხოვრებელი მაგისთვის მიუნდვია, ეგ კი სხვაგან ატარებს მთელ წელიწადს. თეიმურაზს არც იმდენი აქვს, ტყუილად აძლიოს ას ორმოცდაათი თუმანი. ეგ ვალდებულება პირნათლად არ სრულდება, იქ სხვა ჩრდილსაც აქვს ადგილი, — იტყოდა ხოლმე როსტომი.

— ვინ მომატყუებს? შაქრო ჩინებულად ცხოვრობს. როგორც ეგ იხარჯება, ას ორმოცდაათი თუმანი არ ეყოფა... ჯერ, სხვას ნურას იტყვით, რასაც ეგ დადის სხვადასხვა ადგილებში, ახლა, როგორც მეყურება, სათავნოებიც გაუჩენია; მერე საიდან?., აი,

ბატონო, მე თვითონ ბარე ათასი თუმანიც შემომდის, მაგრამ ბირის ქარადაც არ მხვდება. შენი მტერი ჩვენი საქმე იქნებოდა, ახლა იმედი რო არა მქონდეს საჟენებში ალებული მოგებისა! — დაუმატებდა მეოთხე.

— უი, გენაცვა, ჩემო მაზლო, რასა ბრძანებ მაგასა ქა, შაქრო ნასწავლია, როგორ იკადრებს მაგისთანეებს! — გაოცებით წამოიძახებდა თეკლე.

— ეე, ძალუა-ჩემო, ნასწავლი!.. სწავლამ რა ქნას, როცა ბუნება თავისას მოითხოვს!.. არ გაგიგია მაგისი მამის ოინები?.. ფხიზელს კაცს ჯიბეს თურმე მოსჭრიდა. კვიცი გვარზედა ხტის, ძალუა-ჩემო, მერწმუნე!

ამგვარი ლაპარაკი ხშირად ჩამოვარდებოდა ხოლმე შაქროზე. რომელი იყო მართალი, ამისი გარკვევა-გაჩხრეკა ჯერჯერობით ძნელი გახლდათ. შაქრო კი მეტად კმაყოფილი, მხიარულად ატარებდა დროს, თვალი ეჭირა მარიკაზე, რომელსაც მზითვად ათასი თუმანი ფული ჰქონდა შენახული.

— იმედია არ მოვტყუვდები, — ფიქრობდა შაქრო, — ქალი ჩინებული, ათასი თუმანიც... დროზე უნდა მოვახერხო, გაუჭირვებელი ცხოვრება მქონდეს, თორემ თეიმურაზის ოჯახში სამუდამოდ ხელს არავინ მათბობინებს. — სამწუხაროდ ეს იყო, მარიკა ჯერ ვერ დაეყოლიებინა. ის ხან ყურადღებით ექცეოდა, საქმე საქმეზე მოდიოდა, ხან უკან გაუდგებოდა, ცხვირს უკრავდა. ამ უკანასკნელ დროს, ცხადია, ოქროს გამოისობით მოსდის ეს ოინები. ვერას მიირთმევს: ოქრო მახეში გააბა შაქრომ, რა პოეტური შედარება მოუვიდა მარიკასთან გუშინდელ მოწყვეტილ ვარსკვლავზე. შაქრომ გულში ჩაიცინა, — დაე ჯერ აგრე იყვეს. ქეთინოს ზეგავლენა მასაც ატყვია, ხანდახან ისიც ვარსკვლავებს ეპოტინება. პირველში მეც ხელს მოვუმართავ, მერე კი როცა ხელში ჩავიგდებ, დავანახვებ, რაშიც არის ცხოვრება..., ხა, ხა, ხა! პოეზია, ხატვა! ისიც ქალებისაგან!... სასაცილოა, ღმერთმანი! დედაკაცი მარტო ძიძაა შვილისა, სხვა არაფერი!.. დავიჯერო ჰლემდის ვერ გაუგიათ თავიანთი დანიშნულება?.. — ამ ფიქრებში შესული შაქრო მოსდევდა აგრეთვე ოცნებით გატაცებულ ოქროს და რა მიუახლოვდნენ როსტომის სახლს, შეჩერდნენ.

— მაშ ჩამოივლით, რაღა?.. — ჰკითხა ოქრომ.

— რა დამიშლის?! — შაქრომ გასწია პაღიკოსკენ, ჩქარა შე-ეტყობინებინმა ოქროს აღტაცება ქეთინოს ნახვის გამო. პა-ღიკო არ დაუმალავს მარიკას, იმასაც სრული იმედი დაეკარგება ოქროსი და კვალად წყალობის თვალით მოხედავს მას.

როდესაც შაქრო მივიდა პაღიკოსთან, უკანასკნელი თავს ადგა ბიჭს, ცხენებს აკაზმვინებდა, თვითონაც შველოდა, შუბ-ლზე ოფლის ჭენჭი გადასდიოდა.

— შენ აღარა ხუმრობ? — დაუძახა შაქრომ.

— რა სახუმარია, კაცო, მეშვიდე საათია. როდის-ღა უნდა დავბრუნდეთ!.. დაგვიანდება, შენა?.. მაშოს შეატყობინეთ?..

— შევატყობინეთ, მაგრამ ოქრო გადამერია.

— რაზე?

— ქეთინო ნახა და მეტად მოეწონა. მას აქეთ სულ იმის გონებაშია.

— თვითონ ქეთინო?..

— ისიც ძალიან აშტერდებოდა. ვნახოთ, რა იქნება შემ-დეგში! — პაღიკოს სახე შეეცვალა, გაფითრდა, შუბლი შეიკრა.

— რა იყო, რა დაგემართა? — მიატანა გაოცებით შაქრომ, რომელმაც არ იცოდა, თუ ამის გულში რა წამება ხდებოდა.

— მკლავის ძარღვი გამენასკვა, ძალიან მაწუხებს, — უპასუ-ხა პაღიკომ.

რამდენიმე წუთის შემდეგ პაღიკომ გული გაიმაგრა, დაწ-ვრილებით აამბობინა შაქროს ყოველივე, რაც მომხდარიყო მა-შოსას. ამათ ლაპარაკში მარიკაც გაჩნდა. ის აჩქარებული მიდი-ოდა საჯინიბოსკენ და, როდესაც დაინახა გაფითრებული ძმა, იქვე შაქროც, მიხვდა, მათ შორის რაღაც საყურადღებო ლაპა-რაკი ყოფილიყო. ცნობისმოყვარეობა გაუმწვავდა, მაინც არჩია მოეთმინა, არ შეემჩნია. მან ველარ გაუძლო შაქროს თვალებს, რომელნიც აღერსით მისჩერებოდნენ, ლოყები შეუწითლდა. დარ-ცხვენით დახარა ძირს თავი, ხელი ჩამოართვა და მოუბრუნდა ძმას:

— ჩქარა, პაღიკო, დაგვიგვიანდა.

— სადა ბრძანდებოდით? — ჰკითხა შაქრომ, რომ თავისკენ მიექცია ქალის ყურადღება, მაგრამ მან ისევ დარცხვენით, მოკ-ლედ უპასუხა:

— სახლში. თქვენ რაღას უყურებთ, კნიაზო, წადით, ცხენე-

ბი შეკაზმეთ! — დაუმატა და პირდაპირ შეხედა შაქროს. ისიც ნებაუნებლიედ უნდა დამორჩილებოდა ქალის მტკიცე სიტყვას. წავიდა თუ არა შაქრო, და-ძმანი სახლის აივანზე ავიდნენ.

— მართლა ხელი იდრძე, პადიკო? აბა მაჩვენე, — უთხრა მზრუნველობით დამ.

— არა, ტყუილად მოვიგონე. ხომ იცი, ჩემი საიდუმლო შენს გარდა არავინ უნდა იცოდეს?..

— ვიცი, გენაცვა, მერე რა იყო?

— ეჰ, მარიკა, ჩემი უბედურება. ოქრო გადარეულა ქეთინოსთვის.

ქალს გული ჩასწყდა, მაინც ძალდატანებულის უზრუნველობით უთხრა:

— რა უყოთ მერე! ახლა ქეთინოს აღარ ვკითხავთ?

— არც ქეთინო დაღგება უკან. მშვენიერი, ნასწავლი, პატიოსანი, ჭკვიანი, მდიდარი ოქრო ქეთინოს იდეალს განა არ მისწვდება?

— ვინ იცის! — ფიქრიანად ჩაილაპარაკა მარიკამ და მიაშტერდა ძმის განწირულ სახეს. — ნუ გეშინიან, პადიკო, ღვთით, იქნება შენმა ბედმა გასჭრას.

— ვაი შენს მტერსა! ოხ, მარიკა, რა არის ჩემთვის ქეთინო! გაიხსენე წინანდელი პადიკო, ვიდრე მის გულს დაეპატრონებოდა ის მფარველი ანგელოზი: დედ-მამის ურჩი, ზარმაცი, უვარგისი, ხანდისხან ლოთი, უანგარიშოდ ფულის მფლანგავი, გზაღაბნეული! რა იყო ჩემთვის ქალი? უბედური, დაცემული, ჭკუასუსტი დიაცი, რამდენჯერ დაუდევარი სიტყვა-პასუხით თუ ქცევით შეურაცხყოფა მიმიყენებია მისთვის. სწავლა, წიგნების კითხვა ხომ ჭირივით მეჯავრებოდა. იმისთვის არ მივანებე თავი და გამოვვარდი მეხუთე კლასიდან!.. რითი უნდა დაბოლოვებულიყო ჩემი ცხოვრება? რასაკვირველია, ან თავის მოკვლით, ან ციმბირით... მაგრამ ქეთინოს დანახვაზე დამქროლა უცნობმა ნიავმა, დამაყენა ახალ გზაზე, მიბრძანა მასზე სიარული. გულში იმედმა შემომჩურჩულა: უსმინე მას და შენი გახდებათ. რამდენს ჩამჩიჩინებდით როგორც შენ, ისე დედაჩემი, მეკმარა თავაშვებული ცხოვრება, მაგრამ თქვენი სიტყვები სასაცილოდ არა მყოფნიდა. თქვენი აზრი მნიშვნელობას მოკლებული იყო. მას აქეთ კი რაც ქეთინო მოევლინა ჩემს ჭრწყვლიადებულ სულს,

თაყვანი ვეცი დედაკაცს... შენც და დედაჩემიც ამ გულში ამალ-დით. როგორ დამავიწყდება ის წამი, როცა ქეთინომ მომხიბ-ვლელის ღიმილით გამომიწოდა ხელი და მითხრა:

„დიდი და უდიდესი მადლობელი ვიქნები თქვენი, მიწოდეთ მეგობრადაც, თუ ხელს აიღებთ მაგ მაზარაღეზელ ქეიფზეო".. ეც აღვუთქვი ამესრულებინა სიხარულით, ოღონდ დამემსახუ-რებინა, მისი მეგობრობა. ოხ, რამდენი ვიტანჯე, მაგრამ მაინც შევასრულე და დღესაც ვასრულებ... მერე რისთვის, მარიკა? ნუ-თუ მოტყუებული ვარ, რომ ქეთინო არასდროს ჩემი არ იქნე-ბა? მას სხვა ეყვარება? სხვას თავს შემოევლება, მე კი დავ-რჩები ისევ წყვდიადში! როგორ ავიტანო?!

პაღიკო დაეყრდნო მოაჯირს ორივე ხელით, კარგახანს დარ-ჩა ისე უძრავად. აღარც მარიკა იყო მხიარულად, დაღონებული ჯდიოდა აივანზე, აწუხებდა, როგორც ძმის უიმედო ტანჯვა, ისე თავისი გარემოებაც. რა იმედი ჰქონდა, ოქროს ყურადღებას დაიმსახურებდა! ოქრო და შაქრო!.. რა განსხვავება იყო ამათ შორის!.. თუმცა, ღვთის წინაშე, არც შაქროაურიგო, განა უყ-ვარს, მარიკა?.. მისი ტრფიალი თითქო ხანდისხან ნაძალადევია, ათხოვარი სიტყვებით დატვირთული! არა, მარიკას იმისთვის ეჩვენება ასე, რადგანაც ძალიან გულით არ უნდა მისი შერთვა. მარიკა კი უსათუოდ უნდა გათხოვდეს, ცოტა თუ დაუგვიანდა, იქნება კიდევაც დარჩეს. მარიკა შეკრთა. — როგორ?.. დარჩეს გაუთხოვარი, ბენძლი?.. ყველამ თითი გამოიწვდინოს და მასხა-რად აიგდოს?.. არა, არა, მარიკას დანიშნულება გათხოვებაა. მაშ რა უნდა გააკეთოს? მოსწყინდა მარტოდ ყოფნა, აქეთ-იქით სი-არული. შაქროს მომავალი კი კარგი უჩანს. მარიკა წავა რუსეთ-ში, იქ შაქროსთან ერთად იცხოვრებს. განა სულ ერთი არ არის? თუნდ აქ ყოფილა, თუნდ იქა. რა არის საქართველო, რუსეთი, თუ საფრანგეთი მარიკასათვის? სულ ერთია, ოღონდ კარგი ცხოვ-რება ჰქონდეს. შაქროს პეტერბურგში დაჰპირებიან კარგ ადგილს. ტყუილად ეუბნება, არწმუნებს ქეთინო, რომ თუ არავითარ გრძნობას არ გიღვიძებს შაქრო, ზურგი უჩვენეო, გათხოვებაც აუცილებელ ხვედრად ნუ მიგიჩნევიაო. არა, ის შემცდარია. მაშ მართლა არ მოსწონს შაქრო მარიკას?.. აბა მარიკას ადაგას ქე-თინო იყვეს. რას იტყოდა ნეტაი?.. — ქალს გული დაუმძიმდა, ოხ, რა სიამოვნებით შეეცილება ოქროშიაც. მაშ მეგობარი

ალარა ყოფილა ქეთინოსი?.. — როგორ არა... მაინც ძმა უფრო ურჩევნია... — თავი იმართლა სინდისთან მარიკამ, მაგრამ გული ეურჩებოდა რომ ჩქარა გაეყრუებინა, ხმა ჩაიკმინდა და მერე დაუმატა: — რა სულელი ვარ!.. რა დროს ჩემს თავზე ფიქრია, როცა ძმა ასეთს საშინელ მდგომარეობაშია!.. როგორ ვუშველო, რა ვქნა?.. ქეთინო პატივსა სცემს პაპიკოს, აფასებს ამის თაყვანებასა და, როდესაც სიყვარულზე სიტყვას ჩამოუგდებს ხოლმე მარიკა, ის იღიმება და ამბობს:

— აი, ჩემი სიყვარულის საგნები ესენი არიანო, — და უჩვენებს წიგნებზე, ხატვასა და ჯეროზე. მაინც ეცდება როგორმე აღძრას მის გულში თანაგრძნობა. ოხ. ქეთინო, ნეტაი შენ, რომ ეგ ნიჭი და წიგნები გაკმაყოფილებენ!.. რაღას ეპოტინები ცასა!.. რაღა გწადიან, უმადურო?.. შენ თვითონ ვერ გიცვნია, რა გინდა!.. მარტო როგორ უნდა იტრიალო მაგ აზრებით ამ ჩაწყვდიადებულ, უფერულ სიბნელეში, რომელიც გარს გახვევია? ვინ მისცა ქალს მაგდენი ნება, ან თავისუფლება? ვერვის უცვნიხარ... მიყვარხარ, ღმერთმანი, მაგრამ არც მე თანაგიგრძნობ მაგ ჯიუტობაში, ეწინაალმდეგები ყველას, უარჰყოფ მათ ცხოვრების მიზანს. იყავი ის, რაც ათასი სხვა, იცხოვრე, იკმარე, ის, რაც გამხდარა დღეს თვალსაჩენად, დასჯერდი ბედსა, როგორიც ხელში გეძლევა! — როდესაც ქეთინოს დაუჩივლია მასთან თავის ნაღველზე, მარიკასაც ბევრჯერ პირში უთქვამს, ურჩევია ასე, მაგრამ ის დანაღვლიანებული, უკმაყოფილო წასულა. ოხ, ნეტა შეირთოს ქეთინომ პაპიკო, ეს უკანასკნელი მას თავს შემოევლებოდა!.. იქნება მაშინ ოქროც მის ხელში ჩავარდნილიყო!., მარიკა დაღონდა. ის უფრო სანდომიანი იყო, ვიდრე ლამაზი, მაინც ბევრს ჩაერიცხა ლამაზთა გუნდში. მარიკამ კიდევ კარგახანს იარა, მაგრამ ვერა, ვერ მოიშორა თავიდან ის აზრი, რომ შაქრო უსათუოდ შეერთო. რა იმედი ჰქონდა მის დედას, ნატოს, ოქროსი!,, თვითონ პაპიკოსაც... მარიკას გულში აღიძრა ბრძოლა, ცალკე ძმის სიყვარულისა, ცალკე ეჭვის, იქნება შურის გამოც. ამ დროს კარებზე მოიყვანა ბიჭმა შეკაზმული ცხენები. და-ძმანი გამოერკვივნენ ფიქრებიდან, მარიკა შევიდა ოთახში გრძელი კაბის ჩასაცმელად.

— ეჰ, რაც იქნება, იქნეს!.. მას შემოევლოს ჩემი თავიც!.. — სთქვა პაპიკომ, აიღო ხელში მათრახი, დაეშვა ძირს, რამდენიმე წამი და ორივ და-ძმათ გასწიეს ცხენებით ოქროსკენ.

## V

„აფრასიონთა მანიჟა მზე იყო ამომავალი,
მზე იყო, მზე დააბნელა, შუქურა ამომავალი!"

დაიწკრიალა ხმამ. მალე გამოჩნდა მომღერალი პატარა ბიჭი, რომელიც მოაჭენებდა უბელო ცხენს; როდესაც მოახლოვდა იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად იჯდა ხოლმე ქეთინო, დაინახა ამჟამად იქ მყოფი, თითქო შერცხვაო, ხმა ჩაიკმინდა, უნდოდა მის შეუმჩნევლად გაევლო, მაგრამ ქალმა მოჰკრა თუ არა თვალი, ზეზე წამოდგა.

— ილიკო, შეჩერდი პატარა ხანს!.., შენთან საქმე მაქვს! — დაუძახა. ილიკოც დაემორჩილა.

— შეგიძლიან ეს ბარათი მარიკას მიუტანო?

— რატომ, რა დიდი საქმეა მერე? — ილიკო ცხენიდან ჩამომხტარი წინ უდგა ქალს მორჩილებით, სახეზე ეხატებოდა თავშემაგრებული უზრუნველი ღიმილი.

— შეგიძლიან და პასუხი წამომიღე, ჩემო ილიკო, — დაუმატა ქალმა და ბარათიც მიაწოდა.

— ბატონი ხარ, — ილიკომ ჩამოართვა ბარათი, ისევ მოევლო ცხენს და გაქუსლა.

ქალი სკამზე ჩამოჯდა დაღონებული. ტყუილად შესციცინებდა ჯერო მეგობარს თვალებში, ტყუილად უსათუთდებოდა, უდალდებოდა; ბოლოს დარწმუნდა, ქეთინოს მისთვის არა სცალოდა, თავი ანება, მოშორდა, დაუწყო უგემურად, უხეიროდ წიწკნა ბალახს. ქეთინო ამჟამად გრძნობდა უჩვეულო ნაღველს. ყოველივე არსი, რომელსაც კი ხედავდნენ მისი მშვენიერი თვალები, თითქო გახუნებულიყო, მოსწყენოდა. ის დღეს კვლავინდებურზე მეტად ცხოვლად ითვალისწინებდა თავის უფერულ, შევიწროებულ, სულშეხუთულ ცხოვრებას, არა ერთხელ დაუკვნესია მწარედ ნორჩ გულსა, არა ერთხელ უთხოვია, შეხვეწნია, გასულიყო საპყრობილედან. ეს სოფელი მონასტრის მსგავსად სჩანდა, პატარა, ვიწრო, სულის შემხუთველი, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე სურვილი, აზრი, თუ ოცნება ისე უნდა ჩაეკეტ-ჩაემარხა, გულში, ან ანგარიში მიეცა თავმოყვარე უფროსებისთვის, რომელთაც დიდი ხანია გაევლოთ ;ნამდვილი სიცოცხლე. დღეს კი, თითქმის ნახევარ არსებობას მოკლებულნი, შეუგნებლად ეწე-

ოდნენ ცხოვრების ყოველივე დაკნინებულ წეს-კანონსა. მაღალი გრძნობა, აღფრთოვანებული სხივშემოსილი აზრები მათთვის მუდამ ფარდაჩამოფარებით იდგნენ. ცხოვრებაში ახლად შემავალ ნორჩ არსებასა და მათ შუა აყუდებულიყო უზარმაზარი კედელი, რომლის დანგრევას ცდილობდნენ დაჟინებით უფროსნი, რათა თავიანთკენ მოექციათ. ქეთინოც გარეგნობით ემორჩილებოდა, მისი გული და სული კი მუდამ კვნესოდა, მაღლა-მაღლა იწევდა.

ქეთინო იზრდებოდა მონასტერში დეიდასთან, რომელსაც სასწავლებელი გაეღო. იქ ზრდიდნენ ღარიბ დედ-მამის შვილებს, ქეთინოც მათში გარიეს, სწორედ მაშინ, როცა სულ უფროსს დას მათიკოს დაემთავრებინა სასწავლებელი, გაყავდათ ხალხში, მაშოც უფროს კლასებში გადადიოდა. ამათი მამა, დარისპან ზურაბიშვილი, თუმცა უგნური კაცი არ იყო, მაგრამ ოჯახის მუყაითობა მოკლებოდა, რაკი ვაჟიშვილი არ ყავდა, სახლობას უგულოდ ეკიდებოდა, არ დასდევდა, როგორც უნდა ყოფილიყვნენ. ამის გამო, რაც შეძლება ჰქონდა, დაუზოგავად ხარჯავდა. დღითი დღე გრძნობდნენ დანაკლისს. ქეთინოს აღზრდის დროს დარისპანი ცოცხალი აღარ იყო. შეძლება ნებას არ აძლევდათ, ქეთინო მიებარებინათ იქ, სადაც სწავლობდნენ უფროსი დები. ქეთინომ შეისწავლა წერა-კითხვა, ხარბად დაეწაფა წიგნებს, თანდათან იძენდა ცოდნას. მეტი უნარი, სურვილი გამოიჩინა ხატვაში. რანაირი გულისძგერით ჩაუჯდებოდა ხოლმე ამ საქმეს, მზად იყო, არამც თუ საათები, მთელი დღეები დაელამებინა ამაზე. მასწავლებელ ქალებს უკვირდათ, ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ქეთინოს დიდი ნიჭი ეტყობოდა. ხელოვნებისა, თუ რასაკვირველია, შესაფერი საზრდო მიეცემოდა. გაირბინა მეოთხე წელიწადმა, რაც ის მონასტერში იყო და კიდევაც შეასრულა სწავლა. მონაზნების ერთფერი ჩაშავებული ტანისამოსი, ერთგვარი სევდით გამომყურე სახეები გადასული ამ ქვეყნიდან, მონასტრის სქელი კედლები, გამუდმებული ზარების რეკვა, მონაზნების ლოცვა, ყველა ამან ბუნებით მხიარულ ხასიათს ჩრდილი მიაყენა წლოვანების შეუსაბამოდ, დაადარბაისლა და, როდესაც დაბრუნდა სახლში ჩვიდმეტის წლისა, ის სჩანდა თითქმის ოცის წლის ქალად. ქეთინოს ძალიან უყვარდა თავისი სოფელი, მაგრამ რაკი საერთოს ვერ ხედავდა, როგორც თავისებს შორის,

ისე მეზობლებთან, ამის გამო არ უხაროდა მონასტრიდან შინ დაბრუნება.

ოხ, სიცოცხლეს შუაზე გაუყოფს მას, ვინც აღმოუჩენდა ღონისძიებას, წაიყვანდა, მოაშორებდა თავმოყვარე ხალხს, სამაგიეროდ დაუპირდაპირებდა ცტოლვა-მისწრაფებას, მხატვრობას... მას, რასაკვირველია, უყვარდა დედა, დები, მათთან მეგობრული განწყობილება კი მცირედი ჰქონდა. მათიკო გაეთხოვებინათ ორის წლის წინათ, მაშო გრძნობდა დისადმი უპირატესობას, რომელსაც ხელს უწყობდა აგრეთვე მშობელიც. ქეთინოს არ შეეძლო მოეთხოვა ის, რაც ხელში ჩაეგდო მაშოს. ქეთიწო ითმენდა, ემორჩილებოდა თავის ხვედრს, სულგრძელობა ჩააგონებდა რაღაც იმედს, მოლოდინს. ის არ ეშვებოდა საქმეს, ხატავდა, კითხულობდა წიგნებს, გლეხკაცებს შველოდა გაჭირვება-დაღხინებაში, რამდენადაც შეიძლებოდა შევიწროებულ გარემოებაში მყოფისთვის, ბუნებასთან ახლო იყო. მეზობელ მებატონეებთანაც იშვიათად დაიარებოდა, რადგან არც იქით მისწევდა გული, თვითონ თეკლესა და მაშოსთვისაც დიდად სანატრელი არ იყო მისი ხალხში სიარული. მეზობლები პირველში არ აძლევდნენ მოსვენებას, თეკლეც ზოგჯერ ჩასჩიჩინებდა, კიდევაც სტუქსავდა, რომ თავი დაენებებინა ჟლაბნისათვის, მაგრამ რაკი ვერას გახდნენ, თავი მიანებეს, ჩათვალეს გადარეულად, უწოდეს წადირი, მიაწერეს მონასტრის ზეგავლენას, რომელსაც გადაეჯიდაგებინა, ცხოვრებაში გამოუსადეგარი გაეხადნა. ყმაწვილი კაცები მარტო შორიდან ადევნებდნენ თვალყურს, მახლობლად კი ის არავის არ იკარებდა, არავისთვის სცალოდა. მის მაგივრად უზრუნველად დაფრიალებდა მაშო; ყოველთვის ჩინებულად მორთულ-მოკაზმული და ყოველივე მომხდარ-გაგონილს, თუ ნაგრძნობს უზიარებდა ქეთინოს, იმისთვის კი არა, რომ მეგობარი იყო, არა, მარტო მისთვის, რადგან ჯერ ერთი არ შეეძლო დაეფარა-რა, რომ არ წარმოეთქვა, მეორეც ესა, აგრძნობინებდა დას, თუ აი რა მნიშვნელობა მქონია ხალხში, კარგა დაიხსომე და შენც ღირსეულად პატივი მეცი, დამმორჩილდი, ჩემს აზრებს გუნდრუკი უკმიე, რადგან უფროსი, თითქმის მბრძანებელი ვარო. ქეთინო ხან გულდამშვიდებით უსმენდა, ხან სევდამორეული თავს არიდებდა, ქეთინოს სხვაფრივ მიუწევდა გული, მაშასადამე, მაშოს დაპარაკი ვერ დააკმაყოფილებდა, არ ახალისებდა.

— ჩვენ გვინდა თავისუფლება, თავისუფლება, რომელიც დაგვიდგამს ოქროს ტახტსა და მასზედ მეფედ დაგვსვამს; ჩვენ გვინდა კამარა შევკრათ ცაში, გავსრიალდეთ. შევეხოთ რასაც კი სული უდგია, ცოცხლობს, ფეთქავს, არსებობს. ჩვენ გვინდა ყველას ჩავწვდეთ გულში, ღონე შევიძინოთ, გავიზარდოთ და გავძლიერდეთ. შენთვის, ისევ შენთვის, ქეთინო, უკვდავების წყაროს ცვარი მოგიტანოთ. — განიადაგებით, სიზმარში თუ ცხადად ყურში ჩასჩურჩულებდნენ გრძნობა-გონება. საშინელი ბრძოლა იყო აღძრული ქეთინოს არსებაში, საოცარის მოთმინებით კი ურიგდებოდა, მშვიდდებოდა.

— დაიცა, იქნება ხვალ, ზეგ ღმერთმა ოდესმე აღდგომა გამითენოს!.. — იტყოდა ის და შრომას უმატებდა. ქეთინო ყველაზე მეტად დაახლოვებოდა მარიკას, თუმცა ეს უკანასკნელიც ძალიან მსუბუქად უყურებდა ცხოვრებას, მაგრამ რაკი უყვარდა ქეთინო, მეტად კეთილის გულისა, საიდუმლოების მტკიცედ დამცველი მოსჩანდა, ამის გამო მათი მეგობრობა უფრო შესაძლებელი იყო. ის სხვებზე უფრო მეტად გულდასმით ითვალისწინებდა მეგობრის აზრებს, თუ სურვილთ, შესაფერ ნუგეშს აძლევდა, ამხნევებდა, ურჩევდა მოთმინებას, ესვეწებოდა თავი დაენებებინა ამ შეკეტილ ცხოვრებისთვის, გამოსულიყო ხალხში, და ესეც იქნება შეხვედროდა ღვთისნიერ განათლებულ ვისმეს, მისი ნატვრა-სურვილი განეხორციელებინა, მაგრამ ქეთინოს თავმოყვარეობა არ ეთანხმებოდა.

— რას მეუბნები, მარიკა? როგორ გამოვიდე ამ მცირე ცოდნით?.. რა გავაკეთო? — წარმოსთქვამდა აღელვებით, როდესაც ერთად ისხდნენ მარიკას ოთახში და გულგახსნით დაპარაკობდნენ.

— ჩაიცვი, დაიხურე, იმხიარულე, მაშო ყველასგან ხელით სატარებელია. შენ იმაზე ნაკლები რაში ხარ?

— ჩაცმა-დახურვა, მხიარულება, ცეკვა-თამაში? ოხ, რა მცირე, უმნიშვნელო მიზანია, მარიკა! არა, თუ ბიქნები, ვიყო რიგიანად, თვალსაჩენად, თუ არა და — შორს, დაე, ისევ ნადირი მიწოდონ, მაინც შელავათია, რადგან კარგად არ მიცნობენ.

— ღმერთმა ინებოს, აგისრულდეს ყოველი ნატვრა, მაგრამ მაგ სურვილების მქონე ძნელად თუ იგრძნობ თავს ბედნიერად, ქეთინო.

— ბედნიერად?! ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩემი მხატვრობა გამოიღებს ნაყოფს, შევიძენ მის საკადრის სამსახურს. ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩემს ქვეყანაში შევხვდები ნამდვილ ჭეშმარიტ ადამიანებს, განათლებულთ, პატიოსნებს, თავშეწირულთ. რა უნდა ვყოფილიყავ, მარიკა, ღმერთს რომ არ მოენიჭებინა ჩემთვის სურვილი ხატვისა, წყურვილი წიგნების კითხვისა! მერწმუნე, დღევანდელზე მეტად უუბედურესი, — დაუმატებდა ქეთინო, თვალები კი მუდამ ყურადღებით აკვირდებოდნენ მეგობრის სახის მეტყველებას, რათა გაეგო როგორ იმოქმედებდნენ მასზე ეს სიტყვები. ხშირად შემოვიდოდა პადიკოც კრძალვით, მოწიწებით ბოდიშს მოიხდიდა, ითხოვდა ნებას, ისიც მათთან მისცემოდა სასიამოვნო ბაასს, ქეთინო ღიმილით ნებას დართავდა. მას უკვირდა, როდესაც ხედავდა დღემდის დაუდევარი პადიკო მუდამ მოხდენით როგორ გამოწყობილიყო ჩოხაში. დაზათიანად, თავდაჭერით იყურებოდა, სიტყვა-პასუხშიაც ემჩნეოდა სიფხიზლე. მისი გონიერი თვალები ხშირად უზომო გრძნობით შემოაჩერდებოდნენ. ეს კი ვითომ არ ამჩნევდა ამ ფარულ აღტაცებას. ისინი ხშირად ეხებოდნენ ცხოვრების ყოველდღიურ საჭირბოროტო საგნებს; ქეთინოზე მეტად მწვავედ მოქმედებდა და სულით და გულით გაიტაცებდა ხოლმე დაპარაკი.

— მეტად სასტიკად გვეპყრობით, კნიაჟნა, ჩვენგან ითხოვთ შეუძლებელს... თუმცა ნაკლებად, მაინც თითო-ოროლა აქაც მოიპოვება კეთილგონიერი, სინდისიერი ადამიანი... წიგნებში აღნიშნული გმირნი უფრო მეტად ოცნებისაგან შექმნილან და ნუთუ განსხვავება არ უნდა იყვეს ამათსა და ნამდვილ ცხოვრების შვილთა შორის? — უთხრა ერთხელ პადიკომ, როდესაც ქეთინო აუწერდა მათ ერთ-ერთ რომანის გმირის ღირსებათა.

— მართალსა ბრძანებთ, კნიაზო, მაგრამ ნუთუ ყოველმა გონიერმა, შეგნებულმა კაცმა არ უნდა დაავალოს თავის მოძმეს სულისა და გონების განვითარება და შრომა?.. რას შესდგომია ჩვენი ხალხი!.. რას აძლევენ თავიანთ ღონეს, ჭკუას, ენერგიას? მეტად მავნებელ ცუდაობას, რომელიც დასაბამია ყოველ ბოროტება-სისაძაგლისა! — ამ სიტყვებზე პადიკო აიწურა, შერცხვა, მარტო ახლა იგრძნო თავისი თავის სიმცირე, არა-

რაობა. ქალი კი ყურადღებას არ აქცევდა მისი სახის ცვლილებას, ვერც კი ამჩნევდა, შეწითლებულის ღოყებით, გატაცებული მეტად მომხიბვლელი მოსჩანდა.

— მაპატიეთ, კნიაზო, რომ ამ საკითხით მოგმართეთ. მაინც, როგორც პატიოსანი კაცი, მეტყვით გულახდით, თუ რა შეადგენს თქვენი ცხოვრების მიზანს?..

— პაღიკო ჩაფიქრდა. კარგა სიჩუმის შემდეგ დარცხვენით უპასუხა:

— მართალი ბრძანდებით... დღემდის ჩემი მისწრაფება-მიზანი იყო მარტო სიწყვდიადე, მაგრამ დღეიდან კი...

— დღეიდან რაღაა?

— დღეიდან ჩემი სურვილი იქნება დავიმსახურო თქვენი წმიდა აზრი, მეგობრობა!..

— ქალმა კვალად გაიღიმა.

— ჩემი მეგობარი იქნება ის, რომელიც სიტყვებს თან საქმესაც მოადევნებს. დიდი თავმოყვარეობა ხომ არა სჩანს, კნიაზო? შეშინდით? მაშ უკანვე დაიბრუნეთ ეს სურვილი.

— არა, დღეის იქით ყოველ ღონეს ვიხმარ, ვიყვე ის, რაც თქვენ სულსა და გულს სწყურიან... თუ ვერ შესძლებს ჩემი არსება, ეს სულ სხვაა, ჩემი ბრალი აღარ იქნება, მაშინ კიდევაც მოვკვდები, თუ არა-და — გავიმარჯვებ.

— მართალსა ბრძანებ? მაშ თავს ანებებთ წინანდელ მისწრაფებათა?

— როგორც პატიოსანი კაცი, კნიაჟნა!

— მაშინ მიწოდეთ თქვენი მეგობარი! — ქალმა ხელი გაუწოდა, პაღიკომ მაგრა ჩამოართვა...

პაღიკოსაგან აღთქმა მეტად გულწრფელად იყო წარმოთქმული, მაგრამ ქეთინოს ეჭვი არა შორდებოდა, დარწმუნებული იყო, ის ვერ შესძლებდა აღთქმის შესრულებას, ამ სიტყვებსაც ჩვეულებრივად ქარი წაიღებდა. მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ დიდი ცვლილება შეამჩნია ქეთინომ პაღიკოს, ის ჩამოეცალა წინანდელ მოქეიფეთ, ჩაუჯდა წიგნების კითხვას, მამულს მუყაითად მოეჭიდა და დღითი დღე, მართლაც დიდის გულმოდგინებით ეწეოდა დღემდის სრულიად უცნობ ცხოვრებას. ქეთინო დიდ მადლობასა გრძნობდა, მარიკაც ხშირად უცხადებდა ძმის აღტაცებათაყვანებასა. ქეთინოს გული კი მაინც განაგრძობდა გრილად

ყოფნას. პაღიკოში ვერ ხედავდა ის იმისთანა ძაღას, რომელსაც შეეძლო დაემონებინა ქეთინო, მისი სულის და გულის მბრძანებელი გამხდარიყო. ქეთინო კი არა ერთხელ ნატრობდა ამგვარ არსებას, ჯერ კი არსადა სჩანდა.

## VI

ქეთინო განაგრძობდა ჩაკეტვით ყოფნას ჯეროსა და წიგნებთან ერთად: მარტო დილით და საღამოთი, როდესაც ბუნება ეპირებოდა მოსვენებას, ან გამოფხიზლებას, ის ჯეროთი წინ ეგებებოდა, აძლევდა სალამს, საღამოზე კი უგზავნიდა ლოცვა-კურთხევას მოსასვენებლად. ამასობაში დღეები გარბოდნენ, დროს ჯერ ახალი არა მოეტანა-რა. ქეთინოს ხშირად ეყურებოდა გაიაწეს ძმის ქება-დიდება, ის ორჯერაც ყოფილიყო, ქეთინოს აქ არ ყოფნაში. მეტადრე ქალები ფუტკრებსავით განუწყვეტლად ზუზუნებდნენ ყურში ოქროს სახელს.

— ოხ, დედავ, რა მშვენიერი, გონიერი და ჭკვიანია. — აღტაცებით იტყოდა მაშო, როდესაც ჩამოვარდებოდა დაპარაკი ქეთინოსთვის უცნობ პირზე.

— რა დღე მომასწრობს იმ ბედნიერებას, შვილო, რომ ის შენი გახდებოდეს! — დაუმატებდა თეკლეც.

— ჯერ კი დიდი იმედი მაქვს, და... ოქრო რომ იყო აქა, ჩემ გარდა არავისაც არ აქცევდა ყურადღებას, შენი ჭირიმე, სანამ მოვიდოდეს პირისფერი კაბა შემიკერე, შემდეგში ერთიორად გადაგიხდი, ჩემო დედავ, როდესაც ოქროს შეძლებას ხელში ჩავიგდებ.

— როგორ გეტყვი უარსა, შვილო, ოღონდ კი აგისრულდეს ნატვრა! ქეთინოსაც მინდა შევუკერო.

— ქეთინოსთვის ჩემი კაბა გადააკეთებინე. ხომ სულ ახალია? ის მაინც აგრე რიგად ყურადღებას არ აქცევს ჩაცმას, მეც, იმასაც... შენთვის ძლიერ საგრძნობი იქნება, გენაცვალე. სად არის იმდენი? დედა არ მომიკვდეს, ეგ შემთხვევა რომ არ იყოს, არც მე მოვინდომებდი, მაგრამ რა ვქნა! მაგითი ვაი თუ ბედი გამიბრუნდეს და რაც უფრო ადრე გავთხოვდები, ქეთინოსათვის სამჯობინარო არაა! — დასძენდა გულშემატკივარი მაშო

და თან თითქმის ყოველ საათში სამჯერ თუ ოთხჯერ სარკის წინ ტრიალებდა, ითვალიერებდა ყოველ სახის მოძრაობას, სიცილის ან დაპარაკის დროს.

— არა, ის ჩემია! ნამდვილად ჩემი იქნება! — შესძახებდა დარწმუნებით, შემოტრიალდებოდა ცალ ფეხზე და სიამოვნების ნიშნად ხელის თითებს ჰაერში გაატკაცუნებდა.

— ნეტავი მაჩვენა!.. რა არის იმისთანა, რომ ასეთი სანატრელი გამხდარა?.. — ფიქრობდა ამ დროს ქეთინოც, რომელსაც ეყურებოდა ეს დაპარაკი. აგერა ზაფხულში მოვიდნენ ოქრო, მაკინე და იასონი. წვეულება წვეულებას მოჰყვა. ქეთინო ესწრაფებოდა ოქროს ნახვას, ადგილიდან კი არ დაძრულა, მაშოს მოჰქონდა საიმედო ამბები თავის შესახებ... როგორ ეტრფოდა მას ოქრო, რა სხვადასხვა შესამკობ სიტყვებს აგონებდა, არც მარიკა იყო ალტაცებას მოკლებული და უამბობდა ყოველივე ნახულ-გაგონილს ისე, რომ ქეთინო ოქროს იცნობდა უნახავად.

— მეტად წუწკია მაკინე, რამდენადაც ოქრო თავმდაბალი, კეთილია, იმდენად ის ხატავს უკადრისობა-ამაყობას. თითქო კიდევაცა სწყინს, როცა მისი ძმა დაელაპარაკება ვისმეს, მაგრამ ვინ შეეპუება! — ამბობდა მაშო ერთხელ, როდესაც მარიკა და ის ისხდნენ ბაღის კარებთან, დაპარაკობდნენ წინა დღის წადიმზე. ქეთინოც იქვე ახლო დადიოდა, გაჩუმებული გულმოდგინედ უსმენდა.

— დღეს საღამოზე ხომ ვაპირებთ ცხენებით სეირნობას. არ ემზადები, მარიკა?

— როგორ არა, ქალო, ჩემი საცხენოსნო კაბა უკვე მომზადებულია, — მიუგო მარიკამ.

— საწყალი შაქრო! რარიგად სწყევლის იმ საათს, როცა ოქრო აქ გაჩნდა, — დაიწყო ისევ მაშომ.

— რადა?

— რაც ის აქ არი, შენი ყურადღება აღარა ღირსებია და თუნდ სიცოცხლე გაგინახევრებია, მისთვის ნაკლები ნაღვლელი არ არის.

მარიკამ გაიღიმა.

— მაშ, აქეთ ჩამოივლიან ცხენებით!.. დავინახავ მთელი სოფლის სალოცავს?.. — გულში ფიქრობდა ქეთინო, მზე გადიწვერა, ის გამოვიდა ჩვეულით, დასაკუთრებულ ადგილზე. ერთი

კვირა იყო, რაც დაეწყო ჯეროს ხატვა და ახლაც უნდა განეგრძო. რამდენისამე ხნის შემდეგ ქეთინომ დაინახა შაქრო, მას მოსდევდა ვილაც უცხო ყმაწვილი.

— ის არის! — გაუელვა აზრმა თავში, თითქო არც იამა ამ დროს მისი შეხვედრა... უნდოდა გაქცეულიყო, მოშორებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, მუხლები არ დანებდნენ, გაჩერდნენ ერთ ადგილას უძრავად; გულმა იწყო მტრედსავით ფრთხიალი, თვალები ცდილობდნენ ოქროს კარგა გასინჯვას. ქეთინოს მოეწონა.

— ღმერთო, წუთუ მართლა მაშოს ბედია! — ამ გაფიქრებით ქეთინომ თავი შეიმაგრა. — არა, განებივრებულია, გადალებულია! შორს!.. — გადასწყვიტა, მიაცილა სახლის კარამდის და თვითონ მოშორდა, მაგრამ ქეთინომ წუთს ცვლილება იგრძნო. სულსა და გულში შუქი ჩაეფინა, არსება გაუფხიზლდა, მოშორდა წინანდელი უფერული, ერთგვარი გარინდებული მდგომარეობა, კეკლუცობამ ხელი შეახო, ხშირად სარკეში აკვირდებოდა სახის ნაკვთსა და კმაყოფილი ილიმებოდა.

— თავი დაანებე მონაზნურ ჩაკეტილ ცხოვრებას, გამოდი ხალხში, ქეთინო! — ეჩურჩულებოდა სარკე.

— გაშალე ფრთები, ლაბუავ, იფრინე ნაზის ფრიალით, თვალი მოსტაცე, დაატყვევე! — განაგრძობდა ის.

— ვინ? რა? — და ამ საკითხეზე ქეთინო კვლავ ჩაიქნევდა ხელსა და დაღონებით წარმოსთქვამდა:

— ვინ?.., როცა ქვეყანა ცარიელია! რა?.. როცა ყველა შეუმჩნეველია და ულირსი!.. — დღეს კი ქეთინო მაცდურად მარტო ილიმებოდა, არა ჩხრეკავდა ამ საკითხებს. თითქო ეცნო ამოღებული ნიშანი, ქვეყანა გამდიდრებულიყო, აღელვებული გული ინაბებოდა, გონება სჯობდა, მისდგომოდა დამტყვევებელს, სასოწარკვეთილი აღარა კვნესოდა. უებარი ბალზამი მოსცხებოდა, მაგრამ ჯერ კი მკურნალი ვერ ეცნო.

— არა, ქეთინო, აღარ ჩაიკეტება. ხალხი უნდა გაიცნოს, თავისუფალი გზა მისცეს ნიჭის წრთვნას სხვის დაუხმარებლად. რაც უნდა მშრომელი, მეცადინი იყვეს, მაინც მალე ვერ დაკმაყოფილდება. გადაწყვეტილია, როცა ოქრო მოვა ამათსა, ქეთინო აღარ მოერიდება, გამოვა, ვისთაც რა საქმე აქვს?..

ასე ფიქრობდა ქეთინო. თან უყურებდა, მშვენიერ ღამეში

ცხენებით მოსეირნენი როგორ მიდიოდნენ წყობისად. აგერ ორნი დაწინაურდნენ, ქეთინო მიაჩერდა, დაინახა მაშო და ოქრო. ოქროს ცხენი ხვითქში ცურავდა, ხან ჭიუახლოვდებოდა მაშოს ცხენს ისე, თითქო სრულებით შეუერთდაო, ხან მოშორდებოდა.

— ღმერთო, ოქრო ჩვენი გახდეს! — სთქვა ქეთინომ, მაგრამ გული დაუმძიმდა.

— რა მიზეზია?... — უეცრად თვალებიდან ლაპა-ღუპით წამოსცვივდა ცრემლები და აწგარიშმიუცემლად დაიდაპარაკა:

— განა ჩემამდის ვინ მოაღწევინებდა?.. ვინ დამანებებდა ქვეყნის სათაყვანოს?. ქეთინო მალე შევიდა უჩვეულო ოცნებაში, თუ დღეის იქით როგორ შესცვლის ცხოვრებას, წავა ქუთაისს დასთან, დაუახლოვდება იქაურ საზოგადოებას და გაიცნობს. მათიკო შეძლებული ქალია, მასწავლებელს მოიწვევს, გაკვეთილები წინ წაიწევენ, გახდება სანაქებო მხატვარი. ოღონდაც! ამ სოფელში ველარ დარჩება ქეთინო, ვერა, ვერა! ქალს სწყუროდა ახალი რაღაც, რომელიც ვერ გამოერკვია. წინანდელზე მეტად იწყო ხეტიალი სხვადასხვა ადგილებში თავის ჯეროსთან ერთად.

— შორს აქედან, მოსწყინდა ეს ცა და დედამიწა, თუმცა ერთი წელიწადია, რაც აქ არის, მაინც შორს!.. — იმეორებდა ქეთინო და შორს რა იყო, ან სად, ესეც ვერ გაეგო. ამ ნაღვლიან ფიქრებით გარემოცული ქალი იჯდა და ხატავდა, როდესაც იდიკომ ჩამოიარა ცხენით, მას გაატანა წერილი მარიკასთან, რადგან უნდოდა ჩვეულებრივად დაელვარა მის წინაშე თავისი სევდა-ვარამი. იდიკომ მალე მოუტანა მარიკასგან ბარათი. ატყობინებდა, საქმეების გამო არ შემიძლიან მოსვლაო. ქეთინო კარგახანს იყო დაღონებული, ამ დროს ჯერო დაინახა განზე, თითქო მოწყენით, შეეცოდა პირუტყვი, წამოდგა და ხელი გაუშვირა.

— ჯერო, წავიდეთ აიქ, მაღლა! — უთხრა მან, — იქ ჰაერი მსუბუქია, სუნთქვა გაადვილდება. ჩვენ აკი მარტონი ვართ. არავის ვუნდივართ, ჩემო ძვირფასო! — დაუმატა ქალმა, აკოცა თვალებში. გაიგონა თუ არა ჯერომ ალერსიანი ხმა სიამოვნების ნიშნად წაიზმუიდა, გაუძღვა მორჩილებით წინ. ესენი მიდიოდნენ მაღლა-მაღლა. იგრძნო თუ არა ჯერომ მაღლობზე ყოფ-

ნა, ქალს აღარ მოუცადა, გაიქცა წინ. ქეთინოც მიყვებოდა ჩაფიქრებული წელ-წელა. აგერა, შედგა, თავი აიღო, შეისუნთქა ცელქი ნიავი, მაგრამ ჯერო ველარსად ნახა. არ შეშინებია, რადგან ჯეროს ხასიათადა ჰქონდა წინ სვლა, შემაღვა ბუჩქებსა და ჩეროებში, ხან ისევ იმის წინ გამორბენა.

— სადა ხარ, ცელქო?.. — ხმა მისცა ქეთინომ, მაგრამ მაინც ვერ დაინახა. გულმა შიში იგრძნო.

იქნება ჯერო სადმე ხევში გადავარდეს, ან გარეული ეგონოს ვისმესა და მოკლან?... — ჯერო მოკლან, ქეთინოს ძვირფასი, შვილივით აღზრდილი ჯერო, რომელიც პაწია ნუკრი მოუყვანეს მონასტერშივე ყოფნის დროს და მას აქეთ თავს ევლება ქალი!

საკმაო იყო ქეთინოსთვის ეს ფიქრი, — ყოველი ნაღველი გაყრუებულიყო მასში, მუხლებს ღონე მისცემოდათ; ნიავსავით ჩქარა გასწია, მარტო ხანდისხან გაისმოდა ძახილი და ამ ძახილს ხმას აძლევდა შორიდან მოჩინარი ხევი... ქეთინო ვაკეზე გავიდა, უცბად გაჩერდა, ველარ მოახერხა ფეხის წინ წადგმა. დაინახა ხის ქვეშ წამოწოლილი ყმაწვილი კაცი, მასთან მისულიყო ჯერო, უალერსებდა. ისიც ხელს უსვამდა ზურგზე, ხშირად თვალებსაც უკოცნიდა. გვერდზე დაწყობილი წიგნები და ჯოხი ამტკიცებდნენ ეს ახალგაზრდა არ იყო შორეული, არამედ ბუნებასთან საბაასოდ გამოსულიყო. ქალი დააშტერდა და იცნო ის, სწორედ ის, ქვეყნის სათაყვანო. ქეთინოს გულმა კვლავ შეიფანცქალა, იგრძნო მოკრძალება და სიამოვნება. როდესაც ნახა შორს წამოსულიყო, შერცხვა.

მერე რა იცოდა, თუ ოქრო აქ დახვდებოდა? დაბრუნებულიყო? გაქცეულიყო? არ ივარგებდა, ოქრო უკვე მოდიოდა მისკენ.

— მეტად თავაზიანი, პატიოსანი ყმაწვილია! — ბევრჯერ გაუგონია ოქროზე, თვალებიც უმტკიცებდნენ. ქალი იდგა, არ ინძრეოდა, მარტო-ღა ყურს უგდებდა გულის გაშურებულ ძგერას.

— დიდა მშვიდობისათ! — წარმოსთქვა ახლო მოსულმა ოქრომ და კრძალვით თავი დაუკრა. ქალმაც ხელი გაუწოდა.

— მოულოდნელმა შემთხვევამ შეგვახვედრა, კნიაჟნა, ერთმანეთს ამ მშვენიერ ადგილზე. ხომ არა ჯავრობთ? — ოქროს წყნარმა სიტყვა-პასუხმა ქალი გაამხნევა, წუთს შიში მოაშორა.

— გასაკვირებელი რა არის? მგონი არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა თუ აქ დავუშლიდით ერთმანეთს! — უთხრა ქეთინომ.

— ბარემა სთქვით, — დამიშლიდით-თქო... რახან აგრეა, არ შეგაწუხებთ, მოგშორდებით, — უთხრა ოქრომ, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— არა, მე თქვენ სრულიადაც არ მიშლით, მაგრამ...

— მაგრამ?

— აკი წიგნსა კითხულობდით? ჩემმა ჯერომ დაგიშალათ, სიამოვნება მოგაკლოთ.

— ერთმა სიამოვნებამ მეორეს ადგილი დაუთმო.

— სხვა რაღა გეთქმით? ერთიგად არ მინდოდა წამოსვლა, განა არ ვიცოდი მაგ ცეცხლის ამბავი, ჩემს ახლო არ დადგებოდა.

— ჯერო იმდენად გონიერია, რომ მოუფიქრებლად არსად წავა. განა, ჯერო, შენს მბრძანებელს ემორჩილები? დიაღ, ეს წინ წამოსულა გზა დაეთვალიერებინა, გაეგო თქვენი გასავლელი რამდენად უშიშარი იქნებოდა. დამინახა თუ არა, გაჩერდა, პირველში რქები დამიპირდაპირა, შემდეგ მიცნო, მეც თქვენი კეთილის მოსურნე ვიყავი, და მომიდაქუცა. მეტად გულკეთილია.

— მაგრამ უზრდელი! — დაუმატა ქალმა. — თქვენთან ბოლოშს იხდის, შინ დაბრუნდება და დაისჯება. — როდესაც ოქრომ ნახა, ქალი ეპირებოდა წასვლას, გულში დაენანა.

— რა იქნებოდა, კნიაჟნა, იმ დღეს რო წამობრძანებულიყავით ცხენით?.. — კითხა ოქრომ.

— მერე რა არის?.. უჩემოდაც, მგონი, არა გიშავდათ-რა?.. — სთქვა ქეთინომ, თვალებში თითქო საყვედური გამოუკრთა, მიაჩერდა ოქროს.

— მერწმუნეთ, გვაკლდით. თუ სხვებს არა, მე მაინც, გულით მინდოდა თქვენთან დაპარაკი იმ საგანზე, რომელიც რამდენადაც თქვენ გეყურადღებებათ, იმდენად ჩემთვისაც სასურველია.

— რაზე?.. არ ვიცი! — ქეთინომ თვალები მიმართა ზეცას.

— მხატვრობაზე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქეთინოს სახე სიამოვნებით გაუბრწყინდა, მოჟუტა თვალები და მერე გაოცებით შეაჩერდა მოლაპარაკეს, ოქრო მიხვდა, სწორედ საგულისხმო კითხვას შე-

ეხო, იამა, როდესაც ქალმა ხელი უშვა ჯეროს საყელოს, რომელიც დაეჭირა წასაყვანად.

— განა მხატვრობა თქვენი გულის უსაჭიროესი საგანია?

— დიაღ, მე ვხატავდი ამას წინათ, დღესაც თავს არ ვანებებ. როდესაც მოვედი აქა, თქვენზე მითხრეს ძალიან უყვარს ხელოვნებაო. ვცდილობდი მენახეთ, გამეცანით, ხომ მოგეხსენებათ, ერთი საგნისკენ მსრბოლი ორი გული, ერთის იდეალით გამსჭვალული ადამიანები, რაც უნდა შორეულნი, უცნობნიც იყვნენ ერთმანეთისათვის, უფრო მახლობლები არიან, ვიდრე ერთი დედ-მამის შვილნი.

— მაშ თქვენ გიყვართ მხატვრობა?.. — ფიქრიანად გაიმეორა ქეთინომ. — მართალი უთქვამთ, კნიაზო, — განაგრძო მან. — ხატვა ჩემი მისწრაფებაა, მწყურიან მისი შემუშავება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერა სრულდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... არა... შემდეგს ველარ გეტყვით...

— თქვენი ნებაა... არ ჩაგაცივდებით... ამისრულეთ კია ერთი სათხოვარი.

— თუ შესაძლებელი იქნება, რატომ!..

— პატარა ხანს დარჩით კიდევ აქა. გავიაროთ, მსურს სწორედ მაგ საგანზე მოგელაპარაკოთ. მშვენიერი ბუნება, თქვენისთანა კეთილი, გონიერი ქალი, ყველა ეს ჩამძახის ყურში: მეგობრობას, კარგ ნაცნობობას რა სჯობიაო? მეგობრობის თხოვნა, რასაკვირველია, მეტი იქნება ჩემგან, კარგ ნაცნობობას კი ხელს ნუ კრავთ, კნიაჟნა! შეგიძლიანთ?

— განა თქვენ მეგობარი არა გყავთ?

— მყავს, მაინც თქვენი ნაცნობობა და ბოლოს სანატრელი მეგობრობა შეუდარებელი იქნება. აღარ მომერიდებით? ყველგან სადაც შეგხვდებით, ხომ დამელაპარაკებით ასე, როგორც ახლა ვლაპარაკობთ?..

— შეიძლება, მაგრამ, რომ არავისთან დავდივარ ხშირად?

— ვთქვათ, სულაც არავისთან წაბრძანდეთ, შეიძლება, როცა მოცლილი იყვეთ, ჩემი ნახატები გიჩვენოთ?.. — ქალს კვალად სახე გაუბრწყინდა,

— რატომ! მაშინ შეიძლება მეც გავბედო ჩემი ნაშრომის ჩვენება.

— წარმოიდგინეთ, რა აზრი მომივიდა თავში. მე მსურს დავხატო ჯერო. ნება მომეცით.

— ჯერო თქვენთან ვერ წამოვა. თუნდ წამოვიდეს, არ გამოვუშვებ, ვერ წარმომიდგენია ერთ წამსაც კი უჯეროოდ ყოფნა. მაპატიეთ.

— მაშ, ნება მიბოძეთ მოვიდე ხოლმე თქვენსა, ვიდრე ხატვას გავათავებდე. მგონი, ამითი თქვენ არაფერი დაგიშავდეთ? — ქალმა თანხმობის ნიშნად მოხდენით თავი დაუქნია. ყმაწვილმა კაცმა ფეხი წინ წადგა.

— მაშ, აგრე, კნიაჟნა, მგონი ახლა კი ჩვენ კარგი ნაცნობები ვართ!

ქეთინომ გაიღიმა. ის აღარ ჩქარობდა შინისკენ, ოქრო გვერდით მისდევდა. კაბის ცისფერი, გაშიერი სახელოების ნაკეცები ფრიალებდნენ, მშვენიერი მოყვანილი ტანი მისცურავდა მწვანეზე.

— გეტყობათ, წიგნების კითხვა გყვარებიათ? — იკითხა ქეთინომ, ანიშნა ხის ქვეშ დაწყობილ ქაღალდებზე.

— ძალიან. მაგაზე უკეთესი რა არის კაცის ჭკუა-გონებისათვის! თქვენა?

— მეცა. მაგრამ კარგ წიგნებს ძვირადა ვშოულობ, უფრო მეტ დროს უბრალო მწერლებს ვანდომებ.

— მე მოგართმევთ.

— გმადლობთ!

— ხომ იცნობთ რუსეთის მწერლებს: ტურგენევს, ტოლსტოის, გოგოლს, პუშკინს თუ ლერმონტოვს?

— ჩემდა სამწუხაროდ ყველას არა. მაგალითად, დოსტოევსკის ძალიან მცირედ, მარტო ორი-სამი ნაწერით.

— ამ დღეებში გამოგიგზავნით..., იმედია, შემდეგ კიდევაც ვიბაასებთ მათზე...

— ოხ, გმადლობთ!.. — განიმეორა ქალმა, სიხარულისაგან სიტყვის თქმას ველარ ახერხებდა.

— ახლა კი ბოდიშს ვიხდი თქვენთანა, კნიაზო, — დაუმატა კარგა სიჩუმის შემდეგ.

— რაზე?

— სახლში უნდა წავიდე. ჩვენები ლოდინს დამიწყებენ. უკვე მეორეა, — ქალმა საათი უჩვენა.

— თქვენი ნებაა. შეიძლება მიგაცილოთ სახლამდის?..
— არა, გმადლობთ, ნუ შესწუხდებით, მე თვითონ წავალ, — ეს პასუხი იყო მტკიცე, ოქრომ ველარ გაბედა თხოვნის განმეორება და თავი დაუკრა.
— მაშ, იმედი ვიქონიო თქვენს კარგ ნაცნობობაზე?..
— იქონიეთ, ჩემ ჯეროსაც მოლოდინი ექნება!
— უსათუოდ... დიდის სიამოვნებით დავუკმაყოფილებ გულკეთილ ჯეროს ყოველ სურვილს. — ქეთინომ დაუჭირა საყელო, სახლისკენ წაიყვანა. ოქრო კი ისევ დაუბრუნდა თავის წიგნებს.

## VII

ერთხელ მაკინე პირისფერ ხალათში მეტად მომხიბვლელად გამოიყურებოდა. მისჯდომოდა სასტუმრო ოთახის ღია სარკმელს, საიდანაც შემოდიოდა ბაღის ვარდ-ყვავილის დამათრობელი სურნელება და წარბშეკრული რაღაცას ჩქარ-ჩქარა ქსოვდა, იქვე გაიანეც გულმოდგინედ კერავდა საკერავს. ამათ გარდა ოთახში არავინ მოსჩანდა. უცნობს ესენი ძნელად დააჯერებდნენ, თუ ერთი დედ-მამის შვილნი იყვნენ. მაკინეს დიდებული სანახაობა, გაიანეს მორჩილ-გარინდებული ყურება, უსიცოცხლო, უაზრო თვალები ერთმანეთს არ შეესაბამებოდნენ. გაიანე იყო ფერმკრთალი, მაგრამ ლაზათიანი სახე ჰქონდა, მნახველს ესიამოვნებოდა.
— მართალს ამბობ, განო? მაშ ვერ ვიკარებთ იმ გომბიოსა?.. — ჰკითხა მაკინემ.
— შენმა სიცოცხლემ, ზედ გადავაკვდი, მაინც არა ქნა, საქმეები მაქვსო, — უპასუხა განომ. მაკინე ჩაფიქრდა, მიიხედმოიხედა და დაბალი ხმით განაგრძო:
— ერთ რიგად კარგია, რომ ოქროს მოსწონს, სხვაგან აღარ გაიწევს, მაინც მეშინიან...
— რისი?
— ეგ მოწონება ვაი თუ ნამდვილ, უხუმარ გრძნობად გადაიქცეს.
— არა მგონია.
— ასე რომ მოხდეს?..

— რაღას ვიზამთ!..

— ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს! მაშ ძმის ბედნიერება არ გინდა?

— რას დაპარაკობ?! ძმის ბედნიერება არ უნდა განოს! — გაოცებით შესძახა გაიანემ.

— ჰოოდა, თუ ოქროსთვის ბედნიერება გსურს, გაუფრთხილდი, ცოტა ოსტატობითაც მოიქეცი. — გაიანეს შიში და გაოცება აღუჩნდა სახეზე.

— ჩვენ ვეცადოთ ყოველისფერი გავიგოთ ხოლმე, რაც კი მოხდება, ან იგრძნობება ოქროსა და ქეთინოს შორის. თვალყურის დევნება ძალიან საჭიროა. ამაზე რას იტყვი?.. — მაკინეს თვალებმა ნაპერწკლები გააბნიეს, გაიანე ჩაფიქრებული დაყურებდა საკერავს.

— შენ უნდა დაუახლოვდე ქეთინოს, — განაგრძობდა მაკინე. — ის, როგორც მეყურება, თუმცა ჭკვიანია, მაინც ყმაწვილია, გამოუცდელი. შეგიძლიან მიიბირო და გულისპასუხი ამოიცნო. თავი უჩვენე ისე, ვითომც მისთვისა ზრუნავ, ძალიან გინდა ოქროსათვის. მარტო მაშინ გაიგებ ყველაფერს. გაიხსენე შენი ის წლოვანება, რა წლოვანებაშიაც ახლა ქეთინოა. წარმოიდგინე, რა რიგად მოქმედებდა ხოლმე შენზე, როცა გეტყოდნენ, ის, ვისთვისაც არც შენ იყავი გულცივად, გაგიჟებულიაო, შემოგტრფისო, გაიხსენე ყველა ეს და ისე იმოქმედე.

— მერე მაგითი ოქროს რა შეემატება? — მაკინე შეკრთა ამ დაკითხვაზე, მაგრამ მალე თავი შეიმაგრა.

— დაიცა, განო, სიტყვას ნუ შემაწყვეტინებ, ქეთინოს შეატყობინე, რომ ოქროს მოსწონს, კიდევაც უყვარს, მაშინ ნახავ, როგორც მოიქცევა, და თუ გონივრობა გამოიჩინა, არც მე დავდგები. — დაუმატა კარგა სიჩუმის შემდეგ მაკინემ, — მინდა ჩვენს გაუგებრად არა მოხდეს-რა მაგათ შორის. გაიგონე?

— ძალიან კარგი... — უპასუხა დაკმაყოფილებულმა განომ. მაკინეს გულში უხაროდა, რომ პირველი ნაბიჯი უკვე შესრულებული იყო: ქეთინოს განოს მიუჩენდა, თვითონ ოქროს შეუდგებოდა, დააახლოვებდნენ ერთმანეთს, რამდენადაც სჭირდებოდა ოქროს გასართობად, და თუ ეს გართობა შეტოპავდა ძლიერ შორს, მგონი, მაკინე მაშინაც შესძლებდა საქმის სხვაფრივ წაყვანას. ეს კი ვერაფერია, რომ არ მოდის. რაც უფრო ხშირად

და თავისუფლად ნახავს ოქრო მას, მით მალე მოსწყინდება, მაგალითად, როგორც თამრო და სხვები. იშვიათად შეხვედრა კი არ იყო კარგი. რაც მიუწვდომელია, მეტად საწადელი და სასურველია. ეს კარგა იცოდა მაკინემ, და ამ მხრივ ჯერჯერობით ქეთინო საშიშრად ეჩვენებოდა.

— აგრე დაბეჯითებით რათ ამბობ, მაკო? ოქროსა და ქეთინოს შორის ხომ არა არის-რა. ოქროს მეორედ უნახავს ქალი, მოსწონს, სხვა ხომ არაფერი?

— მოსწონს, ცდილობს მის ნახვას, გეხვეწება, როგორმე მოაჩვიო, დღე თუ ღამ იმაზე მელაპარაკება. ნუთუ, განო, ეს ცოტაა?

— რა ვუყოთ, ყმაწვილია. პირველში მაგან მაინც ეგრე იცის ხოლმე, მერე ჩვეულებრივად დაიყვავილებს.

— უეჭველია აგრეც იქნება, მაგრამ აასრულე მაინც ჩემგან დავალებული.

— ბატონი ხარ.

— ქალბატონო, ვიღაც კაცია, კნიაზსა კითხულობს! — წარმოსთქვა ამ დროს შემოსულმა მოსამსახურემ.

— რომელ კნიაზს? — კითხა გაიანემ.

— ოქროს, ბატონო!

— ტიტიკოსგან იქნება გამოგზავნილი. წერილი აქვს?

— დიაღ, გახლავთ.

— აბა, მაშ მე წავალ და გამოვართმევ, — სთქვა გაიანემ და ადგა ზეზე. გავიდა დერეფანში, სადაც გაიგონა ხმამაღლა ლაპარაკი, რომელიც გამოდიოდა როსტომის კაბინეტიდან, შეჩერდა, მიუგდო ყური, გაარკვია თუ არა ქმრისა და მოურავის ხმა, გასწია ისევ თავის საქმეზე.

როსტომი ჩამჯდარიყო სავარძელში. ფეხი ფეხზე შემოედო, კრიალოსანს ათამაშებდა. კმაყოფილება ეხატებოდა სახეზე. წინ მორჩილებით უდგა მოურავი გრიგოლა, სარტყელში ხელი ჩაეყო, ისმენდა ბატონის ლაპარაკს, დროზე ფრთხილად პასუხს მიუგებდა. როსტომი ორმოც წელს გადასულიყო, შეხედულება ყმაწვილისა ჰქონდა. მხარბეჭიანი, მაღალი ტანი, გამოწყობილი ქართულ ყურთმაჯებგადაყრილ ტანისამოსში, მეტყველი თვალები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ნაცნობზე. გრიგოლა უფრო ხნიერი მოსჩანდა, გონიერი, გამოცდილი. როსტომს კარ-

გა ეცნო და ამაყობდა, თავს იწონებდა ამ ჭკვიანი მოურავით.

— მაშ, ჩვენი საქმე კარგად არი, არა, გრიგოლ? — წარმოსთქვა როსტომმა.

— დიაღ, შენი ჭირიმე, იმედი მაქვს ჯერ ღვთისა და მერე თქვენის გონიერებისა, რომ საქმე ჩინებულად იქნება, ან სხვაფრივ როგორ უნდა იყოს, როცა მაგ საქმეში ორას თუმანზე მეტი დაგიხარჯავს?

— ისიც ნაღდად ხომ არა, სულ ნასესხები, — დასძინა როსტომმა.

— არა უშავს-რა, ბატონო, ერთბაშად გადავიხდით...

— მაინც, მამა გიცხონდება, რამდენის იმედი გაქვს?

— რამდენისა და, რომ პირი არ შევირცხვინო, ძაან გადაჭარბებული არ მომივიდეს, სულ ნაკლებს მოგახსენებთ... იმედი მაქვს ორი ათასი თუმნისა მაინც.

— რას ამბობ? არა მგონია, მეტისმეტად აუკიდე, — წამოიძახა გახარებულმა როსტომმა, რომელსაც კრიალოსანი გაუვარდა ხელიდან.

— დაღოცვილო, თქვენს ბრწყინვალებასთან როგორ გავბედავ სიცრუეს?

როსტომი ჩაჩუმდა, წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, ისევ გაჩერდა და სთქვა:

— ეს ყველაფერი კარგია მომავლისათვის. ახლა, ჩემო გრიგოლ, დღეისთვის ვიფიქროთ, ჰა?

— ოღონდაც, შენი ჭირიმე...

— წარმოიდგინე, რა დროს შემომელია ფული და... დამის შევრცხვე ჩემს მოყვრებთან...

მოურავს ტუჩებზე ღიმილმა შეუთამაშა.

— ეგ როგორ შეიძლება, ბატონო, რა ხუმრობაა! — უთხრა თავშემაგრებით მან.

— ასე კია და!..

— ამ ერთი თვის წინათ ასი თუმანი რომ მოგართვით, სულ დახარჯეთ?

— დავხარჯე, მაშ!.. გავტყავდები და ძუნწად კი არ ვეჩვენები არავის! რად მინდა თავი ცოცხალი, თუ იტყვიან, როსტომი უპურმარილოაო?.. ადამიანი იმისთვის არის გაჩენილი, ხალხის პირის წყალი იყვეს, თუ არა და მოკვდეს...

— ჰაი, ჰაი, ბო აგრეა!.. ოჯახიც ხელს გიმართავთ თავისის დოვლათითა, ბატონო.

— ვეჟო, ამ ჩვენს საქმეს კი ველარ გავართვით თავი და! მთელი შემოსავალი ისევ იმას უნდება, ჯერ ვერა დავინახეთ-ბა!..

— არა უშავს-რა, მოვითმინოთ ორი-სამი თვე კიდევა, ბატონო, და შემდეგისთვის უსათუოდ დაინახავთ.

— ოღონდაც, რომ დავინახავთ, მაგრამ რაკი ახლა ფული ძალიან გვჭირდება, უსათუოდ უნდა ვიშოვნოთ.

— თქვენი ნება არ არის?

— მართალია, ჩემი ნება, ჩემი ნებაა, მაგრამ შენცა გმართებს დაფაცურება.

გრიგოლა მიხვდა, რაშიაც მდგომარეობდა ეს დაფაცურება, მაინც არ შეიმჩნია.

— მიბრძანე, ბატონო! მგონი არც კვლავ დამიზოგნია თქვენთვის ჩემი თავი და ახლაც მზად გახლავარ...

— რომ გაჭირდეს, ორმოც თუმანს ვერ იშოვნი?.. — ახლა კი ხმა დაიდაბლა როსტომმა.

— ორმოც თუმანს?! — გაიმეორა ფიქრიანად გრიგოლამ და კვლავ დააშტერდა იატაკს.

— რა იყო, გიძნელდება?.. კარგ სარგებელს მივცემ, თუმანზე თვეში ათ შაურს, ჰა, რას იტყვი? — როსტომი შეჩერდა, შეხედა გრიგოლას, რომელმაც ჩვეულებრივად თვალები ძირს დახარა.

— ვნახო, შენი ჭირიმე, მივდგებ-მოვდგები და თუ ვიშოვნე...

— ეცადე, გეთაყვა, დავიჯერო, სახლში არ გეგულება?

— შენი რისხვა მქონდეს, ბატონო, თუ ჩემს ბედზე ერთი აბაზი ეგდოს!

— მაშ, რა ვქნა? — როსტომმა მოიწყინა, გრიგოლა განაგრძობდა გულში ბჭობას.

— აკი მოგახსენე, ჩემს ბედზე არა გახლავთ-რა-მეთქი! მაგრამ...

— რა? — იმედის სხივმა წუთს გაუღიმა სახე როსტომს.

— ჩემ დედაკაცს ვეგულები, თუ არ გაასესხა! — დაიბოლოვა მან ყოყმანით.

— კაცო, ჩემზე ნაღდს მსესხებელს ვიღას იშოვნის?.. აბა, ჩქარა წადი. თუნდ ახლავე დავუწერ ვექსილს ერთი-ორად, ოღონდ-კი ხელი გამიმართოს.

— რასა ბრძანებ, დალოცვილო, ვექსილი რომ არ იყოს, ისე კი არ გენდობით?

— წადი, გეთაყვა, სწორედ შეიტყე! მაშ იმედი მექნება, ჰა?

— გქონდეთ, ღვთისა და თქვენის წყალობით!

როსტომმა კვალად ჩაილიმა, წუთს მოშორდა სახეზე დალვრემილობა.

— აბა, გრიგოლ, ვინძლო მასახელო!

— ბატონო, პირველი ხომ არ არის შენს ოჯახში ეს ამბები? კაცი აქ დავიბადე, აჰა, აქა ვბერდები. მე აქედან წასული მომდურავი სტუმარი ჯერ არ მინახავს, ახლა რაღა დამემართება, რა ვიცი, თქვენი მამულის შემოსავალს განა გაუჭირდება ვისიმეს გამასპინძლება?

— მაშ, დღესვე შეეცადე და შემატყობინე.

— უსათუოდ ვეცდები. — გრიგოლა ოთახიდან გამოვიდა, როსტომმა მოუკიდა პაპიროსს, ოცნებას მიეცა.

— სამი თვის შემდეგ ორი ათასი თუმანი მოგება!.. რა კარგი ყოფილა საქენები! ბანკია სწორედ, ბანკი... მეფურად ვცხოვრობ, მომავალშიაც წითელ-წითელი ასიგნაციები! თუმცა ვალები დამელო ცოტა რამ, მაგრამ რა სათქმელია!.. ჩემი განო ეულნაკლულად არა მყავს; არასდროს არ მოუვა თავში ის აზრი, რომ მისი ქმარი თუმცა გენერალი არ არის, მაინც უკან არ ჩამორჩება უანგარიშოდ მფლანგავ იასონსა... ჭკუაც ეს არი-და! არც არა გაკლდეს-რა და ათი ათასი თუმნების იმედიცა გქონდეს! ეს სულ ჩემი გრიგოლას ბრალია, ჩემი მარჯვენაა და სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვიშორებ. თუმცა რაღაცეები მეყურება იმაზე, მაგრამ რა ვუყოთ, ანგელოზი ხომ არ იქნება! მეტად ერთგულია-და! რა ბედნიერია როსტომი! ოლონდაც!.. კეთილი, მშვიდი, ცოლი, დიდის დამოკიდებულებისა... კარგი შვილები... რა ნიჭიერები არიან! უფროსი შვილი რვა წლის კოტე, ისე თამაშობს ქაღალდს, დიდსაც გაუჭირდება... ახლა წარმოიდგინეთ ოთხი წლის თამრო!.. რა ცეკვა-თამაში გინდა, რომ იმან ვერ მოახერხოს! ამას წინათ კი როსტომი და გაიანე არ იყვნენ მადლიერნი ბედისა, რომელიც თურმე ხელს არ უმართავდა არა-

ფერში... ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ უწარი გამოეჩინათ მეყაითობაში, მაინც ვერას აწყობდნენ, ბოლოს გადასწყვიტეს მამული დაეგირავებინათ ბანკში, იქიდან გამოტანილ ფულით ალებ-მიცემობისათვის ხელი მოეკიდნათ და შემოსავალი ერთი-ორად ექციათ. ამ აზრის როგორც წარმოთქმა, ისე შესრულება მალე იქნა... როსტომის ხელს მოხვდა კარგი მოზრდილი ბლუჯა ფულისა; მაგრამ ჯიბრზე იმ წელიწადს ჭირნახული მეტად გაძვირდა, კოდი პური ოთხ მანეთად, ქერი სამად და სიმინდიც ორად. აბა რა სარფა ექნებოდა მყიდველ-გამყიდველს? ისე დაეყარა-და, ჩადპებოდა. ბევრი მიზეზები გამოუჩნდნენ ამ განზრახვას. გარდა ამისა სტუმრიანობამაც იდაჯი გასწყვიტა, თითქმის ყოველდღე სავსე იყო ხალხით. კნეინასაც არ ეცალა, დიასახლისობას უნდებოდა. ყველა ამას შედეგად მოყვა ქისის დაცარიელება, ბედზე მოურავი მეტად გულშემატკივარი შეხვდა, არ აწუხებდა მამულებში გასვლა-გამოსვლაზე! ის იყო ყველაფერი შინაც, გარეთაც, შემოსავალი მზად მოჰქონდა, ხელში უთვლიდა თავის ბატონს. თვითონ როსტომსაც უკვირდა, თუ მისი ოჯახი როგორ ასდიოდა ამდენს ხარჯსა. მართალია, როგორც გრიგოლმა უთხრა, ამის ოჯახს არ გაუჭირდება წელიწადში თუნდ ყოველ დღესაც გამასპინძლება, მაგრამ ხარჯი ძლიერ დიდი იყო. გამუდმებით ითხოვდნენ მამულიდან, შესაწევარზე კი ძუნწად იქცეოდნენ, ასე ხომ ზღვაც დაშრებოდა. როსტომის მამული კი არ შერყეულა, მარტო, ღვთის წინაშე, როცა ფული არ შეესწრებოდა, ვექსილებს აძლევდა მოვალეებს, ან კი იმათაც რა ექნათ?.. როსტომის დიდის ხათრით და პატივისცემითა, თორემ სხვაგან ნაღდ ფულში ნაღდ ფულსვე ითვლიდნენ, ამას კი მარტო ცარიელ ქაღალდზე დაწერილს სჯერდებოდნენ. როსტომი გრძნობდა ამ პატივისცემას და, როგორც გულწრფელი ქართველი, მადლობელი იყო. რამდენიმე თვე კიდევ, მერე კი პრაშჩაით, მოვალეებო! თქვენ როსტომის სახელს ველარ ნახავთ, პირიქით, ახლა მე დაგიჭერთ ქეჩოსა და მამაჩემი არ წაწყდეს, სულ ლდინს გაგაგდებინებთ, თქვე ყურუმსაღებო, თქვენა!.. თუმანზე მანათს წაგართმევთ... მეტადრე იოსება ზურაბიანცს... ოხ, ზურაბიანცო, შენი ჯავრით სავსეს!.. თუ ეს ათასი თუმანი თავში გაწყვიტე, მერე მე ვიცი, რასაც ვიზამ, პაპაჩემ გიორგი მეფის საფლავსა ვფიცავ, სულ ფეხებს გაღოკვინებ!.. — ალედ-

ვებული როსტომი წამოდგა ზეზე, წარბი შეჰკრა, მუშტს ულერებდა უხილავ მოჩხუბარს... კარგა ფიქრის შემდეგ ისევ დამშვიდდა და, როდესაც თავისი თავი წარმოიდგინა, რა უნდა ყოფილიყო, რომ მასაც შეხვედროდა იასონისთანა ცოლი, შეკრთა.

მაშინ, ოხ! მაშინ უუბედურესი იქნებოდა, როსტომი... ვინ მისცემდა ასეთს თავისუფლებას?.. სიცოცხლე მოეშხამებოდა. გაიანე კი თვალ-წარბში შესცქერის, როსტომის ყოველი აზრი თუ ქცევა წმინდა დაურღვეველ კანონად მიაჩნია... არც ერევა მის საქმეში, რადგან კარგა იცის, როსტომი არას წაასდენს, გაუზომავ-აუწონავად არას მოკიდებს ხელსა. საწყალი იასონი კი გოშიასავით შეჰყურებს მაკინეს და წნორის ფურცელსავით თრთის!.. „ფუ, შენს კაცობასა!.. ბარემ დეჩაქი მოიხვიე, რაღა!.. მაგრამ რას დავდევ, თავში ქვა უციათ..." მაინც როსტომი მოვალეა მათ პატივი სცეს... რა დიდი გავლენიანი პირები არიან მისი მოყვრები!.. აკი ისეც ცდილობს, რაც კი შეუძლიან, დიდებულ ცხოვრებას არ იკლებს, თუნდ შემოედიოს ფული, შემოსავალს აღარ უცდის, ვალს იღებს, მაგრამ თავის საქმეში კი, გარდა გრიგოლასა, არავის ჩაახედებს... ვის რა დავა აქვს?.. როცა გააკეთებს, მოიგებს, მაშინ თვითონ როსტომის მნახველნი დააყვირებენ ბუკსა და ნაღარას, ქვეყანას შეატყობინებენ, მაგალითი აიღეთ, ქართველებო, ამ მშრომელ პატიოსან თანამოძმესაგან და თქვენი ცხოვრებაც ასე განაკარგეთო! ოქრომ ბარე ორჯერაცა კითხა, რას აკეთებო? მაგრამ ამან მიუკიბ-მოუკიბა, სიტყვა ბანზე აუგდო, იმით თავიდან მოიშორა.

— ხომ არა ნებამთ, მეც ჩამითრიონ?.. უკაცრავად! სურთ, მობრძანდნენ, იქეიფონ, სუფსა და გულს არ დავიშურებ, მაგრამ ჩემს საქმეებში ჩახედვა აბა, ბა ბა! ყოვლად შეუძლებელია! — ხელების გასავსავებით შესძახა როსტომმა.

ეს კი ვერ არის კარგი, ამდენი ხანი რომ არ უნახავს საქონლები რა სივრცეზეა დადგმული. მაინც არა უშავს-რა, მეტად შორს არის... არა ღირს ტყუილ-უბრალოდ ორმოცდაათი ვერსის გავლა იქ, საცა ამისი მარჯვენა გრიგოლაა. გაყიდვის დრო რომ მოვა, მარტო მაშინ აისეირნებს თავის არაბულათი... როსტომი მიეცა ისევ ოცნებას, რომელიც მალე შესწყვიტა ოთახში შემოსულმა ბიჭმა.

— ბატონო, საუზმე თქვენ გიცდით! — მოახსენა მან.
— გრიგოლა ხომ არ მოსულა?
— ჯერ არა, ბატონო!
— ჰმ! კარგი ნიშანია! — ჩაილაპარაკა როსტომმა, წამოდგა და გასწია პურის საჭმელ ოთახისაკენ.

## VIII

— ნეტა რასა სწერს ტიტიკო? ღმერთო, რომელი ერთი ავიტანო? ვგრძნობ, ოქროს წამართმევენ, ვგრძნობ მე უბედური და კიდევაც დავიღუპები! — გაიფიქრა მაკინემ, როდესაც განთ გავიდა ოთახიდან., თვალწინ წარმოუდგა მეორე მტერი ქეთინო, ჯერ კიდევ უნახავ-უცნობი. რანაირის თავშემაგრებით, ძალდატანებულ გულგრილობით უსმენდა ოქროს ქეთინოზე აღტაცებულ ლაპარაკს, ესეც თითქო ხანდისხან ხელს უმართავდა. ვინ რა იცოდა, ყოველ ქალის გახსენებაზე მაკინე როგორ იტანჯებოდა!
— ქეთინო ზეციური ანგელოზია! ის მშვენებაა, უმანკოება, ბუნების შეუმწიკვლელი შვილია! — ეუბნებოდა ოქრო მას დღეს აქეთ, რაც გაეცნო ქალი.
— ვინ, ან რა არიან მასთან შედარებით სხვები! — წამებული მაკინე, მაინც იღიმებოდა. — მეც აგრე მეყურება, გენაცვა, მაგრამ მგონი უსწავლელია, — ფრთხილად შეაპარებდა ამ სიტყვებს.
— არა, მაკო, ეგ ბოროტ ენას უთქვამს შენთვის, ქეთინო თავისებური იშვიათი არსებაა... მოკრძალებული ლაპარაკი, სადა ქცევა, ჰაეროვანი მიმოსვლა, ყველა ეს აღმოაჩენს უმანკო სულს. კიდევაც აღვუთქვი, ვიარო მათთან, დავხატო ჯერო, ამბობენ, დიდი ნიჭი აქვს ხატვისა და თუ მართალია, ძალიან საყურადღებოა...
— აკი აპირებდი, ოქრო, შენ სოფლისკენ წასვლას სამოღვაწეოდ?
— მერე, მაკო, ჯერ adრეა. უნდა გავიცნო ცხოვრება და მისი წარმომადგენლები... — მაკინეს ერთის მხრით უხაროდა ოქროს ასეთი გადაწყვეტილება, ქეთინოსი კი ეშინოდა.

— რატომ ჩვენთან არ მოდის?

— ნაღირია და იმიტომ, ფრთხილი, ლამაზი ნადირი.

— ბედნიერი ქეთინო! — გულში შენატროდა მაკინე. წუთს კი ეს სიტყვები შეიცვლებოდნენ გამეღგრებულ ეჭვებად. ფიქრობდა, იგონებდა, როგორი მოხერხებით დაეცვა ოქრო, არავისთვის დაენებებინა. ასეთი თავისუფლება, ნებივრობა, როგორიც ჰქონდა მაკინეს, სიყრმიდანვე ბევრ ქალს მოენატრებოდა, ოჯახში ყველა მას ემორჩილებოდა, დედ-მამის სათუთი იყო, ცალკე თავის მშვენებისა, ცალკე სიყრმის შვილობის წყალობით უპირატეს გამარჯვებას იჩენდა და-ძმათა შორის, თუმცა დიდედა მაგდანი უფრო ოქროს მფარველობდა, თავს ევლებოდა. მაკინე მეტად გადაღლა, მომეტებული ყურადღება მოსწყინდა, თითქო აღარ აფასებდა თავის დედოფლობასაც.

— მაკინე იზრდება გასაშტერებელი მშვენიერი! — ამ ხმას კი ვერ შესჩვეოდა და ყოველთვის ერთნაირ თავმოწონებით ისმენდა. მაკინე მიაბარეს სასწავლებელში, სადაც გაუძნელდა ყოფნა, რადგან იქ მოითხოვდნენ სრულიად წინაალმდეგს მის ჩვეულებისას, მაგრამ, როგორც იყო გასძლო ვადამდის და გამოვიდა თვალისმომტაც მშვენებად. ყოველ მხრივ ეყურებოდა თავისი ხსენება, ბევრი მშობელი შურის თვალით უყურებდა ეფემიას ასეთ მარგალიტ შვილების გამო. მაკინეს ველარ აეტანა ვისმეს ბატონობა ან სურვილის აუსრულებლობა, ჯერჯერობით, ღვთით ბედს ამისი მხარე ეჭირა, ყოველივეს უმორჩილებუმონებდა. მშვიდად შეყურებდა პირდაპირ თვალებში შეუშფოთველად მომავალს, მაგრამ აგერა, გული აუძგერდა, ძლიერის სიყვარულით. თანამგრძნობელი მეტად ძუნწი, გულქვა გამოდგა, ყურადღებას არ აქცევდა მაკინეს და სხვის საბედოდ გადაედო თავი. მაკინეს უყვარდა ზურაბი; იმ მაკინეს, რომლის ერთი სიტყვის წარმოთქმა, ერთი გაღიმება ბევრ ყმაწვილ კაცს თავზე ხელს აალებინებდა. მაკინე კი უნდა მორიგებოდა გრძნობას, უთანაზიაროდ გულში ჩაეკლა. ანთებული საკირე მეღგარი, მწვავი გამოდგა. დიდ მეცადინეობას ითხოვდა ჩასაქრობად. ვისთვის ეთქვა ეს დარდი? ვინ იყო მეგობარი? განო? ძმები? სხვები? ოხ, არავინ. ნუთუ მაკინეს შეეძლო, უშიშრად გადაეშალა მათთვის გული? ხომ უნდა გატოდებოდა მესაიდუმლეთ? თვალწარბში ეცქირა, მუდამ წითელი კვერცხი ეგორა, არ გაეჯავრე-

ბინა. მაკინე ძირს დაეშვებოდა მიუწვდომელ სიმაღლიდან, ბოლოს სასაცილოდაც გახდებოდა.

არა, მაკინე ამჯობინებდა სიკვდილს, ვიდრე ასეთს თავის დამდაბლებას. არჩია გამკლავება გრძნობასთან, მისი ხმის ჩაკმენდა და მოახერხა იმდენად შესუსტება, რომ შეიძლო წარმოედგინა სათაყვანოსთან მოშორებით ყოფნა. დღითი დღე გრძნობდა მომეტებულ გამარჯვებას თავის განზრახვაში, არსება გადაუხალისდა და სიყვარული თითქო კიდევაც მისუსტდა. მაკინე წინანდელზე მეტად მიეცა დროს გატარებას, ახალგაზრდა ხალხთან ტრფიალებას. დაუახლოვდა უფროს ძმას ტიტიკოს, დაუმეგობრდა და ისიც არ ბკლებდა არაფერს, ფულის ქისა მუდამ გახსნილი ჰქონდა დისთვის. როდესაც მაკინე ხედავდა ძმის თანაგრძნობას, ხელის შეწყობას, არ უკვირდა, რაკი დარწმუნებული იყო, ყველაწრ მოვალეწი გამხდარიყვნენ ამის გადელოფებაზე. ყმაწვილკაცების ტრფიალებას თუ გადაჭარბებულად დაინახავდა მაკინე და იგრძნობდა, წინ წადგმა ნაბიჯისა სახიფათო იყო, მაშინ მოხერხებით, ისევ კეკლუცობით დაუსხლტებოდა ხელიდან მოტრფიალეთ, გულში დასცინოდა იმათ ტანჯვას, მაგრამ აი მაკინემ გაიცნო იასონი, დაწინაურებული სამსახურში შეძლებით თუ დიდკაცობით და სიამოვნებით დათანხმდა მის ცოლობაზე. ასევე კმაყოფილებით წაყვებოდა მაკინე იასონის გარემოებაში მყოფ ივანეს, პეტრეს თუ სხვას. ამას სწყუროდა სიმდიდრე, რჩეული საზოგადოება, დედოფლობა. იასონს შეეძლო ყველა ამ მისწრაფების შესრულება, მაშასადამე შესაფერი მეუღლე იყო. იასონის წყალობით მაკინეს დაუკმაყოფილდა სურვილი, წინანდელზე მეტად გაეშალა ფრთები, იწყო დიდებულად ცხოვრება, საზოგადოება ალმერთებდა, კიდევაც გადაავიწყდა ზურაბი, მაგრამ აგერა, ამათ მამულს შეეტყო გამწირება, დაგდებგაყიდვა, დაგირავება. რამდენსამე წლის შემდეგ ბევრი აღარა ჰქონდათ-რა. მაკინე ფიქრობდა, გრძნობდა ამ დანაკლისს. სწუხდა იმისთვის კი არა, რომ ქმარი მისი მიზეზით ულარიბდებოდა, არა, მაკინე სწუხდა იმ მოსაზრებით, თუ გაღარიბებული როგორ სამასხაროდ გახდებოდა ხალხის თვალში. ეს უკანასკნელი ყველა შეურაცხყოფათა უარესი იყო. ვინ ააცილებდა მომავალს? იასონს არ შეეძლო, რადგან სამსახურის გარდა სხვა ღონისძიება არა ჰქონდა. დარჩენოდნენ ძმები; ტიტიკო თუმცა წინათ,

ჯერ ისევ მაკინეს გასათხოვრობის დროსვე, მეგობრობდა დას, მაგრამ მერე, რაკი მოინდომა ცოლის შერთვა, ხელი უშვა მაკინეს, ყურადღება დაუძვირა. ბევრნაირად ეცადა ეს უკანასკნელი, როგორმე შეეყენებინა უსიამოვნო ქორწინება, დიდადაც გაისარჯა დედ-მამასთან, თუ ცალკე, მაინც ვერას გახდა. ტიტიკო ალტაცებული იყო ანიკოსთვის. რომ მისი დასაკუთრება გასჭირებოდა, მიზეზად მთელი ქვეყანა აღმოჩენილიყო, ამ ქვეყანასაც კი გაანადგურებდა და აბა, მაშ მაკინე რას გახდებოდა! მაკინე თავს უბედურადა გრძნობდა, არავინ უჩნდა ხელის გამმართავი. ერთი ძმა წაართვეს, მეორეც ჯერ ბავშვი იყო, გამოუცდელი. თუმცა ოქროსაც ძალიან უყვარდა მაკინე, მაგრამ თუ ტიტიკო ვერ დაიმორჩილა, რას დაიმორჩილებდა საზღვარგარეთ გამგზავრებულს, დაშორებულს?.. ქალებშიაც განსაკუთრებით არავინ მეგობრობდა მაკინეს, პირში ეფერებოდნენ, ეფლიდებოდნენ, რათა მის სახლში შეხვედროდნენ რჩეულ ყმაწვილკაცებს, მათთან დრო ეტარებინათ, მაგრამ პირადად კიდევაც ეჯავრებოდათ, რადგან ის მათზე უფრო ლამაზი და პატივცემული იყო. არც მაკინეს უსხდნენ ისინი თვალში. ან რა საჭირონი იყვნენ, როდესაც სიმდიდრე ხელში ეპყრა, ყველა მისი მონა გამხდარიყო!.. მაგრამ მომავალმა უბედურებამ ხელში აალებინა კალამი, ბოდიში მოახდევინა ტიტიკოსთან, ათხოვნინა ისევ წინანდელი მეგობრობა. გულკეთილმა ძმამ დაივიწყა წარსული, აპატია... ანიკოც თავს ევლებოდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც შეიტყო, თუ რა მოელოდა ცხოვრებისაგან განებივრებულ მშვენიერ ბანოვანს. იასონმა არ იცოდა მაკინეს გულში ალძრული შიში და ნაღველი, არც ის უკვირდებოდა თავის აწმყოს, არამედ მეტად კმაყოფილი, ბედნიერი, მაკინესთან ერთად მიეცემოდა დიდრაჯობას... მას არ აოცებდა მაკინესაგან თავისადმი ბატონობა, ალერსის დაძვირება, მაკინეს ქცევა ქმართან დაგვიხატავდა უფრო მბრძანებელს, მფარველს, ვიდრე თანასწორ მეუღლეს. მაკინე მიუალერსებდა მარტო მაშინ, როცა იასონი მოუტანდა ძვირფასს ნივთს, ან გაუმართავდა საუცხოვო ბალს, ნადიმს. უიმისოდ კი შორს ეჭირა თავი, ამპარტავნად უყურებდა. იასონი მაინც დარწმუნებული იყო, ცოლს უყვარდა ის, რასაკვირველია, რამდენადაც შეეძლო მაკინეს მედიდურ ბუნებას. ამასობაში დრო მიდიოდა, ძველი წელიწადი ახალს იწვევდა. ოქრო უნდა დაბრუნე-

ბუდიყო საზღვარგარეთიდან. მაკინეს გული სიხარულით უძგერდა, როდესაც გაითვალისწინებდა თავის მახლობლად ოქროს. კარგად ახსოვდა როგორის ეშმაკურის ალერსით ცდილობდა ის გამოეკითხა მაკინესთვის გულში დამალული საიდუმლოება... ბედნიერი იყო თუ არა? მარტო იმას მოსურვებია დის ნამდვილი ბედნიერების გაგება. დანარჩენებისთვის კი სულ ერთი იყო, მაგრამ აკი ტიტიკოც ზრუნავდა! ბარე ხუთასი თუმანი ასესხა. როდის გადაუხდის? ღმერთო, რამდენი ვალები მართებთ მაკინესა და იასონს! რა მოუვათ ხვალ-ზეგ? კვნესით აძლევდა ამ საკითხს მაკინე თავის თავს, როცა მარტოდ დარჩებოდა.

— საით გავხდე ღონეს? ვინ მომცემს, რომელი ერთი გადავიხადო?

— იოლად იცხოვრე, მაკო, ცოტა გაუფრთხილდი, შვიდას თუმანს წელიწადში ასი თუმანი გადაანარჩუნე და წვრილ-წვრილად იხადე. — urჩევდა განო, რომელსაც ზაფხულობით ეწვეოდა ხოლმე მაკინე.

— რად უნდა ოქროს იმდენი მამული! ნუთუ არ ეყოფა ცოდნა და სამსახური? — ხშირად მოსდიოდა ეს აზრი მაკინეს.

— ის ჯერ ცოლს არ შეირთავს, ტიტიკოს კი უფრო ესაჭიროება. ნახევარი რომ იმან დაისაკუთროს, დავიჯერო ტიტიკომ წილი არ დამიდოს ახალ შეძენილში?

— რას დაღონებულხარ? — ჰკითხა მაკინემ ერთხელ ქმარს, როდესაც ნახა, იასონი ჩამჯდარიყო სავარძელში და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. იასონმა თავი აიღო მაღლა, მას წინ ედგა აგრეთვე დანაღვლიანებული მაკინე.

— მაკინე, შენა? წარმოიდგინე, ქალო, ამ კვირეებში პრისტავი გვიპირებს სახლის აწერას.

— რას ლაპარაკობ? — შესძახა შეშინებულმა მაკინემ, შუბლზე ალებეჭდა რისხვა, თვალებმა ნაპერწკლები გააბნიეს, დაუწყეს მუქარით ყურება იასონს, თითქო ის იყო დამნაშავე: — ვის? ვის გამოუგზავნია? ჩქარა სთქვი!

იასონმა ჩაჰკიდა ძირს თავი, ველარ გაუძლო ცოლის რისხვას!

— ვინც უნდა იყოს, განა სულ ერთი არ არის?.. ხომ იცი, რომ ამაზე უმრავლესი მოვალე გყავს? — წარმოსთქვა ბოლოს მან მოკრძალებით და თმაში ხელი იტაცა,

— ვის შეუძლიან აქ მოსვლა, ვის? ვინ გაბედავს? — შესძახა კვალად ქალმა, თან შიშის ჟრუანტელი უვლიდა სხეულში. ის დაეშვა დივანზე, იყო რამდენსამე ხანს გარინდებული. მაკინეს გულს ნაღველი მოეტია, ვერ წარმოედგინა თავის სახლში პრისტავის მოსვლა და შერცხვენა. თავი სიზმარში ეგონა.

— მაინც რომელი მოვალე გვიპირებს აგრე სასტიკად დასჯას?

— ისაკ კარაპეტიჩ.

— ორას თუმანში?

— გახსოვს, უგანათლებულეს თავადს რომ ვასშამი გავუმართეთ? მაშინ აკი დავსარჯეთ!

— ჰო, როგორ არა! ოხ, ის კი მეტად გულქვა კაცია! არ დაგვაცდის, არ შევა ჩვენს მდგომარეობაში, — დაუმატა უიმედობით ქალმა. მაკინე კარგა ფიქრის შემდეგ მიუჯდა საწერილო მაგიდას, დაიწყო წერილის წერა. ანგარიშმიუცემლად მისდევდა გულისთქმას, ათრთოლებული თითები ძლივს იმაგრებდნენ კალამს. ქალმა ჩაიკითხა სულ ბოლომდის ნაწერი, შეკრთა, კიდევაც შეშინდა. ის ტიტიკოს ატყობინებდა თავის გაჭირვებას, აუწერდა ოქროს მომავალ, მის დიდებულ უზრუნველ ცხოვრებას, ურჩევდა ნახევარი იმისი კუთვნილი მამული ტიტიკოს დაესაკუთრებინა, მაკინე დაემოწმებოდა, თუ როგორ უანდერძა მამამ, როგორც უფროს ვაჟს, და ოქრო ხომ იმდენად პატიოსანი იყო, რომ ვერ გასტეხავდა მშობლების აღთქმას! იმედი ჰქონდა იმ ახლად შემოერთებულ მამულიდან ორასი თუმნით გაუმართავდა ხელს, დიაღ, ეს სიტყვები მკაფიოდ წარმოითქმოდა მაკინეს ტუჩებისგან, ხშირ-ხშირად კითხულობდა, სურდა დარწმუნებულიყო სინამდვილეზე.

— ჯანდაბას ყველა! ჯანდაბას! მოვალენი არიან, ოღონდაც რომ მოვალენი! ამითი ოქროს არა უშავს-რა, მე კი თავიდან ავიცილებ საშინელ სირცხვილს, — ფიქრობდა ის, — ტიტიკო კეთილია, როცა გაითვალისწინებს, თუ რა მდგომარეობაში ვარ, თუნდ არ დათანხმდეს ამ წინადადებაზე, მაინც შემიბრალებს, ფულს გამომიგზავნის. — მაკინემ ამ მოსაზრების შემდეგ აღარ დახია ნაწერი, არამედ გაგზავნა, ქმარს კი უთხრა, ტიტიკოს ფულს დავესესხეო. მაკინეს იმედი მიეცა, ტიტიკო უსათუოდ აღმოუჩენდა რაიმე დახმარებას, თანდათან მოშორდა შიში,

ღმობიერად, წყალობის თვალით შეხედა ქმარსაც, რომელმაც აგრეთვე გაბედვით ამოისუნთქა. რასა გრძნობდა, მართლადაც გულის სიღრმეში მაკინე იასონისადმი? მუდამ დაცინვას. მარტო ათასში ერთხელ სიბრალულსაც, მაინც დიდის მეცადინეობით არ იმჩნევდა, ხალხს კი თავს ბედნიერად უჩვენებდა. იასონ მიდარაჯებოდა და, როცა შეატყობდა ცუდ გუნებაზე ყოფნას, ფრთხილობდა, ერიდებოდა, შეიკეტებოდა კაბინეტში, ელოდა, თუ როდის დაისაჭიროებდა მის თავს ვისთანმე გასაგზავნად, ან რომელიმე დღისთვის დაწესებულ ნადიმზე სალაპარაკოდ.

— მაკო, შეიძლება შემოვიდე? — ერთხელ მივიდა ჩვეულებრივის მოკრძალებით მაკინეს ოთახის კარებთან და დაუძახა.

— შეიძლება... — მაკინე ქეიფზე იყო, ხელი გაუწოდა ქმარს, რომელმაც აკოცა. — იასონ, რად გინდოდა, გენაცვა, ეს რომ გიყიდნია? — კითხა და სიამოვნებით ათვალიერებდა ორმოცთუმნიან ბრილიანტის საყურეებს.

— ჩემს სახსოვრად გქონდეს, როცა ხალხში დამშვენებული გახვიდე, იცოდე იასონი შენთვის ზრუნავს და უნდა თავის სასახელოდ უფრო მომეტებულად გაგამშვენიეროს... — უთხრა ამაყად იასონმა; მას ეგონა ამ წუთებში მთელი ქვეყნის სფერო ხელში დამიჭერიაო... მაკინემ კმაყოფილებით ჩაიცინა, მადლობით შეხედა იასონს.

— იასონ, რა ჰქენ იმ საქმისა, ჯერ ვერ მოახერხე? — კვალად კითხა.

— რა ვქენ და დავტყუე... ის ვექსილი აქა მაქვს ყუთში, უბედური კი დარწმუნებულია, დღე-დღეობით ჩაუთვლით..., ხა, ხა, ხა! რა მოუცია, რა უნდა წაიღოს? მგონი ასრე უნდა ვთქვათ, არა?..

— რასაკვირველია, გაჭირვებული ადამიანი ბევრს პირობებს დაუდებს მოვალეებს, მერე მოეწყინება, ყველა აასრულოს!.. პატიოსანმა კაცმა მხედველობაში უნდა იქონიოს და ალარ მოსთხოვოს შეუძლებელი... მართალია, ორასი თუმანი გამოგვირთმევია, მაგრამ ახლა ხომ ვერ დაგვახრჩობს, როცა იქნება, მივცემთ... მიკვირს კი, როგორ განდო ის ვექსილი?

— როგორ-და მეტად სულელი კაცი ყოფილა, მართლა რომ ქართველობას ამტკიცებს..., როგორც კი გაუხსენე, მომე ეგ ვექსილი, ჯერ არ შემიძლიან გადახდა და თუ გინდა, ამ ორი თვის

შემდეგ გამოვცვალოთ, ერთი-ორად დაგიწერ-მეთქი... იმას კიდევაც ეწყინა და საყვედური მითხრა:

— რას მეუბნები, იასონ, გენდობი როგორც ჩემს ძმას და, რომ დაგიმტკიცო საქმით, ამ შენგანვე მოცემულ ვექსილს ისევ დაგიბრუნებო, არც შენი ერთი-ორად დაწერილი მინდა, მარტო კი ნუ შეიჭირვებ და, როცა გქონდეს, მომეციო...

— რა გასაკვირველია! იცის, არას შევირჩენთ და იმისთვის მოქცეულა აგრე, უნდა მივცეთ, მა-რა! ჯერ კი სად არის ლონე?... — ფიქრიანად ჩაილაპარაკა მაკინემ.

— ეჰ, ორასი თუმანი რო მქონდეს, ახლავე ისაკ კარაპეტიჩს დავაკმაყოფილებდით...

— დარწმუნებული ვარ, ტიტიკო გამოგვიგზავნის...

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო სიცოცხლევ! რომ არა იყვეს-რა, ამ ეპოლეტების იმედი მაინც უნდა გვქონდეს... ცუდაობაში კი არ მიშოვნია! შენ არ მომიკვდე! ყარსის ციხეს რომ ვიღებდით, ყველაზედ წინ ხმაღდახმაღ მე მივდიოდი, გზას ვუკვლევდი იმოდენა ჯარს... ოხ, დიდი ძალა დამადგა მაშინა და კიდევაც იმისთვის მივიღე პოდკოვნიკობა; ყველაზე თავში იასონ რამანიშვილი ჩაეწერა ხელმწიფესთან წარსადგენ ქაღალდში, როგორც გამარჯვებული, მამულისათვის თავდადებული.

ბევრი ამისთანა დაქადება იხარჯებოდა იასონისაგან. ზოგში მართალი იყო, ზოგს კი ოცნებით უმატებდა... იასონ ეკუთვნოდა ამჟამად იმ გენერალთა გუნდს, რომელიც მარტო შემთხვევას წაეწია წინ. ის ბევრს ჭკვიანსა და ნასწავლზე მეტად დაწინაურებულიყო, მათს სვე-ბედსაც ხშირად გადასწყვეტდა. ბევრი გადაკიდებოდა, ბევრიც მოემადლიერებინა; ეს უკანასკნელები სულ თავისთანა დიდკაცებისაგან შესდგებოდნენ. ამის გამო იასონს ზურგი მაგარი ჰქონდა.

— ამ ცოტა ხანში კარგს თანამდებობას მაძლევენ, ქალო! — უთხრა კარგა სიჩუმის შემდეგ ცოლს.

— მართლა?.. — მაკინეს სიამოვნებისაგან სახე შეუწითლდა.

— როგორს?

— ინტენდანტსტვოში უფროს გენერლის ადგილზე მნიშნავენ, იმ ადგილიდან კარგა გამორჩება კაცი. ესეც რომ არ იყვეს, შენ ჯერ მარტო ნდობა სთქვი... ნდობის დამსახურება დი-

დი რამ არის! იქიდან შეიძლება ხანდისხან ვისესხოთ ხოლმე და მერე ჩემი ჯამაგირიდანვე შევავსებ.

— კარგია, შენმა სიცოცხლემ! — დასძინა უფრო გახარებულმა მაკინემ და მადლობის ნიშნად კვალად ხელი გაუწოდა მეუღლეს.

მაკინეს მალე მოუვიდა ტიტიკოსაგან პასუხი, მაგრამ რომ არ მოსვლოდა, ისა სჯობდა. ეტყობოდა, საშინლად განრისხებული იყო, უკანვე უგზავნიდა წერილს, ატყობინებდა, აღარ გაებედნა ამისთანა უსინდისობა, ბოროტება, რადგან ტიტიკო არასდროს არ ფიქრობდა ძმის ღალატს და არამც თუ ფულს გამოგზავნიდა, არამედ ძველსაც სთხოვდა. ამ მრისხანე წერილმა ბოლო მოუღო მაკინეს იმედებს, იმდენად იმოქმედა, რომ ერთ კვირას ვეღარ ადგა ლოგინიდან. იასონს ეგონა, პრისტავის მოსვლის შიშით გახდა ავადაო. ცალკე ნაცნობების დახმარებით, ცალკე თავისის თხოვნით მოვალემ დაუნიშნა კიდევ სამი თვე ვადა. მორჩა თუ არა, მაკინემ ხელი მიყო ტიტიკოსადმი შურისძიებას. მან მისწერა ოქროს, თავისივე ნამოქმედარი გადააბრალა ძმას, შეატყობინა თავისი გარემოება და თავი შეაბრალა. ოქრომ, გულკეთილმა, საყვარელმა ოქრომ, ისმინა მისი ვედრება, გამოუგზავნა ორასი თუმანი. მაკინე ამ მოულოდნელ ბედნიერების გამო ფეხზე აღარ იდგა სიხარულისაგან. ოქროზე ძვირფასი ამ დროს არა არსებობდა-რა, ტიტიკოსი კი ეშინოდა, ოქროსთვის არ ეთქვა, თუმცა წერილი ისევ დაებრუნებინა. მაინც, თუ სრულებით არ დაუჯერებდა ძმას, ეჭვი ხომ გაეღვიძებოდა. რას ინაღვლის მაკინე ტიტიკოს შემოწყრომაზე, თუ კი ოქრო ცოცხალი და ჯანსაღი ეყოლება!.. მაკინე ათვალიერებდა ოქროსთვის საცოლეს; ჯერჯერობით შესაფერი ვერ ეპოვნა. ამასობაში ოქროც დაბრუნდა. თუმცა პირველში დაუგვიანა ნახვა, გართული იყო თავის სოფელში, მაგრამ მაინც მიიზიდა ძმა ალერსით და მოხერხებით. ოქროს უყვარდა მაკინე, რასაკვირველია, უჯერებდა, ენდობოდა, როგორც მშობელს. მან ოქრო დაარწმუნა, რომ ტიტიკო მისი მოღალატე იყო, და დღეს უსიამოვნებაც სწორედ იმ მიზეზით მოსდენოდათ. თუმცა მან აპატია ძმას, როგორც სიკვდილის შვილს, მაინც ძმის გაუტანლობამ იმოქმედა. როგორ დაივიწყებს მაკინე იმ დროს, როცა ჩაკეტილ ოთახში სწერდა,

ვითომ ტიტიკოს მაგიერად, რათა დაერწმუნებინა ეჭვში შე-სული, რამდენი იტანჯა მაშინ!

— რას სჩადიხარ, მაკინე! რად გინდა მოაშორო ეგ ორი მო-სიყვარულე ერთგული ძმა ერთმანეთს? — ჩასძახოდა იმ დროს განუწყვეტელი რაღაც ხმა, მაკინე კი ყურს იყრუებდა.

— ხომ ხედავ, როგორ აწუხებს ოქროს?.. რა რიგად გევედ-რება, სიტყვით თუ თვალებით დაარწმუნო, დააჯერო ტიტიკოს სიმართლეში! რა წამებული უნდა იყვეს ის ადამიანი, რომლის არსება განსპეტაკებულია, მისი გული მზესავით შუქმოფენილია, ქვეყნისათვის გამჭვირვალე, რა რწმენით, სიყვარულით ეპყრო-ბა მოძმეთ, ისინი კი არ ინდობენ, სამარეს უთხრიან... გაიხ-სენე, მაკო! — განაგრძობდა კეთილი ხმა, თითქო მაკინეც აპი-რებდა დამორჩილებას, გადატეტკილი სახე, ჩაღურჯებული, მორ-ღვეული თვალები ამტკიცებდნენ ამ აზრებთან გამეძგრებულ ბრძოლას. თითქო კიდევაც გადასწყვიტა, თავი დაენებებინა სიცრუისათვის, მოხვეოდა ოქროს, დაერწმუნებინა: ის იყო უბედურთა შორის უუბედურესი, თუმცა კი ერთ დროს დაკითხ-ვაზე: ბედნიერი ხარ თუ არაო?.. — ის სრულიად წინააღმდეგ მი-უგებდა. სწყუროდა მოეთხრო, დაეჯერებინა, რომ ეს მარტო მო-ხერხებული თამაშობაა და ნამდვილად კი გული გაუძლისად უკვ-ნესის; ეთხოვა შეეწყნარებინა ამ მოტყუებისათვის. ის იყო მივიდა მაკინე კარებთან ამ განზრახვის ასასრულებლად, მაგრამ ამ დროს რაღაც ძალა იგრძნო, მიიხედა სარკისაკენ, რომელშიაც გამოჩნდა, ღმერთო ჩემო, რა სახით! გაყვითლებულს თმები ასწეწოდა, წელში მოხრილიყო. სადა სჩანდა ეს ამაყი, მშვენიერი საროსავით წელგამართული, მოხდენილი არსება? ამ წუთებში მოეჩვენა ვიღაც უბადრუკი, დევნილი, გათელილ-გადახული. შემ-დრკალს, შეშინებულს წინ უდგა ოქრო დამცინავის ღიმილით. თითქო ახლა გაეცნო ეს მთელის თავისის არსებით. ოქროს აღ-არ ეხატებოდა აღტაცება მისდამი... ამ დროს გვერდზე გაგრი-ალდა ეტლი; მასში გადაწოლილიყო ზურაბი ცოლ-შვილით, და მიჰქროდა სადღაც. მოკრა თუ არა მან თვალი ამ უბედურს, თა-მამად კისერი მოიღერა, ის ილიმებოდა საშინელი შეუბრალებ-ლის ღიმილით! საკმაო იყო მოსჩვენებოდა მაკინეს ასე, რომ გუნება წუთს შესცვლოდა. ხელი უშვა კარებს, მიიფარა სახეზე და მძიმედ დაეშვა სავარძელში.

— ღმერთო, სადა ვარ? ვის ვხედავ უბედური? — ამოიკვნესა მან. შემდეგ მიიხედ-მოიხედა, ოთახი იყურებოდა ჩვეულებრივ მედიდურად; წამოდგა, მივიდა სარკესთან, მოკრძალებით ჩაიხედა, დაინახა გაფითრებული სახე, მაგრამ ის გამოხატულება, რომელიც რამდენსამე წამის წინათ ეჩვენა, აღარა ჰქონდა, მაკინემ პირჯვარი გადაიწერა.

— არა, არა, მოვალენი არიან!.. — შესძახა კვალად ჟინიანად... — ან რაა საერთო ტიტიკოსა და ოქროს შორის?.. ოქრო ჩემია, მას არავის დავანებებ!.. — იმეორებდა გაჯავრებული მაკინე, გაბრწყინებულს თვალებს ხარბად ადევნებდა ყოველივე დაწერილ სტრიქონს. მაგრამ მძიმე წუთებმა, საათებმა განვლეს. მაკინემ სინდისს ხმა ჩააკმენდინა, ნაღველი შეუმსუბუქდა... რაც ოქრო გადმოვიდა, ფული აღარ ელეოდა. ვიდრე განოსა და მაკინესთან იყო სტუმრად, ხარჯს თბილისშიაც უგზავნიდა. მაკინე ხედავდა, ტიტიკო ვერას გამხდარიყო ძმასთან და დამშვიდდა. მაგრამ აგერა, ჩავიდა ოქრო ქალაქში. საზოგადოებამ, მეტადრე გასათხოვრებმა თვალები დააჭყიტეს. ოქრო მონაწილეობას იღებდა ყველაფერში. მაკინეს ეშინოდა, ხელიდან არ გამოსცლოდა ეს უკანასკნელი ნუგეში. მაკინე დაახლოვებოდა შეძლებულ ხალხს, მეტადრე, რაც ოქრო მოვიდა, ბუზსავით ეხვეოდნენ. ის პატიჟობდა უფრო უსახურ ქალებს, ცალის ყბით ურჩევდა მათ შერთვას, გულში კი დაჟინებით გაიძახოდა:

— ადრეა ოქროსთვის ცოლის შერთვა, ჯერ ადრეა!..

ოქრომ ყურადღება მიაქცია თამრო ზონარაშვილს. მაკინემ ამოიჩემა ის, თუმცა კი არ გაუმხელია ძმასთან თავისი განზრახვა. ის უპატიჟებდა თითქმის ყოველდღე ყმაწვილკაცებს, მათთან ქაღალდს ათამაშებდა, ნაკლები დრო ჰქონდა სახლიდან გასვლისთვის... ყველა საქველმოქმედო საქმეში ოქრო თითქმის მეთაურთა შორის ირიცხებოდა. მთელი ინტელიგენცია ალტაცებული იყო ამ მამულის ახალ შვილზე. ბევრს კარგს მოელოდნენ მისგან. ბოლოს და ბოლოს, როდესაც გახშირდნენ ხმები ოქროსა და თამროს ერთმანეთთან ტრფიალებაზე, სასოწარკვეთილებაში შესულმა მაკინემ არ იცოდა რა ექნა. მოიგონა უკანასკნელი ღონე, სთხოვა ნაცნობ ექიმს, ერჩია იასონისა და ოქროსთვის მისი სოფლისკენ წაყვანა, რადგანაც მაკინეს სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაში იქნებოდა, თუ კიდევ ქალაქში

დაიწეპოდა. ქალს გაფითრებული სახე სედს უწყობდა თინებში. დააჯერა ქმარი და ძმა, ამათაც საჩქაროდ წამოიყვანეს გაიასესკენ. მაკინე დამშვიდდა, მოფერიანდა, ისევ თავისებურად ვამხიარულდა, მაგრამ შემდეგში, რაც ოქრომ დაიწყო ხშირად ქეთინოს ხსენება, ისევ შიშს მიეცა.

## IX

ოქრო ტახტზე იყო წამოწოლილი, წიგნსა კითხულობდა, როდესაც კარი შეაღო განომ.

— ოქრო, წერილია შენთან! — დაუძახა.

— მოიტა, — განო შევიდა, მისცა, უნდოდა გამობრუნებულიყო, მაგრამ ოქრომ შეაყენა, განო ჩამოჯდა ძმის ახლო ტახტზე, უცდიდა, ვიდრე ოქრო წაიკითხავდა ტიტიკოსაგან მოწერილს. აი გაათავა ოქრომ კითხვა, წერილი ჯიბეში ჩაიდო.

— რა ამბავს იწერება? — კითხა განომ.

— მალე უნდა წავიდე, უჩემოდ თურმე არა კეთდება-რა.

— მერე რა უნდა გაკეთებულიყო?

— სკოლის შენობა უნდა დაეწყოთ, ტიტიკო იწერება ხალხი ვილაცას გადაურევია, ხარჯს აღარ კისრულობენ, ითვლევინებიან: თუ კარგია, ხარჯი შენი იყვეს და გაკეთება ჩვენიო.

— ნეტაი შენა, ოქრო! თუ მეტი გაქვს, მაკინეს მისცე, უფრო დაგიმადლებს ღმერთიც და კაციც. დღეს თუ ხვალ პრისტავი შეუვარდება სახლში და შევრცხვებით.

— მერე მე სადა ვარ? ფიქრი ნუ გაქვს, ჩემს მაკოს არა დააკლდება-რა. ეგ კი არა, განო, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ქეთინო მოიყვანე, მე მინდა ის ქალი დაახლოვებით გავიცნო.

— ბატონი ხარ..., რაც კი შემიძლია, განა დაგზარდები? როგორც გეტყობა,, თვალში მოგსვლია?

— ძალიან! ჩინებული რამ არი... პირველი შთაბეჭდილება ასეთია და მერე არ ვიცი.

— ვთქვათ, მერეც ასეთი აზრი შეგრჩეს, შეირთავ?..

ოქრომ გაოცებით შეხედა დას.

— ეგ აზრი ჯერ თავში არ მომსვლია. რად იცით ქალებმა უეცარი გადაწყვეტილება?.. ვის ვისთანმე დაინახავთ, მაშინვე

უსათუოდ უნდა შერთოთ, ნუთუ მარტო შერთვაა აუცილებელი საჭიროება? მე ქეთინოს გაცნობა მინდა, როგორც კეთილი ადამიანის და არა საცოლის, — ამ დროს გაიანეს რილასთვისაც დაუძახეს. ოქრომ აიღო ისევ წიგნი, დაიწყო კითხვა, მაგრამ არჩევდა მარტო ასოებს, მათი მნიშვნელობა არ ესურებოდა, გონება-ფიქრი სულ სხვა საგნებს შეეპყრო. ოქროს ათასი საქმე შემოეხვია თავსა, ჯერ არც ერთი არ შეესრულებინა. გაზაფხულზე ხელი უნდა მიეყო სოფელში მუშაობისათვის, დაედგა სხვადასხვა შენობა. ასლა გაზაფხული კი არა ზაფხული იყო გაჩაღებული. ის ჩაბოჭა განოს სოფელმა; ამ ბოლო დროს ხომ ქეთინომ მოხიბლა. უცნაური ქალი მეტისმეტად იზიდავდა თავისკენ, თვალწინ ეყენა ამ ორი დღის წინათ გამონაცალი ის ძვირფასი წამები, როდესაც ქეთინო და ჯერო ნახა მინდორზე. თუმცა დაპირდა — მისულიყო, მაინც რაღაც ძალა აყენებდა უკან, სიფრთხილე, მოწიწება და მორიდება მუდამ ყურში ჩასძახოდნენ.

— „დაიცა, ჯერ adრეა. ვაი თუ აჩქარებით საქმე გააფუჭო, ნაღირად წოდებული ქალი უფრო დააფრთხო". ის ეღოდა დროს. ოქრო დაიარებოდა ყმაწვილებთან ერთად. შაქროც თითქო განგებ მაღ-მაღ ჩამოუგდებდა ქეთინოზე ლაპარაკს, ისე რომ ოქროს მოთმინებაც სუსტდებოდა, აწუხებდა მისი უნახაობა.., იასონი ქალაქში იყო, როსტომი მუდამ რაღაც ფაცა-ფუცს ეძლეოდა. ძალიან ნაკლებ თანაუგრძნობდა ოქროს აზრებს, ის მუდამ ერთსა და იმავე საგანზე ბაასობდა. ეს საგანი გახლდათ სიმდიდრე, მილიონები... ოქრო ღიმილით უყურებდა ამ ოცნებიან კეთილს ქართველს, რომელიც აზრებით ხშირად შედიოდა რომელიმე კრების სადაროში, რომ მთელი საქართველო ხელში ჩაეგდო....

—ეე, ჩემო ძმაო, ტყუილად გიფიქრია ეგეები... არა, ვინ ამბობს, მოძმეების შეწევნა არ იყოს კარგი, მაგრამ ყველაზე მეტად შემოსავლის გაორკეცებაზე იზრუნე! — ეტყოდა როსტომი, როდესაც ოქრო დაუწყებდა საქვეყნო საქმეებზე ლაპარაკს. — ასლა ჩვენ ყველაზე უწინ ნივთიერი სიმდიდრე გვჭირია, კაცო! დამაცა ერთი-ორი წელიწადი და მაგ საქმისთვის ათას თუმანს გასესხებ... კი ნუ მკითხავ საიდან? ეგ ჩემი საიდუმლოა. მაშ, მაშ! ჰმ! ჩემი საიდუმლოება, — ღიმილით გაიმეორებდა და თავმოწონებით ყურთმაჯებს გადაიყრიდა მხრებზე, — დაიცათ, ერთი დრო იქნება, როსტომიც გაუხდეს ჭირისუფლად მთელს სა-

ქართველის... თუ შორს ვერ გავწვდი, ამ ჩვენს სირონში მაინც ქვრივსა და ობოლს, უსამართლობისაგან დაჩაგრულს არ დავაჩივლებ, არ ავატირებ, — დაუმატებდა და კმაყოფილების ნიშნად მოყვებოდა სტვენას...

ოქროს როსტომის კეთილი, ქერა, სიცოცხლით სავსე სახე უფრო იზიდავდა, მაგრამ, როდესაც გაითვალისწინებდა მის პურმარილისმოყვარე გულუხვ ბუნებას და მილიონების შეძენაზე ოცნებას, გულში ეცინებოდა. პირადად საწყენს მაინც არას ეტყოდა, პირიქით, ხელს უმართავდა, რამდენადაც შეიძლებოდა, რადგან ატყობდა, როსტომი თავისნება კაცი იყო. მას ეს სურვილი უკვე ოთხჯერ მოაზრებული ჰქონდა, და ძნელად თუ ვინმე შეუცვლიდა...

ხშირად ოქროს მობეზრდებოდა მისი ტრაბახი და არა ერთხელ გაუვლიდა ქეთინოს საყვარელ ადგილს — ეგება თვალი მოვკრაო, მაგრამ ამაოდ, მას ვერსად ხვდებოდა. მაშოსა და მარიკას კი თვითონ ერიდებოდა, მათში გასართობს ძალიან ნაკლებს ხედავდა. გადასწყვიტა წასულიყო თავის სოფელში. ტიტიკოსაგანაც წერილი მოუვიდა. ხვალ დილითვე წავა... მთელ იმ ხარჯს, რაც კი დასჭირდება სკოლას, ან ექიმს, თვითონ იკისრებს. არა, ოქრო არ მიიყვანს თავს იქამდის, ბაქია უწოდონ, ხვალ წავა, სწორედ ხვალ დილით. ამ გადაწყვეტილებით ოქრომ გადააგდო გვერდზე წიგნი, გამოვიდა სასტუმრო ოთახში, სადაც დახვდნენ დები და როსტომი, რომ შეეტყობინებინა მათთვის თავისი განზრახვა. შესვლის უმალ მაკინე თვალებში მიაჩერდა ძმას...

— რად დაღონებულხარ, ოქროჯან? — კითხა ალერსით.

— შინიდან ვერაფერი ამბავი მოვიდა, უნდა ხვალ წავიდე. — ოქრომ ყველაფერი დაუმალავად გადასცა.

— ეე, მოგიცლია და მაგისთვის თავს იწუხებ? დარჩი, ოქრო, რა დროს წასვლაა?.. — უთხრა როსტომმა, რომელიც სარკმელთან მისულიყო და გაიყურებოდა გზაზე...

— მაშ, თავს გვანებებ, ოქრო? — წარმოსთქვა ნაღვლიანად მაკინემ... — როგორ გავძლოთ უშენოდ?

— დარჩი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! — შეეხვეწა გაიანეც.

— ბავშვები ხომ არა ხართ?.. მადლობა ღმერთსა, პატრონე-

ბი თავს გადგანანი მაკო, მომწერე ხოლმე, რაც დაგჭირდეს, განა იქიდან ვერ გამოგიგზავნი?

— არა, ოქრო, მე შენი არა მინდა-რა, ოღონდ ჩემთან იყავი! — შესძახა მაკინემ, გადააგდო იქით საკერავი, თვალებში ცრემლები მოადგნენ.

— არ შემიძლიან, მაკო, მეტხანს დარჩენა, თავად დავიგვიანე. აქამდისაც უნდა წავსულიყავი, — ამ დროს ბიჭმა შემოიტანა ბარათი, გადასცა გაიანეს. გაიანემ წერილი ხმამაღლა წაიკითხა: „განო, გენაცვა, ხვალ მთელის დღით სთხოვე ჩემს მაგივრად კნეინა მაკინეს, თავად ოქროს და შენ როსტომიანთ, იმედი მაქვს, უეჭველად მობრძანდებით ჩვენთან. შენი თეკლე ზურაბიშვილისა". გაიანემ შეხედა მაკინეს, რომელსაც სიამოვნება დაეტყო.

— ხვალ მაინც მოიცადე, ოქროჯან, მთელი დღე ერთად გავატაროთ, აკი გინდოდა ქეთინოს ნახვა, მისი დაახლოებით გაცნობა... ხვალაც დარჩი და ზეგ წადი, — ეუბნებოდა ვედრებით მაკინე. ოქრო გაჩუმებულიყო, ეტყობოდა, ისიც ფიქრობდა, ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ცხადად კი ემჩნეოდა, რომ თეკლეს დაპატიჟება მოქმედობდა მაზე. მაკინეს გულში უხაროდა, თან ქეთინო წინანდელზე უფრო მეტად ეჯავრებოდა.

— „არა უშავს-რა! უნდა როგორმე ვეცადო, ოქრო აქ დარჩეს, მერე კი დაინახავს ქეთინო, თუ რა მოტყუებული იქნება!" — იმეორებდა გულში მაკინე. ამ დროს როსტომმა თითქო თვალი მოკრა სარკმლიდან ვიღასაც და გამოვიდა აივანზე. ის ჯერ კარგახანს მისჩერებოდა მომავალ კაცს, იცნო გრიგოლა, გულმა ველარ მოუთმინა და აქედანვე გამოკითხა:

— გრიგოლ, გამარჯვებული ხარ თუ არა?

— ღმერთმა ყოველთვის ასე გამარჯვებით გატაროთ, ბატონო!

— ბარაქალა!.. ყოჩაღ! — შესძახა ოჯახის თავმა, მობრუნდა ოთახში და გასწია კაბინეტისკენ, სადაც უეჭველია, შევიდოდა გრიგოლიც.

## X

— თვეში ათი შაური თუმანზე. ორმოცი თუმანი შეადგენს წელიწადში ოცდაოთხ თუმანს სარგებელს. ექვსი თვის შემდეგ ხომ ვექსილს გამოვაცვლევინებ და თავნსა და სარგებელს თავნად დავაწერინებ! წვრილ-წვრილობით კაი კაკალი ასი თუმანი შედგება. ჯამაგირიც ოცი თუმანი!.. გრიგოლ, აღარა ხუმრობ, აი! იქნება ერთ დროს ამ სოფლის მებატონეებში შენც ჩაერიო? ჰაი, მოიწვევ სტუმრებს და არითაღალოს დაიძახებ?..

— ისემც დამირჩება იმათი თავი! — ფიქრობდა გრიგოლა, რომელიც ბატონიანთაგან მიდიოდა სახლში. — მაგათი ლდინი კი ამოვარდა, მაგათი ჭკუა და გონებაც, აჰანდე!.. ბიჭო, შე ოხერმუდრეგო, ვისაც არ გეყურება, თვალიც შენკენ და ორი ხელიც... რას ჩადიხარ, შე ოჯახქორო?.. რა დროს არითაღალოა ამ სისხლის პურის ჭამის დროს, თუ შენ ქრისტიანი სული გიდგია? ღმერთია გულთამხილავი, მაწუხებს, მაგრამ რას იზამს ადამიანი! შენ არ იქნები, შენს მაგივრად სხვა წაიღებს: მიჰყე, მიჰყე სიმართლესაო, გამოგიღევს სინათლესაო... ისევ მე მერგოს: ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, სხვის წალებას ისევ ჩემს შვილებს დარჩეთ! რაც შენ იმ საჟენებიდან ფულები აილო, როსტომ, გრიგოლას ნუ გაუყოფ! ვაღოდინებ ასე და მერე, როცა მინდა, დავშლი ი რაღაც ორგან თუ სამგან წამოყუნტულან და სულ მდინარეს მივცემ, წავიდეს და, საცა თავისი თქვას, იქ მეც მომიგონოს: ჰაა გიდი ბესარიონ ზურაბიშვილო, შენი ნაწვავ-ნადაგი როგორ ბურბუშელასავით იფანტება ჰაერში! შენც კი გაილებდი სამახაროზლოს — ვაჟიშვილი დამებადაო!

„ვხედავ, თავადებს გლეხები შორიდან ვაძლევთ სადამსა,
მერე კი მათი ცოლები მოუდგებიან ლორებსა",

დაიღიღინა დაბალ ხმაზე.

— გრიგოლ, თუ ძმა ხარ, პატარა შეიცადე! — მოესმა ამ დროს. გრიგოლა შეკრთა, მოიხედა.

— ოჰ, სესე, შენა?.. რა ამბავია?

— ეს არი ახლა შენთან ვიყავი, შინ არ დამიხვდი, კაი ადგილს კი შეგხვდი, აი!

— მაშ წამო, რაღა!

— არა, რაკი აქა გნახე, ტყუილად მეტ დროს აღარ დავკარგავ, მუშები დასაჭერები მყავანან. გრიგოლ, ბატონთან დამეხმარე, მაგიერი პატივისცემა მიიღე.

— რა საქმეში?

— აი ედიშერაანთ პავლიას რომ ექვსი დღის მიწა უჭირავს, მე მომცეს, ის მარტოხელაა,, კუჭი ეწვის შიმშილითა. ღარიბია, იმან რა იცის ბატონის სამსახური! ღალასაც სწორედ ვერ მიუტანს. მე კი ყოველ წელიწადს ხუშკათ ჩავაბარებ, კაცით თუ საქონლით იმის კარებზე ვიდგები.

— მერე, ბრალი არ არი? იმ ბიჭს ხუთი წელიწადია, რაი ი მიწა უჭირავს.

— ვერ ერევა, კაცო! იმის საბადლო აი გძელა მიწის ბოლოში მიე. შენც კაი თუმნიანს მოგაჭედავ, — ამ სიტყვების გაგონებაზე მოურავი მოლბა.

— ვნახოთ, ვეცდები-და.

— ანგრე, შენი ჭირიმე, მეც მაგ პატივისცემას არ დაგაჯერებ...

— კარგია, მოველაპარაკები და მერე შენ თვითონ მოდი, ასე ემჯობინება.

— მადლობელი ვარ!

— მაშ ჩემთან აღარ შემობრუნდები?

— კვლავისთვის იყოს...

სესემ გასწია, გრიგოლამ კი შეუხვია მარჯვნივ, სადაც თავისი სახლი ეგულებოდა.

— აქამდის სადა ხარ, კაცო? რა ხანია კილასონიანთ სესელა თავგადაგდეჯილი დაგეძებს! — უთხრა ცოლმა გრიგოლას, როცა ამ უკანასკნელმა კარი შეაღო.

— ვნახე... გზაზე შემხვდა. — უპასუხა მან. გრიგოლა ჩამოჯდა ტახტზე, კარგა ხანს გაჩუმებული უყურებდა სადომეს, რომელიც მიჯდომოდა ბუხარს და გაშურებული შეჭამადს კმაზავდა.

— ბატონიანთსა იქნებოდი უთუოდ. არა შემოგიკვეთა-რა?

— აბა, უმაგისობა როგორ შეიძლება!

— მაინც რაო?

— რაო-და, ფულიო, სიზმარში თუ ცხადად სულ ფული აგონდებათ.

— დაღოცვილებო! ნეტავი ფული ვის მოსჭარბებია. გაუფრთხილდნენ, თორემ ბოლოს ვერ მოუვათ საქმე კარგა.

— მერე, რომ იცოდე, ვიზე შემოაგდეს შოვნა?

— ვიზე?

— შენზე!

— უი ქა, რას ლაპარაკობ? მერე რომელი ხაზინა ვარ, ალარ გამომელიოს? საიმათო ფული სად არი?

— რა მეტი ღონეა, უნდა უშოვო.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, კაცო? შავი დღისთვის ორიოდ გროში შემიგროვებია და ისიც იმათ მივართვა? მღვდელს სახარება მაინც დააბერტყინე თავზე!

— რისა გეშინიან? განა როსტომის ოჯახი ჩვენს ხელში არ არი? განა იმისი მამული ჩემი ბრძანებით არ იხმარება?

— ეგ ახლა, მერე? რა იცი, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა?

— ვიცი, სხვა თუ არა გამეგება-რა, მაგ ოჯახისა კი ყველა კარგა ვიცი...

— თუ ღმერთი გწამდეს, ნუ მომაცივდებო! პატიოსნად ჩემთვისა ვარ, აუტკივარი თავი რაზე ავიტკიო? მიბოძესთან რომ საქმე არ დავიჭირო, ჩემ ტოლ კაცს ვასესხო, უფრო არ მოვერევი და დავჯაბნი?..

— მართალია, მაგრამ იმისთანა სარგებელს სხვისგან ვერ ავიღებ... მეორეც ესა, მანდ სხვა იმედია: შეიძლება სარწყავის მიწა ჩვენ დაგვრჩეს, გაიგე თუ არა?..

— არა, გეთაყვა, მაცდურსავით ნუ შემომიჩნდი, ცარიელა სიტყვებით ვერავის ვენდობი...

— გიჟი-მუდრეგია ე დედაკაცი, შენი ჭირიმე?! ადამიანო, შენ რომ არა სთქვა, განა მე კი იმდენად მსუბუქი თავისა ვარ, ცარიელა სიტყვებში ვენდო? ასეთს ვექსილს დავაწერინებ, სად თავი ჰქონდეს და სად ბოლო, ვერა გაიგოს-რა!

— ეგ სხვაა, რახან დააწერინებ, წაიღე, ჩემთვის სულ ერთია. ეგ ფული ხომ მაინც შინ არ დადგებოდა!..

— მაშ ბარემ მოიტა, თვალი აქეთ უჭირავს, სული უკაწკაწებს, როდის ჩავუთვლი ხელში... შენც საჭირო იქნები ხელის მოსაწერად.

— ვიქნები და ამ ცოტა ხანში იქ გავჩნდები!.. ქალბატონსაც დავებარებინე... — სალომემ გაალო სკივრი, ამოალაგა რაც

ფული ჰქონდა და გადასცა ქმარს, რომელიც ათ-ათ თუმნიანს ერთს მეორეზე აფენდა...

— პა, პა, პა, რა სანახავია-და!..

— ახლა კაი გასაცარცვავი არა ხარ? — გაეხუმრა სალომე.

— გიხაროდეს, თუ გამცარცვავენ....

— უი, ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღეს! თუნდა სული ამოურთმევიათ ჩემთვის სულ ერთია!..

— სალომე, მუშებს სადილი არ დაუგვიანო! — უთხრა გრიგოლამ, როდესაც მივიდა კარებთან, სალომემ ხურჯინი ამოიღო, დაუწყო პურს შიგ დაგება.

— ვენაცვალე ჩემს ქმარ-შვილს, ვერ არიან დოვლათები თუ! ახლა ბარე ორმოცი დღის მიწა გადავაბრუნეთ... ახალი მოსავალიც კარებზე... ას თუმნამდის ნაღდი ფული! იმედია, შვილებს არ გაუჭირდებათ! — წარმოსთქვა სალომემ, როდესაც თავი დაიმარტოვა.

— ბიჭი ვარ ბაკერაული,
სახრე გამიდევს მხარზედა
გესვრი, მოგარტყავ ღილაში,
გადაგაგორებ გვერდზედა.

ღიღინით შემოვიდა პატარა იღიკო.

— დედა, ჩქარა სადილი! — წარმოსთქვა მან ქასქასით, ეტყობოდა, დაღლილი იყო.

— დაიცა, შვილო, შეისვენე პატარა!..

— ეჰ, მოგცლია! — უპასუხა იღიკომ, დაავლო ხელი ხურჯინს, გადაიკიდა ზურგზე და გამოვიდა.

— შენ კი გენაცვალოს დედაი, ოჯახის დედა-ბოძო! ახლავ გეტყობა, რაც გამოხვალ!.. — დაუმატა სალომემ და შეუდგა ბატონიანთკენ წასასვლელად სამზადისს. სალომე თუმცა სიდამაზით თავს ვერ მოიწონებდა, მაგრამ გონიერი დედაკაცი იყო. შემოდგა თუ არა მან ქმრის ოჯახში ფეხი, მას დღეს აქეთ მათი ოჯახი წინ-წინ წამოვიდა. შორსმხედველობით, მტკიცე ხასიათით ქმარი თითქმის ხელში დაიჭირა; მისი ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა ასრულებულიყო. ოცდაათი წლის სალომე ქცევით, სიტყვა-პასუხით ორმოცი წლის მანდილოსანს არ ჩამორჩებოდა. როცა სოფელში დაიწყებდნენ მათზე დაპარაკს, გასაოცრად ჰქონდათ დარჩენილი, რომ ასეთი ერთფერი ცოლ-ქმარი რო-

გორ შეხვედრილიყვნენ! თუმცა ბირველში, სანამ დედა გახდებოდა, როგორც ყმაწვილს, უყვარდა ქეიფი, მაგრამ რაკი დაწვრილშვილდა, დღე თუ ღამ სულ ქმარ-შვილისთვის ზრუნავდა.

— გენაცვალეთ, მე რომ მოვედი ჩემი ქმრის ოჯახში, ჯამით დათხოულობდნენ და ისე იკვებებოდნენ, — იტყოდა თავმოწონებით. მართალიც იყო, თუმცა გრიგოლა არამაშვილი მაშინაც არ აკლებდა სახლს შემატებას, რასაც ხელთ იგდებდა; როსტომის დედ-მამის სიცოცხლეში უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ, რადგან თვითონ ბესარიონი ფეხდაფეხ მისდევდა ყველაფერს. ამის ბედზე ისინი დაიხოცნენ, სალომესთანა გამჭრიახი ცოლი შეირთო, როსტომიც ხელში ჩაიგდო, აკისრებინა საქენებით ვაჭრობა, რომელიც სრულიად ეუცხოვებოდა როსტომს: გრიგოლა მოხერხებით ატყუებდა, თანდათან აცლიდა. ხელიდან შემოსავალს და მთელს სოფელში თვალსაჩენი ადგილი დაეჭირა.

— დედა, სადა მიქვალ? — კითხა ხუთი წლის კოტემ, როდესაც სალომემ ენის წვერი შემოუტარა ჩიხტას, წამოიდგა თავზე, წარბები ძირს ჩამოიჭიმა.

— ბატონიანთსა, შვილო, კი არ იტირო... კაკებს მოგიტან...

— შინა ბრძანდები, ბატონო? — ამ დროს შემოიძახა ვილაცამ.

— ნინო, შენა? მობრძანდი! — ხმა მისცა სალომემაც, როდესაც იცნო მოსული.

— უი, გენაცვა, აკი ცუდს დროს მოვსულვარ! უსათუოდ სადმე აპირებ წასვლას?

— რა ვუყოთ მერე, ახლავე ხომ არ გავრბივარ!..

— ბატონო, შენი შვილების ცხენასა, ერთი ხუთი მანეთით ხელი გამიმართე, ამ კვირია აბაზს დავადებ ზედა და ისე მოგართმევ...

— მიირთვი.

— იშ, რა ვქნა, რა ვუყო! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ნინომ და დაღონებულმა გვერდზე გაიხედა.

— რა იყო?..

— იი, შენ კი იცოცხლე!.. რაღა რა იყო... გაჭირვებულისათვის არასდროს არ გათენებულა!.. ორიოდ დღის მიწა დაგვითესია, ისიც უპატრონობით ღამის სოფლის ნახირმა მოძოვოს...

იმ ჩემი ცოდვით სავსე კაცმაც მარჯვენა მკლავი ილრძო და ამ ქალაქია დლე საცოდავად გაკივის.

— პავლემა?

— მა, იმიტომ არ მინდა ეგ ფული. ექიმი აღგია, ის უბედურად სატარებელი მომციებია, ჩქარა მოიტაო და მორჩენა კი ჯერ არსად უჩანს. რა ვქნა, გენაცვალე, ერთი ძუძუს ბავშვი გულზე მკიდია, მეორეც ძლივს ადგამს ნაბიჯსა, რომელი მორბელები მე მყვანან, იმათაგან ხელი მოვინაცვლო!

— წევს?..

— წევს, მა-რა... იმისთანა ვაჟკაცი სიმწარისაგან სულ დედამიწასა ბღღვნის.

— ქა, და მერე როგორ მოსვლია?

— ტიელობა და ოხრობაი ბუმბულაანთ ვასასა! შემოიჭრა, ქალო, სწორედ იმ დროს, როცა პავლე, — უკაცრაული პასუხია და დიდი უკაცრაული პასუხი, ამას შენთან ვამბობ! — ბაკსა ხვეტავდა, წამოურბინა ამ ბიჭმა უკანიდან, როგორღაც ხელი გაავლო, იმანაც ერთი შეყვირა და გულწასული კი ძირს დაეცა. როგორც იყო მოვაბრუნეთ. აბა შენ იფიქრე რა დროს ყაჩაღობის გამოჩენა იყო იმ დროს?

— საათია, ჩემო ქალო, საათი, თორემ კვალად განა არ უხუმრიათ, რომ აგრე არა უწყენიათ-რა!

— მე კი მიჭირს, გენაცვალე, და საათია თუ უსაათობა, მანდედან შელავათი არა სჩანს!..

— რას იზამ, ჩემო ნინო, უნდა მოითმინო. აი ფული, — უთხრა სადომემ, გადასცა ხუთმანეთიანი, თან ბეჭებზე შალი მოისხა.

— დიდი მადლობელი გახლავარ... ეს ისე მიმიღია, ვითომც გეჩუქებინოს, რაკი ასეთ დროს ხელი გამიმართე.

— სამადლობელი არა არის-რა, ნინო, მაგრამ ახლა კი ბოდიში უნდა მოვიხადო შენთან, თავს განებებ, რა ვქნა, ხომ იცი, თავადიშვილებთან საქმის დაჭერა ხათაბალაა. ქალბატონს დავებარებინე, აბა როგორ ვუმტყუნო?

— ეგ რა მითხარი?.. უი, ჩემს სიცოცხლესა! ჩემთან ბოდიშები რა საჭიროა, გენაცვალე! ახლავეც წაბრძანდი, მისაფერებელი იმათთანა გაქვთ, თორე ჩემისთანა საწყალი ვის რას არგებს?.. — სთქვა ნინომ, ტუჩებზე ჩრდილმა გადაურბინა. სადომე

და წინო გამოვიდნენ კარზე. როდესაც კოტემ დაინახა, დედამ სხვა მხარეს გაუხვია, ტირილით ფეხები გაშალა დედამიწაზე, მაგრამ სალომემ ყური არ უგდო და საჩქაროდ წავიდა.

## XI

— გეთაყვა, მართლა იშოვნე? — კითხა როსტომმა გრიგოლას, რომელიც ის-იყო შევიდა ოთახში.

— დიაღ, შენი ჭირიმე, ვიშოვე რის ვაი-ვაგლახითა.

— როგორ?

— ხომ მოგეხსენება, გლეხი დედაკაცი მეტად ჯიუტი და თავისნებაა.. უვექსილოდ როდი მანებებდა ჩემი ცოლი, სანამ არ დავპირდი, ახლავე მოგიტან-მეთქი.., ახლა ცეცხლს გადმომაყრის, რომ არ მივუტანო.

— არც მაგაზე გადაპარაკებ, მოიტა, თუ გინდა ახლავე დავსწერ...

— ძაან კარგი იქნება, შენი ჭირიმე, — უფრო დამშვიდდება, თუ ნებას მომცემ, მე თვითონ დავაწერინებ და ხელის მოწერის მეტი აღარა დაგჭირდებათ რა.

— არც მაგაზე აგიხირდები, ოღონდ მალე გავათავოთ საქმე. თვითონ სალომე რომ ამოსულიყო, კარგს იზამდა.

— ისიც გიახლებათ, ქალბატონს დაებარებინა.

— მაშ წადი, ბარემ ახლავე დააწერინე, ნუღარ დააგვიანებ. — არ ისვენებდა როსტომი. გრიგოლა გავიდა.

— დიდა კარგა ყოფნისა, ბატონო! — წარმოსთქვა შემოსულმა სალომემ.

— ოჰ, სალომე, ეს არის ახლა შენს ლაპარაკში ვიყავით, რაღ დაგვივიწყე, რომ აღარსად შემოიარე? — უთხრა როსტომმა.

— მეც სულის სიმწარითა ვჩქარობდი მოსვლას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ გლეხკაცის საქმე? მარტოხელა გახლავარ, წვრილშვილის პატრონი, ახლაც რომ მოვდიოდი,. სახლი სხვას ჩავაბარე. როგორ გიკითხოთ, ბატონო? — დაუმატა სალომემ და კრძალვით ჩამოჯდა შორიახლო სკამზე.

— ვართ ესე, როგორცა გვხედავ.

— ღმერთმა ყოველთვის კარგად გამყოფოს ჩვენს იმედათ და ნუგეშად! ქალბატონი სადა ბრძანდება?

— იქით ოთახშია... ბიჭო! — შესძახა ღონიერ ხმაზე როსტომმა. წუთს კარი გაიღო, გამოჩნდა მოსამსახურე.

— სარდო, წადი შენს ქალბატონს მოახსენე ჩემს მაგივრად, აქ შემოვიდეს!... მარტო იმასა, გესმის?

— დიაღ, შენი ჭირიმე.

— როსტომ, შენ მეძახი? — წარმოსთქვა განომ, როდესაც შემოვიდა. რა დაინახა სადომე, ღიმილით სალამი მისცა და უსაყვედურა დაგვიანებაზე.

— წარმოიდგინე, განო, გრიგოლამ ორმოცი თუმანი მიშოვნა. — უთხრა გახარებულმა როსტომმა.

— ეგ კარგია, გრიგოლასაგან არც გასაკვირველი არის, რადგან მეტად ერთგულია, ოქროა ჩვენთვის, აუწონავი ოქრო, — დაურთო განომ და შეხედა ქმარს, აცა, როგორ მომიწონებს ამ აზრსაო...

— ოღონდაც! ძალიან ფხიანია. ეგ რომ არა მყავდეს, დავიღუპებოდი, — კვერი დაუკრა ქმარმაც.

— სადომე, გეთაყვა, ნუ დამზარდები საკერავზე... — მიუბრუნდა განო მოურავის ცოლს.

— ბევრი გახდავთ?..

— ბავშვებისათვის ვიყიდე თეთრეული სახალათეებად.., თამროსაც კაბა აქვს გამოსაჭრელი. მე შევკერავდი, მაგრამ არა მცალიან, სტუმრები მყვანან!.. არცა ვარ კარგა.

— უი, დამიდგეს თვალები!.. ხუმრობა კი არ არის ეგა? თავს გაუფრთხილდი, გენაცვა, რაც გავნებთ, უნდა მოერიდოთ, უქეიფობის შემოჩვევა აბა რა კარგია! ნეტაი შევიძლო თქვენი სიამოვნება, თორე განა თავს დავზოგავ? აქ არა ვარ, რას აკეთებენ ეს ხელები!

— მადლობელი ვარ, ჩემო სადომე, მეც მაგიერს გადაგიხდი, — უპასუხა მეტად ნასიამოვნებმა გაიანემ.

— მაშ მიბოძეთ, ბარემა და დავიწყობ. — გაიანემ გამოიყვანა მეორე ოთახში, გაუშალა წინ მთელი ბოხჩა, მაგრამ რაკი სადომემ დაინახა გრიგოლას მოსვლა და მასთან სოფლის დიაკვანიც, რომელსაც ხელში ქაღალდები ეჭირა, ისევ შევიდა ბატონის ოთახში, გაიანეც დაესწრო ოჯახის საჭირო საქმეში.

— აბა, წაიკითხე! — უბრძანა როსტომმა დიაკვანს.

— მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერმა, N-ის მაზრაში მდებარე სოფელ N-ში მცხოვრებმა თ. როსტომ ბესარიონის-ძემ ზურაბიშვილმა ვისესხე შენ, ამავე სოფელში მცხოვრებელ გლეხის გრიგოლ ანდრიას-ძის არამიშვილის მეუღლე სალომესაგან ათი თუმანი ერთი წლის ვადით, მაზედა რომ სარგებელში უნდა გეჭიროს ჭაობის მიწა ოცდაათი დღისა. როცა ფული ჩაგაბარო, ისევ დამიბრუნო, რომელზედაც რომა ხელს ვაწერთ თავადი როსტომ ზურაბიშვილი და მისი კნეინა გაიანე. — საჩქაროდ ჩაასხაპუნა დიაკვანმა.

— დანარჩენი ქაღალდებიც ასე გახლავთ დაწერილი. თქვენ ხომ მოგეხსენებათ, რომ ერთ ქაღალდში დაწერილი, ათ თუმანს თუ გადაამეტებს, სოფლის მამასახლისის ბეჭედს ძალა არა აქვს?.. მეორეც ესა, სიმაგრისთვის ვექსილებიც გახლავან... ამათში გირავნობის გარდა სტრაფი ფულადაც სწერია... სიმართლისათვის, ბატონო, თორე მართლა რა უცხოები ჩვენა ვართ, უბრალო სიტყვაზედაც არ ვენდოთ ერთმანეთს. ჩემ ფულს მივიღებ, ვექსილი დაიხევა და მამულიც შენვე დაგიბრუნდება, — სთქვა მოკრძალებით გრიგოლამ.

— ძალიან კარგად გიქნია!.. მიწაც რომ მოგიხსენებია, არც ეგ არის ჩემი მაზარალებელი, ფულს უფრო ძვირად ვინარჩუნებთ, ხარჯი დიდია-და!.. მამულის შემოსავლით გადახდას კი ვერც გავიგებთ...

— რასაკვირველია!.. — დასძინა გაიანემ. სალომეს პირზე ღიმი მოსდიოდა.

— გათავდა?

— დიაღ, გათავდა, ასე გათავდეს მტერი!.. — ქაღალდებს ხელი მოაწერეს, ჩააბარეს სალომეს. გრიგოლამ გახსნა ხელსახოცი, ამოშალა ფული. განგებ ატრიალებდა ხელში, აგვიანებდა გადაცემას. რათა ჯერ შორიდან ცქერით გაეძღო მისი მტერი როსტომი, რომელსაც ფულის დანახვაზე თვალებში წყალი წამოუვიდა, გულმა უწყო ძალზე ძგერა, ხელის თითებს მოუჭირა, რადგან მოუთმენლად იწევდნენ გრიგოლასკენ... ბოლოს გრიგოლამ იკმარა როსტომის წვალება, მივიდა და მაგიდაზე დააწყო წითელი ქაღალდები.

— ღმერთმა მხიარულებაში მოგახმაროთ ეგ ფული! — დაი-

ლოცა ღიაკვანი და წავიდა. კმაყოფილი ქალებიც გამოვიდნენ..
გრიგოლამ დაინახა თუ არა ოთახში მარტო როსტომი, წინ წამოდგა, ჩაახველა. როსტომი მაშინვე მიუხვდა, რილასიც თქმას აპირებდა მოურავი და კი ვერ გაბედა.

— გრიგოლ, სათქმელი ხომ არა გაქვს-რა?

— გახლავს, ბატონო!

— არის და ყურს გიგდებ.

— ბატონო, ედიშერაანთ პავლეს, რო ექვსი დღის მიწა უჭირავს სარწყავში, ღამის ი მიწა დავკარგოთ. შემოსავალი არა ჩანს, ე მეექვსე წელიწადიც იქნება.

— როგორ თუ არა ჩანს? მაშ არა ხნავს ი ბიჭი?

— ხვნით კი ხნავს, მაგრამ რიგიან ლალას არ იძლევა, მეორეც ესა, ულელი ხარის პატრონია და ვერ ასდის მაშინ, როდესაც ი მიწისთვის სხვები უფრო ღონივრები ყელს იწევენ, იხვეწებიან, გვპირდებიან, კაცით თუ საქონლით თქვენ კარებზე ვიდგებითო...

— ეგ ვინა?

— თუნდ კიდოსანიანთ სესე, ბატონო, ძაან ღონიერი, გაკეთებული გლეხია, გაჭირვებაში გამოგვადგება, ფული იქნება თუ სამსახური! — როსტომი ჩაფიქრდა.

— კაცო, მერე ის მიწა რომ წავართვათ, ხომ მშივრები დაიხოცნენ? — ბოლოს იკითხა მან, რომელსაც თუმცა ჭკვიანი გრიგოლას შორსმხედველობა ძალიან მოსწონდა, მაგრამ შემბრალებელი გული ამავე დროს თითქო ეწინააღმდეგებოდა.

— რათა, შენი ჭირიმე, ის რომ არ იყვეს არ შეიძლება სხვაგან მივცეთ? ცოტაა შენი მამული თუ? ე შეძლებულ ხალხს ნუ დავაფრთხობთ და იმითვინაც ვიმოვოთ, ასე სჯობიან... ნურც წვალს დავწვავთ, ნურც შამფურსა.

— რასაკვირველია, ოლონდაც! — ჩაილაპარაკა როსტომმა, — რახან აგრეა, ეგეც შენზე მომინდვია, ჩემი მამულის საქმეში ჩახედული ხარ და არას გააფუჭებ... იქ ისინი და მანდ შენი კისერი, ჰა?

— მინდვია, ბატონო! ჩემმა კისერმა ზლოს.

მათ კიდევ კარგახანს ილაპარაკეს საქენებზე. გრიგოლა უმტკიცებდა, ხარჯი ძალიან მცირედი იქნებოდა, თუ ისინი მოიცდიდნენ შემოდგომამდის, გიორგობისთვის გასულს ხალხიც

მოცლილი არის ხოლმე, ხეებს ჩამოიტანენ წყლით ამ სოფლამ-
დის, შემდეგ ურმეულობით ჩაზიდავდნენ რკინიგზის სადგურზე
და კარგა მოგებას ნახავდნენ... როსტომი უჯერებდა, ან კი რო-
გორ არ დაეჯერებინა, როდესაც ეს გამოცდილი, მეტად ჭკვიანი
კაცი ჭეშმარიტებას ეუბნებოდა!

## XII

ოქრომ გადასწყვიტა საღამომდის კიდევ ეფიქრა წასულიყო ხვალ თავის სოფელში თუ არა. დები კი დარწმუნებული იყვნენ, დარჩებოდა. ასეც მოხდა. მეორე დღეს დილით ადრე იმის მაგივრად, რომ ბარგი ჩაელაგებინა ოქროს, გამოსულიყო ბაღში, ოცნებას მისცემოდა. მეტად მშვენიერი დილის სიგრილე სითბოს თან ჩაერთო, ყოველ სულდგმულს ზომიერის ჰაერით აყნოსებდა, ახალისებდა. მზის სხივები ოდნავ ჩასჭვიოდნენ ფოთლებში, დასთამაშებდნენ ოქროს ხუჭუჭ თმას. კარგახანია გაღვიძებოდა, გამოსულიყო ბაღში, სადაც საამო ხეივანი, სხვადასხვა მცენარეებით დაჩრდილული, იცავდა სტუმარს მწვავე სხივებისაგან. სკამზე ჩამომჯდარი ოქრო მისცემოდა ოცნებას; ფიქრობდა, ცოცხლობდა ისე, როგორც ცოცხლობდა გარშემო მშობელი ბუნება.

— რა კარგია ეს დილა! ვიხაროთ და დავტკბეთ ამ დილით! ქება-დიდება ამ დილას, ქება-დიდება შემომქმედს!.. — ჩურჩულობდნენ ვაზის ყლორტები, ზემოდან ჩამომზირალნი. სამკუთხიან აგურშემოკირწყლულ კვლებში გაბნეულიყვნენ ვარდ-ყვავილნი, ნიავის ოდნავ შეხებაზე ირხეოდნენ; იქვე დარაჯად დასდგომოდნენ ამართული ხეები, გადაშლილ ტოტებით იწვევდნენ სტუმართ, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი ფუტკრებს დაეჭირათ. შორიდან მოისმოდა სიმღერა მუშა ხალხისა, მათ მოძახილსავით მოსდევდა დაჟინებული „მკათათვე" განმარტოებულ ფრინველებისა. ოქრო, დიდხანს გაჩუმებული, გულმოდგინედ თვალს ადევნებდა ყოველივეს, ყურში ჩაესმოდა ათასი ხმა, ტკბილი და ამ მოსმენით საზღაპრო გრძნეულებით იბოჭებოდა.

— რა დილაა! — განიმეორა აღტაცებულმა ოქრომ. — რა თა-

ვისუფლებასა გრძნობს ადამიანი!.. ბუნება მოძლვრად გახდომია, თვალწინ უდგია მორთული წმინდა, ძვირფას სამოსში. ესეც უშიშრად ახედებს მას გულის სიღრმეში, რადგან სწამს, ყოველი მისი ბგერა ებანია ამ დიდებულ შემოქმედებისა!.. — დაუმატა ოქრომ, კვალად ოცნებამ წაიღო. მოგონებანი მოსდევდნენ ერთიმეორეს, წარსულს ესწრაფებოდა აწმყო, იწვევდა მომავალს და ესეც მათზე დანდობილი თავდავიწყებით დასცურავდა. დღეს ოქრო უნდა წასულიყო თავის სოფელში, მაგრამ ვერ მოახერხა, სანატრელად გაუხდა ქეთინოს გაცნობა. დიალ, ის ქალი ამისთვის ისეთივე დიდებული, ხელშეუხებელი, უზადო იყო, როგორც ეს ბუნება. ქეთინო რომ ამჟამად ოქროს გვერდით ჰყოლოდა თავისის ჯეროთი, სწორედ ერთი-ორად სიცოცხლეს შემატებდა მომხიბვლელ ბუნებას.

მაშ დღეს ნახავს ქეთინოს? მის მხატვრობას? მერე?.. მერე დაიწყებს ჯეროს ხატვასაც. სოფელში მოღვაწეობა? იქაც მოასწრებს. ჯერ მაინც დიდიხანი არ არის გასული. ეს ხომ მარტო მეორე ზაფხულია, რაც ოქრო სარდიონიშვილი სუნთქავს საქართველოს ჰაერით! წინათ კი ექვსი წლის განმავლობაში აღარ ყოფილა აქა, სანამ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. მართალია ზაფხულობით ბრუნდებოდა ხოლმე, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ რაკი ექვსი წლით წავიდა საზღვარგარეთ, მას შემდეგ ერთხელაც არ ყოფილა შინ. ოქროს დედ-მამა აღარა ყავდა, უფროსი ძმა, ტიტიკო უკლებლად უგზავნიდა თავის ხვედრ ფულსა. მეტად მარდ, ცქვიტ არსებას არ უყვარდა მუდამ წარბებშეხუშვით ჯდომა ერთ კუთხეში, გამუდმებით სამეცნიერო წიგნებში ჩხრეკა, ანუ გაბერვით ყოყლოჩინაობა, ტრაბახი თავის ცოდნაზე, უსწავლელებთან უკადრისობა, ასეთი საქციელი ოქროსთვის შეუფერებელი, უცხო იყო. წმინდა, სპეტაკი გულით ყველას ერთნაირი ალერსით ეპყრობოდა, ცუდ მხარეს ფარდას აფარებდა, არა სჩხრეკავდა, რადგან იცოდა, სიკვდილის შვილი უნაკლულო შეუძლებელი იქნებოდა; მათში აღმოჩენილ სიკეთეს აფასებდა, პატივსა სცემდა. ოქროს ჯერ არ გადაეწყვიტა, თუ რომელ კერძო გზას დასდგომოდა ცხოვრებაში. ყოველი სასიკეთო საქმე, ყოველი საზოგადოება ერთგვარად ახალისებდა, ერთნაირ ყურადღებას აპყრობინებდა თავისკენ, სათნოს, მოსიყვარულეს დიდი თანაგრძნობა ჰქონდა დამსახუ-

რებული, როგორც უნივერსიტეტსა, ისე გარეთ საზოგადოება-
ში; დღითი-დღე იჩენდა სურვილს ხალხში ტრიალისას, მშვენი-
ერი თვალტანადი არა ერთ ყმაწვილ ქალს აუძგერებდა გულსა.
ისიც მათთან დროს ატარებდა, სიამოვნებდა. მას გაეცნო რამ-
დენიმე ოჯახი, სადაც დაიარებოდა ხშირად, არ ეძლეოდა თავ-
დავიწყებულ აღტაცებას, გულს აკლდა სითბო, სიტკბოება სა-
ქართველოსი. უცხო ქვეყნის ცივი ჰაერი, ბურუსიანი დღეები
თავის ელფერს აყენებდნენ ოქროს მხურვალე გრძნობით აღსავსე
არსებას; მისი გულ-მკერდი მოკლებოდა ნეტარებას, ესწრაფებო-
და სამშობლოში დაბრუნებას, სადაც დაბადებულიყო, გაეტარე-
ბინა ბავშვობა, ახლა კი დავაჟკაცებულს უნდოდა თავისი ძალა
და ღონე შეეწირა ძვირფას ქვეყნისთვის... ოქროს თავი ახ-
სოვს შვილი წლიდან. აგერა მთელი ოჯახი ზაქარია სარდიონიშ-
ვილისა... ყველაზე ნაბოლარა ოქროა. მაკინეს საპატიო ადგილი
უჭირავს ოჯახში; თუმცა ქალია, მაგრამ დედ-მამა თითქმის ყვე-
და შვილებს მას თავს შემოავლებს... ნეტა რა მიზეზია? ნუთუ
მაკოს საგანგებო მშვენება?.. ოქრო ვერ მიმხვდარა ნამდვილს,
ხშირად კი ეყურება აღტაცება მშობლებისა.

— მაკინე სხვაა! ეს არის ჩვენი გამაბედნიერებელი, სიქა-
დულიო! — თვითონ ოქროც, რომელსაც უყურებდა თექვსმეტი
წლის მტკიცე, მედიდურ გოგონას, უნებურ მოწიწებას, მორ-
ჩილებას გრძნობდა პაწია გულში. ამათი ოჯახი საუკეთესო-
თაგანი იყო საქართველოში. ზაფხულობით სცხოვრობდნენ სოფ-
ლად, ზამთარში კი ქალაქში ჩადიოდნენ, ოქრო რაკი პატარა იყო,
მასთან ცოტას საერთოს პოულობდნენ დები და ძმა. მაკინე,
მაშინვე გართული უფროსებში, ოქროს უყურებდა ისე, როგორც
შეეფერებოდა მფარველ მოსწრებულ დასა. ხშირად უალერსებდა
მეტად მოსიყვარულე ოქროს და ამ უკანასკნელს ხიბლავდა. რო-
ცა მაკინე მოისურვებდა და-ძმასთან მხიარულებას, შეაგროვებ-
და მათთან მეზობლის ბავშვებსაც, ამოარჩევდა იმისთანა სა-
თამაშოს, რომ თვითონ ქალბატონობა შეხვედროდა, დანარჩე-
ნები კი მონა-ქვეშევრდომნი ყოფილიყვნენ. ეს თამაშობა ძალი-
ან მხიარულად ჩაივლიდა ხოლმე, რადგან ყველას შესაფერი ად-
გილი დაეჭირა. ერთხელ განომ მოინდომა მაკინეს მოადგილე-
ობა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბავშვებმა და დიდებმაც ერთხმად
შესძახეს:

— დედოფლობა, ბატონობა მარტო მაკინეს ეკუთვნის!

ისიც იფერებდა, იღიმებოდა, ოქრო ხშირად მარტოდაც დარჩებოდა ხოლმე, რადგან დები და ძმა სწავლობდნენ ქალაქში. ოქრო შინ დაუასლოვდებოდა სოფლის პატარა ბიჭებს, რომელნიც მოუცვივდებოდნენ, როცა კი ზამთარში შეესწრობოდა სოფლად, როდესაც მზე მისუსტებულ სხივებს მოაშნევდა, თოვლით დაფენილ მიდამოს ათასფრად აბრჭყვიალებდა, მაყურებელს თვალსა სჭრიდა. ამისთანა დღეში ოქრო გამოდიოდა ციგით, შეუერთდებოდა ამხანაგებს და მათ მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. მეტადრე მაშინ, როდესაც დღესასწაულები ახლოვდებოდნენ, შობა, ახალი წელი. ისინი შეგროვდებოდნენ, წინდაწინ მოილაპარაკებდნენ, თუ როგორ უკეთ მიეგებებოდნენ ამ სანატრელ დღეებსა.

— ჰა, სვიმონა, ხომ მოხვალ მოსალოცადა? — ეტყოდა ოქრო პატარა ბიჭსა.

— რას არ მოვალ!

— მოხვალ და მეც ერთ დიდ ნაჭერ გოზინაყს ავარჩევ, მოგიტან და გეტყვი: — ასე ტკბილად დამიბერდი-მეთქი, ჰოდე?

— კარგი.

— მე, ოქრო?

— მე? — გაისმოდა ყოველ მხრიდან.

— ყველას... ჯერ მეკვლემ ჩვენ უნდა მოგვიკვლიოს. მეკვლე დააწყობს ხონჩაზე გოზინაყს, ხილს, შემოვა, ჯერ დედ-მამას დააბერებს, მერე ჩვენა, მოსამსახურეებს და მერე კი თქვენა... მაგრამ თქვენა?.. თქვენ რო გოზინაყი არა გაქვთ? — დაუმატებდა ოქრო თანაგრძნობით.

— ჩვენ ვაშლები გვაქვს-რა! — შესძახებდა ერთი.

— ჩვენ ჩურჩხელები!

— ჩვენ ჩირი!

— ჩვენ წყლით შემოგვილოცავს ხოლმე ბიძიაი.

— წყლითო! როგორ თუ წყლით? — გაიოცებს ბავშვებმა.

— რა გაიკვირვეთ! მაშ წყალი კი არ დაგვჭირდება ხოლმე? რა დიდი რამ უნდა შვილოსანია! დილა ადრიან გაიქცევი უბარი, მდინარესთან, აავსებ კოკებს, როცა კარებთან მოხვალ, სამჯერ დაიძახებ:

მოწყალემა წყალი მომცა,
ყინული დაულევლი,
ისემაც შენ ნუ დაილევი,
როგორც მე ვარ ულეველი!

მესამე სიტყვაზე კარებს გაგიღებენ და შემობრძანდებით!

— არა, მე გოზინაყით მირჩევნიან მოკვლევა! — სთქვა მიხამ.

— მეცა! მეცა! — შეყვირეს ერთხმად ბავშვებმა, მომავალ დღესასწაულების ზეგავლენით გამხიარულებულნი, შედგნენ სახლის აივნის ქვეშ დაყრილ ფიცრებზე, ხტოდნენ და გაიძახოდნენ:

ღმერთო, მოკალ პაპუნათ!
წვიმა მოდის მხაპუნათ!

ამ ლექსს იმეორებდნენ, ტაშს უკრავდნენ, გარბოდნენ და გამორბოდნენ. თუმცა ოქროსა და მის ტოლებს მალე აუხდებოდათ ხოლმე ნატვრა, შობას, ახალწელიწადსა, ნათლისღებას მოჰქონდა გამოუთქმელი სიხარული, მაგრამ ესენი არ კმაყოფილდებოდნენ, ზურგს შეაქცევდნენ განვლილ დღეებს, წინანდებურის ხალისით უყურებდნენ მომავალ დიდმარხვას, რომელსაც უნდა გაეთენებინა აღდგომა, აღდგომას მოჰყვებოდა გაზაფხული ყვავილების კონებით, ბუნების დედოფლად კურთხევა, მეჯლიში, შემდეგ ზაფხულის და შემოდგომის დაპურებული, გემრიელი ნაყოფი და ვინ იცის, როდის დასრულდებოდა ოქროს ნატვრა-სურვილი? ოქრო ცდილობდა მუდამ ტოლებში ყოფილიყო, მაგრამ მერე და მერე გაუჭირდა ამ სურვილის შესრულება, რადგან დიდედა მაგდანმა დააწყებინა წიგნის კითხვა. თუმცა სწავლა ეხალისებოდა ოქროს, მაინც განიადაგებით ლოცვების ბუტბუტი, რომლის მნიშვნელობა ძნელად ეყურებოდა, გულს უჯერებდა მკვირცხლს, სიცოცხლით სავსე ბავშვსა. დიდა ადრიან ხატებ წინ უნდა ემეორებინა მთელი დაუჯდომელი, რომელსაც ხმამაღლა უკითხავდა სათვალეებიანი მაგდანი. მერე კი სულით და გულით დაუმორჩილდა გულკეთილ მოხუცებულს. ამ უკანასკნელმა მიიბირა ალერსით და სხვადასხვა საჩუქრებით. ისე შეეჩვია დიდედას ოქრო, რომ ხშირად ამოუჯდებოდა გვერდით და ააპბობინებდა სხვადასხვა ზღაპრებს, მოთხრობებს საღმრთო წერილიდან, ისე რომ ექვსი-შვიდი წლის ბავშვმა იცოდა

იესო ქრისტეს ცხოვრება. ბუნებისაგან მონაბერმა ძლიერმა სიცოცხლემ ოქროში ლონივრად შეიფრთხიალა, გამოფხიზლდა, შესცინა თანაგრძნობით შემომქმედს... ახალ ნორჩზე მიჯაჭვული მაგდანი მუდამ ჩაღაპარაკობდა თავისიანების, მეგობართა, გაჭირვებულთა შებრალება-სიყვარულს. უიმისოდაც მოსიყვარულე ოქრო მომეტებულად თავდაჭერილი იყო სხვის წყენაში... ყოველ კვირა-უქმე დღეს დიდედას მიყავდა ეკლესიაში ღვთის სადიდებლად. იქ გულმოდგინებით ყურს უგდებდა ოქრო მოძღვარს, რომელიც ქადაგებდა ქრისტეს სწავლას. მოხუცებულთან ერთად დაჩოქილი ვედრებით უყურებდა ხატებს. აგერა მაცხოვარი, ღვთისმშობელს ხელში უჭირავს ყრმა, რომელიც შემოსცინის ოქროს, ეს ხომ პატარა იესოა. ისეთივე ძლიერი, როგორც დიდი ღმერთი! ოქროს გული ფანცქალებს, ტუჩები იმეორებენ:

— ღმერთო, შენ მიცოცხლე დიდედა, დედ-მამა, და-ძმა, ყველა აცოცხლე, ვინც კია ქვეყანაზე!.. მომე ჭკუა-გონება, დიდი კაცი გამზარდე!.. ღმერთო, შეისმინე ჩემი ლოცვა, რომ ყველა გაჭირვებულს შევეწიო. — ამ დროს იესოც თითქო უცინის, თვალებს ხუჭავს, მეტისმეტ გრძნობით თავს უხრის თანხმობის ნიშნად. ოქროს სიხარულისაგან თვალებში ცრემლები ერევა, მაგდანიც სასოებით ლოცულობს, შესთხოვს შვილების კეთილდღეობას, თავისთვისაც თავის დროზე სასუფეველში ადგილს. როგორ დაავიწყდება ოქროს ყველა ეს, სანამ ცოცხალია? აგრეთვე ერთი შემთხვევაც, რომლის შემდეგ სულ სხვა მხარეს მიიმართნენ გრძნობის, მოსაზრების მისწრაფებანი. ერთხელ მაგდანი ჩვეულებრივად იჯდა პატარა ოთახში, კითხულობდა დავითნს, როდესაც კარი შეაღო ოქრომ. ის მეტად დაღადულიყო, ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

— შეხე, დიდედო, რა დავიჭირე! — შემოსძახა ამან და გაუშვირა დამუჭული ხელი.

— რა, სიხარულო?

— პეპელა, დიდედო, ბუჩქებზე დავიჭირე.

— აბა მაჩვენე!.. საწყალი პეპელა! შეხე, ბიჭო, ფეხი მოგიტეხია. — წარმოსთქვა დაღონებით მაგდანმა, ხელის გულზე დაისვა მიბნედილი პეპელა, ოქროს თავი გადაეგდო უკან, ხელებგაპყრობილი გაშტერებით შეჰყურებდა თვალ-წარბში დიდედას.

— სად დაიჭირე, შვილო? ცოდო არ იყო?

— ცოდო რად იყო?.. — აკი არჩილმაც დაიჭირა, წაიყვანა! მაშ არ უნდა დაეჭირა? — ანგარიშმიუცემლად ტიტინებდა პატარა.

— ცოდო იყო.

— არა, დიდედა, ცოდო არ იყო.

— ცოდოა, სიხარულო!

— არა! — დაჟინებით შესძახა ბავშვმა და ფეხი დაკრა იატაკს.

— იქნება მართალი იყვე, მაგრამ იცი, ბიჭო, ამას დედ-მამა ყავს, და-ძმა, საწყლები ახლა სხედან და ტირიან.

— დიდი დედაი? — იკითხა ოქრომ, მისი გაპობილი ტუჩები შეერთდნენ, სახეზე მოწყენა დაეტყო.

— მაშა, გენაცვა, დიდედაცა ყავს, აბა ახლა რომ მოვიდეს ვინმე, დაგიჭიროს, წაგიყვანოს შორს, რაღა მეშველება?

— როდი წავყვები-რა! — ნამადაგევის ღიმილით სთქვა ბავშვმა. — შენთან გამოვიქცევი, — დაუმატა პატარამ, თან შეშინებულის თვალებით მიმოიხედა.

— თუ იმ დროს ახლო ვიქნები, ვის დავანებებ ჩემ ოქროს, მაგრამ, ვთქვათ, დაგიმარტოვონ ისე, როგორც შენ დაიმარტოვე ეს პეპელა, ხომ ველარ მოგეშველები?! მაშინ ამ საცოდავს არავინ გააჩნდა ახლო, შენ კი უნდა გეფიქრნა და არ დაგეჭირა.

— რომ გაუშვა?.. — იკითხა კარგა ფიქრის შემდეგ ოქრომ.

— თავს შემოგევლება, დაგლოცავს, წავა და ღმერთს შეახვეწებს შენს კაი კაცობას.

— ჰაა მაშა! — შესძახა ოქრომ, ძირს დასდო დაბნედილი მწერი, შეშინებულმა შეხედა მაგდანს, რომელსაც ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე.

— როდი-ღა იძვრის, დიდედო?! რატო აღარ იძვრის?

— იმიტომ, რომ მოკვდა.

— მოკვდა? — გაიმეორა ბავშვმა, ის იყო აპირებდა ტირილს, მაგრამ ამ დროს მაგდანმა აღერსით ხელი დაუსვა თავზე.

— არა უშავს-რა, შვილო, ეგ ხომ უცოდინრობით მოგივიდა, თუ მერე გაუფრთხილდები, ღმერთი გაპატიებს.

— დიდედა, ხომ აღარ წამიყვანენ, გენაცვალე?.. — შესძახა ოქრომ, მოეხვია კისერზე გუდკეთილ მანდილოსანს, რომელმაც პატიების ნიშნად თვალები მოუკოცნა.

— აღარა, ჩემო კარგო, დღეის იქით ყველა უნდა გიყვარ-

დეს, ყველას უფრთხილდებოდე ისე, როგორც შენ გიფრთხილდებიან. — რა იყო მაგდანი ოქროსთვის? მთელი სარწმუნოება, უმანკოება, სიბრძნე და სიყმაწვილის მეცნიერება! დედ-მამისაგან მიუღია მარტო მშობლიური ალერსი, ხვევნა, კოცნა, მაგრამ დიდედასაგან კი ყველა კარგი, რომელიც გაღვიძებულა მის ნორჩ არსებაში, ღლემდის ფესვებს იდგამს დღითი-დღე. რვა წლის ოქრო მშვენივრად კითხულობდა ქართულს, თავისუფლად სწერდა. შემდეგ თავი უკრეს სასწავლებელში. არც აქ აკლებდა მაგდანი თვის ზეგავლენას. შეაჩვია შრომას, გაკვეთილებს ყოველთვის გულდადებით ამზადებდა მაშინ, როდესაც ძმა და დები სტუმრად დადიოდნენ ოჯახებში. ოქრო სწავლობდა თავჩაკრული. გახარებული ზაქარია ღმერთს მადლობასა სწირავდა, როცა მასწავლებლები ეუბნებოდნენ: ბედნიერი მამა ბრძანდებით, თავადო, რომ ამისთანა ნიჭიერი და ბეჯითი შვილი გყავთო.

— ენაცვალოს დედაი ჩემ ბიჭსა! — იტყოდა ხოლმე ეფემია და დაკოცნიდა. უფროსი შვილი ტიტიკო ავადმყოფობის გამო ძლივს გადადიოდა კლასიდან კლასში, თუმცა მეცადინე და ნიჭიერი, ოქროზე ნაკლები არ იყო. მაკინეს ერთი წელიწადი-ღა უკლდა ინსტიტუტის დამთავრებას, გასათხოვრად ემზადებოდა; მას მოსდევდა უკან აგრეთვე გაიანეც. ოქრო თავმომწონე ბიჭი მოდიოდა. გამოუცხადებდნენ თუ არა უფროსები, რომ ზეგ საღამოზე საყმაწვილო ცეკვაა დანიშნული კლუბში და უნდა წაგიყვანოთო, ის წინდაწინ შეუდგებოდა სამზადისს, მუნდირში გამოჭიმული, თავმოღამაზებული იპკურებდა ნელსაცხებელს, თამამად გასწევდა თავისებთან ერთად. საზოგადოების ყურადღება მაშინვე მიიქცეოდა ზაქარიას შვილებზე, რომელნიც განირჩეოდნენ სიმშვენიერით თუ თავდაჭერილობით. ოქრო გულით და სულით ეძლეოდა მხიარულებას, გაუჩერებლივ მისცურავდა ტკბილ მუსიკის ხმაზე, თავი ზეცაში ეგონა, ქვეყანა თითქო ამისი მონა-მორჩილი გამხდარიყო. ალტაცება უორკეცდებოდა, როდესაც ხედავდა მაკინეს გარს შემოხვეულს კავალრებით, დედოფალს სილამაზისას სიამოვნებით შეხაროდა ყველა, ოქროს თავმოყვარეობა, დისადმი გატაცებული სიყვარულით კმაყოფილდებოდა.

## XIII

განვლეს წლებმა, ოქრომ სანაქებოდ დაამთავრა სწავლა. მიემგზავრება მოსკოვის უნივერსიტეტისაკენ. ოქრო ლამაზია, ხმა ეწმინდება, ასაკში შედის, ლურჯი ჟუჟუნა თვალები სავსენი არიან სიცოცხლით. ოქროს გაუმართეს სადილები მეზობლებმა, ყველასგან იღებდა ლოცვა-კურთხევას, დარიგებას. მთელი სოფელი ფეხზე დადგა, გულდაწყვეტილი ამხანაგები დაღონებულიყვნენ, გრძნობდნენ ხვალ-ზეგ დაშორდებოდნენ ესენი ერთმანეთს და ვინ იცის როდის-ღა შეხვდებოდნენ? ყველასთან ალერსიანი ოქრო მხიარულად ატარებდა მიწურულ დღეებს ტოლებთან. ჩქარობდა მოკლე ხანში შეესრულებინა ყველა ის, რაც მოაკლდებოდა წასვლის შემდეგ.

ოთხი წელიწადი იყო, რაც ტიტიკოს თავი დაენებებინა სასწავლებლისთვის, რადგან ექიმებს სასტიკად აეკრძალათ, მას საქმე უკვე გაეთავებინა ანიკოსთან და ოჯახში ოქროს გარდა ჯერ არავინ იცოდა... ნაცნობ ქალებში ოქროსაც ყველაზე მეტად მოსწონდა იოსებიანთ დარო, რომელიც სწავლობდა ტფილისის სასწავლებელში. ანიკოს მეგობრობდა, რამდენი სასიამოვნო საათები გაუტარებია ოქროს ანიკოს სახლში, სადაც კვირა-უქმე დღეს დადიოდა ხოლმე სტუმრად. დრო იცოდა, როცა დარო უნდა მოსულიყო მათთან, ესეც მაშინვე იქ გაჩნდებოდა მორთულ-მოკაზმული. სახეგაბრწყინებული, ყურებამდის გაწითლებული, მოელვარე თვალებით იჯდა მაგიდასთან, თავდაღუნული ხანდახან გაპარვით გადახედავდა დაროს, რომელიც უზრუნველად ჩქარ-ჩქარა უამბობდა რაღაცას ანიკოს, ან მის მოხუცებულ დედა სალომეს... ოქრო ამ დროს გრძნობდა სირცხვილს, მოკრძალებას, ამასთანავე ეტოდვას, სურვილს დაროსთან სადაპარაკოდ.

— განა გამოცდები ჯერ არ დაგწყობიათ? — ხელების ფშვნეტით ეკითხება ოქრო დაროს, როდესაც ქალი მიუახლოვდა მაგიდას.

— ჯერ არა, მაგრამ მგონი ბევრსაც არ დაიგვიანებს! — უპასუხა მან დაუდევრად.

— მერე, არ გეშინიათ?

— ჩემთვის სულ ერთია.

— მაშ გამარჯვების იმედი გქონიათ? — განაგრძო ოქრომ, რათა დაროს არ შეეწყვიტა დაპარაკი.

— ჩემს ნებაზე რომ ვიყო, სულაც თავს დავანებებდი ამ გამაბეზრებელ სასწავლებელს, — დასძინა დარომ და მოწყენით შეხედა მოლაპარაკეს. ოქრო ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა ქალის ასეთი დაუდგრომლობა: წუთს რომ უზრუნველად იყურებოდა, წეთს მოიწყენდა.

— მერე ოცნება თავისუფალ შრომაზე?

ქალმა გადიხარხარა.

— სისულელეა! — წარმოსთქვა მან და დაცინვის გამომხატველი თვალები მიაჩერა ოქროს, რომელსაც თითქო შერცხვაო, გაწითლდა, არჩია გაჩუმება. კმაყოფილი არ იყო ამ პასუხისა; თავმოყვარეობამაც წასჩურჩულა: არაფრად აგდებს ამ დაპარაკს, არა სურს შენთან გატოლება, გათანასწორება, ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ბავშვთანაო.

ოქრო მალე დაიძრა. მას აქეთ იშვიათად ხვდებოდა დაროს, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ წინანდელი სურვილი, სიყვარული უეცრად გაუქრა გულში, შეხვედრის დროსაც არავითარ აღელვებას არ ამჩნევდა თავის თავს, არამედ დამშვიდებით უყურებდა ჩვეულებრივ ქალს.

— რა ადვილი ყოფილა სიყვარული!.. გულის გაგრილება! — გაოცებით იტყოდა და საშინლად უკვირდა, როდესაც ხედავდა ამდენხანს ტიტიკოს აღტაცებულ გრძნობას ანიკოსადმი. ანიკო ღარიბი აზნაურიშვილის ქალი იყო. ის არსად არ მიუბარებიათ, აღზრდილა მარტო თავის დედის გვერდით და შეუსწავლია ის, რაც უნახავს თუ გამოუცდია... ანიკო ლამაზი, მიმზიდველი მოსჩანდა, უყვარდა შრომა, დედა-შვილს დაექირავებინათ ოთხი ოთახი ქალაქში, სცხოვრობდნენ თუმცა ღარიბულად, მაინც ფაქიზად, სუფთად. ამათ აეყვანათ შეგირდი ქალები ბინად და მათგან აღებულ ფულით საზრდოობდნენ. ტიტიკომ და ოქრომ გაიცნეს ეს სახლი ერთი ამხანაგის წყალობით. მას ბინა ანიკოსთან ჰქონდა და დადიოდა სასწავლებელში. ტიტიკო ხშირად დაიარებოდა, აკვირდებოდა ანიკოს, რომელიც სიამოვნებით ეგებებოდა სტუმრებს. შეგირდებიც ძალიან ემადლიერებოდნენ სახლის პატრონებს და ყველა ნაცნობი პატივსა სცემდა ამ სიწდისიერ ადამიანებს... ანიკოს დიდიხანია მამა მოკვდომოდა, დარჩენი-

ლიყო მოხუცებუღ ღეღის ამარა, მაგრამ ქაღი არ შემკრთაღა, გამოიღო ღონიერი მარჯვენა სამუშაოდ, ღეღაც უკან არ ჩამორჩენია... ანიკო მარტო შეგირდებში აღებუღ ფუღს არა სჯერდებოდა, ის კერავდა მშვენივრად თეთრეუღს თუ კაბებს და არა ერთი ოჯახი უკვეთავდა. ყოველ თვეში ის თანდათან უმატებდა შრომასა. ტიტიკოს თვალებში არ დამცირებულა ანიკო, არამედ მეტს პატივისცემას გრძნობდა მისდამი, თუმცა კი თავის სახლში არ ამხელდა ამათთან ნაცნობობას. ანიკომ და ტიტიკომ შეამჩნიეს ერთმანეთს ფარული, მაგრამ ძლიერი გრძნობა... ქალი ხედავდა ასე მახლობლად ძვირფას არსებას და ღლითი-დღე მაისის ვარდივით იფურჩქნებოდა... შემდეგ ოქროს ბევრჯერ შეუსწრია თვალი გადახვეულ მიჯნურთათვის, მაგრამ ვითომ ვერ დაუნახავს, ბოლოს თვითონ ძმამაც აღარ დაუმალა, უთხრა, რომ თუ როდისმე იღირსებს ცოლს, ანიკოს გარდა არავინ უნდა. ოქრო შეკრთა, ამან მარტო ახლა გაითვალისწინა ის შთაბეჭდილება, თითქმის ეღდა, რომელსაც მოახდენდა ეს მოულოდნელი შემთხვევა ოჯახზე, როგორ მიიღებენ ანიკოს მშობლები, დიდედა, მაკინე და განო?.. იპოვნიან ამასთან რაიმე საერთოს?!
ტიტიკო კი მტკიცედ გაიძახოდა:

— რა მენაღვლება! არ მიიღებენ, მაშ მეც დამკარგონ... ანიკოს არ გაუკვირდება, არ შეეშინდება სიღარიბისა... დავრჩებით, როგორც იქნება. მაგაზე უკეთესს ვერავის შევირთავ... ჯანით სუსტი კაცი ვარ, თავს მივანდობ ანიკოს ანგელოზ ნაზ გულზე, რომელიც ყოველთვის დამიფარავს განსაცდელისაგან და ჩემს სისუსტეს უკვდავების ცვარს აპკურებს.

— ტიტიკო, შენი ჭირიმე, ნუღარ მეუბნები, მეშინიან! — შესძახებდა გამოუცდელი, ჯერ კიდევ ნორჩი ოქრო.

— რისი?

— ჩვენებმა რომ გაიგონ, მე ვიცოდი და არ შევატყობინე, ხომ დამაყვედრებენ? დიდედასთან დაფარული არა უნდა მქონდეს, თუნდ მაკინესთან?

— ოხ! არა არა, ოქრო, ამ საგანში მე უნდა შემომწირო თავი, ჯერ ნუ იტყვი, ამითი არა დაგიშავდება-რა, არც ღმერთი დაგსჯის, მეც ამაცდენ რისხვას, რომელიც ძალიან ადრე დაიწყობა.

— მაშ, ღმერთი არ დამსჯის სიცრუისთვის?..

— როგორი სიცრუეა, როცა არას იტყვი?... განა ღმერთი დასჯის თავგანწირულ ძმას ძმისთვის?..

„გიყვარდეს, შვილო, ყველა ისე, როგორც შენი თავი, აკი დიდედაც ამას ეუბნება ხოლმე!" — გაიფიქრა ოქრომ და დამშვიდდა...

ასრულებდა ძმის თხოვნას, თან გულში ამაყობდა, რომ შეეძლო თავის განწირვა ტიტიკოსათვის.

ოქრო შეუდგა რუსეთისაკენ წასასვლელად სამზადისს. ოქროსთან ერთად სწავლა დაამთავრეს გიორგი შრომიაშვილმა, ისიკო ზაალიშვილმა და სიმონ ქარვაშვილმა. ესენი მეგობრობდნენ ერთმანეთს, რადგან სასწავლებელში ერთად შესულიყვნენ, ერთადვე მიემგზავრებოდნენ რუსეთისკენ. ოქრო დაბრუნდა სოფელში, რომ წასვლის წინა დრო გაეტარებინა დედ-მამის ოჯახში. გამართა დაუვიწყარი ნადიმი მოხდენილ ტოტებგადახურულ კაკლებქვეშ. მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა მიიწვია, ისინიც სიხარულით მიეშურებოდნენ ოქროსკენ, რომლისგან სიკეთის მეტი არა მოაგონდებოდათ-რა. მთელი სოფელი აღტაცებას მისცემოდა, ჰაერში წკრიალებდა სასიამოვნო ფერხული, მაგრამ ყველა ამას თითქო არ თანაუგრძნობდნენ ოქროს მახლობლები, მათ აშკარად ეტყობოდათ ძალდატანებული ყალბი მხიარულება. თვალებში ცრემლებმორეული მაგდანი შესჩერებოდა თავის ნებიერს; უეჭველია, იმ დროს ფიქრობდა:

— განა კიდევ მოვესწრობი შენს ნახვას, თუ არაო? — ოქრო ცხადად ხედავდა ამ ფარულ ნაღველს, მაგრამ თავშემაგრებული იდგა ჭიქით ხელში, მადლობას უძღვნიდა ხალხს თანაგრძნობისთვის, პირდებოდა დაბრუნებას, საშველად ხელის გაწვდენას, დადგა წასვლის დროც. ხვალ საღამოს შვიდ საათზე გასწევს! ბათუმისკენ, იქ დახვდებიან ამხანაგები, ერთად წავლენ. უკანასკნელი ღამეა ღლევანდელი ღამე! რა ძნელი ყოფილა შორს გამგზავრება! ოქროს ძილი არ ეკარება, მოუსვენრად ტრიალებს ლოგინში, თვალს არ აშორებს შეკრულ ბარგს, ოთახში სრული მდუმარებაა, გული სწყდება, ცრემლები დულილით მოსდიან, თანაც სცხვენიან, ჩვიდმეტი წლის ვაჟკაცი ბავშვსავით როგორ ატირდეს... იქითა ოთახის კარი ღიაა, ხედავს საწოლს, რომელიც ცარიელია... სად არის ამ დროს?.. ნუთუ არა ფიქრობს ოქროზე? დები, ტიტიკო, დედ-მამა! აღარ ახსოვთ, რომ ხვალ მიდის ოქ-

რო იქ, სადღაც, და ვინ იცის როდის დაბრუნდება! აცა, ეგერ წმინდა სანთელი ანთებულა, ჰკრთის, ციმციმებს! ოქრო აკვირდება, ხედავს ძვირფას დიდედას. მას დაუჩოქია ხატების წინ და ლოცულობს... რა მადლიანი სახე აქვს!.. თვალები მოწიწებით შესჩერებიან ხატს, რომელიც თავისი მხრით პირჯვარსა სახავს. ოქრო ხედავს მაგდანის ლაწვებზე დაცურებულ მარგალიტ ცრემლებს. ლოცულობს ღმობიერად. ვისთვის?.. უეჭველია ოქროსთვის!

რა კარგია იმ ოთახში! რა მყუდროებაა! რა სითბოა! რა ძნელი დასათმობია! რა მოუვა მერე? არა, ეს წმინდა ლოცვა-ვედრება თან გაყვება. დიდედისაგან მოცემულ პატარა იესოს ხატს გულზე მიისვენებს... ის გამოიხსნის ყოველ გაჭირვებიდან... ოლონდაც, ოქროს სჯერა, როგორ არ დაიჯეროს, როდესაც არწმუნებს მაგდანისთანა წმინდა ადამიანი! მაგდანის თვალები განაგრძობენ უსიტყვო ვედრებას, ოქროს თითქო მკაფიოდ შეესმის მათი შინაარსი. რაღაც უხილავი ძალა ჩასძახის ყურში:

„ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისთვის, რამეთუ იგინი განძღნენ; ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ; ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა; ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდებოდნენ". ეს სიტყვები სწვდებიან გულში ოქროს, შიგ სადგურდებიან, მტკიცედა სწამს, ამ სიტყვების ჩაყოფით უნდა მოიფინოს იმისი ჯერ უცნობი მომავალი გზა. ოქრო მოწიწებით ხელს იღებს, პირჯვარს ისახავს გულზე თანხმობის ნიშნად, თან ისევ მაგდანს უყურებს. მოხუცებულს მუქი მიხაკისფერი კაბა გამოსწყობია მაღალ სრულ ტანზე, უწინდებურად დახურულ თავზე გადაშლია ლეჩაქი, მისი ყურები ნიკაპქვეშ ამოტარებული აქვს. ორი თეთრი ნაწნავი წინ გადმოსცვივნია, მთელი არსება ითხოვს ყველასგან მოწიწებას. დიდედა ყველას უყვარს, ყველა პატივსა სცემს ოჯახში. მეტად მოსიყვარულე ადერსიან არსებას დაუმყარებია სახლში მშვიდობიანობა, სიწყნარე, სარწმუნოება, რომელიც მტკიცედ უჭირავთ. ზაქარია თვალ-წარბში უყურებს მშობლებს. ჯანგატეხილი, სუსტი, მაგრამ კეთილი ეფემიაც დამონებია. მაგდანი არა სარგებლობს ამ უპირატესობით მარტო თავის სასარგებლოდ, არამედ ზედ ადევს ისევ ძვირფას

არსებათ. ზაქარია მდიდარი თავადია, დიდის დამოკიდებულებისა, გონიერი, პატიოსანი. ამის შემდებით თუმცა გარეშე პირნიც სარგებლობენ მოტყუებით, მიფერებით, მაგრამ ის მაინც წარბს არ იხრის, ამბობს:

— ეჰ, ცხოვრება ასეთია!.. რას იზამ!.. დაე წაიღონ... იცხოვრონ, იქნება ოდესმე ჭკუას მიეგონ, მათი შვილები უფრო წედგამართულნი, შეგნებულნი მოეშველნენ ამ ჩვენ დაცემულ ქვეყანასო!

ზაქარიამ ამასთანავე იცოდა ანგარიშიანად ცხოვრება. ვაჲის ალება კი უმძიმდა, ერიდებოდა, როგორც სიკვდილს. შვილებსაც ჩასძახოდა: გაფრთხილებულიყვნენ, ყვარებოდათ ურთიერთი, ერთს მეორესთვის თავი შეეწირა... დაუფარავად უამბობდა, თუ რა საშინელი შედეგი მოსდევდა თავმოყვარეობაბოროტებას. ყველა სულგანაბით უსმენდა მშობელს. ზაქარიასაც გაგიჟებით უყვარდა შვილები, მაგრამ ყველაზე უფრო მაკინე... რისთვის?.. ამ კითხვაზე ძნელად მოგიგებდათ პასუხს, იქნება კიდევაც გადაეფიცა, მაგრამ ასე იყო... ზაქარია გავდა თავის დედას, მათი აზრები, მისწრაფებანი ერთი და იგივენი იყვნენ... ორივეს ნატვრა-სურვილი მდგომარეობდა მასში, რომ შვილები ყოფილიყვნენ ჭეშმარიტი მშრომელი ქრისტიანები, ამასთანავე ღირსების, თავმოყვარეობის დამცველნი... ზაქარიას შეერთო ეფემია არა სიყვარულით, არა მოწონებით, არამედ ანგარიშით: ეფემიას მოეტანა მზითვად კარგი შეძლება. ცოლ-ქმარს შორის მაინც დამყარებულიყო პატივისცემა და ეფემიას მხრივ დიდი მორჩილება. ეფემია იყო კოხტა, მოხდენილი, ქეიფის მიმდევარი, როგორც დედისერთა, გადალებული და საქმის უჩვევი... ვერც კი იგებდა შვილების დაზრდას დედამთილის წყალობით. მაგრამ მაკინესა და მაგდანის ერთმანეთთან დამოკიდებულება უჩვეულო იყო. მაკინე ხშირად ეურჩებოდა მას, არ უგონებდა, განაგრძობდა მედიდურად, ამპარტავნად ქცევას, რაც დიდ ზეგავლენას ახდენდა ოქროსა და ტიტიკოზედაც... შეშფოთებული მაგდანი წარბს შეიკრავდა, იწყებდა ლოცვას, ავედრებდა ღმერთს, მაკინესკენ გამოეგზავნა თავისი მფარველი კალთა, დაეწყნარებინა, დაემშვიდებინა.

ოქროს სიყვარული დიდედას მიმართ სულ სხვა იყო, დიდედაც არჩევდა მას სხვებში. მერმის თიბათვემდე ოქრო ვერ

ნახავს ამათ?! რა დიდი ხანია! ოქრომ კვლავ თვალი მოავლო იქაურობას. ოთახში იდგა სუფრაგადაფარებული მაგიდა, რამდენიმე სკამი, კედელზე დაკიდებული სურათები. წინათ ოქრო ყურადღებას არც კი აქცევდა ყველა ამათ. საწოლს გვერდით მოდგმული სამწერლო მაგიდა განაგრძობდა ხელშეუშლელად ყოფნას; ამჟამად ეს ჩვეულებრივი ნივთები ილებდნენ მეტად მომხიბვლელ სახეს. თითქო ყურში საყვედურსაც ჩასძახოდნენ თავდანებებაზე. ოქრო კვალად შეინძრა, უნდოდა უსიამოვნო ოცნება მოეშორებინა თავიდან. მიაჩერდა ისევ მეორე ოთახს, ველარ დაინახა დიდედა, დასუსტდა ფიქრებით, ჩაიძინა. მეორე დღეს კარგა გათენებულიყო, როდესაც დასდგომოდა მამა, აღვიძებდა.

— ოქრო, შვილო, ადექი, უნდა მოემზადო, მოასწრო სალამომდე ჩალაგება, არა დაგრჩეს-რა.

ოქროს თვალები ღია დარჩა. წუხანდელ უსიამოვნო ფიქრების წყალობით მოქანცულმა მაინც იწყო ჩქარა ჩაცმა, პურისსაჭმელ ოთახში ჩაისთვის შეგროვილიყვნენ, კოვზების წკარუნი მოისმოდა. ესეც შევიდა იმათთან, დიდედას ხელზე აკოცა. სამოვარი ყურს არ უგდებდა ამათ მოწყენილობას, მხიარულად ქაფქაფებდა. აგერა, გადია მანე ვითომ მტვერსა სწმენდავს, ხანდისხან აღმაცერად გადმოხედავს თავის გაზრდილს და თავშემაგრებით ამოიოხრებს. ოქრო თვალს არ აშორებს მშვენიერ მაკინეს, რომელიც ჯეირანსავით ყელმოღერებული ზის, მედიდურად ელაპარაკება განოს. ეს უკანასკნელიც მისჩერებია სახეში და ყოველ სიტყვაზე ეთანხმება. ოქრო ორივეს უყურებს... განო ძალიან გავს ეფემიას... მასავით სუსტია... უეჭველად, სანამ დაბრუნდება, ორივ დები დაუთხოვდებიან... ტიტიკოც დაფიქრებული გამოიყურება სარკმლისკენ, უსათუოდ ანიკოზე ფიქრობს. ეფემიას გადატეტკილ სახეს და დაწითლებულ თვალებს ეტყობათ წუხელის მოუსვენრად გაუტარებიათ ღამე. დიდედას სახე კი ჩვეულებრივ დაწყნარებულია და ნელ-ნელა, ნება-ნებისად ჩაის მიირთმევს...

— აბა, ოქრო! ვინძლო, შვილო, რიგიანად მოიქეცი, იმედი არ გამიცრუო! — უთხრა ზაქარიამ და აღელვებულმა იწყო უდავაშების გრეხა, — შენს გვარსა და ოჯახიშვილობას რაც არ შეეფერობს, ნუ აკადრებ! — განაგრძო მან: — ნუ აყვები ზოგიერთ გაქსუებულ ბიჭბუჭებს, რომელნიც გადასულან გზასა მართალთა,

იმათი ბაძი არ გარგებს. ისწავლე, შვილო, გამოდი შეგნებული, სინდისიერი კაცი, რათა გამოადგე როგორც ოჯახს, ისე ქვეყანას, რომელსაც, ძალიან უჭირს. სახლში მყოფებზედაც იფიქრე. შენს დაბრუნებამდე... — აქ სიტყვა გაუწყდა ზაქარიას, — ვინ იცის, შვილო, როგორ იქნება! სიკვდილ-სიცოცხლეა! დები დასათხოვრები გყავანან, მარტო ტიტიკო ვერას გახდება. ჯავრს ნუ ჩამაყოლებ, შენი იმედი მაქვს, ბიჭო! — ძლივას დაუმატა ზაქარიამ. ის ხშირ-ხშირად ისვენებდა, ცხვირს იხოცდა, ცოტაოდენი შემაგრება მიეცა ცრემლებისთვის, რომელნიც დამობდნენ თვალებიდან გადმოჩქეფას. ოქრო გაჩუმებული უსმენდა მშობელს, ნაძალადევის ღიმილით უყურებდა დედას, გაიანეს, ისინიც ტიროდნენ, ბოლოს ზაქარიამ წარბშეკვრით შეუძახა:

— რას გამოსულელებულხართ? შვილი საბედნიეროდ გაგვიმზადებია, სატირალი რა გაქვთ?!

საღამო მოახლოვდა. ოთხცხენშებმული ეტლი გაჩერდა სახლთან. ოქრო დიდედას წინ იდგა ფერმკრთალი, მოხუცებული დოცავდა, კოცნიდა, ცრემლით სახეს უბანდა.

— იქნება ველარ ველირსო შენს ნახვასა, ოქრო! მაშ გახსოვდეს, შვილო, ჩემი სიტყვები... ღმერთი გიყვარდეს, დედმამა, თავისიანი, ქვეყანა... არ დაივიწყო დიდედაშენიც, მოიგონე, რომ იმასაც ბევრჯერ უფიქრია შენი ბედნიერებისათვის. სანამ ცოცხალი ვარ, ნუ მომაკლებ წერილს, მოვკვდები, შვილო, და ხანდისხან ლოცვაში ღმერთს შეავედრე ჩემი სული სასუფეველისთვის, უმანკო ბიჭისგან უფრო შეისმენს.

მაგდანის შემდეგ გულში ჩაიკრა ეფემიამ. მან დალაპარაკება ველარ მოახერხა, უსიტყვოდ ქვითინებდა. როგორც იყო, ძლივს თავი გაინთავისუფლა ოქრომ, დაკოცნა ძმა და დები, სთხოვა, აღუთქვა წერილებით მოგონება, გამოეთხოვა მოსამსახურეთ, ჩაჯდა ეტლში ზაქარიას გვერდზე. სოსემ გადუქნია მათრახი ცხენებს, ეტლი დაიძრა და გაგრიალდა სწორე გზაზე.

## XIV

ოქრო შეეჩვია უცხო მხარეს. მის გარდა უნივერსიტეტში ათი-თორმეტი ქართველი კიდევ იყო. ვანო მართალიშვილი, მეტად პატიოსანი, ბევრით უფროსი ოქროზე, მაინც გულით და სუ-

ლით გაუთანასწორდა მას, თანაც თავის მჭევრმეტყველურ სჯა-ბაასით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გამოუცდელ ყმაწვილზე, როგორიც იყო ოქრო მაშინ. ოქრო გულმოდგინებით ყურს უგდებდა, როდესაც ვანო აუწერდა ცხოვრებას, აფრთხილებდა, მაგრამ დასდგომოდა ყოველ წუთს, რადგან საწუთრო მეტად გაუტანელი მოსჩანდა. ოქრო მეგობრებთან ერთად შესდგომოდა საქმეს, დღითი-დღე გამარჯვებაში შედიოდა. შინიდანაც მოსდიოდა წერილები, იგებდა ოჯახის ზოგიერთ ცვლილებათ; ტიტიკოს ანო შეერთო, მაკინე გაეთხოვებინათ.

„შვილო! — სწერდა სხვათა შორის ზაქარია: — იმედია, ზაფხულში განახავთ შენი მოხუცებული მშობლები. მაკინე ბედნიერი გვყავს, მდიდარმა, შესაფერმა კაცმა წაიყვანა. მოხვალ, ნახავ, მოგეწონება. ახლა დაგვრჩა განო, ამასაც, ღვთით კარგი ბედი უჩანს, როსტომ ზურაბიშვილი თხოულობს. ცოტა ტიტიკოს ცოლის შერთვამ მეტად დაგვაღონა, შეგვაწუხა. ანიკო თუმცა, მართალია, კარგ ქალსა გავს, მაგრამ მაინც არ არის ჩვენი საფერო... ვერ გვაკმაყოფილებს ზოგიერთ მიზეზების გამო... ტიტიკოსა და მაკინეს შორისაც ჩამოვარდა უსიამოვნება... რა გაეწყობა, მადლობა ღმერთს! უნდა მოვითმინოთ.. ამ უსიამოვნების მიზეზი, ცხადია, ანიკოა, რომელიც არ მოსწონდა ჩემ მაკინეს, უშლიდა ძმას და რაკი გაიგო ანიკომ მულის გულგრილობა თავისადმი, სამაგიეროდ მიუზღო მით, რომ ძმა ჩამოაშორა. დედაშენი ჩვეულებრივ ვერ არის კარგა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ყველას თავზარი დაგვცა. დიდედამაც დაიწყო ავადმყოფობა, ახლა ქვეშსაგებში წევს, წერილი ველარ მოგწერა, გთხოვა, პატარა ბარათი კიდევ გამომიგზავნე, ჩემო თვალის ჩინოვო!".

ამ წერილის წაკითხვაზე ოქრო მეტად დაღონდა... წარმოიდგინა თავისი ოჯახი, გული შეეკუმშა, დაენანა, რომ ახლა ისიც იქ არ იყო, არ უჯდა ლოგინთან დიდედას, ხელებზე კოცნით არ ამხნევებდა შეუძლებლობას... ეს კარგი ნიშანი არ არის იმ ხანში მყოფისთვის... ოქრომ წინათაც იცოდა, ანიკოს შესვლა ამათ ოჯახში დიდ ცვლილებას მოახდენდა... მაკინე?.. განა გასამტყუნარია მაკინე, როდესაც უყვარს ძმები, მათთვის უმჯობეს ბედსა ნატრობს? მეტადრე ტიტიკოსთან მეგობრულად იყო და ახლა სრულიად დაშორებია?.. განა ჩვეულია ზაქარია სარ-

ლიონიშვილის ოჯახი ამ არეულობას?.. ოხ, ტიტიკო, რა ქენ შესძახა ოქრომ და დამძიმებული გულიდან ამოხდა კვნესა... ოქრო მალიმალ კითხულობდა მაგდანის ამბავს, მაგრამ მის შესახებ მარტო ორიოდე სიტყვა მოსდიოდა: „ისევ ისეაო“. მოუვიდა აგრეთვე მაკინეს წერილიც. მასში აწერილი იყო დაწვრილებით მისი ახალი ცხოვრება, პატიჟობდა ძმას ბორჯომში საზაფხულოდ, ტიტიკოს შესახებ კი კრინტს არ სძრავდა. კარგახანს არც თვითონ მიუწერია ძმისთვის, მაგრამ ბოლოს გულმა ვეღარ მოუთმინა და მიუღოცა იმ მოსაზრებისა გამო, რომ ტყუილად ძმას მოიმდურებდა და საქმეს აღარა ეშველებოდა-რა. რამდენიმე თვის შემდეგ მიიღო პასუხიც:.

„დიდადა გმადლობ მოლოცვისათვის, ჩემო ოქრო!.. ჩემი იდეალი იდეალადვე დარჩა, ანიკომ არ გააქრო ჩემში თავისადმი ალტაცება, რადგან ანგელოზად მოჩვენებული ჭეშმარიტად ანგელოზადვე დამტკიცდა, ვერ წარმოიდგენ, რა რიგად ითმენს, როდესაც უფროსები უბღვერიან, ხანდახან სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებენ!.. ცდილობს, ყოველ ღონეს ხმარობს, იმათი გული როგორმე მოიგოს თითქო კიდევაც გაიმარჯვა, მაგრამ სამწუხაროდ, მაკინე შორს გაუდგა. ანიკომ აპატია ყველაფერი, მაინც მაკინე ჯიუტი აღმოჩნდა... თავისი ნება არის, ძალას ვინ დაატანს!.. ახლა კი კმარა ამ საგანზე ლაპარაკი... ძალიან მიხარიან, შენი საქმე კარგა მიდის... უგულითადესი მოკითხვა გადაეცი თავად ვანოს, რომელსაც პატივსა ვცემ, როგორც ძმის მეგობარს. მამა გწერდა ამას წინათ, აგრეთვე დედაჩემიც, ახლა მეც ვუმატებ, რომ ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ ზაფხულში მოხვალ... მაგრამ ეჰ, ძმაო, გულდასმით მოისმინე... სჯობს ბარემ მოგწერო საქმე როგორც არის! მიხდართულ-მოხდართული გზები პირდაპირ გადავჭრა... არც შენა ხარ ბავშვი, აღარ დაგიმალავ; დიდედა აღარა გვყავს, თავი დაგვანება. მისი უკანასკნელი სიტყვა, ლოცვა-ვედრება შენ იყავი, ოქროს ხსენებაზე მას დააჩნდა საუკუნო მშვიდობიანი ღიმილი ტუჩებზე. გიგზავნი იმის სურათს, რომლის გადაღება ამ რამდენიმე კვირის წინათ მოინდომა, უკანასკნელ წუთებში გვთხოვა, შენთვის გამოგვეგზავნა, რათა გაიხსენო მოხუცებულის ოდესმე არსებობა, მოიგონო მისი მოძღვრება, მამა ძალიან სწუხს, მოსწერე სანუგეშო წერილი, გამკურნებელი მალამო იქნება მისთვის“.

ოქრო წერილს კითხულობდა, თვალებიდან ცრემლებს აზნევდა.

— ნუთუ კიდევ ერთხელ მაინც არ უნდა მღირსებოდა შენი ნახვა, ჩემო ძვირფასო დიდედავ? — ფიქრობდა და გულითადის მწუხარებით, მოწიწებით კოცნიდა უსულო სურათს. გულმწუხარემ იმ დღესვე გადაახდევინა პანაშვიდი ძვირფასი სულის სასუფეველში დასამკვიდრებლად. უმისოდაც ღვთისმოსავი დღეს გულდამწვარი იდგა ეკლესიაში, ისმენდა წმინდა სიტყვებს. ოქრომ ზაფხულამდის ვერ მოახერხა შინ დაბრუნება, დაბრუნდა და ზოგიერთი ცვლილება ნახა სახლში: მშობლები უფრო მოხუცებოლდნენ, გაიანე შელერებულიყო, ტიტიკოც გონიერებით სჯიდა ცხოვრებაზე. ოქრო მიხვდა, ანიკოს ზეგავლენით მომხდარიყო ტიტიკოში ეს ცვლილება. ალერსიანი ქალი თავს ევლებოდა ყველას სახლში მყოფთ და გულში ალძრულ სამდურავს ხმას აკმენდინებდა. ნახა მაგდანის საფლავიც და ეამბორა მას მოწიწებით. ახალი მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოახდინა დიდედას სამარის ნახვამ, კარგახან არ შორდებოდა ოქროს, მაგრამ ტიტიკოსა და დანარჩენ მახლობლების წყალობით დღითი-დღე გამოერკვა, ნაღველი მოიხადა. მეზობლები სიამოვნებით მიდიოდნენ ოქროსთან, იგონებდნენ ნეტარ წარსულს დღეებს, დღესაც უნდოდათ მათი განმეორება. ახალგაზრდა სტუდენტის სტუმრობა ყველასთვის სასიამოვნო, სასურველი იყო, ნადიმებს უმართავდნენ, გულწრფელად სვამდნენ სადღეგრძელოებს საშობლოსა და მოძმეთა კეთილდღეობისათვის. ოქრო ეწვია მაკინეს, რომელიც აგარაკად გასულიყო ბორჯომში, იმანაც დიდის ყოფით მიიღო ძმა, მოუპატიჟა რჩეული საზოგადოება, აგემა უჩვეულო სიამოვნება. ოქროს უხაროდა მაკინეს დედოფლური ცხოვრება. მაგრამ სრული ბედნიერი იყო? ეკითხებოდა ეს თავის თავს. ეჭვის თვალით შეხედა ჯერ დას, მერე იასონს. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა შეუსაბამო არსებას ცოლთან შედარებით, მისი უშნო, სრული ტანი ძნელად იფერებდა დიდკაცურ მიხვრა-მოხვრას. როგორ დაეჯერა, ეს უღაზათო ქერა სახე გაალღვიძებდა მაკინეში იმ ალტაცებულ, თავგანწირულ, ცაში აღმაფრენ გრძნობათა, რომელნიც იბადებიან ხოლმე ერთმანეთთან სულით, გულით, გონებით და მხედველობით დაკავშირებულ არსებათა შორის? რომ მათთვის ერთმანეთის გარდა

არა არსებობს-რა, ყველგან სიბნელეა, სიცარიელე, ქვეყანას ბოლო ელება, ქრება! რა ბედნიერნი უნდა იყვნენ ამ უკანასკნელ გარემოებაში მყოფნი მიჯნურნი! გაუელვა თავში ოქროს. მას ჯერ არ გამოუცდია, — მოწონებით არა ერთი მოსწონებია, არა ერთთან უცდექია, თითქმის საქმე იქამდე მისულა, რომ ტუჩებსაც კი წარმოუთქვამს სხვადასხვა მხურვალე, ადერსიანი სიტყვები, მაგრამ ყველა ეს მომხდარა მარტო ვნებათაღელვის ზეგავლენის გამო. მასში მცირე მონაწილეობა მიუღია როგორც გულს, ისე გონებას, წმინდა მისწრაფებას. ოქროსთვის ჯერ ეს გამოუცდელი მოვლენა იყო, მისი მხურვალე ბუნება ითხოვდა, ეტანებოდა, ამ ბედნიერებას, მაგრამ იდეალი ზეციდან არ აპირებდა ჯერჯერობით დედამიწაზე ჩამოფრენას. ყოვლად შეუძლებელია, მაკინე ბედნიერი იყოს, თუმცა იასონი დიდ პატივსა სცემდა ცოლს. დიაღ, ოქროს სჯერა, სწამს, ესენი დაკავშირებულან მარტო უეცარ, მოულოდნელ შემთხვევის წყალობით, მედიდურობის მოყვარული მაკინე დასჯერებია ქმრის შეძლებას, სამსახურში დაწინაურებას და ქალთა შორის პირველობას... ოქრო მაკინეს ღირსებასთან ერთად აგრეთვე ამჩნევდა ნაკლულოვანებასაც, მძლავრად იხატებოდა სიამაყე, მაგრამ მაინც უყვარდა, მის სახის დანახვაზე ავიწყდებოდა ყოველი ზადი, გული ნებას აღარ აძლევდა ფართოდ გაეჩხრიკა მაკინეს მართლაც ნამდვილი, ჭეშმარიტი ნაკლულევანებანი.

— მაკო! ყოველდღე აგრე მომხიბვლელადა ხარ ხოლმე მორთული? — კითხა ოქრომ, რათა ეს უსიამოვნო ფიქრები მოეშორებინა თავიდან.

— ყოველთვის, ერთი საათიც არ არის მოსვენება, მოდიან, მეც მოვალე ვარ დავუხვდე, — უპასუხა დამ. ოქრომ თვალი მოავლო დარბაზს, ესეც მორთული იყო ევროპიულად. სავარძელში მედიდურად გადაწოლილი, მსუბუქ ჰაეროვან ტანისამოსში მაკინე ალტაცებას აგრძნობინებდა.

— მშვენიერო! — შესძახა გაოცებით ოქრომ, დაუწყო კოცნა ხელზე დას, ისიც ღიმილით უსწორებდა შუბლზე ჩამოწეწილ კულულებს.

— აბა მომიყევი, გენაცვა, როგორა ხარ? დროს როგორ ატარებ?.. უეჭველია, ბევრ ქალს უჭირავს შენზე თვალი, შემოგნატრის, ღმერთს ევედრება შენთან დაკავშირებას? — ეკითხე-

ბოდა მაკინე. — ჯერ ადრეა, დაიცა, სწავლა დაამთავრე, მიიხედ-მოიხედე, აჩვენე ყველას ღირსებანი, ჩვენც თავი მოგვაწონე-ბინე. დღეის იქით შენთვის ვიზრუნებ, შენთვის ვიფიქრებ, ბედნიერი და კმაყოფილი იყავ, ჩემო ბიჭიკო!.. — ოქროს დის მშობლიური ალერსი გულში ღრმად სწვდებოდა, სიამოვნება-მა-დლობას ულვიძებდა.

— ხომ ბედნიერი ხარ, მაკო? ჩვენს შორის დამალული არა უნდა იყვეს-რა, — კითხა ოქრომ, შეაცეცა სახეში თვალები. უნდოდა ჩასწვდენოდა გულის სიღრმეში, ამოეცნო იქიდან ნამ-დვილი პასუხი. ოქროს მოეჩვენა, თითქო ამ დროს მაკინეს მშვენიერ სახეზე გადაურბინა ჩრდილმა, წელში გასწორდა, წუთს დასალვლიანებული თვალები გაუბრწყინდნენ, მარაო ხელში მო-იმარჯვა და უპასუხა:

— განა ეჭვშიც შესულხარ ჩემს ბედნიერებაზე, ოქრო? თუ აგრეა, სცდები, რადგან დიდი ბედნიერი ვარ! — ამ მტკიცე პა-სუსმა არ დაანანა ძმა წარმოთქმულზე.

— ხომ არ გაჯავრდები, მაკო, გითხრა, ეჭვში ვარ-მეთქი?

— არა, მაგრამ მიზეზი უნდა დაასახელო, — ქალი გადაწვა დი-ვანზე, ხშირ-ხშირად იქარვებდა სახეს მარაოთი, თითქო აწუ-ხებდა სიცხე, რომელიც აგრე რიგად საგრძნობი არ იყო. ოქროს გაუძნელდა პასუხის მიცემა, ან რა ეთქვა?.. ხომ ვერ ეტყოდა: იასონი არ მომწონს, უშნოა, ჭკუამოკლე, არ არის შენი საფე-რო, მშვენიერება-დიდებულებისათვის გაჩენილი არსება ვერ დაკმაყოფილდება მაგითიო? დაყოყმანდა, მაინც შემდეგი მოიშ-ველია:

— შენი გარემოება მარწმუნებს, მაკო, დიდი, ბედნიერი უნ-და იყვე, მაგრამ ხომ დამეთანხმები, რომ ხშირად პორფირ-წა-მოსხმულ დედოფალსაც სხვადასხვა მისწრაფებით დაუკმაყოფი-ლებლობისა გამო გული ევსება ხოლმე სევდა-ვარამით? არ შეიძ-ლება შენც რაიმე მიზეზის წყალობით არ ეთანხმებოდე აუცი-ლებელ ხვედრსა, რომელიც დიდი ძალაა განგებისა?

ოქრო განაგრძობდა გამოცდით ყურებას, ქალს სახეზე აღე-ბეჭდა შიში, მაინც თავშემაგრებით და ძალდატანებულის სიმ-შვიდით წარმოსთქვა:

— არ მეყურება, რა გინდა სთქვა? წეღანაც გითხარი, ახლაც გიმეორებ, ბედნიერი ვარ-მეთქი, დიაღ, ბედნიერი! — დაჟინებით,

გულში დაცინვით, დაუმატა ქალმა, — იასონი კეთილია, ჩემი პატივისმცემელი, ძალიან უყვარვარ, ამ ერთი თვის წინათ ათას თუმნად გაყიდა N-ის მიწები, ბალი გაუმართა, უგანათლებულესს თავადს ს. და იმ ბალის დედოფალი მე ვიყავი. ნადიმები, სეირნობა, თეატრი, მშვენიერი ჩაცმა-დახურვა, ყველგან და ყველაფერში პირველი ადგილი, სიმდიდრესა თუ პატივისცემაში, და სხვა რაღაა საჭირო ნეტაი? — ოქრომ თავი ძირს დახარა, უკვე დამარცხებულმა მაკინეს აზრით. ის კი გამარჯვებული უყურებდა ძმას, გულუბრყვილო, პატიოსან ოქროს ეგონა, თავისი მსგავსი ხალხი ესვია გარსა, მაგრამ მერე და მერე, როდესაც ცხოვრებაში შედიოდა, ყოველ ზაფხულს უბრუნდებოდა ოჯახს, აკვირდებოდა, ამჩნევდა უმართებულობასაც. ხედავდა, თუ მაკინე როგორ იშვიათად დაიარებოდა დედ-მამის ოჯახში, ორის დღით მოვიდოდა, ნახავდა, მოხუცებულ მშობლებს, ისევ მალე გასწევდა. ამისთანა საქციელი ბევრს არ მოსდიოდა თვალში და კიცხავდნენ თვითონ ოქროსთან, რომელიც გულში ეთანხმებოდა მათ, პირადად კი ესარჩლებოდა თავმოყვარეობისა გამო. მაკინე თავს მართლულობდა ოქროსთან, როდესაც ეს უკანასკნელი დაუწყებდა დაპარაკს, უმტკიცებდა, ტიტიკო ანიკოს ველარ გაეყრებოდა, ტყუილი სამდურავი ჰქონდა მაკინეს; მაგრამ მაკინე ცრემლების ფრქვევით არწმუნებდა ტიტიკოსთან უსიამოვნობის სრულიად სხვა მიზეზზე. თუმცა ოქრო სთხოვდა გულახდით ყოფილიყო, ქალი მაინც დაჟინებით ფარავდა, ამავე დროს პირდებოდა ოდესმე ეთქვა.

ოქრომ უკანასკნელი ზაფხულიც სოფელში გაატარა, შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში აღარ მოუხედნია თავის ქვეყნისკენ.

## XV

ოქრომ გადასწყვიტა, დაბრუნდებოდა თუ არა სამუდამოდ სამშობლო ქვეყანაში, სამსახურში არ შესულიყო, შეძლება კარგი ჰქონდა, თავისუფლება ყველას ერჩია. როდესაც არავის თვალ-წარბში შემყურე არ იქნებოდა, უფრო სამართლიანად განსჯიდა, გაითვალისწინებდა საქართველოს ერის ავ-კარგს, შეძლებისდაგვარად შემწეობას მიაწვდენდა: ოცნებობდა აგრეთვე,

თუ როგორ გახსნილა თავის სოფელში სამაგალითო წესებზე და-
ყენებულ სკოლას, სადაც ორასობით ბავშვები აღიზრდებოდნენ,
მოიწვევდა კეთილსინდისიერ მასწავლებელს, ჩააბარებდა მოზარდ
თაობის ბედ-იღბალს, თვითონაც მეთაურად დაუდგებოდა. და-
აღგენდა სოფლისთვის ფულის თანხას, მიიმხრობდა სხვა მემა-
მულეთაც, ხელიხელს მისცემდნენ, ძლიერი სუსტს ამოეკედლე-
ბოდა, ცხოვრება აღარ შეტბორდებოდა, არამედ იწყებდა ჩქერას,
ქუხილს, ვით მთის ანკარა ნაკადული. ამ მოსაზრებით აპირებდა
წასვლას ოქრო სხვა ქვეყნებშიაც, იქაური ნერგი სიკეთისა
გადმოეტანა პატარა შვეიცარია — საქართველოში, ეხარებინა. ამ
ფიქრებში იყო შესული ერთხელ ოქრო, როცა ოთახის კარი გა-
აღო მისმა ამხანაგმა ვანომ და, რა დაინახა ოცნებით გატა-
ცებული, ჩაიღიმა:

— ზევით, ოქრო, ზევით! რაც შეიძლო, შენი აზრები, მის-
წრაფებანი ზეცას მიაკარ, საქმე მათ გაუწონე, თორემ თუ
ძირს ჩამოხვედი, სული შეგიგუბდება, დასუსტდები, — უთხრა
მან, — თუ შენი ქვეყნისათვის ფიქრობ, მაღლა-მაღლა ადი, უფ-
რო კარგა განიცადო მისი ჭაობი, მოხერხებით შეიძლო ამოშ-
რობა, წალკოტად გარდაქცევა!.. — დაუმატა ვანომ, ღიმილით
მიუახლოვდა და ხელი დაჰკრა მხარზე.

— მართალს მეუბნები. გულთმისანი ყოფილხარ, ამოიცანი
საგანი ჩემის ოცნებისა! — უპასუხა ოქრომ, — დიახ, მე ვფიქ-
რობ ჩვენი ხალხის ბედ-იღბალზე, ვნატრობ, მისი მერმისი სა-
უკეთესოდ მოეწყოს, მივდივარ საზღვარგარეთ, ვანო, რომ შე-
ვიჭურვო ახლის ძალ-ღონით.

— ხვალ გავშორდებით ერთმანეთს და, ვინ იცის, კიდევ რო-
დის შეგვახვედრებს განგება? — ვანო ფიქრებში შევიდა, მიმარ-
თა გონიერი თვალები ოქროს და წარმოსთქვა: — იმედია, ჩვენი
მიწერ-მოწერა არ შეწყდება?

— განა მაგაზე ეჭვიცა გაქვს?

— ნუ გიკვირს, დრო და გარემოება ძლიერია... მათ შეუძ-
ლიანთ სრულიად გადაგვგრიხონ, შეგვცვალონ: გაფრთხილდი, ოქ-
რო! ხალხს მორიდებით მოექეც... შეიძლება მათ თავიანთის მო-
ხერხებით, ყომარბაზობით, შენც გაგახვიონ რაშიმე, გაკისრე-
ბინონ ის, რასაც დღესა ჰკიცხავ!

— რას მეუბნები, ვანო?! მაშ ვერ გიცვნია ოქრო, მისი სა-

ლოცავი პატიოსნება, რომელიც აკვნიდანვე ჩამნერგვია გულში სათაყვანო დიდედასგან! დღესაც თანდათან იზრდება, სხივებს ისხამს გარს, მიმორჩილებს; თუ გაჭირდა, მსხვერპლადაც შევეწირები გეფიცები ამის სულს, გეფიცები ამის მადლსა! — დაუმატა ოქრომ. გულიდან გამოიღო მოხუცებული ქალის სურათი.

— ვიცი, კურთხეულ იყვეს ის დედაკაცი, რომელსაც გაუღვიძებია შენში სასოება სარწმუნოებისა! ბედნიერი ხარ, ძმაო, ეგ რწმენა დიდს სიმხნევეს მოგცემს ცხოვრებაში. მე-კი, ჩემდა საუბედუროდ, მოკლებული ვარ მაგას. თვით უძნელეს წუთებშიაც-კი, როცა გული იწყებს უიმედოდ ღონებას, წამი სამსალაზე მწარეა, არა მაქვს ღონე მოვიწოდო ვინმე სათაყვანო, წმინდა არსება! ვინ გითხრა, რომ შენ არ გიცნობ? გაიხსენე, როდესაც მოხვედ ჩვენს უნივერსიტეტში, იყავი თვრამეტი წლისა. მას აქეთ თვალყურს ვადევნებ შენს აზრს,, მოქმედებას, შენი სულის და გულის სისპეტაკე ამ უნივერსიტეტის თუ ამხანაგების თავმოსაწონებლად გამხდარა, ახლა ეცადე, მთელი ქვეყნის აფრიალებულ დროშად გადაიქცეს. — ოქრო სიამოვნებით შეყურებდა მეგობრის მიმზიდველ, მაგრამ ნაღვლიან სახეს. ოქროს გულში ღრმად სწვდებოდნენ ვანოს ჭეშმარიტი სიტყვები. ამ წრფელი დაპარაკით გაატარეს საღამო ორმა გულითადმა მეგობარმა. ისინი უზიარებდნენ ერთიმეორეს აზრებს, სურვილთ თუ მოქმედებათ. ვანო ოქროს მოძღვარი იყო. თუმცა მოშორდა, მაინც ამათი მისწრაფებანი შემდეგშიაც ურთერთს ეამბოდნენ წერილების წყალობით. ოქრომ დასტოვა მეგობარი ისევ მოსკოვში, რადგან ვანო უკვე დაცოლშვილიანებული იყო და უნდა დამორჩილებოდა ხვედრს, რომელმაც შესაფერი მეუღლე არ დაუწერა, ცოლ-ქმარს შუა იდგა დაუშრობელი ზღვა. ოქრო დაბრუნდა ექვსი წლის შემდეგ. ჯერ მოსკოვში დაჰყო რამდენიმე ხანი ვანოსთან, მერე კი გამოემართა თავის ქვეყნისკენ.

რა სიხარულით მოესწრაფებოდა ამ წმინდა ადგილისაკენ! ნუთუ ისევ დახვდება ყველა? დედ-მამა კი აღარა ყავდა ოქროს, მაგრამ დები? ძმა? ნაცნობები? ნათესაობა? მთელი ქართველობა? ნუთუ ექვსი წელიწადი ისეთი ხანგრძლივია, რომ შესამჩნევად შესცვალოს ყველა! ტიტიკოს და მაკინეს შორის უსიამოვნობაც წინანდელზე მეტად გამწვავებულა. რომლის მხარე დაეჭირა? მაგრამ ორივეს უნდა აპატიოს. დღეს როგორ-ღა არიან?

ისევ ისე... აკი სწერდნენ, ტიტიკო, მაკინე და განო. გაიანე და და მაკო ერთ აზრს შესდგომიან, ტიტიკო გაუნაპირებიათ, რას აკეთებდნენ გიორგი, სიკო და სვიმონი? ისინი უკვე დაბინავებულან, ადგილები უშოვნიათ ტფილისში, ჩინოვნიკები დამხდარან... მოსკოვში ყოფნის დროს კი დაჟინებით გაიძახოდნენ: სოფლებში უნდა დავიფანტოთ, დაცემულ ხალხს მხარში შევუდგეთ, ავიმართოთთო! ოცნებობდა ოქრო, როცა მატარებელით მიჰქროდა სოფლისკენ. ამისი ფიქრი შეწყდა, რადგან მატარებელი შეჩერდა. გადმოვიდა ბარგით, იქირავა ეტლი, უბრძანა ს. ვ.-ში წასვლა. ეტლში გადაწოლილს ქუდი შუბლზე ჩამოეწია, ათვალიერებდა ყოველ საგანს, რაც მის წინ კრთებოდა.

— ისევ ის არის... ისევ ის! — იმეორებდა გულში ოქრო. რა სახითაც გააცილა ამ გზამ პატარა ბიჭობისას, თუ სტუდენტობის დროს, ახლაც იმავე სახით ეგებება, განსხვავება მარტო იმაშია, რომ მაშინ შემოდგომა მოახლოვებული იყო, ახლა კი ზაფხული გაჩაღებულა, შესაფერად დღესასწაულობს ბუნებაც, სხვადასხვა ჰანგებზე მოუმართავს ფრთოსანნი, ყურს უჭერენ მსმენელთ. ოქროს მოესმა ზუზუნი, ყანები ლელავდნენ, მარჯვნივ თუ მარცხნივ იწვევდნენ თავისკენ. ადაგ-ადაგ გულგალეღილი მუშები ღონივრად იქნევდნენ ცელებს, ნამგლებს, ხელეურები ერთიმეორეზე ეწყობოდნენ; აგერა ქვევით, შორს მოსჩანს მდინარე მოელვარე სახით, ეს სახე ისუტებს გულში მზის სხივებს, ეალერსებ-ეთამაშება... გასამხიარულებლად გამოსცემს საგულისხმიერო ხმებს ჩქერაში. ეს არის საკრავი, ეს ტრფიალებაა, თხოვნაა მიმართული ზეციურ მსუბუქ ღრუბლებისკენ, რომელთაც გადასცემს სრულ თანაგრძნობას, პირდება გაჭირვებაში დახმარებას, ეტლის ზარების წკარუნი უერთდება, შიგ ერევა ამ საერთო ხმაში. ეტლი მიუახლოვდა სოფელს, მოისმა ძაღლის ყეფა. ოქრო გასწორდა, დაუწყო სოფელს თვალიერება. ოქრო დააჩერდა დუქნის წინ შეგროვილ ხალხს. აგერა ილიკო, სვიმონა, ბეჟო და სხვები. ღმერთო, რა რიგად შეცვლილან, თითქო მობერებულან კიდევაც!.. ისინი არიან, მაგრამ მათ ველარ იცნეს ოქრო. ქუდები მოუხადეს, მაინც თავიანთი მებატონე არა გონიათ... ეტლმა შეუხვია მარჯვნივ, გამოჩნდა მამა-პაპეული სახლი. ძირს, ვენახის ღობესთან თოხზე დაყუდებულა ვიღაც კაცი, უყურებს მომავალ სტუმარს.

— სოსეს გამარჯვება! — დაუძახა ოქრომ, რომელსაც იცნო ძველი, ერთგული მოსამსახურე, — ვეღარ მიცანი, სოსე? ოქრო ვარ, შენი გაზრდილი ოქრო! — დაუმატა ოქრომ, როცა ეტლიდან გადმოხტა და მივიდა გაშტერებულ მოხუცთან.

—ჰა, ბატონიშვილო?.. ნუ, შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ მკოცნი! აბა რა ღირსი ვარ!.. — უთხრა თვალებში ცრემლმორეულმა სოსემ.

— როგორა ხარ? წამო, წავიდეთ ზევით. ჩვენები სად არიან? როგორ დაცარიელებულა, სახლი? — ჩქარ-ჩქარა აძლევდა კითხვებს სოსეს, რომელმაც არ იცოდა, პირველად რაზე ეპასუხნა.

— დალოცვილო, როგორ გამოცვლილხარ! მტერს კი დაუყენებ თვალებსა-და! — სოსემ მიიტანა შუბლთან ხელი, ისე გამოხედა ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილ ულვაშებ-დაბზენილ ოქროს. ოქრომ აირბინა კიბეზე, პირდაპირ ოთახებისაკენ გასწია, მაგრამ ტიტიკო და მისი ცოლი არსად სჩანდნენ.

მოსამსახურეები შერბოდ-გარბოდნენ, ეზიდებოდნენ ბარგსა და აწყობდნენ დანიშნულ ადგილზე.

— ბატონები სად არიან? — იკითხა ოქრომ, რომელიც დაჯდა დიოდა აივანზე.

— კნეინა დარისპანიანთსა გახლავთ. ბატონმა ბიჭები წაასხა სათიბში, — მოესმა პასუხი. ოქროს თავისი ოთახი ხელშეუხებლად დახვდა. ჩაჯდა სავარძელში, იწყო ფიქრიანად ყურება. აგერ, დედ-მამის ოთახის კარი, საცაა გაიღება, შემოვლენ, რანაირად გაეხარდებათ ეფემიას და ზაქარიას, მაგრამ არა სჩანან. მარტო ჩარჩოებში ჩასმული მათი სურათები გადმოყურებენ უძრავის სახეებით. ოქროს სევდა მოერია. რა მოელის ამასაც? ოქრო იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ჯეროვან პასუხს ვერავინ აძლევდა. სოსე იდგა იქვე ახლო, ეტყობოდა, უნდოდა ამასთან ლაპარაკი, მაგრამ ვერა ბედავდა.

— სთქვი რამე, სოსე! შენი სახლობა როგორა გყავს?.. — კითხა ოქრომ, უსიამოვნო აზრების თავიდან მოსაშორებლად.

— გახლავართ, შენი ჭირიმე, რაც კი გაეწყობა ჩვენს სილარიბეს.

— ჩვენ ძველ მოსამსახურეებში შენ-ღა შეგვრჩი! საწყალი მათე! ძალიან დაგვაკლდა.

— ოჰ, ბატონიშვილო, ნუღარ მომაგონებ იმ უბედურ დღეებს, სწორედ ღვთის რისხვა მოევლინა ჩვენს ქვეყანასა! ქალბატონი და ბატონი რომ ხოლერით დაგვეხოცნენ, მე და მათეს მეტი არავინ ვიყავით, ტიტიკოც შეწუხებული მესამე ოთახში იდო, ანიკო თავს დასტიროდა. მაკინე ქალაქში ბრძანდებოდა; თუმცა ჩუმად შევატყობინე, მაგრამ არ მოხვედა, გაიანე კი ქმარს არ გამოეშვა. ისე საცოდავად დაიხოცნენ. მესამე დღეს მათეც იმათ გამოუდგა, დავრჩით სამნი. ტიტიკოს მორჩენა კი სწორედ საკვირველება იყო, რაკი არ ეწერა სიკვდილი, გადარჩა. მეტად ღვთის სულია, თქვენი ძმაღი, ბატონო, მეტად! — დააბოლოვა მოხუცმა. ამ მოგონებაზე ოქროს ნაღველი გაუორკეცდა. მოუნდა თავის დამარტოვება ოთახში. სთხოვა სოსეს, წასულიყო, მზარეული დაეჩქარებინა... ოქროს შეუსრულდა სურვილი, გაწვა დივანზე, ხელები თავქვეშ ამოიწყო, იყო ისე რამდენსამე ხანს... სოსესაგან აღწერილი გარემოება ეფემიასა და ზაქარიას სიკვდილის დროს ცხოვლად წარმოუდგა თვალწინ. შემდეგ თანდათან მოიშორა, გადავიდა აწმყოზე. ოქროს არ მოსწონდა, რომ ოჯახს უმჯობესობა არ ეტობოდა, სწორედ ისევე დარჩენილიყო, როგორც დასტოვა ოქრომ წასვლის დროს: რას აკეთებდა ტიტიკო ამ ხანებში? მართალია, ზარალი მოუვიდა, დედ-მამა დაეხოცა, მაგრამ მაინც იმდენი შეძლება ჰქონდათ, რომ შეეძლო ცოტა რამ შეემატებია.

— ღმერთო, როდის დადგება იმ წესებზე საქართველო, რაწესებზედაც სხვა ქვეყნებია?.. მგონი მთელი საუკუნე გავიდეს მანამ! უხეიროა ტიტიკო, უანგარიშო, დაუდევარი, როგორც ათასი სხვა... მაინც არა უშავს-რა!.. — ოქრო მოვიდა, მხარს მისცემს, ამასთან ერთად ისიც იწარმოებს, ტიტიკოს მეტი არ მოეთხოვება, უსწავლელია, ჯერ კიდევ დრო არ არის დაკარგული... .

— მართალს ამბობ? როდის მოვიდა?

— ეს არის ახლა.

— რატომ არ შემატყობინე?

— აკი გაახელი ბიჭი.

— გოგი, ძია მოგვსვლია, შვილო! წამო, წამო, ჩქარა! — შემოესმა ამ დროს ოქროს. ის წამოხტა ზეზე, გამოვიდა აივანზე, სადაც ანიკოს შეხვდა. ოქრომ ხელები დაუკოცნა რძალს. ანიკო

სრულებით შეუცვლელი ეჩვენა. ამისი ეშხიანი, გონიერი, მაგრამ მორჩილი თვალები წინანდებურადვე მშვიდობიანად შემოყურებდნენ.

— მიდი ძიასთანა, შვილო! — უთხრა მან გვერდზე მდგომ სამის წლის ბავშვს, რომელიც ჩაბღაუჭებოდა დედის კალთას, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ახლამოსულს. ოქრომ ხელში აიყვანა ძმისწული, დაუწყო კოცნა.

— ხომ არ დაიღალე, ოქრო? — მზრუნველობით კითხა ანიკომ, როდესაც შევიდნენ ოთახში. — კიდევაც მოგშივდებოდა?

— არა, N-ს სადგურზე ვისაუზმე. წუხელის ბათუმში დავრჩი, დღეს კი პირდაპირ აქ მოვდივარ. მაკინე განოსთან ყოფილა ამ ზაფხულს, წერილი მოვიდა სწორედ იმ დღეს, როდესაც გამოვდიოდი მოსკოვიდან, — დაუმატა ოქრომ.

— მაკინე ყოველ ზაფხულს იქ არის ხოლმე.

— ისევ ნამდურავადა ხართ? — კითხა ოქრომ და პირდაპირ სახეში შეაჩერდა ქალს, მაგრამ ის არ შემკრთალა, განაგრძობდა აღუშფოთებლად ყურებას.

— ისევ ისე, — უპასუხა ანიკომ.

— ბოლო აღარ უჩანს?

— თვითონ ასე მონებებია და ჩვენ რა ვქნათ! — ანიკომ უამბო, ტიტიკო როგორ წავიდა გაიანესთან, როცა მაკინე იქ იყო, მაგრამ მაკინემ არ ინდომა... მას აქეთ ტიტიკომაც თავი მიანება... ოქრო თვალს არ აშორებდა ანიკოს, რომელიც იჯდა დივანზე თავდახრილი და ხელით სძენძავდა ბეჭებზე მოდებულ აბრეშუმის შალის ფოჩებს.

— რომ იცოდე, ანიკო, თუ რა გაჭირვებულია მაკო! დანაშაულიც რომ ჰქონდეს, აპატიებდი... დედაკაცს ორმოც წელიწადს აღარ უკლია-რა. აბა როგორ-ღა შევცვალოთ? ჩვენივე სირცხვილი იქნება, მას ახლა გაუჭირდეს ცხოვრება.

— მაგაზე ვინ გიხირდება? ტიტიკომაც სწორედ მაგისთვის მიანება თავი ნასესხებ ხუთას თუმანს, მაინც გული ვერ მოაბრუნებინა... — უპასუხა ქალმა. ოქრომ იცოდა ტიტიკოსაგან, რომ იმათი უსიამოვნება გამწვავებული იყო ფულის სესხების გამო, რომ მაკინეს ხუთასი თუმანი დაეხარჯა, ველარ დაებრუნებინა. ტიტიკო სწერდა აგრეთვე: „კიდევა მთხოვა, ნასესხებ გარდა, ფულიო, მე უარი ვუთხარი, ამაზე შემომწყრაო".

მაკინე კი ატყობინებდა, მიზეზი ამ მოძულებისა თვითონ ოქრო იყო, რადგან რაკი შევატყე, შენი ხვედრი ფულისთვის მოკლება უნდოდა, მე ვუმტკიცებდი, ნება არა გაქვს ასე უსინდისოდ, უკანონოდ მოექცე, შეიძლება კიდევაც დაისაჯო და მე თვითონ არ დაგინდობ ამ საქციელში-მეთქი. მაშინ შეეშინდა, ნაჩუქარი ხუთასი თუმანი უკანვე მთხოვა, გადახდის ღონე არა მქონდა და აი ამისათვის შევძულდით ერთმანეთსო. რომელი დაიჯეროს ოქრომ? ორივე მხარეს როგორც სიმართლე, ისე დანაშაულიც მოსჩანდა. განა გასაკვირველია ამ დროში რამე?.. ერთი ხელისგულისოდენა ადგილისთვის კაცი კაცსა კლავს, ძმა ძმას არ ინდობს, თვისსა და ტომსა!..

„სულ ანიკოსბრალია! ის ასისიანებს შენსა და ჩემს წინაალმდეგაო!..." უმატებდა მაკინე. ის წერილი ახლაც შენახული აქვს ოქროს... მაგრამ მას მაინც უყვარს ყველა... გული სიხარულით ევსება, როდესაც ხედავს გარეგნობით უწყინარ არსებას... მოელის ტიტიკოს. დიაღ, იწყება ცხოვრება, იწყება ბრძოლა ავსა და კარგს შორის.

## XVI

შუადღემ გადაიწია, ყანიდან დაბრუნდა ტიტიკოც... მან ტკბილად ჩაკოცნა დიდი ხნის უნახავი ძმა.

— ბიჭო, რა რიგად დავაჟკაცებულხარ!.. ახლა ყველასაგან პატივისცემა, მოწიწება გეკუთვნის! — ეუბნებოდა მზისგან დამწვარი, დამტვერიანებული, რომელსაც ალტაცებისაგან შავი თვალები უბრწყინავდნენ. ტიტიკო თუმცა, აგრეთვე, დამაზი სახისა იყო, მაგრამ ამისი გამხდარი ულონო შეხედულება ალარაფრად სჩანდა ოქროს მშვენიერებასთან. ოქროც განუწყვეტლად ელაპარაკებოდა ძმას, ეკითხებოდა ამბებს, თვითონაც უგებდა პასუხს ყოველ კითხვაზე.

— როგორ დავიჯერო, ეს მლადატობდეს?! — გაუელვა ამ დროს თავში ოქროს, როდესაც ტიტიკოს თვალები უხატავდნენ სიყვარულს, ალერსს და სიწრფელეს. — ჯანაბას! რაც იყო — იყო! — დაუმატა მან, — ცოდ-შვილის პატრონია; შეიძლება კერძო ბედნიერებამ წასძლია და მოინდომა მეტის წაღება. ამის გარემოებაში იქნება არც მე დავმდგარიყავი უკანა.

— ხომ არას მემდური? ღმერთია მოწამე, ყოველ რიგად ვცდილობდი, რაც კი შეიძლებოდა, მეტი გამომეგზავნა... ცოლშვილი არ გამიწყდეს, სახლს მარტო ორას თუმანს ვანდომებდი, დანარჩენს ვალში ვაძლევდი, რომელიც დამელო მშობლების უბედურების დროს, და ექვსას შენ გიგზავნიდი...

— რაში უნდა გემდურებოდე? რომ არ დაიფიცო, განა შესაძლებელია, ძმამ ძმას უღალატოს?— ოქრომ თვალი თვალში გაუყარა ტიტიკოს, მაგრამ ამაოდ: ვერ იპოვნა მათში ის, რასაც ეძებდა, არამედ განაგრძობდნენ ისევ ალერსით, პატიოსნებით პირდაპირ ცქერას: ოქროს ეჭვი გაელვიძა მაკინესაგან მინაწერ წერილის სიმართლეზე. უფრო მეტად გამხიარულდა.

— შესაძლებელი რატომ არ არის, ძმაო! ჩვენში კი არასდროს არ მოხდება! — ამ სიტყვებზე ტიტიკოს სახე შეუწითლდა, მოაგონდა მაკინეს რჩევა, გადასწყვიტა, სამუდამოდ გულში დაემარხა და არ ელიარებინა მრჩევლის სამარცხვინოდ. ოქრო კი დარწმუნდა, ტიტიკო ნანობდა წინანდელ საქციელზე და დღეის იქით აღარ გაიმეორებდა... ამისათვის არჩია, არ შეემჩნევინებინა თუ რამე შეეტყო... პატარა ხანს უკან ისინი დასხდნენ სადილზე.

— კარგია თავისუფლად დაბრუნდი, ოქრო! კლანჭი არავინ მოგდო? — კითხა ტიტიკომ.

— მაგისთვის ჩემ გულს მადლობა უნდა გადავუხადო, რადგან სხვაფრივ არის მომართული, ბევრჯერ მივსულვარ თავდავიწყებამდე, მაგრამ დროზევე შევმაგრებულვარ... მოწონებითაც მართალია, მომწონებია, ამას ვერ დაგიმალავ, რომ მშვენიერი სქესის მოყვარული ვარ, მაგრამ მაინც ისევ თავისუფლად დავდივარ.

— იოსებიანთ დარიკო, ოქრო? — კითხა ღიმილით ანიკომ. ოქრომ ხელი ჩაიქნია.

— ეგეც სიყმაწვილის ცელქობაა. რაკი ვხედავდი, ჩემს გარშემო ყველას დაგეთითოებინათ მოთაყვანე, მეც თქვენ მოგბაძეთ, დავუწყე მას თვალყურის დევნება. წარმოვიდგინე, ვითომ გადარეული ვიყავ... არა, გადარეული ჯერ არავისთვის არა ვყოფილვარ და არც ვიქნები.

— მომავალზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, ჩემო ძმაო, — უთხრა ტიტიკომ. მათ კარგახანს ილაპარაკეს სხვადასხვა საყურად-

ღებო საგნებზე, საღილის შემდეგ კი წავიდნენ მდგომარეობის დასათვალიერებლად, გახალისებული ოქრო სრულებით არა გრძნობდა დაღალვას.

## XVII

ანიკო გადაეყუდა მოაჯირს, ფიქრიანად თვალს ადევნებდა ქმარსა და მაზლს, რომელნიც მხიარულის ლაპარაკით მიდიოდნენ გზაზე. როდესაც ამათ შეადარებდა ერთს მეორესთან, თუმცა ოქროს დამშვენება სასიამოვნოდ რჩებოდა, ბოლოს მაინც თავის ტიტიკოს ქვეყანაზე არავის უბადლებდა.

ტიტიკო ანგელოზის ხასიათისაა. ოთხი წელიწადია, რაც ანიკო მის ხელშია, არ ახსოვს ტიტიკოსგან ხმამაღალი სიტყვა, გარდა სიყვარულ-ალერსისა. თუ ღმერთი უცოცხლებს დიდხანს და ჯანსაღად უმყოფებს, ბედნიერია ანო... მაგრამ ანოც ნაკლებ არ არის თავშეწირული ქმრისთვის. ღმერთო, რა არ გამოსცადა მაშინ, როდესაც მოვიდა ტიტიკოს ოჯახში! ანიკომ თვალწინ დაიყენა ის დრო, როცა ჯერ კიდევ გასათხოვარი მოხუც დედასთან ერთად თავის მარჯვენით სცხოვრობდა ქალაქში უდარდელად, მაგრამ მას აქეთ, რაც ტიტიკო გაიცნო, გამოესალმა მოსვენებას, ხან სიცოცხლე უშხამდებოდა, ხან მშვიდდებოდა, ნეტარებდა. მაინც არ გასცვდის ანიკოს ამ მტანჯველ-მწვალებელ დროს წინანდელში... ანიკო პირველად ცდილობდა დაეფარა გრძნობა, რადგან სჯეროდა, ტიტიკო მას არ იკადრებდა მეუღლედ, არც ამტყუნებდა, აბა, ერთი ღარიბი აზნაურიშვილი და დიდი კაცი როგორ უნდა მოსულიყვნენ ერთად! ანიკოს გაეგონა მაკინეს მედიდურობა, აგრეთვე ზაქარიასა და მთელი მისი ოჯახის მეფობა. კიდევაც შეკრთებოდა ხოლმე, როდესაც ოცნებით თავს დასახავდა იმ ოჯახის წევრად; ამასობაში ტიტიკო საეჭვოდ უახლოვდებოდა. შემდეგში უკმაყოფილობასაც კი ამჩნევდა დედა სალომეს, როდესაც ეს უკანასკნელი შეიტყობდა ტიტიკოს მოსვლას. დიაღ, სალომესაც სწორედ ეს აზრი უტრიალებდა თავში, რაც ხანდისხან შეაფიქრიანებდა თვითონ ანიკოს, რომ ტიტიკო ამასთან დაიარება სწორედ დროს გასატარებლად, სადაყბოდ. ყმაწვილი ქალის პატრონ უკაცო ოჯახს ხომ ყოველთვის კარგად არა აქვს დაცდილი ამისთანა შემთხვევანი.

— ეჰ, შვილო, ნეტაი ეგ არ შემოგჩვეოდა და რა უნდოდა ი ღმერთსა! — იტყოდა სადომე, რომელიც იდგა ცეცხლა პირას, საჭმელებს ამზადებდა, ანიკო კი ჩვეულებრივად აგრიალებდა საკერავ მანქანას. დედის სიტყვებზე შეჩერდებოდა, სახეზე შიში გაჰკრავდა და, გაგანიერებულის თვალებით მიაშტერდებოდა მშობელს.

— რათა, დედა?! ტიტიკო სხვებსავით თავმომაბეზრებელი ნოდია, არც უზრდელი. განა გაწუხებს რაშიმე?

— არა, მაგრამ... ეჰ, შვილო, მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ვინ ტიტიკო სარდიონიშვილი და ვინ დევანა ბერიშვილის ლატაკი ოჯახი? აბა თავს რომ არ მოდის? ცა და დედამიწა განა ერთმანეთს მოხვდება, თუ მეორედ მოსვლის ნიშანი არ არის!.. — ანიკოს თუმცა სჯეროდა დედის სიტყვები, გულში მაინც უნებური, განუსაზღვრელი რაღაც იმედი ჩასჭროდა.

— ვიცი, ჩემო დედავ, აგრეა, მაგრამ ტიტიკოს ნაცნობობა ჩვენ მაინც ზარადს არ მოგვიტანს... მოიგონე, რა რიგად გეფერება, გართობს, გამხიარულებს. კარგა ვხედავ, შენც ძალიან ნასიამოვნები, კმაყოფილი რჩები ხოლმე იმის დაპარაკით... — სადომემ დაკვირვებით შეხედა შვილს, მას ღოყები შესწითლებოდნენ, თვალები კი განაგრძობდნენ საკერავზე ცქერას. ცხადად ამჩნევდა, რა ხდებოდა ამჟამად ანოს გულში, თუმცა ის მალავ-ჩქმალავდა. სადომე ხედავდა, რა ფართო და ღრმა ადგილი დაეჭირა ტიტიკოს ანიკოს გულში, სწუხდა, იტანჯებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, ბოლოს დარჩებოდა უთანაზიარო, დაუკმაყოფილებელი და უარყოფილი. გადასწყვიტა ამთავითვე თანდათან შეჩვეოდა ანიკო უიმედობას, რათა შემდეგში მოულოდნელად არ მოვლენოდა ის საშინელი დაშორება.

— მეც მაგას არა ვჩივი, გოგო, რომ რაც უფრო დაუახლოვდებით, მით მეტად ძნელი იქნება დაშორება?.. — სადომემ კვადად შეხედა ქალს, რომელიც უკანასკნელ სიტყვის გაგონებაზე გაფითრდა, შეინძრა.

— დაე, რაც იქნება იყვეს, დედი! შიშით და ფიქრით ვერ გავაბრუნებთ... ვერც დავითხოვ ტიტიკოს და თუ შენ გინდა... უთხარი ნულარ მოვა... — ანიკომ, როგორც იყო, დააბოლოვა ათრთოლებულის ხმით. ელოდა აგრეთვე მშობლისგან პასუხსაც, მაგრამ ის იგვიანებდა. სადომემ თუმცა გაიგონა ანიკოს სიტ-

ყვები, მაგრამ ველარ სთქვა-რა, შეწითლებულის სახით დაეშვა სკამზე, მერე თვალებზე ხელი მიიფარა, თითქო ბოლმა შეაწუხაო, გათეთრებული თმა თავშალში შემალა, დარჩა რამდენსამე ხანს ასე: ანიკო თვალს არ აშორებდა დედის ითითეულს მოძრაობას.

— დავითხოვოთ?.. — ვინ გეუბნება დავითხოვოთო? — დაიდაპარაკა ბოლოს სალომემ, — თუმცა მაინც კიდევ ვიტყვი, ძნელია მაგისი ჩვენთან სიარული-მეთქი... ტიტიკო სხვა გარემოების კაცია, არ უნდა დავივიწყოთ... შვილო! ის კი არ უნდა დავითხოვოთ, ჩვენ თვითონ უნდა მოვშორდეთ.

— მოვშორდეთ? მერე? სად წავიდეთ? — ყრუდ იკითხა ქალმა.

— სოფელში აქ მეტად გაჭირდა ცხოვრება. სხვისი შვილების ლოლიაობის თავიც აღარა მაქვს, დედაშვილობამა....

— სოფელშიო?! მერე იქ ვიშოვით ამდენს საქმეს?.. შენც აგრე ავადმყოფობ; რომ გაჭირდეს, ვინ არი ჩვენი პატრონი? თითო ექიმის მოყვანა სამ-ოთხ თუმნად დაგვიჯდება, აქ კი ამ ფასად რამდენსამე თვეს მაინც იწამლებ. მერეც ესაა, ვერ გავძლებ იქ, დედი, შევეჩვიე ქალაქს, აქაურ ნაცნობებსა.

— და მათში მეტადრე ერთსა, არა?.. — სალომეს დაუნაღვლიანდა სახე, ანიკო გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— რომელს?.. არ ვიცი!.. — სთქვა მან დარცხვენით.

— ანიკო, გენაცვალოს დედაი, შვილო, სანამ ყვავსა და ყორანს ფრთებზე არ დაეკიდებათ, მანამ ხომ ჩემამდის არ მოაღწევს ეგ შენი საიდუმლო? რად მიმალავ, რომ შენ ტიტიკო გიყვარს?

— ტიტიკო მიყვარს? არა, დედა, ის მომწონს, როგორც კარგი ნაცნობი, როგორც...

— როგორც საყვარელი არსება!..

ქალი ჩაჩუმდა.

— თუნდ აგრეც იყვეს, მერე მანდ ცუდი რა არის!.. — იკითხა ბოლოს.

— არაფერი, ჩვენი უბედურობა, უიმედობა და ტანჯვაი. სხვა რაღა უნდა იყვეს!.. ოხ, განა არ აშცდა ეგ შიში?.. ამიხდა?.. წავიდეთ, ჩემო ნუგეშო, მოვშორდეთ ამ წყეულ ქალაქს, სანამ ჯერ დაგვიანებული არ არის, თორემ თუ გაიგეს ბოზბოლეებმა,

არ მოგვასვენებენ... — ანიკოს დაავიწყდა თავისი ნაღველი, რადგან თვალწინ უდგა ცრემლების მფრქვეველი, ათას ტანჯვა-გაჭირვებაში გამოვლილი, გამხდარი, დაავადებული სალომე და ევედრებოდა... შეებრალა მშობელი, მოეხვია, გადაუკოცნა აღერ-სით სახე, ჩახედა ნაძალადევის ღიმილით თვალებში და უთხრა:

— ნუ შიშობ, ჩემო დედავ, ნუღარა გეფიქრება-რა... აგრე-თი სუსტი როდი ვარ, რომ ვერ მოვურიგდე ნაღველს, გრძნობას. მართალია, მიყვარს ტიტიკო, მაგრამ მაინც შევიძლებ გამაგ-რებას. — სალომე ცოტათი დამშვიდდა, ეჭვით-კი უყურებდა ქა-ლის წრფელ აღთქმას, გულში შვებასა გრძნობდა, რადგან შვილი აღარაფერს უმალავდა. დედა-შვილთ პირობა დასდეს, მაგრამ დას-დგომოდნენ ყოველნაირ შემაფერხებელ გაჭირვებას.

ტიტიკო კი ამასობაში დღითი-დღე შეასმენდა თავის ტრფი-ალებასა.

— არ გეყურება? რატომ არა გჯერა ჩემი ვედრება, სიყვა-რული? ანიკო, ჩემო თვალისჩინო, მაღირსე ტკბილი სიტყვა, იმედი მომე, რომ შენ ჩემი ხარ, სულით და გულით, მთელის არსებით, გამაბედნიერე! — ეუბნებოდა გძნობამორეული ტიტი-კო ერთხელ, როდესაც ესენი მარტო ისხდნენ სარკმელთან. ანი-კო ბატისტზე ქარგავდა. მას წარბი შეეკრა, ცდილობდა მრისხა-ნე მეტყველება მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა, მოცინარი თვა-ლები ნებას არ აძლევდნენ; დაბასმული ლეჩაქი ლაბაბქვეშ ნაკე-ცებად დაჰყოლოდა, ცელქი კავები ყოველ განძრევაზე ეხებოდნენ ლაწვებს, თითქო გადასცემდნენ სატრფოსაგან ტკბილ ამბორს. ტიტიკო დამჯდარიყო ახლო, ნიდაყვით დანდობოდა სარკმლის რაფას, თან გაფაციცებით მისჩერებოდა ქალის სახეს.

— რას მომციებიხარ, ყმაწვილო, — უთხრა ნაზად და კეკლუ-ცად ქალმა, მაგრამ მასთანვე ნაღვლიანად, — რადა ცდილობ ჩემი ცხოვრების აღშფოთებას? პატიოსნად, მოსვენებითა ვარ!

— მე რომ ვიტანჯები? მეც მომასვენე-და! — მოესმა ვედ-რება.

— მოგასვენო მე? საცოდავმა, ღარიბ-ოხერმა, სიყვა-რულიც გაგიბედო? გაკადრო? არა, თანაგრძნობა მოსთხოვე მარ-ტო თანასწორ არსებას, მერწმუნე, ყველა სიამოვნებით გიძღ-ვნის. მე კი თავი დამანებე.

— არა, არა, სწორედ შენა, ჩემო ნეტარებავ!..

— მერე?

— შეუღლება, ერთად ცხოვრება, სხვა რაღა? — ქალი გაშტერდა. შეხედა გამხდარ ფერმიტეტკვილ ტიტიკოს, მოაგონდა დედის სიტყვა: შვილო, ის ძალიან სუსტია, ავადმყოფიაო, მაგრამ ეს ზადი სრულიადაც არ აშინებდა ანიკოს. დაე იყვეს სუსტი, იმ სუსტში ჩემი ძალაა. ოჰ, ნეტავი კი ტიტიკო ყოფილიყო უბრალო გლეხკაცის შვილი, ან აზნაური, რა ბედნიერები იქნებოდნენ! ახლა კი ყველაფერი დაკარგულია.

— არ შეიძლება ჩვენი შეუღლება, არა! — გაიძახოდა ის.

— რატომ?

— შენები ნებას არ მოგცემენ, შეგვავიწროებენ. ან თვითონ მე რა უნდა მერქვას აბა იმათ ოჯახში? წარმოიდგინე, ტიტიკო, და ნულარ ითხოვ შეუძლებელს.

— მაშ ეგაა მიზეზი? სხვა არაფერი? ოჰ, ანო, დამთანხმდი, თანამიგრძნე, დანარჩენის დარდი არა მაქვს-რა, ყველაფერს დავთმობ, ყოველნაირ დარდსა და შევიწროვებას გავუმკლავდები, ოღონდ შენ ჩემი იყავ. თუ საჭირო იქნება, მოვშორდები მათ სამუდამოდ და შენ კი თავს არ დაგანებებ.

ანო თუმცა გულში სიამოვნებას გრძნობდა ამ წმინდა სიტყვების მოსმენაზე, მაინც განაგრძობდა სატრფოს წინაშე განაზებას:

— მაშ ყველასა სთმობ ჩემი გულისათვის? მერე რა ნახე ჩემში? სწავლა? გონიერება? მშვენიერება? ჭრა-კერვის გარდა ჩემი ხელი ყველაფერზე უჩვევია, გონებაც შორს არა სჭრის, აბა როგორ ვიკისრო შენთან შეუღლება!

— ჩემი ანიკო ჩემთვის მშვენიერებაა, ბრძენზე უბრძნესი! — არწმუნებდა ტიტიკო. ანიკომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ხედავდა სატრფოს გატაცებას, სწამდა, სჯეროდა მისი აღთქმა, მაგრამ გარემოება არ ავიწყდებოდა. სთხოვდა პატარა კიდევ დაეცადა, კარგად ეფიქრა თავის ნაბიჯზე. ბოლოს დასანანებლად არ დარჩენოდა. ტიტიკოს წასვლის უმალ დაუფარავად უამბო დედას, რომელიც გულისძგერით ისმენდა...

— ოხ, დედა ჩემო, არ შემიძლიან უტიტიკოოდ სიცოცხლე, არა! სულ ერთია, ხომ მოგიკვდება ანო, მაშ მასთან ერთად მოგივიდეს ავიც და კარგიც. ტიტიკოს ვუყვარვარ, რაში მეკნაჭე-

ხიან დანარჩენები! მითხარი, გენაცვალე, სანუგეშო რამ... — ეუბნებოდა ის მშობელს.

— ჰოი, ჩემმა დამბადებელმა ღმერთმა აგაცილოს ყოველივე გაჭირვება და არ მოასწროს დედაშენი თავის ნუგეშის არაფერს ცუდსა, შვილო! მაგრამ ტიტიკომ რომ შენზე ჯვარი არ დაიწეროს, რომელ წყალს მივცეთ თავი? ხომ დავრჩით შერცხვენილები, თავზე დაფდასხმულები?..

— არა, არა, ის მეფიცება, ერთგულებაზე, ოღონდ კი დასტური დავცე სიყვარულზე... ნეტარება ხელში მეძლევა, დედი, და აბა როგორ უნდა გავაბრუნო, მერე ისიც რისთვის?.. ვისთვის?.. — გაიძახოდა დაჟინებით ქალი. სალომე ხედავდა, არა ეშველებოდა-რა, ხსნა მარტო იმაში იყო, ტიტიკოს ჯვარი დაეწერა, უიმისოდ შეიძლებოდა, ანო კიდევაც ჭკუაზე შეშლილიყო. სალომე ნება-უნებლიეთ დაემორჩილა ქალის სურვილს, თუმცა შიში არ შორდებოდა, დღითი-დღე ელოდა ზაქარიას ან რომელსამე მის მახლობელს, რომელიც უსათუოდ შემოვიდოდა ამათსა და საქვეყნოდ შეარცხვენდა, თვითონ ტიტიკოსაც გაიტაცებდა, მოაშორებდა. — აბა რა თავი აქვს გუშინდელ ღლაპს, ჯერ პირზე რძე არ შეშრობია?.. მაგისი სიტყვა რა მისაღებია? — ფიქრობდა ის, მაგრამ ანიკოსთან ვერას აწყობდა, ამისათვის ისევ გაჩუმებული იყო, უცდიდა, თუ რა იქნებოდა შემდეგში.

სიყვარულმა დაათრო, გააბრუა ანიკო, ტიტიკოს გულს ტკბილად მიეყრდნო. ტიტიკო ამშვიდებდა ანოს, მის დედას, რომ ყველაფერი კარგა იქნებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში თითქო კიდევაც უძვირებდა ანიკოს ნახვას და ფარულად დარდსაც ეძლეოდა. ქალსაც ეჭვები ელვიძებოდნენ, დედას კი არას უმხელდა. მაგრამ სალომე ქალის დაღონებაზე თვითონაც გულში იტანჯებოდა.

— რა ვქნა, რად დაიგვიანა ტიტიკომ, დედაჩემო, როგორა გგონია? — ჰკითხავდა ხოლმე ქალი სალომეს, რომელიც შუბლს შეიკრავდა და უპასუხებდა:

— აბა, რა ვიცი, გულთმისანი ვარ?.. ალბათ საქმე თუ გაუჩნდა, ან დედ-მამამ შეუტყო ჩვენი გადაკიდება და აღარ უშვებენ...

— მერე ვითომ შეიძლონ ჩამოშორება?

— რატომაო? მაგისთანეები შეუცვლიათ? რა დამჯდარი, მოვ-

დიდი კაცი ის არის... დიამც იყვეს ოცდასამი-ოთხი წლისა, მეტისა ხომ არა! და აბა მაკ ხანში რა სიმტკიცე მოეთხოვება უსუსურს? — ეს სიტყვები უფრო ჩააფიქრებდნენ წინანდელზე მეტად ანიკოს, ხმას ჩაკმენდავდა, სადომე კი, კმაყოფილი თავის სიტყვებისა, შეუდგებოდა საქმეს, დარწმუნებული, რომ ანოც ამის დაპარაკის ზეგავლენით ელოდებოდა უწყალო მომავალს, ერთხელ რადგან მძიმე ნაღველით დატვირთული გული ყურს აღარას ათხოვებდა, გონება მიეპყრო საქმისთვის, რათა მას ზედ დაკვდომოდა; სადომეც მეორე ოთახში მიწოლილიყო, დაღადულს ჩასძინებოდა. ოთახში ქალის მეტი არა სჩანდა-რა. ტიტიკო შემოვიდა და ხელი მოხვია სწორედ იმ დროს, როდესაც ანიკო ის-იყო აპირებდა დაკივლებას, მაგრამ, რა დაინახა ტიტიკო, მსწრაფლ გაყუჩდა და ნაზად შემოეჭდო მკლავებით თავის ოცნებას. როდესაც გული იჯერეს ალერსით, ტიტიკო მოუჯდა გვერდზე, დაუწყო დაწვრილებით გამოკითხვა, ბედნიერი ანო ღიმილით აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას, ატყობინებდა ყოველივე გამონაცად-ნანახს მას აქეთ, რაც ერთმანეთს დაშორებოდნენ.

— მაშ ჯავრობდი ჩემს დაგვიანებაზე, ძვირფასო?

— ჰო... ვჯავრობდი, ახლა კი აღარა, ყველაფერი დამავიწყდა, — ეუბნებოდა ანო. — ტიტიკო, ჩვენი საქმე როგორ არის?! — კითხა მან ბოლოს.

— ძალიან ცუდად! რომ იცოდე, რა რიგად ცდილობენ უფროსები ჩემს შენთან დაშორებასა! ახლაც იმისთვის დავიგვიანე, რომ თავი ველარ ვიხსენი იმათგან. მტუქსავენ, მემუქრებიან, შვილობიდან მრიცხავენ, მეტადრე მამა და უფროსი და მაკინე, ძალიან გაჭირვეულებულან.

— მერე როგორ გაიგეს? ვინ უთხრა?

— განა დაიმალება რამ? ვიღაცას ჭორად მიეტანა, მეც დამეკითხნენ, არ დავუმალე, პირდაპირ გამოვუცხადე, რომ შენს მეტს არავის ვირთავ... დედაჩემი ლოგინში ჩაწვა, დიდედამ კი ველარა მითხრა-რა, მარტო ჩვეულებრივად იწყო ლოცვა... მამა და მაკინე გადაწყვეტით მიბრძანებენ, თავი დაგანებო.

— აკი გითხარი, ტიტიკო, შენი საქმე არ არის ჩემთან შეუღლება-მეთქი! — უთხრა ანომ აღელვებულ ყმაწვილს, რომელსაც შუბლი შეეკრა.

— დედა სად არის? — იკითხა ტიტიკომ, თითქო ამითი უნდა წუთს მოიშოროს ეს უსიამოვნო ლაპარაკიო.

— დედას სძინავს... თავი დაანებე... დაღალულია საწყალი, — მიატანა ანომ, როდესაც ნახა, ტიტიკო მეორე ოთახში შესვლას აპირებდა.

— დაიცა, გენაცვალე, დაჯექი, დამშვიდდი, მითხარი რას ბპირებ? — ეხვეწებოდა ანო.

— მე თვითონ არ ვიცი, — ფიქრიანად უპასუხა ტიტიკომ და ისევ დაეშვა სკამზე.

— მოიქეც ისე, როგორც გიბრძანებენ, ჯერ კიდევ გვიან ბრ არის...

— როგორ? თავი დაგანებო?.. რას მეუბნები მაგას, ანო? შენ ჯერ მითხარი, გიყვარვარ?

— განა ეგ კიდევ საკითხავია?

— მაშ კისრულობ ჩემთან შეჭირვებულ ცხოვრებას?

— სხვა რომელი ცხოვრება მქონებია, რომ გაჭირვება არ ვიკისრო!.. ტიტიკო, მერწმუნე, მე მარტო სიღარიბის ღვიძლი შვილი ვარ და კიდევაც შევჩვევივარ მას...

— ჰო და მაშ კარგი!.. ჩვენი მომავალი მაინც ასეთია, მეც იმისთვის გეკითხები, ბოლოს სამძიმო არ იყვეს...

— ვისთვის?..

— არა, შენთვის! შენთვის, ჩემო ანო, ხვალ-ზეგ ჯვარი უნდა დავიწეროთ უსათუოდ, — დააბოლოვა მტკიცედ ტიტიკომ.

— აგრე მალე?.. მერე თქვენები? — შესძახა გულში გახარებულმა ანიკომ.

— კიდეც იმისთვის ვჩქარობ, რომ ჩვენებს დიდი ძალა უჭირავთ ხელში და იმ ძალას თუ მომეტებული ძალა არ დახვდა წინ, შეიძლება გაიმარჯვონ. მეც სიკვდილის შვილი ვარ... ვინ იცის, რაგვარად მოხდეს საქმე... მაგრამ რაკი ჯვარს დავიწერთ, მაშინ კი ველარას დაგვაკლებენ. დაე, რაც ნებავდეთ, ის ჩაიდინონ! შენ რომ ნახო მაკინეს ოინები, იმისი მოგონილი ვითომდა აშლილი ზაფრის ქარები, ქვითინი და თავში ცემა, შეკრთებოდი და დამაჩქარებდი...

ანო გულმოდგინედ უსმენდა ტიტიკოს.

ღმერთო, მაშ მისი გულისთვის კისრულობს ოჯახიდან გამოსვლას?!. განა ძნელი ასატანი არ იქნებოდა სატრფოსთვის,

სხვა გარემოებაში რომ მოხდენოდა ასეთი შემთხვევა, ახლა კი არაფ უღირს, რადგან იმედი აქვს, ანო გააბედნიერებს, შეავსებს დანაკლისს! ნუთუ თავმოყვარეობა არ იქნება, რომ ხელი წაუმართოს ამ საქციელში?.. ამ მოსაზრებით ანო ემუდარებოდა ტიტიკოს, მას სხვანაირად როგორმე მოეგვარებინა, არ გაერისხებინა თავისები, მაგრამ საშველი არა სჩანდა, გარდა იმისა, რომ ესენი მოშორებოდნენ ერთმანეთს. ამისი შესრულება კი ორივესთვის მეტად სამძიმო იყო.

— არა, არა, რაც უნდა დამემართოს, თავს არ დაგანებებ! — შესძახა დაჟინებით ყმაწვილმა კაცმა. ანო კი ქვითინებდა.

— ტიტიკო, თავს შემოგევლოს ანო, სიცოცხლევ, გეფიცები შენს სახელს, რომ ჩემის პირიდან საყვედური არასდროს არ ამოვა. ოღონდ შენ ბედნიერი იყავ, ჩემთვის ესეც დიდი ნუგეშია ცხოვრებაში...

— ახლა? როცა მომაჯადოვე? როცა გული-გონება წამართვი? არა, ანო, ჩვენ წავიდეთ მშვიდად ბედნიერებისაკენ. მის ღონიერ კალთას თავი შევაფაროთ, ვიდრე ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა!

ამათ ლაპარაკში სალომეც გამოვიდა. რა დაინახა ტიტიკო, გახარებული მოეხვია, დაკოცნა, მოიკითხა. ტიტიკომ არც მას დაუმალა-რა, ყოველივე უკლებლივ შეატყობინა. შვილის ბედნიერებამ გონება გაუყრუა სალომეს, მას ეყურებოდა ტიტიკოსაგან ხვეწნა-მუდარა ჯვარისწერაზე, მაშ რაღა ჰქონდა საწუხარი? გაშალა ხელები, მხურვალე თანაგრძნობით მიიკრა გულში სასიძო და დალოცა. ანოც დათანხმდა ტიტიკოს წინადადებაზე. აკერა გათენდა დანიშნული დღე, ანო სადედოფლოდ მომზადებული, თავის ტოლ ქალებთან ერთად ელის ნეფეს, რომელიც უნდა მოვიდეს. ტიტიკომ დიდხანს არ აღოდინა, მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე მეტად, გაცრეცილი, აღელვებული სჩანს... თვალებში კი ცხადად ეხატება სიმტკიცე. მისალმების უმალ შეატყობინა ანიკოს, რომ დღეს მის სახლში დედ-მამა თუ დები ყველანი სხედან და გლოვობენ ტიტიკოს, როგორც მკვდარსა. ანოს ცრემლები წამოადგნენ თვალებში, ტიტიკომ დაკოცნა და ჩასვა ეტლში, რათა ჩქარა წასულიყვნენ, სადაც დიდი ხანია ელოდებოდათ შემოსილი მღვდელი. ანიკო და ტიტიკო მეტად ბედნიერები იყვნენ. უფრო თამამად უყურებდნენ ყოველივეს, თითქო გამდიერებულიყვნენ, ტიტიკოს აღელვება ნაკლებ ეტყობოდა, სახეზე

დასთამაშებდა სიხარული, ნეტარება. მან თავისი ვალი მაინც შეასრულა, დეპეშით სთხოვა ლოცვა-კურთხევა მშობლებს, რომელთაც პასუხი არ აღირსეს. ახლა ამაოა მათი რისხვა, ანიკოც უკვე კანონიერი მეუღლე გახდა ტიტიკოსი! რა ძალა იხატებოდა ამ სიტყვებში, ანიკოს კარგა შეეგნო, აეწონა მისი მნიშვნელობა და შესაფერისად თავს იწონებდა. საღომე სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა, მორთულ-მოკაზმული დაფუსფუსებდა, ციბრუტივით ტრიალებდა, შვილსა და სიძეს არა დაკლებოდათ-რა, თან შეხაროდა, თავს ევლებოდა:

— იცოცხლეთ, ინეტარეთ, შვილებო! ღმერთო, რახანც მაღირსე ჩემი გოგოს ბედნიერება, ახლა თუნდ მოვკვდე, დიდად არ დამენანება თავი.

— დახე, რა ბედი ჰქონია ანოს! — ყველგან გაისმოდა ხმა.

— სწორედ ნატვრის თვალი ჰქონია, თორემ ვინ აღირსებდა სარდიონიშვილის კნეინობას! — კვერს უკრავდნენ სხვები. დღეები შესამჩნევად გარბოდნენ, ნეტარებამ ტიტიკოსა და ანოს ერთმანეთის გარდა ყველა დაავიწყა. ტიტიკოს პატრონები კი გონს ველარ მოსულიყვნენ უეცარ ელდისაგან; ვერ დაეჯერებინათ, თუ ყველა ეს მოეხდინა მათ თვალ-წარბში შემყურე მორჩილ შვილს, ტიტიკოს.

— ტიტიკომ შეარცხვინა ოჯახი! ტიტიკომ მასხარად აიგდო! აღარ დაიჯერა და ჯვარსაც იწერს იმ წუწკ გომბიოზე! — იმეორებდა გაბრაზებული ზაქარია. თმაში ხელი წაევლო და მოუსვენრად დადიოდა აჩქარებით ოთახიდან ოთახში....

— ის ფეხს ველარ შემოდგამს ამ სახლში, ვერა!.. ვერა! განა მასხარადაც ამიგდო და ლოცვა-კურთხევა მთხოვა? ჭადი ჭამია ბერიძის ქალი განა ზაქარიას რძალი გახდა?! მერე ისიც შვილის ცოლი?! — ზაქარიას რისხვა ემატებოდა, მთლად ცახცახებდა. მაგდანი და ეფემია ტიროდნენ, მუხლებს ითქვეფავდნენ. — ოღონდაც, სახლში შესაშვები არ არის! — ბანს აძლევდნენ მაკინე და გაიანეც. ამ არეულობისა მარტო ოქრომ არა იცოდა-რა, რადგან შორს იყო. თუმცა წინადვე იცოდა, რა აურზაურს ასტეხდა ანიკოს რძლობა მის ოჯახში.

— მამაჩემი არ წამიწყდეს, თუ თქვენ ყურადღება მიგიქცევიათ, შეგბრალებიათ, არც ერთი თქვენგანი თვალით აღარ დამენახოს! — შესძახა ზაქარიამ.

— მე ის აღარ მყავს, გეყურებათ, სახლში მყოფებო? ერთი ვაჟიშვილის მეტი აღარა მყავს! უფროსი მომიკვდა, დავმარხე!

სახლში კვალად გაისმოდა ქვითინი, ტირილი. ეფემიასა და მაგდანის გულები კიდევ სხვაფრივ უძგერდათ. ეფემიას ეშინოდა ტიტიკოს სუსტი ჯანის გამო და როგორც კი წარმოიდგენდა, შეიძლებოდა ტიტიკო ავად გამხდარიყო და მას ველარ ენახა, უფრო მეტად მოსდიოდა ტირილი... გული ევსებოდა შურით და სიძულვილით იმ უმსგავს, უგვარო ქალზე, რომელიც დღეს დაპატრონებოდა მის შვილს. მაგდანიც ტიროდა, მარტო მისთვის, რომ შვილებს თავი ველარ შეეკავებინათ ყოველ ცუდზე, გაიგონებდა თუ არა ზაქარიას წყევლა-კრულვას, ჟრუანტელი დაუვლიდა სხეულში და იმეორებდა: „ნუ შეისმენ, უფალო, რამეთუ არა იცის, რასა იქმს". ამასვე შესთხოვდა აგრეთვე ტიტიკოს შესახებ: „მიუტევე, უფალო, ყოველი შეცოდება!.." მეზობლებიც ჩასჩიჩინებდნენ, ესვეწებოდნენ, მეტადრე ზაქარიას და მაკინეს, დამშვიდებას, რადგან საარაკო არა მოსვლოდათ-რა, არამედ ბევრი ტოლი და ამხანაგი ყავდათ. მაკინეს თავმოყვარეობა ებლალებოდა ამ სხვებთან შედარებით და მეტად ანჩხლდებოდა. ტიტიკოს ყურამდის უკლებლივ მიდიოდა ყველაფერი, რაც კი ხდებოდა დედმამის სახლში და აწუხებდა მათი ასეთი ტანჯვა-განრისხება.

— ვერ წარმომიდგენია, თუ რად მიაჩნდათ ისე ადვილად ჩემგან ანოზე ხელის აღება? ნუთუ მათ გულს გრძნობა არ მიკარებია? ნუთუ მთელ თავიანთ სიცოცხლეში მარტო გონება უვარჯიშიათ და გული კი დაუსშვიათ? დღეს რანაირად იცავენ თავიანთ უპირატესობას იმისთანა მშვიდი, წყნარი, უვნებელი და ამასთანავე მოსიყვარულე არსებანი. რა მიზეზია? — ფიქრობდა ტიტიკო. თუმცა ის კმაყოფილი იყო ანოსთან შეუღლებით, მაგრამ მშობლების წყრომა დიდად მოქმედებდა, თითქმის ანახევრებდა ღლევანდელ ნეტარებას.

ისეთი რა უბედურება იყო ანიკოს შერთვა? ეს უმანკო არსება რითი იდგა დებზე დაბლა? ნუთუ მარტო ჩამომავლობით, რატომ გვარით არა ბრწყინავდა? ტიტიკო თუმცა შფოთავდა ამ უსამართლობაზე, მაგრამ დღეს ცხადადა ხედავდა, თურმე რა დიდი მნიშვნელობა ჰქონებოდა წოდებას. ბევრი ამბები შეეტყო ტიტიკოს პავლე სარდიონიშვილზე, ზაქარიას მამაზე. ახლაც თმა ასდის ხოლმე მაღლა, როდესაც მოიგონებს. პავლე ყოფილიყო მე-

ტად გოროზი, გულქვა, ღვთისრისხვა კაცი, ის სარგებლობდა გარემოებით, რომელიც მისთვის დაემონებინა უწყალო ბატონყმობას. მთელი ეს კუთხე, სადაც კი ხმა ან ხელი მიუწვდებოდა, შიშსა და ძრწოლვაში მოყავდა, თითქოს გული უწუხდათ. მაგრამ მისი მეუღლე მაგდანი მტრედსავით მშვიდი, დამონებოდა მტარვალ მეუღლეს, მორჩილებით ემსახურებოდა და როგორც კი დაინახავდა ვისმეზე განრისხებულ ქმარს, ის მაშინვე მიმართავდა თავის ერთადერთ ნუგეშს — ხატებს. დაემხობოდა მუხლებზე და ხელაპყრობილი შელალადებდა, რათა მეუღლის განრისხებას მშვიდობით ჩაევლო, რადგან იცოდა, მას შედეგად მოჰყვებოდა რომლისამე ყმის ან ათვალისწუნებულ პირის სიკვდილ-წამება.., პავლე დაიბარებდა მცირედ დანაშაულისათვის უბედურს, იქვე ცაცხვებქვეშ გააწვენინებდა და მათრახით ააჭრელებინებდა იქამდის, ვიდრე მსხვერპლი სუნთქვას შეწყვეტდა. მერე დასიებულ-გადუჯერებულს შეატაინებდა და ჩააგდებინებდა სადმე სიბნელეში, საიდანაც მალვით, მოხერხებით მოიპარავდნენ ან შეისყიდდნენ უბედურის ჭირისუფლები, და თუ არავინ გააჩნდა, შიგვე ჩაკვდებოდა. გარდა ამისა პავლე კარგი მასპანძელიც ყოფილიყო; ისე არ გადიხდიდა ნადიმს, სტუმრებისათვის არ დაეთითოებინა გოგო-ბიჭები, რომელნიც კი თვალში მოუვიდოდნენ წვეულთ. გაღონიერებული პავლე მარტო დამონებულ ხალხს არ ავიწროებდა, არ ასვენებდა აგრეთვე თავის ტოლ თავადაზნაურობასაც, გარემოებით უკან ჩამორჩენილთ. ტიტიკოს ოდნავ, სიზმარსავით ახსოვდა თავისი პაპა, გულში კი ჩარჩენოდა მისი ბრიალა თვალების მრისხანება. ბატონყმობა გადავარდა, პავლეც გამოესალმა წუთისოფელს. მაშინ ტიტიკო ექვსი წლისა ძლივს იქნებოდა, მაკინე კი ვეებერთელა ქალი იყო და პავლესიც დიდი ნებიერი. მრისხანე პაპაზე მთელი წელიწადი არ შეწყვეტილა გლოვა, ყველგან ხმა იყო გავარდნილი, რომ ის მოსწამლა ერთმა ნაყმევმა, გიო რაბელაშვილმა, მის სამაგიეროდ, რომ მისი შვილი ვილასთვისაც მიეყიდნა. თვითონ რაბელაშვილიც კვალწმინდად სადღაც გადავარდნილიყო... ტიტიკოს უკვირდა მაგდანის მუდამ ლოცვავედრება, მაგრამ დღეს კი ცხადად გრძნობდა, თუ იმ ლოცვას რა სიმხნევე, ნუგეში უძღევია მოხუცისათვის. ზაქარია უფრო დედას მიაგავდა, ოჯახში მასაც უყვარდა მედიდურობა, ამისთვის მოწიწებით ეპყრობოდნენ სახლში მყოფები. აბა მაშ

ადვილად აპატიებდა ტიტიკოს, რომ ამათი ასეთი მიდრეკილება, ზნე-ჩვეულება დაარღვია ვიღაც კუდაბზნაურის ქალის მიყვანით. ანო და ტიტიკო ერთმანეთს თუმცა არ ეუბნებოდნენ, მაგრამ გულში ატარებდნენ დარდს: ანიკო ქმრის გამოისობით, რადგან მას მოხდენოდა შევიწროებულ ცხოვრებაში ყოფნა, ტიტიკო კი ოჯახის სიმშვიდის დარღვევაზე. გარემოებამ იმოქმედა ტიტიკოზე, გახდა, თითქმის გაყვითლდა. ანო უმატებდა შრომას, სადღომე ხელს უმარჯვებდა. ისინი ცდილობდნენ, როგორმე ტიტიკო უზრუნველი ემყოფებინათ. ამასობაში გაიარა ნახევარმა წელიწადმა. ტიტიკო დარწმუნდა, მისმა მშობლებმა სამუდამოდ მოიძულეს, გულიდან ამოიღეს, თავი მიანებეს, მაგრამ აგერ უეცრად მოვიდა მამისგან დეპეშა, იბარებდა. მას არა სჯეროდა, თუ მართლა ზაქარიას გამოეგზავნა, ნამდვილად კი იმისგან იყო.

— მაშ ისევ მიბრუნებენ?.. მაპატიებენ?.. — იმეორებდა გახარებული ტიტიკო. მან საჩქაროდ გასწია, ცოლს კი ამბავი დაუტოვა, უსათუოდ მალე დაბრუნდებოდა. ანიკოს თუმცა ეფიქრებოდა, ვაი თუ ტიტიკო არ გამოუშვან და მომაშორონო, მაინც სიამოვნებას გრძნობდა, რადგან ტიტიკოს მეტად კმაყოფილს ხედავდა. რაც ხანი მიდიოდა, დედა და შვილი თანდათან მოუსვენრად გაიყურებოდნენ გზისკენ. ანოს დარდი და ვარამი დაეპატრონა, ღამეების თევით თითქმის დასუსტდა, ტიტიკო კი მიისწრაფოდა მოუთმენლად სახლისაკენ, ცრემლებიც კი წამოუვიდნენ, როდესაც დაინახა დედ-მამის სახლი. ზაქარიამ ჩაიკრა გულში და ბევრი იტირა, ალარ გახსენებია საყვედური, არამედ შეშინებული უყურებდა გამხდარ შვილს. სჯეროდათ, რაც კი ეთქვათ ამაზე, რომ ღამის ჯავრით დაჭლექდესო და ვადი გდევთ უპატრონოთო. თუმცა პირველში დიდად იმწუთხეს ტიტიკოს შერიგება, ჩისი მოგონება, მაგრამ გულში ფარულად ყველას დარდი ჰქონდა. მაგდანს ლოცვისათვის თავი დაენებებინა, ეხვეწებოდა შვილს, შინ დაებრუნებინა ტიტიკო. ზაქარია განაგრძობდა ისევ მუქარას, მაგრამ ეს მუქარა თანადათან სუსტდებოდა, ცხადად ეტყობოდა ბრძოლა, რომელიც აეტეხა მშობლიურ სიყვარულს თავმოყვარეობასთან.

— რაო? ვაპატიო? როგორ თუ ვაპატიო! მერე რა უნდა მერქვას? რა?.. მოკვდეს, რა მენაღვლება! — შესძახებდა ის და სიკვდილის ხსენებაზე თვითონაც შეკრთებოდა, ყელში დუღილით

მოსუღ ცრემლებს ძაღლატანებით ყლაპავდა, ცდილობდა თავი შე-
ემაგრებინა. უნებურ კმაყოფილებას გრძნობდა, როდესაც მია-
ცივდებოდნენ ცოლი და დედა.

— რა გინდათ, თქვე უწყალოებო, დამიბრუნეთ ჩემი შვი-
ლი! — შესძახებდა ეფემია და გულშეღონებული მიესვენებოდა
ბალიშებზე. მაკინეს კი გული მოსდიოდა, რომ მშობლები ასეთ
სისუსტეს იჩენდნენ. ვერ შედეოდნენ ტიტიკოს და უეჭველია,
დღეს თუ ხვალ აზნაური ქალი ყველას თავზე დააჯდებოდათ.
ბევრს ამისთანა სიტყვებს ხარჯავდა, მაგრამ მაინც ვერ დააშ-
ლევინა ტიტიკოს შერიგება, ზაქარიამ ველარ გაუძლო ეფემიას
მწუხარებას, თუმცა თვითონაც მომეტებულად სწყუროდა შვი-
ლის ნახვა.

— რა მეტი ღონეა! უნდა დავიბარო ის ლაწირაკი, ისა! —
იტყოდა, თავს დააყრდნობდა ხელებზე, ფიქრს მიეცემოდა.

— კარგია, ქალო, და! შენ მაინც გაჩერდი! პატარა მომასვე-
ნეთ... რაც გინდათ, ჰქენით, დაიბარეთ, მე არ გიშლით! მარტო
იმ პირობით, რომ ის, ის ვიღაც არის, არ დაგვანახვოს თვა-
ლით!.. გეყურებათ? იმისი ამ სახლში მოსვლა და ჩემი სიკვდი-
ლი ერთი იქნება! დაჯექი, დასწერე დეპეშა. — მიუბრუნდა გაია-
ნეს, რომელიც დაემორჩილა მამის ბრძანებას. ეფემიას ამ დროს
სასუნებელით აბრუნებდნენ, რადგან ტირილისაგან დაოსებულიყო.
ზაქარია დადიოდა აჩქარებული ნაბიჯით, ხან გაჩერდებოდა გა-
იანეს წინ და ხარბად თვალს ადევნებდა მისი კალმის მოძრაო-
ბას.

— არა, არა, ოჰ! ეგ რა დაგიწერია, ქალო? ეგ არ უნდა!.. ეჰ,
ვერ სწერ! მოიტა ისევ აქა! — გამოართვა ქაღალდი, გახია შუა-
ზე, დაიწყო წერა, მაგრამ არც თავისი ნაწერი მოსდიოდა თვალ-
ში, მალიმალ ხევდა, გულმოსული წამოდგებოდა და ისევ რამდე-
ნისამე საათის შემდეგ ჩაუჯდებოდა. ძლივს საღამოზე მოახერ-
ხა გაგზავნა.

მოუვიდათ ტიტიკო, ყველა გულში სიამოვნებდა, გარდა მა-
კინესი... მათ კიდევაც გადავიწყებოდათ, აღარ ახსოვდათ, არც
კი ეჯერათ, თუ ტიტიკოს მათთვის ოდესმე უსიამოვნობა მიე-
ყენებინა, ურჩობა გაეწია. ეფემია მოლონიერდა... გაღიმებული
სახით შეყურებდა შვილს. ტიტიკოც თანდათან გამხიარულდა,
იწყო ჩვეულებრივი ცხოვრება თავის დედ-მამის ოჯახში, მაგ-

რამ მაკინეს უკმეხი ქცევა, ხანდახან სიტყვებით გადმოკრული მათრახები უგვაროებისა და „მუჟიკების" შესახებ წითელი ატლასისფრად ხდიდა სოლმე... სხვები კი კრინტს არ სძრავდნენ. მაგრამ რაც უფრო დრო მიდიოდა, ტიტიკოს ცოლთან დაბრუნების სურვილი უძლიერდებოდა... კი ვერ მოეხერხებინა ჯერჯერობით მისი გამომჟღავნება. ეს ნაძალადევად თავშეკავებული მდგომარეობა ადვილი ასატანი არ იყო და ტიტიკო მუდამ მოწყენით იყურებოდა. ზაქარია ამჩნევდა ნაღველს, თითქო მიზეზსაც მიხვედრილიყო.

— სწორე იმაზე ღონობს, აი!.. იქ უნდა წასვლა და კი ველარ გაუბედნია! — გაიფიქრებდა, როდესაც დაინახავდა ტიტიკოს. ტიტიკომ გადასწყვიტა, მომზადებულიყო წასასვლელად, და თუ ჰკითხავდნენ, პირდაპირ გამოეცხადებინა, და ამითი გაეთავებინა მათთან საქმე ავად ან კარგად.

— არა, ესენი ჩემ მდგომარეობაში არ შემოდიან, — ამბობდა გულში ტიტიკო, თან ალაგებდა ბარგს...

— რა ამბავია, შვილო, საით მიემგზავრები? — ჰკითხა ამ დროს ზაქარიამ, შემოვიდა თუ არა ოთახში და, რა დაინახა ტიტიკოს მთელი ბარგი ჩაელაგებინა, გაოცებულმა დაუწყო ქცერა... ტიტიკო გაწითლდა, მაგრამ მაინც მტკიცედ უპასუხა:

— მაშ როდემდე ვიყო, მამაჩემო, აქა? აკი გნახეთ, მადლობა ღმერთს, მშვიდობით დამხვდით, ახლა კი უნდა წავიდე...

— ჰმ!.. გვნახე!.. როდემდის იყვე?.. რა საკითხავია?.. შენს სახლში როდემდის იყვე?.. რატომ წინათ არ მოგდიოდა ეგ აზრები, ბიჭო?

— წინათ მარტო ვიყავი... ახლა კი...

— ახლა რაღაა?

ტიტიკომ აიღო თავი მაღლა, პირდაპირ თვალებში შეხედა მამას და წარმოსთქვა:

— ახლა ცოლი მყავს და მოვალე ვარ იმასთან ვიცხოვრო...

ზაქარიას დახვარივით მოხვდა შვილის ასეთი უშიშარი, მტკიცე პასუხი, წარბი შეიკრა...

— ჰმ! მოვალე!.. — წაიდაპარაკა მან თავშემაგრებით... აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან როგორ მოქცეოდა შვილს. ის მარტო ალელვებული დადიოდა, გაჩუმებული, ტიტიკოს გულზე მოეფონა, რადგან დიდიხნის შემალონებელი ტვირთი ძლივს ჩამოიშორა, გა-

დასწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრად დასდგომოდა, თუმცა მამა ეცოდებოდა.

— იმასთან მიდიხარ? — იკითხა კარგა მღელვარების შემდეგ ზაქარიამ.

— დიალ, მაშ აბა სად წავიდე?

— როდემდის დარჩები?

— სანამ შევიძლებ თავის რჩენასა...

— მერე?

— მერე რაც იქნება — იქნეს!.. თუ გაგვიჭირდება, ჯერ შევებრძოლებით, თუ მოვერიეთ — ხომ კარგი, თუ არა და სიკვდილს აღარ მოვერიდებით...

ზაქარიამ აიტეხა ხვეღა.

— მანამდის რად მიიყვანე შენი თავი, შვილო? ვინ არის დამნაშავე? — ძლივს მოახერხა ხმის ამოღება.

— ისევ ჩემი თავი, მამავ, რაც კაცმა იკისროს, უნდა კიდეც გაიტანოს.

— განა ნანობ?

— სრულებითაც არა... ოჰ მაპატიე, ძვირფასო მშობელო! მაპატიე, რაც გაწყენინე... შენს უნებურად მოვიქეცი! — შესძახა ტიტიკომ, მივიდა, გამოართვა ხელები და დაუწყო მხურვალედ კოცნა. ზაქარიას გული აუჩუყდა... მოხვია ტიტიკოს ხელი და მიიკრა გულზე... წუთს დაავიწყდა მდურვა, საყვედური, რა დაინახა ბავშვივით ატირებული ვაჟკაცი შვილი.

— მაშ იმისთვის მიდიხარ, ბიჭო? — ჰკითხავდა ათრთოლებულის ხმით დაძლეული ზაქარია.

— მაშ რა ვქნა მამა? თავს ხომ ვერ დავანებებ? ვერც დაგიმალავ, რომ ის მიყვარს სიცოცხლეზე მეტად. არ შემიძლიან მისგან შორს ყოფნა, საცა ის არის, მეც იქ უნდა ვიყვე. ოხ, მამაჩემო, ნუთუ არასდროს არ გამოგიცდია ჩემს ხანში სიყვარული?.. რას იტყოდი ნეტაი, რომ ეთქვათ, მოშორდი შენი გულის სათაყვანებელსო?

ზაქარიას არ გამოეცადა ასეთი ძლიერი გრძნობა, ამას ენახა ეფემია, მაშინ მეტად — ყმაწვილი იყო, მამას ებრძანებინა მისი შერთვა და შეერთო... უყვარდა ეფემია? რასაკვირველია, როგორც მეუღლე.... სხვაფრივ ან კი როგორ უნდა მოქცეულიყო ზაქარია, თუ არ შეეყვარებინა თავისი ცოლ-შვილი, ოჯახი?

მაინც ზაქარიას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, წინდაწინ ატყობ-და თავის თავს, როგორ დაამძიმებდა საქმეს. თითქო არც ძა-დიან უნდოდა და სხვანაირად მოქცევაც არ შეიძლებოდა... ჩა-მოჯდა ტახტზე, თავი დაკიდა ძირს.

— ნახვამდის, ჩემო მამავ! — უთხრა ამ დროს ტიტიკომ, ის უკვე სამგზავროდ მორთულიყო... მივიდა და ხელი შეახო მშო-ბელს, რომელიც თითქო აღარასა გრძნობდა... ზაქარია შვილის სიტყვებზე გამოერკვია.

— ჰა, მაშ მიდიხარ, არ იშლი? ჰმ!.. როდის მოსვალ? — ძლივს დაუმატა მან.

— სწორედ არ ვიცი... ჩავიგდებ თუ არა ხელში თავისუფალ დროს, მოვალ.

ზაქარიამ გახსნა ქისა, ამოიღო კარგა ბლომად ფული და მის-ცა შვილს.

— აჰა, დაგჭირდება! — ტიტიკომ მადლობით დაუკოცნა ხელე-ბი... — ეჰ, ტიტიკო, შენი აგრე სიარული არ მოხერხდება, ჩვე-ნივე სირცხვილია, შვილო... ბარემ არ გექნა საქმე, კარგი იყო, მაგრამ ახლა რას იზამ?.. ისევ აქ მოიყვანე ი შენი ცოლი, სხვის კარებთან როდემდის უნდა ატარო? რაც იყო, იყო... მოიყვანე... — დაუმატა ზაქარიამ და თითქმის ძალაწართმეული ისევ დაეშვა ტახტზე, მიიფარა თვალებზე ხელი და დაიწყო ქვითინი... ტიტი-კოს მამის მწუხარების დანახვაზე სინდისის ქენჯნამ სული შე-უგუბა, მოეხვია მუხლებზე და წინანდელზე უფრო მეტად მოს-თხოვა ვედრებით შენდობა და პატიება.

## XVIII

ტიტიკო მეტად კმაყოფილი იყო, მშობლებს რომ მოსურვე-ბოდათ მისი ცოლის მოყვანა, თუმცა ამ სურვილის ნაძალადევო-ბას ატყობდა, მაინც იმედი ჰქონდა ანიკოსი, მალე მოიგებდა, მიიზიდებდა უფროსების გულს. მაკინეც, ღვთის მადლით, მალე გაეცლებოდათ და საშიში აღარავინ დარჩებოდა სახლში, ტიტი-კოს აღარ დაუგვიანია, წავიდა ქალის მოსაყვანად.

— მარტო იცოდე ჩემგან, რომ იმის გასაგისს ამ ოჯახში ადგილი არ ჰქონდეს! გეყურება? — ეუბნებოდა ზაქარია, როდესაც

ისტუმრებდა შვილს. ტიტიკოს არავისი ჯავრი აღარ ჰქონდა, მამამ დასტური დასცა ანიკოს სახლში მოყვანაზე და ყოველ წინადადებაზე მაშინვე ეთანხმებოდა.

— აბა, ანოჯან, მოემზადე! — დაიძახა შესვლის უმალ ტიტიკომ და გადაეხვია ცოლს და სიდედრს. ანიკო გამხდარიყო, თვალები მორიდეოდნენ ათას დარდ-ვარამისაგან. ტიტიკოს გაღიმებული სახის დანახვაზე ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ უკანასკნელმა სიტყვებმა ისევ შეაშფოთეს.

— რა ამბავია? განა ჯერ კიდევ ბოლო არ მოღებია ჩვენი გულისხეთქვას?

— სრულებით, ჩემო კარგო, სრულებით... მშობლებმა გვაპატიეს, ნება მომცეს წაგიყვანო, მოემზადე... — ჩქარა-ჩქარა ამბობდა კმაყოფილი ტიტიკო.

— წამიყვანო? — ქალი შეკრთა, ის წინდაწინ რაღაც შიშს გრძნობდა, გული არ მიიწევდა იქითკენ...

ვთქვათ, კიდევაც წაიყვანოს, მერე სალომე ვის ანაბარად დასტოვოს? თუნდ, იქ, საქმრეულოში როგორ მიიღებენ? — ანიკოს გული დამძიმდა.

— წამოვიდე? — გაიმეორა მან ფიქრიანად, მერე შეხედა სალომეს, რომელიც აგრეთვე დაღონებულის სახით გაიყურებოდა სადღაც, თუმცა კი ყური აქეთ ჰქონდა. მაგრამ აგერ თითქო იგრძნო შვილის გულის ღონება, მოუბრუნდა:

— აბა რას იზამ, შვილო, თუ არ წაყვები?.. ქალი რომ გათხოვდება თავის თავს აღარ ეკუთვნის, ქმრის ოჯახისაა...

— მერე შენა, დედაჩემო?.. სად იქნები? — სალომე ამ შეკითხვაზე უეცრად მოტრიალდა... სახე მიიღო სრულებით იქით, რათა განწირულება არ ეჩვენებინა ანოსთვის და ათრთოლებულის ხმით დასძინა:

— შენ ჩემი გზისთვის ნუ სწუხარ... ოღონდ შენ იყავი ბედნიერი, შვილო, და მე ეს ერთი გადაყრუებული ბებერი სადაც უნდა ვეგდო... თუ სხვა ღონეს ვერას გავხდი, ძალუაშენთან მივალ...

— როგორც გეტყობა, არაფრად გიამა, ანო, ჩემი დედ-მამის პატიება?.. რა ამბავია?.. — ჰკითხა გაოცებულმა ტიტიკომ, რომელსაც სალომე გამოვიდა ოთახიდან... ქალი გაჩუმებული იჯდა, ხმას აღარ იღებდა.

— არ გინდა ჩემთან ცხოვრება?! — იკითხა კვლავ ტიტიკომ.

— არ მინდა შენთან ცხოვრება?.. რას მეუბნები? — ანო შეკრთა... შემდეგ გაუწოდა ხელები ქმარს და ვედრებით დაუმატა: — ტიტიკო, შენთან ცხოვრება სამოთხეა, მაგრამ იქ ნუ წამიყვან ნუ, შენი ჭირიმე!.. თუ გინდა შენ წადი... მე აქ დამტოვე დედასთან.

— მაშ ერთმანეთს დავშორდეთ? — ტიტიკოს ეჭვები გაეღვიძა გულში.

— არა, ტიტიკო, არ შემიძლიან შენებთან ცხოვრება, ვგრძნობ, იმათ ვეჯავრები და არ შემიძლიან.

— აკი გვაპატიეს?..

— შენ და არა მე... ჩვენს შორის საერთო არა არის-რა, ვგრძნობ, იმათთან უბედური ვიქნები... არა, არ შემიძლიან!..

— მაშ არა გყვარებივარ... ნუთუ ჩემი გულისთვის არ შეგიძლიან, ცოტა მოითმინო, სანამ შეგეჩვეოდნენ?.. განა გაგიძნელდება, პატივი სცე ჩემს დედ-მამას? — ამ კითხვამ ხმა ჩააკმენდინა ანიკოს, გულში მაინც ვერ გადაეწყვიტა იქ წასვლა, მას ტიტიკოს გარდა თავის დედაზე უძვირფასესი არავინ გააჩნდა. დარჩენილიყო მასთან, ტიტიკოს დასტანჯავდა, იქნება კიდევაც დაშორებოდა, წაჰყოლოდა და უნდა გამოსთხოვებოდა საყვარელ დედას, რომელიც ვინ იცის, როგორ აიტანდა შვილის გულიდან მოწყვეტას! თავისუფლად მისვლა-მოსვლა გაძნელდებოდა. თავისთან გადაყვანას ხომ ვერასდროს ვერ მოესწრებოდა, სალომე ამჩნევდა ქალსა და სიძის შორის ალძრულ კამათს, მისი შედეგი ყოველთვის ან ცრემლისღვრა, ან ფარული ნაღველი და გმინვა იყო, უკვირდა ანიკოსგან ასეთი გაკერპება წასვლაზე...

— „ახლა გვიან არი, შვილო, გვიან... რატომ აქამდის არ იფიქრე, ცასა და დედამიწის შორის საერთო რომ არა იყორა?.. ახლა გვიან არი. დრომ და შენმა ბედმა უნდა გაიმარჯვოს, დაგიმორჩილოს... ჩვენც უნდა გავიყარნეთ!.." — იმეორებდა ის გულში და, რომ ბოლო მოეღო ამ ტანჯვისათვის, დაუწყო ანიკოს ჩაგონება.

— რას მომლიეპიხარ, ქალო! მე შენზე მოვალეობა დიდი ხანია ამოვყარე, ქმრისთვის ჩამიბარებიხარ. წადი, გასწი შენს საქმრეულოში და თავიდან მოცილდი!.. სად შემიძლიან შენი შენახვა? — დაუმატებდა ეს ნაძალადევის ღიმილით. ანოსაც დედის

თითქო დამშვიდებულ სახის დანახვაზე იმედი გაეღვიძებოდა გულში და იტყოდა:

— „იქნება ასე საშიშარნი არ იყვნენ მართლა, როგორებიც მეჩვენებიან?.. არა, არა, რაც იქნება, იყვეს, უნდა წავყვე, მეტი ღონე არ არის... ნუთუ ისეთი გულქვები იქნებიან, ხანდისხან მაინც მშობლის ნახვის ნებას არ მომცემენ? აკი ტიტიკოც მაირდება!" — ის შემოეხვია ყელზე ტიტიკოს და შესძახა აღელვებით. ცრემლმორეულმა....

— ოჰ, ტიტიკო, ოღონდ კმაყოფილი იყავი და გეფიცები შენს თავსა, ავიტან ყველაფერს!.. წავიდეთ, ჩემო სიცოცხლევ, წავიდეთ სადაც გინდა!

ანოს მუხლები ეკეცებოდნენ, გული ბუდიდან გადმოვარდნას ლამობდა, თითქმის ნახევარ გონებაწართმეული დაჰყურებოდა ტიტიკოს მკლავს, როდესაც აღიოდა ზაქარიას სახლის კიბეზე. აგერა, კარი გაიღო, დერეფანში მსახური დახვდათ, დიდ ოთახში იდგა ზაქარია, ელოდა მათ შესვლას, დაჰკოცნა შვილი, ანიკოს დანახვაზე პირველში შუბლი შეიკრა, მაგრამ ქალის მშვიდობიანმა სახემ თითქო დააწყნარა, ნაძალადევად გამოსთხოვა თანაგრძნობა: მიესალმა მასაც, მაგრამ ანიკომ იგრძნო, რომ ეს მისალმება იყო მეტად ცივი, ამაყი. მაინც გადასწყვიტა, აეტანა, მოეთმინა, რაც კი მოსდებოდა ამათში და მით დაემტკიცებინა ქმრისთვის უზომო თავშეწირვა. გამოვიდნენ ეფემია, მაგდანი, მაკინე და გამო... იმათაც ისე მიიღეს, როგორც ზაქარიამ, მაგდანის თვალებმა კი თითქო რაღაც სიმხნევე შეჰმატეს ანოს, აღერსიც იგრძნო, თუმცა გარეგნობით ისიც ცდილობდა, მედიდურად ყოფილიყო. ანიკო საბრძოლველად გასწორდა წელში, ყველას ეხათრებოდა, ეთავაზიანებოდა და მცირედ ყურადღებას აქცევდა მაკინეს დაცინვა-გაკიცხვას. გულში განუწყვეტლად შესთხოვდა ღმერთს მიეცა ძალა და ღონე აეტანა ყველა შეურაცხყოფანი, რომ მორჩენოდა ამდენს მპრძანებელს... ანიკო უფრო ხშირად მაგდანის ოთახში იყო ხოლმე, ისმენდა მორჩილებით მის დარიგება-დაპარაკს, მაგრამ უკმეხობა, სიდიადე და უპირატესობა მაინც არ ჩამოშორებოდა... ანოს ყოველ წამს აგრძნობინებდნენ დანარჩენები, ნუ გგონია, რაკი შემთხვევით ჩვენს ოჯახში მოხვედი, ჩვენი ტოლი გახდე ოდესმეო... ხშირად ყურადღებასაც არ აქცევდნენ რძლის გვერდზე დგომას, მასხარად იგდებდნენ...

— აბა, შენგან არ მიკვირს, განო, გჯერა ამ „ბუქიკის" სიტყვები? ამისი მოწონებული აი იქ, შორს მდინარეში, უნდა გადაუძახო, ახლო კი არ მიიკარო, — ეტყოდა მაკინე განოს, რომელსაც უკანასკნელი ეუბნებოდა, რომ ანომ მომიწონა ესა და ეს ხელსაქმეო... ანოს ეყურებოდა, მაგრამ მდუმარებდა. ხშირად ეფემიაც გამოაბრუნებდა თოფნაკრავსავით, რომელსაც ის მიეტანებოდა, რათა ეშველა მისთვის რაიმე საქმეში. ის მედიდურად ტუჩს აიწევდა მაღლა, ამაყად თვალებ ძირს დახრილი ეტყოდა:

— გმადლობ, საჭირო არ არის, მე თვითონ შემიძლიან გავაკეთო... სჯობს, ისევ ტიტიკოს მიეპატრონოვო.

— ღმერთო, ნუთუ საუკუნოდ ასეთი ცხოვრება მიწერია? — შესძახებდა ანო განწირულებით, — ვისთვის რა დამიშავებია მე უბედურს? — დაუმატებდა, როცა შევიდოდა თავის ოთახში და ბალიშებში ჩამალავდა თავს. ცრემლები ნაკადულად ეღვრებოდნენ.

რა მოტყუებულია ანო! ეგონა სრული ბედნიერი იქნებოდა ტიტიკოს ხელში. მერე რა უშლის? მარტო ის, რომ აზნაურიშვილია და არა თავადი?... არა, არა, თვითონ ტიტიკოც არის დამნაშავე... ის თავმოყვარეა... თითქო ანიკო აღარ უყვარს... რაკი სახლში მოიყვანა, აგრე რიგად აღარა ზრუნავს ამაზე, თუმცა კი განუწყვეტლად ეხვეწება მოითმინეო. როდემდის? ის ხშირად გადასწყვეტდა, გაქცეულიყო აქედან და ისევ დაბრუნებოდა საყვარელ დედას, რომელიც დიდიხანია აღარ ენახა. თუმცა სწერს, კარგა ვარო, მაგრამ მართალია? სადღაც ბევრჯერ დაუმალავს თავისი მწუხარება ანოსთვის, შვილი არ შეეწუხებინა. რაც იქნება კარგად სხვის ანაბარა!.. ნახვაც კი ვერ მოუხერხებია! იქნება კიდევაც ემდურება და ამბობს:

—გათხოვდა, გადიდკაცდა და რაღად უნდა ღარიბ-ქვრივოხერ ბებრის ნახვაო! — ოს, რა საშინელი წამი იყო, როდესაც დაშორდა მას, რამდენი იტირეს დედა-შვილმა. ტიტიკო კი ღიმილით იდგა და დასცინოდა ამათ მწუხარებას, არწმუნებდა სადღაც რომ ისევ მალე მოგვრიდა ანიკოს. რა თავმოყვარეა ადამიანი, ღმერთო ჩემო! საძაგლები არიან ყველანი, საძაგლები, ასე გასინჯე, თვითონ ტიტიკოც კი... — დაუმატებდა სასოწარკვეთილი ქალი, მაგრამ რამდენსამე საათის შემდეგ ტიტიკო ისევ ძვირფასად მიაჩნდა, მეტად ძნელი იყო მასთან დაშორება და არჩევდა კიდევ მოეთმინა. ამასობაში დრო და ჟამი მიდიოდა, ანიკოს მოთ-

მინების ფიალაც ევსებოდა, თუმცა თავს ძალას ატანდა, კვლავ მაგრად მდგარიყო. რამდენიმე ხანი კიდევ და ძლივს, თითქო შვებით ამოისუნთქა ანომ, როდესაც გაიგონა შემდეგი დაპარაკი უფროსებისა. ის მაშინ პურისსაჭმელ ოთახში იდგა, ყავას ამზადებდა.

მაგდანი და ეფემია ისხდნენ კაბინეტში. ეგონათ, ყურს არავინ გვიგდებსო. გულახდით დაპარაკობდნენ ერთმანეთთან. ანიკოს არ უყვარდა ყურის დაგდება, მაგრამ რაკი თავისი სახელი შემოესმა, ცნობისმოყვარეობა ველარ დაიმორჩილა.

— ნუ დაგიჟინიათ, ქალებო, რომ ეგ „მუჟიკია“, ჩვენი ამხანაგი არ არისო, რაც უნდა იყოს, თქვენს გვარს ატარებს, ჩვენი შვილის ცოლია, უნდა შევიფეროთ, მეტად უგულოდ ვეკიდებით. სხვა რომ არა იყოს-რა, ცოდოა. ან კი რა ქნას მაგ საწყალმა, რაშია დამნაშავე?

— იმაში, რომ არ უნდა ეკისრა ტიტიკოს შერთვა. საიდან სადაო, წმინდაო საბაო!...

— მაგაში არ გაიმტყუნება... ყველა დაეძებს დიდებულსა და ჩინებულს, ჩემო რძალო, აბა, ვკითხოთ თვითონ მაგას, კმაყოფილია ამ ცხოვრებისა? მერწმუნე, არა. შეხედე მაინც, ადამიანის სახე აღარ ადევს, მეტად გახდა საცოდავი, — ეუბნებოდა მაგდანი ეფემიას... ოხ, რა მადლობელი იყო ანო დიდედა მაგდანისა, ძლივას თავს იმაგრებდა, გულით უნდოდა შესულიყო და გადაეკოცნა ეს კეთილი, შემბრალებელი არსება...

— არც მაგისთანაა, მაკინე, ანო, როგორც შენ მიგილია, არა, — დაუმატებდა ხმაამაღლებით მოხუცებული, როდესაც მაკინე აღარ ათავებდა ანიკოზე სისაძაგლეების დაპარაკს... ტიტიკომ კიდევ გაუორკეცა ტანჯვა, როდესაც შეატყობინა ანოს დედის უკანასკნელ წამებში ყოფნა. ქალის მწუხარებას შეძრწუნებაში მოყავდა მაყურებელი... დღემდის მშვიდი, მორჩილი, ახლა დაჟინებით შესთხოვდა, თითქმის უბრძანებდა ქმარს, ახლა მაინც წაეყვანა და ენახვებინა უბედური მომაკვდავი.

— რა პირით-ღა მივიდეს ანო? რითი გადაუხადა ამაგი? მით, რომ გაცვალა უცხოში, მას წაყვა, ის კი მიანება ვილასაც სამადლოდ! ნახვაც ვერ მოახერხა, რადგან აღარ უშვებდნენ... ახლა იქნება ვერც კი მიუსწროს... რა გულქვავები, მტარვალნი იყვნენ ყველანი, გარდა მაგდანისა! მაგრამ ამ უკანასკნელზედაც კი

ჰქონდა დიდი ზაგავლენა ჩამომავლობითი სისხლსა... რატომ არასდროს ურჩევია ანოსთვის დედის ნახვა, იმასთან წასვლა მაშინ, როდესაც მაგდანი ხშირად ქადაგებდა ხოლმე კაცთმოყვარეობას, შეტადრე მაშინ, როდესაც ნახავდა მცირეწლოვანთ, არიგებდა, ისინი ყოფილიყვნენ შემბრალენი, დედ-მამის პატივისმცემელნი... ანოს დედაზე კი არასდროს უკითხავს რამე... ეს იმისათვის, რომ საკუთარ თავმოყვარეობას შეეხებოდა... ოხ, ადამიანო, ბოროტო, რაც უნდა ანგელოზად მოსჩანდე, მაინც შეუბრალებელი სატანა ხარ!.. ამ სიტყვებს მოსთქვამდა გულში ანო და მწუხარედ ქვითინებდა... აი, ძლივს ნება მისცეს, ენახა დედა. მაგრამ რომ არ გაეშვათ კი ბევრით უჯობდა, გონებადაკარგული სალომე სიკვდილს ებრძოდა, მაზლის ცოლისას ბნელ საყინულეში გამომწყვდეული, თითქმის უპატრონოდ. რძალი ძალდატანებით თვალებზე ხელს ისვამდა, როგორმე ცრემლები მოეყვანა და გულმტკივნეული დახვედროდა ჭირისუფალს. დედის ამგვარმა ყოფნამ ანოს გონება წაართვა, ტიტიკოს მკლავები ძლივს იმაგრებდნენ... სალომემ ველარ გაიგო შვილის მოსვლა, თუმცა კი სულ მის გონებაში ყოფილიყო. რა მიზეზს მიეყვანა ასეთს წუთებამდის?.. უშველია, მოურიგებელ ცხოვრებას, შევიწროებას, სილარიბეს, სხვის კარზე სამადლოდ გდებას, მუდამ საყვედურის დუკმას, რომელიც ყელზედვე ადგებოდა და შვილისათვის კი ხმა ვერ მიეწვდინა... სალომე მუდამდღე სწყევლიდა იმ საათს, დროს, როცა გაეცნო ტიტიკო, წაერთმია მისთვის ერთადერთი ნუგეში და გაეუბედურებინა ორივენი. თლონდაც, სალომე დარწმუნებული იყო, არც თვითონ ანიკო იქნებოდა ბედნიერებაში იმ ქაჯების გამოისად და დღიში-დღე დარდი და ჯავრი უდევდა ძალას არსებობისას და ბოლოს სიკვდილის პირსაც მიაღწევინა, სალომეს არ ენანებოდა თავი, მარტო ენატრებოდა ანო... ანომ მოუსწრო სწორედ მაშინ, როდესაც ის უკანასკნელად ფეთქავდა — ტყუილად ჩასძახოდა, ამაოდ შესჩიოდა თავის ობლობას და ტანჯვას ქალი, პასუხს ველარ აძლევდა უკვე გაცივებული გვამი, რომელიც თვალებდახუჭული იდო მის წინ... ჩარიგად სწყუროდა ანოს ამ საშინელ წუთებში მაინც თავისუფალი კუნჭული ჰქონოდა, სადაც შესძლებოდა გულის მოოხებაც... ტიტიკო ემუდარებოდა, მოეთმინა, ანო ყურს აღარ ათხოვებდა ქმრის სიტყვებს და თავს ზედ აკლავდა მიცვალებულს. მიაბარეს სალომე მიწას. ტიტიკომ თით-

ქმის ძალით წამოიყვანა ცოლი სახლში, ანო მაინც თავისას არ იშლიდა, ფარულად ეძლეოდა მწუხარებას. სახლის უფროსებმა არ მიხედეს რძლის გლოვას, არამედ დიდი ამბით გადიხადეს მაკინეს ქორწილი. ანოს ნუგეშში მიეცა მაკინეს მიშორებით, თვითონ ტიტიკოსაც ნაკლებ არ უხაროდა ღვარძლიანი დის ოჯახიდან გასვლა. მას არა ერთხელ მოსვლია უსიამოვნება მაკინესთან, რომელსაც ყური მიუკრავს დის ლაპარაკისთვის, რითიც გაითარეშებდა ხოლმე ანიკოზე... დღეს კი მოისვენებდა... იმედი იყო აგრეთვე გაიანეს აღრე გათხოვებაზე... მაშინ, ტიტიკოს აზრით, ანოს გარემოება სრულებით შეიცვლებოდა...

— მოითმინე, შენი ჭირიმე, რა მეტი ღონეა, ჩემო ძვირფასო! პატარა მოითმინე და თუ კიდევ ძნელი გასაძლისი იქნება აქ შენთვის, მაშინ მეც გადავარდები სადმე აქედან და როგორც იყვეს ვიცხოვროთ... — ეტყოდა ის, როდესაც ატყობდა, ანო არ იმედით თანდათან მშვიდდებოდა, ისევ ურიგდებოდა ღლევანდელ ხვედრს. მართლაც მაკინეს წასვლის შემდეგ ანოს უფრო პატივისცემით დაუწყეს ყურება... ხშირად ეყურებოდა მათგან აგრეთვე თავაზიანი სიტყვა-პასუხიც.. ცხადად აღმოჩნდა, რომ უფროსი მული უფრო უმატებდა ცეცხლში ანთებულ მუგუზლებს და რაკი ის მოშორდათ, ცეცხლი თანდათან განელდა... ანოც დღითიდღე შვებას გრძნობდა, ამის ტუჩებს ხშირად დაეტყობოდა ოდნავი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ღიმილიც. ტიტიკომ უფრო მეტად გამოიჩინა მეცაითობაც და მთელ დღეებს ოჯახისა და მამულის ზრუნვაში ათენ-ალამებდა. ოქროს სწავლა უნივერსიტეტში ჩინებულად მიდიოდა თურმე და მით სიამოვნებდნენ, ამაყობდნენ პატრონები. მაგდანი ბოლო ხანებში, როდესაც იწყო ავადმყოფობა, ძალიან შეეჩვია ანოს... მუდამ გვერდით უჯდა, ეალერსებოდა და ალტაცებაში მოდიოდა ქალის ჩინებული ხასიათებისაგან... ანო დიდ პატივისცემას გრძნობდა ამჟამად ყველას მიმართ, მაგრამ სიყვარულით მაინც ქმრის გარდა არავინ უყვარდა, რაკი არ ავიწყდებოდა მათი წინანდელი გულქვაობა და საცოდავ სადღმესაგან მათი შეუბრალებლად დაშორება.

გარდაიცვალა მაგდანიც. თუმცა დიდი დანაკლისი იყო ამ იშვიათ კეთილ არსების დაკარგვა ოჯახისათვის, მაინც დრომ თავისი გაიტანა... დაბრუნდა ოქრო. ახალი ნუგეში მოუტანა გულნატკენ ზაქარიას; მაგრამ, როდესაც ოქრომ დაამთავრა მოსკოვ-

ში უნივერსიტეტი და წავიდა საზღვარგარეთ, იმისმა წახვის დაძვირებამ, ტიტიკოსა და მაკინეს შორის ჩამოვარდნილმა უსიამოვნებამ, ძალიან მოსტეხეს ზაქარია, თვით განოს გათხოვებამაც ველარ გაამხიარულა... გაჩნდა ხიდერა, მრავალი ხალხი იმსხვერპლა. იმ დროს ზაქარია სარდიონიშვილის ოჯახი სწორედ შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა... ამ სენით შეპყრობილნი ეფემია და ზაქარია ერთს ოთახში, მეორეში ტიტიკო, რომელსაც თავს დასტრიალებდა ანო. მაკინე და განო არ ეკარებოდნენ. მთელი ოჯახის პატრონად მარტო ანო იყო და მათი ერთგული მოსამსახურე, დედაკაცი მანე. ანო შესთხოვდა ღმერთს ტიტიკოს გადარჩენასა, არც დედამთილ-მამამთილს აკლებდა ყურადღებას, მაინც ვერ იხსნა ისინი სიკვდილისაგან... გადარჩა მარტო ტიტიკო. სხვებმა ველარ აიტანეს საშინელი სნეულება. ანოს დარჩა მთელი ოჯახი ხელში. ქმარიც მოურჩა, დაავიწყდა თავისი წარსული ტანჯვა, წამება, გაუჩნდა შვილი, გაუხალისდა გონება, შეემატა ახალი იმედი, ძლივს თავი ბედნიერად იგრძნო, თუმცა ეს ბედნიერება ძვირად ულირდა. ამას აღარავისი ეშინოდა, თვით მაკინესაც დაუწყო სიბრალულით ყურება, რადგან ქმრისაგან გაეგონა, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდნილიყო ამ ხანებში. დაივიწყა ყოველი მისი მტრობა და არავისთან არ ამხელდა მასზე ცუდს, იცოდა, ამითი ტიტიკოს ასიამოვნებდა და ტიტიკოს სიამოვნება ხომ ბედნიერება, საკუთარი ნეტარება იყო ანოსთვის. თუმცა ვალი ბლომად დაედო ტიტიკოს, მაინც ესენი თავიანთის შრომით გადიხდიან მალე. ანო მეტად მუყაითია საქმეზე, ხშირად ტიტიკოს საქმეებსაც ის აკეთებს ხოლმე, რომელსაც კი ქმარი შეუძლოდ არის. თავიანთი სარისტით წელიწადში ორას-სამას თუმანს ინარჩუნებენ, ბანკში შეაქვთ ვალის გადასახდელად. ახლა ოქროც მოეშველათ და დღეის იქით ხომ ორი ვაჟკაცი უფრო ადრე წინ წასწევენ ოჯახის საქმეს. „ვენაცვალე იმათ, ახლა კი კმაყოფილი ვარ! დიდი ბედნიერიც! ღმერთო, მაკმარე წარსული და მომავალში ნურაფერს ცუდს მომასწრებ!" — ფიქრობდა ანო. როდესაც მან ველარ დაინახა ტიტიკო და ოქრო, გაშორდა მოაჯირს და წავიდა საოჯახო საქმეების საკეთებლად.

## XIX

ძმები გასცილდნენ ხიდს, ის იდო სახლის წინ მოებქეფარე პატარა მდინარეზე. რამდენჯერ დაუტრიალებია, ოქროს მის პაწია ზვირთებში ბორბლები! ახლა კი დინჯად უყურებს. თვალი მოავლო აგრეთვე ქვითკირის თავლას, ისიც პატარად ეჩვენა. ოქროს სურვილი უფრო ფართო იყო და არ კმაყოფილდებოდა დლევანდელით. ის ხედავდა, გადაჭიმული მინდვრები ტყუილად როგორ სცდებოდნენ.

— სამერმისოდ დასვენებული მიწაა, — ეუბნებოდა ტიტიკო.

ოქრო შეჩერდა, მობრუნდა, შეხედა სახლს, მის მიდამოს. თეთრად შეღებილ ქვითკირის შენობას სიძველე შეჰპარვოდა, თითქო გვერდზედაც გადახრილიყო. დიდი, შემოურაგვავი ეზო, ერთმანეთზე გადაბმული მისი შენობები თანაუგრძნობდნენ დიდ შენობას და ამტკიცებდნენ პატრონის დაუდევრობას. თხუთმეტი დღის ერთიანი მიწა თვალწინ ეშლებოდა ოქროს.

— აქ კარგი იქნება იზაბელას გაშენება, ამ მიწის იქით თუთის ტყე, მერე თავის დროზე ქარხანაც. ერთი ფეხის დადგმაც კი არ უნდა დარჩეს ცარიელი. ის დასახლდა აქ. ტიტიკო და ოქრო ერთმანეთს მიემხრობიან, წლითი წლობამდის თავის შემოსავალს მამულის განკარგებას მოანდომებენ. მარტო ზამთარში, ერთის-ორის თვით ჩავა ქალაქში მაკინესთან და დროს გაატარებს, დაისვენებს. მერე კიდევ შრომას შეუდგება... ოქროს წარმოუდგა ის დრო, როდესაც ცოლ-შვილით აივსება. მისი ცოლი იქნება მაღალი, წარმოსადეგი, მაკინესებური მედიდური მშვენება, მედიდური შეხედულობით, ხასიათით კი მშვიდი, წყნარი, უჩანკო, გულმდაბალი, მომთმინო და გამრჯელი. მას საზოგადოება თავს ევლება, ის კი მთელ საზოგადოებაში არ გაცვლის თავის მოთაყვანე ოქროს. თუმცა შვილები ყოველ წელიწადს უჩნდებათ, მაინც წარბს არ იხრიან. ღვთის გაჩენილი, მისგან მინიჭებული მეტი არ არის. არამედ გამოვლენ ჩინებული, ნამდვილი ადამიანები, ქვეყანაში ადგილს დაიჭერენ, იმოქმედებენ მის გასაძლიერებლად... აცა, დაუსტვინეს ეტყობა ქარხანაში მუშებს ეძახიან სადილისთვის. სოფელში ხმაურობაა. თუმცა მკათათვის სიცხე სწვავს სხვაგან არემარეს, აქ კი ჰაერი მსუბუქია, გამჭვირვალე, საამო. სულ კი სოფლის გარშემო გაშენებული ტყის ბრაღია,

საიდანაც მოჰქრის გრილი ნიავი, სიცხეს ასუსტებს, იქით კი, ცოტა მოშორებით ერდოდან დახვეულ გორგალსავით ამოდის ბოლი, იმართება და იშლება ჰაერში. სოფ. №-ი სამოთხედ გარდაქცეულა, სადაც ბატონი და ყმა არ განირჩევა ერთმანეთისგან შრომის დროს: ოქროს ცოლ-შვილი მხარში ამოსდგომია სვიმონას ჯალაბს, თითქმის კიდევაც წინ უსწრებენ საქმეში. მის შვილებსაც ისევე გადაულელიათ გულ-მკერდი, მზის თვალი ერთნაირის თანაგრძნობით ჩასცქერის როგორც იმათ, ისე მუშებს, ერთგვარ სიცოცხლეს, ღონეს აძლევს, ახალ, სალ სისხლს უდგამს თვითეულ ძარღვებში და ახალისებს. ყველგან გამეფებულია სიმართლე, თანასწორობა, თაყვანება სიკეთისა. წოდებას მნიშვნელობა დაუკარგავს, გარდაქცეულან ერთ ხალხად, ერთ ადამიანებად, ესწრაფებიან ერთ მიზანს, რომელსაც მიჰყავს გაუქრობელ სინათლისაკენ. გონებას დაღოცვილ მარჯვენისათვის მკვიდრი ჯაჭვი გაუბამს, მასზედ დათრთის, დაციმციმებს სინდისისა და თანაგრძნობის სხივი... კვირა დღეს კი ხალხი თავს იკრებს ეკლესიაში; აღიდებენ შემომქმედს, მათ შორის ოქროც ურევია თავის სახლობით. დიალ, ამდენ სიკეთესთან ხალხი მეტად მორწმუნე ღვთისმოსავია, ლოცვის დროს ბურუსში ჩნდება თითქოს მოხუცებული დიდედა მაგდანი, გამარჯვებულის ღიმილით შემოყურებს თავის გაზრდილ შვილიშვილს, რადგან მისი სურვილი, მისი მოძღვრება გადასულია ამდენ ხალხზე და რა სასიამოვნოდ, დიდებულად გაისმის მაშინ ეკლესიის ზარების წკრიალი ჰაერში!.. ეს წკრიალი ყოველ ქართველს ჩააწვდენს ალტაცებას, დიდი ხნის სანატრელ, მაგრამ ამჟამად უკვე მოახლოვებულ აღდგომისადმი.

— ბატონები აცოცხლოს ღმერთმა! — მოისმა ამ დროს. ოქრო შეკრთა, გამოერკვა ტკბილ ოცნებიდან, მიმოიხედა, მას გვერდზე მოსდევდა აგრეთვე ჩაფიქრებული ტიტიკო. ისინი გასულიყვნენ მინდვრად, სადაც მუშები მკიდნენ.

— ბარაქა, ბარაქა! — მიაძახეს ორივე ძმებმა.

ხალხმა მადლობა გადაუხადა, სალამი მისცა.

— ბატონო, შენი ჭირიმე, ნუ კი გეწყინება და უნდა სამკალი დაგვილოცო! — წარმოსთქვა ერთმა და წინ წამოდგა პურის თავთავიდან შეკრული ჯვრით. ოქრომ სამმანეთიანი გადაუფრიალა, მოსავალი დაულოცა. ტიტიკომ და ოქრომ დანარჩენი ადგილებიც შემოიარეს. რა განსხვავება იყო ამ რამდენისამე წამის

წინათ დასახულ სოფელსა, ცხოვრებასა და ახლანდელ სინამდვილეს შორის! მაინც არა უშავს-რა, ერთდროს ხომ იქნება, ესეც კარგია! — გაუელვა თავში ოქროს. მან ვეღარ მოითმინა, გაუზიარა ძმას ყოველივე თავისი აზრი, თუ სურვილი მამულისა და სოფლების შესახებ.

— რას იტყვი, ტიტიკო? მე მინდა ამ სოფელში ვიშრომო შენთან ერთად და აქაურობა წესიერად მოვაწყო.

— მაგას რა სჯობიან? მაგრამ დაგაყენებენ კია, რომ აქ დადგე? ლეპი, საზოგადოება... ისინი თავისას ეცდებიან, აქედან როგორმე წაგიყვანონ.

ოქრომ გაოცებით შეხედა ძმას.

— განა ჩემი თავი ჩემ ხელთ არ არის? ძალას ვინ დამატანს? მაგაზე ნუ სწუხარ, ტიტიკო!

— მარტო მაშინ არ ვიწუხებ, დამშვიდებულიც ვიქნები შენს შესახებ, თუ მაკინე ვერ დაგიმორჩილებს, — დაუმატა ტიტიკომ და სახე დაუნაღვლიანდა.

— დამიმორჩილებენ იმას, ვისაც თავისუფლება ქვეყანას მირჩევნია? ეს ვერ წარმომიდგენია. მაგრამ, ვთქვათ, კიდევაც შესრულდა შენი წინასწარმეტყველება, განა მაკო მაგისთანა საშიში და მოსარიდია?

— ეჭვიც გაქვს? ოქრო, ამ სიტყვებს იმიტომ გეუბნები, რომ გაგაფრთხილო. მაკინე ხან რომ ცბიერი მელაა, ხან გაუმაძღარი მგელია, მორიელსავით შხამიანი. ახლა რომ ბატონყმობა ყოფილიყო, მერწმუნე მონების პირველ ხარისხის მოვაჭრე, გამყიდველი იქნებოდა. დაუფიქრებლად, დაუნანებლად გაყიდდა სამშობლოსაც, პირად, საკუთარ კეთილდღეობისათვის.

— მშვენიერი, სათნო, ნარნარი მაკინე?! — შესძახა ოქრომ, — რას ლაპარაკობ, ტიტიკო? ახლა კი მჯერა, რომ თქვენ დიდი გამწვავებული უსიამოვნება, სიძულვილი ჩამოგივარდიათ ერთმანეთში, აგრეთ საშინელ სიცუდეს რომ სწამებ!

ის იყო ტიტიკომ დააპირა მაკინეს უსინდისობის დასახელება ოქროს შესახებ, მაგრამ გონებამ შეაყენა, ჩასძახა:

— არ ვარგა მართლაც ეგრეთი ბოროტი ლაპარაკი. შეიძლება, კაცი ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დადგეს, მან თავისი მოქმედება ვერ განსაჯოს და მერე კი ინანოს, მაგრამ როდემდის? რამდენ-

ჯერ არ შეინანა მაკინემ? ტიტიკომ მაინც არჩია დაეფარა, მარტო დაჟინებით იმეორებდა მის თავმოყვარეობაზე დაპარაკს.

— მე ის არ მეჯავრება, ოქრო, ღმერთია მოწამე, მეცოდება, — სთქვა მან, — ვწუხვარ, რომ ჩვენმა ოჯახმა იმისთანა უმსგავსი ნაყოფი გამოიღო. თავისი ბრალიც არ არის, პატარაობიდანვე მეტად გადაღდა, სიმშვენიერემ და ბუნებითვე თანდაყოლილმა თავმოყვარეობამ ცაში თავი შეაკვრევინა... უბედურია იმისი გადამკიდე, უბედურია აგრეთვე იმ ხასიათის მეპატრონეც.

— კარგა მახსოვს, ტიტიკო, შენ და ის დიდი მეგობრები იყავით... მოიგონე ის დრო, როცა ჯერ კიდევ სასწავლებელში ვსწავლობდით!

— არა, ვფიცავ, ყმაწვილი ვიყავ, ხელში ჩამიგდო, მომიდიკდიკა, თავზე ხელი დამისვა მშვენებამ, მეც მეგონა, ამისთანა ანგელოზი ჯერ არ დაბადებულა-მეთქი ქვეყნიერად; თანდათან გამიბატონდა, მოვადე გამხადა, ანგარიში მიმეცა მოქმედებამოსაზრებაში. მეც ვასრულებდი.

— ასრულებდი, რადგან შენი სასარგებლო იყო.

— მეც აგრე მეგონა, მაგრამ მერე მომაშორა ამხანაგებს, ცოლის შერთვაზე ხომ ისეთი ოინები დამიწია, რომ ახლაც ზიზღი მომდის, როდესაც მოვიგონებ ხოლმე, თუმცა ღვთის მადლით, ვერას გახდა. დამეხოცა დედ-მამა, ისევ დამადა მწვავი, შხამიანი ისარი და მომეფერა. თუმცა მდიდარი იყო, მაგრამ სვავს სრულიად არ ჰყოფნიდა თავისი სიმდიდრე. კვირაში ერთხელ გამართულმა ასთუმნიანმა ბალმა, დიდ მთავრებთან დამოკიდებულობამ, ყეყეჩა ქმრის შორსდაუნახაობამ დღეს ვალებში ჩააბრძანა. ასე გასინჯე, მეც დამიწყო მოწყალების თხოვნა. ცოდ-შვილს გეფიცები, რომ მისთვის არა დამიზოგავს-რა. მაკინეს წყალობით ხუთასი თუმანი ვალი წამოვიდე. მართალია, სესხად გამომართვა, მაგრამ მე მაინც ვაჩუქე. ბოლოს, როდესაც მოახლოვდა შენი დაბრუნება, რაღაც ხრიკები მომიდო. ჩამაცივდა, გინდა თუ არა მამულიდან უნდა მომცე ფულიო. მე არა მივართვი-რა და ამის გამო დავშორდით ისევ ერთმანეთს!

— განო?

— განოს რა შეუძლიან, ის მაკინეს ჩრდილია.

ოქრო ხედავდა, ტიტიკოს ამ დაპარაკის საგანი მეტად აღელვებდა, უგუნებოდ ხდიდა. მასაც სჯეროდა მაკინეს მედიდურობა,

მაგრამ დანარჩენი ნაკლულევანებანი ეჩვენებოდნენ მოგონილ ცილისწამებად. დარწმუნდა აგრეთვე იმაში, რომ ტიტიკოს მარტო თავის აზრით არ შეედგინა ამისთანა დასკვნა, არამედ ბოროტ ენასაც ემუშავნა, უჩინარი დიდ, უზარმაზარ სპილოდ`გადაექცია. ამჯობინა გაჩუმებულიყო ჯერჯერობით, შესდგომოდა ნამდვილი მიზეზების განხილვასა, მერე კი მოეხერხებინა შერიგებაც.

— ეჰ, რაც იყო იყო, ძმაო, გულს ტყუილად ნუ ვიბოროტებთ წარსულის მოგონებით. სჯობიან ისევ მომავალზე განვაგრძოთ... წელან გითხარი და ახლაც ვიმეორებ, უეჭველად მინდა აქ ცხოვრება... გაზაფხულისათვის გამოვიწეროთ მიწის შესამუშავებლად იარაღები და შევუდგეთ საქმეს, ჰა?

— აი, ჩემო ძმაო, — უთხრა ცოტა დამშვიდებულმა ტიტიკომ, — ვიანგარიშოთ შემოსავალი, რაც შედგეს ან რაც ოჯახს გადარჩეს, აგრეთვე თქვენ ყოველდღიურ ხარჯს, და თუ კი რამ საიმედოს დავინახავთ, დიდის სიამოვნებით, ეს კია, რომ ვალით ნურა გინდა-რა... ვალმა სთქვა: სანათურში ძლივას შევძვერი და მერე კი კარებიდანაც ველარ გამოვეტიეო...

— ოლონდაც, რა ვიცი, რა დაემართება ჩვენ მამულსა, რომ წელიწადში ორასი თუმანი მეტი არ გადმოგვიგდოს ახალი საქმეებისათვის?

— ჩემი აზრი კი ასეთია, წრეულობით თავი დავანებოთ, შენც მიიხედ-მოიხედე, ადგილს, ხალხს დააკვირდი, გაიცანი მათი ხასიათი, მოთხოვნილება, მანამ მეც მოვრჩები ჩემს ვალებს, მერე კი უფრო გაბედვით შევუდგეთ... თუ არა და შენი ხვედრი მამული შენ ხელთ არ იქნება, რაც გნებავდეს, გააკეთე... ჩემგან კი წრეულობით ორას თუმნიანების ნახტომები ცხვირს დამცემს. — ამ დაპარაკით ძმები დაბრუნდნენ სახლში. ოქროს ოცნება ერთს საგანს შეეპყრო, სწყუროდა მოქმედება-მოღვაწეობა.

ოქრო შეუდგა ოთახის დალაგებას.

— ორი კვირის უკან დებთან წავალ, ვნახავ იმათაც და მერე კი ჩავიკეტები, — ფიქრობდა ოქრო. საღამოზე ტიტიკო და ოქრო შეუდგნენ ოჯახის ანგარიშებს, რომელმაც ღამის თორმეტ საათამდის გასტანა.

## XX

მეორე დღეს ოქრო უფრო კარგ გუნებაზე იდგა, დაღალვას აღარა გრძნობდა, მთლად გახალისებულს ეგონა, ახლა დავიბადეო. კვირა იყო, ოქროსა და ტიტიკოს მთელი დღე თავისუფალი ჰქონდათ მოფიქრება-ლაპარაკისათვის აწმყო-მომავალზე. ჯერჯერობით არჩია ენახა მეზობლები, დაეთვალიერებინა კიდევ სოფელი და აი ამ აზრით გასწიეს ამათ დარისპანიძიანთსა. ისინი დიდის სიამოვნებით მოეგებნენ, მიულოცეს სამუდამოდ დაბრუნება, გამოჰკითხეს საზღვარგარეთული ამბები, ოქროც დაუზარებლად უამბობდა:

— ა, ბეჩა, ქალო, ეფემიავ, სადა ხარ! რატო არ შეჰხარი ამ შენს ოქროსა! — წაიზუზუნა პელაგიამ.

— რა ვუყოთ ახლა!.. ბუნების კანონი აგრეთია, ქალო, დედმამა უნდა დაიხოცონ, შვილები დარჩნენ, — უთხრა ბარძიმმა, თან უკმაყოფილოდ შეხედა ცოლს.

— ჰა, ოქრო, ახლა შენ ხელად ვიყო, ცას შევეჭიდებოდი. რა კარგ დროში ხარ! — ღიმილით მიუბრუნდა ისევ სტუმარს.

— ჩემ ხელად რომ არა ბრძანდებით, ბატონო, მერე რა გიშავთ? ჩემზე მეტი გეყურებათ, მეტი გინახავთ, გიცხოვრიათ, — ბარძიმი სიამოვნებისგან შეწითლდა... ულვაშებზე ხელი მოივლო.

— ჰა, რა სთქვი ეგა, ბიჭო? შენზე მეტი მეყურება, მეტი მინახავს? — გაიმეორა კმაყოფილებით მოხუცმა, როგორც ეტყობოდა, იამა ოქროსაგან მასზე ასეთი მაღალი აზრის წარმოთქმა.

— სწორედ, ნამდვილად, — მიატანა ოქრომ.

— რას მეუბნები, შვილო? რაც შენ ერთი თვე გინახავს, მისთვის სამოცი წლის განმავლობაშიაც არ მომიკრავს თვალი, მაგრამ ესეც კია, რომ რაც მე მინახავს, შენ ჯერ მისი ცნობა არა გაქვს... შენ დროს აგრე კი არ ვიყავი დაყურსებული, როგორც ახლა იყურები... მამაჩემი არ წაწყდეს, სულ ცხრა ნაბადზე ვხტებოდი.

აქ ბარძიმი დაწვრილებით მოუყვა, თუ როგორ ატარებდა თავის ჯეელობას; და მისგან ნაამბობ ზოგიერთთა სიცელქეზე ბევრს იცინოდნენ მსმენელნი. ოქრომ იცოდა ბარძიმის მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ხუმრობა, ძალიან ესიამოვნებოდა ხოლმე მისი ნახვა. ცოტათი აგონებდა თავის მამა ზაქარიასაც, რომელ-

საც აგრეთვე უყვარდა ეს პატიოსანი ბერიკაცი... ბარძიმს ერთი შვილის მეტი არ გააჩნდა, ისიც უხეირო, ბედოვლათი და ჭკუამოკლე. თვის თვეობამდის დაყიალებდა თავის მსგავს ამხანაგებში, და სრულებით გამოუსადეგარი იყო დედ-მამისთვის. თუმცა ბარძიმი ძალიან სწუხდა სანდროს სიცუდეზე, მაინც დამორჩილებოდა სვედრს; ბუნებით მხიარული, არ უტყდებოდა ჯავრს, მაინც ლილინებდა...

— სანდრო სად არის? — იკითხა ოქრომ. ამ კითხვაზე ბარძიმმა შუბლი შეიკრა.

— ამხანაგისაგან წერილი მოუვიდა და იქ გიახლათ, — უპასუხა სრულიად სხვა ხმაზე, თითქო მის მაგიერად უცხო ლაპარაკობსო.

— ჩემს სანდროს მოსვენება არა აქვს დარისპან სულუქაშვილისაგან. თვითონ უხეიროა და ჩემ შვილს ბდაჯს უწყვიტავს, ხელი წამოაშველე საქმეშიო. ეგ რომ არა ჰყავდეს, შიმშილით მოკვდებოდა, — სთქვა პელაგიამ. ოქრომ შეხედა თვალდათვალ მატყუარა მანდილოსანს... რა მოწინააღმდეგე სურათს წარმოადგენდა ეს პატიოსან, წრფელ, გონიერ ბარძიმთან!.. მას შეეცოდა მოხუცი, საჩქაროდ გადაასხვაფერა ლაპარაკი, გადავიდა უფრო იმისთანა საგანზე, რომელიც ასე გულს არ უწყალებდა, არ აღონებდა... პატარა ხანს უკან ტიტიკო და ოქრო ადგნენ, გამოესხოვნენ მასპინძელთ და გამოვიდნენ კარზე.

— წარმოდგენილი მაქვს ბარძიმის ცხოვრება... სწორედ რკინის გული ჰქონია, რომ აქამდის გაუძლო მაგისთანა შეუფერებელ ცოლ-შვილს, — დაილაპარაკა ოქრომ.

— რასაკვირველია, სანდროს ოინებისა შენ კიდევ არა იცირა. დღეს თუ ხვალ უბედურებს შიმშილით მოელით დახოცვა, რადგან ის დიდძალ ვალს იღებს და მერე რა მეტი ღონე აქვთ, ან მაგათ უნდა გადაუხადონ, ან ციმბირისათვის გაიმეტონ.

— სულ პელაგიას მიზეზით უთუოდ, არა?

— ღმერთო, რაც ანიკო მაგ პელაგიაზე მომიყვება ხოლმე! მთელი სოფელი ისე უყურებს, როგორც მგელს. მაგისი წივილკივილი გარეთ სოფელში გადის. მოსამსახურეებს ყოველ თვე იცვლის, უხეირო ხელუპყარი, ტრაბახა და ბოროტია. სანდრო სწორედ მაგისი სახეაა... ერთი შვილი თურმე თავისის სიასპიტით მოკლა და მაგისი მაყურებელი ბარძიმი კიდევ აგრეა!

— მეგონა, ხანში მაინც მოიტეხინებდა, მაგრამ ეტყობა, წინანდელი წესები არ შეუცვლია. — ისინი დარისპანიძიანთაგან მედაძისას მივიდნენ. კნეინა ნატალია მედაძისა მიეგება სტუმრებს, შეიწვია დიდ ოთახში ბოდიშით, რომ მოუცდელობის გამო ვერ მოასწრეს მიდაგ-მოდაგება, და რადგან შინაურები არიან, არ მოერიდა და მაინც მიიღო. ქმარსაც ბოდიში მოხადა, რაკი ის მეორე ოთახიდან ჯერ ვერ გამოდიოდა; თურმე გლეხები მოსულიყვნენ საქმეებისთვის და რაღაც ქაღალდებს აწერინებდნენ.

„უთუოდ თამასუქებს, თუმანზე თვეში მანეთს", გაიფიქრა ოქრომ.

— ესტატე ახლავე გიახლებათ. სხვა გენაცვა, ოქრო, რას იტყვით? მადლობა ღმერთს, კიდევ დაგინახეთ ჩვენს სოფელში, — დაურთო ქალმა ღიმილით. ნატო ეტყობოდა, არ სჯერდებოდა თავის ბუნებითი სილამაზეს, არამედ ხელის სისქედ წაესვა სახეზე უმარილი, სინაზე დაეკარგა და აგრეთვე მოკრძალება.

— გმადლობთ, მეც ძალიან მეჩქარებოდა აქ მოსვლა, — კიდევ უნდოდა რიღასიც თქმა, რომ ამ დროს დიდი ხმაურობით გაიღო კარი.

— აა, ალექსანდრ ზახარიჩ! ძლივს! ძლივს! — მოისმა ბოხი ხმა ესტატესი. მისმა დამრგვალებულმა, ჩასხმულმა ტანმა მეტად ძალა დაატანა კარებს და დააწყებინა ჭრიალი.

ესტატეს ჩაჯიგრებული სახე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. თვალები ჩასისხლიანებოდა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს.

— უკაცრავადა, ყმაწვილებო, ცოტა საშური საწერები მქონდა, მაშინვე ვერ გამოვედი, — ხელების ფშვნეტით, ტკეპნით სთქვა ესტატემ, ხვნეშით ჩაჯდა სავარძელში. ჩამოვარდა ჩვეულებრივი ლაპარაკი მგზავრობაზე, მერე ესტატემ კითხა ოქროს, რას აპირებდა, შედიოდა სამსახურში თუ არა და, როდესაც შეიტყო მისი სოფლად დარჩენა, არაფრად იამა.

— შენმა გაზრდამ, ოქრო, ძალიან წააგებ, — უთხრა მან და თვალები გაუშტერა სივრცეს. — სოფელში დარჩენას დიდი გამოცდილება და წვალება უნდა. ჩემის აზრით, ბევრითა სჯობიან სამსახურში ყოფნა, რადგან თვისა და თვის თავზე უდარდელად მოგელის გადაწყვეტილი ფული. აქ თითო კოდი თუ ჩანახი ერთი დანძლევა-თრევით უნდა აიღო. იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ ყოველ-

თვის გეშინიან, ან აქეთ არ წამოგვიაროს ვინმემ დიდი კეტით, ან იქითო...

— რასა ბრძანებთ! სოფელში თავისუფალ ცხოვრებას რა სჯობიან? საკუთარი მამული მაქვს, შემიძლიან ვიშრომო, მეც ვირგო და გლეხკაცებსაც შევმატო. უფრო სამჯობინარო არ არის, სანამ ჩინოვნიკად გახდომა?

— სოფლად კი დიდი დავიდარაბა მოგელის-და! ჯერ ის რად გიღირს, მხეც ხალხს ჩააგონო და დააჯერო რამე!

— როგორ დავიჯერო, ვერ მიხვდნენ თავიანთ სასარგებლოს?

— ჰმ! სასარგებლოს! შენ რას ეძახი სასარგებლოს? იმათი სასარგებლო ის არის, როდესაც ფეხს დაგაჭერენ, მოგასწრობენ, გაგლეწენ... აი, იმათი სასარგებლო. ჩვენში ნდობა-გატანა დაკარგულია, ერთმანეთს მოსისხლე მტრებად გავხდომივართ, მარტო ძალით თუ გავიმარჯვებთ, სხვა არაფრით.

— ეგ მგონი ერთ დროს იყო. ახლა სწავლა-განათლებამ, მოახლოვებულმა მეოცე საუკუნემ თითქმის ნახევრად ამოავსო ის უფსკრული, რომელიც იდო ჩვენსა და გლეხთა შორის. თავის დროზე ის დანაკლისიც შეივსება.

— არასდროს! — შესძახა ესტატემ, — მარტო გარეგნობით თუ შეიცვალა, თორემ გული და საძირკველი კი ისევეა, როგორც წინათ იყო, — განაგრძო მან.

— ესეც ჩვენი ბრალია. ბარბაროსულ მონობას ძნელად თუ მოურიგდება ვინმე. ყველაფერში სამართალი და სინდისი უნდა სჭრიდეს. ჩვენი მამა-პაპანი ვერ ეკიდებოდნენ კარგა მათ, აგრეთვე უმეტესი ნაწილი ახლანდელი მებატონეებისა და რა გასაკვირველია, რომ ნდობა დაკარგული იყვეს. არა, იმედი მაქვს, ხალხი მომენდოს, მათთან უფრო ბევრ საერთოს ვიპოვნი. ისინი უფრო გულმტკივნეულად მიჭირისუფლებენ, ვიდრე ქალაქის რომელიმე შემთხვევით დაწინაურებული ბობოლა ჩინოვნიკი!

— აი, ბატონო, ვნახოთ. ჰმ, ღმერთმა ინებოს! მაგრამ ძალიან კი ვეჭვობ, ჩემო ძმაო, რომ მათთან გააწყო რამე. იმათ სამართალიც და კანონიც სხვაფრივ ეყურებათ. წელანაც გითხარი, ისინი სიმართლეს მაშინ დაინახავენ, როცა შენს საცხოვრებელს მათ მისცემ, შენ კი შიმშილით მოკვდები. ჩვენ უფრო გავიკითხავთ ხოლმე მათ სიღარიბეში, ვიდრე ისინი ჩვენა. რო-

გორც კი დავვინახავენ შევიწროვებულთ, მაშინვე მოვლენ და კიდევ წიხლს დაგვაზელენ.

— ეგ იმისათვის, რომ სული გაწყალებიათ, — მიუგო ოქრომ. მას სახე გაშფოთებოდა, დამშვიდებით ვერ განაგრძო ეს კამათი, რადგან იცოდა, თუ რა კაცსაც ელაპარაკებოდა.

— ეგ კი სიმართლეა, რომ რაც ჩვენ მამა-პაპას დაუშავებინოს, მე სრულიად უდანაშაულოს გადამახდევინონ? აბა აიღე ჟურნალ-გაზეთობა, თვალი გადაავლე, ასე ერთ ქვეყანაში გლეხკაცი არა გრძნობს თავს ისე თავისუფლად, ისე გაუჭირებლად, როგორც საქართველოში. სხვა რაღა უნდათ, ნეტავი! თავადაზნაურობას მამული გვეკარგება, ეგენი იძენენ. დღეს თუ სვად, უეჭველია, ცარიელზე დავსხდებით, ეგენი კი ხელს მოიმარჯვებენ, გაღონიერდებიან. თვითონ ამ სოფელში ერთი გლეხი არ არის, რომ ნადელის გარდა კიდევ რამდენიმე დღის მიწა არ შეესყიდოს. უკანასკნელ დუკმას ინახავენ, აგროვებენ შეძენისთვის. დღეს ბარე ოცი თუმანი ისესხა ჩემგან ერთმა სწორედ მაგ მიზნისათვის და აბა რომ ვავიწროვებდეთ, აგრე გაღონიერდებოდნენ?

— კიდეც ეგ არის-და! მაგაში მოსჩანს იმათი ღონე და ძარღვის მაღლოვანი ცემა. ეჭვი არ არის, მერმისი მაგათია, ჩვენი სისხლი კი მოცვლა, მოიქანცა, დასუსტდა, გაწყალდა. უნდა ახალ სისხლში შევერიოთ, მაშინ კი კარგა წავა ჩვენი საქმე.

— რაო? ხა! ხა! ხა! — შესძახა ხარხარით ესტატემ. ამ სიცილში აშკარად გაისმოდა დაცინვა. ოქრო აინთო პირველში, მაგრამ, როგორც იყო, თავი შეიკავა. ტიტიკო დარწმუნდა, ამათი ბაასი მშვიდობიანად არ გათავდებოდა, არჩია შეეწყვიტა.

— რა დროს ფილოსოფოსობაა! მოკიცლიათ! ეგ კი არა, ესტატე, ჩვენი პირობა ხომ გახსოვს თედამიწის შესახებ? — მიუბრუნდა ესტატეს, რომელიც განაგრძობდა ისევ თავშემაგრებით სიცილს. მაგრამ რა რომ შეატყო ოქროს სახეს ამრეზა, სცადა როგორმე ჩაეფუჩეჩებინა თავისი წინდაუხედავი სიტყვა, იამა ტიტიკოს დროზე გამოლაპარაკება და საჩქაროდ უპასუხა:

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, დღესაც იმ პირობაზე ვდგევარ.

— სადაო ხომ არა გაგჩენიათ-რა? — კითხა ოქრომ.

— რას ამბობ? როგორ თუ სადაო? თუ გნებავთ ხვალვე წავიდეთ, აი, ორივ ძმები აქა ბრძანდებით, მშვიდობიანად გავა-

თავოთ საქმე. რა საყაყანო გაგვიხდა ის მიწა, არც კი ღირს მაზე ლაპარაკი, — დაუმატა ესტატემ მორბილებულის ხმით. მათ პირობა დასდეს მომავალ კვირას შეესრულებინათ ეს განზრახვა, რადგან მაშინ, როგორც ხალხი, ისე თვითონაც მოცლილები იქნებოდნენ. წამოსვლის დროს ესტატემ და ნატომ გულითა სთხოვეს ოქროს, არ დაევიწყა ესენი და კვალად მაღ-მაღე სწვევოდა. მეორე საათი დაიწყო, როდესაც ტიტიკო და ოქრო სახლში დაბრუნდნენ, ოქროზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს მეზობლებმა, გაიგო-რა ხალხთან ექნებოდა საქმე, თითქმის ყოველდღე, ნამეტნავად ესტატესთან, რომლის ცხოვრების მიზანი ხალხის ყვლეფა, ჯიბის გატენა იყო; მაგრამ ოქროს აზრები, სურვილი მაინც მტკიცედ იძლეოდნენ იმედს, რომ სხვების დაუხმარებლადაც შეასრულებდა ყოველ კეთილ განზრახვას, თუ მეტადრე ტიტიკოც მხარს დაუჭერდა. გაირბინეს დღეებმა. ოქრო ჩხრეკავდა სხვადასხვა სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებს, იკვლევდა სასარგებლო სავნებს. ძმებმა მამულებიც დაზომეს, ცნობაში მოიყვანეს და, რადგან ყველას ჯერ ვერ გასწვდებოდნენ, ნახევარი გადაუკვეთეს გლეხებს, ნახევარიც თავისთვის შესამუშავებლად დაიტოვეს. თუმცა ტიტიკო არწმუნებდა, აღრეა მაგისთანა ძნელი საქმის დაწყებაო, მამული საკმაოდ არ არის ვალისაგან განთავისუფლებულიო, ოქრომ მაინც დააჯერა, დაითანხმა ახლავე შესდგომოდნენ; გამოიწერეს აგრეთვე იარაღებიც და ელოდებოდნენ ყოველდღე.ამასობაში ოქროს წერილი წერილზე მოსდიოდა გაიანესა და მაკინესაგან, აყვედრიდნენ, ამდენი ხანია მოსულიყო და იმათ ნახვას კი ასე აგვიანებდა. ოქროს მეტი ღონე აღარა ჰქონდა, უნდა შეესრულებინა მათი თხოვნა.

— როდის დაბრუნდები? — კითხა ტიტიკომ, როცა ოქრო მოემზადა წასასვლელად.

— ნამდვილად არ ვიცი, ორ კვირაზე მეტს არ დავრჩები.

— შენ იცი... ეცადე, უფრო ადრე მოხვიდე, რადგან ესტატესთან იმ მიწის შესახებ ქაღალდი უნდა დავწეროთ, მერე არ შეგვეშალოს. უშენოდ კი არ დათანხმდება... — ოქრომ პასუხად თავი დაუქნია, და ჩაჯდა ეტლში.

## XXI

მაკინესა და გაიანეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რა ნახეს ოქრო მისული. მაკინე თუმცა ისევ მშვენება იყო, მაგრამ დროთა სვლას თავისი ბეჭედი დაესვა, თმაში გარეოდა ჭაღარა, თვალების გარშემო დასჩენოდნენ ზოლები, რომლებიც ხშირდებოდნენ სიცილის დროს. ოქროც დიდ სიამოვნებას გრძნობდა, როდესაც გაიანეს ოჯახში შედიოდა. თუმცა წერილების შემწეობით იცოდა, განო შეერთო მდიდარ თავადს, მაგრამ შორით მონაწერსა და თვალით ნახულს შორის დიდი განსხვავება მოსჩანდა. კეთილი, ზრდილობიანი, გონიერი როსტომ ზურაბიშვილი პირადად ბევრითა სჯობდა იასონს... ოქროს უხაროდა, ღებს შესაფერი გარემოება მისცემოდათ და მათთან კარგა მოუგვიანდა. მაკინეს და განოს აღერსმა, სიძეების უზომო პატივისცემამ, სოფლის მშვენიერმა სამხატვრო მდებარეობამ კარგა ხანს დაბოჭეს ერთ ადგილს, რამდენჯერაც გაიწევდა, განო და მაკინე შეეხვეწებოდნენ კიდევ დარჩენას. ესეც უსრულებდა თხოვნას ნებაუნებლიედ. თუმცა ოქროს სოფლისკენ უფრო შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, მაგიერად ეს მხარე მომეტებული განვითარებული მოსჩანდა. ხალხს ახალი მიმართულება მიეღო, რაკი სოფელი რკინისგზის სადგურს დაახლოვებოდა, სწორე გზატკეცილი უადვილებდათ აქეთ-იქით მიმოსვლას. ქალაქის მცხოვრებნიც მოდიოდნენ ზაფხულობით. ოჯახი არ იყო, სადაც ან სწავლადამთავრებული ახალგაზრდა ქალი არ ყოფილიყო ან შეგნებული ყმაწვილი კაცი... ზარმაცობა გონებისა და სულის მოშვება არ ეტყობოდათ, როგორც ოქროს ხეობის მცხოვრებთ. მეზობელთა შორის დიდი თანხმობა-ურთიერთობა მოსჩანდა, არ გაბღვეროდნენ აღმაცერად ერთმანეთს. ოქრომ ყველანი გაიცნო და კმაყოფილი დარჩა; Ⴇაგალითად, შაქრო ბედინაშვილი. ნუთუ სასიამოვნო არ არის მასთან გონივრული სჯა-ბაასი? ის არ აიგდებდა მასხარად მოლაპარაკეს, არამედ ალტაცებით მოეჭიდებოდა ყოველ კეთილ აზრს და გაიძახოდა:

— ჭეშმარიტად, ოქრო, ჩინებული სურვილია, ჩინებული!

თუნდ პაციკო დიდებაშვილი. რა წრფელი, პატიოსანი მოსჩანს!.. იმას ხომ არც უნივერსიტეტი დაუმთავრებია, საშუალო სასწავლებელშიც ბოლომდის არ მისულა, ქეიფსაც მისდევს, გიჟ-

მაჟორზს, მაინც გონების სიმახვილე, სიცოცხლე არ აკლია... ქალები? მისი და მარიკა!.. ზურაბიანთ მაშო!.. განა მათი ჭკვიანური სჯა შეედრება ნატოს და პედაგოს სულელურ ტიტინს!.. თვით ტიტიკოს და ანოსაც აკლიათ აქაურების გამოუხიზლება... ისინი სხვებსავით მიყუჩებულან და ნაბიჯის წინ გადადგმა ეზარებათ. ოქროს მოუნდა აქ, ამ სოფელში ჰქონოდა ის მამულები, აქ შესძლებოდა ცხოვრება. თავისი სურვილი გაუზიარა დებს. მაკინეს უხაროდა, რომ ოქროს თავის სოფლის საზოგადოება არ მოსწონდა.

— თუ კი აგრეა, მესტუმრე ხოლმე, გენაცვალე, ყოველ ზაფხულს, — უთხრა გაიანემ.

— უეჭველად, მოვრჩები თუ არა ჩემს საქმეებს, აქა ვარ.

— ჩემთან, ბიჭო? მე როდის-ღა გამახარებ? — კითხა მაკინემ.

— შენც ამ ზამთარს გეწვევი რამდენიმე კვირით. — ამ დაპირებით დიდი კმაყოფილები დარჩნენ დები. ოქრომ სანახსოვროდ გაატარა მთელი ერთი თვე განოსთან. ნადიმები, რჩეული საზოგადოება, ცხენებით სეირნობა, ყველა ამან მოხიბლა. წასვლის დროს პატიოსანი სიტყვა დაუტოვა, ისევ მალე ნახავდა მათ. მთელი ის ხანი, რაც ოქრო აქ იყო, მაკინე იჩენდა მის მიმართ მომეტებულ მფარველობას, ალერსსა და სიყვარულს.

— ოხ, რანაირად ვეცდები, კმაყოფილი დარჩე ჩემთან მოსვლით! — ეუბნებოდა ის.

— მართლა? მაშ გულით გინდა ჩემი კმაყოფილება?..

— რასაკვირველია!..

— მაშ ამისრულე ერთი სათხოვარი, — უთხრა ოქრომ, როდესაც ესენი მარტოდ ისხდნენ ოთახში, სხვები კი აივანზე ჩვეულებრივ ქაღალდს ჩასხდომოდნენ. მაკინემ ჯერ შეხედა ძმას, მერე ჩაფიქრდა, აილო მაღლა თავი და სთქვა:

— შემომიკვეთე.

— შეურიგდი ტიტიკოს. — ამ სიტყვის გაგონებაზე მაკინეს თითქო ცივი წყალი გადაავლესო, კარგახანს ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— შევურიგდე ტიტიკოს?! — წარმოსთქვა მან ბოლოს ათრთოლებულის ხმით, — მერე როგორ შევურიგდე მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა?..

— დიდი არა ყოფილა-რა... დარწმუნებული ვარ, აღარც კი ახსოვს, თუ იმასთან რაიმე დანაშაული გაქვს, ან მას შენთან, — მაკინე თითქო შეკრთაო, მაგრამ მალე მოშორდა გაუბედაობა, ღონე მოიკრიბა.

— დანაშაული მე მასთან?. — შესძახა მან, — არასდროს!... — თან გულში ხინჯადა ჰქონდა დარჩენილი, ტიტიკოს ხომ არა უთქვამს-რა მისთვის ჩემგან მიწერილ წერილზე? მაინც თავს იმაგრებდა მით, რაკი ტიტიკოს არა ჰქონდა წერილის დედანი, მაშასადამე, გაჭირვების დროს შეეძლო კიდევაც გადაეფიცა.

— ეგ არ ვიცი, რომელი ხართ თქვენში დამნაშავე, ეს კია, რომ უნდა შერიგდეთ, — მიუგო ოქრომ.

— შეურიგდე იმას, რომელმაც არ გამიტანა? — გაიმეორა მაკინემ წინანდელზე უფრო გაბედვით, რა დარწმუნდა, ყურამდე არ მიღწეულიყო სინამდვილე...

— მაინც უნდა შეურიგდე, — უთხრა კვალად ოქრომ.

— მან მომასწრო, როცა სრულიად დასუსტებული ვიყავ და უღონო! — ლაპარაკობდა მაკინე მოკვდინებით. ოქრო უყურებდა გაშტერებული, ქალის სახე ხატავდა უზომო ნაღველს, თვალებში უკრთოდა მდურვა, მთელი ამისი არსება წუთს შეცვლილიყო, მოშორებოდა მხიარული მეტყველება, თვალწინ ეყენა გამოუთქმელ დარდსა და ვარამთან მებრძოლი, ცხოვრებისაგან დაუნდობელი ქმნილება. ოქროს თანდათან ემჩნეოდა გაოცება, ტიტიკოს მხრივ რაღაც ეჭვებიც ეღვიძებოდა, თუმცა არა სჯეროდა.

— ტიტიკოსაგან როგორ მოვიფიქრებდი! — განაგრძობდა ქალი იმავე კილოზე, — მე იმისი არამც თუ და, ტკბილი უერთგულესი მეგობარი ვიყავი. შენ რა გასხოვს, მაშინ ჯერ კიდევ პატარას! რამდენჯერ შემიმსუბუქებია მისთვის მძიმე წუთები, რამდენჯერ დავხმარებივარ მშობლებთან, როცა ფული მონდომებია, ან სხვა რამ სიამოვნება და ვერ გაუბედნია მათთვის თხოვნა. მისი გულისთვის კიდევაც მიცრუვნია, რათა დედ-მამა დამეჯერებინა. ერთის სიტყვით, ჩემი წყალობით ის ყველა სურვილს ისრულებდა. ბოლოს კიდევაც მოიტეხა კისერი და გადაეკიდა უგვარო შეუფერებელ ქალს, რომელმაც უფრო მომაშორა.

— მაკო, მგონი, ანიკო არ არის ტიტიკოს უფერისი, ის კეთილ, მშვიდობიან ქალსა ჰგავს.

– დიაღ, მშვიდობიანს... შენ აგრე გეჩვენება. ოხ, ოქრო, ნა იცი, რა არის ქალი? ვერც მიხვდები. მაგაზე მე მკითხე...
— წვრილმანებს არ უნდა გამოუდგეთ, ქალო! უცოდველი ადამიანი ვინ არის? არც უნდა ვაყვედრიდეთ ერთმანეთს თვითეულის დავალებით, ჩვენ მოვალენი ვართ მოვიქცეთ ასე და არც საყვედურის ნება გვაქვს.
— ეგ მაშინ, როცა ის მხარეც პატიოსნურად, ერთგულად გეპყრობა.
— მაგაზე უარს ხომ ვერ იტყვი, რომ ტიტიკოს ძალიან უყვარდი?
— ვუყვარდი პირველში, მერე აღარა. მას აქეთ, რაც ცოლი შეირთო, მას აქეთ, რაც შენი ლაღატი მოინდომა და ნება არ მივეცი, შენ, როდესაც თავის დღეში ცუდი არ გიფიქრია მისთვის, ასე გიპირობდა, მე რაღას მოველოდე?
— მე ვაპატიე, მაკო, თუ გიყვარვარ, შენც შეურიგდი.
— ოქრო, ნუთუ შენც დაგაჯერეს? კიდეც იმისთვის დაიგვიანე, აღარ მოიხედე ჩვენკენ? ვინ იცის, რაებს არ მოგიყვნენ ჩემზე, ნა ციდი არ დამწამეს! ოხ, ღმერთო, რა უბედური ვარ! — შესძახა მაკინემ და ხელსახოცი მიიფარა თვალებზე.
ოქროს იშვიათად ენახა ნამტირალევი მაკო. ფუფუნებაში აღზრდილი, ამ წუთებში თავს უბედურად სთვლიდა და ამ უბედურების მიზეზი კი იყო ოქრო, ის ოქრო, რომელიც ბავშვობიდანვე თაყვანსა სცემდა დას. მაკინეს მწუხარებამ დიდად იმოქმედა ოქროზე, ეს დაეცა მუხლებზე ქალის წინ და გამოართვა ხელები.
— მაკინე, ძვირფასო! გეფიცები პატიოსნებას, შენი სიყვარული ამ გულში არ შესუსტებულა! მიყვარხარ ყველა მახლობელზე მეტად, გსახავ თითქმის მშობლების მოადგილედ. მაგრამ... ვეტყვი კიდევ, შენთან სხვის ენას უმუშავნია და ძმა შეუძულებია. არა, მაკო, ტიტიკო არ არის ბოროტი, განა სხვებმა გითხრეს ისიცა, რომ მან მოინდომა ჩემი ხვედრი შემოსავლით სარგებლობა, მაზულების დასაკუთრება? ჰო, მაკო, იმას შენთვის პირდაპირ არ უთქვამს, განა? — იმეორებდა ოქრო, თან ნატრობდა გულში, ასე მომხდარიყო და ტიტიკო მართალი გამოსულიყო. ამას სწყუროდა, ძმის წრფელი თანაგრძნობა მოჩვენებად არ მოვლენოდა და არ მოტყუებულიყო. ქალი განაგრძობდა სლოკინს, კარგახანს ხმას აღარ იღებდა.

— ჰო, მაკო, განა ტიტიკოს ცუდი უნდა ძმისთვის?.. დაგენახა მაინც, რარიგ გაეხარდა ჩემი დაბრუნება! რანაირის მხურვალებით მიეკიდა ყოველს ჩემს სურვილს, აღმითქვა, მხარში ამოგიდგები, შენთან ერთად გავწევ მძიმე ჭაპანს ცხოვრებისასო... მაშ ნუთუ ეს მისგან მარტო წყალ-წყალა სიტყვებია ღალატის დასაფარავად? — ოქროს ხმაში იხატებოდა მუდარა, მაგრად უჭერდა ხელს თითებზე, თითქო ეს არის უნდა დაუმტვრიოსო....
მაკინემ მეორე ხელი ჩამოიხსნა თვალებიდან, მეტყველობა შესცვლოდა, თვალები აბნევდნენ შემაგრებულ წყრომის ნაპერწკლებს, ტუჩები მაგრა მოეკუმა.

— შენ უკეთა გცოდნია! რაღად მეკითხები? მიგიღია ტიტიკო თავდადებულ ძმად, რაღას მელაპარაკები?.. ღმერთმა ინებოს, აგრეთი ერთგულება ბოლომდის გაგყოლოდეთ, — უთხრა მან, — გიყვარს და რაღა დაგაჯერებს? — დაუმატა.

— არა, მაკო, მე გეკითხები მარტო ჭეშმარიტებაზე... სხვამ გითხრა, თუ თვითონ მაგ ღამაზ ყურებით მოისმინე მისი ჩემ მიერ ღალატი?.. მე მსურს სწორედ გავიგო, რათა დავრწმუნდე, შევიგნო ადამიანის ვნება-სიკეთე თუ რამდენად სიძლიერეს იჩენს.

— ის... ის მწერდა... აკი შეგატყობინე!..

— არ გაჯავრდე, მაკო, თუ მოგთხოვო, მაჩვენე თვითონ ის ნაწერი-მეთქი, — მაკინეს ისევ წაერთვა წინანდელი სიმხნევე, შეშინებულმა შეხედა ძმას.

— შეიძლება? — იკითხა ისევ ოქრომ რამდენსამე ხნის სიჩუმის შემდეგ. ქალმა ყრუდ ჩაილაპარაკა:

— რატომ... ახლა კი ვერა...

— მიზეზი?

— იმ წერილს კარგი მოძებნა უნდა.

— მგონი დრო გაქვს... ხვალ?.. ხვალ ვერ იპოვნი?..

— ვერც ხვალა.

— ზეგ? — აღარ ეშვებოდა ოქრო, ქალი აირია, მეტად აუტანელი წუთები დამდგარიყვნენ, მთელი სხეული უთრთოდა, რაღაც მედგარი ბრძოლა ეშინეოდა.

— მაშ საროდითღ?..

— არ ვიცი... მგონი, მაშინ, როდესაც ვიპოვნი. იქნება დღე-

საც, — ჩქარა მიუგებდა მაკინე, რათა მალე შეეწყვიტა ოქროსაგან მიმართული მწვავე, მტანჯველი საკითხი.

— მაშ იმისი ნაწერი გქონია? — შესძახა ოქრომ.

— რა გეგონა? — უპასუხა ისევ გულზვიადად მაკინემ, — გეგონა გატყუებდი? — ამ ორ არსებათა სულის მდგომარეობა თითქო შეიცვალა, ერთიდან მეორეში გადავიდა, ახლა ოქრო შეიპყრო შეძრწუნებამ, ეს უყურებდა გაოცებულ-გაშტერებულ დას.

— განა მართალია?.. რა დაუშავა მერე?.. არა, არა! ჯერ თვალით ნახოს, წაიკითხოს... არა, ყოვლად შეუძლებელია ტიტიკოსაგან ეს ოინები!.. თუ ასეა? მაშინ კი დარწმუნდება დის სამაგალითო ერთგულებაზე, თუ არა და რა იქნება მაკინე?... მაკინე? ტიტიკო? — ოქროს თავში აზრები ერეოდნენ. ეს ორი სახელი ერთმანეთთან მედგრად კამათობდნენ ამის არსებაში. ამ დაპარაკის შემდეგ მაკინე და ოქრო გამოიცვალნენ. მაკინე ჩაიკეტებოდა დიდხანს ოთახში და აღარ გამოდიოდა სადილობამდის, თითქო კიდევაც გახდა, ფერი მიეტეტკა.

— უქეიფოდ ხომ არა ხარ? — ეკითხებოდნენ მასლობლები. ის სხვადასხვა პასუხებით თავიდან იცილებდა. არც ოქრო იყურებოდა დამშვიდებით. მუდამ დარდიანად დადიოდა მარტოდმარტო, თავი გაბრუებოდა ათას განუსაზღვრელ ფიქრებით. ნუთუ მაკოს ეძნელებოდა წერილის ჩვენება? უთუოდ აწუხებს, ეშინიან, წარსულმა აწმყო არ გაამწვავოს და ამასა და ტიტიკოს შორის ახალი განხეთქილება არ ჩამოვარდეს... ცხადად, აშკარადა სჩანს მაკო დიდად იტანჯება...

— „ხან რომ ცბიერი მელაა, ხან გაუმაძღარი მგელია", — ჩასძახოდა ამ დროს ტიტიკოს ხმა. ნეტა თუ რომელი გამოდგება ნამდვილი მელა, ან გაუმაძღარი მგელი?... რამდენიმე დღის შემდეგ ოქროს ლოდინს ძლივს ბოლო მოელო. მაკინე შემოვიდა მის ოთახში, ის გაფითრებული მისჩერებოდა ძმას.

— ოქრო, ის წერილი ვიპოვნე... მაგრამ... სიტყვა უნდა მომცე...

— რაზე? — ოქროც ხარბად შეაჩერდა დას, რომელიც თითქო შეკრთა, თვალები ძირს დახარა...

— პატიოსანი სიტყვა, ტიტიკოს ამაზე არას გაუმხელ... არ შეამჩნევინებ...

— მერე რაში გენაღვლება? — კითხა ფერდაკარგულმა ოქრომ.

— არ მინდა ახალი დავიდარაბა ატყდეს, არც წაგაკითხებდი თუ... დარწმუნებულიყავი ჩემს ლაპარაკზე და თუ... ამას მეტად ჩასთვლიდი, ოქრო, ოხ, რა მადლობელი ვიქნები! — დაუმატა აღელვებულმა, შეშინებულმა მაკინემ, როდესაც დაინახა სახეშეშლილი ოქრო. მაგრამ უკანასკნელს ისე მოუნდა ამ წერილის ხელში ჩაცდება, რომ მოუფიქრებლად წარმოსთქვა:

— მაკო, პატიოსან სიტყვას გაძლევ ჩვენს შორის დარჩება ყველა ეს, ოღონდ მომე, — აღელვებისაგან ძლივს ჩაილაპარაკა ოქრომ და მთრთოლვარე ხელი გამოუწოდა. ის იყო წერილი აპირებდა ძირს დავარდნას, ოქრომ ჰაერში დაიჭირა, საჩქაროდ გაშალა, თვალები ზედ დააკერა თვითეულ სტრიქონს. წამს რომ ყვითლდებოდა, წამს სისხლით ეჟღინთებოდნენ საფეთქლის ძარღვები, ბოლოს ისევ თავის ფერს იღებდა. მაკინესაც სახეზე მიეფარებინა ხელები, არ ინძრეოდა...

„ჩემო მაკო, — კითხულობდა ოქრო, — მაპატიე, წერილი რომ დაგიგვიანე. როგორა ხარ? როგორც მეყურება, დროს ჩინებულად ატარებ. ჩვეულებრივად შენი სახლის კარი ხალხისათვის მუდამ ღიაა, განცხრომაში ხარ!.. შევიტყე შენი გაჭირვებული მდგომარეობა, თუმცა გარეგნობით მაინც ედვარებ, გულით ვწუხვარ, რომ ვერ ვასრულებ შენს თხოვნას. ცოლ-შვილს გეფიცები, რაც შემოსავალი იყო, ნახევარზე მეტი ოქროს გავუგზავნე, დანარჩენი ვალსა და სახლების დამოსვას მოუნდა. დიდიხანია შენთვის ვფიქრობ, მაგ გაჭირვებულ ცხოვრებიდან გამოხვიდე. მიიღე ჩემი რჩევა, შესცვალე ცხოვრების გარემოება. ხუთასი თუმანიც მიჩუქებია, ჩემო მაკო. ერთი ვალიც უნდა დამდო, ვიცი, ჩვენს შორის დარჩება, რასაც გწერ... ოქრო ახლა გერმანიაშია, მოვა, მაგისი გზა ხსნილია ყველაფერში, თუნდ მამულიც არ ჰქონდეს, სწავლა საკმარისი აქვს; მე და შენ კი უმამულოდ, უშეძლებოდ დალუპულები ვიქნებით, დამეთანხმე, რომ მამაჩვენმა მისი ხვედრი მამულის ნახევარი მე მომყიდა, აგრეთვე ანდერძითაც გადმომცა. მაშინ მას აღარ გავუგზავნი სრულად, როცა მოვა, ვეტყვი, რაც შენი კუთვნილი იყო, იქიდან გიგზავნე-მეთქი. ამ დახმარებისთვის, პირიქით, ჩემგან კიდევ ხუთასი თუმანი მიიღე და დარწმუნებულიც იყავ, მარად შენი დამხმარე ძმა ვიყო, შენი ტიტიკო".

ოქრომ რამდენჯერმე ჩაიკითხა, მერე ამოიღო ქისა და დაჭმუჭვნილი ქაღალდი შიგ ჩადო.

— ოქრო, პატიოსანი სიტყვა? — მოაგონა მაკინემ.

— ეჭვი ნუ გაქვს... ჩემი სიტყვა სიტყვაა! ამას ვინახავ, მარტო მოვიგონო სიღმე, რამდენად საძაგელი და ხარბი ყოფილა ადამიანი!

— ყველა?

— ყველა, შენს გარდა, ჩემო მაკო, — ოქრომ მადლობით ხელზე აკოცა დას. თუმცა ოქროს დიდად აწუხებდა ძმის ასეთი დაუნდობლობა, სტანჯავდა, მაინც სულგრძელობამ, კაცთმოყვარეობამ და სათნოებამ გაიმარჯვა: თითქო გულში თანდათან შესუსტდა ძმის მიმართ აღძრული მდურვა, ზიზღი, მაგრამ მაინც გული აღარ მისწევდა მისკენ. მაკინესადმი სიყვარული კი მომეტებულად გაუცხოველდა. განა ღირსი არ იყო შესაფერ თანაგრძნობისა მაკინე, რომელიც ამის მიზეზით არ შეჰპოეპოდა ძმას და თვალით აღარ განეცადა? მაკინეს უჭირს, ყელამდის ვალებშია, დღეს თუ ხვალ ქალაქის საზოგადოებისაგან გაიკიცხება, ოქრომ კი იმ დროს უნდა იპარპაშოს? მერე მაკოს დამცირება ამისი დამცირება არ არის? ოლონდაც... არა, ამის ნებას არ მისცემს ოქრო. მართალია, უმეტეს ნაწილ დროს სოფელში გაატარებს, მაკინეს მაინც შეძლებისდაგვარად მიაწვდენს შემწეობას; სანამ ოქრო ცოცხალია, მაკოს გაჭირვებულს ვერავინ ნახავს. ეს აზრი შეატყობინა განოს, უთხრა მაკინესაც, რომელსაც ძალიან უხაროდა და დამშვიდებულიყო.

— ამ ზამთარს ორი თვით ჩამოვალ... ჩემთვის ხალვათი ოთახი მოამზადე! — უთხრა ოქრომ წასვლის დროს.

— გიორგობისთვის დამლევიდან გელი, არა? — კითხა მაკინემ, თან დაკოცნა ძვირფასი ძმა.

— უსათუოდ... — უპასუხა ოქრომ, მადლობა გადაუხადა მასპინძელთ ასეთ დახვედრაზე და გამოემართა ისევ თავის სოფლისაკენ.

## XXII

ოქროს ცხოვრება სოფელშიც მეტად უფერული აღმოჩნდა... დღეები ერთგვარად გარბოდნენ, ერთი და იგივე ხალხი თავიანთის ვიწრო აზრებით მობეზრდა. ტიტიკოს ყოველი მოქმედება თუ სიტყვა-პასუხი გულში ულვიძებდა ეჭვს. ვერ დავიწყებოდა

მისი ასეთი დაუნდობლობა და ხშირად მიეცემოდა ფიქრს მაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო ამათი ერთად ცხოვრება ან მოღვაწეობა? კარგახანს არა სჯეროდა ოქროს ტიტიკოსა და მისი ცოლის რაიმე დანაშაულობა, მაგრამ დღეს კი დარწმუნდა სინამდვილეში. ძმა და რძალი აღარ მოსდიოდნენ თვალში, ცდილობდა იშვიათად ელაპარაკნა მათთან და უფრო საქმეს მისცემოდა... ამათ მიიღეს მიწის დასამუშავებელი იარაღები. ოქრო გულმოდგინებით მიყვებოდა მინდორში ახალ გუთანს, მუშაობდა როგორც უბრალო მუშა და თითქო გული შეუმსუბუქდებოდა ხოლმე შემავიწროებელ ფიქრების გაფანტვით. ტიტიკო და ანოც ატყობდნენ, ოქროს ცვლილებას, თუმცა ვითომ არ ამჩნევინებდნენ, მაგრამ სჯეროდათ, აქ უეჭველად უნდა ჩაზხირულიყო ისევ მაკინე...

— ახლა მაგაზე მიდგა რიგი!.. ახლა მაგას გადიგდებს კისერზე, — ამბობდა ტიტიკო, როდესაც ოქრო წავიდოდა სადმე მინდვრად. ანოც დაუზარებლად აკეთებდა თავის ხვედრ საქმეს.

— მერე რა იქნება? არ შეიძლება გამოკითხო ნამდვილი მიზეზი? აბა ეგ ოქრო რომ ის ოქრო აღარ არის, როგორიც პირველად მოვიდა, ნამდვილია.. კითხე ყმაწვილო, იქნება ჩვენ გვემდური ება რასმე... არ გამოიკვლევ საქმეს? — უპასუხებდა ცოლიც.

— არა, არა, თავი დაანებე... თავის ნება არის, როგორცა სურდეს, ისე მოიქცეს... ღმერთია გულთამხილავი, მაგისთვის ცუდი არა მდომებია-რა არასდროს. არა, ანო, შენც სუ და მეც სუ.... ნუღად გავერევით მაგათ არეულ-დარეულობაში... ჩვენ ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ ოჯახისა და შვილების წინაშე... მაგათ თავისი იციან. ოქრო ბავშვი აღარ არის, ყურში ხელი მოჰკიდოს ვინმემ, ან ძალათი თვალი გაახელინოს. თუნდ ვუთხრა, სხვაფრივ ჩამომართმევს... არა, ისევა სჯობს, ჩუმად ვიყვეთ, ვნახოთ, რა იქნება!

— მაინც რა უნდა იყვეს?

— ის, რომ ოქრო აქ არასდროს არ გაჩერდება დიდხანს. ხომ ხედავდი, რანაირის ალტაცებით მაჯერებდა, სამუდამოდ აქ ვიცხოვრებო. რაც კი იმ წყეულთან იყო, აღარაფერი უთქვამს. მეც განგებ ჩამოვუგდებ ხოლმე სიტყვას და ის კი გადამისხვაფერებს. — ამ ლაპარაკზე ოქროც შემოივლიდა და ცოლ-ქმარი მსწრაფლ შესცვლიდნენ საბაასო საგანს. ოქრო თითქო დაღალულ-დაქანცულიყო ცალკე მარტოობისა, ცალკე შავი ფიქრებისაგან, შევიდოდა

ხმაამოუღებლად თავის ოთახში და ისვენებდა. აგერა შემოდგომამაც თავი დაუკრა, სიგრილის გამო ოქრო ვეღარ ჩერდებოდა დიდხანს ჰაერზე... მეზობლებთანაც ათასში ერთხელ თუ წავიდოდა, ახლომახლო სოფლებში მცხოვრებნი, სიყმაწვილის ამხანაგნი აღარ იზიდავდნენ თავიანთკენ, რადგან რამდენისამე წლის წინათ ცხოვრებას სხვადასხვა გზაზე დაეყენებინა ისინი. ამასთან საერთო აღარა ჰქონდათ-რა, გარდა სადიდ-ვახშმებისა, რომელნიც აგრეთვე მოსწყენოდნენ ოქროს. ეს მარტო მაშინ გრძნობდა თავს კარგად, როდესაც გლეხკაცები შემოეხვეოდნენ, ელაპარაკებოდნენ თავიანთ გაჭირვება-დაღხინებაზე. ეს შემთხვევაც ხშირად არ ეძლეოდა, რადგან ისინი ეჩქარებოდნენ საზამთროდ მომზადებას.

— გამარჯვება, სოლომან, როგორ აგრე დაღონებულხარ? — კითხა მან ერთ საღამოს, კარებზე ჩიბუხით ხელში გამოსულ გლეხს, როდესაც ოქრომ ახლო გაუარა.

— ეჰ, ბატონო, სამხიარულო განა რა მაქვს, შე დალოცვილო? ნუ კი გეწყინება და მართალს მოგახსენებ, — ღიმილით დაუმატა სოლომანამ.

— სთქვი, მე ყოველთვის მართლის თქმა მიყვარს.

— ჰო-და კიდეც იმისთვის გიბედავ... აბა, შენი ჭირიმე, შენც იტყვი, ღვთის გაჩენილი ვართ და მეცა, განა სამართალია? აბა, როგორ არა! შენ თავისუფალი ფრინველი ხარ, არაფრისა გენაღვლება, კარებზე მზისა და წვიმის მეტი არა მოგეტანება-რა. ნაირნაირები მზა-მზარეულად მოგდიან, მე კი მთელი ზაფხული წელი მოვიწყვიტე, ცოდ-შვილი კალოში ჩავხოცე, ბოლოს რის მუშა გამოვდექი? ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო. მეც ისე მომივიდა, დავრჩი გულხელ დაკრეფილი და ამთავიდან უნდა დავიწყო მომავალ წლამდის, ან ჭირნახული ვიკვეთო, ვისესხო, ან მოჯამაგირედ გადავარდე სადმე. შენ კი მეუბნები, რას დაღონებულხარო?

— რაც მოგივიდა, რა უყავი?

სოლომანამ მწარედ ჩაიღიმა.

— ნახევარი შენ უნდა მოგართვა ღალაში, ბატონო, ორი კოდი მღვდელსა, ახლა ფოჰტის ფული, სამამასახლისო, სადაღაქო და მე დავრჩი ისე. ჰო, ამ ყველა ხარჯს როგორც იქნება კიდევ გავუძლებ, მაგრამა ამდენ მატყუარა ქრთამების ძლევამ იდაჯი

გამიწყვიტა. ჩემი საქმე კი ისევ გაჩერებულია. მაინცდამაინც არა კეთდება-რა.

— როგორ თუ ქრთამების ძლევა? მერე ვინ გასდევინებს?

— ამ სამი წლის წინათ თარაზიანთ პავლეს ძროხა მიაბარა ჩემმა დედაკაცმა. ხომ მოგეხსენებათ ჩვენი სოფლის პირობა, თვითონ ჩვენს მღვდელს დავაწერინე მაგარი ქაღალდი, ხელის ჩამორთმევით, მამასახლისმა დაბეჭდა.

— რომელმა, ფრიდონმა?

— არა, შენი ჭირიმე, მაშინ ისევ გლეხკაცი გახლდათ, სიმონიანთ ზურაბა. ახლა ვადა გაუვიდა. ბარე მეოთხე წელიწადიც სრულდება, შევთხოვ, მომე ჩემი ძროხა, რას მერჩი-მეთქი, თავათ მარმან ათი სული გამიწყვიტა იმ ოხერმა ჭირმა-მეთქი, მაინც არა ქნა. არ შესელა თავის ღმერთსა, ქნა ფრიაქი, შელგა ქვაზე. ახლა თავადიშვილის გამწესება მაინც გამეხარდა, თავადია, დიდი კაცია, როგორ იკადრებს უმართებულებასა-მეთქი... შევეხვეწე იმ საქმეზე... იმან გასამრჯელო ერთი თუმანი მთხოვა.... მეც ვისესხე ესტატესგან თვეში მანეთად და მივართვი წორედ მაშინ, როცა სტუმრებთან სადილს შეექცეოდა. ი დალოცვილს კიდევაც ეწყინა, როცა დამინახა, ისე ურიოოდ მიმქონდა. მეც, რაკი მეჩქარებოდა, ეგება მალე ამისრულოს-მეთქი, დროს არ დავდიე, მაგრამ სად არის? დღეს მესამე თვეც არის, ის ყურსაც არ იბერტყავს. ე ქრთამი კიდევ, მადლობა ღმერთსა, ყველა თავის გასამრჯელოს იღებს, მაგრამ საქმის გაუკეთებლობა რაღა ჩვენი ცოდვის კითხვაა?

— როგორ თუ გასამრჯელოს?! გასამრჯელო არ არის წლიური ჯამაგირი? რად მიეცი, უხეირო? რად არ მოსვედი და არ მითხარი?

— მაშინ შენ აქ არ ბრძანდებოდი.

— ტიტიკო ხომ იყო!..

— შემეშინდა, გადამეკიდება, მოსვენებას აღარ მომცემს, ჩინონიკი კაცია-მეთქი.

— ჩინოვნიკი რას მიქვიან! სოფელში მებატონე იდგეს, თავადიშვილი და იმ სოფლის გლეხს ვინმემ ქრთამი წაართვას! ფუჰ, იმ მებატონესა, ჰანდე! — შესძახა ოქრომ, თან გული წყრომით აევსო.

— ჰმ, დალოცვილო, მებატონე! მებატონე არ არის ესტატეა,

რო ტყავს გვაძრობს? ისე არ გაგვიჭირდება, ჩვენი გაჭირვებით მან არა შეიმატოს-რა... ამას წინათ ფოსტის ფულის ენდორიკა დასდებოდა ტეტიკას, მივიდა იმათთან ფულის სასესხებლადა და მანათში კოკა ტკბილი აიწყო. აბა ტეტიკას არ გასჭირებოდა, განა მანათად მისცემდა? მამასახლისიც აგრეა, ბატონო, და ათასი სხვებიც. ეჰ, ჩვენზე ხელაღებული როა ღმერთი, ეს ყველამ ვიცით, — დაურთო დაღონებულმა სოლომანმა. ამ ლაპარაკის დროს ოქროს კარგა ხალხი შემოეხვია, მეტად მიწყალე გუნებაზე იყო. ამას სწყუროდა ელაპარაკნა კიდევ მათთვის მრავალი და, როდესაც ხედავდა, ხალხის სახე განაგრძობდა ისევ უნუგეშოდ ყოვნას, ეწყინა, დარწმუნდა, მათ მისი დაპირება არ სჯეროდათ. ოქრომ წუთს გამოიღო პატარა წიგნაკი, ჩამოჯდა ქვაზე.

— სოლომან, შენზე რამდენია? — ჰკითხა და გადაშალა ფურცლები.

— რაი, შენი ჭირიმე?

— ლადა, — სოლომანს სახე გაუბრწყინდა.

— ათი კოდი პური, შვიდიც ქერი, ბატონო! — მიუგო საწქაროდ.

— მოურავმა აიღო?

— ჯერ არა.

— ათი კოდი პური და ქერი მიჩუქებია. — უთხრა ოქრომ და შეხედა სოლომანს, რომელიც გაოცებული შეჰყურებდა.

— გადღეგრძელოს ღმერთმა! — წარმოსთქვა გაღიმებულმა გლეხმა და ქუდი მოიხადა. — აგაშენა უფალმა! — გაისმა ხალხშიაც. ამ ხმაში კიდევ აქა-იქ კანტი-კუნტად მოისმა თითქო მდურვაჩივილი, არც ეს გამოეპარა ოქროს. ამის გულს დაჟინებით სურდა, არავის დაეკვნესა, არავის დაეჩივლა ბედზე.

— ჰა, რაო? მანდ რას ლაპარაკობენ? — იკითხა, თავი მიიღო იქით, სადაც შეგროვილიყვნენ ჯგუფად და რაღაცას ჩურჩულობდნენ.

— აი შავარდაანთ ზურაც წყალობასა გთხოვთ, მეც მაპატიეო. მარტოხელი კაცი ვარ, ხუთად-ხუთი კოდი მომივიდა, ისიც ბატონმა უნდა წაიღოსო.

— კარგი, მიპატიებია, — უთხრა ოქრომ და ქაღალდზე აღნიშნა. მერე ჩაყვა და ყველას, ვინც კი იყო, კარგა ბლომად უწყალობა.

— ღვთის ნათლულია!

— ღვთის სულია!

— ძმას ეგ სჯობიან! ის მარტო თავისთავზე ფიქრობს! — გაისმა ყოველ მხრივ.

— ახლა ხომ კმაყოფილები ხართ ყველანი? — კითხა ღიმილით ოქრომ.

— ჰაი, ჰაი, რომ ვართ, — დაიგრიალა ერთხმად ხალხმა, ამ დროს გამოჩნდა მოხუცებული ნინიკა, მას თავი ძირს ჩაეღუნა, კრიჭაშეკრული განწირულის სახით მოდიოდა.

— ვაი შენს მოსწრებასა, ბებერო! — წაიდუდუნა რამდენიმე ბღეხმა. ამ სიტყვებმა ოქროს გული გაგმირეს და, როდესაც იკითხა მიზეზი, უთხრეს, თუ რა შეწუხებული ჰყავდა შვილი...

— რატომ არ შეგვატყობინა? რა ურჯულოები ჩვენა გვნახეთ, თქვენს ჭირსა და ლხინს რო არ გვიზიარებთ?..

— ნინიკა! აქეთ მოიარე, — დაუძახა ოქრომ; მოხუცი შედგა, მოიხედა და რა დაინახა ბატონიშვილი, წამოვიდა მისკენ.

— რა ამბავია, ნინიკა? ცუდი ხომ არა წაგკიდებია-რა?

— ეჰ, ბატონო! — ჩაიჩიფჩიფა მან, მაგრამ ისე შეკროდა კრიჭა, რომ ველარ ახერხებდა სიტყვის წარმოთქმას.

— სთქვი, სთქვი! — მიატანა ოქრომ.

— შვილი მიკვდება, ერთადერთი ვაჟკაცი, დათავიანებული შვილი, ცეცხლზე წყალი მესხმება, ცოცხალს საფლავი მეთხრება, ბატონო! — კვნესით ძლივს ამოილაპარაკა დამძიმებული გულიდან საბრალომ.

— რა მიზეზით?

— ჩვენებიანთ კეკოს წირვაში გახლდა, იქიდან შეცივნული მოვიდა, მას აქეთ სიცხისაგან გათართქალებულია, მუცელი ეწვის. მკითხავს ვაკითხვინე. იმან გერის მიზეზი გამოიყვანა და ახლა სვადზეგ უნდა წავიყვანო.

— ახლა სად მიდიოდი?

— ესტატესთან ფულის სასესხებლად, ჭირნახული უნდა დავუკვეთო.

— ჯერ დაიცა, აბა წავიდეთ, ვნახოთ, იქნება მეც შევიძლო თქვენი შველა. საჭირო ფულსაც მე მოგცემ, — ნინიკა დაწინაურდა, რათა შეეტყობინებინა თავისებისათვის.

— უი ჩემ სიცოცხლესა, განა ბატონიშვილი შეაწუხე, კაცო? —

მუხლებში ცემით შესძახა ხანშიშესულმა დედაკაცმა, რომელიც გამოსულიყო დერეფანში და უყურებდა მომავალ ოქროს.

— ავადმყოფი როგორ გყავს, ბაბედო? — კითხა ოქრომ.

— ი შენ კი მოგეცა სიხარული, რა ქნას, გენაცვალე, არის ასე საცოდავადა. ისე შენი მტერი და დუშმანი გახდეს, როგორც უმოწყალოდ ის იტანჯება! მე უბედურიც დავკრიახობ, ოცობოდის ვედები. ერთის შემხედვარიო, წყალში ჩამხედვარიო. ან კი როგორღა შევძელ კარებზე გამოსვლაი!

— აბა მიჩვენეთ!

— მობრძანდი, თავ შემოგევლე, აი აქეთ. თუმცა შენი საკადრისი სახლი არა მაქვს, მაგრამ რაკი ღვთის ნათლული ბრძანდები, იმიტომ შემოგბედავ მოწვევასა, — ამ სიტყვებით ბაბედამ შეაღო ოთახის კარი. ოქრო შევიდა ჭდეულში, რომლის შუა აღგილას ცეცხლი ენთო. ბაბეს მთელ ავლადიდებას ჩარბუზანა დაებათ, აქ ხელავდით ფქვილის გოდორს, კიდობანს, ჯამ-ჭურჭელს, სხვადასხვა ავეჯს, მაგრამ ოქრო ყურადღებას არ აქცევდა მათ. ეს მიდიოდა პირდაპირ ცეცხლისკენ, რადგან მის ახლო ავადმყოფი ეგულებოდა. გაშლილ ლოგინში იწვა დევივით ვაჟკაცი, მძიმედ სუნთქავდა; წამოჭარხლებული სახე გვიმტკიცებდა, მისი ავადმყოფობა სახუმარი არ იყო. თავით უჯდა ყმაწვილი ქალი, ცალის ხელით მიეკრა გულზე ყრმა, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არაფერს. ქორფა ნებივრად მოკიდებოდა პაწია ტუჩებით მშობლის ტკბილ ძუძუს, განაბული პირს იგემრიელებდა საზრდოთი, თან ხელს უცაცუნებდა დედას გულზე. ქალს მეორე ხელი შუბლზე შემოედო, გამოუთქმელ მწუხარებით ჩაყურებდა გაჭირვებულ პატრონს. შემოდგა თუ არა ფეხი ოქრომ, ის წამოდგა ზეზე, შორიდან გაუბედავად თავი დაუკრა და რა რომ დაინახა გულმტკივნეული ცქერა ბატონისა, გულზე შვება იგრძნო, თავს სითამამე მისცა, მიუახლოვდა, გამოართვა ხელი, მოწიწებით აკოცა, უნებურად ზედ დააბნია რამდენიმე ცხარე ცრემლი, რომელმაც სიბრალულით გული გაუმსჭვალა ოქროს.

— ნუ გეშინიათ, ღმერთი შეგეწევათ! — აიმედებდა მათ, თან წინ მიდიოდა ავადმყოფთან.

— როგორა ხარ, სვიმონა? — მომხიარულებულის სახით ჩაეკითხა ოქრო. ავადმყოფმა არა სთქვა-რა, უიმედოდ შემოხედა, მერე ხანგრძლივის დაშტერებით მიაჩერდა ცოლ-შვილს.

— არა გრცხვენიან, აგრე რომ დაუმორჩილებიხარ ვაჟკაცი უბრალო სნეულებას? — ეუბნებოდა ოქრო, თან გული უბრაზდებოდა თავისთავზე, ჯეროვანი ცოდნა-გამოცდილება რატომ არა ჰქონდა მკურნალობისა.

— ხვალ დილით ექიმი მოვა და სრულებით გაგასაღებს! ნუ გეშინიან! ამაღამ ერთ წამალს დაგადევინებ, სიცხე შეგიმცირდება.

— მერე ვისა აქვს, შენი ჭირიმე, ექიმის თავი? სად არის ღონე ფული მივცეთ? — წაიბუზღუნა ბაბედამ.

— მაგისი მე ვიცი. ამაღამ ბიჭს გავგზავნი N-ში, დავიბარებ ექიმს. ახლა კი ღამე მშვიდობისა! თუ უარესობა დაატყოთ ამაღამ, რაც უნდა დრო იყვეს, შემატყობინეთ, — ოქრო კარგა გზა გამოაცილეს დიდის დოცვა-კურთხევით. მან გამოუგზავნა უვნებელი შვების მიმცემი წამლები, თვითონ კი, რაკი მთვარიანი ღამე იყო, სახლში აღარ დადგა, ჩამოვიდა საყდართან, სადაც ხალხს ისევ ქორჩი შეეკრა, ამოირჩია თვალსაჩინო მოხერხებული მაღლობი ადგილი და ჩამოჯდა დიდ ქვაზე.

— პეპო, ქორწილში როდის-ღა მპატიჟობ? — მიუბრუნდა ის ახალგაზრდა ბიჭს.

— რა მოგახსენოთ. — დარცხვენით მიუგო მან და ყურებამდის გაწითლდა.

— მაგი ღონება რაშიაც არი, მკითხე, ბატონო! — წამოიძახა ამ დროს ვიღაცამ.

— რაში?

— პეპიკას ბარე ელეთ-მელეთი მოსდის საქორწინოდ, მაგრამ ჯიბეში თაგვები უთამაშებენ! — ხალხში სიცილი გაისმა.

— მაშ კარგი ქალი აირჩიე, პეპო, და ქორწილს ჩვენ გადაგიხდით. ასე არ არის ხალხო, რომ უნდა შევეწივნეთ?

— დიაღ, შენი ჭირიმე!

— თქვენმა მზემ!

— თუ ერთმანეთს შევეწევით, ღმერთიც და კაციც ჩვენი დამხმარე იქნება, ოღონდ პატიოსნურად იშრომეთ, მოიქეცით რიგიანად, თქვენთვის თავს როგორ დავზოგავ!.. მომენდეთ, ჩემთან გულახდით იყავით! — დაუმატა გულწრფელად ოქრომ.

— იცოცხლე ჩვენს იმედათა, ჩვენო პატრონო! — იგრიალა

ერთხმად ხაღსმა. ამ დროს მთვარემაც გადაიყარა სახეზედ ბუ-რუსი, ცხოველად დაგვიხატა ოქრო გარსშემოხვეული ხაღხით.

— არა თქვე უსინდისოებო, ერთი ბეწვა სიბრაღული როგორ აღარ დაგრჩენიათ გუღში? აქაო და გდეხკაცები არიანო, მოდით, ზედ შედექით, გაქედეთო!.. შენ როგორ-ღა კისრუღობ მაგ თათ-რობასა, როდესაც შენც ჩვენი ჯიღაგისა ხარ, ბიჭო? აკი შენც გდეხკაცის ტაფაში იწვი? რაკი ეგ საოხრო ხმაღი გადაგიკიდია მხარზე, წითედი ჩვრები დაგიკერებია, თუ გგონია ვედის კნია-ზი ვარო?...

— რას მერჩი, ადამიანო? მეც მბრძანებედი მყავს, მეტი ღო-ნე არ არი, უნდა შევასრუღო. მოიტა ჩქარა, ბევრს ნუ ჯიჯღი-ნებ-და!

— ვერა! ვერა! რაც უნდა თავი ქვას ახაღოთ შენცა და შენმა მბრძანებედმაც, მაინც ჩემგან ვეღარას გაიტანთ, გეყურება — გაიძახოდა ერთი ხანშიშესუდი დედაკაცი და, რაც ძაღი და ღონე ჰქონდა, დაკარწახებუდი მორბოდა საყდრისაკენ, სადაც ხედავდა ხაღხის ჯგუფს. მას აჩქარებუღის ნაბიჯით მოსდევდა ჩაფარი.

— აქ მობრძანდი, აქა, ყმაწვიდო, იქნება წინანდებურად უპატრონოები, ბოგანოები გეგონთ?.. აქ მობრძანდი, დაინა-ხავს ეგ დასაბრმავებედი თვაღები, თუ როგორი მოტყუებუღი ხარ! — ამ სიტყვებით ხაღხი გაარღვია ნენემ, მოვიდა ოქროსთან.

— გენაცვაღე, ბატონო, ეს რა ცეცხდი და გენიაა ჩვენ თავ-ზედ აგზნებუდი!.. როგორ დავიჯერო, შენისთანა ღვთის სუდი სოფედში იყვეს და იმ სოფედში ასეთი უსამართღოება ხდებო-დეს?!

— რა ამბავია, ნენე? რას გაუცხარებიხარ აგრე?..

— რას არ გაუცხარებივარ, შენ შემოგევედე! დამის სუდამდის ხედი ჩამოგვაწვდინონ ამ გასაწყვეტებმა! ეს არის ახდა პრის-ტავი მოსუდა, მაშინვე ჩემსკენ უფრენია ეს პატიოსანი ყმაწ-ვიდი, ჩამომციებია, გინდა თუ არა ერთი ინდაური და ხუთი მა-ნეთი ფუდი უნდა გამოგზავნოო, თორე არ შეიძდებაო, შარშან არ მიგიცია, წრეუდს ვეღარ შეგაწევო. ერთი კითხე, შენი მუსდე-ბის ჭირიმე, როდის რა ვისესხე იმათგან, ან საპრისტაო რა მაქვს?.. შარშან ქმარი მომიკვდა, მართაღია, აღარ უთხოვია, მთედი სოფედი კი დაარბია, თან დაემუქრა, ბატონებთან არ გა-ამხიდოთ, თორემ დაგაჭერინებთო, თუნდ დამაჭერინონ, თუნდ

არა, თრიალეთსაც რომ გამაცილონ, მაინც ჩემსას ვიტყვი, რომ არავისაც არ დავანებებ ისე, სანამ შამანს არ გადავადენ თავზე. გეყურებათ, ხალხო, ბატონო და ყმავ?

— დამშვიდდი, ნენე, აღელვებულხარ და იმისთვისაც გეჩვენება აგრე. პრისტავი მაგას როგორ იკადრებს?

— არა კნიაზო პრისტავი მინავათში არა ბრძანდება!.. მოვიდა თუ არა, დუქანში ჩამოხდა, სადილი არ უნდოდა! ჩვენც რომ არ მოვსულიყავით, ამათვე უნდა ესვინდისათ, ძღვენი მოერთმიათ. ტყუილს მოგახსენებს, ღვინისა და ქათმის მეტი არა გვითხოვნია-რა, — სთქვა ჩაფარმა, რომელიც ოქროს სიტყვებზე მეტად გათამამდა და წინ წამოდგა.

— უი, უი, რა ურცხვადა სცრუობს, გენაცვალე! მტყუანს უავადნია, უკვნესია მეორედ მოსვლამდე! ჩემმა დამბადებელმა ამოუდიტოს და არ გაულვანძილოს გასაგისი!.. უკურთხებელ მიწაში ჩაიდოს, არ ეღირსოს მეორედ მოსვლამდე სანთელ-საკმელსა, აჰა!.,

— რას იწყევლები, ბებერო კუდიანო? — დასძახა ჩაფარმა, მაგრამ ამ დროს ოქრომ მრისხანედ შუბლი შეიკრა.

— უკან დაიწი, უკანა! — დაუძახა ბრძანებით, — ნუ გავიწყდება შენი თავი! იქნება გეგონოს, აქ შენს ამხანაგს ელაპარაკებოდე?.. მეორედ აღარ გაბედო არავისთან მისვლა ძღვენებისათვის, თორემ მაგ ადგილს დაგაკარგვინებ!..

— დაღოცვილო, რა ჩემი ბრალია!.. ჩემთვის ხომ არ მინდოდა... პრისტავის ნება იყო, — ცოტა არა შეშინებით ჩაიდაპარაკა ჩაფარმა და უკან გადადგა.

— მაგასაც გავიგებ, თუ ეგ იმისი ოინები არის და არა შენი! დამშვიდდი, ჩემო ნენე, შენ ვერავინ ვერას წაგართმევს! — მოუბრუნდა ოქრო დედაკაცს და აღელვებული წავიდა სახლისაკენ. ის გრძნობდა, დღევანდელი დღე ჩვეულებრივი უფერული არ იყო, იწყებოდა მისი მოღვაწეობა.

## XXIII

ოქრო ფიქრიანად ბოლთასა სცემდა აივანზე, საქანაო სავარძელში გადაწოლილიყო ტიტიკოც. როგორც ეტყობოდა, ესეც ოცნებას გაეტაცა, ამათ შორიახლო დაედგა მაგიდა ანიკოს, ან-

თებული ღამპარის შუქზე კერავდა. ოქრო განაგრძობდა წინ და უკან სიარულს ხმაამოუღებლად: შედგებოდა, თვალებს შორს გაუწვდენდა, შემდეგ ისევ მოყვებოდა სიარულს, მისი გონება შეპყრობილი იყო მოუსვენარის აზრებით. აგერ ამოიღო საათი, დახედა, არც მან დააკმაყოფილა. ამასობაში მშვენიერი ბუნება ცდილობდა მიეზიდნა თავისკენ, ოქროს სული და გული დაეტკბო, აღტაცებაში მოეყვანა, მაგრამ ის ისევ განაგრძობდა სევდიანად ყურებას... სხვადასხვაფერ ცეცხლებით ანთებულ ცას ფიანდაზად გაეშალა გულ-მკერდი... შორიდან მოჩინარ მაღალ მთების ძირში არემარე შესაზარ სიბნელეს მოეცვა, თითქოს უზარმაზარი მხეცი გაწოლილიყო გარდიგარდმო. მარტო ორ ადგილას მბჟუტავი ცეცხლები მიემსგავსებოდნენ მობრიალე თვალებს, ეძებდნენ მსხვერპლს ჩასანთქავად, ცის მნათობნი ხან რომ ბჟუტავდნენ, ხან ისევ ქრებოდნენ, ილეოდნენ... მეორე მხრიდან შავი ღრუბლები უქადოდნენ მშვენიერების გაქრობას, რათა მის ნაცვლად ადგილი დაეთმო წყვდიადისთვის. ძირს, დედამიწაზე ხმიანობა არ ჩერდებოდა... ალაგ-ალაგ აეყენებინათ სიმინდის ბჯები, ხშირად მოისმოდა ფუჩეჩის შრიალი, დედაკაცები და კაცები შემოსხდომოდნენ საზრდოს და გაშურებით არჩევდნენ... ხანდისხან მორეულ სევდების გასაფანტავად დაღიღინებდნენ სიმღერას:

გარჩევ და გარჩევ, სიმინდო!
ბევრიც გაცურე წყალშია!
ბედშავო, გლეხო, ტლუ ბიჭო,
ნუ დაეცემი ცდაშია.
მიჰყევი შენსა მარჯვენას,
ღმერთი არ გრისხავს აროდეს.
მშრომელი მოჭირნახულე,
ერთ დღეს ხომ გაიხარებდეს!..

ოქრო მოისმენდა გულმოდგინედ ამ ღიღინს და წინანდელზე მეტად თავს ავლებდა გაჭირვებული ხალხის შველას.

— დიაღ, მათ უნდა შემწეობა ნივთიერად, განათლებით, ძალმომრეობა-უსამართლობისაგან დაცვა, დაფარვა... მერე ყველა ეს იკისროს მარტო ოქრომ?.. ვის მიენდოს? ტიტიკოს? ის კი ძმის ერთგული არ არის!.. არა, ოქრო მსხვერპლად შეეწირება ხალხს, აპატიებს ტიტიკოსაც დანაშაულს, რადგან დარწმუნებულია, ის ნანობს... ახლა რომ ოქრომ არ აპატიოს, მაშინ ხომ გულუღრჯო,

თვითრჯული, ბოროტი გამოდგება! ეს ხასიათები კი ოქროსათვის უცხონი არიან. ღიაღ, აპატიებს ტიტიკოს, ფრთხილად კი მოექცევა, მერე კიდევ არ შეიყვანოს წინანდელ შეცოდებაში. ოქრომ ტყუილად დაანება თავი მაკინეს და ტიტიკოს შერიგებაზე ფიქრსაც. ოქროს გულიდან ნაღვლელი გადაეყარა, კვაღად ყური მიუგდო სიმღერას, რომელიც ისევ და ისევ იმ სიტყვებს იმეორებდა....

— ვიშრომოთ? ოღონდაც, უნდა ვიშრომოთ. — გულში ბანს აძლევდა ამათ აგრეთვე ოქროც.

— ნუთუ ამ ნათელ სურათს, სიცოცხლეს უნდა შეეხოს სიბნელე?.. განა მიუტევებელი ცოდო არ არი? — ამ საკითხით მოუალერსა ამ დროს ნიავმა ოქროს, გარს ცელქად შემოურბინა თმაზე.

— ოღონდაც, ჩემო კარგო, სინათლემ უნდა სძლიოს სიბნელე, — დაუყოვნებლივ უპასუხა ოქროს გულმა მობაასეს, რომელიც დაკმაყოფილებული გადავიდა სხვა საგანზე. ამ დროს ოქრომ დაინახა ტიტიკო, შედგა მის წინ, მიაჩერდა; მოესურვა მასთან დალაპარაკება.

— როგორა გგონია, ტიტიკო, ვითომ აქამდის არ მივიდოდა ჩვენი ბიჭი №-ში? ხვალ დილაზე ადრე ხომ უნდა მოვიდეს ექიმიც ჰა? — ჰკითხა მან.

— რასაკვირველია... ერიჰა!.. აქამდის დასვენებულიც იქნება, — მიუგო ფიქრებიდან გამოსულმა ტიტიკომ.

— რა შემცდარია ის, ვინც ამბობს, მსგავსი მსგავსსა შობსო, — განაგრძო ოქრომ, თითქო უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე ძმას. — შეხედე ამ ბუნებას, რამდენადაც ის გულის წარმტაცია, უმანკო, იმდენად მისი ნაშობი აღვსილია ყოველის სისამაგლით. რა უსამართლობა არა ხდება ჯერ ამ პატარა სოფელში. სხვაგან ხომ ეჭვი არ არის, ერთი ორად მეტი იქნება!

— აგრეა, ჩემო ძმაო, შენ ახლა ხედავ, ამჩნევ, მაგრამ მეკი სულ მაგ გარემოებას შევყურებ, შევეჩვიე და აღარ მაოცებს, თითქმის ბუნების კანონად მიმაჩნია!

— მაშ ბუნების კანონია მოტყუება? გაუტანლობა? გაყვლეფა-გაგლეჯა? — შესძახა ოქრომ და თვალი თვალში გაუყარა ძმას.

— რასაკვირველია, — მიუგო ტიტიკომ და მთლად გაწითლდა,

თვალები ძირს დახარა, მას კვალად წარმოუდგა ვერაგი მაკინე და მისი რჩევა.

— მე კი მეგონა, ღროებითი შეცოდებაა, რომელსაც მოყვება სინანული-მეთქი! — დაუმატა თითქმის ღონეწართმეულმა ოქრომ.

— ეგეც მოხდება ხოლმე, მარტო, იშვიათად...

— იშვიათად, მაგრამ ხომ არის?

— არის ათასში ერთხელ.

— ღმერთო ჩემო, მაშ როგორ იცხოვროს პატიოსანმა კაცმაჩ ვის მიენდოს?

— თავის თავს, სხვას არავის...

ოქრო გაშტერებით ისმენდა ტიტიკოს ორაზროვან სიტყვებს და ვერ გაეგო, თუ რას ნიშნავდნენ. უეჭველია, იმ ხალხში თავის თავსაც ასახელებს, მაგრამ, რომლებს ეკუთვნის? შემთხვევითი შემცოდეთა თუ სამუდამოდ, თითქმის ბუნებისაგან მოვლინებულთ, როგორც თვითონა სთქვა ახლა? ოქრო მაინც ვერ მიმხვდარიყო. ტიტიკოს კი უხაროდა, რადგან ძმისთვის სწორედ სასარგებლო საგანზე ჩამოვარდნილიყო დაპარაკი და აფრთხილებდა, როგორც გამოცდილი გამოუცდელს.

— ოჰ, ღლევანდელმა ღღემ ძალიან შემაწუხა. ღღეს კვლავინდებურზე ცხადად დავინახე, თუ რა გულქვაობა, რა შეუბრალებლობა ტრიალებს ადამის შვილთა შორის, როგორ არბევს, სჩაგრავს ძლიერი სუსტს... — დაიწყო კვალად ოქრომ.

— წარმოიდგინე ახლა თვით მემამულეთა მდგომარეობაც, ორ წყალშუა არიან ჩაცვივნულნი. აპატიონ გადასახადი, თვითონ რითი იცხოვრონ? არ აპატიონ და მართლაც საცოდავნი არიან.

— ოლონდაც, რომ უნდა აპატიონ და თვითონ მოიკლონ... დღეს მეც სწორედ აგრე მოვიქეცი... თითქმის ნახევარი ლადა ვაჩუქე.

ტიტიკოს ამის გაგონებაზე სახეზე უკმაყოფილება დაეტყო...

— რამდენი? — ბოლოს ძალდატანებულის სიმშვიდით ჰკითხა მან.

— სამოცი კოდი....

— ჰმ, კარგა მოწყალება გაგიცია! — ტიტიკო წამოდგა ზეზე,

ცხადად ეტყობოდა მღელვარება, რაც თვით ოქროსაც არ გამოპარვია... გაიარა პატარაზე, მერე მოუბრუნდა ძმას:

— შებრალება გაჭირვებულთა, ჩემო ძმაო, დიდი რამ არის... თვითონ იესო ქრისტეც გვიბრძანებს, სწორედ აგრეთვე მოვიქცეთ... მაგრამ...

— მაგრამ რა? — ოქრო მოუთმენლად ელოდა ვრცელ პასუხს.

— ცხოვრებაში უანგარიშობაც საზარალოა... სამოცი კოდი?.. ჰმ!.. კარგა ზორბა საჩუქარია! — დააბოლოვა ტიტიკომ და კვალად გაიარა.

— მაშ მაზარალებელია ჩემი მოქმედება? არ მეგონა.., მაგ ზარალს ჩემს წილში გამოვიბრი... სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიან... არა!..

— ჩემის აზრით, ოქრო, არც გლეხკაცებისთვის არის სასარგებლო მაგისთანა შემწეობა... მეყურება, აჩუქო მაშინ, როდესაც რამე უბედურების გამო შემოაკლდებათ სარჩო, თორემ უმისოდ მაგისთანა ჩუქებ-ბოძება ვერ გამოიყვანს მათ, გაჭირვებიდან, არამედ შემატების მაგიერ მეტ ვნებას მოუტანს, გაზარმაცდებიან შენ ხელში შემოყურების გამო.

— მეორე ესტატეს ვახლავარ! — თავი დაუკრა ნაღვლიანის ღიმილით ოქრომ ძმას. ტიტიკო აიდანძა, მაგრამ გადასწყვიტა განეგრძო, ეთქვა ყველაფერი, რაც დღემდის გულში დამალული ჰქონდა.

— ესტატეობისგან ღმერთმა მიხსნას. არასდროსაც არ მომსვლია თავში აზრად ხალხი გამეძარცვა, შემევიწროებინა, მე მათ ზომიერად ტკბილად ვეკიდები ისე, რომ ჩემი თავიც ვაცხოვრო და ისინიც.

— გახსოვს, ტიტიკო, რა აღტაცებით ჩამომართვი, როდესაც გითხარი, დაცემულ ხალხს უნდა შევეწიო, აქ ვიშრომო, ვიმოღვაწეო-მეთქი? შენც ორის ხელით მომეჭიდე და აღმითქვია....

— არც ახლა ვიხევ უკანა, ხალხის შველა ჩემი სანატრელი სურვილია, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, არ ვარ შენსავით მომზადებული, რომ ჩემმა ოცნება-სურვილმა ფართოდ გაშალოს ფრთები. როგორც გაუნათლებელი, უვიცი, მივდევ ისევ ჩემს მამა-პაპურ წესზე დაყენებულ ცხოვრებას, ჩავკიდებივარ ჩვენს ძველს, ამაგდებულ გუთანს, განვაგრძობ მას, რაც უკვე დაუწყიათ წინაპართ. სხვის დამოუკიდებლად ახალი გეგმის შეტანა ცხოვრებაში

მიმძიმს. აი ძმაო, მოხვედი, უეჭველია შენ უფრო შესძლებ მათს შემწეობას შრომით. ახალის ცოდნა-გამოცდილებით თვალწინ დაუდექ, იმუშავე, იმოღვაწევე, მათი გარემოება გარჯით და გონების განვითარებით წინ წასწიე, რათა გაიგონ, რაში მდგომარეობს ნამდვილი ცხოვრება. გააგებინე მისი გემო, შეატყობინე, თვითეულ დავალებას რა ფასი სძევს, რომ კაცი უნდა იყვეს დამყარებული თავის მარჯვენასა და ჭკუაზე და არ უცდიდეს სხვის გამოღებულ მოწყალებას, რომელიც მალე დაივიწყება. მეც ყველაფერში მხარს მოგცემ, რამდენადაც შემეძლება ცოდ-შვილის და ოჯახის პატრონს.

— ეგ ხომ აგრე იქნება... ამ დღეებში უნდა მოველაპარაკო ხალხს მომავალ სკოლაზე. მასწავლებელსაც ჩემს ხარჯზე გამოვიწერ. გარდა ამისა მინდა აფთიაქი გავხსნა, მკურნალიც მოვიწვიო.

— მერე ერთბაშად მაგდენის გაკეთება შეგიძლიან? ხარჯს ისინი ვერ აუვლენ, შეშინდებიან, ბოლოს სულ შენ შემოგეხვევა თავსა, კისრულობ?

— ვკისრულობ.

— ხომ დაიღუპე, კაცო?

— შეიძლება აგრეც მოხდეს, მაგრამ ასე მინდა მოვიქცე.

— უსათუოდ დაიღუპები, ეგ აზრიც განუხორციელებელი დაგრჩება. არა, ოქრო, აგრე ნუ! შენ ჯერ ცხოვრებას არ იცნობ, შენ წრფელ სულსა და გულს სწყურიან, რაც შეიძლება მალე ამაღლდეს ეს ჩვენი უბედური ხალხი, მაგრამ გულში სურვილის გავლება ერთის წუთის საქმეა, მის აღსრულებაში მოყვანამ კი შეიძლება მთელი სიცოცხლე კაცისა, თვით საუკუნეც ზედ შეიღიოს. მაგდენის ერთბაშად დაწყებას არ გირჩევ, მეორეც ესა, არც აგრე დაუზოგავად ჩუქებ-ბოძებასა.

— მაშ როგორ ასრულდეს, თუ ხარჯს არ გავიმეტებ? გლეხებს სადა აქვთ ღონე, თუ ჩვენც არ დავეხმარებით, ან რითი მივიზიდო ხალხი, რითი დავაჯერო, მათთვის კეთილი მინდა? რითი შევიჩვიო, თუ არა ჩუქებ-ბოძებით, ცოტათი მაინც სული მოიდგან?

— არა... ვიმეორებ, მაგისთანა შემწეობა სარგებლობას არ მოუტანს. გავა რამდენიმე კვირა და მისი ნასახი არც კი დარჩებათ... გაჭირვებული მდგომარეობა წინანდელზე მეტად შეაწუხებთ. დახარჯე, მიეცი არა ჩუქებით, არამედ დაავალე, დაგიბრუ-

ნონ მაშინ, როდესაც ღონისძიება ექნებათ. მე თვითონ სულ ასე ვიქცევი და ისინიც არ არიან ჩემი მომდურავნი. თუ გინდა, იმ ნასესხებ ჭირნახულს მიუმატე ცოტა რამე და მაშინ ხომ აფთიაქიც დაუარსდებათ.

—რას ლაპარაკობ?! უკანვე წავართვა და მითვე ახლა სხვა ხარჯი თავს მოვახვიო?.. რას ემგვანება? არა, ტიტიკო, მე საკმაო შეძლება მაქვს, შემიძლიან ხარჯითაც აუვიდე მათს მოთხოვნილებას, — დაუმატა მტკიცედ ოქრომ.

— შენი ნებაა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — უთხრა ნაღვლიანად ტიტიკომ და თავი დაკიდა ძირსა.

— ოჰ, ტიტიკო, უსათუოდ თავი უნდა შევწირო ხალხს არაფერს არ დავიშურებ მათთვის, სულს აქეთ, რაც კი გამაჩნია... მაგრამ ამ ხარჯებით რომ შენ ზარალში არ შეგიყვანო, რადგან ცოლ-შვილის პატრონისთვის ძნელია ამ გზაზე სიარული, ემჯობინება მამულები დავყოთ, ჩვენ ჩვენთვის დავისაკუთროთ, გავხდეთ ხელშეუვალი ბატონი და პატრონი.

— რახან მაგნაირად გინდა მოღვაწეობა, არ დაგიშლი, რასაკვირველია, ადრე უნდა მოხდეს, რადგან გატეხით გეტყვი, არ შემიძლიან ვიკისრო ეგეები... არც ისეთი თავმოყვარე ვარ, ჩემო ძმაო, მარტო ჩემთვის ვფიქრობდე... მაწუხებს შენი გარემოებაც... გთხოვ, გევედრები, როგორც შენი ერთგული ძმა, თავი დაანებე მაგგვარ ფიქრებს. — შეეხვეწა ტიტიკო.

— არ შემიძლიან! — დაჟინებით გაიძახოდა ოქრო: — არა, არ შემიძლიან მარტო ჩემს თავზე ვიფიქრო, როდესაც გარშემო ასეთი სიღარიბე და შევიწროებაა! — ძმებმა კარგა ხანს ილაპარაკეს, მაგრამ ესენი მაინც თავთავიანთ აზრებზე დარჩნენ. ანო ყურს უგდებდა, არ ერეოდა მათს ლაპარაკში, უხაროდა კი გულში, რომ ტიტიკო ასე გონივრულად სჯიდა, თითქმის სჯობნიდა ძმას...

— „როგორც გნებავდეს, ისე მოიქეცი... ჩემს ტიტიკოს კი თავი დაანებე; გეთაყვა, სად შეუძლიან შენს ოცნებას მიყვეს, როდესაც საზრუნავად ცოლ-შვილი, სახლ-კარი და მტერ-მოყვარე გასდომია!.. წაიღე რაც გერგოს და მაკინეს ჩააყარე გაუმაძღარ პირში", — ფიქრობდა ის ამ დროს, თან განაგრძობდა კერვას. მეორე დღეს ძალიან ადრე მოვიდა ექიმი. ის კარგი ნაცნობი იყო ოქროსი, ეგონა თავისთვის სჭირდებოდა და საჩქაროდ წამოსულიყო,

ოქრომ მაშინვე წაიყვანა ავადმყოფთან. ექიმმა აღმოაჩინა წედების ანთება, რომელიც თუმცა გამწვავებული იყო, მაგრამ მაინც მორჩებოდა. ოქრომ აღუთქვა ყოველდღე ევლო, წამალი ესმია სვიმონასთვის, დანარჩენი ავადმყოფებიც უჩვენა მკურნალს და, როდესაც დასაჩუქრებული გაისტუმრა, თვითონ შეუდგა დანაპირების ასრულებას. რამდენიმე კვირის შემდეგ მართლადაც ავადმყოფი რჩენაში შევიდა. სიცხემ უკლო, სახლში მყოფებმა აღარ იცოდნენ, რითი გადაეხადნათ მაგიერი. თვალ-წარბში შეჰყურებდნენ, თითქმის ეხვეწებოდნენ, ებრძანა მათთვის რამე... ყმაწვილმა ქალმა ხელი დაავლო სამფეხა სკამს, ახლო დაუდგა და უთხრა მოწიწებით:

— ამაზე დაბრძანდი, შენი ჭირიმე, ბატონო, ზეზე დგომით მუხლები გეტკინება.

ნინიკა წელში გასწორდა, მის ჩამქრალ თვალებში გამოკრთა სურვილი სიცოცხლისა. მთელი ოჯახი ბედნიერი იყო. მიზეზი ამ ბედნიერებისა კმაყოფილი გამოემართა სახლისკენ, თან მოსდევდა ლოცვა-კურთხევა იმ ხალხისა, რომელიც გაახარისა, ხვალინდელ დღეს შავბნელ ძაძებში არ მიაგება. ოქრო დიდ სიყვარულს, ნდობას აღვიძებდა მდაბიო ხალხში, მაგრამ რამდენადაც გლეხები აღმერთებდნენ, იმდენად მეზობლები ტუჩს უბზუებდნენ, დასცინოდნენ. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრები მებატონენი ემდურებოდნენ, ის ასე რომ ურევდა სოფელს, რყვნიდა, აჯანყებდა მამულის მეპატრონეების წინააღმდეგ, რომ მათი საქმე ახდა სულ უკან-უკან წავიდა, და პირველი მსხვერპლიც დაღუპვისა თვითონვე ოქრო შეიქნებოდა... ბევრი ამისთანა მითქმა-მოთქმა ეყურებოდა ოქროს, ის მაინც ყურს არ იბერტყავდა, აწერდა უმეცრება-თავმოყვარეობას. დიდი ცივი უარი მიიღო მათგან, როდესაც ოქრომ სთხოვა, მხარი მოეცათ სკოლის გახსნასა და ექიმის მოწვევაში. ტიტიკოს წინასწარმეტყველება უსრულდებოდა, ხარჯი კისერზე ეხვეოდა. მაინც წარბს არ იხრიდა და რადგან ყველაფრის ერთბაშად გაკეთება მართლა არ შეიძლებოდა, ამისთვის არჩია პირველად ექიმზე ეზრუნა, სიცოცხლე-ჯანსაღობა ჯერ ყველაზე აუცილებელი იყო. მეზობლები გარდა ბარძიმისა, თუმცა ზურგს უკან სძრახავდნენ, არ ინდობდნენ, პირადად კი პატივსა სცემდნენ და გზას უფარცხავდნენ, როცა დაიწყებდა სოფელზე ლაპარაკს.

.— შენვან არ მიკვირს! მოგიცდია! ამ გაჭირვებულ დროს ყველამ თავის ოჯახზე უნდა იზრუნოს... ნეტავი იმდენი შევიძლო, ცოლ-შვილს ლუკმა შევუნახო, თორე სხვისი ჯავრი არა მაქვს. ქვეყანაზე ბევრი გაჭირვებულია, — მიუგებდა ესტატე.

გავიდა ენკენისთვე. ოქრომ და ტიტიკომ გაიყვეს მამული. კარგა მიწები დახნეს. ესტატესთანაც საქმე გაათავეს მიწის შესახებ, მასაც შუაზე გაუყვეს; თუმცა ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სრული მისი საკუთრება იყო, მოსწრებული გლეხკაცები, მოწმები, მის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ. ოქრო გაფაციცებული იყო საქმეზე. აგერ მოახლოვდა გიორგობისთვეც, მაკინე დაჟინებით ეძახოდა ტფილისიდან, აგონებდა დანაპირებს. ოქრომ დაატყო, წრეულობით მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, მოუნდა თვითონაც ქალაქში ჩასეირინება, მამულზე დროებით ზედამხედველობა მიანდო ისევ ტიტიკოს. თვითონ გასწია დაიმედებულმა, მის ხვედრს მამულს ველარავინ გამოაპარებდა, რადგან მისხლობით გაეცნო, შეეგნო, თუ სად რა ჰქონდა, გამოეთხოვა ძმასა და რძალს და წავიდა.

## XXIV

ღამის ათი საათი იქნებოდა ოქროს ეტლი რომ გაჩერდა მაკინეს სახლთან. აირბინა კიბე, შინ მარტო მაკინე დახვდა, იასონი სამსახურში წასულიყო. მაკინეს ძალიან გაეხარდა ძმის მოსვლა. მალე იასონიც სამსახურიდან დაბრუნდა და რაც კი ღონისძიება ჰქონდათ, პატივისცემას, ალერსსა და სიამოვნებას არ აკლებდნენ: მაკინე დაწვრილებით მოუყვა ქალაქის ამბებს, ოქროც გადასცემდა სოფლად ნახულ-გაგონილს.

ოხ, მაკინე, რომ იცოდე, რა ძნელია ჩვენ მეზობლებთან ცხოვრება!

— ვიცი, ჩემო ძვირფასო, ისინი შენზე ადრე შემისწავლია და გამიცვნია, რამდენად ნადირები და უსინდისონი არიან. შენც დაგდებია სოფლის ელფერი. გამტვერიანებულხარ, თუმცა მაინც ყოჩაღად იყურები. შენ, ჩემო ოქრო, სასოფლოდ არა ხარ დაბადებული. მერე რანაირად მოგეღიან აქაურები? ისე არ შემხვდებიან, არ გკითხონ, მეტადრე გასათხოვრების პატრონები, — დაუმატა ღიმილით მაკინემ და აკოცა.

— აღბათ შენც თავი მოგწონს, არა? — კითხა იასონმა.

— რასაკვირველია! არა მაქვს თავი მოსაწონებელი ამის პატრონსა თუ? — უპასუხა მაკინემ და კვალად აკოცა ძმას.

— თებერვლამდის შენ ხელში ვარ, მაკო, რაც გინდა, მიყავი, მერე ისევ ჩემ საქმეს დავუბრუნდები.

— ძალიან კარგი, ჩემო სიცოცხლევ, ძალიან!.. იყავ იქამდის, ვიდრე შენ მაკოს მოსწყინდებოდე და დაგითხოვდეს.

მაკინე წავიდა ოთახის მოსამზადებლად. ოქრო გარემოების-დაგვარად გამოფხიზლდა, ნახა ყველა თავისი ნაცნობი ამხანაგები. ის თუმცა წინადაც იცნობდა თბილისის საზოგადოებას, მაშინ კიდევ სხვა აზრით უყურებდნენ მას, ბავშვადა სთვლიდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ, დღეს კი ხელის სატაცებლადა ყავდათ. ოქრომ თავი მისცა მხიარულებას; ყოველ ოჯახისთვის სანატრელი სტუმარი გახდა, არც ერთი საცეკვაო საღამო, ან რომელიმე საქმის კრება არ ჩაივლიდა უამისოდ. მაკინესაც უხაროდა, რაკი ხედავდა ოქროს ასეთ გართობას. უპატიჟებდა მაღიმაღ ყმაწვილკაცებს, დღე როგორ გავიდოდა ისე, რომ ხუთი-ექვსი უცხო არა ჰყოლოდათ. თავისუფალი დრო გულახდილ ლაპარაკისათვის იშვიათად ეძლეოდათ. ოქროს მაინც არ ავიწყდებოდა განზრახული მოღვაწეობა სოფლად, ის ხშირად გატაცებით, მჭერმეტყველურად იწვევდა ამხანაგებს სამოქმედო ასპარეზზე, როდესაც ისინი თავიანთ კრებებში დიდის ზათქითა და ზეიმით ქადაგებდნენ სოფლად ცხოვრებას, ლაპარაკობდნენ, ურჩევდნენ სხვადასხვა თანხები დაედგინათ მაშინ, როდესაც თვითონ ბევრს მათგანს თავი დაენებებინა საკუთარ მამულებისთვის, ჩაეგდო მოურავების ხელში, თვეში ექვსი-შვიდი თუმნის გულისთვის შესულიყო სხვადასხვა სამსახურში და ტრიალებდა ქალაქის უფერულ-დამჩატებულ მღვრიე მორევში. ზოგიც სწავლის ანაბარა იყო, სინდისიერად ასრულებდა თავის თანამდებობას, სანუგეშო სიტყვებთან ერთად აწვდენდა ღარიბ ღუკმას გაჭირვებულ მოძმეთა. ესენი იყვნენ ისიკო ზაალიშვილი, გიორგი შრომაშვილი და სვიმონ ქარვაშვილი.

— წეღანაცა ვთქვი, ბატონებო, და ახლაც ვამბობ, რომ თუ ასპინძაშვილს აარჩევთ მაგ საქმის მეთაურად, არავითარ სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს; მაგ დაწესებულებას არ ექნება საზოგადოებრივი იერი, არამედ გარდაიქცევა კერძო ჯიბის გა-

სასუქეზედ ლონისძიებად, — დაიწყო ახალგაზრდა კაცმა ერთხელ, როცა ისიკო ზაალიშვილს მიეწვია თავისთან კარგა ბლომად ქართველი ინტელიგენცია სასარგებლო საკითხების გასარჩევად. მათ შორის იქროც ერია. მყუდრო ოთახში გაშლილ მაგიდას შემოსხდომოდა რამდენიმე ყმაწვილი კაცი. ზოგი პაპიროსს ეწეოდა, ზოგი გულმოდგინებით შეყურებდა ორატორს. ესენი ყურადღებას არ აქცევდნენ, იმ დროს ოთახში როგორ მოუსვენრად შედი-გადიოდნენ სახლის პატრონები, შესაფერად დახვედროდნენ სტუმრებს.

— აგრე დარწმუნებით რომ ლაპარაკობთ, გიჭირავთ რამე საბუთი? — კითხა გიორგი შრომაშვილმა. სახეზე უკმაყოფილება აღუჩნდა.

— აღბათ მიჭირავს, რომ ვამბობ... ის ხარბია, შურიანი, გაუტანელი, თავმოყვარე და გულქვა... ამისთანა კაცი არასდროს არ უნდა ჩაერიოს საზოგადო საქმის წევრადაც-კი, არამც თუ მოთავედ.

— ეგეც რომ არ იყოს, რა საერთოა ჩვენსა და ასპინძაშვილის დროის ხალხთა შორის? — წამოიძახა მეორემ.

— დრო მიდის, განათლებას წინ მივყევართ, აზრები და მისწრაფებანი ახლდებიან, სხვაფერდებიან, ძველებს აღარ უდგებიან. ჩვენი თაობა, — განაგრძო მეორე ორატორმა, — ერთ წრეს შეადგენს, ერთ მიზანს ემსახურება. ჩვენსა და იმათ შუა სუსტი ძაფია გაბმული, რომელიც შეიძლება ყოველ შემთხვევაში გაწყდეს. ამისათვის, ბატონებო, რაც დავადგინოთ, სხვების დამოუკიდებლად, და სრული უფლება ვიყვნეთ მისი.

— ჭეშმარიტებაა! — შესძახეს ერთხმად და გაისმა ტაში.

— ბატონებო! — წამოდგა ახლა ისიკო, — მე ამჟამად, რასაც მოგახსენებთ, ჩემს სიტყვას საზოგადო აზრი ექნება და არ შევეხები პირადად ვისმეს. თქვენ ბრძანებთ: არვარგა ასპინძაშვილი მეთაურადო... კეთილი... მეც გეთანხმებით, რომ იმ კაცს ბევრი ნაკლულევანება აქვს. მაგრამ შეგიძლიათ იპოვნოთ მასზე უკეთესი?

— რასაკვირველია!

— რა საკითხავია?!

— დარწმუნებულიცა ბრძანდებით, ის ახალი, თქვენ მიერ ნაჩ-

ვენები, თავის გამოუცდელობით კარგა წაიყვანს საქმეს და სპეტაკი, პატიოსანიც იქნება?

— ოლონდაც!

— დამისახელეთ, ურწმუნო თომას ეჭვები მოვიშორო, რადგან ანგელოზად არავინ მიმაჩნია...

ოთახი სიჩუმემ მოიცვა.

— რითი არა სჯობია თუნდ მიხეილ მძიმაშვილი?

— ჩინებულია!

— პატიოსანია!

— მიხეილ მძიმაშვილი? — გაიმეორა ფიქრიანად ისიკომ, — მაგას მართალს ამბობთ? დარწმუნებული ხართ იმის პატიოსნებაზედ?

— ასპინძაშვილს კი სჯობიან და! იმდენს ცუდს არ იკადრებს...

— აღბათ არა ჰქონია შემთხვევა, თორემ მერწმუნეთ უკან არ დადგებოდა.

— არა, ბატონებო, მე მრწამს, სრულიადაც ვეთანხმები იმ აზრსა, რომ საზოგადო მოღვაწე სრული პატიოსანი უნდა იყოს, — დაუმატა ოქრომ.

— მოიგონეთ, მიხეილმა რა უყო შარშანწინ თავის ბიძაშვილს! იმოდენა ცხოვრებიდან ცარიელი დასტოვა, არ დაზოგა, არ გაიტანა, თქვენ კი მეთაურად გინდათ აირჩიოთ? — შესძახა მესამემ.

— რა ვუყოთ მერე! რა იცი, რომელი მხარე სტყუოდა იმაში? აგრე შიგნიშიგან რომ ვარჩიოთ, მართლა ანგელოზი ხომ არავინ იქნება? შეიძლება რომელსამე პირთან, ან ოჯახთან ვერ იყოს პირნათლად, მაგრამ საზოგადოებისთვის დიდად საჭირო და სასარგებლო გამოდგეს.

ის იყო დააბოლავა ეს სიტყვები მოლაპარაკემ, რომ აღელვებული ოქრო სკამიდან წამოხტა.

— დარისპან, რას ლაპარაკობ, ყმაწვილო?! მაშ ის, რომელიც ლალატობს რომელსამე ოჯახს, მოძმეს, ერთეული იქნება მთელი საზოგადოებისა? მაშ ის კაცი, რომელიც არ დაგზოგავს არაფერში, შენს სიკვდილზედაც მოყვება ბოროტ ხარხარს, ან ნიშნს მოგიგებს, ჭირისუფლად დავუყენოთ ხალხსა? განა კერძო პირი,

ან ოჯახი ნაწილი არ არის საზოგადოებისა? განა ეს უკანასკნელი მათი რაოდენობისაგან არ შესდგება?

— ეხ, ოქრო, შენც მეტისმეტი სასტიკი ყოფილხარ აზრებში. მაშ, რადგანაც ადამიანი ყველა შემთხვევაში წმინდა არ არის, ზურგი შევაქციოთ, გულ-ხელი დავიკრიფოთ?

— რათა? მოვძებნოთ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ არ ვიპოვოთ! რაკი ერთს უარსა ვყოფთ უზნეობისა გამო, მეორეც კარგა უნდა გავჩხრიკოთ.

— არა, ოქრო, ისეთ უნაკლულოს, როგორსაც შენ გვითითებ, ვერსად ვერ შევხვდებით. ან რა არის პატიოსნება? თვითეულ კაცს თავისებურად განუმარტავს. ერთისაგან დასახული პატიოსნება მეორეს საკიცხავად მიაჩნია. თუ ერთი უფრო მაღლა სდგას მეორეზე, ეგ გარემოების ბრალია და არა პატიოსნებისა, ნუ ვენდობით ნურავის ისე, რომ თვალები ავიხვიოთ, პირები დავალოთ, რათა ბრმა-ყრულ მოვლინებულ წმინდა არსებამ სურვილისამებრ გამოგვიწოლოს ნაყოფი თავის მოღვაწეობისა, არამედ ჩვენ უნდა ჩავუდგეთ კრიჭაში, რადგანაც, ის რამდენადაც ჩვენი მოთავე იქნება, იმდენად მორჩილი მონა მუშაა და მოვალეა, გვაძლიოს ანგარიში ყოველ ჩვენების ჩამორთმევის დროს. მერწმუნეთ, მარტო მაშინ ველარ შეიძლებს ის პირად ანგარიშების დაკმაყოფილებას, თორემ თუ დავიწყებთ ანგელოზების ძებნას, მერწმუნე, ამაო და საუკუნე ძებნა იქნება, — ალელვებით დააბოლოვა გიორგიმ.

— ჩემის აზრით, ბატონებო, მაშინაც მოტყუებულები ვიქნებით, თუ ვიტყვით, ასპინძაშვილის თანადროის ხალხთან საერთო არა გვაქვს-რაო, — განაგრძო ისიკომ. — აი რისთვის... თუ ცოდნით წინ წავსულვართ, ისინი გამოცდილებით გვჭარბობენ. მათ ცხოვრება შეუსწავლიათ მაგალითებით და არა მარტო თეორიით... მეორეც ესა, იმათაც დიდი სამსახური მიუძღვით სამშობლოს წინაშე. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ, მათ მოღვაწეობას ნიღაბი ჩამოეფაროს, რადგან ჩვენი შემდეგნიც ისევე მოგვექცევიან მაშინ, როდესაც იქნება ჩვენი სიცოცხლე, ფიქრი, გონება თან გადავაყოლოთ. არა, ჩვენ უერთმანეთოდ არ ვვარგივართ. თუ ერთ საგანში ისინი სცდებიან, მეორეში არც ჩვენ ვართ წმინდანები, ამისათვის ერთმანეთს ველარაფრით დავაყვედრებთ... სჯობიან ჩვენც მხარი მივსცეთ, იმათი გამოცდილება

ჩვენს მეტს ცოდნას შევუწონოთ, მაშინ საქმე ჩინებულად წავა და შთამომავლობა დაგვიმადლებს, — გაისმა ზარის წკარუნი. თავმჯდომარე მოუბრუნდა კრებას შემდეგი სიტყვებით:

— გადაწყვეტილია, კიდევ მოსდეს კრება, არა კერძო, დღევანდელი, არამედ საზოგადო. უნდა დავაარსოთ თანხა, საიდანაც მიეცემა შველა ყოველ აუცილებელ საჭიროებას... პირველში ეს კმარა, შემდეგ იგივე თანხა დავანაწილოთ და მივცეთ თვითეულს ცალ-ცალკე თავისი დანიშნულება... სირცხვილია მართლაც, რომ ამდენი განათლებული ქართველობაა და ჯერ კი არ წაგვიწევია წინ სამშობლოს კეთილდღეობა. ვინც წინააღმდეგი იყვეს ამ აზრისა, წარმოადგინოს საბუთი! — სვიმონმა მოავლო თვალი კრებას. რომელიც განაგრძობდა კმაყოფილების ნიშნად მღუმარებას. ოქროსთვის რომ გეთქვათ, შენი ქონება სულ ამ დაწესებულებას შესწირეო, არ შეფიქრიანდებოდა, დიდის სიამოვნებით მიართმევდა. რანაირის თანაგრძნობით უძგერდა გული, რა სურვილები არ უტრიალებდნენ თავში! თუ კი ისიკო, რომელიც მარტო ასორმოცდაათი თუმნის პატრონი წელიწადში, ისიც ჯამაგირისა, რომელიც შეიძლებოდა, უბედურ შემთხვევის გამო წართმეოდა, ასე გულუხვად, თავდადებით ზრუნავდა ქვეყნისთვის, აგრეთვე გიორგი თუ სხვები, ნუთუ ოქროს, იმ ოქროს, რომელსაც კარგი შეძლება ჰქონდა, არ უნდა გაეწვდინა ხელი?! ოღონდაც... — ის წამოდგა ზეზე, მიმართა კრებას:

—რაც კი შესაძლებელი იქნება ჩემის მხივ, თავს არ დავზოგავ მაგ თანხისათვის, ჩავეწერები წევრად. ყოველ წელიწადში ოცდაათ თუმანს შემოვიტან, მეორეც ესა, ყმაწვილებო, სოფლისკენ მინდა გამოვიწვიო მკურნალი, აღნიშნული მაქვს მისთვის წლიური ჯამაგირი ასი თუმანი, იმედია, ჩვენი ხალხის გულშემატკივარი ქართველი ექიმად გამოსული უკან არ დადგება, იკისრებს ჩვენკენ წამობრძანებას. — დაურთო ოქრომ და შეხედა ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს, რადგან ის ექიმი იყო. ამ წუთამდის მჭერმეტყველობდა, ქადაგებდა ხალხისათვის თავშეწირვაზე, მაგრამ რა მოისმინა ოქროს უკანასკნელი წინადადება, მსწრაფლ ჩაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს დიდის ბოდიშით უარი განაცხადა, რადგან აქ უკვე შებმოდა იმისთანა საქმეებს, რომლის თავის დანებება არ შეიძლებოდა. დანარჩენები აღტაცებით მიე-

გებნენ ოქროს სიტყვებს. ბაასს მოჰყვა ვახშამი. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა.

მათ არ დარჩენიათ არც ერთი საგანი, რომ არ გაეჩხრიკათ, არ აეწონათ. პოლიტიკა, მეცნიერება, მთელი კაცობრიობა შეიძყა, შეიძრა, განიკითხა ამ პატარა ოთახში. ყველაზე მხიარულად სჩანდა ოქრო, განუწყვეტლად დაპარაკობდა.

— შრომა! ძმობა! ერთობა! შორს სიზანტევ, ნებივრობავ! ეს სულით და გულით დემოკრატია. ოქროს დანიშნულება სოფელია!..

— ხვალ როსტომიანთსა კრებაა, არჩევენ სალიტერატურო ნაწერებს. ხომ იქნები? — კითხა გიორგიმ ოქროს, როდესაც ესენი გამოდიოდნენ ისიკოს სახლიდან.

— ვიქნები, ჰა, გიორგი, რას იტყვი, თანდათან ვილვიძებთ, არა?

— ოდონდაც, მეტადრე შენა... მგონი, კიდევაც გადააჭარბე, — უპასუხა ღიმილით გიორგიმ.

— არ მეყურება, რაზე მეუბნები!

— დიდი ამბები გაქვს თურმე. ხელით სატაცებელი გამხდარხარ ქალაქის საზოგადოებისთვის. კოსტაშვილმა და სვიმონ საბაძემ მიამბეს წუხანდელი საღამოს თქვენი თავგადასავალი. თურმე ქალები ბუზებივით გეხვევიან.

— ტყუილი უთქვამთ.

— მე კი მჯერა. ახლა ხომ თვითო ყმაწვილკაცზე, რაც უნდა გლახა იყვეს ეს უკანასკნელი ხუთი-ექვსი ქალი მოდის. აბა ახლა შენ ივარაუდე, შენისთანაზე რამდენი მოვა?.. მგონი ოცი!..

— შენ თავზე ხომ არა სჯი?

— შეიძლება ეგრეც იყვეს. ასე გავიგონე, თადეოზ სვიმონიშვილს თურმე ძალიან უნდიხარ სასიძოდ... კარგი სამოყვრო კაცია, სამსახურში დაწინაურებული, მდიდარი...

— ნუ დაივიწყებ, ყველა ეგ ღირსება თადეოზისაა და მგონი მას არავინ ირთავს! იმისი ქალი შესახვედრად, სალაპარაკოდ ურიგო არ არი, შესართავად, მეუღლედ კი ძნელი გადასაწყვეტია.

— თამარ ზთნარაშვილი? — ამის წარმოთქმაზე გიორგის სახე გაუცოცხლდა, ლოყები შეუწითლდა; ოქრომ თვალები შეაცეცა, მიხვდა, ის მასზე გულგრილად არ იყო.

— თამარიც კარგია! — მიუგო მან, კვალად შეხედა. გიორგი პირდაპირ იყურებოდა.

— მაშ შენ ის მოგწონს? — ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

— მომწონს... ზეგ საღამოზე ვაპირებ იმათთან. თუ გინდა, გამოგივლი, ერთად წავიდეთ. — გიორგის პირველში იამა, მერე კი ისევ მოიწყინა, — წავიდეთ გიორგი! — უთხრა ოქრომ.

— იქნება მკურნალადაც გამოგადგე.

— მე ავად არა ვარ!..

— ვნახოთ... დრო გამოაჩენს. — ამ დროს ესენი უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა მხარეს მიდიოდა მათი გზა.

## XXV

მაკინეს დარბაზი გაჩალებულია. მეორე ოთახში სამხედრო მუსიკა უკრავს. დერეფნის კარი ხშირ-ხშირად იღება, ეტლი ეტლზე ჩერდება. გამოდიან სტუმრები, მათ მსახურნი ეგებებიან კარებთან. იასონი დგას დარბაზში შემოსასვლელთან, ხალხს იწვევს... დედოფლურად მორთული მაკინე იღებს მომხიბვლელის ღიმილით. შავ ხავერდის კაბაზე გულთან გაუკეთებია ოქროსაგან მოტანილი ბრილიანტის პეპელა, სახეზე ელვარება უკრთის, უციმციმებს... სტუმრები კოცნიან დიასახლისს ხელზე. ოქრო გვერდზე მოსდგომია დას, გრძნობს უჩვეულო დიდებას, სიამოვნებას. მაკინე მიულია მეფედ, რომელთანაც თაყვანის საცემლად მოსულან მონანი. მაკინე თავაზიანად ელაპარაკება განურჩევლად ყველას. დარბაზის გვერდზე ოთახიც მომხიბვლელად მოუწყვიათ. ამჟამად ოთახს აღარა გავს, არამედ წარმოადგენს წალკოტს, შემკულს სამხრეთის სხვადასხვა მცენარის გრეხილ ყვავილებით, პატარა ბუჩქებთან დაწყობილია სავარძლები აგრეთვე მწვანე ფერისა... შემომსვლელს მომაღლო ბეგობად ეჩვენება. ქვევით იატაკად კედელზე გაკრულია მწვანე ნაქსოვი. აღაგ-აღაგ ელექტრონის სინათლე ცისფერ შუქს აყენებს იქაურობას. სტუმრები წალკოტის წყალობით თავს ხალვათად, თავისუფლად გრძნობენ, განგებ საოცნებოდ არის მოწყობილი. მაკინე დასცურავს ამ ედემში თავისი მშვენიერებით, თითქო დარაჯობს ხეს ცხოვრებისას, თან მოვალეა არავინ მოაწყინოს. ოქრო დირიჟორია. ანგელოზებრივ მორთული ყმაწვილი ქალები გულისძგერით მოელიან ცეკვის დაწყებას, მაგრამ დიასახლისი კიდევ ვიღაცას ელის. აგერა მტკიცის

ნაბიჯით შემოდის მაღალი ტანის ჩასხმული გენერალი. მეტის-მეტად გაბერილს კისრის ძარღვები დასჭიმიან ძაღდატანებისაგან, თავშემაგრებით სუნთქავს, თვალები ეძებენ რჩეულთ. სალამს აძლევს დიასახლისს, თავაზიანად უღიმის ოქროს, დანარჩენთ კი ამაყად თავს უკრავს, შედის ქალაღდის სათამაშოდ მომზადებულ ოთახში. მისი კნეინა კატინა უფრო თავმდაბალია, მეტადრე ყმაწვილ კაცებს აღერსით ეპყრობა.

— დიდება ღმერთსა! — შესძახა იასონმა, რომელსაც უფროსი მიაცილა ოთახის კარებამდის, გამოუბრუნდა მის ცოლშვილს და ხელზე აკოცა კნეინას.

— უთუოდ დიდხანს გაცდევინეთ.. არა?.. ბოდიშს ვიხდი! — სთქვა კატინამ.

— დიდი არა მომხდარა-რა, თუნდ ეგრეც იყოს! — უპასუხა ქმრის მაგივრად მაკინემ, რომელიც საჩქაროდ მოვიდა.

— ჩემი დიზას ბრალია. მარწმუნებდა, ჯერ არც კი იქნება დაწყებულიო, სანთლებს ხომ ჩვენ ვერ ავანთებთო, — განაგრძო კნეინამ და შეხედა გვერდზე მდგარ პირისფერ გაზის კაბაში მორთულ ქალსა.

უიმისოდაც გაწითლებულ დიზას ჭიგრის ფერი დაედო. დიდი კეხიანი ცხვირი, პაწია ჩაძვრენილი თვალები არ დააკმაყოფილებდნენ მშვენიერებისკენ მლტოლვედ ახალგაზრდას. ქალი თითქო გრძნობდა უსახობას, მოკრძალებით იყურებოდა. ოქრო თუმცა თავაზიანად გამოელაპარაკა, მაგრამ მალე მოშორდა.

— თამარ! — გაისმა ამ დროს ყმაწვილ კაცებში, ოქრომაც მიიხედა. თეთრებში მორთული ქერა ქალი მოუძღოდა დედას. მსუბუქად ჩაცმული არ შეედრებოდა აკოფაანთ შუშას, ან ბანკიანთ კატინას, რომელთა თვითეული ნივთი გულზე გაკეთებული ორას თუმანზე მეტი ღირდა. თამარი მაინც არ შემდრკალა ძვირფას სანახავებით, თამამად ეჭირა თავი. ის პირდაპირ სახეში უყურებდა ყმაწვილკაცებს, თითქო უსიტყვოდ ეუბნებოდა.

— მიყურეთ და დასტკბითო!.. — ეს გამბედაობა ოქროს არ უკვირდა, რადგან ყველა დამაზი არსებისა თითქმის ჩვეულება იყო. თამარი არ მოსტყუვდა, მაკინეს სტუმარი ქალები ერთიმეორეზე უარესები მოსჩანდნენ სახით, ორ-სამს ეტყობოდა ეშხი, ისიც დათხოვილებს... მარტო მაკინე და თამარი იყვნენ ამ საღამოს მშვენებანი. ყველა ამათკენ მოეშურებოდა. ცდილობდნენ

მეტი ნაწილი დრო საღამოსი მათთან გაეტარებინათ ლაპარაკსა და ტრფიალებაში.

— ვალს! — დაიძახა ამ დროს ზარიანი ხმით ოქრომ. ხალხი გამოფხიზლდა, მუსიკამ დაიგრიალა. ოქრო და მაკინე გასცურდნენ, მათ უკან სხვებიც მოყვებოდნენ. შემდეგ ოქრომ მიირბინა ლიზასთან, რომელიც მალე სხვაზე გასცვალა.

— შეიძლება, კნიაჟნა, ვალსი გთხოვოთ? — ბოლოს გაჩერდა თამარის წინ.

— რატომ? — მიუგო ქალმა, მკლავი მხარზე დაადო. ოქროს ამ რამდენსამე წუთის წინათ სრულიად დამშვიდებით მიყავდა თვითეული მოცეკვავე ქალი, მაგრამ შეახო თამარს ხელი თუ არა, თითქო თავბრუჭყვიალი დაესხაო. სიცხემ დაურბინა სახეში, გულმა ძგერა დაუწყო, თავი დავიწყებას მისცა, თითქო ზეცაში აიყვანესო. ყმაწვილი ქალის თვალები ხშირად შემოყურებდნენ მის თვალებს, მისი სუნთქვა ასე ახლო ესმოდა, გული ასდი-დასდიოდა. თამარისთანა ლამაზი აქ არავინ იყო, ისიც ოქროს მკლავებს ჩაებოჭათ, თამარი იღიმებოდა. ვალსს მოყვა კადრილი, შემდეგ ლეკური, ბოლოს ისევ განმეორდნენ ევროპული თამაშობები, ისე რომ ოქრო მოიქანცა, დირიჟორობა გადასცა კოხტაშვილს, თვითონ დასასვენებლად წავიდა წადკოტად მორთულ ოთახში, დაეშვა სავარძელზე, იწმენდავდა ოფლის ხვითქს, რომელიც გადასდიოდა შუბლზე, მერე კი შესცურდა ზღვა ფიქრ-ოცნებაში.

— რაზედ ფიქრობთ, კნიაზო? — მოესმა ამ დროს. ოქრომ მოიხედა, წინ უდგა თამარი.

— თქვენს მშვენიერებაზე! — უპასუხა ღიმილით ოქრომ. ქალს კმაყოფილებისაგან ლოყები შეუწითლდნენ, ჩაჯდა სავარძელში.

— ხომ არ მოგეწყინათ, კნიაჟნავ? — ჰკითხა ოქრომ.

— სრულებითაც არა. ასე მხიარულად არასდროს არა ვყოფილვარ. ახ, უკაცრავად, ახლა კი უნდა წავიდე, კადრილი იწყება და კავალერი მიცდის. — დაურთო თამარმა, საჩქაროდ წამოდგა ზეზე, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მერე ისევ მოუტრიალდა: — ზეგ ხომ მობრძანდებით? — კითხა ოქროს.

— უეჭველად.

— სკრიპკა არ დაგავიწყდეთ.

— რას ბრძანებთ, რა დამავიწყებს!.. თქვენი ფორტეპიანო და ჩემი სკრიპკა სწორედ ციური ჰანგების დუეტია ხოლმე.

— ია თუ ვარდი? — ამ სიტყვებით ოქროს წინ გაჩერდა კოხტამვილი, რომელსაც მოყავდა ლიზა და კატინა.

— ია, — მიუგო უგულოდ ოქრომ. ლიზა აღმოჩნდა იად. ოქრომ საცეკვაოდ წაიყვანა. ღამის მეოთხე საათმა დაკრა. მხიარული სტუმრები არა ჩქარობდნენ დაშლას, ეძლეოდნენ უზომო მხიარულებას. მარტო გათენების დროს გაახსენდათ ოჯახის სხვადასხვა განკარგულებანი.

— იმედია, არ დაგავიწყდებათ ზეგისთვის მობრძანება! — მოაგონა თამარმა, როდესაც ოქრომ გააცილა დერეფნის კარამდე. ოქროს ძლივს ეღირსა მოსვენება, თუმცა კი არ იყო მომდურავი განვლილ საღამოსი.

## XXVI

რამდენისამე თვის შემდეგ ოქრო იჯდა კაბინეტში, სწერდა თავის მეგობარ ვანოს მოსკოვში.

„კარგა ხანია მას აქეთ, რაც არ გამოგლაპარაკებივარ, ძვირფასო მეგობარო. უეჭველია ფიქრობ: თავმოყვარე ქართველს ვიდრე სჭირდები, აგონდები, მერე მეტად ჩაგთვლის, ზურგს მოგაქცევსო. ეგ აზრი მაინც სასარგებლოა ჩემთვის, რადგან ყოველთვის მიჭირდა და მიჭირს შეუდარებელი მეგობარი, რომელსაც მინდა გული გადავუშალო, გავუზიარო ცხოვრების ყოველი წვრილი. რაც საქართველოში მოველი, განუსაზღვრელ გარემოებაში ვიმყოფები. ცხოვრება წარმოადგენს იმ დიდებულ სურათს, რომელიც გამოფენილია პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში და ეწოდება ქაოსი. გადაღებულია ქვეყნის გაჩენის პირველი დღე, სადაც შერწყმულებად მოსჩანს ყოველი არსი ბუნებისა, მაგრამ გამოურკვეველია. დიაღ, ჩემი ცხოვრებაც ასეა. არ ვიცი, როდის დაიწმინდება ეს აღელვებული მდინარე ცხოვრებისა და რომ დაიწმინდება, უეჭველია, რადგან იპოვნის დიდის ცდის შემდეგ კვალსა და გაწანწკარდება უშიშარ, უზადო მშვიდობიან ადგილზე. მანდ დაწყობილმა გეგმამ ჩემის მოქმედებისამ არ ივარგა. ნიადაგი, ხალხი და ჰაერი თითქო წინ აღუდგა, ერთხმად შესძახეს: ჯერ ადრეა, ჩვენთვის უცხოაო. მეც გადავწყვიტე, ჯერ გავიცნო ხალხი, მაგრამ მგონი მთელი სიცოცხლე შევალიო ამ სურვილს. მახლობლები

თუ ნაცნობები ყურში ჩამძახიან განუწყვეტლად: გაფრთხილდი, ოქრო! გაუფრთხილდი ყველა სულიერსა და მეტადრე ადამიანსაო. შენც არა ერთხელ გითქვამს. წარმოიდგინე, თვითეული ამას მეუბნება, მაშინ, ნეტავი, ვიღა დარჩენილა გასაფრთხილებელი? ხანდისხან მთელ საათებს ვანდომებ ხოლმე ამ ფიქრებს.

„ღმერთო, ნუთუ ამ მშვენიერ, ნიჭიერ ხალხში უნდა იმალებოდეს ბოროტება? ნუთუ სინათლე და სიბნელე ერთად მოთავსდება? მაგრამ ერთიმეორეს რომ სდევს, ეს კი ნამდვილია. ჩემი ცხოვრება ორ წყალშუაა, არ ვიცი რომლის ნაპირას გამიყვანს ბედის ნავი. შენ კარგა იცნობ ჩემს იდეალს, მისწრაფებას, რომელიც მდგომარეობს გაჭირვებულ მოძმეთა დახმარება-აღდგენაში... მოვედი თუ არა, სოფლისკენ გავწიე, ძმა მკლავებგაშლილი დამიხვდა, ფრთები შეასხა ჩემს სურვილებს, აღმითქვა დახმარება, მაგრამ მერე, როცა ხალხს დავუწყე ძლევა, ძმა და მეზობლებიც განზე გამიდგნენ, ჰაერში კოშკების ამშენებელი, ბედოვლათი მიწოდეს; იძულებული ვიყავ, მშვიდობიანად გავყროდი ტიტიკოს. ის მეუბნება: აძრეაო; მეორეც ესა, მარტო მე ვერას გავხდები, მას კი არ შეუძლიან მომყვეს, რადგან ცოლ-შვილის პატრონს ეს ნაბიჯი ძვირად დამიჯდებაო. ამ აზრისაა ტიტიკო და ნუთუ ვიწრო ჩარჩოში არ არის ჩასმული ეს მისწრაფება? ეს ხომ პირუტყვმაც იცის, თავის შვილებს საზრდო შეუნახოს, სხვისთვის კი არ იზრუნოს! ზოგჯერ თითქო კიდევაც ვამართლებ, მეც გავიფიქრებ, ცოლი შევირთო, ოჯახი დავადგინო, მაგრამ იდუმალი ხმა ჩამძახის და ხმას აკმენდინებს ამ უეცარ სუსტ მოსაზრებას. სულსა და გულს სწყურიან უფრო მეტი მოღვაწეობა. ჯერ მინდოდა ხალხის ნდობა დამემსახურებინა, რადგან მტრულად გვიყურებენ.

„ბევრს ნივთიერი დახმარებაც აღმოვუჩინე. თითქო შევიძელი მათი ჩემკენ გადმოყვანა. ვურჩიე სკოლის გაღება; ამაში კი არ მომენდვნენ. გამომიცხადეს, რომ ამ რამდენისამე წლის წინათ ვინმე თავადმა როგორ გამოართვა ფული ამ მიზნისათვის და შეჭამა: მეზობლებიც ჯიბრს მიწევენ, იქნება გონიათ, ვცდილობდე მარტო სახელისთვის, მინდოდეს ყველგან პირველი ადგილი? არა, შემცდარნი არიან, დიდის სიამოვნებით დავთანხმდებოდი სულ უკანასკნელი უძლურის ადგილის დაჭერას, თუ კი მართლაც ჩემი ნატვრა-სურვილი სხვებთან შედარებით სუსტი

იქნება და ყოველი ქართველი ჩემზე დაშორებით მაღლა იდგება თავისის მოღვაწეობით! მერწმუნე, ძმაო, შეშურების ნაცვლად ვიდღესასწაულებ, რადგან დარწმუნებული ვიქნები, ჩვენი ქვეყანა მალე აყვავდება ერთგულ თავშეწირულ ხალხისაგან. რა მტკიცე ხასიათი, ფოლადის გული და მოთმინება უნდა მოვიშველიოთ, რომ ეს აღმაცერად შემომყურე ხალხი მივიზიდო. ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება! მაგრამ იქნება მართლა ჯერ ადრეა?.. ჯერ წელიწადიც არ არის, რაც მოვსულვარ... ხალხმა მაინც ყურადღება მომაქცია, ზოგიერთ შემთხვევაში მომენდო. ესეც დიდი ნაბიჯია. რა უმადურია ადამიანი! ხშირად ვერ ხედავს, არ აფასებს ღირსეულად კაცისაგან მონიჭებულ შველას. როდესაც ხალხმა უარი გამოაცხადა სკოლების აშენებაზე, მაშინ ვარწმუნებდი, ხარჯი ჩემი იქნებოდა, მარტო შრომით მოეცათ შემწეობა, თვალყური დაეჭირათ. უნდა გენახა, რა ეჭვის თვალით, უნდობლად დამიწყეს ცქერა, მაინც არ მიიკარეს ჩემი წინადადება; მაგრამ, რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი, არც ამაში არიან გასამტყუნარნი. მათ ვერ წარმოუდგენიათ, თავადიშვილს, იმ მებატონეს, რომლის მამა-პაპა ოდესმე ცხვრებივით ყიდდა მათ, სტანჯავდა შეუბრალებლად, დღეს მათი ჭირისუფლება მოუნდომებია? განა, მგლისაგან პატკანი ვის უნახავსო? ალბათ ამბობენ. ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც ყველა მებატონეთაგან მე უფრო პატივისცემით და სიყვარულით მეპყრობიან. მე კი მინდა, მენატრება ყველა მათგანმა გადამიშალოს სული და გული, შიგ ჩამახედოს, მომთხოვოს თვითეულ გამრუდებულ, დაზიანებულ ძარღვის გამრთელება... აი რას გეტყვი... მაშ მოთმინება და იმედი... ჩვენი ხალხი გამოფხიზლდა, ტფილისში დაწესდა სხვადასხვა საზოგადოებანი. მეც ვირიცხები წევრად. ჩვენი ყმაწვილკაცობა მისცემია უფრო მეტ დაპარაკს, მაგრამ რაკი საქმეზე მიდგება რიგი, სიჩუმეა... არ არის ერთობა, ამის გამო სუსტნი ვართ. ყველა ერის ხალხი გვჯობნის, წინ გვისწრობს, ჩვენ კი მშრალზედა ვრჩებით. ბევრი პრაქტიკას დალირსებული მკურნალი, თუ ისე განათლებული ყმაწვილი კაცი, რომელიც აგრეთვე თავქუდმოგლეჯილი ეძებს სამსახურს, თვითო გროშიან ადგილს, ქალაქს არა შორდება, არ მიდის სოფლად, სადაც მომეტებული ასპარეზია მოქმედებისთვის. მიზეზად იდებენ სოფლის უვიცად ყოფნას, მის უმეცრობით სავსეობას, უგზოუკვლობის გამო მიმოსვლა გაუძნელდებათ, რომ

შეუგნებელ ხალხში ცხოვრება წამებაა... ღიაღ, პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერავინ ბედავს, იძახიან, ერთი-ორი რას გახდებაო, და მრავალი არსადა სჩანს. წვეთები წვიმისა რომ ერთად არა გროვდებოდნენ, არ უერთდებოდნენ ზღვას, ის უზარმაზარი წყალიც დაშრებოდა. მაშასადამე, მისთვის წვეთსაც მნიშვნელობა ჰქონია. ყველას სარდლობა უნდა, უბრალო ჯარისკაცი, რომელიც ისევე საჭიროა ბრძოლისათვის, როგორც სარდალი, არა სჩანს. ბრძოლის ასპარეზი დაუცავად რჩება, უმეცრება კი დათარეშობს წინანდებურის ვერაგობით... მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ იმედი გამქრალიყვეს! იქ, სადაც იპოვნებიან გიორგი შრომაშვილი, ისიკო ზაალიშვილი და სვიმონ ქარვაშვილი, არა მგონია, იქ კეთილიც არ იმარჯვებდეს... ხომ გახსოვს ჩვენი მხიარული, უზრუნველი გიორგი?.. აბა ნახე ახლა, რა რიგად გამოიცვალა! მას საკუთარ სულის გარდა სხვა სულიც დაპატრონებია, იზიდავს თავისკენ; მეორე სული ჭეშმარიტი გიორგია, რომელიც მოუჯადოვებია თამარ ზონარაშვილს, ეს უკანასკნელი კი არ თანაუგრძნობს, თუმცა ეკეკლუცება. თუ შეგხვედრია ოდესმე დურჯთვალება თეთრყირმიზი, მაღალი ტანის ქალი, მისი სურათი ცხვირი იწყება კადამა წარბებიდან, თვალება მარწყვა ტუჩების გასწვრივ, ეს ტუჩები იღიმებიან, აჩენენ მარგალიტ კბილებს... სიცოცხლით სავსე გულმკერდი მაყურებელს ატყვევებს, მიბნედილი თვალები ბურუსში შეხვეულად მოჩანან, მეტადრე მაშინ, როცა თეთრი ბუდეშურსავით მოყვანილი თითები ეხებიან ფორტოპიანოს კლავიშს, აკორდს აკორდზე იღებენ, გაისმის ხან დაწყნარებითი კვნესაჩივილი ხან გამედგრებული ქარიშხალი აზვირთებული ზღვისა... უნებურად გულხედი დაგიკრეფია, გაშტერებული გაწამებით წინ უდგეხარ ფერიას, რომელიც გაწვეთებს ყურში მომხიბვლელსა და მასთანვე საშიშო ხმებს. ეს ხმები ელექტრონულ მავთულებად გივლიან სხეულის ძარღვებში, გათრობენ, გაძინებენ. პირველად ამისთანა შთაბეჭდილების მომხდენი არსება თუ გინახავს, მაშ გინახავს თამარ ზონარაშვილი. იქნება იფიქრო, საწყალი ოქრო გადარეულა ჩვეულებრივ ქალისთვის, ახლა მეც მისატავს ზეციურ არსებადო. არა, გადარეული არა ვარ, თუმცა კი ვეძებ მის საზოგადოებას. იყო დრო, როცა მთელ საათობით ვფიქრობდი მასზე, მაგრამ უფრო მეტ ნაწილ დროს მის ფაფუკ სიმშვენიერეზე, ვიდრე სულზე, რომელიც პირველ გაცნობაშივე ვერ შევამჩნიე. შეხვედ-

რის დროს ჩემი არსება გრძნობდა მწვავე სიცხეს, მზად ვიყავ, თავი დავიწყებისათვის მიმეცა, მაგრამ ეს გრძნობა ნელ-ნელა შესამჩნევად შესუსტდა, ჩაქრა... დარჩა ჩვეულებრივი მშრალი სინამდვილე. თამარი პირველად იოსების შვილის ოჯახში გავიცანი, მერე ხშირად ვხვდებოდი. თვითონაც მართავდნენ საუცხოვო საღამოებს, სადაც ჩემს სკრიპკას დიდი ფასი ედო. ჩემს გარდა შეუმჩნეველი ადგილი არ ეჭირათ გიორგის, ისიკოს, თუ სხვა მრავალ ყმაწვილკაცობას... ხომ იცი, ლამაზი ქალის ბინის ალღოს შორიდანვე ავიღებთ ხოლმე კაცები!.. მთელ დროს ამათსა ვიკრიბებოდით. გიორგი მოხიბლული იყო ქალისთვის, ისიც თვალთმაქცურად იზიდავდა მაყურებელს, სილამაზის დედოფალი თვალწინ გვეყენა; გარდა ამისა ქალაღდს ვთამაშობდით, ვცეკვავდით; გემრიელი ვახშამი, წითელი კახური ღვინო და წარმოიდგინე, თუ რა განცხრომაში უნდა იყვეს სიცოცხლით, ვნებათაღელვით აღვსილი ახალგაზრდა კაცი!.. თამარი ცდილობდა ჩემს ახლო ყოფნას, ჩემთან ლაპარაკს. რა უნებურის საყვედურით გადმომხედავდნენ ხოლმე როგორც გიორგი, ისე სხვები! ვგრძნობდი ამ ყურებას, მაინც როგორც შემცოდე, არ ვიმჩნევდი, ვსარგებლობდი წუთებით.

„მოწონება?.. მერე რა ვუყოთ, რომ სხვებსაც მოსწონთ?! განა ვარდი რომ ვისმე მიეწონოს და თავის ადგილზე ხელმიუკარებელი დარჩეს, სხვას ნება აღარ აქვს მივიდეს ახლო, იყნოსოს მისი დამათრობელი სუნნელება? ვფიქრობდი, ასე ვტკბებოდი აწმყოთი სწორედ იმ დროს, როდესაც ჩემს ახლო ერთი არსება იტანჯებოდა.

„თამარმა ინსტიტუტი დაამთავრა, უფრო კი მომზადებულია მოტრფიალეთა მოსახიბვლელად, მაგრამ ღარიბია. ამის გამო, სხვა ქალები უფრო ადვილად თხოვდებიან. ჩემ დას მაკინეს არ მოსწონს, თუმცა კი არას მეუბნება... მოჩენილია, შევირთო ლიზა სვიმონიშვილი. ნათესაობა აღტაცებულია ამ აზრით, თვითონ ლიზაც დარწმუნებულია, რომ ის ჩემი მომავალი მეუღლეა, აქამდის მოკრძალებული, ახლა თანდათან მიდაღდება; რა უსიამოვნოა თავისი წვრილი, უსიცოცხლო თვალებით, როდესაც დაიწყებს ხოლმე სიცილს, მისი უხერხული, თან მობოხებული, თან უეცრად მოწვრილებული ხმა უნებურ უსიამოვნებას გაგრძნობინებს; თავაზიანობისა და ხათრის გამო კი ვალდებული ვარ დროებით

ქალი მოვუხარო. მაკინე მართავს საღამოებს, ხშირ-ხშირად პატიჟობს მას და სხვებსაც. მაკინე ძალიან გამოიცვალა, ძილი აღარ აქვს და მოსვენება, ფერიც დაკარგა, აშკარად ვამჩნევ რაღაც აწუხებს: ეშინიან, ფიქრობს, დარწმუნებულია, რომ ამ ცოტა ხანში ცოლს შევირთავ, მას კი თავს მივანებებ. საწყალს ძალიან ვუყვარვარ. ვერ მორევია გულს, ვერ შერჩევია აზრს, რომ უჩემოდ გასძლოს, დავუჭირე ხელები, შევფიცე, ჯერ ცოლის შემრთველი არა ვარ-მეთქი. უნდა გენახა, რარიგად გაეხარდა. მაგრამ საკვირველია, რომ არ უნდა ჩემი ცოლის შერთვა და მე კი მირჩევს ლიზას.

„ერთხელ თამარმა გამართა ვახშამი, შემომითვალა მარტო მე. რა ღამაზი რამ იყო იმ ღამეს!.. აგერა თამრო ფორტოპიანოს უკრავს, მე სკრიპკა აღარ ავიღე ხელში, არამედ ყური მივუგდე დაკვრას. ჟუჟუნა თვალებს ხშირად შემომანათებდა, მესროდა მწვავე ისრებს, ვუყურებდი გაშტერებული, მინდოდა შემეტყო, მართლა კუპიდონისაგან იყო მოგზავნილი სამუდამოდ იდეალის დასაკმაყოფილებლად, თუ მარტო წუთიერი სიამოვნებისათვის გაჩენილ არსებად? კაბის სახელო მოკლე, ნიდაყვამდე შიშველი ხელი, გაბრწყინებული სხვადასხვაფერ თვლებიან სამაჯურებით, ხშირად კრთებოდა ჩემ თვალწინ, სამაცდუროდ მახელებდა. წუთს თავი ხელთ ველარ ვიგრძენ, უეცრად შევეხე ტუჩებით მის ხელს სწორედ იმ დროს, როცა ქალმა ნაზად ამართა ერთ-ერთი მათგანი ჰაერში, რომ ისევ დაეშვა.

„შვენებავ! — წავჩურჩულე. ის არ განძრეულა, არამედ განაგრძობდა დაკვრას. ლოყები შეუწითლდნენ, აკორდები განუწყვეტლად ღუღუნებდნენ სიყვარულის ნეტარებას, მაგრამ, აცა, ეს რა ამბავია? გული წყრომით აივსო, გონებამ თანაუგრძნო, რაღამაც ჩამძახა:

„თაყვანება მიუწვდომელს, ლოცვა-ღაღადისი უზენაესს და არა დედამიწას, რომელიც ფერხთა ქვეშ მოგვიქცევიაო".

„თამარს შევხედე, ის თუმცა განაგრძობდა წინანდებურადვე კეკლუცობას, ალტაცების მაგიერად გამელვიძა დაცინვა. აკორდებიც ამაოდ ჩურჩულებდნენ მოგონილ ტრფიალებას... არა, უსულო ხეს არ შეუძლიან ჭეშმარიტების გამოხატვა, სიცარიელეა ჩემს გარშემო!... დავუმატე ჩემთავად და რამდენისამე წუთის შემდეგ ქალს მოვშორდი, სხვებს შევუერთდი, თუმცა თვალყური ისევ

თამარისკენ მეჭირა. ჩემს აღგილზე გიორგი დამჯდარიყო, მომეტებულად დაბანგული შეყურებდა. ნუთუ თვალები არ მატყუებდნენ? თამარს სახის მეტყველება ისევ წინანდელი დარჩენოდა, თვალები ისევ შესცინოდნენ ახალ მოტრფიალეს. თამარი ჩემს თვალში კიბის უკანასკნელ საფეხურზე ჩამოვიდა. მაინც გადავსწყვიტე არ შემემჩნია, განმეგრძო მასთან თავშემაგრებული, თავაზიანი ურთიერთობა... გიორგი აღტაცებულია; თამარისათვის კი გიორგი, ოქრო, თუ ისიკო და სხვები ყველანი ერთნი ვართ. მაგრამ იქნება ასე მომეჩვენა? იქნება გიორგის ბედია, კი არ შევნატრი ამ ბედს! იმ საღამომ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა გარეშე ხალხისთვისაც. გადასწყვიტეს, რომ ჩვენში საქმე გათავებულია. მეორე დღეს მაკინეს მოუღოცეს. მაკინე განწირულებაში შევიდა, იქამდის იმოქმედა ამ ელდამ, რომ ავად გახდა, ნერვები მოეშალა. ექიმმაც გვირჩია, მისთვის ჰაერი გამოგვეცვალა... სწორედ გითხრა, მეც მომწყინდა ქალაქში ყოფნა, მოვიღალე, მოვიქანცე. რაც დღესაა, ის ხვალა. მეგონა, რაიმე ახალი სულის და გულის გამამხიარულებელ რასმეს შევხვდებოდი. მაგრამ ამაოდ. ყველანი მომბეზრდნენ, დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს. შეგროვდებიან ხოლმე ყმაწვილები ჩემს ოთახში, გათენებამდე ქაღალდს თამაშობენ. ცარცმა, ოთახში ჯდომამ, ქალაქის მოწამლულმა ჰაერმა თითქო ყელიც ამომიხლანძა. სოფლისკენ, ჭეშმარიტებისაკენ! დიახ, ამ ორ დღეში იქით გავსწევთ. გაიანესთან მიმყავს მაკო, მეც ერთ-ორ კვირას იქ დავრჩები, მერე ისევ დავუბრუნდები ჩემს სოფელს. გაირბინა ზამთარმა, თეატრი, ბალები, ქალების საზოგადოება, საქველმოქმედო საქმეების კრებები, ყველა ერთიმეორეს მოსდევდა და შეუმცნევლად თავი დაგვიკრა მაისმა. თამარი აღარ მინახავს, გიორგი კი მარწმუნებს, ამ დღეებში საქმე გათავდებაო. ვნახოთ... ნახვამდის, შენი ოქრო".

მართლაც მაისის დამდეგს ოქრომ წაიყვანა მაკინე გაიანესთან. თუმცა მაკინე ცოტათი გამხდარიყო, მაინც არ მოკლებოდა თავისი მშვენება, სოფელში გამხიარულდა, მოსუქდა, გაუკეთდა წინანდელი ლაბაბი...

— დავისვენებ და წავალ... — იმეორებდა ოქროც. რამდენიმე დღის შემდეგ იასონიც ამოვიდა.

როსტომმა დაუპატიჟა მეზობლები, გაუმართა მშვენიერი სადილ-ვახშმები, რომლებიც, წინათ მოვიხსენიეთ.

## XXVII

— აბა, ოქრო, არ წავიდეთ?.. — მოესმა ხმა. ოქრო გამოერკვა ფიქრებიდან, მოიხედა. გაიანე და მაკინე, უკვე მომზადებულნი თეკლესთან წასასვლელად წინ უდგნენ.

— განა დრო არის?.. — კითხა ოქრომ, საათს დახედა. — ბიჭოს! მეორე დაიწყო! — შესძახა გაოცებულმა.

— მიკვირს, რით ვერ მოგწყინდა მაგდენი ოცნება? — ღიმილით უპასუხა განომ.

— ახლავე მზად ვარ, პატარა მომიცადეთ... როსტომი კი არ მოდის?..

— არა, საქმე მაქვსო.

პატარა ხანს უკან ოთახიდან ოქრო გამოვიდა მორთული, უთავაზა მკლავი დებს და ერთად წავიდნენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქეთინოს სახლს, მით მოუსვენრობა ეტყობოდა ოქროს, უმატებდა ქალებთან დაპარაკს, რათა აღელვება დაეფარა, მაგრამ მაკინე ცხადად ამჩნევდა, თუმცა არას ამბობდა. დერეფანში გამოეგება თეკლე. ოთახიდან გამოისმოდა ფორტოპიანოს ხმა და დაპარაკი. ეტყობოდათ, სხვა სტუმრებიც ჰყავნდნენ. მაკინე ეშქარებოდა ქეთინოს ნახვა-გაცნობას, რადგან წინათ, სადარბაზოდ რომ მოსულიყო, ის არ დანახვებოდა თვალით, ახლა კი იმედი ჰქონდა უეჭველად გაიცნობდა. გაიანესაც გადაეწყვიტა, დღესვე შესდგომოდა მაკინესაგან მინდობილ საქმეს. ესენი შევიდნენ. აგერა მარიკა, შაქრო, პაღიკო, არჩილი და სხვები... ყველას, ვისაც კი იცნობდა ოქრო, აქ მოეყარათ თავი, ზოგი ქაღალდს თამაშობს, ზოგი მისვევიან ფორტოპიანოს, რომელზედაც უკრავს მაშო. მაშო ჩვეულებრივზე მოხდენილი, მსუბუქ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილია. კარი გაიღო, შემოვიდა ქეთინო პირისფერ ტანისამოსით. ეს ყველაზე მეტად შვენოდა. ოქრომ მაშინვე შეხედა მაკინეს, რომელიც დაკვირვებით უყურებდა ახლადშემოსულს: ქეთინო მივიდა მაკინესთან, როდესაც თეკლემ დაუძახა, გააცნო.

— რა ამბავია, ქალო, რომ აგრე დამალულხარ! არა გრცხვენიან? — კითხა გაიანემ. ქეთინოს თვალები გაუბრწყინდნენ, ბოლოში მოიხადა ნახვის დაგვიანებაზე. ოქროს გულით უნდოდა ქეთინოსთან დაპარაკი, ჯერჯერობით კი ვერ ახერხებდა, რადგან ქალი თითქო გულმოდგინებით ყურს უგდებდა ფორტოპიანოს

ხმას. ეშსში მოსული მაშო გრძნობდა აღტაცებას და ეს გუნება საკრავის კლავიშებზე გადაჰქონდა. შეწყდა ფორტეპიანოს ხმა. ოქრო მივიდა ქეთინოსთან.

— როგორია ბრძანდებით? — მოწიწებით მოიკითხა მან, თან აღერსით დაუწყო ყურება.

— გმადლობთ, კარგა გახლავართ, — უპასუხა ქალმა და თვალები ძირს დახარა.

— როგორი კმაყოფილი დარჩით გამოგზავნილ წიგნებისა?

— ჩინებულია! გმადლობთ.

— ნებას მომცემთ, თქვენს ახლო დავჯდე?..

— რატომ!

ოქრო დაეშვა ქეთინოს გვერდით დადგმულ სკამზე, მაგრამ იმ დროს მათთან მივიდა განო, სხვები, და დაპარაკმა სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. ქეთინო დღეს უჩვეულო სიამოვნებას გრძნობდა, ყურადღებას არ აქცევდა პადიკოსაგან კრძალვით, მაგრამ ვედრებით მოპყრობილ თვალებს; ის ხედავდა მარტო ოქროს, ქეთინო მიემსგავსებოდა იმ დიდისნის დამწყვდეულ ფრინველს, რომლისთვისაც ის იყო გაეღოთ გალიის კარი, პირდაპირ დაყვარდ კამარაში აესროლათ, ფრთები გაეშალა და ამდენ მშვენიერ სანახავს, ცისუპუქ ჰაერის წყალობით გარინდებული ფრთასა სწურავდა. გონება ვერ მოეკრიფა, აღტაცებულს სიტყვა ძლივს-ლა ეპოვნა წარმოსათქმელად. მას დღეს აქეთ, რაც ოქრო შეხვდა მაღლობ აღგილზე ჯეროს თანდასწრებით, ქეთინო გრძნობდა, რომ მისი გული ძალზე სძგერდა, ატყობდა აგრეთვე ოქროსაც, თუ რამდენად ეყურადღებებოდა მას ქეთინო, აგრძნობინებდა გაოცებასა.

„თითქო მაშოს ეტრფისო!.. მერე შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ არსებასთან ტრფიალი? რატომ თვითონ ქეთინოს არ შეუძლიან ასე მოიქცეს?.. განა შაქრო, პადიკო, სხვა ყმაწვილები და ოქრო ერთნაირ შთაბეჭდილებას ახდენენ ქეთინოზე? თუმცა არც ისინი აბეზრებენ თავს მეტადრე პადიკო, რომელიც მისთვის გადარეულია, მაგრამ ოქრო, სულ სხვაა... ღლონდაც! — იმეორებდა ის, როცა ბრუნდებოდა ჯეროსთან ერთად სახლში...

— ჩემთვის სულ ერთია... თუნდ შენ შეურთავხარ, თუნდ მე, — აი, რა პასუხი მიიღო ქეთინომ დისგან. რატომ ქეთინოსთვისაც არ არის სულ ერთი? მაშ ერთგვარად არ ყოფილან მომართული მა-

თი გულები, თუ რა მიზეზია? ქეთინო ატყობს მამოს, ყველას როგორ ერთგვარის სიამოვნებით ელაპარაკება ხოლმე... ქეთინოს კი სხვისი ლაპარაკი არც კი ეყურება, ამას მარტო ოქრო ჩაესმის ყურში, ბუნების ყოველი წერტილი წინ უყენებს ოქროს მშვენიერის სახით; ზარსავით ლაწმენდილი ხმა, ცოცხალი, ცქვიტი მოქმედება სიზმარშიაც არა ერთხელ მოსჩვენებია; ქეთინოს კიდევაც ესმოდა მისი სუნთქვა, სტკბებოდა, თან ეჭვები თავიდან არ მოსცილებია. თუმცა მისგან საკითხავი წიგნებიც მიიღო, მაგიერად ის თვალით აღარ დანახვებია, თითქო ეშინოდა კიდევაც, თითქო სწყუროდა, შიოდა მისი ნახვა, თვალებით მიალერსება... ხშირად, როცა სახატი ბეწვის ყალამი ხელში ეჭირა და მიაჩერდებოდა რომელსამე ლამაზ ადგილს ქაღალდზე აღსანიშნავად, უეცრად სახე გაუბრწყინდებოდა, თითები იწყებდნენ თრთოლას. ქეთინოს ბაგე გაეხსნებოდა და დაიჩურჩულებდა:

— ვინ მაღირსებს ქვეყნის სათაყვანოს? ვინ მაღირსებს ქვეყნის სალოცავს? — ქეთინო დარწმუნებული იყო, ამ საუცხოვო ადგილებთან რაღაც იდუმალი კავშირი ჰქონდა ოქროსაც, ისიც ამ წარმოდგენის ზეგავლენით წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს და როდესაც ასეთ შთაბეჭდილებას მარიკას ეუბნებოდა, მარიკაც სანუგეშოს არას ურჩევდა გარდა იმისა, წინანდებურადვე ხალხში არ გამოსულიყო. ქეთინო მის ერთგულებაზე ეჭვებში შედიოდა და უმატებდა:

— ნუთუ ამასაც არ ემეტება ჩემთვის ოქრო? მარიკას?! — შესძახებდა ქეთინო გაოცებული, როცა მეგობარს შორდებოდა... — რა მიზეზია? ოხ, ცხადად ეტყობა მარიკას, ქეთინოს სიტყვებს მისთვის ვერაფერი სიამოვნება ვერ მოეტანათ. ამასაც ხომ არ უყვარს? ან რა გასაკვირველია? ვის არ ეყვარება უმანკო ანგელოზი ოქრო? პაციკო? რა მოუვა საბრალოს? ის დიდიხანია აღარ უნახავს, უსათუოდ იმედი გადაწყვიტა!. ოხ, ახლა კი მიმხვდარია ქეთინო, თუ რათა სწყინს მარიკას, როდესაც მან ყურადღება მიაქცია ოქროს.... ძმის გულისათვის, უეჭველია... არა, არა, ოქროს, მარტო ოქროს შემოევლება ქეთინო, მაგრამ როგორ? სად შეხვდეს? ხალხში გამოვიდეს? ქეთინო მაინც ვერ ბედავდა, ეშინოდა — რა ვუყოთ, რომ ჯეროს დახატვა უნდა? დახატავს და წავა, თვალით აღარც კი დამენახვება!.. ჩემამდის ვინ მოაღწევინებს: დღეს თუ ხვალ წაიყვანენ.

ქეთინოს ყური მოეკრა თამარზე, აგრეთვე განოსაგან გაეგო, მაკინე თურმე ურიგებდა ვიღაც მდიდარ ქალს.

— არა ვერავის ვათქმევინებ, მეც მას უკან დავდევდი! -- წარმოსთქვა ქეთინომ. — ფეხს აღარ გადავდგამ იქ, სადაც ოქრო შემხვდება, თუმცა გული სულ სხვას შემთხოვს.

მოუვიდა განოსგან დაპატიჟების წერილი, არ წავიდა. მოვიდა სადარბაზოდ მაკინე, არც მაშინ გამოსულა.

— რა საერთოა ჩემსა და მდიდრულ ქალს შორის?! — გული არ მიუწევდა მაკინესკენ. კიდევაც ეშინოდა მისი.

— სჯობს რაც არ იქნება, ნუ იყვეს! — განაგრძობდა ქეთინო უიმედოდ. გაიანე მოვიდა, შეეხვეწა წაჰყოლოდა, რადგან მაკინეს უნდა ქეთინოს ნახვა.

— რისთვის? — კითხა გაოცებით ქეთინომ, როდესაც განო არწმუნებდა, რა თავმდაბალი ქალი იყო მისი და.

თავმდაბალი? მერე რა თავმდაბლობა მართებს ქეთინოსთან? თავმოყვარეობამ ხმა გაიღო ახალგაზრდა ქალში, უნდოდა განოსთვის ეკითხა, მაგრამ გონებამ დააკმაყოფილა შემდეგის პასუხით: — უფროსობისა და სიმდიდრისა გამო. ქეთინოს გულში ეცინებოდა. — არა, ის ვერავის გაიბატონებს, თუმცა ღარიბია, მაინც სხვებზე მდიდრად მიაჩნია თავი, — ქეთინო ჩაჩუმდა.

— არ შემიძლიან წამოსვლა! — გადაწყვეტით უთხრა განოს.

— აქამდის თუ დადიოდი?..

— მაშინ შემეძლო, ახლა ველარ.

— ახლა კი მიმხვდარი ვარ, ოქროს ერიდები, განა? — გაიანემ თვალი თვალში გაუყარა ქალს, ქეთინო გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— მე ოქროსთან მოსარიდი რა მაქვს? — უთხრა მან.

— რა ვიცი, აღბათ შეატყე, მოსწონხარ, და შორს უდგები, ეთამაშები!

— ოქროს მოვწონვარ, ვეთამაშები?! — ქეთინო ჯერ პირველში გაწითლდა, მერე ფერმა გადაჰკრა. — მერწმუნე, განო, ეგ ჩემთვის პირველი გაგონებაა! ვეთამაშები? არა, შემცდარი ხარ!

— რა არის მერე, კიდევაც რომ აგრე იყვეს?.. განა ღირსი არ არის ოქრო? განა არც ის მოგწონს? არა, ქეთინო, ის შენთვის გადარეულია. — ქეთინომ სიამოვნებით გაიღიმა, სახე გაუცოცხლდა, აღარა ათქმევინა-რა განოს, პირზე ხელი მიაფარა.

— არა გჯერა?.. ღმერთს გეფიცები, მართალს გეუბნები!..

— სსუუ!.. მჯერა! მაგრამ ნუ ამბობ... არაფერი არა იქნება-რა. მაგ აზრითაც არ ვუყურებ ოქროს.

განომ ხელი გაუწკაპუნა ლოყაზე და ჩაჩუმდა. ის იყო ქეთინო მოლბა, უნდოდა დამორჩილებოდა განოს, მას მოუნდა განოსთან დამეგობრება, დაახლოვება, სწყუროდა სულ მასთან ყოფილიყო, თვალები მოეხუჭა და განოს ელულუნა, ეჩურჩულა სულ ერთსა და იმავე საგანზე, სულ ოქროზე. რომ არ შერცხვენოდა, კიდევ ხელმეორედ ათქმევინებდა, გაამეორებინებდა, თუ როგორ მოსწონდა ის ოქროს, რა სიტყვებით იხსენიებდა, მაგრამ არჩია გაჩუმება, თავს ძალა დაატანა, შეეკავებინა აღძრული სურვილი. განო შემოსწყრა და წავიდა. და რომ გაესწორებინა თეკლეს, ქეთინოს მოუფიქრებელი ბავშვური საქციელი, გამართა სადილი, მოიწვია განო და-ძმით. მაშო პირველში ძალიან სწუხდა, რომ მას ოქრო ყურადღებას აღარ აქცევდა, მერე კი დლითი-დღე შეეჩვია იმ აზრს, რომ სრულიად დაკარგავს, მტრის გულისად გახდომას, ისევ სჯობდა, თავის დას შეერთო და ოჯახს გარეთ არ გასულიყო ოქრო. თეკლეც ასე ფიქრობდა, ცდილობდნენ ახლა ქეთინოსთვის, თუმცა მაშო მაინც განაგრძობდა ოქროსთან კეკლუცობას, იქნება კიდევ როგორმე დავიბრუნოვო... ქეთინო მოუთმენლად ელოდა სტუმრებს. გამოუცხადეს თუ არა, დღეს წვეულება გვაქვსო, უარის უთქმელად დაეთანხმა გამოსულიყო. მეზობლები შეგროვდნენ, ყმაწვილკაცობა, შაქრო აღარ შორდებოდა მარიკას; ყველაზე მეტად დაღვრემა ეტყობოდა პალიკოს, რომელიც მოწიწებით ეპყრობოდა ქეთინოს, ცდილობდა იშვიათად დალაპარაკებოდა. სტუმრებმა თავი მოიყარეს, გაიმართა ცეკვათამაში, სანატრელები კი იგვიანებდნენ. უცბად დერეფნიდან გაიგონა ქეთინომ ოქროს ხმა, ის გავარდა თავის ოთახში, აღელვებულს სული ველარ მოეთქვა, თითქო არც მადლიერი იყო მისი მოსვლისა, რადგან გული არ უმშვიდდებოდა, უჩქროლავდა. გაფითრებული სახე, ათრთოლებული ხელები უსათუოდ ადვილად გასცემდნენ საიდუმლოში. ის იდგა სარკის წინ, სავარცხლით ისწორებდა ჩამოწეწილ თმას, რომელშიაც გაებნია მინდვრის გაცრიაგებული ყვავილი. დაკვირვებით უყურებდა სახეს, ტანს, ჩაცმულობას. ერთხელ კიდევ მოიჟუტა თვალები, გადგა განზე, ადმა-

ცერად გახედა სარკეს, შემდეგ გაღიმებული გამოვიდა, მიესალმა განოს, დაკოცნა. ამ კოცნით თითქო სთხოვდა მოტევებას.

— რა მშვენიერებაა!.. — დაუმატა მან გულში, როდესაც შეხედა მაკინეს.

— რა ამბავია, კნიაჟნა, რომ ამის მეტად ვერსად განახეთ? — ეკითხებოდა მაკინე მედიდურად, თვალებში გამოუკრთოდა დაცინვაც...

— არ მიყვარს არსად სიარული, — მოკლედ და თამამად მიუგო.

„რა თავვასული გომბიო ყოფილა!" — გაიფიქრა მაკინემ, მაინც არჩია დროებით მოფერებოდა.

— იმედი გვაქვს, დღეის იქით მოხვალთ განოსთან და უფრო დაახლოებით გავიცნობთ ერთმანეთს! — განაგრძო იმავე კილოთი მაკინემ.

— გმადლობთ..., ვეცდები... ჩემთვისაც სასიამოვნოა თქვენთან მოსვლა, თუ დრომ ნება მომცა.

— თქვენისთანა ახალგაზრდა ქალისთვის დროსა და მოუცლელობას რა საქმე აქვს?..

— იმედია, კნიაჟნა გვეწვევა, — ჩაერია ამ დროს ოქროც.

— კნიაჟნა, ახლა თქვენი რიგია შეგვაქციოთ ფორტოპიანოს დაკვრით! — სთხოვა მაკინემ.

— დიდის სიამოვნებით ავასრულებდი თქვენს თხოვნას, რომ მცოდნოდა დაკვრა...

— სამაგიეროდ მხატვრობისთვის ხელი მიგიყვიათ! ხომ შეიძლება ვნახოთ?

— მაპატიეთ, კნეინავ, ჩემი ხელოვნება იმ ღირსებამდის არ არის მიღწეული, რომ გამოქვეყნდეს...

— დაფასება თქვენის ნახატებისა უფრო გარეშე პირზეა დამოკიდებული და არა თქვენზედვე. სად გახლავთ ჩემი მეგობარი ჯერო? — დაუმატა ოქრომ, როდესაც მაკინე წავიდა იქით. ქეთინომ უფრო თავისუფლება იგრძნო.

— ბაღჩაშია, ბადახსა სძოვს, თქვენზე გაჯავრებულია, რაკი დაპირებული არ აუსრულეთ.

—უმადურს ხომ არ მეძახის? ისე აღერსით მომექცა პირველში, მე კი თითქო დავივიწყე.

— რახან თავს დამნაშავეთა გრძნობთ, შეცდომა გაასწორეთ, ჯერო კეთილია, სულგრძელი, მოგიტევებთ.

— ეჭვი არ უნდა, რადგან ალზრდილია თქვენს სურვილსა და ხასიათზე. საროდიოდ შეიძლება საკანონოს გადახდა?

— როცა მოისურვებთ.

— ხვალ?

— შეიძლება.

— არ შეგაწუხებთ?

— არა.

აქ მყოფები თვალს ადევნებდნენ ქეთინოს და ოქროს, რომელიც უფრო სახის გამომეტყველებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მუდამ ცდილობდნენ ერთად ყოფნას. მანდილოსნები კიდევაც ჩურჩულებდნენ იმათზე. მაკინეც არ აკლებდა ყურადღებას, თუმცა ვითომ არ იმჩნევდა; განაგრძობდა დიასახლისსა და სხვა ქალებთან უზრუნველად ბაასს. განოც, როდესაც კი ხელში მოიგდებდა ქეთინოს, მუდამ ჩასჩიჩინებდა, თუ როგორ გადარეული იყო მისთვის ოქრო.

— ქეთინო, რას იტყვი ჩემი ძმალი რომ გახდე? მერე როგორ შემოგხარის, ბეჩა, და რაზე გადაგვირიე ის ყმაწვილი, ქალო? — ქეთინო ხმას არ იღებდა, მარტო ნეტარებით იღიმებოდა. ოქროც კმაყოფილი იყო დლევანდელის დღით, გადასწყვიტა, დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე ხანს, რადგან ქეთინომ ნება მისცა, მათთან ევლო. ოქრო უეჭველად მივიდოდა... თუმცა მაშო და თეკლე დაუშლიდნენ, მაგრამ ხშირად მიეცემოდა დრო თავისუფლად ყოფნისა ქეთინოსთან მარტოდ. საკმაო იყო წარმოედგინა ეს ოქროს, რომ გამოუთქმელი სიამოვნება ეგრძნო.

— რა კარგი ხარ! რა უმანკო! — განუწყვეტლად იმეორებდა ის გულში. დღევანდელი დღე უჩვეულოდ ლამდებოდა ყველასათვის. ქალებს ახალი საჭორაო გასჩენოდათ, ქეთინო და ოქრო ერთიმეორეს დაასხლოვებოდნენ, თეკლესა და მაშოს დაეჭეშმარიტებინათ, რომ საქმე მალე გათავდებოდა, ოქროზე იმედდაკარგული მარიკა ალარ უფრთხოდა შაქროს, რომელიც აგრეთვე კმაყოფილი განაგრძობდა ტრფიალებას. გაფითრებული პალიკო ხშირად უყურებდა ამ ორ არსების ფარულ ალტაცებას, გული უწყალოდ ეგმირებოდა. მაკინეც ფიქრობდა, ისეთი რა მოეხერხებინა, ქეთინოსა და ოქროს შორის მტკიცე კავშირი არ დამყარებულიყო. განო ცდილობდა, ქეთინოს აზრები შეეტყო. დანარჩენი ყმაწვილი კაცები ჩვეულებრივად მხიარულებდნენ, იქ მყოფთ შეაქცევ-

დნენ სხვადასხვა სათამაშოებით. არჩიდი არ შორდებოდა მაკინეს, ადასებდა მზეს, ქეთინოს მბჟუტავ ვარსკვლავს, მიმქრალებულს, უჩინარს, მზის ბრწყინვალე სხივისაგან დაჩაგრულს, მიდეულს. ამგვარად გაატარეს მთელი დღე. კარგა ბინდი იყო როდესაც დაიშალნენ, ოქრო დაბრუნდა სახლში, ხვალინდელი დღის მომლოდინე. წერილი დასწერა ძმასთან, ატყობინებდა, ჯერ ვერ მოვიდოდა და ეხვეწებოდა, ყური ეგდო მამულისთვის, სახარჯო ფულსაც იბარებდა.

## XXVIII

— მაკო, ქეთინო როგორ მოგეწონა? — კითხა ოქრომ. როდესაც შევიდა დის ოთახში. ის უკვე ქვეშსაგებში ჩაწოლილიყო.

— ჰო, ისე რაღა, არა უშავს-რა... საკვირველია, ნაქები რომ ისე აღარ ეჩვენება ხოლმე კაცს. მაინც არა უშავს-რა... რაც კი შეეფერება იმ გარემოებაში მყოფს... შენა?..

— მე? აღტაცებული ვარ.

— მაშ შეირთე.

— წარმოიდგინე, ქეთინოზე ფიქრად არ მომდის ეგ აზრები, ის იმდენად წმინდად, მიუწვდომელ, განუხორციელებელ იდეალად მყავს დასახული, რომ მისი ცოლად შერთვა ვერ წარმომიდგენია, — მაკინემ შვებით ამოისუნთქა.

— მართალს ამბობ, ოქროჯან, იმისთვისაც მიყვარხარ ეგრე, რომ წლოვანობის შეუსაბამო ჭკუას და შორსმხედველობას იჩენ. ქეთინო ბავშვია, მეუღლეობისა არა გაეგება-რა და სანამ გონებას მოიკრებდეს, მანამ შენ შვილებიც უნდა გყავდეს. მეორეც ესა, ჩემო კარგო, ისეთი მოთხოვნილება გაქვს საქვეყნომოქმედო მოღვაწეობისა, მოძმეთა შემწეობისა, სხვადასხვა დაწესებულებათა მართვისა, მამულის წესზე დაყენებისა, რომ შენ მეტი შეძლება უნდა ეძებო. შენი საფერო... ნამდვილად დიზაა... იდეალებსაც მისწვდები, ძვირფასო. ნათესაობას, წრეს, რომელშიაც ტრიალებს ქალი, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს; რაც უფრო განვითარებულია და ნივთიერად მდიდარი, იმდენად შენს სიტყვას და აზრს მეტი ნაყოფის გამოღება შეეძლება. — ოქრო მივიდა სარკმელთან, გამოაღო კარი, კაშკაშა მთვარემ ოთახში შემოანათა, გააცურა სანთლის შუქი.

— რა საუცხოო ღამეა, მაკო, როგი მეძინება.

— ნუ დაიძინებ...

— ჰა, რას ამბობდი? დიზაა შესაფერი?.. არა, მაკო, მე ის არ მომწონს. აკი გითხარი, ჯერ არა ვფიქრობ ცოლის შერთვაზედა-მეთქი?

— შენი ნებაა! მეც მარტო ისე ვთქვი, იდეალების მისაწვდენად ნივთიერი ქონებაც საჭიროა-მეთქი, — განაგრძო მაკომ.

— ეგ მართალია, მაგრამ მარტო ნივთიერი სიმდიდრეც არა კმარა. განვითარება, ჭკუა, გონება და მიმზიდველი სახეც აუცილებლად საჭიროა.

— თავის დროზე მაგისთანასაც შეხვდები.

— ვთქვათ, მაკო, ქეთინო შენგან დასახელებულ გარემოებაში იყვეს, არც მაშინ იქნება შესაფერი?

— რატომ... ახლაც მაგას აგრე მიმზიდველად ხდის მარტო კეკლუცობა, სიყმაწვილის ლაზათი. მერე თანდათან წაერთმევა და დარჩება სოფლელი, შეუგნებელი გოგო, როგორც ანიკოა. ამას შენის ბედნიერებისათვის ვამბობ, თორემ თუ კი დარწმუნდები, რომ შენი ნამდვილად წარმოდგენილი იდეალი მასში იპოვება, შეირთე, ღმერთმა გაგაბედნიეროს! — ოქრო გულმოდგინებით უსმენდა დას, ერთის მხრივ ეთანხმებოდა, მეორეს მხივ ქეთინოს ლამაზი სახის, მის ნარნარ მიმოხვრის, ნაზ ლაპარაკისა და ქცევის გათვალისწინებაზე თითქო ეწინააღმდეგებოდა. ოქროს, მართალია, ფიქრად არ მოსდიოდა ქეთინოს შერთვა, — ნუთუ უეჭველად უნდა შეირთოს?! არა, ქეთინო მისი კარგი ნაცნობია, მაგრამ ამ დროს მეორე ხმაც არწმუნებდა, რომ მისი ნაცნობობა არ კმარიყო.

— სვალ მიდიხარ, ოქრო? — კითხა მაკინემ.

— სვალ? ხვალ ვერ წავალ... არამც თუ ხვალ, თითქმის ამ კვირეებშიაც, რადგან ჯეროს დახატვას ვაპირებ.

— მოახერხებ კი? რამდენი ხანია სასატი ქაღალდი ხელში არ აგიღია?

— არა უშავს-რა, მოვიგონებ როგორც იქნება. იქ, უნივერსიტეტში სასიამოვნო საგანი იყო ხოლმე და კარგ დროსაც ვანდომებდი. ახლა ისევ ხელი უნდა მივყო.

— რა კარგია მართლაც ჯერო. ნეტა იმისთანა მეც მაშოვნინა,

— შენ ისე ვერ შეინახავ როგორც უნდა. ქალაქის გამოფიტული, მოწამლული ჰაერი დიდხანს არ აცოცხლებს ბუნების ღვიძლ შვილსა. აქ კი ქეთინო მუდამ ველსა და მინდორზეა, ჯეროსაც ასეთი ცხოვრება ესაჭიროება.

ამათი ლაპარაკი კარგახანს გაგრძელდა. ის იყო აპირებდა ოქრო თავის ოთახში მოსასვენებლად შესვლას. მივიდა თუ არა კარებთან, შემოესმა ზარების წკრიალი. რამდენსამე წამის შემდეგ კარებზე მოგრიალდა ოთხცხენშებმული ეტლი, საიდანაც გადმოვიდა იასონი. როდესაც ოქრომ დაინახა მოწყენილი სიძე, მისვდა, კარგს არას იტყოდა, შეიყვანა თავის ოთახში, რათა მაკინეს არ გაეგო მისი უდროოდ მოსვლა.

— რა დაგმართნია? გამხდარხარ... ავად იყავი? — იასონი ჩამოჯდა სკამზე, კარგახანს იყო გარინდებული, მერე უღვაშებზე გადისვა ხელი, ეპოლეტებიდან მტვერი გადაიბერტყა.

— გაზეთში ხომ წაიკითხე? — ბოლოს კითხა მან.

— გაზეთი ოთხი დღეც არის, რაც არ მინახავს თვალით. არ მოუტანიათ. რა ამბავია?

— ჩვენ რომ N-ის ათასი დესეტინა გვქონდა...

— მერე?..

— რა მერე!.. გაიყიდა...

— რას ლაპარაკობ?! — შესძახა შეწუხებულმა ოქრომ, — რატომ არ შემატყობინე?

— ეჰ, რამდენჯერაც ჩემი საქმე გაიხდართოს, თუ შენ შეგატყობინე, სად წავა!..

— კაცო, ფულებს გასესხებდი... თავის დროზე ხომ დამიბრუნებდი ისევ. გაჭირვებაში თუ ერთმანეთს არ დავეხმარებით, დაღხინება საკმაოა?.. — ოქრო ჩააფიქრა ამ უსიამოვნო ამბავმა... ყველა ეს ხდებოდა მაკინესა და იასონის წინდაუხედავად, უანგარიშო ცხოვრებისა გამო, მაგრამ როგორ გაემტყუნებინა, როდესაც ასეთი მოთხოვნილება იყო ბუნებისა?! აუცილებლად დღეს თუ ხვალ მაკინეს მათხოვარსავით უნდა ხელი გაეწვდინა სამოწყალოდ... ამ დროს კარი გაიღო, გამოჩნდა ძვირფას ხალათში მაკინეც. როგორც ეტყობოდა, შესმენოდა იასონის მოსვლა და ამდგარიყო. მას სახეზე შიში ეხატებოდა. დაინახა თუ არა ძმისა და ქმრის დაღონებული სახეები, წინასწარი გრძნობა გაუ-

ცხოვედდა... იასონმა ხედზე აკოცა, ხმა-კი არ გაუღია, თითქო მის წინ თავს დამნაშავედა გრძნობსო.

— რა ამბავს იტყვი?.. — კითხა ცოლმა. იასონი მაინც თავ-ჩაქინდრული განაგრძობდა ჯდომას. — რა დაგემართა, ყმაწვი-ლო?.. — ხმა აიმაღლა მაკინემ...

— რა ვთქვა, როცა კარგი არა არის-რა?

— ცუდი, ხომ?.. სთქვი!..

— ისაკ მანიელოვი ყველას უყიდის მამულებს.

— და მერე, ჩვენ...

— ჩვენიც თან მიატანა...

— როგორ?.. მასთან დაგირავებული გაყიდა?..

— გაყიდა, მყიდველიც თვითონაა... — მაკინე გაფითრდა, ხმა ჩაუწყდა. ან რაღა ეთქვა?.. მაკინეს იასონი სძაგდა ამ წუთებში წინანდელზე მეტად. ვინ? ან რა არის მიზეზი?.. ბედისწერაა, ისევ ბედი!.. მაკინემ თვალები მოხუჭა, დარჩა რამდენსამე წუთს წამებაში, ვიდრე გულის მომწყვლელ აზრს მოურიგდებოდა.

— დავიჯერო, უკანვე აღარ დაგვიბრუნოს, როცა თავისი მი-ეცემა? — იკითხა ამ დროს ოქრომ.

— ისაკამ?.. ჰმ, მიჭირს... აქეთ-იქით თვალებს აბრიალებს, ჩქარა სხვისიც დავინარჩუნოვო და უკვე ხელში ჩაგდებულს უკან-ვე მოგართმევს? N-ის გაყიდვაც იმ თვის დამდეგშია.

— იმას კი ველარ მიირთმევს! — შესძახა გულმოსულმა ოქ-რომ. იასონი გავიდა ეტლის გასასტუმრებლად, დარჩნენ მაკინე და ოქრო. ორივენი კარგახანს გაჩუმებულები იყვნენ. ოქრო გა-შურებული ბოლთასა სცემდა.

— ოქრო! გახსოვს მეკითხებოდი, ბედნიერი ხარ თუ არაო?.. მაშინ გიპასუხე, ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინაა-მეთ-ქი!.. — წარმოსთქვა მაკინემ და იწყო ქვითინი. ოქრო მივიდა, ხელები ჩამოუხსნა სახიდან და დაუწყო კოცნა.

— მაკო, ძვირფასო. გამაგრდი, ნუ გეშინია, მე აქა ვარ!.. ყოველ ღონეს ვიხმარ, ის მამული დაგიბრუნო, თუ არა და ჩემსას შემოგწირავ, თავს შემოგავლებ, — ეხვეწებოდა ოქრო, თან ხელ-სახოცით სწმენდავდა ცრემლებს. მაკინემ დიდხანს ვერ მოახერხა დამშვიდება. ბოლოს, როგორც იყო, დაწყნარდა. ამასობაში შე-მოვიდნენ გაიანე და როსტომიც. რა გაიგეს, საქმე რაშიც იყო, დიდად შესწუხდნენ, განო ვედრებით უყურებდა ქმარსა, თითქო

სთხოვდა: მიე მაკინეს გუშინდელი აღებული ფულიო. როსტომიც ჩაფიქრებულიყო და აღარ იცოდა, რა ექნა... თან გულით და სულით უნდოდა, შემწეობა მიეცა ცოლის დისთვის, არც დაიშურებდა, არამც თუ სამოც თუმანს, არამედ ასს, ორასსაც, მაგრამ ამჟამად ის ფული დიდადა სჭირდებოდა, სურდა ეყიდნა მუშა საქონელი, ეგების შემოდგომაზე, ის რაღაც საჟენები იყო, ჩამოეტანა.

— „მოიცა და მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე გიხსნა მაგ გაჭირვებიდან". უმატებდა ის გულში, თვალით კი ანიშნებდა ცოლს, როგორ შეიძლება ამ ფულის დახარჯვაო.., კარგა ღამე იყო გასული, რომ ძლივს წავიდნენ თავთავიანთ საწოლებისაკენ... ოქრო თუმცა ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ძილი მასთან მიკარებას არა ფიქრობდა, თვალწინ არ შორდებოდნენ მაკინე, ქეთინო და ათასი საქმეები.

## XXIX

მეორე დღეს ქეთინო მხიარულად ღიღინებდა, ეალერსებოდა შორიდან ოქროს, რომელიც რამდენსამე საათის უკან უნდა მოსულიყო. ქეთინოს უხაროდა, აღტაცებას ემლეოდა.

— ჯერო, კი არა აწყენინო-რა, ძვირფასო! არ იცედქო! ის დაგიხატავს ამ სახეს, რქებს, მოხდენილ ტანს. შენი სურათი წავა შორს, ყველგან და ყველას ეცნობება ჩემი ჯერო. — ალერსით კოცნიდა ქალი შველს, ისიც უნაზდებოდა, მოუსვენრად ტრიალებდა; ქეთინო ასწორებდა მაგიდას, რაზედაც უნდა ეხატა ოქროს. თეკლემ იცოდა ეს განზრახვა ყმაწვილისა. როგორც გამოცდილს, კარგად შეეგნო, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა და კმაყოფილი იყო. ქეთინოს გარემოებაც შეიცვალა, დედამ და დამ უფრო ყურადღება მიაქციეს, დიდად ანებივრებდნენ. თეკლე მოელოდა სიმდიდრეს, დარწმუნებული იყო, რომ მის შევიწროებულ ცხოვრებასაც მზე მიადგებოდა, ეფერებოდა ქეთინოს და სრულ თავისუფლებას აძლევდა. მარტო ახლა იცნო ქეთინომ სავსებით ყველა ისინი. დებს შორისაც წინანდელზე მეტი კავშირი, მეგობრობა დამყარდა. მაშომ აღარ დაუშალა დას, გადასწყვიტა დრო მიეცა ხოლმე, რომ ის და ოქრო მარტო დარჩენილიყვნენ.

— ქეთინო, განა დღეს მოვა ოქრო?

— მგონი.

— მაშ მე მარიკასთან წავალ. — ქეთინო ჩამომჯდარი, მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილი, გაღიმებული, კმაყოფილი სახით შორს გაიყურებოდა, ბედნიერს გარემო სხივმოფენილ სამოთხედ ეჩვენებოდა. მაშოს სიტყვაზე კი თითქო სახემ ჩრდილი მიიღო.

— რადა? რისთვის უნდა წახვიდე?

— იმიტომ, რომ მე მეტი ვიქნები... — ასეთივე სიტყვებით მიმართა ქეთინომ თავის ჯეროს ერთხელ, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ ოქროს თვალსაც არ მოაკვრევინებდნენ, და შეეცოდა და.

— საიდან წარმოიდგინე? ოქროს აზრი ჩვენთვის ჯერ გაურკვეველია! იქნება იმისთვის მოიგონა ჯეროს ხატვა, რომ ჩვენზე ახლო იყვეს?

— მერე ეჭვში ვინ არის?

— ისიც არ ვიცი ნამდვილად, თუ რომლისთვის დაიარება? — განაგრძობდა ქეთინო. თან ეშინოდა, მაშოს სხვა არ დაესახელებინა.

— ვიცი.

— ვისთვის?

— შენთვის.

— ჩემთვის?! საიდან გაიგე?.. ვინ გითხრა?..

— ალბათ გავიგე, რომ ვამბობ!

— მაშო, აკი შენ გაქცევდა ყურადღებას?

— ჩემი ადგილი ახლა შენ დაგიდოცე... — ნაძალადევის ღიმილით დაუმატა მაშომ.

— მე დამიდოცე?.. რომ ჩამოვეცალო?.. ხელი ვკრა, ალარ დავენახვო და წინანდელურად გავსდე ნადირი, ის ადგილი ხომ დაგიბრუნდება? — შემკრთალის სახით, ეკითხებოდა ქეთინო.

— მაშ ის ადგილი ან სრულიად დაცარიელდება, ან კიდევ სხვა რომელიმე ქალი დაიჭერს, იქნება მარიკაც.

— შენ ველარა?

— ვერა...

— რატომ?

— ალარ შეიძლება...

— ვინ არის დამნაშავე?

— ბელი.

— ოჰ, არა, მაშო, მე! — შესძახა ქეთინომ ნაღვლიანად და ცრემლები გადმოსცვივდნენ თვალებიდან. მაშოს შეეცოდა, მოხვია ხელი და ღიმილით დაუწყო სანუგეშო ლაპარაკი:

— ნუ სწუხარ, დაო, მერწმუნე, სულ ერთია ჩემთვის ოქროს ყურადღება, თუ უყურადღებობა, მეტადრე მაშინ, როდესაც ვხედავ შენ მოსწონხარ... მე მისთვის აგრე რიგად გაგიჟებული არცა ვყოფილვარ!..

— ხომ მოგწონდა?

— რა ვუყოთ მერე, ახლაც მომწონს... — ამ სიტყვებმა მჭრელ მახვილად დაუარეს გულში ქეთინოს, უნდოდა, ოქრო მის მეტს ყველას მახინჯად სჩვენებოდა.

მაშომ დას თავი გადუღო, აკოცა და დაუმატა:

— ბედნიერი იყავი, ჩემო ქეთინო!

ღმერთო, სად იყო წინანდელი თავმოყვარე მაშო, რომელიც აგრე რიგად არ დასდევდა ქეთინოს სურვილს და ყოველ შემთხვევაში „მე"-ს გაიძახოდა!.. ქეთინოს დაავიწყდა წარსული უსიამოვნება, რაც ენახა და მისდამი სიყვარული ერთი-ორად გაუცხოველდა...

— ნურსად წახვალ! — შეეხვეწა ქეთინო.

— კარგი, რაკი აგრე გულით გინდა, დავრჩები... წამო, დავათვალიეროთ სტუმრის მისაღები ოთახი, ურიგოდ არა იყვეს-რა! — კმაყოფილი ქეთინო მსწრაფლ დაეთანხმა მაშოს. ამათ გასწიეს. სახლი ფაქიზი, მოხდენილი იყო, თუმცა კი მდიდრული მორთულობა, სანახაობა როსტომის სახლისა ბევრად აკლდა. ოთხ ოთახს ქვითკირისას გაკრული ჰქონდა სუფთა, მოვარაყებული ქაღალდი; სარკმელებზე ჩამოფარებული ფარდები, დივან-სავარძლები, საფენგადაფენილი მოკლე ტახტები ნაკერი ბალიშებით, კედლებზე დაკიდებული სურათები, ფორტოპიანო, დიდი მაგიდა ლამპარით — ყველა ეს შეადგენდა საპატიო ოთახის მოწყობილობას. ქეთინომ გადაშალა ალბომი, რომელშიაც ჩაეწყო თავისი ნახატები და დაამზადა. თეკლეს კი არა სცალოდა ამათთვის, ოჯახის საქმეში გართულიყო. მოვიდა დანიშნული ვადა, საათმაც თორმეტი დაკრა. ერთი საათი კიდევ და ოქრო გაჩნდებოდა. ქეთინო თანდათან მოუსვენრობას იჩენდა, თავბრუჭყვიალი ეხვეოდა. მისდებდა ბალიშზე თავს, თვალებს მოხუჭავდა, დარჩებოდა რამდენსამე ხანს

ასე. ხანჯისხან დაიწურწულებდა, ეს წურწული გამოსთქვამდა აღერსს, აღტაცებას. ქეთინომ აიღო ხელსაქმის ყუთი, ესეც საჭიროდ ჩასთვალა: როდესაც ოქრო დაიწყებდა ხატვას, ისიც მოყვებოდა ქსოვას. ქეთინომ მიიხედ-მოიხედა, მერე კარი ჩაკეტა, დაემხო მუხლებზე, იწყო ლოცვა... რას შესთხოვდა უფალს?.. რასაკვირველია, ოქროს ამ საუნჯის დასაკუთრებას. აი მოისმა კაკუნიც.

— ოქრო მოვიდა! — შემოიძახა მამომ. გაფითრებული ქეთინო წამოვარდა ზეზე და კარები გაალო.

— რა დაგმართვია ქალო? პატარა შეიცადე, ხუმრობა არ არის, აგრე არ ეჩვენო, — უთხრა მზრუნველობით მამომ და გაბრუნდა. ქეთინო ისევ ბალიშზე დაემხო, გული მაგრა ეჭირა, სუნთქვა უძნელდებოდა, მაგრამ განვლეს წამებმა, მეტი დახანება აღარ შეიძლებოდა და გამოვიდა ვითომც აქ არაფერიაო, მან მოკრძალებით, წყნარად დაუწყო ლაპარაკი ოქროს, რომელიც თვალებში შეყურებდა. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ სამივენი წავიდნენ დანიშნულ ადგილისკენ, სადაც დახვდათ ჯერო. მამო მხურვალე მონაწილეობას იღებდა მაგიდისა და სკამების გასწორებაში, რათა ოქროსთვის არაფერს დაეშალა ხატვის დროს და, როდესაც სტუმარი საქმეს შეუდგა, მოშორდა. ქეთინომ ვერც კი შეამჩნია მამოს გასვლა, ის ველარავის ხედავდა, იდგა მაგიდასთან, უყურებდა ოქროს ხელების მოძრაობას.

— დანაპირები, კნიაჟნავ? — კითხა ოქრომ.

— არ ვიცი!..

— დაგავიწყდათ?.. მგონი ნახატი უნდა გეჩვენებინათ?..

ქალმა გაიღიმა, დარცხვენით წინ გაუშალა რვეული. ოქრო ხარბად დააჩერდა ნახატს. ცხადად ეტყობოდა, რა მოუდოდნელ, უჩვეულო სანახავს ხედავდა. ქალი მოელოდა შრომის დამფასებლის აზრს, თავს მაღლა არ იღებდა, უძრავად დაყურებდა, ვერა გრძნობდა, ვერ ხედავდა, თუ გადმობნეული ხუჭუჭი თმა დაურიდებლად როგორ ელაქუცებოდა ოქროს ხელებს.

— კნიაჟნა! — წარმოსთქვა ოქრომ, შეაჩერდა მშვენიერ ნაზ სახეს ქალისას, რომელიც უკვე მისვლდრილიყო მის აღტაცებას და იმედმოცემული მადლობით უყურებდა კეთილ ყმაწვილკაცს.

— როგორ დავიჯერო, ეს ნახატი თქვენი ხელოვნებაა?

— ნუ დამცინით!

— რასა ბრძანებთ? წმინდა ხელოვნება და დიდი ნიჭი ატყვია ამ ნახატს. ნება მიბოძეთ, გიწინასწარმეტყველოთ დიდებული მომავალი! — ოქროს გულში აღეძრა მომეტებული მოწიწება. უყურებდა ქეთინოს, გრძნობდა რაღაც გაუბედავ თაყვანებას. ოქრო კვალად დაიხარა ნახატისკენ. ქეთინოს აღენიშნა ქაღალდზე პატარა კუთხე, სადაც ამჟამად ისხდნენ ახალგაზრდანი. დილის მზის სხივები მარაოსავით გადმოშლილიყვნენ აღმოსავლეთით, მას შეყურებდა ცის მინაზებული, დაჟვარდი სამყარო. ბრწყინვალე მარაოს უცქეროდნენ ყმაწვილი ქალი და ჟერო, რომლის თვალები ხატავდნენ მკვირცხლ აღტაცებას ყოველივე სანახავის მიმართ. ქალს დაღონება ემჩნეოდა, ვედრებით იხედებოდა ცისკენ, თითქო შესთხოვდა, ძვირფას მარაოსგან ერთ-ერთი სხივის გამოტყორცნას, რათა მის შემწეობით ასულიყო მაღლა და მიახლოვებოდა მიზანს, მაგრამ სურვილის ასრულება უძნელდებოდა, შუაში ჩასდგომოდა ბურუსი, გამჭვირვალე, დამაშორებელი ჰაერი. ყველა ეს აკლდებოდა, გარდუვალ საზღვარს სდებდა მისწრაფებასა და განხორციელების შორის. ქალი მაინც არ ურიგდებოდა გარემოებას, თვალები განაგრძობდნენ ლოცვა-ვედრებას, ოქრო მიხვდა, ეს მზე ქეთინოს იდეალი მხატვრობა იყო, საითაც მიესწრაფებოდა ქალის სული და გული. ქეთინო კი სხვაფრივ განმარტავდა. ყოველივე წერტილს ცხადი, მკაფიო, გულდადებული ადგილი ეჭირა. ნაკლულევანებაც ემჩნეოდათ, თუმცა არ იხსენიებოდნენ თვალსაჩენ ღირსებებთან ერთად: მას ეყურებოდა ოქროს ტკბილი ღუღუნი, გრძნობდა, უკვე თითქმის შესრულებულიყო მისი თხოვნა. ბურუსი შეთხელებულიყო, დაახლოვებოდა ბრწყინვალე მარაოს.

ოქრომ ხელში მოიმარჯვა სამხატვრო ფანქარი.

— კნიაჟნა, სთქვით რამე! — უთხრა მან.

— რომ დაგიშალოთ?..

— არა, ხალისს შემძენთ. ტკბილი ხმის გამგონე გულისთქმას ემონება, მუსიკას უკრავენ ჩემს გასახელებლად.

— ნუ დამცინით!..

— დაგცინით? — დაღაბლებულის ხმით წარმოსთქვა ოქრომ, თვალებმა აღარ დააცადეს დაწარჩენი სიტყვების დამთავრება, გადასცეს უფრო მხურვალედ, გრძნობით. ქეთინო გაწითლდა, თვალები დახარა საქსოვზე.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?.. — განაგრძო ოქრომ, თან ხელს გაუჩერებლივ დაასცურებდა რვეულზე, — ხომ?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ცოტა ხნობით...

— რადა, საუკუნოდ!

— თქვენ წახვალთ ტფილისში. ბევრს ნაცნობებს შეხვდებით. მაშინ უეჭველია, შეწყდება ჩვენი მეგობრობაც.

— განა თქვენ კი არ ჩამობრძანდებით?..

— არა მგონია, თუნდ ჩამოვიდე, მოკლე ხანს. იქ სიცარიელეა, სიმჩატე, გონება უჩდუნგდება ადამიანს. აქაური ჰაერი, ბუნება ნებას არ მაძლევენ თავი დავანებო მათ... შარშან გახლდით იქა. ვიცი რა ხდება, რა აზრს და მოქმედებას ადგანან იქაური მცხოვრებნი. ხომ გეცნობებათ ლიზა სვიმონიშვილი?.. — დაუმატა ქეთინომ. შეხედა ოქროს.

— ვიცნობ.

— როგორ მოგწონთ?

— სახით არაფერია, თვითონ ქალს კი ძალიან აქებენ...

ქეთინოს გული დაუმძიმდა, მაინც გადასწყვიტა, დაწვრილებით გამოეკითხა, გაეგო საქმე რაში იყო.

— ის მდიდარია და ბედნიერი, — განაგრძო ქეთინომ.

— როგორ?.. განა ბედნიერება სიმდიდრეშია?.. — ქეთინოსაგან სიმდიდრის ხსენებამ ოქროსაც გული გაუგმირა. ნუთუ ესეც სხვა ქალებსავით შეძლებას ეძებს, ალმერთებს?.. — გაიფიქრა.

— ოლონდაც, როცა ფუფუნებაში სცხოვრობთ, მუხლს გიდრეკენ, გადიდებენ იმდენად, რომ თქვენი უკუღმა ქცევაც კი, თქვენი წყევა-კრულვაც წყალობად მიაჩნიათ. თქვენ მაშინ ბრძანდებით მეფე, ისინი მონანი. შეგიძლიანთ აისრულოთ ყოველი სურვილი.

— მეტადრე მაშინ, როცა შამპანის ღვინო გააბრუებს ბრბოს გაწყალებულ ჭკუა-გონებას? — დაუმატა ღიმილით ოქრომ.

— ან რა სჯობიან ბატონ-მეფურ ცხოვრებას? იქნება ლარიბი და მაშვრალის ყოველდღიური ჭირ-ვარამი? — ოქრო უსმენდა ქალის ლაპარაკს გაოცებული. რას ნიშნავდა ყველა ეს, ვერ მიმხვდარიყო. სოფელში ჩაკეტილი, მონასტერში აღზრდილი ქალი, რომელიც ბუნების გარდა ვერას ხედავდა, გამოსთქვამდა ასეთ

აზრს ცხოვრებაზე?! ქეთინო გამოდგებოდა ყოველ რიგ გარემოებაში; არც ერთი, როგორც სიმდიდრე, ისე სიღარიბე არ გააოცებშეაწუხებდა.

— მართალსა ბრძანებთ, კნიაჟნავ, შეძლებას დიდი მნიშვნელობა აქვს! — ოქრომ შეატყო ქალს უეცარი ცვლილება, წუთს მოშორდა ღიმილი, ნაღვლიანობა დაეპატრონა. ოქროს აზრი აირია, ქეთინო ვერ იცნო, მაგრამ ამ დროს გონების მსჯელობა დაიმონა გრძნობამ, მიუხედავად იმისა იწყო თავისებურად ძალზე მგერა. გადაავიწყდა წარსული, მომავალი, მიმართა თვალები ამოცანა ქალს, რომელიც ამ რამდენისამე წუთის წინათ თითქო მაღლა, სრულიად მიუწვდენელ ბორცვზე ასულიყო და ახლა კი ისევ დაახლოვებოდა.

— კნიაჟნავ, თქვენ გჯერათ სიზმარი? — კითხა უეცრად ოქრომ.

— სიზმარი? ბევრჯერ სიზმარი ახდება ხოლმე. რა იყო?

— მეც დღემდის არა მჯეროდა, მაგრამ წუხანდელს აქეთ მრწამს.

— გეტყობათ, სიზმარს ძალზე უმოქმედნია!

— ძალიან... მადლობასაც შევწირავ შემოქმედს, თუ ამისდენს...

— ხომ შეიძლება მისი თქმა?

— რატომ. ვნახე საუცხოვო სიზმარი... ვითომ ვიდექი ეკლესიაში, სადაც დიდებული დღესასწაული იყო, ვლოცულობდი გულმხურვალედ.

— ცხადადაც ლოცულობთ ხოლმე?

— დიახ...

— ხატზე ლოცვას ახლანდელი ყმაწვილები რომ ველარ ეწყობიან!..

— სხვისი არ ვიცი და მე კი ყოველთვის ვლოცულობ ხოლმე წმინდა სალოცავზე. იმ დროს მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა ქალი, — განაგრძო ოქრომ, — სპეტაკის სახით, ცისფერი თვალები ხატავდნენ მადლსა და გონიერებას. ბეჭებზე ეყარა თმის ნაწნავნი, მოკლე ხუჭუჭები სახეს გარს ყდად შემოსდგომოდნენ, — ოქროს პირზე ღიმი მოსდიოდა. ის ატყობდა ქალს ცვლილებას, მაგრამ ვითომ არ ამჩნევსო, ისევ განაგრძობდა:

— მოვიდა, ჩამხედა თვალებში და მითხრა, გამარჯვება, მე-

გობაროვო. შევხედე, ვიცანი ის არსება და აღტაცებით ვუპასუხე: გაგიმარჯოს, ჩემო მშვენებავ-მეთქი!...

— მერე, ვინ იყო ის ქალი! — იკითხა ქეთინომ, თავი ჩაღუნა, თითქო გაუძნელდა საქსოვის თვალის ამოღებაო.

— ის... ის... დამაცათ! ის თქვენ იყავით, ქეთინო.

— მერე?

— მერე გვერდით ამომიდგა, მითხრა: მე ვიქნები შენი საუკუნო მეგობარიო. მისმა ანგელოზურმა, ნაზმა ხმამ მომაჯადოვა. იმ დროს ჩემ ზემოთ საყდრის აივნიდან მგალობელთა გუნდმაც ღაღადჰყო: წმინდა ხარ, წმინდა ხარ, ღმერთო ჩვენოვო... მეც მას გრძნობით შევუერთე: და წმინდა იყვეს ჩვენი მეგობრული კავშირიცა-მეთქი, — ქეთინოს ეყურებოდა უცნაური სიტყვები, დაბანგული ანგარიშმიუცემლად ეკითხებოდა დაჟინებით:

— მერე?

— მერე სიზმარი სინამდვილედ შეიცვალა. ის სიზმარი ახდება მით, რომ ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ.

როგორ მიელო ქეთინოს ოქროს ლაპარაკი?... როგორ განემარტა? ის თითქო ველარაფერს ხედავდა, ჩურჩულებდა: დიაღ, მეგობრობა, სწორედ მეგობრობა! ოქროს თვითონაც ვერ გაერკვია, თუ რა იყო ქეთინო მისთვის? მეგობარი?.. სათაყვანო?.. სალოცავი?.. ყველა, ყველა, რასაც კი ადამიანის სიცოცხლეში ადგილი ეჭირა გარდა საცოლოსი... ოქროს ფიქრი-ოცნება ჯერ არ შემდგარა იმ მოსაზრებაზე, თუ ქეთინოსთან ოდესმე შეუღლდებოდა. მორწმუნე ღვთისმოყვარე ოქროს ქორწინება მაინც სამძიმოდ მიაჩნდა. რკინის ზღუდე, რომელიც შეუბოჭავდა თავისუფლებას, აშინებდა, ქეთინო უყვარდა სულით და გულით, თავს გასწირავდა მისთვის, მის ნიჭსა და გონებას გზად და ხიდად გაედებოდა სამუდამოდ, საუკუნოდ. როგორ და როდის? ეს კი ჯერ ვერ მოესაზრებინა. ქეთინოს მსჯელობა კი სხვა მიმართულებას იღებდა, — ვერ წარმოედგინა, რომ ერთმანეთისათვის თანამკვდარნი, წამებულნი, თუ რაიმე დაბრკოლება არ გადაელობებოდათ, არ დაკავშირებულიყვნენ წმინდა ეკლესიის კურთხევით. რა სიხარული, ბედნიერება, ნეტარება იქნებოდა ის მტკიცე უღელი, რომელშიაც შეებმოდა ქეთინო, გაჭირვების დროსაც ქვეყანას შეეჭიდებოდა საუნჯის დასაცავად.

— ადრეა, თავის დროზე ისიც იქნება!.. — ფიქრობდა ქეთინო,

ოქროს მოაგონდა, რომ მის აქ ყოფნაში კარგა ხანმა განვლო, საათიც ემოწმებოდა, მესამეს უჩვენებდა, აკრიფა ქაღალდები, წამოდგა.

— დღეისთვის კმარა... ნახვამდის! — ოქრომ გაუწვდინა ქეთინოს ხელი. ქალს ხელები უთრთოდნენ, მაინც განაგრძობდა ოქროს ხელშივე ყოფნას.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— დიახ.

— ყური ვუგდოთ წუხანდელ სიზმარს.

— განა ყოველ ღამე შეიძლება ვნახოთ ის, რაც სასურველია? — იკითხა ქეთინომ.

— შეიძლება.

— როგორ?

— რომ ვიცოდე, გიამბობდათ, წამალს გასწავლიდით.

— აბა სთქვით!

— გიამებათ?

— იქნება!

— მართლა?

— კარგია, სთქვით!

— ილოცეთ!

— ვილოცო?! — ქალს არ გაუკვირდა ეს ღონისძიება, რომელსაც ხშირად მიმართავდა ხოლმე. დარწმუნდა, — ოქროს მართლა უყვარდა ქეთინო. რა ბედნიერი იყო! ვინ ასწავლიდა ლოცვას?.. თვითონვე სათაყვანო?.. მაინც არ შეიმჩნია.

— რომ ვილოცო, ვნახავ?..

— უეჭველად.

— რადა?

— იმისათვის, რომ... ვერ გეტყვით ამის მეტს, რომ უნდა ილოცოთ, — უპასუხა აღელვებულმა ოქრომ ქეთინოს ლოყები შეუწითდნენ, წარბები მოეღუშა, მიიღო ბრძანებითი კილო:

— სთქვით!

— ილოცეთ, ქეთინო, წმინდა სიყვარულს ყოველთვის ლოცვავედრება მოსდევს ხოლმე, — უეცრად დაუმატა ოქრომ, აალაგა წიგნები და საჩქაროდ გასწია. ქეთინო უძრავად იდგა. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ქალმა ვერ მოასწრო გონზე მოსვლა, უყურებდა ჩქარა მიმავალ ოქროს, ხმა ვერ მიეცა, ვერ დაეძახა, ცოტა

კიდევ მოიცადეო, თუმცა გული ქიმუნჯსა სცემდა. როდესაც ოქრო თვალს მიეფარა, ქალი მოეხვია ჯეროს, დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

— გენაცვალოს ქეთინოს სიცოცხლეი, ოქრო! შენ შემოგევლოს ჩემი თავი!.. ჯერო, ძვირფასო, განა მოწამე ხარ ამ ბედნიერებისა? შენ გამაცანი, დამაახლოვე, ახლა საიდუმლოც შემინახე!.. ხომ მეგობარი ხარ! ჩემი ერთგული მეგობარი? ეჭვი კი არ აიღო, არ შეიშურო ჩემთვის ეს ნეტარება!.. ნუ მოიღრუბლე, ჩემო თვალის ჩინო! შენ ჩემი ამხანაგი, ის კი სული და სიცოცხლეა, საამქვეყნო დიდება, ის ჩემი აღდგომაა! — იმეორებდა ქეთინო.

## XXX

ოქრო დაბრუნდა ბედნიერებისაგან აღფრთოვანებული, აზღვავებულ გრძნობას გაეტაცა, დებთან დაუფარავად წარმოათქმევინებდა გაოცებას ქეთინოს ნიჭიერება-ჭკუა-გონებაზე. მაკინეც ჩვეულებრივის თავშემაგრებით უსმენდა. ოქროს თითქო სრულიად გადაავიწყდა თავის სოფლისკენ წასვლა, ფიქრობდა მარტო იმაზე, მალე გათენებულიყო და წასულიყო ქეთინოსკენ. ის გულმოდგინებით დაიარებოდა ყოველდღე, ხატვაც წინ მიიწევდა, მისწრაფება ქალისადმი უფრო და უფრო უცნოვეცდებოდა. მაკინე და განოც წინანდელ განზრახვას თავს არ ანებებდნენ, ეძებდნენ შესაფერ შემთხვევას, ემოქმედნათ. ოქროს აგრეთვე სჯეროდა, მის დებს სასიამოვნოდ მიაჩნდათ ქეთინოსთან ასეთი დაახლოვება. მორჩებოდა ხატვას თუ არა, ქეთინო და ოქრო შეუდგებოდნენ წიგნების კითხვას. მაშო და თეკლეც აღარ ერიდებოდნენ, ხშირად ისხდნენ ისინიც მათთან და ყურს უგდებდნენ. მაშო დროგამოშვებით მონაწილეობას იღებდა წიგნების კითხვაში. ამგვარად დღე-დღეზე მიდიოდა. მთელი სოფელი დარწმუნებული იყო, მათი ჯვარისწერა მალე მოხდებოდა, მეზობლები უკვე ულოცავდნენ თეკლეს. ეს უკანასკნელი თუმცა არ იღებდა ამ მილოცვას, მაგრამ მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც ისინი შეუღლდებოდნენ. ოქრომ სთხოვა ქეთინოს, ევლო მაკინესა და განოსთან, მაშინ მთელ დღეებს ერთად გაატარებდნენ, მეტ საქმეს გააკეთებდნენ. ქეთინო დათანხმდა. ბედნიერი იყო ქეთინო,

ბედნიერი იყო აგრეთვე ოქროც! რა იქნება ხვალ? ოქრო ძალიან ცოტას ფიქრობდა ამაზე. სწამდა, საუკუნოდ ასე იქნებოდა, რადგან არც ერთი დღე უქეთინოოთ არ შეიძლებოდა ყოფნა. აგრეთვე ქეთინოც მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, საათს, წამს, როცა ოქრო ეტყოდა გულახდით, სთხოვდა მასთან შეუღლებას.

— როდის-ღა? რად აგვიანებს? რა უშლის, იქნება დარწმუნებული არ არის ჩემს სიყვარულზე? მაგრამ ნუთუ ვერ მატყობს, როგორ ვიტანჯები, ვგიჟდები მისთვის?.. — ოქრო ეალერსებოდა, მაინც ეს ალერსი საკმაოდ არ ეჩვენებოდა.

— ასე, ჩემო მშვენებავ! ასე, ჩემო ანგელოზო! — ხშირად შეესმოდა ქეთინოს, როდესაც ოქრო უჩვენებდა ნახატის რომელსამე წერტილზე.

ქეთინოს თავაზიანად ეჭირა თავი მაკინესთან, მას კი ეჯავრებოდა. ქალი ცხადად ატყობდა ამ სიძულვილს, თუმცა ხმამაღლა არ გამოსთქვამდა.

— განა რა დამიშავებია მისთვის? რათა სწყინს, ოქრო რო ყურადღებას მაქცევს? ჯერ ხომ ჩვენში არა არის-რა!.. შეიძლება, კიდევაც შესწყდეს ასეთი ხშირი შეხვედრაც, — გაიფიქრებდა იმ მოსაზრებაზე, რომ მართლა შესაძლო იყო ოქრო მოშორებოდა, ნაღველი ლოდსავით დააწვებოდა გულზე ქეთინოს; მტანჯველ წამებას მიეცემოდა, მაგრამ ოქრო გრძნობით მიმართავდა თუ არა თავის მშვენიერ თვალებს, მძიმე, გაუძლისი მდგომარეობა ქეთინოსი, წუთს ისევ შეიცვლებოდა თავდავიწყებულ ნეტარებად. მაკინესაგან დროზე მოხერხებული ალერსიც გადაათქმევინებდა გულში წარმონათქვამს, გუნება სხვარიგად მიემართებოდა.

— არა, ვცდები! ოქრო მეტად მიყვარს -და ეჭვიანობისაგან მომდის, არა, მაკინეც ჩინებულია, ჭკვიანი, მშვენიერი და ანგელოზი! — იტყოდა ის და გულმობრუნებული საქმეებშიაც ხშირად შველოდა მაკინესა და გაიანეს. უკანასკნელი ხანდახან ჩაუარაკებდა, როგორ გადარევით უყვარდა ოქროს ქეთინო, ეს კი არ თანაუგრძნობდა.

— რას მეუბნები, განო?.. ვის არ უყვარს ოქრო? მე? ჰმ, რა კარგა შეგიმჩნევია! ოქრო თუ არ მიყვარს, მაში რა ფასი სდევს ჩემთვის ქვეყანას? ოქრო წმინდა ხატია, რომელზედაც ვლოცულობ ხოლმე. ძილი აღარაა. ოქრო, ოქრო, დაჟინებით გაიძახის ჩემი არსება. დანარჩენ მოქმედებისათვის დადუმებულია. შენ

მაყვედრი, ღამის ძმა დამიჭლექო, არ თანაუგრძნობო! განა ოქროს ბრალია, რომ მეც ვიტანჯები? განა მას უნდა დააყვედროს რომელსამე ჩვენგანმა? არა, ეს სიყვარულის ბრალია, განო, და სიყვარული და ტანჯვა ხომ თურმე ერთიმეორეს მისდევს? — ეუბნებოდა ქეთინო გაიანეს ერთს საღამოს, როდესაც ორივენი გამოსულიყვნენ ბაღში.

— რა ბედნიერი იქნები, ქეთინო, ოქრომ რომ შენზე ჯვარი დაიწეროს! — უთხრა ეშმაკურის ღიმილით გაიანემ.

— ღლონდაც! შენა? შენ რას იტყვი, ოქრო რომ ჩემი გასდეს? — კითხა ქეთინომ და შეხედა განოს.

— ძალიან გამეხარდება... განა საკითხავიც არი? — საყვედურით უპასუხა მან.

— მაპატივე, მრწამს, მჯერა, შენ ჩემთვის სიკეთე გინდა, — უთხრა ქეთინომ, ლოყაზე აკოცა, მერე ხელი მოხვია, მიეკრა მაგრა, დაუმატა ხელების მტვრევით, ზმორებით, რადგან თვითეული სიტყვა დიდად მოქმედობდა, შლიდა, ღაღავდა ამის არსებას.

— განო, ველარ დაგიმალავ, გენაცვალე! ოქრო მიყვარს, ის ჩემი სიცოცხლეა, მზეა, ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავ. მითხარი, დავიჯერო იმასაც ასე ძლიერ ვუყვარვარ? რას ატყობ?

— გადარეულია.

— რას ამბობს?

— ბევრს კარგსა.

— მაინც?

— იმას, რომ მშვენიერი ხარ! — ქეთინომ ნეტარებით თვალები მოხუჭა.

— კიდევ?

— ჭკვიანი.

— კიდევ?

— ნიჭიერი.

— კიდევ?

— რა ვქნა, განა არა კმარა? ისე გააგიჟე, თავის სოფლისკენ წასვლაც ველარ მოუხერხებია.

— მეც მითხრა და იცი, განო, როდი დავუჯერე!

— რა? — ცნობისმოყვარეობით ჩაეკითხა განო.

— რაო და ისე დავეჩვიე ყოველდღე თქვენს ნახვასო, რომ ველარ წავსულვარ ჩემი საქმეების საკეთებლადაო. გამოვკითხე,

რა საქმეები მეთქი? მან ამიწერა სოფლის გაჭირვება, მითხრა, როგორ უნდა შეეწიოს მას, დააარსონ, რამდენიმე მამულის მეპატრონემ, საწყობი, გახსნან მაღაზია, საცა გლეხკაცებს შეეძლებათ უშიშრად მიიტანონ თავისი ნაშრომი, მისცენ შესაფერი, ღირებული ფასი და პირში ჩალაგამოვლებული არ დაუბრუნდნენ შინ ცოლ-შვილს, აღარ გაიცარცვონ წვრილმან წურბელა ჩარჩებისაგან, რომელთაგანაც აკლებულია სოფლებიო. ის ფიქრობს კიდევ სხვა სასარგებლო საქმეებზე...

— მერე რა, არ დაუჯერე?

— ვითომც ჩემი გულისთვის რჩებოდეს აქა?

— ჰო, მე კი მეგონა არ დაუჯერე განზრახვათა შესრულებაl

— არასდროს! ღმერთმა დამიფაროს, ოქროს სიცრუე დავწამო! მაგისთანად რომ მეცნო, არც აგრე შემიყვარდებოდა.

— მართალია, სწორედ შენთვის რჩება... რა მაცდურები ვართ ქალები! ასე გასინჯე, მშრომელ ყმაწვილკაცებსაც კი ვაცდენთ, ვავიწყებინებთ დანიშნულება-მოვალეობას. — ქეთინომ კმაყოფილებით ჩაიცინა. — შენმა გაზრდამ, ქეთინო, ოქროზე ბევრ ქალს უჭირავს თვალი.

— მერე რა გასაკვირველია! რაში დაიწუნებენ? მართლა, განო, აკი ლიზა სვიმონიშვილს ურიგებდით? რა ქენით?

— ჩვენ კი არ ვურიგებდით, თვითონ მოსწონდა. საქმე საქმეზე იყო მისული, — რაკი ნახა, რომ უნდა გადაწყვეტით წარმოეთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა ქალთან, თითქო შეშინდაო, უკან დაიწია. მაგ საგანში უცნაურია ოქრო, ქორწინებას ძალიან უფრთხის.

ამ სიტყვების მოსმენაზე ქეთინო ჩაფიქრდა, განოს დაპარაკი ენიშნა, გულს კი მაინც იმედი მისცა შემდეგი პასუხით:

— მეც ვატყობ ოქროს, რომ დიდი მოყვარულია თავისუფლებისა. რასაკვირველია, არ იამება მისი შესუსტება ვისთანმე შეერთებით, მაგრამ, როდესაც ველარ შესძლებს გამედგრებულ მწვავე სიყვარულთან ბრძოლას, მარტო მაშინ მგონი უარზე აღარ დადგეს, ზნეობა შეუმწიკვლელი კაცი არ მოერიდება წმიდა ეკლესიას. — განო მისწვდა საწადელს, სრულიად ამოიცნო ქეთინოს გულის პასუხები. დიაღ, ქეთინოს სჯეროდა, რომ ოქრო ოდესმე მასთან შეუღლდებოდა.

— საწყალი! — ფიქრობდა გაიანე. ერთ რიგად კიდევაც უნდო-

და ყოველივე ეს დაემალა მაკინესათვის, მაგრამ რაკი ის თვითონ მასაც არწმუნებდა, რომ პირიქით, არ დაუშლიდა ოქროს და ქეთინოს ერთმანეთთან შეუღლებას, თუ, რასაკვირველია, დაინახავდა ქეთინოს მის შესაფერად, და რადგან თვითონ განოც თანაუგრძნობდა დას ამ აზრში, ამისათვის აღარა დაჰფარა-რა მაკინესთან. ქეთინოსაც დაპირდა, შემდეგშიც გავიგებ ოქროს აზრებს და უკლებლივ შეგატყობინებო.

მაკინეს კარგი მიზეზი ეპოვნა, ოქროს აღტაცება ქეთინოსადმი შეესუსტებინა. რამდენადაც ეცნო ქეთინო, დარწმუნებული იყო, როდესაც გაიგებდა, თუ ოქრო მაზე ჯვარის წერას არ აპირებდა, მოერიდებოდა, თუნდ რაც უნდა გადარევით ყვარებოდა. ოქროს კი ამისთანა აზრი არ ჰქონდა ქეთინოზე შედგენილი. მას რაცხდა იმდენად გონიერ, ღრმა მოსაზრებისა და გულის პატრონად, რომ ეს უკანასკნელი გარემოებაც სრულებით რომ არ ყოფილიყო, მაინც ქეთინო მას ხელს არა ჰკრავდა. მაკინე კი ამასობაში შეზუზუნებდა ოქროს დიდებულ მომავალზე, როცა ის თითით საჩვენებელი გახდებოდა და სიმდიდრეში მცურავი, ნა რიგად გაალონიერებდა გაჭირვებულ მოძმეებისკენ გაწოდებულ ხელს... მაკინე კარგად იცნობდა ძმას და სარგებლობდა მით. როდესაც შესაფერ წუთებს ჩაიგდებდა ხელში, არწმუნებდა ძმას, რომ ქეთინო ჩვეულებრივი ლამაზი ქალია და ღმერთს მადლობას სწირავს, რადგან შეუძლია ოქროს მაზედ ასეთი აზრების შედგენა; მაინც აფრთხილებს, როგორც ერთგული და, რადგან ქეთინო შეიძლება ისე უყურებდეს, როგორადაც მარტო სასარგებლო მდიდარ საქმროს. იმედს დაკარგავს თუ არა შერთვაზე, მაშინვე მოშორდება. თუ უკეთესს შეხვდება, იმასაც დაუფიქრებლად მისთხოვდება.

— ნუთუ წმინდა ანგელოზი ქეთინო მართლა ასეთია? — ფიქრობდა ეჭვებში შესული ოქრო.

— იქნება მართლა ვცდებოდე, სიყვარულით დაბრმავებული ვიყვე და მოტყუებული ვარ, როგორც მოვტყუვდი ტიტიკოში?.. მეტად უანგარო, მაღალი აზროვნების ქალი მოსჩანს, ნუთუ მართლა მოჩვენებაა? არა, არ დავიჯერებ... მაკო შემცდარია და მეტისმეტი სიფრთხილისაგან მოსდის ეს შეცდომა. ქეთინო წმინდა არსებაა, საუკუნოდაც ასეთი დარჩება. — ამ სიტყვებით გულს გაიმაგრებდა ოქრო, გასწევდა ქეთინოსკენ, სადაც სრულიად გაე-

ფანტებოდნენ შავი ფიქრები, რომელნიც მაინც წერტილებად აჩნდებოდნენ გუნებაზე... ბოლოს, როცა შეიტყო მაკინემ, ოქრო და ქეთინო აღარ ხუმრობდნენ, ხალხში თუ ისე, ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ, ერიდებოდნენ სხვა პირებს, ოქრო ჩამოეცალა ტოლებს: შაქროს, პალიკოს, მეტადრე უკანასკნელს, რადგან ცხადად ამჩნევდა მეტოქეობას და შესძაგებოდა, — გადასწყვიტა, ახლა უფრო ფრთხილად ყოფილიყო, თორემ შეიძლებოდა, საქმე ცუდად მომხდარიყო. თავს ველარ იმაგრებდა. ხანდახან გაბოროტებული ხშირად უკმეხ სიტყვებსაც ეტყოდა ქეთინოს, რომელსაც აღარ უკვირდა მისი ასეთი საქციელი, რადგან ატყობდა, არ ესიამოვნებოდა მისი ოქროსთან დაახლოვება, მაგრამ ქეთინო ითმენდა ოქროს სიყვარულის გამო.

ერთხელ როსტომს ბლომად ეწვივნენ სტუმრები, მათ შორის ყმაწვილი ქალი იყო. მაკინეს თუმცა არც ის ეპიტნავებოდა, მაინც ცდილობდა ამჟამად ოქროს ყურადღება მისკენ მიექცია. სადილზე დასხდომის დროს ოქროს სთხოვა უცხო ქალთან დამჯდარიყო და, როგორც იშვიათი სტუმარი სხვებზე მეტად გაერთო, დანარჩენი შინაურები იყვნენ, შეიძლებოდა დღეს ყურადღება მოკლებოდათ. ამ შინაურებში ერია ქეთინოც, მაგრამ ოქრო უცხო ქალსა და ქეთინოს შუა მოექცა. მას ათასში ერთხელ თუ ხმას გასცემდა, უფრო ხშირად კი ქეთინოს ელაპარაკებოდა, მაკინე იყურებოდა უკმაყოფილოდ. გული უბრაზდებოდა ქეთინოზე, რომელიც თითქო აღარც კი ეპუებოდა მას...

— ოქრო, კნიაჟნა კატომ მოგვიწყინა! — დაუძახა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ძმას. სტუმარი ქალი მოკრძალებული, ამასთანავე გონიერი აღმოჩნდა, კარგა შეიტყო, თუ რა ამბავი ხდებოდა ქეთინოს და ოქროს შორის. მაკინესაგან ძალდატანებული თხოვნა, რათა ოქრო მისკენ ყურადღებით ყოფილიყო, თავმოყვარეობას ულიზიანებდა, უსიამოვნებას ველარ მალავდა, ბოლოს მიუბრუნდა და ოქროს უთხრა:

— ნუ სწუხდებით, კნიაზო, ისეც მხიარულად გახლავარ. შეგიძლიათ თავისუფლად ელაპარაკოთ მას, ვინც სასიამოვნოდ მიგიჩნევიათ! — ოქროს შერცხვა, ბოდიში მოიხადა, ცდილობდა, როგორმე გაესწორებინა თავისი შეცდომა, მაგრამ სტუმარმა ყურადღება აღარ მიაქცია, დაუწყო გვერდზე მჯდომ ქალს ხანგრძლივი ლაპარაკი. სადილს უკან მაკინემ უსაყვედურა ოქროს,

სთხოვა ქეთინოს, კნიაჟნა უსათუოდ გაერთო, რათა კარგის შთაბეჭდილებით წასულიყო აქედან: ქეთინოც ცდილობდა, აესრულებინა მისი სათხოვარი, როგორმე გული მოეგო. ცქრიალა, ლამაზი ქეთინოც ოთახში მხიარულად დაცურავდა, დაპარაკობდა, იცინოდა, ცეკვავდა. ვინ იფიქრებდა, ეს იყო ის არსება, რომელიც რამდენიმე თვის წინათ სახლში შეკეტილიყო, მარიკას მეტს არავის ეკარებოდა?! მისთვის ამჟამად ყველანი ერთნი იყვნენ როგორც მარიკა, ისე სხვები და მათზე უფრო ძვირფასი ოქრო... ყმაწვილი კაცები გარს ეხვეოდნენ, ცდილობდნენ, მისი ყურადღება თავიანთკენაც მიექციათ, მით ოქროს მეტს ეჭვებს უღვიძებდნენ, ახელებდნენ ქალისკენ მისწრაფებაში. პაციკო კი ჩვეულებრივად გულჩაკლული შეყურებდა დაკარგულ ნეტარებას. ვახშამი გათავდა, ოქრომ მაშინვე ხელი უთავაზა ქეთინოს, ისინი წინ წამოვიდნენ ფარნით ხელში. უმთვარო ღამე იყო, გზა ძლივს მოსჩანდა. ოქროს და ქეთინოს თავიანთ თავის გარდა ყველანი დავიწყებოდათ და, რაც კი შეეძლოთ, წინ მიიწევდნენ. დანარჩენები უკან ჩამორჩნენ, გააბეს მხიარული სიმღერა, ზოგიც საღამურს უკრავდა.

— დღევანდელი საღამო უჩვეულოდ ჩაივლის, — სთქვა არჩილმა.

— ოღონდაც, თვითეულ დღეს თავისი მნიშვნელობა აქვს, — უპასუხა მაშომ, რომელიც მიხვდა თავადის სიტყვებს.

— თქვენა გგონიათ? რამდენ დღეს ჩაუვლია ისე უსაგნოდ, უხეიროდ, ადამიანისათვის კარგი არა მოეტანოს-რა!

— ცუდი ხომ?

— ეჰ, ცუდი რა სანატრელია!..

— ეგ სხვაა, კნიაზო, სანატრელია თუ არა, ხომ ჰქონია კაცზე მნიშვნელობა იმ ცუდის მომტან დღესაც?..

— კნიაჟნა ქეთინო დღეს მომხიბვლელია, არც ოქროსა აქვს ცუდი გემოვნება!

პაციკომ ნაღვლიანი ღიმილით გადახედა წინ წასულებს.

—კნიაჟნა ყოველთვის მაგისთანაა! — ჩაილაპარაკა მან და თავშემაგრებით ამოიოხრა.

მაშო დაწინაურდა, შეუერთდა ქალებს, რომ აღარ გაეგონა არჩილის ლაპარაკი, აღარ უნდოდა ქეთინოზე და ოქროზე მითქმამოთქმის მოსმენა.

— თუ ოქროსა და ქეთინოს საქმე არა ჰქონდეთ გათავებული, ამ უდვაშებს მოვიპარსავ! — განაგრძო ისევ არჩილმა.

— ღმერთმა გააბედნიეროთ! — მოესმა ისევ პაციკოს ნაღვლიანი პასუხი. არჩილმა ხმა ჩაკმინდა; ის წარმოადგენდა იმ პირს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ქეიფსა და დროს ტარებაში დაულამებია, წლითი-წლობამდის ერთ თვესაც არ გაჩერებულა სახლში, უვლია, უხეტიალნია ნათესავებსა და ნაცნობებში. არჩილის დარდი-ღონება იყო ფული, რომელიც დაუგვიანდებოდა ხოლმე რომელსამე მამულის გაყიდვა-დაგირავების დროს. ცოლის შერთვას ვერ ახერხებდა, მაგრამ ლამაზი ქალი მისი სულის დედოფალი იყო, როგორც იტყოდა ხოლმე. ის მუდამ ყურადღებით ექცეოდა ყოველ მცირე შემთხვევასაც კი, დაუფარავად წარმოსთქვამდა თავის აზრს, არ დასდევდა, რა შედეგს გამოიღებდა ამგვარი გულახდილობა, თუ მეტადრე მსმენელს ეყურადღებებოდა. არჩილი ატყობდა პაციკოს, რა გაფაციცებით შეყურებდა ქეთინოს, მიხვედრილიყო, იმ ქალს რა მნიშვნელობა ჰქონდა ამაზე და აი, ამისთვისაც სცადა დალაპარაკება, გაეგო პაციკოს აზრი, მაგრამ მოსტყუვდა, პაციკო მაინც მდუმარებდა, თავჩაქინდრული, ფიქრიანად გვერდზე მიყვებოდა ნელ-ნელა.

## XXXI

პაციკომ გადასწყვიტა გრძნობა რკინის ზღუდეში მოექცია, ქეთინოსათვის თავი არ მოებეზრებინა, რადგან წარმოედგინა ის ზიზღი, რომელიც ელვიძება ხოლმე თაყვანცემულს მოთაყვანისადმი, როდესაც ამ უკანასკნელს თანაგრძნობაზე იმედი დაჰკარგვია, მაინც არ ეშვება უკვე დიდიხნის მოწყენილი ტრფიალებით.

ქეთინოსაგან ზიზღი? მაშინ ხომ პაციკო უფრო სიკვდილს ირჩევდა! ეს გული-გონების ერთმანეთთან კამათი ზედ იდევდა დიდ ძალას, აღგზნებულ ცეცხლს კი რჩებოდა სუსტი გაცრიაგებული ფერფლი... მარიკა ამაოდ ამშვიდებდა, ამაოდ პირდებოდა შემდეგში ქეთინოს მისკენ გამობრუნებას.

— გათავდა! გადაწყდა! ქეთინო ოქროსია! მაშ ჩემი რაღაა? —

გაიძახოდა ტანჯული პაღიკო, გამოვიდოდა სახლის აივანზე და შეშლილსავით ელაპარაკებოდა თავის თავს.

— წამება! — სუსტ ხმაზე პასუხს აძლევდა გულიც.

— როგორ დავუთმო? არა, არა! სანამ პირში სული მიდგია, ის ვერ დაისაკუთრებს! — დაუმატებდა და საშინელი სიძულვილი მეტოქის მიმართ ანთებასავით დაუვლიდა მთელ ტანში. პაღიკო შევარდებოდა სახლში, დაავლებდა ქუდს ხელს, გამოვარდებოდა და აჩქარებით გასწევდა ოქროსკენ, სამუდამოდ გასწორებოდა მას. მაგრამ აგერა დაინახავდა ფერმკრთალ ქეთინოს, სწორედ იმ დროს, როდესაც ოქროსა და მას შორის გაიმართებოდა კარგა შესამჩნევი შეხირება, სწორედ იმ დროს, როცა ის მზად იყო ეძრო ხანჯალი, დაეჩიჩქნა მშვენიერი თვალები, მოეკვეთა მომხიბვლელი, თავაზიანი ტკბილი ენა, ქეთინოს ყურებს აღარ შესმენოდათ მისი ღუღუნი, აღარ შესჩერებოდნენ ნაპერწკლების მაბნევი თვალები, — იმ დროს ქეთინოს თვალები შემოჰყურებდნენ და ვედრებით ეტყოდნენ:

— შემიბრალე, ნუ გამაუბედურებ საუკუნოდ! — პაღიკოს გამეხებულ, პირქუშ, მრისხანე გულს უეცრად ესხურებოდა სათნოებასიწმინდის ცვარი, განდევნიდა ამ ბოროტ ბობოქრებას, მსწრაფლ შემაღლებული ხმა ძირს დაიწევდა, მშვიდდებოდა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაქადებულის ბაგე ტკბილ, მორჩილ, მეგობრულ პასუხს დაუბრუნებდა, ჩამოეცლებოდა მაზე არა ნაკლებ აღელვებულ ოქროს, თითებს ჩაუჭერდა ხანჯლის ტარს და მაგრა ტუჩებმოკუმული შეხედავდა მოწიწებით სათაყვანოს, რომელიც მადლობის ნიშნად ულიმოდა.

— თავს შემოვევლები ყოველ შენს სურვილს! სანთლად დავიწვი, დავდნები, ოღონდ შენ იყავ კმაყოფილი! — წაილაპარაკებდა, — ბედნიერი ხარ ოქროს სიყვარულით? ღმერთმა და ჩემმა წმინდა გრძნობამ გაკურთხოს, ციურო მშვენებავ! მეც ვეცდები შევიყვარო ოქრო, რამდენადაც გამაბედნიერებელი იქნება ჩემი სალოცავისა! იცოცხლე, სხვა არა მინდარა! — დაუმატებდა, თან გულს ხელით დაეჯაჯგურებოდა, თითქო უნდოდა ხმა ჩაეკმენდინებინა უთანაზიარო დაკვნესებაზე. პაღიკოს აგრეთვე ხშირად მოურთმევია თაიგული. სიბრაზე მორევია, როცა ქეთინოს უზრუნველის ღიმილით ჩამოურთმევია, მადლობა გადაუხდია, მერე უზომო სიყვარულით გადაუხედია ოქროსკენ, გაუწოდებია

ჯისთვის ეს ყვავილები, რათა მვირფას არსებასაც ეყნოსა მათი დამათრობელი სურნელება. ოქროსაც შეკრული კოპები გაუხსნია, შეუცვლია ნეტარ ღიმილად. პაღიკო კი თოფნაკრავსავით უკან გამდგარა, შინ დაბრუნებულა და თარის სიმებზე დაუღვრია მოთქმა-გოდება თავის უბედობაზე. პაღიკო აღარ იხსენებდა, არ აგონებდა ქეთინოს დაპირებულ მეგობრობას, თუმცა თვითონ პირნათლად შეესრულებინა აღთქმული. ის მაინც განუსაზღვრელ შვებას გრძნობდა ქალის მახლობლად ყოფნის დროს, თითქო ნაწვალები გული ისვენებდა, იძინებდა, ხან კი, როდესაც ველარ შეიკავებდა თავის ლოცვას წმინდა უმანკოებისადმი და უნებურად მისი თვალები ნაპერწკლებს გააბნევდნენ, ქეთინო შეკრთებოდა და უკან გადგებოდა.

— როგორ? განა ალერსით გაწყენინე, ჩემო ღვთაებავ?.. იმისთვისაც მერიდები? — ამ გახსენებაზე პაღიკო წინანდელზე მეტად შეავიწროვებდა გრძნობას, სიცოცხლეს გაიქრობდა როგორც თვალებში, ისე მთელ სახეზე, თითქმის მიმკვდარებულ შუქს დაიყენებდა. მაშინ დაუწყებდა ქალი დაპარაკს, აღარ უფრთხოდა, ხანდახან მასთან აღტაცებულ ბაასს მიეცემოდა. ოხ, რა საცოდავი იყო პაღიკო ამ დროს და ამასთანავე ბედნიერი!..

— ოქროს შეუძლიან ქეთინოს გაბედნიერება? — გაუელვებდა თავში პაღიკოს.

— ქეთინოს სჭირდება იმისთანა მოთაყვანე, რომელმაც ყოველი წუთი თავის სიცოცხლისა მისთვის ტანჯვა-ბრძოლაში გაატაროს, მაზე ილოცოს. ოქრო?.. პაღიკოს წუთს თითქო სიამოვნება დაეტყობოდა ამ ეჭვებზე, მაგრამ მალე წარბები მოეღუშებოდა, იტყოდა:

— არა, ღმერთმა დაიფაროს! ქეთინო ვერ აიტანს, ვერა!.. არ შეუძლიან, მისი გული შეადგენს მთელს სიცოცხლეს! ქეთინოს არსებას კარგად ვიცნობ, მას უსიყვარულოდ არ შეუძლიან გაძლება და თუ ერთხელ ჩაესახება, მისი შეცვლა შეუძლებელია!.. ღმერთმა იხსნას!.. მე კი უნდა მოვურიგდე ჩემს გრძნობას, დავიმსახურო ქალის მეგობრობა; ვინიცობაა გაუჭირდეს, ჩემი თავი ვანაცვალო, დავიფარო ყოველ განსაცდელისაგან... — როდესაც პაღიკოს წარმოუდგებოდა ქეთინო გაჭირვებაში, შიშისაგან მთელი ტანი აეჯინჭრებოდა, მოუსვენრობა ჩაავლებდა ბრჭყალებს და კანგახანს ველარ მოიცილებდა თავიდან.

— როგორღაც ვერ დამიჯერებია, ოქროსა და ქეთინოს ჯვარი დაეწეროთ როდისმე!.. — გაიძახოდა შურით აღვსილი მარიკა. ის ჩამოსცილდა თავის წინანდელ მეგობარს, გულიც მოსდიოდა, რომ ქეთინო თითქო აღარა კადრულობდა მას, თითქო კიდევაც უმალავდა ოქროს სიყვარულს. — ახლა რაღა საჭირო ვარ!.. როცა მფრთხალ ნადირსავით კუთხეში იკუნჭებოდა, დედა და დები შებღვეროდნენ, მაშინ ხომ კარგი მარიკა ვიყავი?.. ახლა, რაკი ოქრო აქა ჰყავს, სხვა აღარავინ უნდა! უბედურს ვერც კი შეუგნია, თუ დედა და და რისთვის ეფერებიან, ჰგონიათ, ოქრო მთელ თავის საცხოვრებელს ჩვენ ჩაგვიგდებს ხელში და მზითვსაც მოგვცემსო... ის კი არ იციან, თუ მაკინეს თვალის დასანახავად ეჯავრებიან ყველანი!.. ჩემის ძმის ცოლო მაგას კარგს არას დამართებს, დაიცადოს! — დაუმატებდა მარიკა, პირში კი ისევ განაგრძობდა ქეთინოსთან, რაც შეიძლებოდა ტკბილად ყოფნას. ის მაინც ამასთან მდუმარებდა, რადგან სჯეროდა, თვითეული მისი აღტაცება, გამოთქმული ოქროს შესახებ, მარიკას არ ესიამოვნებოდა ძმის გამოისობით...

დიდიხნის ყოყმანის შემდეგ მარიკამ არჩია შეერთო შაქრო. პადიკომ დის ნიშნობა მარტო ვასშმით გადაიხადა.

პადიკოს ხალხი თავს აბეზრებდა, სწყუროდა მუდამ საქმეში ყოფილიყო, გულის წყლული გაექარვებინა. ხშირად წავიდოდა მამულებში და მარტოდმარტო იქ ხალვათად ატარებდა უსიამოვნო დროს... პადიკოს ყურადღება მიაქციეს... ოჯახისთვის მუყაით, შეძლებულ, სახარბიელო საქმროდ მოსჩანდა, მაგრამ ის უკანვე აბრუნებდა მაშუალებს ბოდიშით, რადგან ჯერ ცოლის შემრთველი არ იყო. მისი დედა ნატო, რაკი მორჩა მარიკას ვაღსა, ახლა შესდგომოდა ვაჟის დაქორწინებაზე ფიქრს. მან არ იცოდა, თუ პადიკო როგორი აღტაცებული იყო ქეთინოსთვის, მარიკაც უმალავდა... პადიკოს ეთხოვა დისთვის, მასთან არა გაეხსენებია-რა...

— გენაცვალე, შვილო, შეირთე სარაძიანთ მათიკო, კარგი მეოჯახე ქალი მოსჩანს, მზითევიც ბლომად აქვს... — ეტყოდა ის ღიმილით, რომელსაც პადიკო მოვიღოდა მინდვრიდან და ფიქრიანად იქვე ახლო წამოწვებოდა მხარ-თეძოზე. ის ყურადღებას არ აქცევდა, მარიკა და შაქრო იმ დროს ძმის თვალწინ როგორ სტკბებოდნენ ერთმანეთთან აღერსით.

— გაჩერდი ერთი, დედაჩემო-და! — მიუგებდა ის, თან თითქო ცოლის შერთვის გახსენებაზე რაღაც მწვავე ტკივილს იგრძნობდა გულებაში, — რა დროს ცოლის შერთვაა?.. ჯერ ჩემი საქმე აწეწილია, უნდა მოვეწყო რიგიანად.

— ცოლი რომ გეყოლება, უფრო რიგიანად შეუდგები ოჯახის საქმეს, შვილო, — დაუმატებდა ნატო.

— ეგ არავინ იცის. არც შემიძლიან ჯერ ცოლის შერთვა, არა, ნუ მომციებიხარ! ჯერ შენს შვილს დაბრძენება აკლია. დედი! — დაუმატებდა გულჩვილი პალიკო, გამოართმევდა მშობელს ხელს და დაუკოცნიდა. ნატო ჩაჩუმდებოდა. ის ატყობდა რაღაც ნალველს, ველარ ეცნო წინანდელი თავისი პალიკო. ახსოვს, რამდენჯერ ცხარის ცრემლით უტირებია ამ ცელქსა თავის უმართებულო საქციელით, დღეს კი გადაქცეულიყო პატივისმცემელ, თითქმის მორჩილ შვილად... ახსოვს აგრეთვე ნატოს, თუ წინა წლებში პალიკო რა აღტაცებული იყო ცოლის შერთვისთვის, საცა ქალს დაინახავდა, კუდიკუდსა სდევდა, დღეს კი ცხოვრებას ჩაფიქრებოდა და, რაკი პირიქით ქალები ეხვეწებოდნენ, უფრო დიდ უარზე იდგა... ნატოს სიამოვნება დაეტყობოდა ხოლმე, როდესაც მოაგონდებოდა, თუ პალიკომ ამ მოკლე ხანში ბევრჯერ როგორ გააბრუნა თავისი წინანდელი ამხანაგები, რომლებიც მოსულიყვნენ მასთან სადღთავად და საქეიფოდ.

— არა, საქმე მაქვს, სადა მცალია აბა ქეიფისათვის? — გადაწყვეტით ეუბნებოდა ის.

— თუ ძმა ხარ!

— თუ ჩვენი დაკარგვა არ გინდა, ვიქეიფოთ ჩვენებურად, შასიანად, სანახსოვროდ!

— ბიჭო, რამ გადაგრია? განა აღარა გვკადრულობ?

— ოლონდაც, გადიდკაცდა და აბა ჩვენ რაღად ვუნდივართ!..

— რატომ მაშინ არ ამბობდი, არა მცალიანო, როცა N-ის ქალის გასატაცებლად ვემზადებოდით? გახსოვს, როგორ გაიძახოდი: აბა, ბიჭებო, ვაჟკაცობა და ძალა სულ ამ საქმეში გამოვიჩინოთ, თავი ვისახელოთო.

ამ გახსენებაზე პალიკო სირცხვილისაგან წითლდებოდა და თავს ძირს ღუნავდა.

— თუნდა მაშინა, კაცო, როცა პუპუას დუქანში ჩამოვხტით და გათენებამდის ღვინოში ვჭყუმპალაობდით, მაშინ რატომ არ

გაგონდებოდნენ ე შენი ეშმაკი არისტოკრატები, ჰა?.. — არ ისვენებდნენ შეზარხოშებული დოთები, თან ცხენებზე ძლივს თავს იმაგრებდნენ, ტორტმანობდნენ.

— არ შემიძლიან! — ამაყად და მკვეთრად იმეორებდა პაღიკო. ამ წუთებში სძაგდა ისინიც და თავის თავიც, რომ ოდესმე მათი ამხანაგი ყოფილიყო...

— მაშ გინდა დაგვკარგო?

— თქვენი ნებაა!.. კი არ შემიძლიან-და!..

— ფუ! შენს ამხანაგობასა, აჰა!.. — შესძახებდნენ გულმოსულნი და გაბრუნდებოდნენ უკან. პაღიკო წარბშეკრული შემობრუნდებოდა ოთახში, ხმაამოუღებლად ჩაუჯდებოდა ან მამულების ანგარიშს, ან არა-და წიგნებს. პატარახანს უკან დაუწყებდა მარიკას აღელვებით ლაპარაკს რუსულად, ისე რომ ნატოს არა ესმოდა-რა... შემდეგ კი მარიკას ეტყოდა, რომ ძალიან ნანობს წინანდელ იმდენხანს დაკარგულ დროზე, რომელიც სისულელეში გავატარეო... ნატო გულში მადლობას გრძნობდა შაქროსა და ოქროს მიმართ, რადგან დარწმუნებული იყო, ეს ზეგავლენა მათ მოეხდინათ პაღიკოზე, თითქმის სრულიად ახლად-ახალ ზნეჩვეულებაზე დაეყენებინათ. თუმცა შაქროსაც შეეტყო მარიკასაგან პაღიკოს გულის ვითარება, მაინც არ იმჩნევდა, არ დასდევდა, რადგან მარტო თავისი თავი გახდომოდა საფიქრებელი და საზრუნავი. ჩქარობდა, რაც შეიძლებოდა მალე ჯვარი დაეწერა, გასცლოდა ამ ოცნებიან ხალხით დასახლებულ სოფელს და შესდგომოდა სასურველ ცხოვრებას. რუსეთში ნათხოვნი ჰქონდა ადგილი, მისთვის დაფაცურება კიდევ სჭირდებოდა, და აქ დიდხანს ჯდომა კი ხელს მოუცარავდა. მარიკას ათასი თუმანი, ახლა თვითონაც მოეპოვებოდა ბანკში კიდევ ათასამდე. წლიური ჯამაგირიც ზედნადები... შაქრო კარგა წინ წასდგამდა ცხოვრებაში ნაბიჯს. მარტო ის ეფიქრებოდა, თუ როგორ მოეხერხებინა, რაც შეიძლებოდა მეტი ხარჯი ეჩვენებინა თავის უფროსისთვის და მასთან პირნათლად გამოსულიყო. ამასაც თავის დროზე შესძლებდა შაქრო და კმაყოფილი იყო აწმყოთი... თაღიკოსა და შაქროს შორის ისეთი განწყობილება არა ხჩანდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. პაღიკოს სრულიად არ იზიდავდა, ის მარტო დის გამოისობით ეფერებოდა სიძეს... — ამისაგან ჭეშმარიტება არა სჩანს, პატიოსნებასაც თითქო რაღაც ბინდ-ბუნდში ახვევსო, —

უმატებდა გულში პაღიკო, როდესაც შაქრო დაწვრილებით მოუყვებოდა საქმეების ვითარებაზე. ის ხედავდა, რომ ვინც ამ სოფელში სცხოვრობდა ყველა ბედნიერი და კმაყოფილი იყო, გარდა თვითონ პაღიკოსი, რომელიც ამჟამად ამოსდგომოდა არჩილ ბაქიაშვილს გვერდზე და ფიქრიანად მისდევდა, თან ყურს უგდებდა საღამურის ხმას, რომელსაც უკრავდა მათთან მომავალი შაქრო.

## XXXII

ამასობაში ქეთინო და ოქრო კარგა შორს წასულიყვნენ. მათ დავიწყებოდათ, რომ ისინი ფარნით გზას უნათებდნენ ჩამორჩენილთ.

— ხომ არ გცივა, მშვენებავ? — კითხა აღერსით ოქრომ ქალს და მისი ხელი გულზე მიიკრა.

— არა, — ძლივს დაილაპარაკა გრძნობით გაბრუებულმა ქეთინომ, შეხედა ოქროს, რომლის სახე შუქმოფენილი მოჩანდა ფარნის სინათლეზე.

— რა კარგი ღამეა! — დაიჩურჩულა ისევ ოქრომ.

— ოღონდაც... — ყმაწვილი კაცი დაიხარა და ქალს ხელზე აკოცა.

— ქეთინო, ჩემო ბედნიერებავ! — უეცრად დაუმატა მან, ქალმა არა უთხრა-რა, მარტო ხელი მოუჭირა ხელზე, უნდოდა მასაც ეთქვა პასუხი, მაგრამ ვერ მოახერხა, თითქო ენა დაებაო, რამდენისამე წუთის შემდეგ დაენძრნენ ტუჩები.

— ოქრო, შენ გენაცვალოს ქეთინო! — ამ წარმოთქმაზე ოქრომ პასუხად გადაუკოცნა სახე. ისინი კიდევაც მიუახლოვდნენ სახლს, უნდა გაეხვიათ მარჯვნივ, მაგრამ ამ დროს მოესმათ უცნაური ხმა:

— შესდექით! — ოქრო ჯერ ვერ გამორკვეულიყო, ვერ მიესაზრა, თუ ვინ იქნებოდა, რომ ფარანიც ჩაქრა. მის წინ იდგა ბრგე, მაღალი ტანის დედაკაცი, შავებით მოსილი. ხშირი წარბები მოხუშოდნენ, ცეცხლისმბნევი თვალები ღამეზე მეტად ჩაშავებოდნენ, გადახედავდა თუ არა ქეთინოს, მეტყველება ეცვლებოდა, ილებდა სინაზეს, რამდენიც კი შეეძლო.

— შენა, ციურო ანგელოზო? — კითხა მან. ქეთინო შეშინე-

ბუდი იდგა, ხმას არ იღებდა. — რა ღირსია ეს, რომ გვერდზე მოგიყენებია?! ჩემთან წამო, მე მყავს შენთვის გამზადებული ვინმე. მე მაქვს სასახლე, სადაც იდელოფცებ, წამო!.,

— რაო? როგორ ბედავ მაგეებს ვიღაცა ხარ? დაიკარგე! — შეუტია ოქრომ. დედაკაცმა გადიხარხარა.

— შენისთანა ულონო ჭია ვერ გამაბრუნებს. სირცხვილი იმ ვაჟკაცს, რომელსაც დედაკაცმა ხელში სანთელი გაუქროს! თავი დაიცავი, დაჩაროI.. — დაუმატა ქალმა და ოქროს მხარზე მსწრაფლ მაგრა გაუსვა წუმწუმა, აანთო, ის იდგა ანთებულის წუმწუმით ხელში და აღერსით უყურებდა ქეთინოს.

— წავიდეთ რაღა! — გაუმეორა მან, ხელი გაუწოდა, უეცრად ჩადგა ქალსა და ოქროს შუა. ოქრო გაფითრდა ხელში არა ჰქონდა რა, დაერტყა იმ უცნაურ არსებისათვის. არ იცოდა, რა ექნა, უნდოდა ხელი ეკრა. ამ დროს ჯიბეში მაგრა მოხვდა რაღაც, დამბაჩა ჩარჩენოდა, საჩქაროდ ამოიღო, დედაკაცი დამბაჩის დანახვაზე შეკრთა, უკან დაიწია.

— როგორც გინდოდეს, მომიშორე, ქეთინოს მაინც არ დაგანებებ... ვერ წამართმევ, ეგ ჩემია!.. — იმეორებდა დედაკაცი, აჩქარებული მიდიოდა, შემდეგ თანდათან მიიმალა ღამის წყვდიადში. ოქრო და ქეთინო სიტყვის თქმას ველარ ახერხებდნენ. ოქრო ჩაუფიქრდა უეცარ, მოულოდნელ შემთხვევას.

— ვინ იყო? ნუთუ განგება?.. — ქეთინოს კი რამდენჯერმე მოეკრა თვალი ამ სოფელში მისთვის. როცა კი შეხვედრია, ღიმილით დაშტერებია. ქეთინოს ყოველთვის უსიამოვნობა, შიში უგრძვნია მის დანახვაზე, მაგრამ რას მოიფიქრებდა, თუ ამჟამად, ამ ბედნიერ წამებში ის მოვიდოდა და ნეტარ წუთებს სევდად შესცვლიდა!.. ქეთინომ უამბო ოქროს, რომ ეს დედაკაცი წვეული იყო ამ სოფლის რომელიმე მცხოვრებისა. ოქროს ეჭვი გაელვიძა.

იქნება მოგვიჩინა ვინმემ, თუნდ პადიკომ, უნდათ შეიტყონ, ჩვენს ლაპარაკს რა მიმართულება მიუღია? ოხ, ვერა, არამც თუ პადიკო, არამედ მთელი ქვეყანაც ვერ შესძლებს ქეთინოს წართმევას, ვიდრე ოქროს სული ედგმის! ვერ წაართმევენ დიდის ცისკარს, რომელიც დროზე ამოუბრწყინდა.

ამასობაში სხვებიც მოვიდნენ, გაიგეს უცნაური დედაკაცის შეხვედრა, მაგრამ მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხ-

დენია. რა გასაკვირველი იყო გზაზე დედაკაცის ნახვა! მაშო და ქეთინო შევიდნენ სახლში, დანარჩენები უკან გამობრუნდნენ. ქეთინო ხმაამოუღებლად ჩაწვა ლოგინში, კი არ დასძინებია. დღევანდელი საღამო მეტად საგრძნობად დაღამებულიყო, მისი აზრი გაეტაცა, დაეტყვევებინა, ამასობაში მაშოს ჩასძინებოდა. ქეთინოს მაინც არ შორდებოდა თავიდან დედაკაცის წარმოთქმული სიტყვები.

— მერე მან რა იცის მომავლისა? არც კი გვიცნობს ვინა ვართ... გიჟია და, რაც პირზე მოადგება, აღაღბედზე წამოიძახებს. რა საყურადღებოა უგუნურის რატუნი? — ის იყო ქეთინო მშვიდდებოდა, მაგრამ ამის თვალებს კვალად წარმოუდგა ისევ ის დედაკაცი... ქალმა საჩქაროდ საბანი წაიფარა პირზე, რათა ლანდი გამქრალიყო, დედაკაცი კი მიუახლოვდა, ჩამოჯდა საწოლზე. ეტყობოდა მაშოს ღია დარჩენოდა კარები, რომ ასე თავისუფლად შემოსულიყო ეს უსიამოვნო სტუმარი. ქეთინომ გადაიხადა საბანი, ნაცნობი, საშიშარი თვალები დაშტერებით მისჩერებოდნენ. ქეთინომ დალაპარაკება ველარ მოახერხა, შემკრთალი ელოდა შედეგს.

— ანგელოზო! — ჩასჩურჩულა დედაკაცმა, — ჩემი უნდა გახდე... გაგიფრთხილდები, როგორც თვალის სინათლეს... ცივ ნიავს არ მოგაკარებ...

— ვინა ხარ? — ძლივს მოახერხა ქალმა ხმის ამოღება.

— განა არ მიცნობ, მშვენიერო? მე კი დიდი ხანია თვალს გადევნებ.

— რისთვის?

— მე მყავს შენთვის ჩნეული საფერი, მდიდარი, სწავლული, ბრძენი, დახატული... წაგიყვან იმასთან, მეც თქვენის ბედნიერებით დავტკბები.

— გმადლობ მაგ კეთილის სურვილისათვის. მითხარი, ვინა ხარ?...

— ჯერ სიტყვა მომე, რომ წამომყვები?— დედაკაცი დაიხარა, უნდოდა ქალისთვის ეკოცნა, მაგრამ ქეთინომ ხელი კრა.

— დაიკარგე! — შესძახა ხმამაღლა. ამ ძახილზე მაშოს გამოეღვიძა. რა დაინახა უცხო დედაკაცი ამ დროს თავიანთ ოთახში, გაოცდა, შეშინდა, წუთს სახლში მყოფები ფეხზე დააყენა, ქიმუნჯის კვრით გააგდეს უდროოდ მოსული. მეორე დღეს თეკ-

დემ გამოუცხადა დედაკაცის მასპინძელს, რათა გაესტუმრებინათ სადმე, ან დაეშლევინებინათ კარ-და-კარ სიარული. სოფელს კარგა ეცნო ამ არსების ჩვეულება, ხასიათი, საცა დამაზ ქალს შესვდებოდა, უკან აედევნებოდა, ეპატიჟებოდა სადღაც, აღუთქვამდა უზომო ბედნიერებას. დიალ, ის შეშლილი იყო, ყველას ებრალებოდა, მაგრამ შეეშინდათ, ეს ჩვეულება თანდათან არ გამწვავებულიყო მასში და გაგზავნეს, თავიდან მოიშორეს. ოქროზედაც აღარ მოქმედებდა უსიამოვნოდ, რაკი შეიტყო სულით ავადმყოფი იყო.

— ჩვენი მშვენება დღეს მოვა?.. ჩემი სიცოცხლე? — იმეორებდა გულში ოქრო და მოლოდინისაგან აღელვებული ოთახში დადიოდა. აგერა, გაიგო აჩქარებული ფეხის ხმა, ოთახში შემოვიდა თვალცრემლიანი მაკინე, ხელში გაზეთი და დეპეშა ეჭირა, ხმაამოუღებლად დაეშვა სკამზე, თვალებზე ხელსახოცმიფარებული.

— რა ამბავია? — შესძახა ოქრომ, საჩქაროდ გამოსტაცა ხელიდან დეპეშა, გახსნა, გადაიკითხა:

„გუშინ განისვენა საუკუნოდ ჩვენმა ძვირფასმა ივანე მართალაშვილმა", სწერდა განსვენებულის ცოლის ძმა.

— ვაი შენ, ჩემო თავო!.. ვაი მეგობარო!.. — შესძახა ოქრომ და ისიც ქვითინით დაეშვა დივანზე, მიეცა გამოუთქმელ მწუხარებას. მაკინე არ მოელოდა დეპეშის ასეთ შინაარსს, საჩქაროდ თავი მიანება საკუთარ ნაღველს და წამოვარდა ზეზე, მივიდა ოქროსთან, დაუწყო დამშვიდება, თანაც შესჩიოდა თავის ახალ მომავალ უბედობაზე. ოქრომ წაიკითხა გაზეთიც, რომელიც აუწყებდა სახელსა და გვარს იმ პირისა, რომელთაც ეყიდებოდათ საჯაროდ მამულები. მათ შორის აღნიშნული იყო აგრეთვე იასონის ხუთასი დესეტინაც N-ში. ოცდახუთ მარიამობისთვეს ჰქონდა ვადა, იმის იქით კი ხელიდან წაუვიდოდა. ოქროსთვის მძიმე, აუტანელი შემთხვევები იყვნენ ორივენი, მაგრამ ქეთინოს სიყვარულს ისე აევსო, გაეღიცღიცებინა ნეტარებით ამისი ცხოვრების ფიალა, რომ თითქმის ძვირფასი მეგობრის სიკვდილიც ისე ძლიერ აღარ მოქმედობდა, თავდავიწყებით მისცემოდა მწუხარება-ნაღველს. ოღონდაც... რამდენისამე წამი და ქეთინოს თვალები გააქარწყლებდნენ ყოველსავე ცუდს. შემაწუხებელს. ქეთინო, მარტო ქეთინო იყო ოქროს სააქაო, ჯოჯოხეთი თუ სამოთხე.

— მაკო, ჯერ ოცდახუთი შორს არის... მოვასწრობთ შვე-
დას... დღეს ხომ პირველია?.. — უთხრა დაღონებულმა ოქრომ. მა-
კინე მოეხვია და დაკოცნა ძმა. მაკინე ამ ბოლო დროს ისევ გა-
ფითრდა, ეტყობოდა, აწუხებდა რაღაც და ველარ გამოეთქვა. სწო-
რედ ამ დროს შემოვიდა განო, შეატყობინა, უგანათლებულესი
თავადი N-ი ცოლ-შვილით გვესტუმრაო...

— ოხ, რა დროსაა!.. — იწყინა ოქრომ, უსიამოვნოდ თავი გა-
იქნია, მაკინეს კი იამა. დიალ, ძლივს ელირსა თვით სოფელში-
აც დიდკაცთან შეხვედრა... წუთს მორთული გაეგება სტუმრებს.
უგანათლებულესი თავმდაბალი აღმოჩნდა, კნეინა კი იყურებოდა
მედიდურად, მაგრამ რა დაინახა როსტომის სახლი თავის შესა-
ფერად მოწყობილი, აღარ იუცხოვა, თავს სითამამე მისცა. რამ-
დენსამე ხნის შემდეგ მაკინე და ეს შინაურულად დაპარაკობდნენ.
განო ჩვეულებრივ დიასახლისობას უნდებოდა. როსტომი, იასონი
და სტუმრები ჩაუსხდნენ კვადად სასურველ ქაღალდს. ოქრო მო-
წყენილი იყო, ცდილობდა მათზე დღეს მაინც განზე მდგარიყო...
როსტომმა მოიწვია მეზობლები და გაიმართა ჩვეულებრივი ნა-
დიმი.

— როგორ ქეიფზე ხარ მას აქეთ, რაც იმ დედაკაცს თინები
დაუწევია შენ და ოქროსთვის? — კითხა ქეთინოს განომ, რო-
მელიც იდგა მეორე ოთახში და მსახურთ განკარგულებას აძლევ-
და, რიგზე ყოფილიყო ყოველივე. ქეთინოც გამოსულიყო მას-
თან, თავისუფლად შესძლებოდა განოსთან დაპარაკი.

— მერე შენ ვინ გითხრა?

— ოქროს ჩვენთან დამალული არა აქვს-რა.

— ჭკუაშერყეულ დედაკაცს ყურს ვინ უგდებს?.. აღარც კი
მახსოვს, — უპასუხა ქეთინომ, უნდოდა გამოეკითხა ოქროზე,
მაგრამ ვერ ახერხებდა.

— თქვენი წასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს ვიდაპარაკეთ,
როცა დაბრუნდნენ ყმაწვილები. — დაიწყო განომ,

— მართლა?.. რაზე?..

— განა დარჩა საგანი, არ გაგვეჩხრიკა!.. მაგრამ ამ კაცების
აზრებმა ქალების შესახებ ცუდად იმოქმედეს ჩემზე. რა უბედუ-
რები ვყოფილვართ, ქეთინო! — სთქვა განომ და ამოიოხრა...

— რაიო?..

— წარმოიდგინე, რა ახირებული აზრია-და!.. რომ თუ მათ

მოინდომეს, რაც უნდა ჭკვიანი და თავდაჭერილი ქალი იყვეს, მაინც შეუძლიანთ გააბრიყვონ და შეაცდინონ.

— სრულიადაც არა! — წარბშეკვრით შესძახა ქეთინომ. — ოქრო რაღას ამბობდა?

— ის კიდევ უარესი იყო სხვებზე, ამბობდა, ვითომ არ ახსოვს, გასცნობოდეს იმისთანა ქალსა, რომელიც არ გაეტაცნოს ჭკუა-სიდამაზეს და თუ ჩაუვლია შეუმჩნევლად, ისევ თავის მიზეზით, რადგან ნება არ მოუცია თავისთვის იმ ქალთან ეთამაშნა.

— ოქრომ ევა სთქვა?! — იკითხა გაფითრებულმა ქეთინომ. — როგორ დავიჯერო?

— აბა, გაფრთხილდი, ქეთინო, ნამეტანი თავზრჭყვიადი არ დაგახვიონ.

— ოქრო იმდენად წმინდაა, პატიოსანი, რომ ეგ სისაძაგლე მისთვის უცხოა, მიუკარებელი!..

— შენ აგრე სთქვი, ისინი კი ყველა ამ აზრისანი არიან... ოქროს ისიც ეთქვა, რასაკვირველია, მარტო მაკინესთვის, რომ რასაც დღეს მოინდომებს შენს გაბრიყვებას, ყურადღებას არ მიგაქცევინებს მაზე თუ ჯვარის წერას არ შეუულდებიხართ.

— განო, ღვთის გულისათვის გაჩუმდი! ოხ, ნუთუ მაშ ოქრო მაგისთანაა? — შეშინებული ქეთინო უყურებდა განოს, რომელიც არხეინად განაგრძობდა.

— როგორც გეტყობა, ჯერ ყმაწვილი ხარ, ცხოვრება და ხალხი არ გაგიცვნია, არ უნდა მეთქვა, მაგრამ, როგორც შენი კეთილისმყოფელი, გაფრთხილებ.

— გმადლობ... ეგ ჩემთვის აუტანელი ეძლაა. ოქრო წმინდად მიმაჩნდა, ვენდობოდი, შენ კი როგორ გამაცანი? ნუთუ, განო, წმინდა სალოცავი ბოლოს ბოროტების მოთავედ უნდა აღმოჩნდეს?...

— რადა, ქალო? ოქრო ჩინებულია, უმანკო, მაგრამ, როგორც კაცი, მაგისთანა აზრისაა. ოქროს ძალიან უყვარხარ... დაე, მაგისთანა აზრი ჰქონდეს. შენ რა გენაღვლება მერე?..

— არა, განო, საცა ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ მაგისთანა სჯას საქმე არა აქვს... სათაყვანო არავისთან დაიმცირება, არც მაზე იტრაბახება!

— ეგ ქალებს შეუძლიანთ, კაცეპი კი სხვანაირეპი არიან. ბუნების კანონს ადამიანი ვერ წაუვა და ოქრო რომ სხვებს შე-

ვადარით, მაინც წმინდანად აღმოჩნდება. ის არ მოყვება შენზე საჯარიდ ლაპარაკს, ტრაბახს, მაგრამ თავის ერთგულ მაკინეს კი არას დაუმალავს. ზოიქეცი, როგორც ღლემდის იყავი, მარტო გახსოვდეს ჩემი გაფრთხილება, არამც თუ ოქროსთან, არამედ თვით საკუთარ ქმართანაც-კი. ასეთია ჩვენი წუთისოფელი, ჩემო დაო, რას იზამ!..

— მეგობრულად მოვექცე იმას, ვისზედაც რწმუნება დამკარგვია?.. ვიცოდე, ის ყოველ ჩემს სიტყვა-პასუხს სხვაფრივ მიიღებს, ბოლოს სასაცილოდაც გამხდის?

— სრულებითაც არა. ოქრო არასდროს არ იკადრებს შენს დაცინვას, რადგან მას ძალიან უყვარხარ... თუმცა კი დარწმუნებულია, შეიძლებს თუ მოინდომა... მაგრამ პატიოსნება და სიყვარული ნებას არ მისცემს.

— როგორ აგრე ჭრელად მელაპარაკები! ვერ გამიგია, რა გინდა სთქვა?

— მართლა? მე კი უბრალო აზრად მიმაჩნდა, მეგონა, მაშინვე მიმიხვდებოდი. გეუბნები, ოქრო იმ აზრებისაა, თუ მოინდომებს, ყველა ქალის გაბრიყვებას შესძლებს-მეთქი. აი გატყობინებ, ახლა შენ იცი. — ქეთინოს თანა სჯეროდა განოს ლაპარაკი, თან ეჭვებით ევსებოდა გონება.

არა, კოცნის ნებას აღარ მისცემს ოქროს, — გაიფიქრა გულში. განოს კი უხაროდა, ასე ჩინებულად აასრულა მაკინესაგან დავალებული. ქეთინო დააჯერა და თუ ოდესმე გაიფანტავდა ამ ეჭვებს, მაინც ოქროსთან წინანდებურად უშიშარის, დამშვიდებულის გულით არ იქნებოდა. განოს განზრახვა ასდა. ქეთინო მთელი ღლე მოწყენით იყურებოდა. ოქროს ეგონა, ჩემი დადარდიანებაა მიზეზით. ამის გამო ისევ თავს ევლებოდა, ეუბნებოდა საალერსო სიტყვებს, როგორმე გამოეყვანა გარინდებულ მდგომარეობიდან.

— იქნება განო მატყუებდეს?! მოდი პირდაპირ ვკითხავ ოქროს, მაგრამ როგორ? — უეცრად გონებამ ხელი კრა ქეთინოს, — მერე, მაშინ ხომ სრულიად დააჭეშმარიტა ის აზრი, რომ ქალები დამცირების ღირსნი არიან და ამისთვის მცირდებიან! არა, ქეთინოსაგან ამ საგანზე კითხვა ძალიან მეტია. ვერც გაუბედავს, არც შეჰფერობს ქეთინოს ამგვარ საგნებზე ლაპარაკი ყმაწვილკაცთან. რომ მაინც უმანკოა, ძვირფასი, ქეთინო თავისის ქცე-

ვით დაარწმუნებს, რომ ეს აზრები ხშირად გამტყუნდებიან ხოლმე, სრულიად სხვა რიგად გააცნობს თავის თავს და ისე აფიქრებინებს... ამ წარმოდგენით ქეთინოს კვალად ღიმილი აღუჩნდა სახეზე. ოქროს კი უხაროდა, რომ შესძლო მისი გამხიარულება. ერთხელ ისინი ისხდნენ დაკუთვნილ ადგილზე, ჩვეულებრივად ხატავდნენ. ქეთინოს ისევ მოწყენა მორეოდა. როგორც მოუალერსებდა ოქრო, მოაგონდებოდა გაიანეს ნათქვამი და სიამოვნებასთან ერთად შიშს, უნდობლობას მოეცვა მისი არსება.

— ჯანაბას ჩემი თავი! არა!.. ოქრო უმანკოა! ყველაფერი სიცრუეა, გესლიანობაა და სიშურე! მაგრამ რას ნიშნავს, რომ ოქრო არასდროს არ ეუბნება მომავალზე არაფერს? მარტო ჩასჩურჩულებს:

— „ქეთინო, ჩემო სიცოცხლევ! ჩემო სამოთხევ! ჩვენ ერთად უნდა ვიყვნეთო!" როგორ? სად? ეს ვერ გაერკვია, არა სცილდებოდნენ ქეთინოს ეს ფიქრები.

— ქეთინო! — დაილაპარაკა კარგა სიჩუმის შემდეგ ოქრომ.

— რა გინდა?

— სანამ აქა ვარ, ამ სურათის დამთავრებას ვერ მოვასწრობ. — ქალს გაეგო, ოქრო აპირებდა წასვლას, თუმცა კი დღევანდლამდის მას არ გაუხსენებია.

— მერე, ხომ მოხვალ?

— სასაკვირველია.

— ჰო და შემდეგში დაათავე. იქ დიდხანს დარჩები?

— საქმემ იცის, შენი ჭირიმე, შეიძლება ორი-სამი კვირა მომიგვიანდეს. რაზე მოიწყინე?

— განა მოვიწყინე? — ქალმა ნაძალადევად გაიღიმა.

— როგორ არა. ერთი კვირაა, რაც შენი მხიარული სიცილი აღარ გამიგონია, რა ამბავია? შენც ხომ არა გლოვობ ჩემს მეგობარს! ოხ, ქეთინო, შენმა სიყვარულმა, მარტო შენმა დანახვამ გამიქარვა, შემიმსუბუქა მისი დაკარგვა... რომ იცოდე, რა ჩინებული, რა პატიოსანი კაცი იყო! ახლა კი მისმა სიკვდილმა ისე არ შემაძრწუნა, როგორც უნდოდა, ეს კი სულ შენი ბრალია, ჩემო ცელქო! — ამ სიტყვებით მოხვია ხელები ოქრომ და დაკოცნა. ქეთინომ დაიკვნესა, თითქო შეკრთაო ოქროს ალერსზე.

— რა იყო, ბედნიერებავ? ვინ ბედავს შენს შეწუხებას?.. იქნება მე?.. შენი მოთაყვანე, გამაღმერთებელი? არ ვიცოდი კი

აქამდის!... დამსაჯე, საკანონო დამდე, ჩემო ზეციურო ანგელოზო! — ქეთინოს შიში მოშორდა, მიენდო გულზე ოქროს.

— ოქრო, — დაიჩურჩულა მან.

— რა იყო, შენი ჭირიმე?

— კიდევა სთქვი!

— რა გითხრა იმაზე მეტი, რომ თაყვანსა გცემ ქვეყნის გამჩენზე მეტად, შენზე ვლოცულობ, შენი მონა ვარ, ფერხთა მტვერი, ჩემო სიცოცხლევ!

— ოქრო!

— რაო, თვალის ჩინო?

— შენთან მინდა!

— მეც შენთან მინდა, მაგრამ ცოტა კიდევ მოვიცადოთ, — უპასუხა ოქრომ. თან ტერებით დააკვდა მის თვალებს, ტუჩებს, მთელ სახეს.

— მეშინიან!..

— რისა?

— დედაკაცის სიტყვები რომ ახდეს და დავშორდეთ?..

— ყოვლად შეუძლებელია!.. ჩვენ ერთმანეთისთვისა ვართ გაჩენილები...

— მერე, შენებს უნდაო, რომ ჩემი გახდე?..

— რასაკვირველია, იმათ უნდათ ჩემთვის ბედნიერება და მაშ როგორ არ მოინდომებენ? — ქეთინოს უნდოდა ეამბნა განოს ნალაპარაკევი, ვერ გაბედა, შეშინდა, ოქრომ სხვაფრივ არ მიიღოს, არ ეგონოს, მე უკვე შევდგომივარ საქმროს ნათესავეზის მომდურებასო და მით გული არ შევაცვლევინოო. კარგები არიან თუ ცუდები, ქეთინო მოვალეა, უყვარდეს ისინი, პატივსა სცემდეს, თუნდაც მოინდომონ წინააღმდეგობა, ვერას გახდებიან, რადგან ქეთინო დარწმუნდა ოქროს მტკიცე გრძნობაზე.

— მინდოდა ჩემი სიყვარული საქვეყნოდ გამომეცხადებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ვარჩიე საიდუმლოდ შევინახოთ, ვიდრე საქმეებს მოვრჩებოდე!.. მერე უფრო დამშვიდებული გამოვიქცევი შენთან და გავბედნიერდებით; ჯვარსაც დავიწერთ, — განაგრძობდა ოქრო.

— როგორ!.. ოქრო აღუთქვამდა ჯვარისწერას, მასთან შეუღლებას, ის ოქრო, რომელიც ამ რამდენსიანე დღის წინათ უფრთხოდა საუკუნოდ შებოჭვას?! ცხადად სჩანდა, გრძნობას რა

თვალგადაუწვდენელი სიფართოვე მისცემოდა, აღარ ერიდებოდა თვით ამ საშიშ ლონისძიებასაც, ოღონდ სათაყვანო სამუდამოდ გულზე მიეკრა.

— კი არ ივავრო ჩემი წასვლა! — აღერსით ჩაულაპარაკებდა ოქრო ქალს, რომელიც მადლობით შეყურებდა...

— თუ მალე მოსვალ? მაგრამ არა, ნუ აჩქარდები, საქმე არ გაგიფუჭდეს, — დაუმატა მზრუნველობით კარგა სიჩუმის შემდეგ ქეთინომ, — ორიოდე კვირას არა მიშავს-რა, შემიძლიან როგორმე თავი გავირთო, როგორც იქნება გავატარო გულისდამღლევი დღეები და დავიახლოვო დიდებული დღესასწაული. — ოქროც უსმენდა ამ სიტყვებს, ხანდისხან აწყვეტინებდა კოცნით.

— წერილს ხომ მომწერ? — კითხა ქალმა.

— ჩავალ თუ არა... შენც ხომ გამომიგზავნი პასუხს, სიცოცხლევ? — ქალმა თავი დაუქნია.

— ერთი საფიქრებელი გამყვება აქედან და მოსვენებას არ მომცემს.

— რა, შენი ჭირიმე?

— რაღა ვქნა, ჩემს იქ ყოფნაში რომ პადიკო დაგიახლოვდეს, შენი გული მოიტაცოს?..

ქეთინომ გაიღიმა და წინანდელზე მეტად მიეკრა ოქროს გულზე.

— პადიკო შენზე წინათ ვნახე, მაგრამ ამ გულმა მაინც შენ მოგიცადა... მარტო შენ გიცნო! — მიუგო იმავე განაზებით.

— იმას რომ უყვარხარ?

— რა ვუყოთ მერე... იმას ვუყვარვარ, მე კი არა, მორჩა და გათავდა...

— ქეთინო, ანგელოზო, ამისრულე სათხოვარი?

— თუ ძნელი არ იქნება...

— სანამ მოვიდოდე, პადიკოზე თავი შორს დაიჭირე...

— თვალითაც არ დავენახვები, ოღონდ შენ კმაყოფილი მყავდე...

— მაშ აღარ წახვალ მარიკასთან?

— არა.

— ეჰ, შენ გენაცვალე, ჩემო ნეტარებავ!.. ვინ არის ჩვენზე ბედნიერი? — ამ სიტყვებით ოქრომ კიდევ დაკოცნა ქეთინო.

— არავინ.

— სოფელში დავდგეთ, ღვთაებავ, მყუდრო ცხოვრებას შევეკედლოთ, რად გვინდა ქალაქი, როცა უმანკო ბუნება უფრო შესაფერი იქნება ჩვენი სიტკბოებისა! ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ყოველი წისწრაფება, ფიქრი, აზრი ურთერთს გავუწოდოთ, ვიმოქმედოთ სიყვარულით აღვსილ ოჯახისათვის, რომლის დედა შენ იქნები, სიცოცხლევ; ვზარდოთ თავდადებული, მხნე, პატიოსანი შვილები. აგრეთვე ვიზრუნოთ ჩვენ საწყალ, გაჭირვებულ ხალხისათვის, თანახმა ხარ?

— შენი სურვილი ჩემთვის წმინდა კანონია, რომელსაც ფარვანასავით თავს შემოევლება ქეთინო.

— მერე მხატვრობა? მაგას ხომ წვრთნა და ვარჯიშობა უნდა! სოფელში კი ძნელად მოხერხდება, მაგრამ შეიძლება მასწავლებელი მოვიწვიოთ.

— არა, ჩვენს ცხოვრებაში უცხოს ჩამოზიარება ა̀რ ივარგებს... არა, ოქროჯან! მხატვრობასაც შენ განაცვალებ. რა გზასაც მე და შენ დავადგებით, მხატვრობაზე ნაკლები არ იქნება; დაე ერთმა მეორე იმსხვერპლოს, უიმისოდ ხომ შეუძლებელია ცხოვრება! არამც თუ მხატვრობას, სიცოცხლესაც შემოგწირავ, ჩემო წმინდათა წმინდავ! — ბევრი ამისთანა მხურვალე სიტყვები წარმოითქვა, ფიცი დაიდო ამ ორ მიჯნურს შორის. ოქრომ კვლავ სთხოვა, ყველა ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩენილიყო, ქეთინოც, რასაკვირველია, აასრულებდა. აი, მოახლოვდა ოქროს წასვლის დღე, თუმცა ეძნელებოდა ქეთინოს მოშორება, მაგრამ რაკი დარწმუნებული იყო, რამდენისამე დღეს შემდეგ ისევ დაბრუნდებოდა, გულს იმშვიდებდა. მაკინეს კი უხაროდა, რადგან ჩინებული შემთხვევა ეძლეოდა ოქროს ამ სოფლიდან გასატაცებლად.

— ოხ, გასცილდება ამ წყეულ ადგილს თუ არა, ყოველ ღონისძიებას იხმარს, ოქროს დაუძვირის დ—ის დანახვა! თუმცა მძიმე ასასრულებელია. ის დღე თუ ღამ სულ ქეთინოზე ოცნებობს. მას არა ერთხელ ალტაცებით წარმოუთქვამს მაკინესთან, თუ როგორ ჩქარა დაუბრუნდებოდა თავის ძვირფას საუნჯეს. მაკინემ აგრეთვე იცოდა ამათი განზრახული მიწერ-მოწერა. ის ეშმაკურის ფარისევლობით არწმუნებდა ძმას, რომ ჩინებულად მოეხერხებინა ყველაფერი. წასვლის წინა დღით ოქრომ მთელი დღე დაალამა ქეთინოსთან, ეალერსებოდა, კოცნიდა, ეფიცებოდა მალე

დაბრუნებას. ქეთინოს აღარც კი ახსოვდა ის დრო, როცა არსებობდა ოქროს უცნობლად. ვერ წარმოედგინა ცა და ქვეყანა უოქროოდ, ვერ დაენახა ის სინათლე, რომელსაც არ უყურებდნენ ოქროს მშვენიერი თვალები. ოქრო წავიდოდა, ვიდა ჩამოკრავდა წმინდა ტრიფიალების ჩანგზე იმ დროს, როცა ქეთინო იტყოდა: ოქრო, შენ შემოგევლოს ქეთინოვო! ვინ მოისმენდა, ან გატაცებულის აღერსით, გრძნობით მაგიერს ერთი-ორად ვინ უშლევდა? როცა მოიგონებდა ყველა ამას, ქეთინო გამოუთქმელ ტანჯვას ეძლეოდა. ოქრო კი ნუგეშად ჩასძახოდა.

— მალე, სიცოცხლევ, ჩვენ ერთმანეთს მალე დავეკუთვნებით, — ამ დაპარაკზე ქეთინო ისევ გულს იმაგრებდა.

— მალე ველი წერილს! — უთხრა ქეთინომ და მოეხვია სათაყვანოს, მანაც გულში ჩაიკრა. იყვნენ ასე რამდენსამე ხანს. მერე, როგორც იყო, თავი გაისთავისუფლა ოქრომ ძალდატანებით, რადგან გული ეწინააღმდეგებოდა, ემუდარებოდა ქეთინოსთან საშუდამოდ დარჩენას... ოქრო წავიდა თეკლესა და მაშოსკენ გამოსათხოვებლად.

— ნახვამდის, ქეთინო! — უთხრა მედიდურის ღიმილით მაკინემ, რომელსაც ჩაჯდა ეტლში.

— ნახვამდის, კნეინავ! — იმ კილოთივე უპასუხა ქეთინომ. ამჟამად სძაგდა, ეჯავრებოდა მაკინე. დიაღ, ოქრო არავისთვის არ ემეტებოდა ქეთინოს, მაგრამ მაინც რამდენსამე კვირით აშორებდნენ ულვთონი. ეტლი დაძრა, ოქრომაც ქუდი მოიხადა. თვალებით უგზავნიდა, პირდებოდა სიყვარულს, ერთგულებას.

— მალე გნახავ, ანგელოზო! — კითხულობდა ქეთინო ოქროს სახეზე... გულხელდაკრეფილი, დაწითლებულის თვალებით გაიყურებოდა, თითქო ისიც სულით და გულით თან მისდევდა გაგრიალებულ ეტლს.

## XXXIII

ჯერ აღიონი არ იყო ამოსული, როცა პავლე ოდიშერაძის ცოლმა ნინომ გააჭრიალა სახლის კარი, გამოვიდა თოხით ხელში, ჩადგა იქვე პატარა ბაღში, დაუწყო კვალვა, რათა მზის ამოსვლამდე მოერწყო ბოსტანი, საიდანაც გამოიყურებოდა სხვადასხვა მწვანეულობა.

— დასწყევლოს ეშმაკი ღმერთმა! მთელი ღამე არ მძინებია... საძაგელ სიზმარში ვიყავი, თითქო მამლის უდროვოდ ყივილიც მომესმა! ღმერთო და სალოცავო იხსენი ჩემი საწყალი ქმარ-შვილი ყოველ გაჭირვებისაგან! — სთქვა ნინომ, შემდეგ, გაისწორა თავშალი და პირჯვარი გადაისახა, როდესაც მოესმა ცისკრის რეკა.

— ერთი დროიანად გაგალღაღანო, ღუკმის ჩასაგემრიელებელო ნუკბარო! — განაგრძო მან და ისევ მოიმარჯვა თოხი.

— ვიშ, რა საყვარლად დაუყვავილებია ამ კარტოფილს! ე დობილოც რომ დაჯანჯულა!.. აბა შენც მიეშველე, ღვთითვალი დაატრიალე!.. — დაურთო ნინომ, როდესაც ნაკადული ჩქრიალით მიექანა მიხვეულ-მოხვეულ კვალს და თითქო ნინოს სიტყვა დაუჯერაო, ხარბად შეერია ხასხასა ბალახებში... ნინო კარგახანს იყო გართული საქმეში. თუმცა გრილი დილა მოსჩანდა, მას ძალდატანებისგან ოფლის ხვითქი გადასდიოდა შუბლზე. ხელები გაშურებით მუშაობდნენ, თავი ათას ფიქრებით დამძიმებოდა.

ოლონდაც, რამდენი ხანია წელებზე ფეხს იდგამენ ორივ ცოლ-ქმარნი, მაინც ვერ მოივარგიანეს დრო, წლითი-წლობამდის სირჩო ვერ დაიძველეს და შვილებიანად შიშველ-მშივრებში ვერ ჩამოეცალნენ მეზობლებს, რომელნიც ყოველთვის სამადლოდ ჰკვებავდნენ. გუშინაც ისესხა მან ხუთმანეთიანი გრიგოლას ცოლისაგან, ახლა სანამ გადაუხდიდეს, რამდენჯერ შეეხმიანება. ისე უფასოდაც ბევრჯერ მიიშველიებს საქმეში და დანებდება ნინო, რადგან სწორედ იმ დროს შეუძლიან სხვაგან საფასურის გაკეთება... დღეს პავლია ზის ცეცხლა-პირას, დაჰკვნესის თავის მარჯვენას და ყურს არ უგდებს ექიმ ურია გაბრიელას იმედებს, რომელიც პირდება, ხვალვე გაგანთავისუფლებო. იჰ, ნეტავი ნინო ხანში იყვეს შესული, თავისუფლად შეეძლოს ყველგან სიარული, ბატონიანთსა თუ ისე სხვებთან, რა ქნას ჯერ ყმაწვილმა გომბიომ, რომელსაც თავის ჩრდილისაც კი უნდა ეშინოდეს. ნინო ფიქრებიდან გამოიყვანა ხმაურობამ, მოიხედა, დაინახა, კილასონიანთ სესე, მისი ორი ძმა და ორი დავაჟკაცებული შვილი, როგორ მოაჭრიალებდნენ გუთანს და ხმადაბლა ღიღინით მიეშურებოდნენ გზაზე.

— დილა მშვიდობისა, ნათლიდედ! პავლია რასა იქს? — დაეკი-

თხა სესე. ნინომ საჩქაროდ პირი აიხვია თავშლის ყურით, დაღუნა თავი და გაუბედავად წინ წამოდგა.

— რა ქნას, მამამთილო, გახდავს ისე, როგორც გინახავს.

— ექიმმა არ უშველავათა?

— რას ქვიან? ჯერ არაფერი საშველია და მერე ი ღმერთი რას იზამს, არ ვიცი.

— ისევ კიკოდაანთ მაიას აწამდებინე. გუშინ მოვიდა, — ამ დაპარაკით ჩაიარეს.

— მადლობელი ვარ! გენაცვა, მაგაზედ ადვილი რა არის, თუ კი ეშველება. მაინც აქვე კარის ძირში გვიდგია, — დაურთო იმედმოცემულმა ნინომ და ისევ ღონივრად მოიქნია თოხი. ამასობაში ცას მოსწყენოდა პირმოღუშვით ყოფნა, ნეღნედა იკრიალებდა სახეს, იფერებდა აქა-იქ შეპარებულ პირისფერ ზოლებს, რომელნიც უჩუმრად მოცურებულიყვნენ აღმოსავლეთიდან და მის მინაზებულ ციაგ შეხედულებას აცხოველებდნენ...

სოფელი თანდათან ილვიძებდა, საქონელი ბაკებში აღარ ჩერდებოდა, ძაღაზე იდგა იადაღზე გასასვლელად. ნინოს წაბდამაც წაიზმუიდა: — ახლა კი დროა ეგ შენი ხელადა მოუდგა ამ ძუძუებს და გამანთავისუფლო მოტევებულ მოჩუხჩუხე რძისაგანო. ერთ ადგილს საღორის კარი გამოამტვრია დედა-ღორმა და თორმეტი კუდქიცინა ბროდა გოჭებით გაემართა ბაღახზე, მაგრამ სიბერემ ნება არ მისცა დაუსვენებლივ ასდგომოდა გრძელ გზას, გაწვა შუა ეზოში, მოხუჭა თვალები და დაიღრუტუნა: მოდით, შვილებო, ისიამოვნეთ, სანამ კიდე შემიძლიან თქვენი კვებაო!.. ნინომ გაათავა ბაღის მორწყვა, მოწველა წაბლა, გაღიცღიცებული ქოთანი შეარბეინა სახლში, მზემაც გაისწორა ფრთები. ცის დუვარდ გუმბათს გადააფინა ბრწყინვალე ქსოვილი; ჩაგრული შეივრდომა, გულში იმედი ჩაუსახა. დანამულ მწვანე ხავერდს დასედეს სხივებმა, მოუაღერსეს ნინოს ნაღვაწ ბაღსაც და თვითეულ ფოთოლზე დაცემული ცვარი ათახფრად ააელვარეს. ხალხი მიისწრაფოდა სამუშაოზე, პავლესაც გული აუტოკდა; მაგრამ მკლავის საშინელმა შემაწუხებელმა ტკივილმა სურვილი ნატვრად უქცია, შესრულება სახვალსაზევაოდ გადაუდო.

— გაბრიელ! სწორედა სთქვი, კაცო, როდის უნდა მეშველოს? — დაიკვნესა გამხდარმა, გაყვითლებულმა პავლემ, რომელიც საბანწამოსხმული წამომჯდარიყო ლოგინში და მარცხენა ხელი

ჩაებღუჯა მტკივან მკლავისთვის. ეტყობოდა ძალიან აწუხებდა.
— აჩქარებით, ეე... აბა რა იქნება, ეე?! ხვალ-ზეგ ვნახავ და შევატყობ... ეე.... ჯერ ეს სახრჩოლებელი გაგიკეთო, ეე... — უპასუხა ჩასხმულმა ურიამ, რომელიც წვერ-კიკინებდაშვებული იჯდა იქვე კარებთან და არხეინად აკერებდა დაფლეთილ ჩუსტს, ვითომც აქ არაფერი ამბავიაო. მისი სახე ხატავდა ცბიერებას, თუმცა ცდილობდა ყველასთან თანაგრძნობით ყოფილიყო. ნინოს შესძაგებოდა ის, ეჭვშიაც შესული, ხშირად ფიქრობდა: ვაი თუ მართლა არა გაეგებოდეს-რა და ე კაცი ხელიდან გამომეცალოსო! მაშინ ხომ უნდა თვალები ავიხვიო და შვილებით წყალში გადავვარდეო! პავლიას სისუსტე უფრო აცხოველებდა ამ შიშს.
— გენაცვალე, ვის არ ულრძვია მკლავი, რომ ასე არ შეუწუხებია! — იტყოდა ის. გაბრიელა მეტად ძნელ წამლებს უკეთებდა. აიღებდა რაღაც ბალახ-ბულახს, ხარშავდა, ცხელ-ცხელს, აქაფებულს გოდრით შეუდგამდა ავადმყოფს, ზემოდან გადააფარებდა საბანს, კიდევ მაზარას, აქეთ თვითონ დაუჭერდა კალთებს, იქით ნინოს მოუყენებდა, ჰაერი არსაით შესვლოდა და ამყოფებდა ასე რამდენსამე წამს, რომ, მისი აზრით, სიცხეს და ბოლს ემოქმედნა ნატკენ მკლავზე, ყოველი ცუდი სენი გამოეტანა. მაგრამ ამგვარ წამლობას ვერ უძლებდა ავადმყოფი, სული შეუგუბდებოდა, დაიწყებდა ხელფეხის ფათურს, მოუსვენრად ზმუილს და კვნესას. ერთხელ ნინომ ველარ მოითმინა, შეშინდა, აქ ქმარი არ გამომეხრჩოსო, ყური აღარ ათხოვა გაბრიელას რჩევას, კიდევ პატარა მოეცადა და გადასადა საბანი, გულშელონებული, გონებადაკარგული პავლე კი პირდალებული, თვალებდაჭყეტილი გადავარდა ბალიშზე. ნინომ ასტეხა საშინელი წივილ-კივილი, გაბრიელას კარგი მუშტიც უთავაზა შიგ გულში, როდესაც ის კიდევ ეტანებოდა, დაეხურა ავადმყოფისათვის. მთელი სოფელი ფეხზე დააყენა, ძლივს მოაბრუნეს პავლია, მაგრამ მაინც მკლავმა არ უშელავათა. გაბრიელა კი იბუსხებოდა, იყვედრებოდა: — რატომ არ მაცლით, ამისთანა სნეული ასიც მომირჩენია და ღმერთი ხომ არა ვარ, ერთის სულის შებერვით გავასაღოვო, ერთი-ორი წამლობა რას ეყოფაო? — მაგრამ ნინოს მაინც უნდოდა, თავიდან მოეშორებინა.
— ან ღვთის ანაბარად დავტოვებ, ან სხვას მოვიყვან და ამას კი აქედან გავაძევებო. — ნინოს თანაც ეშინოდა, ვაი თუ ვცდე-

ბოდე, გაბრიელამ მკურნალობა კარგად იცოდეს და ჩემს საბაბზე კიდევ უარესი დაემართოსო! ხრჩოლების ნებას აღარ აძლევდა. გაიგონა თუ არა გაბრიელასაგან უკანასკნელი სიტყვები, შუბლი შეიკრა და მოუბრუნდა:

— მე არ გითხარი, გაბრიელ, აღარ შეიძლება მაგისთანა წამლობა-მეთქი?

— მაშ რისთვის მოგიყვანივარ, ეე? გამისწორდი, დამითხოვე და რაც გინდა ჰქენი, ეე, — ნინო ჩაჩუმდა, ხუთი მანეთის გარდა კიდევ შვიდი მანეთი უნდა მიეცა და არა ჰქონდა. ვისთან წასულიყო?.. ვისთვის გამოერთმია?.. თვითონ გაეყიდა და რა გაეყიდა, როდესაც ერთი დეკეულის მეტი არა გააჩნდა-რა? პავლია კი ქვეყანას ერჩივნა... ბოლოს გადასწყვიტა, რაც უნდა მოსდენოდა, მოეშორებინა როგორმე ის და თუ ვერსად იშოვნიდა სესხს, დეკეულსაც გაიმეტებდა. ამას წინათ თევდორეანთ მიტრომ ბარე თხუთმეტი მანეთი შეაძლია. რას იზამს, გული უნდა გაიქვავოს და მისცეს.

— მაშ არ იცი, რომ გაგისწორდები?! იქნებ გეგონოს არ შემიძლიან შვიდი მანეთი თავში გაწყვიტო?.. — პავლე უყურებდა გულმოსულ ნინოს, ნაღვლიანად თავს აქნევდა აქეთ-იქით, ხმის ამოღება კი თითქოს ეზარებოდა.

— ნინო, ასე უბედურად როდემდის ვიყო, დედაკაცო? — კითხა მან ბოლოს და თვალებში ცრემლი მოადგა. ნინოსაც გული ჩასწყდა, მსწრაფლ მოტრიალდა, დაეწოდა რძეს, რომელსაც ჩუხჩუხი გაჰქონდა და თავშემაგრებით მიუგო:

— რისთვისაო! ქვეყანა დიდია! წავად და კაი მცოდინარ ექიმს მოვიყვან...

— იმისთვისაც ხომ ცალკე ხარჯი დაგჭირდება, სად არის, საცოდავო?..

— რა ვქნათ, შენ იყავ კარგად და, რაც მაბადია, ოხრადაც დამრჩენია... თუ შენ არ იქნები!.. — ამ სიტყვების გაგონებაზე პავლიას თითქო ტკივილი შეუყუჩდა, ლოყებზე სიწითლე წამოეპარა და გამოუთქმელი სიყვარულით დაუწყო ცქერა ახალგაზრდა ცოლს, რომელიც არ ისვენებდა, თვალის ხამხამზე მის ხელში საქმე საქმეს ეცილებოდა. იქვე დოგინიდან წამომძვრალიყო წლინახევრის ბიჭი, დედიშობილა, მისცუცქოდა ცეცხლს, ჩხირით ნაცარს ურევდა, თან განუწყვეტლად შეღნაოდა დედას: ჩქარა რძე მაჭამეო...

— აბა ამათი პატრონი ბატომ არ უნდა გავიქცეე? — სთქვა ნინომ და აკვანში ატირებულ ბავშვისაკენ წავიდა.

— მაშ მითხოვ რაღა?.. — კითხა გაბრიელამ. როგორც ეტყობოდა, ეწყინა ნინოს ასეთი უეცარი გადაწყვეტილება.

— დღეს იყავი სანამ ვიშოვნიდე და მერე, საცა გინდა, მიბრძანდი! — გაბრიელა ჩაფიქრდა: იქნება შვიდ მანეთში უფრო მეტი სადირადი გამოვიდოდო, თუ ამაზე მეტხანს აღარ დავრჩები ამათთანაო და ისევ თანაგრძნობის მეტყველება მიიღო.

— ფულზე არ შეგაწუხებ, ეე, იქნება არა გაქვს? — უთხრა მან. ნინო დაყუდებოდა აკვანს, ცალი ხელით შუბლი ეჭირა და დაღონებული უყურებდა პავლეს. ის თითქოს გამოაფხიზლეს გაბრიელას სიტყვებმა.

— მერე?.. — მოუბრუნდა, თან იამა, იქნება მართლა მადრთვოს და მეც შემრჩეს ჩემი შვილების მკვებავი წაბლაო...

— ფულში სხვა რამეს ავიღებ... ეე, გინდა ხორბალს, გინდა საქონელს.. ღორს, — ნინომ უიმედოდ ხელი ჩაიქნია და კარგახანს ხმა აღარ ამოიღო.

— ჩემთვის სულ ერთია... ისევ ფულს მოგცემ, და თუ ვერას გავხდი, მაშინ შეიძლება აგრეც მოვიქცე. — დააძინა ნინომ თუ არა ბავშვი, მიაღაგ-მოაღაგა სახლი, მერე გამოვიდა ღერეფანში. მას უნდოდა, ახლავე შესდგომოდა ფულის ძებნას. მაგრამ პავლეც მარტო ვერ დაეტოვებინა გაბრიელას ანაბარა.

— ვინ იცის, ავადმყოფი კაცია, გული შეუღონდეს, რამე დასჭირდეს და ჩემისთანად ის ვერ უპატრონებსო. იქნება ჩემს აქ არ ყოფნაში ძალა იხმაროს და გაუკეთოს ი ოხერი სახრჩოლებელია თუ რაღაცა. პავლე გამწარებულია და შეიძლება ძალიან უარზედაც არ დაუდგეს. — ამ ფიქრში რომ იყო ნინო, ამ დროს დაინახა მომავალი ხანშიშესული დედაკაცი, რომელიც მოწყენილის სახით აჩქარებული მოდიოდა მათკენ. ნინომ იცნო კაკოდაანთ მაია და სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა, ეს არის ახლა კი მომირჩება ჩემი პავლეო... ორი თვეც იყო, რაც მაია თავის ქალთან სხვათა სოფელში წასულიყო, მის უებარ მკურნალობით დაღირსებულიყო სოფელი.

— გენაცვა, სიზმარში თვითონ ღვთისმშობელს უსწავლებია სხვადასხვა შელოცვები.

— ასე ამბობენ, თურმე ყველა ბაღახის ლაპარაკი ესმის.

როცა წავა საძებნელად, აქეთ-იქით შესწურწულებენ ბალახები თუ ყვავილები:

— სად მიხვალ, ქალო მაია? აი აქა ვარ და ამა და ამ ავადმყოფს მოვარჩენო.

— დიდ ამაგსა გვდებს, თავის დღეში ვერ გადავიხდით!.. ღმერთმა აცოცხლოს! თავადებშიაც კარგი მიღებულია, — დაპარაკობდნენ ყველგან და, რასაკვირველია, სასიამოვნოდ დარჩებოდათ მისი სტუმრობა. ნინომ აღარ დაუცადა მოხუცებულს მოსვლა, წინ მიეგება და გადაეხვია.

— ბატონო, შენ გენაცვალე, რომ კიდევ ველირსე შენს დაბრუნებას! — უთხრა მან.

— როგორა ხართ, შვილო?

— პავლე მყავს შეწუხებული, დედამთილო, მაგრამ რაკი შენ დაგინახე, ასე მგონია, კიდევაც მომირჩა-მეთქი, — მაიამ სიამოვნებით ჩაიღიმა.

— ღვთისთა, ვენაცვალე იმის ძლიერებასა, თორე მე რა შემიძლიან, ერთ მოკუნტულ ბებერს? მართალია, ქალო, რომ გაბრიელა ურია დაგიყენებია? — კითხა მან.

— მა რა მექნა!.. ქვეყანამ ჩამგმო, ჩამტიტა, ყველა იმისკენ თითს მიშვერდა, უებარი წამალი იცისო, მოვიყვანე, მაგრამ უარესი დამართა.

— მაინც რა წამლებს უკეთებს?

— რა ვიცი, გენაცვალე! რაღაცეებს უხრჩოლებს ხოლმე.

— უი, დამიდგეს თვალები!.. ეგ რა სთქვი?.. მკლავ-ნაღრძობს რა სახრჩოლებელი უნდა?.. ვერაფერი ექიმი ბრძანებულა... და მაგ თაღლითს კი არ ვაწვალებინებდი! — ამ დაპარაკით დედაკაცები შემოვიდნენ სახლში. მაია მიუახლოვდა პავლიას, მიიდო შუბლზე ხელი, რადგან იმ კუთხეში ბნელოდა, რა რომ გაიგონა კვნესა, გულში ჩაიკრა მუშტი.

— პავლე, შვილო, აბა აქეთ მოიხედე? — დაუძახა მან. პავლემ მიციადებული თვალები მიაჩერა მოხუცებულს.

— უი მე და ვაგლახი, შვილო, რომ აგრე გხედავ!.. რა გტკივა, დედავ? — პავლემ სალი ხელით ანიშნა ჩამობმული მკლავი. მაიამ მის წინ მოიკეცა და ბურნუთის კოლოფი ამოიღო, აღმაცერად გადახედა იქვე მჯდომ გაბრიელას, რომელიც ცოტა არ იყოს გულ-

მოხუცი გამობრუნდა ახლად მოხულს, რადგან შორიდანვე შეს-მენოდა მისი ქება და, როგორც მოციქე, სძაგდა.

— ე შენი წამალი, გაბრიელ, როგორ ასე აგვიანებს, ძაღას არ იჩენს, ჰა? — კითხა მაიამ და თან დაუწყო ბურნუთის წევა.

— რა ვქნა, ეე, მაგაზე მეტი არ ვიცი, ეე, და უკეთესად ახ-და შენ უწამლე, ეე! — ჩაიღაპარაკა უკმეხად გაბრიელამ.

— უი, მაშინ მოკვდეს მაია, რომ აქამდის ასე აწვალოს ავად-მყოფი! სად გამიგონია და თქმულა, შვილო, მისი ასეთი დატან-ჯვა! აბა შეხსენი, ნინო, ვნახო...

— არა, დედი, ეე, ეს არის ახლა დავადე წამალი, ეე, არ იქნება, ჰაერი დაჰკრამს, ეე, — მიატანა ხელების გასავსავებით ურიამ.

— ე მანდ შენთვის ეგდე, თავი ნუ გაგსვლია! თუ გგონია, ოხერტიელები გიპოვნია და ქეჩოზე დასხდომიხარ? ე ბიჭი მო-გიკლავს, შე ოხერო, და ნებასაც არ მაძლევ ვნახო!.. — მაიას ხმა-ში იხატებოდა ბრძანება, მუქარა, გაბრიელას გულში ფახალი მი-ეცა, რადგან არა ერთი ემდურებოდა უმართებულო წამლობაში, რომლის შედეგი უფრო ხშირად სიკვდილი იყო ხოლმე. ფიქრობ-და, ვაი თუ ყველა ახლა მაზღვევინოს ამ აშარმა ბებერმაო. პავ-ლეს და ნინოს კი გული იმედით უძგერდათ, მხსნელი გამოგვიჩ-ნდაო.

— გაგონილა ასე შებორბვლა და შეხვევა? უი, ჩემს სიცო-ცხლესა! ეს რა არის? — შესძახა მაიამ და მუხლებზე ხელი დაიკ-რა, როდესაც ნახა წითლად აღაპლაპებული, რუმბსავით გასიებული მკლავი. — გენაცვალეთ! ამას ცხელები როგორ მიეკარებოდა! — მაიამ საჩქაროდ ჩამოაცალა ბალახ-ბულახი, პავლე ტკივილისაგან იკლაკნებოდა.

— დაიცა, გენაცვალე, ჯერ ეს სიმსივნე დავაცხროთ, მერე თავის ფერზე რომ დადგება, დავზელავ, შეგიკრავ და ნახე ამ ერთ კვირაზე, როგორ გავასალო. დედა-შვილობამა, ქა!.. ვიშ, ან აქამ-დის რად დაგტანჯე, ამდენხანს რისთვის გავჩერდი იქა, როდე-საც სოფელი ჩემი შემომყურე იყო?! — მაიას როდესაც გაეგო პავლეს გაჭირვება, თან წამოელო წამლები. წაუსვა რაღაც გა-საგრილებელი მალამო. პავლეს მკლავს შეეხო თუ არა ცივი, მსწრაფლ შვება იგრძნო, ტკივილმაც უკლო. ნინო თავს ევლებო-და მაიას, სთავაზობდა ახალ ნალულ რძეს, არაყს, შეჭამანდს, რაც

კი გააჩნდათ. ცხვირდაშვებული გაბრიელა კი შერცხვენილი კარზე გამოვიდა.

— ერთი ეგ ურჯულო როგორმე მოიშორე, ქალო, გული მისკდება, რომ ვუყურებ... — წასჩურჩულა მაიამ. ნინომ ნაღვლიანად გაიღიმა.

— მე გასესხებ, დედავ, ოღონდ ეგ აქედან დაკარგე. როცა გქონდეს, მაშინ მომე... — არ ისვენებდა მაია. მან ჯიბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო ათას კონკებში გახვეული ფული და მისცა. გახარებულმა ნინომაც საჩქაროდ ჩამოართვა.

— ჰოი! შენ შემოგევლე, ბატონო, რომ ამ ვარამს, მომარჩინე, — პავლემ ცალი ხელი ალაპყრო მაღლა და იწყო თვალცრემლიანმა მაიას ლოცვა-კურთხევა. მაია კი, თითქო არ ეყურება ამათი დაპარაკიო, განაგრძობდა ბურნუთის წევას. ნინომ აისრულა სურვილი: მისცა ფული გაბრიელას და გზას გაუყენა. მაია ალარ მოშორებია პავლიას, უჯდა იქვე და უამბობდა სხვადასხვა გაგონილ-ნახულს. ამასობაში სალამომაც მოატანა. სახლში წყალიც შემოაკლდათ, ნინომ დაავლო კოკას ხელი, ბუმბულსავით აიტაცა, შეიდგა მხარზე, მოუბრუნდა მაიას, დაავალა ჩემს მოსვლამდე თვალი გეჭიროს კაცზედაო და გაუდგა გზას.

მას კარგა მანძილი ჰქონდა გასავლელი: უნდა გაელია რამდენიმე ნაფუზარი, რომ წყაროსთან მისულიყო. ნინოს მძიმე ჯავრი, ლოდსავით გულზე მოწოლილი, მაიამ მსწრაფლად ჩამოაცალა, შეამსუბუქა და ღიღინით მიეჩქარებოდა. ყურადღებას არ აქცევდა, თუ მისი ფარა-ფარა დაფლეთილი კაბა და შიშველა დახეთქილი ფეხები როგორ მოედებოდა ხოლმე ეკლებმოსხმულ ბუჩქებს, ან წვეტიან ქვის ნამტვრევებს. გამოჩნდა მშვენიერი ყანები, მერე მიადგა თავიანთ ორი დღის ნათეს ყანას, რომელსაც აქა-იქ უხეიროდ მომწვარს თავები ამოეყოთ და გულსაკლავად იყურებოდნენ... კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ნინოს თითქო თავრეტი დაესხა... მან აშკარად დაინახა, თუ იმათ სახნავ მიწაში როგორ შეება ვილასაც გუთანი და უზრუნველის ოროველათი საქმე სახრინავზე გაეყვანა. ნინო გაჩერდა, იცნო სესელა თავისის ძმაშვილებითა. გადაშავებული კვალი თითქო ნინოს ეუბნებოდა:

— ნუ გგონია, რომ ჩვენი ნაყოფი კვლავინდებურად შენს ქმარშვილს მივართვათო! ნინომ, როგორც იყო, მიაღწია წყა-

როდის, მოიხსნა კოკა და მუხლმოკვეთილი ძირს დაეშვა. ის გაიყურებოდა გაშტერებული, კარგახანს გონს ვერ მოსულიყო.

ვინ წაართვა ეს ამაგდებული ჯეჯიკური?! სესელამ, რომელმაც ამ რამდენსამე წუთის წინათ ისე გულმტკივნეულად მოიკითხა, თანაგრძნობით ურჩია მაიას მოყვანაც?! იმ სესელამ, რომელიც დოვლათით დულს და გადმოდის?.. როგორ დაიჯეროს ნინომ?.. გაუძლისმა ნაღველმა ცრემლები ნაკადულად გადმოსჩქეფა თვალებიდან. ნინომ ახლა კი ირწმუნა, რომ ღმერთსაც და კაცსაც ამათზე ხელი აელო. იქ სახლში ავადმყოფი ქმარი, აქ ეს უკანასკნელი ლუკმის წართმევა?! ნინოს თავისის მარჯვენით რამდენჯერ გაუპატიერებია ეს მიწა!.. თითებით დაუფშვნია მისი თვითეული გოროხი, რამდენჯერ მოუცელია დაბრაწული თავთავი, ბჯებად დაუდგამს და ძნით დატვირთული ურემი ვაჟკაცსავით სახლისკენ სიხარულით წამოუყვანია!.. წყლის ნაკადულთან ერთად ცოლ-ქმარს თავიანთი ოფლიც შიგ შეურევიათ და ერთი ორად უქცევიათ მოსავალი!.. ეს ჯეჯიკური აცხოვრებდა, ასაზრდოებდა, მისი წყალობით თამამად უხვდებოდნენ ყოველ მძიმე გადასახადს... ერთხელ თიბვის დროს ნინოს აკვანი იქვე ყანაში ჩაედგა, რათა დროიანად მიეხედა როგორც ბავშვისთვის, ისე საქმისთვის. დაესუნთქა „უსახელოს“ და უბედური, ავის თვალით უნახავი ბავშვი, ხელიდან გამოსცლოდა... ნინოს ამ გახსენებით მწუხარებამ მომეტებულის ძალით დაუწყო ყელთან ბლოჭიალი, თითქმის სული უგუბდებოდა. ის მალიმალ თვალებზე ხელს იფარებდა, იქნება მომეჩვენა და დროზე ჩამომეცალოსო, მაგრამ ისევ და ისევ ის გულისსახეთქი ოროველა ესმოდა, ისევ და ისევ ის კუპრსავით ჩაშავებული კვლები ეჩხირებოდნენ.

— არ შეიძლება!.. ცოცხალის თავით არ დავანებებ! თავს ზედ შევაკვდავ! ჩემო ჯეჯიკურო, სისხლად ქცეულო ამაგო! — შესძახა ნინომ, თავპირში შემოიკრა ხელები და ქვითინით დაემხო მიწაზე. მან კარგა ხანს იგლოვა თავისი უეცარი უბედურობა. შემდეგ, როდესაც ცოტათი დამშვიდდა, წამოდგა ზეზე, კოკა იქვე დასტოვა, წავიდა სესელასკენ, რათა გაეგო, თუ რა მიზეზით დაეჭრა მათთვის ყელები. სესელას არ იამა ნინოს მისვლა, ის ვითომც ვერა ხედავდა, განაგრძობდა არხეინად ღიღინს. ნინო დაუპირდაპირდა, ერთ წამს გადავიდა ხნულზე, მივიდა ახლო, სახეზე გადაწყვეტილება ეხატებოდა, მთელის სხეულით თრთოდა,

კანკალებდა, ბოლოს ძლივს ღონე მოიკრიბა, შეიძლო დალაპარაკება:

— რა ამბავია, მამამთილო, იმითანა რა დანაშაული მიგვიძღვის შენთანა, რომ მასაზრდოებელი ღუკმა ხელიდან გამოგვაცალე? — კითხა ათრთოლებულის ხმით და თან ცდილობდა, აღულებული ცრემლები შეემაგრებინა. სესელამ კისერი მოიფხანა, ვერ მოახერხა თავის გამართლება; ეთქვა: ბატონმა მიბოძაო, უპასუხებდნენ: თუ იმან გიბოძა, შენ თვითონ რად შეხვედი ძმის ღადატში და რად შეეხარბეო?.. არჩია, უკმეხად დასდუმოდა, გამბედაობასაც უფრო გამოიჩენდა.

— ღუკმა?.. რა ღუკმა, დედაკაცო, რას ლაპარაკობ?..

— რათ წაგვართვით ეს მიწა? სოფელში განა გამოილია?.. აბა შეხედე ამოდენა მინდვრებს? — ნინოს ხმას თანდათან ემატებოდა სიბრაზე.

— აღბათ ეს გვეპრიანებოდა, რომ აქ მოვედით! მერე, შენ რა გნებავს?.. თუ კარგი მომჭირნე ყოფილიყავით, მზართებოზე არ წამოწვებოდით და ამ მიწას ბალახით არ გაავსებდით! — ჩაეჩია უფროსი შვილი სესელასი.

— ოჰო, ისე ჩემი მტერი და დუშმანი წამოწოლილა მზართებოზე, როგორადაც ახლა ჩემი პავლია წევს, აჰანდე! გრცხვენოდეთ, ღვთისა გეშინოდეთ... თქვე უმსგავსებო, თქვენა! — შესძახა ნინომ. მას რაც კი რძლად მოსულა დ — ში, არავისთვის უშმი ქართული არ უთქვამს, სამაგალითოდ ყავდათ დასახული თავისის მშვიდობიანის ხასიათებით, მაგრამ დღეს გაჭირვებამ ყოველი რიდი და მოკრძალება ჩამოაშორა. ის განწირულ თვალებს აფეთებდა იქ მყოფთ, თითქო ეს არის ახლა უნდა მივარდეს და გაფატროსო.

— ეგ მიწა ჩვენია, ჩვენი საკუთრებაა, ჩვენი რცხალია, რომელსაც პავლია ოდიშერაძის ოჯახის მეტი არავინ შეხებია და დღეს თქვენ როგორა ბედავთ მაგის წართმევას?..

— შენი კი არ არის, ბატონისაა... შენი შავი ქვაა და ნაცარი ცხელი!..

— ჩემს მაგივრად ღმერთმა მოგცეთ პასუხი!.. მე ბატონთანაც კარგად მივალ, გავიგებ, რა დავუშავეთ, განა ლარიბი რომ ვიყავი, ლადას ვაკლებდი?.. წავალ, მუხლებზე მოვეხვევი, კეთილია, შემიბრალებს და თქვენ კი არ გაგახარებთ მაგ ნადავლზედა.

— მიბრძანდი, რაც შენ ბატონმა სახლში შეგიშვას, ხომ გაიგებ!.. შენმა სიცოცხლემ, თავს წამოგჭიმავს, მთელი დუნია მოუწვევია და ახლა შენ-ღა აკლიხარ!..

— მე რისთვისაც წავალ, ხომ გავარიგებ და დიდი საჭირო არ არის, თავს დამსვამენ, თუ ბოლოს...

— ჩვენ კი არ ვიყავით იმათთანა, რომ გზიდანვე დაგვაბრუნა გრიგოლამ.

— უფრო კარგი, მაშ თქვენის ნებით შემოხვედით აქა?..

— არა, ბატონმა შემოგვითვალა გრიგოლას პირით, პავლე ოდიშერაძეს გამოართვით და თქვენ მოხანითო.

— გრიგოლამ გითხრათ?.. აგრე რომ არ იყვეს?..

— მაშინ ხელი აგვილია.

— oხ, თქვე ულმერთოებო! — ჩაილაპარაკა გამწარებულმა ნინომ. გაიფიქრა, იქნება შეხვეწნით, მუდარით რამეს გავსცეთ ბატონთანა და კვალად დავიბრუნოთ ეს ჩვენი საზრდოვო. არჩია, შეეწყვიტა ამ ულვთოებთან ლაპარაკი, რომლითაც არა გამოვიდოდა-რა და გულჩაკლული გამობრუნდა. აილო სავსე კოკა და თვალცრემლიანი გამოემართა სახლისკენ. აჯობინა პავლესთვის არა ეთქვა-რა და ჯერ თვითონ დაფაცურებულიყო, რამდენადაც შეეძლო.

— რა ვქნა, დედამთილო, გული აღარ მიჩერდება, გონს ვერ მოვსულვარ, ამიერისა აღარა მეყურება-რა. ბატონო, ჩემი ჯიჯიკური რომ აღარა მაქვს! — იმეორებდა ნინო მწუხარებით და თავპირში იცემდა, როდესაც მაიას გამოეყვანა მეორე სახლში და თავის ვარამს ამბობინებდა.

— დაიცა, შვილო, მანდ რაღაც ეშმაკობაა, ბატონის საქმე არ არის... გირჩევ, წახვიდე და პირდაპირ ნახო.

— უი, შენ გენაცვალე, დედამთილო, რაც ამ სოფელში მოვსულვარ, იმათი სახლის კარი არ ვიცი, საით არის, როგორ შევბედო?.. ეს ოხერი მუხლებიც აღარა მნებდებიან.

— მაშ რას იზამ, ქალაკაცო?.. პავლეს გაგებინება ახლა არ შეიძლება, რაღა ეგ უნდა! თავად დასუსტებულია, ან თუნდაც გაიგოს, რას შეიძლებს აგრეთი ავადმყოფი?

— მაშ იცი, რას მოგახსენებ, ბატონო! მაგდენ სიკეთესა და ვაღს რომ მდებ, ესეც ამისრულე: შენ ყველასგან პატივცემული

ხარ, აგრემც გაგიძლიერდება შვილები, მიმეგზავნე ბატონიანთსა და სწორედ გამიგე, შენ შემოგევლოს ნინოი!..

— ეგეც აღვილია! არ დაგზარდები... მაინც კი გირჩევ, შვილო, ჯერ გრიგოლა ნახო. შეიტყე, რას გეტყვის, თუმცა დიდი მატრაბაზია — მწიხლავს წინ მოექცევა და მკბენარს უკანა. ორი შაურისათვის სულს გაყიდის. დაპირდი რასმეს.

## XXXIV

— ნინოს გაუმარჯოს!.. პავლე როგორა გყავს? — კითხა სალომემ, როდესაც დაინახა შემოსული ნინო.

— ღმერთმა გაცოცხლოს, უკეთ გახდავს. მაიას წამლობამ მოახედა. გრიგოლა სადა ბრძანდება? — იკითხა და თან თვალი მოავლო ოთახს.

— გრიგოლა წუხელის გვიან მოვიდა, თითქმის გათენება იყო, რომ ბატონიანთაგან ძლივს თავი იხსნა. იმათი ამბავი ხომ იცი, ამდენმა სტუმრებმა ღამის გადეწონ. ეგეც აღარ გამოეშვათ და დალაღუდ-დაქანცულს ახლაცა სძინავს მეორე ოთახში. საქმე ხომ არა გაქვს-რა?

— საქმე რომ არა მქონდეს, ავადმყოფს თავს დავანებებდი? მეტადრე წრეულს დავნელდი, დავიქეცი.. ახლა, რა გაუმაძღრობა და სიწუწკეა იმ სესედასაგან, რომ ი ჩვენ მიწაში არ შეეტანა გუთანი?.. მაგრამ ყველა რომ დაბად ლობეზე გადადის, ეს ნამდვილია!

— როგორ? განა შენი მიწა ვინმემ დაიჭირა? — გაოცებით იკითხა სალომემ, ვითომ პირველად ეყურებოდა, თუმცა დიდხანია იცოდა, როვორც იყო საქმე.

— მაშა, გენაცვალე! რა არის ახლა, ვითომ რა მინდაო?.. თავათ ღმერთი გვახედენს, წრეულს მუჭაზე დაყრა ძლივს მოგვივა, მთელი სოფელი კი ღამის ჩაიქცეს ჭირნახულით, ეს ჩემი მეზობლები რაღას მერჩიან, რომ ფეხს მაჭერენ! განა იმათთვის სამძიმოა ჩვენმა ჭიამაც ოლონლიადოს ქვეყანაზე...

— არა მგონია, ნინო, როგორ დავიჯერო, სესედას ეგ საქმე ექნას?!

—ეჰ, შე ქალო, მანდ დაუჯერებელი რა არის!.. შორი არ არის

და შორი არ არის... აქვე ორი ფეხის გადადგმაშეა... — ამ დროს გა-მოვიდა გრიგოლა თვალების ფშვნეტით. ახლაც ეტყობოდა წუ-ხანდელი ზარხოში, ენას ძლივს-ღა იგნებდა.

— ოჰ, ნათლიდედ! — წარმოსთქვა მან. ნინომ თავი დაუკრა, ისევ დაჯდა. სალომე გაშურებული კერავდა ბატონიშვილების ტა-ნისამოსს, თუმცა კი ყურადღება ქმრისა და ნინოსკენ ჰქონდა მიქცეული...

—გრიგოლ, ნინო უჩივის სესედას, მიწა წამართვაო.,,

.— მერე რა ვქნათ!.. წავიდეს ეგეცა და იმის საბადლო სხვა-გან მოხნას... მანდ საჯიბრო რა არის?..

— რაღა რა არის, შე დალოცვილო, ექვსი თუ შვიდი წელიწა-დია რაც ჩვენ ხელშია და იმან რისთვის უნდა წაგვართვას?

— თქვენ ხელშია, მართალია, მაგრამ ხომ არ გიყიდნიათ?

— ლალას ყოველ წლივ მივართმევთ ხოლმე ბატონსა!..

— ეჰ, ჩემო ნინო, — განაგრძო მორბილებით გრიგოლამ, — სწორედ გეტყვი: დიდ კაცს დიდი ჭკუა აქვს... იმას ვერაფერს გა-მოვაპარებთ. მართალია, როსტომი ხშირად არ დადის მამულში, მაგრამ კარგა ხედავს, თუ სად ვინ როგორ ირჯება. თქვენზე დიდი ხანია გულაყრილია, ამბობდა, ის მიწა სულ გამიოხრდება, რადგან დროზე მოვლა არა აქვსო.

— ვაი, არ მომიკვდეს ი თქვენი მარჯვენისაგან მირონდაცხე-ბული შაქარა, რომ იმ მიწას ზედ ვესოცებოდით, რაც კი შეგვეძ-ლო. ახლაც ვაპირობდით დაგვექირავებინა ვინმე, სანამ ი კაცი მორჩებოდა, რომ გუთანი შეგვეტანა.

— ჰო და კიდევაც ეგ არის, ჩემო ნინო, რომ აგრე გიჭირთ! მიწა მაგასობაში რჩება და ბატონი კი მიწყრება, რადგან ზა-რალი ეძლევა. იმასაც დიდი ხარჯი აქვს, ღმერთს გეფიცები. ახ-და კაი სამოცი თუმანი აილო ვადად, წინანდელი კიდევ სხვა და ორიოდე თუმნის მეტი აღარ დარჩა, ცხოვრება უნდა, ჩვენ ამ ხმელ ლუკმაზედაც გადავივლით, მაგრამ იმათ რომ არ შეუძლიანთ!..

— მაგას ვინ ამბობს, გრიგოლ, მაგრამ ჩვენც ღვთის გაჩე-ნილები ვართ, ჩვენც ცხოვრება გვინდა... მამული თუმცა იმათია, მაგრამ მშრომელი მარჯვენა ჩვენია... ჩვენ უნდა ვარჩინოთ. როგორც ჩვენი თავი, ისე ისინიც..

— ეჰ, შე მამაცხონებულო, გააჭიანურე, თითქო არ ვიცოდე, შენი ორიოდე ჩანახობით შეტანილი ღალა ძალიან ეყოფა, აბა!.,

— მაშ ბატონმა გიბრძანა, გამოართვი პავლე ოდიშერაძეს ი მიწაო?...

— ჰო.

ნინოს გული მოსდიოდა, მოთმინებას ჰკარგავდა, როდესაც ხედავდა, თუ გრიგოლა რა უთანაზიაროდ უგებდა პასუხს, თითქმის ყურადღებას არც კი აქცევდა.

— მაშ ბატონმა გიბრძანა, თვალები აიხვიონ და წყალში გადავარდნენო?..

— ეგ კი არ უთქვამს... თქვენი ნებაა, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცით, — დაუმატა დამშვიდებით გრიგოლამ.

— ოჰ, გრიგოლ, შენ რომ სხვა ყოფილიყავი, დაგწყევლიდი, მაგრამ რა გიყო, როდესაც, ჯერ ეს ერთი, ხელმწიფის ტოლი კაცი ხარ, მეორეც ესა — შვილის მომნათლავი... შენ ამაგი არად მიგიძნევია?.. ქმარ-შვილს მირჩევნიან ის მიწაი, ვერავინ ვერ ისეირებს იმაში. გიცხადებ, როგორც მოურავს, რომ იცოდე...

— ვითომ რას უზამ?

— ბატონთან ვუჩივლებ და ისევ ჩემ ქმარ-შვილს ჩავაყენებ... ის მიწა ჩემია... — გრიგოლა აიღანძა, თითქმის კიდევაც გაღურჯდა სიბრაზისაგან.

— აბა მაშ რახან ძალაზე დგეხარ, შენ კაი ქალი და მე ეს გლახა კაცი, თუ იმ მიწას კიდევ ხელს მოავლებ. — ნინო წამოვარდა ზეზე და გამოვიდა კარში. ის წინანდელზე მეტად იმედდაკარგული მორბოდა სახლისაკენ. როდესაც მოვიდა, ყოველივე უკლებლივ გადასცა მაიას, რომელმაც ურჩია ჯერ კიდევ მოეცადნა და მოეთმინა.

პავლეს მკლავი თანდათან დაუშუშდა, რჩენაში შევიდა, თვითონაც ღონე მოემატა, ხანდისხან გამოვიდოდა კარებზე და აქედან სტკბებოდა თავის სოფლის ყურებით, ნინო კი ჩუმად იმდუღრებოდა, სწუხდა თავის დაკარგულ ჯეჯილურს. მაიამაც სანუგეშო ვერა მოუტანა-რა ნინოს. როსტომს ეთქვა, მამულების შესახებ გრიგოლას მიმართეთო, იმას ჩავაბარე და როგორც გადასწყვეტს, ისე იქნებაო. გრიგოლა კი სესხელასკენ იყო... ნინოს გარდა სოფელში კიდევ სხვებიც ემდურებოდნენ ამგვარსავე უსამართლობაზე, როგორც როსტომს, ისე გრიგოლას, მაგრამ მათ არ ესმოდათ: თუნდ გაეგონათ, ყურს არ უგდებდნენ, გრიგოლა თანდათან იმატებდა ბატონისაგან გირაოდ მამულებს, დღითი-

ღლე მისი ჩვეგავლენა სოფელში ძლიერდებოდა, თითქმის როს-
ტომს აღარაღ აგდებდნენ, მასთან მოდიოდნენ საქმეებისთვის
და, ვისიც მეტი დაისარჯებოდა გრიგოლას სასარგებლოდ, საქმე
იქით გადაწყდებოდა. სუსტი უფრო მეტად იჩაგრებოდა. ღონიე-
რი ფრთებსა შლიდა. მორჩა თუ არა პავლე, წავიდა თავის ყანის
დასათვალიერებლად. მას წინდაწინვე გაეგო, ვერაფერი მოსავალი
ჰქონდა, მაგრამ მერმისისათვის იმედს არა კარგავდა. სესედასა-
გან მიწის წართმევამ კი თავზარი დასცა. ის გაშტერებული იდ-
გა და ფითრი ფერი, მოელვარე თვალები ამტკიცებდნენ, რომ მის
გულში აბობოქრებული ჯოჯოხეთი უმნიშვნელოდ არ ჩაივლიდა.
კრიჭაშეკრული დაბრუნდა სახლში. ნინო მიუხვდა ნაღველს და და-
უწყო დამშვიდება, ურჩევდა, თავი მიენებებინათ როსტომის
მთელი მამულისათვის და შეკედლებოდნენ ახლა პაციკო დიდეპა-
შვილს, რომლის სახსი უფრო შეღავათით და ტკბილად ცხოვ-
რობდა.

— სელი აიღე ერთი, დედაკაცო-და! გაჩუმდი-მეთქი! — შეს-
ძახა პავლიამ და მისმა თვალებმა კვალად ბოროტი ცეცხლები გა-
აბნიეს.

— ერთ დღეს დავბადებულვარ, დაე ერთ დღეს მოვკვდე! მა-
გათი სადავათი კი დაიქცა!.. — პავლიას გული ამ დროს ზღვასა-
ვით ქოთქოთებდა... მთელი სახე ურთრთოდა. ის გაბღვერილი,
გულჩათხრობილი გან-განზე დადიოდა და ჩაფიქრებულიყო, თუ რა
მოეგვარებინა... ეძებდა დროს, შემთხვევას, სესედასათვის მა-
გიერი მოეწყო.

— რაღად მინდა თავი ცოცხალი?.. ჩემი ამაგი!.. — ამბობდა
კვნესით, როდესაც ფარულად მივიდოდა ჯეჯიკურთან, ჩაჯდებო-
და იქვე ახლო, დააბჯენდა თავს ხელებზე და იწყებდა ქვითინს...
გული კი განაგრძობდა რაღაც ჩურჩულს!.. პავლია გახდა, გაფითრდა,
თვალები ჩაუცვივდნენ, საქმეზე აღარ იწევდა. ნინოს კი ჯაფა
და ვარამი გაუორკეცდა. მოვიდა კალოობა. პავლემ უგულოდ მოი-
ტანა ორი ურემი საძეწი, ორ დღეს მორჩა იმის მიფანიერებას
და ისევ უიმედოდ იწყო ყურება... ნინოს აღებული ხუთი მანეთი
სადომესგან ერთიორად დაეწერა. როდის, საიდან გადაეხადა?.. ის
კი ჩასციებოდა, ჩქარა მომეციო... მეტი ღონე არ იყო, უნდა
წაბდა გაეყვანა და გაეყიდნა... პავლია ანგარიშმიუცემლად უყუ-
რებდა ცოლს, თავის უფროს ბიჭს, რომელნიც თვალცრემლიანები

ებლაუშვებოდნენ კეთილ, ამაგდებულ პირუტყვს, როდესაც გრიგოლას მიყავდა ვაზში.

— დადუპული ვარ!.. ჩემი ჯეჯიკური... — ბუტბუტებდა ამ დროს შერეულსავით პავლია... ერთ დილას, როდესაც პავლია გამოვიდა კარებზე და ნინოც ის იყო ბრუნდებოდა წყლიდან, მთელი სოფლის ნახირმა ჩამოიარა... განაპირას იდგნენ სესელას ხარები და თითქოს დაცინვით უყურებდნენ პავლიას და ნინოს... ნინომ ველარ მოითმინა და გულჩათუთქულმა წაიბუზღუნა:

— ოჰი, რატომ რქები და ფეხები არ დაგემტვრათ, როცა ჩემს ჯეჯიკურში სახნავად შედიოდით!.. — პავლეს ამ დროს ნალაცამ მუჯლუგუნი წაჰკრა, გაფითრდა, შევარდა სახლში, გამოიტანა ხანჯალი, ერთი თვალის ხამხამზე გაჩნდა ხარებთან, დასცა ჯერ ერთს, მერე მეორეს შიგ ფერდებში და თვითონაც სისხლიანის მახვილით გადავარდა მეორე მხარეს... ნინომ ერთი საშინლად დაიკივლა და გულშეწუხებული ძირს დაეცა. წუთს სოფელმა თავი მოიყარა, ასტყდა წივილ-კივილი და ვაიუშველებელი.

— ჰა, რომელი იყო?

— რომელი იყო ის წაწყმედილის შვილი?

— რომელი, მიჩვენეთ! — ყვირილით და კეტების ქნევით მორბოდნენ სესელას შვილები და ძმები. პავლიამ დაინახა თუ არა ისინი, გამწარებული გადმოხტა ღობიდან, გაიქცა მათკენ, ხანჯალი შემართა, მაგრამ მალე თვალთ დაუბნელდა და, შუაზე თავგაჩეხილი, ძირს უსულოდ დაეცა. ხალხის დრტვინვამ იმატა. მკვდარი სახლში შეიტანეს, მკვლელი — სესელას უფროსი შვილი სანდრუა კი სოფლის კანცელარიაში შეამწყვდია მამასახლისმა.

— როდემდის მოვითმინოთ?

— საწყალ კაცს ველარ უცხოვრია!

— სესელას სულმა ზლოს...

— სესელამ კი არა, გრიგოლამ.

— და ჩვენმა პატიოსანმა ბატონმაც, რომელიც ჩვენს გაჭირვებას არხეინად უყურებს, — გაიძახოდა ერთი მხარე.

— უენო საქონელმა, პირუტყვმა რა ჰქნას? რა შესცოდა? ღვთის შიში არ არი?

— მაგას თუ ეგონა, ბატონი საჩუქრად მიართმევდა ი მიწას? — ჩამოართმევდა მეორე...

— გამწარებული სული აღარას არჩევს!

— ამაზე მეტი აღარ შეგვიძლიან, გრიგოლა უნდა გაძევდეს აქედან, გრიგოლა! — აღარ წუმდებოდა ხალხი.

გაწნდნენ როსტომი, პადიკო, შაქრო. ამ უბედურებამ ყველა შეაწუხა... მეტადრე პადიკო, რომელიც ცდილობდა დაწვრილებით გამოეკითხა, მაგრამ მაინც გარკვევით ვერა გაეგო-რა... გაფითრებული გრიგოლა, რადგან ყური მოეკრა ხალხის მუქარისთვის, მაინც ცდილობდა დამშვიდებული ყოფილიყო, გვერდზე მოსდგომოდა ბატონს და ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

— რაიო? მამა გიცხონდება-თქო! რატომ არ უთხარი, ჩემი ნებაა-თქო? ეგეც ახირებულია! მაშ ისინი ყოფილან ბატონები, ნალა! — შესძახა მოუთმენლად როსტომმა და მსწრაფლ გაბრუნდა.

— ხათაბალაა სწორედ ამ ხალხში ცხოვრება, ყმაწვილებო, ერთმა გლეხმა მეორეს ხვნა დაასწრო და იმის გულისთვის მოახდინეს ეს უბედურება!.. ერთმანეთი რომ ვერ გაუტანიათ, აბა სხვა როგორ უნდა გაიტანონ?.. — ეუბნებოდა როსტომი იქვე გვერდით მომავალ ყმაწვილებს, რომელნიც ჩაეფიქრებინა ამ საზარელ შემთხვევას... ბევრმა გადაუბლვირა როსტომს, როდესაც ისინი მოდიოდნენ სახლისკენ. ხალხი კარგახანს ყაყანებდა, მერე ნელ-ნელა იწყეს დაშლა, ზოგი კი წავიდა ნინოსკენ. რომელიც სახლში შეეყვანათ და ძლივს აბრუნებდნენ... როგორც იყო მოასულიერეს უბედური ქალი, მაგრამ რა დაინახა იქვე გვერდზე თავგაჩეხილი პავლია, მან ხელმეორედ შეკივლა და ისევ გონება დაკარგა. მაია და სხვა დედაკაცები კი ცდილობდნენ, როგორმე გამოეზრუნებინათ ჭირისუფალი. მასზე ნაკლები თავზარი არ დასცემოდა სესელას ოჯახსაც... სესელას ცოლი სოფიო გაწეწილ-გაგლეჯილი სიმწარით ლოყებს იკაწრავდა, თან აყვედრიდა ქმარ-მაზლებს, თუ რაზე დაუსხეს ცეცხლზე წყალი, რაზე დაანელეს! სესელას ოჯახი არ იყო აბეზარი, მეტადრე პირველში, მაგრამ როცა ხელში მოიქონიეს, გალონიერდნენ, ღღეს-ხვალიობით დაუახლოვდნენ გრიგოლას, სიხარბემ თანდათან ხელი დარია და იწყეს მონებებული წართმევა-წაგლეჯა, ერეოდნენ პავლესთანა ღარიბებს. პირველში ისინი იმარჯვებდნენ, მაგრამ დღეს შემატებასთან ერთად კაცის სისხლიც თან შეჰყვათ ოჯახში და ერთ-ერთი მათი წევრთაგანი გაამზადა საციმბიროდაც. თუმცა ამჟამად სესელას სინიდისი გალვიძებოდა, აწუხებდა, მაგრამ რაღას მოეწეოდა, გრიგოლა კი ამშვიდებდა, რომ ღვთით, არა უშავდა-რა სანდროს.

— მართალია, ძნელია კაცის მკვლელობაში შესვლა, მაგრამ რას იზამთ?.. მაინც საცა ფულია, იქ ყველაფერი მორჩილია.... თქვენ ორიოდე თუმანი შეაპარეთ ბოქაულს, მეც ბატონთან დაგესმარებით...

— მერე სისხლი?

— სისხლს წყალი გარეცხს, დრო წაილებს, დაგავიწყდებათ...

მაგრამ სესელას ოჯახი მაინც იტანჯებოდა გამოუთქმელად... მეორე დღეს მოვიდა პრისტავი ჩაფრებით. გამოიძია დაწვრილებით, ოქმი შეადგინა, სანდრო კი ჩააბარა ჩაფრებს, ვიდრე გამომძიებელი მოვიდოდა... ამ უკანასკნელსაც აღარ დაუგვიანია... სესელამ დაუჯერა გრიგოლას და კაი ოცდახუთმანეთიანი ჩუმად ჩაუდო ხელში პრისტავს და სხვაგვარად აალაპარაკა... ამან აუსხნა გამომძიებელს, თუ როგორ ძალადობდა პავლია როსტომის მიწაზე, რომელიც ასდა პატრონს მიეცა სესელას ოჯახისათვის, და ეს უბედურობა თითქმის ძალით გამოიწვია. მოწმეებმაც სწორედ ასე უჩვენეს, თუმცა კი მათ გულით უნდოდათ პავლიას გამართლება. როსტომიც აგრეთვე ცდილობდა სანდრო გამოეხსნა ამ უბედურობისაგან, რადგან არ უნდოდა, ვინმე მის მოსამსახურე სახლში დატანჯულ-შევიწროვებულიყო...

— დაიცა, შვილო, გავაკეთო ჩემი საქმე, მაშინ ნახეთ, თუ როგორ შეგეწევით! მეტადრე საწყალ ნინოს უფრო უნდა მივცე... გაოსრებულია!.. — გულში ამბობდა ის, სესელამაც ორჯერ გამართა კარგი თავმოსაწონებელი სადილი, მიიწვია სოფელი და დაზათიანად გულუხვად გაუმასპინძლდა... ამის შემდეგ ხალხიც დათანხმდა, უსათუოდ უნდა ეშველათ სანდროსათვის... ისე რომ სესელას ჯავრი აღარა ჰქონდა... გამომძიებელმა იმედი მისცა, საშიში არა არის-რა, სანდროს მარტო რამდენსამე თვით ჩასვამენ ციხეშიო... მაგრამ ამას რას ინაღვლიდნენ, როგორც თვითონ სანდრო, ისე მისი პატრონები?

## XXXV

მაკინეს თუმცა უხაროდა, რომ მოახერხა ოქროს უვნებლად წამოყვანა, მაგრამ ცდილობდა არავის შეემჩნია სიამოვნება, ყოფილიყო გარემოების შესაფერად. ჩავიდნენ თუ არა ქალაქში,

ოქრომ და იასონმა გასწიეს საქმის შესატყობად. რაკი ოქრო დარწმუნდა, მოვადე არ იცდიდა, ეჩქარებოდა ფულის მიღებას, ფიქრს მიეცა, თუ როგორ ეშოვნა ეს ფული. საიდან? ვისგან? მამულის წლევანდელი შემოსავალი კიდევაც დაეხარჯა. მეტი ღონე აღარ ჰქონდა, უნდა ვისგანმე ესესხა. თავისებს არას აგულებდა, დარჩენილიყვნენ ნაცნობები, რომლების მიმართვა ოქროს ძალიან უმძიმდა. მაკინე შეუდგა ოქროს გართობას, რათა თანდათან გადაევიწყებინა ქეთინო. სახლის კარი გაელო ყურამდის, ნაცნობებმა იწყეს სიარული იმ იმედით, რომ ოქრო როგორმე დაესაკუთრებინათ. ოქროს მეტი ღონე აღარა ჰქონდა, უნდა მონაწილეობა მიეღო ამ უშინაარსო ფაცა-ფუცში. დრო აღარა რჩებოდა საქმის მოსაზრება-შესრულებისთვის. დილით დარბაზობა, შუადღისას სადილი, საღამოზე თეატრი. ნადიმები ერთიმეორეს მოსდევდა... გზას ვეღარ უქცევდა. ოქროს უყვარდა მაკო, ხშირად შეადარებდა ქეთინოს სიყვარულთან დის სიყვარულს და არ იცოდა, გულში უპირატესობა რომელსა რჩებოდა.

მალე გახდება ოქრო ბედნიერი! დახატული, ჭკვიანი, ნიჭიერი ახალგაზრდა მეუღლე და ასეთი მოყვარული, თითქმის თავშეწირული და... სხვა რაღა უნდა? ოქროს ამჟამად გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ქეთინოზე სიხარულით, სიამოვნებით, უშიშრად ჯვარს დაიწერდა. მას უნდოდა მალე მოეშორებინა მაკინეს ვალი. მერე აირბენდა თავის სოფელში, იქაურობას დაათვალიერებდა, გასწევდა ძვირფას სატრფოსკენ და წამოიყვანდა მასაც. მაშინ კი, მარტო მაშინ გაშლიდა გაღონიერებულ ფრთებს სამოღვაწეოდ ისე, რომ ვეღარავინ რას დააკლებდა, მაგრამ მოაგონდებოდა თუ არა ფულის სესხება, ისევ მოიშლებოდა და უსიამოვნოდ გახდებოდა.

— თუ კი აგრე გაწუხებს, ოქროჯან, თავი დაანებე, გენაცვალე! შენი კმაყოფილება, სიხარული სიცოცხლედ მიღირს, — ეტყოდა მაკინე, რადგან იცოდა ოქროს ხასიათი, გადაწყვეტილ საქმეზე უკან აღარ დაიხევდა.

— არა, მაკო ჩემი შეწუხება მაშინ უფრო არ გაორკეცდება, როცა ეგ მამული გამოგვეცლება ხელიდან? — უპასუხა მან.

— რახან არ იშლი, სანდო კაცს მაინც ესესხე? — განაგრძო მაკინემ.

— ვის?

— იუნდ თადეოზ სვიმონიშვილს, ჩვენი ოჯახის მეგობარია,

არა მგონია, დაგვიჭიროს, — დაუმატა ქალმა კარგა ფიქრის შემდეგ. ის დარწმუნებული იყო, თადეოზი არამც თუ ათას თუმანს, ორი ათასსაც ასესხებდა ოქროს, რაკი იცოდა, შეძლებული იყო და ქალსაც ალირებდა. ოქროს ჭკუაში დაუჯდა დის რჩევა, მაგრამ თხოვნა კი არ გაუადვილდა. წერილის მიწერასაც საძნელოდ ხედავდა. მომავალ წლამდის მამულიდან ბევრს არას ელოდა, თადეოზი კი ძალას არ დაატანდა ოქროს, რადგან არ უჭირდა. ოქრო და მაკინე პურისსაჭმელ ოთახში ისხდნენ, ყავას მიირთმევდნენ, იასონი სამსახურში წასული იყო. ამ დროს მოსამსახურემ შემოიტანა ვერცხლის ფოლნოსზე დადებული წერილი და მიართვა ოქროს. აღელვებულმა ოქრომ ხელი დაავლო, ქეთინის გამოგზავნილი ეგონა, თუმცა პირობა ასეთი დადეთ, რომ პირველად ამას უნდა მიეწერა. აღტაცებული დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა ამ პირობას, ეჭვი ჰქონდა, იქნება ქეთინომ ვერ მოითმინა და მომწერაო, მაგრამ წერილი არ იყო ფოსტით მოსული; არამედ მომტანი დერეფანში იცდიდა პასუხისთვის. ოქროს წინასწარი გრძნობა გაუცრუვდა, წერილი თადეოზ სვიმონიშვილს გამოეგზავნა.

„პატივცემულო თავადო ოქრო! — სწერდა ის, — გთხოვთ ყველას ერთობ: კნეინას, თქვენ და თავად იასონს, დღეს სადამოზე მეწვიოთ და დამავალოთ. თქვენი პატივისმცემელი თადეოზ სვიმონიშვილი".

— ვისგან მოგივიდა, ოქრო? — ჰკითხა მაკინემ.

— თადეოზისაგან.

— რა ჩინებული შემთხვევა გეძლევა!.. გინდა გაგანთავისუფლო მაგ განზრახვისაგან, შენ აღარ გათხოვიო და მეკე ვიკისრო?

— თუ კი მაგ საქმეს მიზამ, დიდად დამავალებ.

— ბატონი ხარ.

— წარმოიდგინე, მაკო, მეორე კვირა გარბის და ქეთინოსათვის ჯერ წერილი არ მიმიწერია, — სთქვა კარგა ფიქრის შემდეგ ოქრომ.

— მერე, როგორ მოგივიდა, გენაცვალე, რომ აქამდის დატოვე საწყალი გოგო უკითხავად? დღეს არა და ხვალ ერთად გავგზავნოთ. მეც მინდა მივწერო განოს. დღევანდელი სადამოს შეაბეჭდილება საყურადღებო იქნება ქეთინოსთვის, — ოქრომ მადლობით აკოცა ხელზე, ყავის შემდეგ წავიდა თავის ამხანა-

გებისაკენ, შეუარა გიორგის, რომელიც ჩვეულებრივ საწერ საქმეს ჩასჯდომოდა. მან დაინახა თუ არა ოქრო, გადააწყო გვერდზე თავისი საწერები. დაიწყეს ლაპარაკი. მათ მოიგონეს ვანო, შესწუხდნენ მის დაკარგვაზე და მერე შეეხნენ გიორგისთვის საგრძნობ პირს, თამარს. ოქრომ გამოჰკითხა მისი ვითარება, გიორგიმაც დაუფარავად შეატყობინა, თუ თამარომ როგორ შეაქცია ზურგი, გათხოვდა ვიღაც გადასვეწილზე.

— ღმერთს მადლობა შესწირე, შენი ბედი არ იყო. რაა საერთო შრომის შვილსა და უსულ-ღვთო ტიკინას შორის?.. იმისი ღირსება მარტო იყო სახე, რომელიც დროსა და ჟამის წყალობით გაჰქრებოდა, ხელში შეგრჩებოდა დამახინჯებული არსება. დარწმუნებული ვარ, ის შენს გარდა კიდევ სხვებთანაც გაიჩენდა ბუსაგს. — გიორგიმ ხელი ჩაიქნია.

— რა გაეწყობა, ძმაო, რაც იყო — იყო, რაღას მოვეწევი? შენ როდის-ღა იხდი ქორწილს? მთელი ქალაქია და შენა!

— რაო?!..

— ძალიან დამალე, განა არ ვიცი, სვიმონიშვილის ქალს ირთავ...

— მართლა? მაშ ჯვრის წერის დღესაც შეგატყობინებდნენ. საიდიდ არის? — იკითხა სიცილით ოქრომ.

— ჰო, შენ აგრე იხუმრე, ენახოთ როგორ გამართლდება. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

— რა ვიცი, ჯერ კი ჩემთვის პირველი გაგონებაა და...

— როგორ? მაშ ტყუილი ჭორია?.. შენ არ ირთავ დიზა სვიმონიშვილს?..

— არა...

— ღვთის წინაშე, ნათესავები კარგი ჰყავს, დიდი მზითვიანია...

— ჰმ, გიორგი, შენგან არ მიკვირს?.. ჩვენი ფული, ჩვენი დიდება გულია, ჩემო ძმაო, ვისაც ვინ უყვარს, იმისი სიმდიდრეც ის არის!

— გეტყობა, შენს გულს დაპატრონებია ვინმე, რომ აგრე მხურვალედ ესარჩლები გრძნობას!..

— იქნება. აბა გამოიცანი, ვინა?

— ჯერ მითხარი, ვიცნობ?

— არა.

— აბა მაშ როგორ გამოვიცნო?.. ვინც უნდა იყვეს, ღმერთმა ინებოს ის ქალი სხვებსავით გაუტანელი არ გამოგადგეს...

— არა, ის უმანკოა, ანგელოზია, ზნეობის მაგალითი!..

— რატომ არ იტყვი?

— ჯერ adრეა.

— შენი ნებაა, არ ჩაგაცივდები! — ისინი შემდეგ გადავიდნენ საქვეყნო საქმეებზე. გიორგიმ აცნობა ოქროს, რომ ამ დღეებში ყმაწვილები შეიკრიბებიან ისიკოსას, იმედია, ისიც მიიღებს მონაწილეობას, როგორც თანამოაზრე კეთილ საქმეებში.

— ჩვენ, ქართველები, რომ მცირე უნარს ვიჩენთ საქმეებში და უფრო ცარიელა სიტყვებად გადავქცეულვართ, ეს ცხადია, — დაურთო გიორგიმ.

— მერე, ვინ არის მიზეზი?

— ჩვენვე, ჩვენი გაუტანელი, ზარმაცი ბუნება, რომელიც უკანა გვწევს. განა უმნიშვნელოდ ჩაივლიდა თარეშობა იმისთანა ხალხისა, როგორიც იყვნენ სპარსელები, რომ მათ თავიანთი ზეგავლენა არ დაეჩინათ ჩვენს სისხლსა და ხორცზე, არ გადმოცემულიყო საშვილიშვილოდ? გაუტანლობა, სიზარმაცე, სისუსტე, ბაქიობა, აი რა ღირსებებს დაუჭერიათ თვალსაჩინო ადგილი ჩვენს ცხოვრებაში!.. გავიხსენოთ მამა-პაპანი, რომელნიც გულადებით ებრძოდნენ უმრავლეს მტერს, წარბშეუხრელად სისხლსა ღვრიდნენ. ჩვენ კი ამჟამად ‚ეიმისოდაც ხელშეკრულები კიდევ ერთმანეთს გავბღვერივართ, ვცდილობთ დროზე გამოვიჩინოთ მათდამი მტრობა, შურისძიება.

— მაგისთანა განწყობილება არც წინათ გვაკლდა, ჩემო ძმაო, — უპასუხა ოქრომ, — სწორედ იმ დროს როცა ურიცხვ მტრებს ებრძოდნენ წინაპარნი. ვიდრე მტერი შემოესეოდათ, თვითონვე ხშირად ამზადებდნენ მათთვის ფეხისმოსაკიდებელ ნიადაგს, ერთმანეთთან ქიშპობის გამო. რატომ ამას კი არ გაიხსენებ? რა ქართველობა, რა სხვა ხალხი!.. ადამიანი მეტად ხარბია, ის არა კმარობს აწმყო გარემოებას, ებრძვის, ელტვის მომეტებულს და ამ ბრძოლის მსხვერპლად ყოველთვის უღონონი ხდებიან. ეს ლტოლვა მომეტებულისადმი, რამდენადაც სახარბიელოა, იმდენად მავნებელიც კაცობრიობისთვის. ცხოვრება ასეთია და რას იზამ! ჩემის აზრით ჩვენი მოვალეობაა — ხალხის ხვედრი,

როგორც ზნეობა, ისე ნივთიერი სიმდიდრე, განმტკიცდეს, გაიფურჩქნოს. დავაარსოთ ოჯახები, აღვსილი სიყვარულით, შრომით ერთგულებით, დავსახლდეთ ჩვენს მამა-პაპეულ მიწა-წყალზე, შევიმუშავოთ. როდესაც ამისთანა ოჯახები, დაყენებული სამაგალითო წესებზე, გახშირდებიან, წელში გასწორებულნი უფრო მეტ შემწეობა-თანაგრძნობას გაუწევენ ღარიბ მოძმეთა, ყოველ რჩევას სხივშემოსილ საქმით მიაგებებენ. ქვეყანა წინ წაიწევს, შესუსტება შური, მტრობა, თვალსაჩენ სამაგალითო ადგილს დაიჭერს ყოველი სიკეთე. აბა თვალი გადაავლე ქალაქს. იპოვნე ოჯახი, რომელსაც შეეძლოს ამ აზრების დაკმაყოფილება, სადაც შენი გული, სული, მისწრაფება გონების დაპყრობით იქნეს მოსმენილი, ღირსეულად აწონილი და არა გაკიცხული, მასხარად აგდებული... დიახ, ოჯახია საჭირო, იმ ოჯახის აღდგენა კი შეუძლიან ჭკვიან, უმანკო, სათნო, ანგელოზ ქალს!.. მე ვაპირებ, გიორგი, ამისთანა ოჯახს, რადგან ზეცამ მომანიჭა ბედნიერება, მაშოვნინა ქვეყნის საუნჯე, მშვენიერი ასული, აღვსილი ყოველ ამ ღირსებით, რომელნიც წინათ ჩამოვთვალეთ. ოჯახის გარეთ მოღვაწეობა, მარტო ფულების ფლანგვა კი მიაგავს ქვიშაზე აშენებულ სახლს, რომელსაც წალეკავს ნიაღვარი. — ოქრო აღელვებული იყო. ერთ დროს თუმცა ამ აზრს ვიწრო ჩარჩოში ხედავდა, როდესაც ტიტიკო არწმუნებდა დაბეჯითებით, მაგრამ დღეს ქეთინოს გაღმერთების გამო მანაც დაუწყო ტრფიალება, აღერსი კერას, საიდანაც მხიარულად ამოვიდოდა კვამლი. ამასობაში გიორგის მოუახლოვდა სამსახურში წასვლის დროც. ოქრომ იცოდა და ამისათვის აღარ დააგვიანა ამხანაგი, არამედ გამოემართა სახლისკენ. ოქროს მეტად აბეზრებდა ქალაქი. ნახა გიორგი, ისიკო, დანარჩენები. მათი თავჩაკრული ერთგვარი გამოფიტული, უფერული ცხოვრება ვერ იზიდავდა ოქროს. ისინიც იშვიათად დადიოდნენ ოქროსთან, რადგანაც ერიდებოდნენ მაკინეს, რომელიც ტუჩს უბზუებდა მათ. ცხადად ატყობდნენ ოქროს, თუ ეს უკანასკნელი როგორი მოთაყვანე იყო დისა, გულში სწყინდათ, არ მოსწონდათ მაკინე, რადგანაც ის ერეოდა ოქროს ბევრს კეთილ აზრებსა და მოქმედებაში და უნაყოფოდ ჩაატარებდა, მაშინ, როდესაც ბევრს კარგს მოელოდა სამშობლო ქვეყანა ამ წრფელ ყმაწვილკაცისაგან.

— თუნდ შეირთოს ჩვენი ქალი, ხომ მაკინეს მოახდე უნდა

გახდეს? — გაიძახოდნენ ოქროზე იმედდაკარგული გასათხოვარი ქალების დედები...

— ყმაწვილი თუმცა არ არის დასაწუნი, მაგრამ იმდენი სადა გვაქვს, მაკინე ფულებით გავაძღოთ, შიშველი ქალი კი ისევ უკან დაგვიბრუნდეს! — უმატებდნენ მზითვიანები. ამ მითქმა-მოთქმის წყალობით მაკინე ბევრს არ უყვარდა, მაინც ეფერე-ბოდნენ ძმის გამოისობით.

— თვალი გასძვრა იასონს, რომ ისე მტვრის საწმენდ მჩვრად გახდომია ცოლსა! აბა ჩემმა ცოლმა გამიბედოს ეგეები, რასაც მაკინე უშვრება! ქალს ვინ მისცა მაგდენი უფლება? — განაგრძობდნენ ქმრები, რომელთაც მეტად შეევიწროებინათ ცოლ-შვილი.

— თვითონ ხომ ილუპება, ვეჟო, ე ჩვენ ცოლებსაც გვიხე-დებს და! — თუმცა ასეთის აზრისანი იყვნენ, მაგრამ პირადად, როდესაც შეხვდებოდნენ მაკინეს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ პატივი ეცათ.

— რა მშვენიერია!.. რა ჭკვიანია!.. — იმეორებდნენ აღტაცე-ბით, კიდევაც დავიწყებოდათ წინანდელი სამდურავი.

— რა ღირსია იასონი მაკინესი?.. მე უნდა ვიყვე იმის ად-გილას, რომ საქართველოს დედოფლის ადგილი დავაჭერინო! დას ძმა მორჩილობს, ისიც მშობლიურ მფარველობა-პატრონობას უწევს, ამისთანა ტკბილი დამოკიდებულება იშვიათია ჩვენში და კიდევაც იმისთვისა შურს ბოროტ თვალ-ყურსა!

ოქროს ყურამდის არ აღწევდნენ ეს ხმები, ის უფრო მეტს დროს მარტო რჩებოდა, რომ ეოცნება ქეთინოზე.. აგერა დრო მოვიდა სვიმონიშვილისკენ წასასვლელად, მაკინე, იასონი და ოქრო გაემართნენ. მათთან კარგა ბლომად ხალხი მოსჩანდა. მა-კინეს თხოვნა არა სჭირდებოდა გამხიარულებაზე, გრძნობდა, შესაფერ საზოგადოებაში იყო და კეკლუცობდა. სვიმონს საუკე-თესო ოჯახები აერჩია. სიმდიდრით გამოჩენილი პავლე ხამაშვი-ლი, თუმცა აზნაურია, მაგრამ გარემოებით არავის ჩამოუვარდება, მისი ორი თავმომწონე ვაჟკაცი შვილი, დარისპანი და სვიმონი, დეზებს აჩხაკუნებენ, ეწონებიან ლიზას. არც მაკინე აკლებს მათ თავის ყურადღებას: თუმცა ხანშიშესულია, მაინც დარწმუნებუ-ლია, ბევრს იქ მყოფ ახალგაზრდა ქალს სჯარბობს მშვენებით, თვალების კრუტვით იღებს მათგან სხვადასხვა ხოტბა-ქებას,

სიამოვნებს, რადგან თავმოყვარეობა უკმაყოფილდება. ოქროს არ მოსწონდნენ ეს ყმაწვილები, ცდილობდა იშვიათად შეხვედროდა მათ, თუმცა ისინი პატივისცემით და შინაურულად ექცეოდნენ.

პავლე ხამაშვილი სასტიკი კაცი იყო თავის ოჯახში. მართალია, შეძლება დიდი ჰქონდა, მაგრამ ცოლ-შვილი კი ვერა გრძნობდა თავს ბედნიერად. ორი ვაჟიშვილი გამოეზარდა სახელმწიფო ხარჯით, ბოლოს თითო-ოროლა გროშით სულს აბრუნებინებდა. რაკი არა ჰყოფნიდათ მცირე მოწყალება მშობლისა, თავიანთი ცოტა ჯამაგირიც, ვალებს იღებდნენ და ისე იკმაყოფილებდნენ სურვილთ, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა. ერთადერთი ქალიშვილი ნვიდმეტი წლისა, პავლეს მიეთხოვებინა სამოცი წლის გადაყრუებულ გენერლისთვის. არ დაეძებდა, არა კითხულობდა, კმაყოფილი იყო საბრალო მსხვერპლი ამ ნაძალადევ გარემოებისა თუ არა? სვიმონი და დარისპანი ცდილობდნენ, როგორმე თავი ეხსნათ გაჭირვებიდან, ეძებდნენ მზითვიან ქალებს, რომელთა წყალობით თავისუფლად ამოისუნთქავდნენ. ამ აზრით თავს ევლებოდნენ ლიზას, პავლეც ხელს უმართავდა, რადგან რაც უფრო გაუჭირვებლად იცხოვრებდნენ მისი შვილები, მით ნაკლები ზრუნვა დასჭირდებოდა მშობელს.

— ჩემს შვილს როგორ შეუძლიან, ბრძანება არ შემისრულოს?.. ეს არც წარმოსადგენია და არც დასაჯერებელი! — იტყოდა ხოლმე პავლე. შვილებიც თითქო ეთანხმებოდნენ... ისინი ხელის სატაცებლად ჰყავდათ მთელ ქალაქს, რადგან იცოდნენ, დღეს თუ ხვალ, მამის სიკვდილის შემდეგ, დარჩებოდათ თითქმის ნახევარი მილიონი შეძლება. თადეოზი გულით მეგობრობდა მათ, რათა ლიზასთვის აერჩია შესაფერი საქმრო, ხშირად იპატიჟებდა ყმაწვილკაცობას, რომელთ შორის ოქროც ერია... ჯამაგირს გარდა, როგორ შეეძინა თადეოზს სიმდიდრე, ღმერთმა უწყის, ის კი ცხადია, არც მემკვიდრეობით დარჩენია, არც ქალაქში მოუგია. ყველას ახსოვს მათი წინანდელი გაჭირვებული მდგომარეობა... მასლობლები ამტკიცებდნენ, ვითომ შრომისმოყვარე იყო, დაიმსახურა მდიდრების ყურადღება, ნდობა, აილო სხვადასხვა საქმეები, შეკრა მთელ „კამპანიას", მოგებულის ფულით შეიძინა ქალაქში სახლები, მაღაზიები. გარდა ამისა ფულსაც ატრიალებდა. არ დარჩენილიყო არც ერთი დიდი კაცის ოჯახი, რომ მისგან

არა ჰქონოდა ვალად აღებული რამდენიმე ათასი მანეთი, ჰყავდა ერთადერთი ასული დიზა, თუმცა უსახური, მაინც მთხოვნელი არ აკლდა. თადეოზი გრძნობდა, თუ რამდენად ამაღლებულიყო და თავიც ისე ეჭირა. ხალხში იშვიათად გადიოდა, გარდა სამსახურისა. მთელი ქალაქი შეიტყობდა ხოლმე, როდესაც სასეირნოდ გამობრძანდებოდა ძვირფას დანდოთი, რომელსაც უჩუმრად მიაფრენდნენ წყვილი საგანგებო თეთრი მერნები. ხალხს თვალები ებრიცებოდა, ყველა უყურებდა, ქუდს უხდიდა. თადეოზს ოქრო სასიძოდ უნდოდა, დიზა ხომ აღტაცებული იყო მისთვის, მაგრამ თადეოზი მოხერხებულის ოსტატობით სხვებთანაც საქმეს იჭერდა, ვინიცობაა ოქრო ხელიდან წასვლოდა, მისი მოადგილე მაინც ჰყოლოდა.

— შენა გგონია, თადო, ჩვენი დიზა ბედნიერი იქნება ოქროს ხელში?.. ხომ ხედავ მაკინეს, ცხარე კრუხსავით როგორ გადაჰფარებია! — ეუბნებოდა კატინა ქმარს, როცა უკანასკნელი წარმოსთქვამდა სურვილს ოქროს და დიზას შეუღლებაზე.

— მაგაზე ნუ სწუხარ, ქალო, შენ მიეფერე რაც შეიძლო მაკინეს ჯვარისწერამდე, მერე კი მე ვიცი. ისე ჩამოვაშორებ მაგ წურბელას, როგორც შარშანდელ თოვლსა, — მიუგებდა ქმარი. კატინაც ასრულებდა მბრძანებლის რჩევას. აგერა კიდევ თავადი დარისპან ბაქიაძე, „რომელსაც, თუმცა მთელი თავისი სიმდიდრე დაუკარგავს, მაინც სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, ისევ დიდრაჯობს, ხელს უმართავს ახალგაზრდა კნეინაც, მას შესტრფის ქალაქის ყმაწვილკაცობა. მდიდრულად მორთულია დარბაზი. საზოგადოება მისცემია გართობას. იასონი შემოსვლის უმალ ქალადში ჩასვეს. ყველა მხიარულობს, გარდა ოქროსი. ის კი ოცნებაფიქრებით მიფრინავს თავის ქეთინოსკენ, მისი დაშორება აწუხებს. თადეოზის სახლში შემომსვლელი მოწიწებას გრძნობდა მასპინძლისადმი. დაუმატეთ დიზას და კატინას გულუხვი მასპინძლობა, მეტადრე დიზა ყოველ ღონეს ხმარობდა, გაერთო სტუმრები, მათ შორის ოქრო, მაგრამ ამაოდ: ვერ მიიზიდა ვერავითარმა სიმდიდრე-ალერსმა, თავი მოარიდა, შევიდა პაპიროსის მოსაწევ ოთახში, სადაც ხმამაღლა დაპარაკი ატეხილიყო რამდენსამე პირს შორის. სხვები ყურს უგდებდნენ. აქ შეგროვილიყვნენ დარბაისელი სტუმრები, ჩარეოდათ აგრეთვე ყმაწვილებიც. სვიმონი და დარისპანი ნაცნობებს შესტრაბახობდნენ თავიანთ

რაინდულ შემთხვევებზე. უფრო ხანშიშესულები კი გაბრწყინვებულის თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თუ ამ ცოტა ხანში როგორ გაიმართებოდა სანაქებო ლოლი. მისთვის ამორჩეული და დამზადებული ჰყავდათ ცხენებიც.

— ეს ჩვეულება ძველ ბარბაროსულ მოქმედებას ეკუთვნის, აი! — წარმოსთქვა მათკენ გამობრუნებულმა სვიმონმა.

— რა სთქვი, ყმაწვილო? ბარბაროსობა კი არა, დიდად სასიამოვნო სანახავია, როცა, ვთქვათ, ლურჯა და არაბულა დაჯიბრებულები შურდულსავით წავლენ. გული გიფანცქალებს, გგონია, აი ახლა გაასწრებს ერთი მეორეს, ან ერთ-ერთი მათგანი ძირს დავარდება უსულოდ. ჭკუა-გონება, მხედველობა, ასე გასინჯეთ, სმენაც კი მახვილდება, როცა იმ დროს იქა ხარ... რა მდგომარეობაში გახლდით შარშანწინ მე? — უპასუხა სახემოღიმარე, ჩასხმულმა ტანდაბალმა კაცმა და კმაყოფილების ნიშნად ულვაშებზე ხელი გადაისვა, — როცა წავიდა ჩემი ლურჯა, გულმა წუხილი დამიწყო, რაღა მეშველება, ახლა ჩამორჩეს, ან მოკვდეს და ქვეყანაში შევრცხვე-მეთქი. მაგრამ თავი გაიტაშა, როგორც იყო; მერე კი დაეცა ძირს, დანიშნულ საზღვარს იქით მოკვდა საწყალი, ისე კი მოკვდა, რომ თავისი პატრონი ასახელა და ჯილდო მიაღებინა.

— ხა!.. ხა!.. ყოჩაღ, ლურჯავ!.. აბა ერთგულობა ასეთი უნდა აი! — შესძახეს ერთხმად იქ მყოფთ.

— შენ კი არ დაესწრები ხოლმე, ოქრო, ლოღსა?.. მამაშენს ძალიან უყვარდა, რაც უნდა საქმე ჰქონოდა, თავს დაანებებდა და არ დააკლდებოდა, — ამ სიტყვებით მიუბრუნდა ოქროს ერთი მოლაპარაკეთაგანი...

— ოქრო, განა ბარბაროსობა არ არის ლოღი? — ჰკითხა ამავე დროს სვიმონმა.

— მეც აგრე მგონია... — სთქვა ოქრომ და ჩაჩუმდა.

— რეებს ლაპარაკობენ ეს ყმაწვილები!.. განა იქ ბარბაროსობა შეიძლება, სადაც თვალსა და ყურს სასიამოვნოდ რჩება?.. ადამიანობა აღარ არის! — გაიოცა პასუხის გამგონემ.

— ხშირად კაცის თვალი ბარბაროსობასაც სიამოვნებით უყურებს ხოლმე, — დაიწყო ისევ სვიმონმა...

— გაიხსენეთ, ბატონებო, რომის წინანდელი დრო. რა სიხარულით იკრიბებოდნენ თეატრში არა თუ მამაკაცნი, არამედ თვით

წარნარი არსებანი, მშვენიერებისა და სიყვარულის ღეღანი. უმანკო პანოვანთ თვალები უბრწყინავდათ კმაყოფილებით, როდესაც მოედნის შუაგულს ხედავდნენ, თუ როგორ უწყალოდ გლეჯდა ვეფხვი ადამიანს; წარბშეუხრელად დაჰყურებდნენ, თან ნიშს უგებდნენ, რადგან თავი ვერ დაეცვა მებრძოლს ვაჟკაცის შესაფერად. დოლიც ასეთია, განსხვავება მარტო იმაშია, რომ აქ იტანჯება ორი პირუტყვი, ერთმანეთთან უბედურად დაჯიბრებული. უნდათ თუ არა, მაინც უნდა გაირბინონ დანიშნულ ვადაზე რამდენიმე მანძილი, თუ იმ სივრცეს გადავიდნენ, მერე რაც უნდა დაემართოთ, მაშინ პატრონი აღარ დამცირდება. — კიდევ სურდა სვიმონს განეგრძო მჭერმეტყველობა, მაგრამ ამ დროს კარებში გამოჩნდა პავლე და საჩქაროდ შესწყვიტა. სახეში სიწითლე მოერია, რადგან იცოდა, ამისთანა კამათი არ მოეწონებოდა „პაპაშას". იქ მყოფთ შეამჩნიეს ეს შეკრთომა. აღარ მოინდომეს მისი მხიარული გუნების შეცვლა და საჩქაროდ სხვა საგანზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ლარისპანი მათ ყურს არ უგდებდა, გვერდზე მოსჯდომოდა ერთს მობაასეს და აღტაცებით უამბობდა, თუ წუხანდელი ღამე როგორ მხიარულად გაატარეს ყმაწვილებმა №-ის სასტუმროში, თუმცა შედეგად მოჰყვა ოც-ოცი თუმნის წაგება, მაინც სიამოვნება აღემატებოდა დანაკლისს, ფული რა არის, თუ არა კაცის გამრთობი? „პაპაშა" ცოცხალი იყვეს, თორემ ის ფულზე არ იწუხებს! — თავმოწონებით გაიძახოდა ლარისპანი და იმას კი არ ამხელდა, რომ პაპაშა უიმისოდ არ აძლევდა, ვიდრე კონჩინაში არ მოუგებდა თითო-ოროლა გროშს, თორემ თვალზე მისაფარებელი ფარა ენატრებოდა.

— ყმაწვილებო, ამაღამ თეატრში არ აპირებთ? შესანიშნავი მომღერალი ქალი №-სა იმღერებს თურმე, — სთქვა შემოსვლის უმალ პავლემ.

— დიალ, გიახლებით, — მოესმა რამდენისგანმე პასუხი.

— „პაპაშას" მგონი საჩუქარიც აქვს დამზადებული! — ლასძინა ღიმილით სვიმონმა. პავლემ თანხმობის ნიშნად თვალი ჩაუკრა.

— მაშ არა-და, მამა გიცხონდა, ე რაღაც თავმომაბეზრებელი საქველმოქმედო საქმეებიაო, იმაში დავხარჯავ! საქველმოქმედო კი არა, საზიანოა! ბატონებო, გუშინდელი ლდაპები, რომელთაც ჯერ პირზე რძე არ შეშრობიათ, გამოდიან და რაღაცებს

მიჰქარავენ, უფროსებისა აღარა სწამთ-რა, გაიძახიან, ჩვენ უფრო ჭკიანი, სწავლულები ვართო და თქვენც ჩვენს ნებაზე უნდა იყვეთო. არა, ერთი, მამა ნუ წაგიწყდება, როსეფ, ამ ხნის კაცმა ი დუპუსტაცის ქეიფზე და აზრზე როგორ ვიყუნცულო, ჰა? — პავლე ხითხითით ჩაჯდა სავარძელში. საქველმოქმედო საქმეების გახსენებაზე იქ მყოფთ უკმაყოფილება დაეტყოთ. მეტადრე მათ, რომელთა ჯიბეც საგრძნობლად გაჭიკნილიყო, გული უცახცახებდათ, უანგარიშოდ მეტი არსად გადავაყოლოთო.

— მართალსა ბრძანებ.., სწორედ ჭეშმარიტებასაც! — უპასუხა როსეფმა.

— ეს ახალი ხალხი მეტად გამეტიჩრდა, ფეხს ვერ გადაადგამ ისე, რომ ხელში არ მოგაჩეჩონ ბილეთი, ან არ გაიგონო: აქა და აქ კრებაა ამა და ამ პროექტისა, თუ ტერმინების შესამუშავებლად, მაღაზიების გახსნაზეო... არა, ძმაო, ვეუბნები, არც შენი მაღაზია მინდა, არც ეგ რაღაც ტერმინებია, თუ პროექტები-მეთქი. ჩვენ ჩვენთვის ვიყვნეთ და ვიფორჩხალოთ. მამაჩემს თუ ეგ ეშმაკური სიტყვები არ უსწავლებია, ვერა ვცხოვრობ ბატონკაცურად-მეთქი! საწუხარო ყველაზე მეტად ის არის, ფულის იშტა არა აქვთ.

— ეს სომხები კიდეც იმიტომ გვჯობნიან, აი, რომ ფულზე ლოცულობენ, — მიუგო ისევ პავლემ.

— ჩვენც იმათ მივბაძოთ სადაც ფულია, იქ ყველაა, თორე რას მიქვია ჯიბეგაფხეკილი, მშიერ-მწყურვალი ვიყვე, ქვეყანა არ მამჩნევდეს, მე კი მაინც ადამის ტაწისამოსში ვარსკვლავთ-ვმრიცხველობდე, გავიძახოდე: გაიღვიძეთ ძმებო, შევერთდეთ, გადავლახოთ მთა და ბარიო! ფული, ფული! ფულმა აცხონოს სული, ტყუილად არ უთქვამს ჭკიან კარაპეტას: ქვეყნის გადალახვასაც მარტო მაშინ შევიძლებთ, როცა ფული იქნება. თორე უიმისოდ საგიჟეთში ამოგვაყოფინებენ თავსა!

ოქროსთვის საჭირო იყო დიდი მოთმინება, ეს ლაპარაკი დამშვიდებით მოესმინა იმ პირთაგან, რომელნიც მთელ საზოგადოების სათავეში იდგნენ.

„როგორ იცხოვროს პატიოსანმა, უანგარო კაცმა ამ ხალხში?" — ფიქრობდა ის, მაგრამ საკმარისი იყო თვალწინ დაეყენებინა ქეთინო, შავბნელი აზრები გაჰფანტოდნენ.

ვერას დააკლებენ ისინი თავიანთი გამოფიტული გულებით,

როდესაც გვერდით ამოუდგება დიდი ძალა უმანკოებისა, სიძლიერისა, დანარჩენნი კი მეტად დაკნინებულნი, ჩრდილს ველარ მიაყენებენ ოქროს მაღალ მისწრაფებათა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ოქრო? თეატრში არ აპირებ? — ჰკითხა ამ დროს სვიმონმა.

— რატომ, — მიუგო მან მოკლედ. თუმცა სვიმონი და დარისპან კეთილი ყმაწვილები სჩანდნენ, მაგრამ ოქროს არ მოსწონდა მათი ქარაფშუტა ცხოვრება, კიდევაც უკვირდა, როგორ კმაყოფილდებოდნენ ახეთს წვრილმან, ყოველდღიურ უმნიშვნელო ცხოვრებით. თუმცა ოქრო ამ აზრს ადგა, მაგრამ ისიც თავაზიანად ეპყრობოდა, ცდილობდა ზურგი აღარ შეექცია; მათთან მისი მეგობრობა კი შეუძლებელი იყო, რადგან სრულიად სხვადასხვა სურვილებით გამსჭვალულიყვნენ ერთი ერის შვილნი.

— ოქროჯან, აგრე ცივად ნუ იქცევი, შენ რა გენაღვლება, როგორი ცხოვრებაც უნდა ჰქონდეთ? მოექეცი უფრო პატივისცემით, რადგან საპატიო საზოგადოებას ეკუთვნიან. მაგისთანა უკმეხობით შეიძლება გადიმტერო და შენს საქმეებს უხიმანონ რამე. ნუ იტყვი, ისინი ვერას გაბედავენ, რადგან გონებით სუსტნი არიანო... არა, კაცი კაცს ყოველთვის მოუხერხებს, თუ კი გულით მოინდომებს. რად გინდა მტერი გყავდეს?! — ჩასძახოდა მაკინე.

ოქროც ცდილობდა აზრი შეეცვალა, დაახლოვებოდა მათ, რამდენადაც შეიძლებოდა. ამ დროს ოთახში შემოვიდა კოხტაშვილი. სთხოვა დიასახლისის მაგივრად სტუმრებს, გამოსულიყვნენ. ისინიც დამორჩილდნენ და გაემართნენ დარბაზისკენ, სადაც დიდი ხანია შეეწყვიტათ ცეკვა, ლიზა ჩაესვათ ფორტოპიანოს დასაკრავად, ზოგი მღეროდა, ზოგიც კავალრებთან მისცემოდნენ გაცხოველებულ კამათს.

— საშინლად მიყვარს ეს არია, — დაიდაპარაკა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

— დიაღ, ლიზა ჩინებულად უკრავს. — კეკლუცად უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.

— ოხ, ქალბატონო, რა რიგად გშვენით, სწორედ დედოფალი ხართ!.. — ქალს ლოყები შეუწითლდნენ. ისინი ჩამოსხდნენ დარბაზის კუნჭულში დადგმულ დივანზე. ლიზა განაგრძობდა დაკვრას. ოქრო ამ ოთახში არ იყო, მაშასადამე, სხვები ყურადღებად არ

ღირდნენ... ცდილობდა, გულში ნაღები საყვედური ბუნების მიმართ, რომ ისიც დამაზებში არ ჩაეწერა, გამოეთქმევინებინა მკაფიოდ ფორტეპიანოს კლავიშებისთვის. გათხოვილი ქალები ერთად, ჯგუფ-ჯგუფად დაპარაკობდნენ საყურადღებო საგნებზე, უფრო მეტად კი გასათხოვრებზე. მათის აზრით, აღარც ერთი მათგანი არ ღირდა საქებად, ან კი ვინ იყო მართლა ღირსი მოწონებისა? არავინ. ისინი უკვე დიდი ხანია ამოშლილიყვნენ გასათხოვართა სიიდან, მაშასადამე, ადგილი დაცარიელებულიყო. მაკინე კი ელოდა მოხერხებულ დროს, თადეოზი ხელში ჩაეგდო სადაპარაკოდ, მაგრამ შემთხვევა თითქო იგვიანებდა. ბოლოს მაკოს მშვენიერმა სახემ აგრძნობინა თადეოზს, დიდი შემცოდე იყო, რადგან აქამდის არ იახლა. მოვიდა, მოწიწებით გვერდზე მიუჯდა. მათ შორის მალე გაჩაღდა დაპარაკიც. თადეოზი დღეს მხიარულ გუნებაზე იყო. კადრილი დაეწყოთ, მათ წინ წყვილწყვილად ჩამოუვლიდნენ დამა-კავალრები.

— რა მოხდენილი ყმაწვილები არიან ხამაშვილები! — სთქვა მაკინემ. გადახედა სვიმონს, რომელიც ციბრუტივით ტრიალებდა დარბაზში.

— დიახ, ცოტა სიყმაწვილის გამო ფიცხობენ, მაგრამ არა უშავთ-რა: მაჭარი იმისთვის დუღს, შუშხუნებს, რომ გრძნობს მალე დაღვინებასა... ეგენიც ცდილობენ, მალე შეისრულონ სურვილი, გიდრე დრო აქვთ, თავისუფლები არიან, არ შებმულან ცოლშვილის საზიდ უღელში.... — დაუმატა თადეოზმა და დაეყუდა სკამის ზურგს.

— არც უმაგისოდ ვარგა. ყმაწვილი კაცი, ყველა წლოვანებას შესაფერი ქცევა შეშვენის.

— ოღონდაც. მაგრამ, კნეინა, დღეს თქვენს ძმას მოწყენილსა ვხედავ... ჩვენგან ხომ არა სწყენია-რა? — განაგრძო ცნობისმოყვარეობით თადეოზმა. მას გულით უნდოდა გაეგო მიზეზი.

— რასა ბრძანებთ, კნიაზო? ოქრო დიდი მადლიერია თქვენი, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ხშირად კაცს ზოგიერთი დაუკმაყოფილებლობა გუნებას ცუდად დაუყენებს ხოლმე. თვით იმ წამებშიაც კი, როცა გულით და სულით უნდა მიეცეს სრულ სიამოვნებას.

— კნეინა, ოქროს სხვებზე მეტი ღონისძიება აქვს სურვილები დაიკმაყოფილოს.

— მაინც კიდევ მოერევიან ხოლმე უმადური წუთები, — ამ დროს მოსამსახურემ მოუტანა ფოლნოსით ნაყინი. თადეოზმა, რომ არ შეეწუხებინა მშვენიერი მოლაპარაკე, დასტაცა ხელი თეფშს და წინ პატარა მაგიდაზე დაუდგა.

— მეტადრე დღეს ისე იყო ოქრო მოშლილი, არც კი აპირებდა წამოსვლას, თუმცა კი გულით უნდოდა მოსვლა. ეს ერთადერთი ოჯახია, სადაც თავისუფლადა გრძნობს და აზროვნებს, — განაგრძო მაკინემ და ხელში აიღო თეფში.

— გადამეტებულ ცნობისმოყვარედ ხომ არ ჩამთვლით, გკითხოთ, რა მიზეზმა შეაფიქრიანა აგრე ოქრო? ბოდიშს კი ვიხდი ამ კადნიერებისათვის. მაგრამ ხშირად ისეთი შემთხვევებია კაცის თავს, რომ შეიძლება, სრულიადაც უცხო პირმა შეასუსტოს და გააქროს... აი ამ მიზეზის გამო ჩემ თავს ნებას ვაძლევ მოგცეთ ეს საკითხები...

— მართალი ბრძანდებით, კნიაზო! — უთხრა მაკინემ.

— მე თქვენი ოჯახის მეგობარი ვარ და იმისი როგორც კეთილი მასიამოვნებს, ისე ცუდიც შემაწუხებს, — განაგრძო თადეოზმა.

— მჯერა, თადეოზ პავლეს-ძევ! სრულიად მჯერა... იმისთვისაც მოგახსენეთ ოქროს დღევანდელი გუნების ვითარება, რაკი გეყურადღებებათ ჩვენი ავიც და კარგიც.

— სარწმუნო ბრძანდებოდეთ! ოქრო ისე მიყვარს, როგორც ნამდვილი შვილი. მე ხომ ვაჟი არა მყავს. საკვირველია, დავინახავ თუ არა მაგას, მამობრივი გრძნობა მეღვიძება! — თუმცა მაკინე მიუხვდა, თუ რის თქმაც უნდოდა თადეოზს, გულში იამა, რადგან ამ ჩინებულ შემთხვევას არ დაჰკარგავდა ტყუილად და ფულსაც ხელში იგდებდა. ყველა ეს კი მოხერხებით, შეუმჩნევლად უნდა დაებოლოვებინა მაკინეს, რათა არ მიხვედრილიყო ანგარიშიანი, ფრთხილი თადეოზი.

— ხშირად მომსვლია თავში ფიქრი, ვითომ ეგა და ჩემი ლიზა ჩინებული მეუღლეები იქნებოდნენ: ოქროს შრომისთვის გული უძგერს, აგრეთვე ლიზასაც უყვარს მყუდრო ცხოვრება. სწორედ საუცხოვო მეუღლეები იქნებიან! — დაუმატა თადეოზმა, შეხედა მაკინეს, რათა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ახალი წინადადება მაზე. მაკინე იღიმებოდა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, კნიაზო, მეც არა ერთხელ მომსვლია თავში ეგ სურვილი, — უპასუხა მან.

— რასა ბრძანებთ?.. მართლა?.. იქნება ილბალიც იყვეს და იმისთვის!.. — შესძახა აღტაცებულმა თალეოზმა. აღბათ მაკინეს გულში დაცინვა ელვიძებოდა, მაინც ცდილობდა არ შეემჩნია.

— იმედია ეს ლაპარაკი ჩვენ შორის დარჩება!.. მესამე პირისთვის უცნობი იქნება.

— მაგაზე ნუ სწუხართ.

— მაშ გულგახსნით გეტყვით, რომ ჩემ ლიზას ოქრო თვალში მოუვიდა, მეუბნება, თუ შევირთავ იმას, თუ არა და თავს მოვიკლავო. მეც ერთი შვილის მეტი არ გამაჩნია, ვარ გაჭირვებაში! მაგრამ თუ თქვენ მწყალობელი მეყოლებით, მაშინ აღარა მიშავს-რა.

— გჯეროდეთ, კნიაზო, რომ დიდი კმაყოფილი ვიქნები, თუ ოქრო ლიზას შეირთავს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ახალი ხალხის ამბავი, მეტადრე იდეალისტებისა, ეგენი ეტრფიან თავისუფლებას, რაღაც მიუწვდომელ სურვილებს... ოქრო უფრო თავის გულსა და გონებას დაეკითხება, მაგრამ კი არა მგონია, რომ თვით გულმა, გონებამაც უარი უთხრას ლიზასთან შეუღლებაზე.

— მერე მაგისთანა საქმეებში ქალებს დიდი ადგილი უჭირავთ თავიანთის მოხერხება-გამჭრიახობით და მეტადრე თქვენ, რომელზედაც ლოცულობს ოქრო.

— ეგ ღვთის წინაშე მართალია. ოქრო თუ დაუჯერებს ვისმე, ყველაზე მეტად ისევ მე, რადგან იცის, ცუდს არას ვურჩევ, — სთქვა თავვამოლებით მაკინემ.

— მეც ვიცი, აგრეა, კიდეც იმისთვისა გთხოვთ, როგორც ერთადერთი შვილის მამა, რომლის ხელშია მისი ბედ-ილბალი, ჩადგეთ შუაში; მოახდინეთ ეგ საქმე, მაგიერი პატივისცემა დააშქიეთ ამ კისერზე.

— უსათუოდ ვეცდები, კნიაზო, მაგრამ ახლა ოქრო ისეთს გუნებაზეა, სანამ თავის შემაწუხებელ საქმეს არ მორჩება, მგონი ყურში არა შეუშვას-რა.

— იქნება, ჩემის მხრივ შეიძლებოდეს, რაიმე დახმარება აღმოვუჩინო. თუ აგრეა, კნეინა, ნუ დამზოგავთ... იქნება როგორც თქვენ, აგრეთვე მეც არა ვყოფილვარ მისი შორეული...

— მოგახსენებთ, როგორც მომავალ მძახალს... — დაიწყო ლი-

მიდით მაკინემ. მას თუმცა პირველში ეძნელებოდა, მერე კი გაბედვით დაბოლოვა. — მოგეხსენებათ, N-ში ჩემს მეუღლეს მამული ჰქონდა.

— ჰქონდა და განა აღარა აქვს? — ძალდატანებულის ნაღვლიანობით წარმოსთქვა თადეოზმა.

— ჩვენ გადავეცით ოქროს... მაგრამ...

— მერე?.. — თადეოზი სმენად გადაიქცა.

— დაგირავებული იყო N-თან ათას თუმანში. მოვალე აღარ აცდის ოქროს, რომ მამულის შემოსავლიდან მისცეს გადასახადი, ან ბანკში დააგირავოს სხვა თავისუფალი მამული... ოქრო დაღონებულია, აღარ იცის, საქმე როგორ მოაგვაროს.

თადეოზს არ ეწყინა ოქროს ასეთი გარემოება. ის უკვე ხელში ეგდო. ოქრო მამულის მოსიყვარულე სჩანდა. ახლა იასონის სოფელიც მიემატოს... რომელი ემჯობინება ქართველებში? არავინ... აბა ათასი თუმანი რა ვალია მის შეძლებასთან! მალე გადაიხდის... ეს დედაკაცი კი უეჭველად უნდა ჩამოეხსნას, მაშინ სრული ბედნიერი იქნება დიზა. როგორ მოახერხოს? მაკინეს ატყობს, რა გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდა დიზას, იქნება მართლა კიდევაც უნდა?.. ადვილად დასაჯერებელი არ იყო, რადგან დარწმუნებულია, რაკი დიზა გახდება ოქროს ცოლი, მის მზითევს, როგორც დედამთილის მოადგილე, ხელში ჩაიგდებს... თადეოზს ამ გაფიქრებაზე ჩაეცინა. ეგონოს, რა ენაღვლება! დაურთო მან გულში. ოქრო კი დიზას ერიდებოდა, არაფრად აგდებდა... დიზას აკლდა სილამაზე, მაგრამ მისი ადგილი სიმდიდრეს დაეჭირა. რითი მოეხიბლა ოქრო? ბალებით?.. ყველა ეს ცოტა იყო. მაკინე დაექრთამა? ესეც ძნელი გასაბელი მოსჩანდა... ისევ პირდაპირ ოქროსთან უნდა დაეჭირა საქმე. რაგვარად? ბევრჯერ შესდგომია თადეოზი შემდეგ მსჯელობას, საშველი ღონე ვერ ეშოვნა, დღეს კი თავისთავად ხელში ეძლეოდა... სჭირდებოდა ფული, თადეოზს ბლომადა ჰქონდა. ასესხებდა, ოქროს მომეტებულად დაიახლოვებდა, მერე კიდევ მიუმატებდა, ჩააბამ-ჩაბოჭავდა. ძალიან უარზედაც რომ დასდგომოდა, ველარსად წაუვიდოდა, პირიქით, შეეხვეწებოდა. თადეოზმა გადასწყვიტა გახურებულ თონეში დროზე ჩაეკრა პური.

— კნეინა! — დაილაპარაკა მან კარგა სიჩუმის შემდეგ, — ღმერთმა მაგაზე მეტი სანაღვლო ნუ მისცეს ოქროს! მგონი, ქა-

ღაქში ძალიან ცოტაა ისეთი პირი, რომელსაც არ ემართოს ჩემი ფული. ყველასთვის ხელი გამიმართავს და რა დამემართება, რომ ოქროს, ჩემ ძვირფას შვილს, ვხედავდე მაგ დარდში და არ მოვეხმარო!.. გადაეცით ჩემს მაგივრად, მომთხოვოს, რამდენიც უნდა... — მაკინეს სახე გაუბრწყინდა...

ათასი თუმანი!.. ამას კარგა ხანია, რაც ერთბაშად აღარ უნახავს ამდენი ფული... მამულსაც გამოიხსნის, თადეოზს კი იმედით ასაზრდოებს. ერთ რიგად, ან კი რა ცუდია, ოქრომ რომ ლიზა შეირთოს?.. იმდენი სიმდიდრე განა არ ურჩევნია თამროს, ქეთინოს და სხვებს? თუ ლიზა იქნება ოქროს ცოლი, მაშინ მაკინეს დედოფლობა საუკუნოდ დარჩება... მაკინემ ხელი გაუწოდა თადეოზს მადლობის ნიშნად და დაუმატა:

— ჩვენ უსათუოდ დავმოყვრდებით, კნიაზო, აუცილებლად! — სწორედ იმ დროს, რა დროსაც მაკინე არწმუნებდა იმედით გაღიმულ თადეოზს, ოქროს ხმა მთელს დარბაზში გაისმოდა. სტუმრებიც მეტად გამხიარულებულიყვნენ. ოქრო ელაპარაკებოდა ლიზას, რომელიც გულში ნეტარებდა. ქალის ფრთხილი, მორიდებული ქცევა იზიდავდა ოქროს იმდენად, რომ შეეძლო მასთან სიამოვნებით ლაპარაკი, თუმცა თვალწინ ეყენა ძვირფასი ქეთინო. დარწმუნებულმა, რომ მალე დაუბრუნდებოდა სანატრელს, მოიშორა დაღვრემილობა, თავი მისცა მხიარულებას, იკისრა დირიჟორობა, დამად ლიზა აიყვანა. დარისპანი და სვიმონი შურით თვალს ადევნებდნენ, რადგან საშინელ გარემოებიდან გამომხსნელი იმედს ეკარგებოდათ.

— წამდვილი დონ-ჟუანია! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს გულმოსულები.

— მაგას ლამაზი ქალი, ან მზითვიანი არ გადარჩება, თუ არ აეტორღიალა და მერე კი, უძღვილია, მოატყუებს! — ცეკვა-თამაშის შემდეგ გაიშალა ჯახშამიც. ოქრო დარწმუნებული იყო, მაკინე ვერ გაიმარჯვებდა თავის განზრახვაში და ამისთვის ვერ ბედავდა დაეკითხებოდა, როდესაც დაბრუნდნენ სახლში.

— ოქრო, როგორა გგონია, შევიძელი ნაკისრი საქმის შესრულება თუ ვერა? — უთხრა ღიმილით მაკინემ.

— მიჭირს...

— უკაცრავად... სცდები... საქმე ჩინებულად არის, თადეოზმა შემოგითვალა, პირიქით, დიდად დამავალებ, თუ მესესხებით,

მით დაამტკიცებ, რომ შენ ჩემი მეგობრობა მოგსურვებიაო. აი როგორ იყო. თადეოზი ჩამაცივდა ამაღამ ოქრო მოწყენილია და ჩვენ ხომ არას გვემდურებაო. მიზეზიცა მკითხა. რასაკვირველია, ჯერ არ ვეუბნებოდი, მერე თვითონვე, თითქო მიმიხვდა, მკითხა, იმისთვის ხომ არა, რომ ამას წინათ თქვენი მამული გაიყიდაო? მეც გამეხარდა, სწორედ საჭირო იყო იმ დროს ის საკითხი, მაგრამ განგებ არა ვთქვი-რა. მაინც რას აპირებსო? ჩამაცივდა ისიც. დიდი ცნობისმოყვარე ყოფილა, თადეოზი ჩინებული რამ არის... საზოგადოდ ჩინებული ოჯახია, — ჭაურთო მაკინემ.

— მერე? — მიატანეს ქმარმა და ძმამ.

— მერე ის აწუხებს, რომ N-ის მამული, ღირებული ათას თუმნად, გვეყიდება-მეთქი. დახსნა უნდა, მოვალე კი არ იცდისმეთქი. ბევრი ამისთანები ვუთხარი. მან გაიოცა და ჩაფიქრდა.

— მერე ოქროს არ შეუძლიან დრომდის ხელი გაიმართოს ვისგანმეო? — მკითხა.

— რაკი ჩვეული არ არის დასესხებას, ამისთვის ახლაც უძნელდება-მეთქი. თადეოზმა იწყინა, გისაყვედურა, რომ მასთან აგრე მორიდებით გიჭირავს თავი. იმას კი შვილსავით უყვარხარ.

მართლაც და თადეოზისგან ასეთი თანაგრძნობა საგრძნობი იყო. ლიზა კეთილი არსება მოსჩანდა. ოქრო ატყობდა, ლიზას ძალიან ესიამოვნებოდა ხოლმე, როდესაც ის გამოელაპარაკებოდა, მაგრამ ქალი მაინც მორიდებული იყო... ალბათ გრძნობს თავის ნაკლულევანებას და ფრთხილობს, თავი არ მომაბეზროს. არა, ის სცდება, როცა მე და ქეთინო შევუღლდებით, ვთხოვ, დაუახლოვდეს ლიზას, უეჭველია, სამეგობრო ქალი იქნება. თადეოზიც მართლა უმტკიცებს, რომ გულით უნდა მასთან დაახლოება. ოქრო მიეცა ამ ფიქრებს. ჩვეულებრივად ძილი გაუკრთა. საქმე დახანებას არ ითხოვდა, ოქრომ დააჩქარა მალე აესრულებინა. მეორე დღეს თავაზიანი წერილი მისწერა თადეოზს, მადლობა უძღვნა იმ წრფელ მეგობრულ ლაპარაკისთვის, რომელიც ჰქონოდა მის შესახებ მაკინესთან. რომ დაეჯერებინა თადეოზი მაზედ, თუ ოქროს სასიამოვნოდ მიეღო მისი მეგობრობა, სთხოვა ათასი თუმანი სესხად და თანაც აღუთქვა დაებრუნებინა წლის თავზე თავის სარგებლით. ჰპირდებოდა ვექსილის დაწერასაც, რათა უბედურ შემთხვევის გამო მათ განწყობილებას არავითარი ჩრდილი

არ მისდგომოდა. ოქრომ მისწერა აგრეთვე ქეთინოსაც. უზომო გრძნობა, ტრფიალება ალტაცება გადაჰქონდა ქაღალდზე, სიტყვები ერთიმეორის გვერდზე ირაზმებოდნენ: წერილის დაგვიანების მიზეზს ატყობინებდა, ელოდა მოუთმენლად პასუხსაც. სხვათა შორის ოქრო აუწერდა თადეოზის სალამოს. ეფიცებოდა საუკუნოდ ერთგულად ყოფნას. ოქრომ გადასცა წერილი მსახურს, გაეგზავნა და თვითონ მიეცა ფიქრებს.

## XXXVI

მაკინეს განზრახვანიც ჩინებულად ეწყობოდნენ. ოქრომ მის მოვალეს მისცა ათასი თუმანი. თუმცა სხვებმაც აღმოაჩინეს სხვადასხვა თამასუქები, მაგრამ იმათაც ზოგს თავდებად დაუდგა, ზოგს თამასუქები დაუწერა და ასე შეაყენა დამუქრებული რისხვა, რომელსაც გულის ცახცახით ელოდა მაკინე. იასონმაც თავის მხივ ხუთასი თუმანი მისცა მოვალეებს მთავრობისაგან მინდობილი ფულიდან; იმედოვნებდა, ყოველ წელიწადში გადასდებდა, ორმოც-სამოც თუმნამდე თავის ჯამაგირიდან და შეავსებდა დახარჯულ ფულს, ვიდრე მთავრობა გაუგებდა. ეს მარტო მაკინემ იცოდა, რადგან ამ უკანასკნელმა სასტიკად აუკრძალა ქმარს, ოქროსთვის არა გაემხილა-რა. ოქრო დაუახლოვდა თადეოზის სახლობას, ხშირად დაიარებოდა მათთან. ლიზას იმედებიც თანდათან ფრთებსა შლიდნენ და გულში ნეტარებდა. ოქროს დღითი-დღე ეჭვები ეღვიძებოდნენ, რაღაც მოუსვენრობასა გრძნობდა. ბარე სამი კვირაც იყო, რაც ქეთინოსაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა.

— არა, ქეთინო არ მიღალატებს! ის ჩემია... როგორ წარმოვიდგინო, რომ გამცვლის პადიკოში, ან სხვაში?! იქნება რაიმე შემთხვევა მიეცა, იქნება დროზე ვერ მიიღო წერილი, იქნება კიდევაც დაიკარგა! ქეთინო თავმოყვარეა, რაკი არ მიუვიდა, პირველი არ მომწერს. ან კი რატომ არ უნდა მომწეროს? განა საცა სიყვარულია, იქ უნდობლობაა? ვთქვათ, კიდევაც არ მიუვიდა, არ უნდა მომიგონოს? იქნება მოვკვდი? მაგრამ ჩემს ამბავს გაიანე ატყობინებს. ერთ კვირას კიდევ მოვიცდი, მერე მეორე წერილსაც მივწერ. — ამ სიტყვებით გულს იკეთებდა ოქრო, ეჭ-

ვებს ხმას აკმენდინებდა. ხშირად ეკითხებოდა მაკინესაც, თუ რა მიზეზი იყო ქეთინოს ასე გაჩუმება? მაკინე არწმუნებდა, მალე მიიღებდა პასუხს. თან განიადაგებით ჩაალაპარაკებდა ღიზას ღირსებებს, ჩინებულ ხასიათს, მის გატაცებულ სიყვარულს ოქროსადმი, მაგრამ უკანასკნელი მაინც დაჟინებით გულში უმღეროდა, შესტრფოდა ქეთინოს. აგერა იმედმაც ლონე დაჰკარგა, ოქრომ გაგზავნა მეორე წერილი, მაინც გულისმომწყვეტელ სიჩუმეს ბოლო არ ელებოდა. ახლა კი დარწმუნდა, ამის თავს კარგი არა იყო-რა. ეჭვი უმწვავდებოდა, უსათუოდ ქეთინომ დამივიწყაო.

„შენ გენაცვალოს, თავს შემოგევლოს ქეთინო, ოქრო!" — გრძნობით ეუბნებოდა ხოლმე ქეთინო მას. ხალხშიაც თვალებს მომართავდა ოქროსკენ, გული ტუჩებს მიაწვდენდა, ისინიც ჰაერის წყალობით გადასცემდნენ თავშემოვლებას, რომელიც სადგურდებოდა ოქროში და ასაზრდოებდა მის არსებას. არა, ეს იყო ჭეშმარიტება და არა მოგონება; ქრისტიანის ლოცვა და არა ფარისეველის მოჩვენება! ყოველად შეუძლებელია! უთუოდ ავად არის! მაგრამ გაიანესგან ორჯერ მიიღო წერილი, ატყობინებდა, ქეთინო როგორ მხიარულად ატარებდა დროს, პაღიკოსთან ერთად ხშირად ხედავდა. საკმარისი იყო შეეტყო ოქროს ქეთინოს პაღიკოსთან დაახლოვება, რომ ნაღველი გაორკეცებოდა.

— დამშვიდდი, ოქროჯან! — ეუბნებოდა შეშინებული მაკინე, რაკი ატყობდა, რა დიდ მოქმედებდა ოქროზე ქეთინოს უპასუხობა.

— არ დავიჯერებ, ქეთინომ მოგატყუოს, მაგრამ ვთქვათ, აგრეც იყოს, განა ვაჟკაცი არა ხარ? განა მაგისთანა რა არის ქეთინო, იმის მსგავსს ველარ შეხვდე?

— მაკო, რას მეუბნები? დარწმუნებული ვარ, ჩემს დასამშვიდებლად ამბობ მაგას, თორემ განა სიყვარულის გაქრობა ადვილია?

სიყვარულის გახსენებაზე მაკინეს სახეზე ნრდილმა გადურბინა.

— არა, ქეთინო უნდა ვნახო, უნდა გავიგონო მის მშვენიერ ტუჩებისაგან: ოქრო, აღარ მიყვარხარ, გამშორდი თავიდან, ისე როგორც მეჩურჩულებოდა: ოქრო, გენაცვალოს, თავს შემოგევლოს შენი ქეთინოვო. ის უნდა ვნახო! — გადაწყვეტით ამბობდა ოქრო და მეტად გაუძლისს მდგომარეობაში ვარდებოდა. ვერ მორიგებოდა იმ აზრს, ქეთინო უმტყუნებდა, უღალატებდა და მას-

ხარად აიგდებდა. ოქრო ზეციდან დედამიწაზე ეშვებოდა, ეთხოვებოდა დიდებულ აზრებს, რომელთა განხორციელებას ქეთინოს წყალობით ელოდა. უნდა მოტყუებულიყო იმ არსებაში, რომელიც მნიშვნელობას აძლევდა მის ცხოვრებას, კაცობრიობას, მთელ ქვეყანას, უარი უნდა ეყო მეუფეს თავშეწირულ მლოცველზე? მშვენიერი, უმანკო ქეთინო გამქრალიყო, მისი ადგილი დაეჭირა მოარშიყე დიაცს, ის კასკასებდა ყველა ამის ნათქვამ სიტყვების გახსენებაზე და ის კასკასი, თითქო ახლაც მკაფიოდ შეესმოდა ყურში ოქროს, თავპირში ანთება უჩნდებოდა. ოქროს ყოველ ზარის დაწკრიალებაზე გული აუძგერდებოდა, თითქო მაინც კიდევ ელოდა სანატრელისაგან წერილს. მას დაეტყო ჟიჩიანობა, გული ჩაეთხრო, ძნელად ვისმესთან მოჰყვებოდა ხანგრძლივ დაპარაკს. ასე გასინჯეთ, მაკინესაც ხშირად უმალავდა გულის განზრახვას, წინანდებურად უკლებლივ აღარ უზიარებდა. მცირედ მიზეზს მოთმინებიდან გამოჰყავდა, ამხანაგებს იშვიათად ეკარებოდა, შეკეტილ ოთახში მთელი საათობით გულაღმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოეწყო, მისცემოდა მწარე ფიქრებს, იგონებდა, ჩხრეკდა რაიმე მიზეზს, რომელსაც შესძლებოდა ქეთინოს გამართლება. წუთს გადასწყვეტავდა, რომ მოიშორებდა ფიქრებიდან, დაივიწყებდა, თავს მიანებებდა ამ წყეულ ქვეყანასაც, მის მომაბეზრებელ მცხოვრებთაც, გადავარდებოდა შორს, სადაც ყველა უცხო, უცნობი იყო მისთვის და იქ იცხოვრებდა ისე გამმარტოებით, როგორც საფლავში. არავისი კვნესა მის გულს ღრმად არ ჩასწვდებოდა, არავისი ღალატი მოთქმა-გოდებას არ გამოიწვევდა ოქროს არსებაში. ის იყო პირზე მოადგებოდა ქეთინოსადმი შეურაცხმყოფელი სიტყვა, მაგრამ იმ დროსვე წარმოუდგებოდა მშვენიერი ასული უმანკოებისა, დაიხახავდა მის თვალებსაც, რომლებიც ეკითხებოდნენ:

— რას მერჩი, ჩემო ღვთაებავ, რილესაც თავს გევლები, როგორც ფარვანა? — ოქრო მრისხანედ შეუბღვერდა მიჯნურის დამამცირებელ განზრახულ აზრებს, ბოდიშის მოხდით იწყებდა ისევ მის მიმართ ლოცვას. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნამ შეაწუხა.

კიდევ მიეწერა?.. ეს ხომ თავის დამცირება იქნებოდა, თითქმის ჩაციებაც.., გამოკითხებოდა მაქროს?.. როგორ? როდესაც მან არ იცოდა მისი საიდუმლო, თუმცა კი ეჭვი აეღო!.. არა, უნ-

და წავიდეს თვითონ... მაგრამ ეს უკანასკნელი ღონეც სამძიმოდ მიაჩნდა, შეიძლებოდა ქეთინო არც კი დანახვებოდა, ახლო არ მიჰკარებოდა და მაშინ ხომ უფრო საშინელება იქნებოდა ოქროსთვის... გარბოდნენ დღეები, კვირეები, ოქროს შვება არ ეძლეოდა. ის ნატრობდა ნამდვილის შეტყობას. მაკინეს არწმუნებდა, უსათუოდ დამშვიდდებოდა, თუ მართლა ქეთინოსგან გაიგებდა ამ სიჩუმის მიზეზსა. თუნდ პირდაპირ უარი ეთქვა, მაშინ ასე მწვავედ აღარ ეჩვენებოდა ოქროს, მოურიგდებოდა აწმყოსაც... მაკინესაც იმედი ეძლეოდა, რომ ოქრო ახლა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდა ცისას. ერთხელ ოქრო თავის ოთახში ფიქრიანად დადიოდა, ამ დროს გაისმა ზარის წკარუნი. ბიჭი ჩავიდა კარის გასაღებად და რამდენისამე წუთის შემდეგ მოუტანა წერილიც. მის დანახვაზე ოქრო აღელდა, სიხარულით გამოსტაცა ხელიდან, ბეჭედი გადახია და ჩაიკითხა. გაფითრებული, ტუჩებმაგრამოკუმული დაეყუდა მაგიდას, უსაგნოდ მიაჩერდა სივრცეს. მის წინ იდგა აგრეთვე ფერდაკარგული მაკინე, ხელში ეჭირა წერილი და კითხულობდა ნაცნობ სტრიქონებს...

„კნიაზო, მივიღე თქვენი სიყვარულით აღსავსე წერილი, მაგრამ გვიან. უდიდესად გმადლობთ გრძნობისთვის, რომლის ამჟამად ჩემგან მიღება მეტი იქნება, რადგან სხვას ვეკუთვნი... გლოცავთ მომავლისთვის, ღმერთმა ღირსეული ბედნიერება მოგანიჭოთ. ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია, მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ქეთინო „ზურაბიშვილი". მაკინე კითხულობდა, უყურებდა თავის ოინების შედეგს, გრძნობდა შორს შეეტოპა, — შეიძლებოდა ოქროს სასოწარკვეთილებაში ეხიმანა რამ, თავი მოეკლა, — ახლა ჩაფიქრებულიყო, თუ როგორ გაესწორებინა ასეთი წინდაუხედავი ქცევა.

— ღმერთმა ხომ იცის, ოქროს ბედნიერებისთვის მომდის ყველა ეს, — იმეორებდა გულში მაკინე.

— არა უშავს-რა... კაცია, შეუძლიან მოერიოს, უფრო სუსტი ქალი ვიყავი, შარშანდელ თოვლსავით გადამავიწყდა ზურაბი, რომლისთვის ერთ დროს თითქმის ვგიჟდებოდი... სიყვარული წარმავალია, რაც უნდა ძლიერი იყვეს... — თავს იმაგრებდა ამ მოსაზრებით მაკინე.

— ოქრო, გენაცვალე, თავი მიანებე, განა ღირსია ის უმხგავსი მაგ მწუხარება-დარდისა? — მოეხვია მაკინე ძმას. ოქრომ

ხმა არ გაიღო, შევიდა ოთახში, ჩამოჯდა სკამზე და მიეცა ნაღვეღს. მაკინე ცდილობდა გაერთო როგორმე, უპატიჟებდა ყმაწვილებს, უფრო მეტად მხიარულებს, ხამაშვილებს და სხვებს, რათა ოქრო არ ჩაფიქრებოდა საშინელ აწმყოს. პირველად ოქრო ბრაზდებოდა ასეთს ჩაციებაზე, მაგრამ მერე კი რწმუნდებოდა, რომ ქეთინო მისთვის დაკარგული იყო, ნაჭერ-ნაჭერ დაკემსილი გული ითხოვდა ან სიკვდილს, ან რაიმე საშველ ნუგეშს. სულისკვეთება კი შელავათს ვერა ხედავდა. სვიმონისა და მისი ძმის უზრუნველი ტრაბახი მხიარული ცხოვრების შესახებ, მაზედ, თუ მთელ დღეებს როგორ ანდომებდნენ ქაღალდის თამაშობას, ქეიფს, სხვადასხვა ოჯახებში ხელით სატაცებელნი როგორ გამხდარიყვნენ, ყველა ეს სრულიადაც აღარ ეყურადღებებოდა ოქროს, ხან კი მოუნდომებდა, წასულიყო მათთან რამდენისამე საათით, თავისი წამება გაეყრუებინა. ოქრო მეტად შეწუხდა; როდესაც ელაპარაკებოდნენ, თითქო ხეირიანად არც კი ეყურებოდა. სწორედ ამავე დროს მაკინეს მოვალეები ფხიზლობდნენ, იმუქრებოდნენ. მაკინეს სინდისის მხილებაც ხმას იღებდა. ეშინოდა, ვაი თუ გამიგონ, ყველა ეს ჩემის წყალობითა ხდება და ზედ მამულის გამოსყიდვაც დაერთოსო. შემაძრწუნებელი მომავალი გამოსჭვივოდა შორიდან, თითქო მაკინე უკვე ხედავდა მას. დრო კი ყურადღებას არ აქცევდა, ვინ იყო მისი მადლიერი, თუ მომდურავი, გაუჩერებლივ მიდიოდა, თან იტაცებდა ავსაც და კარგსაც... ოქრო იშვიათად ჩერდებოდა სახლში, ნაკლებად ფიქრობდა აღმაფრენათა განხორციელებაზე, ყოველივე მობეზრებოდა, აღარ ახალისებდა. ათასში ერთხელ მოიგონებდა გიორგისა და ისიკოს კრებებს, სადაც ლამაზ, კაზმულ სიტყვებს დიდი გასავალი ჰქონდა, ოქრო ყურს უგდებდა, თვითონაც ლაპარაკობდა, მაგრამ ანგარიშმიუცემლად... გულსა და გონებას ურთიერთზე ემოქმედნათ, მოეკლოთ ცხოვრებისათვის მნიშვნელობა, დღეს ხალხის მხიარულება, ნეტარება მარტო შორიდან-ღა მოისმოდა, ღრმად აღარ იხედებოდა ოქროს გულში. თუმცა ქეთინოს სახელიც აღარ უხსენებია ხმამაღლა, ფიქრები კი ხშირად წარიტაცებდა იქით. იგონებდა განვლილ ნეტარებას, გაგონილ ტკბილ სიტყვებს და, როდესაც რწმუნდებოდა, ყველაფერი მოხერხებული მანქანება იყო ჯადო ქალისა, გამოუთქმელი ტანჯვა-საყვედური მოიცავდა. ოქროს აგონდებოდა მაკინეს სიტყვებიც: ღმერთმა ინებოს, ოქრო, ის

ქალი ბოლომდის მაგ სიყვარულის ღირსი იყოსო. — ოდესღაც ყურში არ უშვებდა ამ სიტყვებს, დღეს კი აუხდნენ. აგერ დამძიმებული გულით შეკეტილა ოქრო ოთახში, გაშტერებული დასცქერის დაუმთავრებელ ნახატს, რომელიც უცხოველებს დაკარგულ ბედნიერებას. ყმაწვილი კაცი შესდგომია მაღალ ციცაბოს, უმნეღდება მასზე ასვლა, გვერდზე უყენია მშვენიერი ქალი, მას გაუწოდებია კაცისთვის ხელი, უადვილებს აღმართზე წინსვლას.., ქვევით მოსჩანს ქვეყნიერება, ყმაწვილკაცს არ გამოეპარება ერთი წერტილიც კი. სხვები ამასაც ვერ ამჩნევენ, თვალს ყერ უწვდენენ, ხალხი ჯინჭველებსავით ირევა, ეძებს გასავალ, მოხერხებულ ბილიკს, გაბეცებული გზას ვერ იგნებს, ბარდებში ცვივა.. ყმაწვილი კაცი კი ხელჩაჭიდებული მშვენიერებასთან ერთად სდგას ისევ მაღლობზე. დასცქერის უმეცრების წყვდიადის მსხვერპლთა. ამაოდ უთითებს ვაკე გზისკენ, მერე ესვრის ზემოდან მოკიდებულ აბედს, უნათებს გზადაბნეულთ. მერე? მერე აღარა იყო-რა.

— შემდეგ ქალმა ხელი უნდა ჰკრას და გადააგდოს უფსკრულში, საცა მოელება ბოლო მის წამებას, — ჩაილაპარაკა ოქრომ. მიიფარა სახეზე ხელები, უსიტყვოდ, უცრემლოდ მოსთქვა დაკარგული ნეტარება.

## XXXVII

ქეთინოსთვისაც საგრძნობი იყო ოქროს მოშორება, მაგრამ წარმოიდგენდა თუ არა, რომ მალე დაუბრუნდებოდა თავის ოცნების რაინდი, შუქმოკლებულ დღეებს გაორკეცებულ ბედნიერებით ავსებდა, მშვიდდებოდა, დადიოდა ტოლებთან და ღიღინებდა. ხელს ასმარდა მარიკასაც, რადგან ამზადებდნენ ჯვარის დასაწერად. ყმაწვილქალებს თავი მოეყარათ საპატარძლო სახლში, მხიარულ სიცილ-ხუმრობით ირჯებოდნენ საკერავსა და სხვა საქმეში. ქეთინო ხშირად თავის თავს ჩააყენებდა მარიკას გარემოებაში, კმაყოფილებით ილიმებოდა, თანაც ასრულებდა ოქროსგან დავალებულს და ბადიკოს მოკრძალებით, ფრთხილად, თითქმის მორიდებით ექცეოდა. მაგრამ, როდესაც ოქროს წერილმა დაიგვიანა, გულში გაჰკენწლა.

— იქნება ავად არის? — მაგრამ ეს შიში მოაშორა გაიანემ,

რომელმაც შეატყობინა, ოქრო კარგაა, გაშურებული საქმეებს აკეთებს, დაღის ბაღებსა და ნადიმებში, მთელ ქალაქს გაულვიძნია მის ნახვაზეო... ქეთინოსაც უხაროდა...

— ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ! რა სიხარულია, როდესაც ქვეყნის სალოცავი, ქვეყნის დიდება ჩემია!.. რამდენიმე დღე კიდევ და მერე კი სრულიად ხელშეუხებელი საკუთრება გახდება!.. ვენაცვალე იმას, თავს შემოვევლე! — ქეთინო ტუჩებს გააწვდენდა, თითქო შორიდან ჰკოცნიდა ოქროს.

— უეჭველია, კვირისთვის იქნება წერილიც.. — ქეთინოს გული აღარ უჩერდებოდა საქმეზე, სახატავიც გვერდზე მიეგდო, დადიოდა ჯეროსთან ერთად, ოცნებობდა თავის დიდებაზე.

— წუხელის სიზმარი ვნახე... ოქრო ჩემთან იყო და მკოცნიდა, — ტუჩების ტკბარუნით ამბობდა ქალი, — უთუოდ მალე მოვა, თეთრებში ვიყავ მორთული. თეთრებიც, დედიჩემისაგან გამიგონია, ბედნიერებააო. ოღონდაც, ბედნიერები ვიქნებით, მაშ არა და!.. — დაუმატებდა ქეთინო. აი საგანი მისი აზრებისა და მოქმედებისა. დანარჩენი სიბნელეს მოეცვა. მამოსა და მარიკას თავს აბეზრებდა ერთსა და იმავე საგანზე დაპარაკით. ხშირად, როდესაც მამო წამოწოლილიყო დივანზე წიგნით ხელში, გულმოდგინედ მისდევდა ყოველ სტრიქონს, ჩქარა გაეგო შედეგი მოთხრობის გმირისა, სწორედ ამ დროს მოვიდოდა ქეთინო, ღიმილით ჩამოჯდებოდა ახლო ტახტზე. თუმცა ჯერ ვერ უბედავდა დალაპარაკებას, შეჰყურებდა ვედრებით მამოს, რომელიც მიუხდებოდა მის სურვილს. ყურადღება ეკარგებოდა კითხვის დროს, ნებაუნებლიედ უნდა თავი მიენებებინა. ქეთინოც შეატყობდა თუ არა, რომ მამო იხედებოდა დისკენ, მივიდოდა, დაუსვამდა თავზე ხელსა, აღერსიანად ჩაეკითხებოდა:

— შენ როგორა გგონია, მამო, ხომ მივიღებ ოქროსგან წერილს, ჰა?.. — მამოც დაბეჯითებით დაარწმუნებდა, რომ ეჭვი საჭირო არ იყო... ქეთინო და მამო შეცვლილიყვნენ. რამდენად წინათ ქეთინო დინჯი, საქმეზე მუყაითი მოსჩანდა, დღეს ველარ ისვენებდა, სადაც კი თვალს მოჰკრავდა მშვენიერ სანახავს, აღტაცებით შესძახებდა:

— ჯერო, ოქრო რომ აქ ყოფილიყო, ხომ მომეტებულად დავტკბებოდით ამის ცქერით, ვიდრე ახლა!.. — ჯეროც შესცქეროდა თვალებში, თითქო ეთანხმებოდა.

— ოქრო რომ მოვა, ნახატში ჩაურთავს აი ამ მაღლობიდან გადმომჩქეფარე მდინარეს. მაშინაც ხომ ასეთსავე სისწრაფით მოცურდებიან მტკვარზე ტივები!.. — განაგრძობდა ოცნებიანი ქეთინო. ის ცოცხლობდა იმ დღით, როცა მოვიდოდა ოქრო. განვლო მეორე კვირამ, მესამემ, მეოთხემ...

— რა ვქნა, რად გაჩუმებულა?.. — კითხულობდა ის, მოსვენებას არ აძლევდა რკინისგზის სადგურიდან წერილების მზიდავს, რომელიც დაენიშნათ სოფელში, კვირაში ერთხელ მაინც ამოეტანა ხოლმე, ჰპირდებოდა საჩუქარსაც, თუ მოუტანდა სასურველ წერილს.

— აბა ვნახოთ, იქნება ჩემთან არის? იქნება მისამართი შეეშალა! — მოუთმენლად ეუბნებოდა და გაუწვდენდა ათრთოლებულ ხელს, როცა ის ამოაწყობდა სხვებთან მოწერილებს.

— არა, ბარიშნა, ეს თქვენი არ არის.

— არც ესა, არც ესა! — სთვლიდა ყოველ წერილს და მერე, როდესაც ცარელი ყუთი დარჩებოდა, მძიმედ ამოიოხრებდა ქეთინო, ძირს დაუშვებდა ხელებს დადამბლავებულსავით და გამობრუნდებოდა.

— კაცები საერთოდ გაუტანლები არიან. ამისთვის ჩვენ ქალებს დიდი სიფრთხილე გვმართებს მათთან, — აგონდებოდა განოს სიტყვები. ერთ დროს დიდი ზაგავლენა მოახდინა ამ რჩევამ. მაგრამ ოქროს აღერსმა, მისმა დაპირებამ, ფიცმა, რომ რამდენისამე კვირის შემდეგ შეუერთდებოდა ეკლესიის კურთხევით, ამ სიტყვებს მნიშვნელობა დაუკარგა. დღეს კი ისევ მედგრად ამოიმართნენ ქეთინოს წინაშე და ეუბნებოდნენ:

— ნუ დაგვივიწყე, ქეთინო, ხელი რათა გვკარი? იწამე ჩვენი სიმართლე!

ქეთინო არავის უმხელდა ამ შიშს, გულში იტანჯებოდა.

— ნუთუ წავიდა, გაქრა ზმანება! არ დაბრუნდება?.. ქეთინოს კიდევაც გადაავიწყდა არსებობა უოქროოდ. ნეტავი როგორი ელფერი ელო ცას და ქვეყანას? მაშინაც ასე ბრწყინავდა მზე? მთელი ბუნება სტკბებოდა მისი ცხოველმყოფელი სხივებით? არა, უოქროოდ სიწყვდიადე იყო და კიდევაც იქნება. შეშინებული ქეთინო აქეთ-იქით იხედებოდა.

— მაშ არ შეიბრალებს მის სიყვარულს ღმერთი? ქეთინოს ხვაღწიწ ეშლებოდა უფსკრული, რომელსაც ბედი უმზადებდა. რო-

ცა ოქრო აქა ჰყავდა, სიცოცხლე მვირფასად ულირდა, ნიჭსა, გონების წინსვლასაც მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დამფასებელი ჰყავდა, დიაღ, ასრულებდა ყველა იმას, რასაც შეეძლო მოთაყვანის აღტაცებაში მოყვანა.

— ოქროს აღტაცება! ოხ, რა მვირფასი საუნჯე, რა ქვეყნის დიდება იყო! უიმისოდ კი შავბნელი მამა, სიცოცხლესთან გამოსალმება! რამდენისამე კვირის შემდეგ მარიკამ და შაქრომ ჯვარი დაიწერეს და წავიდნენ. მარიკამ აღუთქვა ქეთინოს, გაეგო ოქროს შესახებ ყველაფერი და შეეტყობინებინა. პადიკოს კი ამშვიდებდა, არწმუნებდა, რომ ქეთინოზე უკვე დიდი ხანია ოქროს გული აეყარა და ახლა სრული იმედი ჰქონდა, პადიკოს თავისი ნატვრა შეუსრულდებოდა. ქეთინო თვალცრემლიანი ეგებებოდა ყოველ დილას, უიმედოდ შეჰყურებდა ხვალინდელ დღეს. თეკლე და მაშოც ცხადად ხედავდნენ ქეთინოს ფარულ მწუხარებას, არ იცოდნენ, როგორ ან რითი დაემშვიდებინათ ის. ქეთინო თავის გულის კვნესას ასმენდა ბუნებას, ჯეროს.

— მირჩიე, მეგობარო, რა ვქნა? მასწავლე, როგორ გავძლო უიმისოდ? სად არის? ვისთან? მიღალატა, თავს შემოვევლე? განა ოქრომ სხვაში გამცვალა? აკი მეუბნებოდა: შენა ხარ ჩემი ამ ქვეყნის საუნჯეო?.. დღეს რაღა ვარ მისთვის, ჯერო? განა არაფერი? — ცრემლების ფრქვევით ჩაღაპარაკებდა ქეთინო შველს, როცა მასთან რჩებოდა მარტოდ, ერთხელ ქეთინომ სცადა განოსთან ამ საგანზე მოლაპარაკება, მაგრამ მისგანაც საიმედო ვერა გაიგონა-რა. ის თუმცა ატყობდა ქალის უზომო ტანჯვას, მაინც შეუბრალებლად აასრულა მაკინესაგან მონაწერი, დავალებული. უამბო, ოქრო როგორ გადარეულა ლიზასთვის, ქეთინო აღარც კი ახსოვს, არამედ დღე-დღეზე გაათავებს საქმეს... სასოწარკვეთილი ქეთინო გულში ალგზნებული ცეცხლით უსმენდა განოს, როცა ის აუწერდა ლიზას სიმდიდრეს, ამასთანავე ქალების თაყვანებას ძმისადმი. კარგა ღამე იყო გასული, როცა ქეთინო დაბრუნდა სახლში. ძილი ფიქრად არ მოსდიოდა, იჯდა ბედნიერების მოწამე ადგილზე. ჯერო აქ აღარ ჰყავდა. ქეთინო დაპირდაპირებოდა ბუნებას. მოკრიალებული ლურჯი ცა, მოჭედილი ვარსკვლავებით, თითქო გულს უმშვიდებდა. სოფელი მოსვენებას მისცემოდა, მარტო აქა-იქ შეჰყეფდა ძაღლი და ისევე ჩაჩუმდებოდა, დაქანცული ხალხი, დალამებულიყო თუ არა, მისცემოდა ტკბილ

ძილს, რათა ამ ძილში მოეკრიფა სახვალიოდ დაკარგული ღონე, ისევ შესდგომოდა საქმეს. ქეთინოს ღამის მნათობთათვის თვალები მიეპყრო. გარინდებული უძრავად იყო. მარტო გულის კვნესა არღვევდა დიდებულ ბუნების ჰარმონიას. ქეთინოს სახე ხატავდა უიმედობას. ამ დროს მოისმა თარის სიმების წკრიალი. მას მოჰყვა ნაცნობი ხმა, რომელიც იმეორებდა შემდეგს:

ალარც ნატვრა და ალარც იმედია!
ყველა წასდა, ვაი ესრედ შთენილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!
მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას,
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას!
სად წავიდე, ვის შევჩივლო, ვის გუთხრა?
ვინ გამილებს დახშულ კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა,
სამუდამოდ წაწყმენდილ იმედისას?..

თითეული სიტყვა მდუღარე ცრემლებს აფრქვევინებდა ქეთინოს. ვის გაემხილა მის გულში ნადები ღონება?.. ვინ მოიწვევდა დიდებულ ბუნებას გოდების მოსასმენად?.. სიმღერა შესწყდა, ყოველივე უცვლელად დარჩა. მომთქმელი იყო პალიკო, ქეთინოსაგან შეუმჩნეველი. ქეთინო მარტო ამჟამად გრძნობდა მის მწუხარება-გლოვის სიძლიერეს, რომელსაც უკიდურეს მდგომარეობამდის მიეყვანა და ეცოდებოდა, რადგან ვერ ეშველა... ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა გრძნობისაგან ნაწვალები ყმაწვილი კაცი სწორედ ის იყო, პალიკო, რომელიც თავშემაგრებით, მშვიდობიანად, კრძალვით მოვიდოდა ქეთინოსთან, პატივსა სცემდა, არა ერთხელ უცხადებდა თითქმის ძმობა-მეგობრობას.. რა ბედნიერი იქნებოდა თვითონ ქეთინოც, ოქროს ალგილი რომ პირველშივე პალიკოს დაეჭირა, ახლა კი ნაძალადევად სიყვარულის გაღვიძება, გრძნობის დამხობა და განახლება ქეთინოს ხელთ არ ჰყო. კარგა ხანს იჯდა კიდევ ქეთინო ფიქრებით მოცული, შემდეგ მოქანცულ-მოწყვეტილი გაემართა თავის ოთახისკენ. დასწყევლა, შეაჩვენა განოც, რადგან ატყობინებდა შეუბრალებლობას თითქმის ის დაცინვითაც უყურებდა მის ასეთს განადგურებას.

— იქნება სცდება?.. სტყუის განო!.. — გულში სხივი იმედისა

უკრთოდა, მაგრამ ამასაც ბოლო მოუღო მარიკას წერილმა. ის ატყობინებდა, თუ მართლადაც ოქრო რა უსვინდისოდ იქცეოდა მის წინაშე, არც კი ფიქრობდა დაბრუნებას, თუმცა თვითონ ვერსად შეხვედროდა სადაპარაკოდ. შორიდან თვალი მოეკრა, მოწყენით იყურებოდა. ქალაქში ხმა დადის, რომ საქმე უკვე გაუთავებია ლიზასთანაო. მარიკა ორჯერ მისულიყო მაკინესთან, რომელიც შინ არ დახვედროდა. შაქროს ხშირად შეხვედრია ოქრო ნასვამი, შექეიფიანებული, მაგრამ თვალი მოუკრავს თუ არა შაქროსთვის, თავი მოურიდებია... უთუოდ პირი ერცხვინება, „ძვირფასო ქეთინო, — სწერდა მარიკა, — ვიცი რა საშინლად იმოქმედებს ეს ამბავი შენზე. მაინც სჯობიან პირდაპირ გამოცხადება და, როგორც გონიერი ქალი, მოურიგდი, გაუმკლავდი წყეულ გრძნობას, დაივიწყე, დააფასე მარტო ისინი, რომელნიც გაღმერთებენ"... ქეთინო მიენდო უბედურებას, რომელმაც რამდენსამე ხანს გონება წაართვა. გამოფხიზლდა მარტო მაშინ, როდესაც სიცხისაგან იწოდა. გაუგებრად რაღაცას როტავდა... თუმცა მაშო და თეკლე ცდილობდნენ დაეფარათ მიზეზი თავიანთი მწუხარებისა, მაგრამ მთელმა სოფელმა იცოდა. ყველაზე მეტად სწუხდა პაღიკო, როცა ხედავდა სათაყვანოს ასეთს საშინელ მდგომარეობაში... არჩილმა ქალაქიდან ამბავი მოუტანა: გზაზე შემხვდა გამაჩერა, მკითხა აქაური ამბავიო.

— კნიაჟნა ქეთინო როგორა ბრძანდებაო?.. — დაურთო, გაყვითლდა და თვალებში შემომაჩერდა.. მეც, რასაკვირველია, თავგამოდებით ვუთხარი: კნიაჟნა ქეთინოს რა უშავს-მეთქი... თანდათან ლამაზდება, მშვენიერდება, მხიარულობს.. იმედია, მალეც გაგვიფრინდება-მეთქი... ოქრომ თვალები ძირს დახარა მაშინ და მსწრაფლ გამშორდა. — როდესაც პაღიკომ უსაყვედურა, რად მოატყუეო, მაშინ უკანასკნელმა იმართლა თავი მით, რომ არ უნდოდა ქეთინო დაემცირებინა ოქროს თვალწინ, არ ეფიქრებინა, საგრძნობად დამიტანჯიაო. „დაე დარწმუნდეს ის, რომ არავისთვის არა არის-რა და მეტადრე ჩვენი სოფლის ქალებს ბევრი იმისთანა ბიჭ-ბუჭები ცხვირით გაუბრუნებიათ".. ღიმილით, თავმოწონებით დაუმატა არჩილმა. დაღონებული პაღიკო ყურს უგდებდა. არც მარიკას წერილს მოეტანა შვება, თუმცა ის უღლაცავდა მოახლოვებულ გამარჯვებას, რადგან განგებას მისი მხარე დაეჭირა, ქეთინოს უბრუნებდა, თითქმის ხელში აძლევდა,

მაგრამ პაციკოს დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ჩასციებოდა ქეთინოს თავისის სიყვარულით, არამედ გრძნობა მსხვერპლად მოეტანა.

— მაშ ამ დღეებში რუსეთს მიდიან? — ჰკითხა მან არჩილს, რომ შეეწყვიტა უსიამოვნო ლაპარაკი.

— მიდიან და აგრე! დიდის შიკითა!.. შაქრო ფეხზე აღარ დგას, ხუმრობა არ არის ოთხას თუმნიანი ადგილი, ისიც რუსეთში ქართველისთვის. ბრწყინვალე თავადსაც გასწორებია პირნათლად!..

პაციკოს უსიამოვნობის ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე, რადგან მას უკვე დიდი ხანია შეეტყო, რომ შაქროს მრავალი ასმანეთიანი მიეყოლებინა თავის ჯამაგირისთვის და სხვადასხვა მოხერხებით კი ანგარიშებში ჩაეფუჩეჩებინა.

— უსვინდისო! — იმეორებდა ის წყრომით გულში. მას ეჯავრებოდა ყველა ამგვარი ადამიანი, თუნდ მახლობელი ყოფილიყო. მერე ვინ არის ამჟამად ამგვარად ჩირქმოცხებული? ყველა: შაქრო, ოქრო, როსტომი და ათასი კიდევ სხვა... პაციკოს სული, გასპეტაკებული ქეთინოს ზეგავლენით, შფოთავდა და ვერ იტანდა, ვერ ითმენდა, ზიზღი არ ეგრძნო მათდამი. თუნდ ეს მუქთამჭამელი არაფერში გამოსაყენებელი არსება!.. ამისი ბოლო რა არის? უეჭველია, სადმე სოფლად ან ქალაქში შიმშილით ჩაღრძობა! — უმატებდა, როდესაც ხედავდა არჩილს, რომელიც ხშირად დაიარებოდა ამასთან თუ სხვებთან და ყველა გაგონილს უზიარებდა, თვითონაც უმატებდა და ამშვენიერებდა. პაციკოს ყველა შესძაგებოდა, ის სიამოვნებით გადაიკარგებოდა ამ სოფლიდან, დედის და ქეთინოს ჯავრი რომ არა ჰქონოდა, მეტადრე უკანასკნელისა. პაციკო მზად იყო გაქცეულიყო თბილისში, პირდაპირ მოლაპარაკებოდა, დაემტკიცებინა მისთვის, თუ როგორ უპატიოსნოდ, გულქვად მოქცეულიყო. განათლებულ კაცს კი არ ეკადრებოდა ამისთანა მოტყუება, სიფლიდე, მეტადრე მას, რომელიც ცაში ვარსკვლავებს ეპოტინებოდა. და თუ ის კიდევ უარზედ დადგებოდა, მაშინ ხმალში გამოიწვევდა. მაგრამ წუთს მეორე მოსაზრება თავს ანებებინებდა ამ განზრახვაზე. პაციკო იცნობდა ქეთინოს, როგორც თავმოყვარე, ამაყ ქალს და ამ ნაძალადევობით ძალიან აწყენინებდა. პაციკოსთვის ქეთინოს წყენა კი სიკვდილზე მეტი იყო.

— ღმერთო, დამეხმარე, ჩამაგონე რა გზით ვუშველო, როგორ დავუმტკიცო თავშეწირული, სამსხვერპლოდ გამზადებული ერთგულება ისე, რომ მისთვის მოსაბეზრებელი არ აღმოჩნდეს!— ხშირად წარმოსთქვამდა თავისთვის. პირადად შეხვედრის დროს კი ისევ წინანდელზე მეტად ფრთხილობდა. მარტო შორიდან, არა ერთხელ შეასმენდა ქეთინოს, შენთვის ვკვდები და ვდნები, შენ კი არ თანამიგრძნობო. პაღიკომ შეიტყო ქეთინოს ავადმყოფობა თუ არა, სთხოვა დედას ენახა, თვითონაც მოსწყურდა, ახლა მაინც დაახლოვებოდა, თვალი მოეკრა... თეკლე დაღონებული გამოეგება პაღიკოს, რომელსაც ჯერ ნატო გაეგზავნა, მერე თვითონ მარტოდ მივიდა.

— კნიაჟნა როგორა ბრძანდება? — მღელვარებით იკითხა პაღიკომ. თეკლემ იცოდა ის გულგრილად არ იყო ქეთინოზე, ამისთვის პაღიკო, კეთილი, მიმზიდველი ეჩვენებოდა.

— დღეს მოიხედა, სიცხემ უკლო.. — უპასუხა მან.

— ჩემ მაგივრად მოკითხვა და ეს თაიგული გადაეცით, — პაღიკომ ველარ შებედა შესვლა, რადგან თეკლემ არ შეიწვია და იმედმოცემული, რომ ქეთინო უკეთ იყო, გაბრუნდა უკან. — რა მოუვა ქეთინოს? დაჭდექდება! არა, არა, ასე გან-განზე ჩემი სიარული არ იქნება... ქეთინოს უნდა მოველაპარაკო, აღვუთქვა სურვილის შესრულება, ის უნდა მომენდოს, როგორც ერთადერთ გულისშემატკივარ მეგობარს! — და როდესაც წარმოიდგენდა, რომ ქეთინოს აცილებდა ყოველ ცუდს, თავს ბედნიერად იგრძნობდა. პაღიკომ მარიკასაგან დაწვრილებით იცოდა, რაც მომხდარიყო ქეთინოსა და ოქროს შორის... და, რასაკვირველია, შედიოდა ქალის მდგომარეობაში. ქეთინო უკეთობაში შევიდა, სიცხე გამონელდა. გონებაზე მოვიდა თუ არა, მაშო იკითხა. მაშო ჰპირდებოდა ქეთინოს, თუ მორჩენის შემდეგ როგორ გასწევდნენ ბათუმს და სხვა ადგილებში... შესცვლიდნენ ცხოვრებას. აღარ გაჩერდებოდნენ ამ წყეულ სოფელში, სადაც თითქმის ყველა თავს უბედურად გრძნობდა.

— იცი, ძვირფასო, დედას უნდა ჩვენი აქედან წასვლა... — ეუბნებოდა მაშო გამხდარ, მისუსტებულ ქეთინოს, რომელიც ნაღვლიანად უღიმოდა. ჯეროც მოკრიალებულის თვალებით უყურებდა მეგობარს: ზმუკუნებდა, თითქოს ისიც უღოცავდა მორჩენას. ქეთინო არ იყო კმაყოფილი ამ მორჩენისა. ცდილობდა

წამალი არ ესვა, მაგრამ მაშო არ ეშვებოდა, წუთს გვერდიდან არ შორდებოდა.

— ქეთინო, შვილო, პაციკო იყო აქა... მოგიკითხა, ძალიან სწუხს შენს ავადმყოფობას.

— პაციკო? როდის?

— გუშინ, თითქმის ყოველდღე გკითხულობს. აი თაიგულიც, ქალაქიდან გამოუწერია, — ქეთინოს ხმა არ გაუღია, გამოართვა თაიგული, დაუწყო ხარბად ყნოსვა, თვალებში ცრემლები მოერივნენ, მოაგონდა ოქრო, მისი აღერსი: „ქეთინო, შენა ხარ ჩემი სამოთხის ყვავილი, საამქვეყნოო დიდების თაიგულიო". ოქრო ამ სიტყვებთან უძღვნიდა სწორედ ამისთანა კონას და თან ტკბილ კოცნასაც. წარვიდნენ დღეები. დღეს ისევ იღებს თაიგულს, მაგრამ სხვისგან. ქეთინო მაინც აღარ შფოთავს, არ ეჯავრება პაციკოს სიყვარულის გახსენება. ეცოდება, ატყობს, მხურვალე გრძნობა მეტად გამწვავებია; თავი ველარ შეუკავებია ამ მძიმე საბედშაო წუთებში, მოსულა, უკითხავს, მოურთმევია ეს თაიგულიც. ქეთინო მოჯობინდა, თანდათან ღონე მოიკრიბა, ხოლო ფერმკრთალობა, სევდა სამუდამოდ დარჩა სახეზე. თანაც თითქო ცოტათი დამშვიდდა. სად წასულიყო ქეთინო, რომელსაც ყველგან თან გაჰყვებოდა ეს ნაღველი? მაშო შეუძლებელს ელაპარაკებოდა, სადა ჰქონდათ იმდენი ღონისძიება, რომ ქალაქში გადასახლებულიყვნენ! ამ სოფელში ყოფნაც ძნელი იყო, რადგან დღე არ გავიდოდა, ქეთინოსთვის არ გაეგებინებინა განოს უარესზე უარესი... ქეთინოს იგი ეჯავრებოდა, აღარ ეკარებოდა. მარიკა წასულიყო შორს; გართულს საკუთარი ბედნიერებით, ის აღარ აგონდებოდა. ნუგეშად დარჩენოდნენ ჯერო და მაშო, რომლებიც ახლა უფრო ძვირფასად ულიოდნენ ქეთინოს.

— სიყვარული მსხვერპლს ითხოვს. ერთი მეორეს უნდა შეეწიროს. აკი ეუბნებოდა ერთხელ ქეთინო ოქროს! დღეს კი დრო საქმით დამტკიცებას მოითხოვდა.

— ბედნიერი იყავი, ძვირფასო, ღმერთმა ინებოს, რომ ჩემსავით სხვამ გაგალმერთოს! — ხშირად ამბობდა ქეთინო. ამ დროს სხვა ხმაც დასძახოდა:

„შურისძიება! გველი ანგელოზის სახით შემოგვეპარა, მოშხამა უმანკო სიცოცხლე, წაიღო, წარიტაცა შენი უზრუნველობა, გამოგტყუა წმინდა აღერსი და კოცნა. შურისძიება!"

ქეთინო კი ყურს არ უგდებდა ამ ხმას. „ღმერთმა გააბედნიეროს, ალბათ ღირსი არ ვიყავ, ჭეშმარიტი ბედნიერებაც არ ყოფილა ქვეყანაზე, მარტო მისწრაფება, რომელიც თან ჩაჰყვება კაცს სამარეში, მაგრამ რაღა მისწრაფება დამრჩენია?! არა, სიკვდილი!" — იმეორებდა სასოწარკვეთილი ქეთინო.

## XXXVIII

გაზაფხულის ავდრიანი დილა იყო, როდესაც აღელვებული როსტომი დარბოდა ოთახში, თვალებიდან სიბრაზის ნაპერწკლები სცვიოდა. ხანდისხან კიდევაც გაუბღვერდა გრიგოლა არამაშვილს, რომელიც იქვე იდგა.

— შე მამაცხონებულო, აგრე წინდაუხედავად რად მოიქეცი? იმდენი ამაგი და ხარჯი ისე ფუჭად რად ჩამიტარე? რისთვის დაშალე კედელსავით შეკრული შეშა? დამღუპე და დამანელე, ჰა! —ეუბნებოდა ის.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ბატონო. წინდაწინ მეგრძნო, თუ ასე იქნებოდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა და წლის სავალზედაც არ მოვერიდებოდი მაგ ოხერსა. მარტო ჩვენ ხომ არ შევბედეთ, მთელი ქვეყანაა. ზოგი შიგაც ფეხით დატოპავდა იმ დროს. წინათაც მოდიოდებუდა ეგ სატიელოი, მაგრამ ასეთი ნავნევი არ მოუტანია სოფლისთვის, როგორც ახლა. ნინო ოდიშერაძის ქვრივს მოსტაცა ერთადერთი თავშესაფარებელი ოდა, დასტოვა ცისა და დედამიწის შუა! — ლაპარაკობდა გრიგოლა დაღონებული, მაგრამ როსტომი არა მშვიდდებოდა, განაგრძობდა ოთახში სიარულს, ან კი როგორ მორიგებოდა ამ უეცარ საშინელ უბედურებას, როდესაც საყენებიდან მოელოდა გამდიდრებას და შევიწროებულ სოფლის შველას. მაგრამ დღეს პირჩაღაგამოვლებული რჩებოდა; არამც თუ სხვას უშველის, პირიქით, ყელამდის ვალებშია და ხსნა არა აქვს არსაით. ფეხის დადგმა არსად არის, რომ არ დაეგირავებინოს, მერე სულ ამ საქმისათვის! ღვთის წინაშე, გრიგოლაც ძალიან გულმოდგინედ ირჯებოდა. რაც უნდა შუაღამე ყოფილიყო, მაინც ყურს არ უგდებდა დაგვიანებას, გაირეკდა ხარსა და კამეჩს, ეზიდებოდნენ შეშას.. თვალი თურმე არ გადასწვდებოდა, იმოდენა ადგილზე ეწყო, მნახველს ასიამოვნებდა. კიდევ კარგი,

როსტომმა არა ნახა, თითქო განგებ სტუმრები აღარ აცდიდნენ წასულიყო; რაკი არ უნახავს, ასე ეგონა, იქ დიდი არა ყოფილარაო. საკვირველია, როგორც ამბობდნენ, წყალზე დაშორებული თურმე იყო და იქამდის როგორ მისწვდა?! როგორც გრიგოლა, ისე სხვები კი არწმუნებდნენ: მეწყერად მოზვავდა და წყალისკენ წამოიღო ის ადგილიო. მერე მდინარემაც თავისი ღონიერი ტალღები შემოჰკრა და სულ გაჰფანტაო.. აღბათ ღმერთს არ უნდოდა და ეს არის, სხვა არაფერი... რა მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს როსტომი!.. მაგრამ აი, დადგა თუ არა აპრილი, ცამ პირი მოხსნა, დაუშვა წვიმა და თქეში, ნაკადულებად წადგნენ ნიაღვრები... ის მაშინვე შეშინდა, ვაი თუ ხეეი შემიშალოს ამ ავდარმაო, გრიგოლა კი არწმუნებდა, ძალიან კარგი ამინდია, ეს წყალი ისე არ მოდიდდება, ხეების ჩამოტანა გასჭირდესო. გრიგოლამ გაირეკა ხალხი, საქონელი. როსტომიც წავიდა რკინისგზის სადგურისკენ შეშების საწყობის ასარჩევად.. მაგრამ გავიდა ერთი დღე, მეორეც, და უეცრად გაჩნდა გაფითრებული გრიგოლა, ღრიალით მოეხვია ბატონს მუხლებზე, ტირილ-წუხილით შეატყობინა, თუ ნიაღვრებს რა ზარალი მიეცა მათთვის, როგორ დაეშალა იმოდენა ზვინი ხეებისა; ვიდრე ისინი ავიდოდნენ, წყალს წამოეღო და სულ მიეფანტ-მოეფანტა... საქონელშიაც ნახევარზე მეტი მთლად გასწყვეტოდათ. როსტომმა თუმცა დიდად იტკიცა, ბევრი აგინა, ძანძლა, დაემუქრა კიდევაც: დაგაჭერინებ, ნაობახტში დაგალპობო, მაგრამ ვერა მოუმატარა; თუმცა მთელი სოფელიც შეუყენა შეშების საძებნელად, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ველარავინ გაიგო... როსტომი წელმოწყვეტილი დადიოდა. ხანდახან ბავშვსავით დაიწყებდა ტირილსაც, როდესაც მარტოდ დარჩებოდა. გაიანეც ქმარზე ნაკლებ არა სწუხდა ამ ზარალს. ნება-უნებლიედ უნდა გამოსაღმებოდა მომავალ დიდებას, რომელსაც აღუთქვამდა როსტომი.

— რაღა ვქნა, ქალო? შვილები რითი დავზარდოთ?! — ხშირად სასოწარკვეთილი ეტყოდა ცოლს, რომელიც ცდილობდა დაემშვიდებინა თავისი მეუღლე.

— გენაცვალე, როსტომ, იქნება მაგდენი ზარალიც არ არის, როგორცა გგონია! თავსაც შემოგვლებია!.. ახლა სხვა საქმე აიღე, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ გაიმარჯვო. ცოტაა თუ!

— მაგალითად, რომელი? — დაეკითხებოდა იმედისგან კვლავ

სახეგაღიმებული როსტომი, რაკი წარმოუდგებოდა გამდიდრების ახალი სახსარი.

— თუნდ ფოდრატობაი, ყმაწვილო!

— ესეც სულ პირველში არა ვცადეთ! მამულიც იმისთვის არ დავაგირავე პრიკაზში! მაგრამ არც იმაში ვნახე ხეირი.

— მაშინ სხვა იყო, ახლა სხვა დროა. წელს მოსავალს ვერაფერი პირი უჩანს და მგონია, არ მოსტყუვდე, — ამ სანუგეშო სიტყვების გაგონებაზე როსტომი თანდათან მშვიდდებოდა, გამხნევდა მომავალ გამარჯვების გათვალისწინებით. — თქვე საწყლებო, აკი ბედი არა გქონიათ, — ჩაილაპარაკა მან თანაგრძნობით, შეხედა გრიგოლას და ისევ დაუმატა: — არა უშავს-რა შვილო, ღმერთი მოწყალეა. ერთხელაც იქნება და ავასრულებ, შევიძენ იმდენს, რომ ამდენი მწუხარება თავიდან აგაცილოთ — გრიგოლას კი გულში ეცინებოდა, რადგან როსტომი იბრალებდა სოფლელებს გაჭირვებაში და კიდევ აღუთქვამდა რაღაც განუსაზღვრელ მომავალს, მაგრამ სახეზე საშინელი ნაღველი ეხატებოდა.

— ღმერთმა გისმინოს, შენი ჭირიმე, — ხელს მოუწერდა ისიც მორჩილებით.

— გრიგოლა! მამა გიცხონდება, სცადე, ერთი კიდევ წაიყვანე ბიჭები, ეგება ერთი-ორი საჟენი მაინც იპოვო სადმე, არ იქნება, წყალს არსად არ მიესორგოს. გავყიდოთ და იმაში მაინც დავინახოთ აღებული ფასი! — დაუმატა მან ცოტა დამშვიდებით რაკი ნახა, გაჯავრებით არა იქნებოდა-რა და ან გრიგოლასაც ბუნების წინააღმდეგი არა შეეძლო-რა... — გეთაყვა, ხალხმა კი არა იწყინოს-რა ჩემს საბაბზე! — დასძინა გულმტკივნეულად როსტომმა, როდესაც გრიგოლამ კარები გაალო გასასვლელად... მართლაც, ლ — ს დიდი ზარალი მისცემოდა, ადგილ-ადგილ მეწყერს ბევრისთვის სახლ-კარი დაენგრია, მიწები შუაზე დაეპო და წყალი ჩუხჩუხით გადმოდიოდა. პავლია ოდიშერიძის ქვრივისთვისაც დაევიწყებინა ახალი უბედურობა და მასთან ერთად აგლოვებდა თავშესაფარსაც. ნინო სწყევლიდა გრიგოლას, როსტომს, თითქმის მთელ ქვეყანას, ცასა და დედამიწას, რომელნიც, მისი აზრით, მოსისხლე მტრებად გადაქცეოდნენ. ვილა იცნობდა ნინოს, გამხდარს, გაყვითლებულს, შავი პირკლის კაბაში გამოხვეულს და თითქმის წელშიაც მოხრილს! ძუძუთა ბავშვი აღარა ჰყავდა, რადგან იმ უბედურობის დროს ისიც უპატრონობით მოჰკვდო-

მოდა: დარჩენოდა უფროსი ბიჭი შაქრო, რომელიც აგრეთვე და-
ღონებული უყურებდა მიქცეულ-მოქცეულ სახლ-კარს, გაოხრებულ,
წაღეკილ პატარა ბაღს, სადაც არა ერთხელ დაუკრეფია პაწია ხე-
ლებით ახალ-ახალი კიტრები, თუ სხვა მწვანილეულობა. თუმცა
სოფელს ეცოდებოდა ნინო, ყველა ხელს ატანდა, მაგრამ უკანას-
კნელი არავის უმადლოდა. გაბოროტებული გული დაჟინებით გაი-
ძახოდა:

— ვინ რას მომცემს, ვინ შემივსებს დანაკლისს?! ვინ და-
მიბრუნებს ამ გულიდან მოწყვეტილ ძვირფას ქმარ-შვილს და
სახლ-კარს? განა რისთვის ვიწიალე კარ-და-კარ?.. რა საჭი-
როა! — ნინო სიხარულით შესწყვეტდა სიცოცხლესაც, ჯავრი რომ
არა ჰქონოდა პატარა შაქროსი. კაკოდაანთ კეთილი მაიაც სანუ-
გეშო სიტყვებს არ აკლებდა.

— ნუ გაგკვირვებია ნურაფერი, ქალო! ეს სოფელი ნათხო-
ვარია, შვილო, ჩვენც იქ წავალთ. მაშ ვეცადოთ, პირნათლად შე-
ვეყაროთ ჩვენ პატრონებს... შენზე უფრო ყმაწვილი ვიყავი, გოგო
როდესაც დავქვრივდი. ბევრი ვითავცემე, ბევრი ვიღრიალე და
ვიწუწუნე, მაგრამ დაკარგული კი ვერსად ვიპოვნე... მერე თავი
დავდე ზურაბასთვის, რომელიც წლისაც არ იყო, როდესაც დამი-
ობლდა და ღლემდის იმისთვისაც ვიცოცხლე, იმისთვის ვიქნევდი
დაუღალავად ამ ჩემს მარჯვენას... დღეს კი, შვილო, მთელ სო-
ფელში ბედნიერ დედაკაცს მეძახიან. ჰაი, ჰაი, ბედნიერიცა ვარ,
რაკი ვხედავ მარგალიტ ცოლ-შვილით გამდიდრებულ ჩემს ზურაბა-
სა.. შენც ღმერთი მოგასწრებს კიდევ ამისთანა დღესა, შვილო,
და გაგახარებს... ახლა კი გულმშვიდად მოვკვდები, მივალ ჩემ კაც-
თან და ვეტყვი: „სოსე, შენ რომ ზურა დამიტოვე ჯერ კიდევ
კვერცხში მწივანი მეთქი, გაგიზარდე, დაგივაჟკაცე, შენს კარ-
მიდამოზე შვილიშვილები დაფრთიანებულ წიწილებსავით საყვარ-
ლად დაფრიალებენ, მე კი შენკენ წამოველი, რომ ახლა შენთან
მინდა დავისვენო მრავალ გამონაცად ტანჯვა-ვარამისაგან და-
ღალულმა-მეთქი“... ასეა ჩვენი ცხოვრება, დედავ, და შენც ბუ-
ნების კანონს წინ ვერ დაუდგები. თუ სახლი ალარ გაქვს, შვი-
ლო, ნურც მაგაზე იდარდებ... სანამ შაქარა წამოგეზრდებოდეს,
მუშაობას შეიძლებდეს, ჩემი სახლის კარი შენთვის ღია იქნე-
ბა... შენს ბიჭსაც ჩემი ზურაბა ბიძის მოადგილეობას გაუწევს
და იცხოვრებ.. — ნინოს თვალებში ოდნავი შუქი გამოკრთებოდა

მაიას ლაპარაკის მოსმენაზე, მეტადრე მაშინ, როდესაც თვალწინ წამოუყენებდა დავაჟკაცებულ შაქარას... დასტაცებდა ხელს თავის ბიჭუნას, მიიკრავდა გულზე და სიხარულის ცრემლებს გადმოღვრიდა დამჭკნარ, დაღარულ ლაწვებზე. ნინოს მარტო მაიას სიყვარული და ამაგი ჩარჩენოდა გულში. ღმერთო, რა არ გამოსცადა, როდესაც პავლია მოუკლეს!... ის ჯერ ხომ უგონოდ ეგდო, მერე, თუმცა მობრუნდა, მაგრამ მწუხარებისაგან კინაღამ გაგიჟდა. ამ კეთილმა ადამიანმა მეტად გულმტკივნეულად უპატრონა... დაამარხვინა თუ არა ქმარი, გადაიყვანა თავის სახლში შვილებით და თავის მფარველობის ქვეშა ჰყავნდა. მარტო დღე გამოდიოდა გაოხრებულ სახლში, იქ მოსთქვამდა, გლოვობდა და გულს იოხებდა. მაგრამ ბოლოს ეს სახლიც წაართვა ადიდებულმა წყალმა და დღესაც სულ ზურაბა კიკოლაშვილისა და მისი დედის მაიას ანაბარა დასტოვა. სხვებს ნინო ახლოს არ ეკარებოდა მეტადრე სესელაანთ ოჯახს.. თვალს მოჰკრავდა თუ არა მათ, ქვასა და წყევლას არ უძლევდა, თითქმის გული წუხილს დაუწყებდა, როდესაც დაინახავდა სესელას შვილს სანდროს, რომელიც სამი თვის პატიმრობის შემდეგ გამობრძანებულიყო და არხეინად დადიოდა. ისინი ცდილობდნენ, როგორმე მოებრუნებინათ თავიანთკენ ნინოს გული, მეტადრე სესელას ცოლი, მაგრამ ის უკმეხი პასუხებით თავიდან იშორებდა.

— ჩემი პავლიას მკვლელები თვალით უნდა დავინახო?! ჭირმა წაგიღოთ და ჩემის კაბით დაგსვათ! — დაუმატებდა და უკანვე თავში აწყვეტდა გამოგზავნილებს.

— განა პავლიას ხსოვნა ამითი უნდა დავივიწყო? — გაიძახოდა გულდამწვარი... — ისემც უკვნესიათ და უავადნიათ!

ერთხელ ნინო წალეკილ ბალთან იჯდა, ზუზუნებდა თავის დაკარგულ ძვირფას საუნჯის გახსენებით. მოვიდა მაია და გვერდზე მოუჯდა.

— რომ იცოდე რა ამბავი მოხდენია როსტომსა, ქა! — წარმოსთქვა მან მოუთმენლად.

— რაი? — უგულოდ იკითხა ნინომ.

— რალა რაი, ქალო, იმოდენა შეშებიდან ისე ხელცარიელი დარჩენილა ამ წყეული წყლის ონავრობის წყალობით, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შენი სახლი დააქცია. ასეთია თურმე როსტომი, რომ სულ ცოფებსა ჰყრის პირიდანაო.

— თანაც გადაპყოლია! რატომ არ იცის, რომ იმდენი ხალხის ცოდო თავს მოეწევა, ან ბოლოსა! — სთქვა ნინომ, თან გულში იამა, რადგან იცოდა, როსტომი პირს არ მოუკოცნიდა გრიგოლას, რომელიც სიკვდილზე მეტად სძაგდა. როსტომის ზარალი მთლად სო — ს ხეობამ იცოდა. ახლა ამბად ეს-ღა ისმოდა, საცა კი ადამიანი მიდგებოდა. ზოგი იბრალებდა, ზოგნიც ნიშს უგებდა. ამ უკანასკნელთა რიცხვი კი უფრო სჭარბობდა. გრიგოლას დიდი ხერხი და ოსტატობა დასჭირდა, რათა თავი ამ უბედურის ჭირისუფლად დაესახა და ახერხებდა კიდევაც. სალომე კი მართლა ტიროდა, რადგან ეშინოდა, არავინ მიგვიხვდეს და ცუდი არა წაგვეკიდოს-რაო. მაგრამ გრიგოლას წინდაწინვე აეწონ-გაეზომა თავისი განზრახვა და ისე მოეყვანა აღსრულებაში. მრავალი წითელი ქაღალდი, როსტომისაგან წამოღებული, რათა საჟენების ხარჯად მონდომოდა, გაიცა სალომეს სახელზე. ახლა გრიგოლა ელოდა შემთხვევას, ყველა ეს მიეფანიერებინა და როსტომისათვის უფრო მეტად თვალი აეხვია. ბუნებამ ხელი მოუწყო, მოზვავებულმა მეწყერმა, მოდიდებულმა, გაონავრებულმა წყალმა გაუადვილეს, ერთ საათში შეასრულებინეს სურვილი. აირჩია რამდენიმე სანდო კაცი, მათ შორის სესელა, და ისე ბევრი თავისთანა გამოქნილი მოისყიდა, მოილაპარაკა მათთან და გადაწყვიტეს ჩუმად, ერთ კვირაზე ჩამოეტანათ ღამღამობით ხე-ტყე წყლის ნაპირზე. გრიგოლამ სწორედ იმ დროს მოახდინა ეს, როდესაც წყალი თანდათან მატულობდა, თამამდებოდა და გადმოდიოდა სანაპიროებზე. მათ დაიწყეს, მერე კი თვითონ კურთხეულმა მდინარემ ჩამოართვა საქმე და დაუბოლავა ისე, როგორც უნდოდა. როგორც გრიგოლა, ისე მისი ამხანაგები განზრახ ბევრსა ღრიალებდნენ, ბერკეტებით დაედევნენ, მაგრამ დაჭერის მაგივრად უფრო გზას უკვლევდნენ და გზავნიდნენ დანიშნულ ადგილისაკენ, სადაც შემდეგ თვითონ ბინასაც გაუჩენდნენ. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა ყველა ამას, როდესაც ხედავდნენ მწუხარე ცოლქმარსა? გაიანეს მაკინესაგან წერილი ხშირად მოსდიოდა, ატყობინებდა, ოქრო დაახლოვებოდა ლიზას და უეჭველად კიდევაც შეირთავდა. აუარებელი სიმდიდრე ჩაუვარდებოდათ მათ ხელში და წელში გაიმართებოდნენ. მაკინე სთხოვდა განოს, გულმაგრა ყოფილიყო, არ ენაღვლა როსტომს თავისი ზარალი. ამ უკანასკნელსაც მცირე იმედი არა ჰქონდა ცოლის ძმისა და ამ მოსაზრებით

ცდილობდნენ ქეთინოს გულში ყოველი გრძნობა ჩაეკლათ ოქროს შესახებ... ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ ქეთინოს ტანჯვას, ვერც კი ხედავდნენ. თავიანთ მომავალს სხვადასხვა ოცნებებით ათასფრად აფერადებდნენ. გრიგოლამ მალე მოუტანა ამბავი როსტომს, რომ ყოვლად შეუძლებელია დაბნეული შეშების პოვნაო, რის წვალებითა და დიდის ძებნით ძლივს ორმოც ხეს მოუყარეს თავი და მითი გაათავეს კიდევაც ეს საქმე. მაგრამ როსტომი სასოებას არა ჰკარგავდა და მოურავთან ერთად ხშირად თათბირობდა კიდევ ახალი საქმის ალებაზე... გრიგოლამ შეიძინა სხვადასხვა სოფლებში მამულები, დუქნები გამართა; ხელი მიჰყო ალებ-მიცემობას. ახლა უროსტომოდაც შეეძლო ბატონკაცურად ცხოვრება, რადგან მთელი მისი ავლადიდება დიდი ხანია ხელში ეჭირა... ახლა უნდოდა როგორმე გასცლოდა და ეძებდა მიზეზს... დ-ში ყველანი, საკუთარის დარდ-ვარამით გულჩათხრობილნი, ვეღარ იცლიდნენ მეზობლისათვის რამე ნუგეში მიეცათ. ბევრნი, დუკმაგაწყვეტილები, გრიგოლასა და სესელასთანა ძლიერ ხალხისაგან შევიწროვებულნი, გადავიდნენ შორს სამუშაოზე და დასტოვეს გაშურებულ შრომის დროს ცოლ-შვილი, რომლებიც აგრეთვე ნახევარ ფასად, ან ვალში, ან ნისიად ეხმარებოდნენ შემავიწროვებელთ... ნინო მოჯამაგირედ დაუდგა თეკლეს, პატარა შაქარაც იქ მიიყვანა. ქეთინო ნინოს წყალობით მრავალ უსამართლობას გებულობდა და გულზედ მოწოლილი ჯავრი უორკეცდებოდა. ალუთქვამდა, ყოველგვარი შემწეობა მიეცა ამ უბედური დედაკაცისათვის. პაციკოც თუმცა ხედავდა, სოფელი რა გარემოებაში იყო, მაგრამ საკუთარ ჯავრისაგან გაბეცებული, სისუსტესა გრძნობდა, მათთვის ველარ ეშველა. არჩილს კი მოწყენობა- აქაურობის დალვრემილი სახის ყურება და კარგახანია რაც წასულიყო ახლა სხვა უფრო უზრუნველ სოფლებისაკენ, სადაც მხიარული ხალხი ეგულებოდა. დ—ის მცხოვრებნი მოელოდნენ როსტომის თავზე უჩვეულო უბედურებას, რადგან ნიშნები უკვე სჩანდნენ. გრიგოლა არამაშვილსა და როსტომს შორის უკვე უკმაყოფილება ჩამოვარდნილიყო.

— ახია მაგაზე! დაე წაერთვას. ეგ უფრო მოიხმარებს.

— ოჰი, როსტომს კი მოჰკვდომია ი სულელი თავი, კარგი დოვლათი ეგ გამოსულა!

— ვნახოთ, ის მოყვრებიც რას უშველიან, ან სხვა სტუმრე-ბი, რომლებიც რუზრუზებენ მაგის სახლში?

— ამბობენ, მაგისი ცოლის ძმა მდიდარ ქალს ირთავსო, მი-ლიონებს იღებსო... რა უჭირს! ეშმაკი თავის ქოხს არ დაანგ-რევს.

— ისემც უკვნესიათ! რაცა ჰქონდათ, ისიც ხელიდან წაუვი-დათ და ახალიც ძველ გზას მონახავს.

— ღმერთმა ჩვენი ბედი იმის ხელში ჩააგდო, იმან კი არ გვიპატრონა, გრიგოლა მოგვისია და რანაირად შეგვეჭამა და შეგვხრა! ახლა თუ კარგია, თავისგან დაგეშილი ძაღლი თვითონ-ვე მიეტიოს, არა უშავ-რა.

— იქნება კიდევაც სისხლი მოუხდეთ. როსტომი თავის ნე-ბით არ დაანებებს ი მამულებს. გრიგოლასაც თვალებში რაღაც ბოროტი ცეცხლი უბრწყინავს.

— მერე ახლა კაცის სიკვდილი როგორ გაადვილდა! ერთმა ხელმა მეორეს გაპარვით წითელი ქაღალდი ჩაუთვალოს და ვიზე-დაც გინდა ჯავრი იყარე. რამდენ წვეთ სისხლსაც მარჯვენა გა-მოუშვებს, იმას ფული უზღავს... — ხშირად ლაპარაკობდნენ ხოლმე სოფელში, როდესაც შეხედავდნენ როსტომის სასახლეს, რომე-ლიც თითქო დაღვრემით გადმოიყურებოდა, მასში აღარ გაისმო-და წინანდებური უზრუნველობით დაფისა და ნაღარის ხმა... ზე-ვით, მის გასწვრივ ცა ილუშებოდა, გროვდებოდნენ ტყვიისფე-რი ღრუბლები, მარტო-ღა ელოდნენ ქარიშხალის ამოვარდნას. მას წინდაწინ ელჩად გამოეგზავნა სიო, რომელიც თანდათან თამამ-დებოდა. დიაღ, დროს უნდა დაეხსნა, გაეშალა განგების თვითეუ-ლი კვანძი და გამოერკვია მისი აწმყო და მომავალი.

## XXXIX

განვლო ორმა წელმა. ქრისტეშობის საშინელ ცივ ღამეს ჩვეულებრივად არ მოუსვენია. გამეძგრებული ქარიშხალი მრის-ხანედ გრგვინავს, ჰყინავს უიმისოდაც გათოშილ არემარეს, ხან-დახან სუსტდება, ღონე აკლდება, იცვლება სევდის ამშლელ ზუ-ზუნად, გმინვით იკარგება შორს სადღაც, მაგრამ ახალი ძალ-ღონით შეჭურვილი ხელმეორედ ეტევება მოკლე ხნით შეყუჩე-

ბუდ ბუნებას. სოფელს შევიწროვებული ელფერი სდევს. ვიდა იფიქრებს, აქ კვლავინდებურად სდუღს სიცოცხლე. ეჭვებს აქარწყლებს თოვლით შეღესილ სახლის ბანებიდან ამომავალი კვამლი. სახლში მყოფნი არ თანაუგრძნობენ საშინელ ღეშტერს, რომელსაც დაუმორჩილებია გარეთ ბუნება. მხიარულად მოტკაცუნე ცეცხლს გააქვს გურგური, ცდილობს გარედან შემოსული სიცივე შეათბოს, არ მიაკაროს იმ ხალხს, რომელიც დაიმედებულა მაზე, არ შეასუსტოს თავისი ძალა, დანიშნულება. მკრთალ შუქს უერთებს ლამპრის სინათლეს. მათის დახმარებით თვალწინ გვეხატება მყუდრო ოთახი. ერთ მხარეს ჩატახტულია, მაზე მოუკეცია თეკლეს, საკერავსა ჰკერავს. მაგიდასთან მიმჯდარა პაღიკო, სახემოღიმარე წიგნს კითხულობს, უსმენენ მაშო და ქეთინო, რომელიც გაიყურება ცეცხლისკენ. ქეთინოს სახეს მოშორებია განწირულება, ადგილი დაუთმია მტკიცე მეტყველებისათვის, ტუჩების გარშემო გაჰკეთებია ნაკეცები. ყელმოღერებული შესედულობა გვიჩვენებს, ბრძოლაში გაუმარჯვნია, სახიფათო მორევიდან გამოსულა და ახლა კი დასცურავს მდორე, წყნარი ცხოვრების მდინარეში... პაღიკოს შესამჩნევად ხმა ამოუხრინწიანდა.

— კი არ დაიღალე, შვილო?.. — ჰკითხა მზრუნველობით თეკლემ და ხელსაქმე შეაჩერა. მაშომ ხელიდან გამოსტაცა წიგნი. პაღიკომ შეხედა ქეთინოს, რომელიც უღიმოდა. პაღიკოს ნატვრა ახდენოდა. რამდენიმე დღე კიდევ და ქეთინო მისი კანონიერი მეუღლე გახდებოდა. თუმცა გულით ისევ ოქროს ეკუთვნოდა, მაგრამ პაღიკოსთვის მაინც უზომო სიტკბოება იყო, რაკი ყოველს წამს თავის გვერდში იგულებდა, თავს შემოევლებოდა, საკუთარ სურვილს, სიცოცხლეს ანაცვალებდა. ჯვარის წერის შემდეგ აპირებდნენ საზღვარგარეთ წასვლასა. თვითონ ქეთინოც გრძნობდა პაღიკოს მიმართ უზომო პატივისცემა-მადლობას, თითქმის მეგობრულ სიყვარულს, რომელიც არ შეედრებოდა იმ ალმაფრენ წმინდა გრძნობას, გამონაცადს ოქროსადმი. ქეთინოს ბედი გადაწყდა, უარის თქმა ველარ მოახერხა. გარემოებამ ქარგა გაუბა, ნება-უნებლიედ შიგ ჩააქსოვინა სული და გული. პაღიკოს ნამეტანმა თავშეწირულმა ქცევამ ქეთინო გამოიყვანა იმ საშინელი სასოწარკვეთილებიდან, რომელშიაც ჩავარდნილიყო ოქროსაგან დატოვების გამო. მორჩა თუ არა ავადმყოფობას, ნება მისცა პაღიკოს ხშირად ევლო მათთან. ქეთინოს აღარც კი სჯე-

ნოდა, თუ პაღიკოს ოდესმე გაწეზრახა მისი შერთვა, არამედ ეპყრობოდა ისე, როგორც ჭეშმარიტი გუღითადი მეგობარი, ართობდა დაპარაკით, მის ყოველ სურვილს მისდარაჯებოდა და ცდილობდა მაშინვე აესრულებინა. ამასობაში დროც შეუმჩნევლად მიდიოდა. ერთხელ ქეთინო, მტანჯველ ოცნებისაგან დაღლილი, გულხელდაკრეფილი დადიოდა ბაღში. ამ დროს მოვიდა პაღიკოც, მას სახეზე ეხატებოდა გადაწყვეტილება.

— ნება მიბოძეთ, კნიაჟნა, მოგელაპარაკოთ ერთს საგანზე, — უთხრა მოკრძალებით. ქეთინომ აღელვებაც შეამჩნია, მოწყენაც. წუთს გულში გაურბინა სიბრალულმა იმ ყმაწვილისადმი, რომელიც მისთვის ასე სწუხდა. ქალი სკამზე ჩამოჯდა და მიენდო ხეს.

— შეგიძლიანთ, მაგრამ ძნელად თუ დავაკმაყოფილებ თქვენს საკითხებს.

— არა, კნიაჟნა, მე მინდა მოგელაპარაკოთ მარტო იმ საგანზედ, რომელიც ერთადერთი საშველი ღონისძიებაა, რათა თქვენი ტანჯვა-ნაღველი შეამსუბუქოს, გააქროს.

ქალს გაუკვირდა, შეხედა ყმაწვილს; ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები.

— ჩემი ტანჯვა-ნაღველი შეამსუბუქოს?! მერე ვის, ან რ ს შეუძლიან? — ჰკითხა ქალმა და მწარე ღიმილმა გადურბინა ტუჩებზე. თვალები საყვედურით მიმართა ზეცას.

— ოქროს დაბრუნებას... მის თქვენთან მახლობლად ყოფნასა... — ყრუდ ჩაილაპარაკა პაღიკომ. ოქროს ხსენებაზე ქეთინო გაფითრდა. — პატიოსნებას გეფიცებით, გეფიცებით მას, რაც კი ჩემთვის წმინდაა ქვეყანაზე, რომ თქვენთვის, თქვენს დასამშვიდებლად თავი არ დავზოგო! — განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, — ნუ დაჰფარავთ მას, რაც უკვე ჩემთვის დღესავით ცხადია. მიგულეთ თქვენი გულის შემატკივრად, მომენდეთ, როგორც... როგორც თქვენს ძმას, — დაუმატა მან. ქალის გულს აღბოპდნენ ეს მეგობრული, წმინდა სიტყვები, მის თვალებში ცრემლებს გამოიწვევდნენ.

— დიდად გმადლობთ, პაღიკო, მაგაში ეჭვი არასდროსაც არა მქონია. დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სიკეთე გინდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერ შეიძლებთ ჩემს შველას.

— ვეცდები... აქამდისინაც შევასრულებდი, რომ თქვენგან ნებართვის ღირსი არა მქონოდა.

— რაზე?

— წავიდოდი ოქროსთან, მოველაპარაკებოდი, გავიგებდი მისგან ნამდვილ მიზეზს, იქნება სრულიად სხვაფრივ არის, ჩვენ კი ტყუილად ვიტანჯებით!..

— ოხ, ღვთის გულისთვის ნუ იზამთ მაგას! — შესძახა შეშინებულმა ქეთინომ, — ამაზე მეტად ნუ დამღუპავთ, როგორ?! თქვენ წახვიდეთ ოქროსთან, სთხოვოთ, იქნება კიდევაც შეაბრალოთ ჩემი თავი?! არა, არა! თუ გინდათ ჩემი მეგობრობა, პაპიკო, თავი დაანებეთ მაგ განზრახვას, — იმეორებდა ქეთინო და თვალებიდან ლაპა-ლუპით ცრემლებს აბნევდა. პადიკო განგმირულივით უძრავად იდგა ერთ ადგილზე.

— არა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია! ოქრო თვალსაც ველარ მომკრავს, არც საჭიროა მისი დაბრუნება! ნუ სწუხართ, ჩემო კეთილო მეგობარო, ყველაფერი მალე გაივლის, — დაუმატა ქეთინომ. ქეთინო თავმოყვარეობას დაემორჩილებინა, ამ წუთებში იმდენად ულირსად ეჩვენებოდა ოქრო, რომ მასზე ნაღველი, მწუხარება მას თავის დამცირებადაც მიაჩნდა. ქეთინოს გონება ასე სჯიდა, გული მაინც მშვენიერ თვალებიდან მდულარე ცრემლებს ალვრევინებდა.

— თქვენი ნება იყვეს. თქვენს სურვილს წინ ვერ აღვუდგები. ჩემი ნატვრა კი იყო მოგესვენათ. — ქეთინომ კვლავ მადლობით შეხედა პადიკოს, რომლის სახე სთხოვდა შებრალებას, — მაგრამ როგორ მოისვენებთ, როდესაც ყოველთვის არ გაკლიათ გულის გამგმირავი ამბები იმ პირზე, რომელიც აგრე ძლიერ მოქმედობს თქვენზე! — დასძინა პადიკომ და გაიარ-გამოიარა, ჩაფიქრდა, გონებას ძალა დაატანა, მოესაზრა რამე საშველი ამ გარემოების შესამსუბუქებლად. ჯერჯერობით კი უძნელდებოდა. გაჩუმებული ქეთინოც ყურს უგდებდა გონების გულთან კამათს,

„შორს, სისუსტევ! თავის შეწირვა მას, ვინც თანაგიგრძნობს, აფასებს შენს სიყვარულს, მაშინ მისთვის სიკვდილიც ცხინია, არ გასაცვლელი ნადიმზე! — ქეთინოს თვალები უბრწყინავდნენ, გასწორდა, წარბები შეიკრა, მრისხანებით ალიჭურვა, თითქო ეს არის გამკლავებას უპირებს მოწინააღმდეგესაო. — შურისძიება!" — ჩასძახა ამ დროს კვაღად ნაცნობმა ხმამ.

— კნიაჟნა! — დაიღაპარაკა ამ დროს პაღიკომ და გაჩერდა ქაღის წინ, — კიდევ ერთი სათხოვარი...

— ბრძანეთ!

— თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. მოვაღეცა ხართ ასე მოიქცეთ, რადგან თქვენი თავი მარტო თქვენ არ გეკუთვნით. საზოგადოებას, მეგობართ ზეციდან დავაღებული აქვთ გიძღვნან თანაგრძნობა საქმით თუ სიტყვით, ვისაც როგორ შეუძღიან. დიაღ, თქვენ აქედან უნდა წახვიდეთ, — გაიმეორა პაღიკომ.

— წავიდე?.. მერე სად? ვისთან? რა მეგუღება ამ სოფღის გარეთ?

— არამც თუ ამ სოფღის გარეთ, შორს, თვით საქართვეღოზედაც. — ქაღი შეკრთა.

— მერე? — დაიღაპარაკა მან, — წავიდე იქ, აქ კი დავტოვო ნათესაობა, მეგობრები? წავიდე იქ და აქ დავტოვო ჩემი... — ქაღს ხმა ჩაუწყდა, მარტო ტუჩები ენძრეოდნენ.

— დიაღ, თქვენ უნდა დასტოვოთ აქ ისინი, რომეღთაც ვერ გიცნეს, ვერ დაგაფასეს, არ აღგიარეს დეღოფღად, დიდების გუნდრუკი არ გიკმიეს. უნდა წახვიდეთ იქ, საცა უმანკოებას ღირებუღი ფასი აძევს, თორემ თუ აქ დარჩებით, ვერ იცოცხღებთ, დაჭღექდებით და ეგ ხომ საწყენია მახღობეღთათვის, რომეღთა შორისაც იქნება აღმოჩნდეს ისეთიც, რომეღმაც ვერ აიტანოს თქვენი დაკარგვა, — უკანასკნეღი სიტყვების დათავებაზე პაღიკო გაფითრდა. ქეთინო პაღიკოს მიმზიდვეღ ქერა სახეს შეპყურებდა ნაღვღიანად.

— მერე, პაღიკო, გჯერათ, რომ მივაღწევ თქვენგან აღნიშნუღ წმინდა ადგიღს? დარწმუნებუღი ხართ, იქაც არ წამყვება წამება? — ჰკითხა უფრო გაბედვით ქაღმა, რადგან ხედავდა ჭეშმარიტ მეგობარს, რომეღთანაც აღარ მაღავდა გუღისპასუხის გამომჟღავნებას.

— თქვენ უსათუოდ მიაღწევთ ბრწყინვაღე ადგიღს. მჯერა, მწამს აგრეთვე, რომ ეგ ნაღვეღი და სევდა დიდი ხნის განუშორებეღი წვეუღია, მაგრამ ძაღ-ღონე უნდა მოიხმაროთ, ზურგი შეაქციოთ ხორცშესხმუღ უმადურ არსებათა, ნიჭს, ემსახურეთ, ზარდეთ, აფართოვეთ. იქ, სადაც მე გითითებთ, მარტო იქ არის თქვენი ძღიერება.

— ნიჭი ვასაზრდოვო? მხატვრობას თავი შევწირო? — ფიქ-

რიანად გაიმეორა ქალმა. მხატვრობის მოგონებაზე თითქო არსება გაუფხიზლდა და გული და სულიც გამოესმაურა — რითი?.. ჩვენი ქართველური ნიადაგ გამოცდილი ოცნება ხომ არ არის, პადიკო?..

— არა, ქეთინო, ამ ოცნებას, ამ სურვილს მტკიცე ნიადაგს აღმოუჩენს თქვენი ძმა და მეგობარი პადიკო; მთელი თავისი მამულის შემოსავალს თქვენ მოგართმევთ, ფერხთით გაგიფენთ, გეტყვით, შეგეხვეწებათ: ძვირფასო დაო, ყველა ეს იყვეს თქვენი ჭირის სანაცვლო, ისარგებლეთ მით, როგორც თქვენ გენებებათ, მე მიმსახურეთ, როგორც უკანასკნელი მონა!.. — დაუმატა პადიკომ. ქეთინო გაშრა, დალაპარაკება ველარ მოახერხა, რადგან ვერ წარმოედგინა, თუ პადიკოს თავშეწირულობა ამ საზღვრამდე მიაღწევდა, მაგრამ როგორც იყო, ბოლოს ძლივს უთხრა:

— გმადლობთ, პადიკო, მაგ საგულისხმო მსხვერპლისთვის.., ჩემს თავს არასდროს ნებას არ მივცემ, ვისარგებლო მაგითი მაშინ, როდესაც... როდესაც მაგიერის გადახდა არ შემიძლიაშ!

— არა, ქეთინო, არა გთხოვთ არაფერში თანაგრძნობას. მარტო ნუ დაიშურებთ მეგობრობას და ერთგულ, მოსიყვარულე ძმად მიგულეთ. პატიოსნებას გეფიცებით, ამაზე მეტის თხოვნით თქვენ არ შეგაწუხოთ... მოიფიქრეთ, თუ გრძნობთ შეცოდებას მასში, რომ მაგიერს ვერ მომიწყავთ, გაასწორეთ დანაშაული, მოინანიებთ ცოდოსაც იმ გულკეთილობით, თუ მიიღებთ ამ წინადადებას და წახვალთ დითა და დედით იტალიაში, — ქეთინო წამოდგა ზეზე, გაუწოდა ათრთოლებული ხელი.

— პადიკო, ძვირფასო მეგობარო, მაპატიეთ... — უთხრა მან, — ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვარ, მაგრამ მაინც გეტყვით დაუფარავად... რომ... ოქრო მიყვარს დაჟინებით, უნებურად... — პადიკომ მოწიწებით ჩამოართვა ხელი და ელოდა ქალის დამშვიდებას.

— მერე ვინ გიშლით, ძვირფასო? ვინ გაყვედრით მაგ სიყვარულს?.. — ჰკითხა მან.

— სინდისი, გონება... გული გაჯიქებულია, არავის სიტყვარჩევას ყურს არ უგდებს... შემიბრალეთ!..

— ჰო-და კიდეც მაგისთვის უნდა წახვიდეთ... მოიწოდეთ ხასიათის სიმტკიცე, მიენდეთ თქვენს ერთგულ ნიჭს, მაშინ

უფრო შესძლებთ ოქროს დაფასებას. ოჰ, ღვთის გულისთვის, ქეთინო, შეისმინეთ ეს ვედრება! -- შესძახა პაღიკომ და ქალის წინ მუხლებზე დაემხო. ქეთინოს მარტო ახლა გაეცნო პაღიკოს პატიოსანი სული, მისი უმანკო გრძნობა, რომელიც არ მიემსგავსებოდა სხვებისას, იყო თავისებური, უჩვეულო... ეს ეხვეწებოდა მეგობრობას, პირდებოდა ძმობას. ქეთინოს შეეძინა მტკიცე ყავარჯენი, გრძნობდა, მარტო ახლა შეეძლო უფრო გაბედვით გამკლავება უწყალო გარემოებასთან.

— თუ გინდათ ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება, შეისმინეთ! — დაჟინებით ემუდარებოდა პაღიკო. როგორ დათანხმებულიყო ქეთინო ამ თხოვნაზე? როგორ წასულიყო მის ხარჯზე ღედით და დით საზღვარგარეთ? რას ემგვანებოდა? განა სინდისი მოასვენებდა, როცა გაძარცვავდა ამ პატიოსან არსებას? პაღიკო კი გადაწყვეტილ პასუხს ითხოვდა.

— ნება მაინც მომეცით, მოვიფიქრო, — უთხრა მან კარგა სიჩუმის შემდეგ.

— დიდის სიამოვნებით, თუნდ ერთ წელიწადს დაგიცდით, ოღონდ კი ნუ მომაკლებთ ამ იმედს, ამ ნუგეშს.

— ძალიან კარგი, სწორედ ერთი წელიწადი იყვეს ვადა.

— არა, ეგ ბევრია... დაუკელით! — მიატანა საჩქაროდ პაღიკომ.

— ათ თვეს?

— არა, არც ათ თვეს...

— მაშ რამდენი გინდათ?

— ორი დღე, თუნდ ერთი საათიც.

— ოხ, არა... არ შეიძლება! — წარმოსთქვა ისევ დანაღვლიანებულმა ქეთინომ.

— თქვენი ნება ასრულდეს... დანიშნეთ ვადა, რომელსაც დავემორჩილები.

— ექვსი თვე იყვეს... — პაღიკო დასთანხმდა, წამოდგა ზეზე, თუმცა სწყუროდა ჩაეკრა ეს ფასდაუდებელი საუნჯე გულში, მაგრამ რაკი ბედი დამხმარე არ იყო, უნდა დამორჩილებოდა მას... როგორც იყო, დამშვიდნენ ორივენი, სახლში დაბრუნდნენ. გავიდა ორი-სამი თვე... დანიშნული ვადა ახლოვდებოდა. ქეთინოს კი ვერ გადაეწყვიტა... მუდამ თან სდევნიდა აზრი, თუ პაღიკო დაიღუპებოდა, ქეთინო შეიქმნებოდა მის წინაშე დიდი დამნა-

შავე, ქვეყნისგან გასაკიცხი, ღირსიც ყველასაგან თავლანებებისა, დამცირებისა... უარი ეთქვა, მაშინ ხომ წუთისოფელს მოუშხამავდა პაღიკოს, სწორედ ისე, როგორც თვითონ ქეთინოს გამწარებოდა ოქროს წყაღობით. აქ დარჩენიდიყო-და, აქაც აუტანელი, გაუძლისი ცხოვრება ჰქონდა, რადგან ნაცნობები ხშირად ელაპარაკებოდნენ, თუ ოქრო რანაირად გამოცვლილიყო, გართულიყო მოქეიფე ხალხში, ჩამოსცლოდა წინანდელ პატიოსან ამხანაგებს და ახლა მთელ დღეებს ათენ-ალამებდა სასტუმროებსა და კლუბებში. რა მადლობას გადაუხდიდა ქეთინო მას, ვინც დაჰფარავდა ყველა ამას და არას იტყოდა. ბრძოლისგან ქეთინო ანჩრდილს დაემსგავსა. დაანდობდა გამხდარ ხელებზე თავსა და მიეცემოდა მწვალებელ ფიქრებს. რაღაა შემდეგში? ტანჯვა... ამ დროს უხილავი ხმა გამოელაპარაკებოდა:

„ქეთინო, ნუ გამიცრუებ ამ ერთადერთ იმედს, რომელიც მანუგეშებს, მიიღე გულწმინდად შემოწირული მსხვერპლიო!" — თვალწინ წარმოუდგებოდა პაღიკოც, მაგრამ ქეთინოს მაინც ვერ მოეშორებინა ოქროს ხსოვნა გულიდან, ვერ ამოელო მისი უსაზღვრო სურვილი. სად არის სამართალი? ნაძალადევად კი არა იქნება-რა. ფიქრებით მეტად შესწუხდა ქეთინო. პაღიკოს თავისი აზრი ეთქვა მამოსთვის, რომელსაც დაახლოვებოდა ქეთინოს წყალობით. სთხოვა, დაეჯერებინა ქეთინო, რომ მისი წინადადება მიეღო და წასულიყვნენ ამ დაწყევლილ ადგილიდან.

— მერე თქვენა? — ჰკითხა მამომ, როდესაც მოისმინა პაღიკოს თხოვნა.

— მე რა? მე აქ დავრჩები.

— როგორ? ჩვენ გვისტუმრებთ თქვენის ხარჯით, თქვენ კი აქა რჩებით? დედა თქვენი რაღას ამბობს?

— დედაჩემს ჩემი სურვილი ყოველთვის აუსრულებია და არასდროს წინააღმდეგობა არაფერში გაუწევია. ჩემი წასვლაც ყოვლად შეუძლებელია, რადგან ხალხის თვალში კარგა არ გამოჩნდება და რომ ჩემ გამოისობით ქეთინოს ხალხიდან ევნოს რამე, არასდროს არ ვიკისრებ. — მამო ხედავდა პაღიკოს სამაგალითო თავშეწირვას და დარწმუნებულიც იყო, ქეთინო დიდი ბედნიერი იქნებოდა მის ხელში, თუ კი როგორმე მოხერხდებოდა საქმე. პაღიკოც გულის ძგერით ელოდა დანიშნულ ვადის დადგომას და თუ ქეთინო დათანხმდებოდა, მაშინ ისე მოახერხებ-

და ნატოსთან, რომ ეს უკანასკნელი ვერც კი გაიგებდა, თუ პადიკო თავის შემოსავლიდან ნახევარზე მეტს მიაწვდენდა თავის სატრფოს. თუმცა პადიკოს თვითონვე არ მოსწონდა ასეთი მოტყუება დედისა, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, იცოდა, ნატო არასგზით არ დასთანხმდებოდა და უსიამოვნების მეტი არა გამოვიდოდა-რა, საქვეყნოდაც გახდებოდა, რადგან ნატო ვერ მოითმენდა და დაუწყებდა თეკლეს კამათ-შეხირებას. პადიკოს კი უნდოდა, ისე მოეგვარებია საქმე, რომ არავის არა სცოდნოდა-რა... აგერ დანიშნული ვადა მიიწურა; ორი დღე კიდევ დარჩა. ქეთინოს აღელვება დაეტყო, თვალები მორღვეოდნენ, გამხდარი სახე ჩვეულებრივზე მეტად გაუფითრდა.

— ქეთინო, რომ იცოდე, რანაირად უყვარხარ პადიკოს! ნეტაი პირველადვე შენს გულს მაგისთვის დაეკვნესა! რა ბედნიერი იქნებოდი! ეგ ყმაწვილი მაინც თანდათან ჩინებული რამ დგება. მაგისთანა ძლიერი გრძნობის პატრონი არსად მინახავს. ჩამციებია, უსათუოდ უნდა წახვიდეთ საზღვარგარეთო, თორემ ქეთინოს არ შეუძლია სიცოცხლე, მისი სიცოცხლის მოსპობას მეც თან გავყვებიო, — უთხრა მაშომ ქეთინოს.

— კარგია, მაშო, ვთქვათ, კიდევაც ვიკისრე წასვლა, მერე თვითონ?

— თვითონ აქა რჩება. ოხ, ქეთინო, მერწმუნე მე... ხომ იცი შენთვის ბედნიერება მინდა?

— მაშო, შემიბრალე! — შესძახა ქეთინომ, — გენაცვალე, მასწავლე, ამ გულს რა ვუყო? — ქეთინო ქვითინით მოეხვია დას, — შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას?..

— როგორ და პადიკოს შევირთავდი. — ქეთინოს გააკანკალა.

— შეირთავდი?! — ფიქრიანად გაიმეორა, — მერე როგორ შეირთავდი, როცა შენი გული სხვას ეკუთვნოდა? ის კი პატიოსანია, ღირსია ჭეშმარიტი გრძნობისა, რომლის მიცემასაც ვერ შეიძლებდი? ოჰ, რა შემცოდე იქნებოდი მაშინ!

— რად ვიქნებოდი შემცოდე, როდესაც ჩემი შემრთველი დამთანხმდებოდა მაზე, თუ ამ გულში დარჩენილიყო წინანდელი ხსოვნა, მისი კი ვყოფილიყავი მეუღლე, მეგობარი, დამხმარე, თანამგრძნობი გაჭირვებასა თუ დაღხინებაში! შევირთავდი, ქეთინო, გავუწევდი სამაგალითო ოჯახის დედობას, მით

ჩემს დამღუპველს დავუმტკიცებდი, რარიგად მოტყუებული იყო თავის საქციელში, და რაც უფრო გათახსირებაში ვეჩვენებოდი, მით მას სინდისი დაუკმაყოფილდებოდა, გაიფიქრებდა, აღბათ ღირსი იყო და ისე მოუვიდაო. — ქეთინო ხარბად ისმენდა მაშოს ლაპარაკს. მასაც ხანდახან გაუელვებდა აზრი, შეერთო პადიკო, გამხდარიყო ერთგული მეგობარი, მაგრამ ძლიერი გრძნობა, თუმცა დამცირებული, განკიცხული, ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ აბედვინებდა.

— ქეთინო, პადიკოში არასდროს არ მოსტყუვდები, არც ის მოითხოვს შენგან მომეტებულ ალტაცებულ სიყვარულს, რადგან თავშეწირულია. შენი ნიჭიც წინ წაიწევს, გაფართოვდება. ხომ გახსოვს, ერთ დროს რანაირად ზრუნავდი მისთვის... გაიხსენე!.. დაუბრუნდი იმ დროს, შეიცოდე პატიოსანი ყმაწვილი, მიიღე მისგან ტანჯვით გამოწვდილი ხელი! ნუთუ შენთვის შვება არ იქნება, გააბედნიერო ერთ-ერთი ადამიანი მაინც?! — ქეთინო გაჩუმებული ყურს უგდებდა, მაშოს კი გულში იმედი ეძლეოდა საქმის ჩინებულად წასვლაზე.

— ხვალ უნდა ვუთხრა გადაწყვეტილი პასუხი!.. — წარმოსთქვა ქეთინომ. მას მთელი ღამე არ სძინებია, ღრმა ფიქრებში ცურავდა. ის იჯდა, ანგარიშმიუცემლად ათვალიერებდა წინანდელ ნახატებს, შემდეგ მიეყუდა სკამის ზურგს და დარჩა ისე რამდენსამე ხანს.

— გამარჯობა, ქეთინო! — ჩაესმა ყურში. ქალი თუმცა მძინარე მაშოს მეტს არავის ხედავდა ოთახში, მაინც არ შემკრთალა, უკვე იცნო ნაცნობი ხმა... ქეთინოს თვალები გაუბრწყინდნენ...

— გული გაანელე, მეგობარო! — იმედიანის სიტყვებით უთხრა მან.

— ახლა? როდესაც დამასუსტე!.. კიდევ კარგი, სამუდამოდ არ დაგავიწყდი, დანაშაულს ხომ გრძნობ?..

— დანაშაულს?.. რაში?

— გემონები, თავს გევლები, შენ კი ყურს არ მიგდებ... მაგრამ როგორ გაგამტყუნო, როდესაც ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა....

— თუ აგრეა, რისთვის მეტანები? ჩამომეხსენ...

— განა ჩემს ნებაზე შემიძლიან რამე? მე ვარ ზეცის შვი-

დი, ჩემი დანიშნულებაა, ავასრულო შემომქმედის ბრძანება, დავემონო მას, საითკენაც ის მითითებს... შენთან ერთად დავიბადე, უნდა შენს სიკვდილს მეც თან გავყვე... შენ კი უმადური ხარ, მღალატობ, უფრო აღრე მისტუმრებ სამარისკენ. ხორცშესხმულ არსებას ძნელად თუ ვისმეს შეუძლიან ჭეშმარიტი მეგობრობა. შენთვისაც ძნელია...

— რა უსაფუძვლო საყვედურია!.. — ჩაილაპარაკა ქეთინომ.

— აბა ყური უგდე ჩემს ხმას! — განაგრძო მობაასემ, — აჰა, უიმისოდაც ნაზი, სუსტი, მომეტებულად დამლიე, უნდა მხედავდე, რა პაწაწინა ვარ, ერთი ციცნა! სულს შემიბერავ, მაშინვე სიცოცხლეს შევწყვეტ, მხედავდე მაინც. მაგრამ მაშინ შენსავით უმადური ვიქნებოდი და დაუნდობელი.

— უფრო კარგი, სამაგიეროს გადახდა შეგეძლებოდა.

— კიდეც მაგას ვერიდები, სამაგიერო ბოროტების საქმეა... მე მაგისთვის არა ვარ გაჩენილი.

— რისთვის?...

— მისთვის, რომ შენ შემოგწირო თავი, შენით ვიცოცხლო, ვისულდგმულო.

— გასაოცარია! თავს მწირავ, მაშინ, როცა არა ხარ დარწმუნებული თანაგრძნობაზე?

— დანიშნულება ასეთია. მე შენთან ერთად დავიბადე, ახლა შენ უნდა მზარდო. იცოდე, ქეთინო, თუ ჩემთვის არ იზრუნებ, ბევრს დაჰკარგავ; თუ გამაქრობ, შენც დაწვრილმანდები. ქეთინო, მაცოცხლე, მით შენს ცხოვრებას შრო და ლაზათი, მნიშვნელობა მიე, თორემ გარდიქცევი იმ მცირე წერტილად, რომლის გაჩენა და გაქრობა ერთია ქვეყნისათვის.

— რას ითხოვ?

— მეგობრობას.

— აკი ვარ. მომეტებულად აღარ შეიძლება!

— შეუძლებელს არა გთხოვ.

— მითხარი მაინც მეგობრის დანიშნულება.

— ვითომ არ იცი? მაშ კარგი, გეტყვი, მოგაგონებ. მეგობარი ყოველ საათს გადამდგარი უნდა იყოს მეგობრისთვის. მის სურვილს, კეთილდღეობას თავისი შეუსისხლხორცოს, მისი გაჭირვება გულის ფიცარზე მწარე ნაღველით დაიწეროს, ლხინს კი უსაზღვრო აღტაცებით გამოხატავდეს, მაგრა ხელი ჩასჭი-

დოს და მასთან ერთად მივიდეს სამარის კარს. აი როგორია მეგობარი!..

— ესე იგი მსხვერპლად შემოგეწირო?.. დაიცა, იქნება აგრეც მოვიქცე, — ფიქრიანად დაუმატა ქეთინომ.

— როდის-და?

— მითხარი, რა დაგაკმაყოფილებს?

— აქედან გამიყვანე. მე მინდა დაუშრობელი საზრდო, სიცოცხლე მწყურიან. გამიყვანე აქედან. ნუ გიკვირს, ასეთი სუსტი შენგან ამდენს მოითხოვდეს. იცოდე, როგორც ძლიერი აგრეთვე სუსტია, ისე სუსტი ძლიერია. თუ იმ გარემოებას მომცემ, როგორსაც მოგთხოვ, რამდენისამე წლის შემდეგ გავიზრდები, დიდი, უზარმაზარი, თუ არა და ისე მტერი დაგედიოს, როგორც მე დავიღევი.

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

— აკი გითხარი, უშენოდ არა შემიძლიან-რა-მეთქი!

— სად მიბრძანებ წასვლას?

— იქ, სადაც გარემოება გითითებს. იქ, საცა ჩემთვის უკვდავების დაუშრობელი წყაროა. აქ კი სიკვდილია, არარაობა, იქ, იქ წამიყვანე, ქეთინო!

— მერე?

— მერე, მინდა გამოსცადო რამდენადაც უბედობა, იმდენად ნეტარება. მინდა გქონდეს დიდი სიმდიდრე, აგრეთვე გრძნობდე სიღარიბესაც, შიმშილს, სიშიშვლეს. მე მინდა, როგორც სიცხისაგან სახეზე ოფლი წურწურით ჩამოგდიოდეს, ისე სიცივით მთლად ძაგძაგებდე. მინდა გული დაგეკემსოს ნაჭრებად, როგორც მოწიწებით თაყვანსა გცემდნენ, ისე ზიზღით, სიძულვილით გიყურებდნენ. მე მინდა ის ჭიქა, რომლითაც ყოველდღე შესვამ ხოლმე სასმელს, გევსებოდეს საწამლავით. მინდა, ინეტარო და ამასთანავე იტანჯო.

— ზოგიერთი მაგ სურვილებში უკვე შესრულებულია.

— ვიცი და იმისთვისაც გავაღებ განაგრძო ბრძოლა, მოთმინებით ზიდო ტვირთი, ზეცისგან მონიჭებული.

— მერე, რას მოველოდე სამაგიეროს?..

— უკვდავებას!

ქალს გააჟრჟოლა.

— უწყალოვ, ამდენ ტანჯვებთან კიდევ უკვდავება? როს-და

დაისვენოს დაქანცულმა, მიხრწნილმა სულმა, თუ არ ეღირსება სიკვდილი?

— თვითონ შენ უმადურო! ჩანს, არ გეყურება, რასაც დაპარაკობ. მაშ გინდა, სამუდამოდ დარჩე უსუსური ყრმა, რომელსაც აჩუმებდნენ ტკბილი შაქრით! არა, ქეთინო, არასდროს შენი მეგობარი არ გიორგულებს ისე, რომ გადაგაქციოს იმ ბუმბულად, რომელსაც ქარი იტაცებს ყოველმხრივ. თუ გირჩევ ტანჯვაშრომას, ჩემს დამონება-სამსახურს, მერწმუნე, მარტო იმისთვის, რათა გახდე ჭეშმარიტი ადამიანი, მუხლმოდრეკით სადამი მოგცენ, შენი არ გამტანი სინდისის ქენჯნით დაიტანჯოს, მოყვარემ იდღესასწაულოს. შორს სისუსტევ, დაჩრობავ, მუხთად საწუთროს წინაშე ქედის მოხრავ! — ქეთინოს გონება თანდათან აღმასდებოდა, გულის კვნესა თითქო შესუსტებულიყო. ქალი წამოდგა, მიიხედ-მოიხედა. მაშოს ისევ ტკბილად ეძინა. დაეშვა მუხლებზე ხატის წინ, იწყო ლოცვა, შესთხოვდა მეუფეს, გადმოევლინა ძალი და ღონე, შეესრულებია ყველა ეს, რაც განეზრახა. ლოცვის შემდეგ მომეტებული შვება იგრძნო, თავი მისცა მოსვენებას. მეორე დღეს ქეთინო ელოდა პადიკოს. მაშომ და თეკლემ იცოდნენ მისი აზრი. უხაროდათ, ქეთინოს გადაეწყვიტა შორს წასვლა, პადიკოს თხოვნის ასრულება.

— მაშო, შენმა რჩევამ გასჭრა... — უთხრა ქეთინომ დას, როდესაც დიდაადრიან გამოეღვიძა.

— მართლა?.. რანაირად გაეხარდება პადიკოს, მაგრამ შენი მოშორებაც კი დაანაღვლიანებს, — ქეთინოს ტუჩები დაენძრნენ, ის თითქო შეკრთა მაშოს სიტყვებზე, ემჩნეოდა ბრძოლა.

— არა, თუ დავთანხმდები პადიკოს წინადადებაზე, აგრეთვე ვიკისრებ მასთან შეუღლებასაც, უიმისოდ კი არ შეიძლება... ნება არა მაქვს ვისარგებლო მისი ფულებით და ის კი აქ დარჩეს... მაშო, გადაეცი პადიკოს... რასაკვირველია, თუ შეურიგდება ამ გარემოებას, რომ ოქრო მაინც მიყვარს, თუმცა ვეცდები კი შევასრულო სინდისიერად ჩემი მოვალეობა.

— პადიკოს მთავარი გონება აღარ შერჩება. გაგიჟდება, გადაირევა, როდესაც გიგულებს თავის საყვარელ მეუღლედ... შენ კი რეებს დაპარაკობ?.. — ქეთინოს ცრემლები დულილით ყელთან მისდიოდა, განიცდიდა ჯოჯოხეთის ტანჯვას, მაგრამ მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. პადიკო ქეთინოზე ნაკლებ არა

ღედავდა, როცა უახლოვდებოდა მათ სახლს. ის დარწმუნებული იყო, კარგს არას გაიგონებდა, ხან კი მცირედი იმედი უკრთოდა.

— უარი რომ სთქვას, როგორღა ვიხსნა ტანჯვისაგან? — ფიქრობდა გაწუწყვეტლად. მოვიდა თუ არა პაციკო, მაშომ ახარა ქეთინოს თანხმობა, მისი პირობაც. პაციკოსთვის მეტად მოულოდნელი იყო, მეტადრე უკანასკნელი. გამოართვა ხელები მაშოს და აღტაცებულმა დაუკოცნა მადლობის ნიშნად.

— მაშ, ეს რა დღე გამითენეთ? რა ნეტარებაა, რა ბედნიერებაა! — იმეორებდა აღელვებული, სიხარულის ცრემლები თვალებში მოსდგომოდნენ. ქეთინო არამც თუ თანხმდებოდა წასულიყო თავის ნიჭის საწვრთნელად, არამედ პირდებოდა მეუღლეობასაც?! ქეთინო და პაციკოს მეუღლე!.. ნუთუ სამოთხიდან მოტანილი მეჯლიში არ იყო? როგორც იყო, პაციკომ ღონე მოიკრიბა, რათა დამშვიდებული შესულიყო იმ ოთახში, სადაც ქეთინო ელოდა. უკანასკნელი გაფითრებული წამოდგა. მაშო აღარ შეპყოლია, რომ თავისუფლად შესძლებოდათ მოლაპარაკება.

— მგონი დღეს... უნდა მომეცა თქვენთვის პასუხი, — დაიწყო ქალმა, — თანახმა ვარ თქვენს... თქვენს წინადადებაზე... და თქვენს... — ქეთინომ ველარ დაათავა, ღონე წაერთვა, თვალები კი განაგრძობდნენ მტკიცედ ყურებას. პაციკომ ჩამოართვა გამოწვდილი მთრთოლვარე ხელი, რომელსაც მოწიწებით დაეკონა.

— გმადლობთ... გმადლობთ იმ უღირს ბედნიერებისათვის, რომელსაც მანიჭებთ, — გაძნელებით დაიჩურჩულა მან.

— პაციკო! თუმცა თანახმა ვარ თქვენს მეგობრობაზე, თუ ხელს არა მკრავთ, თუ შევიძლებ, მოვახერხებ თქვენს გაბედნიერებას... ხომ იცით ჩემი... — მაგრამ პაციკომ სიტყვა არ გაათავებინა:

— ქეთინო, სალოცავო! რა ნება მაქვს მოგთხოვო მიუწვდომელი? მერწმუნეთ, ჩემთვის სრული ნეტარება იქნება თქვენს მახლობლად ყოფნა, მონობა, თავს შემოვლება!

რამდენსამე წუთის შემდეგ ქეთინო და პაციკო იღებდნენ დედისა და დისგან ლოცვა-კურთხევას. ქეთინო თანდათან შეეჩვია ახალ გარემოებას, რომ დღე-დღეზე გახდებოდა მეუღლე-

მეგობარი პაღიკოსი, რომელიც თავს ევლებოდა. ეღვიძებოდა დამშვიდებული, მოფიქრებული, ძაღდატანებული გრძნობა. პაღიკოც ატყობდა ამ დამშვიდებულ გრძნობას და მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. არც ნატო დამდგარა უარზე, როდესაც შვიღმა შეატყობინა, ქეთინოს ვირთავო. მას ძაღიან მოსწონდა ქეთინო, მისი წყნარი, მშვიდი ხასიათი; არჩია ისევ მეზობლებთან დამოყვრება, ვიდრე მოეყვანა უცნობი, რომელიც შეიძლებოდა ერთი ვიღაც ახტაჯანი და აშარი გამოდგომოდა... ქეთინო კი ყოველთვის პატივისცემით, თითქმის მორჩილებით ეპყრობოდა ხოლმე... მანაც თავის მხრივ გულწმინდად, მხურვალედ დალოცა ორივენი და მოუთმენლად მოელოდა მათ გვირგვინსაც... მაგრამ როდესაც გაიგო, რომ პაღიკო და ქეთინო აპირებენ საზღვარგარეთ წასვლასო, ეს უკანასკნელი აზრი ვერ მოსდიოდა ჭკუაში, ძაღიანაც აწუხებდა.

— მერე, შვიღო, ოჯახს, მამულს ვის ანაბარა სტოვებთ? — ჰკითხა მან, როდესაც პაღიკო გაბრწყინებულის თვალებით უმტკიცებდა, უსათუოდ საჭირო იყო მათი წასვლა.

— დედაჩემო, შენ უნდა უგდო ყური.

ნატოს ასეთი დავალება არ ეუცხოვა, რადგანაც უიმისოდაც მის ხელში იყო მთელი მამულის განკარგულება. ნატო არა ჰგვანდა მუქთამჭამელ მანდილოსნებს, რომელნიც მარტო კრიალოსნის თამაშით და ქეიფით ათენ-ალამებდნენ; ის ჯერ კიდევ ყმაწვილი, ჯანიანი, ოჯახში ჩაუფერხებლად ტრიალებდა, ყველაფერს ფეხდაფეხ მისდევდა ქმრის სიცოცხლის დროსვე და მის სიკვდილის შემდეგაც არ შემდრკალა, არ შეუმჩნევინებია ოჯახისათვის უუფროსობა. თუმცა პაღიკო უმართებულოდ იქცეოდა, მას ყურსაც არ ათხოვებდა: ფლანგავდა მზად შემოტანილს, ნატო კი მაინც მტკიცედ იდგა და რამდენადაც შეეძლო, იცავდა ოჯახს ყოველ ცუდისაგან... ღვთით, ბოლოს პაღიკო სრულიად შესხვაფერდა, სხვა ხასიათზე დადგა, შეიქნა სამაგალითო, თავდაცული კაცი. მარიკაც კაი კაცს მიათხოვა და ნატომ კიდევ მომეტებულად ფრთები გაშალა. მას უყვარდა თავისი შვილები და ყოველთვის მათთვის ზრუნავდა... მაგრამ შვილისა და რძლის წასვლა საზღვარგარეთ აშფოთებდა...

— თუ ჩვენი ბედნიერება გინდა, დედი, ნუ დაგვიშლი... და გზა დაგვილოცე!.. — ემუდარებოდა პაღიკო. ნატოს ველარ მო-

ესერისებინა გამაღიანება, დაღონებული, გაკვირვებით უყურებდა პაღიკოს.

— რამდენი ხნით აპირობთ მაინც? — ჰკითხა მან ბოლოს.

— რამდენიმე თვითა... მერე ისევ მოვალთ... არც კი შეიმჩნევ უჩვენობას... აქ იქნება ჩემი სიდედრი, მაშო, განო და სხვები... ჩვენც მალე მოვალთ.. — ამშვიდებდა შვილი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, როდის მოუხდებოდათ დაბრუნება, რომელიც დამოკიდებული იყო ქეთინოს გულის ვითარებაზე... პაღიკოს თუმცა ეცოდებოდა მშობელი, უმძიმდა მისი მარტოდ დატოვება, მაგრამ ქეთინოს სიყვარულთან, როგორც მშობლისადმი გრძნობა, ისე მთელი ქვეყნის მიმართ, ყველაფერი ხუნდებოდა, პაღიკო ცოცხლობდა ქეთინოთი, ფიქრობდა, ოცნებობდა მარტო მისი გულისა და სულის საღბუნება-განკურნებაზე, მის დამშვიდებულ, მაცოცხლებელ ღონისძიებაზე. მალე ყველამ შეიტყო მათი დანიშვნა. მოდიოდნენ,ულოცავდნენ, მათ შორის განო და როსტომიც ერივნენ. უნდოდათ დაენახათ, თუ რამდენად კმაყოფილი იყო ქეთინო, მაგრამ ქეთინომ მიიღო მხიარული სახით ისინი, მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისათვის, არწმუნებდა, დიდი ბედნიერი და კმაყოფილი იყო... განოს ეყურებოდა ქეთინოსაგან აღტაცება, რომელიც არ ეთანხმებოდა მის გამხდარ, გაყვითლებულ სახეს, თუმცა მათ შესახებ ჩვეულებრივად მითქმა-მოთქმა ატეხილი იყო სოფელში. ზოგი ძრახავდა ოქროს, სიამოვნებას აცხადებდნენ ქეთინოსა და პაღიკოს შეუღლებაზე, ზოგი წინააღმდეგს გაიძახოდნენ. პაღიკო და ქეთინო კი ყურადღებას არ აქცევდნენ ყველას ამას, ელოდნენ ქრისტეშობის მარხვის გასვლას, რათა ჯვარი დაეწერათ. მანამ პაღიკო დაიარებოდა ქეთინოსთან, მთელ დღეებს თითქმის მასთან ატარებდა. პაღიკო ხშირად უკითხავდა წიგნებს ქეთინოს და სხვებიც ყურს უგდებდნენ.

— ქეთინო, შენ რაღას იტყვი, თავი დავანებო კითხვას, თუ განვაგრძო? — მოუბრუნდა პაღიკო ქეთინოს, როცა მაშომ წიგნი წაართვა.

— რასაკვირველია, ძაღდატანებისაგან ყელი გეტკინება, — მოესმა ზრუნვით აღსავსე პასუხი.

— კარგია, გენაცვა, ქა, ახლა მომავალ საქმეზე ვიდაპარაკოთ! — დაუმატა თეკლემ.

— როდესაც წარმოვიდგენ, რომ ამ ორი კვირის შემდეგ ჩვენთან აღარ იქნებით, გული დამიწყებს ხოლმე კვნესასა, — ბმბობდა მაშო.

— არა, შვილო, გულთან კვნესას რაღა საქმე აქვს? მიხარიანნ, რაკი ქეთინო და პაღიკო მიბედნიერდებიან... რა ვუყოთ, რომ მიდიან, ნეტაი შენც აგრე მოგიშორო, არც მაშინ ვინაღვლი. მე და ჩემი მძახალი ნატალია ერთად დავრჩებით და დავტკბებით შვილების ნეტარებით. დღეს რატომ არ გადმოვიდა, შვილო, დედაშენი? — ჰკითხა ბოლოს.

— ისიც თქვენსავით ფუსფუსშია, გვამზადებს... რის ვაივაგლახით დავამშვიდე, დავარწმუნე, მალე დავბრუნდებით-მეთქი.

ისინი რომ ლაპარაკობდნენ, ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ნინო თავის თმახუჭუჭა ბიჭით, რომელიც ლაზათიანად, სუფთად ჰყავდა ჩაცმული. ნინოს სახესაც მოშორებოდა განწირულება, თუმცა ისევ თაღხებში იყო, მაგრამ მაინც თვალები უბრწყინავდნენ იმედით.

— წადით, შვილებო, ჩვენ კი აქ დავრჩებით და ნინოს დახმარებით ვიცხოვრებთ. მოგიმზადებთ სხვადასხვა შესანახ საწუკრებს და მოგელოდებით, — განაგრძობდა თეკლე. ნინო ამ დროს სუფრასა შლიდა. მასაც ოდნავის ღიმილით გაპობოდა ტუჩები, როდესაც უყურებდა ქეთინოსა და პაღიკოს, მოაგონდებოდა თავისი უდროოდ გაყრილი პავლია, თავშემაგრებით ამოიოხრებდა.

— სამი წელიწადი კიდევ და შაქროსაც სკოლისკენ თავს ვუკრავთ! ქეთინო, ეს ხომ შენი სურვილია? — წარმოსთქვა პაღიკომ.

— ოლონდაც... — მან გაუწოდა ხელი შაქროს, რომელიც მაშინვე მივიდა, მოეხვია ქალსა და დაუკოცნა ლოყები.

— გინდა სკოლაში, ბიჭიკო? — ეკითხებოდა ქეთინო.

— მინდა, რატომ არ მინდა! — იმეორებდა პატარა. ნინოც ამ დროს ბედნიერი იყო.

— ღმერთმა შენი თავი უცოცხლოს მაგას, რატომ არ მოინდომებს?.. რა ღმერთი მომასწრებს, ეგ მაინც არ დამიჩაგროს უსამართლობამ!.. — ჩაილაპარაკა მან.

— ნუ გეშინიან, ნინო, ჩვენ აქა ვართ, შაქროს ისე გაგიზ-

რდით, პირველი განათლებული ქართველი გამოვა! — ქეთინო მადლობით უყურებდა თავის საქმროს.

— შენი ცოდვით კარგი მაინც არ დაემართა როსტომსა. ვერ აღინა ცხვირში ძმარი გრიგოლამ... ე რაც ებადა, სულ ხელში კი გამოაცალა და!.. — განაგრძობდა პადიკო...

— ვიშ, შერცხვენილები ვართ მაგისაგან. სასახლეც კი აღარ დარჩა. თორემ გრიგოლას ქირას აძლევს პირიქით! — შესძახა თეკლემ და თავი გადააქნ-გადმოაქნია.

— ნეტავი თქვენა, დედაჩემო, რა დროს ეგეებია? წამოდით, შემოუსხდეთ ვახშამსა! — წამოიძახა მამამ. — ნინო, გეთაყვა, შეშა შეუმატე ბუხარსაც, გაგვიმხიარულდეს, სიძეც მხიარულადა გვყავს...

ვახშმის უკანაც კარგახანს ილაპარაკეს მათ. ღამის პირველი საათი იყო, როდესაც პადიკო წავიდა. მომავალი დღესასწაულები მხიარულად გაატარა ქეთინოსა და პადიკოს ოჯახმა. გადგა ქორწინების დღეც. ერთ მზიან კვირა დღეს გადიწერეს ჯვარი. ორი კვირის შემდეგ გაემგზავრნენ, რათა შეესრულებინათ თავიანთი განზრახვა, პადიკოს აღმოეჩინა ქეთინოს დაწყლულებული გულისათვის განმკურნებელი მალამო და ესახელებ-ენეტარებინა.

## XLI

ზაფხულის საღამო იყო. დაწყებული უჩინარ სუსტ ძლიერდან თვით უზარმაზარ მთებსა და ცის კიდემდე ყოველივეს თავისი ჩანგი მოემართა, ჩამოჰკრავდა თვითეულ სიმზე, ტკბილ ხმოვანებით აჟღერებდა. მზე არა სჩანდა, ნაცვლად დედოფალ მთვარეს გარს შემოეკრიბა მხევალნი, დაღინჯებით მიმოსცურავდა დაუვარდ სივრცეში, მკრთალ სხივებს ნება-ნებისად შლიდა, აფენდა ყოველ საგანს, ტურფა, სათცნებო ჰაეროვნად ხდიდა. სოფელი სტკბებოდა, შვებით სუნთქავდა. მთელი დღის სიცხე-პაპანაქებით ხვითქში გაცურებული მუშა მინდობოდა მაგრილებელ ჰაერს, შრომის ოფლს იშრობდა, სახვალიოდ ათას იმედებით იმსჭვალებოდა... როსტომი და გაიანეც ისხდნენ აივანზე, შვილებთან ერთად ჩაის მიირთმევდნენ... როსტომს დაღონება ემჩნეოდა, განო კი უზრუნველად იყურებოდა. ისინი ვერც კი ხე-

დავღნენ ბუნების დიდებულებას, რომელიც უკვე დიდი ხანია მოსწყენოდათ.

— ჩაი კიდევ მოგართვათ, ბატონო?.. — ჰკითხა მოსამსახურემ ღრმა ფიქრებში შეცურებულ როსტომს, რომელმაც უარის ნიშნად ხელი გაუქნია. ზეზე წამოდგა, გაიარა.

— არა, ყველაფერს დავიჯერებდი, ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თავში კი არასდროს არ მომივიდოდა, თუ გრიგოლა ასე უმადურად, უსვინდისოდ მომექცეოდა, — სთქვა მან.

— ვის არ დაუგირავებია მამული, ვეჟო, მაგრამ, როცა მოსურვებიათ, ყოველთვის უსარგებლიათ იმის შემოსავლით... ბგერა პრიკაზი უფრო ღონიერი და ძლიერი არ არის, მაინც, თუნდა არ შეიტანო, ძალას არ გატანენ. სხვა არა იყვეს-რა, ხათრი უნდა ჰქონდეს. არც ფულს ვუჭერ, თავის დროზე ჩავაბარებ, ის კი იქამდის გაბრიყვდა, რომ აღარც კი მანებებს. რითი ვიცხოვრო?! — დაუმატა როსტომმა.

— გრიგოლას რას ჰკითხავ, წაასხი ბიჭები, დაადებინე ურემზე და წამოიღე, ვინ ოხერია გრიგოლა არამაშვილი, წინ გადაგელობოს?!

— ქაღალდები უჭირავს, ქალო, ხელში. რა ძალა გაქვს?

— გაღესოს ის ქაღალდები და დალიოს, მამა უცხონდება!..

— გვიჩივლებს.

— ეგ არა ჰქნას! ბევრს მიირთმევს! ჯერ ეს ერთი, მთელი მამული პრიკაზშია დაგირავებული და აბა რას გახდება?

— კიდეც ეგ მაწუხებს. შენცა ქალო ნება როდი მქონდა, დაგირავებული ვისთანმე კიდევ ხელმეორედ დამეგირავებინა... მე კი მეგონა, მალე გადავიხდიდი, რაკი იმ ოხერ საჟენებიდან გამდიდრებას ვაპირებდი.

— გრიგოლას თვალი მოსთხარე, პრიკაზსაც გაუსწორდი. არ შეიძლება თუ? — უმატებდა გრიგოლაზე გაკაპასებული გაიანე, რახან ის წუწკი განზე გასდგომოდათ და როსტომს მამულში ფეხს აღარ აღგმევინებდა.

გაიანე და როსტომი დიდიხანია ფულებს დანატრულებულიყვნენ და განოს კი ძალიან უნდოდა ქალაქისკენ გასეირნება, მაგრამ რითი? სწორედ უფრო ამაზე მეტად ღონობდნენ, როსტომს ჭკუაში მოუვიდა ცოლის რჩევა, სახეზე მსწრაფლ გადა-

ეყარა დაღვრემილობა, მიიღო მბრძანებლის მკაცრი გამოხატულება, წელში გასწორდა და ომახიანად შესძახა:

— ბიჭო!.. — მაგრამ არავინ გამოჩნდა.

— ბიჭო, შე ძ — შვილო!.. — სარდო გამოიჭიმა ბატონის წინ მორჩილებით.

— წადი, სტეფანეს შეატყობინე, დაიაროს ჩემი კაცები, უთხრას, ბატონმა ახლავე აქ მოდით-თქო, საქმე მაქვს-თქო... გეყურება?

— ბატონი ბრძანდები....

— აბა, მარჯვედ, ჩქარა! — ბიჭი მსწრაფლ მოტრიალდა, ყირწი-ყორწით დაეშვა კიბეზე. როსტომმა ყურთმაჯები გადაიყარა მხრებზე, ოთახში შევიდა, გადმოიღო დამბაჩა, გასინჯა, პატრონებით გააწყო, დაამზადა, ჩამოიღო მამა-პაპური ხმალ-ხანჯალიც, რომლებიც ამჟამად კედლებს ამშვენებდნენ კაბინეტში. ისინიც გვერდზე დაუდაგა დამბაჩას... როსტომი ხამი არ იყო ამ იარაღის ხმარებისა. ერთ დროს, სწორედ ამ იარაღში ჩამჯდარი, ივან მადხაზიჩ ანდრონიკაშვილს გვერდზე მიჰყვებოდა ახალციხის ალების დროს. მას დღეს აქეთ ხელუხლებლად ეწყვნენ. როსტომს არ უყვარდა ჩხუბი, დავიდარაბა, მშვიდობიანობისმოყვარული იყო და, თუ შეეფეთებოდა სადმე უსიამოვნება-აურზაურს, ღლის სავალზე მოერიდებოდა, მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე მეტად იყო აღელვებული, სურდა გაეწყვიტა ყველა თავისი მოწინააღმდეგე.

— ეგენი როგორ მეხუმრებიან მე! მე მათ თავს გავაცნობ, სუყველას დავჟლეტ, გავაქრობ, გავანადგურებ... აბა სურვილს ნუ შემისრულებენ! — იძახოდა გულმოსული, გაბრაზებული. ხალხმა აღარ დაიგვიანა, რამდენისამე ხნის შემდეგ აივანი გაივსო გლეხკაცებით.... ისინი მორჩილებით იდგნენ, უცდიდნენ ბატონს, რას იტყოდა. მათ კიდევაც უკვირდათ, გადაჩვეულნი იყვნენ როსტომთან სიარულს,. მათზე დიდი ხანია მბრძანებლობდა გრიგოლა არამაშვილი. ამჟამად რომ ხედავდნენ გაბრაზებულ როსტომს, ვერ მიმხვდარიყვნენ მიზეზს.

— მოთიბეთ ყანა? — ჰკითხა მან წყრომით.

— დიაღ, შენი ჭირიმე, — მოესმა პასუხი, როსტომმა მხრები შეიშმუშნა.

— მერე, ჩემ კალოზე რატომ არ მოგაქვთ?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! ეგ ჩვენი ბრაღი არ გახდავთ!

— თქვენი ბრაღი არ არის? მაშ ვისი ბრაღია? ჩემს მამულში ჩემს გარდა ვისა აქვს საქმე?

— გრიგოლამ გვიბრძანა, ეგ მამულები გირაოდა მაქვს და მაგისი ლადაც მე უნდა მომიტანოთო.

— როსტომს რაღა პასუხი მიეცითო?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე...

როსტომს უფრო მეტად აბრაზებდა გლეხების დამშვიდებული, დაჟინებული ერთი და იგივე პასუხი.

— როგორ თუ რა მომახსენოთ, თქვე ცხვრის თავებო, თქვენა! ახლავე აქ მოზიდეთ, თორემ ან მე ვიქნები და ან თქვენა! ციხეში ჩაგალპობთ!.. — შესძახა როსტომმა და დამუქრებულმა მუშტი ჰაერში გაიქნია. ხალხი მოჰყვა ხმამაღლა ბუზღუნს, ბუტბუტს, მათში ერთი უფრო გამბედავი გამოერია, წინ წამოდგა.

— რათა ჯავრობ, ბატონო? რაზე გვიწყრები? რაში ვართ დამნაშავე აბალე? რას გვერჩით? რითვინაო? მამული, შე დალოცვილო, გრიგოლასთვის მიგიციათ და ახლა ძალით უნდა მოვიტანოთ აქა და იმისი რისხვა-მუქარა თავზე დავიტეხოთ? ერთი ჯიქი, ღვთის გარეგანი კაცია, სისხლს დაგვანთხევინებს, ნუ შეგვახოცვინებ თავსა, შენი ჭირიმე, შეგვიბრალეთ, წვრილი ცოლ-შვილის პატრონები ვართ!

— კარგია, მამა გიცხონდებათ ერთი, თქვენ აგრე ილიჭინეთ და მე მშიერი დავრჩე? ჩემ ოხერში გრიგოლა ვაბატონო და მე კი გულხელდაკრეფილი ვუყურო თქვენი გულისთვის, რომ ამათ არა დაუშავონ-რა ერთმანეთსაო? თქვენ რომ ყელში სისხლი მოგდიოდეთ, ჩემი ბრალია? შარშანაც აკი გაისტუმრეთ ერთი უდროვოდ საიქიოსა. არა, არ შეიძლება, რაც უნდა დაგექართოთ, ჩემი ლადა უკლებლივ უნდა მომიზიდოთ, გეყურებათ?

— სწორედ ვერ ვიზამთ მაგასა, ბატონო, რაც უნდა გვიყოთ! — შესძახეს ერთხმად. როსტომი გაფითრდა, კანკალი დაიწყო, სიარულს უმატა, თვალები უელვარებდნენ, მაგრამ ხალხი მაინც ყურადღებას არ აქცევდა.

— დალოცვილო, პატარა ადრე იფიქრებდით, ახლა გვიან არის... აღარა მოეგვრება-რა! — წაიტუტუნა ერთმა. როსტომმა

ვეღარ მოითმინა და ერთი ღაზათიანი სიღა გაავღო მეტიჩარა დამრიგებელს. ხალხმა შემობლვირა. დაიწყო ტორტმანი. მაგრამ როსტომი ამ დროს საჩქაროდ ოთახში შეტრიალდა... გლეხები კი უკმაყოფილონი ჩამოვიდნენ კიბეზე და წავიდნენ თავთავიანთ გზაზე.

— რაღა შავი ქვით ფაფხურობს, რა აბადია?!

— ისე იცოცხლოს, როგორც მე მაგას ლადა მივართვა!., გრიგოლა მოსისხლე მტრად არ გადავიკიდო!.. ის როგორც ავის შემძლეა, ისე კარგსაც მოახერხებს და ახლა მე არაფერი ვიცი ამისი, და, — დაპარაკით გაიარეს კარგა გზა და, როდესაც როსტომი გამოვარდა და იქ ხალხი ვეღარა ნახა, მოუბრუნდა ცოლს, რომელიც პირში სიტყვაგაწყვეტილი იჯდა, არ ინძრეოდა.

— რისთვის გაუშვი, ქალო? როგორ გაბედეს იმ წუწკებმა აქედან წასვლა, სანამ არ დავითხოვდი? განა აგრე მსუბუქად დაიჭირეს? აღარ მომიცადეს? მაშ აღარა ვყოფილვარ-რა?!

— იმათ აგრე ჰგონიათ და! მეტად გაბრიყვებულები არიან! — ჩაიღაპარაკა ნაღვლიანად გაიანემ.

— ბიჭო, სარდო! — შესჭყივლა კვლავ როსტომმა. სარდომ მოირბინა წუთზე.

— გასწი ახლავე, დურჯა შემიკაზმე. შენა, სოსე, ნინიკა და სტეფანე კეტებით წამოდით, გეყურებათ! — ბიჭმა ხმა არ გაიღო, ადგილიდან არ დაძრულა.

— რას გაშეშდი? ყრუ ხარ? ვერ გაიგონე? — დაუყვირა წინანდელზე მეტად როსტომმა. სარდომ ახლა კი იკადრა ბრძანების შესრულება. როსტომი შევიდა ისევ ოთახში, აისხა იარაღი და საჩქაროდვე გამოვიდა მათრახით ხელში.

— მამაჩემი არ წაწყდება, ერთს არ შევიცოდებ! ერთს! როგორა? განა იქამდინაც გაბრიყვდნენ, თავიანთი მებატონე ვეღარ უცვნიათ რომელია? ან სადა? ვიღაც წიდიანი გრიგოლა არამაშვილი არჩიეს!.. ნეტაი დამეშავებინოს რამე მაინცა, სიკეთის მეტი რა მიქნია მათთვის! მე ვიცი, სხვებსავით შემივიწროებია და უსამართლოდ მოვპყრობივარ! სხვები ამათ დანატრიდნენ და დახე, ესენი სამაგიეროს რითი მიხდიან! ხა, ხა, ხა! მე გიჩვენებთ თამაშას, მე, როსტომ ზურაბიშვილი! — გაიძახოდა სიბრაზისაგან გადურჯებული როსტომი. მოუთმენლად იყურებოდა თავლისკენ, აცა, როდის გამოიყვანენ დურჯასაო,

რომელიც იგვიანებდა. ამასობაში მთვარე აცხოველებდა თავის შუქს, ცდილობდა ზემოქმედებით დაემშვიდებინა. ბიჭები კი ისხდნენ საჯინიბოში, ყურს არ უგდებდნენ სარდოს. ჩიჩინს, ბატონმა გიბრძანათ, ყველანი უნდა წამომყვეთო.

— ახლავე რომ ყელი გამომღადროს, მაინც არ წავყვები, — გაიძახოდა სტეფანე.

— არც მე. დედისერთა ვარ, რითვინ შევაკლა თავი, ნა დაუშავებიათ დ—ეებს ჩემთვისა! ეს მეორე წელიწადიც გარბის და ჯამაგირში მანათი არა მაქვს მიღებული. რაო ჩემო! რითვინაო, ხომ არ გავგიჟებულვარ? — ჩამოართმევდა ნინიკა.

— საომრად არც მე დავმდგარვარ, შვილოსა, ჩემი საქმე ბარი და ნიჩაბია, ხარების გარეკვა და მოძოვება. კეტების ტრიალი რა ხეირს დამაყრის... ჯერ თავიც არ მომძაგებია! — კვერს უკრავდა სოსე.

— ბიჭებო! სოსე! სტეფანე! ხომ არ დაიხოცენით? კიდევ ცოცხლები ხართ? — ღრიალებდა როსტომი, როგორც იყო, სარდომ ძლივს ღურჯა გამოიყვანა.

— ბიჭებს უთხარი, ჩქარა გამოვიდნენ... სოსე, აბა კეტები რა უყავით?

— ჩვენ არ შეგვიძლიან წამოსვლა, შენი ჭირიმე, — უპასუხა სოსემ.

— რაო? როგორ თუ არ შეგიძლიათ? მე თქვენი ბატონი ვარ, გეყურებათ?

— დიალ.

— ჰო-და, გიბრძანებთ!

— სწორედ ვერ გიახლებით... დაგვითხოვეთ, გაგვიწყერით, მაგრამ იქ წამოსვლა კი არ შეგვიძლიან... — როსტომს უნდოდა ეძრო ხანჯალი და სულ აეკუწა, მაგრამ მოაგონდა, სხვაგან უფრო მომეტებული ბრძოლა ელოდა და გადასდო უფრო მოცლილ დროსთვის.

— გეშინიანთ განა, თქვე ლაჩრებო! ფუ, თქვენ ვაჟკაცობასა, აჰანდე! წადით დაიკარგენით, დასხედით და ნაცარი ქექეთ, თქვენმა მზემ, აი! აბა რა მოსამსახურეები ხართ! ამ დღეებში ყველას გაგისწორდებით და თვალით აღარ დამენახოთ! მე მარტოც ვეყოფი იმათ! — როსტომი მსწრაფად ცხენზე მოევლო, შემოჰკრა მათრახი, გაჰქუსლა. როდესაც როსტომი მიაშენებდა,

გლეხკაცებმა თავი მოიყარეს, მოილაპარაკეს და ერთხმად შეს-
ძახეს, რომ გრიგოლას მომდურებას, ისევ როსტომი მოვიმდუ-
როთო, მით ბევრი არა დაგვიშავდება-რაო. იყბედებს, ილაპარა-
კებს, მერე ისევ გაჩუმდებაო. მაგრამ გრიგოლა თუ გაცეცხლდა,
გადაგვემტერება, საქმითაც დიდ ნავნევს მოგვიტანსო. ესენი
როსტომს ხედავდნენ და დაცინვით თვალს ადევნებდნენ, ვიდრე
ცხენოსანი არ მიეფარა. ზოგი მათგანი გრიგოლისაკენ წავიდა,
რათა შეეტყობინებია როსტომის გაწყრომა. გრიგოლას სახლის
მიდამოს სულ სხვა შეხედულება მიელო. ორი წლის წინათ მდგა-
რი ხის ჭდეულები გადაქცეულიყვნენ ქვითკირის სახლად. მშვე-
ნიერი ეზო სავსე იყო სხვადასხვა საჭირო შენობებით. გრი-
გოლა ეზოში დადიოდა, თვალყურს ადევნებდა მუშებს, მარჯვედ
მოქცეულიყვნენ საქმეში.

— გრიგოლა აცოცხლა ღმერთმა! — წარმოსთქვეს გლეხებ-
მა და თავი დაუკრეს. გრიგოლამაც დაუდევრად ოდნავ თავი
დაუქნია, ჰკითხა რა ამბავიაო? მას არ უყვარდა უსაქმურად მო-
ხეტიალე ხალხი, მაშინვე ჰკითხავდა მიზეზს და თუ მოსულიყვ-
ნენ სალაყბოდ, თავიდან მალე მოიცილებდა და თუ საქმე ჰქონ-
დათ, მაშინ კი სმენად გადიქცეოდა.

— როსტომი ლალასა გვთხოვს, მივცეთ, გრიგოლ?

— რაო? რის ლალასა? მე თქვენ არ გამოგიცხადეთ, მარტო
მე ვარ იმ მამულის პატრონი-მეთქი? ხუთასი თუმანი რომ
შეხანხლა, აღარ ახსოვს? ჯერ გამინაღდოს და მერე მიირთვას,
არ გაბედოთ მიცემა, თორემ ბეჭებზე მტვერს აგადენთ!

— ბარემაც უარზე დავდექით, მაგრამ ძალაზეა. ეს არის ახლა
მინდვრისკენ წავიდა, იქნება კიდევაც ძალა იხმაროს და მო-
ზიდოს. დაგვემუქრა, ციხეში ჩაგამწყვდევთო. — გრიგოლამ გუ-
ლიანად გადაიხარხარა...

— თქვენ მაგისი ფიქრი ნუ გაქვთ... როსტომი ბუზსაც ვერ
აგიფრენთ... წადით, არა მისცეთ-რა და, თუ იძალავა, შემატყო-
ბინეთ, — გლეხკაცებმა მორჩილებით თავი დაუკრეს და წავიდ-
ნენ.

სწორედ ამ დროს როსტომი მიაჭენებდა შეუსვენებლად ცხენს.
ისეთი აღელვებული იყო, რომ თვითონაც ველარ გაეგო, თუ
რად, ან ვისთან მიდიოდა, თარალასხმულს იერიში მიჰქონდა
მტერზე, მაგრამ წინ დადუმებული გზისა და მინდვრების მეტი

არა უხვდებოდა-რა... ის მაინც მიჰქროდა, შუბლზე ოფლის ხვითქი ასკდებოდა. ამას თითქო თვალწინ უდგა უკვე დაგუბებული სისხლი ხალხისა... როსტომის დამბაჩა დაუცდენლად აწვენდა ერთს. მეორეზე მებრძოლთ, ხანჯალსაც არ ემტყუნა... სისხლი!.. კაცისკვლა! როსტომს საშინლად ეშინოდა ასეთის საქციელისა და დღეს კი აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ნუთუ?.. ამითი რას შეიმატებს? ფავს უკრავენ ციმბირში და როსტომის მამული ჩაუვარდება ისევ გრიგოლას, ყველა მისკენ თითს გამოაწვდენს. მოკვდება — სულს სიმშვიდე არ ექნება, ეშმაკები და ტარტაროზები ცხრა ნაწილად გაგლეჯ-გაფატრავენ... მაგრამ არა! არავის შეარჩენს როსტომი თავის ჯავრსა, არავის! კვალად საზარელი სურათი თვალწინ დაეხატა... თვალები აუბრჭყვიალდა, ხელიც იტაცა დამბაჩაზე... მაგრამ ეს გამოარკვია რაღაც საშინელმა ხმაურობამ და გაშრა, გაფითრდა, როსტომის ცხენი მისდგომოდა საშინელ ფლატეს... ერთი ფეხის გადადგმა და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა წუთისოფლის სიცოცხლეს... ხმაურობას გამოსცემდა მაღლობიდან ჩამოქანებული მდინარე, რომელიც მოეზიდებოდა ქვას და ლოდებს, ეშვებოდა ძირს, ტალღა ტალღაზე გადაჰქონდა, აბუშტებული მჭევლი ტბორდებოდა, ტრიალებდა, თითქო უცდის როსტომის ჩასვლასაც, რომ მასთან ერთად ჩახვეული ჩაიკარგოს ჩაწყვდიადებულ უფსკრულშიო... ასე მოახლოვებულმა სიკვდილმა როსტომი სრულ გონებაზე მოიყვანა, მან საჩქაროდ მოსწია სადავე ცხენს, მოტრიალდა და, როდესაც თავისი თავი სამშვიდობოს ნახა, შვება იგრძნო... მთელი ბუნება ულოცავდა ამ გადარჩენას, ალუთქვამდა კვალად ალუშფოთველ, უზრუნველ ცხოვრებას... ოხ, მერე რა ტკბილი იყო სიცოცხლე!.. ამ წუთებში გრძნობდა როსტომი მის მნიშვნელობას, თითქო ახლად დაბადებულიყო, პირველად შეეხედა ამ დამშვიდებულ ცისთვის, რომელიც თითქო ჩააგონებდა დაწყნარებით ყოფნას.

— რა სჯობიან მართლაცდა მშვიდობიან ცხოვრებას!.. ყველას უყვარდე, ყველა შენ თავს გევლებოდეს, შენი სიტყვა მათთვის გამამხნევებელი და ამასთანავე შემმატე იყვეს და ერიდებოდე ყოველ ბოროტ განზრახვა-საქციელს?.. შორს სისხლში შესვლა! შორს! წინ წამოდექი გაკრიალებული, კამკამა ცხოვრებავ, და დასტკბი მით, ადამიანო!

აი რა ფიქრებმა შეიპყრეს როსტომი. მას კიდევაც გადაავიწყდა, რომ წამოსულიყო გრიგოლასა და ხალხთან საჩხუბრად, მათის გასანადგურებლად... ტაატით წამოიყვანა ცხენი. როგორ მოქცეულიყო? როგორ მოეხერხებინა ისე, რომ მშვიდობიანად დაებრუნებინა თავისი საცხოვრებელი?.. მიემართა პალიკო დიდებაშვილისთვის, ეთხოვნა შუამავლობა ხალხთან?.. როგორ, როდესაც ისიც მოიმდურა გრიგოლას წყალობით! გლეხებს რაღა დაუშავა, ასე აღმაცერად რად გამოჰყურებენ? თუმცა პირში მოწიწებით ეპყრობიან, მაგრამ საქმით კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მის სიტყვას მათთვის მნიშვნელობა აღარ აქვს. როგორ იცხოვროს როსტომმა ამ სოფელში? ცხადია, გრიგოლამ დაიჭირა მისი ადგილი! როსტომმა ერთი კიდევ აუარ-ჩაუარა თავის მინდვრებს, თვალს წყალი დაალევინა ზღვად გამსკდარ მოსავლის დანახვით და კარგა ფიქრის შემდეგ არჩია ისევ მშვიდობიანად დალაპარაკებოდა გრიგოლას, იცოდა, გრძნობდა, რაც უნდა ეფაფხურა ყურს არავინ ათხოვებდა, ჩივილი კი ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა და უფრო შერცხვებოდა. ის ისეც დიდი ხანია ჩამოშორებოდა თავის მოურავს: მას აქეთ, რაც დაეწყო ძალაობა, აღარას ანებებდა, მაგრამ ახლა კი გააჩქარა ცხენი გრიგოლასკენ... გადასწყვიტა, წარსულზე აღარა გაემხილა რა, მარტო ორიოდე სიტყვით გაეთავებინა მასთან საქმე. რაკი გრიგოლას დაიყოლიებდა, მაშინ გლეხები წინ აღარ დაუდგებოდნენ. გრიგოლა ისევ ეზოში დადიოდა. დაინახა თუ არა იარაღში ჩამჯდარი როსტომი, ტუჩებზე დამცინავმა ღიმილმა შეუთამაშა! ბიჭი გაგზავნა სახლში ჩოხის ჩამოსატანად, ახალოხის ამარა არ დახვედროდა თავის ოდესმე ნაბატონარს და დღეს კი თითქმის თანასწორ სტუმარს. უნდოდა, პატივისცემით მიეღო როსტომი და მით დაემშვიდებია უკვე თვალწინ წამოყენებული მისი აღელვება.

— გრიგოლა შინ არის? — მოისმა როსტომის ხმა.

— მობრძანდით, აქ გახლავართ! — უპასუხა გრიგოლამ და თვითონვე მივიდა .როსტომთან. მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. როსტომი გაფითრებული მოსჩანდა. გრიგოლა კი დამშვიდებული იყო.

— გრიგოლ, შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, — დაიწყო როსტომმა ძალდატანებული სიმშვიდით.

— კეთილი, ოთახში მობრძანდით, აქ მეტი თვალი და ყური დაგვიშლის, — დაუმატა გრიგოლამ და წინ გამოუძღვა როსტომს, მის გაოფლიანებულ დაღლილ ცხენს კი ბიჭი ატარებდა ეზოში.

გრიგოლამ შესძახა მეორე ოთახში მყოფ სალომეს, რომ ჩაი მოერთმია როსტომისათვის და თვითონ სტუმარი შეიყვანა საპატიო ოთახში, რომელიც სუფთად და ლამაზად მოეწყო. როსტომსაც კი დიდად მოეწონა გრიგოლას მდგომარეობა. ის პირველად ხედავდა გრიგოლას სახლის გარემოებას, ღლემლის ბატონობა, მედიდურობა ნებას არ აძლევდა მოსულიყო გრიგოლას სახლში, მაგრამ დღეს კი აუცილებელი იყო. როსტომი ლამშვიდდა, მოიკითხა გრიგოლა ცოლ-შვილით, მანაც მადლობა გადაუხადა, შეატყობინა, ყველანი ღვთით კარგად იყვნენ. შვილები ქალაქში ჩაეყვანა სასწავლებლად. შინ დარჩენოდა პატარა ქალი, რომელსაც უპირებდა გამგზავრებას. შეატყობინა აგრეთვე, მისი აღებმიცემობა როგორ თანდათან იზრდებოდა, საგრძნობ, საკმაო მოგებას აძლევდა. იმედი ჰქონდა, ამ ცოტა ხანში კიდევ იყიდდა მამულს. როსტომი დიდიხანია იცნობდა გრიგოლას სარისტსა და ჭკუას ანგარიშიანობაში, გულში შენატროდა, რადგან ის ასეთ ბედზე არ დაბადებულიყო. ბუნებითვე უნდა დაჰყვეს კაცს ბედი, თორემ მარტო ცდა და სურვილი ცოტაა... მან არა ერთ საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ყველა ისევ ხელში გამოუქრა. არა, ეს მემამულეედ არ ვარგოდა, ზარალის მეტი არა იცოდა-რა. ქალაქ აღგილას უნდა მდგარიყო, თვიური შემოსავლით უნდა ეცხოვრა. სოფელში კი ივარგებდა მარტო გრიგოლასთანა ბედით გაღიმებული ხალხი, რომელთა ხელში ქვაც კი ნაყოფს გამოიღებდა. იქნებ ჩემი მამულიც სულ მთლად შეისყიდოსო. იმ ფულით წავალ ქალაქში, იქ ვიცხოვრებ და უფრო კარგ მოხერხებულ საქმეს მოვანდომებო, გაუელვა თავში აზრმა როსტომს. კიდევაც გაეღიმა. გრიგოლა კი უცდიდა დროს, თუ როდის დაიდაპარაკებდა როსტომი.

— დიდად მოხარული ვარ, გრიგოლ, შენი საქმის წინ წაწევაზე, ღმერთმა მერეც გამარჯვება მოგცეს... ე ჩვენს საქმეს როდის ლა გავწმენდავთ?

— ეგ თქვენ იცით, შენი ჭირიმე, — მიუგო მორჩილებით გრიგოლამ, — როცა გამისწორდებით ხუთას თუმანში, თქვენი მამული ღმერთმა მოგახმაროთ.

— კაცო, აღარ დამაცდი? ახლა რაღა მაქვს, საიდან მოვთხაზო?

— მე არა ვჩქარობ, დაცდილიც გახლავარ...

— მართალია, დაცდით კი მაცდი, მაგრამ ე შემოსავალს რატომ არ მანებებ? რითი ვიცხოვრო, ჰა, ხომ იცი, მაგისი ანაბარა ვარ?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ გამიწყრები, — უთხრა გრიგოლამ და შინაურულად, თითქმის ტოლ-ამხანაგურად ხელი დაადო მხარზე, — ღვთისა და თქვენი რისხვა მქონდეს, თუ თქვენი მომდურება და წყენა მინდოდეს, გულიც შემტკივა, თუმცა თქვენ კი ამომიმძულვარეთ, მაგრამ რა ვქნა? მეც ოფლის ღვრით და წვალებით მიშოვნია, შემოსავალი რომ შენ მიიტანო, დალოცვილო, მე რილათი ამოვილო ის ფული? აბა რა ვქნათ, მეც თვითონ ცხოვრება მინდა. ჯერ შვილების დაზრდა ას თუმანზე მეტი მიზის წელიწადში. მართალია მოგება მაქვს, მაგრამ ის მოგება ისევ იმ საქმეებს ზედვე უნდება.

— მაშ რა ვუყოთ, გრიგოლ? — უთხრა დაღონებულმა როსტომმა, — მეტი ღონე არ არი, უნდა გავყიდო მთლად ეს მამულები და სხვაგან სადმე გადავსახლდე.

გრიგოლას ამ სიტყვების მოსმენაზე გულში ჩაეცინა. იმედი მიეცა, იქნება მევე როგორმე ვიგდო ნახევარ ფასადა და აქედან გავაძევო ეს ჩერჩეტიო.

— უნდა მოგახსენო, კნიაზო, რომ კარგს იზამთ, თუ გაჰყიდით. თქვენ არ შეგიძლიათ ამ ხალხთან ყაყანი და დავიდარაბა, არცა გცალიანთ მათთვის. ათასი მისალევარ-მოსალევარი გყავთ, მამულს ფული უფრო გირჩევნიანთ. მაშინ შეგიძლიანთ ქალაქში მიემხროთ რომელსამე მდიდარ ფულიანს და ერთი-ორად აქციოთ, გაათავნიეროთ... შვილების დაზრდაც უფრო იაფად დაგიჯდებათ. თქვე დალოცვილო, აქამდისაც უნდა გეფიქრათ აგრე, სანამ ვალში შეხვიდოდით, მერე იმისთანა მოყვრები, ნათესაობა! რასა ბრძანებთ, ღვთის უბეში იქნებით... — ხელი მოუმართა მან. როსტომი ამჟამად გამხიარულდა, კიდევაც დაავიწყდა, რომ ელაპარაკებოდა თავის მოურავს, არამედ ეგონა, გვერდით უზის რომელსამე ბრწყინვალე თავადს, ან უგანათლებულესს. ოლონდაც!.. აბა ვინ ურჩევდა გრიგოლაზე ჭკვიანურს?..

გრიგოლა მედაა, მაგრამ მაინც როსტომისთვის სხვებზე მეტად შესტკივა გული... როსტომი ზეზე წამოდგა.

— მაინც აგრე უნდა მოვიქცე, გრიგოლ, გაგიტყდები და გეტყვი, მეტად მომბეზრდა ამ სოფელში ცხოვრება... ვერც დავცადე ეს ოხერი კარგადა... ხეირი ვერა ვნახე... ბინა უნდა ვიცვალო. გამიგონია, მეტადრე ჩვენი სახლი ცუდ ფუძეზეა თურმე დადგმული. შვილები ნახევარზე ავადა მყავანან.

— გაყიდვა რომ იყოს, რა ფასში მისცემდით? — ჰკითხა გრიგოლამ. როსტომი ჩაფიქრდა.

— მაინც შენ როგორა გგონია? რამდენი უნდა ღირდეს?

— ეგ მამულზეა დამოკიდებული, როგორი მონდომებულია მყიდველი, ან როგორ დასამხრისად არის მამულზე. თუ აქ მცხოვრებმა იყიდა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად ულირს. მუშტარი ვინ გახდავს?

— ჯერჯერობით არავინა და რომ გამოვაცხადო, მგონი უკან არავინ დადგეს, — უპასუხა როსტომმა. მას პირდაპირ უნდა ეთქვა გრიგოლასათვის, შორს ნუ წამიყვან, ბარემ შენ იყიდეო, მაგრამ ვერ ახერხებდა. გრიგოლაც ჩაფიქრებული იყო, თუ როგორ დაეცინცდა.

— უცხო მოსული მგონი ვერ შემოგბედავს ყიდვას, მეტადრე იმისთანა, რომელიც არ იცნობს თქვენს მამულს, — სთქვა მან კარგახანს შემდეგ.

— მე აგრე მგონია, გრიგოლ. აქ მცხოვრებთა შორის მარტო შენ შეგიძლიან. — მიატანა როსტომმა.

— მე? მე სად შევწვდები, შენი ჭირიმე, სად არის ღონე? — უთხრა განაზებით გრიგოლამ.

— შენი უფრო უპრიანი კია-და.

— ეგ კია, ღვთის წინაშე. მაინც ვთქვათ, მყიდველი გამოჩნდეს და თქვენ იმ დროს აქ არა ბრძანდებოდეთ, რა პასუხი მივცე? როგორ დავაფასო?

— ორი ათას თუმანზე ნაკლებ არ მიიცემა აქაობა.

— რაო? მარტო ეს მამული?

— მაშა? მარტო ესა, თორე მთელი ჩემი მამული ათიათასად მიიცემა, — აუკიდა როსტომმა.

— ღმერთმა შეძლება მისცეს მყიდველს. არა მგონია, ქარ-

თვეღებში ვინმემ გაბეღოს, თუ ისევ სომეხმა და ურიამ, იქნება მთავრობამაც შეისყიღოს.

— მე კი ასე მიღირს და მყიდველისა რა მოგახსენო.

— მე რომ მყიდველი ვიყო, შენი ჭირიმე, ბევრი, ბევრი გამებეღნა ათას ხუთასი თუმანი... ამასაც იმისთვის, რომ ხუთასი თუმანი უკვე ხეღში გიჭირავთ და ათასსაც ნეღ-ნეღა შეღავათით მოგართმევდით.

— რას ღაპარაკობ, კაცო? აგრე ოხრად რომ მივცე, ნაპარავი ხომ არ არის?

— ბატონო, რაც ამ სოფელში მიწები გაქვთ, მეტად არა ღირს და თუ სულ მთელ თქვენს მამულს ვიყიდი, მაშინ კი, რასაკვირველია, მეტსაც მოგართმევდით. ჩემის აზრით, თუ შემოგევაჭროთ ვინმე, არ მოსტყუვღებით, ყველა მამულში ექვსი ათასი რომ მოგართვათ.

— არა, აგრე იაფად ვერ მივცემ, — იწყინა როსტომმა.

— არა, ბატონო, საწყენად არა მომიხსენებია-რა, არც შემიძლიან ყიდვა, მაგრამ ვამბობ ისე. ვთქვათ, რომ შემოგეხმიანონ, ვარაუდში გქონდეთ-მეთქი, რადგან ვაი თუ შეშინდეთ და ამ ფასში მიცემული ზარალად მიიჩნიოთ, მე კი გირჩევთ, როგორც თქვენს მამულში ჩახედული და მისი დამფასებელი... იქნება კიდევაც ვცდებოდე და მართლა მეტი მოგართვან. — წასვლის დროს გრიგოლმა კვალად გაუმეორა თხოვნა, ნუ დაემდურებოდა მაზედ, თუ შემოსავალს ვერ დაუთმობდა, გაყიდვაზედაც, თუ აღარ შეიცვლიდა სურვილს, კარგა ფიქრის შემდეგ შეეტყობინებინა მისთვის თავისი აზრი, გადაჭრილი ფასიც.

— იფიქრეთ, კნიაზო, კარგა იფიქრეთ, ეგ საქმე სახუმარი არ არი, — ამ სიტყვებით მიაცილა გრიგოლმა როსტომი ეზოს კარამდე და როდესაც სახლში დაბრუნდა, მაშინვე თავის მხნე, ერთგულ მეუღლეს სალომეს ახარა, ამ ცოტა ხანში როსტომის სახლში დაბრძანდებიო.

— ჰაი თუ შეიფერებ შადრევნის ზხაპუნსა და მის მიდამოს მშვენიერების ცქერასა! — უთხრა მან.

— ვითომ რატომაო? რითია მერე ჩემზე უკეთესი გაიანე? — მიუგო გაღიმებულმა სალომემ.

გრიგოლმა გადასწყვიტა, ერთხელ კიდევ ესიამოვნებია როსტომისთვის და გდეხებს გამოუცხადა, ღადის ნახევარი სულ

ძნაღ მიუზიღეთ როსტომსაო. როსტომს მეტაღ იამა, როღესაც ურემი ურემზე მობმუღი ჩვეუღებისამებრ მოაჭრიაღებღნენ ბუღუღებს. გრიგოღა თავისის რიხიანის ხმით განკარგუღებას აძღევდა, თუ საღ, ან როგორ მოხერხებით დაედგათ ბჯები. გაბმუღმა ქსეღმა ძაღა გამოიჩინა, როსტომს ღღითი-ღღე თავიღან არ შორღებოღა ექვსი ათასი თუმანი, ერთიმეორეზე დაკეციღი, აქეღან მესამეღს მოვაღეებს დაურიგებდა, დანარჩენს კი თაღეოზ სვიმონიშვიღის თანხებს მიუმატებდა, ამხანაგაღ შევიღოდა ხუთი-ექვსი წეღიწაღი, და თვით ეს კაცი, ღღეს დაღონებუღი, კინწმოწყვეტიღი უფუღობის გამო, თვაღსაჩენ მღიღრაღ იქცეოდა! ღმერთო, ამას რა სჯობიან? როსტომმა თავისი განზრახვა გაიანესაც შეატყობინა, სურვიღი ქაღაქში ცხოვრებისა. გაიანე სიხარუღისაგან ფეხზე აღარ იდგა, როღესაც წარმოიდგენდა ქაღაქის ქაღებში ჩარევას, მაკინესავით დიღებუღ ცხოვრებას. ოთხი ათასი ერთი-ორაღ, ერთი-სამაღ იქცეოდა და მღიდარ გაიანეს ვეღარავინ შეედრებოდა, მაშინ ყვეღას თვაღს მოსთხრიდა. მაკინესაც შემწეობას მისცემდა. როსტომი და გაიანე მაღე დათანხმდნენ, მაგრამ ჯერ ვერ ამხეღდნენ. იცდიდნენ. გრიგოღამ და საღომემ იწყეს ჩვეუღებრივაღ სიარუღი როსტომისას, მაგრამ იმ სახით არა, როგორც წინათ. საღომე და გრიგოღა მათ გვერდზე მოსხდომოდნენ. გაიანე და როსტომი ცდიღობდნენ მათ პატივისცემას. საქმეც დაბოღოვდა იმით, რომ გრიგოღამ ბევრის ყოყმან-ჭოჭმანით იყიდა როსტომის მთეღი მამუღი. ექვსი წღის განმავღობაში უნდა გადაეხადა ფუღიც, თუ, ნასაკვირვეღია, ღღეიდან სრუღი მფღობეღი დარჩებოდა იმ მამუღებისა, გაიანემ მაშინვე შეატყობინა მაკინეს თავიანთი ასეთი წარმატება და გაბეღნიერება, რომ ისინი მაღე გადასახღდებოდნენ თბიღისში. ან კი როგორ უნდა დაემაღა ისეთ მახღობეღისთვის, როგორიც იყო მაკინე. ბევრი მოკეთე გაღმოაბნევდა ცრემღს, მაგრამ განოს და როსტომის აზრით კი ეს ცრემღები სიხარუღის ნიშნები იქნებოდნენ. მათ ისევ გუღზვიადაღ იწყეს ყურება. მეზობღებსაც ჩამოეცაღნენ, რაღგან მათ არ მოსწონდათ მათი საქციეღი. პაღიკო დიდებაშვიღმა პირშიაც უთხრა, თქვენ დაიღუპებით, თუ აგრე მოიქეცითო, მაგრამ როსტომმა და გაიანემ სიშურეში ჩამოართვეს.

— აბა რაღ მოინდომებს ჩვენს აქეღან წასვღასა, როღესაც

მთელ თავის სიცოცხლეში, რაც კარგი უნახავს, ან რიგიან ხალხში უტრიალნია, სულ ჩვენი ოჯახის წყალობით. არამც თუ პაღიკოს, სხვებსაც ძალიან დავაკლდებით; — ამბობდა გაიანე. როსტომიც ემოწმებოდა. გრიგოლა და როსტომი თბილისშიაც ჩავიდნენ, გააკეთეს რაც საჭირო იყო, და მთელი თავისი ავლადიდება, კუპჩა-ვოლნი ღისტით ჩააბარა გრიგოლას. წინდაწინ ხუთასი თუმანიც გამოართვა და ხალხს გამოუცხადა, ღლეის იქით თქვენი ბატონი გრიგოლა არამაშვილიაო. როსტომმა ჯერ ვერ მოახერხა თბილისში წასვლა, გრიგოლაც დაითანხმა, დარჩენილიყვნენ ისინი ამ სახლში და ქირა ეძლიათ... სულ ერთია, ზაფხულობით მაინც დასჭირდებოდათ ქალაქ გარეთ გასვლა და ისევ აქ ირჩიეს. როსტომი და გაიანე ყველას არწმუნებდნენ, ფული უკვე ჩაბარებული ჰქონდათ და ათი ათასადაც გაეყიდნათ. ღიაღ, ასე სჯობდა. მეტი სიტყვით არა წაუხდებოდათ-რა და ყველანი უფრო პატივისცემით მოეპყრობოდნენ. როსტომი წინანდებურად გამხიარულდა, ხალხმა იწყო ისევ სიარული, ნადიმებიც გაჩაღდა, გაისმა დაფისა და ნაღარის ხმა. თბილისში გადასახლება კი დროებით გადაიდო.

## XLII

გულგანგმირული ოქრო მისუსტებული, სატრფოზე ნიადაგ ფარულად მგლოვიარე, თითქო გაირინდა, დარწმუნდა, დაკარგულს ველარ დაიბრუნებდა. თავმოყვარეობამ, რომ ქეთინომ სხვაში გასცვალა, უფრო მეტად იმოქმედა მასზე და აღშფოთებული გონება თანდათან გრძნობას გაუბატონა, ხვედრს დაუმორჩილა.

— ვაჟკაცს მწუხარება არ შვენისო, — ხშირად ჩასძახოდა გონება ოქროს, თვითონაც ცდილობდა, როგორმე გადაეყარა გულიდან, მისცემოდა ყოველრიგ გასართობს. ქალაქის თამაში, სვიმონსა და დარისპანთან ძალდატანებული ქეიფი ბოლოს საჭიროებად გარდაექცა. მაღალი აზრები, ზრუნვა გაჭირვებულ მოძმეთათვის, თითქო მიძინებულიყვნენ. მარტო, როდესაც მოულოდნელ შემთხვევით კვალად ჩაერეოდა წინანდელ ამხანაგებში, ისმენდა თავმომაბეზრებელ ფრაზებს, გული უწყებდა

უსიამოვნოდ კვნესას. აგონდებოდა დაკარგული იმედი, რომლის შემწეობით აპირებდა ქვეყანასთან მისალმებას, მის სამოთხედ გარდაქცევას. ყველა ის მარტო ოცნება იყო, — წავიდა, განქრა დაუბრუნებლად,, თან წარიტაცა უმანკოება. სხვა ხანა დადგა, ცხოვრების ბორბალი გადატრიალდა, ვარდ-ყვავილით მოფენილი ბილიკი სამოთხისა, რომელზედაც დასეირნობდა ის, სადღაც მიიმალა. ოქროს წინ გამოჩნდა ლორღით მოფენილი შარა... ამის სპეტაკ სულს, პატიოსან გულს პირველში ეძნელებოდა მაზე ფეხის გადადგმა, მერეც ვერა და ვერ შესჩვეოდა, ბორძიკობდა, ბარბაცებდა, ჯანი გაუტყდა, თვალების ელვარება ჩაუქრა, მიციალებულნი გაოცებით იყურეშოდნენ, თითქო კითხულობდნენ: ეს რა მწვავი და უფერული სანახავ-საგრძნობი მოგვევლინაო. დაწყებული ღამის რვა საათიდან დილის ათ საათამდე ქალაქის თამაშში დღე-ღამეს ატარებდა. ჯანის სხვადასხვა მაზარალებელი თავდავიწყება ძარღვებს შესამჩნევად უსუსტებდა, დააწყებინა ხველება, სიცხის ძლევაც გამოემცნაურა.

— ნუთუ მაშ ოქრო აღარ დამშვიდდება? ის წყეული გომბიო არ ავიწყდება? — ფიქრობდა შეშინებული მაკინე, რომელსაც თანდათან ემატებოდა მოუსვენრობა ოქროს უცნაური ცხოვრების გამო. თაღეოზიც ჩასციებოდა, გზას არ აძლევდა, ჩქარა შეერთო ოქროს ღიზა. მაკინე ჰპირდებოდა, რათა დროს გაევლო, ეგება ოქროს შესძლებოდა ვაღის გადახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოქროს ყოველდღიურ ხარჯადაც არ ჰყოფნიდა თავისი შემოსავალი. დაღონებული, დადარდიანებული მაკინე გამოუთქმელად იტანჯებოდა. ოქრო ათასში ერთხელ აირბენდა თავის სოფელში, მაგრამ მაშინაც მოკლე ხნით. ტიტიკო და ანო ამჩნევდნენ, როგორ სრულიად შეცვლილი იყო, მისი წინანდებური აღტაცებული აზრები თითქო გახუნებულიყვნენ, ოქროს აღარა აღელვებდა-რა. თვით ესტატეს საძაგელი საქციელიც, რომელიც დიდ შევიწროება-დანაკლისს აძლევდა სოფელს, ღრმად აღარ სწვდებოდა გულში. ასეთივე გულგრილობით ათვალიერებდა ძმის მოქმედება-მოღვაწეობას სოფელში. ტიტიკოს თავისი ვალები შეემცირებინა, სახლი გადაეახლებინა, შემოსავალი გაეორკეცებინა. თვითონაც, როგორც უკანასკნელი მუშა, ამოსდგომოდა გლეხებს გვერდში და უკან არ ჩამორჩებოდა... ანოც თავისი კეთილის, მადლიანის სახით ავსებდა ოჯახს სიყვარულით, ისიც თავის

მოვალეობას სინდისიერად ასრულებდა. ოქრო დამძიმებულის გულით შეჰყურებდა ძმისა და რძლის ბედნიერ, კმაყოფილ ცხოვრებას და ამ ცქერით ითვალისწინებდა თავის წარსულს, აწმყოს და დაკარგულ ნეტარებას. ოქროსთვის აღარავინ არსებობდა, მაკინეს გარდა. ყველა თავისთვის სცხოვრობდა, ოქრო მეტი იყო, მეტი... მას უფრო უცხოველდებოდა ნაღველი, და აიღებდა თუ არა ძმისგან თავის ხვედრ ფულს, შემოსავლიდან შემოტანილს, მაშინვე გამოსწევდა ქალაქისაკენ, სადაც კვალად მიეცემოდა თავდავიწყებას. ის ერიდებოდა აგრეთვე გიორგისა და ისიკოსაც, რადგან ისინიც კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით. ოქრო მათ არაფერს უმხელდა, თუმცა გიორგიმ და ისიკომ დაწვრილებით იცოდნენ ყველაფერი; ჩასჩიჩინებდნენ, დაბრუნებოდა წინანდელ ამორჩეულ გზას, მოშორებოდა სვიმონსა და დარისპანს ხამაძეებს... დაბრუნებოდა თავის სოფელს, ან შესულიყო მათსავით სამსახურში და შრომით გაეყრუებინა საკუთარი გულის ღონება. ოქრო კი ახლოს არ იკარებდა მათ რჩევას.

— ვისთვის? ისინი ცოლ-შვილში გაფუფუნებულნი, ბედნიერებისაგან გაღაღებულნი, რასაკვირველია, გაშლიან თავიანთ ღონიერ მკლავებს, ავარჯიშებენ ჭკუა-გონებას! — იტყოდა ოქრო უიმედოდ და ხელს ჩაიქნევდა. ოქროსთვის აღარა არსებობდა-რა..., ქვეყანა სიწყვდიადეა, ოქრო უგრძნობელი ქანდაკებაა, რომელსაც ატრიალებს, ამოძრავებს რაღაც სუსტი ძალა, მაგრამ წუთს ისევ დაუმძიმდებოდა გული, როდესაც გრძნობდა საშინელ ტანჯვას. ის უმეტებდა გარე-გარე სიარულს, ღვინით და სხვადასხვა სასმელებით თავბრუს ისხავდა. ერთხელ, მაკინეს გული ჩვეულებრივზე მეტად შეჰკვნესოდა რაღაცას. იასონი და ოქრო შინ არა სჩანდნენ. ის ჩაფიქრებული ჩამჯდარიყო სავარძელში და გაშტერებული გაჰყურებდა სარკმელს. ამ დროს კარი გაიღო, ოთახში შემოვიდა ბარბაცით ოქრო. სახეზე სიწითლე მორეოდა. მაკინე წამოდგა ზეზე, მივიდა მასთან და უთხრა:

— რა არის, შენი ჭირიმე, ოქროჯან, სხვა რომ არა იყოსრა, მაგდენი სმით ჯანსა და ღონეს მოიწამლავ!

მაგრამ ოქრომ ხელი ჰკრა, მოიშორა, ბარბაცითვე წავიდა თავის ლოგინისკენ და უგონოდ მიეგდო.

— საიდან მოდის? — ჰკითხა იასონს მაკინემ, როდესაც იგი გამოჩნდა კარებში.

— ხამაძეებთან იყო... მე რომ არ შევსუდიყავი, ქალო, გათავებას აღარ აპირებდა. მეტისმეტად გახელდა ამ ოხერ ღვინოზე და!..

— ღმერთო, რომ დაემართოს რამე, ხომ უნდა ცეცხლში დავიწვა, ხომ ქვეყანაში უნდა გამოვწყდე! — იმეორებდა სასოწარკვეთილებაში შესული მაკინე, როდესაც იასონი შევიდა ოთახში.

— მეგონა, დაივიწყებდა, უფრო უკეთეს ბედს შეეყრებოდა... ასე რომ მცოდნოდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა და მე ამ საქმეში გავერეოდი!

მაკინე გამოიცვალა, გული დაეჩაგრა, სინიდისის ხმა თანდათან გაუძლიერდა.

„შე უწყალოვ, აბა რა გენაღვლებოდა, ქეთინო და ოქრო ბედნიერები ყოფილიყვნენ, რა ჰქენი? მოჰკალი, სიტკბოება მოუშხამე, ბოლო მოუღე!" — აი, რა სიტყვები ერეოდნენ განუწყვეტდად მაკინეს თავში და აწამებდნენ. მეორე დღეს ოქრო უფრო გაფითრებული სჩანდა, თავი სტკიოდა და სიცხესაც გრძნობდა.

— კარგა ვარ, ძვირფასო, ნუ გეშინია! — ეუბნებოდა მაკინეს, რომელსაც შეატყო, რა შეშინებული უყურებდა ძმას. მაკინე დიდის სიხარულით გაუშლიდა თავის გულშინადებ საშინელ აღსარებას და მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებოდა ტანჯვები. მაგრამ, როდესაც წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ოქროზე ცუდად ემოქმედნა, რადგან ის მარტო ამაში-ღა ხედავდა მისაყრდნობ ღონეს, არჩევდა ისევ გულშივე ჩაებრუნებინა იმ დრომდის, ვიდრე ოქრო თავს ღონივრად არ იგრძნობდა, ოჰ, რარიგად ენატრებოდა მაკოს ეს დრო!

— მაკო, ხომ არ მემდურები, ამ ბოლო დროს რომ აღარას გიჯერებ და შენთან აღარა ვარ ისე გულახდით, როგორც წინათ ვიყავი? — უთხრა ოქრომ. მაკინეს გააკანკალა.

— არა, შენი ჭირიმე... — ძლივს მოახერხა მან დალაპარაკება.

— ჰო, მაკო, დამნაშავე ვარ შენს წინაშე... იმისთვისაც დავკარგე ჯანის სისაღე, სულის მშვიდობა!.. მაგრამ ახლა კი გიბრუნდება უძღები ძმა, გთხოვს მოტევებას... — მაკინეს ჟრუანტელი უვლიდა სხეულში, მოეჩვენა, თითქო ოქრო კიდე-

ვაც დასცინოდა. თავი მაღლა ველარ აიღო, თვალებ ძირს-დახრილი ტანჯვით უსმენდა.

— სიტყვა კი მომე, რომ მაპატიებ... — განაგრძობდა მწვალებელი ხმა.

— ოქრო, შემიბრალე! ნუ მტანჯავ! — შესძახა მაკინემ და სახე მთლად გაუყვითლდა, თვალებში ცრემლის კურცხლები წამოადგა.

— ნუ სტირი... გული ცუდად შეგექნება... გთხოვ კი, მოისმინო ჩემი დანაშაული... გახსოვს, ამას წინათ მკითხე, რად ხარ აღელვებულიო? როცა N-ის სასტუმროდან დავბრუნდი?

— მახსოვს, — უპასუხა მაკინემ და შეხედა ოქროს, — რა გაქვს საპატიებელი, გენაცვალე? შენ დამნაშავე ხარ... ჩემთან? არა, არა, შენი კი არა, ოქროჯან, მე ვარ...

— დაიცა, ნუ ღელავ, მაკო, სიტყვა მომე, დამარწმუნე, მაპატიებ.

— გამდევ... — დაიჩურჩულა მაკინემ, მას თითქო სუნთქვა გასძნელდებოდა.

— შენ არ იცი, მაკო, იმ სასტუმროში რა წინდაუხედავად მოვიქეცი... შენ დაგიმალე და დღეს კი ცხვირში საგრძნობლად ამოვიკარი.

მაკინეს ეჭვი გაელვიძა, იქნება კიდევ რომელსამე ქალთან დაიჭირა საქმეო, მაგამ გადასწყვიტა, ოღონდ ბედნიერი ყოფილიყო ოქრო, აღარ ჩაეჩხირებოდა მას ცოლის შერთვაში, პირიქით, ხელს მოუმართავდა.

— მერე? — ჰკითხა მან და სმენად გადაიქცა.

— სვიმონ ხამაძე აღარ მომეშვა, ინგლისის კლუბიდან N-ის სასტუმროში შევედით. იქ კარგი დაზათიანი ქეიფი გავწიეთ, ბევრი ვილაპარაკეთ, მეტადრე ბახუსის ზეგავლენით, ერთმანეთს გადავეცით ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარება... სვიმონმაც თავის მხრივ დაუფარავად მიამბო... ის მეტად შევიწროებულია მამისაგან, კაპეიკს დანატრის, ყელამდის ვალში ჩაფლულია, სამსახურში მყოფ კაცს კი ყველაფერი თავის დროზე სჭირდება... ასე გასინჯე, მუნდირის შესაკერსაც კი ვერ შოულობს... ერთი მოვალე თითქმის ყელში ხელს უჭერს, გინდა თუ არა, უნდა ფული მომცეო, რადგან არ გენდობიო, თორემ მამაშენს მივმართავო. სვიმონი ბავშვსავით ტიროდა, მასზე თუ

მართლა ის აასრულებდა ამ მუქარას, მაშინ პავლე გამორიცხავდა თავის შვილობილან. იმ ყმაწვილის ისეთი ტანჯვა ჩემს გულში აღვიძებდა წინანდელ მხურვალე თანაგრძნობას მოძმისადმი, მომაგონებდა ძვირფას დიდედას სიტყვებს: გიყვარდეს, შვილო, ყველა ქართველი ისე, როგორც შენი თავიო. იმ წუთებში მზად ვიყავი, არა დამეზოგა-რა სვიმონისათვის, დავამშვიდე, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, შევაყენო ის კაცი-მეთქი. ვთხოვე, ჩემ-თვის ეჩვენებინა, გავეცანი, ვადაც დავნიშნეთ. მოვადე მეტად თავაზიანი, კეთილი მეჩვენა; როდესაც ვუსაყვედურე, რად ავი-წროვებ აგრე-მეთქი, მან დინჯად მომიგო:

— არა, კნიაზო, სვიმონის საქმე რომ თქვენსავით გახდ-დეთ, რამდენმა ხანმაც უნდა განვლოს, მაინც არ შევაწუხებდი მაგაზე, მაგრამ რაკი მაგათი მამა არა კისრულობს შვილის ვა-დების გადახდას, მეც შევშინდი. ერთი საწყალი კაცი გახლავარ, წვრილ-შვილის პატრონი. პირნათლად ჩაბარებულ ფულზე რას მე-მართლება? სანამ დრო აქვს, დამიბრუნოსო. ამასთანავე ისეთი შესაცოდავი საბრალო მეტყველება მიიღო, რომ სრულებით შე-ვუნდე, გავითვალისწინე გარემოება, რომელიც ასე ამოქმედებ-და.

— სვიმონს ახლა ფული არა აქვს და თუ დაკმაყოფილდებით ვისიმე თავდებობით, შეუძლიან იშოვნოს, — ვუთხარი მე.

— ეგ პირზე გახლავთ დამოკიდებული... თავდებად ან ვინ, ან როგორ დადგება, — მიპასუხა მან.

— ვთქვათ, მე ვიკისრო... მაშინ? კმაყოფილი იქნებით?.. დაიცდით?..

— ოღონდაც!.. — შესძახა მან სახეზე ღიმმოსულმა. მეც ძა-ლიან მიამა, როდესაც შევიძელი სვიმონის შველა. მაშინათვე ხელი მოვუწერე თავდებობაზე. წარმოიდგინე, მაკო, ყველა ეს შენ ხომ არ იცოდი?.. დაგიმალე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, დამიშლიდი, შემდეგ მე ვიგრძენი, მოვიქეცი წინდაუხედავად, მაგ-რამ, როდესაც გავიხსენე ის, თუ რა შევიწროვებიდან ვიხსენი მოძმე, ეჭვი და შიში თავიდან მომშორდა.

— მერე, გენაცვალე, ხომ შეიძლება იმ კაცმა ისარგებლოს იმ თავდებობით?.. — უთხრა მაკინემ.

— ისარგებლა და მორჩა... კიდევაც მიჩივლა. პავლემ შეიტყო, გადახდაზე უარი განაცხადა, ახლა მე მთხოვს ხუთას თუმანს,

მაგრამ გუშინ თითქო პავლე ყოყმანობდა. არც დავიჯერებ, თუ ის მიიყვანს იმ კაცს იქამდე, რომ მე გადამახდევინოს, — დაუმალა ოქრომ, რომელსაც ამოიკითხა მაკინეს სახეში შიში.

— საქმე მაგგვარად იყო და გუშინ კიდევ მიდიოდი მათთან? — უსაყვედურა მაკინემ.

— სწორედ მაგ საქმის გულისთვის წამიყვანა სვიმონმა, მოგველაპარაკნა ერთად, თუმცა არა გამოვიდა-რა, გარდა ღვინის დალევისა. ეჰ, მაკო, ადამიანი სატანჯავად ყოფილა გაჩენილი! ის იბადება უმანკოდ, როგორც უმანკოა ბუნება, მერე ცხოვრებაში შედის, თუ ბოლომდის სპეტაკი აზრები შერჩა, მათ მიმდევრად თავი აღიარა, მაშინ სამუდამოდ დევნილია, გაკიცხული და უცნობი! დიდი ხანია, რაც ყველა კარგს სამუდამოდ გამოვეთხოვე, ტანჯვას თავი მოვუხარე. დავკარგე რწმენა ხალხისადმი, ისინი მეჩვენებიან ჯოჯოხეთად, ქაჯებად, გულიც გაქვავდა! ამ სოფლად აღარა დამრჩენია-რა, რადგანაც უწყალოდ გამძარცვა ქეთინომ, გონება, აზრი, სიცოცხლე მომიწამლა. მარტო შენა მყევხარ, ჩემო ძვირფასო მაკო, მარტო-ღა შენა გხედავ ჩემთვის თავდადებულს. დღეის იქით შენთვის, მარტო-ღა შენთვის ვიფიქრებ, დანარჩენები კი გამქრალან! — მაკინესათვის უფრო ადვილი ასატანი იყო ოქროსაგან საყვედური, კიცხვა, წყევლა, შეჩვენება, ვიდრე ასეთი ალერსი, რწმენა და წრფელი სიყვარული! რა დამნაშავეა! რა შემცოდეა ოქროს წინაშე! დარწმუნებულია, დღეს თუ ხვალ ოქრო სრულიად ცარიელი დარჩება, ვისაც შემწეობა აღმოუჩინა ფულით თუ თავდებობით, ყველამ უმტყუნა, მოესივნენ, ერთბაშად ითხოვდნენ. ოქრო წარბშეუხრელად პასუხს უგებდა, უმტკიცებდა, რომ მას მოექმედნა მოძმის გაჭირვების დასახსნელად, მაინც ბოროტნი უკან არ იხევდნენ, არ ისმენდნენ ოქროს მტკიცებას, ან უნდა გადაეხადა, ან არა და ემუქრებოდნენ მამულის ხელიდან გამოცლას. ოქრომ გადასწყვიტა, გულმაგრად დასდგომოდა საშინელ ხვედრს. სინიდისი ნაკლებად აწუხებდა, როდესაც გრძნობდა, ეს მომავალი არ იყო შედეგი მის თავმოყვარეობა-ნებივრობისა, არამედ მოყვასთა დახმარებაში გამოღებულიყო. თუმცა ცდილობდა მაგრად, მტკიცედ დასდგომოდა, მაინც ეს ყოველივე მოქმედობდა მის ჯანსა და ღონეზე. მაკინეზე ყოველ წამს ზრუნავდა, ფიქრობდა, თუ ის როგორ შესძლებდა ღარიბ ცხოვრებას, ან როგორ დასთმობდა

წარსულ განვლილ დღეებს, საზოგადოებისაგან გაწბილებას, იასონიც დაღვრემით იყურებოდა და სწუხდა აწმყოსა და მომავალზე, მაინც კიდევ განაგრძობდა წინანდელ ცხოვრებას. თადეოზს მოთმინება შემოაკლდა, უკანასკნელად გამოუცხადა მაკინეს, ან ოქროს შეერთო ლიზა, ან ათას თუმანში გასწორებოდა, მაკინე ორ ცეცხლშუა ჩავარდა, არ იცოდა, რა საშველი ღონე ეხმარა.

— ოქრო, რაღ მადავ, გენაცვალე? მე გატყობ, ძალიან კარგად ვხედავ, როგორ გაწუხებენ ეს არეული, გახლართული საქმეები. იფიქრე კიდევ, იქნება შევიძლოთ და თავი ვიხსნათ ამ უსიამოვნებისაგან, — უთხრა მან ერთხელ ძმას, რომელსაც უკანასკნელი არწმუნებდა, რომ მას არ აშინებდა მომავალი სიღარიბე...

— ყოველი იმედი დაკარგულია!.. ტიტიკო გადამიდგა, მაყვედრის, თურმე მეც ისეთივე ქარაფშუტა, ბედოვლათი ვარ, როგორც ათასი... ჩემში არც ვაჟკაცური სიმტკიცეა, არც შორსმხედველობა... მამულები ავწეწ-დავწეწე და ისიც საშინლად სწუხს ასეთ ჩემს წარუმართებულობაზე... როსტომსაც დღეს თუ ხვალ ამისთანა დღე მოელის... და ვიღას უნდა მივმართო?..

— თადეოზ სვიმონიშვილი კეთილია, ოქრო, პატიოსანია...

— თადეოზს ჯერ ძველშიაც არ გავსწორებივარ....

— განა არ შეიძლება, ისე მოხერხდეს, რომ არამც თუ ათასი თუმანი გამოგართვას, პირიქით, მან მშობლიური მოვალეობა გაგიწიოს?..

— ახლა მივხვდი, რაც გინდა სთქვა, — უთხრა ოქრომ.

— იმისათვისაც გითხარი, თავშემოგევლოს მაკინე, მიპსვდარიყავი.., როდემდის უნდა იარო აგრე მარტო!.. მეც დავბერდი, დღესა ვარ, ხვალ კი აღარა... რა გეშველება ჩემს შემდეგ?.. ლიზა კი კარგი ქალია, შენც იცნობ... გონიერი ხარ და ნუთუ გინდა, მართლა აახდინო ტიტიკოს სიტყვები?.. ცოლი შეირთე, ოქრო! — ოქრო გაჩუმებული დადიოდა ოთახში, მაკინეს სიტყვებზე სახე მრავალგვარად ეცვლებოდა.

— მაკო, — შესძახა და შედგა, მისმა მიმქრალმა თვალებმა კვლავ ნაპერწკლების გაბნევა შეიძლეს, — ცოლის შერთვა ალარ გამახსენო! არა, ნურც მირჩევ... ლიზა არ მიყვარს, უნდა შევირთო კია, რადგან საქმეები გახლართული მაქვს? არა, მაკო, ტყუ-

იღაღ გგონია, მაგ აზრით ნაღვეღი შემომსუბუქო... დაე, შიმშიღით მოვკვდე, მაინც გუღმაგრად ვიქნები იმ იმედით, რომ ჩემკენ ვერავინ გამოიწვდენს ხეღს და არ იტყვის, ოქრომ ესა და ეს არ გაიტანა, ესა და ეს მოატყუა და მაგიერიც მიეზღოო... როგორც იქნება გავატარებ ხანმოკღე ცხოვრებას, ნუ გეშინია, მაკო, დღეის იქით აღარ მივეცემი სხვადასხვა მომწამღავ გასართობს, ყველა ეს ძაღდატანებული საქციელი იყო, მინდოდა გამეყრუებინა, გამექრო არარაობა. მაინც ვერ შევძელი. ჩემი ბუნება წინ აღუდგა მასაც, ხელის კვრით უკან გამომაგდო. მართალია, ოცობოლოს ვეღები, თვაღწინ აღარა ბრწყინავს-რა, არც ერთი მოეღვარე წერტილი ნეტარი იმედებისა, მაგრამ ვცოცხლობ წარსულით, დაე, სულით ხორცამდე გავიყიდო... სამსახურში შევალ, იმით ვიცხოვრებ... შენ კი ნუღარას გამიხსენებ ცოლის შერთვაზე...

ოქროსაგან ისე მტკიცედ იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ მაკინემ წინააღმდეგის თქმა ვეღარ მოასერხა. დარწმუნდა, ნება-უნებლიეთ უნდა მომზადებულიყო მომავალი რისხვისათვის.

— მერე ვინ იყო მიზეზი თვითონ იასონის გაღარიბებისა?.. ვინ იყო მიზეზი, რომ საქართველოს საუკეთესო შვილი, სიცოცხლე-გონიერებით აღსავსე, პატიოსნება-განათლებით აღჭურვილი, ასე ძირს დაეცა, მარტო იმის გამო, რომ ყველას ენდობოდა? ოხ, რასაკვირველია, ბედი... ჩვენი ოჯახი დაწყევლილია... მამა-პაპის ცოდო ჩვენზე გადმოსულა... ასე გასინჯე განოსაც გაჰყვა და დღეს თუ ხვალ მათხოვარი გახდება... ტიტიკო ხომ დიდი ხანია პირუტყვულ ცხოვრებას ატარებს... მუდამ, წლითი-წლობამდის სოფელში ჯდომა უგუნურ, გაუნათლებელ ანოსთან, მაშ რა არის თუ არა სიკვდილი, ან საღათას ძილი!.. არა, ცოდო, წინაპართა ცოდო და უზედურება გვდევნის!.. — ამბობდა მაკინე, მაგრამ მას არა ერთხელ სიზმარშიაც მოდანდებია ქეთინო, აყვედრიდა და ეკითხებოდა:

„მაკო, ეგ რა ჰქენ? რა დაგიშავე? რად გაგვაშორე მე და ოქრო ერთმანეთს, როდესაც შეიძლებოდა სამივე ბედნიერი ვყოფილიყავით? შენ, როგორც ერთგული დედის მოადგილე და უფროსი, ხომ იდღესასწაულებდი ჩვენი ნეტარებითაო?“ მაკინეს ხელი დარია ნაღველმა, სულსა და გულს მოსვენება მოენატრა,

თვალცრემლიანი შესთხოვდა ღროს, ან დაეშორებინა ის მომა-ვალი საშინელი სიწყვდიადე, ან მოესპო მისი არსება, მაგრამ გვიან-ღა იყო.

## XLIII

გაირბინა ექვსმა წელიწადმა. ამ დროის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა. მრავალმა ახალმა პირმა თავი იჩინა საზოგა-დოებაში და წინანდელები უკან ჩამოიყენა. მაკინეს დედოფ-ლობა აღარსად ჩანდა, მისი ხსენება მარტო კანტი-კუნტად გა-ისმოდა აქა-იქ ძველ ოჯახებში. ყმაწვილი კაცებიც აგრეთვე ნაკ-ლებ ფიქრობდნენ მაზე, თუ ამ რამდენიმე წლის წინათ როგორა ბრწყინავდა ოქრო და ყველას იზიდავდა.

— საცოდავ მაკინეს რანაირად უმუხთლა ბედმა! რა ცხოვ-რებაში მყოფს როგორი შევიწროებული გარემოება აკისრებინა!.. ის მაშინ გაუბედურდა, როცა იასონმა შეირთო. ოქრომაც კარ-გი არა დააყარა-რა, დაღუპა როგორც თავისი თავი, ისე მაკინე. ბუნებითვე თუ კაცი შორსმხედველი არ არის, მას ძნელად შეც-ვლის განათლება. — ასე დაპარაკობდნენ თვით ის პირნიც, რო-მელნიც გამხდარიყვნენ ოქროს დაღუპვის მიზეზად. დიაღ, დი-დის თავგამოდებით და მედიდურად საჯაროდ ხარჯავდა ამ აზ-რებს ხამაძეც, რომელსაც მამა მოკვდომოდა, ხელში ჩაეგდო აუარებელი საცხოვრებელი, შეერთო ლიზა და საზოგადოებაში პირველი ადგილი დაეჭირა. მას კიდევაც დავიწყებოდა ოქროს დავალება; ის და სხვები მეგობრობდნენ ოქროს, ვიდრე უკანას-კნელის ჯიბეში რამე ეგულებოდათ, გაღარიბებულს კი ველარ სცნობდნენ. ოქროს მთელი თავისი მამული გაეყიდა ცალკე მა-კინეს ვალში, ცალკე სვიმონ ხამაძისა და თადეოზის წყა-ლობით. აუხდა წინასწარი გრძნობა, ამ ეღდამ უფრო ბოლო მო-უღო მის სასოწარკვეთილებას, სამარიდან ამოღებულს დაამსგავ-სა, ყველას თვითონვე ჩამოსცილდა, რადგან ხედავდა წინანდელი ჯაჭვი, რომელიც აერთებდა, საზოგადოებასა და ცხოვრებასთან, გაწყვეტილიყო... სამაგიეროდ ისიკოსა და გიორგის ისევ და-ახლოვებოდა, მაგრამ ისინიც ძალიან სუსტ ნუგეშს აძლევდნენ... ოდესმე მდიდარი, დიდებული, დღეს ღარიბთა უღარიბესი გზას აუქცევდა ქუჩაში მომავალ რომელსამე მდიდრის ეტლს, არა შურ-

და მათთვის ეს დიდება. ოქროს უზადო გულს ეუცხოვებოდა ეს გრძნობა, თვალწინ ეყენა ცხოვრება, კაცის არსება თავისის ნაკლულოვანება-ღირსებით და სჯიდა, არკვევდა მას, როგორც ფილოსოფოსი... ძველ უბედურებას თან ახალი მოჰქონდა. იასონსაც უეცრად წვეთი დაეცა და ორი დღის უგონოდ ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა. დარჩა მაკინე ოქროს ანაბარა. ნამდვილი მიზეზი იასონის სიკვდილისა იცოდა მაკინემ, მწვავედ ულრღნიდა გულსა. იასონის სიკვდილი გამოეწვია არა წვეთის დაცემას, რომელსაც ასახელებდა მთელი ქვეყანა, არამედ ეღდას, მეხს, რომელიც დასცა მას მთავრობის ბრძანებამ, ერთ კვირაში შეევსო ის დანახარჯი, რომელიც დაეკლო სახელმწიფო თანხისათვის. იასონი არ მოელოდა ასე უცბად ასეთ განაჩენს, თუმცა რამდენიმე წელიწადიც გასულიყო მას აქეთ, მაგრამ ახლა თადეოზის წყალობით გამომჟღავნებულიყო. საჭირო იყო თანხის შევსება და სასტიკად მოეთხოვათ... იასონმა წაიკითხა თუ არა მოულოდნელი ბრძანება, თავბრჭყვიალი დაესხა და დაეშვა უგონოდ სავარძელში... მაკინემ მაშინვე დამალა ქაღალდი, რომ საქვეყნოდ არ გამხდარიყო... დაბრუნდა ოქროც, რომელიც ამ დროს შინ არ იყო და არც არა იცოდა-რა. ორივე ცოლ-ქმარნი არ უმხელდნენ, რადგან უიმისოდაც წამებულს, საკუთარი ვარამიც საკმაოდ ჰქონდა... მთელი ქალაქის ექიმები დაეხვივნენ იასონს, მრავალი საცადი ილონეს, მაინც ველარ მოიყვანეს სრულს გონებაზე და ორი-სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა... საქმე ჯერჯერობით დარჩა განუსაზღვრელი. მაკინე შეაწუხა ქმრის სიკვდილმა, მაგრამ მაინც ისე არა, როგორც უნდოდა....

იასონი დიდი ხანია მის ცხოვრებაში მეტი იყო, სიამოვნებითაც იკისრებდა მოშორებას, მაგრამ რაკი ხალხის თვალში ცუდად გამოვიდოდა, ამისათვის განაგრძობდა მასთან ცხოვრებას. იასონს მარტო პირველ წლებში ჰქონდა მნიშვნელობა, ვიდრე შეეძლო ცხოვრება. მერე კი, როცა ოქრო გადმოვიდა, ის თავმომაბეზრებელიც მოსჩანდა, მაგრამ ის არ იყო იასონის წინაშე იმდენად დამნაშავე, როგორადაც ოქროსთან... როგორ ეშველა თავის თავისთვის?.. როგორ მოენანიებინა შეცოდება? როგორ ეპოვნა სულის სიმშვიდე? ის ხშირად იდგა ხატების წინ, ლოცულობდა, მაგრამ ამაზედაც უარს ეუბნებოდა ღმერთი, ბედი და გარემოება. ბოლოს ოქრო შევიდა სამსახურში. ის და მაკინე

დასჯერდნენ თვეში ათ თუმანს, რომელიც ძლივს სულს უბრუნებდათ. ქალაქის მიყრუებულ ქუჩაში დაეჭირათ ოთხი ოთახი, სადაც ატარებდნენ თავიანთ თითქმის გაწბილებულ ცხოვრებას, არ მომლოდინე ხვალინდელ დღისა, მაგრამ მაკინე მაინც გასაოცარის მოთმინებით იტანდა ხვედრს, ჩვეული მრავალ მოსამსახურეთა, დასჯერებოდა მარტო თავის ერთგულ ბესოს და ერთ დედაკაცს. ოჯახის ყველა საქმეში თვითონაც იღებდა მონაწილეობას, თითქო უნდოდა, ამითი თავისი დანაშაული გაესწორებინა. ოქროს სუსტ სხეულს ვერ აეტანა უჩვეულო ჯაფა სამსახურისა, თანდათან სუსტდებოდა, მთელი კვირაობით ლოგინიდან ველარ დგებოდა. თავზარდაცემული მაკინე ატყობდა, რომ ოქრო დიდი ხნის აქ მყოფი არ იყო.

— ნუთუ კიდევ უარესს უნდა მოველოდე? ვაი ჩემს მოსწრებასა, ვაი ჩემს სულსა! — წაივლებდა ხელებს გათეთრებულ თმაში, უცრემლოდ ჩაწითლებული თვალებით უიმედოდ გაიყურებოდა. ის ხედავდა სიცხეში გაბაბანებულ ოქროს, რომელიც ბოდავდა:

— შენა ხარ ჩემი ნუგეში, საცოდავო! — წარმოსთქვამდა და წამოიწევდა ლოგინიდან, გაფითრებული ტუჩებით დაეკონებოდა მაკინეს სანთელივით დამდნარ ხელს. ოქრო ატყობდა დას რაღაც საშიშ მეტყველებას.

— მარტო შენა ხარ ჩემი პატრონი, უნდა თავს გაუფრთხილდე, — მოესმოდა კვლავ სუსტი ხმა ავადმყოფისა. ეს ხმა წუთს შეაყენებდა მაკინეს საშინელ განზრახვას, რომ ის ნაძალადევად მაინც გამოსალმებოდა წუთისოფელს.

— ღმერთო, მაპატიე! — იმეორებდა თავისთავად. როსტომი და განოც ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში. ბლომად ჰქონდათ გრიგოლასაგან მიცემული ფულები და ბევრჯერ მაკინესაც ანუგეშებდნენ და გაიწვევდნენ თავის სოფლისაკენ, თუმცა თვითონაც ქირით იდგნენ ოდესმე საკუთარ სახლებში. როსტომს უკვე ნახევარი შეეჭამა და საქმე კი ვერა აელო-რა. თადეოზს უარი ეთქვა, არ მიეღო ამხანაგად თავის საქმეში. ის მაინც ეძებდა, რადგან მისი სული და გული არა სჯერდებოდა ღლევანდელს, კვლავ დაჟინებით სურდა გამდიდრება. მათ დაეჭირათ რამდენიმე თვით სასტუმროში ნომრები და ცხოვრობდნენ გარემოების შესაფერად. თუმცა მაკინესაც გულით უნდოდა დ—ში წასვლა,

მაგრამ ოქრო აღარ მისდევდა. ან როგორ დაენახა ის ადგილები, რომლებიც ისე ცხოვლად თვალწინ წამოუყენებდნენ დაკარგულ ნეტარებას? ტიტიკო წინანდელზე მეტად გაბოროტებულიყო, მაკინეზე. წერილიც მიეწერა და ხელმეორედ გაეღანძღა, მისთვის დაებრალებინა ძმის ასეთი გაუბედურება და დაღუპვა. თან ოქროს თავისკენ იწვევდა, სთხოვდა, ემუდარებოდა, მაგრამ ის მაინც არ მიდიოდა. მაკინემ ერთი ხელობა მოინდომა მიემართა მოძღვრისათვის, განდობოდა... მაგრამ ვინ იყო ღვთისნიერი? მღვდელი, ერი, ბერი, ყველა ისეთივე შემცოდე ეჩვენებოდა, როგორიც თვითონ იყო. მაინც ეძებდა წმინდა არსებას, რომელთა შორის ოქრო იყო, მაგრამ ეშინოდა ამ აღსარებით მასვე ბოლო არ მოღებოდა. ნეტა რასა იქს ქეთინო? რას ფიქრობს? ნუთუ ოქრო აღარ ახსოვს? ხსოვნით, უეჭველია, ეხსომება... ისიც უთუოდ უბედურია... ნეტა მაჩვენა... ოქროს კი ისევ უყვარს. ის დადნა, დაიტანჯა, დიზას შერთვა რომ ეკისრნა, მაშინ ხომ ასცდებოდა ეს წვალება? ნუთუ ძნელი იყო ქეთინოს დავიწყება? აკი თვითონ მაკინესაც უყვარდა ზურაბი, მაგრამ დღეს არც კი ახსოვს! არა, ოქროს ქეთინო უყვარს მაკინესთვის გაუგებარის სიყვარულით, თუმცა ცდილობს ქეთინოზე იშვიათად დაპარაკს... ამას წინათ რუსულ ჟურნალში აღწერილი იყო ქეთინოს ნიჭი მხატვრობის შესახებ... რა აღელვებით კითხულობდა, დღეში სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც ოქრო, იმეორებდა, თითქოს უნდოდა მისი შინაარსი გაეზეპირებინა... დიაღ, ცხადად ჩანს, ოქროს ძალიან უყვარს ქეთინო, — ამ ფიქრებით თეთრის თვალით ათენ-აღამებდა მაკინე...

ერთხელ ოქრო ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. შემოვიდა თუ არა, მაკინე მიეგება და ჰკითხა:

— როგორა ხარ, შენ გენაცვალოს მაკინე? — ოქრომ მოკლედ უპასუხა, რომ კარგად ვერ იყო, გასწია პირდაპირ საწოლისაკენ. მაკინე მაშინვე გამოვიდა, რომ ბიჭი გაეგზავნა ექიმთან. როდესაც მან კარი გაიხურა, ოქრომ სერთუკის ჯიბიდან ამოიღო გაზეთი, ხარბად დააჩერდა, ეტყობოდა გაზეთში რაღაც ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი ეწერა. ოქროს ტუჩებმა ხმამაღლა გაიმეორეს, თითქოს უნდათ დარწმუნდნენ მათ სინამდვილეში: „ამ სამი დღის წინათ ქალაქში ჩამოვიდა საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ნიჭიერი მხატვარი ქალი ქეთევან დიდებაშვილისა,

ჩამოხტა N-ს სასტუმროში ქმარ-შვილით. ერთი თვის შემდეგ წავა თავისი სოფლისაკენ".

რამდენი პირი წაიკითხავდა გულდინჯად ამ სტრიქონებს, გადასცემდა თავის ნაცნობს, გაიმეორებდა: ჩვენი მხატვარი ქალი ჩამოსულაო. მათ დაუკმაყოფილდებოდათ თავმოყვარეობა, რადგან თავიანთ მიწა-წყლის თანამოძმის შვილს ასეთი ნიჭი გამოეჩინა. ოქროს გულს კი სადგისები ეყრებოდნენ ყოველ სტრიქონის ამოკითხვაზე. „ქეთინო ქმარ-შვილით!" რა საგრძნობი იყო ეს უკანასკნელი დამატებითი სიტყვები! ბედნიერს დავიწყებოდა ოქრო, მოსულიყო შორიდან, ეძლევებინა თავისი ღირსება, მშვენიერება და ეთქვა: მიყურე, საცოდავო, და დაიტანჯეო! ოს, რა ռიგად უსრულდებოდა მას ეს განზრახვა! ოქროს გული უწუხდა, სული უშფოთავდა. მოვიდა ექიმი, ავადმყოფის გასინჯვაზე სახე დაუნაღვლიანდა, დარიგება მისცა, რაც შეეძლო დამშვიდებით ყოფილიყო, თორემ მცირედი აღელვება მასზე ცუდად იმოქმედებდა. მაკინეს კი აღარ დაუმალა, შეატყობინა, რომ შეიძლებოდა, ამ დღეებში ოქროს სიცოცხლე შეწყვეტილიყო. მკურნალი უცხადებდა ისე დამშვიდებით, თითქო ელაპარაკებოდა მაკინეს სრულიად უცხო პირზე.

— საღამოზე კიდევ შემოვივლი, — დაუმატა მან და წავიდა. მაკინეს ცრემლები არ გასჩენია... გული გაქიცქიცებული ჰქონდა იმდენი ნაღველით, რომ ახალს აღარ უშვებდა. გარინდებული, ანგარიშმიუცემლად ასრულებდა ექიმის დარიგებას, მაგრა მოკუმულის ტუჩებით დადიოდა ოთახში, თითქო ეძებდა დასასვენებელ კუთხეს, სამწუხაროდ კი ვერსად ჰპოვებდა. აგერა, ჩაეძინა ოქროს. მაკინემ დაინახა მის გვერდით გაშლილი გაზეთი... დასტაცა ხელი, დაუწყო კითხვა. ეს პირველში წინანდელზე მეტად გაყვითლდა, შემდეგ დამჭკნარი, ჩამომხმარი ღოყები შეუპირისფრდნენ.

— მოსულა!.. განა მოსულა?.. — იმეორებდა ეს გულში... — ხომ გაიგებდა ოქროს ავადმყოფობას? არ შეიძლებოდა პატიკოს ყური მაინც არ მოეკრა... მერე?... გაიგოს ამისი ასეთი მდგომარეობა და არა ნახოს? ნეტავი კი მოვიდოდეს. — მაშინ მაკინეს რა დაემართება?.. როგორ შეხედავს, როგორ უნდა გაუძლოს, როდესაც ორივეს ერთად ნახავს?!. მაკინე კვლავ გაყვითლდა... ნაცნობმა ხმამ ყურში ჩასწივლა:

— ის არის შენი მოძღვარიო! — გულმა დევა დაუწყო. მიიხედა ოქროსაკენ, მას თითქო დამშვიდებით ჩასძინებოდა. ქალის თვალები იმედით გაბრწყინდნენ.

— ჰა, იქნებ მეღირსოს სულის სიმშვიდე?.. ქეთინომ რომ აპატიოს ოქროს, დაუახლოვდეს, იქნება მორჩეს? ჰა?.. ქეთინოს ნახვა ოქროსათვის უებარი წამალი იქნება! ღმერთო, დამეხმარე!.. შემეწიე, გამოვიხსნა ჩემი ძმა ამ ტანჯვისაგან!.. — ბუტბუტებდა მაკინე. ამ დროს მოისმა სუსტი ხვედა, ამ ხვედამ მჭრედ მახვილივით დაუარა გულში მაკინეს, მიიხედა ავადმყოფისაკენ.

— მაკო, — დაიჩურჩულა ოქრომ, — აქ მოდი! — ქალი დამორჩილდა, მივიდა. ოქრომ ხელი გამოართვა.

— ახალი ამბავი არ გაგიგია?

— რა, გენაცვალე? — ოქროს უნდოდა რიღაცის თქმა, ამ დროს მოუარა ხვედამ, კარგახანს სული ველარ მოიბრუნა.

— ის მოსულა! — ბოლოს ძლივს მოახერხა დალაპარაკება.

— ვინ ის?..

— ქეთინო. არ წაიკითხე გაზეთი?

—ოქრო, გენაცვალე, მითხარი, გინდა მისი ნახვა? — ოქროს სახე მოელღრუბლა. ხმა არ ამოიღო პირველში, მერე თანდათან დამშვიდდა, გადმოხედა დას, ტუჩები რაღაც იმედით გაეღიმა...

— მაკო, მაპატიე... გულს სწყურიან, თუმცა გონება ეურჩება...

— ქეთინოს ნახვა?.. — ოქრომ თავი დაიქნია.

— ჰო, მაკო, მინდა მისი ნახვა, ისე, როგორც სიბნელისაგან სულმიხდილ ქვეყანას ენატრება მზის სხივი, მან სიცოცხლე მომიშხამა, მაგრამ მაინც ვგრძნობ ის ჩემი სიცოცხლეა და აგრეთვე სიკვდილიც...

— რახან აგრეა, მაშ ნახავ... — წარმოსთქვა მტკიცედ მაკინემ და ძმას შუბლზე აკოცა. ოქრომ გაოცებით შეხედა დას.

— როგორ, მაკო?! ის ხომ ბედნიერია! არც კი ახსოვს, თუ სადმე, ქალაქის კუთხეში მიყუდროებულ, სულშეხუთულ ოთახში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ებრძვის მისი მოთაყვანე! — ამ სიტყვების გაგონებაზე მაკინეს გაუჩნდა სხეულის მანჭვაგრეხა, თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებინა იმ დრომდე, ვიდ-

რე ქეთინოსა და ოქროს ერთად ნახავდა. მის სულს მოუთმენლად სწყუროდა ჩქარა ასრულებულიყო ეს სურვილი.

— იქნება ისიც შენსავით იტანჯება, ოქრო, იქნება მასაც ახსოვხარ, იქნება ისიც.., ნანობს თავის საქციელზე და წინანდებურად უყვარხარ?.,

— ჰა? — ოქროს თვალები გაუგანიერდნენ, ტუჩები გაეპო, იწყო ჰაერის ხშირად სუნთქვა, თითქო უნდოდა ეს სიტყვა „იქნება მას ისევ უყვარხარო", გულის სიღრმემდე ჩასწვდენოდა, შიგ სამუდამოდ ჩარჩენილიყო, მაგრამ მალე მწარე ღიმილმა შეუთამაშა სახეზე.

— ისევე ვუყვარვარ? მერე რაში დაამტკიცა სიყვარული? არამც თუ სიყვარული, მასში შებრალებაც არა ყოფილა... განა მოსიყვარულე გული მოითმენდა, შენ კი იძახი, იქნება მას უყვარხარო — გაიმეორა ოქრომ და თან ვედრებით გადმოხედა მაკინეს, უსიტყვოდ ეხვეწებოდა: მითხარი კიდევ, გაიმეორე, თუნდ მომატყუე, ოღონდ დამარწმუნე, რომ მას ვუყვარვარო. მაგრამ მაკო განაგრძობდა გაქვავებულივით უძრავად ყოფნას.

— ან რაში უნდა ვყვარებოდი? — დაიწყო ისევ ოქრომ, — ჩვენს შორის საერთო არა აღმოჩნდა-რა. თუმცა ის ხანი, რაც მას ვუყვარდი, ვეტრფოდი, ვცდილობდი ჩემი თავი დამეყენებინა იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლიდანაც ის გადმოიყურებოდა, მაგრამ ის სიმაღლე იყო წუთიერი, მოჩვენება, ლანდი, გაქრა და ისევ წყვდიადში დავრჩი! ღმერთი, ციური მშვენება გაფრინდა ისევ ზეცას; იშვიათმა ჭეშმარიტმა ღირსებამ ჩვეულებრივი სიკვდილის შვილთან აღარ დააყენა; დაკარგულმა ნეტარებამ, ხალხის უმადურობამ ძირს დასცა მაღალი აზრების და შრომისაკენ შემფრინავი სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცი. რამდენი ღამე გამითენებია იმ ოცნებით, თუ ბოროტებას როგორ შევეჭიდებოდი, ხელში ვიგდებდი, გველსავით გავსრესდი! მძაგდა ტრაბახი, ბაქიაობა და დღეს კი მისი ადგილი მევე დავიჭირე? რისი ღირსი ვარ? რასაკვირველია, დამცირებისა, ზრახვისა და შეჩვენებისა... მამული, რომელიც მსახავდა საქართველოს შვილად, დამეკარგა; სიყვარული, რომელიც ჩემში განამტკიცებდა აღფრთოვანებულ ხელშეუხებელ გრძნობა-სურვილთა, წამერთვა; სამაგიეროდ გულში დამიტოვა სამსალა; უწყალო ხვედრმა გარდამაქცია მცირე მავნე ჭიად, რომელიც დღეს თუ ხვალ გავქრები... ქეთინო? ჩვენი ქვე-

ყნის სიქადული ქეთინო, კი პირდაპირ თვალებში თამამად უყურებს ყველა თანამემამულეს და ეუბნება:

— მე ვარ თქვენი ძალა, მე ვარ თქვენი მნიშვნელობა. უარი ვყავი ულირს მატლზე, რომელიც ახლა იტანჯება, მაგრამ მე მას მაინც ყურს არ ვათხოვებ, რადგან შემცოდეა ქვეყნის წინაშე. მაშ იმ ქეთინოს რად ვეყვარებოდი და ან მეტადრე ახლა რაღად ვეყვარები, მაკო? — მაკინეს თვალები ძირს დაეხარა, გაფითრებულს ტუჩები უთრთოდნენ, მსხვერპლის გმინვა ეჩვენებოდა ზეციდან მოვლენილ განჩინებად. სად იყო მაკოს წინანდელი ამაყი გრძნობა? სად იყო ის გაქვავებული, თავმოყვარე გული, რომელიც დაპარაკობდა ოდესმე:

„რა მენაღვლება, იტანჯეთ, ოღონდ მე კი კმაყოფილად, დიდებულად ვიცხოვრო". არა, ამჟამად მაკინეს გულს გარს შემოცრეცოდა, შემოდნობოდა ყინული, შეუბრალებლად იგმირებოდა. ოქროს თვითეულ დაჩივლებაზე ის მაგრა ჩაუჭერდა თითებს რაიმე საგანს, ჩუმად ხორცს იგლეჯდა, და, როდესაც გვერდზე თავს მიიღებდა მოლაპარაკე, ის, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფრჩხილებს ჩააჭედობდა ოდესმე მშვენიერ ღოყებს და იგავავდა.

„რა ვქნა? რომელ წყალს მივცე თავი? სად, ან ვის მივმართო? ვის მოვთხოვო სულის სიმშვიდე?" უხმოდ იმეორებდა ამ დროს გულში მაკინე. მან ველარ შესძლო ოქროსთვის რაიმე ნუგეში ეცა. ის იყო უნდა კიდევაც ჩავარდნოდა მუხლებქვეშ და მოეთხოვა პატიება თავის დანაშაულზე, მაგრამ ამ დროს სხვა ხმა დასძახებდა: „ჯერ კიდევ ადრეაო!" წამოვარდებოდა, გავიდოდა მეორე ოთახში, დაემხობოდა პირქვე, გმინავდა საცოდავად, იხდაკნებოდა, ხელებს იმტვრევდა და ღმერთს შესთხოვდა სიკვდილს; მერე ისევ გაირინდებოდა, მიიღებდა გაქვავებულ სახეს და ხმაამოუღებლად დანდივით შედი-გადიოდა. ოქრო ატყობდა ტანჯვას, სწუხდა, რომ მის ავადმყოფობას ასე გაეწვალებინა ძვირფასი მაკინე, ერთადერთი მისაყრდნობი არსება, რომელიც დარჩენოდა ამ წყეულ წუთისოფელში. თუმცა განო და როსტომიც ხელს ატანდნენ, თითქმის დღეგამოშვებით მასთან იყვნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ რითიმე ესიამოვნებინათ, მაგრამ ოქრო მაინც შვებას ვერ გრძნობდა. მათი გაუთავებელი ტრაბახი, ნიადაგგამოცდილი იმედები მომავალზე კიდევაც თავს

აბეზრებდა. მას მაინც ყველას თავს ერჩია მაკინე და აღარ შორდებოდა. ახლაც შეამჩნია დას, თუ თავისი ლაპარაკი რა სიმწარეს აგრძნობინებდა, შესწყვიტა, სისუსტემაც დასძლია, მიბინარდა. საღამოზე ექიმმა კიდევ უარესობა დაატყო. მაკინე აღარ შორდებოდა, ფეხთით უწვა გაუხდელი, ძილი კი ფიქრადაც არ მოსდიოდა. როდესაც ოქროს ჩაეძინა, მაკინე დააშტერდა, კარგახანს, სისხლი თავპირში წამოაწვა, ზეზე წამოიჭრა.

— არა, მსხვერპლი! ამ ბოლო დროს მაინც თავი უნდა შევწირო... არ შემიძლიან... სიკვდილი!.. მაგრამ იქ?.. ჯოჯოხეთში?. არა... — მაკინეს სულთქმაც უძნელდებოდა. ის გამოვიდა მეორე ოთახში, გაწეწილის თეთრის თმებით, ჩამოყვითლებული, შავებში მოსილი უფრო შეშლილს დაგვიხატავდა და არა წინანდელი ქვეყნის გამაგიჟებელ ტურფას...

— რა ვქნა?.. — ქალი იხვევდებოდა აქეთ-იქით, თითქო რაღაცას ეძებსო, ხან გულთან მიიტანდა ხელს, თითქო ეს არის უნდა ამოგლიჯოს ის მძიმე ლოდი ან მოშხამული ისარი, რომელიც ანადგურებდა მის არსებას, მაგრამ ბოლოს შეჩერდა, ამოიკვნესა.

— შორს თავმოყვარეობავ!.. შორს ამპარტავნობავ!.. თქვენგან კეთილი არა მინახავს-რა, არამედ დამცირება, შერცხვენა! — ბუტბუტებდა ქალი. — მას უნდა გავენდო... ფეხებში ჩაუვარდე, შევეხვეწო, თავზე ნაცარი დავიყარო... როდის-ღა?.. — მაკინემ საათს დახედა, უკვე ღამის მერვე დაწყებულიყო. ამ დროს ოთახიდან ხმაურობა შემოესმა. წუთს გაჩნდა ძმის ახლო. ის ფიქრობდა მასზე, თუ როგორ მოეხერხებინა ქეთინოსთან წასვლა. ოქროს, მართლაც თანდათან უარესობა ეტყობოდა, მისი თავდანებება ძნელი იყო... განო კი იგვიანებდა. მას გული ეწეოდა ქეთინოსკენ და გამოუთქმელად იტანჯებოდა.

## XLIV

გაცრიაგებული ქრისტეშობისათვე მეტად გულზე სევდის ამშლელად იყურებოდა. ხან წამოუშენდა თოვლის ბარდნებს, ხან გადიკარავდა, გახუნებული მზე თვალს გამოაჭყეტდა, გაუღიმებდა სუდარამოსხმულ ბუნებას. დილის ათი საათი იყო. თავგადახუ-

ნული ეტლი გაჩერდა N-ის სასტუმროს წინ. გადმოვიდა ევროპიულად ჩაცმული ყმაწვილი კაცი. როდესაც მეკარემ დააკმაყოფილა მისი კითხვა ნომრების შესახებ, ისევ დაუბრუნდა ეტლს და წარმოსთქვა:

— ცარიელი ნომრები ყოფილა, ქეთინო! — ამ სიტყვების შემდეგ პაღიკო დიდებაშვილმა უშველა ცოლ-შვილს ეტლიდან გადმოსვლა. მალე გამოჩნდნენ მოსამსახურეები, ბარგი გადმოიღეს, წინ გაუძღვნენ საპატიო სტუმრებს, რომ შესაფერი ოთახები ეჩვენებინათ, ქეთინოს ღალღვა ეტყობოდა, ხელი მოეკიდა სამი წლის პაწაწა გრუზათმიან ბიჭისთვის. ის განუწყვეტლად რაღასაც ეტიტინებოდა. გვერდზე მოსდევდა კიდევ დედაკაცი, იმასაც ხელში ეჭირა წლინახევრის ბავშვი.

— შაღვა, გაჩერდი!.. — უთხრა ქეთინომ მოუსვენარ ბავშვს. უკანასკნელი წუთს დაემორჩილა დედას, თუმცა თვალებში ემჩნეოდა, ძალიან უნდოდა ცელქობა. ეს სრულიად უცნობი ადგილი მას თითქოს ახალისებდა.

— მგონი ამათ არა უშავთ-რა, თუ შენც დამეთანხმები, თუ არა და შეიძლება სხვაგან გადავიდეთ, — სთქვა პაღიკომ, როდესაც ისინი შევიდნენ მათთვის დანიშნულ ოთახებში.

— რასაკვირველია, არა უშავს-რა! — მიუგო ქალმა. მივიდა დიდ სარკმელთან, ქუჩისკენ გადაიხედა. ოთახები მოხერხებულები აღმოჩნდნენ, სრულიად შეეფერებოდნენ ცოლ-შვილიან კაცს, რომელიც თავისუფლად იცხოვრებდა. ყველაზე მოზრდილი, სადაც ისინი ამჟამად იყვნენ, კარგა ნათელი იყო, მოწყობილი მშვენიერი ავეჯით; დიდროვანი სარკმლები, საიდანაც შემოდიოდა საკმაო შუქი, ახალისებდნენ იქ მყოფთ. გვერდზე ერთიმეორეს მობმოდა კიდევ სამი ოთახი განსაკუთრებულის დერეფნით, კარები პირდაპირ კიბისკენ გადიოდა.

— სამი ოთახი მგონი კმაროდეს.

— მეტი საჭირო არ არის, ბევრი-ბევრი ერთი თვე დავრჩეთ, მეტი ხომ აღარა! ჩვენი გადაწყვეტილება ხომ ასეთი იყო? — უპასუხა ცოლმა.

— როგორც გინდოდეს, ჩემო სიცოცხლევ! ახლა კი წავალ რკინიგზის სადგურზე, დანარჩენ ბარგსაც მივიღებ... — დაუმატა პაღიკომ, აიღო ქუდი და გამოვიდა. ქეთინომ ფიქრიანად იწყო ყურება სარკმელში, ხედავდა გაშურებულ ეტლებს, როგორ მო-

უსვენრად, აჩქარებით მიგრიადებდნენ თოვლ-ჭყაპში. ქალი რა-ლაც ნაღველს შეეპყრო და ვერ გამოერკვია. ქეთინო დაბრუნ-ებოდა სამშობლო ქვეყანას. თვალწინ ეხატებოდა ნაცნობი ადგილები, აგონდებოდა წარსული, აღვსილი მტანჯველ სასია-მოვნო შემთხვევებით. გაითვალისწინა თავისი სოფელი, ყო-ველივე წვრილი იქ გამონაცალ-ნაგრძნობი. მოაგონდა ერთგული მეგობარი ჯერო, რომელიც დაუგლიჯეს ვიღაცის ძაღლებმა და მის ცქერაში სული დალია. ქეთინოს ისე აღარ აწუხებდა მისი სიკვდილი, რადგან უარესი მდგომარეობა გამოეცადა, მასზე ძვირფასი, სანატრელი, უმშვენიერესი არსება დაეკარგა. რა ჭკუდქვაობა გამოიჩინა მაშინ ქეთინომ ჯეროსადმი. ამ გახსე-ნებაზე ქეთინოს გული მეტად დაუმძიმდა, თავს ძალა დაატანა, ფიქრი განაგრძო.

— თეკლე როგორ არის, ან ნატო? უეჭველია, მობერდებოდ-ნენ. აღბათ რა რიგად მოელიან ქეთინოს! ისინი მაინც კარგა გაისაძლისებდნენ, რადგან მაშო შორს არ გასთხოვებოდათ, მა-რიკასგანაც ხშირად მოსდით წერილები. ქეთინომ ჩამოუარა პეტერბურგში მუღს, დაათვალიერა მისი მდგომარეობა. შაქრო-სა და მარიკას აღარც კი ახსოვთ საქართველოს არსებობა. შაქ-როს კარგი საქმე უშოვია, ვექილობს, მშვენივრად ცხოვრობს, მარიკაც გარეულა იქაურ დიდკაცებში და სრულიად გამოცვლი-და... ყველა ეს კარგად იცის ნატომ და ჯავრიც არ ექნება. მაგ-რამ ქეთინოსა და პაღიკოს კი ენატრებოდათ სამშობლოში დაბ-რუნება. ქეთინოს წარმოუდგნენ გარო, როსტომი, ნინო, პატარა შაქრო და დანარჩენნი... მაშო ატყობინებდა, როსტომს როგორ გაეყიდა მთელი თავისი მამული, შეეჭამა ფულები, დღე-დღეზე უეჭველია გრიგოლა სახლიდანაც დაითხოვდა, რადგან მას მამუ-ლებთან ერთად შენობაც ხელში ჩაეგდო... როსტომს შვილებმ უსწავლელები დაუდიოდნენ, მაშინ, როდესაც გრიგოლა მეფურად ცხოვრობდა დ—ში, დღითი-დღე იმორჩილებდა არამც თუ გლეხ-კაცებს, არამედ თვით ახლო-მახლო მცხოვრებ ბრწყინვალე თა-ვადთაც, ყველა ისინი ჩაებღუჯა ხელში, რადგან ყველა მისი მო-ვალე გამხდარიყო. ნინოც თურმე მოუთმენლად მიელოდებოდა ქეთინოს, პატარა შაქრო სასწავლებელში შეეყვანათ და პირველ მოწაფედ მიდიოდა კლასებში. ეს უკანასკნელი ამბავი მეტად ახარებდა ქეთინოს... მაგრამ რა რომ ფიქრი როსტომსა და მა-

კინეზე გადავიდოდა, შეკრთებოდა, რადგან მათ გვერდით ამოუდგებოდათ უეჭველად ოქროც, მისი აღტაცებული გრძნობა, მერე ისევ მალე ჩაქრობა, მოშორება და თავისი სასოწარკვეთილება... ქეთინომ გულზე მიიდო ხელი, მძიმედ ამოიოხრა. სად არის ახლა ოქრო?.. ღიზასაც ხელი ჰკრა, არ შეირთო, თითქო იმისთვის გადარეული იყო? მაგრამ რას ნიშნავს მისთვის სიყვარული? გადარევა? მარტო მსწრაფლ წარმავალ გართობასა!.. რას იტყვის ოქრო, როდესაც შეხვდება?.. ეს ხომ აუცილებელია, სადმე შეხვდება უსათუოდ... ქეთინოს გადაწყვეტილი აქვს ყურადღება არც კი მიაქციოს. ან არა და მოეპყრობა ისე, ვითომც მათ შორის ნაცნობობის გარდა არა ყოფილა-რა, ეს უკანასკნელი უფრო სულგრძელობა იქნება... ოღონდაც... ქეთინო ქმარშვილით კმაყოფილია, აგრეთვე სახელით... რა საქმე აქვს ოქროსთან, ან პეტრესა და ივანესთან? ქეთინოსთვის ყველანი ერთნი არიან.

„მართლა?.. — გაბრძოლებით შეეკითხა გული გონებას... — ნუთუ მართლა?..“ — პასუხი არავინ მისცა. ქეთინო გაფითრდა, მიიხედ-მოიხედა. დაინახა მოსამსახურეები და დედაკაცი როგორ ეზიდებოდნენ ოთახში ბარგს,, პატარა შადვაც იქვე დაცუცუნებდა. პაწია ქალს იქვე დივანზე მისძინებოდა ანგელოზის სახით, მარტო ხანდისხან დააცმაცუნებდა დედის მინაგვარ ჭიაფერ ტუჩებს. ქეთინოს მოაგონდა, რომ სულით და გულით, მთელის თავისის არსებით ეკუთვნოდა ამ არსებათა, ეკუთვნოდა თავშეწირულ, პადიკოს, ხელოვნებას. ღონეშეძენილმა გონებამ შებღვერით წარმოსთქვა:

— ოღონდაც, რომ მართალია! მართლადაც პადიკო ღირსაა ქეთინოს ერთგულებისა. რა მოხერხებით და თავშეწირულებით იხსნა ის უმეცრება-უბედურობისაგან, გამოსტაცა კლანჭებიდან, გაიტაცა იქ, სადაც ნიჭსა და გონებას გზა გაუკვლევია. უზომო მადლობასა გრძნობდა გულში ქეთინო, როცა გამოფხიზლდა მშვენიერ უცხო ქვეყანაში. იქ თანდათან დამშვიდდა. გააყრუა გრძნობა, მთელი საკუთარი სურვილი თუ ფიქრი და ღონე ზედ შეალია ნიჭის წვრთნას. ქეთინო და პადიკო ცხოვრობდნენ უფრო მეტხანს პარიზში. მოიარეს იტალია, მერე ისევ გაემართნენ საფრანგეთში, სადაც დაჰყვეს მთელი ის ხანი, ვიდრე სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. საუკეთესო ადგილებში პადიკომ მი-

იწვია გამოჩენილი მასწავლებლები ქეთინოს ნიჭიერების გასავითარებლად. დაიახლოვეს ორიოდე ოჯახი და შრომაში ატარებდნენ დღეებს. ისინი, თუმცა მოშორებოდნენ სამშობლოს, გულით მაინც მასთან იყვნენ, იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს და მახლობლებთან მიწერ-მოწერა გაემართათ, ისე რომ ყოველი წვრილი მშობელი ერის ცხოვრებისა იცოდნენ, თუმცა ქეთინო იშვიათად იგებდა ოქროს ამბავს. ის პატივისცემით უყურებდა პალიკოს, რომელიც არ აწუხებდა ეჭვიანობა-მოთხოვნილებით, არამედ ცდილობდა ქეთინო ყოფილიყო მისი არამც თუ მარტო ცოლი, არამედ გულახდილი მეგობარი, რომ თავისუფლად შესძლებოდა გაეზიარებინა თავისი გრძნობა, თუნდ ეს უკანასკნელი მისი საწინააღმდეგოც ყოფილიყო. ამ საქციელით პალიკო მეტად განამტკიცებდა ქეთინოში თავისადმი ერთგულება-სიყვარულს, მაგრამ მაინც არ შეედრებოდა იმ თაყვანება-მისწრაფებას, როგორიც გამოეცადა ოქროსადმი. ქეთინო ამაოდ ცდილობდა გაექრო ის გრძნობა. ორი წლის შემდეგ შევიდა მხატვრების უმაღლეს სასწავლებელში. ქეთინოს ნიჭი ავიდა იმ სიმაღლემდე, რომ მისი ნახატი ჩაერია პარიზის გამოფენაში, ითვლებოდა წარჩინებულ მხატვრად და მისით ამაყობდნენ თანამოძმენი. ქეთინოს უხაროდა, პალიკოს ხარჯშიაც შეიძლო მხარში ამოსდგომოდა, რადგან ნახატების წყალობით ხშირად ნივთიერადაც ჯილდოვდებოდა. პალიკომ და ქეთინომ გაუჭირვებლად შეიძლეს დაკმაყოფილება თავიანთი გონების მოთხოვნილებისა. პალიკოც გარემოებით სარგებლობდა: სწავლობდა მას, რაც კი შეეხებოდა მრეწველობას, რომ გამოეყენებინა თავის სამშობლოში, თვალყურს ადევნებდა სწავლა-მეცნიერებასაც, რომ განათლებული, ჭკვიანი მეუღლე უფრო ღირსეულად ეცნო და დაეფასებინა. მათ შეეძინათ ქალ-ვაჟი. ქეთინოს სინდისს დამშვიდებით ეძინა. თუმცა ისეთი ბედნიერი არ იყო, როგორც წარმოედგინა თავისი თავი ოქროსთან, მაინც კმაყოფილებას გრძნობდა.

უხაროდა, რომ მისი ხასიათის სიმტკიცემ შესძლო გამკლავება საშინელ წამებასთან, წმინდა მოვალეობას სამსხვერპლოდ თავი დაუდო. ქეთინო გარეგნობითაც შეიცვალა, მშვენიერ სახეზე გამოეხატა საპატიო ჭეშმარიტი მანდილოსნის მეტყველება, მნახველს მორჩილება-მოწიწებას აგრძნობინებდა. თუმცა დიდი ხანია უნდოდათ მათ საქართველოში დაბრუნება, მაგრამ

დღემდის ვერ შესძლეს, საქმეები ხელს უცარავდნენ, პაციკოს თუმცა გაეგონა ოქროს გაღარიბება და ავადმყოფობაც, ქეთინოს არას უმხელდა, იცოდა, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მაზე, რომელიც ქვეყანას ერჩივნა. წამოსვლის დროს კი თანდათან, ნელ-ნელა შეაჩვია. ხან ეტყოდა, ოქრომ წააგო შეძლება, რაც კი ჰქონდაო, ხან დაუმატებდა, რომ გაციებულიყო და ცოტათი ავადმყოფობდა, ხან, როდესაც დაატყობდა, მის გულახდილობას გადაეჭარბებინა, მალე შეასწორებდა, იმით, რომ ოქრო უკეთ გამხდარიყო, და ქეთინოს გულში რჩებოდნენ მისი ცხოვრების ცოტაოდენი ცნობანი. აგერა, ქეთინოს მგზავრობას ბოლო მოეღო, გულს ნაღველი შემოაწვა, სასტუმროში დგას, ოცნებობს. აზრები ერთიმეორეს ეჯახებიან, არ აძლევენ მოსვენებას. ამასობაში განვლო ხანმა, ქეთინო გამოერკვა, როცა მოვიდა პაციკო, ოთახში ატყდა წინანდელი რახა-რუხი ავეჯის დადაგებისგან. ქეთინომ მოიხედა, იმ დროს მუშებს შემოჰქონდათ ჩარჩოებში ჩასმული ნახატები. შემოიტანეს ოქროს დიდი სურათიც, თითქო განგებ წინ დაუდგეს. ქეთინოს გააჟრჟოლა. რანაირად მოქმედებდა ამჟამად ეს სურათი ქალზე! მშვენიერი ვაჟკაცი ღიმილით გამოჰყურებდა ქეთინოს, ღურჯ თვალებს გულში აწვდენდა. მოეჩვენა, თითქო კიდევაც შეინძრა, დასძრა ბაგე და დაიჩურჩულა:

„გამარჯობა, ჩემო საამქვეყნო დიდებაო!" — ამ სურათს ქეთინოზე ამისთანა ძალა არასდროს ჰქონია, თვით მაშინაც, როდესაც დახატა და წინ დაიყუდა სალოცავად. რამდენი ხანი გავიდა მას აქეთ, ამ სურათს შეეჩვია ქეთინო, თუმცა გრძნობდა, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს, მარტო დღეს ცხადად წარმოუდგა, მართლაცდა პირველი და უკანასკნელი თაყვანება, რომელიც არ მიიმართებოდა აღარც ერთ სიკვდილის შვილისკენ. ქეთინოს რომ მოეშორებინა ეს გაუძლისი ნაღველი, პაციკოს მოუბრუნდა:

— ეგ იქით ოთახში შეიტანე... დანარჩენი ბარგი?

— შენ წარმოიდგინე, ხვალამდის ვერ მივიღებთ, — ქეთინომ მოხვია მკლავები პაციკოს, გულზე მიენდო და გადმოღვარა ცრემლები. პაციკო, შეშინდა, დაუჭირა ორივე ხელით თავი, გადაუკოცნა სახე, თან ჩაეკითხა ზრუნვა-შეშფოთებით:

— რა იყო, შენი ჭირიმე? ხომ არა გაიგონე-რა? ან ავად ხომ არა ხარ, ჩემო ანგელოზო?

— არა, დავიღალე... თითქო გულის სისუსტეც მომდის.

— დაისვენე, გენაცვალე, აი დღეს დავდაგდებით სრულებით და მერე აღარა შეგაწუხებს-რა. — ქეთინომ კალთაში ჩაისვა შადვა, დაუწყო ალერსი, თავის ნახატებსაც დააშტერდა, მაინც ვერ მოიშორა მაცდური სულის ლონება, თავს ძალა დაატანა, მოიკრიბა სიმხნევე, შეუდგა ოთახების დალაგებას,... გავიდა დღე, მეორეც ზედ მოჰყვა. ქეთინო არა ჩქარობდა არც არავის ნახვას, არც არავის მიღებას, მას ებრძანებინა მსახურებისათვის, ვინიცობაა მოსულიყო ვინმე, ყველასთვის ეთქვათ, რომ ბატონები შინ არ იყვნენ. ქეთინო გრძნობდა გულის დიდი ხნის დავიწყებულ ტკივილს. უნდოდა, თავს ძალას ატანდა ქმარ-შვილში მიელო სალბუნება. ჩაუჯდა ხატვას, ისიც ხელიდანვარდებოდა. რაკი პალიკო დარწმუნდა, რომ ქეთინო დაღალვის გამო გრძნობდა უგუნებოდ ყოფნას, დამშვიდდა, იწყო ნაცნობებთან სიარული,. სახლში კი ჯერჯერობით ვერ მოეწვია ისინი, ეშინოდა, ქეთინო მეტად არ დაქანცულიყო. მესამე დღეც გათენდა. ქეთინოს მოუსვენრობა უფრო მწვავდებოდა, ღამე ძილი უკრთებოდა, არა შორდებოდა ოქროს მშვენიერი ცოცხალი სურათი, საკითხი, თუ როგორ არის მედიდური მაკინე? ან რას იტყვის, როდესაც ნახავს დიდება სახელმოხვეჭილ ქეთინოს? ნუთუ კიდევ დასცინებს, იუკადრისებს? გუშინ პალიკომა სთქვა: ოქრო ბანკში მსახურობდა და ახლა კი უქეიფოდ არისო. მაშ ქეთინო და ოქრო სუნთქავენ ერთსა და იმავე ქალაქის ჰაერით? მერე, რას ამბობს მაკინე? განა არ უწყრება ამ ჰაერს? ნეტაი თუ გაგებული აქვს ოქროს ქეთინოს მოსვლა? უეჭველია... აკი გაზეთშია მოხსენებული! სადა დგას? რომელ სახლში? შორს არის აქედან? რა სისულელეა? რაში ეკითხება?! არა, მაინც საყურადღებოა ქეთინოსთვის.. — ქალი დასუსტდა ამდენი ფიქრებით. ბავშვებს ეძინათ. პალიკო შინ არ იყო და ქეთინოს მარტოობა უფრო უცხოველებს ამ აზრებს. ამასობაში კიდევაც დაღამდა, მსახურმა აანთო სანათი. საათმა რვაჯერ დარეკა.

— სად არის პალიკო? — გაიფიქრა ქეთინომ, აიღო ხელში წიგნი და ჩამოჯდა დივანზე, მაგრამ წიგნისა არა ეყურებოდარა. ლოდინს ბოლო მოეღო, პალიკო მოვიდა. ქეთინომ შეამჩნია

ფარული მოწყენილობა, აჩქარებული ნაბიჯით მოჰყვა ოთახში სიარულს. ებრძოდა უჩვეულო აზრებს, სურვილს. ქეთინოც არ ჩააცივდებოდა ხოლმე პალიკოს, მეტადრე მაშინ, როცა შეატყობდა, თუ როგორ ეძნელებოდა რისიმე თქმა.

„რა ნება მაქვს ვათქმევინო ის, რის თქმაც არა სურს? ეს მეტისმეტი თავმოყვარეობაა!" იტყოდა ქეთინო და ჩუმდებოდა, ან ვითომც არ შეამჩნევდა თუ მისვედრილი იყო რამეს, ცნობისმოყვარეობა კი მასვე ნებას არ აძლევდა.

ქეთინო არა სცდებოდა, პალიკოს შეეტყო გიორგი შრომაშვილისაგან ოქროს უკანასკნელ დღეში ყოფნა, მას ეამბნა დაწვრილებით რანაირად იტანჯებოდა ოქრო ქეთინოს სიყვარულით და, უეჭველია, უკანასკნელ წუთებში ქეთინოს ნახვა გატანჯულ წუთისოფელს სამოთხედ დაუმთავრებდა. გაოცებულ პალიკოს ვერ მოეაზრა, თუ რას ნიშნავდა მისი საქციელი ქეთინოს წინაშე? გიორგისაც ჯეროვნად ვერ დაეკმაყოფილებინა ეს საკითხი, რადგანაც არ იცოდა; ოქროს მასთან ამ საგანზე არა ეთქვა-რა. პალიკო, როგორც თავშეწირული პატიოსანი არსება, თავს მოვალედ რაცხდა ეჩვენებინა მომაკვდავისათვის ქეთინო და თვითონაც ენახა, მაგრამ როგორ მოეხერხებინა? ამ რაზე შეფიქრიანებულიყო და სწუხდა პალიკო. .ის ჩქარა წამოვიდა ქეთინოსკენ, რადგან დრო საშური იყო, ექიმისა და მნახველების აზრით, ოქროს სიცოცხლის საათები უკვე დათვლოდა, მაგრამ როგორ გაემხილა ქეთინოსთვის? დაემალა, თავი მიენებებინა? მერე ქეთინო ხომ მაინც გაიგებდა და მაშინ პალიკოს ეჭვიან თავმოყვარედ ჩასთვლიდა. არა, ვერც აიტანდა ქეთინო ოქროს სიკვდილის უეცრად გაგონებას და მის უნახაობას.

— სად იყავი. პალიკო? — ჰკითხა ამ დროს ქეთინომ და წიგნი გვერდზე გადააგდო.

— გიორგი შრომაშვილთან.

— როგორ არიან?

— ძალიან კარგად. ჩინებული ცოლი შეხვედრია და ბედნიერად ცხოვრობენ... გიორგი გულმოდგინებით ჩასჯდომია თავის საქმეებს, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას..., შენა, გენაცვალე, ხომ დაისვენე?

— დავისვენე, მაგრამ მაინც ვერა ვარ კარგად, გული რაღაც-

ნაირად შემომკვნესის, — უპასუხა ქალმა და შეხედა პაღიკოს, რომელსაც სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— ხანდისხან მოხდება ხოლმე ეგრე, როცა ვთქვათ, კარგი ნაცნობის ავადმყოფობა, ან ზარალი მოგვეღის, — ძლივს დაათავა ყმაწვილმა კაცმა, იგრძნო კარგად ვერ მოუვიდა სიტყვა, მაგრამ რაღას იზამდა, წარმოთქმულს უკან ველარ დაიბრუნებდა.

ქეთინოს შიში დაეტყო, ხელი გამოართვა, ქმარს და დაკვირვებით მიაჩერდა. იმანაც უკან აღარ დაიწია.

— პაღიკო, ეგრე გადაკვრით ნუ მელაპარაკები! უსათუოდ ცუდი რამ გაგიგია დედაჩემზე, დებზე... ან... ან მახლობელ ვიზელმე.

— ჩვენი მშობლები ამ დღეებში აქ ჩამოვლენ... როსტომი ვნახე, აპირებდა სოფელში წასვლას, მაგრამ დარჩა... იმისი წასვლა ახლა აღარ შეიძლება... წერილი ფოსტით გავგზავნე...

— რად დარჩა როსტომი? უსათუოდ მამულების შესახებ...

— არა, როსტომს მამულები დიდი ხანია მოუნელებია, ფულიც მთლად შეუჭამია... არა, ჩემო მეგობარო... ის დარჩა...ოქროს ავადმყოფობის გამო...

— განა კიდევ ავად არის? — იკითხა ნელის ხმით ქალმა. გულმა საგრძნობლად გაიბრძოლა, თვალები ძირს დახარა, პაღიკოს ხელში მყოფი მისი ხელი ათრთოლდა და მოშორდა მოალერსეს, სახე გაუყვითლდა.

— ავად არის... — მიუგო ნაღვლიანად პაღიკომ.

— მერე? — ოდნავის ჩურჩულით წარმოსთქვა ქეთინომ.

— მერე... მე მოვედი, წაგიყვანო, განახვო...

— პაღიკო! — უცბად შეჰკივლა შეშინებულმა ქეთინომ და დაიწყო ცახცახი, თან ვედრებით მიაშტერდა ქმარს, რომელიც ამაზე ნაკლებ არ აღელვებულიყო.

— ჩემო მეგობარო, შენ უნდა ნახო, ის... მოვალეცა ხარ...

— მოვალეც?.. პაღიკო, შემიბრალე!..

დიდი ხნის შეგუბებული ვარამი ველარ მოუთავსდა გულში, იქცა ცრემლის ნაკადად, გადმოსკდა თვალებიდან. ქეთინო ქვითინებდა, პაღიკო უძრავად იდგა ერთ ადგილას მიღურსმულისავით, ანგარიშმიუცემლად განაგრძობდა.

— დამშვიდდი, ნუ გავიწყდება, რომ კაცი სატანჯველად არის გაჩენილი!

— ნუთუ შენ მავალებ ოქროს ნახვასა, პაციკო? — წარმოს-თქვა ქალმა, რომელსაც შეიძლო დაელაპარაკება. ის მზად იყო აღარ დაეცადა ქმრის პასუხისთვის, გაქცეულიყო ოქროსკენ, გულში ჩაეკრა და მასთან ერთად მიგებებოდა სიკვდილს, მაგრამ, რომელსაც წარმოუდგებოდა მისგან თავდანებება, სიყვარულზე უარისყოფა, შემდეგ პაციკოს ასეთი უჩვეულო თავშეწირული დავალება, უსათუოდ ენახა ოქრო, თითქო ფრთებს აკვეცდნენ ამ სურვილს, სინდისი გაღვიძებულიყო და ჩასძახოდა: „რა ნება გაქვს, ან უფლება ნახო ის?.. რა პასუხს აძლევ ქმარ-შვილს?.. არა,, ქეთინო, არა, შენი გადაწყვეტილება ასეთი იყო, თავშე-წირული მეუღლე და დედა უნდა ყოფილიყავი... შენ კი გინდა წასვლა!"... გული კი ამავე დროს დაჟინებით მოსთქვამდა:

„ოქრო ავად არის?.. ოქროს დავშორდები?.. მწყურიან მისი ნახვა... რა ვუყოთ, რომ აღარ ვუყვარვარ, აღარ ვუნდივარ... მაგიერად მე მიყვარს, მაზე ვლოცულობ!.. მეყო ამდენხანს სულ-შეხუთვით ყოფნა, მეყო ის მარწუხები, რომლებიც მომიჭირე და გამაყრუე!.. გაყრუება და გაქრობა ერთი არ არის... თუ გეგო-ნა ხმას აღარ გავიღებდი?.. ტყუილად... უცხო მხარიდან ვიღტ-ვოდი ჩემს სამშობლოში, სადაც ვიგულებდი მაცოცხლებელ იმედს და ის ავად არის?.. მაშ, მეც იმასთან მინდა სიკვდილი. იმასთან გაქრობა!.."

— თავი ანებე სისუსტეს, გული გაიმაგრე! გონებას დანებდი, ყური უგდე! — განაგრძობდა პაციკო.

— გონებას დავნებდე და იქ წავიდე?.. ოხ, არ შემიძლიან! — ქვითინებდა კვლავ ქეთინო.

— მაშ აღარ გიყვარს?..

ქალს გააკანკალა ამ კითხვაზე.

— ხომ ვიცი, რომ გიყვარს, დარწმუნებული ვარ. მაშ თავს რაღად იტანჯავ?.. იმასაც იამება...

ქალი უფრო ეწვალებოდა, რადგან ხედავდა პაციკოს თვალები ჩასწვდენოდნენ გულის სიღრმეში და ყოველივეს ხედავდნენ...

— შენ ეგრე გგონია!.. არა, პაციკო, მე მას ვეჯავრები. იქ-ნება კიდევაც ეწყინოს... შენ კი ჩამციებიხარ, ნახეო, — ქალი ვედრებით უყურებდა და უსიტყვოდ შესთხოვდა: ღვთის გულ-სათვის, მალირსე მისი ნახვა. პაციკო მიხვედრილიყო ამ სურ-ვილს და დაჟინებით ჩასციებოდა. ქეთინო უფრო ადვილად გა-

დასწყვეტდა, პაღიკო რომ სასტიკად გაწინააღმდეგებოდა. გაჭირვებულმა გრძნობამ თავისი გაიტანა და კარგა ბრძოლის შემდეგ ქეთინო დაათანხმა. ის რამდენისამე წამის შემდეგ თითქო გახდა, გაფითრდა, პაღიკო ნაღვლიანად თვალს ადევნებდა ქეთინოს აჩქარებულ ანგარიშმიუცემელ მოძრაობას. ის იცვამდა ცისფერ კაბას, რომელშიაც პირველად ენახა ოქროს. პაღიკოს გული უნებურად სიშურისა და ეჭვიანობის გამო ნაჭერ-ნაჭერად ეკემსებოდა.., მაგრამ მაინც იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, განეზრახა ცოლი მიეცილებინა სახლის კარებამდის, თვითონ წასულიყო გიორგისთან და იქიდან გამოვლაზედ წაეყვანა შინ ქეთინო, რადგან თვითონ იმ დროს მეტი იქნებოდა. თუ კიდევ დრო დარჩებოდა, შეიძლებოდა ცადკე ენახა... რამდენსამე ხნის შემდეგ ქეთინო და პაღიკო ეტლში ჩასხდნენ. ქეთინო გაშტერებით იყურებოდა, ხელსახოცით მალიმალ იწმენდავდა თვალებში მორეულ ცრემლებს.

## XLV

ექიმისგან მიცემულმა წამალმა დაამშვიდა ოქრო, ჩაეძინა. მაკინემ ისარგებლა ამ შემთხვევით, მოაყვანინა ეტლი, დაუბარა მსახურს მალე დაბრუნდებოდა და თუ ბატონი იკითხავდა, შეეტყობინებინა, რომ ის წასულიყო განოსთან, და გასწია თავის განზრახვის ასასრულებლად. ოქროს ეძინა, როდესაც მაკინე გავიდა, მაგრამ რამდენისამე წამის შემდეგ ისევ გამოიღვიძა. საშინელმა მწვავმა სიცხემ ნება აღარ მისცა მოესვენა. ოთახს მიავლ-მოავლო თვალი, ეძებდა მაკინეს, ის არა ჩანდა. ფანჯრის იქით, ცეცხლისპირას ისხდნენ ბესო და დედაკაცი, ხმადაბლა რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

— ბესო, — სუსტად წამოიძახა ოქრომ. ბესო მსწრაფლ გაჩნდა მასთან. — მაკინე სად არის?

— კნეინა, ბატონო, გაიანესთან წაბრძანდა, დამიბარა, ახლავე დავბრუნდებით ერთადაო. თუ გნებავთ რამე, ჩვენ გვიბრძანეთ. — მორჩილებით უთხრა ბესომ.

— შენ არ შეგიძლიან ასრულება... ძალიან ავად ვარ! გაიანესთან რისთვის წავიდოდა, ხომ არ დაუბარებია?

— რა მოგახსენოთ, ასრე კი მოგახსენათ-და.

განა ამ დროს მაკო უბრალოდ თავს დამანებებდა! განო ხომ არ გამხდარა ავად? მაგრამ ჯერ ორი საათი არ არის მას აქეთ, რაც ორივ ცოლ-ქმარი აქ ისხდნენ... ასე უცბად რა დაემართებოდა?! ოქროს მღაგონდა გაყვითლებული, ტანჯული სახე მაკინესი, მისი გადაწყვეტილი პასუხიც: ოქრო, გარწმუნებ, შენს მას ნახავო... იქნება იმასთანაც წავიდა!.. არა, ქეთინოსთვის ოქრო მეტია, ულირსია, ის ბედნიერია ქმარ-შვილით, რად უნდა განგებისაგან მოტყუებული მომაკვდავი! ოქრო მეტად აღელდა, მისთვის ყველა დაიკარგა, მარტო გიორგი და ისიკო თავს არ ანებებენ, ხშირ-ხშირად დადიან, ხან წიგნებს უკითხავენ, ხან ებაასებიან... სულ ერთსა და იმავე საგანზე... თავიანთ სურვილებს და მოქმედებას წინ უშლიან... მერე რა შეღავათია ოქროსთვის, რომ ისიკო მასწავლებელია და მისი შრომა ჩინებულ ნაყოფს იღებს? მაგრამ რატომ? ცოტათი მაინც... როგორც ქვეყნის მოყვარული პირისათვის. მაგრამ ოქრო ასღა ის აღარ არის, რაც იყო წინათ. არა, ყველა მობეზრებია. ტიტიკოს წერილი მოუვიდა. ის აპირებს ჩამოსვლას დღე-დღეზე, ნეტა როგორ შეხვდებიან მაკინე და ის ერთმანეთს?

მაკინე აღარას ამბობს, თითქო კიდევაც უნდა მისი მოსვლა! მასაც მოსწყინდა უსიამოვნება, არჩია აპატიოს ჩემსავით ყველას დანაშაული. დიაღ, სვიმონი და დარისპანი ქუჩაში შეხვედრის დროს გზას უქცევდნენ, თითქოს პირიქით, ის ყოფილიყვეს მათთან დამნაშავე.

„გიყვარდეს, შვილო, ყველა ისე, როგორც შენი თავი, გაუფრთხილდი ყველას, როგორც შენ გიფრთხილდებიან"-ო, ერთ დროს ჩასძახოდა დიდედა მაგდანი... მერე ვინ უფრთხილდება ოქროს მაკინეს გარდა? ტიტიკო? ქეთინო? ამხანაგები? საზოგადოება? რა არის სიცოცხლე და ცხოვრება? ვინ დღესასწაულობს დღევანდელი დღით. შორს ამგვარო ფუფუნებავ! დაე, ოქრო მოკვდეს, ამსრულებელი ძვირფასი დიდედის მოძღვრებისა. მას უყვარდა ყველა, ყველას უფრთხილდებოდა და ამ ყველამ არ იცნო ის. ოქროს სპეტაკი სული მიეგებება მაგდანს სასუფეველში, შესჩივლებს სოფლის უმადურობაზედ. საწყალი მაკო! რა უბედური დედაკაცია! რა იყო მისი წარსული და როგორია აწმყო? მაკო უფრო შესაბრალისია, რადგან დაჰკარგავს თავის ერთადერთ ნუგეშსაც. როგორ გასძლებს? მაგრამ ტიტიკო რომ მოვა,

ის სთხოვს ძმას, იკისროს და მაკინეს ოქროს მაგივრად უპატრონოს. ოქრომ კვლავ თვალი მოავლო ოთახს. დედაკაცი და ბესო იქ აღარ იყვნენ. ოთახი, სადაც იწვა, კარგა ფართო სჩანდა, სარკმელები უყურებდნენ ქუჩას, საიდანაც მოისმოდა. ეტლების გრიალი და ხალხის ჟრიამული... კუთხეში, პატარა მაგიდაზე იდგა ლამპარი, ცისფერ აბაჟურჩამოფარებული, მთელს ოთახს ეფინებოდა მკრთალი შუქი, რასაც უერთდებოდნენ სარკმლიდან შემომყურე მთვარის სხივებიც. ოქროს ეჯავრებოდა ღამე სარკმლის დარაბის დახურვა. შეჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, რომელზედაც აქა-იქ მისცურავდნენ თეთრი მსუბუქი ღრუბლები. მათ მიაშტერდებოდნენ ოქროს ალგზნებული თვალები, ვიდრე დაიღლებოდნენ. შემდეგ გადავიდოდნენ სხვა საგანზე. ოქროს თავი სადღაც უცხო ქვეყანაში ეგონა. ყურში ურეკდნენ. აგერა, ავადმყოფს გაოცება დაეტყო. იცოდა ოთახში იყო, მაგრამ თვალს სხვა სანახავი ეჩვენებოდა, ყურშიაც სხვა შეესმოდა. კედლის საათს ჩაკა-ჩუკი გაჰქონდა. ოქროს ეს ხმიანობა სამოთხიდან მოტანილი საკრავის ჰანგებად ეყურებოდა. შუა ოთახში ჩამოკიდებული ჭაღის ჯაჭვებზე დაინახა ორი თეთრი მოძრავი რაღაც,, ეს რაღაცეები გაიზარდნენ, მიიღეს ფრინველთა სახე, ღუღუნებდნენ, ეალერსებოდნენ ერთიმეორეს. ჭაღის ბროლის ინსილები ბრწყინავდნენ ათასფრად, თითქო ვერცხლის მსგავს მდინარის სახეს იღებდნენ და ედემის ფრთოსანნი შიგ ბანაობდნენ. ოთახი განათებული იყო მოწითანო შუქით. ოქროს შეუმჩნევლად შემოპარულიყვნენ სარკმლიდან მოჩინარი ღრუბლები, ყოველ საგანს გარს ეხვეოდნენ, სცურავდნენ. ავადმყოფი დასტკბა ამ სურათით, მოიხიბლა, მოილაღა. მისუსტდა და ჩათვლემას ლამობდა. ღრუბლები კი თანდათან გახშირდნენ, შეიკრიბნენ, შეიკუმშნენ, მერე იწყეს კვალად ნელ-ნელა შლა: რამდენიმე წამი კიდევ და ოქრომ დაინახა ახალგაზრდა ქალი ცისფერ ტანისამოსში, ბეჭებზე დაშვებული ნაწნავით, ის ულიმოდა, ხელს უშვერდა, თავისკენ იწვევდა. ავადმყოფი მიაშტერდა, იცნო მშვენება, ციური ანგელოზი ქეთინო. ქალი ხელით უგზავნიდა კოცნას, ეს კოცნა აქამდის აღარ მოდიოდა, არამედ მათ შუა ჩამდგარიყო ბურუსი, რომელიც ხარბად ისუტავდა. მისგან ცოტა მოშორებით გამოჩნდნენ მაგდანი, ვანო. ოხ, რა კარგი იყო მათთან! ოქრო თავს მხიარულად გრძნობდა. მოჩვე-

ნებათა იწყეს ნძრევა, უკან დაიწიეს; ღრუბლები ისევ შეიკუმშნენ, მათში ამოიმართა მაკინეც თავისის სიმშვენიერით. ის უთითებდა მას საითკენღაც, ოქროც მის ზეგავლენის ქვეშ იხედებოდა. სანახავი მსწრაფლ შეცვლილიყო. ქეთინოს გვერდით ამოსდგომოდნენ ტიტიკო, თადეოზ, ესტატე, სვიმონ და მრავალი მისი ჯურის ხალხი... საშინელი შესაზარის სახეების მქონენი... უმანკო ქეთინოს ხატება გადაქცეულიყო რქებიან ქაჯად...

— შორს, მოჩვენებავ!.. შორს, ტარტაროზებო!.. — ამოიკვნესა ავადმყოფმა, თვალებზე ხელი მიიფარა. მართლადაც, წუთს ყველა განქრა, ნაცვლად წინ წამოდგა სინამდვილე, ხველამ მოუარა. იძულებული გახდა თავი წამოეწია, ნახველი ამოელო.

— დაიცა, ოქრო, მე მოგაწოდებ... — შეესმა ამ დროს ხმა, თავდალუნულმა ავადმყოფმა მთრთოლვარე ხელი წაავლო მკლავში მოლაპარაკეს... მას ისევ თვალწინ ედანდებოდნენ მოჩვენებანი, მთელის სხეულით ცახცახებდა....

— მაკო, ხომ მარტო ხარ? ღვთის გულისთვის თავი დაანებე!.. — შესძახა სუსტის ხმით ოქრომ.

— ოქრო, აბა მაღლა აილე თავი, შემომხედე ვინა ვარ? — უთხრა აღელვებულმა ახლად მოსულმა. ოქრომ თვალები მიაპყრო, დაინახა ტიტიკო, რომელიც გაფითრებული წინ უდგა, ხელში ტასტი ეჭირა.

— ტიტიკო შენა?.. როდის მოხველი?..

— ეს არის ახლა, ჩემო ძვირფასო. როგორ აგრე მარტოდ დარჩენილხარ?

— განა ღირსი არა ვარ სრულებით თავდანებებისაც?.. შენა?.. განა მაპატიე ჩემი შეცოდება?.. აკი, ტიტიკო, მე შენი ძმა აღარა ვარ, აღარც მეზობელი. ჩემს სამაგიეროდ ვილაც უცხოელი დაგისახლე.... და შეიძლება ჩემგვარი ხალხის წყალობითაც გაგიმრავლდნენ იმისთანა მეზობლები, და თქვენ კი ფეხის მოსაკიდებელი ნიადაგი აღარ დაგრჩათ!.. და ამისთანა შემცოდესთან როგორ-ღა მოხველი?.. — ტიტიკო გაშტერებული უყურებდა, სიტყვის თქმას ველარ ახერხებდა, ერთი წელიწადი იყო, რაც მას ძმა აღარ ენახა, დამდურებოდა, შემოსწყრომოდა, რომ წინდაუხედაობით იმოდენა მამული ხელიდან გამოეცალა და თვი-

თონაც ღონე არა ჰქონდა როგორმე დაებრუნებინა. თუმცა ყვე-და ამას მაკინეს ასაბაბებდა, მაინც ოქროზე ბრაზობდა.

— სწორედ დაწყევლილია ჩვენი ოჯახი! არ ვიცი რა ვქნა, რა გზით ვუშველო. აქ კიდევ გაიანე და როსტომი კვალწმინდად დაიღუპნენ, დღეს თუ ხვალ პარკაკიდებულები კარებზე მოგვადგებიან... რაც უნდა იყვეს ჩვენია. მაგრამ მეც სადა მაქვს იმდენი ღონე, ცოლ-შვილს ცალკე გავუძლვე და მათაც ცალკე?! მლივს თავი ვალებიდან ამოვიშვი, ოჯახი არსებაში მოვიყვანე. ანომაც თავისუფლად ამოისუნთქა... თითქმის ბედნიერია... ახ-და ხელმეორედ ავაშფოთო, ვაწვალო?.. აქაობა მივფუშ-მოვფუშო, რას ემგვანება? — იტყოდა ეს ნაღვლიანად, როდესაც ეყურებოდა ოქროს ავადმყოფობა და თავს მოუსვენრად გრძნობდა. — მათ ჩემი ოჯახი კი არა, ათი ამდენიც ვერ გააძღობთ, მეც დავიღუპები! — დაუმატებდა, თან კმაყოფილი თვალებს მოავლებდა თავის განკარგებულ, შემუშავებულ, ამაგდებულ მიდამოს, გამშვენიერებულ, განახლებულ სახლებს, თხუთმეტი დღის ზვარს, სადაც საამოდ მოსჩანდა ნორჩი, სალი და სარგებლიანი იზაბელა... სხვადასხვაგვარი სამუშაო იარაღები, გაფერილნი შრომისაგან, მზის თვალზე ელვარებდნენ აქვე, საჩეხ ქვეშ და აგონებდნენ ტიტიკოს იმ დროს, როდესაც წმინდა, მრავალ აზრებისაგან ალფრთოვანებული ოქრო როგორ იქადდა მთელი ქვეყნის შრომისმოყვარე მუშაკად ქცევასა... ოქროს ეთქვა, ტიტიკოს განეხორციელებინა მისი სიტყვა... ტიტიკოს გული იტანჯებოდა ძმის ასეთს გაუბედურებაზე. აქამდინ ცხრაჯერაც ჩავილოდა ოქროსთან, რომელიც არ უჯერებდა და არ მისდევდა, მაგრამ არ უნდოდა მაკინეს შეხვედროდა... ანო უკმაყოფილებას არ აცხადებდა ქმრის სურვილზე მის შესახებ, თუ როგორ ეშველა თავისებისთვის, რადგან ისიც თანაუგრძნობდა კეთილ აზრებში.

— მე უნდა ვუპატრონო, მათ, მე, ტიტიკომ, რომელსაც ტუჩი ამიბზუეს, თავის თანასწორად აღარ ჩამთვალეს, რადგან გული, გონება არ გავუყრუე და მათ დუდუკზე არ ვიხტუნე?! არა, ჩემი მშველელი, ჩემი მასულდგმულებელი ტკბილი დუდუკი იყო ანოს შრომისმოყვარული ხელები, რომლებმაც მასწავლეს, ამომირჩიეს გზა ცხოვრებისა, მისმა გონიერებამ და გულმა მიმიყრდნეს და ჩამომაშორეს მავნეთ... თორემ... მეც... მე კი ცოტა

მაკლდა... ლიაღ, ანო ჩემი მხსნელია, ჩემი მესიაა და თავს შემოვევლები, რადგან თავისებურად მეც შრომის შვილი გამხადა.. მაგრამ მე მოვალე ვარ წავიდე და ვნახო ჩემი საწყალი ძმა, კიდევ შევეხვეწო, იქნება ასლა მაინც გაბედოს და მოვიდეს ჩემთან... ღმერთმა შეასრულოს ეს ჩემი სურვილი და თვით მაკინესაც შევურიგდები. დაე, ყოველივე წარსული ჩაიღუღის წყალმა ჩანთქას, აღბათ მაკინეც მოტყდებოდა, აღარავითარი ვნება აღარ შეეძლება. ეს სახლი ჩემმა ანომ აავსო საკმაო ლოვლათით და სიყვარულით, — დაუმატა ტიტიკომ, როდესაც როსტომისგან მეორე წერილი მოუვიდა, ატყობინებდა ოქრო უარესად და უარესად ხდებაო. მან წერილი მისწერა ოქროს, თვითონაც მოემზადა, ხელცარიელი არ აპირებდა ჩასვლას. აიღო რამდენიმე ასი მანეთი შემოსავლიდან და სოფლურად დაბარგულმა გამოსწია. თუმცა მაკინესთან შეხვედრა უძნელდებოდა, მაინც მტკიცედ დაადგა თავის გადაწყვეტილებას. აგერა, მოვიდა სახლთან, ბესომ კარი გაუღო, შეატყობინა, რომ შინ ამჟამად არავინ იყო, გარდა ავადმყოფისა, მაკინეც წასულიყო დასთან. ტიტიკოს იამა, ძმის პირველ ნახვაზე არავინ დაესწრებოდა. მაგრამ, რა ნახა სიკვდილის პირს მიღწეული ოქრო, წუის გაუქრა გულში მისდამი მღურვა, სიყვარულმა და სიბრალულმა გამსჭვალა, დაიმონა, ცრემლები გადმოაღვრევინა თვალებიდან; ის ხედავდა არა ოქროს, არამედ მარტო მის ლანდს, აჩრდილს.

— რა დროს მოტყუებაზე ლაპარაკია? — შესძახა გულაჩუყებულმა, — კარგა იყავი, იცოცხლე და ყველაფერი შენ გენაცვალოს! რაც იყო — იყო, წავიდა, ჩემო ძმაო, — დაუმატა ტიტიკომ და მოეხვია ოქროს, გადაჰკოცნა.

— მაშ ჩემ შეცოდებას მაპატიებ? — მაინც დაჟინებით ეკითხებოდა ოქრო.

— გაპატიებ... ღმერთმაც.., დამშვიდდი... — ტიტიკო ბავშვივით გულამომჯდარი ტიროდა, — კარგა გახდი, ჩემთან წამოდი..., ანომ დამაბარა, ამ ორ დღეში უსათუოდ უნდა ამოიყვანოვო.., თუმცა შენი მამული გაიყიდა, სამაგიეროდ ჩემი იქ დაგხვდება, შეიმუშავე, როგორც გინდოდეს, რაც აზრში მოგივიდეს, შეასრულე, ჩემო ძვირფასო! — ეუბნებოდა ტიტიკო.

ოქრო იღიმებოდა კმაყოფილებით.

— გმადლობ, ძმაო, მაგ თანაგრძნობისათვის... მაკინეს თავს

ვერ დავანებებ... ცოდოა, ნახე, რა რიგად იტანჯება და წვალობს? ახლა მაინც შერიგდით, ჯავრად ნუ ჩამაყოლებთ საფლავში.

— ოქრო, პატიოსნებას გეფიცები, მე მას შევურიგდები, ოღონდ შენ კარგად იყავი, კმაყოფილი და იცოცხლე!

ოქროს გამოუთქმელი სიხარული გამოუკრთა თვალებში და მადლობის ნიშნად ხელი გაუწოდა. ექიმიც შემოვიდა. სწორედ ამავე დროს მოსულიყო ქეთინო და სასტუმრო ოთახში ელოდებოდა ექიმის გასვლას. მან ყურადღება არ მიაქცია, როდესაც კარი შემოაღეს განომ, როსტომმა და გიორგი შრომაშვილმა; ყველას ნაღვლელი გადაჰფენოდა სახეზე. როსტომმა და გაიანემ დაინახეს ქეთინო თუ არა, ღიმილით წამოვიდნენ მისკენ, მაგრამ ქეთინომ ცივად მიიღო, ორიოდე პასუხით თავიდან მოიშორა და ისევ ჩაუფიქრდა თავის მწვალებელ გულისთქმას. მარტო ათასში ერთხელ თუ გამოეკითხებოდა გიორგის, რომელიც თანაგრძნობით უყურებდა ქეთინოს და მიხვედრილი იყო მის ფარულ წამებას. გიორგის უკვირდა, უოცდებოდა, გაგონილი ჰქონდა ქეთინოს უარი ეთქვა, ხელი ეკრა ოქროსთვის და დღეს კი სახეზე საშინელი განწირულება ეხატებოდა. ყველა აქ მყოფი ამჟამად ძლიერად გრძნობდა, პირში კი სიტყვა გასწყვეტოდათ, მარტო მოუსვენრად იყურებოდნენ ავადმყოფის ოთახისკენ, საიდანაც უნდა გამოსულიყო ექიმი. მანაც არ დაიგვიანა, გამოვიდა თუ არა, შუბლშეკრული დაეშვა სავარძელში ქეთინოს ახლო და პაპიროსს მოუკიდა. ვერავინ გაბედა შეკითხვა და სმენად გადაქცეულიყვნენ.

— საშიში ხომ არა არის-რა, ექიმო? — მოკრძალებით მიმართა ამ დროს ქეთინომ. მკურნალმა შემობლვირა ქალს, მაგრამ რა დაინახა ვედრებით შემყურე თვალები, წუთს მეტყველება შეეცვალა, მორჩილი სახე მიიღო.

— საშიში?... არა... ჰმ... — დაიწყო მან, მაგრამ ენა დაება, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება ველარ მოახერხა, ჩაჩუმდა, თავზედ ხელი გადაისვა და კვადად შუბლქვეშ გამოხედა ქალს.

— სთქვით, ნუ მარიდებთ... სჯობიან წინდაწინვე ვიცოდეთ, — განაგრძო ქეთინომ, თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებინა, მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ გაცრეცილი ტუჩები და მოელვარე თვალები აჩვენებდნენ, თუ ამ საკითხის პასუხი რა ძნელი გასაგონი იყო მისთვის.

— დამალვა შეუძლებელია, უარესისთვის მოემზადეთ... ამ ორ-სამ დღეში ყველაფერი გათავდება... — დააბოლოვა ექიმმა, გამოუშვა პირიდან კვამლი, რომელიც გორგალსავით დაეხვია, შემდეგ გაიშალა სივრცეში. ქეთინომ მიიფარა სახეზე ხელები და უძრავად დარჩა. გაიანემაც ქვითინი ამოუშვა. ექიმი კი შეუდგა წამლის გამოწერას.

— საათნახევრის შემდეგ მიეცით ხოლმე... — წარმოსთქვა მან, აიღო საჩქაროდ ხელში ქუდი, თავი დაუკრა ყველას და გავიდა. ქეთინოს ყურადღება აღარ მიუქცევია მკურნალისათვის; ის გულში სტიროდა თავის დაჩაგრულ ოქროს. მეორე კუთხეში გიორგი და ისიკო ამხნევებდნენ როსტომს, ოქრო ეზიარებინათ. მაგრამ როსტომი და განო უარზე იდგნენ.

— რას ამბობთ, ყმაწვილო, ჯერ სამი დღეა, მანამ იქნება სრულიად მორჩეს. წინდაწინ გული რაზე გავუხეთქოთ? ექიმების სიტყვები ხანდახან მტყუნდება ხოლმე, — უპასუხა როსტომმა და ფეხი გადადგა ოქროსთან შესასვლელად. სხვებმაც მიბაძეს.

— წამობრძანდით, კნეინა!.. — წასჩურჩულა გიორგიმ ქეთინოს, რომელმაც მსწრაფლ ჩამოშალა ძირს ხელები.

— ღვთის გულისათვის... ახლა არა, მე მინდა ოქროს ნახვა მაშინ, როდესაც სხვები იქ არ იქნებიან... ამათთან კი არ შემიძლიან... — მიუგებდა ჩქარ-ჩქარა ქეთინო. — ჯერ ნურას ეტყვით ჩემს აქ ყოფნაზე... თუ შეიძლება, მოახერხეთ ასე... დამავალეთ.. — დაურთო მან.

— ბატონი ბრძანდებით! — გიორგიც შევიდა ოთახში. დარჩა მარტო ქეთინო და ახლა თავისუფლად მიეცა მწუხარებას, თუმცა ცრემლი აღარა ჰქონდა... ქალმა გაიგონა კაბის შრიალი, უეცრად გაიღო დერეფნიდან შემოსასვლელი კარები და შემოვიდა—შავებში მოსილი, გაყვითლებული, თვალებგაგანიერებული, ჩამომხმარი, მაღალის ტანის, ხანშიშესული ქალი. ის პირდაპირ მიისწრაფოდა აგრეთვე ოთახისაკენ. ქეთინო შეკრთა მის დანახვაზე. უცნაურ ქალს არც კი შეუმჩნევია ის... რამდენიმე წუთი და გაისმა კივილიც...

— ნუთუ ყოველივე გათავდა? აკი მკურნალმა სთქვა, სამ დღეზედაო! — იმეორებდა ქეთინოს გარინდებული გული. შევიდა თუ არა მაკინე ავადმყოფთან, დაეცა მის წინ კვნესით და თავი დადო საბანზე... თვალები მოხუჭა, სული განაბა... ტიტიკოს

და გაიანეს შეხვედრას გამოეწვია ცრემლები. განო იჯდა კუთხეში და ტიროდა. ტიტიკო კი უფრო მეტად გაფითრებულიყო, ნოდესაც დაენახა შეცვლილ-შეშლილი მაკინე.

— მაკო, საცოდავო... ცუდადა ვარ, მაზიარე, — წარმოსთქვა ოქრომ. მაკინეს სახე დაემანჭა და კვალად დაიკვნესა...

— მაკო, ამისრულე თხოვნა... ტიტიკოს შეურიგდი. — ამ სიტყვების გაგონებაზე მაკინე მსწრაფლ წამოვარდა ზეზე, გამობრუნდა, პირდაპირ შეხედა მის წინ მორჩილად მდგარ ტიტიკოს. მაკინემ თვალები დახარა, გონება აერია, საზარლად დაიკივლა და ყელზე შემოეჭდო ძმას.

— მაკო, ქეთინოც აქ არის... შენ ხომ გინდოდა მისი ნახვა, — შეესმა ყურში გაიანეს ხმა. მაკინე გამოფხიზლდა, თითქო შვება იგრძნოვო, მოშორდა ტიტიკოს და ელვასავით გაჰქრა ოთახიდან... წუთს ის იდგა ქეთინოს წინ, მთელის სხეულით ცახცახებდა, თან ხარბად უყურებდა მას.

— შეიძლება ავადმყოფი ვნახო?.. — ჰკითხა ქეთინომ, დარწმუნებულმა, რომ ელაპარაკებოდა ოქროს რომელსამე შორეულ ნათესავს.

— თქვენ ქეთევან დიდებაშვილისა არა ბრძანდებით? — ჰკითხა მაკინემ.

— დიახ, — მიუგო შეშინებულმა ქალმა, მანაც მარტო ახლა, ხმაზე იცნო, ვინც იყო ეს უბედური. ქეთინოს არა სჯეროდა, თუ ეს სწორედ ის მაკინე იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინათ უყურებდა ამაყად, მედიდურად, მოსახიბლავად.

— ოხ, რომ იცოდეთ, რა საჭირო იყავით ჩვენთვის! ნუ მიყურებთ გაოცებული! ხომ ველარ გიცვნიათ ამაყი, ბედით გაღიმული მაკინე, რომელიც სიძულვილით შემოგყურებდათ ოდესმე, დღეს კი სინდისისა და ღმერთისაგან განკიცხული, თავზე ხელაღებული, გონებადაბნეული წინ გიდგათ? ორჯერ-სამჯერ ვიყავი თქვენთან, მაგრამ შინ არ დამიხვდით, მთელი ორი საათი ვიდექი თქვენს სასტუმროს კარებზე, გელოდებოდით. მეკარემ კინაღამ გამდანძლა, კინაღამ პოლიციას შეატყობინა, რომ ველარ მომიშორა. დიახ, მაკინე მოვიდა თქვენ კარებთან, გიახლათ და როგორც ოთხფეხი, კავკავებდა, გელოდებოდა თქვენ, თავის ნუგეშს... დიახ, ნუგეშს, რადგან თქვენით გავახარებდი ჩვენს ოქროს. — შეშფოთებულმა ქეთინომ უკან დაიწია.

— კნეინა მაკინე და თქვენა? როგორ დავიჯერო? არა, სცდებით! — შესძახა მან.

— დიაღ, მაკინე, სწორედ მაკინე გახლავართ. შემიბრალეთ!

— მერე ისეთი რა გარემოება უნდა გქონოდათ, კნეინავ, რომ აგრე შეცვლილიყავით? ვერ მომიაზრებია, ვერ წარმომიდგენია! დაუმატა ქეთინომ, რომელსაც ძალ-ღონე მოიკრიბა. ისინი ჩაჩუმდნენ, ველარ მოახერხეს დაპარაკის გაგრძობა, რადგან როსტომი და გიორგი გამოვიდნენ, საიდაც წასასვლელად. როდესაც მათ გაიხურეს კარი, მაკინემ კარგა სიჩუმის შემდეგ ისევ თქვა:

— კმარათ... რა დროს ჩემ ბედზე გაოცებაა! წამოდით, ნახეთ თქვენთვის წინანდებურადვე აღტაცებული, თქვენი მოთაყვანე ოქრო...

ეს რა შეესმოდა ქეთინოს? როგორ? მაშ ოქროს გული ისევ მას ეკუთვნოდა?! როგორ დაიჯეროს იმ საქციელის შემდეგ? არა, მაკინე ახლაც ატყუებს, ის თავს ძალას ატანდა მაგრად ყოფილიყო, მეტადრე მაკინეს წინაშე. მაგრამ ის საშინელი, დიდებული წამი, რომელიც შეახვედრებდა მომაკვდავ ოქროს, საზარელი იყო და თრთოდა.

— წავიდეთ, მეც მის სანახავად მოვსულვარ, — ჩაიდაპარაკა მან.

— პატარა მომიცადეთ, თქვენმა მოულოდნელმა ნახვამ ცუდად არ იმოქმედოს... მოვამზადებ... გავამაგრებ... — უთხრა ცოტა სიჩუმის შემდეგ მაკინემ და დაწინაურდა. ის რაღაც მცირედ იმედსა გრძნობდა ქეთინოს მოსვლის გამო. მაკინე მიუახლოვდა ოქროს ფეხაკრეფით. ის თვალგახელილი ხშირად სუნთქავდა.

— ოქროჯან, არ გძინავს? — ჰკითხა მან.

— არა... — წარმოსთქვა ავადმყოფმა და ხელი გაუშვირა,

— ხომ არ გეწყინა, წელან რომ თავი დაგანებე და წაველი? იცი, სად ვიყავი?

— არა...

— ქეთინოსთან, მაგრამ შინ არ დამისვდა.

— ცუდად მოქცეულხარ, მაკო, რომ შეგიწუხებია ბედნიერი, კმაყოფილი ქალი, რომელსაც დავიწყებია ჩემი არსებობაც! აღარ გახსოვს შენი ოქროს თავმოყვარეობა? გეკითხა მაინც! თუ-

მცა ნახევრად მკვდარია, მაგრამ იმდენი გონება კიდევ შერჩენია, რომ დაეშალა შენთვის იქ წასვლა..

— ოხ მაპატიე, რომ იქ ვიყავი! — შესძახა მაკინემ და შეხედა ტიტიკოს, რომელიც დაღონებული იჯდა იქვე სკამზე. გაწო ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებული შეპყურებდა და-ძმას და ეტყობოდა ფარულად იტანჯებოდა.

— მასაც ჩემსავით სინდისი აწამებს, — გაიფიქრა გულში მაკინემ და ტუჩები მაგრად მოკუმა.

— რაკი შინაც არ დაგხვედრია, ეგ კარგი მომხდარა, შეიძლებოდა გამწყრალიყო კიდევაც, — უიმედოდ განაგრძო ოქრომ.

— შემიბრალე! ნუ მტანჯავ, ოქრო! რა შემცდარი ხარ რომ იცოდე, ხომ აღარ იტყოდი მაგ საშინელ სიტყვებს? ქეთინოს ისევ უყვარხარ... ის განწირულებაშია... შენს სანახავად მოვა... იქნება კიდევაც მოვიდა...

ოქროს სახე გაუბრწყინდა.

— ჰა?.. ქეთინოს ისევ ვუყვარვარ?.. ქეთინო ჩემთვისა სწუხს?.. ქეთინო მოვა?.. ოხ, ზეცავ, შენ ხომ არ მპირდები ამ შეუდარებელ ნეტარებას?..

ქეთინო კარებთან მოსულიყო, კედელს მიჰყუდებოდა და ცრემლებით იმღულრებოდა. შემდეგ ველარ მოითმინა, არ მიხედა მას, თუ ოქროსთან ვინ იყო, ანგარიშმიუცემლად წინ წამოდგა რამდენიმე ნაბიჯი. ოქრომ თვალი შეასწრო, წამოიწია და მიაშტერდა. ის ცხადად ხედავს მის ცისფერ კაბას, მის მშვენიერ თმებს. თვალწინ უდგას გაფითრებული ქეთინო. ნუთუ კიდევ მოჩვენებაა! მაკინე კუთხეში მისულა. ისიც იქ თითქო გაქვავებულა ერთ ადგილას, შემკრთალი უყურებს ამ მოჩვენებას, გაბეცებულ ტიტიკოს და ცახცახებს.

— ოქრო! — დაიძახა ლონემიხდილმა ქეთინომ, — ოქრო, ჩემო დაკარგულო სიტკბოებავ! — გაიმეორა მან და ლონემისდილი, სატრფოს წინ მუხლებზე დაემხო, ტუჩებით დააკვდა მის გამხდარ ხელებს...

— ქეთინო?! — ამოიკვნესა ოქრომ, ხელი შეახო ქალის თმას, ტანისამოსს., რა დარწმუნდა ნამდვილად ის იყო, აღელვებულმა, თვალებში ცრემლმორეულმა გულში ჩაიკრა ძვირფასი არსება. ხმას ველარ იღებდა, მარტო ხარბად უყურებდა ქეთინოს, თითქო ეშინოდა დალაპარაკებაზე არ წართმეოდა ეს ნეტარება.

— ქეთინო! შენ ჩემთან ხარ?.. ეს არის მაკოს ვაყვედრიდი, ნუ შეაწუხებ ბედნიერ ქეთინოს-მეთქი!.. შენ კი თვალები დაგწითლებია!.. რა ხელი აქვს წყეულ ცრემლებს, ან გაცრეცილ ფერს ნეტარ ქეთინოსთან?! — სვენებ-სვენებით ბოლოს ძლივს არკვევდა ოქრო.

—ოხ, ოქრო, ნეტარებას დავნატრი მას დღეს აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს მოვშორდით... მას აქეთ, რაც აღერსი დამიძვირე და აღარ მაღირსე პატარა ნაზარათევიც კი... გარშემო ჩამძახოდნენ: ოქრომ გიღალატა, ოქროს სხვა უყვარს, ოქრო ცოლს ირთავს, შენთვის აღარა სცალიანო. მეცა მჯეროდა, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, პირდაპირ დაგკითხოდი... მოისპო ჩვენი ნეტარების კავშირი თუ არა, სასოწარკვეთილებამ კინაღამ თან არ გადამიტანა. სამშობლოდან გადავიკარგე,. მაგრამ გულში მარტოდ ვატარებდი შენს მშვენიერ სახეს... თუმცა პაღიკო შევირთე, რომ გამებედნიერებინა ის მაინც, რადგან ვატყობდი, თუ რა გაგიჟებით ვუყვარდი, მაგრამ ჩემი გული მაინც შენ შემოგნატროდა... ოჰ, ტკბილო, ჩემო საამქვეყნო ღიდებავ! შემოგწირავდი ცასა და დედამიწას, ჩემს სიცოცხლეს, სუნთქვას, ოღონდ კი ბედს შენი თავი ჩემს საკუთრებად გაეხადა... მაგრამ დამშვიდდი, ახლაც არა უშავს-რა... იცოცხლე... კარგა ვახლდი... შემდეგშიაც შეიძლება ვიყვნეთ მეგობრები, მოთაყვანე და-ძმა... — დაუმატა აღელვებულმა ქეთინომ, როდესაც შეატყო, ოქროზე ძლიერ მოქმედობდა მისი დაპარაკი. სახეზე გაოცება ემჩნეოდა, მაინც განაგრძობდა ქეთინოსკენ ხმაამოუღებლივ ყურებას.

— ჰმ!.. აგრე გიყვარდი და ისეთი წერილი კი მომწერე?! — ბოლოს დაიღაპარაკა დაღონებით მან.

— მე? წერილი მოგწერე?!

— მოიგონე... როდესაც იმ წერილში საბედნიეროდ გზას მილოცავდი... და სწორედ იმ წერილის შემდეგ აღარ არის თავის ჭკუაზე შენი ერთგული ოქრო.

— ჩემთვის პირველი გაგონებაა, მე მოგწერე, უარი გითხარი?! არა, სცდები, ტყუილად დაგიჯერებია!

— ღვთის გულისათვის, შემიბრალეთ!.. — შესძახა ამ დროს მაკინემ, მაგრამ ეს სიტყვები არ შესმენიათ ოქროსა და ქე-

თინოს, მაინც დაუფარავად გადასცემდნენ ერთმანეთთან უნებურ შეცოდებასა.

— მაშ, შენ წერილი არ მოგიწერია? — იკითხა კვლავად გაოცებულმა ოქრომ.

— არა.

— მაშ, რომელმა ბოროტმა მომწამლა?.. იქნება იმ წყეულმა დედაკაცმა, ქეთინო, გახსოვს?

— არა, შენი ჭირიმე, იმას მაგდენი სად შეეძლო? შემთხვევით შეგვხვდა, მაგრამ მართლა ისე სჩანს, თითქო განგებას ედჩად გამოეგზავნა...

— ოხ, ის შეჩვენებული წერილი რომ არ მომსვლოდა, ვაპირობდი შენთან მოსვლას, მაშინ ერთმანეთს ველარავინ დაგვაშორებდა!

— ნუ სწუხარ, ოქრო, ქეთინო ისევ შენია, გენაცვალე, შენი საკუთრებაა, თუმცა ბედმა სრულიად სხვა გზას, მოვალეობას შემაყენა. იცოცხლე, შენი სიცოცხლით მეც მაცოცხლე. შენ შემოგწირავ ჩემს არსებას, შენ შემოგწირავ სახელს, ჭკუას, გონებას, შენით ვისუნთქავ, შენით ვისულდგმულებ. ჯანაბას ყველა და ყველაფერი! — გაიძახოდა გრძნობამორეული ქეთინო, მხურვალედ ჰკოცნიდა ოქროს, რომლის გარდა ველარავის ხედავდა ოთახში... ტიტიკოსა და გაიანეს ველარ შეეძლოთ მათი ტანჯვის მოსმენა და დიდი ხანია ოთახიდან გასულიყვნენ.

— რატომ აღრე არ მოხვედი, ქეთინო?.. სანამ... სანამ სიკვდილი ხელს შეახებდა ჩემს სულს? ახლა კი ყველაფერი დაკარგულია, ამაო... მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, ამ წუთებით, შენი ჩემთან ახლოს ყოფნით.

— ბედნიერი! — მკაფიოდ შეესმა მაკინეს, რომელიც იატაკზე გართხმული, ტანჯვით ყურს მიუგდებდა მსხვერპლთა უკანასკნელ ალერსსა და თვითეული ეს ალერსი საწამლავივით მწვავედ უვლიდა გულ-გვამში, — ბედნიერი! აკი მაკო ელოდა იმ წუთებს, როდესაც ოქრო თავს ბედნიერად იგრძნობდა. მაშინ უნდა მის ფერხთა წინაშე წარმოეთქვა საშინელი აღსარება, ეს აღსარება შეინდობოდა მარტო ახლა ოქროსა და ქეთინოსაგან. მარტო ამჟამად იქნებოდა ოქროსათვის ადვილად ასატანი და მაკოს სულსაც ეღირსებოდა შემსუბუქება! თუ არა და შორს მაკინევ! განვედი კათაკმეველო, ადგილი არა გაქვს იქ, სადაც

წმინდა სიყვარული გაცხოველებულა, სადაც თავდავიწყებით უნდა დასტკბეს ტრფიალების ღმერთი! მაკინეს თვალწინ წარმოუდგა თავისი წარსული სიყვარულიც და უფრო მეტად აღელდა... წამოდგა ზეზე, უხილავ ძალას აღარ გაუძალიანდა, ის ეწეოდა ოქროსა და ქეთინოსაკენ...

— შემიბრალეთ! მომისმინეთ! მომეცით შვება! დამეხმარეთ! მომხედეთ! — დაიძახა მაკინემ და დაეცა ოქროსა და ქეთინოს წინ...

მათ ჯერ გაუკვირდათ მაკინესაგან ეს საქციელი, მაინც უნებურად გაწამდნენ, ელოდებოდნენ თუ რას იტყოდა უბედური, სახეშეშლილი მაკო.

— ოქრო, განა შენ აღმერთებდი მაკინეს და კი არ იცოდი, რა ღირსი იყო შეწყნარებისა? განა შენ აღიარებდი მას წმინდანად და მას კი ჯოჯოხეთშიაც აღარა აქვს ადგილი — მოთქვამდა მაკინე. მარტო სანდახან ეს მოთქმა თავდებოდა კვნესით, უცრემლო ქვითინით, თუმცა კი ისევ განაგრძობდა დაჩოქებით. ოქრომ სცადა შეეყენებინა როგორმე მაკინე, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გაუგონა:

— არა, არა! რა საჭიროა ჩემთვის ნუგეში ასე უდროვოდ? მეყო მოტყუება, კმარა, დავიღალე, მოვიქანცე... ოქრო, მე ვარ მიზეზი თქვენის დაშორებისა, ჩამქოლეთ!.. მე დავწერე ქეთინოს მაგიერ წერილი, შენს ნაწერსაც არ უშვებდი ჩემს ხელთ იქით! ტიტიკოსთანაც შენი დაშორება, ოქრო, ჩემი ბრალია, ტიტიკო ყოველთვის შენი ერთგული მოსიყვარულე ძმა იყო, მაგრამ მე ჩამოგიდექით შუაზე, ყველა ეს მოვიმოქმედე იმისთვის, რომ შენ ჩემთან დარჩენილიყავ. მიყვარდი, გიფრთხილდებოდი, მეშინოდა, ჩემს გარდა სხვა არავინ დაგპატრონებოდა და შენი ჩემდამი სიყვარული არ შეესუსტებინათ. მაგრამ რა ვიცოდი მე ჩაქოლვილმა, რომ საშიშარ მოდიპულ გზაზე დავდექი და დღეს თუ ხვალ უფსკრულში დავინთქებოდი! რა ვიცოდი, თუ ასე ძვირად დამიჯდებოდა, დაგტანჯავდი და, უნებური შემცოდე, ძმის არ გამტანი გამოვჩნდებოდი. ახლა ვიცანი ჩემი თავი, რაცა ვყოფილვარ, მაგრამ რაღა დროს? გვიან არი!.. — დაუმატა მაკინემ კვალად და დაემხო პირქვე, სულისკვეთებისაგან დაიგრიხდაიმანჭა... ქეთინოს ცად ხელში ოქროს მთრთოლვარე ხელი ეჭირა, ხმაამოუღებლად მისჩერებოდა სატრფოს, მისი გული იგმო-

რებოდა მაკინეს ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე. თუმცა მიხვედრილიყო მის ვერაგობას, მაინც ვერ წარმოედგინა, თუ ასე ძლიერ გადააჭარბებდა ეს სისაძაგლე-თავმოყვარეობა. ოქროც გაშტერებული უყურებდა მაკინეს, ყურში შეესმოდა საოცარი მოთქმა, გულ-გონებას უშფოთებდა... მის წინ იდგა შემცოდე, მიზეზი სიყვარულის დაკარგვისა, დამღუპველი მისი ყმაწვილკაცობისა, მაღალ, უზადო აზრთა მტაცებელი, გამანადგურებელი; წინ უდგა ბოროტი სული, მავნე... ოქრომ თვალები დახუჭა, თითქო თავი ისევ დანდთა სამეფოში ეგონა.

— შემიბრალეთ!,. შეიწყნარეთ თქვენ წინ დამნაშავე მაკინე!..

როგორ?! მაკინე შესაწყნარებელია?!. მაკინე შემცოდეა! უმანკო, მშვენიერი, ანგელოზი მაკო?! — ოქროს ცხლად დაურბინა თავსა და გულში რაღამაც...

— ოქრო!.. — შეჰკივლა ქეთინომ, მივარდა, დაუწყო ცხვირზე სასუნებელის სმა... ოქრომ გაახილა თვალი სატრფოს ხელი გულზე მიიკრა... შემდეგ მოიშორა, წამოიწია ბალიშიდან, დააშტერდა მაკინეს, შემდეგ თვალებზე ხელი მიიფარა, კვალად ჩამოიღო, შეხედა მაკინეს, ქეთინოს, მოწყვეტით გადავარდა ბალიშზე... დასძრა ბაგე, მაგრამ ხრიალის მეტი არა ალმოხდა-რა... მარტო ხელით ანიშნებდა რალაცას...

— ვაი ჩემს მოსწრებას!.. ვაი ჩემს ყოფნას! ნუთუ ესეც გვიან იყო?! — საზარლად დაიღრიალა მაკინემ, როცა შეატყო ოქრო ცუდად გახდა. წამოვარდა ზეზე, მაგრამ ისევ მალე უგონოდ დაეცა. ოქრომ ველარავინ დაინახა და გადაატრიალა თვალები, თითქო ვილაცას ეძებსო, და მერე კი სამუდამოდ დაეხშო. გონებამიხდილი ქეთინოც გულზე დაემხო თავის ნეტარებას.

მალე მთელ ქალაქს მოედო ხმა: „ოქრო სარდიონიშვილი გარდაიცვალაო". უკვე მივიწყებული, თითქო ისევ აღსდგა. ყველანი შეიკრიბნენ მისი უკანასკნელი დღის პატივსაცემად. დიდი ყოფით ემზადებოდნენ მის დასაფლავებას. დანიშნული დღეს თანაუგრძნობდა მგლოვიარობაში, დაწმენდილი იყურებოდა. როდესაც დიდ ქუჩაზე მიასვენებდნენ ცხედარს, მთელი ქალაქი გამოსულიყო პატივსაცემად. მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო ჰიმნს და გამოუთქმელ ნაღველს უსადგურებდა მსმენელს გულში. ცხედა-

რის ახლო მიმავალ ეტლიდან ხანდახან გაისმოდა დანჟღრეული სუსტი კივილი, მერე კივილი დაბლდებოდა გამოურკვეველ სიტყვებად. მარტო მკაფიოდ გაისმოდა დაჟინებული „გვიანდაათ", გათოშილი ჰაერი უთანაზიაროდ ატრიალებდა ამ სიტყვას და წარმომთქმელს უკანვე უბრუნებდა. ამ სიტყვის მნიშვნელობა ცხადი იყო მეორე არსებისათვის, ისიც ახლო არ იკარებდა, არამედ გონებადაბნეული მისჩერებოდა ცხედარს. შავებში მოსილი ქეთინო, რომელსაც გვერდით უჯდა პაღიკო, თვალს არ აშორებდა დაუბრუნებელ გზაზე მიმავალ ბედნიერებას, თავდანებებისათვის გულში საყვედურს აძლევდა, მისგან ითხოვდა შენდობას და ჰპირდებოდა მალე შეხვედრას. რამდენისამე დღის შემდეგ მაკინე ჭკუაზე შეიშალა. როგორც გაიანე, ისე ტიტიკოც დიდადა წუხდნენ ცალკე ძვირფასი ძმის დაკარგვას, ცალკე მაკინეს ასეთ შემაძრწუნებელ მდგომარეობაში ჩავარდნას. ტიტიკომ მოინდომა მაკინეს წაყვანა თავისთან, მაგრამ ურჩიეს ისევ საავადმყოფოში შეეყვანა და იქ მკურნალების დახმარებით შეემსუბუქებინა მისი ავადმყოფობა. ტიტიკო დაბრუნდა გულმოკლული თავის სოფელში და საყვარელი, ტკბილი ანოს ზეგავლენით ითხებდა, იქარვებდა ამ საშინელ მწუხარებას.

## XLVI

განვლო ზამთარმა. გაზაფხულმა გააცოცხლა ბუნება, მრავალს ნეტარი აღდგომა გაუთენდა. მისგან შვება არ უგრძვნია პაღიკო დიდებაშვილის ოჯახს; ჩაწყვდიადებულს უფსკრულში იყურებოდა და ელოდა სიკვდილს ისეთსავე ვედრებამოუთმენლობით, როგორც ებრაელები ესწრაფებოდნენ აღთქმულ ქვეყნისკენ. ქეთინო და პაღიკო აღარ წარმოადგენდნენ ცოცხალ არსებათა, წამებულნი მწარე სამსაღასა სვამდნენ ბედისაგან, აწრდილს დამსგავსებოდნენ, რამდენი ღონე და მოთმინება, გონების ძალდატანება, გულის ჩაკვდა დასჭირდა ქეთინოს მაშინ, როდესაც ოქროს მოაშორეს უწყალოდ. დარწმუნებულმა, რომ თვით ბედნიერებამ მოიწყინა ის, მეტად ჩასთვალა და განზე გაუდგა, თაკმოყვარეობის დახმარებით ისიც მოურიგდა გარემოებას, თავი შესწირა ხელოვნებას, მიეცა პაღიკოს და აღუთ-

ქვა ჭეშმარიტი მეგობრობა, რამდენადაც შეიძლებოდა. ქეთინო და პაციკო სცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში მშვიდობიანად, თუმცა ქეთინოს არა ერთხელ ეხატებოდა თვალწინ, ცხადად თუ სიზმარში, წარსული ნეტარება, მაგრამ გულშივე იმარხავდა და ქმართან აღარ ამხელდა. აი, განგებას მოსწყინდა მათი ასე ერთგვარი მდგომარეობა; როცა დაატყო სულით და ჯანით მოღონიერება, გამოიტაცა სამშობლო ქვეყანაში საწამებლად, იქ, სადაც ქეთინოს კვლავ აღუდგა მკვდრეთით თითქო მივიწყებული გამონაცადი. აღსდგა რამდენისამე წამით, მერე კი ისევ გაჰქრა და გულში დაუტოვა აღგზნებული საკირე, რომელსაც გარედან სიცხოველე არ ეტყობოდა, შიგ კი უხილავი ცეცხლი სწვავდა და ბუგავდა. ქეთინომ ნახა ოქრო უკანასკნელ წამებში, თვალები დაუხუჭა, მოისმინა მაკინეს საშინელი აღსარება. გაიგო, რომ ოქრო უკანასკნელ წამამდე იყო მისი ერთგული მოთაყვანე და მიიღო ტანჯვა მაშინ, როდესაც ქეთინომ არ იცოდა ყველა ეს. მიეცა სხვა არსებას, რომლისადმი გარდა სიბრალულისა და მადლობა-პატივისცემისა არასა გრძნობდა. თუნდ სახელი, დიდება, უმნიშვნელო იყო ოქროს სიყვარულთან შედარებით. ქეთინომ იგრძნო უნებური შეცოდება პაციკოსა და ოქროს წინაშე. ქეთინო გაქვავებული იჯდა ოქროს ახლოს, მერე კი თვალთ დაუბნელდა, არსებობა შესწყვიტა, გონზედ მოვიდა მარტო მაშინ, როდესაც უკვე პაციკოს მიეყვანა სახლში. სასუნებლებით აზრუნებდნენ ნატო, ეფემია და მაშო, რომელნიც სოფლიდან ჩამოსულიყვნენ. მაგრამ ქეთინომ გამოფხიზლების უმალ იგრძნო თავისი არსების განადგურება. გაოცებული უყურებდა გაფითრებულ, კრიჭაშეკრულ პაციკოს და დიდი ხნის უნახავს ნატოს, დასა და მშობელს, მაგრამ სიამოვნება მას ხელს აღარ აკარებდა. ქეთინოს გული აღარას გრძნობდა, თითქო დაცარიელებულიყო. ვერც კი ხედავდა პაციკოს ტანჯულ სახეს. ის იჯდა ხმაამოუღებლად, რასაც მიაჩერდებოდა, აღარ შორდებოდა მისი თვალები. სიტყვა დაჰკარგოდა, დადუმებოდა ბაგე; მარტო ყურს უგდებდა გულის გამწარებას, კი არ ტიროდა, ცრემლებიც თითქო მოქანცულიყვნენ, განზე გასდგომოდნენ. გაუხდელი დაწვებოდა ლოგინზე, თვალს მოატყუებდა, მერე ისევ იღვიძებდა, იწყებდა გულხელდაკრეფით ოთახში სიარულს, ხან შეჩერდებოდა ოქროს სურათის წინ კარგა ხანს, მიიხედ-მოიხედავდა და სადმე კუთ-

ხეში თვალს მოჰკრავდა დაღონებულ პაციკოს... ის გრძნობდა ქეთინოს მდგომარეობას, გრძნობდა ამჟამად, ეს მისთვის რა თავმომაბეზრებელია, თითქმის სიძულვილის აღმძვრელიც, ვერ უბედავს დალაპარაკებას, თუმცა სწყურიან, უნდა გამოხმაურება. წინანდელი დამოკიდებულება ნუთუ დაკარგულია? რა მოუვა ქეთინოს?.. გაგიჟდება?.. მოკვდება?.. მაშ მოკვდება?!.. პაციკოც შესწყვეტს სიცოცხლეს?.. პატარა ქალი, რომელიც ქეთინოს სახიერებაა?.. პაციკოს გული აუძგერდებოდა და მოეხვეოდა ბავშვს, ჰკოცნიდა, ფარულად ცხარე ცრემლებს დააბნევდა პაწია ცაცებზე...

— შვილებო, ჩემო ძვირფასო ქეთინო, ჩემო წმიდათაწმიდავ! შემიბრალეთ!.. — მოსთქვამდა უსიტყვოდ გულში პაციკო, თუმცა მსმენელი არავინ ჰყავდა, მარტო ქორფა ბავშვი ღიმილით, გაუგებარის ჭყროპინით უწეწავდა თმებს. მაგრამ, აი ქეთინო თანდათან გამოერკვა, შეამჩნია პაციკოს განწირულება, ბავშვებთანაც თავისი უგულობა, უყურადღებობა, გონებაც გამოეკითხა.

— რაში არიან დამნაშავენი?., შეიწყალე, ქეთინო, შეიცოდე, — ჩასძახოდა განუწყვეტლად, გაჯიქებულ გულს აღბობდა, მაინც იმეორებდა: არარაობააო... პაციკომ სცადა დალაპარაკება, ისიც უგებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უარი არა თქვა სოფელში წასვლაზე. პაციკომ თავისი დედა და სიდედრი წინდაწინ გაგზავნა, რადგან ატყობდა ქეთინოს, ისინი თითქო აწუხებდნენ, თავს აბეზრებდნენ, თავისუფლად ვერა გრძნობდა...

— იქ? იქ? რატომ!... — ამბობდა ქეთინო.., გულიც მისწევდა, თითქო იმედი ჰქონდა იქ დაისვენებდა... პაციკოც ცოტათი დამშვიდდა. ისინი ერთი კვირის შემდეგ წავიდნენ თავიანთ სოფელში, სადაც დახვდნენ ძველი ნაცნობები... გახარებული ნინო თავის წამოზრდილი შაქროთი, რომელიც სასწავლებელში სწავლობდა პაციკოს წყალობით, თავს ევლებოდა ქეთინოს... თეკლე და ნატო ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე ენუგეშებინათ ქეთინო. ნატოს ამასთანავე გულში ეჭდა ჰქონდა ნაცემი და მადლიერი არ იყო ბედისა, რადგან ხედავდა, ქეთინოს თურმე არ შეერთო პაციკო სიყვარულით, არამედ ნაიდაჯობით, და მშობლის გული შეურაცხყოფას გრძნობდა.., პაციკოს თავისი მამული, სახლი ისევ ხელუხლებლად, უცვლელად დახვდა, მაგრამ

სიამოვნება არ უგრძვნია... თვითონ სოფელში დიდი ცვლილება მომხდარიყო. გრიგოლა არამაშვილი მეტად გაძლიერებული, ამაყად უყურებდა ყველა მათ, ვისაც წინათ ფეხებში უვარდებოდა... დღეს ის მებატონეთა შორის ჩარიცხულიყო და სოფლის მცხოვრებნი უფრო ეფერებოდნენ, რადგან ეშინოდათ მისი რისხვისა... როსტომი და გაიანეც დაბრუნდნენ, გაიანე მგლოვიარობის გამო ჩაკეტილიყო სახლში, როსტომი კი ჩვეულებრივად ფაციფუცობდა, კიდევ რაღაც საქმეებს ეპირებოდა... დღითი-დღე ქეთინო ფითრდებოდა, სუსტდებოდა და ღონე აკლდებოდა, თითქო მართლა ეს არის ახლა შესწყვეტს არსებობასო. მაგრამ ქეთინოს ძლიერი ძალა წინააღდგომოდა, ახედებდა პაღიკოსკენ, რომელიც ჩრდილსავით თანა სდევდა ქეთინოს, თუმცა მოკრძალებით, სიფრთხილით. ქეთინო ატყობდა, პაღიკოს ასეთი უკანდევნა ნიშნავდა შიშს, რათა მას თავისთვის არა აეტეხა რა... აგერა, ქეთინოს თვალები მოუხუჭია, არა სძინავს. ოთახში სრული მყუდროებაა, გაისმის თავშემაგრებული კვნესა. ეს გმინვა მოქმედობს ქეთინოზე, იხედება პაღიკოსაკენ, მას თვალებიდან გადმოსდის ცრემლის ნაკადი... ქალი წამოდგა, მივიდა ახლო, აიღო ხელსახოცი, ფრთხილად მოსწმინდა ცრემლები, შემდეგ დაუსვა შუბლზე ხელი, ესეც გაცხელებული ეჩვენა.

— პაღიკო! შემიბრალე! — დაიკვნესა ქეთინომ, — შემიბრალე ცოდვიანი, შენი ღირსი! როდემდის ვიტანჯოთ? — დაუმატა და ქვითინით დაემხო მის სახეს. პაღიკომ დაღონებით შეხედა ქალს, მაგრამ ტუჩები აღარ გაუწვდინა საკოცნელად, აღარ დასძრა მკლავები მოსახვევნელად, არამედ განაგრძობდა გაშტერებით ყოფნას... ქეთინო შეშინდა, დააწერდა.

— პაღიკო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაპატიე! — იმეორებდა ღონებით ქალი.

— რა გაპატიო? რა გაქვს მოსატევებელი? მე კი დიდი დამნაშავე ვარ შენს წინაშე და გთხოვ შენდობას. რატომ არ ვიცოდი, შენი ჩემთან შეუღლება დაგტანჯავდა! გეფიცები, ქეთინო, ვერ მოვისაზრე ეს... როგორ წარმოვიდგენდი, თუ ოქრო ბოლომდის შენი მოთაყვანე დარჩებოდა, თორემ რა ღმერთი გამიწყრებოდა, მას შევეცილებოდი... მე ვარ დამნაშავე, მე... მე რომ არ ჩაგციებოდი, იქნება აგცდენოდა გათხოვება, მოგეცადა, შეხვედროდი ოქროს, გამოგერკვიათ ყველაფერი, შეგეტყოთ

იმ უსინდისოს ვერაგობა და გაბედნიერებულიყავით? ქეთინო, თუნდ მაპატიო, მაინც სიკვდილივით უკან მდევს ეს სინანული და მოსვენებას მანატრებს...

— პადიკო შემცოდე?! შენ აღსავსე ხარ სულისა და გულის სისპეტაკით, სამსხვერპლოდ თავდადებული?! ოხ, არა, პადიკო, შენ წმინდანი ხარ, მეც მოვალე გარ შენზე ვილოცო, მაგრამ ცოდვილი ქეთინო მას ვერ ახერხებს... გონება გაფასებს, გული... სამიწე გული გაურწმუნოებულია. შემიბრალე ქმარ-შვილის მოღალატე დედაკაცი! მომე სიკვდილი, მომე მოსვენება! — პადიკო და ქეთინო ხშირად იწყებდნენ ხოლმე ასე ერთმანეთთან ჩივილ-მოთქმას უწყალო გარემოებაზე. ისინი აღარ წარმოადგენდნენ ურთიერთის მახლობელ, მორიდებულ გამფრთხილებელ არსებათა, როგორც წინათ იყვნენ, არამედ თითქო ერთგვარის ბედისაგან დევნილი უცხო არსებანი შეხვედრილიყვნენ და ენთიმეორეს ჩამოართმევდნენ გულის ვადადსა, თან ცდილობდნენ რაიმე საშველი მიეცათ ერთმანეთისათვის... ამასობაში გარბოდა დრო.

## XLVII

— ჰა, დღეს რა დღეა?.. სწორედ ის საშინელი დღეა, როცა ჩემი დამღუპავი ოქრო წუთისოფელს გამოესალმა. დღესაც ესალმება ჩემი ქეთინო. ჰმ, ჩემი? — ფიქრობდა მწარედ პადიკო, როცა უყურებდა ლოგინში ჩავარდნილ, გამხდარ, გაყვითლებულ ქეთინოს, რომელიც ძლივს-ღა სუნთქავდა. ჩაეცვა თავისი საყვარელი ცისფერი ტანისამოსი, თმაც ისე დაეწნევინებინა თეკლესთვის, როგორც პირველად შესვლა ოქროს, სახეზე მოსვენება ეფინებოდა, ეკარგებოდა გაწამება... უსრულდებოდა დიდი ხნის ნატვრა. ტანჯვა ველარ აეტანა, წლის თავზე ეპირებოდა იქ, სანატრელ უცნაურ ქვეყნისკენ გაფრენას. იქ, საცა ბედნიერება ელოდებოდა, სადაც თავის ნეტარება ოქროს გულში სამუდამოდ ჩაეკვროდა, აღარ შეეხებოდათ მოშხამული ენა, არ მოხვდებოდათ ბოროტი თვალი. ქეთინო კმაყოფილი იყო, ყურს არ უგდებდა, თვალს აშორებდა მათ, რომელნიც ახლოს უსხდნენ და თვალებზე ცრემლის მდუღარება სდიოდათ. თვითონ როსტომი და გაიანეც თითქო საშინლად სწუხდნენ და ხშირად მოდიოდნენ,

ისინიც იმდუღრებოდნენ... მაგრამ მათი მწუხარების მიზეზი კი იყო უფრო ის, რომ გრიგოლას, როგორც საჯაროდ, ისე პოლიციის დახმარებით გამოეცხადებინა მათთვის, აყრიდიყვნენ სახლიდან, რომელიც მას სჭირდებოდა.. როსტომსა და განოს შემოსარჯოდათ უკანასკნელი ფულიც და დარჩენილიყვნენ ღვთის ანაბარა... მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა მიემართათ ისევ ტიტიკოსათვის... დიაღ, სატირელი გასჩენოდათ ამათაც, თუმცა კი ვითომ ქეთინოს გამო ტიროდნენ. პაციკო ყურადღებას არ აქცევდა არავის, ის ხარბად უყურებდა ქეთინოს სახეს, თითქო უნდა საუკუნოდ დაიხსომოს ყოველი მისი ნაკვთის მოძრაობა.

— იქ მიდის, იმასთან! მე კი ვრჩები ამ საშინელ დაუნდობელ წუთისოფელში! რისთვის? — ქეთინომ თავი დაიჭლექა, არ ისმინა პაციკოს ხვეწნა. მუდამ შესთხოვდა სიკვდილს, პაციკოსაც თავი აღარ ახსოვდა, ნატრობდა ქეთინოს დამშვიდება კმაყოფილებას, ნატრობდა იქნებ სიკვდილსაც, როგორც ქეთინოს დამაკმაყოფილებელს. დიაღ, პაციკოს უნდოდა ქეთინოს სიკვდილიც, რომელსაც თან გაჰყვებოდა თვითონაც. უყურებდა ქეთინოს, ელოდებოდა დიდებულ წამს, როცა ძვირფასი არსება შესწყვეტდა სუნთქვა-ფეთქვას, მშვენიერი თვალები დაეხშობოდნენ... პაციკო ხშირად ათვალიერებდა მაგიდის უჯრაში შენახულ დამზადებულ დამბაჩას, უფრთხილდებოდა, როგორც წადილის შემსრულებელ საშუალებას... ქეთინოს წმინდა საიდუმლოება მიეღო, განდობოდა მოძღვარს და უცდიდა... ხანდისხან მიმართავდა თვალებს პაციკოს, შალვას, პაწია ქალს, ცრემლები მორეოდა... მიიხმობდა პაციკოს ახლო, გადაუსვამდა თავზე ხელს და ჰკითხავდა:

— ჰა, მეგობარო, ახლა კი მგონი მეღირსება მოსვენება, აკი შენც გინდოდა ჩემი ბედნიერება? დაუმატებდა, როცა პაციკოს სახეზე წაიკითხავდა შიშს, განწირულებას.

—ჰო, გენაცვალე, მინდა, მწყურია შენი მოსვენება.

— გწყურია ჩემი სიკვდილი? — განაგრძობდა ნაღვლიანის ღიმილით მომაკვდავი, მაგრამ პასუხს აღარ ილებდა.

— გწყურია ჩემი სიკვდილი, რომელიც მომიტანს ნეტარებამოსვენებას?.. — კვლავ იმეორებდა კითხვას ქალი.

— მწყურია მარტო მაშინ, თუ მეც აღარ დამტოვებ აქ, — შესძახებდა ის. ქალს დაღონება დაეტყობოდა, ორივე ხელები

ბალიშზე გადაეშლებოდა. აი ახლაც უყურებს ქეთინო პაღიკოს და ეძახის. პაღიკოც მიდის ახლო,, ოთახში მარტო ესენი დარჩენილან.

— პაღიკო! რა უნდა გითხრა! — ეჩურჩულება ნიავსავით წყნარად.

— რაი, ჩემო... ჩემო... — ვეღარ ათავებს პაღიკო.

— ვკვდები... მაპატიე, რომ ვერ შევიძელი შენი დაფასება.

— კვდები? მერე?.. — პაღიკოს სურს უთხრას, მე რაღას მეუბნებიო, მაგრამ ხმას იკმენდს, ეს ხომ საყვედურია მოთაყვანისა, სალოცავისადმი?.. არა, მტრედ დაედება, თავს შემოევლება... სიკვდილი, რომელიც ორივეს დაამშვიდებს...

— პაღიკო, მაგიერად ჩემი შვილები შეიძლებენ შენს ღირსეულად დაფასებას... ჩემი გოგონა მოანანებინებს ცოდვილ დედას შენდამი უბედურებას. ის ჯერ მონათლული არ არის, შეგიძლია უწოდო ჩემი სახელი, რადგან მე მგავს, შენი უმანკო პატარა ქეთინო, მხურვალედ იწყებს ლოცვას თავის უწმინდესს მამისადმი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო! — ქალმა მკლავები, მოხვია, მაგრამ ისევ მალე გადახსნა, უნდოდა ეკოცნა, ტუჩები უძრავად დარჩა. მარტო რაღაცას ჩურჩულებდა... პაღიკო იდგა მის წინ გაქვავებულ-გაფითრებული... ამ დროს მამის მოეყვანა ბავშვები, მათ ულიმოდა ნაღვლიანად ქეთინო. სახეზე სინანული ესატებოდა, რადგან არ გამოეცადა გატაცებული თავდავიწყება თავის ნაშობთა მიმართ, მაგრამ ახლა რაღას მოესწრობოდა.

— გვიან-ლაა? — იმეორებდა ქეთინო.

— გვიან-ლაა, დაკარგულის დაბრუნება! — ბანს აძლევდა აგრეთვე პაღიკოს გულის კვნესაც. რამდენიმე წამი კიდევ და ქეთინო აღარ იყო... პაღიკო გაშმაგებული ჰკოცნიდა ჯერ კიდევ თბილ გვამს, ზედ ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

— სიკვდილი მოსვენებაა! — ჩასწივლა ყურში რაღაცამ. პაღიკო წამოვარდა, მივიდა მაგიდასთან, უჯრა გამოსწია, ამოიღო დამბაჩა...

— სიკვდილი მოსვენებაა! — იმეორებდა, აცახცახებული ხელით სინჯავდა, ასწორებდა ჩახმახს... ერთი წუთი და კიდევაც აღსრულებაში მოიყვანდა განზრახვას, მაგრამ ამ დროს იგრძნო ნაზი ცაცების შეხება. პაწია ქეთინო მოსულიყო, შემოხვეოდა

მუხლებზე, რაღაცას შესწუწუნებდა. პაღიკო მის დანახვაზე დაბარბაცდა, გრუზათმიანმა გოგონამ თითქო საყვედურით შეხედა.

— პაღიკო, ძვირფასო მეგობარო, ხომ გიყვარვარ? მაშ, რახან აგრეა, იზრუნე ჩემს სისხლსა და ხორცზე... ეს ხომ ჩემი უმანკო სულია, შეუმწიკვლელი? — თითქო მოესმა მიცვალებულის სიტყვები. პაღიკოს მსწრაფლ გაუვარდა ხელიდან დამბაჩა, აიტაცა ხელში პატარა ქეთინო, გულზე მაგრად მიიკრა, დაუძახა შალვასაც. სამივენი მივიდნენ ცხედართან, რომელსაც თავით უსხდნენ თმაგაშლილი დედამთილი, მშობელი და დაი, და დაემხო მუხლებზე...

— ქეთინო! — შესძახა მან მტკიცედ, მაგრამ ათრთოლებული ხმით, — ვფიცავ შენს სულს, შენს სიყვარულს, რომ ვიცოცხლო... ვიცოცხლო მარტო იმისთვის, რათა ჩავდგე შენსა და პატარა ქეთინოს შორის... სანთელი არ გაგიქრო... იქ, ზეცას გიგულო შენ, ქვეყანაზე — ჩემი პატარა ქეთინო და შალვა, ამით გაატარებს გამწარებულ დღეებს შენგან დაობლებული პაღიკო! — პატარა ხანს უკან ოთახში გაისმა გულისმომწყვეტელი სულთათანა, რომელიც ტანში შლიდა პაღიკოს. მაინც განაგრძობდა დაჩოქილი ლოცვას...

— „განუსვენე, უფალო, სულსა მხევლისა შენისასა!" — ლაღადჰყო მოძღვარმა.

„განუსვენე, უფალო!" — ზუზუნით იმეორებდა გარედან ქარი, ამ ღლაღლისს წარიტაცებდა შორს, აჰქონდა მაღლა ზეცად და გულტკივნეულ მოზარედ უხმობდა ბუნებას.



# ბედის ტრიალი



# ნაწილი პირველი

## I

ცივი, სუღისშემხუთავი ქარი უწყალოდ დაჰკვნესოდა სუდარამოსხმულ მინდვრებს, თავგადაკლული ეძებდა დასასვენებელ კუთხეს, იერიში მიჰქონდა შენობის კარ-სარკმლებზე, მელგრად ეხეთქებოდა კედლებს, რომ შეენგრია და შიგ შეჭრილიყო, მაგრამ ამაოდ: წინ ულგებოდა აგიზგიზებული ბუხარი, ყუჩს უტეხავდა და უკან აგდებდა. ცეცხლის ნაპერწკლები საკვამლეში თვალისმომჭრელ ზოლებად ალიოდა. ოთახში გრძელი ტახტი იდგა, ტახტზე მოეკეცა მოხუცებულ დიდედას, ფუნთუშა ხელებით აბზრიალებდა თითისტარს, რომელზედაც სრიალით ეხვეოდა აბრეშუმის ძაფი. თეთრ სახეს ჯილად დასდგომოდა ბრტყელი, ძველებური ჩიხტი, ლაწვებზე დაკონებული კავები დანდობოდა ნიკაპქვეშ ამოტარებულ ლეჩაქის ყურს; წარბებქვეშიდან იყურებოდნენ ფართო წაბლისფერი ხშირწამწამიანი თვალები, რომელნიც ამჟამად ხატავდნენ გაოცებას. სახე აქა-იქ დაღაროდა ცხოვრების საგრძნობ წუთებისგან, მოხრილი ბეჭები შემკრთალიყო საწუთროს მძიმე ბორბლის ტრიალისგან. მოხუცებულმა ხელი დაუსვა ძაფს, ნასკვები დაუსწორა, მოხედა იქვე მოკეცილ პატარა ცხრა წლის გოგონას, რომელსაც ახლო დაედგა ლამპარი, მუხლებზე მოზრდილი წიგნი გადაეშალა და გულმოდგინედ ჩასცქეროდა.

— აბა, ციცო, მერე რა იყო, შვილო? — ჰკითხა დიდედამ.

გაიგონა თუ არა ეს ბავშვმა, კმაყოფილებით გაიღიმა, გააპო ბაგე და წუთს ოთახში ნაკადულსავით იწყეს ცქერა უმანკო ხმაზე რაინდულმა სიტყვებმა. რა არ ისმოდა აქ? ყარამანის ვაჟკაცობა, გარდანქეშანის ვერაგობა, ფირმანბარყუშის ერთგულობა და ფერიათა ფრიალი ცაში. ყველაზე მეტად ციცოს იტაცებდნენ ეს უკანასკნელნი. გრძნობამორეული დროდადრო შესწყვე-

ტდა კითხვას, სულს მოითქვამდა, დაკვირვებით მიაჩერდებოდა დიდედას, აღმაცერად გახედავდა თითიკას, რომელიც ბუხართან ჩაცუცქულიყო, ნიკაპზე თითი მიებჯინა და ისე შესცეცებოდა ბავშვს, რომ არც ერთი სიტყვა არ დასცდენოდა; მარტო ხანდისხან, როდესაც ყარამანის გასაშტერებელი მოქმედება მოთმინებას დაუკარგავდა, შესძახებდა:

— ჰო, ჰო, ჰო! რა ყოფილა ი დაღოცვილი! ქალბატონო, ნეტა თუ მართალია?

— ვაჟკაცობა მართალი უნდა იყვეს, ჩემო თითიკა, თუმცა ზოგ-ზოგი გადამეტებულია! — უპასუხებდა ღიმილით ქეთევანი, რომელსაც თითქო სჯეროდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა გამოტეხილიყო და თითიკასთან მაინც ეჭვს აცხადებდა.

— აქ ყველაფერი მართალია, თითიკა! — შესძახებდა აღტაცებული ციცო და კვალად განაგრძობდა კითხვას.

აგერა, ყარამანმა ერთხელ კიდევ მარჯვენა ხელი მარცხნივ შემოივლო, მარცხენა — მარჯვნივ, ერთი საშინლად შესძახა და უსულოდ ქცეულ მდევებისგან თავისი ჯარი იხსნა. ციცომ დაკეცა წიგნი. ლოყები გასწითლებოდა, თვალები ცეცხლებს აბნევდნენ. ქეთევანმა კმაყოფილებით შეაბზრიალა თითისტარი, თითიკამ წამოიწია, ანგარიშმიუცემლად დაიბერტყა კალთა, თითქო მოიშორა თავისი უძლურებაო... ბუხარში შეშამ გაიტკაცუნა, გარედან ქარმაც შემოჰკივლ-შემოიკვნესა... ოთახში ყოველივეს თავს დასთამაშებდა გამარჯვება-კმაყოფილება.

— თითიკა, გეთაყვა, ლოგინი გაშალე! ეხლა ძილის დროა, — მოუბრუნდა ქეთევანი დედაკაცს და ხელსაქმეს დაუწყო დაგება. ციცომაც წიგნი დასდო მაგიდაზე, მიუჯდა ბუხარს და ზარმაცად თვალი გააყოლა მუგუზლების ბრწკიალს. ქეთევანიც ტახტიდან ჩამოვიდა. თითიკამ წუთს გაშალა ლოგინი, მის ფეხთით მიაგო პატარა ნაალი და ზედ ფარჩის ალისფერი საბანი გადააფინა.

— ამაღამ ძალიანა ჰყინავს, ქალბატონო, თბილად დაიხურეთ! ცეცხლი განელდება თუ არა, ოთახში სითბო იკლებს, — წარმოსთქვა მზრუნველობით თითიკამ, გამობრუნდა და თავისთვისაც იქვე ბუხრის ახლო, კუთხეში დაიგო.

ქეთევანმა წინ გაიშალა ბოხჩა და დაიწყო თავის ხდა, დაკეცა ლეჩაქი, ჩიხტიკოპთან ერთად სიფრთხილით ჩასდო ბოხ-

ჩაში, რომ არ დასრესილიყო, თავზე მოიხვია თეთრი ქაღალაია. ციცომ მოუტანა ლოცვანი, თვითონაც მის წინ გაჩერდა, თვალები ამართა ზევით, გულხელი დაიკრიფა და წუთს ოთახში გაისმა ვედრება მაცხოვრისადმი, რომელიც კუთხეში ესვენა.

რამდენისამე წამის შემდეგ საბანში გახვეულმა ციცომ მალე დაიძინა. ქეთევანი კი ტრიალებდა ლოგინში, ეტყობოდა ფიქრები არ ასვენებდნენ. თითიკასაც თავზე საბანი წაეფარებინა და ჩუმად ბურნუთის კოლოფს თავსა ხდიდა, რომ ძილის წინ ერთი კიდევ მოეწია, მაგრამ ხელი დაუცდა და გაწკრიალდა თავსახურავი.

— ოჰი, გატიელება და გაოხრება შენა, აჰანდე!.. ნეტაი რას ჩხიკინებ?.. — წაიბურტყუნა გაგულისებულმა თითიკამ, ხელი გამოყო საბანქვეშიდან და მიითრია. დაიკმაყოფილა თუ არა სურვილი, მაშინვე ხვრინვაც მოაყოლა.

ქეთევანს კი არ ეძინა: ფიქრობდა, ხვალ როგორ გაეგზავნა სოლო ცხენებით სადგურზე პავლეს მოსაყვანად. გულში ჯავრად ჩასჭროდა ლღევანდელი კორიანტელი და ღმერთს სთხოვდა ხვალ მაინც კაი დღე გამოსულიყო, სანამ მისი ძვირფასი მეუღლე სახლამდის მოაღწევდა.

ქეთევანი ფიქრისაგან მოიქანცა, მისუსტდა, ძლივს ძილმაც თავი წაართვა. ოთახში ისმოდა ზომიერი სუნთქვა, ბუხარშიაც ნაკვერჩხლებმა გადიკრეს ფერფლი, მაგრამ მაინც კიდევ სამყოფ სითბოს გზავნიდნენ.

## II

მეორე დღეს ლაჟვარდი ცა ღიმილით დაჰყურებდა დედამიწას, რომელზედაც თოვლი ათასფრად ენთებოდა.

სარკმელში შემოსულმა მზის სხივმა გაავსო ოთახი სინათლით, ციცოს ძილი გაუკრთო, წამოიწია ზეზე და გაიღიმა.

— კიდევა თოვს, დიდედა? — იკითხა თვალების ფშვნეტით.

— არა, შვილო, შეხე რა კარგი დღე მოდის! — უპასუხა მან და გადასწია სარკმელზე ჩამოფარებული თეთრი მიტკლის ფარდა.

სარკმელს გარედან ხელის სისქედ გარშემო რკლად შემოხვეოდა თოვლის ფიფქი. აივნიდან ბეღურების ჟივილ-ხივილი მოისმო-

და. ბავშვს მოეწონა დიდა, იწყო საჩქაროდ ჩაცმა. დიდედა კი დიდი ხანია თავის ლოგინში კითხულობდა „დაუჯდომელს". თითიკა ოთახში ფუსფუსებდა. მალე სოლომაც ამოარბენინა აქაფქაფებული სამოვარი, ჭიქებს დაუწყო წკარუნი, მან მოწიწებით მიართვა ქალბატონს ჩაიდანი, რათა ჩაი ჩაეყარა და ქეთევანმაც მედიდურად შეასრულა. დანარჩენი კი სოლოს უნდა დაებოლოვებინა და მზამზარეულად მოერთმია. ქეთევანმა და ციცომ დალიეს ჩაი, შემდეგ ქეთევანმა განკარგულება მისცა სადილად თეთრი დედალი ჩაეხოხბა და მეორე წვნით მოეტანა.

— აბა, თითიკა, ვინძლო შენებურად გემრიელი სადილი გააკეთო, ხომ იცი დღეს ბატონი უნდა მოვიდეს! სოლო, შენც თავის დროზე ცხენები წაგვარე და ეცადე, რომ გაუჭირვებლად მოიყვანო. — სოლო იდგა გაჩუმებული და მორჩილებით უსმენდა ბრძანებას. დიდედა ჩაუჯდა ხელსაქმეს, ციცოს კი გული აღარ გაუჩერდა ოთახში და კარზე გამოსტა, თუმცა უკანიდან დიდედა მოსძახოდა შინ დაბრუნებულიყო. სახლს გრძელი აივანი ჰქონდა, მთელ სოფელს გადაჰყურებდა. ციცო გადაეყუდა მოაჯირს და დაუწყო თოვლით შელესილ სახლებს ყურება. სოლომ თავლიდან გამოიყვანა ორი ცხენი, შეკაზმა, ერთს ზურგზე მოასტა, მეორეს აღვირი ხელში გამოიმარყუჟა და გასწია. თითიკა კი სამზარეულოში დარჩა, შეუდგა სადილის მზადებას. ციცო განაგრძობდა ყურებას, რადგან აივნის ქვევით ჩასვლა თოვლისა და სიცივის გამო არა ღირდა. მალე შემოვიდა ოთახში, აიღო დედოფლები, მიჯდა ტახტის ბოლოს და იწყო თავის შექცევა.

— დიდა მშვიდობისათ! — მოისმა ამ დროს მოკრძალებული სალამი. კარებში გამოჩნდა შავებში მოსილი მაღალ-მაღალი შუა ხნის ქალი, რომელსაც წინ პატარა გოგო მოუძღოდა.

— ოჰ, ანანო, მობრძანდი! როგორ ანგრე გვიან-გვიან დაგვხედავ ხოლმე? — უპასუხა ღიმილით ქეთევანმა. ეტყობოდა, მოსწყენოდა მარტოდ ყოფნა და რა დაინახა ანანო, ხმის გამცემი, იამა. ანანო მივიდა ცეცხლთან, ბუხარს ხელები მიუფიცხა და თითების ფშვნეტა დაიწყო. პატარა კატო კი მაშინვე მიტრიალდა ციცოსკენ, რომელმაც აგრეთვე გაუღიმა. ბავშვები დედოფლების ფერაობაში მალე გაერთნენ. ანანომაც ტახტის წინ ფეხთ დაიხადა, ავიდა ზემოთ ქეთევანთან და ცოტა მოშორებით მოიკეცა.

— ღმერთმა გიშველოს, რომ მოხველი! გული გაიღია ამ ზამთრისგან. ახალს რას იტყვი? — წარმოსთქვა ქეთევანმა და თითისტარი შეაბზრიალა.

— თქვენ რომ მაგასა ბრძანებთ, ქალბატონო, მე რაღა უნდა ვთქვა? ჩემს ჭლეულში რომ შემოგეხედათ, სწორედ შემიბრალებდით. კიწაწი შეშა არ გაგვაჩნდა, ორივ დედა-შვილი ჩავწვებოდით ლოგინში და ერთმანეთს ისე ვათბობდით. ლოგინში რომ მოგვწყინდებოდა, მივაშურებდით რომელსამე მეზობელს.

— თუკი აგრეც არის, რატო აქ არ მოდიხართ ხოლმე ხშირად? მეც მარტო ვარ და არა სჯობიან ერთად ვიყვეთ? — უთხრა თანაგრძნობით ქეთევანმა.

— უი, გენაცვალე, სვინდისიც კაი საქონელია, როგორ უნდა შეგაწუხოთ და თავი მოგაბეზროთ? თქვენს წყალობას ისედაც ნახევარს არა ვღირვარ, დიდ მადლობას მოგახსენებ, ქალბატონო, შეშის ბოძებისათვის, ძვლივს ძვლები გავითბეთ. ოჰი, ისემც გაგახაროთ თქვენის ქმრით და შვილიშვილით ღმერთმა, როგორც მე გავიხარე! — დაუმატა ანანომ და მაცხოვრის ხატისკენ ხელები ააპყრო. — სოფელიც ღმერთმა ააშენოს, ისიც ხელს მიმართავს, ცოდოს ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც მეტი დრო უცეცხლოთა ვყრივართ ხოლმე. სიღარიბეს დიდი პირი ჰქონია და განა ჩემთან თქვენც ზამთარზე უნდა სჩიოდეთ?

— ეჰ, რა ზამთარი, რა ზაფხული, ჩემო ანანო? წუთისოფელს ცოტასთვის გაუცინია, შენის გაჭირვებით ვერ გამაკვირვებ. ყველას თვითო მოუნელებელი ვარამი დაგვწოლია გულზე და მოსვენებას გვიკარგავს. მივათრევთ დღეებს, რაღა! — ამ პასუხს მოჰყვა საშინელი ოხვრა ორივ მხრივ. ანანო დააშტერდა ქეთევანს და უსიტყვოდ თავი გააქნ-გამოაქნია. ქეთევანს სახეზე რაღაც ტანჯვა ეხატებოდა.

— მართალი ბრძანებაა! იკურთხოს ნება უფლისა! — ანანომ პირჯვარი გადაიწერა და მორჩილებით მიაჩერდა სივრცეს. — მაგრამ ეჰ, ღმერთმა რაც უნდა შემრისხოს, რაც უნდა გამანადგუროს, მაინც კიდევ ღვთის მოწყალებად მივიღებ. რა ვართ მასთან? ერთი მუჭა მტვერი და სხვა არაფერი. მაგრამ, როდესაც ადამიანი, ჩემისთანა შემცოდე, ჩემი სისხლი და ხორცი მევე ფეხს მაჭერს და მანადგურებს, ეს კი მოუნელებელი ცეცხლია. ოჰი, ჩემი კაბით დაჯდეს ჩემი მაზლის ცოლი ბარბარე!..

როგორც მე მისმა ქმარმა გამასაწყლა და უბედური ჩემი ქმრის ცოლ-შვილი ააწიოკა, ისეც აწიოკებულა ის, — ანანომ თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და დაუმატა: — სიკვდილმა არ დამინდო და ისინიც ფეხს მაჭერენ. აბა სამართალი სად არის?

— ხომ გამოეცალე სახლიდან და რაღა ღმერთი გაუწყრათ?

— ეს ერთი ბავშვი რომ მიგდია, ამაზედაც თვალი უდგებათ. ასე მეუბნებიან, არც მაგითი გაიხარებო.

— რა საძაგელი ყოფილა! რა იცის მერე? იმის უბეში ზიხარ თუ?

— მეც ეგა მკლავს და მაგიჟებს!

ანანომ წინ გაშალა ბოხჩა, რომელიც გადმოუდო ქეთევანმა, აირჩია საკერავი და გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. შუადღემ გადიწია. ქეთევანი მალ-მალ გადიხედავდა ხოლმე სარკმელში, ხომ არ მოსულანო, მაგრამ ცხენები ჯერ არსადა სჩანდნენ. მოლოდინსაც ბოლო მოელო, მოისმა ხვიხვინი. ციცომ მსწრაფლ ხელი უშვა დედოფლებს, წამოვარდა და კარზე გავიდა. ქეთევანს სახეზე ალელვება დაეტყო. მარტო ანანო წინანდელზე უფრო აიბუზა და წარბებაკრეხილი, გადურსული ჰკერავდა, რამდენიმე წამი და კარიც გაიღო. ოთახში შემოვიდა წელში ცოტა მოხრილი, მაგრამ მაინც კიდევ ვაჟკაცურად გამომყურე თავადი პავლე. ის შეფუთნული იყო ბეწვდადებულ ქურქში და თავპირი ყაბალახით ჰქონდა შეხვეული, თვალებზედაც ლურჯი სათვალეები გაეკეთებინა.

— ოჰ, მოხვედი? ეგ სათვალეები რაღაა? — დაუმატა შეშფოთებით ქეთევანმა და ტახტიდან ძირს ჩამოვიდა.

— ექიმმა მომცა: როდესაც დიდი ქარი იყვეს, მზე და თოვლი — ატარეო, — უპასუხა პავლემ და ყველას ხელი ჩამოართვა.

— თვალები როგორღა გაქვს? — მიატანა კვალად ქეთევანმა და სახეზე შიში გამოუკრთა.

— ისევ ისე, როგორცა მქონდა, ხანდისხან მტკივა. ექიმმა მითხრა, დიდი გაფრთხილება გინდაო, ნურც სანთელზე წაიკითხავ, ნურც მაგარ სასმლებს დალევ და გაივლისო.

— მადლობა ღმერთსა! — შვებით ამოისუნთქა ქეთევანმა და პირზე ისევ ღიმილი მოუვიდა.

— სხვა, რასა იქთ და როგორა ხართ? — განაგრძო პავლემ და დაიწყო ქურქის ხდა.

— როგორც გვხედავ, — უპასუხა წყნარად ცოლმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ქმრის თვითეულ მოძრაობას.

კატო მიეკრო დედას და აღმაცერად გამოპყურებდა სოლოს, როგორ აღაგებდა ხურჯინიდან სხვადასხვა ახალ ნივთებს. აგერ ამოიღო ორი წყვილი დოში, ზურგიელი, ჩაი-შაქარი; თან მოჰყვა პატარა ქაღალდში შეხვეული რაღაც.

— ეგ ციცოს ფეხსაცმელებია! აბა, გოგო, გაისინჯე, როგორ მოგივა, — წარმოსთქვა პავლემ და ქაღალდიდან გამოხსნა სხვადასხვაფერ ძაფებით მოქარგული ფეხსაცმელები. ციცოს სახე აღტაცებისაგან აენთო, ფეხსაცმელები უცბად მოიტაცა და ჩასაცმელად მეორე ოთახში გაიქცა, თან გული უძიგძიგებდა: ვაითუ კარგად ვერ მომივიდესო.

— შენც საკაბე მოგიტანე, ქალო, თუ გამოგადგება, — დაურთო პავლემ და ცოლს გადაუდო მიხაკისფერი შალი. ქეთევანმა გადაშალა და გულში იამა; ამან მოტანას უფრო ყურადღება მიაქცია, ვიდრე ნავაჭრის ღირსებას. შეეძლო თვითონ უფრო ძვირფასი აერჩია, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ამ საჩუქარს. მალე მაგიდა გაივსო მოტანილებით. ეტყობოდა, პავლეს პირის პატივი უყვარდა.

— ეგ კარგა ხანს გვეყოფა, თუ გამოვიზოგებთ, — სთქვა პავლემ, როდესაც სოლომ ხუთი-ექვსიოდ ყუთი ხიზილადა ამოიღო.

— გეთაყვა, სოლო, დროზე დააბინავე ყველა ეს მარანში და სუფრაც გაშალე. — პავლემ წაღები დაიხადა და ტახტზე მოიკეცა.

— სხვა, ნათლიდედ, როგორა ხართ? — მოუბრუნდა ის ანანოს, რომელიც გაწითლდა, მორცხვად თავი ძირს დახარა და ჩაიდაპარაკა:

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, გახლავართ ისე, როგორც შეეფერება ჩვენს გაჭირვებას.

— ამ დროს შემოვარდა ციცო ბაკაბუკით.

— შეხე, პაპა, რა მშვენივრად მომერგო ფეხზე! ეს პრიადა რაღაა?

— ეგ, შვილო, დაიკაა, ხარაზმა საგანგებოდ აარჩია! ვუთხარი ახალი მოდნისა მომეცით-მეთქი.

კატო ხარბად უყურებდა ციცოს და გულში შენატროდა, რომ

ისეთი ბედნიერი იყო. ანანომ გადახედა ბავშვებს და მძიმედ ამოიოხრა. ქეთევანს არ გამოჰპარვია ეს ფარული ნაღველი, ალერსით გაუღიმა კატოს, თითქო უსიტყვოდ ჰპირდებოდა: მოიცა, არც შენ გაგისტუმრებ დაუკმაყოფილებელსაო... პავლეს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო მეტი ხანი გაჩუმებული იჯდა ხოლმე ტახტზე და თავისთვის ღიღინებდა.

— რას გაჩუმდი? ქალაქიდან მოდიხარ და დავიჯერო არა იცი რა? — ჰკითხა ღიმილით ცოლმა.

— უჰ, დავიღალე, ქეთე, ამ ოხერმა ცხენმა მეტად მაწვალა. ეტყობა, გადაჩვეულა სიარულს. შენ, სოლო, მგონი სულ ბოსელში გება და კარზე არ გაგიყვანია? — მოუბრუნდა სოლოს, რომელიც ტახტზე სუფრას შლიდა.

— თქვენი რისხვა არ მქონდეს, ბატონო, დღეში ორჯერ ჩამყავდა წყალზე, — უპასუხა მან.

— მამა გიცხონდება, ჩქარა მოიტა! — მიატანა პავლემ. ამას მონატრებოდა სოფლის გემრიელი, უხვი სუფრა და ეხლა ხარბად უყურებდა მას.

— დაილოცა სოფელი! სოფლის ჭირიმე! რა არის ქალაქი? მჭამელი და ამასთანავე მშიერი, — სთქვა მან, პირჯვარი გადიწერა და გადატეხა ცხელი პური, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა.

— იფ, აცხონა ამის გამომცხობის მამა!

სოლომაც შემოარბეინა საწვნე. სუფრის თავში იჯდა ქეთევანი, შემდეგ ციცო, ანანო და კატო; სულ ბოლოს თვითონ პავლეს მოეკეცა. ანანო კრძალვით იღებდა საჭმელს, კატოს ხომ შიშისგან ლუკმა ყელში უჩერდებოდა. ციცო კი თამამად იყურებოდა და გემრიელად იღუკმებოდა.

სადილსაც მალე მოეღო ბოლო. პავლე იქვე მხარ-თეძოზე წამოწვა, მაგრამ ღალატვამ დასძლია და გავიდა მეორე ოთახში,, სადაც ბუხარში ცეცხლი გრიალებდა; ტახტზედაც საბან-ბალიში ეგდო.

## III

თავადი პავლე პარპაშვილი ოჯახში ერთხელვე დაყენებულ წესებს არა სცვლიდა; ცდილობდა არ დაერღვია თავის სახლში დამყარებული მბრძანებლობა, თუმცა სამოც წლამდის მიხწე-

უდიყო, მაგრამ უკან არ ჩამორჩენოდა თანამედროვე ახალგაზრდებს როგორადაც მსჯელობაში, ისე ყოფა-ქცევაში. არც აზრუს იტყოდა, ფეხდაფეხ მისდევდა, კვალში უდგა ცხოვრებას. შეძლება კარგი ჰქონდა და თავს არას აკლებდა. ორასი თუმანი შემოსავალი ხელგაშლით აცხოვრებდა.

პავლესა და ქეთევანს ერთადერთი ქალის მეტი არა გააჩნდათ. ეს იყო ციცოს დედა, რომელიც პირველ ლოგინობასვე თან გადაჰყვა; მისი ქმარიც მეორე წელს მოკვდა. დარჩათ პაპასა და დიდედას ობოლი, რამდენისამე დღის ციცო, რომელიც აიყვანეს გასაზრდელად.

საშინელი თავზარდამცემი დანაკარგი იყო მშობლებისათვის, მაგრამ ბუნებამ თავისი შეასრულა. მოხუცებულებმა დიდი მწუხარებისა და ჯავრის შემდეგ მორჩილად თავი დაუხარეს განგებას. ქეთევანს ეხლაც უკვირს, თუ როგორ გადურჩა იმ ელდას, როგორ არ დაუბრმავდნენ თვალები ნატალიას გაყინულ უსიცოცხლო სახის შეხედვაზე, მაგრამ დღესაც კი განაგრძობენ მზის ყურებას. ქეთევანი მაინც იმედით შეჰყურებდა პატარა ციცოს.

— იქნებ ამისმა მშვენიერმა და კარგმა ქალობამ რაიმე ნუგეში მომიტანოს ცხოვრებაშიო, — ფიქრობდა ეს და ეფერებოდა.

დიდი წვალება და მზრუნველობა დაატყდა ქეთევანს თავზე, ვიდრე რამდენიმე დღის ციცოს ცხრა წლამდის მოჰყვიდა. სოფლის დედაკაცები რიგრიგობით აწოვებდნენ ძუძუს, სანამ საკუთარი ძიძა არ მოუყვანა. ბევრჯერ მივარდნილა სიკვდილის პირამდის ბავშვი, მაგრამ ქეთევანს თავისის მოვლით, თავგანწირულებით გამოუბრუნებია.

— ვინ დაჰკარგა და რას შეჰყურებს?! მაგისას როდის რას უნდა მოესწროს? — გაიძახოდნენ გარშემო მეზობლები, მაგრამ ქეთევანი მათ ლაპარაკს ყურს არ უგდებდა.

— ღმერთი დიდია! თავისი ლუკმა დარჩება და ბედიც არ დააკლდება! — ამ გახსენებაზე მწარე ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე, როდესაც წარმოიდგენდა ციცოს დაქალებას და ქმარ-შვილში ჩავარდნას.

— ნუთუ ასე იქნება? მაშ როგორ? ეს ხომ გარდუვალი მომავალია ყველა ქალისთვის!

მთელი მისი არსება იგრძნობდა რაღაც განუსაზღვრელ

სიბრალულს ბავშვისადმი და შეუკავებელის ღტოლვით გონება გაუჩერდებოდა ნატვრაზე, მიუწვდომელ ოცნებაზე, რომ ციცოს მაგიერი ყოფილიყო პაწაწა ბიჭი! მაგრამ წუთს გუნება შეეცვლებოდა, აიტაცებდა პატარას, გულში ჩაიკრავდა, თითქოს იცავს საშინელ შეურაცხყოფისგანო და ცრემლმორეული ჩაჰკოცნიდა, თან ჩურჩულებდა:

— ნეტაი რა მოგელის ცხოვრებაში, შვილო? — ძუძუნაწყენი, მისუსტებული ბავშვი გამოყოფდა პაწაწა თათს და ცინდალსავით დაიკნავლებდა.

— ციცო, ციცო, შე საბრალო! — მიეფერებოდა დიდედა. მას თითქო მოეწონა ეს სახელწოდებაო და სიდონიად მონათლული ბავშვი სახლში მყოფებისთვის გარდიქცა პატარა ციცოდ, რომელიც მას აქეთ იზრდებოდა მოხუცებულების ფარეზობაში, პაპა, როცა კი სახლში იყო, ძალიან ეფერებოდა, მაგრამ იშვიათად ბრუნდებოდა შინ; მოიგონებდა რაიმე მიზეზს, გაიჩენდა საქმეს და გასწევდა ქალაქში, სადაც თვისთველობამდის ატარებდა.

პურმარილით განთქმულმა პავლემ დახურა სახლის კარები და ალარავის იწვევდა; სამაგიეროდ ცდილობდა მუდამ კარზე ყოფილიყო და კარზედვე გამასპინძლებოდა თავის კარგ ნაცნობ-ამხანაგებს. ამისი ყარაბაღული, სიმღერა და თარი ზღაპრად იყო დარჩენილი, მაგრამ რაც ქალი მოუკვდა, ცოტა ხანს ხელი უშვა ყველაფერს მწუხარებისგან დაძლეულმა, მერე კი თანდათან გაუმკლავდა სასოწარკვეთილებას, პავლე არც შვილის სიკვდილამდე იყო კმაყოფილი თავის ბედისა. დარწმუნდა თუ არა, რომ მემკვიდრე არ გაუჩნდებოდა, ყოველივე უნარი, ყოველივე ნატვრა ოჯახის გაფართოებისა და შეძენისა გაუქრა სამუდამოდ. მისი მკვირცხლი ბუნება არ ჯერდებოდა ქეთევანისთანა მორჩილს, განუვითარებელ არსებას; მას არ აკმაყოფილებდა ბედისწერისგან მიცემული სურვილებით სუსტი ამხანაგი, რომელთანაც საერთოს ვერას ხედავდა, მაგრამ მაინც პირველში, იმ იმედით გამსჭვალული, რომ ვაჟი შეეძინებოდა, ურიგდებოდა აწმყოს. ეს იმედიც გაუქრა და ხელში დარჩა უფერული, უაზრო ცხოვრება. პავლემ ნელ-ნელა ჩამოიშორა საშინელი სევდა და წინანდელზე მეტად მიეცა თავდავიწყებას, რომ უკან აღარ მოეხედნა.

„ოოკვდება, თავს მოუკვდება,
ცოცხალი ღონიერიაო",

იტყოდნენ ხოლმე, როდესაც დაინახავდნენ ყურთმაჯებგაშლილს, თითის წვერებზე შემდგარ პავლეს და მოისმენდნენ მის ვაჟკაცურ ხმაზე შემოძახილ ჩარგს.

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
კარგი ვსვათ და კარგად ვჭამოთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!"

ამით ინუგეშებდა თავს პავლე, მაგრამ სახლში რომ ბრუნდებოდა, თითქო მიძინებული სევდა ისევ აეშლებოდა, აიღებდა თარს და მის ნაზ ჰაეროვან სიმებს გააყოლებდა გულის ბოლმას, თან ასე მოსთქვამდა:

გულო, აგრე რად მღელვარებ?
რისთვისა სძგერ აგრე ჩქარად?
რა გაქვს აგრე სამწუხარო?
რას მოელი სამძიმარად?
ნუთუ ძვირფასს რასმეს ჰკარგავ,
გახსოვს და გაქვს საზივარად?
წარსულს ნულარ მოიგონებ,
შეგექნება სატირალად.
გულო, ნუ სწუხარ, დამშვიდდი,
ისევ შენს ადგილს დამკვიდრდი,
დრო იყო, რომ ვარდსა ჰკრეფდი,
ეკლისაგან არ იშლიდი!
რაც იყავ, ის აღარა ხარ,
ყოველს კარგსა გადასცილდი,
მაგრამ სხვასაც არ შერჩება,
ეს სოფელი არის ფლიდი!
გულო, ნუ სწუხარ, ნულარა,
თორემ თვალმა ცრემლი ღვარა!
სანამ ვიცოცხლოთ, ნუ მოვშლით
რაც გვინახავს და რაც არა!
ნუ მივყვებით მწუხარებას,
ვინც მიჰყოლია — შემცდარა,
თორემ სოფლისგან გატანჯულს
მარტოლა გვრჩება სუდარა!

გარდა სიმღერა-თარისა და ლექსების წერისა პავლეს წიგნების კითხვაც უყვარდა. თუმცა მხედველობა ბოლოს და ბოლოს დღითი დღე უსუსტდებოდა, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა

ექიმების დარიგებას, ღვინოს ხარბად სვამდა და ცხარე საჭმელებსაც ეტანებოდა.

— ისემც მამა უცხონდებათ, ღვინომ და არაყმა თვალებს რამე დააკლონ! ან როგორ უნდა შევეძლო, როდესაც ღვინით ალვზრდილვარ? — იტყოდა ხოლმე პავლე; მაგრამ, როდესაც თვალებმა ტკივილიც დაუწყო, მაშინ კი ჩაფიქრდა და ხშირად ეწვეოდა ხოლმე მკურნალს, რომელიც დასამშვიდებელ წამლებს აძლევდა.

პავლე ოჯახს საგანგებოდ განაგებდა. მეტად სასიამოვნო სანახავი იყო მარანი. კუთხე არ დარჩენილიყო, რომ სხვადასხვა სანოვაგით არ აევსოთ, ქვევრებით ღვინო, სხვადასხვა მურაბებით გადიცლიცებული ჭურჭლები, შაშხები, ხილეულობა და ბოსტნეულობა, ერთის სიტყვით, დოვლათი სდუღდა და გადმოდიოდა. პავლე ქეთევანს არაა რევდა საქმეში, ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ცოლს აივანქვევით არ უშვებდა; მისი საქმე იყო მარტო ციცოს აღზრდა, საკერავი და აბრეშუმის რთვა განიერ ტახტზე. ქეთევანის ასპარეზს ეს ტახტი შეადგენდა და მის გარეთ ხელი არ მიუწვდებოდა.

— რა შენი საქმეა, ქალო, საკუჭნაოში სიარული? თითიკა რისთვისა გვყავს? იმას ვერ ჩაგზავნი? — ეტყოდა პავლე ცოლს.

მამულის შემოსავალ-გასავალიც ხომ, რასაკვირველია, მარტო პავლემ და იმისმა მოურავმა იცოდნენ. პავლე ხანდახან მისცემდა ხოლმე ქეთევანს ფულს სხვადასხვა საჭიროებისათვის. დანარჩენს კი, როგორც თვითონ ამბობდა, „პრიკაზში" ეზიდებოდა. ქეთევანი მზად იყო, ეს მონაცემი სახარჯოც უკანვე დაებრუნებინა, ოღონდ პავლეს მამული გაეწმინდა ვალისგან და პატარა ციცო მდიდარ საპატარძლოდ გამოეზარდა. მარტო დარისპან მოურავი ულვაშებში იცინოდა. როდესაც ქეთევანი დაიწყებდა ლაპარაკს მაზე, თუ ხვალ-ზეგ როგორც განთავისუფლდებოდნენ ვალებისგან.

— გაიგონე, დედაკაცო, ჩვენ ბატონს სულ წაუგია ბანქოში ის ასი თუმანი შაღბაშის ფული და კიდევ ზედ ორმოცი თუმანიც ვალი დაუდვია, რომ არა ჰყოფნია ქეიფებში, — ეუბნებოდა დარისპანი თავის ცოლს სწორედ მაშინ, როდესაც პავლე სახლში იჯდა და თარის სიმებს აწკრიალებდა.

ქეთევანმა ციცოს კითხვა დააწყებინა და სამ წელიწადში ის

მშვენივრად კითხულობდა ყველა ქართულ ნაწერს. პაპასაც მოპ-ქონდა სხვადასხვა საყურადღებო შინაარსის წიგნები. ციცო უმეტეს დროს ატარებდა დიდედასთან, რომელიც არავისთან არ უშვებდა: ეშინოდა ცუდი არავისგან ესწავლა, ან არა გაეგონა რა.

— ქვეყანა გარყვნილ-გასაძაგლებულია, ციცო კი ქალია და კაი პატრონობა უნდა, — იტყოდა ქეთევანი.

ოღონდ ბავშვს კარზე არ გაეწია და სახლში ყოველმხრივ აკმაყოფილებდა მის სურვილებს, მაგრამ ციცოს გული გარეთ მიჰფრინავდა, თუმცა უჯერებდა დიდედას და რჩებოდა სახლში. ამრიგად ზაფხული ზამთარსა სცვლიდა, ზამთარი ზაფხულს, ქეთევანი და პავლე თანდათან ბერდებოდნენ, ციცოც იზრდებოდა.

ქეთევანს თავიდანვე არ შორდებოდა ეჭვი, მუდამ მოუს-ვენრად იყო და ხანდისხან აღმაცერად გახედავდა ხოლმე თავის მეუღლეს, როდესაც დაინახავდა, უკანასკნელის ატკრციალებულ სახეს, ანთებულ თვალებს, რომელნიც ფარულ ვნებას ხატავდ-ნენ. ქეთევანი მიუხვდებოდა საიდუმლოს და გულში იტანჯებოდა.

თუმცა პავლე დიდ პატივსა სცემდა ქეთევანს, მაგრამ სხვა ქალებშიაც უყვარდა ქეიფი. მთელმა სოფელმა იცოდა მისი ეს ჩვეულება და თავიანთ დედაკაცებს აფრთხილებდნენ, მაგრამ პავ-ლე მოურავის წყალობით მაინც ჩაიგდებდა ხოლმე ხელში რო-მელსამე თვალჟუჟუნას.

ქეთევანი არა ერთხელ წასწრობია ქმარს და უკან გამობ-რუნებულა შეურაცხყოფილი, თავის-თვეობამდის კიდეც დაუბრე-ბია, მაგრამ პავლეს მოუბრუნებია მისი გული იმ დაპირებით, რომ შემდეგში აღარ გაიმეორებდა.

ქეთევანიც რწმუნდებოდა მის ფიცზე, აპატიებდა შეცოდე-ბას და პავლე კი გადასწყვეტავდა უფრო მოხერხებით და ფრთხილად დაეჭირა თავი.

სოფელს მაინც უყვარდა მებატონე, რომელიც მათი მწყა-ლობელი იყო და გაჭირვებაში ყოველმხრივ ხელს უმართავდა. გლეხები სასტიკად არა სჯიდნენ პავლეს ქალების სიყვარულში.

კაცის გული ისეთა,
ვით მორევი შავი ზღვისაო,

რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც მოუნდება სხვისაო!"

— თვითონ დედაკაცმა უნდა დაიცვას ნამუსი, თორემ კაცი რასა ჰკარგავს? — იტყოდნენ ხოლმე დარბაისლები.

— მართალი ბრძანებაა, მამამთილო! ქალმა დეჩაქი სუფთად უნდა ატაროს, — უპასუხებდნენ რძლები, რომ სახლში მყოფების გული მოეგოთ და ეჩვენებინათ თავიანთი ფაქიზი ზნეობა.

პავლე უფრო და უფრო გაგარეულდა და რაც კი შეეძლო, ქალაქისკენ ფულს ეზიდებოდა. თუმცა არც სახლში ბრუნდებოდა ხელცარიელი. საშობაოდ ციცოს მოუტანა ხარაზის ექვსაბაზიანი ფეხსაცმელები და ცოლის გულიც მოიგო. იქ, ქალაქში, ორას თუმნამდე მიჰფლანგა და ამჟამად კი რბილ ბალიშებზე უზრუნველად ხვრინავდა.

## IV

მალე მზეც მიიმალა და სუსხმა იმატა. ბუხარში კვლავ აპრიალდა ცეცხლი. ქეთევანი და ანანო ისევ განაგრძობდნენ საქმეს, სარკმლებზე ფარდებიც ჩამოაფარეს; გაისმა ოთახში ჭიქების წკრიალი; სალამოს ჩაისთვის ემზადებოდნენ, ანანომ შეახვია ბოხჩა და მოხედა პატარა კატოს, რომელიც ამ დროს ეჩურჩულებოდა ციცოს.

— შვილო, კატო! წავიდეთ, თორემ მერე გზას ვეღარც კი გავიგნებთ. — კატოს ამ სიტყვებზე რაღაც ნაღველი დაეტყო.

— რა მიგაჩქარებს?.. პატარა მოიცა! — უთხრა ქეთევანმა, გადმოვიდა ტახტიდან და კარი შეაღო მომცრო ოთახში, სადაც სხვადასხვა ავეჯი ჰქონდათ შენახული.

ქეთევანმა ახადა თავი თეთრ ყუთს და დაუწყო რაღაცეებს ძებნა. რამდენისამე წუთის შემდეგ გამოიტანა გამოხვეული. ეტყობოდა, ციცოსი უნდა ყოფილიყო. ანანომ დაინახა თუ არა, სიხარბისგან თვალები გაუგანიერდა, ეჩქარებოდა ხელი წაევლო, რომ დროზე თავის საკუთრებად გაეხადა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— იქნება კატოსთვის გამოგადგეს? — ამ სიტყვებით ქეთევანმა გადაუწყო ორი-სამი ხელი ტანისამოსი. ანანომ სიხარულის ცრემლები ვეღარ შეიმაგრა და გატკრციალებული ედა და

შვილი კმაყოფილებით გაემართნენ თავიანთ ღარიბ ციცქელ-ღებიან ჭელულისკენ.

ციცო ისევ მარტო დარჩა და მოიწყინა. ქეთევანიც წაიღეს ფიქრებმა. გარედან ისევ მოისმა ქარის ზუზუნი.

— შენს მგზავრობას პატივი სცა ამინდმა და ახლა კი ისევ შეურია, — უთხრა ქეთევანმა ქმარს, რომელიც ძილით გამაძღარი, დაწითლებულის თვალებით შემოვიდა ოთახში.

— თავში იცეს! ეხლა რაღას დამაკლებს? ამ კორიანტელში გზაში ყოფნა კი ძნელი იქნებოდა, — უპასუხა პავლემ, ზარმაცად დაამთქნარა და მიუჯდა ბუხარს.

— ჩემი ბიძაშვილი როსტომი რაღას შვრება? ან ძალუა ნატალია? — იკითხა პავლემ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რა უშავთ? ამ ორი დღის წინათ აქ იყო ნატალია, როსტომი კი თავისებურად კრუსხავითა ზის და ოჯახს დასტრიალებს. ნეტაი იმას, რომ ისეთი დოვლათიანია!

— ჰმ! დიახაც რომ დოვლათიანი უნდა იყვეს!... ხალისი არ მოსდევს თუ? იმისი ლევანი ერთ ოჯახათა ღირს... მართლაც, ნეტაი იმას! — წარმოსთქვა პავლემ და ნაღვლიანად ამოიოხრა. — ჩვენსავით კარგამოხურული კი არ არის, — განაგრძო მან, — ვისთვის უნდა იშრომო, ვისთვის უნდა იდგამდე წელებზე ფეხსა?..

— როგორ თუ ვისთვის? უთუოდ ვაჟი რომ არ იყვეს, ქალი კი შვილი არ არის?.. — ჰკითხა ქეთევანმა საყვედურით და მიაჩერდა ქმარს.

— ქალი?.. ქალის ყოლა ამოწყვეტაა! ჩვენთვის ხომ მაინც ყველაფერი დაკარგულია.. სმა-ჭამის გარდა რაღა მიზანი დაგვრჩენია ცხოვრებაში?.. ღმერთმა მეტად დაგვსაჯა, მეტად იმ დალოცვილმა! — პავლეს სახეზე გამოიხატა ნაღველი, შუბლ-შეკრული დაშტერებით მიაჩერდა ბუხარს.

ქეთევანმა ცხადად დაინახა, თუ რა მწვავედ ხვდებოდა პავლეს ამ საგანზე ლაპარაკი და არჩია შემდეგისთვის აღარ აეშალა მისთვის ძველი იარა.

— იცი, ძალუა ნატალია დიდი გახარებულია. ამ მაისში ათაკებს თურმე სწავლას იმისი ელენე, — დაილაპარაკა კარგა სიჩუმის შემდეგ ქეთევანმა, რომ როგორმე გაექარვებინა პავლესთვის ნაღველი.

— ოჰო! — წაიზმუკუნა პავლემ და ჯოხი შეუჩიჩხინა ბუხარს.

— ჩემი ციცო უნდა მივაბარო ელენეს: ეგების რუსული წერა-კითხვა მაინც ასწავლოს!

— იქნება, ინსტიტუტისთვისაც ამზადებინებ? — დამცინავის კილოთი ჰკითხა პავლემ.

— ეგრეც რომ იყვეს, მერე რა უშავს?

— სწორედ ეგლა მაკლია!.. ღვთის წინაშე, წერა-კითხვა მეტი არ იქნება, მაგრამ ინსტიტუტებს კი თავი დავანებოთ, ეგ ჩვენი საქმე არ არის. ქალი სახლში უნდა იჯდეს და ქმარშვილს უყურებდეს... სწორედ ამისთვის არის გაჩენილი. ეგ ინსტიტუტები სამეტიჩროდ არის მოგონილი. იქ, თუ მკითხავ, სრულებით რყვნიან და ამახინჯებენ ჩვენ შვილებს. სადღაა ქართველი ქალი? აბა მიიხედ-მოიხედე! არა, ციცოს კარზე ვერ გავიყვან: მოხუცებულები ვართ, ჩვენი პატრონი ეგ არის, გარეთ გასული ჩვენ რაღას გამოგვადგება?..

ციცო ყურს უგდებდა ამათ ლაპარაკს და გულში უხაროდა, რომ ამ ზაფხულს ელენესთან დაიწყებდა სიარულს. ამას დიდი ხანია შეჰყვარებოდა მისი ლურჯი, ლამაზი თვალები. ელენეს წრფელი სახე რაღაც ანდამატსავით იზიდავდა ციცოს თავისკენ; შორს წასვლა, მოშორება დიდედა და პაპასი თვითონ ციცოსაც ეზარებოდა.

განა ელენე კი ვერ ასწავლის ყველაფერს? დიდედასთანაც ახლო იქნება და ციცო პატარა კატოსაც გაუზიარებს თავის ცოდნას, — ასე ფიქრობდა ციცო და თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდნენ.

როდის უნდა გავიდეს ახლა ეს ზამთარი?..ოხ, შორს არის... შორს!... დღეს ხომ ოცი ქრისტეშობისთვეა, მაისამდის კი ჯერ ბევრი დროა! ოთხი დღის უკან შობა უნდა გათენდეს! — ფიქრობდა ციცო.

ციცოს ძალიან მოსწონდა ეს დღესასწაულები. ახალ წლის ღამეს თეთრის თვალით ათენებდა, რადგან სახლში ამზადებდნენ გოზინაყს და ჰალვას. მთელი სოფელი ცოცხლდებოდა მაშინ, ცოცხლდებოდა მათთან პატარა ციცოც.

მაგრამ მაინც ზაფხული სჯობიან ამ ზამთარს! რა საყვარლად მოიფინებიან ხოლმე ველ-მინდვრები სხვადასხვა კეკლუცე-

ბით! მაგრამ... მაგრამ დიდედა არსად უშვებს... წაიქცევი, ტანისამოსს დაიხევ, ხარ-კამეჩი გერჩისო... ათასი მიზეზი ეღობება წინ. ციცო ჯერ კიდევ პატარაა, რომ ყველა ამ დამაბრკოლებელ მიზეზებს არ შეუშინდეს და გაუმკლავდეს, მაგრამ არა უშავს რა. ეხლა ელენე მოვა, მის მზრუნველობის ქვეშ იქნება და დიდედაც ელენეს ხათრით ალარსად დაუშლის წასვლას. ელენე კი ისეთი კეთილია! იმისი ხათრი ყველას აქვს... მანამ დიდიც გაიზრდება და შეიქმნება თავისუფალი! ამ ფიქრების მორევში სცურავდა ციცო, ველარ ამჩნევდა, დრო როგორ მიდიოდა და ყველა სამიდედ ემზადებოდა.

ციცო ძილშიაც ნაგრძნობ-გაგონილს ხედავდა, მიჰქროდა შორს, კლდეებს არღვევდა და დაფრიალებდა ბიძია როსტომის სახლში, რომლის სახურავიც მოსჩანდა ამათ სარკმლიდან, ახალგაზრდა ელენეს წკრიალა ხმაც სიმების ჟღერად შეესმოდა; ელენე მოვიდა ციცოსთან და აღერსით ხელი დაუსვა ხუჭუჭა თმაზე.

— გამარჯობა, ციცო! შენ ჩემთან იქნები და ყველგან გატარებ!..

მძინარე ციცოს ტუჩები იღიმებიან...

## V

სოფელი სიცივეს ყურს არ უგდებდა და ემზადებოდა სახვალიოდ, დღესასწაულისათვის. სალორეებიდან მოისმოდა ღორების ჭყვიტინი.

ყველა, ვისაც კი წლითი-წლობამდის სველი ლუკმა არ ეგემა, სახვალიოდ იმზადებდნენ პირის გასაგემრიელებელს. პავლეს ოჯახშიაც დიდი ფაციფუცი იყო. დედაკაცებს თავი მოეყარათ სათონეში და ცხელ-ცხელ ლავაშებს ილებდნენ. სოლოს დაეკლა დიდი კურატი, დანგარზე დაედო და აკეთებდა.

— აბა, მამა გიცხონდება, მაგას დროზე მორჩი და კუთხეში რომ სამკოკიანი ზედაშეა, ფრთხილად მოხადე! ვინძლო მიწა არ ჩაგიცვინდეს, — ეუბნებოდა პავლე და სამზარეულოში ტრიალებდა, ყველაფერს ათვალიერებდა.

— ხვალ კაცები ქათმებს მოიტანენ და იმათ დასამარილებლად ჭურჭელი მოამზადე!

— ბატონი ბრძანდებით, — მორჩილებით უპასუხა სოლომ და ხელი ააჩქარა. მას ეხმარებოდა სტუმრად მოსული მეზობლის ბიჭი. ზევით სართულში დიდედა გაფაციცებით ჰკერავდა ციცოს ახალ კაბას, რომ ხვალისთვის მოესწრო. ყველას დღეის არსებობა დავიწყებოდა და ხვალით ცოცხლობდა.

— ხვალ მეც წამიყვან, დიდედა, წირვაზე?.. — ეკითხებოდა ციცო და ეფერებოდა. დიდედაც თანხმობის ნიშნად უღიმოდა.

— ვინც ხვალ ეკლესიაში არ წავა, შვილო, რაღა ქრისტიანია? — წარმოსთქვა ქეთევანმა, უკანასკნელად ამოუგდო ნემსი და გაათავა კიდევაც კერვა. შემდეგ ჩამოიღო მიხაკისფერი ფარჩის კაბა და დაუწყო თვალიერება. მთელი დღე მომზადებაში დაალამეს.

მეორე დღეს ჯერ არ იყო ნანათლი, რომ ქეთევანი და პავლე ჩვეულებრივად ფეხზე იდგნენ. ციცომაც ადრე აიწია.

გაისმა ზარის რეკვა, რომელსაც გულის ძგერით ელოდა ყოველი ნამარხულევი... ხალხმა დაიწყო ეკლესიისკენ დენა. მორთულ-მოკაზმულ, ლეჩაქ-ყურგადაგდებულ ქალებს, დაეკარწახებინათ და მისდევდნენ თოვლზე გაყვანილ ბილიკს.

ურემიც მოჭრიალდა სახლის წინ. პავლემ უშველა ქეთევანს ურემში ჩაჯდომა, შემდეგ თვითონ ავიდა და გვერდზე მოისვა ციცო.

ეკლესია შორს არ იყო, მალე ურემმა მიატანა; მას მოეწია მეორეც, რომელშიაც ისხდნენ კნეინა ნატალია და როსტომი. პავლემ ყურადღება არ მიაქცია მათ, უნდოდა შეესწრო ეკლესიაში და არ მისალმებოდა წირვის გამოსვლამდე, რომ სალამს უფრო დიადი მნიშვნელობა შერჩენოდა, მაგრამ ნატალიამ აღარ დააცადა და პირველი წავიდა წინ.

საყდარში შეიქმნა ჩურჩული, მიწევ-მოწევა. ნატალიამ გაარღვია ქალები, რომელნიც უკან დამდგარიყვნენ, შემდეგ კაცებმაც გზა მისცეს და ამოუდგა ქმარს გვერდით ხატების წინ.

პავლეს დიდი ხანია დაჩემებული ჰქონდა საწიგნობელის წინ დგომა და გადავიდა იქით. ქეთევანი კი გაჩერდა კარების ახლო კუთხეში და წინ დაიყენა ციცო. მის გარშემო კარგა ადგილი იყო დარჩენილი, მაგრამ მის დაჭერას ვერავინ ბედავდა, თუმცა კი იქით ვერ დატეულიყვნენ. ქეთევანი ხედავდა ამას, მაგრამ მაინც განაგრძობდა მდუმარებას: თავმოყვარეობა ნებას არ

აძლევდა, თავი შეევიწროებინა და ცხვირწინ დაეყენებინა ვინმე.

გაისმა დიდებული ღაღადისი. ყველა გამსჭვალულიყო დღესასწაულით, თუმცა კი ხანდისხან მლოცველების თვალები უნებურად გადადიოდნენ გვერდზე მდგარ მეზობელზე და დაკვირვებით სინჯავდნენ. მრავალი ახალი ტანისამოსი უსიტყვოდ ეკამათებოდა ერთმანეთს. ციცო, პირისფერ შალის კაბაში გამოწყობილი, გრძნობდა, რომ ყველას სჭარბობდა, თუმცა კი გარედან არა სჩანდა და შეფუთვნილიყო სათბუნებელში.

კატო და ანანოც იქვე იდგნენ ახლო; კატოც ციცოს ნაცვამ კაბით თავს იწონებდა. მღვდელმა გამოიტანა ჯვარი, მლოცველები დაამწყაღობა. ხალხმა კარზე დაიწყო დენა.

ნატალია დაუპირდაპირდა ქეთევანს და თავი დაუკრა, ქეთევანმაც პასუხი მისცა, ეს ორი არსება თითქო ცდილობდა, ხალხის წინ ერთიმეორეზე მაღლა მდგარიყო; ამასთანავე არ უნდოდათ ერთმანეთისთვის შეემჩნევინებინათ ეს ფარული გრძნობა.

ნატალია უფრო ყმაწვილი სჩანდა. მაღალი, შავგვრემანი, მისი გაწყობილი სახე რაღაც სიმტკიცეს ხატავდა და თვალები პირდაპირ გაბედვით იყურებოდნენ. ქეთევანს კი უფრო მოკრძალება ემჩნეოდა, ყოველ საგანს, ყოველ არსებას თითქო ანგარიშს აძლევდა, თვითეულ მიხვრა-მოხვრაში მაშინ, როდესაც ნატალია ყურადღებას არ აქცევდა.

— მოგვილოცავს ქრისტეს შობა! — გაისმა ამ დროს. ქეთევანმა მოიხედა; მის წინ იდგა მორთული როსტომი; მას აქაიქ ჭაღარა უელვარებდა წაბლისფერ თმაში.

— თქვენც დაესწარით მრავალს ამ დღეს! — უპასუხა ქეთევანმა. როსტომმა ხელზე აკოცა; პავლეც გამოვიდა და მიესალმა ნატალიას, რომელიც მოეხვია ქეთევანს. ხალხი ამათ თავს უკრავდა და მიდიოდა თავის გზაზე.

— ნახვამდის! — მისცეს კვალად სალამი ერთმანეთს და თავთავიანთ ურმებში ჩასხდნენ.

დღევანდელ დღეს ყველა ელოდა თავის ოჯახში მოძღვარს, რომელსაც უნდა მიელოცა ქრისტეს შობა.

ის იყო პავლე და ქეთევანი ამოვიდნენ სახლის კიბეზე, რომ

უკან მოჰყვათ შემოსილი მამა ზაქარია ჯვარით ხელში, პავლემ მაშინვე კარი გაუღო და მოწიწებით ემთხვია ჯვარცმას.

— შობამან ქრისტესმა გამოაჩინა ნათელი!.. — გაისმა ოთახში ზაქარიას ხმა. მაცხოვრის წინ დაპლაპებდა კელაპტარი; ქეთევანი იდგა ხელი-ხელ დაჭდობილი და სასოებით პირჯვარს ისახავდა. გათავებისას მამა ზაქარიას ხელში შრიალი დაიწყო ახალმა სამმანეთიანმა, რომელიც საჩქაროდ ჯიბისკენ გაჰქანდა.

— გაცოცხლოთ! გადღეგრძელოთ! — ამ სიტყვებით კარი შემოაღო ხონჩით ხელში ნინიკამ, მას სახე აღეწოდა და ძლივს ფეხზე იდგა.

— აგაშენა ღმერთმა! — უპასუხა თავგამოდებით პავლემ და თანაც მიაჩერდა მსუქან დედალს და მომცრო ბოთლით არაყს. ნინიკას მოჰყვა მეორე გლეხი, მესამე, მეოთხე...,

— ქვევით ჩადით! — უთხრა მოწყალედ ბატონმა. გლეხები მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა ეს ქვევით ჩასვლა და მაშინვე კმაყოფილებით გატრიალდნენ. ესენი თავს იყრიდნენ ბოსელში, სადაც ელოდათ უხვი სუფრა.

— მოგვილოცავს, ქალბატონო, ღმერთმა ქმარშვილი გიცოცხლოთ! — ოთახში შემოვიდა რამდენიმე დედაკაცი. მათ შორის ანანო და კატოც. დედაკაცებსაც თვალები უციმციმებდათ და პირზე ღიმილ-სიცილი არ შორდებოდათ.

ქეთევანი მიეგება მათ და სათითაოდ გადაჰკოცნა.

პავლემ გასწია ქვევით ბოსლისაკენ. ციცოსა და კატოს ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მალე ბოსლიდან მოისმა „მრავალჟამიერი“, ოთახშიაც ორპირად გაიშალა სუფრა, რომელსაც შემოუსხდნენ ქალები.

— მართა, რასა პატარძლობ? რატომ არა სჭამ? ანანო, დაუსხი ღვინო ნინოს! — ღიმილით უმასპინძლდებოდა ქეთევანი ქალებს. ესენიც მხიარულად შეექცეოდნენ სადილს.

პავლეს კარგა ძლვენი შემოუვიდა და თვითონაც არ დაიშურა სტუმრებისთვის სასმელი.

როცა სადილი გათავდა, გაბრუჟული სტუმრები ბარბაცით ძლივს იკვლევდნენ გზას; ზოგი ხელით ეჭირათ, რომ ფეხის გადადგმის არაქათი აღარ ჰქონდათ.

— რა ღვინო იყო, რა ღვინო! — გაიძახოდნენ კმაყოფილი გლეხები.

პავლეს სხვა სოფლებიდანაც მოუვიდნენ ნაყმევები ძღვნით და მის დიდებას დღეს დასასრული არა ჰქონდა.

## VI

გავიდა ზამთარი. გულისშემღონებელი გრძელი ღამეები დამოკლდნენ; მარტმა თოვლი წყლად აქცია, აპრილმა მინდვრები აამწვანა, შიგ ჩააქსოვა სხვადასხვა კეკლუცნი, რომელნიც მომხიბვლელად ირხეოდნენ. ხალხი გამოიშალა კარზე, ხარბად შეისუნთქა მაცოცხლებელი გამჭვირვალე ჰაერი; გაისმა ათასი ხმები... გალაღებული ფრინველები სრიალებდნენ, ჰფრენდნენ, მიილტვოდნენ შორს სადღაც. თავისუფლება, სიფართოვე და სიმჩატე მოჰქროდა ყოველმხრივ.

სოფელსაც სამხატვრო ელფერი დასდებოდა. მწვანე მცენარეებში გახვეული შენობები დიდებულად იყურებოდნენ შორიდან.

ბოსტნებს მოსდებოდა ხალხი, მზის ბრწყინვალე სხივებზე აელვარებდნენ თოხებს. წკრიალებდა რკინა, მას თან მოსდევდა სევდიანი ღიღინი.

თავად პავლეს გრძელი აივანი ავსილი იყო მზის სხივებით. სარკმლები დაეღოთ და მათში თავისუფლად დაფრიალობდა წმინდა ჰაერი, რომელსაც ახალი სიცოცხლე შეჰქონდა ოთახებში.

სახლში მყოფები დღის შესაფერად მორთულიყვნენ: ქეთევანი და ციცო გამოწყობილიყვნენ საზაფხულო მსუბუქ ტანისამოსში.

ციცო აღტაცებული დასტოდა აივანზე და მალ-მალ იხედებოდა შორს ცნობისმოყვარეობით. ქეთევანი ჩვეულებრივად ტახტზე იჯდა. მას გარეთ არაფერი არ იწვევდა, თითქო ყოველივე უკვე მობეზრებოდა, ციცო კი გაოცებული შეჰყურებდა ბუნების სიდიადე-საკვირველებას. ის თითქო ცაში ჰფრენდა, გადადიოდა ფერიათა სამფლობელოში. წუთს ოთახში შემოვარდებოდა, მიმოიხედავდა, მისი წარბები მოიხუშებოდნენ; არა კმაყოფილდებოდა ამ პატარა ოთახებით. აქ ყოველივე დაძველ-

ლებულიყო. თვითეული ავეჯი, რომელსაც კი ეხლა ხედავდა ციცო, ამავე წესრიგით დახვედრია პირველსავე დღეს, როდესაც ქვეყნად გაჩენილა. თვალებმა მათით გაიგეს საგნების მნიშვნელობა, ხელებმა შეხება, ციცო კი დღეს ათის წლისაა და მოსწყინდა ერთი და იგივე. სხვა სანახავი უნდა, მობეზრდა ეს მომცრო მაგიდა, რომელზედაც გადაფარებულია ქეთევანისგან მოქსოვილი თეთრის ძაფის სუფრა, ან გრძელი ტახტი. მეორე ოთახშიაც ძველი, პირგადამენძილი დივანი დალვრემილი შეჰყურებს ციცოს. მისი მსგავსი სავარძლები და ისევ ტახტი ახალს არას ეუბნებიან. ციცო გარბის ისევ კარზე და ხარბად ისუნთქავს ჰაერს. ხანდისხან დაეშვება კიბეზე, შეიხედავს სამზარეულოში. აქ სოლო სდგას ცეცხლა პირას და სადილს ამზადებს.

სოლოს ძალიან უყვარს ციცო, რადგან იმისი გაზრდილია. თვითონ ციცომაც იცის და უნებიერდება: ხარბად შეჰყურებს ხელებში, როდესაც სოლო ტაფაში ბრაწავს კარტოფილს, ან ვარიას ხოხბავს. რამდენიმე წუთი და ციცოს კბილებში გააქვს ხრამახრუმი გემრიელ სასუსნავს. სოლო გადმოუბრუნებს როდინს და ეუბნება:

— აბა როდინზე დაჯექი, ციცო, მიამბე ყარამანის ამბავი. ისიც უჯერებს, გულდასმით მოუყვება, სოლოს სახე უცოცხლდება და კეთილ თვალებში გაოცება ესახება. ციცო გათავების შემდეგაც საჩუქრად იღებს სოლოსგან ჩურჩხელებს ან ვაშლს, რომელიც სოლოს გამოულევლად აქვს ამისთვის შენახული.

ციცოს რომ მოსწყინდება სოლოსთან ყოფნა, გარბის სახაბაზოსკენ. იქ თითიკა წაჩოქილია თონეზე, ხანდისხან ფეხის თითებით ეკიდება გავარვარებულ ცეცხლში. ციცოს ცხვირში ულიტინებს ახალი ნამცხვრის სუნი; თითიკაც წაუტესავს საუკეთესო პურს ან დავაშს და ციცოც მადიანად იღუკმება. სახაბაზოდან გოგონა გასწევს ბაღისკენ, რომელიც იქვე სახლის წინ გაჭიმულა. აქ ამას ფეხებქვეშ ეგება რბილად მწვანე მოლი, ყვავილით შეფეთქილი ხეები ნაზად თავს უხრიან.

— სტეფანე, მაგას რათა სთოხნი, ჰა? — ეკითხება მუშას ციცო..,

— ეს ხახვია, ბატონიშვილო, ეს კიტრი... — ეუბნება სტეფანე და განაგრძობს ღიღინით მუშაობას.

— ციცო, ციცო, მანდ სად ჩასულხარ, ქალო? — მოესმის ამ

დროს ძახილი. ბავშვი იხედება, ქეთევანი სდგას აივანზე და ხელს უქნევს. ციცოს ეძნელება მშვენიერი ბუნების მოშორება, მაგრამ მეტი ღონე არ არის, უნდა დაბრუნდეს და ესეც ნელნელა მოდის, თან გული ევსება საყვედურით.

— როგორ შეიძლება, შვილო, მუშებთან ჯილჯილი? ქალაბიჭა ხომ არა ხარ? — ეუბნება დიდედა. ციცო მზად არის ცრემლები გადმოღვაროს.

ქალაბიჭა და ციცო!.. ეს სახელწოდება არაფერი სანატრელია მისთვის.

ციცო ხმას არა სცემს დიდედას და დაღონებული გაიყურება აივნიდან. გზაზე გამოჩნდა ეტლი. ციცომ იცნო, რომ ეს ბიძია როსტომისაა, სადგურზე გზავნიან. წუთს ბავშვს თვალები გაუბრწყინდა, გახარებულმა დაჰკრა ტაში და მოუბრუნდა დიდედას:

— ეტლი მიაქვთ, დიდედა, ეტლი!

— ჰო, შვილო, დღეს სადილად მიწვეულები ვართ ძალუა ნატალიასაგან. ელენეს მოელიან... — უპასუხა ქეთევანმა და შებრუნდა ოთახში..

შუადღე მოვიდა, წასვლის დრო იყო. ციცომ ჩაიცვა ჩითის ახალი კაბა და გვერდში ამოუდგა დიდედას.

ქეთევანი სიხარულისგან ძლივს მიდიოდა, მაღ-მაღ ისვენებდა. ამათ უკან მიჰყვებოდა დიდის სახრით სოლო, რომ მოხეული ძაღლები მოეგერიებინა ქალბატონისთვის. ციცოც მიდიოდა გულის ძგერით და რაც უფრო უახლოვდებოდა ძალუა ნატალიას სახლს, აღტაცება უორკეცდებოდა.

კარგა მანძილი ჰქონდათ გასავლელი. სოფლის თავში გზა ბოლოვდებოდა და მოსჩანდა დიდი უზარმაზარი ჭიშკარი, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ.

ქეთევანმა როდის-როდის მიაღწია და შედგა შესასვენებლად? ღალადვისგან გული ასდი-დასდიოდა, სულს ძლივს ითქვამდა. ციცო უცდიდა დიდედას დასვენებას და პირდაპირ გაიყურებოდა.

## VII

თვალგადუწვდენელი ეზო დაფენილიყო მწვანე ხავერდით: ერთ გვერდზე გაევლოთ მესერი, რომელსაც იქვე ჩამოუდიოდა ჩანჩქარით პატარა რუ. მასში, პაწაწა ნავებსავით, სცურავდნენ ბატები. ქვითკირის კედელზე ასულიყო ფარშევანგი, გაეშალა მარაო-ბოლო და რაღასაც გაჰკიოდა, თითქო მასპინძლებს აუწყებდა სტუმრების მოსვლას. ძირს, დედამიწაზე, რუს პირად მოლს დაჰკროდნენ მწვანე ჭუკები, რომელნიც ის-ის იყო ამოსულიყვნენ წყლიდან, თავს ილამაზებდნენ მზის სხივებზე. მეორე მხრივ პაწია სოფლელი ბიჭი ბოხოხა ქუდით დაბჯენოდა ჯოხს და შუბლქვეშ იბღვირებოდა. ხანდისხან მიაჩერდებოდა სახაბაზოს კარებს, საიდანაც გამოდიოდა დედაკაცების ხითხით-კისკისი. ერთსართულიანი ქვითკირის სასახლე კარგა დიდ მანძილზე მედიდურად გაჭიმულიყო; ცალ მხრივ ხეხილის ბაღს სატრფოსავით მკლავები შემოეხვია კედლებისთვის, საუკუნოდ ჩაჰკონებოდა. მეორეს მხრივ სარკმლები გაიყურებოდნენ გაშლილ მინდორზე, საიდანაც მოსისინებდა ცელქი მაგრილებელი ნიავი და კეკლუცთა სურნელებას აფრქვევდა ჰაერში. სასახლის მაღალი, გადაყვანილი თაღები ძველებურ საზღაპრო მხარეში იტაცებდნენ ციცოს.

დიდედამ მოიკრიბა ღონე და კვლავ გასწია.

ამათ შეიარეს ეზო, მიუახლოვდნენ აივანს, სადაც გრძელი მაგიდა იდგა: მის წინ ტახტზე მხართეძოზე წამოწოლილიყო როსტომი და ცისფერი თვალები მიემართა სივრცისთვის. მაგრამ დაინახა თუ არა მომავალი ქეთევანი, საჩქაროდ წამოვარდა და წინ მოეგება.

— მობრძანდი, ძალუა! — წარმოსთქვა მან და მოიხედა ოთახებისკენ, საიდანაც ნატალია უნდა გამოსულიყო.

ქეთევანი ჩამოჯდა ტახტზე დასასვენებლად, ციცოც მას მიეყუჟა. ნატალიამ დიდხანს არ აცლოდინა, გამოვიდა ბოდიშებით, რომ დაიგვიანა, მიუჯდა ქეთევანს.

— ჩემი მაზლი როდის მობრძანდება? — ჰკითხა მან.

— მწერს, საქმეების გამო ამ თვის გასვლამდის ვერ მოვალო, — მიუგო ქეთევანმა და ნაღვლიანის თვალებით შეხედა ორივ ცოლ-ქმარს, რომელნიც კმაყოფილებით იყურებოდნენ.

— დღეს ჩემ ლევანსა და ელენეს მოველი. მიწლოდა მე თვითონ წავსულიყავ მოსაყვანად, მაგრამ ვერ მოვახერხე და ლევანს მივწერე ქალაქში, რომ ამომიყვანოს; ერთ დღეს მოახერხებს ამორბენას. შენა, ციცო, რატომ ანგრე გვიან-გვიან მნახავ ხოლმე? — მოუბრუნდა ნატალია ციცოს, რომელიც იღიმებოდა.

— ეჰ, ძალუა, ქალაქი კარგია. მაგრამ ფულიც ბევრი სჭირდება. რაც უნდა თავი შეიმაგროს კაცმა, მაინც სული წასძლევს ხოლმე. ჩემთვის კი ყოველი გროში დასაფასებელია, სახლში გასათხოვარი ქალი მყავს, — დაიწყო როსტომმა.

ქეთევანმა ამოიოხრა: მას მოაგონდა ქმრის ამ მხრივ უდარდელობა.

— გასათხოვარის გარდა ვაჟი-კაცი შვილიც დასაბინავებელი გყავთ, ჩემო მაზლო, — უპასუხა როსტომს ქეთევანმა.

— დიახ, მაგრამ ლევანი სამსახურშია, გზადაგზა სდგას, არა უშავს რა, იქავე რო დარჩეს და იშრომოს. მე ელენეზე ფიქრი მაწუხებს... სანამ ახალგაზრდაა, დედ-მამამ უნდა დააბინავოს, თორემ მერე, ხანში რომ შევა, აღარასა გვკითხავს.

ჯერ არ გაეთავებინა როსტომს ეს სიტყვები, რომ კარებზე მოგრიალდა ეტლი, საიდანაც გადმოხტა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელმაც ხელი მიაწოდა ყმაწვილ ქალს.

— ელენე! — შეჰკივლა ნატალიამ და მივარდა შვილს.

ელენე ჩაეკრა დედას გულში, შემდეგ მამას მოეხვია და ბოლოს ქეთევანს გულზე აკოცა.

— ციცო გამარჯობა! — გაისმა წკრიალა ხმა ელენესი და აღტაცებით დაეკონა პატარა ქალს.

ყველა კმაყოფილი იყურებოდა. ელენე ჩაისვეს დედ-მამამ შუაში და დაწვრილებით ჰკითხავდნენ. ბედნიერი ელენე სიამოვნებით უგებდა პასუხს.

ლევანი ქალაქში მსახურობდა. მაღ-მაღ ამოდიოდა მშობლებთან, ნახავდა მათ და მალე უკანვე ბრუნდებოდა. ნატალია თვითონაც ხშირად ჩადიოდა შვილთან. ლევანი გარეგნობით დედას წააგავდა. მისი ცოცხალი, მოძრავი სახე ყოველ წუთს მოუსვენრობას ხატავდა. აი გადმოალაგებინა მან ელენეს ნივთები, ყველას მიესალმა, აკოცა ციცოს და დედას მოუბრუნდა:

— შენი ჭირიმე, დედა, მალე სადილი მაჭამე, რომ საღამოს მატარებელს მივუსწრო...

— დღესვე მიდიხარ თუ?.. — გაოცებით ჰკითხა ნატალიამ.

— უსათუოდ... ხვალ აღლუმი გვეწყობა და იქ უნდა ვიყვე.

— დალოცვილო, თუკი აგრეც იყო, რატომ არ მოიწერე? მე თვითონ ჩამოვიდოდი, — უთხრა საყვედურით როსტომმა, რომელსაც არ მოსწონდა, როდესაც კაცი თავის მოვალეობას წესიერად არ ასრულებდა.

— რა უშავს, მამა, თქვენი შეწუხებაც არ მინდოდა... ამაღამვე იქ ჩავალ და ვერც კი არავინ გაიგებს თუ ქალაქიდან გამოვედი.

— ნატალია, ხომ გეყურება, ქალო! ნუ დავაგვიანებთ, მართლაც სუმრობა კი არ არის, შენიშვნა არ მიიღოს უფროსებისაგან, — უთხრა როსტომმა ნატალიას, რომელიც გაემართა სამზარეულოსკენ, რომ სადილი დაეჩქარებინა.

ელენე მამას ჰგავდა. ესეთივე მშვენიერი დურჯი თვალები ჰქონდა, თეთრ-ყირმიზი ნაკვთები. თავისებური ქალური ნაზი ფერი კიდევ უფრო იზიდავდა მნახველს. მის შუა ტანს მოხდენით გამოწყობოდა ცისფერი კაბა, რომელიც მომხიბვლელად აჩენდა მის მაღალ ყელს.

ციცოც აღტაცებით შეჰყურებდა ბროლ კბილებს, რომელნიც გამოსჭვიოდნენ ალისფერ ტუჩებიდან ლაპარაკის დროს.

ელენემ შემოირბინა მთელი ოჯახი, ნახა მოსამსახურეები, სალამი მისცა ყველას და კმაყოფილი დაბრუნდა უკანვე.

— ელო, ნახე შენი ოთახი? — ჰკითხა ღიმილით მამამ.

— ვნახე! რა მშვენიერი სავარძლებია! როდის გააკეთებინე?

— არა თუ! ჩვენ ივანე დურგალს კარგად აქვს შესწავლილი თავისი ხელობა, შენს მოსვლამდე ყველაფერი დავამზადებინეთ. ძალუა, მგონი, არც თქვენ გინახავთ ჩვენი ელენეს ახლად მოწყობილი ოთახი? — მოუბრუნდა ნატალია ქეთევანს, — თუ გნებავთ, მობრძანდით და დაათვალიერეთ!

— ძალიან კარგი, — უპასუხა ქეთევანმა. ამას აღეძრა ცნობისმოყვარეობა და ნახვა მოინდომა.

ნატალია ამაყად წელში გასწორებული მიუძღოდა წინ. გაიარეს დიდი ოთახი, ბოლოს კარი შეაღეს ლამაზ კოხტა ოთახში, რომლის სარკმლები ბაღში გაიყურებოდნენ.

მთელ ოთახს ცისფერი შუქი მისდგომოდა ცისფერ ძვირფას ფარჩაგადაკრულ ავეჯისგან. ამავე ფერის ფარდები ამშვენებდნენ სარკმელ-კარებს. მარმარილოს პირსაბანი და ძვირფასი საწოლი, ტანისამოსის შკაფი, პატარა სამწერლო და ხელსაქმის მაგიდები, ყველა ეს ბრწყინავდა სიახლისგან, თავისკენ იწვევდა ელოს.

ციცოს თვალები გაუბრწყინდა. ის გრძნობდა, რომ სწორედ ამისთანა მომხიბლავი მოწყობილობა ოთახისა მოითხოვდა თავის ლელოფალ ფერიად ელოსთანა ცისფერთვალება არსებას.

ნატალიას გემოვნება შეუდარებელი იყო და ქეთევანი აღტაცებაში მოვიდა.

— საუცხოვოა! — შესძახა მან. — ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროს, შვილო! — მოუბრუნდა ელოს, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა.

სადილი გაიშალა აივანზე. ელენემ გვერდზე მოისვა ციცო და განუწყვეტლად უალერსებდა. ლევანიც გათამამდა და დაიწყო ხუმრობა ელოსა და ციცოსთან.

სადილის შემდეგ ლევანს კარებზე მოადგა ეტლი, რომელმაც საჩქაროდ გააგრიალა ყმაწვილი კაცი სადგურისკენ.

ელომ კი ხელი მოჰკიდა ციცოს და წაიყვანა ბაღში, ჩაჯდა ხეებშუა გაბმულ ბადეში და იწყო ღღნავად რხევა. ციცოც იქვე ახლო ჩამოცუცქდა დაბალ ხის ტოტზე და შესცქეცქებოდა ელენეს.

— ციცო, მაშ სულ ამ სოფელში ხარ? არსად წასულხარ?.. ნუთუ არა გწყინდება ერთ ადგილს ყოფნა? — ეკითხებოდა ელენე.

— არა, მე აქ ძალიან კარგადა ვარ, პატარა კატოსთან ვთამაშობ, წიგნებს ვკითხულობ, ზაფხულში ხანდისხან დავდივარ მინდვრებსა და ბაღებში, თუმცა კი... — აქ შესწყვიტა ციცომ დაპარაკი და ნაღვლიანად გაიხედა გვერდზე.

— თუმცა რა?.. — მიატანა ელომ და მოუმატა რხევას.

— დიდედა არსად მიშვებს.

— რატომ? ჰაერზე ყოფნა ძალიან სასარგებლოა..., მეტადრე სოფელში...

— დიდედა კი ასე ამბობს, სახლში უნდა იყვეო... ქალი ხარო... — ელენეს გაოცება დაეტყო სახეზე.

— ქალი რა არის და კაცი? განა ბუნებისთვის სულ ერთი არ არის? ჰაერი ყველასათვის საჭიროა, ჩემო პატარა გოგო-

ნავ! აი ეხლა მე მოვედი და სულ ჩემთან გამყოფებ. მე გაჩუქებ სხვადასხვა ნახატებიან წიგნებს. რუსული იცი?

— არა... დიდედამ რუსული არ იცის და სხვა ვინ მასწავლიდა? მაგრამ დიდედამ მითხრა, როცა ელო მოვა, იმას მიგაბარებო.

ელენემ ალერსით დაუსვა თავზე ხელი.

— ძალიან კარგი, მე გასწავლი რუსულს, ფრანგულს... ძალიან მომწონხარ, — უთხრა ელომ.

— მეც მომწონხარ... კიდევაც მიყვარხარ!.. — დაიჩურჩულა ოდნავ ციცომ, ყურებამდის გაწითლდა და დარცხვენით თავი დახარა ძირს.

## VIII

მას აქეთ ციცოს ცხოვრება შეიცვალა. გათენდებოდა თუ არა დილა, მოგონება აღარ უნდოდა, საჩქაროდ ჩაიცვამდა, პირს დაიბანდა, ჩაის დალევდა და გასწევდა ელენესაკენ კმაყოფილი.

დიდედასაც გულში შვება ეძლეოდა, რომ ამისი ციცო გაუნათლებელთა სიაში არ მოექცეოდა და ხელს უმართავდა ბავშვს, რომელიც დღედაღამ, ელენეთი მოხიბლული, სულ იმის ხსენებაში იყო.

რაც ელენე მოვიდა, ქეთევანი გრძნობდა, მას აღარ ეკუთვნოდა შვილიშვილი, რომელიც თითქო გაურბოდა განზე. პავლეც აგვიანებდა სახლში დაბრუნებას და მოხუცებული რჩებოდა მთელი დღეები თავის აბრეშუმსა და თითიკასთან ერთად.

ციცო ყურადღებას არ აქცევდა ამ გარემოებას და მიისწრაფებოდა ელენესკენ, ელენეც ყოველთვის ალერსით უხვდებოდა, შეიყვანდა თავის ოთახში, მიუჯდებოდა გვერდზე და ასწავლიდა. ხანდისხან, როდესაც ნატალია დიასახლისობაში იყო გართული, როსტომი მინდვრად იყო წასული ბულულების დასათვალიერებლად, ელენე აივანზე გამოიყვანდა ბავშვს; დასხდებოდნენ მაგიდასთან და მეცადინეობდნენ. მოხდებოდა ხოლმე, რომ ელენე და ნატალია კვირის-კვირობაშდის წავიდოდნენ სადმე სტუმრად, მაშინ ციცო ბრუნდებოდა ისევ სახლში და პატარა კატოს ასწავლიდა.

როსტომისას მუდამ სტუმრიანობა იყო. ახალგაზრდა ქალ-

ჭაუწი ბუზებსავით ეხვეოდნენ ამათ ოჯახს. თვითონ ნატალია მხიარულად და გულუხვად უხვდებოდა ყველა მომსვლელს, რომელნიც ეტანებოდნენ ელენეს, როგორც მშვენიერ ახალგაზრდა ქალს. ამისი მიმზიდველობა უფრო ცხოველდებოდა პირად ღირსების გარდა მით, რომ ათასი თუმანი ფული მზამზარეულად ბანკში ჩადებული ჰქონდა.

ამავე ზაფხულში ბევრმა სთხოვა ხელი, მაგრამ ელენე ღიმილით, თავაზიანის უარით თავიდან იშორებდა უდროვო მოტრფიალეთ.

ელენე დიდ მუყაითობას იჩენდა სახლში. ცდილობდა ნატალიას უკან არ ჩამორჩენოდა და არასდროს უსაქმურად არ ჩერდებოდა.

ციცო გაფაციცებით უყურებდა თავის მასწავლებელს, თვითეულ მის მოქმედებას და მის გავლენის ქვეშ ესეც შეუმჩნევლად ვარდის კოკორსავით იფურჩქნებოდა.

ორ წელიწადში ციცომ დაიწყო რუსულად თავისუფლად კითხვა და ცოტა ლაპარაკიც. ის მეტად მხიარულადა გრძნობდა თავს როსტომისას. მშვენიერი, შავთვალწარბა, მიმზიდველი თანდათან ყურადღებას იქცევდა თავისკენ; ყმაწვილი კაცები ალტაცებით უყურებდნენ ლამაზ გოგონას.

— რა ეშხიანი იქნება! დააცათ ორი წელიწადი კიდე და...

— არა მგონია ელენეს დაემჯობინოს.

— ეგ გემოვნებაზეა: ის თეთრ-ყირმიზაა, ეგ შავთვალწარბა! — ხშირად ასეთი ლაპარაკი ჰქონდათ ხოლმე საცოლო ყმაწვილებს როსტომისას, მაგრამ მათი ყურადღება უფრო ელენესკენ იხრებოდა, რადგან ეს დაქალებული, გასათხოვრად გამოწყობილი უფრო სახეიროდ მოსჩანდა.

ციცოს გარემოება ბინდბუნდში იმალებოდა. ყველამ იცოდა, რომ ერთადერთი მემკვიდრე პავლესი ციცო იყო, მაგრამ აგრეთვე ისიც იცოდნენ, თუ რა ნიავს მიჰქონდა მისი შეძლება. ამაზე აზრი ორად იყოფოდა.

— კაცო, სანამ ეგ გათხოვდებოდეს, პავლე ქვა ქვაზედაც არას დასტოვებს...

— სვავი ხომ არ არის, რომ გადაყლაპოს: მაგისი სამყოფი კიდევ დარჩება, — ამბობდნენ ყმაწვილები.

ციცო ბუნებით მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო. გულ-

უზრუველო სულ კისკისებდა და თავისუფლად ფრთებსა შლიდა. როსტომს და ნატალიას ძალიან უყვარდათ ეს უმანკო არსება და შვილებში არ არჩევდნენ.

მაგრამ აგერა ციცოს უზრუნველობა თითქო დაიჩრდილა. მიზეზი იყო ის, რომ ელენეს ატყობდა რაღაც მოუსვენრობას. ცხადად ხედავდა, ელენე როგორ ეძებდა მარტოობას, ჩაფიქრებული ბაღში დადიოდა და, როდესაც დაინახავდა ხოლმე ციცოს ბევრჯერ თითქო თვალსაც არიდებდა.

— ნეტა რას ნიშნავს? — ფიქრობდა დაღონებული ციცო, — თუ მოვბეზრდი... შევძაგდი? — ის წინანდელზე მეტად თვალს ადევნებდა ელენეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს უარსაც ეუბნებოდა სწავლებაზე.

— იცი, ციცო, დღეს საშინლად მტკივა თავი, ხვალ გასწავლი, — ეტყოდა ელენე ნაღვლიანად, მაგრამ ამასთანავე ცდილობდა აღერსით ყოფილიყო.

თავმოყვარე ციცო მაშინვე ცივად გაბრუნდებოდა, წიგნებით, სხვა ოთახებში არც კი შეიხედავდა და გასწევდა სახლისკენ, სადაც ელოდა მოწყენილობა, ერთფერი ცხოვრება.

მალე ელენეს უცნაური მდგომარეობაც გამოირკვა, უცბად დაიძახეს: „როსტომის ქალი დაინიშნა ძაღვანიშვილზეო“ და ეხლა კი მიხვდა ციცო, რად დადიოდა ისე გარე-გარე ელენე.

სვიმონ ძაღვანიშვილი ხშირად მოდიოდა მათთან, მუდამ ელენეს თავს ევლებოდა, მაგრამ ციცოს თავში არ მოსვლია, რომ ასე დაბოლოვდებოდა საქმე. ციცო ხედავდა სახეგაბრწყინებულ, მაგრამ ამასთანავე ცოტა გამხდარ ელენეს. როსტომი და ნატალიაც სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგნენ.

სვიმონ ძაღვანიშვილი სახარბიელო სასიძო იყო: ნასწავლი, კარგ სამსახურში, დიდი ხანია ცდილობდა ელენეს გულის მოგებას და ძლივს რამდენისამე თვის შემდეგ გაიმარჯვა.

ელენე თუმცა უღიმოდა, ეფერებოდა ციცოს, მაგრამ ის ცხადად ატყობდა, რომ მისი ყურადღება, აზრები გამსჭვალულიყვნენ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრით.

ციცომ დღითი დღე კიდევაც უკლო მათთან სიარულს, რადგან თავს კმაყოფილად არა გრძნობდა, როდესაც ხედავდა ელენეს საქმროსთან ხელი-ხელ გადაჭდობილს და მასთან მოსიარულეს.

ციცოსთვის აღარავის სცალოდა. ყველა საქორწილოდ ემზა-

დებოდა. ის დაუბრუნდა დიდედას, რომელმაც კმაყოფილებით გაუღიმა, და ნაუჯდა წიგნების კითხვას. კითხულობდა ხარბად და თავს ძალას ატანდა დავიწყებას მისცემოდა. მარტო ისევ კატო იყო მისი მოწყენილობის გამქარვებელი, რომელიც ხშირად მოდიოდა და ცდილობდა გაერთო.

— ოხ, დიდედა! ნუთუ აქედან სამუდამოდ უნდა წავიდეს ელენე?! რა მენანება! ვერ გამომიმეტებია! — შესძახა ერთხელ თვალცრემლიანმა ციცომ და მოეხვია მოხუცებულს.

— რა ვუყოთ, შვილო? თვითონ ხომ ბედნიერია, კმაყოფილი... ქალი რომ გაიზრდება, უნდა გათხოვდეს.

— მერე ელენე უნდა მოშორდეს დედ-მამას? მეგობრებს? უცხო კაცს გაჰყვეს?! ოხ, არა, არა, ელენეს ვერ დავთმობ, ვერა!.. — ქვითინებდა ციცო სწორედ იმ დროს, როდესაც ელენე იდგა თავის ოთახში სარკის წინ და თავზე ყვავილების გვირგვინს ადგამდნენ, სადედოფლოდ აწყობდნენ. მთელი ეზო და სახლი სავსე იყო სტუმრებით. ციცოც უნდა ყოფილიყო ქორწილში, მაგრამ გული უკვნესოდა. დიდედასაც თვალებში ცრემლები მორეოდა, თავზე ხელს უსვამდა შვილიშვილს და თანაც სახეზე უკრთოდა ჩვეულებრივი ფარული სევდა.

## IX

დრო მიდიოდა. ციცოს სიზავშვე, უზრუნველობა თანდათან შორდებოდა; მის ადგილს იჭერდა ფარული უკმაყოფილება. გული რაღაზედაც შემოჰკვნესოდა, თითქო ჰაერი ეცოტავებოდა, არა ჰყოფნიდა. ცის დასავალი ვიწრო იყო და მისი თვალები ნატრობდნენ შორს გადაფრენას, უმჯობესი ადგილები კი გაეცნო მარტო წიგნებიდან.

— ღმერთო!.. — შესძახებდა ის და ნთრთოლვარე ხელს გადისვამდა წაბლისფერ ხუჭუჭ თმაზე, რომელიც ბეჭებზე გრძელ ნაწნავად დაშვებოდა. — რა საშინელი სიცოცხლეა! ელენე წავიდა, როსტომისას არავინ დადის, ყველა სადღაც მიისწრაფვის, ეს კი ფეხმოუცვლელად ზის აქ, ამ პატარა სოფელში. მარტო ხანდისხან ახლომახლო თუ გაისეირნებდნენ დიდედა და ის, ისიც მაშინ, როდესაც ციცო უფრო პატარა იყო, ეხლა კი, როდესაც

დაქალდა და ენატრება ტოლ-ამხანაგი, ყმაწვილი სული, მასთან ფერაობა, ხუმრობა, ის ვერავის ხედავს. ნუთუ დიდედასავით მთელი თავისი სიცოცხლე აქ უნდა გალიოს? თუმცა კატოსთან მეგობრობა ახალისებდა, მაგრამ თითქო ისიც ამ ბოლო დროს ნაკლებად აკმაყოფილებდა. მასთან ეს ყოველთვის უნდა დახრილიყო, აზრებით დახურდავებულიყო. მისი გონება კი ეძებდა მაღალ აზროვნებას, მაღალ მსჯელობას, რომლისთვისაც თვითონაც ყური უნდა ეგდო და მოესმინა. მაგრამ ვაი რომ ვერსად ვერავისა ხედავდა, წიგნები კი უსულონი იყვნენ.

ციცოს ყველაფერი მოსწყინდა. სხვადასხვა ყვავილებით ნაქარგი მინდვრები, ყოველივე საგანი მის თვალში ხავსმოკიდებული იყო. მაგრამ, როდესაც შეხედავდა ძალზე მოხუცებულ სახელალარულ დიდედას, რომელიც განაგრძობდა ტახტზე ჯდომას, უცბად გული შეეკუმშებოდა რალაც სიბრალულით, თითქო შიშითაც.

— ღმერთო ჩემო, დღეს გაფითრებულია! რარიგად მოხუცდა, მოუძლურდა! ნუთუ ისეთი წუთები უნდა დადგეს, რომ დიდედა აღარ იყვეს? — უცბად გაუელვებდა ეს აზრი, შეკრთებოდა, გულის ძგერით შეუბღვერდა წინანდელ უსაზღვრო სურვილებს, თითქო უბრძანებდა ჩამალვა-გაქრობას, მივარდებოდა დიდედას და დაუწყებდა ალერსს.

— რათა ხარ, დიდედა, მოწყენილი? — ჩაეკითხებოდა.

— ისე, შვილო... — უპასუხებდა ნაღვლიანის ღიმილით მოხუცებული და ალერსით თავზე ხელს დაუსვამდა.

პავლე თითქო მოიქანცა გარე-გარე სიარულით, ბოლო ხანებში უფრო ხშირად რჩებოდა სახლში. მას დღითი დღე თვალის სინათლე აკლდებოდა. ექიმებმაც, თითქო მობეზრდათ მისი წამლობაო, მისცეს კვალად დარიგება და ურჩიეს სოფლად წმინდა ჰაერზე ყოფნა.

შეწყდნენ პავლეს სიამოვნების წუთებიც, აი დაბრუნდა ერთხელ ქალაქიდან და შემდეგ ველარ შესძლო წასვლა სადმე. სანამ ძალიან ახლო არ მივიდოდა ვინმე, ველარავის სცნობდა.

ეს მდგომარეობა საშინლად აწუხებდა როგორადაც თვითონ პავლეს, ისე მასზე მეტად ქეთევანს, რომელიც ჩუმ-ჩუმად ცრემლით იმდულრებოდა.

წელში მოხრილი, ჩაბერებული, თმაგათეთრებული პავლე სა-

ცოდავი სანახავი იყო, მეტადრე ღამით, როდესაც ნელ-ნელა წა-მოდგებოდა ყოველ დაძინების დროს, პირს იბრუნებდა ხატე-ბისკენ და იწყებდა „მამაო ჩვენო"-ს, რომელსაც თან მიადევ-ნებდა თავისგანვე შედგენილ ვედრებას:

„ღმერთო, გმადლობ შენსა მოწყალებასა,
ყოველთვის ვცდილობ ჩემსა მოთმინებასა,
დამიფარე ბოროტ მოვლინებასა
და ნუ მიმცემ ეშმაკთ მაცდუნებასა!
ვევედრები ღვთისმშობელსა დედასა,
მან მალირსოს შენგან შეწყალებასა;
ამარიდე ყოველსავე ვნებასა,
არ მომაკლო სასუფევლის ლხენასა!"

პავლე აგრეთვე ხშირად იჯდა ხოლმე აივანზე, ყურს უგდებ-და ქეთევანს ან ციცოს, მეტადრე უკანასკნელს, რომელიც აღარ შორდებოდა.

— ციცო, შვილო, აქა ხარ? არსად წახვიდე, გენაცვალოს პაპა, აბა, ჩაი მომიტანე! აბა, საყდარში წამიყვანე! ლოგინი გამის-წორე! — განუწყვეტლივ შეესმოდა ციცოს, რომელიც ხმაამო-უღებლად ასრულებდა ყოველსავე ბრძანებას, მაგრამ მასთანვე გრძნობდა, რომ მისი არსება იქანცებოდა.

მიდიოდნენ დღეები, თვეები. პავლეს უარესობა დაეტყო. სინათლე სრულიად დაჰკარგა და ტკივილებიც აუტყდა. შუაღამი-სას, როდესაც ღრმა ძილში იყო წასული ციცო და მისი ყმაწვილი ბუნება სახვალიოდ სასიცოცხლოდ იკრებდა ღონეს, მეორე ოთა-ხიდან უეცრად შემოესმოდა საშინელი კვნესა. ის მსწრაფლ თვალებგახელილი წამოვარდებოდა ზეზე, გამოიხედავდა პაპას ლოგინისკენ, სადაც წამომჯდარიყო მოხუცი, თავი დაენდო ხე-ლებზე და გმინავდა.

— გმადლობ, შენ, ღმერთო ჩემო, ნახევარსაც არ ვღირვარ შენს მოწყალებასა! ღმერთო, მიხსენი მე ცოდვილსა! ღმერთო, მიხსენი! — მალი-მალ პირჯვარს იწერდა პავლე. ის დღითი დღე სუსტდებოდა; საჭმელსაც უკლო.

ქეთევანი ეხლა აღარ იჯდა ტახტზე. თავდადებული უვლიდა უსინათლო ამხანაგს, რომელიც პატარა ბავშვსავით ჟინიანობ-და.

— სიბრმავე კიდევ მადლობა უფალსა! აკი კიკოლაანთ მა-

თეც ბრმა არის, მაგრამ ასეთი საშინელი ტკივილები კი არ აქვს, გენაცვალეთ! — გაიძახოდნენ სოფლის დედაკაცები, რომელნიც მოდიოდნენ სანახავად.

— სწორედ ცოდომ უწია.

— წელისი დაიწვაო და რაც იმას ბერვა ჰქონდა, მა რა იქნებოდაო? რასაც ეგ ქეიფებს ეძლეოდა, შვილონიასა, ადვილი ასატანი კი არ იყო!

— ღმერთს ნუ სცოდებ, ნინიკა! ვინ იცის, სიკვდილამდი ვის რა გვიწერია! — ასეთი მითქმა-მოთქმა იყო სოფელში პავლეზე.

ნატალია და როსტომი ხშირად მოდიოდნენ ავადმყოფთან, ანუგეშებდნენ. მარტო ციცოს გულს აღარა ეკარებოდა რა. პავლეს თვითეული კვნესა ძარღვებში სისხლს უყინავდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

ერთის მხრივ საშინელმა ტკივილებმა, მეორეს მხრივ სიბერე-სისუსტემ, ღამის უძილობამ მეტად დასძლიეს ოდესმე დომი ვაჟკაცი და ჩააგდეს ლოგინში. როგორც იყო ზაფხული გაალონლიადა, მაგრამ მკაცრ ზამთარს კი ველარ გაუძლო; ზედ სურდო-ხველა დაერთო და სიცხემ მწვავედ გაჰკრა უძლურ ძვლებში. პავლე უკანასკნელი წუთების მოახლოვებას კარგად გრძნობდა, მაგრამ არას ამბობდა, მარტო ხელებს აფათურებდა, ეძებდა, რომ არსად არ წასულიყვნენ ციცო და ქეთევანი.

— მომიტანე, ჩემი ახალოხი და ყურთმაჯებიანი კაბა, ქეთე! — წარმოსთქვა მან და წამოჯდა ზეზე. უსინათლო თვალებს ფართოდ ახელდა, ხელები მალ-მალ მიჰქონდა ახლო, თითქო თითებს ისინჯავდა. სახეზე აღმური ასდიოდა.

— ქალბატონო, ვაზიაროთ! — წასჩურჩულა ამ დროს თითიკამ ქეთევანს. — ბატონი საჩვენოში აღარ არის... — განაგრძობდა ის.

ქეთევანი მთელის სხეულითა თრთოდა და ცრემლები ჩამოსდიოდა დამჭკნარ, გაყვითლებულ ლოყებზე. თითიკამ პასუხს არ დაუცადა და ოთახიდან გაძვრა.

— ქალო, არ გესმის? მოიტა კაბა! — კვალად გაიმეორა მოხუცმა... — მცხელა ამ პერანგში! ეს არ მინდა, ჩემებურად უნდა მოვირთო...

— სად მიხვად, პავლე! — ნაზად და სიყვარულით ეკითხებოდა ქეთევანი.

— სადაც მინდა... მომწყინდა აქ... უნდა წავიდე... გეს-მის?.. — შესძახა პავლემ და უცბად გადავარდა ბალიშებზე. მან თვალები გადაატრიალა, ყელში დაიწყო ხრიალი. ის იყო მლვდელ-მაც კარი შემოაღო.

პავლემ ძლივს მოასწრო წმინდა საიდუმლოს ჩაყლაპვა, რომ სულიც დალია. თითიკამ ხელი ჰკრა ციცოს, რომელიც ზედ დაე-კონა უსულო გვამს.

— პაპა! — გაისმა საშინელი კივილი ოთახში. — პაპა!.. ჩე-მო პაპა!.. — წუთს ოთახი გაივსო ხადხით.

როგორც იყო, ციცო ძალით ააგლიჯეს მიცვალებულს, გრძნო-ბადაკარგული ქეთევანი მოშორებით დასვეს და ძმრით აბრუ-ნებდნენ.

როსტომი და ნატალია იყვნენ ჭირისუფლების ნუგეშის მცემელნი, თავს არ ზოგავდნენ.

— ქალო, გულს ნუ იხეთქავ! ცას ხომ არ შეაბერდებოდა? მაგას სიკვდილიც ერჩივნა მაგისთანა სიცოცხლეს... მაგდენ ხანს შენც იცოცხლე და მეტი ნუ გინდა! — შესძახოდნენ ყოველ მხრივ მწუხარე ციცოს.

— გიჯობს დიდედას მიხედო და ანუგეშო.

ქეთევანი მოსთქვამდა, მუხლებზე ხელებს ირტყამდა და მარტო ხანდისხან, როდესაც ხმა მიუწყდებოდა, ხმას ჩაკმენდა-ვდა და მიესვენებოდა კედელს. ციცო ძალით მიიყვანეს დიდე-დასთან, რომელმაც გულში ჩაიკრა.

— შვილო, მეტისმეტად ნუ სწუხარ, — წარმოსთქვა მან და შეხედა შვილიშვილს. — ღმერთმა სატირალისაგან გიხსნას... ყმაწვილი ხარ, ცხოვრებაში გაუხარელი... სატირალი მე მაქვს, შვილო, რომ ყოველივე მომესპო და დავრჩი ასე უძლური, ოხერ-ტიალი, — დაუმატა ქეთევანმა, კვალად გულში ჩაიკრა ციცო და აქვითინდა.

პავლე დიდის ამბით დაასაფლავეს. როგორც მთელი ხეობა, ისე ქალაქიდანაც ბევრი ნაცნობები მოუვიდნენ პატივსაცე-მად.

ციცო გაკავებული მიჰყავდათ კუბოს ახლო, იქვე ძლივს ფეხს მიადგამდა ქეთევანი, თავზე სახურავმოხდილი, თეთრ თმაგაშ-

ძილი; მისი მოთქმა ყველას თვალებზე ცრემლსა გვრიდა. ციცოს არა ესმოდა რა. მის წინ ბუნდად კრთებოდნენ სახეები, რაღასაც ეუბნებოდნენ.

წესს ბოლო მოეღო, სახლში დაბრუნდნენ.

ოთახებში მაგიდები გაეშალათ. სუფრაზე აყვავებულიყო სხვადასხვა საჭმელები.

ციცოს თითქო ეუცხოვა ეს სანახავი; უფრო მეტად იგრძნო სიცარიელე. აქ აღარ იყო პაპა; აღარ არსებობდა არაფერი, გარდა მოხუცებულ დიდედასი, რომლის სიცოცხლე აგრეთვე ბეწვზე ეკიდა. მთელი დღე პირში საჭმლის ნაწილი არ მიუკარებია. მეორე ოთახში პირქვე იწვა ტახტზე და ტიროდა.

— ციცო, მეც ხომ არა მყავს მამა... მეც შენსავით ობოლი ვარ, მაგრამ ვუყურებ დედაჩემს, მისთვის ვფიქრობ, მინდა დიდხანს იცოცხლოს და თავზე პატრონად მადგეს, — შეესმა აქვე გვერდით ტკბილი მეგობრული სიტყვები. ციცომ შეხედა. მის წინ იდგა თვალებდაწითლებული კატო, რომლის სახე წრფელ თანაგრძნობას ხატავდა. — მე ხომ დუკმა მენატრება, ციცო, შენ კი ამ მხრივ ბედნიერი ხარ... — განაგრძობდა მეგობარი. ციცოს შვება აგრძნობინეს ამ სიტყვებმა.

— ოს, კატო, შენ არ გამოგიცდია ძვირფასი არსების დაკარგვა!.. განა მეც არ დამხოცია დედ-მამა, მაგრამ მაშინ არაფრის გაგება არა მქონია, ეხლა კი საშინელებაა!.. — ოდნავ ჩურჩულებდნენ ციცოს ტუჩები.

— როგორც დედა იტყვის ხოლმე, ცრემლიც არ ჩამოვარდნია მამაჩემის სიკვდილზე, ისე გაქვავებულა, მისთვის არა სცალოდა, უნდა ეზრუნა, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით, სიცივეს არ გავეყინეთ. აი რას გაუკლდევებია დედაჩემი, შენ კი საფიქრებელი ძალიან ცოტა გაქვს. მართალია, პაპა მოგიკვდა, მაგიერად დიდედას შეჰყურებ. დაგრჩა სიმდიდრე, მშვენიერი სახლკარი, სადაც ქალბატონი იქნები... სიკვდილი კი ყველას თავს არის.

ციცო ხმას არ იღებდა, ხარბად ისმენდა ამ სიტყვებს.

კატოს სახე გაუბრწყინდა, შავი თვალები მიაშტერდნენ მეგობარს, რომელიც ფარულის ალერსით უყურებდა. კატოს ტუჩები უთრთოდნენ ალევებისაგან. ახლად შეთქვირებული გულმკერდი ასდი-დასდიოდა.

ციცო წამოდგა, ზურგი მიაყუდა კედელს და მიაჩერდა სივრცეს. მის წინ იშლებოდა თითქო სულ სხვა ცხოვრება. კატო მართალს ეუბნება, ტირილი, თავშიცემა რა ხელსაყრელია? არა, დღეის იქით ციცო აღარ იტირებს, რაც უნდა ავი წაეკიდოს ცხოვრებაში. კატოს სიტყვები მწვავედ მოხვდნენ გულში.

„დიახ, სწორედ ციცომ უნდა უპატრონოს დიდედას, მამუდს, ოჯახს", — ფიქრობდა ის და ამ მოსაზრებაზე მედიდური ღიმილი მოსდიოდა.

კატო მიხვდა, რომ გაიმარჯვა და აღტაცებული გამოჰყვა მეორე ოთახში.

ციცო მივიდა სასოწარკვეთილებაში შესულ დიდედასთან და გვერდით მოუჯდა.

პურის ჭამის შემდეგ ხალხი დაიშალა. ყველამ უკანასკნელი ნუგეში სცა ჭირისუფლებს და წავიდნენ თავ-თავიანთ გზაზე.

დარჩნენ მარტოდ ციცო და დიდედა შეწუხებულნი.

მესამე დღეს ქეთევანი ეწვია პავლეს საფლავს, რომლის წინ გაეშალათ ხალიჩა, რათა ჭირისუფალს შეესვენა.

ქეთევანი გარინდებული მიჰყავდათ დედაკაცებს, მაგრამ როდესაც მიუახლოვდა საფლავს, თავი გაინთავისუფლა ყველასგან, მოიკეცა საფლავის წინ და მიაჩერდა ახლად მიყრილ მიწას, რომელიც მდუმარედ შემოჰყურებდა.

— აი, მოვედი შენთან, რომ გკითხო მანდ როგორ დაბინავდი? — ჩასძახა ქეთევანმა ქმარს საფლავში. — მეტყვი? ეხლა მაინც გამიხსენ გული! ეხლა მაინც იყავი წრფელი! მაგრამ ვაი! მთელი შენი სიცოცხლე მდუმარებდი ჩემთან და ეხლა უფრო რაღას იტყვი?.. ვაითუ გიჭირს?.. ვაითუ გინდა დახმარება და მე კი არ მეყურება, არ ვიცი... — ქეთევანი აღარ სტიროდა, მარტო უცრემლოდ მოსთქვამდა. — ჰა? მაშ მარტოდ დამტოვე საპყარი, სნეული?.. ვინ მომიჩინე პატრონად? ნუთუ ციცო, ეს უსუსური ბავშვი? ვაი, ვერა ყოფილხარ ცოდ-შვილის კაი დამბინავებელი და დლემდის კი არ ვიცოდი!. — ქეთევანის გულიდან დროდადრო ამოდიოდა მძიმე კვნესა.

როგორც იყო, დედაკაცებმა დაიყოლიეს და ააყენეს სახლში წასაყვანად, მაგრამ კიდევ უფრო დასუსტებული ველარ ახერხებდა ფეხის გადადგმას და თითქმის ძალით მიათრევდნენ.

## X

გავიდა ერთი კვირა. საღამო მოახლოვებული იყო, რომ უცბად მოისმა ცხენების ფეხის ხმა.

ციცო და კატო ისხდნენ ოთახში და წიგნს კითხულობდნენ, მაგრამ ციცომ, გაიგონა თუ არა ხმაურობა, საჩქაროდ წამოვარდა და გამოვიდა კარზე. კატოც უკან დაედევნა. სოლოს ცხენის აღვირი ხელში ეჭირა, კიბეზე ამოდიოდა ვიღაც კაკარდიანი მოხელე და უკან მოჰყვებოდა ორი უცნობი კაცი. ციცო მათ პირველად ხედავდა და ამის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. მოხელემ დაინახა თუ არა ახალგაზრდა ქალები, რომელნიც თვალსა სტაცებდნენ, ულვაშები გადიგრიხა და თავაზიანად ქუდი მოუხადა.

— კნეინა ქეთევან პარპაშვილისა აქა სცხოვრობს? — იკითხა მან.

— დიახ, რა გნებავთ? — მედიდურად უპასუხა ციცომ.

— თქვენ ვიღა ბრძანდებით? — კვალად ჰკითხა მოხელემ.

— მე მისი შვილიშვილი ვარ.

— მემკვიდრე?.

— დიახ.

— შეიძლება კნეინა ვნახო?

— რატომ? მობრძანდით!..

ციცო საჩქაროდ გამობრუნდა, უკან მოჰყვებოდნენ სტუმრები.

ქეთევანი იჯდა ძირს გაშლილს ხალიჩაზე, მის გვერდით მოეკეცა ანანოს; ეტყობოდა, რაღაც საყურადღებო ამბავს უამბობდა, რომ მოხუცებული უსმენდა, მაგრამ, როდესაც ოთახში შემოსული უცხო პირები დაინახა, შეკრთა, მიაჩერდა და მისმა ისედაც მისუსტებულმა გულმა მოუსვენრად იწყო ძალზე ძგერა. ღმერთო ჩემო, აქ რა უნდა ბოქაულს?! თითქო ეს კაცებიც უნახავს ქეთევანს, პავლესთან მოდიოდნენ ხოლმე.

ბოქაულმა თავი დაუკრა ქეთევანს და გაშალა რაღაც ქაღალდი.

— მაპატიეთ, ბატონო, რომ თქვენ მყუდროებას ვარღვევ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნება არა მაქვს არ შევასრულო, რაც ჩემთვის კანონს დაუვალებია. თქვენის განსვენებულის მეუღლის

დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, საქმის გარემოება.

— ბრძანეთ! — უთხრა ქეთევანმა და მის თვალებში გამოკრთა გაოცება.

— თქვენს მეუღლეს მართებია ამ კაცების ვალი, ბევრჯერ უთხოვნიათ, მაგრამ განსვენებულს არ მიუცია. ამათაც უჩივლიათ, სასამართლოში, მაგრამ თქვენი მეუღლე არ გამოცხადებულა და სასამართლოსაც მიუსჯია ამათთვის, რასაც სჩიოდნენ. ახლა მომანდეს ავწერო თქვენი მეუღლის ყოველივე უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც საჯაროდ უნდა გაიყიდოს.

— რამდენში? — ყრუდ გაისმა ათრთოლებული ხმა ქეთევანისა.

— ორი ათას თუმანში.

ქეთევანმა აღარა სთქვა რა, დაკუმშა ცხვირსახოცი და მიიფარა თვალებზე. ყელში უჭერდნენ ცრემლები. ელდა-განწირულებას საზღვარი დაჰკარგოდა. ანანოც გაოცებული შეჰყურებდა იქ მყოფთ და ხანდისხან თავს აქნევდა შეწუხებული მოურავი დარისპან, რომელიც აგრეთვე შემოსულიყო, ზურგით მიჰყუდებოდა კედელს და თვალები ჭერისთვის მიემართა. სოლო და თასიკაც კარებთან იდგნენ გულხელდაკრეფილები და თვალს არ აშორებდნენ ქალბატონს.

— აქამდის რატომ არ ვიცოდი, რომ მაგდენი ვალი ჰქონდა? ან როდის აიღო იმ საცოდავმა! რაში დასჭირდა? — ამ სიტყვებით მიმართა ქეთევანმა დარისპანს.

— მართალი გახლავთ, შენი ჭირიმე, ბატონი ისე არ მოვიდოდა ქალაქიდან, რომ ახალი ვალი არ მოჰყოლოდა, წინანდელიც ხომ სულ იზრდებოდა და იზრდებოდა და ახალი კი კიდევ ზედ ემატებოდა, — უპასუხა დარცხვენით მოურავმა.

— შემოსავალს რაღას უშვრებოდა? აკი ისიც თან მიჰქონდა ხოლმე, ბანკში უნდა შევიტანოვო?

— მარტო შემოსავალი რას ეყოფოდა, დალოცვილო? რაც იმას ქალაქში ამბები ჰქონდა, თქვენი მამული რა ზღვა იყო, რომ ასვლოდა?

— შენც იცოდი და არ მეუბნებოდი? — შესძახა მთრთოლვარე ხმით ქეთევანმა, რომლის არსება აღშფოთებას მოეცვა.

— კაი ბიჭი კი ვიქნებოდი, რომ რამე მეთქვა: ბატონის რისხვას სადღა წაუვიდოდი? დამემუქრა: გაგათავებ, თუ კრინ-

ტი დაგიძრავსო. ან კი რა ჩემი საქმე იყო უპრაგონო ტიტინი? ერთხელაც კინაღამ მომკლა, როცა ვუთხარი, ბატონო, სიკვდილ-სიცოცხლე ღვთის ხელთ არის, თქვენ რომ მოკვდეთ, ხომ ყველაფერს მოვალეები წაიღებენ და რა ეშველებათ ქალბატონსა და ციცოს-მეთქი! მე თუ მოვკვდები, რაც უნდა ისა ქნანო, განრისხებით მიპასუხა: მე რომ მემკვიდრეები მრჩებიან, ვისთვის უნდა ვიზრუნოვო? ერთი გოგო გდია, იმაზე განა ღირს ფიქრიო?

— უბედური! — შესძახა ზიზღით ქეთევანმა და თანაგრძნობით გადახედა ციცოს, რომელიც გაქვავებულსავით იდგა ერთს ადგილს.

— კნეინა, მეტს ველარ მოვიცდი, კანონი აღსრულებაში უნდა მოვიყვანო, — გაისმა ბოქაულის ხმა.

— ეხ, შვილო, რაღა ნებას თხოულობ? რაც გინდოდეთ, ისა ქენით, აბა ამ ამბების მომსწრეს ვინ რაღასა ჰკითხავს! — წარმოსთქვა ღონემიხდილმა ქეთევანმა.

ბოქაული შეუდგა თავის საქმეს.

— დღეის იქით თქვენ ნება აღარა გაქვთ ისარგებლოთ მამულის შემოსავლით, ყველაფერი ამ კაცების ხელში უნდა იყვეს, ვიდრე მამული არ გაიყიდება, — უთხრა კვალად ბოქაულმა და წინ წამოაყენა ერთ-ერთი მოსულთაგანი, რომელიც თავჩაღუნული იდგა; მარტო ხანდისხან აღმაცერად გახედავდა ხოლმე გაფითრებულ ციცოს.

ძლივს უსიამოვნო სტუმრები გავიდნენ ოთახიდან, მაგრამ დანარჩენთ შვება არ უგრძვნიათ. ქეთევანმა თვალი მოავლო ოთახს, შეხედა ციცოს და მისმა გაფითრებულმა ტუჩებმა ოდნავად ჩაიდაპარაკეს:

— ციცო, შვილო, მაშ გაგვცარცვეს? გაგვასაწყლეს? უბინაოდ დაგვტოვეს? — გულიდან ამოხდა სუსტი კვნესა და გონებადაკარგული მიესვენა კედელს.

ციცოს ხმა არ გაუღია. ამან, როგორც იყო, მოაბრუნა დიდედა. თვითონაც კრიჭა შეჰკროდა.

— რა მოხდა? რა მეხი დაეცათ? ოხ, ღმერთო! — უსიტყვოდ გულში იმეორებდა ციცო.

ერთი საათიც არ გასულა, რომ დიდედა აიტანა საშინელმა

კანკალმა, კბილს კბილზე ველარ აჭერდა, მთელის სხეულით თრთო-და.

– თითიკამ დაუგო ლოგინი, მოხუცებული კვნესით მივიდა და დაიწყო ტანისამოსის ხდა, მაგრამ ხელები არ ნებდებოდნენ, თითებს გრძნობელობა დაჰკარგოდათ. ციცომ უშველა. გახდა, ლოგინში ჩააწვინა და საბანი დაახურა, მაგრამ ქეთევანი ველა-რა თბებოდა.

— გაგაცია, დიდედა? რა გიშავს?.. მალე გაგივლის... — ეუბ-ნებოდა მზრუნველობით ციცო და თან ხელს უსვამდა შუბლზე. მოხუცებულმა ნაღვლიანად შეხედა შვილიშვილს.

ანანო კარზე გავიდა, დაუწყო თითიკას რაღაც ჩურჩული. კატომაც თავი მეტად ჩასთვალა ოთახში, დედას უკან დაედევ-ნა.

— ჩემ ხელზე დადე თავი, დიდედა! — ეუბნებოდა ალერსით ციცო. — თბილი მაქვს და გაგათბობს.

— შვილო, — წარმოსთქვა ქეთევანმა, რომელსაც სახე გა-ფითრებოდა, — თითიკას უთხარი მღვდელი მომიყვანოს.

— გაციებამ აგრე როგორ შეგაშინა? ეხლავე ოფლს დაგას-ხამს და მორჩები!

— რა ვუყოთ, დედავ, ზიარება მაინც არ მომკლავს, — უპასუ-ხა ქეთევანმა და ოთახს თვალი მოავლო, თითქო ვიღასაც ეძებ-სო. — აქ ხომ არავინ არის? — იკითხა მან.

— არა, მარტო მე ვარ, დიდედა!

— ოჰ, შენა, რა დამშვიდებით მოვკვდებოდი, შვილო, რომ მოვსწრებოდი შენს გათხოვებასა, მაგრამ ეტყობა, ღმერთმა ღირსი არ გამხადა.

ქეთევანი შუბლზე ხელს ისვამდა და ცდილობდა თავისთვის მალა დაეტანებინა. აღელვებული, შეშინებული ციცო მისჩერე-ბოდა მას.

— ან კი სხვა რაში მქონდა ბედი, რომ ამაში მქონოდა? — დაიწყო ქეთევანმა, — უბედურობა მაშინვე დამეტყო, როცა ვა-ჟიშვილი არ გამიჩნდა, ღმერთმა დამაჯერა მარტო დედაშენს და ისიც ბოლომდის არ შემარჩინა. ოხ, რა მშვენიერი იყო ჩემი ნატო! ვინ არ თხოულობდა მას? წარჩინებული პირები მისთვის გიჟდებოდნენ, მაგრამ ბედმა სხვაგვარად იმუშავა. თავისივე სურვილით, ჩვენს დაუკითხავად წაჰყვა მამაშენს, რომელიც

განთქმული იყო ბედოვლათობით და მისი მცირე შეძლება ვალებს არც კი აუვიდა. დედაშენი მოხიბლა მისმა თვალტანადობამ და სიმღერა-თარმა, სხვა ღირსება არა უჩნდა რა. ჩვენც შევურიგდით ბედს. რაც იყო, იყო. მეორე წელიწადს სახლში მოვიყვანე დასაღოგინებლად და საცოდავი მუცელს გადაჰყვა... მამაშენი კი სწორზე ნადიმში დაეპატიჟნათ, იქ შექეიფიანებულს ვიღაცასთან მოსვლოდა უსიამოვნება და ხანჯლით აეკაფათ... შენ ჩვენს ამარა დარჩი... პაპაშენმა ყოველი კავშირი მოსპო მამიშენის ნათესავებთან. „ოხ, რომ დავინახავ, ქეთე, ციცოს მამიდას, გულზე ბოლმები მაწვებიან, სწორედ თავისი ძმაა: ისევ ის ღიდრაჯი, ისევ ის ბედოვლათი. კაცს ცოლ-შვილი ჰყავდეს, ან ქალს ოჯახი ჰქონდეს და მარტო თავის სიამოვნებას ცდილობდეს? ეს მიუტევებელია! მიუტევებელია!" აი რას ამბობდა პაპაშენი, რომელმაც დღეს თვითონ ასეთს გარემოებაში ჩაგვაყენა! მეც უჯერებდი! ვაი, უბედურო ჩემო თავო!.. შენ გყავს, შვილო, მამიდა; იმისი შვილები ეხლა დაბინავებულები არიან, ნუ დარჩები ამ საშინელ უკიდურესობაში და შეეხმიანე მათ.

ქეთევანს სახე წამოუწითლდა. ეტყობოდა, ეძნელებოდა ლაპარაკი, მაგრამ მაინც არ უტყდებოდა თავს და განაგრძობდა აჩქარებით, თითქო უნდა ვალი მოიხადოსო, ის არ უყურებდა ციცოს, მისჩერებოდა სივრცეს და დროდადრო დასასვენებლად შეჩერდებოდა, შემდეგ კვალად განაგრძობდა:

— ყური მიგდე, შვილო. შენ ეხლა ბავშვი არა ხარ... არ შეგეშინდეს... — დაიწყო მან და გახედა ახალგაზრდა ქალს, რომელიც სტიროდა. — მე ეს არის ვკვდები და იმიტომ გეუბნები ყველა ამას, რომ იცოდე! დღემდის მეცოდებოდი, არ გიმეტებდი, რომ ეს უსიამოვნო წარსული შენის მშობლებისა დაწვრილებით გცოდნოდა, მაგრამ არც ის ივარგებდა, რომ მოტყუებული ყოფილიყავი ჩემ მხრივ მაინც.

ქეთევანმა ათრთოლებული ხელი წაიღო ბალიშისკენ, გამოიღო გასაღები, ციცოს გაუწოდა და თანაც მიაჩერდა:

— აი ეს... თეთრი ყუთი გააღე... იქ შენახული მქონდა შავი დღისთვის შეგროვილი ორიოდ გროში და აი შავი დღეც ხომ დამიდგა!.. იქიდან ცოტა მე დამახარჯე და დანარჩენი შენა გქონდეს. სანამ... სანამ ღმერთი რაიმე ნუგეშს გაგიჩენდეს... — ძლივს დაუმატა ქეთევანმა და თვალებიდან ცრემლები გადმოლ-

ვარა. მან ველარ შესძლო ლაპარაკი და სმა ჩაკმინდა. შუბლზე წამომდგარი ოფლი ხელსახოცით მოსწმინდა ციცომ. ის ცხადად ატყობდა, მართლაც ქეთევანი თანდათან სუსტდებოდა და სიცხე კი არა სჩანდა.

— არას მიირთმევ, ქალბატონო? — შემოვიდა ამ დროს თითიკა, მაგრამ როდესაც დაინახა სულთმობრძავი ქეთევანი, მუხლებზე ხელი დაიკრა, გაალო კარი და ხმამაღლა გადაჰყვირა სოლოს:

— წადი, კაცო, ჩქარა მღვდელი მოიყვანე!

თითიკა საჩქაროდ შემოტრიალდა უკანვე, ანანოც თან შემოჰყვა.

ქეთევანს ლოყა დაედო ციცოს ხელზე და თითქმის ნახევრად თვალებდაკარგული უაზროდ იხედებოდა.

— იქითა, ქალო, ერთიდა! — შესძახა თითიკამ, მივიდა ქეთევანთან, რომელმაც ოდნავ გაუღიმა, თითიკამ გულალმა დააწვინა მომაკვდავი, გამობრუნდა და დაუწყო საცვლებს დაგება...

— მობრძანდი, მამაო!.. — შესძახა გახარებულმა დედაკაცმა, როდესაც მღვდელი შემოვიდა.

ქეთევანი თითქო გონებაზე მოვიდა, გადმოხედა მამა ზაქარიას და თვალცრემლიანმა დაიჩურჩულა:

— მაზიარე, მამაო... შემცოდე ვარ, როგორადაც სიკვდილის შვილი.

მღვდელმა შეატყო, რომ დრო ცოტა იყო და აღარ დაუწყო გამოკითხვა. წმინდა საიდუმლოთი სავსე კოვზი მიეკარა თუ არა მომაკვდავის ტუჩებს, ერთი კიდევ გადაატრიალა თვალები და სამუდამოდ გონება დაჰკარგა.

— ასე უეცრად რა იყო ამ საცოდავის თავს?.. — იკითხა დაღონებულმა მამა ზაქარიამ და გადახედა ციცოს, რომელიც მწარედ ქვითინებდა.

— რა იყო და გული გაუხეთქეს იმ გულგასახეთქებმა. გენაცვალეთ, ხუმრობა ეცდა გამოიარა?.. პრიპტავი რომ შემოვიდა და ისე ტყვიასავით მიარტყა სიტყვები იმ თავმკვდარმა!.. სასიხარულოსაც არ ეტყვიან ასე მოუმზადებლად. თორემ ასეთი უბედურობაა!.. იმ გასაჟუჟავებს სულ აუწერიათ მთელი მამული

და სახლ-კარი! — გაბრაზებით ლაპარაკობდა თითიკა და ფუს-ფუსებდა მიცვალებულის ახლო.

მღვდელი მივიდა ციცოსთან, გამოართვა ხელი და გაჩერდა მის წინ.

— გამაგრდით!.. თქვენ თავს გაუფრთხილდით!.. მერწმუნეთ, ამ სოფლად ღირსი არავინ არის, რომ მისთვის შეწუხდეს კაცი!

## XI

ციცომ კარგა ტირილის შემდეგ თავი შეიმაგრა, წამოდგა ზეზე, მიუახლოვდა მიცვალებულს და გაჩერდა მის წინ. დიდედა დამშვიდებული იყურებოდა, ყოველივე მისი სახის მოხაზულობა გაყინულ-გაჩერებულიყო.

ოხ, რა შემზარავი განსხვავებაა მძინარესა და ამ თვალებ-დახუჭულ არსებას შორის!.. ნუთუ ეს ის ძვირფასი დიდედაა, რომელიც სიყვარულით, ალერსით ეფერებოდა ციცოს! დიდედა აღარ იყო; მასთან გამქრალიყო ეს სახლიც, სადაც სტუმრად დარჩებოდა რამდენიმე დღე. მერე კი სამუდამოდ ჩაესვენებოდა ცივ სამარეში. ეხლა, ამ წუთებში მაინც ხედავდა მის სახის ხატებას, შემდეგ ესეც გაჰქრობოდა, გაჰქრობოდა საუკუნოდ, როგორადაც გაჰქრა პაპა. ციცოს გული შეეკუმშა, სხეულში ჟრუანტელმა დაუარა...

— მაშ, ქვეყანა დაცარიელდა? ვილა იზრუნებს ციცოსთვის? გაჭირვების დროს ვინ გაუწვდენს საშველად ხელსა?.. რა საზარლად დაიგრგვინა ცამ, უწყალო ბედმა მედგრად გადაატრიალა ბორბალი, თან გადაიტანა ციცოს მყუდრო, უზრუნველი ცხოვრება? დღეს ყველგან წყვდიადია, სიცარიელე! რაღაც შეცდომით დარჩენილა მარტო ციცო ობლად, უთვისტომოდ!.. ციცომ მიიფარა სახეზე ხელები და კვალად აქვითინდა.

— შე ქალო, როგორ ასე მიგიგდია? შეინახე, ვერ ხედავ რამოდენა ხალხი ირევა, რომ დაგეკარგოს, პასუხს ვილას მოსთხოვ? — წასჩურჩულა ამ დროს თითიკამ და ხელში ჩაუდო გასაღები.

ციცო შეკრთა, მოიხედა, მარტო ეხლა გაახსენდა, რა დაუბარა მომაკვდავმა დიდედამ.

— სანთლები საჭიროა! ასე როგორ შეიძლება?.. მიცვალებულს პატრონობა უნდა... — ბურტყუნებდა თითიკა. ამ სიტყვებმა ხომ სრულიად გამოაფხიზლეს ციცო. ის ხმაამოუღებლად გამობრუნდა, მაგრამ მუხლები უთრთოდნენ, ეკეცებოდნენ. მაინც, როგორც იყო, შევიდა დანაშნულ ოთახში, შიგნიდან ჩაიკეტა კარები და მიუახლოვდა სკივრს. აქაც ღონემ უმტყუნა, აღელდა და პატარა ხანს მიეყუდა კედელს, რომ როგორმე გული მოებრუნებინა.

მეტად სატანჯავი იყო ციცოსთვის ამჟამად ყუთის გაღება, მაგრამ, რადგან საჭიროება მოითხოვდა, — თავს ძალა დაატანა და მთრთოლვარე ხელი წაიღო ყუთისკენ.

თეთრეულის ქვეშ ხელს მაგრა მოხვდა რაღაც. გადასწია ოეთრეულს და ციცოს თვალებში შეანათა ბრჭყვიალა პატარა ყუთმა.

კრიტემ გაიწკარუნა, ციცომ დაინახა ყუთში ჩაწყობილი ოცდახუთმანეთიანები, რომლებითაც პირამიდის გადიცდიცებული იყო. ქალი კარგა ბლომა ფულს ხედავდა ყუთში, მაგრამ გული არა ჰქონდა კარგად გაესინჯა მისი რაოდენობა. საჭიროდ ამოიღო ორიოდ ქაღალდი, დანარჩენი ისევ დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— თითიკა მართალს ამბობს, მიცვალებულს პატრონობა უნდა, — გაიფიქრა და გამოვიდა ისევ ოთახში, სადაც ელოდა მღვდელი, რომელიც შემოსილი იდგა დიაკვანთან ერთად.

დიდედა უკვე დაესვენებინათ გრძელ მაგიდაზე, ციცო მის დანახვაზე გაფითრდა, გულმა ღონება დაუწყო და დაეშვა სკამზე.

მღვდელი დაკვირვებით უყურებდა ხან მიცვალებულს, ხან ციცოს და სიბრალულით თვალებში ცრემლები ერეოდა.

როსტომი და ნატალია წყლებზე წასულიყვნენ საწამლებლად და საბრალო ციცოს პატრონი არავინა სჩანდა, გარდა გლეხებისა, რომლებითაც სავსე იყო სახლი.

— ნუ მომეხათრებით, იქნება ფული არა გაქვთ? — წასჩურჩულა მამა ზაქარიამ ციცოს.

— არა, მამაო, გახლავს... დიდედამ თავისი სამარხი დამიტოვა. რაც საჭიროა, არა დააკლოთ რა, სხვა სოფლებიდანაც მო-

იწვიეთ მღვდლები! — ეუბნებოდა ციცო და თანაც დაწითლებულ თვალებს ხშირად იწმენდავდა.

მღვდელმა აწიშნა დიაკვანს და იმანაც დაიწყო კითხვა. მამა ზაქარია კი გამოვიდა მეორე ოთახში და სთხოვა ციცოსაც გაჰყოლოდა.

მოძღვარმა ციცო მიიყვანა სკამთან, თვითონაც ახლო დაჯდა და გადისვა აღელვებულმა თმაზე ხელი, წვერები ჩამოისწორა, კეთილი თვალები მიმართა ახალგაზრდა ჭირისუფალს და რამდენჯერმე ჩაახველა. ეტყობოდა, ემზადებოდა დალაპარაკება.

ციცო გარინდებული იჯდა უძრავად და თვალები მიეშტერებინა იატაკისთვის.

— კნიაჟნა! წინათაც მოგახსენეთ თავს გაუფრთხილდითმეთქი, — დაიწყო თანაგრძნობით მამა ზაქარიამ. — მოხუცებულებს მეტი დრო აღარა ჰქონდათ სასიცოცხლოდ. თქვენ კი ახალგაზრდა ხართ და თავს გაუფრთხილდით! — დაუმატა მან.

— რისთვის? — ყრუდ გაისმა ათრთოლებული კითხვა.

— მომავალ ცხოვრებისთვის...

ციცომ ხმა არ გაიღო. მარტო დაკვირვებით და ამასთანავე გაოცებით შეხედა მოძღვარს, რომელიც ძლიერ კეთილი მოსჩანდა.

— გამიგონია, თქვენ თურმე გყავთ მამიდა. ცუდი არ იქნება, შევატყობინოთ თქვენი ასეთი მდგომარეობა. რაც უნდა იყვეს, თავისიანი დიდი რამ არის კაცისთვის, — ამბობდა მამა ზაქარია. ციცოს გაახსენდა დიდედას რჩევაც და მასთან ერთად მოძღვარის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, თუმცა კი თითქო თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა დათანხმებულიყო.

— თუ ნებას მომცემთ, დღესვე გავუგზავნი დეპეშას! — არ ეშვებოდა მამა ზაქარია.

— როგორცა სჯობდეს... თქვენ უკეთ იცით... — უპასუხა ანგარიშმიუცემლად ციცომ.

მღვდელმა მიიღო თუ არა ქალისგან ჯეროვანი პასუხი, მაგიდასთან დასვა ვიღაც ყმაწვილი, წინ დაუწყო რამდენიმე თაბახი ქაღალდი და დააწყებინა მოსაწვევ ბარათების და დეპეშების წერა.

როსტომს და ნატალიასაც გაუგზავნეს დეპეშა, მაგრამ მათ-

გან მოუვიდათ პასუხი, რომ როსტომი მძიმე ავადმყოფი იყო და ვერ ასერხებდნენ წამოსვლას, მარტო შორიდან უცხადებდნენ ციცოს თანაგრძნობას მწუხარებაში და ამხნევებდნენ.

მოაწია დიდედას დასაფლავების დღემაც.

ციცოს გული ძალზედა სძგერდა; საშინელის მოუსვენრობით, დაკვირვებით თვალებს აცეცებდა ყოველ მომსვლელს, უსიტყვოდ ეძებდა ვიღასაც. კარებში გამოჩნდა მაღალ-მაღალი, ჩასხმული, შავგვრემანი მედიდური ქალი, რომელიც ამაყად აქეთ-იქით იყურებოდა. ეტყობოდა, ყველა მისი უცნობი იყო. ციცომ შეხედა თუ არა, გულმა წასჩურჩულა, რომ უსათუოდ მამიდა უნდა ყოფილიყო. მისი სახის ცივმა, უთანაზიარო მეტყველებამ ერთ აღგილსვე მიღურსმა, ღონე არ ჰქონდა მისულიყო მასთან. თვითონ მამიდამ შენიშნა და წამოვიდა.

ციცომ დაიწყო ქვითინი. მამიდამ ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა. ამას უკან მოჰყვებოდა ჩერქეზულად გამოწყობილი ახალგაზრდა; ეტყობოდა, მამიდას შვილი უნდა ყოფილიყო.

— რამოდენა ქალი გამხდარხარ და დღემდის კი არ გიცნობდი, ჩემო ძმისწულო! — წარმოსთქვა კნეინა თებრონიამ, ხელსახოცით გაიქარვა სახეში მოწოლილი სიცხე და ჩამოჯდა ციცოს გვერდით სკამზე.

— ღმერთმა აცხონოთ, მაგათი ბრალი იყო ჩვენი ასე მოშორება. ესდაც შენ რომ არ შეგეტყობინებინა, ვერაფერს გავიგებდით და შენც უნდა დარჩენილიყავი ობრათ. — თებრონია ტუჩაბზეკით იყურებოდა გარშემო, ათვალიერებდა ყოველსავე საგანს. ამას უკვე შეეტყო, რომ პავლესთვის ვალში აეწერათ მისი ქონება და თითქო გულში ფარულად ნიშნს უგებდა ციცოს. დამცინავი ღიმილი უკრთოდა სახეზე, როდესაც უყურებდა თავის უბედურ ძმისწულს: მისი მშვენიერი სახე არ ახარებდა.

— ჰმ! მეძკვიდრე! მდიდარი საპატარძლო! — ფიქრობდა, თანაც ცდილობდა თავის გულისთქმა გულშივე ჩაემარხ-ჩაემალა.

ის წამოსულიყო უფრო ცნობისმოყვარეობის გამო, რომ დაეხედნა პავლეს სახლკარისთვის, მისი შეძლებისთვის, რომელიც დღეს ხელიდან წასვლოდა და რომლითაც ოდესმე თავს იწონებდა მის წინ. აგრეთვე უნდოდა ენახა ძმისწული, რაიმე დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ მისმა მშვენიერებამ ჩააფიქრა,

— როგორ წაიყვანოს თავისთან? ციცოს მშვენიერებასთან რაღა უნდა გამოჩნდნენ მისი შვილები?

დამარხეს დიდედა. ციცოს მწუხარებას საზღვარი დაეკარგა. თავ-პირში იცემდა ხელებს და გულსაკლავად მისტიროდა თავის ერთადერთ გულშემატკივარს, რომელიც მიწას ეფარებოდა.

— დამშვიდდი, ქალო, მწუხარებით ველარას მოუმატებ, ეხლა შენ თავს ყური უნდა უგდო!.. აქ რაღას გააკეთებ, შვილო? შენი აღარაფერია, გირჩევ ბარგი ჩაალაგო და ჩვენთან წამოხვიდე! მე მაინც მჭირდება ოჯახში შენისთანა ერთგული ვინმე. ჩვენ ყველანი ამ ზამთარს ქალაქში მივდივართ, შენ კი დარჩები სავსე ოჯახში, სადაც გახდებიან მოურავი, დედაკაცები და შენც ყველაფერზე თვალყურს დაიჭერ! — ეუბნებოდა მამიდა ციცოს დასაფლავების მეორე დღეს, როდესაც ყველანი წავიდწამოვიდნენ და ეს კი განგებ დარჩა, რომ ობოლი ძმისწული მადლის გულისთვის თავისთან წაეყვანა:

— თქვენ ყველაფერი უხვად გექნებათ, არა დაგაკლდებათ რა, — დაურთო მედიდურად მამიდაშვილმა.

ციცომ მსწრაფლ შესწყვიტა ტირილი, წელში ამაყად გასწორდა და პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა მამიდას.

— გმადლობთ! მე ამ სოფლიდან სადმე წასვლა არ შემიძლიან. დიდედას წესები უნდა გადავუხადო, მის საფლავს მოვუარო, — უპასუხა მან თებრონიას, რომელსაც ეწყინა ძმისწულის ასეთი კადნიერი პასუხი.

— შენ იცი, მაგრამ აქ ყოფნა უბინაოდ ყმაწვილი ქალისა ძალიან ძნელია!.. — დაუმატა მამიდამ.

ციცო ძლივს იმაგრებდა მღელვარებას.

თებრონიას დიდხანს აღარ დაუცდია. ცივად გამოეთხოვა ძმისწულს და წავიდა.

ციცო დარჩა თითიკასა და სოლოს ამარა. მოურავი დარისპან, რადგან წინათვე იცოდა, რაც მოხდებოდა პავლეს ოჯახში, ბატონის სიკვდილის შემდეგ შეუდგა ჩუმ-ჩუმად აღგილის ძებნას.

— უკაცო ოჯახში ღმერთმა ერთ დღესაც ნუ დამაყენოს! კაცო, აქ რაღა სიკეთეა? ქალებთან რა საქმე მაქვს, — უთხრა ერთხელ მან სოლოს, როდესაც გახარებული მოვიდა საიდგანღაც. — რო იცოდე, რა ადგილი ვიშოვნე... ჩემი ბატონი სულ

ახალგაზრდაა, გამოუცდელი და ჩემს მეტი უფროსი იმ სახლში არავინ იქნება. — დარისპანი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა, თუმცა პავლეს დროს საკმაოდ ითბობდა ხელსა, მაგრამ დღეს ამ გამორჩენას აღარ ჯერდებოდა და სწყუროდა მეტი შემოსავალი, დღითი დღე ელოდა, როდის მოეღებოდა ბოლო ამ საჯარო ვაჭრობას, რათა გაეგო შედეგი. დიდხანსაც არ მოუხდა ცდა. ქეთევანის სიკვდილმა მოასწრაფა ამის სურვილების შესრულება და ქალბატონის დასაფლავების მეორე დღესვე გამოეთხოვა ციცოს, მიიღო თავისი გასამრჯელო და გასწია უდარდელად, დაუნანებლად.. ამას არც კი ახსოვდა ციცო, ფიქრობდა, ოცნებობდა ახალ ადგილზე. არც ციცო შესწუხდა დარისპანის წასვლაზე. მას თითქმის ეჯავრებოდა კიდეც, როდესაც ხედავდა მუდამ გაჩუმებულს, ჩუმ-ჩუმად როგორ დაძვრებოდა აქა-იქ და ქეთევანსა და ციცოს არად აგდებდა.

— დიდი ეშმაკი მედაა, ვინც მაგას არ იცნობს! — იტყოდა ხოლმე უკმაყოფილოდ თითიკა და აღმაცერად გახედავდა მის მუდამ ღვინისგან გაწითლებულ სახეს.

— წავიდეს, დაიღუპოს, განა ეგ სახლში შესაშვებია? კაცი ათი-თხუთმეტი წელიწადი იყვეს ერთ სახლში და იმ სახლის ხათრი და სიყვარული არ დარჩეს, რა ადამიანია?!.

— ეშმაკის კერძს რომ იტყვიან, აბა სწორედ მაგაზე იტყვიან აი... ჰჰ, არც იქ მოიდგამს დიდხანს ფეხს, ღმერთი ხელს არ მოუმართავს მაგ უკეთურობაზე, — უპასუხებდა სოლო ნაღვლიანად და თანაც ჩიბუხის ბოლს გამოუშვებდა პირიდან.

— ჭირი მომჭამოს, რას დავეძებ? მაგრამ მაგისთანა უფრო გამარჯვებულია. ვერ გაიჩინა სათავნოები მაგისმა ცოლმა თუ?.. აბა შენი სიადამართლე ბევრსა გშველის, ვერ დაგიდის ტიტველ-შიშველი ცოლ-შვილი?.. — მიატანა თითიკამ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეძალა ცხვირით ბურნუთს.

— არა უშავს რა! ღმერთი ხომ დაინახავს ჩემ სიადამართლეს? გამიგონია: მადლი და ცოდო შვიდითშვიდამდეაო. ცხრა შვილში ის ერთი დექსუა მიგდია და იქნება ღმერთმა ის მაინც გამიძღიეროს.

— უფალმა გისმინოს, შვილო! — მიატანა თითიკამ და გამოტრიალდა ზემოთ ოთახებში ასასვლელად.

ციცო ყოველდღე მიდიოდა საფლავზე და ცრემლებით აღბობდა დედამიწას. კატო წუთს არ შორდებოდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე შეემსუბუქებინა მწუხარება, მაგრამ ამაოდ; რაც უფრო დრო მიდიოდა, უბედური მდგომარეობა თანდათან ხელსა რევდა და გულჩათხრობილი, გარინდებული ლანდსავით მოძრაობდა.

ნატალია და როსტომიც დაბრუნდნენ სახლში. ეხვეწებოდნენ მათთან მაინც გადასულიყო ციცო, მაგრამ თავმოყვარე ქალი ახლო არ იკარებდა მათ წინადადებას.

გავიდა რამდენიმე კვირა: ციცო თითქოს შეეჩვია თავის მდგომარეობას, უფრო მეტ დროს სულ საფლავზე ატარებდა, მეტად გაამშვენიერა ეკლესიის ეზო, მნათეს დაარგვეინა საჩრდილობელი ცაცხვები და მათ ქვეშ ხის სკამები დაადგმევინა. საფლავებს გარს შემოურიგა ბზის ბუჩქები, რომელშიაც შიგადაშიგ მორცხვად იყურებოდნენ ყვავილები. ქალს მოთხოვნილებად გადაექცა ამ ადგილს მოსვლა.

გათენდებოდა თუ არა, გული დაუწყებდა ღონებას. ისიც დაუძახებდა კატოს და მასთან ერთად გასწევდა. ციცო ველარა სძლებდა სახლში. ოხ, რა ძვირფასი იყო წინათ თვითეული კუთხე, დღეს კი ვიღაც ტარტაროზი დაჰპატრონებოდა ყველაფერს. დღითი დღე ელოდა ვიღასაც, რომელიც უბრძანებდა აქედან გასვლას. ციცო თვალით აღარ განიცდიდა ამ არემარეს, ოღონდ კი ჰქონოდა სხვა თავშესაფარი, მაგრამ სად წასულიყო, ვერ მოეაზრებინა. აკი დიდედამ დაუტოვა ფული!

ოცი თუმანი მის დამარხვას მოანდომა, თვითონაც რჩებოდა ბარე სამოც თუმნამდე, მაგრამ როდემდის ეყოფოდა? ბევრიბევრი ერთი წელიწადი! მერე რიღათი იცხოვროს? ვინ რას მისცემს! არა, არა! ციცო ჯერ ვერსად წავა აქედან წლის შესრულებამდე. მერე გარემოება როგორც უჩვენებს, ისე მოიქცევა, მაგრამ სახლი ხომ უნდა დასცალოს? ეს საკითხები არ შორდებოდნენ ციცოს და დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდნენ.

აგერა გამოჩნდა წინანდელი მოვალე, რომელიც გაუთენებლივ მოსულიყო და ელოდა ციცოს ადგომას. ციცო გავიდა აი-

ვანზე, რომ სოლოსთვის დაეძახა და ფერმა გადაჰკრა, რომელსაც მის წინ გამოიჭიმა უსიამოვნო სტუმარი.

— რა გნებავთ? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ციცომ.

— უკაცრავად, ბარიშნა, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მეტი ღონე არ არის, უნდა მოგახსენოთ: ეს სახლი დღეს ჩემი გახლავთ და უნდა დასცალოთ! როგორც სახლი, ისე მამული მე მეკუთვნის... საჯარო ვაჭრობით დამრჩა ყველაფერი, რაც რამ ებადა პაპათქვენს.

— ეგ დიდი ხანია გაგებული გვაქვს, — უპასუხა ციცომ.

— ჰოდა მეც იმისთვის მოვედი, რომ გთხოვოთ, დამიცალოთ სახლი, მეორეთ ნუღარ მომიყვანთ, თქვენც შეურაცხყოფა არ მიიყენოთ და მეც არ შემაწუხოთ! — დაუმატა ცოტა არა მკვახედ ახალმა მებატონემ.

წუთს ელვასავით მოედო სოფელს ეს ამბავი და ხალხმა თავი მოიყარა ციცოსთან. ყველანი დაღონებულები შეჰყურებდნენ უბინაოდ დატოვებულ ქალს.

— ეს რა გვიყო, ბატონიშვილო, იმ სულგანათლებულმა? რაზე დაგვჭრა ყელები? ვის ხელში ჩაგვყარა? — ამბობდნენ გლეხები, რომელთაც მამა-პაპიდან ხელში ეჭირათ პავლეს მიწები.

— ჩვენ აქ საცხოვრებელი პირი აღარ გვიჩანს, — უმატებდნენ ისინი.

ციცო გაფითრებული იჯდა აივანზე და იყურებოდა პირდაპირ, მაგრა ტუჩებმოკუმული.

— შენ კი გაიხარე, შვილო, შეაფურთხე ამ სახლსაც და კარსაც!.. დასანანი რომ ყოფილიყო, არც ასე მოხდებოდა. თავში მიაწყვიტე და გაეცალე! მოდი, აი ჩემი ჭლეული, ისე დაგიკრიალო, კატოს მზემა, რომ მოგეწონს! წაიღოს მაგ სატიელომ, სხრადაც დარჩენია! — გაიძახოდა გაგულისებული ანანო, რომელსაც სიბრაზისაგან პირში ნერწყვი უშრებოდა.

— თუკი ჩვენთან იკადრებს ცხოვრებას, ქალო, ვინ ოხერი დაიშურებს მაგისთვის რასმეს? — გაისმა ხალხში ხმაურობა.

— ჩვენთან, ციცო, ჩვენთან გირჩევნიან! — ეჩურჩულებოდა კატო, თანაც ეშინოდა უარი არ მიეღო მეგობრისგან.

ციცო გაქვევებულივით იყო, ხმას არ იღებდა. ამის არსებაში საშინელი ბრძოლა ატეხილიყო, თითქო ჯიბრზე ამ წუთებში მეტად ემძიმებოდა ამ სახლიდან გასვლა. გუშინ თვითონვე, თა-

ვისით დიდის სიხარულით გაეცლებოდა, მაგრამ დღეს კი მზად იყო მაგრა ჩასჭიდებოდა.

სტიროდა ციცო, სტიროდნენ მასთან გდეხებიც; მარტო დღეს გაიგეს მათ ქეთევანის და პავლეს სიკვდილი, მარტო დღეს ეთხოვებოდნენ სამუდამოდ. დასაფლავების დღეს თითქო სასეიროდ მოსულიყვნენ, მაგრამ დღეს გადაქცეულიყვნენ გულშემატკივარ ჭირისუფლად.

— რა ხალხი ვართ, რომ ემაგ წუწკს მაგდენი ნება მივცეთ? ალას ვემსახუროთ? — დაიძახა ერთმა მწყრალად.

— ბატონ როსტომს შევეხვეწოთ, იქნება იმან შეიყიდოს!.,

— ფული არა აქვს თუ?

ახალმა მემამულემ დაინახა თუ არა ხალხი მოსული, ჩუმად სადღაც გაიპარა.

— იი, თქვენც კი ხართ, აი! ემაგ წუწკს, როგორ შემოვუშვებ სოფელში? განა იქამდისაც უნდა მივიდეს მაგისი სიბრიყვე, რომ ბატონიშვილი კარზე გაგვიგდოს? — დაიძახა ხანში შესულმა ქალმა, წელში გასწორდა და თავშლის ყურები უკან გაიკეცა. — მარტო მე ვეყოფი მაგას, არ მომიკვდეს ჩემი სანდრა, — დაუმატა მან.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს.

— ჰოდა, რა არის: შევიმწყვდიოთ, კაცო, ე ბოსელში და ერთი ისეთი დავბეჟოთ, რომ მეორეთ მოხედვა დაზარდეს! — გაისმა ხალხში ყაყანი.

— ვიიშ, მაგ ქადილით ვერას გახდებით, ბიჭებო! — წაიზუზუნა ვიღამაც.

— კანონი მაგისკენ რომ არის? პირიქით, თქვენ ამოყოფთ ციხეში თავსა და ეგ კი ისევ ის თომა იქნება. მაგას ისეთი ცხვირპირი უჩანს, რომ ხამი არ იქნება მიტყეპას. მერე უფრო ცუდ საქმეს დაგმართებთ! გადაგეკიდებათ და არ მოგცემთ საშველს, — დაუმატა ნაღვლიანად მეორემ.

— ე ჯავრს ხომ ამოვიყრი! მე მაინც არ გადამრჩება, დაიცადოს, მაგისი სადავათი კი დაიქცა, მაგ ბლუნძიასი!... — შესძახა შავგვრემანმა სვიმონამ და გაგულისებულმა მუშტი ჩაირტყა გულში.

ამასობაში ციცომ გონება შემოიკრიბა. დაგვიანება აღარ

შეიძლებოდა, უნდა წასულიყო, სანამ ბოქაული ძალით არ გააგდებდა.

— რაღას უყურებ, დედა? უბრძანე ბიჭებს, ბარგის შეკვრა გიშველონ, ტყუილად ჩაფიქრებულხარ, — დაუძახა კვაღად ანანომ.

ციცომ თავი აიღო მაღლა, შეხედა ანანოს ნაღვლიანის ღიმილით; ეტყობოდა, თითქო უსიტყვოდ თანხმდებოდა და მადლობას სატავდა ცქერაში.

— გენაცვალეთ, ეს რა უბედურება მოგვევლინა? — გაიძახოდა თითიკა, მუხლებს ითქვეფდა და მოუსვენრად დადიოდა აქეთ-იქით, თითქო რაღასაც ეძებსო.

— ნეტაი ემანდ მუგუზლებს არ უმატებდე!.. გირჩევნიან ბარგი ჩაალაგო და ბარე საქმე გავათავოთ, რაღას ვუყურებთ? გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვას და ეს არის! — სთქვა ანანომ.

— რას გვიბრძანებ, ბატონიშვილო? გვიმსახურე, რაშიაც დაგჭირდეთ? — შესძახეს ერთხმად გლეხებმა.

ციცოს გული აუჩუყდა და დაიწყო ტირილი. ანანო და კატო შევიდნენ ოთახში, მათ უკან მიჰყვნენ რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭები, დანარჩენი კი ნელ-ნელა დაიშალნენ. ციცო შემობრუნდა ოთახში და დაუწყო ხელებს ფათური, ვითომც ჩალაგებაში შველოდა.

— მე რაღას მიბრძანებ, ბატონიშვილო? — წარმოსთქვა ამ დროს კარებთან გაჩერებულმა სოლომ. — ეხლა საჭირო აღარა ვარ თქვენთვის: დამითხოვე, მივხედო ჩემ ოხერ ცოლშვილს, — დაუმატა მან და ჩოხის კალთით მოიწმინდა ცრემლები. ამას თითქო ეძნელებოდა ციცოს მოშორება, ნაამაგარ ოჯახის დათმობა. ციცოს ხელები აუცახცახდა და კინაღამ გააგდო დამპარი, რომელიც მოჰქონდა კარზე. მან ნაღლიანად შეხედა სოლოს.

— აბა რა გითხრა, ჩემო სოლო? მე თვითონაც არ ვიცი, რით განუგეშო, ან შენ და ან ჩემი თავი რა იმედით გავამხნევო? ხომ მხედავ, ცის ქვეშ დავრჩი და ჩემი პატრონი ქვეყანაზე არავინაა!... — უპასუხა მან.

— ჰოდა აგრე, შენი ჭირიმე, დღესვე დამითხოვე! არ შემიძლიან დღეის იქით ამ სახლის ყურება. მე ჩემი დამემართება და ჩემი საწყალი ცოლ-შვილის ცოდო ნუ გინდა.

სოლოს წლის ჯამაგირი წალებული ჰქონდა წინდაწინვე, მაგრამ ციცომ კიდევ მისცა ფული. სოლომ ხელზე აკოცა და ქვითინით გამოვიდა კარზე.

— შენ კი შემოგევლე, რაც უნდა გამაგლო, ამ შენ ფეხის წინ გამოვიჭრი ყელსა და ის იქნება, სანამ აქა ხარ, არ მოგშორდები, აგრემც წამდად დაგენაყება ჩემი თავი, შენთან ვეგდები, სანამ შენ თავზე გვირგვინს არ ვნახავ, მერე კი მეც წავალ ჩემ საწყალ ბიჭ სიკუასთან, — უთხრა თითიკამ ღიმილით ციცოს, როცა სოლო წავიდა.

ციცომ თანხმობის ნიშნად ცრემლებქვეშ გაუღიმა თითიკას.

მალე ჩალაგებასაც ბოლო მოეღო. წუთს ყველაფერი კარზე გამოიტანეს ბიჭებმა და სახლი დასცალეს. ციცოც უნდა გამოსულიყო.

ის უკანასკნელად გაჩერდა, თვალი მოავლო ყოველივეს და მიაშტერდა იმ ადგილს, სადაც დიდედას ტახტი იდგა და გაწამდა. განძრევას ვერ ახერხებდა, თითქო ყოველ კუთხიდან ეყურებოდა რაღაც საყვედურის ჩურჩული, რაღაც ხვეწნა, მუდარა.

— წავიდეთ, ციცო! — მოესმა ამ დროს კატოს ხმა და ხელი შეეხო მის გაყინულ თითებს, რომლებიც მაგრა ჩაეჭირა ერთმანეთისათვის, თითქო ლამობდა მათ დამტვრევ-დაღეწვას.

ციცოს გააკანკალა, მუხლები ჩაეკეცა და ველარ გადადგა ფეხი. სახეზე სიკვდილის ფერი დასდებოდა, თვალები უაზროდ გამტერებულიყვნენ.

— წავიდეთ, ციცო! — კვალად ეუბნებოდა ამხანაგი. კატომ მაგრა შემოხვია მკლავები, არ წაქცეულიყო. ციცომ თავი მიანდო მეგობარს მხარზე, თვალები დახუჭა და გაწამდა.

ოთახში გაისმა მოთქმა-ტირილი. გონებადაკარგული ციცო ანანოს და კატოს ნელ-ნელა ჩაჰყავდათ კიბეზე...

## ნაწილი მეორე

### I

სოფლის განაპირას მდინარე შეუპოვრად ზვირთს ზვირთზე მოისროდა; ზოგან გაგანიერებულ, გაშლილ ტოტებს იკრებდა, ზოგან მდორედ ტბორდებოდა; აქ უხვდებოდნენ წისქვილის ღარები, მათზე დაქანებული ბორბლებს ეჯახებოდა, ღრმა მორევში ასრიალებდა, თეთრ ქაფად ქცეულ ზვირთებს ბურთ-ბურთად მაღლა ისროდა.

ბორბლებს თავს გადასდგომოდა პატარა ხის შენობა. მასში წისქვილის ქვები ხმაურობდნენ. ხვიმირი ავსებულიყო მარცვლით; დოლაბში ფქვილი თეთრად იცრებ-იფანტებოდა. იატაკზე ტომრები დაეღაგებინათ. ყოველგან თეთრი მტვერი იდგა. მეწისქვილე სვიმონა სარეკელას გულდინჯად შეჰყურებდა, რომელიც ქვებზე დაფდაფსა სცემდა. ხალხს საფქვავი მოჰქონდა, ხმაურობა შხივილ-ხრიალი შორს გაისმოდა და სადღაც იკარგებოდა. განუსაზღვრელი გრგვინვა იდგა გარშემო. მდინარეში ისვები ფრთებს აფრიალებდნენ, ბრწყინვალე წინწკლებს აქეთ-იქით ისროდნენ.

მდინარის ნაპირზე მწვანე, ხასხასა ბალახი პირს იბანდა, სალისდებოდა.

სწორედ ამ მდინარის ნაპირზე ანანოს ჭლეული წამოეღგარიყო. ცოტა მოშორებით იდგა უფრო დიდი დარბაზი, რომელშიაც ცხოვრობდნენ ანანოს მაზლისწულები. მათ გამოინაპირეს თავიანთი ქვრივი ძალუა და თავშესაფრად მიუგდეს ჭლეული; შუაზე მესერი გაავლეს; მასთან ყოველივე ერთობა შესწყვიტეს.

ანანოს ბოხჩის ტოლა ეზო წისქვილს, გზას და მთელ სოფელს გაჰყურებდა. ჭლეულს ჰქონდა დერეფანი, სადაც ავდრიან ამინდში ანანო იჯდა ხოლმე და საქმეს აკეთებდა.

დღეს ანანოს ჭლეული შესაბრალისად აღარ იყურებოდა. ტახტები ხალებით დაეფინათ. ციცოს ავეჯი სადღესასწაულო ფერს აძლევდა მთელ შენობას და ბევრიც შურის თვალით შეჰყურებდა ანანოს სახლში შეტანილ დოვლათს.

ორიოდ დედა-შვილი თავს ევლებოდა, თვალებში შესცეცე-

ბოდა გაფითრებულ, გამხდარ ციცოს, რომელიც მუდამ გარიწდე-ბულ-გაშტერებულიყო; თითქო შესწყვიტა სიცოცხლეო, მუდამ სადღაც გაიყურებოდა. უცხო სახლ-კარს, უცხო ადგილს, წისქვილის გაბმულ ერთგვარ გრიალს, მდინარის შხუილს იდუმალად ბანს აძლევდა მისი გულის უწყალო კვნესაც. ხანდისხან თვალებს მოხუჭავდა, თითქო არ უნდა სიცხადის ხილვაო. საშინელი მძიმე წუთები მაინც დაჟინებით თვალწინ უდგებოდა და აწამებდა. გულხეთქდაკრეფილი, დაღონებული შედი-გამოდიოდა, დაფრთხიალებდა ეზოში; მიუახლოვდებოდა მდინარეს, მიიდებდა ხელებს საფეთქლებზე და განწირულობით ჩააშერდებოდა მის სარკეს; ხარბად გაჰყურებდა მჭევლს, რომელიც ტრიალებდა მორევში.

წისქვილი საშინლად გრიალებდა.

— ნაუ!.. ნაუ!.. — ყრუდ გაისმოდა ამ დროს ზარის რეკვა. ჰაერი იკვეთებოდა წკრიალა ხმით. ციცო უარესად ფითრდებოდა, ნაბიჯს გადადგამდა ოთახისკენ, რომ დაეძახა კატოსთვის, წასულიყო იქ... იქ, ბზის ბუჩქებისკენ, მაგრამ წუთს ისევ შეჩერდებოდა, ხელს მიიტანდა გულთან, საშინლად ამოიკვნესებდა.

— არა! იქ ეხლა სიცივეა! სიცარიელეა! ყველაფერი გაჰქრა!.. წავიდა მაღლა ჰაერში, გაიფანტ-დაიღვარა!..

თვალს კი კვალად ეხატებოდა ორი საფლავი, ქვითკირის შენობა. ამ გახსენებაზე გააჟრჟოლებდა. წვრილი ზარები ისევა რეკდნენ, ეძახოდნენ.

ერთი კვირეც იყო, რაც ციცოს საფლავები. აღარ ენახა. ბევრჯერ დააპირა იქ წასვლა, მაგრამ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა უკან აყენებდა, უბრძანებდა უთანაგრძნობოდ დახვედროდა ამ ძახილს. ციცოც ანგარიშმიუცემლად ემორჩილებოდა.

ანანო და კატო იშვიათად სტოვებდნენ ციცოს მარტოდ, თითიკა კი იდგა ცეცხლა პირას, სადილს ამზადებდა. ციცო დაწვებოდა ტახტზე, დაიფარებდა შუბლზე მკლავებს და ნაღვლიანად იყურებოდა; თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ტახტის ბოლოზე ჩამომსხდარიყვნენ დედაკაცები, ზუზუნ-წუწუნით შესჩიოდნენ ერთმანეთს თავიანთ ნაღველს, მარტო კატო არ იღებდა მათ დაპარაკში მონაწილეობას; მეგობრის მწუხარებით გამსჭვალული, გულდასმით ჩაფიქრებოდა გონებას, ჩაჰკითხოდა, თუ რა მხრივ ეშველა ციცოსთვის, რომ ეს საშინელი გარემოება გასაძლისად დაენახვებინა?ატყობდა,

ციცოს ეჯავრებოდა ლაპარაკი და ესეც ჩუმად იყო: ეშინოდა, თავი არ მოებეზრებინა.

— ერთი ჰკითხე იმ ჩემი ცოდვით სავსესა, რას მერჩის და რას მემართლება? — შესძახა ანანომ, თანაც ფრჩხილი დაუსვა საკერავის ნამორს, რომ ძაფი კარგა ჩასჯდომოდა. — ე ხომ გამოვეცალე, ე ხომ ალარაფერს ვაწუხებ! მე ჩემთვის ვარ მოკუნტული, ჩემის შრომითა ვცხოვრობ. ალბათ, თვალი უდგებათ, ჩემი კატო რომ ჩაცმულ-დახურული გამომყავს. მერე იმათ რა ესარჯებათ? შურთ განა?.. ვის რა დავა აქვს? თვითონ შრომობს და საფასურით თავს იდაზათებს!

— ასე კი სთქვა პელაგიამ და! მეც გამიოცდა და გამიკვირდა, ჩემი მისოს დაბერებამა. შენთან ტყუილი აბა რას გამომადგება? ასე ვუთხარი: შენ იმას თავი დაანებე-მეთქი, შენი ცუდი სიტყვები შენვე წინ დაგხვდება-მეთქი, იმისი ბედი კალთაში არ გიხვევია და რას დააკლებ-მეთქი?..

— ჯერ მოიცადოს და თუ იმისი კატუა არ დავამჟავო და დავაბერო, მაშ ქალი არ ვიქნები; განა დამავიწყდება, იმი დედმამამ რომ ოჯახი გაფხიკეს და გაცარცვესო? — ტიტინებდა თებრო, რომელსაც კალთაში ჩაესვა ბავშვი და ატირებულს მაღმაღ ძუძუს უდებდა პირში, რომ ლაპარაკში არ დაეშალა.

— ისემაც უკვნესია იმასა და ჩემ ქმარსაც ადრე და მალე მოსწევია, სანამ ეგ მართალი იყვეს! გენაცვალეთ, რა მოუჭორებია?! ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო, აბა ეგ არის აი! იქნება ეგონოთ, რაკი ქმარი მომიკვდა, ჩემ დუკმას და ობლის წილს შევარჩენდი? გოგო რო იყო, იმის იმედი ხომ არა ჰქონდათ? ბარემ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემ მხრივაც ერთი ვაჟკაცი დატრიალებულიყო, მაგრამ რა ვქნათ?.. იკურთხოს ღვთის ნება, ჩემი ვაჟიც და ქალიც ეხლა ჩემი კატოა. ორი დღის სიცოცხლე დამრჩენია, მინდა ორიოდ გროშს თავი მოვუყარო და დროზე დავაბინავო.

— ნუ კი გამამხედ, ბატონო, და მეტად ცუდად ლაპარაკობენ ე შენ კატოზე. მეტად ალაშაა, მაღლა-მაღლა იწევსო; ბატონიშვილს გატოლებია და უხეიროდ თავს იგდებსო, — განაგრძობდა დედაკაცი.

ანანო მეტად ცხარობდა და რაც შეეძლო მაგრადა სწევდა საკერავის ძაფს, თითქო იმაზე უნდა ჯავრი იყაროსო. კიდევ უნ-

ღოდა რიღაცის თქმა, მაგრამ გაახსენდა, რომ ციცო აქვე იწვა და მისი ხათრით არჩია გაჩუმება.

— ღიდა მშვიდობისათ... ეს დედაჩემმა მოგართვა, იქნება ისიამოვნოსო!... — წარმოსთქვა ამ დროს ოთახში შემოსულმა ფეხშიშველა გოგომ, რომელსაც აქა-იქ კაბის ნაგლეჯები ბაწრებსავით დაჰკიდებოდა და დაუვარცხნელი თმა აბუწოდა. ამ სიტყვებით ტახტზე დასდგა გოგომ კოჭბით მაწონი, ციცომ შეხედა ბავშვს ნაღვლიანის ღიმილით და უთხრა:

— მადლობელი ვარ, ჩემო ნუცა!.. დედას უთხარი, ჩვენთან შემოვიდეს, როცა დრო ჰქონდეს.

— ბატონი ბრძანდები! — ტუჩების აპრუწვით უპასუხა ნუცამ და გავარდა კარზე.

დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ციცოსთვის არ შემოეტანათ ცხელ-ცხელი მჭადები, ნაზუქები, მოხარშული დედალი, კვერცხები! სოფელი პატივსა სცემდა, თანაუგრძნობდა უბედურებაში. საყვედურით აღვსილი გლეხები პავლესა და ქეთევანის მიმართ, ცდილობდნენ ციცოსადმი ყურადღება გაეორკეცებიათ, თითქო ამით პირველებს ნიშნს უგებდნენ. ციცო მადლობელი იყო მათი, საქმედ-სასმელში არა ეხარჯებოდა რა და უნდა სხვაფრივ გადაეხადნა პატივისცემა, მაგრამ ჯერჯერობით მწუხარება გაბატონებოდა და ნებას არ აძლევდა გარეშე აზრები ახლო მიეკარებინა.

— ანანოს ერთი პატარა ოთახი აქვს, ნახევარი მას დაუჭერია, მასპინძლები ერთ კუთხეში მიუკუნჭავს, როდემდის უნდა იცხოვროს ასე? რაფერად შეურიგდეს იმ ხალხს, რომელთანაც საერთოს ვერასა ხედავს?.. ასე კი საშინელი შევიწროებაა ორივე მხრივ, — ფიქრობდა ციცო.

— ღმერთო ჩემო, რა მოვიგონო? — კვნესოდა, გმინავდა და დღითი დღე თანდათან ხდებოდა, სუსტდებოდა.

— რისთვის არ დავიბადე გლეხად? მუშად? მეც ეხლა იმათში ჩარეული აღარ ვიგრძნობდი ობლობა-მარტოობასა! — ფიქრობდა ციცო.

კატოც თითქო ჩამოშორდა; ციცოსთან საერთო ცოტაღა ჰქონდა. მუდამ გაღიმული, მუდამ მხიარული ღიღინით მიდიმოდიოდა; ხშირ-ხშირად სარკმელშიაც იხედებოდა, თავს იდამაზებდა, რაღაც ძალა იწვევდა გარეთ. ციცო ცხადად ატყობდა, რომ

ბედნიერი იყო, თუმცა ხშირად, როგორც თვითონაც უთქვამს, ხმელ ლუკმაზე დღე დაუღამებია, კერაზე ცეცხლი არ გაუჩენია, მისი შეთქვირებული, გაყინჭლიღებული სხეული არაფრად ეპუებოდა არც სიცივეს, არც შიმშილს; თავისუფალი, ბედნიერი იყო.

„მე ამ მშრომელ ხალხს სახლში ნალველი და დარდი შევუტანე, ეს ხომ მიუტევებელი თავმოყვარეობაა!" — ფიქრობდა ყმაწვილი ქალი ამჟამად, როდესაც იწვა გულალმა და უყურებდა მოლაპარაკეთ.

— ის ხომ ჩვენებურ ბიჭს არ იკადრებს; უეჭველად მომინდომებს ქალაქელ გამოკოხტავებულ ახალგაზრდას! — არა ჩუმდებოდა თებრო.

— ო შენი მიხა ნუ მოგიკვდება, სწორეთა სთქვი, განა საძრახისია, რომ ჩემმა კატომ და ან იმისმა დედამ უკეთესი ბედი ინატროს? მე რა სიკეთე ვნახე ამ ოხერ სოფელში, რომ ეგეც აქ არ ჩავაბა, კევრზე დგომით წელი არ მოვწყვიტო? — მღელვარებდა ანანო.

— სწორედ მართალი ხარ... — კვერი დაუკრა მობაასემ.

— ჰოდა აგრე, ჩემო თებრო, თუ კიდევ რამე სთქვას, შენც ასე უთხარი ჩემ მაგივრად: გასკდი ჯავრისგან-თქო, ჩემი კატოს მთხოვნელები კიდევაც მომდიან-თქო... ასე უთხარი, შენ გენაცვალე!

— რატომაც არ ვეტყვი... ვითომ რაში დავერიდები?..

— ჰოდა, ეგრე, გაუხეთქე გული, — დაუმატა ხვნეშით ანანომ, მაღზე ამოიოხრა და თან გულის ბოღმები ამოაღევნა.

## II

ღამის მნათობი გამოცურებულიყო გაკრიალებულ ლაჟვარდზე, დედამიწაზე ვერცხლებრივ სხივებს გზავნიდა, თვითონ მორცხვად იხედებოდა მდინარის სარკეში და კეკლუცობდა. ზოგან წამოსული ჩრდილები შავ ზოლებად სჭრიდნენ გაკაშკაშებულ ადგილებს და რაღაც იდუმალებით ავსებდნენ. წისქვილი ისევ გრიალებდა, ბორბლები ისევ ბრუნავდნენ. ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე გამოჩნდა რაღაც მოძრავი ჩრდილი. ჩრდილმა გა-

უხვია მდინარისკენ, გაჩერდა მორევის ახლო. გამოცურდა ცნობისმოყვარე მთვარე და დაადგა ზემოდან. ჩრდილი შეინძრა, თავიდან გადიგდო შავი შალი; გამოკრთნენ ფართო თვალები, რომელნიც დაკვირვებით იხედებოდნენ. მეტად მომხიბვლელი მოსჩანდა ახალგაზრდა ქალი; მან რამდენჯერმე მოისვა თვალებზე ხელი და კვლავ მიაჩერდა რაღაც განუსაზღვრელი ტანჯვით ბორბლებს.

— გრრრ... შრრ.. — გაისმოდა ყოველმხრივ.

— წკრრრრ... — ისმოდა ფეხთ ახლო. ქალმა დაიხედა; წყალი მეტად გამჭვირვალე იყო; ნაპირებზე მოსჩანდა წვრილი კენჭები, რომლებზედაც მისრიალებდნენ პატარა ტალღები, თან მთვარის შუქზე ბრწყინავდნენ.

— მომყევით! — თითქო მოსძახოდა მოწინავე მეორეს.

— ნუ რჩები უკან! დასუსტდები! — ხმას აძლევდა მეორე მესამეს.

— ხვალ მზე დაგხედავს, ორთქლად გაქცევს და გაგაქრობს. ერთად! ერთად ჩავეშვათ მორევში!

ციცო გაშტერებული იდგა.

— ბატონიშვილო! — მოისმა ამ დროს ფრთხილი ძახილი, რომელშიაც იხატებოდა რაღაც ვედრება.

— ბატონიშვილო! — ძახილი განმეორდა. ციცოს ტანში გააზრიალა, მოჩვენებად დასახა. მოიხედა და ნახა, რომ მის წინ იდგა თავდახრილი, გულხელდაკრეფილი სვიმონა.

— სვიმონა, შენა?.. რა საქმე გაქვს?.. — ჰკითხა ციცომ და შალი წამოიფარა თავზე, თითქო ღამის სუსხმა გამსჭვალაო.

— ბატონიშვილო, შემეწიე! შენთან სახვეწარი, სავედრებელი მაქვს და მეც, რაც კი შემიძლიან, თავს არ დავზოგავ შენთვის, ოღონდ კი დამეხმარე!

ციცოს იამა სვიმონას ასეთი კილო და გაიღიმა. „როგორ? ნუთუ ციცოს შეუძლიან კიდევ ვისმეს შემწეობა აღმოუჩინოს? ნუთუ ის ვიზედმე მაღლა სდგას გარემოებით და არის ვინმე, რომელიც საჭიროებს ამისგან შველას?.." ციცო გამობრუნდა, უკან სვიმონა მოჰყვებოდა მორჩილებით. ქალი შეჩერდა და მოუბრუნდა.

— სახლში წამო, სვიმონა, იქ მითხარი, — სთქვა ქალმა.

— არა, შენი ჭირიმე, იქ ვერ გიახლები! ნება მიბოძე, აქვე

სადმე მოგასხენო. დიდი ხანია თვალს გადევნებ და ძლივს ერთ ჩავიგდე ხელში. წისქვილიდან დაგინახე თუ არა, გამოვწიე შენკენ. არ მინდა ეს საიდუმლო შენ გარდა ვინმე სხვამ იცოდეს, — ჩაურთო სვიმონამ და თვალები დედამიწას დააჩერა.

ციცოს ცნობისმოყვარეობა გაუორკეცდა, მიიხედ-მოიხედა, წისქვილის კარებთან გრძელი ხის სკამი იდგა.

— მაშ აქ მოდი, — უთხრა მან და გასწია იქით. ციცო დაეშვა სკამზე, სვიმონა კი ცოტა მოშორებით გაჩერდა. ციცო ღონემიხდილი სისუსტესა გრძნობდა, მშვენიერ ღამეს რაღაც ბურანში შეჰყავდა.

— ბატონიშვილო!.. — გაისმა სუსტი ხმა სვიმონასი. ციცო შეკრთა, ფიქრებიდან გამოვიდა და კვალად მოხედა სვიმონას.

— რათ აგვიანებ, სვიმონა? რატომ არ იტყვი, რაც სათქმელი გაქვს?..

— ზიარების მადლმა, მეძნელება, ბატონიშვილო, შენთან დაპარაკი, მაგრამ ველარ შევძელ. მეშინიან, სისხლში არ შევიდე, ცოდო არ დავატრიალო, დამეხმარე!..

ციცო მიაშტერდა სვიმონას, რომელიც მთვარის შუქზე გაფითრებული მოჩანდა, თვალები უბრწყინავდა რაღაც ბოროტის ცეცხლით.

— ჩემი თავი ხელთ არა მაქვს, ფანდურაანთ მიხაკას გავაქრობ, თუ ის... ისევ ისე შეხედავს...

— ვის? — იკითხა გაოცებით ციცომ.

— თუ ის კატოს მუშტრის თვალით დაუწყებს ყურებას, — ძლივს წარმოსთქვა სვიმონამ, რომელსაც სახე ასწითლებოდა და სიბრაზისგან ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

— ორი წელიწადია, ბატონიშვილო, რაც ამ წისქვილში დავდექი მარტო იმიტომ, რომ ახლო ვიყო და იმას ვუყურო, ის წუწკი კი ხელს მიშლის, წინ მეღობება... გავაქრობ!.. მოვკლავ!.. — დაუმატა განწირულებით სვიმონამ.

ციცომ ეხლა კი გაიგო, საქმე რაშიაც იყო, და არ იამა. სვიმონას უყვარდა მისი მეგობარი კატო, რომელსაც სხვა თავს ევლებოდა: შუამდგომლობას სთხოვდა მაშინ, როდესაც თვითონ ციცო ხედავდა მათს ერთმანეთის შეუფერებლობას.

— მერე თვითონ კატო კი გიყურებს, სვიმონა? — ჰკითხა ციცომ.

— ჰმ! ის რომ მიყურებდეს, რაღა მიშავს? მაშინ ვიღას რად ჩავაგდებ? აკი იმიტომ გევედრები, რომ დამეხმარო, ჩემზე შემოახედო.

ციცომ ხმა არ გაიღო, გაჩუმებული დაკვირვებით შეჰყურებდა სვიმონას, რომელიც ცდილობდა დამშვიდებულიყო.

— შე კაი კაცო, და რაღა კატოზე გააჩერე თვალები? სხვა ველარავინ ნახე?..

— გულმა ის ამირჩია.

— გონებამ რაღა გითხრა?.. რაში გამოგადგება ნებივრობაში აღზრდილი, სუსტი, თავისნება ქალი? შენ უნდა აგერჩია ღონიერი, მშრომელი, რომ ფეხზე დაეყენებინე.

— დალოცვილო, შენ ეხლავე იმედს მიკარგავ და მერე რაღა იქნება? — დაღონებით წარმოსთქვა სვიმონამ. — ოღონდა კი წამომყვეს და მე იმისი გაკეთებული არა მინდა რა, ტახტზე დავსვამ, ისე ვემსახურები, — განაგრძო მან.

ციცოს დამცინავმა ღიმილმა შეუთამაშა ტუჩებზე.

— მე კი ამას გეტყვი, რომ ძალიან გაგიჭირდებათ და ახლა შენ იცი. თვითონ კატომაც რომ მოინდომოს, ანანო არ იზამს, აქაურობა თვითონაც შესძაგებია.

— ანანოს ვიღა ჰკითხავს? შენ კატო დააჯერე და ანანო ვერც კი გაიგებს, ისე წავიყვან.

— კიდეც იტაცებ? ეგ როგორ შეიძლება? — შესძახა უკმაყოფილოდ ციცომ. — ეგ აზრები არ მომწონს, სვიმონა! შენ და კატო არა ხართ ერთმანეთის შესაფერები, მაგრამ რაკი დახმარებასა მთხოვ, მე ჩემის მხივ მოველაპარაკები კატოს და შენც შენს გონებას ჩაუფიქრდი, გულს ყურს ნუ უგდებ!.. გამიგონია, ბევრჯერ თურმე ტყუვდება გულის მიმყოლი კაცი, — დაურთო ციცომ. მის ხმაში ბრძანებაც იხატებოდა.

— მაინცა ჰკითხე და ურჩიე, შენი ჭირიმე, ბატონიშვილო! — არ ეშვებოდა სვიმონა და თან უკან მოსდევდა ციცოს, რომელიც წამოვიდა აჩქარებულის ნაბიჯით სახლისკენ.

— კარგი.

— პასუხს საროდიოთ მიბრძანებ?

— ამ ცოტა ხანში, — მოსძახა ქალმა და ეზოში შევიდა.

დღეები მიდიოდა. ციცო ფიქრობდა, რანაირად ჩამოეგდო კატოსთვის ლაპარაკი, მაგრამ დროს და შემთხვევას ვერ პოულობდა. გონებიდან არ შორდებოდა სვიმონას ტანჯული სახე, მავედრებელი თვალები. ციცოს გულით უნდოდა ეშველა, მაგრამ მეორე მხრივ მტკიცედ სჯეროდა, რომ ისინი ერთმანეთის შეუსაბამონი იყვნენ და კატო არ ემეტებოდა სვიმონასთვის. ამ ფიქრებში გართულ ციცოს დღითი დღე ჩამოშორდა საკუთარი ნაღველი და სახლში მყოფებმაც შეატყეს, რომ აღარ იყო წინანდებურად დაკარგული, უფრო დამშვიდებით იყურებოდა. მარტო დროდადრო მოაგონდებოდა ხოლმე ის საშინელი ღამე, როდესაც სიცოცხლის მოსპობას ლამობდა და ტანში გააზრიალებდა, მაგრამ ამ გარემოებას თან მოჰყვებოდა ხოლმე სვიმონას ხვეწნამუდარა, მეორე პირველს უკან აგდებდა თავისის საშინელებით.

ციცომ ხელი მიჰყო საქმეს; ჰკერავდა, ოთახს ალაგებდა, ასუფთავებდა; ხანდისხან ანანოს და თითიკასაც ეხმარებოდა საჭმლის მზადებაში.

— ხელი დაგეწვის, ქალო! შენ რომ არ გადმოდგა ეს ქვაბი, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ? — მიატანდა მზრუნველობით ანანო.

— ხალისობს, თავს ირთობს! — იძახოდნენ დედაკაცები. ციცოს ძალიან უყვარდა, როდესაც კოჭრით ცეცხლზე მიდგმული დობილო ცხარე დუღილისგან ბურთებს მაღლა ისროდა.

— მარცვალი რომ ჩაითვალოს, ხახვი უნდა დაჭრა, არა, თითიკა? — დაეკითხებოდა ერთგულ მოსამსახურეს, რომელიც გავიდოდა სხვა საქმისთვის.

— უნდა, მაშ! — საჩქაროდ მიუგებდა მოხუცებული და თანაც გულში სიამოვნებდა, როდესაც ხედავდა, ციცო საჩვენოში გამობრუნებულიყო. აღარც კატო ფრთხებოდა წინანდებურად და მეგობარს ელაპარაკებოდა. ციცომ ძლივს მოსერხებული დრო ჩაიგდო ხელში და გადასწყვიტა მით ესარგებლა. ის იჯდა ცეცხლა პირას, ხონჩაზე დაყრილ სახალიფაფე მარცვალს არჩევდა. კატოც შეჭამანდისთვის ნიგოზსა ნაყავდა. კარგა ხანს იყვნენ ორივენი ჩუმად.

— ამ ორი დღის წინათ სად იყავი, კატო? — ჰკითხა ბოლოს ციცომ, აიღო თავი და მიაჩერდა,

კატოს იამა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო მას აქეთ, რაც ციცო მწუხარებას შეეპყრო, რომ მეგობარი შესულიყო მისი ცხოვრების ვითარებაში, დღემდის კი თითქო თვალსაც არიდებდა.

— როდის? — იკითხა ამანაც სიფრთხილით.

— გუშინწინ, ახალი კაბა რომ ჩაიცვი?..

— ჰო, პეპიკაანთ თებროს ღხინი ჰქონდა და იქ წაველი.

— რაღა თქმა უნდა, ბევრს იცეკვავდით?

— უმაგისოდ ღხინიც არ იქნება. ყველანი, ვინც კი მოსულიყო ახალგაზრდა ბიჭებში, ყველამ სათითაოდ გამიყვანა.

— მაინც ვინ იყვნენ? სვიმონა არ იყო?

— რომელი სვიმონა?

— აი, ეს ჩვენი მეწისქვილე.

— როგორ არა. ისე გამოიბღვირებოდა, თითქო ბუღა კამეჩიაო.

— ხომ არა სწყინდა, სხვებს რო მიჰყვებოდი სათამაშოდ?

— მერე იმას რა აკვნესებს?

— აღბათ უყვარხარ და ეჭვიანობს.

— თვალებიც კი გამოსკდომია იმასაც და იმის სიყვარულსაც.

— რას ერჩი, ბეჩა? ვითომ ფანდურაანთ მიხა რითი სჯობიან? — არ ეშვებოდა ციცო, რომელსაც თვალები ისევ ხონჩისთვის დაეკერებინა. კატო გაოცებული უყურებდა ციცოს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა მისი ასეთი ჩაციება.

— შენ ხომ სვიმონაზე მაგას ამბობ, მე კი ყველაზე ის უფრო მომწონს. მშრომელი და თავდაჭერილი ახალგაზრდაა, — დაიწყო ისევ ღიმილით ციცომ. კატომ ჩაიცინა და ხმა არ გაიღო.

— მაშ მიხა ტრაბახა და თავგასული არ არის? — ჰკითხა კარგა ფიქრის შემდეგ ციცომ.

— არა, — მოისმა მოკლე პასუხი. ციცომ შეხედა დაკვირვებით კატოს, რომელსაც ხელში შერჩენოდა როდინის ქვა და გაშტერებული ცეცხლს უყურებდა.

— იმ ორში, როგორც გეტყობა, მიხოს უფრო ირჩევ?

ამ კითხვაზე კატო შეინძრა, თვალები რამდენჯერმე დაახამხამა და მოიხედა ამხანაგისკენ, რომელიც კვლავ იღიმებოდა.

— არც ერთს, — უპასუხა კატომ.

— კატო, რისთვის მიმალავ? ხომ ყოველისფერი ვიცი და განა ჩემთან აგრე გულდახურული უნდა იყვე?

კატო შეკრთა ამ საყვედურზე, ვედრებით მიაჩერდა მეგობარს.

— მიხო გიყვარს, ძალიან კარგად ვიცი, — განაგრძობდა ციცო.

— მართალია... — ძლივს დაიჩურჩულა ქალმა.

— მაშ რატომ არ მიჰყვები?..

— დედაჩემს არ უნდა, რომ ამ სოფელში გავთხოვდე.

— სვიმონასაც რო თურმე უყვარხარ?..

— რა ვუყოთ მერე?.. იმას ვუყვარვარ, მე კი არ მომწონს, — სთქვა გულდაწყვეტით კატომ. სვიმონაზე დაპარაკის გაგრძობა მეტი იქნებოდა და ციცომაც არჩია გაჩუმებულიყო.

სადილობამ მოაწია. ანანომ და თითიკამ ტახტზე სუფრა გაშალეს. ციცომ გემრიელად შეჭამა ერთი მათლაფა ლობიო, რომელიც თვითონ გაეკეთებინა.

ნასადილევს ციცომ მოინდომა ეკლესიისკენ წასვლა და თავისი სურვილი შეატყობინა კატოს. ისიც მაშინვე დაეთანხმა. ანანოს და თითიკას კი არ იამათ, როდესაც დაინახეს, თუ როგორ ღელავდა და ისევ ნაღვლით იმსჭვალებოდა ციცო.

ციცო მიდიოდა და მთელი სხეულით თრთოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ეკლესიის ეზოს, თითქო სული ეხუთებოდა. შორიდან დაინახა ორსართულიან სახლის აივანზე ვიღაც უცხო პირები და ხელი ჩასჭიდა კატოს, რომ არ წაქცეულიყო.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა ჩემთვის ამ სახლის დანახვა! — წარმოსთქვა მან, კვალად მიაჩერდა სახლს, თითქო უნდოდა შესჩვეოდა, რომ შემდეგში მის დანახვაზე აღარ ეგრძნო მტანჯველი წამება. სახლი თვალს მიეფარა, გამოჩნდა ეკლესიის ეზო. ციცო გაფითრებული წავიდა საფლავებისკენ, რომელთ შორის ამაღლებული პაწაწა გორა შორიდანვე მოსჩანდა. ქალმა მოუმატა ნაბიჯს, თითქმის მირბოდა; კატოც ძლივს მიჰყვებოდა. ციცო დაემხო ერთ საფლავზე და დარჩა ასე რამდენიმე წუთს.

— დიდედა! — შესძახა მან, მაგრამ ცრემლებმა აღარა ათქმევინეს რა და დაიწყო ქვითინი, ამ ქვითინში იხატებოდა აღერსი, სინანული, ვედრება, ჩივილი. კატოც მეგობრის მწუხა-

რებაზე იცრემლებოდა. ციცომ ნელ-ნელა გონება მოიკრიბა, წამოდგა ზეზე, ჩამოჯდა იქვე მახლობლად დადგმულ ხის სკამზე და ტირილისგან დაწითლებულ თვალებს იწმენდდა ხელსახოცით, გულში კი ისევ ქვითინებდა, ჯერ ვერ დამშვიდებულიყო. კარგა ხნის შემდეგ მან დაიწყო ნაღვლიანად გარშემო ყურება.

— ოხ, რა უსაგნო იყო ცხოვრება!.. — ამოიკვნესა ციცომ.

— ნეტა გამაგებინა, როდემდის უნდა იყვე აგრე? — უსაყვედურა კატომ, რომელიც გვერდით მოსჯდომოდა.

— დღეს განგებ მოვედი, კატო, რომ... რომ... როგორმე შევეჩვიო ჩემ გარემოებას, — სლოკინით ძლივს დააბოლოვა სიტყვა ციცომ.

მართლაც, ამის შემდეგ ესენი ყოველ საღამოს მოდიოდნენ სასაფლაოზე და ციცოც დღითი დღე მშვიდდებოდა. მეტადრე მაშინ სრულიად ივიწყებდა თავის დარდს, როცა გდეხები შემოეხვეოდნენ, შესჩიოდნენ თავიანთ გაჭირვებას და კატოც თავის გულის საიდუმლოს წინ უშლიდა.

მთელს სოფელს ეცოდებოდა ეს ობლად დატოვებული ქალი, მაგრამ ამასთანავე უკვირდათ, რომ არჩია ანანოსთან ცხოვრება მაშინ, როდესაც როსტომმა და ნატალიამ არა ერთხელ სთხოვეს თავიანთთან გადასვლა.

— დალოცვილს ეს ვერაფერი ჭკუა მოუვიდა, რომ ბატონიანთ არ გაჰყვა, იქ რასაც ერთ დღეს ნახავდა, მაგ წუპაკა დედაკაცთან მთელ წელიწადს ვერ ეღირსება! — უმატებდნენ გდეხები, რომელთაც შურდათ ანანოსთვის მისი ასე გატოლება.

— არის, თორემ, შენი ჭირიმე, იმის ლუკმაზეა! პირიქით ეგ აჭმევს და ასმევს მთელ სახლსა. შენმა მზემ, კაი მეხი დაატყდა იმ ჯადოიანს! — კვერს უკრავდნენ დედაკაცები.

არც თვითონ როსტომი იყო კმაყოფილი ციცოსი.

— დიდი თავგასვლაა ქალისგან! მამისული გაეშვაო, პაპი სულსა ფიცულობდაო, აბა ეგ არის, აი! ვეჟო, ჩვენი ოჯახი მუდამ მაგისი პატივისმცემელი ყოფილა, დღეს კიდევ გვინდა ხელი გავუმართოთ, და ეგ კიდევაც გვიდიდგულდება და ტუჩს გვიბზუებს? — გაიძახოდა გულმოსული როსტომი.

— მერე რა ვუყოთ? იქნება გვეხათრება? ჩვენგან რომ დავალებულია, იმიტომაც არ უნდა შეგვაწუხოს, — უპასუხებდა ნატალია. ის მაინც ნახავდა ხოლმე ციცოს და სთხოვდა, გადა-

სუღიყო მათთან, მაგრამ ის ღიღის მაღღობით უარს ეუბნებო-ღა.

— რისთვის? იმათ სახღში რა უნღა მერქვას? არა, აქ, ანა-ნოსთან უფრო თავისუფაღი ვარ, ჩემი თავის ბატონი, — ფიქ-რობღა ახაღგაზრღა ქაღი.

ციცომ ძღივს აღირსა პასუხი სვიმონას, მაგრამ სვიმონას რომ არ გაეგო, ერჩია.

— ღამიჯერე, სვიმონა, თავი ღაანებე კატოს, ის შენზე სრუღებითაც არა ფიქრობს, ღა, ხომ იცი, ნაძაღაღევაღ არა იქ-ნება რა. მიღექ-მოღექ, შრომით თავი გაირთე, გუღი გაღაა-ყოღე, შენი გრძნობაც თან გაჰყვება, — უთხრა მან, როღესაც ღაინახა სასოწარკვეთიღი სვიმონა. სვიმონას მას აქეთ აღარა გაუხსენებია რა, წისქვიღსაც თავი ღაანება ღა საღღაც გაღა-ვარღა.

კატო ღა მიხა კი ღღითი ღღე უახღოვღებოღნენ ერთმა-ნეთს; თითქო არც ანანო ეწინააღმღეგებოღა ამათ ღაახღოვე-ბას.

ციცო თანღათან ფხიზღღებოღა, მშვიღღებოღა, ღიმიღით უყურებღა კატოს, რომეღიც გუღახღით უამბობღა ყვეღაფერს.

— წარსუღ კვირას აი რა მაჩუქა მისამ, — უთხრა ერთხეღ კატომ ღა თანაც ღარცხვენიღის სახით გამოუწოღა ჭრეღი ხეღ-სახოცი.

— თქვენ აღარა ხუმრობთ! როგორც გეტყობათ, შემოღ-გომაზე ქორწიღსაც გააჩაღებთ! — კატომ თავი ღახარა ღა მხრე-ბი აიწია. ციცოს არა შურღა მეგობრის ბეღნიერება, არამეღ მზაღ იყო ხეღი მიეშვეღებინა, ოღონღ ყოვეღმხრივ გაუმჯობე-სებუღიყო მისი ცხოვრება. მიხას კარგი ოჯახი ჰქონღა: სახ-ნავი, ნაფუზრები, ვენახი ღა ოღონღაც რო ანანო. არ ღაიწუ-ნებღა.

— ე ჩემ კატოს გავათხოვებ ღა მერე შენ ღაგენაცვღები, — ეუბნებოღა ხოღმე ანანო ციცოს.

ციცომ ღაიწყო კარზე სიარუღიც; თავი ღაანება ჩაკეტიღ ცხოვრებას; ხშირაღ მახღობეღ მინღვრებზეღაც გაისეირნებღა მეგობართან ერთაღ. ღაუბრუნღა ისევ წიგნებსაც ღა ცღიღობღა გართუღიყო.

## IV

ერთხელ მოქანცულ-დაღალული ციცო მიადგა ჭლეულის კარებს; ამ დროს მოესმა, ვიღასიც ფეხის ხმა. კატო და ანანო სტუმრად წასულიყვნენ, სახლში დაეტოვებინათ თითიკა. ციცომ მოიხედა, მის წინ იდგა როსტომიანთ ბიჭი.

— საღამო მშვიდობისათ! — უთხრა ბესომ და მდაბლად თავი დაუკრა. ციცომ გაუღიმა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— თქვენთან წერილი გახლავთ; ბატონიშვილ ელენეს გამოუგზავნია ქალბატონისთვის და მოგართვათ. — ელენეს ხსენებაზე ციცოს სახე გაუბრწყინდა და მთრთოლვარე ხელი წაიღო გამოსართმევად. ბესომ გადასცა კარგა სქელი კონვერტი. ქალი მსწრაფლ შემობრუნდა ოთახში, რომ ჩქარა წაეკითხა ძვირფას არსების ნაწერი.

„ძვირფასო ციცო! — სწერდა ელენე, — ალბათ მემდურები და გიკვირს, რომ აქამდის ხმა არ მოგაწვდინე და არ გიკითხე. ნუ მიაწერ დავიწყება-დაუდევრობას! უეჭველია, ფიქრობ: ბედნიერ ადამიანს აღარავინ არ ახსოვსო, მაგრამ, მერწმუნე, ტყუვდები. მე შენ მიყვარდი და ეხლაც გულწრფელად მიყვარხარ. წამოვედი თუ არა მანდედან, გავწიეთ საზღვარგარეთ. დედაჩემი რაკი მშვიდობის ამბავს მწერდა, მეც პირველ ხანებში, ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით გართული, ვზარობდი წერილის მოწერას, დროს ვერ ვპოულობდი. ამასობაში დამჩემდა ავადმყოფობა და ექიმები მირჩევდნენ, რაც შეიძლებოდა დამშვიდებით ვყოფილიყავი, ჩემს გულს საწყენი არა მოხვედროდა რა და ამის გამო ყველანი მიმალავდნენ მანდაურ ამბებს, დრო კი მიდიოდა. შემდეგ ბევრჯერ მოვინდომე წერილის მოწერა, მაგრამ მარწმუნებდნენ, რომ შენ უკვე მამიდას წაეყვანე და შენი ბინა არც კი იცოდნენ. ასე და ამგვარად ჩამოვრჩი, ჩემო ძვირფასო გოგონავ! ღვთით მორჩენაში შევედი, მერე კი მითხრეს შენი ყოველივე უბედურება. ბევრი ვიტირე, ბევრი ვიწუხე, რომ მე იმ დროს შენს გვერდით არ ვიყავი, მაგრამ რას გავხდებოდი? ეხლა კი წერილსა გწერ, ჩემო კარგო! ჩვენ ამ ზაფხულს N-ში ვართ წყლებზე. თუმცა მინდოდა წრეულს მოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე და ზამთარში კი არ ღირს მანდ ყოფნა, შემდეგ ზაფხულ-

ში, თუ კარგად ვიქენი, უეჭველად მოვალ. მანამ, ჯერ თუმცა დიდი ხანია, მაინც იმედია, მშვიდობით შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ უპატრონობას აღარ გაგრძნობინებ, ერთად ვიფიქროთ, მოვილაპარაკოთ და შენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, როგორც სჯობდეს.ა ოჯახური მოვალეობა მეტად რთული ყოფილა ქალისთვის და წუთი დრო აღარ არის, რომ რაიმე გარეშე საგანზე ვიფიქრო. უნდა გითხრა, რომ დიდი ბედნიერი ვარ ქმარშვილში და ვისურვებ შენც მხიარულად შეგცვლოდეს ცხოვრება. წარმოდგენილი მყევხარ რარიგად დაქალდი, დადარბაისლდი. ეს ეტყობა, შენს მოქმედებას, რომელსაც დაწვრილებითა მწერს დედა. ჩემი მშობლები გულნაკლულად არიან, რომ არ მიიღე მათი წინადადება, მაგრამ მე კი მივხვდი რისთვისაც და კიდევაც მოვწერე მიზეზი, რომელმაც დაამშვიდა როგორც დედაჩემი, ისე მამა. ასე, ჩემო ციცო, გაკოცებ ლამაზ თვალებში, წერილი მომწერე მალე! შენი საუკუნოდ ელენე ძადვანაშვილისა".

ციცო კითხულობდა ამ წერილს, თან ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ძვირფასი ნაწერი აგონებდა იმ ნეტარ დროს, როდესაც მხიარულად მიბაკუნებდა ელენესკენ.

— მაშ, ქენე მოვა!.. — იმედმა გაამხნევა ციცო, გადასწყვიტა ისევ ხშირად ევლო როსტომისას. როგორც იქნებოდა ზამთარს გაატარებდა, ზაფხულში კი ელენეს დახმარებით სულ სხვა ცხოვრება ელოდა.

ელენეს წერილმა დიდი ცვლილება მოახდინა ციცოზე; ამან გაუღიმა ბუნებას; სისხლმა იწყო ყმაწვილური სიჩქარით მოძრაობა, ლოყები შეუწითლდნენ, თვალები გაუცოცხლდნენ, ქალი წამოდგა ზეზე, დაღალვას აღარა გრძნობდა და დააპირა კარზე გამოსვლა, რომ ამ დროს კარებში შეხვდა პავლიაანთ თადადა, უკან მოსდევდა ანანო, რომელსაც სახეზე რაღაც ცნობისმოყვარეობა ალძროდა.

— აქ მოდი, დედავ და თვალო, მე შენთან ტყუილად არა ვარ დანათლიავებული. აქ მო, რაღაც გითხრა, — ეუბნებოდა თადადა.

ციცომ პირველში დააპირა მორიდებოდა, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა მოესმინა ეს საყურადღებო ბაასი, დაბრუნდა! აიღო წიგნი და ჩამოჯდა სკამზე. თადადა და ანანოც შემოვიდნენ. თადადამ, რო დაინახა ციცო, მდაბლად თავი დაუკრა, შემდეგ

გამობრუნდა, თვალით ანიშნა ანანოს ისევ გარეთ გასულიყვნენ, მაგრამ ანანომ უარი უთხრა.

— დაბრძანდი, თადადი, ამ ტახტზე და ბრძანე, რაც გინდოდეს! აქ უცხო არავინ არის. ამ ქალს თუ ხედავ, მაგასთან დასამალი არა მაქვს რა, ჩემი შვილის ტოლია.

— უი, გენაცვალე, არც მე მოვერიდები. ქალბატონ ქეთევანს, ისემც განათლებულა იმისი სული სასუფეველში, ძაან მილებული ვყავდი და იმის შვილიშვილს რო ვუყურებ, ასე მგონია ქალბატონი გამიცოცხლდა-მეთქი. უი, უი, დამიდგეს თვალები, იმის სიკვდილის დღეს რო სხვაგან შევესწარი და ცრემლი ვერ დავაყარე! — დაუმატა წუწუნით თადადამ. ციცომ მძიმედ ამოიოხრა.

— თადადი, შენთან ნურას უკაცრავად, რომ აქამდის დაგიგვიანე პურის სესხი. რამდენჯერაც ჩემი კატო გამოვგზავნე, ის არ მოუკვდეს დედასა, იმდენჯერ კარებგადარაზული დახვედრია შენი სახლი; მას აქეთ დარჩა და დარჩა, — უთხრა ანანომ, რომ დაპარაკის საგანი შეეცვალა.

— სიკვდილსაც დავიწყებიხარ, შე ქალო! ეგ კი არა, ანანო, ყური მიგდე: ეს სამი დღეა მაგდანა გადამკიდებია და საშველს არ მაძლევს. იმ დღეს უგრეხლის გდეჯაში ვეხმარებოდი ბაბედას და იქ მომეჭრა, შვილები დამაფიცა, ასე და ასე მოგივიდეს, თუ დამზარდე და არ გამეგზავნოო. წორეთ გითხრა, ვერიდები ადამიანის წყენასა. რათაო, ორი დღის სიცოცხლე მაქვს და რითვინ მოვინდურო ვინმე?

— რაიო?

— ჰო, ქა, სიტყვას გადავცდი, რაიო, ქალო, და ეგ გასაწყვეტი მაგდანა ხომ ქასქანჯელია, პირდაპირ ხმადახმად დაადგება კაცსა და ალარ დაირცხვენს. მეც ასე მიყო. წორეთ ასე ჩამაცივდა: თადადი, აგრემც სამოთხეში გასპეტაკებულა შენი სული, წადი ჩემ მაგიერ ანანოსთან და უთხარი: მე და შენ რა აქეთ-იქით ღობე-ყორეს ვედებით, ჩემო დაო-თქო, შენ ქალიშვილი შეგთქვირებია, მეც ბუღასავით ბიჭი დამიდის, მოდი ერთმანეთს შევყაროთ ღვთით და დავასახლოთ ამ ჩვენ თვალწინა-თქო, ვერც შენი ქალი წაჰყვება უკეთესს და ვერც ჩემი მიხო ნახავს მაგისთანას-თქო. წორეთ ასე უთხარი და, თუ თანხმობა გამოგიცხადოს, ამ დღეებში ნიშნობა გავაჩაღოთ-

თქო. წორეთ ასე შემოგითვალა ი მაგდანამა და ახლა შენ იცი! წლეულს იმ ოჯახაშენებულებს კაი ორმოცი კოკა გამოუვათ ი ვენახსა; ისეთია, ისეთი, რომ ვაზები თავს ველარ იმაგრებენ, მტევნები ძირსა ცვივა. ჰაი ბეჩა, ბევრ გოგოს არ აუძიგძიგდება შურით გული, ი ვენახში რომ აივლ-ჩაივლის და თვითეულ ვაზს მოიმცვრევს! — დაუმატა თავის მხრივ თალალამ და გვერდზე გაიხედა.

ანანოს არ გაოცებია თალალას მოციქულობა; ის კიდევაც ელოდა, რომ ამ ცოტა ხანში ასე მოხდებოდა.

— მაგდანა კანოლივრად ლაპარაკობს, ხედავს ი ბიჭს, რო გონება ეკარგება ჩემი კატოსთვის და იმი მეტი ვილა გააჩნია იმ თვალდამდგარისა, რომ იმი ოხტში არ მოვიდეს. მე კი ჩემ ფიქრში ჯერ არ მინდა კატო გავათხოვო, მეცოდება, ბავშვია.

— იი, შენც თავი გამომიდე!.. ებედს ნუ გაუბრუნებ, მირჩევია, ჩვიდმეტი წლის გოგო რალა ბავშვია? თორმეტის წლისას ორი თვე მიკლდა, მღვდელმა რომ ჯვარი გადამწერა. მაგდანაც იმითვინ ეხარბება, რომ მოვლილია და ყველაფერი იცის, შენ კი იძახი ბავშვიაო. აბა ჩემ ხანად მოჰყარე და მერე სულ რუზრუზით დაესხევიან ბიჭები.

ანანო ჩაფიქრდა. დიდი ხანია ამასაც ჩავარდნოდა გულში მიხა; თითქმის ნატრობდა კიდეც, ნელ-ნელა აგროვებდა სათავნოებს, რომელიც დაეფანტა სოფელში, რომ მოემზადებინა ქალი. იქნება კიდევაც შეხვეწნოდა; რაკი მაგდანამ დაასწრო, ესეც გაინაზა და ფეხი მაგრა დაადგა.

— წორე პასუხი მომე! ის ასე ამბობს, თუ კატოზე არ მოხდა, მაშინ შიოანთ პეპელაზე გადავწერ ჯვარსაო და ამ შემოდგომაზე კი ალარ დავაყენებო.

— უი აფსუს!.. თვალი მაშინ დაუდგება მაგდანას, ზოგი მაშინა ნახოს პეპელას დედის დექსაობა. ისე გამობესტამს, კატოს სიცოცხლემა, რომ, მგონი, მთელი სოფელი თავს დაასხვიოს! აფსუს!.. კატო და პეპელა სწორედ ერთნაირი სახეიროები არ არიან ოჯახისთვის? როგორ არა!

— მაშ, რა ქნას, ქალო? ქვეყანა ხომ ე შენ კატოზე არ აშენებულა, დედავ და თვალო? თუ კი არ მისცემ, მოძალე ვინ არის? ან პეპელა იქნება, ან სიკლიკიტა...

ანანოს შეეშინდა, ხელიდან არ წამივიდეს იმისთანა სასიძოო.

— თქვი რაღა რა პირი დაგიმუწია? — არ ეშვებოდა თადადა.

— იშ, რა ვიცი... ყველაფერი ბედის საქმე ყოფილა. მიხა ჩემგან დასაწუნი არ არის, მაგრამ კატოსაც უნდა ვკითხოთ, თუნდ ი ბიჭსა... იქნება, ჩვენ ჩვენი თვალი გვატყუებს და ისინი არაფერ ბანას არიან.

— იი, შენ კიდევ ბავშვი ყოფილხარ, ჩემო ანანო, და კი არ ვიცოდი. ი შენ კატოსა და მიხას გუშინ ერთმანეთისთვის ფიცი მიუციათ: მიხა დედას გამოტეხია კიდეც და ი მაგდანაც იმიტომ ითვლევინება ასე გადაწყვეტით.

ანანოს სისხლი აუვარდა თავპირში, არ მოელოდა კატოსაგან ასეთს საქციელს. სიბრაზის ნაპერწკლები გააბნია თვალებიდან...

— ეს რა მესმის, გენაცვალეთ? — შესძახა მან.

— მაშ, მაშ!.. არ გეტყოდი, მაგრამ ი ძალიან რომ გამენაზე, იმითვინ მეც აღარ მოგერიდე; გოგოსა და ბიჭს სულ ერთადა ხედავენ, თავს ნუ შეირცხვენ, სჯობს ჯვარი გადასწეროთ.

— თუკი საქმე მანდამდისაც მისულა, მე რაღას მეკითხები, ჩემო თადადო? იცეს თავში ქვა ი ჩემმა გომბიომ და თუ რამ ისე არ მოუხდეს ცხოვრებაში, როგორც უნდოდეს, თავს დააბრალოს! უთხარი მაგდანას, თანახმა ვარ შენ დამოყვრებაზე-თქო, და როცა გნებავდეს, მობრძანდი-თქო.

გადაწყდა კატოს ბედი, თადადა კმაყოფილი წავიდა. ციცომ წიგნის კითხვას თავი დაანება და გაღიმებული მიაჩერდა სივრცეს. თვალწინ დაიყენა დანიშნული კატო და უკვირდა, რომ ასე ადვილად და მალე მოხდა ყველაფერი. ამ გარემოებაში მყოფი მახლობლები ჯერ არ ენახა. თუმცა ელენეც ამის თვალწინ გათხოვდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ბავშვს ვერ შეეგნო მისი ვითარება; თვითონ ელენეც ერიდებოდა, არ უზიარებდა გულისპასუხს, რადგან მათ შორის ხნოვანებაში დიდი განსხვავება იყო; დღეს კი სულ სხვა შემთხვევა უდგებოდა თვალწინ: თავისივე ტოლი, მეგობარი კატო თხოვდებოდა და ესეც თავისუფლად დანავარდობდა მეგობრის სურვილთა და ოცნება-მისწრაფებათა სამეფოში. კატო ამჟამად მეზობლიანთსა წასულიყო; მან იცოდა, რომ დღეს ასე მოხდებოდა და განგებ თავი მოარიდა.

— კატოს მომზადება უნდა, ანანო! სარიდიოდ უპირებ ჯვარის დაწერას? — ჰკითხა ციცომ ანანოს, რომელიც ოთახში ფუსფუსებდა და იქაურობას ალაგებდა.

— რაღას მოვუცდი, გენაცვალე? ერთი იმ ორიოდ გროშს უნდა თავი მოვუყარო და წავიდე ს-ში, ეგებ სკივრი და მაფ-რაშა ვიყიდო.

— მეც ხუთი თუმნით დაგადგები, მეტი არა მაქვს ეხლა, და მერე, თუ კიდევ საიდანმე ღმერთმა მომცა, მაგას არ დაგაჯე-რებ, — ანანო არ მოელოდა ამ წყალობას.

— უი, დამიდგეს თვალები! რას მეუბნები მაგას? შენ რაღა ფული გეთხოვება!.. თვითონ შენ გასათხოვარი ხარ, და, ვინ იცის, როგორ დაგჭირდეს? განა ეს კი არა კმარა, რომ შენი ხარჯით გვინახავ ამდენ ხალხს? — ციცო თავის გარემოების გახსენებაზე დაღონდა.

— ხუთი თუმნით შორს ვერ წავალ, ჩემო ანანო, თუნდ მქონია, თუნდ არა. ჯერ კიდევ მეგულება ორიოდ გროში და მერე რასაც დრო მოიტანს, ის იქნება, — დაუმატა ნაღვლიანად ქალმა.

— ოჰი, ჩემმა სალოცავმა, წმინდა გიორგიმ გაღირსოს, შვილო, ყოველი სიკეთე და გაგაბედნიეროს! — გააპყრო დედა-კაცმა ხელები.

კატოს ნიშნობა ნახევარ სოფელსაც არ გაუგია. რაკი ნე-ფიანი აქვე იყვნენ, უცბად მოვიდნენ ანანოსთან, რომელიც, რასაკვირველია, მომზადებულიყო გემრიელი ვახშმით.

ციცომ კატო მორთო. მოხდენილი საპატარძლო მოუსვეს მიხას გვერდით. სუფრის თავში, საპატიო ადგილზე, გადიწვიეს ციცო.

კატო იღიმებოდა, ყველას აღერსით უყურებდა, მაგდანა და ანანო კი გათამამებით ხანდისხან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ღვინის სმაში. საპატარძლოს წინ სადედამთილომ დააწყო საკა-ბე, ლეჩაქი და აბრეშუმის მოსახვევი, თვითონ თავზე მოიხვია წითელი ბაღდადი, წინ წამოდგა და თავის კოწმაწით დალოცა შვილი და რძალი. მაგდანას თავში ასვლოდა ღვინო. სოფლიდან დაეძახათ აგრეთვე ორიოდ საპატიო კაცისთვის, რომელნიც გამხიარულებულიყვნენ, მაგრამ პირველში ციცოს ხათრით ვერა ბედავდნენ სიმღერას. ციცო მიხვდა და გაუწყრა ამ მოხათრე-ბაზე.

— როგორ? ასეთი ბედნიერება მოსდგომია ანანოს სახლს და განა კიდევაც არ უნდა იმღეროთ? ეგ როგორ შეიძლება? — წარმოსთქვა ციცომ.

იქ მყოფთ იამათ ახალგაზრდა ქალის ასეთი სიტყვები და წუთს გაისმა სიმღერა, მაყრული, რომელმაც ბევრი სოფელი გოგო და ბიჭი მოაგროვა ანანოს ჭილუდთან. მათ შორის მანდილოსნებიც იყვნენ და. სარკმლებიდან და ჯიჯიტანებიდან უჭვრეტდნენ დანიშნულებს.

ვახშამმა გათენებამდის გასტანა. მარტო მამლიყივილისას დაიშალნენ სტუმრები.

## V

შემოდგომის სუსხმა დაჰბერა, ბუნებას ელფერი შეუცვალა, ბალახმა ზაფრა იკრა, ხეები დალონდნენ, ზამთრის მოლოდინით სასოწარკვეთილნი ირხეოდნენ, ძირს ისროდნენ გაყვითლებულ ფოთლებს. მდინარემ მოუმატა შხუილს და ისედაც კამკამა წყალი კიდევ უფრო დაიწმინდ-გამჭვირვალდა. თევზები ფართხალებდნენ ქვებსა და ქვებს შუა, ბაყაყებს ხმა ჩაეკმინდათ, თითქო სადღაც მიმალულიყვნენ. წისქვილის ქვები მეტად გრიალებდნენ, ხმამაღლა ეძახოდნენ ხალხს, აჩქარებდნენ მოეტანათ ზამთრის საზრდო დასაფქვავად. ვისაც კი ვენახი ჰქონდა, ყველა მოსდებოდა ვაზებს და მხიარულის სიცილ-სუმრობით ავსებდნენ გოდრებს ყურძნითა.

მავლანასაც რთველი გაეჩაღებინა, მიეწვია მძახალნი. ციცო არ წასულა, გული არ მისწევდა სამხიარულოდ; შემოდგომის დაყურუსებული, ღრუბლიანი დღე სევდებს უმრავლებდა. ანანოს ჭილუდი ცივი და უფერული მოსჩანდა. ორი კვირის შემდეგ კატოც წავა თავის ოჯახში, ციცო კი დარჩება მარტოდ, კარზე სიარულიც აღარ შეეძლება, თოვლ-ნამქერი ჩაჰკეტავს ოთახში.

დგებოდა სუსხიანი ზამთარი და აგონებდა ციცოს იმ დროს, როდესაც დიდედას და პაპასთან ცხოვრობდა, თვალწინ უდგებოდა აგიზგიზებული ბუხარი და ყარამან ყათიძის რაინდული მოქმედებანი.

— ღმერთო! რაღას ველი შემდეგში? ნუთუ ყოველივე უკვე არ ჩაინთქა და არ გაჰქრა?!.. —შესძახა ციცომ კვნესით და

ცრემლით დანამული თვალები მოიწმინდა, მაგრამ ამ დროს გაახსენდა ელენეს წერილი, რომელიც მაშინვე ამოიღო ყუთიდან და დაიწყო ხარბად კითხვა; მისმა შინაარსმა კვალად დაამშვიდა, კვალად დააიმედიანა; წელში ამაყად გასწორდა, თითქო მოემზადა აწმყოსთან საბრძოლველად. ციცო ჩაუჯდა საკერავს; კატოს მზითვის მომზადებაში ჩაერია; გადასწყვიტა აღარ ჩაფიქრებოდა გარემოებას, არამედ ეკერა, ეშრომა და წიგნები ეკითხა. ფულად ორმოც თუმნამდე დარჩა. სოფელში ბევრი არა დასჭირდება რა, გაზაფხულამდის ეყოფა, მერე კი ელენე მოვა და სხვანაირად შესცვლის ცხოვრებას. შემდეგის მოსაზრებით ხშირ-ხშირად ინუგეშებდა თავს ახალგაზრდა ქალი. გადასწყვიტა გამოეწერა ჟურნალები, გაზეთები და ასე გაექარვებინა დრო.

დადგა გიორგობისთვეც. მაჭარი adუღდა ქვევრებში და ხალხმაც შეჰქმნა ჟრიამული. ზოგი წირვას ემზადებოდა, ზოგიც ქორწილს. ხშირად გაუთენებლივ გზიდან მოისმოდა მაყრული.

ანანო და მაგდანაც ფაცაფუცში იყვნენ. ანანომ ოცდაათ თუმნამდის მოუყარა ფულს თავი, ოცი თუმანი დაკუჭა სიძისთვის და დანარჩენით ქალს მზითევი გამოუწყო.

ციცოს მეტად ეხალისებოდა კატოს მორთვა და მართლაც ძალიან შვენოდა პატარძალი. თეთრი ფარჩის კაბა მეტად უხდებოდა, დაბასმული ლეჩაქი გადაჰფარებოდა ბეჭებზე და პირველად თავდახურული ძალიან ლამაზი მოსჩანდა. ციცო საყდარშიაც წაჰყვა კატოს, ჯვარის წერის დროს გვერდით ამოუდგა. მწყობრი გალობა, გაჩაღებული ეკლესია და ნეფე-პატარძლის აღტაცებული სახეები მეტად მიმზიდველად აჩენდნენ ქორწინებას ციცოს თვალში. ისიც ილიმებოდა და ოცნებით გადადიოდა განუსაზღვრელ მომავალში, რომელიც, ვინ იცის, რას უმზადებდა?

— გაკურთხოთ უფალმა! — უთხრა მოძღვარმა ახალ ჯვარდაწერილებს, ხალხი მიინძრ-მოინძრა.

— ჩამო! ჩამო! — იძახოდნენ აქეთ-იქით:

კარის ბჭეში გაპრიალდა წყვილი ხანჯალი, რომლებიც ჯვრად გახიდულიყვნენ. როგორც იყო სივიწროვეს თავი დააღწია ხალხმა და კარებთან შემოსძახეს მაყრული. დამბაჩაც დაიცალა.

ნეფე-პატარძალი დაბრუნდნენ სახლში, სადაც ელოდათ გაშ-

ლილი სუფრა; გაგრძელდა ისევ მხიარულება, სიმღერა, ცეკვა და თამაში.

პურის ჭამის შემდეგ წაიყვანეს კატო, ანანოც გაიწვიეს. ციცოს თუმცა ეხვეწნენ, მაგრამ არ წაჰყვა. აქ, ანანოს სახლში, თავს მოვალედ სთვლიდა მხიარულებაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ იქ, სხვაგან კი გარემოება ნებას არ აძლევდა. ღვთის მადლით კატო შორს არ წასულიყო და მოასწრებდა მის ნახვას.

გაიდია გიორგობისთვე, გაბატონდა ზამთარი. ბუნება თეთრ სუდარაში გაეხვია, ასტყდა კორიანტელი და მუხლამდის დადებული თოვლი მარტო ხანდისხან გაჭირვებით იტკეპნებოდა ტყავში გახვეულ მგზავრისგან.

ანანოს ჭლეულს სარკმლებამდის მისდგომოდა ნამქერისგან მიყრილი თოვლი და მაგრა მოკეტილი კარი მარტო ხანდისხან იღებოდა წელში მოხრილ თითიკასგან.

ბუხარში ცეცხლი ენთო, მას მისჯდომოდა ციცო და გაჩქარებული ჰკერავდა; თითქო ეშინოდა მარტო დარჩენისა, დამძიმებულის გულით ხანდისხან გამოიხედავდა სარკმელში და გარეთ ერთგვარ ჩამოტირებულ ბუნების მნახველი, უფრო მეტად ღონდებოდა. ოთახში ქალებს არ იდევდა, ყოველმხრივ ცდილობდა მიეზიდნა ისინი, მიზეზად მოიდებდა ბუმბულის რჩევას, ან სხვას რასმე და მიიწევდა; ქალებიც მოუსხდებოდნენ ბუხარს და მოჰყვებოდნენ აქეთურ-იქითურს.

კატოც ხშირად მოდიოდა; ის მეტად კმაყოფილი სჩანდა. ოჯახს შესტყობოდა მისი შესვლა, მაგდანა აფასებდა კატოს გემოვნებას და თვითონაც რძლის სურვილების შესაფერად იქცეოდა.

— გენაცვალეთ, ტყუილად კი არ გაიზარდა ბატონიანთ სახლში... რაც იქ უნახავს და უსწავლია, სულ თავის სახლში შეიტანა იმ დედ-მამა განათლებულმა.

— ვინ იტყოდა, რომ გოგოობაში ისეთი გაპეწენიკებული, ასეთს სარისტს გამოიჩენდა!.. — ისმოდა სოფელში კატოზე აღტაცებული ლაპარაკი; თვითონ მაგდანასაც პირში ეუბნებოდნენ.

ციცომ კატოს გარდა სხვაგანაც დაიწყო სიარული და აღტაცებაში მოიყვანა სოფელი. ყველა თვალებში შესცეცებოდა, ყველას სანატრელი სტუმარი შეიქნა. ზამთრისთვის ბევრად დაი-

დეს, კომლს თითო ურემი შეშა მოეტანა უფასოდ, და, რომელსაც ციცომ საფასური შეაძლია, იწყინეს.

— დალოცვილო, ჩვენი მამა-პაპა თქვენი ოჯახის სამსახურში დახოცილა და რა დიდი რამ მოხდება, რომ თითო ურემი შეშა ჩვენ თვითონ გითავაზოთ?

არც ციცო რჩებოდა დავალებული: ბავშვებს ასწავლიდა წერა-კითხვას, ბიჭებს უკერავდა ახალოხებს, გოგოებს კაბებს უჭრიდა და ისე იმადლიერებდა ხალხსა.

ამის მხრივ მცირე სამსახურს ისინი გარდამეტებულად იღებდნენ, უმადლიდნენ. ციცო წიგნებსაც გულმოდგინედ კითხულობდა. მათში ამოკითხული გმირები გარს ეხვეოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. მათ შენატროდა ციცო, უნდოდა თვითონაც ერთ-ერთი მათგანი გამხდარიყო, დასდგომოდა ხალხს სათავეში და გაჭირვებულთათვის ცრემლები მოეწმინდა, მაგრამ როგორ? ვაი, რომ ყოველმხრივ ფრთები შეჰკვეცოდა, პირიქით, სხვისი შესაბრალებელი გამხდარიყო, თუმცა სურვილები და მისწრაფებანი კი ბუმბერაზ მთას ზედ წვეროზე ევლებოდნენ.

## VI

გაზაფხულმა კვალად შესცინა მათ, ვინც გულით თანაუგრძნობდა. ციცოც გამოვიდა კარზე, იყნოსა ჰაერში დატრიალებული სითბო, გაფაციცებით დაუწყო ცქერა მწვანე მოლს. ტრიალებდა ცხოვრების ჩარხი, წუთს არ ჩერდებოდა და მას მიჰქონდა ავი და კარგი. ბევრმა ცრემლი შეიშრო, ბევრმა სიხარულის ფიალა შესვა, მრავალი კიდევ ეპირებოდა პეპელასავით ფრთების ფრიალს, მაგრამ ამათ აღარ ეკუთვნოდა ციცო, რომელსაც ფრთები შეტუსოდა და დაულონოებოდა, თუმცა ახალგაზრდა გულმკერდი მაინც ანგარიშმიუცემლად უძგერდა.

მშვენიერი სანახავი იყო გაზაფხულზე სოფელი. ერთის მხრივ თითქმის შემალულიყო ხშირ მუხის ტყეში, რომლის თვითეული ხე თავისებურ არსებობას თამამად იცავდა გამჭვირვალე მჩატე ჰაერში და მკაფიოდ, ცხოვლად იხატებოდა. ტყეში აქა-იქ მიდიოდა დაქნილი ბილიკები, ზოგან განიერდებოდა, აჩენდა კეკლუცებით მოქარგულ ვაკეებს; შემდეგ კი ხეები ისევ

უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და თალებად იკვროდნენ. ადგილ-ადგილ მაჯის სიმსხო წყარო მოსჩქეფდა და უმასპინძლდებოდა გულგახურებულ მუშას. მეორეს მხრივ მინდვრები იწვევდნენ მშრომელ მარჯვენას და ფიანდაზად წინ ეშლებოდნენ, რათა წლიური საზრდო არ დაეშურათ მათთვის ჯეჯილზე დაჰქროდა ცივი ნიავი; მზე ზოლებად შლიდა სხივებს; დროდადრო ცაც მოიხუშებოდა და აპკურებდა დედამიწაზე გამაცოცხლებელ ცვარებს, რომ ღვთის თვალი შიგ ჩაესახა.

ციცო გაგარეულდა, მთელ დღეებს ტყის ბილიკებზე ატარებდა; დადიოდა და ოცნებაში შესული, იღიმებოდა; უნდოდა მუდამ ბუნებასთან ყოფილიყო, თავი პატარა ცხოველებში გაერია.

— ღმერთო, მართლაცდა რა კარგია სიცოცხლე! — შესძახა ქალმა, რომელიც მაღლობიდან ძირს ბილიკზე ჩამოდიოდა, ხელში წიგნი ეჭირა, როდესაც მიუახლოვდა კლდეს, საიდანაც ცვარებად გროვდებოდა ფოთლებზე წყარო და შემდეგ ისევ წვეთ-წვეთად ძირს ჩამოდიოდა, თითქო ცრემლად იღვრებოდა, ქალი შედგა და მიაჩერდა.

— ამბობენ, აქ ერთმა ახალგაზრდამ თავი მოიკლა უიმედო სიყვარულისგანო, თავი შესწირა ერთ არსებას მაშინ, როდესაც აღსავსე იყო სიცოცხლით, გონიერებით, ღონით? ეს ხომ შეცოდებაა ბუნების წინაშე? ეს ხომ სისუსტეა ადამიანისაგან?

ქალმა კვალად თვალი მოავლო გარემოს. ბუნებაში ასე არა ხდება: ერთი საგანი მეორეს ასაზრდოებს, ღონეს აძლევს; შეერთებული, გაძლიერებული წარმოადგენს ძალას, რომელიც იმონებს და კი არ ანადგურებს.

ქალის სახეზე გამოკრთა ზიზღი წარსულის მიმართ. მწყრალად გადაატრიალა თვალები, თითქო უეცრად განიცადა ყოველივე: კერძო, არავისთვის გამოსადეგი ცხოვრება, შევიწროებული დიდედა, ულონო, უფლებებს მოკლებული, მეტად შეეცოდა, მაგრამ ეს მოგონებანი მწვავედ აღარ მოხვდნენ გულს და კვალად გონება შეაჩერა სიყვარულის საკითხზე.

ეს გრძნობა რაღაც უცხო ძალა იყო ციცოსთვის და უნდოდა აქვე, ამ წყაროსთან, გაერჩია და მიხწეოდა მის მნიშვნელობას.

— სიყვარული სიგიჟეა! სისულელეა! ვნებაა! — ბევრჯერ გაუგონია ციცოს. რაც უნდა ყოფილიყო, დანამდვილებით კი იცო-

და, რომ ეს გრძნობა ბევრ მსხვერპლს თხოულობდა და იწირავდა, ქალს თვალწინ წარმოუდგა სიყვარულისგან გატანჯული სვიმონა, ელენე, კატო, რომლის გაბრწყინვებული თვალები ფარულად ეთაყვანებოდნენ მიხას.

ციცომ მოიხსნა პეშვებიდან შალი, გაშალა იქვე ხის ქვეშ და დაჯდა. უნდოდა დაესვენა და შემდეგ წასულიყო შინისკენ. ოცნება კვალად მოეჯარა, სიომ დაუბერა, ფოთლებმა გაიშრიალეს, ტყემ გაისმაურა შორს სადღაც, თითქო ხის ტოტებმა შეჰქმნეს დაწა-დუწი... ქალმა მოიხედა და დაინახა ორი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომელთაც ცხენები ფრთხილად მოჰყავდათ ვიწრო ბილიკზე. ქალი შეკრთა, უნდოდა მორიდებოდა მათ, მაგრამ გვიანი იყო ადგილიდან დაძვრა. მან ვითომ ვერც კი დაინახა მოძავალნი, გაშალა წიგნი და ჩააჩერდა.

მგზავრები მივიდნენ წყაროსთან, გააჩერეს ცხენები, ეტყობოდათ, თვალი მოსტაცათ მარგალიტების ელვარებამ. ერთი მათგანი ჩამოხტა ცხენიდან, მივიდა წყაროსთან და პეშვი მიუშვირა, მეორემაც მიბაძა; გაჩერდა ერთ ადგილს და ხანდისხან აღმაცერად ისედებოდა შავებში მოსილი ქალისკენ, რომელსაც ლოყები შეუწითლდნენ და ტყის ფერიად მოსჩანდა. შემდეგ ხელი წაჰკრა ამხანაგს, მან მოიხედა და გაიღიმა. ამათ კარგა ხანს იტრიალეს, თითქო აქაობას ათვალიერებდნენ.

— რა ადგილია! — აღტაცებით შესძახა ერთმა და გრძელ ულვაშებზე ხელი გადაისვა.

— სამოთხეა! — მიუგო მეორემ, რომელსაც გული იჯერა წყლით, მოტრიალდა და ორივენი ისევ შესხდნენ ცხენებზე. ესენი გამოწყობილიყვნენ ევროპულად, პალტოები მხარზე გადაეკიდათ; მაღალი, მუხლებამდის გამტვერიანებული წაღები ამტკიცებდნენ, რომ შორიდან მოდიოდნენ. ციცომაც ფარულად გახედა მგზავრებს და ისევ თავი ძირს დახარა. ერთ ხანს იტორტმანეს კიდევ ახლად მოსულებმა და გასწიეს თავიანთ გზაზე. ესენი თვალს მიემალნენ, როდესაც ციცო წამოდგა, გაიბერტყა კაბა, წამოისხა შალი და დაეშვა ძირს. თან ფიქრობდა, თუ ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ ეს ახალგაზრდანი. ერთი მათგანი მეტად მიმზიდველი მოსჩანდა, მისი ფერმიტკეტკილი სახე, ცეცხლით სავსე თვალები შეუმჩნეველნი არ დარჩნენ ქალს.

ციცო კარგა ფიქრების შემდეგ ისევ გადავიდა თავის საკუ-

თარ ოცნებაზე და სოფელშიაც შევიდა, რომ მის სახეს კვალად გაოცება დაეტყო; ახალგაზრდები ცხენებიდან გადმომხტარიყვნენ და გაცხარებით რაღაცას ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ქალი მიუახლოვდა მგზავრებს. ამ დროს ერთი მათგანი დაწინაურდა და წამოვიდა.

— უკაცრავად, ქალბატონო! ცოტა მოითმინეთ! თქვენთან ერთი სათხოვარი გვაქვს, — წარმოსთქვა მან კრძალვით და გასწორდა ქალის წინ ქუდმოხდილი.

ციცო შედგა და გაოცებით შეხედა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა.

— უეჭველია, თქვენ აქ ცხოვრობთ?

— დიახ.

— შეიძლება გვიბრძანოთ, სად სდგას თავადი როსტომი?

— აი აგერა იმის სახლის სახურავი, მარჯვნივ რო იყურება! იქ მიბრძანდით! — უთხრა ქალმა და თითით ანიშნა.

— გმადლობთ.

— არაფერს, — უპასუხა ციცომ და წავიდა. ყმაწვილი კაცები დიდხანს იდგნენ და შეჰყურებდნენ მიმავალს.

— რა ქალია! — შესძახა ილარიონმა და მივიდა ამხანაგთან, რომელიც ხმას არ იღებდა. მისი სახე რაღაც თრთოლვას აეტანა და თვალებში წყალი ჩასდგომოდა, მოუსვენრად იყურებოდა იმ მხარეს, საითაც გაუხვია ქალმა.

— რაღას უყურებ, გენო? წავიდეთ რაღა! — მოისმა ამხანაგის ხმა. გენო არ იძროდა.

— რა დაგემართა, კაცო, დამუნჯდი, თუ რა არის? რა ქალების ხამი შენა ხარ, რო ანგრე შეკრთი? ეგ ერთია და სხვა ხომ ათასი ყოფილა? — გაიმეორა ილარიონმა ღიმილით და თვალი უყო ამხანაგს, რომელსაც სახე გაუბრწყინდა. ისინი გაემართნენ როსტომისკენ.

## VII

მეორე დღეს ციცომ კვლავინდელზე გვიან აიწია ლოგინიდან. ფიქრები არ ასვენებდნენ. რამდენჯერმე ესიზმრა გუშინდელი მგზავრები, რომელთა სახის მეტყველება, გარეგნობა კარგად ჩარჩა გულში.

დღეს ისინი როსტომისას არიან. თითიკამ ამბავი შემოუტანა, რომ როსტომს დიდ-კაცები ეწვივნენ სტუმრად, მასპინძელს ძალიან გახარებია მათი მოსვლა და დეკეული დაუკლავსო.

ციცომ იცოდა, რომ როსტომი აღვიდად არ გაიმეტებდა დეკეულს და ცნობისმოყვარეობა გაუორკეცდა. ძალიან მოუნდა ამჟამად როსტომისას ყოფნა, მაგრამ რაგვარად? მეტად უხერხულად ეჩვენა ამ აზრის შესრულება, მეტადრე მაშინ, როდესაც რამდენი ხანი იყო რაც იმათ ეზოში ფეხი არ შეედგა. ციცო წამოდგა ზეზე და ზარმაცად დაიწყო ტანისამოსის ჩაცმა, უგულოდ უყურებდა გარშემო ყველაფერს და თითქო კიდევაც ეზარებოდა ცხოვრება, მაგრამ უეცრად სახე გაუბრწყინდა, თვალებმა მაცდურად გაიელვეს; ახალგაზრდა ქალმა შიშველი ფეხი დადგა დედამიწაზე,. მიუახლოვდა სარკეს და ჩაიხედა. გაშლილი თმა ხუჭუჭებად ჩამოსწეწოდა. ციცომ კვალად გაუღიმა სარკეში თავის თავს, ამაყად გასწორდა, უკან გადააგდო თავი და სარკეზე თვალები გააჩერა; პატარა სარკმლიდან შემომდგარი მზის შუქი შარავანდედად თავზე დასდგომოდა. ქალმა მკლავები გაიწვდინა და იწყო ნაზად ზმორება; მის თვალებს მაინც არ აკლდებოდა ელვარება, თავს ღონივრადა გრძნობდა, მარტო ამ წუთებში შეიგნო, რომ ისიც არსებობდა ქვეყნად.

— კნიაჟნა შინა ბრძანდება? — შემოესმა ამ დროს გარედან ნაცნობი ხმა. ამ ხმაზე ციცო შეკრთა და სახეში ალმა აჰკრა.

ოთახში შემოვიდა ბარათით ხელში თითიკა. ციცომ გამოართვა და საჩქაროდ ჩაიკითხა:

„ციცო, დღეს უეჭველად მოდი მთელის დღით ჩვენთან. სტუმრები მყავანან, მარტო ვერას გავხდი და იმედი მაქვს, ხელს მომაშველებ საქმეში. შენმა სიცოცხლემ, ძალიან მაწყენინებ, თუ უარს მეტყვი. გელი, შენი ძალუა ნატალია". ციცომ თვალები მიაშტერა სივრცეს.

— პიჭი პასუხს ელის, — მოაგონა ამ დროს თითიკამ.

— გიახლებით-თქო, — ოდნავად ჩაილაპარაკა ციცომ.

ქალის არსებაში თითქო რაღაც ბრძოლა ატეხილიყო. ერთის მხრივ ეძნელებოდა სტუმრებში ჩარევა, მეორეს მხრივ ძალიან უნდოდა გაეცნო ახლად მოსულები.

ციცომ ამოიოხრა; ტუჩებზე შეუთამაშა ღიმილმა, რომელიც

არა ჰყავდა წინანდელ კმაყოფილ, ამაყ ღიმილს, არამედ ხატავდა უფრო დაცინვას, სიმკრთალეს. ციცო იტანჯებოდა სხვადასხვა ფიქრებით, ვიდრე როსტომისას წასვლის დრო არ მოვიდა. ქალმა გასწია. კვალად თვალწინ გაეშალა მშვენიერი ეზო, მჩქეფარე რუ. ისევ ის წინანდელი სურათი, ისევ ის ტურფა ხატება! ცვლილება მარტო თვით ციცოშია; მისი შავებში მოსილი ჰაეროვანი ტანი და დინჯად გამომყურე სახე არა ჰგავს ამ მოლზე ოდისმე მორბენალ გოგონას, რომელიც წინ მიუხტოდა ხოლმე მოხუცებულ დიდედას. მაგრამ თითქოს როსტომის ეზოც დაყურუსებულა და აღარ ისმის ელენეს ზარიანი, წკრიალა ხმა. მარტო ხანდისხან გრგვინავს ომახიანად შემოძახილი ბრძანება როსტომისა და მოსამსახურეები შერბი-გარბიან. ციცო შორიდანვე არჩევს აივანზე გუშინდელ მგზავრებს. ნატალიამ დაინახა თუ არა მიმავალი ქალი, გამოეგება ეზოში მხიარულის სახით და მოეხვია.

— მადლობა ღმერთსა! გაბედე და მოხველი... მეგონა, კვლავინდებურად უარს შემომითვლიდი! — ამ სიტყვებით ნატალიამ ხელი მოჰკიდა და აიყვანა აივანზე.

— გთხოვ იცნობდე: თავადი ევგენი ბაზიანი, ჩემი ბიძაშვილი, ესეც იმისი ამხანაგი ილარიონ ფანდურაძე. კნიაჟნა სიდონია სარდინაშვილი, — წარმოსთქვა ნატალიამ და გააცნო ერთმანეთს ახალგაზრდანი. ყმაწვილმა კაცებმა მოწიწებით თავი დაუკრეს, ციცომ ხელი ჩამოართვა ორივეს და ხმაამოუღებლად დაჯდა დივანზე, თან ლედავდა და ცდილობდა დამშვიდებულიყო. ამის ბედზე როსტომი რაღაც საყურადღებო ამბავს უამბობდა სტუმრებს, რომელნიც გულმოდგინედ უსმენდნენ და ქალიც თანდათან გონებას იკრებდა.

მალე დიასახლისმა აცნობა, რომ სადილი მზად იყო. ციცოს გვერდით მოუხდა ჯდომა გენოს. ქალმა ვითომ არ შეიმჩნია, ღიმილით პასუხს აძლევდა ყმაწვილ კაცს, რომელიც ცდილობდა მასთან ბაასს და თანაც სთავაზობდა საჭმელს. ციცო თანდათან იშორებდა მორცხვობას და თავისუფლად სუნთქავდა. გენო აკვირდებოდა ციცოს მშვენიერ სახეს და ეშხში მოდიოდა; ძალას ატანდა ღვინოს. მისი გაცრეცილი ფერი, მაგრამ სახის გაწყობილი ნაკვთები და ქვეშ-ქვეშ გამომყურე შავი თვალები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ციცოზე; ილარიონს კი უფრო გუ-

დუპრყვილობა ეტყობოდა; მისი გაყინულიღებული სახე უფრო მეტ სიცოცხლეს აჩენდა, მაგრამ ციცოს პირველი უფრო მოსწონდა.

ციცომ გაიგო, რომ გენო გამოჩენილ, დამსახურებულ გენერლის შვილი იყო; მის მამას რევაზს არა ერთხელ დაასახელებდა ხომე პაპა. ბევრი ვაჟკაცობა და გულადობა გაუგონია იმისი, და როსტომიც დიდის პატივისცემით ექცეოდა გენოს; ცდილობდა მთელი თავისი მჭევრმეტყველება თუ მასპინძლობა დღეს გამოეჩინა.

— გამხიარულდით, თქვენი ჭირიმეთ, გამხიარულდით! — გაიძახოდა როსტომი და უხვად აზიდვინებდა წითელ ღვინოს. ნატალია თვალს არ აშორებდა გენოს და ციცოს, ცხადად ატყობდა თავის ბიძაშვილს, რომ მოხიბლულიყო ახალგაზრდა ქალით და გულში უხაროდა. კარგად ახსოვს გუშინ როგორის გულმოდგინებით უსმენდა, როდესაც ნატალია უამბობდა ციცოს ცხოვრების ამბავს.

— საოცარი ქალი ყოფილა! მაგ მშვენიერებასთან მაგისთანა მორჩილი ხასიათი და მტკიცე! — გაიძახოდნენ ერთხმად გენო და ილარიონი. ნატალიამ აღუთქვა, ხვალ მოეყვანა ციცო და გაეცნო მათთვის. გენოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— სწორედ ღვთის წყალობა იქნება ციცოსთვის, იმდენ ტანჯვის შემდეგ რომ ეს მოხდეს! — ფიქრობდა ნატალია, მაგრამ მეორე მხრივ, რომ წარმოიდგენდა რევაზის მედიდურად გამომყურე სახეს, ეს ფიქრები უსუსტდებოდნენ.

— ბუნების შვილია, მაგას ჯერ არ მიჰკარებია ცხოვრების ხელი. რა საშინელი განსხვავებაა ქალაქელ გაქსუებულ ქალებსა და ამის შორის? — ეუბნებოდა აღტაცებული გენო ილარიონს სადილის შემდეგ, როდესაც სუფრიდან წამოიშალნენ და გამოვიდნენ ეზოში.

— გენო, დამიჯერე, შემთხვევას ნუ დაჰკარგავ! ეგ ქალი ასლი საშენოა და ხელი ჩასჭიდე! სხვა რა გინდა? ლამაზი, უმანკო, გონიერი! შეძლება ხომ შენა გაქვს და მშვენიერად მოხვალთ!

— არა თუ! — ჩაილაპარაკა გენომ და კმაყოფილებით ხელი გადისვა ულვაშებზე.

— ბევრი ქალი მინახავს, მაგრამ მაგისთანა კი არც ერთი.

რაღაც უმანკოება და იშვიათი სათნოება ეხატება თვალებში, — განაგრძო მან.

— გეუბნები და...

გენო გაჩუმდა. შემდეგ მოიხედა და დაინახა ციცო, რომელიც ჩაფიქრებული იდგა პატარა ხესთან. მან საჩქაროდ გასწია მისკენ.

— რას სინჯავთ, კნიაჟნა?— ჰკითხა თავაზიანად ყმაწვილმა კაცმა და აღერსით მიაჩერდა ქალის ჟუჟუნა თვალებს.

— ძალიან მომეწონა ეს ხე... მინდა მის დაყვავილებულ ტოტს მივწვდე. — უპასუხა ღიმილით ციცომ.

— მშვენიერია, განმარტოებული რომ არ იყვეს, — განაგრძო გენომ.

— მეც იმიტომ ვეტანები. ეს უფრო თავისუფლად სარგებლობს წმინდა ჰაერით, ვიდრე ის პატარა, ვიწროტანიანი ცაცხვები, რომლებიც ერთიმეორეს ჩრდილავენ.

— როგორც გეტყობათ, თქვენ გიყვართ მარტოობა?

— ძალიან.

— ჩვენი ქალაქის ქალები კი ისწრაფვიან იქ, სადაც მრავალფეროვანი სანახაობანი თვალებს უჭრიალებენ. თეატრი, ბალი, დარბაზობა და სტუმრობა მათი მოთხოვნილებაა.

— მე კი მალე მომწყინდება ყველა ეგ, — ჩაილაპარაკა ქალმა და მოსწყვიტა ფოთოლი. გენო აღტაცებაში მოდიოდა ციცოს დალაპარაკით. მზად იყო, ამ წუთსვე მუხლზე დაცემულიყო, წარმოეთქვა მხურვალე მწვავი სიტყვები სიყვარულისა, მაგრამ ქალის თავშეკავებული მედიდურობა ვერ აბედვინებდა, აფრთხილებდა. ამიტომ არჩია, მოეცადა, აჩქარებით საქმე არ წაეხდინა. ილარიონიც ასე ურჩევდა.

## VIII

აღტაცებული გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა გენოს. თვალი მოჰკრა თუ არა ციცოს, მაშინვე მოიხიბლა, როგორც კი მივიდა გუშინ როსტომისას, მაშინვე დაუწყო ნატალიას დაპარაკი ამ სოფლის შესახებ და სხვათა შორის უამბო, როგორ ნახეს მან და ილარიონმა წყაროსთან ტყის მშვენიერი ფერია. ნატალია იცინოდა ამის გაგონებაზე; მიხვდა, რომ ეს ფერიად დასახული

არსება ციცო უნდა ყოფილიყო და თვითონაც ერთიორად გაუზვიადა მისი ღირსებანი. გენოსთვის საჭირო აღარ იყო ციცოს ქება, თვითონაც კარგა ხედავდა. პირველსავე შეხვედრაზე ალღო აეღო და თავისი გრძნობანი მისთვის გაეწონებინა. გენოს ხშირად მოუხდებოდა ხოლმე ლამაზ ქალებთან შეხვედრა, მათთან დაახლოვება, მეგობრობა, მაგრამ წინათ ყველა ეს ხდებოდა ადვილად, შეუმჩნევლად, დაუბრკოლებლივ. გენო თვრებოდა ცხოვრების სიტკბოებით და ერთს ვარდს მეორეზე მალ-მალ სცვლიდა. მის მიმზიდველ სანახაობას, შემტებას, მოხერხებულ სიტყვა-პასუხს, ტკბილი ვნებით ალსავსე ჩურჩულს არა ერთი ქალი გაუბრუებია, მაგრამ გენო თავს არ იწუხებდა ერთგვარობით და, ცდილობდა შთაბეჭდილებანი გაესხვაფერებინა. ბავშვობიდანვე ბედი სწყალობდა. თუმცა დედა ადრე დაჰკარგა, მაგრამ მზრუნველი, მოსიყვარულე მამა არ აგრძნობინებდა უდედობას, დაუჭერდა მომვლელ ქალებს, მასწავლებლები გენოს თავს ევლებოდნენ და ცდილობდნენ ყოველმხრივ უზრუნველეყოთ.

გადალებული გენო თანდათან იჩენდა თავნებობას და გარშემო ყველას იმონებდა. თუმცა სწავლა არ ეძნელებოდა, მაგრამ, როდესაც ტოლ-ამხანაგებში დროს ატარებდა, მაშინ უფრო კმაყოფილი იყო. გენოს სასწავლებელში შესვლა არ გასჭირებია, თუმცა მისი გაკვეთილები სიზარმაცის გამო უხეიროდ მოღონღიალებდნენ. საკმაო იყო სასწავლებლის უფროსს ან თვით მასწავლებლებს სჩვენებოდათ თავადი ბაზიანი გულზე გამწკრივებულის ჯვრებით და ფულით სავსე ქისით, რომ მსწრაფლ შესცვლოდათ გუნება გენოზე და თითქმის მოწიწებითაც დაეწყოთ მისთვის თვალებში ცქერა. მაგრამ გენოს სწავლა მალე მობეზრდა. როგორც იყო, ძლივს მიაღწია მეხუთე კლასამდის და გადასწყვიტა, როგორმე მოეშორებინა თავიდან ეს თავმომაბეზრებელი ჯიჯინი. გული მიუხაროდა იქით, სადაც მხიარულად გრიალებდა მუსიკა და მშვენიერი ქალ-ვაჟნი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ღიმილით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. არა ერთხელ მოიავადმყოფა თავი, სთხოვა მამას, გამოეყვანა სასწავლებლიდან, მაგრამ მამა გაჯიუტდა და ნება არ მისცა.

— რა ბევრი ხანი დაგრჩენია, ბიჭო, რომ აღარ იცდი?.. ბარემ გაათავე და აფიცერი გამოხვალ! — ეუბნებოდა მშობელი. რა თავში შემოსახლელად უნდოდა სწავლის გათავება, — ვერ მოეაზ-

რებინა გენოს; მეცნიერად ყოფნა არ ესაჭიროებოდა, თუმცა აფიცრობა კი ეხალისებოდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა აეს-რულებინა მშობლის ბრძანება და კიდევაც შეასრულა.

გენო თავმოწონებული, მუნდირში გამოწყობილი, თეთრი ხელთათმანებით ხშირ-ხშირად ამაყად გაათამაშებდა ხოლმე ქუ-ჩაში თავის შავ მერანს. ხალხი ჩერდებოდა და უყურებდა თავ-მომწონე ახალგაზრდას, რომელსაც შვენოდა ახალი ტანისამოსი. წამება იყო გენოსთვის, როდესაც სამსახურის გამო უნდა წარ-დგომოდა რომელსამე გენერალს, თვით იმ დაბალ აფიცერსაც კი, რომელიც ცოტაოდენის ჩინით მასზე მაღლა იდგა, და დამორ-ჩილებოდა.

გენო აღტაცებული იყო, როდესაც ტოლებთან ერთად ღა-მეებს ათენებდა რომელსამე სასტუმროში, ბალებში, ან სადმე საზოგადო სახლში, სადაც გენო პირველი გმირი იყო. ბევრ ტკბილ წუთებს გაუვლია, ბევრი უცეცქია გენოს, მაგრამ აქაც დიდხანს არ გაუჩერდა გული. დანიშნულ ვადაზე მისვლამ სამსა-ხურში, ზოგიერთი მოვალეობის ასრულება-მორჩილებამ, ზოგ-ჯერ შევიწროებამ, თავი მოაბეზრა. უნდა ეკანკალა სადმე თეთრ მიტკლის კარავში, რომელშიაც არა ერთხელ ჩასვლია წვიმა და დასველებულა, უგემური საჭმელი; ყველა ეს ხშირად შეაყენებ-და გენოს შემდეგ საკითხებზე:

— რა საჭიროა? რად უნდა ეწვალოს ასე მაშინ, როდესაც იქ, საკუთარ სახლში, ელის უხვი საზრდო, რჩეული საგარაკო ადგი-ლები მკლავებს უშლიან თავიანთ ერთადერთ პატრონს? — ამ სა-კითხებს ამაოდ არ ჩაუვლიათ და ერთ დღეს ნაყოფიც გამოიღეს. გენომ ქაღალდი მისცა მთავრობას, სამსახურიდან გაეთავისუფ-ლებინათ ავადმყოფობის გამო. მართლადაც, გენოს თანდათან ფერი ეკარგებოდა, ხდებოდა; მამაც შეფიქრიანდა, ვაითუ მარ-თლა ვერ შესძლოს ჩემმა შვილმა სამხედრო სამსახურიო და ნე-ბა დართო განთავისუფლებულიყო ყოველ შემაწუხებელ გარემო-ებისგან.

გენოს ამით არა დაჰკლებია რა საზოგადოების თვალში; უფ-რო ხელი-ხელ სატაცებელიც გახდა და ერთის დარბაზიდან მეო-რეში გულითადი, სანატრელი სტუმარი შეიქნა.

გენომ მოინდომა საზღვარგარეთ წასვლა; მამამაც არ დაუ-შალა და თავის გულითად მეგობარ ილარიონთან ერთად გაემგ-

ზავრა. იღარიონი, ღარიბი ახაღგაზრდა, ესეც ამხანაგსავით დარდიმანდი, უკან არა რჩებოდა გენოს არაფერში და ამასთანავე ემორჩილებოდა მის ყოველსავე სურვილს, თუმცა მის მეგობრულ რჩევას არა ერთხელ დაუხსნია განსაცდელისაგან გენო.

იღარიონი უფრო პირდაპირ უყურებდა ცხოვრებას. მუდამ ჯიბესუბუქი კვალში ჩასდგომოდა ყოველდღიურ მოთხოვნილებას; ნება-უნებლიეთ უნდა ეზრუნა სახვალიოდ ლუკმა პურისთვის. ეს დაბალი მოხელე იყო ერთ-ერთ დაწესებულებისა, სადაც შვიდ-რვა თუმანს ძლივს იღებდა, მაგრამ, რაც გენოს დაუახლოვდა და დაუმეგობრდა, ჯიბე ყოველთვის სავსე ჰქონდა. გენოს წყალობით არა ერთხელ მიუღია უფროსებისაგან შენიშვნა, კიდევაც დამუქრებიან სამსახურიდან დაეთხოვათ, მაგრამ გენოს მამის დახმარებით თავი დაუჭერია ადგილზე. იღარიონსაც უყვარდა ღვინო, ქალები. საზღვარგარეთ წასასვლელად რამდენისამე თვით სამსახურიდან გაათავისუფლებინა გენომ და უცხოეთში მეგობრებმა მრავალი გამოცდილება შეიძინეს. მათ გარეგნობას სულ სხვა ელფერი დაედო: მოხდენილი, გემოვნებაზე ჩაცმული გენო ყველას მოსწონდა; ქალაქში ბევრი წამბაძავი აღმოუჩნდა კიდევაც, მაგრამ გენო თავისებურობით მაინც დიდად განსხვავდებოდა სხვებისგან.

— მშვენიერი ვაჟკაცია! ზრდილობიანი, ჭკვიანი! — გაიძახოდნენ ყმაწვილი ქალები და მოხდენით, კეკლუცად თვალებსა უტყავდნენ გენოს გახსენებაზე, თითქო უსიტყვოდ ეძახოდნენ თავისკენ, ეჩურჩულებოდნენ: „რას უყურებ, ყმაწვილო? მოდი და დაგატკბობთო", მაგრამ გენო არა ჩქარობდა, თითქო ყველა ესენი კიდეც მობეზრებოდა. გენოს მოთხოვნილებად გადაექცა მოგზაურობა. ქალაქში დიდხანს ველარ ჩერდებოდა, სწყინდებოდა; მოიგონებდა ნადირობას, ან წვეულებას და გასწევდა სოფლებში, ან სხვა ქალაქებში, სწყუროდა ახალ-ახალი ადგილი და ახალი ხალხი... დასათვალიერებელიც ბევრი იყო, თუკი გენოს ყურადღება მიიქცევდა მათკენ. ქართლ-კახეთში და იმერეთში მისი ნათესაობა იყო და ყველგან საყვარელი, სასურველი სტუმარი იქნებოდა. აგერა, სხვათა შორის, გენომ მოინდომა თავისი ბიძაშვილის ნატალიას ნახვაც, მისი გარემოების დათვალიერებაც. გენო ესტუმრა ნატალიას; იამა ამ სოფლის ნახვა; მაგრამ არასდროს არ მოელოდა ამ მიყრუებულ ადგილში ცოცხ-

თანა მშვენიერ არსების შესვედრას. აქ დახვდა ნაპერწკალი სიყვარულისა რომელმაც მსწრაფლ იფეთქა მის გულში. გენოს არც ერთი ქალის წინ არ უგრძვნია ასეთი მოწიწება, კრძალვა და თაყვანისცემა, როგორიც იგრძნო ციცოს მიმართ, თუმცა ყოფილან უფრო მშვენიერნიც. აქ რაღაც ბუნებრივი უმანკოება გამოსჭვიოდა ციცოს ყოველ ნაკვთიდან და იმონებდა ყმაწვილ კაცს; გენოს დამონება და დამორჩილება კი საკვირველებად უნდა ჩათვლილიყო და ილარიონსაც უკვირდა.

გენომ მოუსვენრად გაატარა ეს ორი ღამე, მზად იყო მუდამ ციცოზე ელაპარაკნა ნატალიასთან, რომელმაც დაწვრილებით შეატყობინა ქალის გარემოება და განვლილი საშინელი განწირულება.

## IX

მეორე დღეს თვითონ ნატალია მოვიდა ციცოს წასაყვანად.

— შვილო, შენთვის გადარეულია ის ყმაწვილი, სულ შენ ხსენებაშია. თუ რამე გითხრას, ხუმრობა არ არი, უკმეხად არ დახვდე, დიდი კაცის შვილია, მდიდარი; ქალაქში მაგის მამას პირველი ადგილი უჭირავს. მაგათ სახლში რომ შეხვიდე, იტყვი, მეფე სცხოვრობსო. ოხ, რა ბედნიერი იქნები!.. მაგის მეტი შვილი არ გააჩნია მაგის მშობელს და, რასაკვირველია, შენც გადელოფდებს.

ნატალია განუწყვეტლად შელაპარაკებოდა ციცოს, როცა სახლისკენ მიდიოდნენ.

— ჩემ ელენეს კი არ გაეხარდება აბა! — განაგრძობდა ნატალია.

„მდიდარია, დიდი-კაცი, ქალაქებში გაჩვეული, ნუთუ ყურადღებას აქცევს ციცოს?" ციცოს გონება ბინდბუნდით იბურებოდა; თვითონაც მოსწონდა გენო, მაგრამ როდესაც ჩაუფიქრდებოდა თავის მდგომარეობას და თავის თავს იმ მეფურ გარემოებაში ჩააყენებდა, სიზმარი ეგონა და მალი-მალ თვალებზე ხელს ისვამდა, რომ გამორკვეულიყო. ისინი მივიდნენ; გენო ღიმილით მოეგებათ. ციცო ცხადად ატყობდა გენოს თავისადმი აღტაცებას და კმაყოფილებას გრძნობდა.

— წუხელის ჩემს თვალებს ძილი არ მოსვლიათ, გონებით

თქვენთან ვიყავი და ოცნებით თავს გევლებოდით! — ეუბნებოდა ყმაწვილი კაცი ციცოს, რომლესაც ისინი ბაღის პატარა ბილიკზე გაჩერებულიყვნენ. ციცოს თავი ძირს დაეხარა, ხელი გაეწვდინა ბუჩქებისკენ, რომლებზედაც აქა-იქ მწვანე კოკრებში გამორეოდნენ გაშლილი ვარდები.

— თქვენ იღიმებით, დამცინით!.. რა შეუბრალებელი ყოფილხართ! — განაგრძობდა გენო, თან სახე მთლად გაფითრებოდა და თრთოდა...

— სრულებითაც არა! — შესძახა ქალმა და მიიხედ-მოიხედა.

— არ დამცინით?! მაშ რა არის ეგ ღიმილი, რომელიც უსიტყვოდ ბევრს რამეს ამბობს? — ქალმა გონება მოიკრიბა, მოსწყვიტა ვარდი, მიიტანა ცხვირთან და იყნოსა მისი დამათრობელი სურნელება. შემდეგ თავი ასწია მაღლა, დაკვირვებით მიაჩერდა ყმაწვილ კაცს.

ქალის თვალებში იხატებოდა რაღაც სიამაყე, სილიალე.

— მართალსა ბრძანებთ, კნიაზო, მე ვიღიმები და ამ ღიმილში თქვენ შეგიძლიანთ ამოიკითხოთ მარტო გაოცება, — უპასუხა ციცომ.

— რის შესახებ?

— თქვენ გუშინ არც კი მიცნობდით, არ იცოდით ვინ ვიყავი, დღეს კი ჩემდამი სიყვარული გაწვალებთ ასე უეცრად? ნუთუ სათცარი არ არის?

— სულაც არა! სიყვარული არ თხოულობს დიდ დროს, სიყვარული ციური ნაპერწკალია, რომელიც ელვასავით გაჰკრავს გულში კაცსა. არამც თუ წუთები, შეგიძლიანთ მთელი წლეწლები, თუნდ საუკუნეები გაატაროთ ვისთანმე და ეს გრძნობა კი არ მოგეკაროთ, მაგრამ თუ სიყვარულმა ნაპერწკალი გამოაკვესა, გულს მეტად მწვავედ მოხვდება. დღემდის რაღაც უფერული იყო ჩემი ცხოვრება, დღეს კი თითქო სულ ხელახლა დავიბადე და ვიცანი სიცოცხლის ფასი. — ციცოს განუწყვეტლად შეესმოდა ეს ზეალმაფრენი სიტყვები, ეს ტკბილი მუსიკა და, თითქო ანგარიშმიუცემლად ისვენებდა მისი განაბული გრძნობა, ხმის ამოღებას ველარ ახერხებდა.

— მითხარით, შეგიძლიანთ მიიღოთ ჩემი წრფელი თაყვანისცემა, თუ უწყალოდ ხელსა მკრავთ?

ციცომ ხელი მიიდო საფეთქელზე.

— მჯერა, კნიაზო, რომ მოგწონვართ, მაგრამ... — ძლივს დაილაპარაკა მან.

— მაგრამ?..

— სვად თქვენს გზას გაუდგებით და სიყვარულიც თან წაგყვებათ, განელდება, დაიჩრდილება ახალის შთაბეჭდილებით. რისთვის იწვევთ ჩემის მხრივ თანაგრძნობას, რომელიც მალე საჭირო აღარ იქნება თქვენთვის? ჩვენს შორის საერთო ძალიან ცოტაა. თქვენ ბრძანდებით ნასწავლი, განვითარებული, ცხოვრებისგან გაძღებული, მე კი ყველა ამას მოკლებული ვარ; ღლემდის ამ სოფლის იქით ჩემთვის ყოველივე უცნობი და უცხოა. აბა რას გამოადგებათ უვიცი სოფლელი ქალი? სჯობს, ისევ დავრჩეთ კარგი ნაცნობები, თქვენც თქვენს გრძნობას ჩაუფიქრდით და დარწმუნდებით, რომ მარტო წუთიერი აფეთქებაა წუმწუმისა, რომელიც მალევე ჩაქრება.

— კიდევ და კიდევ ეჭვები?.. მე დიდი ხანია გავიგე თქვენი ვარემოება, კნიაჟნა, გთხოვთ, გევედრებით, მითხარით ერთადერთი სიტყვა, რომ შეგიძლიანთ ჩემი გახდეთ და მთლად ჩემი არსება თქვენ ფერხთ წინ გაიშლება საუკუნოდ დასამონებლად.

ციცო უყურებდა გენოს და კვალად ილიმებოდა.

— თქვენი გავხდე... მე ხომ ერთი ობოლი, ღარიბი ქალი ვარ?.. — წარმოსთქვა კვალად ციცომ, სახე დაუნაღვლიანდა და გვერდზე გაიხედა.

— კმარა! — შესძახა გენომ, — ჩემთვის საჭირო არა არის რა თქვენის მხრივ: არც განათლება, არც სიმდიდრე, თქვენ ყველა მაგ ღირსების მქონებელ ქალებზე უფრო მაღლა სდგეხართ ჩემს თვალში და გთხოვთ მაგიერი პასუხი გასცეთ ჩემს გულს!.. შემიბრალეთ!.. — დაუმატა გენომ ვედრებით, ხელი ხელს გადააჭდო და ქალის წინ დაეშვა მუხლებზე.

— ღმერთო ჩემო, რას შვრებით, კნიაზო, ადექით ზეზე!.. — შესძახა მთრთოლვარე ხმით ციცომ.

— შემიბრალეთ, სიდონი! — ჩურჩულებდნენ გენოს გაფითრებული ტუჩები.

— მჯერა, რომ გიყვარვართ, მაგრამ გაიხსენეთ ის უძლეველი კედელი, რომელიც ამართულია ჩვენს შორის! — უთხრა ქალმა. — მამათქვენი არასდროს ნებას არ მოგცემთ, რომ მე მით-

ხოვოთ და ეს უთანხმოება ხომ ანგარიშის გაწევას თხოულობს?! — დაუმატა მან.

— არა! არა! ოღონდ თქვენ დათანხმდით და მამაჩემს მალე დავიყოლიებ. მას ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს... ენატრება ჩემი ცოლის შერთვა. მე კი მიძნელდებოდა დღემდის, დღეს კი დიდის სიხარულით დავდგებოდი თქვენს გვერდით გვირგვინქვეშ.

ციცო დარწმუნდა, რომ გენო მარტო სიტყვით არ მჭევრმეტყველებდა. ქალს მზის შუქმა ჩახედა გულში და შეუმჩნევლად სასიამოვნო ტკბილი ნექტარის ნაკადი ჩაუშვა; ძარღვები მოუდუნდა, ამაყი შეხედულობა თანდათან ჩამოშორდა; თვალებში გამოუკრთა ალერსი, მიმართული გენოსკენ, რომელიც დაჩოქილი ვედრებით ხელებს უწვდენდა.

— სიდონი, მითხარით, რომ თქვენი გული ჩემი გახდება, რომ თქვენ იქნებით ჩემი საუნჯე, ჩემი საკუთრება!.. — ოდნავლა ჩურჩულებდა გენო.

ციცომ ხმა არ გაიღო. მარტო მთრთოლვარე ხელი, რომელიც ძირს დაშვებულიყო, ალარ გაუძალიანდა გენოს, ამანაც საჩქაროდ მიიტანა ტუჩებთან და ზედ დაეკონა.

— ჩემი ხართ?! ჩემი?! — მღელვარებდა ბედნიერი გენო და განაგრძობდა ორივ ხელებზე კოცნას. ახალგაზრდა ქალიც ალერსით უყურებდა ყმაწვილ კაცს. გენო ისევ მალე გამოერკვა, წამოდგა, ხელი დაუჭირა ქალს და გასწია სახლისკენ; შედგა თუ არა აივანზე ფეხი, ალტაცებით შესძახა:

— მოგვილოცეთ!

ილარიონი მაშინვე წამოხტა ზეზე, და გაღიმული მოეგება ციცოს.

— რა უნდა მოგილოცოთ?! — გაოცებით შესძახა როსტომმა, რომელიც ამ დროს, ზურგშემოქცეული, რაღასაც ელაპარაკებოდა მოურავს.

ნატომ გაშალა ხელები და ჩაიკრა ბედნიერი ციცო, რომელიც ნატალიას გულზე რაღაც მშობლიურ თანაგრძნობას ჰპოვებდა.

როსტომი გაჩერდა, გაოცებული; ვერ მოეაზრა, თუ რა მომხდარიყო? ერთის მხრივ, უხაროდა ციცოს ბედნიერება, მაგრამ ამასთანავე თითქო მის სახეს რაღაც მოუსვენრობა დაეტყო, მეტადრე მაშინ, როდესაც გაითვალისწინა გენოს მამა წარბშეკრული.

— „ეს რა მიყავი, კაცო? ვინ გადაჰკიდე ამ ჩემს შვილს? სირცხვილით სადღა გამოვყო თავი?" — ჩაესმოდა ყურში მისი საყვედურით სავსე სიტყვები.

— „ჩემს სახლში მაინც არ მომხდარიყო და გადასწყვეტოდა!" — გაიფიქრა როსტომმა, მაგრამ ეს უსიამოვნო აზრები დიდხანს აღარ გაჩერებულან როსტომის თავში.

— მამაშენი? მამაშენს რაღას ეუბნები, გენო? — ჰკითხა მან და მიაჩერდა.

— მამაჩემს ხვალ გავაგებინებ, — უპასუხა დაუდევრად გენომ. — ამ ორ კვირაში ჯვარიც უნდა დავიწეროთ! — დაურთო შემდეგ.

როსტომი დამშვიდდა და ისევ გამხიარულდა.

წუთის მთელ სოფელს მოედო, რომ ციცო დაინიშნაო და ყველა ღმერთს ეხვეწებოდა.

— კეთილი იყო და კეთილად წაუმართოს ხელი ღვთისმშობელმა დედამ! — გაიძახოდნენ დედაკაცები.

— რაც მაგას ამბები გადახდა თავზე, ღმერთს სამართალი აღარ ექნებოდა, რომ საბოლოოდ მაინც სიკეთე არ მიეცა!.. — უმატებდნენ დარბაისლები.

ნატალიამ სთხოვა ციცოს, ეხლა მაინც გადასულიყო მათთან, მაგრამ ქალმა არჩია უკანასკნელ დღემდის, ვიდრე ჯვარს დაიწერდა, დარჩენილიყო ანანოს ჭდეულში და ასეც მოიქცა.

## X

გენოს წასვლის შემდეგ ციცოს მოსვენება მოენატრა; ღამე ძილი არ ეკარებოდა; გონება ექანცებოდა ერთსა და იმავე საგანზე ფიქრით, გახდა, ფერი მიეტეტკა, მაგრამ მაინც ლამაზი მოსჩანდა.

ყოველ ხმაურობაზე გამოვარდებოდა გარეთ; ზარების წკარუნი, ცხენის ფეხის ხმა სახეს უფითრებდა, გულზე ხელებს მიიდებდა, თითქო ძალათი იმაგრებდა, რომ როგორმე დაემშვიდებინა. გენოსგან წერილი უნდა მიეღო, მაგრამ ის თითქო აგვიანებდა.

— ღმერთო ჩემო, რას ნიშნავს! ნუთუ ყოველივე მოჩვენე-

ბა იყო და გაჰქრა? ნუთუ ბედი დამცინის! — ფიქრობდა ციცო და იტანჯებოდა. ციცოს თითქო კიდევაც შეჰყვარებოდა გენო, მისი მწვავე შავი თვალები გონებიდან არ შორდებოდა.

— მამა თუ არ უშვებს? ციცოს კარგად ახსოვს გენოს მტკიცე პასუხი:

„ყოველი სურვილი ამისრულებია და ესლაც იმედი მაქვს გამარჯვებისა. ჩემი წინააღმდეგი ჯერ არავინ ყოფილა".

ციცოს გული ისვენებდა ამ გახსენებაზე. საშინელი აზრები უკან იწევდნენ. არა ერთხელ მისულა მოხუცებულების საფლავთან, ჩამომჯდარა სკამზე და თვალი გაუწვდენია შორს, დაქანილ შარაგზისთვის, რომელიც იშლებოდა კარგა მანძილზე და შემდეგ გორაკის იქითა ჰქრებოდა. ეს შარაგზა უვარჯიშებდა დაკვირვებას; მაზე დარჩენილ წერტილს, ან ცხენის ფეხისგან სვეტად ამდგარ მტვერს წარუტაცია მისი თვალები, ვიდრე არ გაფანტულა და მგზავრიც არ მიმალულა. ციცოს მეტად შეუყვარდა ეს გზა, რომელიც დღემდის არც კი შეუმჩნევია.

ერთი კვირა კიდევ და ციცო გახდება მდიდარი კნეინა, ედლოფალი, მფლობელი უზომო საუნჯისა, მფლობელი გენოს დამაზი თვალებისა; მთელს თავის სიცოცხლეს გალევს სიყვარულის სიტკბოებაში!

„ჩვენი ცხოვრება უნდა განირჩეოდეს თავისებურობით. ჩვენ უნდა მაგალითი ვუჩვენოთ ყველას. ჩემს ქონებას ფიანდაზად გაგიფენ ფეხქვეშ და, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი, ისე მოიხმარე!" რა უზომო მსხვერპლი, რა უზომო გრძნობა იხატებოდა ამ სიტყვებში და გენოს აგზნებულ თვალებში. რომელნიც მწვავე ნაპერწკლებს ისროდნენ. როგორ დაავიწყდება ის წუთი ციცოს, როდესაც გენო ცხენზე ჯდებოდა? რა აღერსით და ვედრებით შემოჰყურებდა!

— მალე მოვალ, სიდონი, ამ დღეებში აქა ვარ!.. — შემოსძახა გენომ და მათრახი გადაუჭირა ცხენს. რარიგად გაგრძელდნენ დღეები?.. სად არის ძვირფასი არსება? ისევ ისე მარტოა ციცო... ქალი სასოწარკვეთილებით ხელის თითებს იმტვრევდა.

გავიდა ერთი კვირა, მეორეც თან გაჰყვა, ციცო ჩვეულებრივად გაირინდა; დაუბრუნდნენ განვლილი მწვავე წუთები. დღითი დღე თვალი აარიდა შარაგზასაც; უგულოდ უყურებდა გარემო მშვენიერებას და როსტომისას სიარულსაც უკლო. გადასწყვიტა,

ეხლა კი ჩამოშორებოდა ყველა იმ საგნებსა და პირებს, რომელნიც აგონებდნენ უცხო ზმანებას.

ერთ საღამოსაც ციცო მისჯდომოდა ანთებულ ლამპარს, გულმოდგინედ ჩასცქეროდა წიგნის სტრიქონებს. ეტყობოდა, რაღაც საყურადღებო რამ აღმოეჩინა, რომ გონება გართულიყო მის შინაარსით. თითიკა კარებთან იჯდა და თითისტარს აბზრიალებდა, ანანო სახლში არა სჩანდა. გარეთ მკრთალ ნათელს ჰფენდა მთვარე, საოცნებოდ მართავდა კაცის გონებას, ციცო კი ყურს არ უგდებდა არაფერს, თვალები ჩაეცქეცებინა წიგნის ფურცლებისთვის. ოთახში სრული სიჩუმე იყო. სადღაც კედელში ჭრიჭინა მხიარულად უკრავდა თავის საკრავზე და აღარ ათავებდა ერთხელვე დაწყობილ ჰანგს. მაგრამ აგერა გარედან მოისმა რაღაც წკრიალი. ციცომ ყურადღება არ მიაქცია; უმისოდაც წისქვილის ბორბლების გრიალი ჩვეულებრივად არ შორდებოდა სმენას, მყუდრო ღამეში უფრო ცხოველდებოდა. მაგრამ არა! წკრიალი განმეორდა, მას მოჰყვა ცხენის ფრუტუნი; ციცოს გულმა შეიფანცქალა, თუმცა თვალები ისევ დაჟინებით ჩასჩერებოდნენ წიგნს. ხმაურობა განმეორდა უფრო ცხოვლად, საგრძნობლად.

— სიდონი! — მკაფიოდ შემოესმა ძვირფასი ხმა. ციცო შეკრთა, აილო თავი მაღლა და ფერმიხდილმა ზურგი მიაყრდნო კედელს; თვალები გაშტერებით მიაჩერდნენ კარის ბჭეს და გაწამდნენ. ოთახში შემოსულიყო გენო, ჩერქეზულად ჩაცმული; წელზე უბრიალებდა ქამარ-ხანჯალი, სახეზე დაღალვა და აღელვება ეტყობოდა.

— სიდონი, ველარ მიცანი? — წარმოსთქვა გენომ და ფეხი წინ გადმოდგა.

— გენო, შენა? — შესძახა მთრთოლვარე ხმით ციცომ. — ამ შუაღამისას სად გივლია? — დაუმატა მან მზრუნველობით და ხელი გადისვა თვალებზე.

— მე თვითონ არ ვიცი სად... ეს კი ვიცი, რომ ეხლა შენთანა ვარ და შენ გიყურებ, — მოისმა ტკბილი აღერსიანი ხმა. გენომ ხელი გამოართვა ციცოს და აკოცა.

— რატომ წერილი არ მომწერე? რად დაიგვიანე? — უსაყვედურა ქალმა.

— ღმერთს მადლი შესწირე, სიდონი, რომ ეხლა მაინც აქა ვარ, სრულიად არ დამკარგე.

— მე კიდევაც აგრე მეგონა, — დაიჩურჩულა ციცომ. გენო წამოდგა ზეზე, დაიწყო წინ და უკან სიარული.

— ოხ, სიდონი, ვერ წარმოიდგენ, რა წამება გამოვიარე მას აქეთ, რაც აქედან წავედი. სწორედ მოუღოდნელი და უჩვეულო იყო ჩემთვის და მეტად დავისაჯე, — დაუმატა ნაღვლიანად გენომ და სიარულს მოუმატა. — ჩავედი თუ არა, მამაჩემს გამოვუცხადე ჩვენი დანიშვნა. ის გამიწყრა და დამემუქრა, რომ თუ შენზე ჯვარს დავიწერ, შვილობიდან გამომრიცხავს. ესეც იცოდე, რომ სულს აქეთ იმის ხელში ვარ. ოხ, რა საშინელი რისხვა იყო... იქამდის მიმიყვანა, რომ პირობა დამადებინა, ჩემ ბავშვურ საქციელს ზურგი ვუჩვენო და შევირთო ის, ვისაც მიბრძანებს.

— მერე? — შესძახა ქალმა და სახეზე მწარე ღიმილი აღუჩნდა.

— მეტი ღონე არ იყო, უნდა პირობა მიმეცა, რომ დამეჯერებინა. უნდა გენახა, როგორ გაიხარა, რა ფაცაფუცით შეუდგა საცოლეს არჩევას! მამაჩემი აღტაცებული იყო და ამ აღტაცებით მეც ვისარგებლე, გამოვთხოვე სამოც თუმნამდის, რომ საჭირო ტანისამოსი შემეკერა. საჩქაროდ ამისრულდა თხოვნა, ილარიონმაც ხელი მომიმართა და მამაჩემთან ერთად დავაწყეთ პირობა, რომ ერთი ორი დღით წავსულიყავით საქეიფოდ სადმე და მეც სიხარულით გამოვწიე შენკენ. ილარიონმა თავი არ დამანება და ისიც გამომყვა; რაკი აქ უდროოდ ჩასთვალა მოსვლა, წავიდა პირდაპირ როსტომისას. დრო ცოტა მაქვს, სიდონი, ორი დღის შემდეგ ისევ იქ უნდა დავბრუნდე.

— რისთვის მოდიოდი? — შესძახა ქალმა და წარბები შეიკრა, თან თვალები უბრწყინავდნენ.

— შენთვის, სიდონი, რომ თან წაგიყვანო.

— წამიყვანო? — გაოცებით გაიმეორა ქალმა. ის არ მოელოდა ამ პასუხს.

— რად მიჯავრდები? დაგპირდი და აკი კიდევაც ავასრულე, დღეს შენთან ვარ, ხვალ ჯვარი დავიწეროთ და ზეგ წავიდეთ.

— მერე მამა? — მოესმა ესდა კი აღერსიანი, მაგრამ ნაღვლიანი სუსტი ხმა.

— შენ რას დაეძებ? სადაც მე ვიყვე, იქ შენც დასჯერდი! ხომ თანახმა ხარ? — გენო მივიდა ახლო, თვალებში ჩახედა ციცოს, რომელიც უსიტყვოდ თანხმდებოდა.

— სჯაღ ჯვარი დავიწეროთ და ზეგ წავიდეთ...

ქალს ტანში გააზრიალა.

— არა! — შესძახა ციცომ, — ეგ ხომ საშინელება იქნება! უცბად კარებზე მივადგეთ? მერე რა მოუვა, მამაშენს? ხომ ჯავრისაგან გაგიჟდა? ვინ იცის რა ქნას? არა, აქ დავრჩები, ისევ ამ ჭლეულში მიჯობს ცხოვრება, ვიდრე მისგან შეურაცხყოფას მივიღებდე.

— სხვა გზა არ არი. თუ ჯვარის წერა დავაგვიანე, მაშინ სხვას შემრთავს. მამაჩემს ხუმრობა არ უყვარს, ჯიუტია.

— ჰოდა, შენც დაუჯერე! მიჰყევ ნებასა და უფრო ბედნიერი იქნები, — ეუბნებოდა ციცო.

— არა, სიდონი, მაგ სიტყვებს ნუღარ მეუბნები! ჩვენი უერთმანეთობა აღარ შეიძლება.

— სიტყვა თუ მიეცი?

— შენი გულისთვის ყველაფერს ვიკისრებ, ოღონდ შენ ჩემი გახდი და შევშლი ჩემს დაპირებას. ამითი არა წახდება რა. ნუ მაწვალებ! ისეც საკმაოდ ვიტანჯე და დავიღალე. ეხლა გთხოვ, დამასვენო!.. ხომ ჩემი ხარ? — დაუმატა მან და მოხვია ხელი, მიიზიდა, მაგრამ ქალმა მსწრაფლ თავი გაინთავისუფლა, თითქო დასწვეს მისმა ანთებულმა ბაგეებმაო.

— შეუბრალებელო! — სუსტად დაიკვნესა გენომ და გაფითრებულმა დაიწია უკან. ის მთელის სხეულით თრთოდა. ქალის ამაყი, შუბლშეკრული სახე რაღასაც უსიტყვოდ უბრძანებდა. გენოს ღონე მიეხადა.

— ეხლა თუ ჯვარი არ დავიწერეთ, უნდა გამოვეთხოვოთ ერთმანეთს!.. რას უცდი? რისა გეშინიან? — წარმოსთქვა კარგა სიჩუმის შემდეგ გენომ, რომელსაც გონება მოიკრიბა და ცოტათი დამშვიდდა.

— ასე უეცრად?.. არა, ცოტა მაცადე! — შესძახა ციცომ.

— თუ ჩემი დაკარგვა არ გინდა,, მოიქეცი ისე, როგორც გეუბნები. თუ არა და უნდა ერთმანეთს მოვშორდეთ! — უპასუხა ცოტა არა, წყენით გენომ.

ქალი ჩაჩუმდა. გენო მართალს ეუბნებოდა. ჯვარის წერა საშური იყო, უამისოდ გენო უნდა დაეკარგა და ეს ხომ აუტანელი უბედურება იქნებოდა ციცოსთვის? ჯვარის წერა კი რაღაც შიშს უნერგავდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

თუმცა ციცომ რამდენიმე დღე გამოსთხოვა ვადად, ეფიქრა თავის გარემოებაზე, გრძნობა-გონებას ჩაჰკითხოდა, მაგრამ გენო არ ეშვებოდა, ევედრებოდა მალე დათანხმებულიყო. შეუჩინა როსტომი, ნატალია, ილარიონი და მოუთმენლად ელოდა თანხმობას.

— რას აგვიანებ, შვილო? რისა გეშინიან? რას უფრთხი? — ეუბნებოდა ნატალია, რომელსაც შეეყვანა ციცო თავის ოთახში, რომ მოლაპარაკებოდა. ციცო კი ნაღვლიანად იღიმებოდა.

— იქნება იწუნებ? — არ ეშვებოდა ნატალია.

— იხ, არა, ძალუა! მე თვითონ არა ვარ მაგისი ღირსი, მაგრამ მეძნელება... მეშინიან... ცოტათი ვიცნობ, მარტო ორი დღე და მთელი სიცოცხლე კი უნდა დავუკავშირო. ნუთუ საფიქრებელი არ არის?

— რა ბავშვი ხარ? მერე თავს ვინ გაგაცნობს? გირჩევ, პირჯვარი დაიწერო და მიენდო შენ ბედისწერას. მერწმუნე, წაგებული არ იქნები. შენ რომ ანგრე დაპარაკობ, ის კი მეტად გიცნობს? რატომ იმას კი არ მოსდის თავში ეგ აზრი? ის მზად არის თავი შემოგწიროს და ნეტაი სხვა რაღა გინდა?.,

— მამა რომ უარზეა? — იკითხა ციცომ, თითქო საიმედო მოსაჭიდებელი საგანი იპოვაო.

— რა ვუყოთ? პირველში ანგრე იქნება, მერე შეგირიგებს. აბა სხვას რას იზამს? ეგ ერთი შვილი აბალია და განა საუკუნოდ გამოიმეტებს? შენა კი, უარი რომ უთხრა, დაჰკარგავ უღირს ბედს. მერე რის იმედით? რის პატრონი?

ნატალიას უკანასკნელ სიტყვებში გამოკრთა საყვედურიც. ციცომ თვალწინ დაიყენა ის წუთები, როდესაც გენოს მოელოდა, იტანჯებოდა, პირისპირ უდგა ერთფერი, უსაგნო ცხოვრება, როდემდის? ნეტა იმაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს, რაც ციცომ გამოსცადა? ამ მოსაზრებით ციცოს რაღაც შვება მიეცა, თითქო ქორწინებამ მოიშორა გარშემოხვეული ბნელი ღრუბელი, გამოკრთა განსპეტაკებული, დაუახლოვდა. ციცომ ათრთოლებული ხელი გაუწოდა ნატალიას და დაიჩურჩულა:

— ნუ ჯავრობთ, ძალუა, თანახმა ვარ.. — ამ გადაწყვეტილი პასუხის შემდეგ ციცოს არსება მოიცვა რაღაც უჩვეულო გრძნო-

ბამ. გარინდებული, იღუმალ ბურუსში გაეხვია. გენო კი წუთს გამოცოცხლდა.

— სიდონი, ჩვენ ხვალ პირდაპირ სასტუმროში მივალთ, იქ დაგაბინავებ, სანამ მამა ნებას მომცემდეს შენს გადაყვანაზე. ეს კი, ვიცი, რომ მალე იქნება, რადგან მამას არ შეუძლიან დიდხანს უჩემოდ ყოფნა. ეხლა ის შეუძლოდ არის და თუ ახლო არავინა ჰყავს, ჯავრისგან უფრო ავად გახდება, — ეუბნებოდა გენო.

ციცოს იამა, რომ პირდაპირ იმ სასტიკ მოხუცს არ მიადგებოდა კარზე და ცოტათი დამშვიდდა. ციცოს მეტად მოუნდა უკანასკნელი წუთები ქალიშვილობისა გაეტარებინა ანანოს ჭედეულში, ენახა თავისი მეგობარი კატო, გამოსთხოვებოდა და ამასთანავე უკანასკნელი სალამი მიეცა დიდედის და პაპის საფლავებისთვის.

გენომ უარი არ უთხრა ამ სურვილზე და ციცომ გასწია აჩქარებით. ჭედეულში გაღიმებულის სახით დახვდა ანანო.

— შენ კი გენაცვალე,, რომ ამისთანა ბედნიერებაში ჩავარდი! ჩემი კატოს დაბერებამა, გონებაზე ველარ მოვსულვარ სიხარულისგან! — შესძახა ანანომ და მოეხვია. — რასაც იმ ყმაწვილს აქებენ, თუ ნახევარიც მართალია, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, სწორედ ღვთის უბეში ზიხარ და ეს არის! ჩემ კატოს უნდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ დაითავხედა დრო, ქმარი შინ არ ჰყავს, სახლი მარტო ვერ დაუტოვებია. ნატრობდა, ნეტამც კი ჩემსკენ ჩამოივლიდესო.

— მაინც ვაპირებ იმასთან წასვლას, ერთად წავიდეთ, ანანო თუ საქმე არა გაქვს რა.

— ვიშ, რა საქმე უნდა იყვეს ისეთი, რომ იქით არ მივაგდო? ეხლავეც წამოვალ, შენმა დაბერებამა, — მიატანა საჩქაროდ ანანომ და თავზე შალი მოიხვია, თითიკა კი დაღონებული მისჩერებოდა ციცოს.

— ვაი ჩემი ბრაღიცა! ეხლა ვინ იქნება ჩემი პატრონი?.. — წაიზუზუნა და კურცხალ-კურცხალი ცრემლი გადმოღვარა.

— ნეტა არ გამოსულელებულიყავ, შე საცოდავო! რაკი ეს გაბედნიერდა, კიდევ შენ თავზე ფიქრობ? მოესწარი იმ დღეს, რომ შენი გაზრდილი ასეთს ბედს ეწია და შენ კიდევ წუწუნებ? ეჰ, ჩემო თითიკა, მე და შენ აღარავის ვუნდივართ, შავი მი-

წისაკენ გვაქვს პირი წაღებული და ეს არის, ჩემო დაო, — უპასუხა ანანომ და უკმაყოფილოდ გადახედა მოხუცებულს, რომელიც ჩაჯდა კარებთან და ამოიღო ბურნუთის კოლოფი.

— შენ რაღას ტიტინებ აგრე უსეიროდ? — წაიბუზღუნა თითიკამ, მიიდო ტუჩებზე თითი და ნაღვლიანად დააჩერდა ღედამიწას. ციცო მივიდა თითიკასთან, ხელი მოხვია და ჩახედა თვალებში.

— თითიკა, სტირი? განა ანგრე გენანება ჩემი მოშორება? — ჩაეკითხა ღიმილით. თითიკამ გამოართვა ხელი და აკოცა.

— შენ შემოგევლოს ჩემი თავი, განა კიდევაც გიკვირს ჩემი წუხილი? შენს მეტი ნუგეში ვიღა მყავდა? ოჰი, ყოვლადშემძლებელმა უფალმა გაკურთხოს და აგაცილოს ყოველი გაჭირვება, მაგრამ მე ჩემ ბედსა ვტირი, შვილო, ჩემს მოხუცებულობას, უძლურობას, ვიცი, ჩემი რძალი და შვილი სახლში აღარც კი შემიშვებენ, მეტყვიან, აქამდის სადაც გიწანწალია, ისევ იქ წადი, ეხლა ჭამის ფასად არა ღირხარო.

— ნუ გეშინიან, ჩემო თითიკა, რაც კი შემეძლება, შორიდანაც გიგდებ ყურს. ამ პირველში იმდენს მოგცემ, რომ გეყოს, ვიდრე ხელმეორედ მოვიდოდე. წაყვანით ვერ წაგიყვან, რადგან მე თვითონაც არ ვიცი, სად მივდივარ. არა გიშავს რა, როცა შენთვის ფული გექნება, შვილიც კარგად შემოგხედავს.

ციცოს ოცი თუმანი კიდევ დარჩენოდა თავის ფულიდან და გადასწყვიტა, თითიკასა და ანანოსათვის გაეყო. მთელი თავისი ავეჯი ანანოს დაუტოვა და უთხრა აქედან კატოსთვის მიეცა, რაც კი მოეწონებოდა.

თითიკა დამშვიდდა, თვალები მოიწმინდა და ხელგაპყრობილი ილოცებოდა. ციცო და ანანო წავიდნენ კატოსკენ, რომლის სახლი კარგა მოშორებით იყო. კატო იმ დროს სახლის დერეფანში იდგა, თვალი მოჰკრა თუ არა თავის მეგობარს, საჩქაროდ გამოვარდა და მოეხვია.

— მომილოცავს, ციცოჯან, ბედნიერება! — შესძახა მან აღტაცებით და მიაჩერდა. ისინი დაბრუნდნენ დერეფანში, სადაც იდგა აკვანი. ციცომ ახადა ბავშვს პირსახურავი და ჩვილის უმანკო სახის დანახვაზე ტკბილი გრძნობა მოერია და აკოცა პატარას.

— ამაზე დაჯექ! — უთხრა კატომ ციცოს, როდესაც გამოუ-

ტანა ხის სამფესა. ანანომ თავი მეტად ჩასთვალა და არჩია ორი მეგობარი მარტოდ დაეტოვებინა.

„ჯეელები არიან, ვინ იცის, რის თქმა უნდათ და მე კი აქ ყარყუმივით მივჩერებივარ“, გაიფიქრა მან.

— შვილო, ვინძლო არ მოაწყინო ე შენი მეგობარი სანამ მოვიდოდე, ფეფენასთან საქმე მაქვს, მინდა ხვალისთვის სამტკიცი ვითხოვო, ეგება სამგზავროდ ნაზუქები გამოვუცხო ციცოს, — მოუბრუნდა ანანო შვილს და წამოდგა ზეზე. ციცომ და კატომ კმაყოფილებით გაულიმეს ერთმანეთს.

— მაშ მალე მოგვშორდები, ციცოჯან? მე კი მეშინოდა, ჩემ უნახავად არ წასულიყავ.

— მაგას როგორ ვიზამდი? რა მადლობის მაგიერი იქნებოდა? შენს მეტი ვინა მყავდა ნუგეში, მაგრამ ამ ბოლოს თითქო დამიძვირე ნახვა.

— იიშ, ნუ გამამტყუნებ... აი ეხლა შენც გამოსცადი ქმარშვილობას, ჩემი იდიას გაზდამა, წუთს მოსვენება არა მაქვს, ოჯახი ბევრს შრომას თხოულობს, ყველაფერი ჩემ კისერზეა და რა ვქნა? დროს ველარ ვიხელებ, რომ მეც წუთისოფელში გავერიო.

— შენი დედამთილი არა გშველის?

— როცა სახლშია, ისიც ფუსფუსებს, მაგრამ კარგა ხანია თავის დასთან წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა. როცა ის შინ არის, კიდევ არა მიშავს რა. ეხ, რაც უნდა იყვეს, საწყალი ხალხის ცხოვრებას გემო არა აქვს!.. მეტად ძნელი ყოფილა ქმარშვილიანობა. აბა შენც იტყვი გავთხოვდიო და მეც. სადაც შეძლება და დიდებაა, იქ სიცოცხლე არის, — დაუმატა უკმაყოფილოდ კატომ და მიწას დაუწყო ჯოხით თხრა.

ციცო მიაჩერდა კატოს. მართლადაც, ის გამხდარიყო, სახე მოლაღოდა, თვალები წინანდებურად აღარ უელვარებდა; სამაგიეროდ მისი ფერ-ხორცი და სილამაზე გადასულიყო პაწაწა არსებაში, რომელსაც უზრუნველად აკვანში ეძინა... წუთს რაღაც შიში გამოკრთა ციცოს სახეზე.

— მაშ გათხოვება ძნელი და დიდი მოვალეობაა? ბედნიერი არა ხარ? — ჰკითხა მან.

— აბა რა გითხრა?.. ბედნიერი როგორ არა ვარ, ჩემო ციცო, ქმარ-შვილი თავს მირჩევნიან, მაგრამ ჯანი ვერ უძლებს ამდენ ჯაფას, ილევა და ხალისი იკარგება საცხოვრებლად. შენ

ჩემი გათხოვებიდან ვერას გაიგებ, გაჭირვებაში ხომ არ იქნე-ბი?.. დედოფალს ათასი ჩემისთანა მოახლე გახლდება, — დაუმა-ტა კატომ და გადაარწია აკვანი.

— კატო, წავიდეთ ეკლესიისკენ, — უთხრა ნაღვლიანად ცი-ცომ.

— ბავშვს რა ვუყოთ, თორემ არ დაგზარდები, დედაჩემი მა-ინც არ წასულიყო, — დაუმატა კატომ და მოიხედა, თითქო ვი-ღასაც ეძებსო. მაწ თვალი მოჰკრა პატარა გოგოს, მიიფარა შუბლზე ხელი და გამოხედა.

— პეპელა! პეპელა! — დაუძახა ბავშვს, რომელმაც მოირბი-ნა. — აგრემც დიდ ქალს გაგზრდის ღმერთი, გაირბინე ფეფენა-ანთა, იქ დედაჩემია, უთხარი, აქ მოვიდეს, აბა, დროზე! — კატო კვალად გამობრუნდა ციცოსკენ და განაგრძეს დაპარაკი.

— დედა, ცოტა ხანს იდიაზე თვალი დაიჭირე, ციცოს საყდ-რისკენ გავლა უნდა და მარტო ვერ წასულა, — უთხრა კატომ ანანოს, რომელიც შემოვიდა.

— წადით, შვილო, ბავშვიც რომ არ გამოგეგზავნა, მე მაინც ვაპირებდი მოსვლას, — უპასუხა ანანომ და ჩაჯდა აკვანთან.

კატო და ციცო გაჩუმებულები მიდიოდნენ. ციცო ხარბად აჩერდებოდა ყოველივე საგანს, თითქო უნდოდა უკანასკნელად გამაძღარიყო მათი ყურებით და გონებაში წაუშლელად აღებეჭ-და.

გამოჩნდა ეკლესიის ეზოც. ციცოს ჩვეულებრივად დაუწყო გულმა ძგერა, მაინც ყური არ უგდო და საჩქაროდ გასწია. ის მივიდა საფლავებთან, გულხელი დაიკრიფა და დააჩერდა დედამი-წას, რომელიც მის წინ მდუმარებდა. ციცოს გული უსიტყვოდ, იდუმალად უერთდებოდა დიდედას ნაშთს. საფლავების გარშემო დარგული მშვენიერი ყვავილები, ცაცხვები დამათრობელ სურ-ნელებას გზავნიდნენ, მათზე შემომსხდარი ფრინველები განუ-წყვეტლად ჭიკჭიკ-ფრიალებდნენ. ჰაერში იდგა ჟრიამული, ჟღერ-და რაღაც ტკბილი ხმა.

ციცომ მუხლი მოიდრიკა, ხელის თითები ერთმანეთს გადა-აჭდო, მიიდო შუბლზე და კარგა ხანს დარჩა ასე, თვალები აღეპ-ყრო ზევით, გონება სადღაც გატაცებულიყო, თითქო ეპოვნა ძვირფასი სხეული და მასთან საუბრობდა.

— ღმერთმა გაკურთხოს, შვილო! უფალი წინ გიძღოდეს! —

თითქო ჩურჩულებდნენ დიდედას დადუმებული ტუჩები; დახშულ თვალებში ჩამდგარიყო სინათლე სიცოცხლისა, გაცისკროვნებული; დიდედა კმაყოფილია, ნეტარებს, რადგან ციცო აღარ ეგულება უპატრონოდ, ოხრად.

— მშვიდობით, დიდედა! — წარმოსთქვა ამ დროს ქალმა და თავისი ხმის გაგონებაზე თვითონვე შეკრთა.

„როგორ? კიდევ გამოიხოვება? კიდევ უფრო მეტად უნდა დაშორდეს? დღეის იქით ვეღარ ნახავს ამ საფლავებსაც". ციცოს თვალებიდან ცრემლები გადმოსკდა.

— მშვიდობით, პაპა! — ქვითინით მიმართა ახლა მეორე საფლავს.

— რასა შვრები, ქალო? ხვალ ჯვარს იწერ და დღეს სტირი? — შემოესმა ამ დროს კატოს ხმა და მეგობრის ხელი შეეხო ასაყენებლად. ციცო მაშინვე დანებდა კატოს, წამოდგა ზეზე და დაიწყო ცრემლების წმენდა. მას მოუნდა ცოტათი დაესვენა აქვე სკამზე, კატოს ლაპარაკმა მალე გულიც მოუბრუნა.

— ბატონიშვილი აღდეგრძელა ღმერთმა!

— მოგვილოცავს, ბატონიშვილო! — მოისმა ამ დროს.

ციცომ მოიხედა. ეკლესიის ეზოში შემოსულიყვნენ რამდენიმე დარბაისელი გლეხები და დედაკაცები. ციცომ გაუღიმა მათ და მადლობა გადაუხადა.

— ბატონიშვილო, ხვალ თქვენ ქორწილში ისე გავიბრუჟები, ისე, რომ გონება დავკარგო, — წარმოსთქვა ულვინოთაც თავპირშეწითლებულმა პეტრემ.

— ბატონ როსტომს მთელი სოფელი ჰყავს თურმე მიწვეული და აბა ვინძლო თავი მოვიმხიარულოთ!

— სიბერის დროს ერთს კიდევ წავკვანწავ ხელებს და მერე რას დავეძებ, ვინც უნდა დამძრახოს! — წარმოსთქვა სიცილით ბურთსავით დამრგვალებულმა მოხუცებულმა მართამ.

— გამხიარულება ჩვენ თავზე იყვეს. ისეთს დაირასა და ბუზიკას გავაჩაღებ იმ მშვენიერ ეზოში, რომ სულ თვალები დასწყდეთ ყველასა, — დაუმატა მათიკომ, მართას ახალგაზრდა რძალმა.

— იქნება ი შენ სასახლეშიაც გეწვიო? რას იტყვი, რომ ე ჩემი აძონძილი კაბით მოვცოცდე? იქნება, სახლშიაც არ შემიშვა? — წარმოსთქვა ფეფენამ და ღიმილით შეაჩერდა ციცოს.

— შენთვის ერთი კაი ფერხული შემომიწევია, მიტრო, — მიუბრუნდა მართა ახალგაზრდა ბიჭს, რომელსაც ქამარში ხელი ჩაეყო და შემოჰყურებდა.

კაცები ჩიბუხს სწევდნენ და ხვალინდელ ქეიფის მომლოდინენი ულვაშებში იღიმებოდნენ. ციცოს თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო.

ამასობაში სალამომაც მოატანა და ციცომ წასვლა დააპირა. ხალხი გარს შემოეხვია და ლაპარაკით მიაცილეს როსტომის ეზომდის. კატო დაჰპირდა, ხვალ მთელი დღე მასთან ყოფილიყო და გულაჩუყებული ციცო შევიდა ეზოში, სადაც მოუთმენლად ელოდა გენო. მან რომ დაინახა ნამტირალევი სატრფო, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

— გიტირნია, სიდონი? ეს რა ამბავია? — უსაყვედურა მან და მაგრა მოუჭირა ხელზე ხელი. სიდონიამ გაიღიმა და ვედრებით შეხედა გენოს, თითქო უსიტყვოდ სთხოვდა მოტევებას.

## XII

გენომ და ილარიონმა მალე გამოაწყეს საქმე ჯვარის დასაწერად. მეორე დღეს მლვდელი მოუთმენლად ელოდა ნეფე-პატარძალს ეკლესიაში.

ეკლესია გაივსო ხალხით, მათ შორის ყველაზე წინ დამდგარიყო მორთული კატო, რომ კარგად დაენახა თავისი საყვარელი ციცო. უცებ ხალხმა დაიწყო რყევა და გაისმა ჩურჩული.

— გზა! გზა! მოჰყავთ! — ეკლესიაში შემოვიდნენ როსტომი გენო და ილარიონი. გენოს თვალები უბრწყინავდა, თეთრ ხელთათმანებს აღელვებისგან ჭმუჭნიდა და თანაც ათვალიერებდა იქ მყოფთ.

— გენაცვალეთ, ეს რა დავინახე? პატარძალი სადაა?

— გაგონილა ნეფის ანგრე მარტოდ მოსვლა? — ჩურჩულებდნენ დედაკაცები.

— თავადებმა ეგრე იციან. ეძენეს რო ჯვარი დასწერეს. მაშინდელი მაინც აღარ გახსოვთ?

— დაჩუმდით ერთი და... რას აწრიალდით? ყურები გამოიჭედეთ ჯიჯინით! — წაჰკრა ერთმა ქალმა ქიმუნჯი მოლაპარაკეთ.

— მოიყვანეს! მოიყვანეს! — გაისმა ისევ.

ეკლესიაში შემოვიდა თეთრებში ჩაცმული ციცო, რომელიც ნატალიას მოერთო ელენეს ნაქონ კაბაში და თავზედაც თავისი უხმარებელი ლეჩაქი გაეკეთებინა.

— რა ვუყოთ, შვილო? ისიც შენი დაა, ამ ხელად სანამ სადედოფლოდ გამოგაწყობდი, ძალიან დაგვიანდებოდა. კაბას ყოველთვის იშოვნი, მაგრამ ამისთანა ბედს კი ველარ, — ეუბნებოდა ნატალია ციცოს, რომელსაც რთავდა.

ციცო მომხიბვლელი სჩანდა, თუმცა ფერი აღარა ჰქონდა.

გენო წინ მიეგება, ხელი მოჰკიდა და გვერდით მოიყენა.

პატარა ეკლესიას სადღესასწაულო შეხედულობა მიეღო, სანთლებს პრიალი გაჰქონდათ. ციცო იდგა ერთ ადგილს, თავი ძირს დაეხარა და მიშტერებოდა ანთებულ კელაპტარს, რომელიც ხელში ეჭირა; თანაც ისმენდა მღვდლისგან წარმოთქმულ სიტყვებს, რომელნიც ღრმად ებეჭდებოდნენ გულში. სიდონია ჯვარს იწერდა. დამდგარიყო დიდებული წუთი ცხოვრების განახლებისა. მას ცნობისმოყვარეობა და შიში არა შორდებოდა თავიდან. გენო კი უფრო თამამად იყურებოდა. პირდაპირ მოუსვენრობა ეტყობოდა, უნდოდა მალე მოღებოდა ბოლო ყველა ამას და თავისუფლად დარჩენილიყო ძვირფას არსებასთან მარტოდ. მას არავითარი საეჭვო აზრი თავში არ მოსდიოდა, არამედ უკვე წინდაწინ ჰქონდა ყოველივე წარმოდგენილი და იცოდა, რის შემდეგ რა უნდა ყოფილიყო. ილარიონიც გვერდით მოსდგომოდა ნეფე-პატარძალს და ელოდა, ბეჭდები შეეცვალა მათთვის.

— უფალმა გაკურთხოთ! — მოისმა ყოველ მხივ, როდესაც მღვდელმა ლოცვა გაათავა და შებრუნდა საკურთხეველში. ნეფე-დედოფალს მოეხვია ხალხი და ულოცავდნენ. დედაკაცები გულში იკრავდნენ ციცოს და სიხარულის ცრემლი სდიოდათ თვალთაგან.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ, მაგრამ გული კი გვწყდება, ყმაწვილო, რომ ამ ქალსა გვტაცებ, — წინ წამოდგა ერთი მანდილოსანი და უთხრა გენოს. გენომ გაიღიმა. ციცოს გარს ეხვეოდნენ კატო, ანანო, თითიკა და ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. ციცო მოიქანც-მოიღალა. გენომ შეატყო და ხელი მოჰკიდა.

— მოითმინეთ! თუ გნებავთ კიდევ რისამე თქმა, იქ წამოდით და იქა სთქვით! — უთხრა მანდილოსნებს დაცინვით ილარიონმა. გენომ, როგორც იყო, გამოიყვანა ეკლესიიდან ციცო.

ახლად ჯვარდაწერილნი დაბრუნდნენ როსტომისას. კარებზე ტკბილი შაქრით და პურ-მარილით დახვდნენ როსტომი და ნატალია და დალოცეს. როსტომს მთელი სოფელი მიწვეული ჰყავდა. ეზოში ბუზებსავით ირეოდნენ. ერთის მხრიდან მოისმოდა დაირის ხმა, მეორეს მხრივ ვაჟკაცებს ფერხული დაებათ და გაისმოდა სასიამოვნო გუგუნი. როსტომი თავს მოვალედ რაცხდა ქორწილი გადეხადა ბიძაშვილისთვის; მას უნდოდა მთელი ხეობა მოეწვია, მაგრამ გენომ არ მისცა ნება: არ უნდოდა მეტად გაეხმიანებინა ვადამდის თავისი ამბავი, რომ მამის ყურამდის არ მისულიყო, ვიდრე თვითონ არ ჩავიდოდა.

ციცოს კიდევ ორიოდ საათი დარჩენოდა, რომ გამოსთხოვებოდა იმ ძვირფას არსებათ, რომელნიც აქვე ახლო იყვნენ და შეჰყურებდნენ. სადილის შემდეგ გამოვიდა მათთან და ყველა გარს შემოეხვია.

— ვინძლო არ დამივიწყო, გენაცვალე, — ეუბნებოდა თვალცრემლიანი კატო და ჰკოცნიდა გაფითრებულ ციცოს.

თითიკა და ანანოც წუწუნებდნენ და აღარ იცოდნენ, რითი და რაგვარად გამოეცხადებინათ თავიანთი თანაგრძნობა.

გენო იდგა უკმაყოფილოდ და ელოდა, როდის მოეღებოდა ბოლო ამ უსიამოვნო სანახავს. მან სთხოვა ილარიონს მალე ეტლი დაემზადებინათ, რომ დროზე გასულიყვნენ, რადგან ციცოზე ყველა ეს მეტად მოქმედობდა. ციცო ქვითინებდა გულამომჯდარი, რომლესაც ეთხოვებოდნენ. აგებ ჩაეკრა ნატალიას გულში და კარგა ხანს დარჩა ისე. გარშემო ისმოდა თავშემაგრებული ტირილი.

— რა დაგემართათ, ვეჟო? ხომ არ დაგიჟებულხართ? — შესძახა ამ დროს გაგულისებულმა როსტომმა. — განა ნეფე-პატარძალს ცრემლით აცილებენ? აბა, ბიჭებო, თქვენებურად შემოსძახეთ! — წუთს ჰაერში გაიწკრიალა სიმღერის ხმამ და ქვითინი გააყრუა. როსტომმა დაჰკოცნა ციცო და უშველა ეტლში ჩაჯდომა.

— აბა, შვილო, ვინძლო გვასახელო! იკურთხოს შენი გვირგვინი და ახალი გზა ცხოვრებისა! იმედი მაქვს ღირსეულად შეინახავ როგორც ოჯახს, ისე სახელს და გვარსა! — დალოცა თუ არა როსტომმა, ეტლიც დაიძრა. თვალცრემლიანი ციცო უყურებდა, ქუდს როგორ უხდიდნენ გლეხები, დედაკაცებს კი გულხელი დაეკრიფათ და ნაღვლიანად მისჩერებოდნენ.

ციცოს თვალწინ კრთებოდნენ ძვირფასი ადგილები, რომელთაც შორდებოდა და ცდილობდა გულში სამუდამოდ ჩაესახჩაეხატა ყოველივე.

სოფელსაც გასცდნენ. გაიჭიმა თვალუწვდენელი მინდვრები. შეწყდა წარსული ცხოვრება. ციცო დარჩა გენოსა და ილარიონის ამარა. ქალს სხეულში ჟრუანტელმა დაუარა; ლონემიხდილი მიენდო ეტლის საზურგეს...

## ნაწილი მესამე

### I

ქალაქის ერთ პირველხარისხოვან სასტუმროს მდიდრულად მორთულ ოთახში დივნისთვის ზურგი მიეყუდა სიდონიას; თვალები მორღვეოდნენ, ტუჩებთან აქა-იქ ლაწვებზე დურჯი ფოდაქები დასჩნეოდა; ჩამოშორებოდა წინანდელი უმანკო იერი, ცხოვრებისთვის პირდაპირ თვალებში შეეხედა, შინდისფერი კაბა ცოტათი უფერიანებდა გაცრეცილ, მოღალულ სახეს.

უცხო იყო ეს ოთახი და მისი მოწყობილობა, სადაც რაღაც მოუხერხებლობას გრძნობდა ქალი. თვალები ამაოდ ეძებდნენ დასასვენებელ მყუდრო კუთხეს. მაღალი კედლები, ძვირფასი ფარდებით გაწყობილი ფართე სარკმელი, საიდანაც მოსჩანდა მწვანე ხეებით დაჩრდილული ბაღი, ქრიამული, ხრიალი, ყველა ეს ღადავდა ქალის გონებას.

რა მოხდა გუშინდელს აქეთ? სიდონიას ეხლაც ყურში უდგას მატარებლის ქშენა, ქოთქოთი. ის მოჰქროდა, გველეშაპივით მოაპობდა ჰაერს, იტაცებდა შორს, აცალკევებდა, კავშირს აწყვეტინებდა ყველაფერთან, რასაც შეეძლო წარსულის გახსენება, მაგრამ სიდონია არ ეშვებოდა გავლილ ცხოვრებას, ითვალისწინებდა თვითეულ წვრილს, თვით იმ მწვავე წუთებსაც კი, რომელნიც ოდესმე ცხარე ცრემლს აღვრევინებდნენ, რადგან დღეს ისინიც კი მოსჩანდნენ მიმზიდველად.

რისთვის? ნუთუ სიდონია არ იყო კმაყოფილი დღევანდელის დღით? სიდონიას ამ საკითხზე გონება ერეოდა და სწორე პასუხს ვერ არკვევდა. დარწმუნებული კი იყო, რომ დღევანდელი კნეინა სიდონია მარტო აჩრდილად მოსჩანდა გუშინდელ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც გენოსთან ხელი-ხელ გადაჭდობილი მატარებლის სარკმელთან იდგა და დაკვირვებით უყურებდა თვალწინ გამომკრთალ ბუნების სურათებს, ყურში შეესმოდა გენოს ტკბილი ალერსი; ვერც კი გაიგო, როგორ მოვიდნენ დანიშნულ ადგილს. ეტლმა წუთს გააჩერა დიდებულ სასასტუმროსთან; ის ღიმილით უყურებდა გენოს, რომელიც ამაყად ბრძანებლობდა გარშემო და მის წინ ყველანი თავს იხრიდნენ.

სიდონია დარჩა გენოსთან მარტოდ ოთახში. აქ ქალს გაახრიალდა და თვალებზე ხელები მიიფარა. ყველაფერი მსწრაფლ შეიცვალა. სიდონიას მთელმა არსებამ იგრძნო რაღაც საშინელი დამცირება, თითქმის შეურაცხყოფა, გარდიქცა უსულო საგნად. გენოს ჩამოშორდა წინანდელი მოწიწება და ვნებისგან გატაცებულმა თავის საქციელს სამზღვარი დაუკარგა.

დღეს სიდონია გარეგნობით დიდებული მოსჩანდა, მაგრამ გულში გაწბილებას გრძნობდა. სიდონია თავის თვალში არარა გამხდარიყო, გამქრალიყო მისი საკუთარი არსებობა, სახელი, სხეული, სურვილი, — ყველა ეს სხვის ხელში გადასულიყო.

— რად დაღონდი, სიდონი? — მოისმა ამ დროს კვალად ალერსიანი ხმა. სიდონია შეკრთა, მოიხედა. გენოს პირი დაებანა და იმშრალებდა.

— ხომ არ მოგეწყინა? აი ეხლავე დავლიოთ ჩაი! შენ ჩემი ცოლი ხარ და აბა, ვინძლო შენი მოვალეობა კარგად შეასრულო, დაიწყე დღეიდან!

სიდონიამ ხმა არ გასცა, მარტო ნაღვლიანად გაიღიმა, წამოდგა ზეზე და მივიდა მოჩუხჩუხე სამოვართან. გენოც სერთუკში გამოეწყო და ალერსით დაუკოცნა ციცოს თვალები.

„გენო ისევ ის არის, რაც იყო წინათ, ეს კი?“.. ამ გახსენებაზე ქალი კვლავ შეკრთა და თვალები ძირს დახარა.

— იცი რას გეტყვი, სიდონი? მე ეხლა წავალ ილარიონთან. უნდა მოველაპარაკო, როგორ გავუმჟღავნო მამაჩემს ჩვენი ჯვარის დაწერა.

სიდონია გაფითრდა. შეშინებული თვალები მიაშტერა ქმარს.

— რა იყო?.. რაზე შეშინდი?.. მე მალე მოვალ.... აქ ყველა მიცნობს, ფულიც რომ შემომაკლდეს, მენდობიან და არაფერს მოვაკლებ, ჩემო ძვირფასო! ბევრი-ბევრი ერთი კვირა დაიჭიროს თავი მამაჩემმა, მერე ვეღარ შესძლებს და გადაგვიყვანს ჩვენს სახლში. შენც უნდა გამოეწყო. ეს ორი დღე მოვიცადოთ და მერე წავიდეთ სავაჭროდ. ხომ კმაყოფილი ხარ? — დაეკითხა კვალად გენო.

სიდონიამ გაიღიმა. ის ახლა თითქო თანდათან მშვიდდებოდა. სიდონია დარჩა მარტოდ, მაგრამ შემაწუხებელ ფიქრებს ადარ მისცემია. წუთს ჩამოიშორა საშინელი შთაბეჭდილებანი და თვალწინ დაიყენა გენოს თავშეწირული გრძნობა.

— გენოს ვუყვარვარ! გენო ჩემია და მე მისი... ნეტა სხვა რაღაა საჭირო? ოხ, რა უმადურია სიდონია! სიყვარული ხომ მსხვერპლს ითხოვს და ნუთუ სიდონიასთვის ძნელია მთელი თავისი არსება შესწიროს საყვარელ არსებას, რომელიც ასე ზრუნავს და ფიქრობს მისთვის? მაშ რად ეწინააღმდეგება ბუნებისგან დაწესებულ ხვედრს? რისთვის უნდა თავისი თავი, არსებობა, თუკი მარტოდმარტო იქნება და საზრუნავი არავინ ეყოლება?

სიდონია თითქო გამოფხიზლდა, ლოყები შეუწითლდნენ, მივიდა საწოლთან და მისდო ბალიშზე თავი, შევიდა ოცნებაში; ახალ მომავალ ცხოვრებას ია-ვარდით ამკობდა და საყვარელ გენოს ფიანდაზად უფენდა. შუადღე გადაწეული იყო, როდესაც გენო დაბრუნდა ილარიონთან ერთად. გენო დაღონებული იყურებოდა, რადგან მამა არამც თუ გასწყრომოდა, არამედ სახლიდანაც კი გამოეგდო. ამას არ მოელოდა ნებიერი შვილი. ეგონა, როგორც კვლავ, ისე ეხლაც შერჩებოდა თავისებური სიცელქე, მაგრამ მოსტყუვდა. მამამისი მეტის სიბრაზისგან ცოფებსა ჰყრიდა პირიდან.

— იქით, შე უმსგავსო, უმადურო! აღარ მომეკარო! თავი დამანებე, წაეთრიე ი შენ ცოლთან და უკან აღარ მოიხედო! — აი რა სიტყვებით გამოისტუმრა მამამ გენო. მაგრამ ილარიონმა, როგორც იყო დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ ჭექა-ქუხილი მალე დაწყნარდებოდა და გამარჯვებული ისევ გენო დარჩებოდა.

გენო გამოეშურა სიდონიასკენ, რომელიც მარტოდ ეგულებოდა სასტუმროში. სიდონიამ, შეხედა თუ არა ქმარს, მიხვდა კარგი არა მომხდარიყო რა და არჩია აღარ შეჰკითხებოდა; მარტო

თანაგრძნობით უყურებდა თვალებში და უსიტყვოდ ეხვეწებოდა:

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო, რომ ასე გაწვალებ! სამაგიეროდ თავს შემოგევლები!

გენომ, როგორც იყო, გული მოიბრუნა; გადასწყვიტა აღარ შეეწუხებინა მოხუცი მშობელი, ვიდრე თვითონ არ მოაკითხავდა. ილარიონი აღარ გაუშვა უსადილოდ და სადილის შემდეგ თვითონაც, მეგობართან ერთად, გაისეირნა ჭაერზე ჯავრის გასაქარვებლად.

სიდონიას არა სწყინდა, რომ მთელი დღე თითქმის მარტოდ რჩებოდა: შედიოდა ქმრის მდგომარეობაში და ეცოდებოდა.

— ღმერთო, როდის გათავდება ყველა ეს, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს გენომ? — წარმოსთქვა გრძნობით და გამობრუნდა კარებიდან, რომლესაც გენო და ილარიონი გავიდნენ.

გავიდა ორი დღე. სიდონიას ნელ-ნელა ჩამოშორდა მოღალულობა, ფერი მოუვიდა და ერთიორად დამშვენდა. მარტო გენოს ვერ მოესვენა; მისი თვალები აღარა ხატავდნენ აღტაცებას სიდონიასადმი და ავსილიყვნენ გაუგებარის ნაღვლით. სიდონია ქმრის უკმაყოფილებას აწერდა მამა-შვილში ატეხილ უსიამოვნობას.

— გენო! გენო! — მოისმა მოულოდნელად კარებთან ძახილი, როდესაც გენო წამოწოლილიყო დივანზე და ზარმაცად ათვალიერებდა გაზეთს; თან ამთქნარებდა, თუმცა თავით უჯდა მშვენიერი ცოლი, რომელიც ნაზად ხელს უსვამდა შავად მბზინავ თმაზე და ეალერსებოდა. გენომ ხმაზე იცნო მეგობარი და წამოვარდა ზეზე.

— მამაშენი გიბარებს, კაცო! დღეს ადრიანად ბიჭი გამომიგზავნა, მთხოვა მივსულიყავი, — ამ სიტყვებით ოთახში შემოვიდა ილარიონი და ჩაჯდა სავარძელში. გენო და სიდონია სმენად გადაიქცნენ.

— ჩქარა სთქვი! — შესძახა გენომ, როდესაც დაინახა, რომ ილარიონმა გაწყვიტა ლაპარაკი, სერთუკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და დაიწყო პაპიროსის ძებნა.

— დამაცა, სული მომაბრუნებინე! რა მოუთმენლობა გმართებს? რასაკვირველია, მე მაშინვე წაველი. მამაშენი ლოგინში დამხვდა, — განაგრძო ილარიონმა, ჩაიდო პირში პაპიროსი და ახლა წუმწუმა გაუხდა მოსაძებნი.

— რა დაგემართა, კაცო, რას ჩერდები? მალე სთქვი და! — შესძახა ისევ მოუთმენლად გენომ, წამოდგა ზეზე და დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული.

— დამინახა თუ არა მამაშენმა. — განაგრძო იდარიონმა აუჩქარებლად, — თვალები მილულა და დასუსტებულის ხმით წარმოსთქვა: იდარიონ, შვილო! შემომხედე რა დღეში ვარ! ავადმყოფი, უპატრონო. უთხარი, გეთაყვა ი ჩემ შვილს თავის უნახავს ნუ მომკლავს. რაც იყო იყო, მადლობა ღმერთსა!..

გენოს შიშისგან თვალები გაუგანიერდა. მიუახლოვდა იდარიონს, ხელი დაადო ბეჭებზე და დაკვირვებით მიაჩერდა.

— იდარიონ, ნუთუ ჩემის მიზეზით უნდა დაემართოს რამე?..

იდარიონმა გაიღიმა.

— დაემართება და დაემართოს, რა! როდემდის უნდა იყვეს? შენ რა შუაში ხარ მერე?

— როგორ თუ რა შუაში ვარ? ეღდაზე კაცს ყველაფერი მოუვა.

— კარგი, დამშვიდდი! მგონი, მამაშენი იგონებს კიდევაც. რომ შეგირიგოს. წამო, ნუ აგვიანებ!

— ნეტაი მართლა აგრე იყვეს! — წამოიძახა სიხარულით გენომ და მსწრაფლ ქუდს ხელი დაავლო.

— სადილად ნუ მომიცდი, სიდონი! იქნება დამაგვიანდეს. — მოსძახა ცოლს და ხელი წაავლო ამხანაგს.

სიდონია გულხელდაკრეფილი განაგრძობდა დივანზე ჯდომას. ნაღვლიანად თვალი გააყოლა გენოს და, როდესაც მან კარი გაიხურა, მძიმედ ამოიოხრა და მიიფარა თვალებზე მრთოლვარე ხელები.

— მართლა რომ მოკვდეს ეღდაზე ის მოხუცებული, ეს ხომ სულ სიდონიას ბრალი იქნება?.. გენომ ხომ შეიძაგა, საუკუნოდ საყვედურში ჩააგდო?

ამ გახსენებაზე სიდონიას ჟრუანტელმა დაუარა სხეულში. მეტად მძიმე წუთები დამდგარიყვნენ. ყველაფერი შავ ღრუბლებში იბურებოდა.

— სად არის ბედნიერება? — წუთს გაეუდვა თავში სიდონიას და თვალები გაუფართოვდნენ, განუსაზღვრელი შიში გამოკრთოდა მათში.

— არა! ეს მოკლე ხნისაა. ყველა ამას მალე ბოლო მოეღება. მამა შეურიგდება, გენოც დამშვიდდება და დაუბრუნდება სიდო-

ნიას. შავ ფიქრებს მოჰყვნენ ეს საიმედო მოსაზრებანიც. სიდო-ნიამ ცოტათი შვება იგრძნო. მან მოითხოვა სადილი და დაიწყო უგუნებოდ ჭამა.

რამდენისამე ხნის შემდეგ ოთახის კარი უცბად გაიღო. გენო გატკრციაღებულის სახით შემოვარდა და, რომ დაინახა დივანზე მიძინებული, ფერწასული სიდონია, შედგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა და გაჩერდა მის წინ. სიდონია დამშვიდებით სუნთქავდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ წინათ ბევრ მტანჯველ ფიქრებით დაქანცულიყო. მეტად მშვენიერი იყო სიდონია ამ წუთებში; გენომ რამდენჯერმე კმაყოფილებით გადისვა თმაზე ხელი და განაგრძო ცქერა, თუმცა მის თვალებში აღარ იხატებოდა წინანდელი გრძნობა. ქალი შეინძრა.

— სიდონი! — მოესმა ფრთხილი ძახილი.

სიდონიამ გაახილა თვალები და, რა დაინახა ოთახში გენო, საჩქაროდ წამოვარდა ზეზე.

— მოსვედი? გელოდი და ლოდინში ჩამძინებია.. რას იტყვი? — წარმოსთქვა მან და თან გაფითრდა.

— მამაჩემმა შემირიგა, სიდონი!

— თვითონ როგორღაა? — იკითხა კვალად შეშინებულმა სიდონიამ.

— ჩემს ბედზე მართლა ავად გამხდარიყო, შეშინებოდა და გული მოეჩრუნებინა; შევედი თუ არა, ღიმილით ხელი გამომიწოდა და მკითხა: გენო, მარტო ხარ? რა უყავ შენი ცოლიო? — მე ხელზე ვაკოცე და ვთხოვე ეპატიებინა. მამამ დამლოცა და ბოლოში წაიხადა, რომ საზლვარი დაჰკარგა და თვითონაც არ იცოდა, რასა შვრებოდა. მთხოვა მიგიყვანო და დავივიწყოთ, რაც უსიამოვნება მოგვაყენა. მეც საჩქაროდ მოვიყვანე ექიმი, რომელმაც გამშინჯა და მითხრა, რომ ძარღვები მოშლია, სისხლი თავში ავარდნია და საჭიროა დამშვიდებული ცხოვრება და ხელის შეწყობაო. მამაჩემმა პურის ჭამაც არ გამათავებინა, გამომგზავნა, მალე მიგიყვანო, თორემ ისევ ცუდათ გავხდებიო. ასი თუმანი მომცა, შენ და შენმა ცოლმა მოიხმარეთ საჭიროებისთვისო. შენ რას იტყვი, სიდონი? — დაუმატა გენომ.

— რა უნდა ვთქვა, გენაცვალე? როგორც მამაშენს უნდა, ისე მოვიქცეთ, — მიუგო სიდონიამ და დამშვიდდა, რომ მოხუცი საშიშოდ არ იყო ავად.

— მაშ წავიდეთ, რაღა! — შესძახა გენომ და ზარი დარეკა, რომ ანგარიში მოეთხოვა.

სიდონია ღელავდა. ის წამოდგა ზეზე, შეუდგა ბარგის ჩალაგებას, თანაც რაღაც განუსაზღვრელი შიშისაგან მთელის სხეულით თრთოდა.

— ღმერთო, დამიფარე! — იმეორებდა გულში და მძიმედ სუნთქავდა. მეორეს მხივ კი უნდოდა, მალე მოღებოდა ამ წამებას ბოლო და დამშვიდებულიყო.

II

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მშვენიერ სახლთან გაჩერდა ეტლი. გენო გადმოხტა. წუთს დერეფნის კარი გაიღო და გამოჩნდა ფრაკში გამოწყობილი მსახური, მას მოჰყვა მეორე და დაიწყეს ეტლიდან ბარგის დაგება. გენომ უშველა ეტლიდან გამოსვლა სიდონიას, რომელიც თითქმის გონებას ჰკარგავდა, მუხლები ეკეცებოდა; აიარა კიბის რამდენიმე საფეხური, რომელიც მოფენილი იყო ძვირფასი ხალიჩებით; კარიც გაიღო.

— შეჩერდი, სიდონი! — უთხრა ცოლს გენომ, როცა მოისმა ფეხის ხმა. — ყოჩაღად დადექი, მამა მოდის! — წასჩურჩულა კვლავ გენომ. ჯერ არ გაეთავებინა ეს სიტყვები, რომ მათ წინ გამოჩნდა მაღალი, წელში მოხრილი მოხუცი სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი, ხელში ხატი ეჭირა. მისი სახე ყვითლად იყურებოდა, დაბუშტული თვალები უსიტყვოდაც ამტკიცებდნენ, რომ ჯანმრთელი არ უნდა ყოფილიყო. მოხუცი იღიმებოდა და დაკვირვებით მიჩერებოდა ქალს.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ, შვილო! — წარმოსთქვა მოხუცმა, ხატი მიუტანა ჯერ გენოს და მერე რძალს და ამთხვევინა, შემდეგ გადასცა გენოს. თვითონ კი გულში ჩაიკრა ორივე ცოლქმარი. მოხუცებული აღელვებული იყო და თვალცრემლიანი რალასაც უხმოდლა ჩიფჩიფებდა. როგორც იყო, თავი შეიმაგრა და შემდეგ მკლავი გაუწოდა სიდონიას, რომელიც ძლივსღა ადგამდა ნაბიჯს, გარშემო სიდიადე და სიმდიდრე მეტად აფრთხობდა, თავგზას უკარგავდა.

სიდონიას უნდოდა თვალები დაეხუჭა და ისე დარჩენილიყო რამდენსამე ხანს, რომ ცოტათი დაესვენა. თანაც თავს ძალას

ხტანდა გონება მოეკრიბა, რომ მზადა ყოფილიყო ჯეროვანი პასუხისთვის, რომელიც უეჭველია, მალე დასჭირდებოდა მამამთილის კითხვებზე.

მოხუცებული წაუძღვა შვილს და რძალს პირდაპირ სასადილო ოთახში, სადაც ძვირფასი საჭმელები აჭრელებდნენ სუფრას. შამპანური ღვინის ბოთლები და ჭიქები დაეჭირათ მოსამსახურეთ, ერთ ადგილს გამოჭიმულიყვნენ და ელოდნენ ბრძანებას. მოხუცებული დაჯდა სუფრის თავში, რძალსა და შვილს შუა. ღიმილით უყურებდა სიდონიას; ეტყობოდა, სტკბებოდა მისი მშვენიერებით და აღარ უკვირდა გენოს მხივ ასეთი ურჩობა.

— აჰა, შვილო, დოვლათით სავსე ოჯახი! ახლა შენ იცი, როგორც გაუძღვები! — ამ სიტყვებით მოუბრუნდა რძალს: — მე ეხლა მოხუცებული ვარ, დამშვიდებული ცხოვრება მჭირდება, ორი დღის სიცოცხლე დამრჩენია და იმედი მაქვს, ტკბილად გამატარებინებთ უკანასკნელ წუთებს. გულში ნუ ჩაიხვევ იმ უსიამოვნებას, რომელიც მოგაყენე, ნუ გამამტყუნებ, შვილო! ყოველი მშობელი უფრთხილდება თავის შვილს და იფარავს განსაცდელისგან. შენ არ მენახე, არ გიცნობდი, მე კი მინდოდა, გენოს ჩემი არჩეული ცოლი მოეყვანა, მაგრამ ბედმა უკეთ მოაწყო, — მოხუცებული დაპარაკის დროს ისევ ღიღავდა. სიდონიას თვალები ძირს დაეშვა და მორჩილებით უსმენდა, თან ხანდისხან თვალს გაატარებდა და სინჯავდა ოთახის მოწყობილობას, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა. ადარებდა თავისი პაპის სამ ღარიბ, პატარა ოთახს, მათზე უფრო უღარიბესს ანანოს ქვეულს და ამ დიდებულ სასახლეს. მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. სიდონიას ბედს ღონივრად მოექნია ფრთა, გადატრიალებულიყო და ესეც გადაეფრინა საზღაპრო ქვეყანაში.

გენო ჩვეულებრივად ისევ გათამამებულიყო და თავს კმაყოფილად გრძნობდა. ჭიქებში აშუშხუნდა შამპანური, რომლითაც ძლივს ტუჩები დაისველა სიდონიამ.

მელე ვახშამსაც ბოლო მოეღო. მოხუცი სუსტად იყო და მოსვენება ესაჭიროებოდა. საათმა დაჰკრა ათი და მოხუციც წამოდგა.

— უკაცრავად, ჩემო რძალო, თუ ეხლა თავს დაგანებებ! რა ვქნა? არ შემიძლიან, თუ არ დავიძინე; დღეს თქვენის გულისთვის ავდექი ლოგინიდან, თორე არ შემეძლო.

სიდონიამ ხელი მიაშველა მოხუცებულს და მიაცილა ოთახის კარამდის, სადაც იმან გაუღიმა, დაიხარა, აკოცა ხელზე და გასწია საწოლისკენ.

სიდონიამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც გენოსთან დარჩა, თანდათან დამშვიდდა და უფრო დაკვირვებით დაუწყო თვალიერება ყველაფერს; თან ცდილობდა შეეფერებინა ახალი სანახავი, რომ სისამე არავის შეემჩნია.

გენომ დაიწყო ოთახში სიარული. მოსამსახურეები სუფრას აღაგებდნენ.

— სიდონი, ჩვენც მოვნახოთ ჩვენი ოთახი, — უთხრა გენომ. სიდონიას იამა, რომ აქედან გავიდოდა და საჩქაროდ გაჰყვა ქმარს. სიდონია დაქანცული იყო და მალე მოსვენებას მისცა თავი.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა სიდონიას. გენო ოთახში აღარ იყო. ეტყობოდა, ველარ მოეთმინა, რომ ოჯახისთვის არ მიეხედა. სარკმელში შემომდგარი მზე სხივებით დასთამაშებდა უმისოდაც გაკრიალებულ საწოლს. სიდონია საჩქაროდ წამოვარდა და დაიწყო ჩაცმა. ოთახში მარტო უსაჭიროესი საგნები იყო, მაგრამ თვითეული მათგანი ძვირფასად ღირდა. თუნდ ის უზარმაზარი სარკე, რომელშიაც იხატებოდა მთელი ოთახი და თვით სიდონიაც, მოხდენილი მარმარილოს პირსაბანი და ძვირფასი საწოლები. ყველა ეს ეუცხოებოდა სიდონიას, რომელსაც დღემდის არა ჰქონია რა და დღესაც თავისი თავი სტუმრად მოსული ეგონა ამ სახლში: გული უმძიმდებოდა და ჩქარობდა ოთახიდან გამოსვლას. სიდონია დიდხანს არ მოუნდა პირის ბანას, გამოვიდა გენოს სამუშაო ოთახში, გაიარა კიდევ ოთხი-ხუთი ოთახი, რომლებიც ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მშვენიერებით; ის წუხანდელივით აღარ იბუზებოდა, ამაყად აელო მაღლა თავი და უღიმოდა მოსამსახურეებს, რომელნიც მოწიწებით მოსჩერებოდნენ.

ქალი შევიდა სასადილო ოთახში, სადაც მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა და, როგორც ეტყობოდა, ელოდა დიასახლისს, რომელიც შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

პატარა ხანს უკან მამა და გენოც გამოვიდნენ მოხუცის ოთახიდან. მამამთილმა ხელზე აკოცა რძალს და დაიჭირა თავისი ადგილი.

ჩაის შემდეგ მამამთილმა დაატარა მთელი სახლი, მისცა გან-კარგულება, აუხსნა თავისი წესი და ჩვეულება ოჯახში და სთხო-ვა შვილებს არ შეეცვალათ. სიდონია დღითი დღე შეეჩვია ახალ მდგომარეობას; მთელი დღეები ფეხზე იდგა, ადვილი არ იყო ამოდენა ოჯახის გაძღოლა. მოხუცი მოიხიბლა რძლის ქცევით, სიდონიაც ცდილობდა მამამთილისთვის ხელი შეეწყო, საღამო-ობით მთელ საათებს ატარებდა მის ოთახში, უკითხავდა სხვა-დასხვა წიგნებს, უამბობდა საყურადღებო შემთხვევებს, ანუ-გეშებდა ავადმყოფობის შესახებ და მალე სიდონია გახდა საერ-თო საყვარელი მთელ სახლში. მამამთილმა სახსოვრად მრავალი ძვირფასი ნივთი აჩუქა, სიდონიაც გამოეწყო ყველაფრით, დაშ-რიალებდა ძვირფასი ტანისამოსით და ყველა მნახველს ატყვე-ვებდა.

მოხუცებულს მოთხოვნილებად გადაექცა დღეში ორჯერ გაე-სეირნა ეტლით ქალაქის ქუჩებში რძალთან ერთად; მთელი ქალაქი ყურადღებას აქცევდა მათ და სიდონიას მშვენიერება სადაპარა-კოდ გამხდარიყო.

სიდონიას თანდათან ნაკლებად უხდებოდა გენოსთან დარჩე-ნა. მარტო დილით თუ მოასწრებდა მასთან ყოფნას. დანარჩენ დროს ვერც კი ხედავდა. ის, როგორც ეუბნებოდა, საქმეების გა-მო დადიოდა გარეთ. სიდონიამ მალე იგრძნო ერთფეროვნება თავის ოჯახისა, ღრმად იხედებოდა ცხოვრებაში, აკვირდებოდა მოხუც მამამთილს, რომელიც ნახევრად გონებაგამოლეული, თითქმის დადამბლავებული, კიდევ თხოულობდა ყველა მისი მონამორჩილი გამხდარიყო, გაერთოთ და მისი სურვილების თანახმად მოქცეუ-ლიყვნენ.

მოხუცი ხშირად მოუყვებოდა ხოლმე რძალს თავის წარსულ ცხოვრებიდან იმისთანა შემთხვევებს, რომელნიც ამტკიცებ-დნენ მის მსუბუქ ზნეობას. სიდონია ხანდისხან კიდევაც შეამ-ჩნევდა ხოლმე, თვალები როგორ მაცდურად უციოდნენ, ტუჩები უხეიროდ ელიმებოდნენ და დამჭკნარი სახე მეტად უსიამოვნო შესედულებას იღებდა. ბებრის ფერაობა დღითი დღე სამძიმო შეიქნა; მოუხცს ეშინოდა მარტოდ დარჩენისა და რძალს არ იშო-რებდა. სიდონიაც ნებაუნებლიეთ უნდა დამორჩილებოდა, გენო კმაყოფილი იყო, როდესაც ხედავდა ცოლის ასეთს მორჩილებას მამამთილისადმი.

როდესაც მოხუცს ჩაეძინებოდა, სიდონია გამოვიდოდა სასტუმრო ოთახში, ჩაჯდებოდა სავარძელში და გარინდებული იყურებოდა.

ოქროთი მოვარაყებული კედლები, სხვადასხვაფერ ხავერდგაკრული სკამები, დიდრონი ბრჭყვიალა ჭაღები და სარკეები უძრავად მოსჩერებოდნენ. სიდონია გრძნობდა მოწყენილობას, ეს სიმდიდრე მას აღარ ახალისებდა.

— ნეტაი იმდენი რა საქმეები აქვს გენოს, რომ სახლში აღარ ჩერდება?

— ქონებას მოვლა და პატრონობა უნდა, ქალო! — ეუბნებოდა ის, როდესაც სიდონია ეკითხებოდა გარეთ სიარულის მიზეზს.

— რასა სწერ, გენო? — ჰკითხა ერთხელ სიდონიამ, როდესაც დაინახა ქმარი სამწერლო მაგიდასთან. წინ დაედო რვეული, შუბლზე ხელები მიებჯინა და რაღაც ფიქრებში შესულიყო. გენო გამოერკვა, როდესაც სიდონიას ხელი შეეხო, მოიხედა, შეხედა ქალს, რომელიც ჩააჩერდა თვალებში. სიდონიას მოეჩვენა, რომ ეს თვალები უყურებდნენ ცივად...

— ეხლა ხომ მოიშორე ყველა შემაწუხებელი გარემოებები, გენო, შენ კი მაინც მოწყენილი ხარ, — უთხრა სიდონიამ.

გენო მოტრიალდა, გადაწვა სავარძელში. სიდონია უფრო ახლო მივიდა.

— მე შენ აღარ გიყვარვარ, გენო? — დაიჩურჩულა ქალმა და კვალად ხელი შეახო.

— რაზე მატყობ?.. — ჰკითხა ღიმილით გენომ.

— წინანდებურად აღარ მეალერსები.

— წინანდებურად?!. — ფიქრიანად გაიმეორა გენომ და თმებზე ხელი გადისვა.

— წინათ სხვა იყო, ჩემო სიდონი, და ეხლა სხვაა.

— როგორ?..

— წინათ მეშინოდა, ხელიდან არ გამცდოდი, მწყუროდა ჩემი გამხდარიყავი და ამ სურვილით იყო მთელი არსება მოცული, ეხლა კი... გრძნობა უფრო დამშვიდებულია... — უპასუხა ალერსით გენომ.

— ოხ, არა, გენო, მე ეგ დამშვიდება არ მაკმაყოფილებს... მე მინდა ისევ ის წინანდელი გენო იყვე, როგორიც იყავი ქორწინების წინა დღეებში... მე მინდა ეს თვალები იმ მწვავე ნაპერ-

წკლებს აბნევდნენ, როგორც მაშინ, — ამბობდა დოყებშეწითლებული, გრძნობით აღფრთოვანებული სილონია და თან უკოცნიდა გენოს სახეს.

— ბავშვი ხომ არა ხარ, სილონი?.. შეუძლებელია, ეხლა მთელი ოჯახი კისერზე მაწევს და ათასი საქმეები მაწუხებენ. არ მესმის, ამაზე მეტი კიდევ რა გინდა?.. მიიხედ-მოიხედე, ნუთუ გაკლია რამ?..

— შენი ალერსი, გენო, შენთან ყოფნა! მე თავს მოწყენითა ვგრძნობ უშენოდ. ეს დიდებული სახლი მაშინებს... — ქალი ნაღვლიანის ღიმილით ჩაჯდა სავარძელში, მაგრამ ისევ მალე წამოდგა, მოხვია ქმარს მკლავეპი და თავით მიენდო მკერდზე.

გენოც ხელით ეფერებოდა და შუბლზე ჰკოცნიდა. სილონიას წუთს ჩამოშორდნენ ეჭვები, დარწმუნდა, რომ გენო კვლავინდებურად მისი იყო და, თუ ერთმანეთს ხშირად ვერ ხედავდნენ, მართლაც ეს სუდ ოჯახის წვრილმან, ყოველდღიურ მოვალეობების ბრალი იყო და უამისოდაც არ შეიძლებოდა ყოფნა...

გენოზე იმოქმედა სილონიას ჩივილმა, უკმაყოფილებამ, რომ მარტოდ რჩებოდა, და აღარ იწევდა გარეთ; ცდილობდა, მეტი ხანი სახლში დარჩენილიყო, მაგრამ სწყინდებოდა და არ იცოდა თავი რითი გაერთო. წიგნების კითხვა არ უყვარდა; ხანდისხან ერთად გასეირნება თუ გამოიყვანდა ხოლმე მოწყენილან. გენო აგონებდა სილონიას, რომ ისინი უნდა უეჭველად წასულიყვნენ სადარბაზოდ ზოგიერთ მახლობელ ოჯახებში, მაგრამ ამასთანავე ამჯობინა აგარაკიდან დაბრუნების შემდეგ შეესრულებინათ ეს სურვილი.

— ნუ გავყვებით უცხო ხალხს, სილონი, მოსვენებას აღარ მოგვცემენ, ზოგი ფულს დაგვესესხება, ზოგი ვინ იცის რა ეშმაკობით არ შემოგვეჩვევა. ხალხი წახდა და ადამიანი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყვეს. რა საჭიროა ჩვენთვის სხვა ვინმე? ღოვლათით სავსე ოჯახი, ერთმანეთის სიყვარული, ნუთუ კიდევ გარეშე ვისმესთვის უნდა მოვიცალოთ?

ოხ, ბედნიერი იყო სილონია, როდესაც შეესმოდა ქმრის მომაჯადოებელი სიტყვები. მზად იყო მარადჟამს დაჟინებით მოესმინა ერთი და იგივე და არც მოსწყინდებოდა. ამ სიტყვებით მოხიბლული სილონია გახალისდა. ოჯახს, საყვარელ ქმარს და მოხუცებულ მამამთილს ერთგულად თავს ევლებოდა.

III

შეუმჩნევლად გარბოდნენ დღეები. გაზაფხული გაიღია, ზაფხულის მწვავმა სიცხემ მოაძებნინა ქალაქის მცხოვრებთ გრილი ადგილები. გენოს მშვენიერი სახლი აყვავებული ბაღით, რომელშიაც შადრევანი სჩქეფდა და სველი ნამით სულს უბრუნებდა გარშემო მცენარეთ, ველარავის იცავდა სიცხისგან მეტადრე მოხუცებული შეწუხდა და სისუსტემორეული ეხვეწებოდა შვილს, მალე გაეყვანათ შემაღლონებელ ქალაქიდან. თუმცა გენოს დიდი ხანია ეღოდა საუცხოვო აგარაკი ბორჯომში, მაგრამ ამათ არჩიეს წასულიყვნენ მყუდრო ადგილას, სადაც ვერაფერი ვერ დაურღვევდათ მშვიდობიან ცხოვრებას.

— არ მომწონს ბორჯომი, ისევ ის შემავიწროებელი ქალაქია, სადაც ადამიანი მოკლებულია თავისუფლებას და იქანცება საზოგადოების სულელური წესების ასრულებაში. წავიდეთ ჩვენს პატარა სოფელში, სადაც მარტო ჩვენ ვიქნებით ბატონები, როგორც გვინდა ისე ვიცხოვრებთ და ვისარგებლებთ წმინდა ჰაერით. ბორჯომი კი თავისის ვიწრო ხეობით სულსა ხუთავს, — ეუბნებოდა გენო სიდონიას, როდესაც ისინი ისხდნენ სასადილო ოთახში და არჩევდნენ, თუ სად გაეტარებინათ ზაფხული. სიდონიასთვის სულ ერთი იყო, სადაც უნდა წასულიყო, და მეტადრე, რაკი გენოსაც მოსწონდა მყუდრო ცხოვრება, ისიც სიამოვნებით ეთანხმებოდა ქმარს. მათ აღარ დაუგვიანიათ და შეუდგნენ ბარგის ჩალაგებას. სიდონია კმაყოფილებით და აღტაცებით ემზადებოდა თავის ახალ სამფლობელოში წასვლას.

— მთელი სოფელი ჩვენია, თვალგადუწვდენელი მინდვრები, მათით მოსარგებლე ხალხი, ყველა თვალწარბში შემოგვყურებს და ელის ჩვენს ბრძანებას, — ამბობდა ხოლმე გენო.

სიდონიას გაახსენდა თავისი სოფელი, სადაც აღზრდილიყო, მაგრამ საკუთარი არა ჰქონდა რა და იქ კი ყველაფერი მისი საკუთრება იქნებოდა. სოფელი სოფელსა ჰგავს. უეჭველია, იქ ყოფნა ბევრ ნაცნობ ადგილს მოაგონებს და სიდონიაც წინდაწინ სტკბებოდა იმ წარმოდგენით, რომ ფრთაგაშლილი თავისუფლად იფრიალებდა ისევ ბუნების ახლო და თავის საყვარელ გლეხკაცობასაც მეგობრულ თანაგრძნობას გაუწევდა.

რაც უფრო ახლოვდებოდა წასვლის დღე, მით სიდონიას მოუსვენრობა ეტყობოდა; მოხუციც მოთმინებას ჰკარგავდა.

გათენდა წასვლის დღეც. თიბათვის პირველი რიცხვები იყო; ჰაერი მეტად გამშრალიყო — მძიმე და მწვავე, კაცს სუნთქვას უძნელებდა.

— მადლობა ღმერთს, გვეშველა! — წარმოსთქვა მოხუცმა და გაჭირვებით ავიდა ეტლში ჩასაჯდომად. მას მიჰყვნენ გენო და სიდონია, რომელნიც უსწორებდნენ ადგილს, რაც შეიძლებოდა მოხერხებით მოეთავსებინათ, რადგან მათ სოფლამდის კარგა გზა იყო სასიარულო და, რასაკვირველია, საგრძნობი იქნებოდა ჯანგამოლეულ არსებისთვის.

გაგრიალდნენ ეტლები, ოთხ-ოთხ ცხენშებმულნი, ერთი ბატონებისა და მეორეც მოახლე-მოსამსახურეებით და საჭირო წვრილმან ნივთებით. პაწაწინა ზარები წკარუნობდნენ განუწყვეტლად და ახალისებდნენ ცხენებს. რაც უფრო წინ მიიწევდნენ ეტლები, თვლები თითქო ეშხში მოდიოდნენ ზარების ხმაზე და მიჰქროდნენ.

სიდონია თვალს არ აშორებდა ახალ ადგილებს; ცხადად ატყობდა, რომ მაღლა მიიწევდნენ და ქალაქი თანდათან რჩებოდა ძირს. ავიდნენ სულ ზევით. სიდონიას თვალწინ ეშლებოდა როგორც ხელისგულზე მთელი ქალაქი, რომელიც ცხარე მზეს ბუღში გაეხვია და შენობების გავარვარებული რკინის სახურავები მაყურებელს თვალსა სჭრიდა, ზევით-ზევით მიმქროლავნი მგზავრები კი მსუბუქად, შვებით სუნთქავდნენ.

გზაში ბარე ორგან მოუხდათ დასვენება და საღამოს, მზის დასვლაზე მიატანეს თავიანთ ბუნებით უხვად შემკულ სოფელს, რომლის გვერდით მყოფი ტყე გზავნიდა სასიამოვნო სიგრილეს.

სიდონიას მოლოდინი არ გაუცრუვდა, გარშემო ადგილები მიემსგავსებოდა სამშობლო სოფელს. ისევ ის შენობანი, ისევ ის ბაღები და სევდიანად გამომყურე, ლარიბად ჩაცმული გლეხები. მარტო ხის ორსართულიანი შენობა თავისებურობით, სიახლეგემოვნებით განსხვავდებოდა და მედიდურად იყურებოდა გარშემო. გაჩერდა თუ არა ეტლი, ეზოში გამოჩნდა ხანში შესული, ფაქიზად ჩაცმული ჭაღარა სესიკა, რომელმაც მდაბლად ქუდი მიუხადა ბატონებს. დედაკაცები სახლის აივანზე ფუსფუსებდნენ.

სიდონია შევიდა სახლში და გაოცებით დაიწყო აქეთ-იქით ცქერა. საჭირო ავეჯით მოწყობილი სახლი კვალად უღვიძებდა უცხოობა-კრძალვას, მაგრამ სიდონია აქაც მალე შეეჩვია ახალ მდგომარეობას და დაიწყო განკარგულების მიცემა. ქალი მეტად კმაყოფილი იყო; მან წუთს მოიარა თავისი საზაფხულო სამფლობელო. ეზოში ბლომად ირეოდა წვრილფეხი, რომელიც გაეჩინა სესიკას ცოლს. ფეხშიშველა ბავშვები მიყუჟულები იდგნენ და დრცხვენილ-შეშინებულები გამოჰყურებდნენ ბატონებს.

სიდონიას ალერსმა მალე ჩამოაშორა მათ შიში და გათამამდნენ.

სიდონია მეტად დაიღალა მგზავრობისგან, მაგრამ დასვენებას ვერ ახერხებდა, რადგან მოხუცი ითხოვდა დროზე მოეწყოთ მისი ოთახი. მეორე დღეს, ადგა თუ არა, დილის ნიავმა შემოჰბერა სახეზე სიდონიას და შუბლი გაუგრილა. ის გადაეყუდა მოაჯირს, დაუწყო სოფელს თვალიერება. შუა აივნიდან განიერი კიბე ჩადიოდა ძირს, სადაც მშვენიერი გაშლილი მწვანე მინდორი მომხიბვლელად ბიბინებდა. მინდორს შუაზე სჭრიდა ვიწრო გზა, რომელიც მიდიოდა კარგა მანძილზე და თავდებოდა იქ, სადაც კლდიდან მარმარილოს აუზში მაჯის სიმსხოდ გადმოქუსდა წყარო, ეზო კარგა მანძილზე გაჭიმულიყო. მარტო ერთ ადგილს, იქვე წყაროსთან, მოსჩანდა რამდენიმე ძველი, თითქმის ნახევრად დანგრეული ორი შენობა. გვერდზე მოგრეხილი კალო-საბძელი უშნოდ იყურებოდა. დანარჩენი მცხოვრებნი კი წასულიყვნენ შორს და მჭიდროდ ზედიზედ მიყრილიყვნენ ერთ ადგილზე. ვიწრო ბილიკები ძლივსა ყოფდნენ მათ ერთმანეთისაგან, უკან კი იწყებოდა ხშირი მუხის ტყე.

მეორე მხარეს, სივრცეს თვალი ვერ უწვდებოდა, ცის დასავალი თავდებოდა გვირგვინოსან დათოვლილ მთებით, რომელთაც მზის სხივები თავს ევლებოდნენ; თეთრი, მსუბუქი ღრუბლები ძირ-ძირს ეშვებოდნენ, ეკონებოდნენ დედამიწას და შემდეგ სივრცეში ქრებოდნენ.

სიდონიას გარშემო იდგა სასიამოვნო შრიალი, ბუნების მწყობრი ხმაურობა ატყვევებდა ქალაქისაგან გაბრუებულ ადამიანს. სიდონია აღტაცებული იყურებოდა, მარტო ხანდისხან გაოცებაც დაეტყობოდა ხოლმე, როდესაც დაინახავდა გავლილ დაღონებულ გლეხს, რომელსაც თავი ძირს დაეხარა, უთანაზიაროდ ეპყ-

რობოდა მის გარშემო მდებარე სამხატვრო ბუნებას, თითქო მისთვის არა არსებობდა რა.

— როგორ მოგწონს ჩვენი კარ-მიდამო, სიდონი? — მოესმა ამ დროს ქაღს. სიდონიამ მოიხედა; გენო აივანზე ამოსუდიყო და ისიც თითქო გაეტაცა მშვენიერ სანახაობას.

— ქება აღარ უნდა, მეტად კარგი ადგილი ყოფილა. ეს ამოდენა ეზო მართლაც რომ საუცხოვოა!

— წყაროსთან გაშენებული ქოხმახები რომ არ უშლიდნენ თვალს, უფრო კარგი იქნებოდა. ის ადგილიც უნდა უსათუოდ წელს დავაცარიელო და ზოგი მაშინ უყურე, სიდონი, ამ ეზოს თვალის წარმტაც სანახაობას.

— როგორ? — ქაღმა გაოცებით შეხედა ქმარს. ის ვერ მიმხვდარიყო გენოს ლაპარაკს.

— ეგ გლეხებიც უნდა ავყარო. ეს მესამე წელიწადია ამ საქმეს შევდგომივარ; რაც მამაჩემმა თავისი მამულის მოვლა მე გადმომცა, ვცდილობ ეს ეზო გავანთავისუფლო, რადგან გადავწყვიტე ზაფხულობით აქ ყოფნა და ჯერ კიდევ ვერ დამიბოლოვებია საქმე. წელს კი უკანასკნელი ვადაა, უსათუოდ, თუ ნებით არა, ძალით მაინც გავათავებ. რა ვქნა, რომ ვერაფერი ვერ შევასმინე მაგ მამა... — აქ გაიდანძლა გაგულისებული გენო.

— მერე სად უნდა წავიდნენ? — თან უკმაყოფილოდ და თან თანაგრძნობით წარმოსთქვა სიდონიამ.

— მაგიერ მიწას ვაძლევ სხვა ადგილს, აი იქით, სადაც სხვა გლეხები სახლობენ. კანონით მაგათ ნება არა აქვთ მებატონეს კრიჭაში უდგნენ; როდესაც მებატონეს ძველიდანვე აქვს სადმე მოსახლეობა, შეუძლიან ორმოცდაათ საჟენზე მყოფი შენობები აანგრევინოს გლეხებს და სხვაგან გადაატანინოს. აიგერა სამზარეულოს იქით რო ორი ოთახია, ეგ იყო წინანდელი ჩვენი სადგომი და მამაჩემიც მანდ ჩამოხტებოდა ხოლმე, როდესაც მოდიოდა. ეს კი მე ავაშენე ამ სამი წლის წინათ, რაკი გადავწყვიტე ზაფხულობით აქ ცხოვრება. აქამდის არც მამაჩემს და არც მე არ გვეცალა სააქაოდ; მოურავი გვეყენა იმ ოთახებში და გლეხებიც იმიტომ თავისუფლად ცხოვრობდნენ ასე ახლო. ეხლა კი შეუძლებელია მაგათი ასე ყოფნა, თვითონაც უნდა შევიწროვდნენ და ჩვენც შეგვავიწროვონ. მეტად აფუჭებენ მაგ მშვენიერ ადგილს. მერე რამოდენა ფული ჩავაბნიე ამ წყაროს გაკეთე-

ბაში! უეჭველად წრეულს უნდა მოვრჩე მაგათ საქმეს, — დაუმატა გენომ და მოტრიალდა. აივანზე იდგა დიდი დურბინდი, საიდანაც უყვარდა მოხუცებულს ცქერა. გენომ დააბრუნა ბური და დაუდევარის სტვენით შეაჩერდა დამაახლოებელ შუშას.

სიდონიას არ იამა გლეხებზე ასეთი ლაპარაკი გენოსაგან, მაგრამ „მაგიერ მიწებს მივცემო", როდესაც გაახსენდა ქმრის სიტყვები, ცოტა არა, მოიბა. სიდონია დაკვირვებით მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც, გენოს აზრით, მართლა უხერხულად იყვნენ ჩასახლებული გლეხები და თითქო მისი გონება ეთანხმებოდა ქმარს, თუმცა გული მაინც წინაალმდეგს ეუბნებოდა.

— მაგიერს მისცემს და ისინიც უფრო მოსვენებით იქნებიან, — დაიმშვიდა ბოლოს გული სიდონიამ და ერთხელ კიდევ კმაყოფილებით შემოავლო თვალი ეზოს.

— სიდონი, მოდი აქ!.. შენ ხომ ჯერ არ დაგინახავს ეს სურათი! — მოსძახა ამ დროს გენომ,

სიდონია მივიდა და დაიჭირა ქმრის ადგილი დურბინდის წინ. ქალი კარგა ხანს სტკბებოდა მხატვრული სურათებით და მის ალტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

## IV

ორი დღის შემდეგ სიდონიამ რიგზე მოაწყო ოჯახში ყოველივე; მოსამსახურეებს თავ-თავიანთი საქმე მიუჩინა და განაგრძეს ყველამ მყუდრო, მშვიდობიანი ცხოვრება. მოხუცი გამოცოცხლდა და ჩვეულებად დასდო, ყოველ დილა-საღამოს რძალთან ან შვილთან ერთად გაესეირნა წმინდა ჰაერზე. სიდონია უზომო სიამოვნებას გრძნობდა ხოლმე, მეტადრე მაშინ, როდესაც ქმართან ხელი-ხელ გაყრილნი მიდიოდნენ წყაროსთან, ან გაჰყვებოდნენ რომელსამე მინდორს. სოფელში სხვა მებატონე არ იყო და გენოსაც ამაყად აელო მაღლა თავი და ათვალიერებდა თავის სამფლობელოს.

— რა მშვენიერი ბავშვია! — შესძახა სიდონიამ ერთხელ, როდესაც ისინი მიუახლოვდნენ წყაროს ახლო მდგარ ქოხმახებს.

დედაკაცები ცოცხებს უსვამდნენ კალოს, ბავშვებიც მათ შველოდნენ, მაგრამ დაინახეს თუ არა ბატონები, ქალებმა ცოცხები

დაჰყარეს ძირს და სახლში შევიდნენ, ბავშვები კი აბუზულები დარჩნენ. ამ დროს მეორე მხრივ გამოჩნდა გლეხი, რომელსაც მხარზე გაედო ცელი. ამანაც გადასჭრა გზა, გვერდი აუხვია მიმავალთ, თითქო არ უნდოდა პირისპირ შეყროდა და მარტო შორიდან მოიხადა ქუდი, თვალებით კი დედამიწას დასჩერებოდა.

გენო არც კი უყურებდა მათ, მაგრამ სიდონიას თვალს შეუმჩნეველი არა რჩებოდა რა. გაუარეს სხვა გლეხებმაც; ყველგან განმეორდა იგივე მიმალვ-მიჩქმალვა, უგული, უფრო ვალდებული, ვინემ ნებაყოფლობითი სალამი. ორი კვირა იყო, რაც ისინი მოვიდნენ ამ სოფელში და სოფლის არც ერთი გლეხი, არც ერთი დედაკაცი არ მოჰკარებიათ. მარტო სამუშაოდ, ფასად თუ დაუძახებდნენ ვისმეს, ისიც გასამრჯელოს ერთიორად წინდაწინ თხოულობდა და ჩქარობდა საქმეს მალე მორჩენოდა, რომ დროზე სახლში წასულიყო. სიდონიას უკვირდა სოფლელების ასეთი ქცევა და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა ყველა ეს? ქალს კვალად გაახსენდა სამშობლო სოფელი, სადაც მუდამ გარს ეხვეოდნენ ქეთევანს და ნატალიას გლეხები და ხშირად, არამც თუ სიტყვა-პასუხითა სცემდნენ პატივს, საქმესაც უფასოდ აკეთებდნენ, თუმცა არა რჩებოდნენ დაუჯილდოებელნი. აქ კი რაღაც შიში, კრძალვა და ველურობა იხატებოდა ყველას სახეზე. სიდონია ამგვარ შეხვედრას არ ელოდა; ეგონა, მოვიდოდნენ თუ არა, მთელი სოფელი გარს შემოეხვეოდა და ურთიერთშორის მეგობრულ კავშირს დაიჭერდნენ.

„როგორ? სიდონია სოფელში იყვეს და გლეხებთან საერთო არა ჰქონდეს რა მაშინ, როდესაც თავს იმათ შვილადა გრძნობს და დღეს მათის წყალობით არის გაბედნიერებული? არა! ამისთანა ველურობას ბოლო უნდა მოეღოს! აქაურობა უნდა გამოფხიზლდეს, თორემ უამისოდ აქ ცხოვრება წამება იქნება!" ფიქრობდა სიდონია და ელოდა დროსა და შემთხვევას, რომ თავისი განზრახვა შეესრულებინა.

სიდონიას, რამდენადაც წმინდა ჰაერი ხიბლავდა, იმდენად ხალხის მდუმარეობა აწუხებდა. მაგრამ ქმარს არ უმხელდა, რადგან ეშინოდა ვაითუ შემცდარიყო, რადგან ჯერ არ გაეცნო აქაური წეს-ჩვეულება და ყველაფერს ადგილობრივ ხასიათს აწერდა.

— ხალხი ყველგან ერთნაირი არ არის, იმისთვის თუ იქცე-

ვიან ასე, რომ დასამებულნი არიან მებატონეებს, მიმსვლელ მომსვლელს და დიდი ხნის განმავლობაში თავისთავის მეტს ვერავის ხედავდნენ! დღემდის გენოს და მისი მამის გარდა მებატონე არავინა ჰყავდათ და ისინიც ვერ შესძლებდნენ მათ შემოჩვევას. დღეს კი სულ სხვაა! სიდონია ბევრჯერ მარტოდაც გაისეირნებდა ხოლმე იმ განზრახვით, რომ იქნება ერთერთ მანდილოსანს მაინც გამოელაპარაკებოდა, მაგრამ მასაც უკმეხად დახვდებოდნენ და სახეს არიდებდნენ.

— საკვირველი ხალხი ყოფილა! — იმეორებდა სიდონია გულში და დაღონებული სახლში ბრუნდებოდა.

— მოგიცლია, ჩემო კარგო, რა მაგაზე ფიქრობ! — უთხრა ერთხელ დაუდევრად გენომ, როდესაც სიდონიამ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. — რა ხალხია?.. რა ადამიანები არიან, რომ მაგათ ქცევას ყური ათხოვოს კაცმა? რეგვენები და ბრიყვები! რაც უფრო გულკეთილად მოეპყრობი, უფრო თავზე დაგასხდებიან, გაგიტოლდებიან! აი ამ ეზოს ხომ ხედავ, — სულ მაგათ ეჭირათ და მიწების გამიჯვნის დროს ავყარე შარშანწინ. დიდი გაჭირება დამადგა, სანამ ჩავაგონებდი თავიანთ სარგებლობას და ან კანონის ძალით შევასრულებდი ჩემ გადაწყვეტილებას. ზოგმა მათთაგანმა სენატამდისაც კი მატარა. დიდძალი ფული დამეხარჯა, — უთხრა გენომ სიდონიას ერთ საღამოს, როდესაც ისხდნენ აივანზე და ჩაის მიირთმევდნენ. მოხუცებული ცოტა შეუძლოდ იყო და ოთახიდან არ გამოდიოდა. — აქ მაგათ ყველაფერი ჰქონდათ: ბოსტნები, ბოსლები და კალოები... ამ აივანზე ჯდომა შეუძლებელი იყო: ქარი ბზეს პირში გვაყრიდა და თვალებს გვივსებდა. ასე ვავიწროებდით ერთმანეთს, ვიდრე აქედან არ გადავასახლე.

— მერე მათი ნამუშევარი, გენო? — თანაგრძნობით იკითხა სიდონიამ.

— სამაგიეროდ საუკეთესო მიწები მივეცი. გარდა ამისა მოვალე ვიყავ ჩემის ხარჯით გადამეტანა აქედან და ახლად ამეშენებინა ყველა ის შენობა, რაც კი ჰქონდათ. რადგან დრო არა მქონდა, მეც ვარჩიე და ფულად მივეცი ყველას ხვედრი, როგორც შენობების გადატანის სალირალი, ისე ბაღ-ბოსტნების საფასური. მოგებულები ეგენი უფრო არიან. მე თვალის იერისა და სილამაზისთვის მოვიქმედე ეს და მაგათ კი სარგებლობა ნახეს,

რადგან დაუახლოვდნენ თავიანთ საყანეებს, რომლებიც აგრეთვე ერთ საზღვრებში მოვუთავსე. სანამ ვადა არ გასულა, ერთი ესენიც უნდა ავზარგო, ან ნებით, ან ძალით ამდენმა საგლეხო საქმეთა საკრებულოში და მომრიგებელ შუამავლებთან თრევამ იდაჯი გასწყვიტა. ეხლა ერთმანეთთან მოშორებულები ვართ ჩვენ და გლეხები: მარტო ლადის აწერის დროს თუ შევხვდებით ერთმანეთს; ალებით კი ჩემი ჩაჩნები იღებენ. ეს ჩვენი მოურავიც ახდენს საქმეს, უნდა ეგეც გავაგდო. იდარიონს მივწერე, თავი დაანებოს სამსახურს და მოვიდეს; მინდა მოურავად ის ჩავაყენო. ის უფრო ერთგულად გაირჯება, სესიკა კი იმათა ჰკერძავს, რადგანაც თვითონაც აქაურია.

— საკვირველია! ჩვენ სოფელში მაგისთანა შემთხვევები და უსიამოვნება ერთმანეთში სულ არ ყოფილა, — დაილაპარაკა ქალმა ფრთხილად, რომ ქმრისთვის არ ეწყეინებინა, რადგან ატყობდა, ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება გენოს აღელვებდა და უგუნებოდ ხდიდა. თვით სიდონიასთვისაც ჯერ გაურკვეველი იყო ამნაირი დამოკიდებულობა მებატონეებსა და გლეხებს შორის და ეშინოდა, უცოდინარობით და გამოუცდელობით უფრო არ წაეხდინა საქმე. — იქ ლადასაც იხდიდნენ, გვემსახურებოდნენ კიდევაც, მაგრამ ეს ხდებოდა ძალდაუტანებლად და სიამტკბილობით. ჩვენ ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი.

— აღბათ შეგნებულები ყოფილან, რომ აგრე მოქცეულან, თორემ ამათთვის ვის რაღა დაუშავებია? თუ ამიყრია, წინათაცა ვთქვი, მაგიერი ერთიორად მიმიცია, გადასასვლებაში კიდევ ხარჯი არ გასვლიათ და ბარჯი. ფული ფულად მივეცი ყველას და ტყიდან მასალა კიდევ სხვა იყო.

— გაიხსენე, გენო, ამაგი, ადგილის სიყვარული! ოჰ, ძნელი დასათმობია ეს!.. ფასი არ დაედება! — შესძახა ნაღვლიანის ღიმილით სიდონიამ.

გენო წამოდგა ზეზე და დაიწყო უკმაყოფილოდ სიარული. თმაზე მაღ-მაღ ხელს ისვამდა. უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ თითქო თქმასაც ვერ ახერხებდა და აღელვებული უმატებდა სიარულს.

— ბევრნაირად ვეცადე ჩვენ შორისაც ყოფილიყო კარგი დამოკიდებულობა, მაგრამ არ მოხერხდა. დრო თავისას აიღებს, სიდონი, და მას წინ ველარა დაუდგება რა.

— მაშ რაღათ გიკვირს, გენო, რომ უკმაყოფილონი არიან? რაც უნდა იყვეს, წარსულმა შრომამ უქმად ჩაუარათ და ხელახლა იწყებენ ყველაფერს. დრო და შრომა დიდი განძია ადამიანისთვის და მეტადრე გლეხისთვის, გულით ვერ აინაზღაურებენ ამაგს.

გენომ მხრები შეიშმუშნა, გამობრუნდა ცოლისკენ, ჩაიწყო ჯიბეებში ხელები და დაკვირვებით მიაჩერდა. სიდონიას ღოყები შესწითლებოდნენ, აღერსით მისჩერებოდა ქმარს.

— მოდი, სიდონი, თავი დავანებოთ ამ საგანზე დაპარაკს! ეს საგანი მეტად რთულია და უსიამოვნო კამათს გამოიწვევს ჩვენს შორის. ამ საკითხის გადაწყვეტა მე მომანდე. შენ ჯერ ახლად მოსული ხარ და შეიძლება შესცდე. შენი სოფლის ხალხი ნუ მოგყავს მაგალითად; ისინი სხვანაირები ყოფილან და მერწმუნე ამათ სულ სხვა თვალით უნდა შეხედვა.

ქალი გაჩუმდა.

„მაშ, ნურას იტყვის ამ საგანზე მაშინ, როდესაც დაწოკილებულება ასე გამწვავებულა და ერთმანეთს შორის სიძულვილი აღძრულა?!. როგორ გასძლოს სიდონიამ, რომ ხმა არ ამოიღოს?" ამ გაფიქრებაზე სიდონიამ თავი აიღო მაღლა.

— ძალიან კარგი, გენო, მაგრამ როდემდის უნდა იყვეთ ასე?.. ეს მაინც მითხარი?

— სანამ არ გათავდება გადასახლება, — მოკლედ და უგულოდ უპასუხა გენომ და კვალად ფიქრიანად განაგრძო სიარული.

გენო მართალს ეუბნებოდა. ამ საგანზე მსჯელობა უნდა შეეწყვიტა სიდონიას, რადგან გენო სათუთად ეპყრობოდა მის გრძნობას, უყვარდა ცოლი და არ უნდოდა უბრალო რამეზე უსიამოვნება მოსვლოდათ. ასე ფიქრობდა სიდონია. მან თვალწინ დაიყენა თავისი წარსული, შევიწროებული, განადგურებული მდგომარეობა, რომელშიაც ნახა გენომ. არ მისედა ამ დამცირებას, დააფასა და სამეგობროდ ხელი გაუწოდა, გამოიყვანა წყვდიადიდან. ნუთუ ამის შემდეგ არ უნდა დააფასოს გენო, ყველაფერში არ უნდა დაუჯეროს და თავს არ შემოევლოს? სიდონიამ ამ გახსენებაზე მორჩილად თავი დახარა ძირს.

V

ჯერ კიდევ ბინდბუნდი იყო, რომ სასახლესთან გაჩერდა ცხენოსანი.

— რათ დაიგვიანე, კაცო! — ამ სიტყვებით გენო ჩაეგება კიბეზე იდარიონს.

— სანამ ჩემ საქმეს მორჩებოდი, ცოტა დრო უნდოდა? — უთხრა იდარიონმა და მათრახით გაიბერტყა გამტვერიანებული ჩექმები.

— მოხელეობას თავი დაანებე და მოხვედი რადა?

— შენ რომ კაცს ჩააცივდები, განა საშველს მისცემ? — ღიმილით უპასუხა იდარიონმა.

— შე კაი კაცო, მე აქ შენისთანა ერთგული ოქროდ მიღირს და შენ კი იქ რაღაც ხუთი თუმნის გულისთვის უნდა იწვალო დახშულ ოთახში? მიიხედ-მოიხედე მაინც, რა ადგილი აგირჩიე საცხოვრებლად... რა ჰაერია, რა თავისუფლება!... — ამბობდა აღტაცებული გენო.

— ვხედავ. — ამ ლაპარაკით ამხანაგები ავიდნენ აივანზე, სადაც ხალათით იჯდა მოხუცი და სიდონიაც მის გვერდით ჭიქებსა სწმენდავდა ჩაისთვის.

იდარიონი მიესალმა მოხუცს და შემდეგ გამობრუნდა სიდონიასკენ.

— ეს გახლავთ ჩვენი ახალი მოურავი, გთხოვთ იცნობდეთ! — წარმოსთქვა გენომ და ხელი გაიწვდინა იდარიონისკენ; სიდონიამ გაუცინა და ხელი ჩამოართვა ახლად მოსულს.

— კეთილი! — წაილაპარაკა მოხუცმა და ხარბად მოხვრიპა ჭიქით ცხელი ჩაი.

— მართლა, კნეინა, ეს არის ეხლა სოფელს რომ მოვატანე, ურმით მომავალ ქალს წამოვეწიე; როდესაც მივუახლოვდი, ვიცანი თქვენთან ნამყოფი კატო, რომელიც არა ერთხელ მინახავს. ურემმაც აქეთ შემოუხვია. მგონი, ისიც თქვენთან უნდა მოდიოდეს.

— მართლა? — შესძახა სახეგაბრწყინებულმა სიდონიამ და სიხარულისგან თვალებმა გაუელვეს.

— დიახ, საცაა უნდა გაჩნდეს! — დაუმატა იდარიონმა და კვალად მობრუნდა გენოსკენ, რომელზედაც არავითარი შთაბეჭდილე-

ბა არ მოუსმენია კატოს სტუმრობის ამბავს. ეტყობოდა, გართული იყო საქმეებზე ფიქრით და მოუთმენლად ელოდა გაეზიარებინა ილარიონისთვის თავისი აზრები.

— ხვალიდანვე უნდა შეუდგე საქმეს, ილარიონ! — უთხრა გენომ, როდესაც ისინი მიუსხდნენ მაგიდას ჩაის დასალევად. — ხვალვე დავიაროთ სოფელი და მამულსაც ჩაგაბარებ. ჩემი ჩაჩნები, თუმცა ეხლა ოსებში მყავანან გაგზავნილები ლაღის ასაწერად, დღეს თუ ხვალ გაჩნდებიან. ეგ სესიკაც უნდა დავითხოვო. ერთის სიტყვით, ჩვენს საქმეში აქაური გლეხები არ ჩარიო, თორემ ჩვენი დამშვიდება არას დროს არ იქნება. დაბინავდი ამ სახლში, მოგიჩენ ჩაჩნებს და იყავი სრული გამგე ჩემის ადგილ-მამულისა.

— აბა, მაშ რისთვის გამომიყვანე სამსახურიდან? — წარმოსთქვა ილარიონმა და კმაყოფილებით თვალი მოავლო შენობას. გულში უზომო კმაყოფილობას გრძნობდა, რომ ასეთი ბედი ეწია. უბრალო, უმნიშვნელო წვრილი მოხელე ხდებოდა თითქმის მემამულედ, ოღონდაც, რომ მემამულედ, რადგან გენო აქ მას ხელს არ შეუშლიდა არაფერში. შემოსავალიც ხომ წინდაწინ ჰქონდა გაგებული და გულში სიამაყეს გრძნობდა.

— მაშ აქაური არავინა გყავს მოსამსახურედ? — იკითხა მან და მოიხედა. მოახლე გოგო დუნია გამოსულიყო აივანზე და ბატონებიდან მოშორებით გადაჰყურებდა სივრცეს. როგორც ეტყობოდა, ყური აქეთა ჰქონდა. მისი ეშხიანი მოხდენილი სახე შეუმჩნეველი არ დარჩა ილარიონს და გაეღიმა.

— გეუბნები-მეთქი, სახლში შესაშვები არ არიან და არც თვითონ გვეკარებიან. აქ ვისაც ხედავ, სულ ქალაქიდან მოვიყვანე. განა ვეღარა სცნობ? მგონი, ყველა ესენი გინახვანან? — დაუმატა გენომ და თვითონაც გაიხედა მოახლისკენ.

ამ დროს მოსამსახურე ბიჭსაც ახალი მოწველილი რძე მოჰქონდა.

— დუნია, მოდი ეს ოთახში შეიტანე! — დაუძახა სიდონიამ მოახლეს, რომელიც გაწითლებულის ლოყებით, თვალებძირსდაშვებული, მოვიდა ქალბატონთან და ჩამოართვა ცარიელი ჭიქები. ილარიონმა თვალი უყო გენოს, რომელმაც ეს არ შეიმჩნია და განაგრძო:

— გლეხებიდან მარტო სესიკა მყავდა აქ ჩაყენებული ცოლ-

შვილით და სახლს დარაჯობდა, თან მოურაობდა, მაგრამ მალე შევატყე ცუღლუტობა. ეხლა, რაკი შენ აქ იქნები, რიღასთვის მინდა? საქმეს უფრო არევს. ხვალვე დავითხოვ; ჩემი ორი ჩაჩანი ათ მოსამსახურეს უდრის. ისინი გეყოფა ხელქვეითებად.— სიდონია მონაწილეობას არ იღებდა გენოსა და იდარიონის დაპარაკში; ის მალ-მალ მოუსვენრად იხედებოდა გზისკენ; თვალი მიეშტერებინა სივრცისთვის; ელოდა მოუთმენლად თავის მეგობარ კატოს. კატო კი მაინც არსად სჩანდა.

„უსათუოდ იდარიონს შეეშალა და უცხო დედაკაცი კატოს მიამგვანა". ამ ფიქრით დამშვიდდა სიდონია და ლოდინსაც თავი დაანება.

გენო არ ისვენებდა, იდარიონი გაჰყავდა ეზოში, უჩვენებდა ყოველივეს და განუწყვეტლად გატაცებით ელაპაკებოდა.

— შენ იცი, იდარიონ, თუ რა წესებზე მოაწყობ საქმეს! ნათლიმამობას არ გაჰყვე. მაგრა დაუჭექი ყველას. ნებით თუ ძალით ჩააგონე მაგ მამაოხრებს, რომ აქედან გამეცალონ! სხვები მოვხარე წელში და ეგ ლინტლიანი ზაქარა კი ვერ გავტეხეთ ვერც მე, ვერც მომრიგებელმა შუამავალმა, ვერც საკრებულომ და ვერც სენატმა. აუღია სარივით თავი და იქიდან მუშტებს ატურტურებს.

— რას გახდება მერე? მაგ საქმეს სხვაფრივ უნდა მოვლა,— უპასუხა ფიქრიანად იდარიონმა.

— რაღა სხვაფრივ, კაცო? ხვეწნა, თხოვნა, ბრძანება, კანონი და ყველაფერი ზედ შევალიე, მაგრამ მაინც დროს მაკარგვინებს.

— ვეცდები მალე გათავდეს ეგ საქმე.

მეორე დღეს გენო უფრო ადრე ადგა, მოიხმო სესიკა და უბრძანა ცხენები დაემზადებინა მათთვის. სესიკა მიხვედრილი იყო, რომ მის ამ სახლში ყოფნას ბოლო მოეღებოდა და დაღონებული იყურებოდა. ხანდისხან თვალებში გამოუკრთებოდა ხოლმე საყვედური.

— დამითხოვოს! ქვეყანა დიდია, უდუკმაპუროდ არ დავრჩები,— უპასუხა მოსამსახურეს, რომელმაც ჩუმად შეატყობინა გენოს და იდარიონის შორის ლაპარაკი.— როცა მაგ ახალმა მოურავმა ჩემზე მეტი გაუკეთოს და ან სოფელი მოუმადლიეროს,— ამ უდევაშებს მოვიპარსავ. დღემდის კიდევ მე ვიკავებდი სოფელს და ზოგი ეხლა ნახოს, რაც იქნება! მე კი შორს დავრჩები, ვაი

მაგის დედასა!.. ჩემი წყალობით ბევრი ოინები შერჩენია მაგას! მე არა ვყოფილიყავი, დიდი ხანია დედას უტირებდნენ!.. კიდევაც ეშინოდეს თავის ჩრდილისა! კოკა წყალზე გატყდება! — ამბობდა მუქარით და თავის ქნევით სესიკა. მას აღარ გაჰკვირვებია, როდესაც მეორე დღეს გენომ გამოუცხადა, რომ თავისუფალი იყო და შეეძლო სხვა ადგილი მოეძებნა.

— არა, შენი ჭირიმე, მე ახლა აღარსად გამოვდგები, სახლში წავალ და ისევ გუთანს ჩავეჭიდები, — უპასუხა თავდახრით მოურავმა და გამოვიდა კარზე.

— კნეინა, ვიღაც სოფლელი ქალია, თქვენი ნახვა უნდა. მეუბნება წადი მოახსენე, კატოა და თქვენა გკითხულობსთქო, — უთხრა სიდონიას დუნიამ, რომელიც თითქო ვერ ბედავდა ქალბატონისთვის თვალი გაემართა, იდგა კარებთან და უცდიდა პასუხს. სიდონია თუმცა პირს იბანდა, მაგრამ გაიგონა თუ არა კატოს სახელი, მსწრაფლ გამოუბრუნდა გოგოს.

— დუნია, გეთაყვა, წადი და აქ შემოიყვანე! — შესძახა მოუთმენლად.

— ციცოჯან!

— კატო!

გაისმა ერთხმად ორივეს აღტაცებული ხმა, როდესაც კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ლამაზი, თავდახურული ქალი, სიდონია მიეხვია და კარგა ხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.

— კითხვა აღარ გინდა, ერთიორად დამშვენებულხარ, გენაცვალე! — წარმოთქვა კატომ და მიაჩერდა ციცოს.

— აგერ დაჯექ, კატო! — სიდონიამ საჩქაროდ სავარძელი მიუწია, კატო მორიდებით და დარცხვენით ჩამოჯდა სავარძლის ნაპირას, თითქო ეხათრებოდა მშვენიერი ძვირფასი ფარჩის შეხება.

— როდის მოხვედი?

— გუშინ.

— წუხელის სად იყავ?

— ჩემი ქმრის დეიდაშვილია აქ გამოთხოვილი, იმისი მძიმე ავადმყოფობის ამბავი მოგვივიდა და ჩემი დედამთილი დაებარებინათ, რაკი მარტოხელა იყო და პატრონი არავინა ჰყავდა, ჩემმა დედამთილმაც ვერ შეიძლო წამოსვლა და თავის მაგივრად მე გამომგზავნა.

— გუშინ ჩემი ქმრის ამხანაგი მოვიდა და მითხრა, რომ გზაში ვნახე ჩვენსკენ მომავალიო, მეც წუხელისვე გელოდი.

— თუ არ გაჭირება, ამ დროს ოჯახიდან ვინ გამოვა, ჩემო კარგო? ვინ გამომიშვებდა, რომ პირდაპირ შენთან წამოვსულიყავი? ეხლაც ჩემი პაწია ბიჭი ბებიას მივუგდე და ისე ჰარიჰარად გამოვწიე. მეშინოდა, ამ საწყალ გოგოს არა დამართოდა რა.

— რითია ავათ?

— რა ვიცი, ქა!.. ლოგინობაზე გაციებულა, სიცხეს აძლევს და არის ისე საცოდავად. ქმარიც შინ არ ჰყავს, შავ ქვაზე წასულა და წყლის დამლევინებელი არავინ უზანს. ეხლაც მეზობლის გოგო მივუჩინე და ისე წამოველი. სულ ერთი არ არის, გენაცვალე, ხომ გნახე და მეტი რაღა გინდა? — დაუმატა ღიმილით კატომ, თანაც დაუწყო თათხს თვალიერება.

— სანამ აქა ხარ, ყოველდღე მოდი ხოლმე, ჩემო კატო, ჯერ ხომ დარჩები? — ჰკითხა სიდონიამ.

—სანამ ფეხზე არ დავაყენებ მაგ გოგოს, რაღას წავად. დედაჩემმა მოგიკითხა, მთელმა სოფელმა შენთან სალამი გამომატანა. სულ შენ ხსენებაში არიან და სიყვარულით გიგონებენ.

— როსტომიანი, კატო?

— რა უჭირთ? კნეინა ქალთან წაბრძანდა, მგონი იმასაც ყმაწვილი გახდომია ავათა. მოსვლას აპირებდა და ველარ წამოსულა.

— ჩემი თითიკა?

— თითიკაც თავის შვილთან წავიდა და იმისი ამბავი აღარავიცი რა. უეჭველია კარგად იქნება, თორემ გავიგებდით, — როდესაც გული იჯერეს დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა ლაპარაკით, სიდონიამ საწოლ ოთახიდან გამოიყვანა კატო, დაატარა მთელი სახლი და ყველაფერი უჩვენა.

— დედოფალი ხარ! — გაიძახოდა გაოცებული კატო. — ამ დიდებას ერთი ვაჟიშვილიც რომ მოჰყვეს, ასლი კარგად იქნება შენი საქმე. ხომ არას აპირებ? — კატო შეაჩერდა სიდონიას. რომელიც გაწითლდა და თვალები ძირს დახარა. მან ხმა რომ არ გაიღო, კატო მიხვდა, რომ სიდონია ამ მხრივაც უიმედო არ იყო და იამა.

გენო და ილარიონი სახლში არა სჩანდნენ. სიდონია და კატო ისხდნენ აივანზე თავისუფლად და განაგრძობდნენ გულითად ბაასს.

## VI

— სამგზე გოჭი რომ ატყდება და უხეიროდ დაიწყებს ჭყვიტინს, სანამ ნადირი პირს არ წაავლებს, სწორედ აგრე შვრება ე ოჯახდასაქცევი ჩვენი ახალგაზრდა ბატონი! — წარმოსთქვა ჭალარაშერთულმა ბესომ და პირიდან ჩიბუხის ბოლი გამოუშვა.

— მა, კაცო, რო აღარა დგება ე მუდრეგი თავის ქერქში! წელიწადი ისე როგორ გავა, რომ ნაირ-ნაირი მუხრუჭები არ მოიგონოს.

— გაიგეთ, თავისთანა მაწანწალა ამხანაგი რომ დაუყენებია მოურავად და საწყალი სესიკა გამოუგდია?

— მა, ეჰ! მართალია, არც მაგისი მამა იყო წმინდა წყლისა, ისიც არ გვაკლებდა შევიწროებას, მაგრამ ე სამი წელიწადი, რაი შვილს დაუთმო მამულების მოვლა და თვითონ აღარაფერში არ ერევა, უფრო დავიჯაბნენით, აქამდის მარტო კალოობაზე თუ მოგვადგებოდნენ ჩანახით ხელში სულთამხუთავი მოურავი კბილებკრეჭია ჩაჩნებით და დანარჩენი დრო მოსვენებით ვიყავით, მაგრამ რაი მაგი შვილმა გასატიელებელი სახლი გამოჭიმა და აქ ჩამოთესლდა, საშველს აღარ გვაძლევს.

— ოჰი, ჩემი ლეჩაქით დაჯდეს იმი ლამაზი ცოლი, როგორც იმან ი მშვენიერ გამართულ სამოსახლოდან პირდაბანილები გამოგვიყვანა; მოგვიყარა გროშები და ტრიალ მინდორზე გაგვიყვანა. ისე გაცარიელდეს ის დოვლათისგან!.. დაგვნავსა გენაცვალეთ! მას აქეთ სული ველარ მოვიდგით.

— მაშ, შენ აყრა-დაყრა ადვილი გეგონა? ქვა რომ ადგილიდან დაიძვრის, ჩემო დაო, ისიც კი გასუბუქდება, თორემ ადამიანი რა გასაკვირველია რომ გაწყალდეს!..

— ჰო და ჰო, რას მოგვდგომია ე ოჯახქორი, თითქო ჩვენს იქით გზა არა ჰქონდეს. მთელი დუნია მაგისია, ოხრად დარჩენია!

— წერა რომ აიტანს, ის არის! ერთ დღეს დავბადებულვარ და ერთ დღეს მოვკვდები, მაგი სადავათი კი დაიქცა!., ღამის მთელი სოფელი ბოზხანად გადააქციოს, მაგი შიშით ველარც ცოლი გამოგვიშვია კარზე და ველარც შვილი. როდემდის უნდა ვიყვეთ ასე გაჭირვებაში? ერთხელაც იქნება აბობოქრებული გული გასკდება და გაგიჟებული კაცი თავზე ხელს აიღებს!

ასეთი დაპარაკი ისმოდა კვირა ნაწირვებს ეკდესიის ეზოში, სადაც თავი მოეყარა ხადხს. შიგადაშიგ დედაკაცებიც ერიგნენ. მათ შორის კატოც მიმჯდარიყო კედედთან. გუდზე ხედები დაეკრიფა და ნადვდიანად ისმენდა ადედვებუდი ხადხის მდურვას გენოს მიმართ.

— სუდით ხორცამდის გავიყიდები, საციმბიროთ თავს გავიხდი და მაგის ჯიბრზე არ დავიძვრი ადგიდიდან. გუშინ ახადმა მოურავმა დამიბარა, მოქარგუდის ეწით დამიწყო რჩევა-დარიგება. ჩემს გუდში კი არ იხედებოდა იმ დროს, თუ რა ხდებოდა.., იმან რა იცის, თუ როგორ ძვირფასად მიდირს ის ერთი ბოხჩა ადგიდი, მისი ყოვედი კენჭი და გოროხი!.. მართადია, კანოდი მაგათკენ არის, მაგრამ მადე გამოვაბრუნებ ჩემკენ; ტყუიდად კი არ მეუბნება ი დადოცვიდი ადუკანტი! გამაგრდი, ზაქარა, არ მოტყუვდეო! ამ ერთი კვირის წინათ კაი ხუთმეტი მანეთი გამომართვა და მითხრა: ისეთ არძას დაგიწერ ხედმწიფესთან, რომ პირიქით, მაგათ გაუხდეთ სახვეწარიო! — გაიძახოდა ახადგაზრდა ზაქარა.

— ისემც დაურჩება იმას თავი! მე კი არ გამცარცვა ბაბა მაგ მოტყუებით იმ სახდკარამოსაწყვეტმა და გადასახდება მაინც არ ამცდა... — სთქვა ხანში შესუდმა გდეხმა.

— იძახიან, ბატონყმობა გადავარდა, კაცი თავისუფადი გახდაო. კაცო, ე საშვედი კი არსად არის და! ეს კისერი კი ვედარ დავადწიეთ მაგათ უღედს და! მგონი, არც ჩვენი შვიდები ედირსებიან, — განაგრძობდა გაფითრებუდი ზაქარა, რომედსაც თვადები რადაც ბოროტებით და ამასთანავე განწირუდებით უბრწყინავდნენ.

— ცოდი შეირთო და გაამრავდებს თავისთანა უწმინდურებს, — დაუმატა ერთმა მანდიდოსანმა.

— აბა, მაშ ეშმაკი თავის ქოხს დაანგრევს?

ამის გაგონებაზე კატოს სახე შეუწითდდა და მოხედა მოდაპარაკეს.

— ცოდი რა შუაშია, შე ქადო! იმისი ცოდი დვთის ნათდუდია, ანგედოზია, ჩვენი ბატონიშვიდია! ისეთი იყო, ჩემი მიტრას სიცოცხდემა, რომ დღესაც მთედი სოფედი მოსტირის უკან, მაგისი წყენა არავის მოაგონდება.

— ეჰ, შენცა, ძადდის ბატკანი ვის უნახავს! არც ეგ იქნება წმინდა წყდისა.

— უი, უი, არც მაგათი კარგი მინდა, დედავ და თვალო, არც ავი, ეგენი ისეთი სისხლისა არიან, რომ ერთი უნდა შესწვა, მეორე ზედ წაუსვა! რას ქვიან მაგათში კარგი? — ხალხი თანდათან ლედავდა.

— მინდორზე საძოვრად ვერა გაგვიშვია რა, არც ძროხა, არც ღორი, რომ მაგისმა ურჯულო თათარმა ბაჟი არ გადაგვახდევინოს.

— მაგას თათარი შვრება და არა ბატონი! — შენიშნა კატომ.

— თათარი ვისგან არის მერე მოსეული? ეგ თუ კაი კაცია, რისთვის უნდა ეგ ენგიჩრები? ხომ არ ეშინიან? ძაან მოტყუებულია. სატრაბახო მაშინ იქნებოდა მაგისთვის, რომ მარტოდმარტო ყველას თვალში უვარდებოდეს და ღამე უშიშრად ეძინოს. თორემ ძალას ძალა მოსდევს, ბრძოლას ბრძოლა და უსამართლობას მაგიერის გადახდა! კაცის სული თავისუფალია, ზევით-ზევით იწევს და, რაც წინ გადეღობება უეჭველია, ერთხელაც იქნება მოიცილებს თავიდან.

კატოს მარტო დღეს არ ეყურებოდა გენოზე ასეთი მსჯელობა. რაც ამ სოფელში მოსულა, ყოველმხივ მუდამ ყურში ესმოდა მისი წყევლა-კრულვა.

— გენაცვალეთ, რა ყოფილა მაგისთანა, რომ ასე მოუმძრალებია მთელი სოფელი? — ფიქრობდა კატო და გული უკვდებოდა, რომ ასეთის აზრით იყვნენ ციცოს ქმარზე.

— თუ ასეთია, ცოდს რაღა კარგს დააყრის? ნუთუ ბედნიერი იქნება ციცო იმ კაცის ხელში? — ხშირად ასეთ ფიქრებში გაუთენებია მთელი ღამეები კატოს, მაგრამ მეორე დღეს რომ მისულა სიდონიასთან და შეუხედნია მის გაღიმებულ, კმაყოფილ სახისთვის, ცოტათი გული დამშვიდებია.

— გამიგონია, კაცი შიგნიდან არი ჭრელი და გველი კი გარედანაო. იქნება, გარეშესთვის არ ვარგა გენო, მაგრამ ცოლშვილისთვის კი კარგი იყვეს. თუ ასეა, კიდევ მადლობა ღმერთსა! — ასე იმშვიდებდა გულს კატო და მაინც აკვირდებოდა გენოს ყოველ საქციელს, რომ დარწმუნებულიყო თვითონაც და გამოეცნო, რამდენად მართალი იყო სოფლის აზრი.

— იქნება გაბოროტება თვალებს უბრმავებთ და ბწყიდე აქედემათ მოსჩვენებიათ! დაღოცვილები, ისინიც მეტისმეტს თხოულობენ. ვის შეუძლიან ამდენი ღარიბის გამდიდრება, თუ თვი-

თონაც არ ითავეპენ, თავიანთ ცხოვრებას ხელს არ შეუწყობენ? ზღვა კოვზით დაილევაო. ხომ არ უნდათ, გენომ თავისი საცხოვრებელი დაურიგოს მათ და თვითონ ისე დარჩეს! ეს ჯერ არავის უქნია და გენო რა მაგალითია, რომ უსათუოდ ასე მოიქცეს? — ფიქრობდა კატო მეორე დილას სიდონიასკენ მიმავალი. სიდონია იჯდა აივანზე და საკერავ მანქანას აგრიალებდა. გენო და ილარიონი სანადიროდ წასულიყვნენ გაუთენებლივ; მოხუცს ჯერ კიდევ ეძინა და მარტოდ დარჩენილი სიდონია მოუთმენლად ელოდა კატოს.

მოვიდა თუ არა კატო, სიდონიამ მანქანა შეაჩერა, დაიდო მუხლებზე საკერავი და იწყო ხელით კერვა; კატომაც გამოარითვა ხელსაქმე. ის მალე გაშინაურდა სიდონიას სახლში და აღარა გრძნობდა მოკრძალებას. მოსამსახურეები თავაზიანად ექცეოდნენ, რაკი ხედავდნენ ქალბატონის მასთან გატოლებას... მარტო დუნია არ უყურებდა კარგის თვალით; ცხადად ეტყობოდა, რომ სწყინდა კატოს ასეთი დაახლოება ბატონებთან, თუმცა კი სიტყვით არას ამხელდა, თავი მორიდებით ეჭირა როგორც კატოსთან, ისე ქალბატონთან. მეტ დროს თავის ოთახში ატარებდა, ვიდრე ქალბატონი არ დაუძახებდა.

დუნია ერიდებოდა აგრეთვე მზარეულ და სხვა მოსამსახურე ბიჭებს, ამაყად უყურებდა, მათზე კიდევაც მბრძანებლობდა.

სიდონიას ძალიან მოსწონდა დუნიას ასეთი ქცევა და ხშირად გამოხატავდა ხოლმე ამ კმაყოფილებას ქმართან, რომელიც საჩქაროდ გააწყვეტინებდა ამ საგანზე დაპარაკს და შესცვლიდა ბაასს.

— მე ამისთანა თავდაჭერილი გოგო არ მინახავს! — უთხრა სიდონიამ კატოს დუნიაზე, რომელმაც ამ დროს გამოიარა ოთახში შესასვლელად. — არ არის მეტიჩარა, თავისი ადგილი იცის და ამასთანავე სამსახურში შეუდარებელია, — განაგრძობდა ალტაცებით. — მერე სიდამაზე აკლია თუ! ჩვენ ნესტორას ერთხელ შევამჩნიე, რომ აპირებდა მაგასთან გათამაშებას, მაგრამ მისი არშიყობა ახლოც არ მიიკარა.

— როცა თვითონ პატიოსანია ქალი, ვინ რას გაუბედავს?

— ამასთანავე საშინელი ჩუმი, სულ ჩაფიქრებული დადის ბევრჯერ გამოვლაპარაკებივარ, მაგრამ მიფრთხის და უნდა მალე გაინთავისუფლოს ჩემგან თავი. ამ ორი დღის წინათ კი გამო-

მიტყდა, რომ დანიშნულია, ეხლა წერილიც მოსვლია საქმროსგან
— მაგისთვის ყოფილა თავშენახული, რაკი ერთი უყვარს, მეორეს რისთვის შეხედავს?
— აღბათ აგრეა! — სიდონია და კატო კვადად ჩაჩუმდნენ.
— შენი ავადმყოფი როგორღაა, კატო? — ჰკითხა სიდონიამ კარგა ხანს შემდეგ.
— გადურჩა სიკვდილს, დღეს კიდევაც ავაყენე ლოგინიდან, თუმცა ჯერ კიდევ სუსტად არის. წასვლა მინდოდა, მაგრამ არ მიშვებს... მეცოდება... დავრჩები კიდევ ცოტა ხანს, სანამ სულ არ მოჯობინდება. სახლის ჯავრიცა მაქვს. ვინ იცის ეხლა იქ რა ამბავია?
— უეჭველია კარგად არიან, თორემ შეგატყობინებდნენ. ჯერ ნუ წახვალ, კატო, ცოტა კიდევ მოიცადე!
— ვნახოთ!
მეგობრებმა განაგრძეს კერვა.
— დიდი ხანია მინდოდა მეკითხა შენთვის და სულ მავიწყდებოდა, — დაიწყო ისევ სიდონიამ, — შენ უსათუოდ გეცოდინება; რათ არიან აქაურები ისე დამფრთხალნი, რომ კაცს დაინახავენ თუ არა, ნადირსავით განზე გაურბიან და სახეზე შემოხედვა ეზარებათ? რამდენჯერა ვცადე დედაკაცებს გამოველაპარაკებოდი, მაგრამ ცხადად შევატყე რაღაც უკმეხობა და ფარული უსიამოვნება. გახსოვს, ჩვენ სოფელში რა ერთობა და სიყვარული გვქონდა?
კატოს სახეზე ჩრდილმა გადურბინა, თავი დაიღო ძირს, თითქო უნდა კარგად დააკვირდეს ნაკერსო.
— ჯერ თუ არ გიცნობენ და იმიტომ ვერ მოუბედნიათ! — წარმოსთქვა მან კარგა სიჩუმის შემდეგ.
— მაგნაირად ვერც გამიცნობენ! არა, კატო, გაუბედაობა არ უნდა იყვეს მიზეზი, აქ სხვა რაღაცაა, — დაუმატა ფიქრიანად სიდონიამ. — ასეთი დამოკიდებულება კი ძალიან ძნელია მისთვის, ვისაც აქ მოუხდება ცხოვრება და მეტადრე ჩემთვის ხომ აუტანელია! — განაგრძო მან.
— იქნება, სწყინთ რამე თქვენგან? გდეხკაცისთვის ცოტაა საკმარისი. როგორც მალე მოიგებ იმის გულს, ისეც მალე ჩამოიშორებ.
— მგონი, მე მათთვის არა მიწყენინებია რა...

— შენ კი არა, მაგრამ... როგორც ყური მოვკარი, შენ ქმარს ძალიან ემდურებიან.

— რაიო, გეთაყვა? — სიდონია სმენად გადაიქცა.

— ძალიან გვავიწროებს, ჩაჩნები ჩაგვიყენა და იმათგან მოსვენება აღარა გვაქვსო. ტყიდან ერთი ჩხირი ისე ვერ გამოგვიტანია, რომ ულმერთოდ არ გადაგვახდევინონო. ბევრჯერ მათრახითაც მოგვდგებიან და ჭალარა დარბაისელ მოხუცებულებს ბეჭებს გვიჭრელებენო. საქონელი ბაკებში გვიბია, იმათის შიშით იალაღზე ვერ გამოგვიშვია, მაშინვე ყელში ხანჯალს აძვერებენო. შარშან ზაქარა ბეგიაშვილისთვის შვიდთუმნიანი ხარი დაუჩეხიათ მარტო იმის გულისთვის, რომ თივის ბულულზე მისულა, ერთი მუჭა გამოუგლეჯია. ყველა ეს, ჩემო კარგო, ადვილი ასატანი არ არის ისედაც გაწყალებულ ხალხისთვის. შენი მამამთილი სამსახურში ყოფილა და აქ სასიარულოდ ვერ იცლიდა თურმე, მოურავიც ნებანებისად მისდევდა მათ; ასლა კი უცბად დაინახეს თავზე წამომდგარი სასტიკი მებატონე, რომელსაც თან მოჰყვა აყრა, გადასახდება; ყველა ეს მოთმინებას უკარგავს მათ. იმ! ნეტაი გენომ სიამტკბილობით გაუთავოს საქმე და! შენ დაგიჯერებს, ურჩიე ხოლმე მშვიდობიანობა... სიყვარულს და ერთობას რა სჯობიან, გენაცვალე? — დაუმატა კატომ და ჩაჩუმდა.

სიდონიაც განაგრძობდა ჩუმად ყოფნას, თან სახეზე გამოუთქმელი ნაღველი ეხატებოდა, მას აოცებდა, ვერ დაეჯერა გენოს ასეთი სისასტიკე.

— „ისინი ჩემზე მოგებულნი არიან... მიწები ერთიორად მივეცი, გადასახდებისათვის საჭირო ხარჯი ფულად ჩავუთვალე... მე იმათ არაფერში არ ვავიწროებ“.... — გაახსენდა ქმრის უკანასკნელი სიტყვები. ამნაირად, თითქო გენოც მართალი იყო, მაგრამ ეს ჩაჩნების ოინები წინააღმდეგს ამტკიცებდნენ.

სიდონიას გულს უბზარავდა ყველა ეს ამბები და აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი უკმაყოფილება.

— დარწმუნებული ვარ, კატო, გენომ არ იცის ჩაჩნების, მაგნაირი ქცევა, თორემ როგორ გააბედვინებს, რომ ხალხი აგრე შეავიწროვონ? მე ყველაფერს შევატყობინებ გენოს, რომ ამ უმსგავსობას მალე ბოლო მოეღოს! ოხ, ღმერთო! — შესძახა სიდონიამ ზიზღით და გვერდზე გაიხედა.

— აგრე ჰქენ... უთხარი, გენაცვალე, თორემ ამნაირი ყოფნა არ შეიძლება. ისინიც ერთი ბრმა-ყრუ ხალხია. ვინ იცის, სიბრიყვემ და სირეგვნემ სადამდის მიიყვანოს თავზე ხელაღებული კაცი?..

ამ სიტყვების გაგონებაზე სიდონიას შიში დაეტყო. მან თვალები ფართოდ გაახილა და მიაჩერდა კატოს, რომელიც აგრეთვე მოწყენილი გაჰყურებდა სივრცეს.

## VII

ილარიონმა რამდენჯერმე შეჰყარა ხალხი. ორჯერ მაინც მოაგონა ზაქარას აყრილიყო, მაგრამ მისი სიტყვა ჰაერში იფანტებოდა, თუმცა ამავე დროს ილარიონი არწმუნებდა გენოს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებოდა. სიდონიამაც რამდენჯერმე სთხოვა გენოს, ჩაჩნები დაეთხოვა, აუწერა მათი საქციელი, მაგრამ გენომ დაამშვიდა, რომ ყველა ეს მოგონილი ჭორი იყო — წინწხვრების კრეფა გლეხების მხრივ, რომ ჩაჩნები ვერაფერს იმისთანას ვერ გაბედავდნენ და ამასთანავე კვლად სთხოვა სიდონიას, შემდეგში არ გარეულიყო ამ საქმეში. გენო მიხვდა, რომ სიდონიასთვის ყველაფერი ჩაეგონებინა კატოს, რომელიც მიდი-მოდიოდა ამათსა და გლეხებს შორის და არ იამა იმის ჩაჩხირვა, თუმცა სიდონიას ხათრით ვერ ამხელდა უკმაყოფილებას კატოს მიმართ.

— აქედან წასვლამდის ბევრი დრო აღარ არის, ჯანაბას მაგისი თავი, ეგდოს! — ფიქრობდა გენო და თან კატოს ხშირად სიარული არ ასვენებდა; მისი ლამაზი, ეშხიანი სახე კიდევაც მაცდურად სდევნიდა.

— გეთაყვა, კატო, ყური უგდე ამ მურაბას, ტაშტში მალმალ შეანძრიე სოლმე, სანავთედანაც აღი არ ამოუშვა! თავს დავიბან და ამ საათში მოვალ, ცხელი წყალი მელის, — უთხრა ერთხელ სიდონიამ კატოს, რომელიც ის იყო მოვიდა. სიდონია გამოვიდა ოთახიდან. საბანაოდ მოწყობილი ოთახი კარგა მოშორებით იყო ეზოში და დუნია ბოხჩით ხელში უკან მიჰყვებოდა ქალბატონს, თან ალმაცერად უყურებდა გენოს, რომელიც ჩაფიქრებული მარტოდ დადიოდა აივანზე.

გენო წუთს შეჩერდა, მიმოიხედა, სარკმლიდან თვალი მოჰკრა კატოს, რომელიც მარტოდ იდგა და მურაბას ხარშავდა. გენოს სახემ გაუღიმა.

— ნესტორა! — შესძახა მან ბიჭს, რომელმაც ის იყო ამოირბინა კიბე, რომ ოთახში შეეტანა დასუფთავებული ჭურჭელი. ბატონის დაძახებაზე ბიჭი გაჩერდა მორჩილებით, — ვენახში ჩაირბინე და ილარიონს უთხარი სანადიროდ მოემზადე-თქო.

— ეხლავე, ბატონო! — უპასუხა ნესტორამ და აივანზე დადგმულ მაგიდაზე დააწყო ჭურჭელი, რათა დროზე აესრულებინა ბატონის ბრძანება.

გენო ისევ მარტოდ დარჩა და ეხლა კი გასწია ოთახისკენ.

კატო ზურგშექცეული იდგა და თავისთვის ღიღინებდა. მაგრამ ქალმა უცბად იგრძნო რაღაც უხერხულობა. მოტრიალდა და შეხედა გენოს, რომელიც გაჩერებულიყო ერთ ადგილს, სახე შეშლოდა, თმა აბურძგნოდა, ხელები მიეტანა უღვაშებთან და რაც ძალა და ღონე ჰქონდა იგრეხდა; თვალები ვნებით ავსებოდა და პირუტყვულ სურვილებით გამსჭვალული დასცქეროდა კატოს ყოველ ნაკვთს. გენო ღელავდა, მთელის სხეულით თრთოდა. მან დაინახა თუ არა თავისკენ მიბრუნებული ქალი, ტუჩები გაეხსნა, დაიწყო ხელებით ნიშნება, თან რაღასაც ჩურჩულებდა. კატოს ამის დანახვაზე თავზარი დაეცა, გაფითრდა. გენომ მსწრაფლ წაიღო ჯიბისკენ ხელი, ამოიღო თუმნიანი ქაღალდის ფული, დამუჭა ხელში და თამამად წამოვიდა ქალისკენ.

— შენი თვალების ჭირიმე! — დაიჩურჩულა კვალად ვედრებით და მკლავები გაშალა მოსახვევნელად, თანაც ხელის თითებში ფულს მაცდურად აშრიალებდა.

კატომ განწირულებით მიიხედ-მოიხედა. ოთახში არავინ იყო. არც აივანზე მოსჩანდა ვინმე, მაგრამ მაინც არ დაჰკარგა გონება; მსწრაფლ გაიქნია ცხელ მურაბაში ამოვლებული კოვზი და შემოჰკრა ტუჩებში გენოს, რომელსაც საშინლად ემწვავა და კვნესით უკან დაიწია.

— იქით, სინიდისგაწყვეტილო! ამ საათში მთელ სოფელს დაგახვევ! — შესძახა კატომ ზიზღით. — იქნება გგონია, ღარიბი ვარ და ნამუსს გროშებში გავყიდი! იქით, შე გათახსირებულო!

გენო შეკრთა, როდესაც დაინახა გააფთრებული ქალი და შეშინებული კარში გავარდა. კატომ კი, როდესაც მოიშორა ეს მხე-

ცი, წუთს ღონე დაჰკარგა, დაეშვა სკამზე და დაიწყო ქვითინი. მან ეხლა კი იცნო, ვინც იყო გენო. გაიგო, ვის ხელშიაც ჩავარდნილიყო ციცო, რომელსაც სიყვარულისგან თვალები ახვევოდა და ვერას ხედავდა.

კატოს დღემდის არა სჯეროდა სოფლის დაპარაკი, მაგრამ დღეს კი დარწმუნდა, რომ ყველაფერი მართალი იყო, რასაც ამბობდნენ გენოზე. ის ვერ შერიგებოდა აზრს, რომ მშვენიერ სიდონიას ქმარი კიდევ სხვა ქალს, და მეტადრე მის მეგობარს, ასე თავისუფლად შეხედავდა, შეურაცხყოფდა.

— ციცო, შე უბედურო! — შესძახა განწირულებით კატომ და მეგობრის უბედურების მნახველს კვალად წასკდა ქვითინი.

კატოს უნდოდა, ეხლავე გავარდნილიყო ამ უწმინდურ სახლიდან, მაგრამ ენანებოდა ციცოს მოშორება, მეტადრე ეხლა, როდესაც ხედავდა, რომ ეს შეხვედრა უკანასკნელი იყო მისთვის, რომ კვალად ამ ოჯახში კატოს აღარ მოესვლებოდა.

— უთხრას ციცოს? მერე? ხომ დაუკარგა სულის მშვიდობა? ის მოტყუებულია, არა იცის რა და, დაე, დარჩეს ბოლომდის მოტყუებული. მძიმედაც არის და ედლისგან შეიძლება რამე დაემართოს! გენაცვალეთ, მე რომ ასე მომექცა, როგორ დავიჯერო, სხვასთან პირნათლად იყვეს, თუნდ ამ დუნიასთან. ან სხვასთან? ოხ, ცხოვრებავ! ნუთუ აქაც მოელის საბრალო ციცოს წამება?!

არა! უნდა უთხრას ყველაფერი, სთხოვოს, თავი დაანებოს საზიზღარ ქმარს. წაჰყვეს ისევ იმათ ჭდეულში და ამ დიდებას ნაცარში გახუხული პური არჩიოს.

კატომ თვალწინ დაიყენა ციცოს მთელი ცხოვრება და ჩაფიქრდა, მაგრამ ციცო ეჩვენა სულ სხვა არსებად. მას აღარ შეუძლიან უქმაოდ ცხოვრება! უყვარს, სჯერა, რომ უმანკოა და, თუ შეატყო ნამდვილი, ცოცხალი ველარ გადარჩება.

კატომ კვალად მიიხედ-მოიხედა. ეს სახლი აღარ ეჩვენა წინანდებურად დიდებული, არამედ მოენატრა თავისი ტკბილი ქოხი, მშრომელი, მოსიყვარულე და ზნეობით ფაქიზი მუშა ქმარი, პაწაწა მიტრა და მზად იყო, ეხლავე გაქცეულიყო მათკენ.

მაგრამ როგორ მოახერხოს, რომ სიდონიამ ვერ გაიგოს? წუთს კატოს რაღაც აზრმა გაურბინა თავში და ცოტათი დამშვიდდა, შეიკრიბა ძალა და ჩამოჯდა სკამზე. ის აღარ სტიროდა, არამედ მრისხანედ იხედებოდა კარებისკენ, თითქო კიდევ ელოდა

უსიამოვნო მასპინძელს, რომელიც სადღაც გამქრალიყო, მაგრამ აგერა თვალი მოჰკრა აივანზე ამოსულ სიდონიას, რომელიც მოეშურებოდა ოთახისკენ. კატო საჩქაროდ წამოვარდა ზეზე, მიბრუნდა ტახტისკენ და დაუწყო მურაბას კოვზით რევა.

— მეც მოვრჩი, კატო, ჩემს საქმეს. შენა? მურაბა ხომ არ გადმოვიდა? — უზრუნველად ჰკითხა სიდონიამ შემოსვლის უმალ.

კატომ სიტყვის თქმა ველარ მოახერხა. ტუჩები უთრთოდნენ, ველარ შეეხედა სიდონიასთვის; ეშინოდა საშინელი საიდუმლო არ გამჟღავნებოდა...

— კატო, რას გაჩუმებულხარ? ხომ არ დაგეწვა? — გაიმეორა კვალად სიდონიამ და ღიმილით მივიდა ახლო.

კატო არ იძროდა. სიდონიამ გაოცებით წაავლო ნიკაპზე ხელი და თავისკენ მიიბრუნა მეგობრის სახე.

— გიტიცნია? რა ამბავია? — შესძახა შეშინებულმა სიდონიამ.

კატომ რომ შეხედა სიდონიას წრფელ, ლამაზ სახეს, უფრო მეტად აუჩუყდა გული. ანგარიშმიუცემლად წამოვარდა ზეზე და მოეხვია.

— ჩემო მშვენიერო! ჩემო ძვირფასო! ოჰ, ღმერთო ჩემო! — გაიძახოდა სასოწარკვეთილებით და უკოცნიდა სახეს, თითქო სთხოვდა რაღაც მოტევებას.

სიდონია გაფითრდა და ჩამოჯდა სკამზე.

— ნუ მაწვალებ, კატო! მითხარი რა მოხდა? ნახევარ საათის წინათ შენ მხიარულ გუნებაზე დაგტოვე ამ ოთახში და ეხლა ასე უეცრად რა დაგემართა?

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, მშვიდობით! ჩვენ ერთმანეთს ველარა ვნახავთ დიდხანს! — სიტყვებს ძლივს იგონებდა კატო.

— რატომ? აკი დამპირდი ქალაქში გეწვევიო? წასვლასაც ჯერ რომ არ აპირებდი?

— ეს არის ეხლა შევიტყე... რომ... ჩემი ქმარი თურმე მძიმე ავადმყოფია... ეხლა აქ იყო ჩემი მაზლისწულის ბიჭი და მიბარებენ. ამ სალამოსვე უნდა წავიდე, გენაცვალე... — ძლივს გაათავა კატომ.

— მერე რა ვუყოთ, რომ ავათ არის?.. ადამიანი ყოველთვის ერთნაირად კი არ იქნება... ნუ შეშინდები, ღვთით კარგად გახ-

დება. — ეუბნებოდა თანაგრძნობით სიდონია და გულში კი სწუხ-და კატოს გულისთვის.

— მაშ, მშვიდობით, ციცოჯან! ღმერთმა ყოველთვის გამა-გოსოს შენი კმაყოფილი, ბედნიერი ცხოვრება, ვაჟი შეგძენო-დეს, — უთხრა კატომ და ჩამოდგა ზეზე.

— აღარ იშლი, მიდიხარ? — ჰკითხა ნაღვლიანად სიდონიამ.

— რაღას გავუჩერდები?

— პატარა ხანს დამიცადე! — სიდონია შევიდა საწოლ ოთახ-ში, მაგრამ დიდხანს არ დაუგვიანია. რაც მარტოდ იყო კატო, ცრემლებით იბანებოდა.

— ჩემს სახსოვრად გქონდეს! — უთხრა სიდონიამ და კატოს გადასცა გულის ძვირფასი ქინძისთავი. ისინი გადაეხვივნენ ერთ-მანეთს. სიდონიას უნდოდა გარეთ გაჰყოლოდა, მაგრამ კატომ შეაყენა.

— არა, არა, კარზე ნუ გამოხვალ! სიგრილეა და ნაბანევი მა-ლე გაცივდები.

— მალე შემატყობინე შენი ამბავი... ქალაქში გელი, არ და-მივიწყო! — ამ სიტყვებით სიდონიამ მიაცილა კატო კარებამდის.

სიდონია დარჩა მარტოდ და მოიწყინა, მას თვალიდან არ შორ-დებოდა დარდისაგან გონებადაკარგული კატო.

— დიდა მშვიდობისა! — მოესმა ცოტა ხნის შემდეგ. ოთახში შემოვიდა ილარიონი, რომელიც დაკვირვებით მიაჩერდა ქალს.

— ოხ, ილარიონ! ძალიან ჩაგაბა საქმეში გენომ, რომ თვა-ლით ველარა გხედავ, — უთხრა ღიმილით ფიქრებიდან გამორკვე-ულმა სიდონიამ.

— დიახ, ვენახში ვიყავი, მუშებს ლობეს ვამაგრებინებ.

— გენო სადღაა? — კვალად იკითხა დამშვიდებით სიდონიამ და დაიწყო კერვა.

— ისიც იქ არის ჩემთან, — მიუგო ილარიონმა და მიიხედ-მოიხედა. გაუკვირდა, რომ კატო აქ აღარ იყო და სიდონიასაც არას ამჩნევდა.

— აბა, ნახეთ, როგორი მურაბა მომიხარშა ჩემმა კატომ. საცოდავს არც კი დააცადეს გემოთი მაინც ენახა, საჩქაროდ გა-იტაცეს; ქმრის ავადმყოფობა მოსვლია, — დაუმატა ნაღვლიანად ქალმა და დამბაქზე დაასხა ჯერ კიდევ ცხელი მურაბა.

მურაბის დანახვაზე ილარიონს ტუჩებზე სიცილი მოუვიდა,

მოაგონდა გენო, რომელიც ტუჩებდათუთქული, შეშფოთებული მოვარდა მასთან და შესჩივლა თავისი წინდაუხედავი ქცევა. გაიხსენა მისი შეშინებული სახე, მოუსვენრობა, როგორ ეხვეწებოდა, წასულიყო და შეეტყო, თუ რა შედეგი გამოეღო მის თავშეუკავებლობას; იცოდა რამე სიდონიამ, ან კატო ისევ იქ იყო თუ არა?

ილარიონი დარწმუნდა, რომ კატოს არა გაემხილა რა სიდონიასთვის და იამა, რომ მისი მეგობარი გადურჩა გასაჭირს.

ილარიონმა მადლობით თავი დაუკრა დიასახლისს და მივიდა მაგიდასთან, რათა აესრულებინა მისი თხოვნა და გაესინჯა ახალგაკეთებული მურაბის ღირსება.

— საუცხოვოა, კნეინა! სწორედ საუცხოვოა! — აღტაცებით გაიძახოდა. ის კოვზს კოვზზე იდებდა პირში.

ილარიონი დიდხანს აღარ გაჩერებულა აქ. მოიგონა კვალად საქმე, რომ ჩქარა დაემშვიდებინა გენო, რომელიც გულის ძგერით ელოდა ვენახში.

ერთი საათის შემდეგ გენო მოვიდა სახლში, ცოტა არა, დარცხვენილი.

— ეგ რა დაგმართვია, გენო, ტუჩებზე? რარიგად გაგსიებია? — შესძახა შეშინებულმა სიდონიამ და ახლო მივიდა ქმართან. გენომ ძირს დაუშვა თვალები.

— ოჰ, სიდონი, ვერ წარმოიდგენ, რარიგად მეწვის და მაწუხებს!.. — წარმოსთქვა მან და ხელი ოდნავ მიიდო აბუდგულ ტუჩებზე.

— რისგან მოგივიდა?

— ეშმაკად სკას გავუარე და ვერ შევნიშნე, რომ ფუტკარს ეყარა და ერთმა მეტად მწვავედ მიკბინა.

სიდონია მსწრაფლ გამობრუნდა, უჯრიდან ამოიღო ფოლადის დანა და მიუტანა გენოს ტუჩებთან.

— ეს უებარია, გენოჯან, ფუტკრის ნაკბენისთვის, აბა, მოიტა წაგისვა!

მეტი ღონე არ იყო, გენო უნდა დამორჩილებოდა ცოლს.

სიდონია თუმცა ფრთხილად უსვამდა ცივ დანას, მაგრამ გენოს მაინც აწუხებდა დამწვარზე ხელის შეხება და იმანჭებოდა.

— არა გიშავს რა, მალე გაგივლის! — უთხრა სიდონიამ და აკოცა ქმარს ნატკენ ადგილზე.

## VIII

გავიდა ზაფხული. სოფელმა ელფერი შეიცვალა, მიმზიდველობა ჩამოშორდა და მოწყენა აგრძნობინა ყველას.

გენო და სიდონიაც შეუდგნენ ქალაქისკენ წასასვლელად მზადებას. სიდონია კვალად მხიარული, ერთიორად იორკეცებდა კმაყოფილებას, რომელსაც თვალწინ იყენებდა თავის ახალ მდგომარეობას, რომ რამდენისამე თვის შემდეგ გახდებოდა დედა და თავს შემოევლებოდა ძვირფას ქმარ-შვილს.

ილარიონმა და გენომ გლეხების აყრა ისევ საგაზაფხულოდ გადასდეს, რადგან ეხლა დაგვიანებული იყო. მომავალი ზამთარი მეტად მძიმე იქნებოდა ახლად ბინაშლილ გლეხისთვის და თანაგრძნობით, კაცთმოყვარეობით აღვსილნი, ვერ იმეტებდნენ საბრალოებს, გაზაფხულზე კი უეჭველად უნდა შეესრულებინათ თავიანთი განზრახვა.

ილარიონმა გენო ცოლით და მამით მშვიდობით გაისტუმრა სოფლიდან და თვითონ კი გაშალა ფრთები თავის ახალ სამფლობელოში.

— ეჰ, შვილო, ისევ ქალაქი, თორემ სოფელმა არა მიშველა რა! — წარმოსთქვა დაღონებით მოხუცმა, როდესაც დაბრუნდნენ თავიანთ საზამთრო სახლში. მოხუცი უჩიოდა მუხლების ტკივილს და ნება-უნებლიეთ უნდა ჩაწოლილიყო ლოგინში. თუმცა სიდონიას მობეზრებული ჰქონდა მამამთილთან ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკი, მაგრამ ის მაინც ასრულებდა თავის მოვალეობას ხალისიანად.

— არა, მამა, თქვენ ეხლა უკეთ ბრძანდებით. გზამ თუ დაგანჯღრიათ, რაც მალე გაივლის, თორემ სხვაფრივ სოფელს ტყუილად ემდურებით, რადგან ფერზე მოხვედით და მოსუქდით, — ეუბნებოდა სიდონია მოხუცს, რომელიც დაიმედებული, რომ არა დაუშავდებოდა რა, ულიმოდა რძალს.

— ოხ, ნეტაი ამას გადვურჩე, ღონეზე მოვიდე, მერე მე ვიცი, ისეთი ნადიმები გავმართო, მთელი ქალაქი მოვიწვიო და ვაჩვენო ყველას შენი მშვენიერება. ჯერ იმათი თავი არა მაქვს, სანამ ასე ვარ, — დასუსტებულის ხმით ამბობდა მოხუცი.

სიდონია თავს უხერხულადა გრძნობდა ხოლმე, როდესაც და-

უწყებდნენ პირში ქებას და ცდილობდა დაპარაკის საგანი შეეცვალა.

ისინი მალე დადაგდნენ და განაგრძეს ჩვეულებრივი ცხოვრება.

ერთხელ სიდონია იჯდა სასტუმრო ოთახში, აბრეშუმის ფერადი ძაფებით ქარგავდა ხავერდზე, თანაც დაბალის ხმით ღიღინებდა. ყოველ ნემსის ამოგებაზე საქმეს წინა სწევდა და სამხატვრო ნაქარგის დანახვაზე ნეტარებასა გრძნობდა.

— რა მშვენიერი იქნება ჩემი გენოს სამუშაო ოთახისთვის! ისე გავათავებ, რომ ვერც კი გაიგებს. რარიგად იამება, უცებ რომ შეხედავს!

ამ წარმოდგენით სიდონია ნეტარებდა. ამ დროს დერეფნიდან მოისმა ელექტრონის ზარის წკრიალი. სიდონიამ ყური არ ათხოვა, ის მაინც განაგრძობდა ტკბილ ოცნებაში ყოფნას. ვერც კი შეამჩნია, მოსამსახურემ როგორ გააღო კარი.

— ქალბატონი შინ არის? — მოისმა ნაზი, ნაცნობი ხმა. ეს ხმა ოდესღაც შესმენია სიდონიას და გაოცებით აიღო მაღლა თავი.

— ციცოჯან? — მოისმა აღტაცებული ძახილი. სიდონია წამოვარდა ზეზე და გაოცებით მიაჩერდა მაღალ, ცისფერთვალება ქალს.

— ელენე! ნუთუ ეს შენა ხარ? — ჩამოიძახა გახარებულმა სიდონიამ და გადაეხვია სტუმარს.

— რარიგად გამოცვლილხარ? სხვაგან სადმე რომ მენახე, ვეღარც კი გიცნობდი. დადედაკაცებულხარ, მე კი სულ ბავშვი დაგტოვე, — დაუმატა ელენემ, როდესაც ჩაჯდა სავარძელში.

ელენეც ძალიან გამოცვლილიყო, უფრო დასრულებულიყო, სახეს წინანდელი სინორჩე ჩამოშორებოდა, მაგიერად მიეღო მეტი ზრუნვის და დაფიქრების გამოხატულება.

— ჩამოვედით თუ არა ქალაქში, სულ შენსკენ მქონდა თვალი და ყური, მოგელოდი დღე-დღე. სხვა როგორი კმაყოფილი ხარ? — ჰკითხა ელენემ და ღიმილით თვალი მოავლო დიდებულად მოწყობილ ოთახს.

— დიდი ბედნიერი ვარ, ელენე, შენა?

— მეც სრული ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ცოტა ავადმყოფობას არ დავეჯაბნე, თუმცა ეხლა კი, ღვთით, კარგადა ვარ. გა-

დავწყვიტე, ეს ზამთარი გავატარო აქ, ქალაქში. იმედი მაქვს, ხშირად ერთად ვიქნებით ხოლმე, არა, ჩემო კარგო?

— მაგაზე სასიამოვნოს რაღას მეტყვი? სხვა ელენეჯან, თქვენები როგორ არიან? ლევანი სად არის? — წარმოსთქვა სიდონიამ და აღერსით ხელი ხელს დაჰკრა.

— კარგად არიან... ლევანი დროებით რუსეთში გაგზავნეს სამსახურის გამო. ხომ გაიცანი აქაური საზოგადოება?

— ჯერ ვერა. სულ ვაპირებთ მე და გენო და ვერ მოგვიხერხებია. თანაც ზედ ემატება ჩემი მდგომარეობა, თუ ამან არ დამიშალა... — აქ სიდონიამ წასჩურჩულა ელენეს, რომელმაც კვალად გაუღიმა.

— შენ ჯერ არაფერიც არ გეტყობა.

— მაინცდამაინც აგრერიგად არ ვსაჭიროებთ ბევრის ნაცნობების აკვიატებას. ისედაც ცოტა დროა, ოჯახის მოვალეობა დიდი ყოფილა! — სთქვა სიდონიამ.

— ოღონდაც! მაგრამ მაინც საჭიროა, ციცოჯან, რამდენიმე ოჯახთან ერთობა რო იქონიო, საზოგადოებაშიაც ხანდისხან გახვიდე. უამისოდ მეტად უკანა რჩება ადამიანი როგორც აზრებით, ისე ჩვეულებებით და შემდეგ, როდესაც შემთხვევითვარდება უცხო საზოგადოებაში, თავს ვეღურადა გრძნობს. მეტადრე შენთვის ხომ დიდად სასარგებლოა გახვიდ-გამოხვიდე, უიმისოდაც სულ ჩაკეტილი იყავი და ეხლა მაინც გაიცნობ ცხოვრებას თავისი სხვადასხვა შთაბეჭდილებებით. წარმოიდგინე, არა მჯერა, რომ შენ ის პატარა გოგონა ხარ, რომელიც მობაკუნდებოდი ხოლმე ჩემთან სოფელში, — წარმოსთქვა ელენემ და დაუწყო ხელსაქმეს სინჯვა. ელენემ და სიდონიამ დაწვრილებით მოიგონეს წარსული, გადმოვიდნენ აწმყოში და აღარა დარჩათ რა გაუჩხრეკავ-გაუსინჯავი.

— შენი ქმარი სად არის? — ბოლოს ჰკითხა ელენემ, როდესაც სიდონიამ შეიყვანა სასადილო ოთახში ყავის დასალევად.

— ეს არის ეხლა გავიდა. სოფლიდან მოურავი ჩამოუვიდა და ერთად წავიდნენ საგლეხო საქმეთა საკრებულოში. გლეხებთან აწეწილ-დაწეწილი აქვს საქმე და უნდა როგორმე გაუთავოს. წარმოიდგინე, ელენე, თავი მომაბეზრა... მოდი სადილად დარჩი, გენოც მოვა და გაეხარდება, რომ გნახავს.

— ეხლა ვერა, ჩემო ციცო, და კვლავ კი მთელის დღით გეწ-

ვევი. ბიძია როგორღაა? არ შეიძლება ვნახო? — სიდონიამ შეგზავნა მოსამსახურე, რომელმაც შეატყობინა, რომ მოხუცებულს ის იყო ჩასძინებოდა.

— თავი დაანებეთ, ნუ შეაწუხებთ! შემდეგისთვის დარჩეს, — ხელი აუქნია ელენემ და წამოდგა წასასვლელად.

— აბა, ციცოჯან, არ დამიგვიანო ნახვა, N-ის ქუჩაა, 25 ნომერი, არ დაგავიწყდეს. მე მინდა ამ ზამთარს შევივსო დიდი ხნის დანაკლისი, მეტადრე თეატრებისთვის სული მიმდის; მარტო სიარულიც მეზარება და მე და შენ ვივლით ხოლმე, განა?

— ძალიან კარგი! — სიდონიამ მეგობარი მიაცილა კარებამდის და, როდესაც ეტლი გაგრიალდა, წინანდელზე უფრო კმაყოფილი დაუბრუნდა თავის საქმეს. გენოსაც აღარ დაუგვიანია. გაიგონა თუ არა სიდონიამ ქმრის ფეხის ხმა, ხელსაქმე მიმალა და წინ მიეგება.

— აბა გამოიცანი, გენოჯან, ვინ იყო აქ? ბევრი გიცადა, რომ არ მოხვედი, წავიდა იმ იმედით, რომ მე და შენ მალე ვნახავთ.

გენოს ცნობისმოყვარეობა გაეღვიძა.

— ვინ უნდა ყოფილიყო?

— ელენე ჩამოსულა საზამთროდ ქალაქში და ეს არის ეხლა გავიდა აქედან.

— მართლა? მერე უსადილოდ რათ გაუშვი? — დაუდევრად ჰკითხა გენომ.

— ბარემ ვეხვეწე, მაგრამ არ დადგა, კვლავისთვის იყვესო.

გენოს რაღაც მოღადულობა ეტყობოდა, თითქო ჩქარობდა მალე შეეწყვიტა სიდონიას უზრუნველი, კმაყოფილი ლაპარაკი, მაგრამ ქალი მაინც განაგრძობდა. გენო ჩაჯდა სავარძელში და ზურგი მიჰყუდა, ფიქრებში შევიდა. რაც უფრო დრო მიდიოდა, მოუსვენრობა ეტყობოდა, თითქო ისევ სადღაც მიისწრაფოდა. მოითხოვა ჩვეულებრივზე ადრე სადილი და ჯერ არც კი გაეთავებინა, რომ წამოვარდა ზეზე.

— სიდონი, მე და ილარიონი უნდა უეჭველად მივიდეთ ოთხ საათზე ვექილთან გლეხების საქმეზე. მეტად დამტანჯეს იმ საძაგლებმა!.. უნდა კიდევ მოველაპარაკო, რომ ან ავად გათავდეს საქმე ან კარგადა. საღამოს ჩაისთვის თუ დავიგვიანო, ნუ მომიცდი! — წარმოსთქვა მან, როდესაც საათმა დაჰკრა სამი.

— გენოჯან! შენი ჭირიმე, ეცადე მშვიდობიანად გაათავო საქმე. უსიამოვნებას ერიდე. ღმერთმანი, არა ღირს ის ადგილი მაგდენ თავში ცემად და მწუხარებად! — უთხრა თანაგრძნობით სიდონიამ, რომესაც გენო მიდიოდა.

— უეჭველად! როგორც კი მოხერხდება! — მოსძახა გენომ და საჩქაროდ გავიდა. სიდონია კარგა ხანს ქარგავდა. შემდეგ, როდესაც დაიღალა, გვერდზე მისდო ხელსაქმე და შევიდა ფიქრებში... ის კარგა ხანს ოცნებობდა და დროც შეუმჩნევლად მიდიოდა, ბინდდებოდა... მოსამსახურემ სამოვარიც შემოარბენინა სასადილო ოთახში. სიდონიამ გასწია ჩაის გასაკეთებლად, რომ მოხუცისთვის შეეგზავნა... გენო არსადა სჩანდა, სიდონიამ მოიწყინა და შევიდა მამამთილთან, უნდოდა როგორმე დრო წაელო, მაგრამ მოხუცი ვერ იყო დაპარაკის ქეიფზე და ძალას ჩაის სმას ატანდა... სიდონია კვალად გამოვიდა სასტუმრო ოთახში; მას ველარ ეპოვნა მყუდრო კუთხე. თითქო მარტოობა ისევ თავს აბეზრებდა. დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული. შემდეგ ისევ აიღო ხელსაქმე, შევიდა ფიქრებში.

— ელენე და ის ერთად ივლიან საზოგადოებაში, როცა გენოს არ ეცლება.

— ვინ რად გვინდა, სიდონი? ჩვენა გვაქვს შეძლება, გვიყვარს ერთმანეთი და სხვა რაღაა საჭირო? ვიზრუნოთ მომავალ შვილებისთვის! — ჩაესმოდა ყურში ქმრის ტკბილი სიტყვები.

სიდონიას გონება ისვენებდა ამ გახსენებით. ის კვალად წამოდგა ზეზე და გასწია ჩაის დასადევად... ჩაის შემდეგ სიდონია შეუდგა საოჯახო საქმეებს, რომ დრო გაეყრუებინა, ველარ ეგრძნო მისი ხანგრძლივობა და თვითონაც გართულიყო... დაღამდა, ოთახებში ლამპები გააჩაღეს... სიდონია მოუსვენრად იხედებოდა აქეთ-იქით და ელოდა გენოს... ქალი შეკრთა, საათმა დაჰკრა ათი...

— ნეტა რად დაიგვიანა ასე გენომ? — გაუელვა თავში.

ნუთუ მთელი ეს ხანი ვექილთან არის? ან იქნება ნაცნობები შეხვდნენ და იმათ აჰყვა? გენოს კი ჩვეულებადა ჰქონდა თერთმეტ საათზე დაძინება... ერთი საათი კიდევ და უეჭველია გაჩნდება! სიდონიამ გულს იმედი მისცა და დაიწყო ლოდინი...

— ძინ! ძინ! — გაისმოდა დროდადრო საათის რეკვა. სიდონიას კი ეჭირა ხელში წიგნი და ცდილობდა ეპოვნა მასში საყურადღე-

ბო წასაკითხი, მაგრამ ამაოდ, ის არჩევდა მარტო ასოებს, შინაარსი კი შორს გაურბოდა გონებას.

— ძინ! ძინ!.. — არ ჩერდებოდა საათი, სიდონიას ეხლა კი გულმა ველარ გაუძლო, გადაწვა სავარძელში, სული განაბა, სმენად გადაიქცა. თვითეული ფაჩუნი, ეტლების ხმაურობა ყრუანტელსა ჰგვრიდა და ყურს აცქვეტინებდა. ის ვერ ამჩნევდა, თუ მოსამსახურეები როგორ გაოცებით იყურებოდნენ, როდესაც შემოდიოდნენ ოთახში, თითქო უნდოდათ ეკითხათ, როგორ მოქცეულიყვნენ. დაეცადნათ ბატონისთვის, თუ დაწოლილიყვნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. შემდგომში მათაც მიაწყნარეს ფეხი.

— ეხლა კი მოვიდა! — შესძახებდა სიდონია და ლოყები შეუწითლდებოდნენ... მაგრამ არა! ისევ და ისევ დუმილი შემოეხვეოდა გარშემო, სიდონია სმენით მოიღალა. დრო კი მიდიოდა, საათმა ორი დაჰკრა.

— ნეტაი, თუ ამაღამ დარჩებოდა სადმე, რატომ არ მითხრა? არასდროს არ მიმალავს ხოლმე არაფერს. აკი მითხრა, ჩაიზე ნუ დამიცდიო და, თუ კიდევ დაიგვიანებდა, იმასაც ხომ მეტყოდა? გენო მარტო არ არის, ილარიონი თანა ჰყავს და რა უნდა გაუჭირდეს?

სიდონია შევიდა საწოლ ოთახში, მოსამსახურეებს უბრძანა დაწოლილიყვნენ. თვითონ მოიხვია შალი და თავი მისდო ბალიშებზე, მაგრამ მაინც ხშირად წამოიწევდა ხოლმე და კარგა ხანს ყურს უგდებდა რაღაც ფეხის ხმას. ქალი დასუსტდა და მიეძინა ამ გულისგადამღევ ლოდინში. მალე რაღამაც ჩაჰკრა ქიმუნჯი. უცბად გაახილა თვალები, გადახედა გენოს ლოგინს და რომ ისევ ცარიელი დაინახა, საჩქაროდ წამოვარდა ზეზე და დაიწყო თვალების ფშვნეტა. გული ძალზე უძგერდა, კიდევაც ულონდებოდა. გამოვიდა ისევ სასტუმრო ოთახში, რომლის სარკმელები ქუჩას გადაჰყურებდნენ. გააღო ერთ-ერთი მათგანი და შემოუშვა წმინდა ჰაერი, რაღაც შვება იგრძნო, დაეყრდნო სარკმლის ბაქანს, მიაჩერდა ქუჩას, სადაც სიჩუმე იყო და მარტო ხანდისხან დაუსტვენდა ღამის დარაჯი, ან და ათასში ერთხელ გამოირბენდა საიდანმე დაგვიანებული ეტლი. სიდონიას ეშინოდა, ველარ შორდებოდა სარკმელს და უნდოდა მთელი თავისი გრძნობა, თვალები დაეტოვებინა ამ ქვებით მოკირწყლულ სავალზე, მაგრამ როდესაც თვალის ძარღვები დაელალებოდნენ, ხშირად მიიდებდა შუბლზე

ხედს და დარჩებოდა ასე რამდენსამე ხანს. მას ეშინოდა საათის ნახვა, იცოდა გათენებას ბევრი აღარა უკლდა რა.

— ვინ იცის, ეხლა რა გაჭირვებაშია გენო! იქნება სადმე ბაღში წავიდნენ ის და იდარიონი, ფული შეაგულეს, იდარიონი ჩამოაცილეს ამხანაგებმა, გენო მარტოდ გამოისტუმრეს სახლისკენ, გზაში დახვდნენ ავაზაკები... ამბობენ, ამასწინათ ვიღაც კვალდწმინდად დაკარგულაო... ღმერთო! — შესძახა სიდონიამ და თავში აუვარდა სისხლი იმ წარმოდგენით, რომ გენო ცოცხალი აღარ იყო და ეს კი აქ იჯდა.

არა! სიცოცხლე რაღად უნდა? წავა, ეტლში ჩაჯდება, მოძებნის ქუჩებში, პოლიციას შეატყობინებს. სიდონიამ კვალად დაიწყო ქუჩისკენ ცქერა. უცბად მოესმა ეტლის გრიალი.

— ის არის! — შესძახა მან და უფრო გადიწია ფანჯარაში, ეტლმაც გამოიქროლა, მაგრამ მასში ისხდნენ უცხო ქალი და კაცი. სიდონიას ეხლაც უმტყუნა იმედმა.

— ვკითხავ, იქნება იციან ამათ!.. იქნება შეხვდნენ სადმე, ან იქნება კიდევაც დაინახეს, როდესაც იმას... ოოხ! — სიდონიამ თავი მიახეთქა კედელს და დარჩა ისე გაწამებული.

— რომ წავიდეს და ის ამ დროს აქ მოვიდეს, სახლში რომ არა მნახოს, ეწყინება, შერცხვება კიდეც მთელ ქალაქში. ათას რამეს მოუგონებენ, ვინც დაინახავს... ან სად წავიდეს? ქალაქი დიდია, ქუჩები მრავალი!

სიდონია სასოწარკვეთილებით ხელებს იმტვრევდა და მთელს სხეულში გრძნობდა ტკივილებს. სმენაც დაეხშო. გაირინდა, თვალები უაზროდღა იყურებოდნენ ფართოდ. უკვე გათენებული იყო და ქუჩებიდან თანდათან ხმაურობა მატულობდა. სიდონია კი არ იძვროდა ადგილიდან.

ძლივს გაჩერდა ეტლი სახლის კარებთან, კარი გაიღო და.. შემოვიდა გენო, მაგრამ როდესაც დაინახა კედელთან მიყუჟული გაფითრებული სიდონია, შეკრთა.

— სიდონი! — შესძახა გენომ.

სიდონია მარტო ეხლა დარწმუნდა, რომ მოჩვენება არ იყო. მიაკივლა და მოშვებული დაეშვა ქმრის მკლავებზე. გენო ნასვამი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც შეიმაგრა ქალი.

სიდონიამ ოდნავ გაახილა თვალები. შეხედა გენოს, რომლის თვალები ამღვრევით იყურებოდა. სახე წამოსწითლებოდა, პირი-

დან ღვინის სუნი ამოსდიოდა. გენოს უჩვეულო სანახაობამ წუთს გონება დაუბრუნა სიდონიას, ის შეშფოთებული გაჩერდა ფეხზე.

— გენო! ნუთუ შენა ხარ? — შესძახა სასოწარკვეთილებით ქალმა და თვალებზე ხელები მიიფარა.

გენომ შემოიყვანა საწოლ ოთახში. თვითონ ხმაამოუღებლად მიეგდო გაუხდელი და წამს ხვრინვა ამოუშვა. სიდონია ჩამოჯდა საწოლზე. ქვითინი დაიწყო.

## IX

მეორე დღეს გენო და სიდონია ცუდ გუნებაზე იყვნენ. გავლილი ღამე სწორედ ჯოჯოხეთი იყო სიდონიასთვის. ცოტა კიდევ რომ დასცლოდა, იქნება ჭკუაზედაც შეშლილიყო, მაგრამ კიდევ კარგ დროს მოეშველა გენო და იხსნა წამებისგან.

— ჰმ! მოეშველა? მერე რა სახით მოეშველა? ნასვამი, ნახევრად გონებაწართმეული. — სიდონიას მეტად ეჯავრებოდა ლოთი ადამიანი და ნუთუ ეს საზიზღარი ჩვეულება უნდა დაინახოს თავის გენოში?! არა! ამას ვერ შეურიგდება სიდონია!

— სიდონი, მაპატიე! მე შენთან დამნაშავე ვარ.. წუხელის ყმაწვილები შემხვდნენ და აღარ მომეშვნენ, ბაღში წამიყვანეს. იქ ვახშამი ვჭამეთ, ღვინო ცოტა მეტი მომივიდა და, მგონი, გაწყეინე! მაპატიე, ჩემო კარგო! მერწმუნე, რომ მე თვითონაც ვწუხვარ ეხლა! — შეევედრა გენო, როდესაც გამოიძინა.

სიდონია მაინც ებუტებოდა კარგა ხანს, მაგრამ გენოს მუდარა-ხვეწნამ, აღთქმამ, რომ შემდეგში აღარ ნახავდა ამ გარემოებაში, ნელ-ნელა გული მოუბრუნა ქალს. გენომ გადასწყვიტა სრულიად მოესპო სიდონიას გულში მდურვა და კიდევაც გამოძებნა ღონისძიება, მაგრამ დღეისთვის აღარა იქნებოდა რა, რადგან ორივე ცოლ-ქმარი მეტად მოქანცული იყო.

— სიდონი, დღეს თორმეტ საათისთვის გამოეწყე საუკეთესო ტანისამოსში, მინდა წაგიყვანო ყველა ჩვენს ნათესავებთან სადარბაზოდ. ელენესთან მაინც ხომ უნდა შევიდეთ და რაკი ჩაცმულები ვიქნებით, ბარემ სხვებიცა ვნახოთ. საღამოზე კი თეატრში წავიდეთ და ელენეც თავის ქმრით წავიყვანოთ, — უთხრა ცოლს გენომ შემდეგ კვირას.

სილონიას იამა გენოს მრივ ასეთი ზრუნვა. მას დიდი ხანია სწყუროდა თეატრის ნახვა და ჯერჯერობით კი ვერ ახერხებდა. ახალი პირების გაცნობაც დიდ ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, თავმოყვარეობას უკმაყოფილებდა. სილონიამ კიდევაც გაჰკიცხა თავისი თავი, რომ ისე სასტიკად მოექცა გენოს; გადააჭარბა, რადგან მაინცდამაინც არაფერი არა მომხდარიყო რა. რა ვუყოთ, რომ ხანდისხან ტოლებში იქეიფოს და ღვინოც მეტი მოუვიდეს? ქვეყანა ასეა და რაღა გენოსთვის უნდა იყვეს მიუტევებელი ცოდო? — ფიქრობდა სილონია.

აკი დაჰპირდა გენო, ღვინოს აღარ დავლევო... ბოლიშიც მოიხადა. გენოს ძალიან უყვარს სილონია და ეს კი რაღაც ეშვებს უშვებს თავში. ტყუილად იტანჯება და საყვარელ არსებასაც აწვალებს.

სილონია გულის ძგერით მოელოდა გენოს, რომელიც ეტლის დასაკვეთად წავიდა.

სილონია დგას დიდი სარკის წინ კმაყოფილის სახით, დუნია გარს დასტრიალებს და კაბას უსწორებს. სილონიას გულზე და ყურებში ბრწყინავენ ბრილიანტის პეპლები, რომელნიც თითქო დამიან გაფრენას. საყურეები შუქს აყენებენ ისედაც მშვენიერ ბროლ კისერს, ყელზე შემოჰკონებიან რამდენიმე ძაფი მარგალიტებისა, ბაც სოსან ფარჩის კაბას გააქვს შრიალი, ძვირფას მოსართავებით გაწყობილი ჰაეროვნადა ხდის ქალს და გაშლილი გრძელი ბოლო დედოფლის შეხედულებას აძლევს. სილონია გაოცებით უყურებს სარკიდან გამომზირალ ტურფა არსებას და უკვირს.

— ნუთუ ეს ციცოა? ის ციცო, რომელიც სოფელში უბინაოდ, უპატრონოდ ტყე-ტყე დასტიროდა, შესჩიოდა ბუნებას, სთხოვდა შველას? ნუთუ ეს ის, ამ რამდენისამე დღის წინათ წამებული სილონიაა, რომელიც ღამობდა სარკმლიდან გადავარდნას? რა არის ცხოვრება?

სილონია განაგრძობდა სარკის წინ ამაყად დგომას და კმაყოფილის ღიმილით იყურებოდა.

— სილონი, აბა მომხედე! — მოესმა ამ დროს.

სილონია გამობრუნდა გენოსკენ, რომელიც მოსულიყო და აპირებდა ჩაცმას. გენომ რომ დაინახა სრულებით გამოცვლილი სილონია, სიამოვნებით გული აუძგერდა.

— იცი, სიდონი, შენ დღეს თვით მშვენიერების ღმერთი ხარ! — უთხრა ქმარმა. სიდონიამ გაიღიმა.

— ნუთუ მართლა აგრე მოგწონვარ, გენო?.. სხვა რაღა მინდა?

— იფ! — მოისმა ამ დროს უკანიდან. ოთახში შემოფრატუნდა მოხუცი და, რა დაინახა რძალი იმ სახით, გაშტერდა, თითქო მოეჩვენა, რომ შესცდა. ეს ის სიდონია არ იყო, რომელიც დღემდის ოთახებში დადიოდა გასაღებებით, არამედ ეს იყო ის დიდებული ქალი, რომლის წინაც ყოველსავე მორჩილად თავი უნდა მოეხარა. მოხუცმა გაიხსენა წარსული დღენი, გაიჭიმა წელში, მიუახლოვდა სიდონიას და ხელი გაუწოდა.

— ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთი პირი ვალსი შემოვუარო! — წარმოსთქვა მან.

სიდონიამ გაოცებით შეხედა მოხუცს. ეგონა ეხუმრებოდა; მაგრამ არა, მოხუცის მიმქრალებულ თვალებში ბრწყინავდა რაღაც ცეცხლი. სიდონიამ ხელი გაუწოდა მამამთილს, მაგრამ რამდენისამე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მოხუცი წაბარბაცდა და გენოს რომ არ მიეშველებინა ხელი, იატაკზე გაიშხლართებოდა. ესლა კი იგრძნო მოხუცმა, რომ ყველაფერი გათავებულიყო, უნდა უძლურებას შერიგებოდა და უკან აღარ მიეხედა. გულიდან აღმოხდა მძიმე კვნესა, ჩაჯდა სავარძელში, მაგრამ ამასთანავე მაინც განაგრძობდა შორიდან აღტაცებით ცქერას, ვიდრე რძალი და შვილი არ გავიდნენ ოთახიდან.

სიდონიას და გენოს მიაქროლებდა ეტლი. კოფოზე, მეეტლის გვერდით, ამაყად იჯდა ჩერქეზულად გამოწყობილი მოსამსახური; დოინჯშემოყრილი მაღ-მაღ იყურებოდა ბატონებისკენ, სად გვიბრძანებენ გაჩერებასო.

— მარჯვნივ! ოცდახუთ ნომერთან! — შესძახა ამაყად გენომ და მეეტლემაც შეაყენა ცხენები. მოსამსახურემ დარეკა ზარი. კარი მალე გაიღო. სიდონიამ და გენომ გასწიეს დაუკითხავად. ისინი თამამად მიდიოდნენ ეღენესთან. დერეფანში შევიდნენ თუ არა, შემოესმათ სასტუმრო ოთახიდან მხიარული სიცილი და ლაპარაკი. გენო და სიდონია დარწმუნდნენ, რომ ეღენეს სტუმრები ჰყავდა. სიდონიას კაბამ გაიშრიალა დარბაზში, წუთს ლაპარაკი შეწყდა.

— ძლივს! — მოისმა თან საყვედურითა და თან სიამოვნებით აღვსილი ხმა ეღენესი, რომელიც მოეგება სადღესასწაულოდ მორ-

თული, მაგრამ სილონიას ჩაცმულობასთან ეს ალარაფრადა სჩანდა. ელენეს ქმარი ჩამოსვლოდა, ორი პატარა ცქვიტი გოგონა ძახტოდა დედ-მამის ახლო, მაგრამ როდესაც დაინახეს სილონია, შედგნენ და გაოცებით დაუწყეს ყურება.

— რა მშვენიერი ბავშვები არიან! — წარმოსთქვა სილონიამ, ცოტა არა შემკრთალმა, როდესაც დაინახა მისკენ ცნობისმოყვარეობით მიმართული თვალები სტუმრებისა. თავისი უხერხულობა რომ როგორმე ჩაეტარებინა, დაიხარა ბავშვებისკენ საკოცნელად. ელენემ თავისი სტუმრები გააცნო სილონიას.

— არ გეკადრება, ყმაწვილო, აქამდის რომ არ გვაჩვენე ჩვენი რძალი! — წარმოსთქვა ერთმა გამხდარმა, შუახნის ქალმა, რომელიც გაკავებულივით იჯდა ერთ ადგილს, მდიდრულად მორთული. წვრილი მოხაზულობა სახისა და მთელი იერი სწორედ რომ განცვიფრებითი ნიშანს წარმოადგენდა. თან ცალის ხელით პაპიროსს ეწეოდა და ცალით კი ნაზად მიირთმევდა ფაიფურის კოხტა ფინჯნით გემრიელ შოკოლადს. ის დაკვირვებით და თანაც ცოტა არა მედიდურად უყურებდა სილონიას, რომელიც მხიარულად ელაპარაკებოდა ელენეს.

— მეტი დრო არ გახლდათ, თორემ უფრო ადრე ვნახავდით ჩვენს მახლობლებს. როდესაც პირველად ჩამოვედით ქალაქში, უკვე ყველანი დაფანტულიყვნენ საგარაკოდ, ეხლა დავბრუნდით სოფლიდან და მამაჩემის შეუძლებლობამ შეგვაჩერა, — თავი იმართლა გენომ.

— იმედია ეხლა მაინც გვნახავთ, — დასძინა კნეინამ და ღიმილით გადახედა სილონიას.

აქ იყვნენ კიდევ ორი სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი, რომელნიც ულვაშებს ძალზე იგრეხდნენ: ცდილობდნენ სილონიას ყურადღება მიექციათ.

სილონიამ გაიგო, რომ ეს გამხდარი კნეინა პირველი ქალი იყო ქალაქში და თანაც გამოჩენილი ქველმოქმედი. ისე არ გაკეთდებოდა არც ერთი შესანიშნავი წვეულება და ბალი, რომ ის არ მიეწვიათ დიასახლისად. კნეინა გრძნობდა თავის უპირატესობას და თავი მაღლა ეჭირა. დარბაზში იყო აგრეთვე ორი-სამი ახალგაზრდა ქალი; ისინი უზრუნველად ელაპარაკებოდნენ ყმაწვილ კაცებს.

ელენეს სახეში გამეფებულიყო რაღაც სიმარტივე, თავისუფ-

ღება და ყველას თავიდან აშორებდა უხერხულობას. სიდონიაც მალე გათამამდა. გენო კი მოუსვენრად იჯდა, თითქო უნდოდა მალე გაქცეულიყო ამ შეუსაბამო საზოგადოებიდან, მაღ-მაღ შეხედავდა ცოლს, ხანდისხან თვალითაც ანიშნებდა, ამდგარიყო. სიდონია მიუხვდა და მალე წამოდგა ზეზე.

— ჩვენ ამაღამ თეატრში ვიქნებით და თქვენც მოდით უსათუოდ... აი ლოჟის ნომერი, — უთხრა გენომ ელენეს და მის ქმარს, რომლესაც უკანასკნელნი გამოჰყვნენ დერეფანში. ამათ მადლობით ჩამოართვეს ხელი და აღუთქვეს, რომ უსათუოდ მივიდოდნენ. სტუმრები კი ფეხს არ იცვლიდნენ და ამაყი შეხედულებით აცილებდნენ სიდონიას, თუმცა ცხადი იყო, გულში ეხარბებოდათ მისი მშვენიერება.

სიდონია და გენო კიდევ იყვნენ რამდენსამე ოჯახში, ყველგან რაღაც ძალდატანება და გაზვიადება სუფევდა, სიფუქსავატე აზრებისა: მთელი ლაპარაკი აშენებული იყო ვისიმე ქებაგაკიცხვაზე, ან თეატრებზე, მსახიობებზე, რომელიც ჯერ არ ენახა სიდონიას და ამიტომ მეტად უძნელდებოდა ბაასი.

— ჩემმა ქმარმა მშვენიერი მანიაკი მომიტანა საზღვარგარეთიდან! სულ ბრილიანტებია შიგადაშიგ იაგუნდებჩატანებული! სამას-ოთხასი თუმანი ღირს, — წარმოსთქვა თავმოწონებით ცნობილი მკურნალის მეუღლემ, რომლესაც სიდონია და გენო ეწვივნენ. ქალი ახალგაზრდა იყო და ლამაზი. — ოხ, ჩემი ლადო მეტად პატივსა მცემს. მთელ დღეებს სულ საავადმყოფოში ათენაღამებს, ირჯება, ფულებს იღებს და სულ კი იმისთვის, რომ მე დამაკმაყოფილოს, არა დამაკლდეს რა! — დაუმატა და დაკვირვებით, ამასთანავე დაცინვით მიაჩერდა სიდონიას ყელსაბამს. — თქვენ მგონი პირველადა ხართ ქალაქში? — განაგრძო წინდაუხედავად დიასახლისმა. ეს საკითხი მწვავედ მოხვდა სიდონიას გულს, მაგრამ არ შეიმჩნია.

— თითქმის... გარემოებას ნება არ მოუცია, რომ ჩამოვსულიყავი... — უპასუხა მან და ხელსახოცი მოისვა გაწითლებულ ლოყებზე.

— ბევრი არა დაუკარგავს რა! — შენიშნა გენომ, რომელსაც ეწყინა ქალის ასეთი უაზრო საქციელი. ამან დიდი ხანია იცოდა დიასახლისის თავგასვლა, მაგრამ თვითონ ლადო ყველასგან პატივცემული იყო თავის სათნო და კაცობრიულ სიყვარულის გამო.

გარდა ამისა ახლო ნათესავიც იყო და გეწო თავს მოვაღედა სთვლიდა მოსუღიყვნენ ამათთანაც.

— მართალს ამბობთ! მომწყინდა ეს ჩვენი ქალაქი... მეტისმეტი ვეღურობაა აქ... ზაფხულს მოუთმენლად ველი ხოლმე, რომ ჩქარა წავიდეთ მე და ლადო რომელსამე საზღვარგარეთის წყლებზე.

სიდონია და გენო ნებაუნებურად უღიმოდნენ ამ ტრაბახა ქალს და არ იცოდნენ, რა პასუხი მიეცათ...

— იმედია, არ დაგვივიწყებთ! ლადო ავადმყოფთან წაიყვანეს, როცა მოვა და გაიგებს თქვენს აქ ყოფნას, ძალიან იამება! — უთხრა დიასახლისმა, რომელსაც სტუმრები ადგნენ წასასვლელად. სიდონიამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც გამოვიდა კოხტა, გემოვნებით მორთულ სახლიდან.

გენო მეტად კმაყოფილი იყო, რომ სიდონიაზე ვერ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას ახალი ნათესავების გაცნობა.

— აკი გითხარი, ჩემო კარგო, არა ღირს ვისიმე აკვიატებამეთქი! ეხლა ხომ ნახე, რაც არიან აქაურები! ვინც ვნახეთ, ყველა მაგათთან მაინც კიდევ ნათესაობით ვართ დაკავშირებულები და მეტი ღონე არ არის, ხანდისხან უნდა შევხვდეთ ხოლმე, უცხოებთან კი, მერწმუნე, არა ღირს არსად წასვლა.

— ოხ, რა სიცარიელეა! — შესძახა შეძრწუნებით სიდონიამ და თითქო დასცხაო, საჩქაროდ დაიწყო ხელსახოცის ქნევა პირისახესთან. ესწრაფებოდა დროზე სახლში დაბრუნებულიყო, მოეშორებინა ეს ზიზილ-პიპილები და გაფარფარებულ კაბაში შვებით ამოისუნთქა.

— რისთვის წავედით? განა ღირდა ტანისამოსის ჩაცმად? — ამბობდა სიდონია.

— რატომ, ჩვენი ვალი მოვიშორეთ.

გენომ და სიდონიამ თუმცა იცოდნენ, რომ გამხდარი კნეინა სახლში არ დახვდებოდათ, მაინც შეიარეს მის სახლში და დასტოვეს სადარბაზო ბარათები. ამითი გათავდა დღევანდელი დარბაზობა.

რამდენადაც დიდის დარბაზობამ გული წაუხდინა სიდონიას, იმდენად სალამომ თავის არსებობა დაავიწყა. თვალწინ ეშლებოდა უცხო-უცხო სანახავი, ყურში შეესმოდა მუსიკის მელოდიური ჰანგები, მათზე აყოლებული სულის დამატკბობელი სიმღერა. სი-

დონია იჯდა ლოჟაში ელენეს გვერდით, თვალებზე დურბინდი მიეფარებინა და გაფაციცებით თვალს ადევნებდა ყოველივეს, რაც კი სცენაზე ხდებოდა.

მაყურებლებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, თუმცა მათ შორის ბევრს მოემართა დურბინდი სიდონიასკენ. სიდონია ხედავდა სცენას, ისმენდა ტკბილს, სულისჩამდგმელ სიტყვებს, ესმოდა კვნესა, ვედრება, სასოწარკვეთილება უიმედოდ შეყვარებულისა. ესმოდა სასტიკი, შეუბრალებელი მოტყუება, გაკიცხვა, ფეხით გაქელვა წრფელის თავშეწირულის სიყვარულისა! ხედავდა სიმართლის განდევნას და სისაძაგლის მეფობას... რა ღალადისი და მოთქმა გრიალებდა, კვნესოდა უზარმაზარ დარბაზში. სიდონიას გული აუჩუყდა, ნაღველით ევსებოდა... სამწუხაროდ, დროდადრო შეწყდებოდა ეს ტკბილი, საუცხოვო მოჩვენებანი და მათ ნაცვლად ეშვებოდა უსულო, უგრძნობელი ფარდა. დარბაზი ელექტრონით ჩაღდებოდა, მოისმოდა ხალხის ჟრიამული, სიდონიასაც ნებაუნებლიეთ უნდა მიექცია მათთვის ყურადღება. მორთული ქალები, ყმაწვილი კაცები ეტრფოდნენ ერთმანეთს, თან პირს იგემრიელებდნენ ტკბილეულობით. მუსიკაც გრიალებდა, სიდონია გრძნობდა, რომ მარტო დღეიდან ცოცხლობდა, დღემდის ის უმნიშვნელო არსება იყო. რამდენს რასმეს იყო მოკლებული და არ იცოდა! დღეს კი ყველა ეს მიიღო გენოს წყალობით, იმ გენოსი, რომელიც გუშინ გაჰკიცხა უბრალო საქციელში და თავს უბედურად გრძნობდა. სიდონია გაოცებით უყურებდა ელენეს, ეტყობოდა მის გულს ასე ღრმად არა სწვდებოდა ეს მომხიბვლელი მუსიკა, ან შეჩვეული იყო, სიდონიასთვის კი ყველა ეს ახალი სანახავი უჩვეულო, დამათრობელი იყო.

ელენე რამდენჯერმე გავიდა ნაცნობების ლოჟებში. მისი ქმარი იდგა ფოიეში და ნაცნობებს რაღაცას გატაცებით ელაპარაკებოდა. სიდონია და გენო კი ფეხს არ იცვლიდნენ ლოჟიდან. გენოს ღალონება ეტყობოდა. წინანდელზე მეტად მიტეტკილიყო, უკმაყოფილოდ იყურებოდა და დროდადრო მოუსვენრად გადისვამდა ხოლმე ხელს შუბლზე. გარეშე ხალხი კი განაგრძობდა ხმამაღლა ლაპარაკს, სიცილ-კისკისს...

სიდონიამ ბევრს მოაშორა თვალი, რომლესაც ისინი გაშტერებით მოსჩერებოდნენ; ბევრმა ახალგაზრდამ და მეტადრე ელენესთან ნამყოფმა ყმაწვილმა კაცებმა ხმლების ჩხაკუნით გა-

მოიარეს ლოჟისკენ და თავი დაუკრეს; გენო ხედავდა, რომ მთელი საზოგადოება მოხიბლულიყო სიდონიას ნახვით. გენომ წინდაწინვე იცოდა, რომ ასე იქნებოდა და თავმოყვარეობა უკმაყოფილდებოდა, მაგრამ ამჟამად კი სულ სხვასა გრძნობდა. თვითეული ყურადღება, მიქცეული სიდონიას მიმართ, გენოს გულს დახვარივით ესობოდა. ის ხანდისხან დაკვირვებით მიაჩერდებოდა სიდონიას, რწმუნდებოდა, რომ მართლადაც შესანიშნავი ლამაზი იყო და თავპირში სისხლი უვარდებოდა. გენო სკამზე ველარ ჩერდებოდა, ცმუტავდა, ჩქარობდა დროზე გათავებულიყო წარმოდგენა. აიხადა ფარდა, ჩამოვარდა დუმილი, მაყურებლები გაწამდნენ. სცენაზე განაგრძეს მომხიბვლელი სიმღერა...

გამოჩენილი მომღერალი, რომელიც მსმენელებს ატყვევებდა, თანდათან ეშხში შედიოდა. გენო მიაჩერდა მას და ეხლა კი სულ მთლად გადირია... სწორედ! დიახ! ის ცხადად ხედავდა სინამდვილეს! მხედველობა არ ატყუებდა და მზად იყო გადავარდნილიყო ლოჟიდან, ყელში სცემოდა თავმომწონე მომღერალს, რომელიც თვალს არ აშორებდა სიდონიას.

— სიდონი! — სუსტი ხმით წარმოსთქვა გენომ და გაფითრებული მიეყუდა სკამის ზურგს.

სიდონიამ და ელენემ მოიშორეს დურბინდები თვალებიდან და მობრუნდნენ გენოსკენ.

— გენო! რა დაგემართა?.. — საჩქაროდ შესძახეს ქალებმა.

— ავადა ვარ! არ შემიძლიან... სახლში წავიდეთ! — გაძნელებით დაუმატა გენომ. სიდონია შეკრთა, შეშინდა. ელენე და მისი ქმარიც შეწუხდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

— საკვირველია! აკი წამოსვლის დროს კარგად იყავი, გენო?! — მიატანა გაოცებით სიდონიამ.

— თუ დამცხა... გული მიღონდება. შინ წავიდეთ, თორემ გონება მეკარგება... — სიდონიას წუთს დაავიწყდა ყოველი მიღებული სიამოვნება და საჩქაროდ წამოდგა ზეზე, მოჰკიდა ხელი ქმარს და გამოვიდნენ ლოჟიდან.

გზაზე გენო კვნესოდა, გმინავდა, სიდონია აჩქარებდა მეეტლეს. სახლში მივიდნენ თუ არა, სიდონიამ მაშინვე მიაღებინა დასამშვიდებელი წამალი და ლოგინში ჩააწვინა.

გენომ იგრძნო თუ არა თავი სახლში, ნელ-ნელა მოვიდა გონებაზე და გამოფხიზლდა. სიდონიამ მადლობა შესწირა ღმერთს, რომ ასე ადვილად გაიარა გენოს უქეიფობამ და თვითონაც ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ახალი შთაბეჭდილებანი გარს მოეჯარნენ, ყურში განუწყვეტლად შეესმოდა მომხიბლავი სიმღერა.

X

დრომ განვლო. გენო და სიდონია ჩვეულებრივ განაგრძობდნენ მყუდრო ცხოვრებას. მოხუცი თანდათან უძლურდებოდა, გენოც მეტ დროს გარეთ ატარებდა. ხშირად ღამეებსაც სხვაგან ათენებდა. სიდონია კი ოჯახში ერთგულად ტრიალებდა და ასრულებდა თავის მოვალეობას. დადგა ზამთარი. ათასგვარ გასართობების განცხადებებით ავსილიყვნენ გაზეთები, რომელნიც იწვევდნენ მსურველთ, მაგრამ გენო და სიდონია თითქო არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. თუმცა სიდონიას ბევრჯერ მონატრებია ერთხელ კიდევ თვალი მოეკრა თეატრისათვის, მაგრამ გამხელას ვერა ბედავდა, რადგან ეშინოდა, გენო კვალად ავად არ გამხდარიყო.

მაგრამ ერთხელ თვითონ გენომ გამოუცხადა სიდონიას, რომ ამ ცოტა ხანში ქალაქში მოელიან ვიღაც დიდებულ პირს და იმის პატივსაცემად ბალს მართავს საზოგადოება.

— ნუ გამოვაკლდებით ამისთანა შემთხვევებს, სიდონი! მტერს თვალში ნაცარი შევაყაროთ, გულზე გავხეთქოთ! შენთვის საჭიროა ახალი კაბის შეკერვა.

სიდონია სიამოვნებით დაეთანხმა გენოს ამ წინადადებაზე და შეუდგა სამზადისს.

— მერწმუნეთ, კნეინა, ისეთი კაბა შეგიკეროთ, რომ მთელ ქალაქს თქვენზე დარჩეს თვალი, — ეუბნებოდა მკერავი ქალი სილონიას და წინ უწყობდა სხვადასხვა ნახატებს. სილონიაც გულმოდგენებით არჩევდა.

— აი ეს მგონი კარგი იქნება! — წარმოსთქვა ქალმა და ერთ-ერთ ნახატს ხელი დაადო. მკერავმა გაიღიმა.

— მშვენიერი გემოვნება გქონიათ, კნეინა! მართლადაც საუცხოვო იქნება! ოქროსფერი ხავერდი, გაწყობილი სირაქლემას ფრთებით.

— ფრთები იმავე ფერისა იყვეს, — შენიშნა სილონიამ.

— შეუდარებელი იქნებით! — წარმოსთქვა კვალად აღტაცებულმა მკერავმა და დაკვირვებით შეხედა. — მე თქვენ თვალწინ მიდგეხართ ამ ტანისამოსში და ვსტკბები ცქერით, — შესძახა მან.

სილონიამ მორცხვად გაიღიმა. თუმცა ბევრს ევაჭრა ფასზე, მაგრამ მკერავმა იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე და ფასს არ დაუკლო. გენომ აღუთქვა, მიეცა რაც ითხოვა, ოღონდ შესანიშნავი რამ შეეკერა. სილონიას ბევრჯერ მოუხდა ამ კაბის გასინჯვა და ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა სახლში.

ბევრი ლოდინის შემდეგ სანატრელი დღეც დადგა. მთელი ქალაქი ემზადებოდა; ემზადებოდნენ გენო და სილონიაც. სილონია და გენო უზარმაზარ დარბაზში გაჩნდნენ, სადაც დახვდათ კნეინა N-ი, რომელიც დიასახლისობდა. მან დაინახა თუ არა სილონია, ღიმილით წამოვიდა მისკენ. იცოდა, სილონია არავის იცნობდა და თავს მოვალედ თვლიდა გაეცნო მისთვის ყველა შესანიშნავი პირები. მოვიდა ელენეც, მკურნალის ცოლიც, მაგრამ სილონიასთან ალარავინა სჩანდა, ყველა იჩაგრებოდა. დარბაზში ისმოდა ჟრიამული, გრიალი, ტურფა, კეკლუცი ქალები ერთიმეორის ჯიბრზე თავს აწონებდნენ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ბლომად შეკრებილიყვნენ. მობრძანდა საპატიო სტუმარიც. ის ყველას თავაზიანად ულიმოდა და სალამს აძლევდა, თუმცა ამასთანავე არა

კარგავდა მედიდურობას. აგერა დიასახლისმა გააჩერა სიდონიას წინ.

— კნეინა ბაზიანისა! — წარმოსთქვა და დაკვირვებით შეაჩერდა სტუმარს, რომელმაც, დაინახა თუ არა მშვენიერი ქალი, თითქო მორჩილებით მის წინ თავი დახარა, და ცხადად შეატყო ალტაცება.

— ძალიან სასიამოვნოა! — წარმოსთქვა და ღიმილით ფეხი ფეხს შემოჰკრა. სიდონია მიესალმა.

— ესეც ამათი მეუღლე, თავადი ბაზიანი, — დაუმატა დიასახლისმა და აჩვენა გენოზე, რომელიც ფრაკში გამოწყობილი გვერდით ამოსდგომოდა ცოლს. სტუმარმა გენოს ცივად შეხედა, ხელი ჩამოართვა და კვლავ სიდონიასაკენ მობრუნდა. დიასახლისი მიხვდა, რომ სტუმარს სიდონიას ახლოს უნდოდა ყოფნა და თვითონაც ფეხი არ მოიცვალა.

წუთს გაისმა მუსიკის გრიალი და მოცეკვავენი აიშალნენ, მთელი დარბაზის ყურადღება მიქცეული იყო საპატიო პირისკენ, რომელიც გამოელაპარაკა სიდონიას. ქალი უჩვევი იყო ამისთანა პირებთან შეხვედრას და წითლდებოდა. ხშირად თვალებს ძირსა ხრიდა. რამდენიმე უბრალო ცეკვის შემდეგ გაისმა კადრილისთვის მიწვევა.

— ნება მიბოძეთ, თქვენთან კადრილი ვითამაშო! — უთხრა სტუმარმა სიდონიას, რომელიც სიამოვნებით დაეთანხმა. ამ ამბავმა ხომ მთელი დარბაზი გააოცა და ერთიორად აამაღლა სიდონია ყველას თვალში. თვით ამისი საყვარელი ერთგული ელენე მიმჯდარიყო კუთხეში თავის ნაცნობებთან და ხანდისხან უნებურის შურით გამოხედავდა ხოლმე სალამოს დედოფალს, რომელსაც ოდესმე ცეკვა-თამაშს ასწავლიდა და ანგარიშმიუცემლად თითქო ამზადებდა ამ სალამოსთვის.

სიდონიას მეტად შვენოდა დიდებულ სტუმართან გვერდით დგომა. ქალის შესანიშნავი ტანი და საგანგებო მიხვრა-მოხვრა თითქო ეფერებოდა სტუმრის მედიდურობას.

გენო იდგა ერთ ადგილას და იყურებოდა პირდაპირ. სტუმარმა ის თითქმის არაფრად ჩათვალა მაშინ, როდესაც მისი ცოლი აარჩია. ეს ხომ თავხედობაა მისგან!.. გენო შეჰყურებდა გაშტერებით სიდონიას და ეჩვენებოდა, რომ თვითონ წასულიყო ძირს, ნიადაგი გამოსცლოდა ფეხიდან. სიდონია კი მიუწვდომელ საფეხურზე შემდგარიყო და დამცინავის ღიმილით შემოჰყურებდა, თითქო უსიტყვოდ ეუბნებოდა.

— გენო, ჩვენს შორის საერთო არა არის რა და ჩამოდექი, ნუ მეღობები გზაზეო. — გენოს ამ წარმოდგენით ჟრუანტელი უვლიდა სხეულში. სტუმარი კი განაგრძობდა ბაასს თავის ახალ ნაცნობ ქალთან. სიდონია მარათთი იგრიდებდა გაწითლებულ სახეს და პასუხს აძლევდა.

— მშვენიერებაა! იშვიათად მინახავს ასეთი ქალი! — ეუბნებოდა აღტაცებული სტუმარი დიასახლისს. გენო თვალს არ აშორებდა ცოლს და იმათ, ვინც კი მიუახლოვდებოდა. გენომ შენიშნა ქალის სახეს მეტისმეტი კმაყოფილება.

— აღარც კი ვახსოვარ! — გაიფიქრა მან. — ცეკვავს, არშიყობს და მე კი აღარა მკითხავს. ოხ, ქალებო!.. ვერაფრით ვერ დააკმაყოფილებ მათ! საკმარისია შემთხვევა, რომ ზურგი გიჩვენონ და დაგივიწყონ, როგორც შარშანდელი თოვლი... რა იყო წინათ და დღეს რა დიდებაშია ჩემის წყალობით. მაგრამ მაინც არ ახსოვს!

სიბრაზემ მოიცვა გენოს არსება, ქოჩორი აებურძგა და აიბუზა.

— უნდა გათავდეს! კმარა! ხომ გამოსცადა, რაც არის და ვინც არის! საკვირველია, თითქო ყველანი ჯიბრს უწევენ. რას ჩააცივდნენ სიდონიას, რომ გარს შემოხვევიან მაშინ, როდესაც ამდენი მშვენიერი ქალია მოსული და ვედრებით შესჩერებიან, რომ ყურადღება მიაქციონ! სტუმარიც სიდონიას გარდა არავის კადრულობს, ნუთუ მართლა ასეთი ღირსეულია სიდონია? მაშ რისთვის შეირთო გენომ, თუ ასე არ არის? ოღონდაც რომ ღირ-

სეულია, მაგრამ... — აქ გონება აერია გენოს... — ღირსეულია მარტო გენოსთვის, არსებობს მარტო გენოსთვის... სხვას რა საქმე აქვს მასთან?..

გენოს კვალად თვალწინ წარმოუდგა, რომ საპატიო პირი მოდის მათთან სადარბაზოდ, უნიშნავს სიდონიას ფარულად შესახვედრ ადგილებს, სიდონიაც გარბის მისკენ, უკან აღარ იხედება, გენოს თავს ანებებს. რისთვისაა საჭირო, რომელსაც უფრო შესაფერი იშოვა? გენო კარგავს სიდონიას, კარგავს საკუთრებას, რომელთანაც არავის ხელი არ მიუწვდება და კანონით მისი მონაა, ნივთია!..

გენომ ხელი იტაცა თმაში, წამოდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი, უნდოდა მივარდნოდა სიდონიას, ხელი მოეკიდა და ძალით გამოეთრია, მაგრამ წუთს ისევ შედგა და დაიწყო აქეთ-იქით ყურება, თითქო ვიღაცას ეძებდა. გათავდა კადრილი, სიდონიამ მოიხედა ქმრისკენ და შეკრთა, როდესაც დაინახა მისი თითქმის შეშლილი, გაფითრებული სახე.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ გენო ისევ ავად გახდა? — გაიფიქრა სიდონიამ და წამოვარდა ზეზე. — გენო? ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მან საჩქაროდ, როდესაც მივიდა მასთან.

— სახლში წავიდეთ! — უკმეხად უპასუხა გენომ და თვალები იატაკს დააჩერა.

— წავიდეთ! — მორჩილებით დაეთანხმა ცოლი. ის მიხვდა, რომ გენოს არსებაში რაღაც საშინელი რამ ხდებოდა.

— სადღა მიდიხარ? — მოსძახა საჩქაროდ ისევ გენომ, როდესაც დაინახა გამოტრიალებული სიდონია.

— კნეინას უნდა გამოვეთხოვო.

— საჭირო არ არის! — შესძახა ეხლა კი ათრთოლებულის ხმით გენომ. — წავიდეთ! — დაუმატა და გაემართა დარბაზის კარებისკენ. სიდონია მიყვებოდა გაოცებული. დარბაზში განაგრძობდა მუსიკა გრიალს.

გზაზე გენოს ხმა არ გაუცია სიდონიასთვის, რომელიც მიყუ-ჟუჟიყო ეტლის ერთ მხარეს.

მოვიდნენ სახლში. სიდონიამ ხმაამოუღებლად გასწია სა-წოლ ოთახისკენ, გენოც უკან დაედევნა; ამას უფრო აზრაზებდა სიდონიას სიწუმე. სიდონიამ გაიხადა კაბა და დასდო სკამზე, გადიცვა ხალათი, ჩამოჯდა საწოლზე და მიაჩერდა ერთ ადგილს. მას ვერ მოეაზრა, თუ რად იყო ასე უკმაყოფილო გენო. გენო კი ხმაამოუღებლად ოთახში დადიოდა წინ და უკან, თითქო უნ-დოდა რიღასიც თქმა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

სიდონია ხედავდა, რომ გენო არ ხუმრობდა და მისი არსება შიშმა მოიცვა.

— რათა ხარ, გენო, აგრე? — შეეკითხა ნაღვლიანის და ბად-დატანებულის ღიმილით ქმარს.

— ჰმ! კიდევაც მეკითხები? — შესძახა გენომ და მთელმა მისმა არსებამ დაიწყო თრთოლა.

— ჰოდა, რა დავაშავე? — კვალად გაისმა მორჩილი ხმა ქალისა.

— კარგია შენმა მზემ! — გენომ გადისვა თმაზე ხელი და სიბრაზეს უმატა, — თქვენ, ქალები, ყველანი უნამუსოები ხართ; მზათა ხართ პირველსავე შემთხვევაში უღალატოთ ქმარს. ეს დი-დი სიმდაბლეა სულისა! — დაუმატა გენომ.

— სცდები, გენო! ცილს ნუ მწამებ... მე დიდი კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, მითხარი რაში იხატება ჩემი ღალატი?

— თუნდ იმაში, რომ შენ არ გაკმაყოფილებს ქმართან ყოფნა, ოჯახში ჯდომა, სულ გარეთ გიჭირავს თვალი, ბაღები და თეატ-რები გენატრება და სახლში კი გინდა ღვთის ანაბარად დასტოვო საწყალი მოხუცი ავადმყოფი მამა.

— გრცხვენოდეს, გენო, მაგ სიტყვებისა!.. როდის გთხოვე წამიყვანე-მეთქი ან თეატრში, ან ბაღში? როგორც პირველად, ისე ეხლაც შენი სურვილი იყო. აბა, კვდავ როდის გამიმხელია, ან მამაშენისთვის როდის რა დამიკლია?

გენო თანდათან თავს ველარ იჭერდა, სიბრაზე საზღვარს

კარგავდა, როდესაც ითვალისწინებდა იმ დიდებული სტუმრის აღტაცებას, — ბოლოს გენომ თმაში ხელი წაივლო და გააქრქოლა.

— გენო!.. — შესძახა სიდონიამ ვედრებით და ხელები გაუწვდინა.

— იქით, უნამუსოვ! — შესძახა გენომ, მიირბინა მაგიდასთან და აიღო ხელში მაკრატელი.

— ჰა, ისეირნე! იარშიყე! იხტუნე!.. — გაიძახოდა ხვნეშით გაგიჟებული გენო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მაკრატელს უჭერდა თითებს და აწხაკუნებდა. ძვირფასი კაბა ნაკუწებად იჭრებოდა და იფანტებოდა იატაკზე.

— ჰა, ესეც შენ! ... ძლივსღა ხრიალებდა გენო...

სიდონიამ სუსტად დაიკვნესა, მიიფარა თვალებზე ხელები. გენო, თითქო გული იჯერაო კაბის დაკუწვით, გაბრუნდა ლოგინისკენ, მიეგდო და ბალიშებში თავი ჩამალა.

სიდონიას უნდოდა გამოვარდნილიყო ოთახიდან, მაგრამ განძრევას ვერ ბედავდა, გაახსენდა გენოს უცბად ავად გახდომა თეატრში და დარწმუნდა, რომ მაშინაც მოგონილი იყო. სიდონიას თვალწინ უდგა გენო საშინელის ეჭვებით.

— ოხ, ღმერთო! — კვნესოდა გულში სიდონია და თანაც მდუმარებდა. მთელი ღამე ცოლ-ქმარმა წამებაში გაატარა.

მეორე დღეს გენო თითქო უფრო დამშვიდებულიყო. მის სახეს მოშორებოდა საშინელი გამომეტყველება. სიდონია კი სასოწარკვეთილი განაგრძობდა ლოგინში წოლას. გენომ შეხედა ცოლს და, როდესაც დაინახა მისი დატანჯული სახე, ველარ მოითმინა, მოვიდა და საწოლზე ჩამოჯდა.

— სიდონი! — წარმოსთქვა მან მორჩილებით და ვედრებით შეხედა სიდონიას. ქალმა ხმა არ გაიღო. — სიდონი, მაპატიე! მე თვითონაც არ ვიცი გუშინ რა ჩავიდინე, გავგიჟდი, თავი ხელთ აღარა მქონდა... ყველა ეს კი შენის სიყვარულით მომივიდა. მაპატიე, რაც გაწყენიე! — გენომ ხელი გაუწვდინა ცოლს.

— იქით, გენო, იქით, ახლო ნუღარ მოდიხარ! შენგან მოყე-

სებული შეურაცხყოფა ეხლა გონებას მიკარგავს. რამ მიგიყვანა იმ საშინელ მდგომარეობამდის? — წარმოსთქვა ქალმა საყვედურით.

— ეჭვიანობამ, ჩემო კარგო!.. ველარ მოვითმინე, როდესაც ქვეყანა შენ შემოგტრფოდა; შიშმა ამიტანა, მეგონა, აი ეხლა, ამ საათში წამართმევენ ჩემ სიდონიას-მეთქი. თვალთ დამიბნელდა, გონება ამერია.

— ნუთუ შენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ სადმე კუთხეში უყურადღებოდ ვგდებულიყავი და არავის არაფრად მივედე? თუ ეს იყო, რისთვის წამიყვანე? ნუთუ ის პატივისცემა, რომლითაც მიმიღო საზოგადოებამ, შენთვის თავმოსაწონებელი არ იყო, შენს თავმოყვარეობას არ აკმაყოფილებდა? იქნება გეგონა, რაკი ყურადღება მომაქციეს, მეც თავს გავიმსუბუქებდი და არშიყობას მოვყვებოდი? არა! თუ ასე ფიქრობ, ძალიან სცდები! ჩემს ზნეობას არავისთვის არ შევლახავ, არავის არ გავაქელევინებ მას იმისთვის კი არა, რომ შენ არ გიღალატო, თვით ჩემი თავისთვის, რადგან უზნეო ადამიანი ტალახია, რომელსაც ფეხი უნდა აექციოს, — ამბობდა სიდონია, რომელიც უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე გენოს. გენო დაემხო მუხლებზე, გამოართვა ხელი, მხურვალედ დაეკონა.

— სიდონი, მაპატიე! გეხვეწები!... გევედრები!... გუშინდელ ამბებს ნულარ გამიხსენებ, ისევ ვიტანჯები. გაფიცებ იმ სიყვარულს, რომელიც ჩვენს შორის მჭიდროდ არის და გვაბედნიერებს. თუ იმ კაბის დაჭრას სწუხარ, ხვალ უკეთესს შეგიკერავ.

სიდონიამ მწარედ გაიღიმა.

— კმარა, გენო! გულუხვად ნუ იხარჯები. ჩემი შეწუხება კაბის დაჭრა არაა. მე ვწუხვარ ჩემს დამცირებას, შეურაცხყოფას და არა ნაჭრების დაკუწვას. ის შენი იყო და რაც გინდოდა იმას იზამდი...

— შენც ჩემი ხარ, ჩემი!.. ვერავის დაგანებებ! — დაჟინებით ეუბნებოდა გენო და თანაც ქვითინებდა მის წინ დამხობილი.

სიდონია შემკრთალი წამოვარდა ზეზე.

— გენო! ადექი ზეზე! — შესძახა ქალმა და ხელი შეახო.

სიდონია დაღონებული იყურებოდა, თუმცა ცდილობდა გაეღიმა. გენომ შეხედა ცოლს და, რა დაინახა მისი სათნო სახე, კვალად ხელები გაუწვდინა.

— მაპატიე, სიდონი!.. არა, შენს სახეს არ ეტყობა პატიება.

— დრო მომე, გონებაზე მოვიდე... ის, რაც გუშინ მოხდა, ადვილი დასავიწყი არ არის.

გენო დაკმაყოფილდა ცოლის პასუხით და წამოდგა ზეზე.

სიდონიას ჩამოშორდა უზრუნველობა, თავს ბედნიერად აღარა სთვლიდა: დარწმუნდა, რომ გენოს მძიმე ხასიათი ჰქონდა და სიდონიასაც სჭირდებოდა მოთმინება და მორჩილება მთელი თავისი სიცოცხლე. თითქო კიდევაც იამებოდა ხოლმე ხანდისხან მარტოდ რომ რჩებოდა; რომ გაიფიქრებდა გენოს ეჭვიანობა სიყვარულის გამო იყო წარმომდგარი, თითქო ეს საქციელი მის გულში მსუბუქდებოდა კიდეც.

— გენოს ვუყვარვარ! მაშ მეც, მეტი ღონე არ არი, უნდა მოვერიდო იმისთანა შემთხვევებს, რომელნიც აღუძრავენ ეჭვებს.

სიდონიამ გადაწყვიტა, არასდროს აღარ წაჰყოლოდა არსად და სულ შინ ყოფილიყო, მაგრამ გენო ცდილობდა ესიამოვნებინა სიდონიასთვის და ხშირად სთხოვდა, წასულიყო გასასეირნებლად, ეპატიჟებოდა თეატრში, მაგრამ სიდონია აღარ უჯეროდა და რჩებოდა სახლში.

## XI

დრო კი ყურს არ უგდებდა არავის, შეუმჩნევლად მიდიოდა. სიდონია და გენო გარეგნად თითქო კმაყოფილები მოსჩანდნენ. მეტადრე სიდონია თანდათან უფრო მოფიქრებით შეჰყურებდა აწმყოს და მუდამ ჟამს ზრუნავდა ნორჩ არსებისთვის, რომელიც სშირადა ჰფეთქდა მის გულთან. ნელ-ნელა ჩამოშორდა ყველას:

ელენესთანაც კი შესწყვიტა სიარული, რადგან გარემოება ყოველმხრივ ხელს უშლიდა. სიდონია ცდილობდა მარტოდ დარჩენილიყო, ეფიქრნა თავის მომავალზე. გენო მეტად კმაყოფილი იყო, რომ სიდონია ალარსად იწევდა. ხანდისხან ცოლ-ქმარნი ერთად გამოვიდოდნენ ხოლმე გასასეირნებლად, ისიც ხანმოკლედ, რადგან გენო ყოველთვის იპოვნიდა მიზეზს, მალე დაბრუნებულიყო სახლში.

ერთხელ სიდონიას საყიდლები მოუგროვდა და მკერავ ქალთანაც უნდა შესულიყო. არც ეხლა შორდებოდა გენო და გვერდით მისდევდა. მან ამოილო საათი, დახედა და შეჩერდა.

— სიდონი, ეხლა სად წასვალ? — ჰკითხა.

— მკერავ ქალთან, კაბა მივეცი გადასაკეთებლად და მინდა ვნახო.

— დაიგვიანებ?

— არ ვიცი, იქნება მომიგვიანდეს. რა იყო?

— არაფერი. კარგი დღეა და რაში გეჩქარება შინ დაბრუნება? მიდი, სიდონი, იქ დამიცადე, სანამ მოვიდოდე. საგდეხო საქმეთა საკრებულოში საჭირო საქმე მაქვს, შევირბენ იქ სანამ შენც შენს საქმეებს მორჩებოდე, მერე შემოგივლი და ერთად წავიდეთ საყიდლებისთვის. კარგი? — ჰკითხა გენომ და შუბლქვეშ გამოხედა ცოლს.

— კარგი, — დაუდევრად უპასუხა სიდონიამ და გასწია წინ. გენო კი ჩაჯდა ეტლში და გაგრიალდა. სიდონია ჩაფიქრებული მიდიოდა. ანგარიშობდა, თუ რამდენი დაუჯდებოდა კაბის გადაკეთება.

— კარგია, მაგრამ ეყოფა კი ის ფული, რომელიც თან წამოიღო?

სიდონიამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და შეკრთა; ჯიბე ცარიელი დახვდა.

— ნუთუ დავკარგე? — გაიფიქრა ქალმა და მისი არსება უსიამოვნებამ მოიცვა. დაიწყო აქეთ-იქით ყურება, თითქო ეძებდა რალასაც.

— უსათუოდ ბაღიშზე დამრჩა საფულე. მახსოვს, ისა და ცხვირსახოცი ერთად ავიღე წამოსაღებად, — ფიქრობდა ქალი.

დუნიას და ნესტორას შეეძლოთ ესარგებლათ ამ შემთხვევით, მეტადრე ნესტორას, თორემ დუნიასგან ნაკლებად მოელოდა ასეთ ქცევას, რადგან ბევრჯერ გამოუცდია და ყოველთვის პატიოსანი და უანგარო დარჩენილა.

— უფულოდ რო მივდივარ, რა გავარიგო? — წარმოსთქვა სიდონიამ და უკლო სიარულს.

— სანამ გენო მოვა ჩემ წასაყვანად, კიდევაც მოვასწრებ შინიდან ხელმეორედ დაბრუნებას. — სიდონიამ გადასწყვიტა შეესრულებინა განზრახვა და გამობრუნდა.

სიდონია აჩქარებით მიდიოდა შინისკენ და მალე მივიდა. ზარი აღარ დარეკა, ეზოდან მოიარა და გასწია პირდაპირ ოთახებისაკენ. შეიარა ოთახებში, ყველგან სრული სიჩუმე სუფევდა, არც ნესტორა, არც დუნია, არავინ არა სჩანდა; მარტო სამზარეულოდან მოისმოდა დანების კაკუნი და ხანდისხან სარკმელში გამოჩნდებოდა უმტვერო თეთრი ქუდი მზარეულისა, რომელიც მოუსვენრად ფუსფუსებდა ცეცხლის წინ.

— ოთახების კარები ღიაა და სახლში კი არავინ არის! სად წასულან დუნია და ნესტორა? — გაოცებით ფიქრობდა სიდონია და მიდიოდა წინ.

დუნიას უბრძანა ფეხი არ მოეცვალა, სანამ არ დაბრუნდებოდა, მერე კი თვითონვე გაისტუმრებდა თავის დანიშნულთან, მაგრამ ეტყობოდა აღარ მოუცდია. იმ სულელმა თავი კი არ გაიუბედუროს და წინდაწინვე არა შეიმთხვიოს რა? აღბათ, ჩემ დაუკითხავად ხვდება! რა ბრმაა სიყვარული! ნესტორა რაღა იქნა? ის სადღაა?

ამ ფიქრებით სიდონია შეუმჩნევლად მიადგა თავის ოთახის კარს.

ჩუ! სიდონიამ გაიგონა ხმადაბალი ლაპარაკი, უნებურად შეჩერდა და ყური მიუგდო. სმენამ არ უღალატა. ხმა იცნო. ჩურჩუ-

ღებდა გენო, მისი მესაუბრე კი... სიდონია გაფითრდა, საფე-
ქლებზე მიიდო ხელები, თითქო გრძნობდა, რომ გონებას კა-
გავდა. ქალს ცხადად ესმოდა შემდეგი ლაპარაკი:

— რა ვუყოთ, ჩემო ძვირფასო? მადლობა ღმერთსა, ათა-
საშუალებაა! ჯერ ეცადე მოსპო და, თუ არ იქნა, ეს საბავშ-
თავშესაფარი ხომ აქ არის? მე თვითონ გადავიხდი ფულს, მაგ-
რამ ჯერ ადრეა მაგაზე ფიქრი. ნუ სწუხარ, ჩემო ლამაზო! — მოის-
მა ვნებით აღვსილი ხმა გენოსი და ამ სიტყვებს თან მოჰყვა
მხურვალე კოცნა.

— კნეინამ რომ გამიგოს, ხომ დავიღუპე! — წარმოსთქვა გა-
ნაზებით ქალმა.

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს. ძალიან მოხერხებითაც მოვი-
გონეთ, რომ დანიშნული გყავს და მასთან მიდიხარ ხოლმე. პირი-
ქით, ხელს გიმართავს და თავის ტანისამოსითა გრთავს, რომ
რაც შეიძლება, დაშვენებული იყვე და მოეწონო დანიშნულს. ის
კი არა თუ, ეს დანიშნული მე ვარ და ჩემთან შესახვედრად გგზავ-
ნის მორთულ-მოკაზმულს სასტუმროში. თუ გაიგებს მაგ შენს
მდგომარეობას, მაშინაც არა უშავს რა. ჩვენ შეგვიძლიან საქ-
მროს მოვახვიოთ კისერზე. რამდენი ხანია მე და შენ ასე ვართ
და იმას კი აზრში არა მოსდის რა.

სიდონიას არსება ზიზღით აივსო. მზად იყო, შევარდნილიყო
ოთახში, მაგრამ რაღაც ძალამ შეაყენა. ან რა უნდა ეთქვათ ამათ
ერთმანეთისთვის იმაზე მეტი, რასაც ამბობდნენ თვით წუ-
თები?

სიდონიასთვის სულ უეცრად გაირღვა დედამიწა, შიგ ჩავარ-
და, დიდებული სახლი, ლამბდა მოხუცი, საზიზღარი გენო, ყველა
ეს ჯოჯოხეთის ტარტაროზებად გარდაიქცნენ. მის წინ უცბად
აშენდა თვალუწვდენელი კედელი და სიდონია ველარაფერს ხედავ-
და. დააპირა უკანვე გამობრუნება, მაგრამ მუხლები აღარ ნებდე-
ბოდნენ, უცახცახებდნენ, ეკეცებოდნენ. თვითონაც შეეშინდა,
აქვე არა მოსვლოდა რა, თავს ძალა დაატანა და ნელ-ნელა გამო-

არეთ. სიდონიას სული უგუბდებოდა, თავში ანთება მოს-
ა. სად წასულიყო ისეთს ადგილს, რომ ამათ აღარ შეხვედ-
წუთს სიდონიამ გასწია საბანაო ოთახისკენ, შევიდა,
ა კარი. ღონემიხდილი დაეშვა სკამზე, გაფითრებული მი-
მარმარილოს იატაკს და დარჩა ისე, გატანჯული.

— რა მოხდა? სად იყო სიდონია? ვისთან? ნუთუ დღემდის
აბამული იყო? სიდონიას გაახსენდა ქორწინების შემდეგ
რველი ღამე და თვალწინ დაეხატა პირუტყვი გენო. მაშინ აპა-
ა, ეგონა უყვარდა და მისთვის საზღვარიც დაეკარგა. მოაგონ-
ა თეატრი, ბალი და კვალად წინ დაუდგა პირუტყვი გენო. ვის
ვლებოდა თავს დღემდის სიდონია? ვის შესწირა თავისი არსე-
ბობა და არარად იქცა? სად არის ის სანატრელი, ძვირფასი არ-
ბა, რომლითაც სულდგმულობდა, რომელსაც თავი მსხვერპლად
უტანა? ნუთუ ყველა ეს მარტო ოცნება იყო, საპნის ბუშტი,
რომელიც ათასფერ ზოლებად გაიფანტა მზის სხივებში და დარჩა
საშინელი სინამდვილე?!

ის კოცნიდა იმ სახეს, ეხებოდა იმ სხეულს, რომელიც სხვისი
აზიარო გამხდარიყო.

სიდონიას ტანში გააზრიალა. მარტო ეხლა გაითვალისწინა
ლა ის, რასაც წინათ მნიშვნელობას არ აძლევდა და დღეს კი
ას ისე ცხოვლად ახასიათებდა.

კისი მუდამ ჟამს გარეთ სირბილი, დუნიას თანდათან მომე-
ებული კადნიერება, სიდონიასთან გატოლება, რომელსაც დღემ-
დის არ ამჩნევდა, და გენოს გათამამება.

— მძიმედ არის!.. მოელის გენოსგან შვილის ყოლას?! ნუთუ
ნება არა აქვს დუნიას მართლადაც გაუტოლდეს სიდონიას და სახ-
ლიდანაც გამოაგდოს? გენოს ადერსი, რომელსაც ალმერთებდა
სიდონია, დღეს იხარჯებოდა მოახლის წინ, წარმოთქმული იმავე
გრძნობით და მოწიწებით!.. გარეთ რაღას შვრება გენო?.. თუნდ
იმ ღამეს რა ჩაიდინა, რომლესაც ისე გატანჯული ელოდა გათე-
ნებამდის და შემდეგ კი ხელში შერჩა გალექებული, გონებადაკარ-

გული? თუნდ თავის განზე დაჭერა რიგიან ხალხთან! სიცოცხლე ყოველის სიკეთისა, განათლებისა! ეჭვიანობა! შეკიწროება, ტყვედ ჩაკეტვა! მთელის სოფლის სიძულვილი გენოსადმი! მათი განადგურება! ვინ და ან რა არის გენო?.. ოხ, ღმერთო ჩემო! — დაიკვნესა სიდონიამ, დააჭდო ხელი ხელს, ამართა ზევით თვალები და შეძახა განწირულებით: — ვის მივმართო?.. რა ღონე ვიხმარო, მოვძებნო?.. მას უნდოდა გაქცეულიყო ამ წუთსავე შორს, თუნდ თავის საყვარელ სოფელში. გაახსენდა დაკარგული სახლი, ანანოს ჭლეული; მოაგონდა მთელი თავისი სოფელი და გულმა კვნესა დაუწყო. სიდონიამ თავისი თავი წარმოიდგინა ისევ იმ სოფელში დაბრუნებული, მაგრამ სოფელმა ველარ იცნო, აღარ მიიღო სიდონია. სოფლელნი კიცხავდნენ, რომ მოშორებოდა ქმარს, ოჯახს, დიდედას და პაპას საფლავებიც გაყინულ-გალეჩებულნი უთანაზიაროდ შემოჰყურებდნენ. ცოლქმრობის დაგმობა ადვილი არ იყო, ვინ თანაუგრძნობდა სიდონიას? ნუთუ ისევ კატო, რომელიც ი... უეცრად წავიდა, მოშორდა და ნაღვლიანად რამდენჯერმე გაუმეორა:

— ღმერთსა ვთხოვ, ყოველთვის მესმოდეს შენი ბედნიერად ყოფნაო! რას ნიშნავდა თუნდ ეს სიტყვები? თითქო კატოც ეჭვში იყო სიდონიას ბედნიერებაზე! მოაგონდა კატოს ტირილი, გენოს აბუშტული ტუჩები და მოუსვენარი ქცევა. მოაგონდა დუნიას ბუზღუნი კატოს მიმართ. ნუთუ კატომაც იცოდა რამე? არა, აქაც რაღაც საიდუმლო იფარებოდა და სიდონიამ კი არ იცოდა. სიდონია დარჩა ისევ ობლად. რა იქნება ხვალ? ზეგ?

სიდონიას გონება დაუმძიმდა.

— შეჩერდი, სიცოცხლევ! მოისვენე, ტანჯულო სულო!.. — გაუელვა თავში აზრმა, საჩქაროდ წამოვარდა ზეზე, მაგრამ ამ დროს გარედანაც მოისმა რაღაც ხმაურობა და ისევ ლონჩემიხდილი დაეშვა სკამზე.

— დუნია, მე მალე მოვალ. რამდენი ხანია ქალბატონი მელის; მკერავ ქალთან უნდა წავიდე, — ამ სიტყვებით გამოიარა

ოთახი გენომ და გასწია სარქაროდ. სიდონიას გულზე მოეშვა. ქენო სახლში აღარ იყო. დუნიაც გავიდა სამზარეულოში და დაიწყო ფუსფუსი. სიდონია ცოტათი გამხნევდა, მაგრამ მისი თვალები განწირულებით, უიმედოთ იყურებოდნენ.

— არა! უნდა გათავდეს! — შესძახა კვალად. გამოვიდა საბანაო ოთახიდან და წავიდა პირდაპირ სამუშაო ოთახისკენ, სადაც კედლის განჯინაში წამლები ჰქონდათ შენახული. ოთახში იდგა სიდონიას ხელსაქმის ყუთი და სამწერლო მაგიდა, რომლის ზემოდან გადმოიყურებოდა დიდ ჩარჩოში ჩასმული დიდედა დეჩაქგადაგდებული. მას ხელი ხელზე დაედო და მოსჩერებოდა დაკვირვებით სიდონიას. ამ სურათის დანახვაზე სიდონიას უფრო მოუნდა მოშორებოდა წუთისოფელს და გაქცეულიყო ძვირფას არსებასთან.

— დიდედა! — შესძახა და გაუწვდინა ხელები. დაემხო ძირს. კარგა ხანს ტიროდა.

— შენთან მოვიდავარ, შენთან! აი ეხლავ!

სიდონიას მოეჩვენა, თითქო დიდედამ ხელებიც გამოუწოდა. უცებ წამოვარდა ზეზე და გააღო განჯინა. წუთს ხელში მოხვდა შუშით წამალი, რომელიც მსწრაფლ გამოიღო. სიდონიას ხელები უცახცახებდა. ის დაეშვა სავარძელში მაგიდის წინ და მთრთოლვარე თითები მოუჭირა შუშას. ამ დროს ქალს მწვავედ წაჰკრა გულთან რაღამაც. ხელები უფრო აუცახცახდა. გულისკოვზთან გაინძრა მფეთქავი ცოცხალი არსება და მთელ სხეულს რაღაც მწვავე ტკივილი აგრძნობინა.

სიდონია შეკრთა, წინანდელზე მეტად გაფითრდა; მას გაახსენდა, რომ საშინელი შემცოდე იყო უმანკო არსების წინ, რომელსაც ძალით სიცოცხლეს უსპობდა, მაშინ როდესაც ეს პაწია აპირებდა ახალ სიცოცხლეს და სიდონია კი უქადოდა გაქრობასა. არსება კვალად შეინძრა, სიდონიას შუშა ხელიდან გაუვარდა და გონებამიხდილი მიესვენა სავარძელში.

რამდენსამე წამს თვალებმილულული იყო, მაგრამ მალე ისევ იწყო გონებაზე მოსვლა. გაახილა თვალები, მიიხედ-მოიხედა და

შეკრთა, როდესაც დარწმუნდა, რომ ხედავდა სინათლეს და სიცოცხლეს განაგრძობდა.

ნუთუ არ შეწყდა ყოველივე? ნუთუ ისევ უნდა ეწამოს? სიდონია მიაჩერდა წამლის დამტვრეულ შუშას, რომლის ნამსხვრევები ეყარა იატაკზე.

— ღმერთო ჩემო! — დაიკვნესა და ხელები მიიფარა თვალებზე...

ამ დროს მფეთქავი არსება კი თავის თავს აგონებდა და განაგრძობდა ქიმუნჯების ცემას, თითქო უნდა გამოაფხიზლოს და თავისკენ მიიქციოს მისი ყურადღებაო.

— ვინ სთქვა, რომ სიდონია ცოცხალია? სიდონიამ შესწყვიტა არსებობა, სიდონია აღარ არის. ამჟამად გაფითრებულ და გონებადაკარგულ არსებაში მოსჩანს მარტო მომავალი დედა, რომელიც მოვალეა სიცოცხლე მიანიჭოს თავის უდანაშაულო შვილს, დანარჩენი ყოველივე გაჰქრა და დაიმარხა. გენო აღარ არსებობს და არცა ღირს მისი არსებობა სიდონიასთვის. სიდონია ამ ოჯახში დარჩება მარტო შვილის აღმზრდელად. ის მოვალეა ასე მოიქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი და დიდი შემცოდე გახდება!

ქალმა თითქო შვება იგრძნო ამ გახსენებით. მოიკრიბა ღონე და წამოიწია. სცადა ზეზე წამომდგარიყო, მაგრამ სისუსტემ სძლია და ისევ დაეშვა სავარძელში.

— თავი მოიკლას, მოსპოს ყოველი იმედი მომავლისა ამ ოჯახში და დასტოვოს გენო ფრთაგაშლილი თავისის გარყვნილობით? მერე რას ინალვლებს? რა გამოვა? განა სულ ერთი არ არის გენოსთვის სიდონია, დუნია, თუნდ დუქნიდან გამოსული ღვინით გალექებული დედაკაცი? ქალს უსაზღვრო ზიზღი გამოეხატა სახეზე და თანაც დამცინავი ღიმილი აღუჩნდა, როდესაც გაახსენდა, თუ რა მოტყუებული იყო დღემდის და აღტაცებული თავს ევლებოდა.

— არა! შორს სისუსტევ! ბრძოლა! ბრძოლა სიმარდისა და ზნეობისთვის, მისწრაფება თავისუფლებისკენ! იცოცხლე წმინდა

მოვალეობისთვის და არა უდროოდ უძრავად დება საფლავში ჭიალუის შესაჭმელად! არა, სიდონია იცოცხლებს და დღეიდან მთელ თავის ძალ-ღონეს, აზრებს, გრძნობას, სურვილს შეალევს პაწია არსების აღზრდას. სიდონია დღეიდანვე ცალკე მოაწყობს თავისთვის ოთახს, სადაც ხელს მიჰყოფს მეცადინეობას, რომ თვითონაც მოემზადოს ახალ დანიშნულებისათვის! სიდონიას გული ძალზე უძგერდა ძალდატანებისგან. სივრცეს გაფითრებული მისჩერებოდა, ტუჩები მაგრა მოეკუმა.

რა სახით შეხვედროდა გენოს? ეთქვა რამ მისთვის თუ გაჩუმებულიყო? კარგა ხნის წვალების შემდეგ გადასწყვიტა, არა გაემხილა რა, რადგან მასთან მომეტებული ლაპარაკი და ისიც ამ საგანზე მეტისმეტი დამცირება იქნებოდა სიდონიასთვის!

სიდონია წამოდგა. გაალო სარკმელი, რომ ჰაერი გაწმენდილიყო. წამლის შუშაც გადისროლა შორს, თვითონ კი დასდასით გამოვიდა სასტუმრო ოთახში, დივანზე წამოწვა, გულხელი გაიკრიფა და კვალად მიეცა ფიქრებს. საშინელი ბრძოლა ემჩნეოდა დასუსტებულ სხეულთან. ცხადად ეტყობოდა, რომ თავს ძალას ატანდა ღონე შემოეკრიბა, მაგრამ გული ისევ ეურჩებოდა და თვალები ცრემლებით უსველდებოდა. იცოდა, რომ საცაა უნდა გაჩენილიყო გენო და, როდესაც წარმოიდგენდა მასთან შეხვედრას, გამოუთქმელად იტანჯებოდა.

— სიდონი! რა ფერზე ხარ? რა დაგმართვია? — შესძახა ამ დროს გენომ, რომელიც შემოვარდა ოთახში, შეშფოთებულის და შეშინებულის თვალებით მიაჩერდა ცოლს. სიდონია შეინძრა ამ ხმის გაგონებაზე და თავი მოიბრუნა გენოსკენ. ის დაკვირვებით და ნაღვლიანად მიაჩერდა გენოს, თითქო უნდა გაიგოს, ვინ არის ეს უცნაური არსებაო? გენომ ვერ გაუძლო სიდონიას ასეთს უჩვეულო ყურებას და თვალები ძირს დაუშვა.

— ავათა ხარ? — კვალად დაეკითხა გენო, რომელსაც ცოტა არა გულში ხინჯადა ჰქონდა, როდესაც სიდონია არ დახვდა დანიშნულ ადგილზე. მკერავმა ქალმაც უთხრა, კნეინა დღეს თვალითაც

არ მინახავსო და აქ სახლშიაც ასეთს ცვლილებას ხედავდა, ცხადი იყო, რაღაც უჩვეულო მომხდარიყო და გენოს ვერ მოესვენა.

— ნუთუ იცის რამე? — ფიქრობდა გულში და ეჩქარებოდა ყველაფერი მალე შეეტყო.

— სიდონი, რატომ არას იტყვი? — შესძახა გენომ მოუთმენლად. მის ხმაში თითქო ბრძანებაც გამოიხატა.

ქალი გააოცა ამ კილომ და კვალად გადმოხედა ქმარს. სახეზე ეხატებოდა გაოცება და დაცინვა.

— ვერა ვარ კარგა... მკერავთან რომ მივდიოდი, გზაზე საშინელი სისუსტე ვიგრძენი და უკან გამოვბრუნდი, — ოდნავ დაიჩურჩულა ქალმა.

— კაცი რატომ არ გამომიგზავნე? ხომ იცოდი, გიცდიდი? — საჩქაროდ მიატანა გენომ და კვალად ხარბად მიაჩერდა.

— ჩემი თავის მეტი ყველა დამავიწყდა. ვჩქარობდი, გონს დროზე მოვსულიყავი და პირდაპირ სამუშაო ოთახში შევედი, — დაუმატა ქალმა და სახე იქით გაიბრუნა.

— გტკივა რამე?..

— არა, გენო! მე ძალიან დავიღალე. ჩემი მდგომარეობა თხოულობს დასვენებას. აღარ შემიძლიან მამაშენის ყურის გდება. გთხოვ სხვა ვინმე მიუჩინო და მე კი გამანთავისუფლო. მე მინდა ჩემი სამუშაო ოთახი მოვაწყო საწოლად, რადგან სრული დასვენებაა ჩემთვის საჭირო. ასე უნდა მოვახერხო მომავალ ბავშვის გულისთვის. გარდა ამისა ოჯახი თხოულობს გულმოდგინე ყურის მგდებელს, მე კი ჩემი მდგომარეობა ნებას არ მაძლევს და გირჩევ ვინმე გამოცდილი ქალი მოიწვიო, რომ ყოველისფერს თვალი ადევნოს. შენც ხშირად საქმეების გამო სახლში არა ხარ და მეც აღარა შემიძლიან რა. ყველა ეს შემაწუხებელია როგორც შენთვის, ისე ჩემთვისაც. როდესაც სხვა იქნება ვინმე, მაშინ ორივენი დავისვენებთ და ჩვენს მოვალეობას უფრო კარგად შევასრულებთ, — წარმოსთქვა მტკიცედ სიდონიამ და კვალად გადმოიხედა გენოსკენ.

გენო არ მოელოდა სიდონიასგან ასეთ პასუხს და თავისი ბრძანებითი კილო შესცვალა ისევ ადერსად. ეჭვი არ უნდოდა, სიდონია უკმაყოფილო იყო რაღაზედაც და ჩაკითხვისაც ეშინოდა, რომ ამათი დამოკიდებულება უფრო მეტად არ გამწვავებულიყო, არჩია ისევ თავი მიენებებინა და დაეტოვებინა ის თავისის საიდუმლოებით; მიეცა სრული თავისუფლება ამ მართლადაც დაქანცულ, სახეშეშლილ, დაავადმყოფებულ ქალისთვის, რომელიც სახარბიელოს აღარას წარმოადგენდა გენოსთვის.

— როგორც გინდოდეს! — მორჩილებით უპასუხა გენომ; კიდევ უნდოდა რიღასიც თქმა, მაგრამ შემოსულმა ნესტორამ გააწყვეტინა,

— ბატონო, ილარიონი გიახლათ, — სთქვა ბიჭმა. გენოს ძალიან იამა, რომ თავს აღწევდა ამ მძიმე წუთებს და საჩქაროდ გავიდა კარში. სიდონია კი განაგრძობდა დივანზე წოლას; თვალს არ აშორებდა გაბრუნებულ გენოს, რომელსაც უყურებდა თან ზიზღითა და თან სიბრალულით.

## XII

სიდონიას სამუშაო ოთახს სრულიად სხვა ელფერი დასდებოდა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ მთელი დღეები კარგამოკეტილი იყო, მაგრამ დღეს კი გარდაქცეულიყო მიმზიდველ მყუდრო კუთხედ. სარკმლებზე ჩამოფარებული მუქი ფარდები არ უშვებდნენ მომეტებულ სინათლეს, რათა არ შეეწუხებინათ ლოგინობისგან დასუსტებული თვალები სიდონიასი. ის გაფითრებულგამხდარი, სახემოღალული იჯდა სავარძელში, მუხლებზე საბანი მოეხვია და მად-მად მზრუნველობით იხედებოდა გვერდით მდგარ პატარა საწოლისკენ, რომელშიაც იწვა ქორფა არსება და დამშვიდებით სუნთქავდა. ყოველი მისი განძრევა, ხმის ამოღება აშფოთებდა სიდონიას და ცდილობდა მთელი თავისი ყურადღებამხედველობა შვილისათვის შეელია.

დღეს მეათე დღე იყო, რაც სიდონია გადარჩენილიყო სიკვდილისგან და ტკბებოდა პაწია ბიჭით, რომელიც შეადგენდა მის ერთადერთ მაცოცხლებელ იმედს, გენო არსადა სჩანდა. სიდონია კმაყოფილი იყო, რომ თავს თავისუფლად გრძნობდა, აღარ ახსოვდა გენო, რომელიც სარგებლობდა შემთხვევით და თითქმის სულ გარეთ ათენ-აღამებდა.

სიდონიას და გენოს შორის შეწყდა ყოველი კავშირი, რომლის შეერთებას სრულიადაც არა ფიქრობდა გენო და არც ეცადა მისთვის. მან შეუსრულა სიდონიას სურვილი, დაიქირავა გამოცდილი ქალი, ჩააბარა ოჯახის მართვა-გამგეობა. დუნიაც თავიდან მოიშორა, რადგან ახლად მოსული ქალი აკმაყოფილებდა მის ყოველნაირ მოთხოვნილებას და არც ოჯახი საჭიროებდა მეტ მეთვალყურეს.

სიდონია, ვიდრე ლოგინად ჩაწვებოდა, მალ-მალ დადიოდა ელენესთან, რომელმაც უკვე იცოდა მისი უბედურება, და მასთან დაპარაკით რაღაც შვებას გრძნობდა.

— დიდი ხანია ვიცოდი, ჩემო სიდონი, რომ გენო კარგი არ იყო. არც მიამა, როდესაც გამაგებინეს, შენ იმას მითხოვდი, მაგრამ რას ვიზამდი? ვიფიქრე, იქნება ცოლ-შვილში სხვა ხასიათები დაიჭიროს-მეთქი, მაგრამ როდესაც დაგინახე მისგან შევიწროებული, დავრწმუნდი, რომ კუზიანს მარტო სამარე გაასწორებს. შენ რას დაეძებ? როგორიც უნდა ისეთი იყვეს! გულში დარდს ნუ ჩაუშვებ! იცხოვრე როგორც გინდა! შეძლება გაქვს, შვილი გეყოლება და ისე მიილე, ვითომც სულ არ გყოლია ქმარი. ხასიათის სიმტკიცეა შენთვის საჭირო, სხვა არაფერი! — ეუბნებოდა ელენე, როდესაც სიდონია დაიწყებდა ბედზე ჩივილს.

სიდონია თითქო უჯერებდა მეგობარს და ახალის ძალ-ღონით შეჭურვილი ბრუნდებოდა სახლში გარემოებასთან საბრძოლველად დღითი დღე თავს სტუმარსავითა გრძნობდა ქმრის ოჯახში, არაფერში აღარ ერეოდა. მოხუცებულსაც მარტო ხანდისხან ინახულებდა, რადგან მისი დადამბლავებული შეხედულობა და ჟინიანობა

გულს უწვრილებდა. სიდონია ჩაწვა ლოგინად. გენო არ დასწრებია მშობიარობაზე, რადგან წინა დღით ილარიონთან ერთად წასულიყო სადღაც. ელენემ არ შეამჩნევინა მეგობარს მარტოობა, უპატრონობა და გულმოდგინეობით უვლიდა. დღე ისე როგორ გავიდოდა, ორჯერ მაინც არ მოსულიყო ავადმყოფის დასათვალიერებლად. სიდონია მადლობით უყურებდა ამ კეთილ არსებას და თავს მაინც ბედნიერადა გრძნობდა შვილის შეძენით. გენოც დაბრუნდა. დახვდა პაწაწა არსება, რომელსაც მიუალერსა მამამ, მაგრამ სრულიად არ ეტყობოდა დედისეული ალტაცება და თავდავიწყება. ის დიდი ხანია რაც მას მოელოდა და თითქო წინდაწინ კიდევაც შესჩვეოდა.

გენო ცდილობდა სიდონიას არა დაჰკლებოდა რა ავადმყოფობის დროს და როგორც კი შეატყო მოჯობინება, აღარ დაახანა, გასწია სოფლისაკენ, სადაც გლეხების აყრა აღსრულებაში უნდა მოეყვანა. სიდონიას გული აღარ უძგერდა შიშით და მზრუნველობით: მისთვის სულ ერთი იყო, სადაც უნდა წასულიყო გენო; დიდი ხანია იმ აზრს შერიგებოდა, მაგრამ როდესაც გაიხსენებდა გლეხების შევიწროებას, მოაგონდებოდა საყვარელი სამშობლო სოფელი, გული დაუწყებდა თანაგრძნობით ტკივილს.

— ვერ წარმოიდგენ, ელენე, რარიგად შემძაგდა ეს სახლი! ასე მგონია, ციხეში ვარ-მეთქი დაპატიმრებული. რა სიამოვნებით გავიდოდი აქედან ჩემის ბავშვით, რომ მოხერხდებოდეს!.. — წარმოსთქვა ერთხელ სუსტი ხმით სიდონიამ და შეხედა მეგობარს.

— სად წახვალ, ჩემო კარგო? ან კი სახლი რა შუაშია, როდესაც საზოგადოდ თვითონ სახლი არ ვარგა! არა, არა, სიდონი, აქვე უნდა დარჩე და აღზარდო შენი ბიჭუნა.

— მეც მაგისთვის ცოცხალვარ, მაგრამ ჯანზე სუსტადა ვარ, ელენე! ვაითუ ვერ შევძლო. ყველანი თავს მაბეზრებენ, ვისაც კი აქა ვხედავ. თუნდ ეს გუშინდელი შემოსული ქალი, რომელიც მეტისმეტად თამამდება და გული ვერ ითმენს ამდენს უსიამოვნობას.

— თავს ხელი შეუწყე და სისუსტე გაგივლის. როგორც კი მოღონიერდე, გირჩევ გაჰყარო აქედან მავნე პირები.

სიდონიამ მწარედ გაიღიმა.

— ჰმ! მერე ვინ არის მასზე მომეტებული მავნე, როგორც თვითონ ამ სახლის საძირკველი? — წარმოსთქვა ნაღვლიანად.

— სცდები, სიდონი, საძირკველი ამ სახლისა აი ეს არის, — უპასუხა ელენემ და მიუთითა ბავშვისკენ. — გენო აწმყოა, წარსულ, წამხდარ სისხლისგან შექმნილი მუწუკი. ეს ბავშვი კი მომავალია და შენ უნდა აღზარდო უმანკო და ჭეშმარიტ ადამიანად.

სიდონიას კმაყოფილება მოეფინა სახეზე, გამობრუნდა და დაეწოდა ბავშვს, რომ აეყვანა ხელში. ელენემ მოუყვანა ქორფა და მუხლებზე დაუწვინა. ბავშვი ძალიანა ჰგავდა დედას და სიდონია მეტისმეტად ბედნიერი იყო. ის სიფრთხილით ნაზად ეხებოდა ხელით მის ლოყებს, როდესაც პაწია ტუჩებს ჩაეთრია პირში მშობლის ტკბილი ძუძუ და ნებივრად სწოვდა, დრო-დადრო ისვენებდა და თანაც კმაყოფილი ხრუტუნებდა.

შვილის შემყურე სიდონიას ხშირად ავიწყდებოდა წარსული. სულდგმულობდა აწმყოთი და ნაზად ულიმოდა მომავალს.

თანდათან მართლადაც მოღონიერდა. დაიწყო ოთახებში სიარული; ელენეს ხშირ-ხშირად მოჰქონდა სხვადასხვა წიგნები ბავშვების აღზრდის შესახებ და, სანამ სუსტად იყო, თვითონ უკითხავდა, მაგრამ შემდგომში სიდონიამ თვითონვე მიჰყო ხელი კითხვას. აღარ ეშვებოდა სასარგებლო ცოდნის შეძენას.

ამასობაში დღე დღეს მისდევდა, სიდონია ღონეს იკრეფდა და მისი სახე ფერ-ხორცით ივსებოდა; ელოდა მოხერხებულ დროს, რომ თავისი მშობლიური მოვალეობა კიდევ უფრო გაეფართოებინა ოჯახში.

ერთხელ სიდონია იჯდა თავის ოთახში. ტკბილად ნანას უმღეროდა პატარას, რომ ფრთხილად გაიღო კარი და გამოჩნდა ნესტორა, რომელსაც სახე დაღონებული ჰქონდა, თითქო სიტყვის თქმასაც ველარ ბედავდა.

— რა გინდა, ნესტორ? — ჰკითხა სიდონიამ, რომელსაც შეატყო ბიჭს გაუბედაობა.

— ქალბატონო, იდარიონი გახლავთ და... — აქ ენა დაება ნესტორას, ველარ მოახერხა გაგრძელება.

— რა ვუყოთ მერე? — დაუდევრად წარმოსთქვა სიდონიამ.

— თქვენი ნახვა უნდა, საჭირო საქმე აქვს...

— ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდეს? ბატონიც მობრძანდა? — დაუმატა გულგრილად ქალმა.

— არა.

— კარგი, ბავშვს დავაძინებ და გამოვალ.

ბიჭი გაბრუნდა საჩქაროდ. სიდონიას კი არ ეჩქარებოდა. კიდევ დიდხანს ევლებოდა თავს პატარას და, როდესაც დარწმუნდა, რომ ღრმა ძილში შესულიყო, მოუყენა მომვლელი დედაკაცი, თვითონ გამოვიდა სასტუმრო ოთახში, სადაც სავარძელში ჩამჯდარი იდარიონი თავით დანდობოდა ხელებს და რაღაცას დაჩერებოდა ძირს.

— იდარიონ, შენა? — წარმოსთქვა ძალდატანებულის ღიმილით სიდონიამ. როდესაც სტუმარი ზეზე წამოდგა. — რა ამბავი? — დაუმატა ქალმა და ჩაჯდა სავარძელში.

სიდონიას არც იდარიონი უჯდა თვალში, როგორც თანამოაზრე გენოსი, მაგრამ ნება-უნებლიეთ როგორც გარეშე პირისთვის, მოვალე იყო ჯეროვანი პატივი ეცა.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა ქალმა, როდესაც ნახა იდარიონს ხმის ამოღება ეძნელებოდა და ხელის თითებს მალ-მალ იმტვრევდა, თვალებს ატრიალებდა, თითქო ეძებს ვისმესო.

— სოფლიდან გიახლებით, — როგორც იყო წაიდუღდუღა იდარიონმა და კვალად დააჩერდა იატაკს.

— რა ჰქენით გლეხების შესახებ?

— ავყარეთ, მაგრამ რომ არ აგვეყარა კი სჯობდა, მეტად ძვირად დაგვისვეს. — სიდონიას გულმა მძლავრად გაიძგერა. ეს სიტყვები მას უსიამოვნოდ მოხვდნენ.

— რაღ გეგონათ ადვილი? მაინც რა ჰქნეს იმ უბედურებმა? გულით მაინც აისაზღაურეს ამაგი?..

ილარიონმა შეპღქვეშ გამოხედა ქალს უკმაყოფილოდ, რადგან იცოდა, რომ ის გლეხებს ესარჩლებოდა.

— ნუ იპრძღებით იმ... ოხ, ისინი... დასანანები არ არიან.., უნდა ყველა სათითაოდ ჩამოახრჩოს კაცმა! მგონი, აგრეც იქნება.

— როგორ? რა მოხდა? — შესძახა ეხლა კი შეშინებულმა ქალმა. სიწითლემ აჰკრა ლოყებში და თვალი თვალში გაუყარა ილარიონს.

— იმაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო, რაც მოხდა? — წაიბუზღუნა ილარიონმა, ამოიოხრა და გვერდზე გაიხედა, თითქო მალავს თვალების მეტყველებასო.

— რა?.. რა იყო?

— გენო დასჭრეს!..

— გენო დასჭრეს?! — შესძახა სიდონიამ და გაფითრებულმა თმებში ხელები წაივლო.

— გამხნევდით, კნეინა! თქვენ მარტო არა ხართ. თქვენ ხელზე ქორფა ბავშვია, რომელსაც, შეიძლება, ავნოს თქვენმა მწუხარებამ... იქ კი.. იქ იმას ველარაფერს... — ჯერ სიტყვა არ დაეთავებინა ილარიონს, რომ გაისმა საშინელი კივილი სიდონიასი და შემდეგ ქვითინი. ქვითინი გაისმა აგრეთვე მეორე ოთახშიაც, სადაც მოხუცი, ეღდანაცემი საშინელი უბედურებისგან, სტიროდა უღროოდ დაკარგულ შვილს.

ილარიონს არ დაემალა მისთვის, რაც მომხდარიყო; მოხუციც ბალიშებზე მისვენებული ცრემლებს აფრქვევდა და რა შეესმა რძლის ტირილი, მის მწუხარებას ფართო გზა მიეცა და დასუსტებულმა გულმა ქვითინით პასუხი გასცა. შემზარავი წუთები დადგნენ.

გენო დასჭრეს?! მოჰკლეს? გლეხებმა მოუკლეს სიდონიას ქმარი, მისი შვილის მამა?.. მოჰკლეს ის გენო, რომელსაც ოდესმე

თავს ევლებოდა სიდონია და მერე კი შეიძაგა?.. გენომ ობლად დასტოვა პატარა, სიდონია ძაძებით შემოსა და ჩამოეცალა სამუდამოდ?..

— ოოხ! — დაიკვნესა სიდონიამ მწარედ და გაწამდა.

— თავს სიმხნევე მიეცით, კნეინა! იმას იქ პატრონობა უნდა... უნდა წამობრძანდეთ და, თუ აგრე იწუხებთ, ვერც კი შესძლებთ მგზავრობას. ოოჰ, იმათი... ეს რა მოგვივიდა!.. რარიგად მოგვასწრეს!.. როდესაც ღამე მოვდიოდით აქეთ, ტყიდან გამოვარდნილმა ტყვიამ სამუდამოდ მოგვაშორა... — ამ სიტყვებს აყრუებდა ქალის ქვითინი.

— გვიშველეთ, ბატონი შეწუხდა! — შემოიძახა ამ დროს შეშინებულმა ნესტორამ.

ილარიონი წამოვარდა და გასწია მოხუცის ოთახისკენ, სადაც მართლაც გულშეღონებული მოხუცი უძრავად იყო.

— ექიმი! ექიმი! — დაიძახა ილარიონმა და ნესტორაც გავარდა კარზე.

სიდონია კი იჯდა ერთ ადგილს მიღურსმულსავით და სტიროდა. სიდონიას თუმცა გენო აღარ უყვარდა, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ გაემეტა.

— ქალბატონო, ბავშვს ძუძუ მიეცით, ველარ დავაწყნარე! — მოისმა ამ დროს დედაკაცის ხმა, მას მოჰყავდა ჩაჩქირებული პატარა.

სიდონიამ, თითქო პირველში ვერ გაიგონაო, ხმა არ გასცა დედაკაცს. მაგრამ მან მაინც მოუყვანა და ჩაუგორა კალთაში. სიდონიამ იგრძნო თუ არა ბავშვის შეხება, წუთს შეჩერდა, ცრემლების ფრქვევით დააჩერდა ქორფას, რომელიც თითქო მფარველობას სთხოვდა დედას. ქალს რაღაც შიში გამოეხატა სახეზე. საჩქაროდ მოხვია ბავშვს მკლავები და მაგრა მიიკრა გულზე. ბავშვი გაინაბა და მიყუჩდა.

ტირილისგან დაქანცულმა სიდონიამ ზურგი მიჰყუდა სავარ-

ძეღს, მაგრამ ღიღხანს ვერ შესძლო ისე ყოფნა და სანუგეშებ-ლად თავი დასდო ბავშვის გულზე.

ილარიონი მალე გამოვიდა ოთახიდან. სიდონიამ სასოწარ-კვეთილებით შეხედა მას და უსიტყვოდ დაეკითხა მოხუცის მდგომარეობაზე.

— უბედურობას უბედურობა მოსდევს!.. საბრალო უკანას-კნელ წუთებშია! — წარმოსთქვა მან და უიმედოდ ხელები ჩაიქნია.

სიდონიამ ისევ დაიკვნესა და სანუგეშოდ კვალად თავი და-უშვა ქორფას თბილ სხეულზე...

## სარჩევი


მოლიპულ გზაზე . . . 7

ბედის ტრიალი . . . 375

**АНАСТАСИЯ ЭРИСТАВИ-ХОШТАРИА**

«НА СКОЛЬЗКОМ ПУТИ», «ИГРА СУДЬБЫ»

**РОМАНЫ**

(На грузинском языке)

Издательство «Мерани» пр. Руставели, 42,
Тбилиси, 1988

რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე
მხატვარი სპ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები ნ. ლომაძე, რ. გოცირიძე.
გამომშვები ნ. ხავთასი

სპ — 3903

ჩაბარდა წარმოებას 12.11.87. წ. ხელმოწერილია საბეჭდად 4.05.88 წ. ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა იბერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 29,51. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,89. პირობითი საღებავგატარება 29,51. ტირაჟი 100 000. ეგზ. შეკვეთა № 2800

ფასი 4 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1988.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.